

მკითხველთა ლიგა

აინ რენდი

პირველწყარო

ინგლისურიდან თარგმნეს
ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

მკითხველთა ლიგა

ვადასტურებ ჩემს უსაზღვრო მადლიერებას ხუროთმოძღვრის დიადი პროფესიისა და მისი იმ გმირების მიმართ, საკაცობრიო გენიის უმაღლესი გამოვლინების მაგალითები რომ გვისახსოვრეს, მათი სახელები კი გაქრა – სრულიად უცნობნი დარჩნენ ადამიანთა უმრავლესობისთვის. მადლობას ვუხდი იმ არქიტექტორებსაც, სულგრძელად რომ დამეხმარნენ ტექსტის ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით.

ჩემ მიერ აღწერილი არც ერთი პიროვნება რეალურს და არც ერთი მოვლენა სინამდვილეს შეგნებულად არაა მიმსგავსებული. რომანის პირველ ვარიანტში ჩართული საგაზეთო სტატიების სათაურებიც ჩემივე მოგონილია, არც ერთი არსებული გაზეთიდან არ მისესხია და არც მომხდარ ფაქტებს ასახავენ.

აინ რენდი, 10მარტი,1943 წ.

მკითხველთა ლიგა

წიგნი პირველი

პიტერ კიტინგი

1

ჰაუარდ რორკს გაეცინა.
შიშველი იდგა კლდის კიდეზე. ქვევით ტბა გაშლილიყო. სარკესავით წყალი თითქოს გარღვეულიყო და გრანიტი ცისკენ ამოესროლა, კლდე ტბის ზედაპირზე ტივტივებდა. ეს იმას ჰგავდა, ბრძოლაში რომ მოჩვენებითი უძრაობა დაისადგურებს, ორი მხარე ერთმანეთის პირისპირ გაირინდება და დრო თითქოს იყინება მოძრაობაზე უფრო დინამიკურ უმოძრაობაში. სველი ქვის ზედაპირი მზის სხივებზე ბზინავდა.
ტბა ორად ხლეჩდა აღმართული კლდეების რიგს, წყალში არეკლილი ცის ფონზე ცაშივე რომ რჩებოდნენ გამოკიდულნი. ერთ ციცქნა კუნძულად ქცეული სამყარო ახლა კაცის ფერხთით, სივრცეში გაჩხერილიყო.
მთელი ტანით მიებჯინა ცას.უხეშად გამოჩორკნილი მისი სხეული ერთ სწორ ხაზად ასვეტილიყო. უძრავად იდგა, ხელებჩამოშვებული, ხელისგულებამოტრიალებული. იგრძნო, როგორ თავისთავად შეუტყუპდა ბეჭები, კისერი დაეჭიმა და მკლავებში მძიმედ დაუარა სისხლმა. უკნიდან ქარი აწვებოდა, თმას უფრიალებდა. არც ქერა იყო და არც წითური _ზუსტად მწიფე ფორთოხლისფერი ჰქონდა თმა.
ისევ გაეცინა ყველაფერზე, რაც დილით შეემთხვა და რაც კიდევ წინ ჰქონდა.
იცოდა, რთული დღეები ელოდა.გადაწყვეტილება უნდა მიეღო და სამოქმედო გეგმაც დაესახა საკუთარი თავისთვის. თუმცა იცოდა არც ერთს იზამდა და არც მეორეს: უკვე დიდი ხანია, შინაგანად ყოველივე გადაეწყვიტა და გეგმაც დღესავით ნათელი იყო მისთვის. ახლა მხოლოდ ეცინებოდა ამ ყველაფერზე.
სცადა, გონება მოეკრიფა, არაფერი გამოუვიდა. გრანიტს მიშტერებოდა.
სახის გამომეტყველება ბუნების რომელიღაც კანონს მოგაგონებდათ_აი ისეთს, ვერც რომ წინ აღუდგები, ვერც შეცვლი, ვერც გულს მოულბობ. ყვრიმალებიანი, ლოყებჩაცვენილი, სწორნაკვთებიანი და რუხთვალება; თხელი, დამცინავი ტუჩები მუდამ მოკუმული ჰქონდა _ინკვიზიტორის თუ წმინდანის მსგავსად.
ფეხქვეშ გრანიტს დახედა. დასატეხია, კედლების ასაშენებლად.
ხეს შეხედა. მოიჭრება და კოჭებად გამოდგება. მერე ჟანგმოდებულ ქვას შეავლო თვალი და რკინის მადანი გაახსენდა, მიწისქვეშ. ისიც გადაიდნობა და ცამდე აზიდულ თაღებად იქცევა. "ეს კლდეებიც მე მელოდებიან უკვე დიდი ხანია", – ფიქრობდა, – "ბურღებს, დინამიტს და
ჩემს ბრძანებას. ერთი სული აქვთ, როდის დაიმსხვრევიან, დასკდებიან, დაქუცმაცდებიან და მერე ხელახლა როდის დაიბადებიან როდის მისცემენ ჩემი ხელები ახალ ფორმას და სახეს".
თავი გადააქნია, უცებ დილანდელიც გაახსენდა და ყველა დასამთავრებელი საქმეც. კლდის ქიმისკენ გადადგა ნაბიჯი, ხელები ასწია და ქვევით გადაეშვა, ცაში.ტბა გადაცურა და გაღმა ნაპირზე ავიდა, ზუსტად იქ, დიდ ქვებთან,სადაც

მკითხველთა ლიგა

ტანსაცმელი ჰქონდა დატოვებული. რატომღაც საკუთარი თავისადმი სიბრალული იგრძნო: ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც სთენტონში ცხოვრობდა, მხოლოდ აქ თუ მოეშვებოდა ხოლმე მთლიანად და ისვენებდა ცურავდა, ფიქრობდა, სიმარტოვით და სიცოცხლით ტკბებოდა. ყოველთვის, როცა თუნდაც ერთ თავისუფალ საათს გამონახავდა, აქ მოდიოდა. ახლაც, უკვე ახლებური თავისუფლების ამ პირველ დღესაც, ერთადერთი, რაც მოუნდა, აქეთ წამოსვლა იყო. ეჭვი არ ეპარებოდა, უკანასკნელად ხედავდა შეჩვეულ ადგილს: სწორედ ამ დილით გარიცხეს სთენტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქიტექტურის სკოლიდან.

ტანზე ჩაიცვა: ტილოს გახუნებული შარვალი, სანდლები, მოკლესახელოებიანი, თითქმის უღილებოდ დარჩენილი პერანგი. ვიწრო ნაკვალევს დაუყვა მაღალ ლოდებს შუა, ამწვანებულ ფერდობზე გაკლაკნილი ბილიკისკენ, ქვემოთ გზას რომ უერთდებოდა.

სწრაფად მიაბიჯებდა, თუმცა მაინცდამაინც არსად ეჩქარებოდა. მალევე გამოვიდა გზაზე, მზის გულზე. წინ, შორს, მასაჩუსეტსის სანაპიროზე, სთენტონი გაწოლილიყო, არც ისე დიდი ქალაქი, რომლის არსებობის მთავარი გამართლებაც გორაკზე მდგარი ინსტიტუტის დიდი შენობა იყო.

_ ქალაქი ნაგავსაყრელით იწყებოდა. ბალახში ათასნაირი ნარჩენები ეყარა და ირგვლივაც ნაგვის მძაღე სუნი იდგა. კონსერვის დაჭყლეტილი ქილები ბრჭყვიალებდნენ მზეზე. პირველ სახლებს ჩაუარა და ეკლესიაც გამოჩნდა. გოთიკური მონუმენტი, მტრედივით მოცისფრო-მონაცრისფრო. ტაძრის კედელს ცალი მხრიდან მთლიანი მორების ბიჯგები ჰქონდა შეყენებული, არადა, თითქოს საერთოდ არც არაფერი სჭირდა შესაკავებელი. ქვის ჩარჩოებში ვიტრაჟებიანი ფანჯრები ჩაესვათ. აქედან ქალაქის გრძელი ქუჩები იწყებოდა კოხტა, გაშლილი მდელოები გასდევდა მთელ სიგრძეზე. მდელოების იქით დაქანებულსახურავებიანი, ათასნაირად დაგრეხილი შენობები იდგა: ზოგი თავხეებიანი, ზოგი კოშკურებიანი, ზოგიც სამერცხულიანი; ყველას ღიპებივით გამოჰბერვოდა პარმაღები. ფანჯრებზე თეთრი ფარდები ფრიალებდა და კარებთან პირთამდე სავსე ნაგვის ყუთები მოჩანდა.ერთ-ერთი კიბის საფეხურზე, საგანგებოდ მისთვის შეკერილ ბალიშზე, ბებერი პეკინესი დასკუპებულიყო და იდორბლებოდა. თითქმის ყველა პარმაღზე, სვეტებს შორის, თოკები გაებათ და ქარიც ზედ გაფენილ ბავშვის საფენებს არხევდა.

გამვლელები თვალს აყოლებდნენ ჰაუარდ რორკს. ზოგი ჩერდებოდა კიდეც და აღშფოთებული მიადევნებდა მზერას. მიზეზს თვითონაც ვერ ახსნიდნენ: უბრალოდ, ადამიანთა უმრავლესობას მის დანახვაზე მსგავსი გრძნობა ინსტინქტურად უჩნდებოდა. ის კი ვერავის ამჩნევდა.საერთოდაც უკაცრიელი ეჩვენებოდა ქუჩები. შიშველიც თავისუფლად ივლიდა, ისე რომ წარბსაც არ შეიხრიდა.

სთენტონის გამწვანებული, მთავარი მოედანი გადაჭრა, მაღაზიების ვიტრინების რკალი რომ ერტყა გარშემო. ყველა ვიტრინაში ახალი პლაკატი გამოეფინათ: "წარმატებებს გისურვებთ, XXII!" – სთენტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტის 22-ე კლასს დღეს გამოსაშვები გამოცდა ჰქონდა დანიშნული.

რორკმა ვიწრო ქუჩაზე ჩაუხვია, სადაც შენობების გრძელი რიგის ბოლოში, ზედ ხრამის პირას, პატარა ბორცვზე მისის კიტინგის სახლი იდგა. სამი წელი გაატარა ამ სახლში მდგმურად.

მისის კიტინგი პარმაღზე დახვდა. ორ კანარის ჩიტს გალიაში საკენკს უყრიდა. ფუმფულა, პატარა ხელი ჰაერში გაუშეშდა მდგმურის დანახვაზე. ცნობისმოყვარე თვალები მიაფეთა. შეეცადა, სახეზე თანაგრძნობა დასტყობოდა, მაგრამ მხოლოდ იმდენი მოახერხა, ვერ დაემალა, რამდენად მძიმე და ამაო იყო ეს მცდელობა მისთვის.

ჰაუარდს კი არც ის შეუმჩნევია. ქალმა შეაჩერა.

– მისტერ რორკ!

– დიახ?

– მისტერ რორკ, ძალიან ვწუხვარ, იცით... – სიტყვა გაუწყდა,

მკითხველთა ლიგა

დაიმორცხვასავით, – აი, დილანდელზე...
– დილანდელზე? – ჩაეკითხა.
– ინსტიტუტიდან გარიცხვის თაობაზე. ვერ აგიწერთ, როგორ შევწუხდი. მინდა, უბრალოდ იცოდეთ, გულით თანაგიგრძნობთ.
იდგა და უხმოდ მისჩერებოდა. ქალიც ხვდებოდა, საერთოდ ვერ აღმიქვამსო. თუმცა არა, არც მთლად ასე იყო საქმე. პირიქით, მუდამ ჯიქურ მიაშტერდებოდა ხოლმე მოსაუბრეს, არც იმის წყეულ თვალს გამოეპარებოდა რამე და მზერაც ისეთი უცნაური ჰქონდა, ვისაც გინდა,აფიქრებინებდა, მგონი, საერთოდ აღარც ვარსებობო. იდგა და უცქერდა. არც აპირებდა პასუხის გაცემას.
– რა მინდოდა მეთქვა, – გააგრძელა ქალმა, – ამქვეყნად ვინც კი იტანჯება, როგორც წესი, ყველა საკუთარი შეცდომების მსხვერპლია ხოლმე. ცხადია, ახლა არქიტექტორობაზე ფიქრს უნდა დაემშვიდობოთ,ასეა? მაგრამ არა უშავს, ახალგაზრდა კაცი ყოველთვის გაიტანს თავს,ან კლერკად მოეწყობა სადმე, ან რამით ივაჭრებს, რა ვიცი...
ზურგი შეაქცია და წასვლა დააპირა.
– მართლა, მისტერ რორკ! – მიაძახა ქალმა, – დეკანმა დაგირეკათ.
ახლა მაინც, ამ ერთადერთხელ, მისის კიტინგი მდგმურისგან თუნდაც რაღაც ემოციისმაგვარს ელოდა და ძალიანაც უნდოდა, ეს დამარცხების აღიარების ტოლფასი ყოფილიყო. ვერც იტყოდა, რატომ ნატრობდა გამუდმებით, სწორედ დამარცხებული და წელში გატეხილი ეხილა.
– მერე?
– დეკანმა, – გაიმეორა ყოყმანით. ისევ სასურველი ეფექტის დანახვას ელოდა, – მდივანს დაარეკინა.
– და რაო?
– მთხოვა, გადმომეცა, როგორც კი დაბრუნდება, დეკანთან მოვიდესო.
– დიდი მადლობა.
– როგორ ფიქრობთ, ახლა რა უნდა უნდოდეს?
– წარმოდგენა არ მაქვს.
თქმით კი ზუსტად ასე თქვა, ოღონდ ქალმა ნათქვამი მაინც სხვანაირად გაიგო. სულ არ მენაღვლებაო, თითქოს ეს ისმოდა ჰაუარდის ხმაში.
– უი, მართლა, დღეს ჩემი პიტი სკოლას ამთავრებს! – მიახარა ქალმა სრულიად უადგილოდ.
– დღეს? ხო, სწორია...
– დიდი დღეა ჩვენთვის. რომ გამახსენდება, რამდენი ვიწვალე და ვიჯახირე, სანამ ბიჭს გზაზე დავაყენებდი... არა, არ ვწუწუნებ! წუწუნი არ მიყვარს. ისე, პიტმაც დამიფასა, გამიმართლა...
ქალი სარგადაყლაპულივით იდგა. პატარა და მკვრივ ტანზე კორსეტი ისე შემოსტკეცოდა, დაბერილი მკერდი ლამის დასკდომოდა.
– ნამდვილად, – გააგრძელა სწრაფადვე, უყვარდა ამ თემაზე საუბარი, – სასაყვედურო არაფერი მაქვს. ზოგ დედას უმართლებს და ზოგს არა. რა გაეწყობა. ახლა ნახეთ, პიტი რას იზამს! არა, ისიც, არ მინდა, შრომით წელი მოიწყვიტოს, მე მისი პატარ-პატარა წარმატებებისთვისაც მუდამ უფლის მადლიერი ვიქნები, მაგრამ ამერიკის უდიდესი არქიტექტორი თუ არ გახდა, ვერც მაგის მიზეზს ამიხსნის ამქვეყნად ვერავინ!
ჰაუარდი შეიშმუშნა.
– თუმცა რა დროს ლაპარაკია, – აფუსფუსდა ქალი, – დროზე გამოიცვალეთ და გაიქეცით. დეკანი გელოდებათ.
თვალი არ მოუცილებია, ვიდრე მისი აწოწილი და გაჩხინკული მდგმური უგემოვნოდ მორთულ სასტუმრო ოთახს გაივლიდა და საბოლოოდ გაუჩინარდებოდა. მის გვერდით ყოველთვის უხერხულად

მკითხველთა ლიგა

გრძნობდა თავს, საკუთარ სახლშიც კი, გამუდმებით რაღაც ცუდს უგრძნობდა ხოლმე გული, თითქოს მოულოდნელად გამოხტებოდა, მაგიდებს გადაუბრუნებდა, ჩინურ ლარნაკებს და ჩარჩოში ჩასმულ ფოტოებს მიულეწ-მოულეწავდა... არადა, საამისო საბაბი ნამდვილად არასოდეს მიუცია. არ ჰგავდა ამის გამკეთებელს. თუმცა ქალი, თვითონაც არ იცოდა რატომ, მაინც სულ ხიფათის მოლოდინში იყო.

რორკი თავის ცარიელ, შეთეთრებულ ოთახში ავიდა, მეორე სართულზე. მისის კიტინგს ხშირად ისეთი შეგრძნებაც კი უჩნდებოდა, თითქოს იგი საერთოდ არ ცხოვრობდა იქ. რაც დახვდა, იმ ავეჯით კმაყოფილდებოდა ერთი სკამი ან თაროც კი არ მიუმატებია; არც ვინმეს ფოტოები ჩამოუკიდია კედლებზე და საერთოდ, პატრონის ხელი არ ეტყობოდა იქაურობას. ტანსაცმლისა და ნახაზების მეტი არაფერი შემოუტანია ოთახში ორი ხელი ტანსაცმელი და ბევრი ნახაზი. ნახაზები სულ აქეთ-იქით, კუთხეებში ჰქონდა აყუდებული და დიასახლისს ერთგვარი უცნაური აზრიც კი ეწვეოდა ხოლმე შიგადაშიგ აქ ეს ქაღალდები ცხოვრობენ და არა თვითონ კაციო.

რორკი ახლა სწორედ ამ ნახაზებს მიადგა: რიგრიგობით უნდა შეეფუთა და მერე ერთად შეეკრა. ჯერ ერთი აიღო ხელში, დააშტერდა. მერე მეორე, მესამე... .

ყველა მათგანზე შენობები იყო გამოსახული, ოღონდ ამგვარი ნამდვილად რომ არაფერი აგებულა დედამიწის ზურგზე: თითქოს მშენებელს სხვა და სხვისი ანაგები თავის დღეში არც არაფერი ენახა. პირველი ადამიანის პირველი ნაშენები გეგონებოდათ და ერთი ის თუ გაგიელვებდათ აზრად, რომ ყოველი შენობა ზუსტად იმგვარად გამოიყურებოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო: თითქოსდა მშენებელს სულაც არ უმტვრევია თავი, სად კარი გაეჭრა და სად ფანჯარა, ან დედაბოძი სად შეედგა. უფრო იმას ჰგავდა, თითქოს ყოველი შენობა თავისით ამომართულიყო მიწიდან, სრულქმნილი და სახეუცვლელი. მათ გამომხაზველ ხელს ჯერ კიდევ სჭირდებოდა ცოტაოდენი დახვეწა, ოღონდ აქ არც ერთი ხაზი და არც ერთი დეტალი არ იყო შემთხვევითი, გამორჩენილი. კონსტრუქციები მსუბუქი და მარტივი ჩანდა. მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა, რაოდენი ძალისხმევა, ფიქრი იყო დახარჯული სწორედ ამ სიმსუბუქის და მოჩვენებითი სიმარტივის მისაღწევად. აქ
არც ერთი დეტალი არ ჩანდა კანონით ნაკარნახევი. ნაგებობები არ იყო კლასიკური სტილის, არც გოთიკური, არც რენესანსის. ეს მხოლოდ ჰაუარდ რორკი გახლდათ. სხვა არავინ.

შეჩერდა. ნახაზს დახედა, ერთ-ერთს, მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას რომ უჩენდა ხოლმე. თავად დაავალა საკუთარ თავს. ასე სჩვეოდა: რომელიმე ადგილს დაადგამდა თვალს და მერე წარმოიდგენდა, რა ტიპის შენობა შეიძლება ჩამდგარიყო იქ. ღამეები უთენებია ამ პროექტზე და მაინც ვერ გაერკვია, სად გამორჩა რაღაც ისეთი, არსებითი. ახლა კი, უცაბედად, ერთი შეხედვით მიხვდა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული.

ნახაზი მაგიდაზე გადააფინა, ზედ დაიხარა და სუფთად ნამუშევარ პროექტში სწრაფად იწყო ახალი, მჭახე ხაზების გატარება. შიგადაშიგ გაჩერდებოდა და თითის წვერებით იჭერდა ქაღალდის კუთხეებს თითქოს თავად შენობას აკავებდა. გრძელი, ჩამოქნილი თითები ჰქონდა, ხმელი მტევნები და დაძარღვული მკლავი.

საათიც არ იქნებოდა გასული, კარზე კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით! – გასძახა თავმიუბრუნებლად.

მკითხველთა ლიგა

– მისტერ რორკ! რას სჩადით, ხვდებით მაინც?
კარის ზღურბლზე მისის კიტინგი იდგა, გაოგნებული. მოიხედა. აშკარად იმის გახსენებას ცდილობდა, ეს ქალი ვინ იყო.
– დეკანს რას უპირებთ? – ამოიკვნესასავით, – გელოდებათ.
– ვინ დეკანი... ა-ა, სულ დამავიწყდა.
– სულ... დაგავიწყდათ?!
– კარგით რა, მივდივარ, ახლავე.
– იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო, მართლა ახია თქვენზე ყველაფერი! ხუთის ნახევარზე დაგიბარეს, ახლა რაღას იზამთ?!
არა, მარტო ცნობისმოყვარეობის ბრალი არ იყო, ასე დაუპატიჟებლად რომ მოადგა კარზე: შინაგანად იმის შიშიც ჰქონდა, ვაითუ საბჭომ სიტყვა გადათქვასო.
– ახლავე ვეახლები, მისის კიტინგ.
აბაზანისკენ გასწია, დერეფნის ბოლოს. ქალი უყურებდა, როგორ იბანდა ხელებს, სწორი, გრძელი თმაც ჩამოივარცხნა, მერე გამოვიდა და ის იყო, კიბეზე აპირებდა ჩასვლას, რომ მაშინღა გაიაზრა, მართლა მიდისო.
– მისტერ რორკ! – ძლივს ამოიხავლა, თან ტანსაცმელზე ანიშნებდა ფუმფულა თითით, – ასე აპირებთ მასთან შესვლას?
– რატომაც არა?
– ის,..ის ხომ დეკანია!
– უკვე აღარ, მისის კიტინგ.
ღმერთმანი, მგონი, ცოტათი უხარია კიდეცო, გაიფიქრა ქალმა.
სთენტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტი გორაკზე იდგა და მისი ზეაზიდული კედლები გვირგვინივით ადგა თავზე ქალაქს. შუა საუკუნეების დროინდელ ციხესიმაგრეს წააგავდა გვერდში მიყუჟული ერთი ციცქნა გოთიკური სამლოცველოთი და დაკბილულთავიანი გოდლით, საიდანაც მშვილდოსნები უსაფრთხოდ დაისრავდნენ მომხდურებს; კიდეზე ღარები დაეტანებინათ საფიქრებელია, მდუღარე ზეთისა თუ კუპრის გადმოსაფრქვევად თუკი ამგვარი რამ საერთოდ თავში მოუვიდოდათ მეცნიერების ტაძრის ებგურებს. ჯერჯერობით კი ამ ციტადელს მხოლოდ ორი, ისიც წარმოსახვითი მტერი ჰყავდა: სინათლე და ჰაერი.
დეკანის კაბინეტიც სამლოცველოს წააგავდა ერთადერთი, ვიტრაჟებიანი გრძელი ფანჯრით. სინათლე წმინდანთა გამოსახულებებში ატანდა, მათი ჭრელ-ჭრელი სამოსის ნატეხებში ფერშეცვლილი: წითელი და მეწამული ლაქები დეკორატიული ბუხრის ჩუქურთმებს ეფინებოდა, მწვანე პართენონის დიდ შავ-თეთრ ფოტოს მის თავზე.
ტანმორჩილი, პუტკუნა, მაგრამ საკუთარი ღირსების შეგრძნებით აღსავსე გვამი დიდ, შავ მაგიდასთან მუცელზე ხელებდაკრეფით მჯდომარე დაუხვდა.
– აჰ, დიახ მისტერ რორკ! – ჩაიღიმა, – დაბრძანდით, თუ შეიძლება.
დაჯდა. ის კი თითებს ათამაშებდა, თხოვნა-ხვეწნის მომლოდინე. სიჩუმე გაიწელა და ახლა ისევ დეკანმა გამოიდო თავი. ჩაახველა.
– აბა, რა გითხრათ, ყმაწვილო, მხოლოდ ჩემი წუხილი მინდა გამოვხატო მომხდარის გამო. თუმცა, ალბათ, ისედაც მოგეხსენებათ ჩემი თქვენდამი გულწრფელი ინტერესის შესახებ...
– რა თქმა უნდა, – დაუმოწმა რორკმა.
ერთი კი გამოხედა ეჭვით, მაგრამ მერე მაინც გააგრძელა:
– არც იმის მტკიცებას დავიწყებ, რომ თქვენი კანდიდატურის

მკითხველთა ლიგა

წინააღმდეგ ხმა მე არ მიმიცია, საერთოდ შევიკავე თავი. ისიც უნდა ითქვას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი გიჭერდათ მხარს მცირერიცხოვანი, მართალია, მაგრამ მეტად მიზანმიმართული. განსაკუთრებით სამშენებლო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი იქამდე მივიდა, ჯვაროსნული ლაშქრობებისკენ მოუწოდებდა თქვენ დასაცავად. მათემატიკის პროფესორიც მას დაუდგა გვერდში. სამწუხაროდ, რაოდენობრივად
საკმაოდ ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეებს. თან ისიც გაითვალისწინეთ, პროფესორი პეტერკინი დაიმუქრა კიდეც, თუ ეგ ახალგაზრდა აქ რჩება, მე მივდივარო... ალბათ ხვდებით, სადამდე მიიყვანეთ კაცი.

– დიახ, – თქვა რორკმა.

– აი, სწორედ ამაშია საქმე. თქვენ მის საგანს არც არასოდეს აქცევდით სათანადო ყურადღებას. კი ბატონო, არავინ უარყოფს, მომავალი იქნებ მართლა მშენებელ-ინჟინრებისაა, ოღონდ ნაგებობების გარეგანი მხარის უგულებელყოფა ვერაფერი ამბავია.. რატომ ვთქვათ უარი სახელოვნებო მხარეზე და მთელი ძალისხმევა მხოლოდ მშრალ, ტექნიკურ, მათემატიკურ გათვლებზე აგებული პროექტებისკენ მივმართოთ? თქვენ ხომ არქიტექტორი უნდა გამოხვიდეთ და არა უბრალოდ ინჟინერი!

– ახლა უსაგნო დავას რა აზრი აქვს? წარსული ამბავია. მორჩა.

– იმას მაინც ვერ იტყვით, არ გაგიფრთხილებივართო. რამდენჯერ...

– დიახ, ასეა.

დეკანი შეიშმუშნა. მუდამ რაღაც უხერხულობას გრძნობდა ხოლმე ჰაუარდ რორკთან. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა მშვიდად იმზირებოდა, ქცევაც ზრდილი ჰქონდა, მაგრამ დეკანს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავად იქ არ იყო.

– არა, რამდენჯერაც კი ცალკე ობიექტი მოგეცით დასაპროექტებლად რას შვებოდით? მთლად საკუთარ ჭკუაზე შეატრიალებდით ხოლმე ყველაფერს... არც პრინციპი, არც სტილი, არც ტრადიცია მოდერნისტი ვარო, რომ თქვათ, მაგასაც კი არავინ დაგიჯერებთ. მომიტევეთ და ეს... ეს სრული სიგიჟეა.

– რაც გენებოთ, ის უწოდეთ, მე ეს არ მაღელვებს.

– კი ბატონო, თავისუფალ პროექტს როგორც გინდათ, ისე გამოხაზავთ, თქვენი ნებაა, მაგრამ როცა გარკვეული ეპოქის შესაბამისი სტილის იმიტაცია მოგეთხოვებათ, დაუშვებელია, ტიუდორების დროინდელი ნაგებობა ან ფრანგული ოპერის სახლი კუბების უთავბოლო გროვად გადააკეთოთ! და საერთოდ, გამოტყდით, რა ჭია შეგიჩნდებათ ხოლმე? ეს არის თქვენი პასუხი დავალებაზე თუ, უბრალოდ, ურჩობაა?

– ურჩობაა.

– ჩვენ კიდევ ერთი შანსის მოცემა გვინდოდა, ყველა საგანში თქვენი ბრწყინვალე შედეგების გამო, მაგრამ როდესაც სადიპლომო ნაშრომად აი ამას გვთავაზობთ, – დეკანმა მაგიდაზე გადაშლილ ნახაზს დასცხო გაშლილი ხელისგული, – ეს არის აღორძინების ხანის ვილა? და ამას ეძახით თქვენ წლის პროექტს? ეს უკვე მეტისმეტია! ამაში გინდათ, დიპლომი მოგცენ?

ნახაზზე შუშა-ბეტონის უჩვეულო კონსტრუქცია იყო დახაზული, კუთხეში კი კუთხოვანი ხელმოწერა მოჩანდა: **ჰაუარდ რორკი.**

– არც მინდა.

– შანსი არ დაგვიტოვეთ, შეიძლება ითქვას... – აგრძელებდა დეკანი,– ახლა იქნებ განაწყენებულიც კი იყოთ, მაგრამ გავა დრო და...

მკითხველთა ლიგა

– სრულიადაც არა. წყენაზე გეუბნებით. დიდი ბოდიში, ტყუილად შეიწუხეთ თავი. არც აქამდე არ უნდა მიმეყვანა საქმე. დროზე უნდა წავსულიყავი.

– კარგი ახლა, ზედმეტსაც ნუ იტყვით. არ ვარგა ასე. თქვენთან დაკავშირებით მე სულ სხვა გეგმები მაქვს.

გაიღიმა და გამგები კაცის იერით გადმოიხარა წინ; ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, წინასწარ ტკბებოდა იმ კეთილი საქმით, რომლის ჩადენასაც აპირებდა.

– სიმართლე გითხრათ, სწორედ ამისთვის დაგიბარეთ. პირდაპირ მინდოდა მეთქვა. არავითარი სურვილი არა მაქვს, ასე გულგატეხილი გაგისტუმროთ. თავმჯდომარესთან კი მომივიდა პატარა შეხლა-შემოხლა და ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე... მოკლედ, ერთწლიან არდადეგებს აიღებთ, კარგად დაუფიქრდებით ყველაფერს, ცივი გონებით აწონ-დაწონით, დასკვნებსაც გამოიტანთ და რომ დაგვიბრუნდებით, მერე თქვენს საკითხს ხელახლა გავიტანთ საბჭოზე. ოღონდ ეს ყველაფერი ჩვენ ორს შორის უნდა დარჩეს, ხომ გესმით, ასეთი რამ ჯერ არასოდეს მომხდარა ამ სასწავლებლის კედლებში, მაგრამ თქვენს ბრწყინვალე მონაცემებსა და ნიშნებს თუ გავითვალისწინებთ... ჰმ, გადაიფიქრებენ, აბა, არა? მეც, ჩემი მხრივ, შეგაწევთ ერთ-ორ სიტყვას და იმედია, კურსზე აღგადგენთ კიდეც!

რორკს ჩაეღიმა, ეს არ იყო მადლიერების ღიმილი, არც მხიარულების. უბრალოდ, თავისთვის ეღიმებოდა.

– მგონი, ვერ გამიგეთ, – თქვა ბოლოს, – რამ გაფიქრებინათ, რომ აქ დაბრუნება მინდა?

– ბატონო?..

– აქ აღარაფერი მესაქმება. მეტი ან რა უნდა ვისწავლო...

– არაფერი მესმის... – ალალად გაიოცა დეკანმა, – მაგით რისი თქმა გინდათ?

– აბა, რა გითხრათ. ან ახსნას რა აზრი აქვს?

– დამდეთ პატივი და ამიხსენით.

– როგორც გენებოთ... მე არქიტექტორი მინდოდა გამოვსულიყავი და არა არქეოლოგი. რატომ უნდა ვისწავლო აღორძინების ხანის ვილების შენება, თუ მათ აშენებას არასოდეს დავაპირებ?

– ჩემო კარგო, აღორძინების ხანის დიადი არქიტექტურა არ ჩამკვდარა! დღესაც უამრავი სახლი შენდება რენესანსის სტილში...

– შენდება, კი. ოღონდ მაგაში მე წვლილი არ მიმიძღვის.

– კარგი ახლა, ბავშვივით ნუ იქცევით.

– მეგონა, აქ ხუროთმოძღვრებას მასწავლიდნენ... ყოველ დავალებას ისე ვუდგებოდი, როგორც ნამდვილ შეკვეთას, გათვლებსა თუ ნახაზებსაც სამომავლო მშენებლობისთვის ვიმზადებდი. რისი სწავლაც აქ შეიძლებოდა, უკვე ვისწავლე კონსტრუქციების აგებას ვგულისხმობ. კიდევ მთელი წელი იტალიურ სტილში საფოსტო ბარათების გაფორმება კი არაფერს მომცემს.

სულ რაღაც ერთი საათის წინ დეკანი ამ უსიამო საუბრის მშვიდად და უკონფლიქტოდ დასრულებას ვარაუდობდა, ახლა კი ლამის ნატრობდა, რაიმე ემოცია მაინც დაენახა რორკის სახეზე. "მთლად ასე, ოლიმპიური სიმშვიდით ხომ არ გაიხურავს კარს", – ფიქრობდა იგი.

– ნუთუ, მართლა ამგვარი რაღაცეების შენებას ფიქრობთ, როდე-საც ან თუ გახდებით არქიტექტორი?

– დიახ.

– ჩემო ძვირფასო, ამის ნებას ვინ მოგცემთ?

მკითხველთა ლიგა

– საკითხავი ისაა, ვინ შემაჩერებს?
– ერთ რამეს გეტყვით, ალბათ ერთი ასეთი საუბარი დიდი ხნით ადრეც უნდა მქონოდა თქვენთან... ნუ მაწყვეტინებთ! გასაგებია, ერთი-ორი მოდერნისტული შენობა-ნაგებობა გინახავთ და შთაბეჭდილების ქვეშ ხართ რა მერე? მართლა ვერ გრძნობთ, რა ხანმოკლე გატაცებაა ეგ თქვენი მოდერნი? ნებისმიერი საქმეში ჩახედული სპეციალისტი გეტყვით – ხუროთმოძღვრებაში რაც კი შესაქმნელი იყო, უკვე დიდი ხნის წინ შეიქმნა და ახლა მხოლოდ ამ განძის გათავისებაა საჭირო... დიდოსტატებს უნდა მივდიოთ მათზე მეტს განა რას მივაღწევთ? ისღა დაგვრჩენია, ვისწავლოთ, მივბაძოთ და სრულყოფილად გადმოვიღოთ!
– რისთვის? – დაეკითხა ჰაუარდი.
"არა, ისეთი არც არაფერი უთქვამს", – თავი დაიმშვიდა დეკანმა, – "მხოლოდ იკითხა, მეტი არაფერი"...
– ამას განა რა პასუხი უნდა?
– შეხედეთ, – რორკმა ფანჯარაზე მიუთითა, – აქ მთელი ქალაქია თავისი მაცხოვრებლებით და სულ არ მანაღვლებს, რომელი მათგანი რას ფიქრობს არქიტექტურის თაობაზე, ან საერთოდ, რაიმეზე... მაშ, რატომ უნდა მაფიქრებდეს, მათი ბაბუები რა აზრისა იყვნენ?
– ეს წმინდა ტრადიციებია...
– რატომ?
– ღმერთო დიდებულო, ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილო ხართ?
– მაგრამ არ მესმის, – ახლა ფოტოს მიათითა ბუხრის თავზე, – აი ამ ნაგებობის შემყურეს გინდათ, ტანში ჟრუანტელი მივლიდეს?
– ეს პართენონია, ჩემო კარგო.
– დიახ, ეშმაკმა დალახვროს, პართენონი!
– ახლა ამისთანა. სულელური შეკითხვებისთვის არა მცალია, მომიტევეთ.
– გასაგებია.
წამოდგა, გრძელ სახაზავს დაავლო ხელი და ფოტოს მიაშვირა:
– გინდათ გითხრათ, ანაგების თვალსაზრისით, ამას რა სჭირს?
– რას პართენონს?!
– დი-ახ, დი-იახ, სწორედ მაგას!
სახაზავმა მჭახედ გაიტკაცუნა ჩარჩოს კიდეზე.
– შეხედეთ, რისთვისაა აი ეს სახელგანთქმული, ქრესტომათიული ნახჭებიანი გვირგვინები სვეტებზე? რისთვის და ბოძებსშორისი შეერთებების დასაფარავად, რა თქმა უნდა! განა არა? მარმარილომდე ხომ ბოძები გამოიყენებოდა საბიჯგელად, მარმარილოს ხმარება მერე დაიწყეს. დირეებიც ხის იყო ჯორკოებს უდებდნენ ხის ქოხებს ლიბოდ. თქვენმა ბერძნებმა კი აიღეს და ხის კონსტრუქცია ახლა მარმარილოში გადაიღეს ძველების წაბაძვით. მერე რენესანსის ოსტატებიც გამოჩნდნენ ასპარეზზე და ხის კონსტრუქციის მარმარილოს ასლიდან ალებასტრის ასლები დაამზადეს ასლის ასლი, ასე ვთქვათ... და ახლა ჩვენ რაღას ვშვებით? მარმარილოში გამოკვეთილი ხის ასლის ალებასტრში გადმოღებული ასლის რკინა-ბეტონის ასლებს ვამზადებთ! რისთვის?
დეკანი გაოგნებული შეჰყურებდა, მაგრამ ნათქვამზე მეტად, თავად რორკის ლაპარაკი მისი ინტონაცია ახდენდა უცნაურ შთაბეჭდილებას.
– წესები? – ის კიდევ თავისას აგრძელებდა, – ჩემი წესი ეს არის: რაც ერთი მასალით შეიძლება აიგოს, იმას სხვას ნურაფერს შეუზავებ... არც ერთი მასალა არ ჰგავს ერთმანეთს, და დედამიწაზეც ორ ადგილს ვერ იპოვი, ერთმანეთს ჰგავდეს; ვერც ორ სხვადასხვა ნაგებობას მოიხმარ

მკითხველთა ლიგა

ერთი და იმავე დანიშნულებით. მიზანი, გარემო, მასალა განაპირობებს ფორმას: ზუსტი საზრისის გარეშე ვერც მშვენიერებას და ვერც სრულ ფუნქციონალურ დატვირთვას მიაღწევ ნებისმიერი ნაგებობა ცოცხალი ერთიანობაა, ადამიანივით. მისი მთლიანობა ისაა, ერთ თემას, ერთ მიზანს, ერთადერთ ჭეშმარიტებას მსახურებდეს. კაცი ხომ არ სესხულობს საკუთარი სხეულის ნაწილებს, ისინი იმთავითვე მისია და, ასევე, ნაგებობასაც საკუთარი სტრუქტურა, საკუთარი სული უდევს საფუძვლად. არქიტექტორი, უბრალოდ, სტრუქტურაში უკვე ჩაბუდებულ სულს კედლების, ფანჯრების, კიბეების მეშვეობით ასხამს ხორცს!

– ოღონდაც გამოხატვის ეს საშუალებანი უკვე კარგა ხნის წინაა ნა-
პოვნი და გააზრებული.

- რისი გამოხატვის? პართენონი განა იმავე მიზნით შეიქმნა, რა მიზნითაც მისი ხის წინამორბედები? არც ერთი ავიატერმინალი არ შენდება იმ დანიშნულებით, რაც პართენონს ენიჭებოდა თავის დროზე! ყოველ ფორმას საკუთარი დანიშნულება აქვს; არქიტექტორი მას მხოლოდ შესაბამის ფუნქციას უძებნის. ადამიანი კი თავად იქმნის საკუთარ საზრისს, ფუნქციასა და მიზანს. რა მნიშვნელობა აქვს, სხვებს რა უკეთებიათ ჩვენამდე? მხოლოდ იმიტომ არის უმნიშვნელოვანესი, რომ ძველზე-
ძველია? რატომ უნდა ჩავთვალო, რომ სხვა ყოველთვის მართალია, მეკი
– არა? ამ სხვამ როდის მიაკვლია ჭეშმარიტებას? ეს რა წმინდა არითმეტიკული ფენომენია, რომელიც მხოლოდ მიმატებას ითვალისწინებს? სხვაზე მოსარგებად საკუთარი რატომ უნდა გავაუკუღმართოთ? ყოველივე ამას რაღაცა აზრი ხომ უნდა ჰქონდეს? არ ვიცი. არც მესმის, გაგება კი მინდა.

– ღვთის გულისთვის... არა, დაჯექით, დაჯექით... აი, ასე... იქნებ სახაზავიც ადგილზე დაგედოთ? გმადლობთ. ასე არ ჯობია? ახლა კიდევ, ჩემო კარგო, მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა... არც არავის დასცდენია, ხურომოძღვრებას თანამედროვე ხედვა არაფერში არგიაო. პირიქით ძველი უნდა შევუხამოთ ახალ მოთხოვნებს! წარსულის ხმა ხალხის ხმაა! მარტო ერთ ადამიანს კი ღირებული ჯერ არასოდეს არაფერი შეუქმნია არქიტექტურაში. აქ შემოქმედებითი პროცესი მდორედ მიედინება, ნელია, თანდათანობითი, და მუდამ კოლექტიური ძალისხმევის შედეგია ხოლმე; აქ ერთი უნდა შეეწყოს, მისდიოს, უმრავლესობის ნებას დამორჩილდეს...

– რას გეტყვით, იცით, – გააწყვეტინა რორკმა, – სულ რაღაც სამოციოდე წლის სიცოცხლე დამრჩენია და აქედან მეტ წილს სამუშაო წაიღებს. იმას ვაკეთებ, რაც თავად ავირჩიე, არავის დაუძალებია: თუკი სიამოვნებას აღარ მომანიჭებს, გამოდის, საკატორღოდ გადამიდია თავი. სიამოვნებას კი მაშინ მივიღებ მხოლოდ, თუ ისე გავაკეთებ ჩემს საქმეს, როგორც ჩემთვის მივიჩნევ საუკეთესოდ. ოღონდ, ეს უკვე თამასის სიმაღლეზე გადების საკითხია მე კი თვითონ ვარჩევ ჩემს სიმაღლეს. სამემკვიდრეოდ არაფერს ვიჩემებ: ტრადიციების დასასრულთან ვდგავარ, იქნებ, სულაც ახალ ტრადიციას ვუდებ საფუძველს.

– რამდენი წლის ხართ?

– ოცდაორის.

– გეპატიებათ, – ეტყობოდა, ცოტათი გულზე მოეშვა, – დაღვინდებით.
მერე გაიღიმა, გულთბილად.

– ტრადიცია ათასწლოვანი ფენომენია, ჰაუარდ, და თამასაც ძველებზე მაღლა ჯერ ვერავინ გადო. ეგ მოდერნისტობა რა არის? მოდას აყოლილი მოდასვე გადაჰყვება... რომელიმე მოდერნისტისთვის მაინც თუ

მკითხველთა ლიგა

მიგიდევნებიათ თვალი? რომელიმე მოდერნისტს თუ იცნობთ, მყარად იდგეს ფეხზე? ჰენრი კამერონი ავიღოთ, დიდების მწვერვალებს მიაღწია, ოღონდ ამ ოცი წლის წინ. ახლა რაღა? წელიწადში ერთხელ მანქანის სადგომის რეკონსტრუქციას თუ დაუკვეთავენ, იმაზეც მადლობელი იყოს. გალოთდა კიდეცო, ამბობენ.

– შევეშვათ კამერონს.

– რა, თქვენი ახლობელია?

– არა. მისი ნამუშევრები მაქვს ნანახი.

– და რა მერე?

– გითხარით, კამერონს შევეშვათ-მეთქი.

– კი ბატონო. ნება თქვენია. ერთი ეს გაითვალისწინეთ მხოლოდ, რომ საზოგადოდ, სტუდენტებთან ასე ლაპარაკს არა ვარ ჩვეული... მაგრამ რა ვქნა, როცა ვხედავ, რომ უფსკრულის პირას დგახართ სრულიად ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი, უნიჭიერესი ყმაწვილი და საბედისწერო ნაბიჯი გინდათ გადადგათ!

გუნებაში კი იმას ფიქრობდა, რა ძალა მადგა, მათემატიკის პროფესორს რომ პირობა მივეცი, ყველაფერს ვიღონებ ამ ბიჭის საშველადო. ერთი ეს თქვა, "მაგისგან დიდი ვინმე გამოვაო", და ეგ იყო სულ. კი, გამოვა. ან არქიტექტორი, ან დამნაშავე... გააჟრჟოლა: მისგან არც ერთი უნდოდა, არც მეორე.

ახლა იმის გახსენებას შეეცადა, რორკის წარსულზე თუ იცოდა რამე. მამამისი მგლინავად მუშაობდა სადღაც ოჰაიოს მხარეს და დიდი ხნის მკვდარიც იყო უკვე. უახლოეს ნათესავებზე კი საბუთებში არაფერი იყო ნათქვამი. როცა ჰკითხეს, აბა, რა გითხრათ, არ ვიცი, – უპასუხია, – შეიძლება მყავდეს კიდეც, ოღონდ მათი არაფერი ვიციო. გაიკვირვა კიდეც, რამ გაფიქრებინათ, რომ მეცოდინებოდაო. ამ ხნის განმავლობაში ერთი მეგობარი არ შეუძენია, არც კი უცდია. სხვადასხვა საძმოებში გაწევრიანებაზეც მუდამ უარს ამბობდა ხოლმე. თავად გაიკვალა გზა ჯერ კიდევ სასწავლებლამდე უბრალო მუშად მუშაობდა მშენებლობაზე და არც არაფერს უკადრისობდა ლესვას, აგურის წყობას, ძერწვას... რაც კი ხელში მოხვდებოდა. ერთი პატარა ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, აღმოსავლეთისკენ, დიდი ქალაქებისკენ. დეკანმა ერთხელ თვალიც მოჰკრა ზაფხულში იყო ეს ამბავი, არდადეგებზე ცათამბჯენის ფოლადის ხიმინჯებზე ადებდა მოქლონებს: გრძელი, თითქოს მოშვებული სხეული ჰქონდა, ოღონდ მზერა კი გამახვილებული და რიგრიგობით, მეთოდურად, გაწაფული ხელით სვამდა გავარვარებული რკინის საგდულებს ბუდეებში სწორედ ბოლო წამს, როცა გეგონებოდა, აი, ახლა ასცდება და სახეში შეასკდებაო.

– ერთიც უნდა გითხრათ, რორკ, – თქვა ხაზგასმით მშვიდად, – ვიცი, მძიმე შრომა გასწიეთ პროფესიული განათლების მისაღებად, და ახლა ერთი, ეს ერთადერთი წელიღა დაგრჩათ სწავლის დამთავრებამდე. პრაქტიკულ მხარესაც მიაქციეთ ყურადღება არქიტექტორობა არ შეიძლება, თვითმიზნად გექცეთ. ეს უფრო მთელი საზოგადოებრივი დაკვეთის ერთი შემადგენელი ნაწილია მხოლოდ. თანამშრომლობაა დღეს ის უმთავრესი ცნება, ხუროთმოძღვრების პროცესს რომ განსაზღვრავს. ვთქვათ და, სამომავლო დაკვეთებზე თუ გიფიქრიათ ოდესმე?

– დიახ, ხშირად.

– დამკვეთი, – წარმოთქვა მრავალმნიშვნელოვნად, – დამკვეთმა უნდა იცხოვროს თქვენ მიერ დაპროექტებულ სახლში და თქვენი ერთადერთი მიზანიც მისი მსახურებაა. თქვენ მხოლოდ მის სურვილებს უნდა შეასხათ ხორცი, ეს არის და ეს... განა ამას კიდევ რაიმე ახსნა სჭირდება?

მკითხველთა ლიგა

– სჭირდება, კი. პირადად მე ჯერ დამკვეთს ავუხსნიდი, რომ მისთვის არ მენანება ყველაზე ფუნქციონალური, ყველაზე მოხერხებული, ულამაზესი სახლის აგება... და იმასაც შევაგნებინებდი, რა არის მისთვის საუკეთესო. ოღონდ არაფერ ამისმაგვარს არ ვაპირებ. არ ვაპირებ, ვინმეს რაიმე ავუშენო, ასე ვთქვათ, ვემსახურო. სულაც არ მინდა, იმიტომ ვაშენო, დამკვეთი არ გამომელიოს. დამკვეთი მხოლოდ იმისთვის მჭირდება, რაც მინდა, ის ვაშენო.

– და როგორ გინდათ, აიძულოთ, ამაზე დაგთანხმდნენ?

– არც არავის იძულებას არ ვაპირებ და ვერც მე ვერავინ მაიძულებს რამეს. ვისაც დავჭირდები, თავისი ფეხით მოვა.

ახლაღა მიხვდა, ასე რით აოგნებდა რორკის ქცევა.

– იქნებ მერწმუნა კიდეც თქვენი, მაგრამ რაღაც ვერ გატყობთ, ჩემს დარწმუნებას ცდილობდეთ.

– მართალია. ან რაში მჭირდება... – ისე ალალად თქვა, საწყენიც თითქოს არაფერი იყო ამაში: უბრალოდ, ფაქტი აღნიშნა.

– კარგი, ვთქვათ და, საერთოდ არ გადარდებთ, სხვები რას ფიქრობენ ეს კიდევ შემიძლია, გავიგო, მაგრამ არც ის გინდათ, სხვას გააგებინოთ თქვენი აზრი?

– არა.

– ღმერთო ჩემო... ეს რაღაც არაადამიანურია!

– მართლა? მაგაზე აღარ მიფიქრია.

– იცით, რორკ მართლა მოხარული ვარ, რომ გაგესაუბრეთ! – რაღაც ისე თქვა, ძალიან ხმამაღლა, – გულზე მომეშვა. ახლა მეც მათ მხარეზე ვარ, ვინც მიმტკიცებდა, არქიტექტურა მაგ კაცის საქმე არააო. ჩემი მხრივ, რაც შემეძლო, ვუძალიანდებოდი, მაგრამ ახლა მორჩა! თქვენ, უბრალოდ, სახიფათო ვინმე ხართ, რორკ!

– სახიფათო ვისთვის?

დეკანი უკვე ფეხზე იდგა, იმის ნიშნად, საუბარი დასრულებულიაო.

რორკი კაბინეტიდან გამოვიდა. ნელა გაიარა გრძელი დერეფანი, კიბეებზე ჩავიდა და გარეთ, მდელოზე გააბიჯა. ცხოვრებაში უკვე ბევრი ენახა დეკანისნაირი ადამიანი და ვერასოდეს ვერაფერი გაეგო მათი. რაღაც ძირეული განსხვავება იდო მასა და ასეთ ხალხს შორის, ოღონდ ეგ უკვე კარგა ხანია, აღარ ადარდებდა. მხოლოდ ეს იყო ადამიანებსა და შენობებში მუდამ ერთსა და იმავეს მიზანს დაეძებდა ხოლმე. თავისი იცოდა, მათი კი ვერაფერი გაეგო. ვერაფრით გაეთავისებინა სხვაზე ფიქრის უნარი. მხოლოდ ხანდახან თუ გაუელვებდა: ნეტა რა აქცევს ამ ხალხს ასეთადო. თუნდაც აი, ეს დეკანი ავიღოთ. "რაღაც საიდუმლო უნდა იმალებოდეს მთელ ამ ამბავში, რაღაც მნიშვნელოვანი," – ფიქრობდა. ბოლოს და ბოლოს, ჯერ ამ პრობლემის არსისთვის უნდა მიეკვლია.

გაჩერდა. ჩამავალი მზის სხივი აგურის კედელს ჩაყოლებული ფიქლის ქვის ლავგარდანს დასთამაშებდა. სულ გადაავიწყდა დეკანიც და მის ქცევასთან დაკავშირებული რაღაც საიდუმლოც, მარტო სინათლის სიმყიფეში გამოკვეთილი ქვის ხიბლს ამჩნევდა. იმასღა ფიქრობდა მხოლოდ, თავად რაში გამოიყენებდა ამგვარ მასალას.

უცბად ვატმანის დიდი ფურცელი დაუდგა თვალწინ, ზედ გამოსახული რუხი ფიქლის ქვის კედლით, შიგადაშიგ შუშის მოგრძო ჩანართებით, პირდაპირ საკლასო ოთახებში რომ შეჰქონდა ცის ნათელი... და იქვე, მარჯვენა ქვედა კუთხეში, მკვეთრი, ტეხილი ხაზებით გამოყვანილი წარწერა: **ჰაუარდ რორკი.**

მკითხველთა ლიგა

" ...არქიტექტურა, ჩემო კარგებო, უდიდესი ხელოვნებაა, რომელიც ორ კოსმიურ პრინციპს ემყარება: სილამაზეს და საჭიროებას, უფრო ფართო გაგებით კი, იგი სამი მარადიული კატეგორიის ნაწილია; ჭეშმარიტების, სიყვარულისა და მშვენიერების. ჭეშმარიტება ჩვენი ხელოვონების ტრადიციებში დევს, სიყვარული თანამოძმეთა მიმართ უნდა გამოვხატოთ, ვისი სამსახურიც გვევალება კიდეც, მშვენიერება კი... ეეხ, მშვენიერება ყველა ხელოვანის მბრძანებელი ქალღმერთია რა მნიშვნელობა აქვს, მომხიბლავი ქალის სახეს მიიღებს, თუ შენობისას..., დიიახ... დაბოლოს, მინდა, თქვენ მოგმართოთ ვინც სულ მალე ხუროთმოძღვრის ურთულეს საქმეს უნდა შეეჭიდოთ გითხრათ, რომ უკვე თქვენ ხელთაა წმინდათაწმინდა მემკვიდრეობის დაცვა, ასე ვთქვათ... და როცა ცხოვრების ახალ გზაზე სამი მარადიული კატე... ანუ, სიმამა-ცითა და საკუთარი ხედვით აღჭურვილნი შეაბიჯებთ, სამარადისოდ ერთგულნი უნდა დარჩეთ იმ ნორმებისა, რომელთაც წლების მანძილზე ამკვიდრებდა და ამკვიდრებს სწორედ ცოდნის ეს ძირძველი ტაძარი. თავდაუზოგავად ემსახურეთ მოწოდებას, ნურც წარსულს ემონებით და ნურც იმ მეტიჩრებს დაემსგავსებით, ორიგინალურობა თვითმიზნად რომ გადაუქცევიათ უმეცარი ამაოების მქადაგებლებს... გისურვებთ, მრავალი დატვირთული, შინაარსიანი წლის განმავლობაში გეკეთებინოთ თქვენი საკეთებელი და ამ ქვეყნიდანაც ისე წასულიყავით, საკუთარი კვალი დაგეტოვებინოთ დრო-ჟამის ქვიშაზე!"

გაი ფრენკონმა სიტყვა დაასრულა და შემართული მარჯვენაც რომაელი სენატორივით მიმოატარა ჰაერში მისალმების ნიშნად შინაურულად და თან მრავალმნიშვნელოვნად, იმ მხიარული და ერთდროულად ღირსეული იერით, რომლის მორგებაც მას არასოდეს უჭირდა ხოლმე. ვეებერთელა, მანამდე გასუსული დარბაზის აღტაცების ტაშისცემამ ერთბაშად გამოაცოცხლა.

უამრავი ჭაბუკური, აღგზნებული, გაფაციცებული სახე მთელი ორმოცდახუთი წუთი ღვთაებრივი მოწიწებით გასცქეროდა ტრიბუნას, საიდანაც თავად გაი ფრენკონი მიმართავდა სთენტონის ტექნოლოგიის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას სწორედ ის გაი ფრენკონი, რომელმაც ნიუ-იორკიდან ჩამობრძანებით უდიდესი პატივი დასდო ამ გამორჩეულ ღონისძიებას; გაი ფრენკონი სახელგანთქმული ფირმის, "ფრენკონი და ჰეიერის" სიამაყე, ამერიკის არქიტექტორთა გილდიის ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკის ხელოვნებისა და მწიგნობრობის აკადემიის ნამდვილი წევრი, ნატიფ ხელოვნებათა სახელმწიფო კომისიის მშვენება, ნიუ-იორკის ხელოვნებისა და ხელოსნობის ლიგის მდივანი, აშშ-ში არქიტექტურის პოპულარიზაციის საზოგადოების თავმჯდომარე; დიახ, გაი ფრენკონი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის კავალერი, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, მონაკოსა და სიამის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოების მფლობელი; გაი ფრენკონი სთენტონის უთვალსაჩინოესი კურსდამთავრებული, ვისმა მარჯვენამაც დააგეგმარა ნიუ-იორკის "ფრინკის ნაციონალური ბანკის“ ცნობილი შენობა, რომლის სახურავზეც, ქვაფენილიდან ზუსტად ოცდახუთი სართულით ზემოთ, ამაყად კაშკაშებდა შუშითა და ”ჯენერალ ელექტრიქის" საუკეთესო ნათურებით სულჩადგმული, ქარშიც ჩაუქრობელი ჩირაღდანი მინიატურული, მაგრამ შთამბეჭდავი ასლი ადრიანეს მავზოლეუმიდან.

ფრენკონი დინჯი, მოზომილი ნაბიჯით დაეშვა ტრიბუნიდან. საშუალო

მკითხველთა ლიგა

სიმაღლის კაცი იყო და მსუქანიც ნამდვილად არ ეთქმოდა, ალბათ სულ ოდნავ თუ ამჟღავნებდა სისავსისკენ მიდრეკილებას. უკვე ორმოცდათერთმეტის შესრულებულიყო, მაგრამ თვითონ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ასაკი საერთოდ არ ეტყობოდა. ნაოჭს კი არა, ერთ სწორ ხაზსაც ვერ დაუნახავდით სახეზე; ეს სახე სფეროების, წრეების, თაღებისა და ელიფსების ოსტატურ კომპოზიციას წარმოადგენდა, რასაც განსაკუთრებულ პეწს მატებდა მომცრო, ცოცხალი, ეშმაკურად მოციმციმე თვალები, მის ტანსაცმელს კი დეტალებისადმი ხელოვანის გაუნელებელი ყურადღების კვალი ეტყობოდა. ხუროთმოძღვარი კიბის საფეხურებს მოუყვებოდა და ნანობდა, რატომ გოგონებიც არ სწავლობენ ამ ინსტიტუტშიო.

დარბაზს ათვალიერებდა და ჭეშმარიტი არქიტექტურის ნიმუშიაო, – ფიქრობდა; მართალია, ხალხმრავლობის გამო ჰაერი ოდნავ კი ჩახუთულიყო, მაგრამ ვენტილაციის კარგად გამართული სისტემა ამ მცირე ნაკლსაც იოლად გამოასწორებდა. სამაგიეროდ, თლილი, მწვანე მარმარილოს პანელები, ოქროსფრად შეღებილი თუჯის კორინთული სვეტები და კედლებს გაყოლებული, სხვადასხვაგვარი ხილის ფორმის მოოქრული კანდელაბრები თვალის შევლებად მართლაც ღირდა; განსაკუთრებით ანანასებმა გაუძლო დროის მკაცრ გამოცდასო, გაიფიქრა გაი ფრენკონმა და გულიც კი აუჩუყდა ოცი წლის წინ ხომ სწორედ მან
დააპროექტა ეს ფლიგელიცა და ეს დარბაზიც!

ამდენი სხეული და სახე თითქოს უკვე ვეღარც კი ეტეოდა დარბაზში. ისე მიჰკვროდნენ ერთმანეთს, კაცი ერთი შეხედვით ვერც გაარკვევდა, რომელ ტანს რომელი თავი ება. ირგვლივ ყველაფერი ერთმანეთში არეული მკლავების, მხრებისა და ტორსებისგან მოდუღებულ რაღაც რბილ ჟელესავით თიმთიმებდა, ხოლო ამ უამრავში ერთ-ერთი სახე ფერმკრთალი, შავგვრემანი და სწორნაკვთოვანი პიტერ კიტინგისა იყო.

წინა რიგში იჯდა, ცდილობდა, ტრიბუნისთვის არ მოეშორებინა თვალი იცოდა, ახლაც ბევრი ვინმე მისჩერებოდა ინტერესით და კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიიპყრობდა მომავალში. თვითონ ერთხელაც არ მიუბრუნებია უკან თავი, მაგრამ სხვათა დაჟინებულ მზერას განუწყვეტლივ გრძნობდა. მუქი, ყურადღებიანი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ტუჩები უზადოდ ნაკვეთი, ამოტრიალებული პატარა ნახე-ვარმთვარე, კეთილი და მიმზიდველი, თითქოს მუდმივად გასაღიმებლად გამზადებული. ნატიფ საფეთქლებზე ჩამოშლილი შავი კულულები კიდევ უფრო უსვამდნენ ხაზს მისი თავის ქალის ლამის კლასიკურ სრულყოფილებას. იმ ადამიანივით ამაყად ყელმოღერებული იჯდა, რომელსაც საკუთარ სილამაზეში ეჭვი არ ეპარება, თუმცა ისიც იცოდა, შეიძლება, სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენო. აი, ასეთი იყო პიტერ კიტინგი, სთენტონის თვალი, ადგილობრივი მასშტაბის ვარსკვლავი, სტუდენტთა საბჭოს პრეზიდენტი, მორბენალთა გუნდის კაპიტანი, ყველაზე გავლენიანი საძმოს წევრი და საერთოდ ინსტიტუტის უპოპულარულესი პერსონა.

"ეს ამდენი ხალხი ჩემი გამარჯვების სანახავად შეიკრიბა," – ფიქრობდა და ცდილობდა გამოეთვალა, მაინც რამდენ ადამიანს იტევდა დარბაზი. ყველამ იცოდა, რა განსაცვიფრებელი აკადემიური შედეგებით დაასრულა სწავლა, უკვე ახლოსაც ვეღარავინ მივიდოდა მასთან. კი, მართალია, იყო შლინკერიც კარგა ხანს უწევდა მეტოქეობას, მაგრამ ბოლო კურსზე ისიც ჩამოიტოვა უკან. მართლა ვირივით იშრომა,
იმიტომ, რომ სწორედ შლინკერისთვის უნდოდა ეჯობნა. დღეს კი უკვე

მკითხველთა ლიგა

მეტოქე აღარა ჰყავს... მერე, უცებ, თითქოს ცივი სიცარიელე დაუდგა შიგნიდან მთელ სხეულში და ყელიდან მუცლისკენ მკვრივი ბურთი ჩაუსრიალდა; მისრიალებდა და თან უცნაურ განცდას ტოვებდა გზადაგზა; აზრს ან ფიქრს კი არა, რაღაც ბუნდოვან შეკითხვისმაგვარს ვითომ მართლა ისეთი დიდებული ვინმე ვარ, როგორც დღევანდელ დღეს უნდა გაცხადდესო. უამრავ ხალხში მაინც მოძებნა შლინკერი: მის მოყვითალო სახეს და ოქროსჩარჩოიან სათვალეს ჰკიდა თვალი. დიდხანს უყურებდა, მეგობრულად, მშვიდად, უკვე თანაგრძნობით, მადლიერებითაც კი. შლინკერი ვერც მისნაირ გარეგნობაზე იოცნებებდა და, ალბათ, ვერც ნიჭიერებით შეედრებოდა; აღარაფერი ჩანდა სათუო და საეჭვო; ის ნებისმიერ შლინკერს მოუღებდა ბოლოს; არავის მისცემდა ნებას, იმისთვის მიეღწია, რასაც თავად ვერ მიაღწევდა. ახლა უყურონ. კარგ სანახავსაც მიართმევს. სხვების ცხელ სუნთქვას გრძნობდა და აღგზნებულ მზერას. "ცხოვრება მშვენიერია", – გაიფიქრა.

ცოტათი თავბრუც ეხვეოდა, ოღონდ ისე, სასიამოვნოდ. ახლა მათ წინაშე იდგა შემაღლებულზე თხელი, დაკუნთული, წელგამართული და აცლიდა, სანამ მთელი ეს ღრიანცელი ოდნავ მაინც მიწყნარდებოდა. ისღა გაიგო მხოლოდ, რომ "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" დიდი ოქროს მედალი გადაეცემოდა და კიდევ "არქიტექტურის განვითარების საზოგადოების" მიერ დანიშნული ოთხწლიანი სტიპენდია, პარიზის ნატიფ ხელოვნებათა სასწავლებელში გასამგზავრებლად.

მერე იყო ბევრი ღიმილის ფრქვევა, ხელის ჩამორთმევა, დაცვარული შუბლის აბრეშუმის ცხვირსახოცით შემშრალება და იმის შიში, მკლავზე ჩამოკიდებული დედამისის სლუკუნი არ გაეგო ვინმეს. დეკანი ხელს ართმევდა და გაიძახოდა: "... დიდი, დიდი მომავალი... ნამდვილად", ვიღაც სხვა დიდი კაცი უმტკიცებდა, სთენტონი ნამდვილად იამაყებს შენითო; პროფესორი პიტერკინი კიდევ, როგორც ყოველთვის, თავის ამპლუაში იყო: ".. და რაღა თქმა უნდა, ეს დიდად წაგადგებათ ცხოვრებაში... აი, მე რომ პიბოდის საფოსტო სახლს ვაგეგმარებდი..." დანარჩენი კიტინგს უკვე აღარ აინტერესებდა ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი, ისევე როგორც ყველა სხვას და საერთოდ, ეს ერთადერთი ნაგებობა იყო, რაც კი პროფესორ პიტერკინს აეგო ოდესმე, ვიდრე საკუთარ შემოქმედებით ნიჭს ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე დაახურდავებდა. მერე ბევრი რამ ითქვა სახვითი ხელოვნების სასახლის პროექტზე ანუ, იმავე კიტინგის სადიპლომო ნაშრომის თაობაზე. თუმცა, ახლა რომ გეკითხათ მისთვის, საერთოდ ვერც გაიხსენებდა, რა პროექტზე იყო ლაპარაკი.

ერთადერთი, გაი ფრენკონის სახე აღწევდა მის შეგნებამდე ისიც ხელს ართმევდა და ცხვირში დუდღუნებდა თითქოს: "...ხომ გითხარით, თქვენთვის ვაკანსია მუდმივად გვაქვს-მეთქი.. უნდა გადაწყვიტოთ...არა, კი მესმის, რომ პარიზის დიპლომი ბევრს ნიშნავს ნებისმიერი ახალგაზრდა... ოღონდ მე პირადად, დიდი სიამოვნებით... ჩვენს ფირმაში..."

"XXII კლასის" ბანკეტი ხანგრძლივი იყო და მეტად საზეიმო. კიტინგი ყურადღებით ისმენდა ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს და როცა მის ყურს სწვდებოდა ეპითეტები "ამერიკული არქიტექტურის იმედი"... –თუ ბრძნული წინასწარმეტყველებანი "მომავლის ღია კარის" თაობაზე, იცოდა, რომ ეს ყველაფერი სწორედ მას ეხებოდა და მომავალიც მისი იყო, ოღონდ ამდენი წარჩინებული ორატორისგან იმავეს გაგონება მაინც საამოდ ელამუნებოდა სმენას. მერე შეჰყურებდა ამ შეჭაღარავებულ ხალხს და იმასაც ფიქრობდა, რამდენად მეტს მიაღწევდა მათ ასაკში.

მკითხველთა ლიგა

მერე უეცრად ჰაუარდ რორკი გაახსენდა. გაუკვირდა კიდეც, ამ სახელის გახსენებაზე საამოდ რატომ გაჰკრა რაღაცამ გულში; მერე მიხვდა ამ დილით არ გარიცხესო! ცოტათი უსაყვედურა საკუთარ თავს ასეთი სულმოკლეობისთვის და ისიც კი სცადა, მცირე სინანული მაინც ეგრძნო. არაფერი გამოუვიდა. ბოლოს და ბოლოს, მთელი ამ ამბით მხოლოდ ის გაირკვა, რომ რორკს სულ ტყუილად მიიჩნევდა სახიფათო მეტოქედ. არადა, ერთ დროს შლინკერზე მეტადაც კი უფრთხოდა, თუმცა რორკი ორი წლით უმცროსი იყო და ერთი კლასითაც ჩამორჩებოდა.დღეს კი საბოლოოდ გაირკვა ყველაფერი. ისე, კაცმა რომ თქვას, რორკი მუდამ ყურადღებიანი იყო მის მიმართ, და თუკი რამე უჭირდა... არა, უჭირდა კი არა ისე, დროს რომ ვერ გამოძებნიდა ხოლმე პრობლემის გადასაჭრელად წამში დაულაგებდა ხოლმე ყველაფერს... არა, მართლა მაგარი იყო. და რა მერე? მორჩა ეგ ამბავი. ახლა კიტინგი მხოლოდ რაღაც სიბრალულისმაგვარს გრძნობდა ჰაუარდ რორკის მიმართ.

სიტყვა რომ მისცეს,მშვიდად წამოდგა, თავდაჯერებულად. არ შეიძლებოდა,ვინმეს გაეფიქრა, რომ ეშინოდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც თავაწეული გამოვიდა, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, ოღონდ მცირედ, სულ მცირედ მათგან განსხვავებული აი ისეთი,ამ სახელოვან ადამიანთაგან გულზე ცუდად არავის მოხვედროდა: „ ხუროთმოძღვრება ხელოვნებასთანაა წილნაყარი... წინ, მომავლისკენ და გვქონდეს მზერა მიპყრობილი, თან ისე, წარსულის არაფერი დავიწყოოთ... ესაა, მე ვიტყოდი, სოციოლოგიური თვალსაზრისით დარგთა შორის უმნიშვნელოვანესი და, როგორც ყველა ჩვენგანისთვის მისაბაძმა ხელოვანმა და პიროვნებამ ბრძანა აქ დღეს, ამ ტრადიციის უწყვეტობას სამი რამ განაპირობებს: სიმართლე, მშვენიერება, სიყვარული..."

მერე, უკვე დერეფანში, ხალხი რომ იშლებოდა, ვიღაცამ მხრებზე მოხვია ხელი და ყურში უჩურჩულა: "ახლა სახლში გაიქეცი და ეგ სმოკინგი გაიხადე. ამ ღამით ბოსტონი ჩვენია მთელი ჩვენი ბანდა ვიკრიბებით... ერთ საათში გამოგივლი", ამას ტედ შლინკერის მუდარით სავსე ხმაც დაემატა: "ახლა უარი არ გვითხრა, პიტი, უშენოდ ფასი არ ექნება არაფერს! ისე, მოლოცვები ჩემგან და მთელი ამბავი... არავითარი წყენა გაიმარჯვა უძლიერესმა!” კიტინგმაც გადახვია ხელი, საუკეთესო ძმაკაცივით; გულითადადაც უღიმოდა, ისევე, როგორც ყველას გარშემო და მერე ისიც უთხრა რამე რომ იყოს, ის ოქროს მედალი შენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაგ ბეხრეკებს როდის რა წამოუვლით, რას გაიგებო. ახლა კი კიტინგი სახლისკენ მიემართებოდა და იმის ფიქრში იყო, დედას როგორ დასძვრომოდა ხელიდან.

დედამისი გადაყოლილი იყო მასზე და ბევრჯერაც უთქვამს შენ რომ არა, ჩემისთანა ქალს, უმაღლესდამთავრებულს, რა მრჯიდა, წელებზე რომ ვიდგამდი ფეხს და მდგმურებიც კი ამიყვანია, ასეთ რამეს ვინ წარმოიდგენდა ჩემს ოჯახშიო.

მამამისს საკანცელარიო მაღაზია ჰქონდა სთენტონში, მაგრამ თორმეტიოდე წლის წინ ჯერ დროის უკუღმართობამ მოუღო ბიზნესს ბოლო, მერე კი ჩაჭედილმა თიაქარმა თავად პიტერ კიტინგ-უფროსსაც. ლუიზა კიტინგს ქმრისგან პრესტიჟულ ქუჩაზე საკუთარი სახლი,დაზღვევის ყოველწლიური რენტა და ერთადერთი ვაჟიშვილი დარჩა. რენტა საკმაოდ მოკრძალებული იყო, მაგრამ მდგმურების ქირისა და მტკიცე, მიზანდასახული ხასიათის წყალობით, მისის კიტინგს თავის გატანა მაინცდამაინც არ უჭირდა. თან ზაფხულობით შვილიც ეხმარებოდა: პორტიედ მუშაობდა სასტუმროში და არც ქუდების

მკითხველთა ლიგა

სარეკლამო ფოტოებისთვის პოზირებას თაკილობდა. მისის კიტინგმა თავიდანვე გადაწყვიტა, ჩემმა ვაჟმა ცხოვრებაში საკუთარი გამორჩეული ადგილი
უნდა დაიკავოსო და მერე ამ აზრს წურბელასავით ჯიუტად ჩააფრინდა... კიტინგს გაახსენდა, როგორ ოცნებობდა ერთ დროს მხატვრობაზე და გულში გაეცინა. არადა, სწორედ დედამ აარჩევინა უკეთესი ასპარეზი, სადაც ხატვის ნიჭი ნამდვილად გამოადგებოდა. არქიტექტორობა ძალიან საპატიო პროფესიაა და თან საუკეთესო საზოგადოებაში ტრიალიც შეგეძლებაო, – სიტყვასიტყვით აღიდგინა დედის ნათქვამი. მოკლედ, ლამის ძალისძალად დააყენა ამ გზაზე, თუმცა პიტერი ვერც კი მიხვდა, როდის და როგორ. ისევ ჩაეცინა, რა ხანია, ჩემი ჭაბუკური ოცნებები აღარ გამხსენებიაო. ცოტა გაუკვირდა კიდეც, გული რომ მაინც სწყდებოდა. არაფერია, ეს ღამე სწორედ ამისთვის იყო დამდგარი მოგონებებისთვის და მათი სამუდამოდ დავიწყებისთვის.

როგორც წესი, არქიტექტორებს ბრწყინვალე კარიერა აქვთო, ფიქრობდა, და ვერავის იხსენებდა ისეთს, ერთხელ დიდების მწვერვალზე ასულს, მერე იქიდან ფეხი დასცდენოდა ოდესმე. თუმცა, უცებ გონებაში ჰენრი კამერონის სახელი ამოუტივტივდა: ამ ოცი წლის წინ ცათამბრჯენებს აგებდა; არადა, დღეს ალბათ არც აღარავის ახსოვდა ეს ბებერი ლოთი. გააჟრჟოლა და ნაბიჯს აუჩქარა.

მიდიოდა და თან იმაზე იტეხდა თავს, ხალხი მიყურებს თუ არაო. ხანდახან ძალაუნებურად გაექცეოდა ხოლმე მზერა ფანჯრების განათებული მართკუთხედებისკენ რომელიმეზე ფარდა თუ შეირხეოდა და ვინმე თავს გამოყოფდა, ცდილობდა გამოეცნო, მე თუ გამომაყოლა თვალიო... ისე, ახლა რომ არ აყოლებდნენ, ერთ მშვენიერ დღეს მაინც მოუწევდათ, ყველას, უკლებლივ...

თავის სახლს მიადგა და კიბეზე ჩამომჯდარი ჰაუარდ რორკი დაინახა იდაყვებზე დაყრდნობილს ზურგი ზედა საფეხურისთვის მიებჯინა და გრძელი ფეხები გაეჭიმა. აივნის სვეტებს, მთელ სიგრძეზე, დილის ცვარი შესცოცებოდა, თითქოს სახლს, ქუჩის განათებისგან დასაცავად, ვიღაცამ სქელი ფარდა ჩამოაფარაო.

ეს განათების ბურთიც რაღაც შეუსაბამოდ მოჩანდა გაზაფხულის გვიან საღამოს: თითქოს კიდევ უფრო აბნელებდა და ამშვიდებდა ისედაც წყნარ ქუჩას; ჰაერში გამოკიდებული ცაში დატანებულ ხვრელს ჰგავდა, რომლიდან შემოღწეული მკრთალი შუქიც მხოლოდ ამ ხვრელის უძრავ ჩარჩოდ გარინდულ, ფოთლებით დამძიმებულ რამდენიმე ტოტს თუ სწვდებოდა. თუმცა ეს მცირე მინიშნებაც მრავლისმეტყველი იყო, თითქოს სიბნელე საერთოდ არ მალავდა არაფერს, ხშირი ფოთლების გარდა, და სინათლის ბურთიც, თითქოს სამომავლოდ მეტი სიცოცხლით ტვირთავდა მათ ახლა ფერს კი უკარგავდა, მაგრამ იმის პირობასაც იძლეოდა, დილით ჯერ ბუნებაში არარსებული სიმწვანით რომ ახასხასდებოდნენ. დანახვით თითქმის ვერაფერს ხედავდი და მაინც რაღაც ახლებური შეგრძნება კი გეუფლებოდა არა რაიმე სუნით მოგვრილი ანდა შეხებით გაჩენილი, თუმცა მაინც ხელშესახებიცა და თავისებური სურნელის მატარებელიც გაზაფხულისა და სივრცის განცდა.

პარმაღის სიბნელეში კიტინგმა ის წარმოუდგენლად ფორთოხლისფერი ქოჩორი იცნო და ნაბიჯი შეანელა. ამ საღამოს სხვა არავის ნახვა არ გაუხარდებოდა ასე ძალიან. რორკი მარტო რომ იყო, ესეც კარგად ენიშნა, თუმცა ცოტათი დაფრთხა კიდეც.

– გილოცავ, პიტერ, – შეეხმიანა რორკი.

მკითხველთა ლიგა

– რა... ხო... მადლობა... – ცოტათი დაიბნა, იმდენად ესიამოვნა ეს უბრალო მილოცვა, მთელი დღევანდელი ხოტბა-დიდების მიუხედავად. გაიბადრა, დაიმორცხვა და, მაინც რა იდიოტი ვარო, გაიფიქრა.
– რა იცი... – მაინც მოახერხა და ხმა გაიმკაცრა, – დედაჩემმა გითხრა?
– კი, მან.
– რა დაადგება ენაზე!
– რა მოხდა მერე?
_მისმინე, ჰაუარდ. ვიცი, ეჭვი არ გეპარება, როგორ...
რორკმა თავი უკან გადააგდო და ქვემოდან ახედა.
_დაივიწყე.
_ არა...რაღაც მინდა გითხრა. რჩევა გკითხო. დაიცა, მეც ჩამოვჯდები.
_ რა რჩევა?
კიბეზე ჩამოჯდა, რორკის გვერდით. მასთან ყოველთვის იბნეოდა,არაბუნებრივად თამაშობდა ხოლმე თავის როლს. ახლაც დაიბნა, მით უმეტეს, ამწუთას სულ არ უნდოდა თამაში. გაიგონა, როგორ გაიშრიალა და როგორ დაეცა ფოთოლი მიწაზე, სუსტი, უღონო ხმით.
იმ წამს რორკზე ახლობელი თუ ჰყავდა ვინმე, არ ეგონა, ეჭვიც არ ეპარებოდა მის მიმართ საკუთარ კეთილგანწყობაში და მაინც, ეს გრძნობა ტკივილით, სიმორცხვითა და უძლურებით იყო გაზავებული,
– არ გეგონოს, ვერ ვხვდებოდე, რა თავხედობაა ჩემს საქმეებზე ლაპარაკი, როცა შენ თვითონ... – ცდილობდა, მშვიდი ხმა ჰქონოდა და რასაც ამბობდა, მართლა გულწრფელად ამბობდა.
– დაივიწყე-მეთქი, ხომ გითხარი. რა გაწუხებს?
– რა და... – თავისთვისაც მოულოდნელად, უცებ გულის გადაშლის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, – კარგა ხანს მართლა გიჟი მეგონე, ახლა დავრწმუნდი, ამ საქმეში არქიტექტურაზე ვამბობ იმდენი გესმის, იმ ბნელებს არც დაესიზმრებათ. და თან გიყვარს, იმათსავით კი არა, მართლა, ნამდვილად...
– და მერე?
– მერე... მოკლედ, არ ვიცი, რატომ მოგადექი, ოღონდ... ადრე არასდროს მითქვამს, მაგრამ შენს აზრს ჩემთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მაგალითად, ჩვენი დეკანისას... არა, გაზიარებით, ალბათ უფრო იმისას გავიზიარებ, მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც შენი ნათქვამი იქნება, არ ვიცი, რატომ... არც ის ვიცი, ამას რატომ გეუბნები...
რორკი გვერდულად შეტრიალდა მთელი ტანით, ცოტა ხანს მიაჩერდა და გაეცინა წრფელი, კეთილი, მეგობრული სიცილით, რაც მისგან იმდენად იშვიათი ამბავი იყო, კიტინგს საბოლოოდ აებნა თავგზა; ისიც კი დაავიწყდა, ბოსტონში რომ აპირებდა დროის გასატარებლად წასვლას ძმაკაცებთან ერთად.
– ეხლა მორჩი, – თქვა რორკმა, – არ მითხრა, შენი მეშინიაო. რა უნდა გეკითხა, მკითხე.
– ჩემს სტიპენდიაზე. პარიზში წასასვლელ ჯილდოზე,
– მერე?
– ოთხწლიანი ამბავია. მეორე მხრივ, გაი ფრენკონს უნდა, მასთან ვიმუშაო. აღარც კი ვიცი, რა ვქნა.
რორკმა თითები აათამაშა კიბის მოაჯირზე. მერე გამოხედა, ცერად.
_ პიტერ, მე თუ მკითხავ, უკვე დაუშვი შეცდომა, რჩევა რომ მკითხე.არც სხვას არ უნდა ჰკითხო არავის... ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე, სამუშაოს ვგულისხმობ. ეგ როგორ თავად არ იცი, რა გინდა?სხვას რას ეკითხები?
– ნეტა ერთი ეგ შენი უნარი მომცა, ჰაუარდ! ზუსტად იცი ხოლმე,რაც

მკითხველთა ლიგა

გინდა...
_ არ გინდა ეგ ქათინაურები!..
_ არა, მართალს გეუბნები. როგორ ახერხებ, გადაწყვეტილება სულ მარტომ მიიღო?
– შენ როგორღა ახერხებ, სხვას გადააბარო ეგ საქმე?
– საქმეც ეგაა, არასოდეს ვარ საკუთარ თავში დაჯერებული. სულაც არ მგონია, მართლა ისეთი მაგარი ვიყო, ეგენი რომ მიმტკიცებენ. შენ გარდა, ამას ვერც ვერავის გავუმხელდი. შენ კი მუდამ ისეთი...
– პიტი! – მისის კიტინგის ხმამ ლამის დაიქუხა მის ზურგს უკან, – ჩემო ბიჭო, მანდ რას აკეთებ?
კარებში იდგა, თავის საუკეთესო კაბაში გამოწყობილი, ბედნიერი და ბრაზმორეული.
– მე კიდევ ვზივარ და გელოდები! რა ეშმაკი გინდათ მაგ მტვრიან კიბეზე?! თანაც ახალთახალი კოსტიუმები გაცვიათ! ახლავე ადექით და წამომყევით ცხელი შოკოლადი და ნამცხვრები მოგიმზადეთ!
– კარგი რა, დედა! საქმეზე მინდოდა, ჰაუარდს დავლაპარაკებოდი...– თქვა და მაინც წამოდგა.
მისის კიტინგს თითქოს არც გაუგონიაო, ისე შებრუნდა სახლში. კიტინგიც, სხვა რა გზა ჰქონდა, უკან მიჰყვა.
რორკმა ჯერ თვალი გააყოლა ორივეს, მერე წამოდგა, მხრები აიჩეჩა და ისიც დედა-შვილს გაჰყვა.
მისის კიტინგი სავარძელში ჩაეშვა, ნარნარად. მის გახამებულ კაბას სულ ხრაშახრუში გაუდიოდა.
– რაო, მაინც რას ჩუმჩუმელობდით? – დაეკითხა.
კიტინგმა საფერფლე მიიწია ახლოს, მერე ასანთის კოლოფს დაუწყო წვალება; ბოლოს შეეშვა და ისე, რომ დედისთვის ყურადღება არც მიუქცევია,რორკს მიუბრუნდა:
– კარგი რა, პირდაპირ მითხარი, სტიპენდიაზე უარი ვთქვა და ფრენკონთან წავიდე სამუშაოდ, თუ მირჩევ, ამ სოფლელებს გული გავუხეთქო და პარიზში გავქანდე? რას იტყვი?
რაღაც დაიკარგა, შესაფერისი დრო.
– იცი, რას გეტყვი, შვილო, თავიდანვე...
– დედა, თუ გიყვარდე, მაცალე ერთ წუთს! ჰაუარდ, ხომ გესმის,რომ ამგვარ რამეს ცხოვრებაში ერთხელ თუ გამოჰკრავ ხელს... კარგად უნდა ავწონ-დავწონო ყველაფერი. "პარიზის ნატიფ ხელოვნებათა სასწავლებელი" – ხომ იცი, როგორი მნიშვნელოვანი ამბავია.
– არვიცი.
– არ დამიწყო ახლა შენებური! მოდი, ცოტა ხნით იდეალებს შევეშვათ, პრაქტიკულ მხარეზე გეუბნები, ჩემნაირი კაცისთვის...
– შენ მე რჩევას არ მეკითხები, პიტ.
– აბა, ახლა რას ვშვები?!
გრძნობდა, რაღაც დაიკარგა, რაღაც მომენტი გაუშვა ხელიდან. რორკის თვალები მოსვენებას აკარგვინებდა.
– მე არქიტექტორობა მინდა და არა არქიტექტურაზე ლაქლაქი! – წამოიყვირა უცაბედად, – კი ბატონო, ძალიან პრესტიჟულია პარიზში სწავლა, სხვებზე მაღლა გაყენებს ერთბაშად... და რა მერე? ამ დროს კი თვით გაი ფრენკონი მთავაზობს ადგილს!
რორკს ხმა არ გაუღია. კიტინგი კი თავისას განაგრძობდა:
– რომელი მიაღწევდა ამდენს? წელი არ გავა და, სატრაბახოდ ექნებათ, ვინმე სმიტთან ან ჯოუნზთან თუ გამოჰკრეს ხელი რამე სამუშაოს! მე კიდევ ამ დროს "ფრენკონი და ჰეიერის" ფირმაში ვიქნები გამოჭიმული!

მკითხველთა ლიგა

– რაც მართალია, მართალია, პიტერ, ასეთ საქმეში დედის რჩევა არაფერში გარგია, – წარმოთქვა უცებ მისის კიტინგმა და წამოდგა, - დარწმუნებული ვარ, ჰაუარდი საუკეთესოდ დაგაკვალიანებს... ხელს აღარ შეგიშლით.

დედას გახედა. იცოდა, ერთადერთი შანსი, თავად მიეღო გადაწყვეტილება, მანამდე ჰქონდა, სანამ დედამისი იტყოდა საკუთარ აზრს. ის კი იდგა და ელოდა. ეს არ იყო პოზა მართლა სიტყვის უთქმელად გავიდოდა, შვილი თუ ხმამაღლა განუცხადებდა, ასე მირჩევნიაო. მან კი თქვა:

_ კარგი რა, დედა, ამას როგორ ამბობ? შენზე უკეთ ვინ რა უნდა მირჩიოს...

დედამისს გაღიზიანებული ტონისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, გაიღიმა მხოლოდ.

– ეს პირადად შენი გადასაწყვეტია, პიტერ. ყოველთვის ასე იყო.

_ კარგი, ვთქვათ და... – ჭოჭმანი ეტყობოდა, ისევ დედას შესცქეროდა თვალებში, – პარიზი რომ ვარჩიო...

– ჰო, რა თქმა უნდა პარიზი, ნატიფ ხელოვნებათა სასწავლებელი... დიდებული ადგილია. სულ რაღაც ერთი ოკეანის მანძილზე თუ დაშორდები სახლს, მეტი ხომ არა.. და ფრენკონიც სხვა ვინმეს იპოვის. სულ მაგას არ ამბობენ, ყოველ წელს საუკეთესოს ირჩევს სთენტონის ინსტიტუტიდანო. მხოლოდ საუკეთესოსო, ასე ამბობენ. თუმცა, ყოველივე ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს.

– მაგით რა გინდა თქვა?

– მე? მე არაფერი. ხალხი კი იმას იტყვის, ალბათ ეს ბიჭი იყო სწორედ საუკეთესო, რაკი ფრენკონმა ასე გადაწყვიტაო... აი, თავიდან რომ შენ შემოგთავაზა, ამას აღარავინ გაიხსენებს. გაუმართლა შლინკერს. იმას აიყვანენ, ასე მგონია.

– არა! – კინაღამ დაიღრჩო სიბრაზისგან, – შლინკერი არა!

– კი, – ხმა დაიტკბო მისის კიტინგმა, – სწორედ შლინკერი.

– არა, მაინც...

– რატომ გადარდებს, რას იტყვის ხალხი?

– შენ გგონია, ფრენკონი...

– სულ არ მანაღვლებს ეგ თქვენი მისტერ ფრენკონი! ჩემთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს.

– მერე, მასთან გინდა, მუშაობა დავიწყო?

– მე არაფერი არ მინდა, პიტ. კაცი ხარ უკვე და თვითონ გადაწყვიტე.

უეცრად გაჰკრა გულში ეჭვად ნეტა, დედაჩემი ნამდვილად მიყვარსო? მაგრამ ასეა თუ ისე, დედა იყო და ეს უკვე საკმარის საბუთად მიაჩნდა მსგავსი ეჭვების ჩანასახშივე ჩასაკლავად; ამიტომაც დაასკვნა: ამ ქალის მიმართ რასაც არ უნდა განვიცდიდე, ეტყობა, სიყვარულიც ეგააო. ვერ ხვდებოდა, რა გონივრული მიზეზი შეიძლებოდა არსებულიყო იმისთვის, რომ დედის აზრი უყოყმანოდ გაეზიარებინა უბრალოდ,მშობელი ერქვა და უკვე მხოლოდ ეს კმაროდა ნებისმიერი მიზეზის ძიებაზე უარის სათქმელად.

– კარგი, კარგი... რა თქმა უნდა... ოღონდ... შენ რას იტყვი, ჰაუარდ?

ლამის სასოწარკვეთილი ეძებდა მშველელს. ბედზე რორკიც იქვე იჯდა ტახტზე, კუთხეში უფრო სწორად, კნუტივით მოკალათებულიყო. კიტინგი არაერთხელ გაოცებულა, როცა ხედავდა, მართლა როგორ კატასავით უხმაუროდ, რბილად და თან გაფაციცებული ყურადღებით მიდი-მოდიოდა ხოლმე, ზამბარასავით შემართული; სხვათა შორის, მოშვებული და მოდუნებულიც კატას აგონებდა, როცა ერთიანად მოიმჭვარებოდა ხოლმე,

მკითხველთა ლიგა

თითქოს ერთი ძვალიც არ ჰქონოდა მთელი. რორკი ჯერ შეაცქერდა ცოტა ხანს და მერეღა გაეპასუხა:
– ისედაც ხომ იცი ჩემი აზრი... ადექი და ნაკლებ გულდასაწყვეტი აირჩიე. პარიზში რას ისწავლი? ჰა-ჰა, კიდევ რამდენიმე რენესანსული სასახლე ნახო და რომელიმე ოპერეტის დეკორაციები. თუ რამეა შენში, ბოლომდე ჩაგიკლავენ... არადა, ხანდახან მართლა გაარტყამ ხოლმე რაღაც-რაღაცეებს. თუ მართლა სწავლა გინდა, მუშაობა დაიწყე. ფრენკონი იდიოტია და მაგარი ნაბიჭვარიც, თუმცა შენ რა, საქმე გექნება, შენება შეგეძლება. ასე უფრო მალე იპოვი საკუთარ გზას.
– ზოგჯერ ამ ვაჟბატონისგანაც გაიგონებ ჭკვიანურ სიტყვას, – გახალისდა მისის კიტინგი, – თუმცა მძღოლივით კი ილანძღება.
– მართლა ამბობ? შენი აზრით, მართლა გამომდის ხოლმე რაღაცეები? – კიტინგი ისე მიაშტერდა, თითქოს წეღანდელი ნათქვამი რორკს ახლა შუბლზეც დაეწერებოდა...
– ზოგჯერ, – თქვა რორკმა, – ხშირად არა.
– აბა, რაკი შევთანხმდით... – აჟღურტულდა მისის კიტინგი.
– მე კიდევ უნდა დავფიქრდე, დედა.
– რახან ეგ ამბავი გადავწყვიტეთ, ცხელ შოკოლადზე რას იტყოდით? ამწუთას მოგირბენინებთ.
უმანკო, ერთდროულად მორჩილებისა და მადლიერების გამომხატველი ღიმილი მიანათა ვაჟიშვილს და ოთახიდან გაბაკუნდა.
კიტინგი ნერვიულად დადიოდა იქით-აქეთ, მერე გაჩერდა, სიგარეტს მოუკიდა, გადაცდენილი ბოლი ამოახველა და ისევ რორკს მიაჩერდა.
– შენ თვითონ რას აპირებ??
_ მე?
_ რაღაც სულელურად გამომდის, მარტო ჩემს საქმეებზე რომ გელაპარაკები... დედაჩემი მართლა გულით განიცდის, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მაინც ნერვებს მიშლის... კარგი, მოვრჩეთ მაგას. შენს გეგმებზე რას მეტყვი?
_ ნიუ-იორკში მივდივარ.
_ მაგარია! სამუშაოდ?
– სამუშაოდ.
– მოიცა და... არქიტექტორად?
– ხო, პიტერ, არქიტექტორად.
– კარგია. მიხარია... რაიმე კონკრეტული გამოგიჩნდა?
– კამერონთან ვაპირებ სამსახურის დაწყებას.
_ კაი რა, ჰაუარდ!
რორკს უგულოდ გაეღიმა, თუმცა თქმით არაფერი უთქვამს.
– მეხუმრები?
– არა.
– აბა, იმასთან რა გინდა, ვიღას ახსოვს ნაფტალინიანი კამერონი?! არა, სახელი კი ჰქონდა, ოღონდ ეგ როდის იყო!.. რამდენი წელია, ნამდვილი საქმე არ აუღია. ოფისიც სადღაც ბუნაგში აქვს... მომავალზე არ ფიქრობ? რა უნდა გასწავლოს?!
– ბევრი არც არაფერი როგორ ვაშენო.
– ღვთის გულისთვის!.. შენი ნებით ეფლობი ჭაობში? მეგონა... ვიფიქრე, დღევანდელმა დღემ რაღაც მაინც გასწავლა...
– მართლა მასწავლა.
– მისმინე, ჰაუარდ, თუ გგონია, სხვა არავინ აგიყვანს სამუშაოდ, ვინმე უკეთესი მე დაგეხმარები. ფრენკონთან ფეხს მოვიკიდებ, ხალხს გავიცნობ და...

მკითხველთა ლიგა

– მადლობელი დიდად, არაა საჭირო... მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს.
– რა გითხრა?
– ვინ?
– კამერონმა.
– თვალით არ მინახავს ჯერ.
გარეთ საყვირის ყურისწამღები ხმა გაისმა. კიტინგი უცებ დაფაცურდა, ტანსაცმლის გამოსაცვლელად ოთახიდან გავარდა, კარებში დედას შეეფეთა და დახუნძლული ლანგრიდან ერთი ფინჯანი იატაკზე გააგდებინა.
– პიტ!
– არა უშავს, დედიკო! – მკლავებში ჩააფრინდა, – ოღონდ ძალიან მეჩქარება, პატარა წვეულებას ვგეგმავთ ბიჭები, კარგი, ხო, არაფერი არ მითხრა, არ დავიგვიანებ და... ხო, ისა... '"ფრენკონი და ჰეიერთან" ჩემი მუშაობის დაწყებასაც მალე ვიზეიმებთ ერთად!
გულიანად ჩაკოცნა, ხანდახან რომ წამოუვლიდა ხოლმე, ისე, და სირბილით აუყვა კიბეს. აღელვებულმა და ბედნიერმა მისის კიტინგმაც ვითომ საყვედურით გადააქნია თავი.
უკვე თავის ოთახში, კიტინგი გაშმაგებული ისროდა აქეთ-იქით ტანსაცმელს და უცებ, ნიუ-იორკში გასაგზავნი დეპეშა გაახსენდა. მთელი დღის განმავლობაში საერთოდ არ უფიქრია ამაზე, მაგრამ სწორედ ახლა ყოვლად გადაუდებელ საქმედ მოეჩვენა. ფურცელს დასწვდა და გაკრული ხელით დაწერა:

„ქეით, ძვირფასო, მოვდივარ ნიუ-იორკში. ფრენკონთან ვიწყებ სამსახურს. მიყვარხარ."
პიტერი.

იმ ღამით კიტინგი ბოსტონისკენ მიქროდა მანქანით, თავის ორ ძმაკაცს შორის ჩაკვეხებული; ქარი უწუოდა ყურებში, ჩქაროსნული ტრასის კილომეტრები თვალშეუვლები სისწრაფით რჩებოდა უკან და ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს მთელი სამყარო ისევე იხსნებოდა მის წინ, როგორც ახლა სიბნელე იჭრებოდა ჰალოგენის ფარების შუქზე. თავისუფალი იყო და მზად ყველაფრისთვის. სულ რამდენიმე წელიწადში მისი სახელი საყვირივით გახმიანდებოდა, მთვლემარეებს გამოაღვიძებდა ღრმა ძილიდან... დიადი საქმეებისთვის იყო მზად, არნახული
მიღწევებისთვის აი, იმ რა ჰქვია იმას ჰო, ხუროთმოძღვრებაში.

3

პიტერ კიტინგი ნიუ-იორკის ქუჩებში დასეირნობდა. ადამიანების უმრავლესობა, როგორც თვალის ერთი შევლებით შეატყო, საუცხოოდ იცვამდა. წამით შეყოვნდა მეხუთე ავენიუზე სწორედ იმ შენობის წინ, სადაც "ფრენკონი და ჰეიერის" ფირმის ოფისში მისი მუშაობის პირველი დღე უნდა დაწყებულიყო. ვიღაც ტიპს გააყოლა თვალი, უკანმოუხედავად რომ ჩაუარა გვერდით და შენობაში შევიდა. "მაგარია," – გაიფიქრა, – "მართლა." გულმოკლულმა დაიხედა ტანსაცმელზე. ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა ნიუ-იორკისგან სასწავლი.
მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და შესასვლელისკენ წავიდა. პატარა დორიული პორტიკო იყო, ყოველი მისი მეტრი ძველი დროის ბერძენთა მიერ დაკანონებული პროპორციების მკაცრი დაცვით იყო

მკითხველთა ლიგა

შესრულებული, თეთრი მარმარილოს სვეტების სრულყოფილებას არც მონიკელებული, ერთადერთ ღერძზე მბრუნავი შესასვლელი კარი ვნებდა რამეს. კიტინგმა ჯერ ეს კარი გაიარა, მერე ვარდისფერი მარმარილოს ფილებით გაწყობილი დერეფანი და წითელი ლაკით გაპრიალებულ, მოოქრულკიდეებიან ლიფტს მიადგა, რომელმაც ოცდაათი სართულის მერე მუხის მძიმე კართან გადმოსვა. კარს თითბრის ერთადერთი თხელი ფირფიტა ამშვენებდა, გოთური წარწერით:

ფრენკონი და ჰეიერი, არქიტექტორები

თავად მისაღები კოლონიური ხანის მემამულეთა სახლების გრილ, ვრცელ სასტუმრო ოთახს მოგაგონებდათ. თეთრად შეფეთქილი კედლები ბრტყელი პანელებით მოეპირკეთებინათ, რომლებიც ალაგ-ალაგ სპირალურ ფრონტონებს ქმნიდა კედლებს აკრული, შუაგაყოფილი ბერძნული ურნების მისარქმელად. პანელებზე კი ყველგან ანტიკური ტაძრების ნანგრევები იყო გორელიეფებად ამოკვეთილი სულ მცირე ზომისა, თუმცა სვეტებსაც, ფრონტონებსაც და დაზიანებული ქვის ნატეხებსაც კი მშვენივრად გაარჩევდა მახვილი თვალი.

უცბად კიტინგს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს კონვეიერის ლენტზე იდგა, რომელსაც თავისთავად მიჰყავდა იგი ფლორენციული სტილის მოაჯირის უკან მჯდომარე კლერკისკენ; მერე კი მართლა უკიდეგანო საკონსტრუქტორო დარბაზში ამოაყოფინა თავი. ფართო, დახრილ სახაზავ დაფებს ხედავდა, ჭერიდან ლიანებივით დაკიდებულ, დაგრეხილ ელექტროკაბელებზე მიერთებულ მწვანესაფარიან სანათებს, უზარმაზარ საქაღალდეებს, მუყაოს ტუბუსებს გრაგნილების შესანახად, თუნუქის ყუთებს, ფერად-ფერადი ფანქარ-ფლომასტერების რიგებსა და სამშენებლო კომპანიების სარეკლამო კალენდრებს ძირითადად, ნახევრად შიშველი ფოტომოდელების გამოსახულებებით. მთავარ დიზაინერს რიგიანად არც კი შეუხედავს მისთვის, თითით გასახდელისკენ ანიშნა და, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა და დაძაბულმა კიტინგმაც უხერხულად გადაიცვა ღია ნაცრისფერი სამუშაო ხალათი: სამსახურში სპეცტანსაცმლის ტარება ფრენკონის მკაცრი მოთხოვნა იყო. კონვეიერის ლენტი მხაზველების ოთახის კუთხეში გაჩერდა მაგიდასთან, ზუსტად კიტინგის წინ, და მასშტაბში გასადიდებელი ნახაზების დასტა მიუსრიალა; ხმელ-ხმელმა, აწოწილმა უფროსმა მხაზველმა ისე უცებ შეაქცია ზურგი, ცხადი იყო კაცს იმის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

კიტინგი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს, თვალგაფაციცებული, კისერგახევებული. ვეღარაფერს ხედავდა წინ გაშლილი, მქრქალად მოციმციმე ფურცლის გარდა. თვითონაც გააკვირვა საკუთარი ხელით გავლებული ხაზების დამაჯერებლობამ ასე ეგონა, ციებიანივით მიკანკალებს ხელებიო. ახალ-ახალ შტრიხებს ამატებდა და საბოლოო მიზანზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მხოლოდ იმას ხვდებოდა, მავანი დიდი ოსტატის გამორჩეულ ქმნილებასთან მაქვს საქმე და ჭკუას ვიზამ, თუ შეკითხვებისგან ან, მით უმეტეს, საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავს შევიკავებო. რამდენჯერმე უსიამო ფიქრმაც გაჰკრა ვითომ მეც არქიტექტორი მქვიაო...

უკვე კარგა ხნის მერე კი, გვერდით მაგიდასთან წახრილი ვიღაც სხვა ნაცრისფერხალათიანის უშნოდ ამოჩრილი მხრები დაინახა. მიაჩერდა კიდეც ჯერ შეფარვით, შემდეგ ინტერესით, მერე სიამოვნებით და ბოლოს, ამრეზითაც. როცა ამ უკანასკნელ სტადიასაც მიაღწია, პიტერ კიტინგმა კვლავ დაიბრუნა ჩვეული თვითრწმენა და დანარჩენი

მკითხველთა ლიგა

კაცობრიობის მიმართ სიყვარულიც იგრძნო. ხედავდა ამ ჩაცვენილ ლოყებს, სასაცილო ცხვირს, საზიზღარ მეჭეჭს მოქცეულ ღრანჭზე, მაგიდის კიდეს უხერხულად მიბჯენილ მოჩვარულ მუცელს და ეს ყველაფერი მართლა თვალს უხარებდა: ამისთანებს თავს გაუყადრებდა კი არა, ჯიბეში ჩაისვამდა სათითაოდ. ჩაეღიმა. პიტერ კიტინგს ნამდვილად არ აწყენდა ასეთი კოლეგები.

როცა ისევ ნახაზებს დახედა, ამ თითქოსდა უზადო შედევრის ხარვეზებიც უცებ შეამჩნია. დიდი, აშკარად კერძო სახლის ერთ-ერთ სარ თულს დასცქეროდა და ვერ გაეგო, ეს ერთმანეთში გამავალი დერეფნები რატომ ნთქავდნენ სივრცეს ასე უაზროდ, ანდა რატომ გაეწირათ მუდმივი უმზეობისთვის უშნოდ, სოსისებივით წაგრძელებული ოთახები. ღმერთო, ნუ გამაგიჟებ, – ფიქრობდა, – ამისთვის არ ჩამჭრეს პირველ კურსზეო. ამ მოგონებამ უცებ ისევ გაახალისა და სწრაფად, მართ-ლა გაწაფული ოსტატის რწმენით გააგრძელა საქმე.

სადილამდე ოთახში თითქმის ყველას გაცნობა მოასწრო. ცხადია, ძმად არავისთან გაფიცულა, მაგრამ სამომავლო დამეგობრებას კი ნამდვილად მოუმზადა ნოყიერი ნიადაგი. ყველას უღიმოდა, ეთანხმებოდა, გამგები კაცივით უქნევდა თავს რაღაც სისულელეებზე... ერთხელ არ გასულა წყლის დასალევად ისე, გზად კოლეგებისთვის თავისი ნათელი, გულიანი, მომხიბლავი მზერა არ მიენათებინა, თითოეული ცალ-ცალკე არ გამოერჩია ამდენ ხალხში, ის კი არა და, არ ეღიარებინა, როგორც კაცობრიობის მოდგმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, კიტინგის უძვირფასესი მეგობარი. თითქოს ესმოდა კიდეც, როგორ ჩურჩულებდნენ ზურგს უკან, ნამდვილად ნიჭიერი და კარგი ბიჭიაო.

იქვე, სხვა მაგიდასთან, მაღალი ქერა ყმაწვილი ოფისის ფასადის გვერდითა ხედის გამოხაზვაზე ჯახირობდა. კიტინგი შინაურულად და თან ერთგვარი მოწიწებითაც გადაიხარა მისკენ და დიდი ინტერესით დახედა სამი სართულის სიმაღლეზე აღმართულ, დატალღულ სვეტებზე დახვეულ დაფნის გვირგვინებს.

– არა უშავს, კარგი რამე მოუფიქრებია მოხუცს, – თქვა მოწონებით.

_ ვის? – ჩაეძია ქერა ახალგაზრდა.

_ ფრენკონზე ვამბობ, – დაუზუსტა კიტინგმა.

_ ფრენკონი არა... – სახე დაუმჟავდა ქერას, – ფრენკონს რვა წელიწადია, ძაღლის ხუხულაც კი არ დაუპროექტებია, – ზურგს უკან, შუშის კარებისკენ გაიშვირა ცერა თითი, – იმის ნახელავია.

– მართლა? – კიტინგმა კარებს გახედა.

– ეგრეა, კი, – დაუდასტურა ქერამ, – შტენგელისაა. ესეთ რამეებს სულ ეგ იგონებს.

შუშის კარის იქით კიტინგი კარგად ხედავდა მაგიდისკენ წახრილ, წვრილ მხრებს, ქაღალდებში ჩარგულ მომცრო, სამკუთხა თავს და სათვალის მრგვალ ჩარჩოებში მომწყვდეული მბჟუტავი შუქის ორ პატარა ლაქას.

მერე, უკვე საღამოსკენ, თითქოს კედლებმაც კი იგრძნეს დიადი, უხილავი სულის გამოცხადება და ირგვლივ ატეხილმა დაძაბულმა ჩურჩულმა კიტინგი მიახვედრა, რომ თავად გაი ფრენკონი მოსულიყო და ზუსტად მათ ზემოთ, საკუთარ კაბინეტში შებრძანებულიყო. ნახევარ საათში შუშის კარი გაიღო და მხაზველებთან შტენგელი გამოვიდა,ორი თითით მუყაოს რაღაც მაკეტს მოაკონწიალებდა.

– ეი, შენ! – დაუძახა კიტინგს და სათვალის შუშები მიანათა, – ამის გეგმას შენ ხაზავ, არა? – მაკეტი ჰაერში აიქნია, – წადი, ბოსს აუტანე. ეცადე მიხვდე, რას გეტყვის და ბრიყვული სახითაც ნუ მიაჩერდები. ისე,

მკითხველთა ლიგა

თუ ვერ მოახერხო, არც მაგით დაიქცევა ქვეყანა.
ტანმოკლე კაცი იყო, ხელები ლამის კოჭებთან დასთრევდა და გრძელსახელოებიან პერანგშიც ეტყობოდა, როგორი წვრილი, უღონო მკლავები ჰქონდა, თუმცა მტევნები მართლა ნაჯაფარი გლეხისას კი მიუგავდა. მის მბჟუტავ ლინზებს მიშტერებულ კიტინგს მზერა გაეყინა, დაებინდა კიდეც, ოღონდ წამით, წამის რაღაც მეათედით, უცებვე ღიმილად დაიღვარა და “დიახ, სერ!"
მაკეტი ტორტის ყუთივით ორივე ხელით ეჭირა, ფრთხილად, და წითლად მოფარდაგებულ კიბეს მიუყვებოდა გაი ფრენკონის კაბინეტისკენ. ეს მაკეტი ვეებერთელა, გრანიტის სასახლის ასლი იყო, რომელსაც სამი საცხოვრებელი სართული, ხუთი დიდი აივანი, ოთხი კამაროვანი თაღი ჰქონდა და თორმეტი დორიული სვეტიც ამშვენებდა; არც დროშის ასაწევი ჭოკი აკლდა და არც წყვილი ლომი კარიბჭესთან. მაკეტის კუთხეში, ვიღაცას წვრილად, ლამაზი ხელით მიეწერა: "მისტერ და მისის ჯეიმზ ს. უოთლესების რეზიდენცია. არქიტექტორები „ფრენკონი და ჰეიერი.” კიტინგმა ჩუმად წაუსტვინა: ჯეიმზ ს. უოთლესი მულტიმილიონერი და საპარსი ლოსიონების უმსხვილესი მწარმოებელი იყო.
გაი ფრენკონის კაბინეტი თვალისმომჭრელად კრიალებდა. არა, კრიალებს კი არა, ბზინავს კიდეცო, გაიფიქრა კიტინგმა. მოეჩვენა,თითქოს ირგვლივ ყველაფერს გამდნარი სარკეები გადაღვროდა წყალივით. მიაბიჯებდა და ყველგან "ჩიპენდეილის" კარადებში, იაკობინური სავარძლების საზურგეებში, ლუი XIV-ის ბუხრის თაროზე საკუთარი ანარეკლის პატარ-პატარა ნამსხვრევებს ხედავდა, კვალში ჩამდგარი მოფარფატე პეპლების გუნდს. იმდენიც კი მოასწრო, კუთხეში
რომაული ქანდაკების ორიგინალს ჰკიდა თვალი და, სხვათა შორის, მის მზერას არც პართენონის, რეიმსის ტაძრის, ვერსალისა და ნაციონალური ბანკის მარადიულჩირაღდნიანი მხატვრული ფოტოები გამოჰპარვია.
წითელი ხის მასიურმა საწერმა მაგიდამ მისი ბოლო ნაბიჯები აირეკლა, მაგიდას თავად გაი ფრენკონი მისჯდომოდა. სახე გაყვითლებოდა და ლოყებზეც მოშვებოდა კანი. წუთით ისე მიაშტერდა კიტინგს, თითქოს აქამდე არასოდეს ენახა, მერე გაახსენდა და გაუღიმა, ყურებამდე.
– მაშ ასე, კიტერიჯ, ახლა უკვე მთლად ჩვენიანი ხარ, ასე არაა? მიხარია, ნამდვილად. დაჯექი, დაჯექი... რა მოგიტანია? თუმცა, ეს რა საჩქაროა... აქაურობას როგორ შეეწყვე?
– მგონი, ზედმეტად კარგადაც კი, სერ... მეგონა, უცბად დავდინჯდებოდი, ამისთანა ადგილას რომ იწყებ მუშაობას... – თქვა და მთლად ბიჭური, ალალი მზერა შეანათა, – ცოტა თავბრუდახვეულივით ვარ.
– სავსებით ბუნებრივია, ჩემო კარგო, სავსებით ბუნებრივი. ან კი რა გასაკვირია, შენს ასაკში... მაგრამ ეგ არაფერი, მაგასაც მოევლება.
– რა თქმა უნდა, სერ. თავს არ დავზოგავ.
– ეგრეც უნდა ქნა. რაო, მაინც რა გამომიგზავნეს? – იკითხა და თითქოს ნახაზების გამორთმევასაც აპირებდა, მაგრამ უცებ შუბლზე მიიდო ხელი, ქანცგაცლილი კაცის გამომეტყველებით, – ღმერთმანი, თავი გასკდომაზე მაქვს. ამდენიც კი აღარ შემიძლია.
– რამე ტკივილგამაყუჩებელი რომ...
_ არა-ა, არც მასეა საქმე. აი, ერთ-ორ სადარდებელს მაინც თუ ამაცილებ ხოლმე... – თქვა და თვალი ჩაუკრა, კარგი ძმაკაცივით, – სულ იმ ოხერი შამპანურის ბრალია Entre nous, ის გუშინდელი დიდი ვერაფერი იყო. კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მიმიწევდა გული შამპანური

მკითხველთა ლიგა

ღვინოებისკენ. საერთოდ კი, ჩემო კიტერიჯ, ჩვენს საქმეში აუცილებელია, ღვინოებშიც კარგად ერკვეოდე. ვთქვათ და, ვინმე საპატივცემულო კლიენტი იშოვე და სადილად მიგყავს რესტორანში. არ უნდა იცოდე, რა დაუკვეთო? ახლა ერთ პროფესიულ საიდუმლოსაც გაგანდობ: რატომღაც მოდაში შემოვიდა და შემწვარ მწყერთან ყველა ბურგუნდიულს ითხოვს. არ დაიჯერო! მხოლოდ და მხოლოდ Clos Vougeot! და ისიც 1904 წლის ჩამოსხმა... აი, ეს კი ნებისმიერ კლიენტთან ჩაგეთვლება, ნებისმიერთან! და ისე ვინ გამოგაგზავნა?

– შტენგელმა, სერ.

– აჰა-ჰა-ა... – ისე გაწელა, აშკარა იყო, კიტინგისთვის ამას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, თუნდაც სამომავლოდ, – და ძაან-ძაან დაკავებულია, თავად შემოევლო? ეგ იცოდე, მართლა დიდი დიზაინერია, იქნებადა, საუკეთესოც კი იყოს მთელ ნიუ-იორკში, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც მეტისმეტად იფხორება, ხომ იცი... მაგას ჰგონია, დღე და ღამე ჩემს შეგდებულ იდეებს რომ ამუშავებს, სხვა აღარავინაა ამქვეყნად. ისე, ერთ რამესაც გეტყვი, თუმცა რა, ცოტა რომ გამოიწრთობი, თავადაც კარგად მიხვდები ყველაფერს მთავარი საქმე საპროექტოში კი არა, მის კედლებს გარეთ წყდება! აი თუნდაც, გუშინდელი ამბავი ავიღოთ: ორასი მოწვეული სტუმარი, სადილი და შამპანური ღვინო, ფუჰჰ! – ტუჩები დაბრიცა საკუთარი თავის მიმართ ძალზე მომთხოვნი კაცის გამომეტყველებით, – ერთი პატარა წინასწარ გამზადებული სიტყვა, არაფერი ისეთი, არავითარი საქმეზე ლაპარაკი, მხოლოდ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხალხის პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე, მშენებელ-ინჟინერთა თუ არქიტექტორთა მიუკერძოებლად შერჩევის აუცილებლობაზე და სხვა ამგვარი მოკლეთ ერთი-ორი ფრთიანი ნათქვამიც, კაზმულსიტყვაობის ამბავში, და საქმეც გაკეთდა!

– გასაგებია, სერ. ვთქვათ: "თქვენი სახლის მშენებელიც ისევე გულისყურით უნდა შეარჩიოთ, როგორც ქალი, იქ რომ უპირებთ დასახლებას" – ან რაიმე ამდაგვარი...

– არაა ურიგო! სულაც არა, კიტერიჯ! შეიძლება, დაგესესხოთ?

– რა საკითხავია, მისტერ ფრენკონ! ისე, კიტინგია ჩემი გვარი.

_ კიტინგი; რაღა თქმა უნდა! ღმერთო მაღალო, დღეში იმდენი ხალხის მიღება მიწევს, თავგზა მაქვს აბნეული... როგორ თქვით? "სახლის მშენებელიც”...

ორჯერ გაამეორებინა, სანამ ბლოკნოტში ჩაიწერდა იმ ფანქრებიდან ერთ-ერთით, უხვად რომ ამოეყოთ თავები ტყავის ძვირფასი საფანქრიდან: ფერადი, ნემსივით წვერწამახული, გამოუყენებელი ხელსაწყოების დასტა.

მერე ბლოკნოტიც გვერდზე გადადო, ამოიოხრა, ტალღოვან თმაზე გადაისვა ხელი და დაღლილი ხმით აღმოთქვა:

– კარგი, რა გაეწყობა ვნახოთ მაინც, რა გამოგვიგზავნეს.

კიტინგმა ფრთხილად გაშალა ნახაზი. ფრენკონმა ერთი ფურცელი აიღო, უკან გადაიხარა, ხელის გაწვდენაზე დაიჭირა და ჯერ ცალი თვალით მიაჩერდა, მერე მეორეთი; ცოტაზე კიდევ გადახარა თავი და კიტინგს გაუელვა, აი ახლა თავდაყირაც გადმოატრიალებსო. მერე მიხვდა არაფერი მსგავსი, ეგ უკვე საერთოდ არც აღარაფერს უყურებსო; უბრალოდ, მისთვის თვალის ასახვევად შვებოდა ამას.

– რას ერჩი... – თქვა და ცალი წარბი აზიდა, – არაა ცუდი, ნამდვილად! აი, ცოტა მეტი სიმკვეთრე კი არ აწყენდა, მაგრამ მაინც... არაა ურიგო. რას

მკითხველთა ლიგა

იტყვი?
კიტინგი ოთხი უზარმაზარი სვეტის პირდაპირ გაჭრილი ოთხი ფანჯრის თაობაზე აპირებდა საკუთარი აზრის გამოთქმას, მაგრამ თვალი მოჰკრა, როგორი ნაამები ათამაშებდა ფრენკონი თითებში თავისი მოიისფრო-ჟოლოსფერი ჰალსტუხის ბოლოს და თავის შეკავება ამჯობინა. ერთი ესღა თქვა:
– რაკი მეკითხებით, სერ, ეს ჭერს მიკრული ორნამენტები მეოთხე და მეხუთე სართულებს შორის, სერ, ცოტა არ იყოს, საერთო ხედს აუბრალოებს... მთლიანი ლავგარდანი ბევრად უფრო მოუხდებოდა, სერ, ასე მგონია.
– ეგრეა. ახლა სწორედ მაგას ვფიქრობდი. ლავგარდანი, მთელ გაყოლებაზე... დაიცა, მაშინ ხომ ფასადის მხრიდან ფანჯრებს შორის მანძილის შემცირებაც მოგვიწევს?
_ ნამდვილად, – ოღონდ ეს ისეთი ტონით თქვა, საკუთარ შეუმცდარობაში დაეჭვებული თავმდაბლობით, – მაგრამ ცალკეული ფანჯრების იერი ხომ ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მთლიანად შენობის წინა ხედი. ნაგებობა ღირსეულად უნდა გამოიყურებოდეს.
– აი, ეგაა სწორედ მთავარი! ღირსება უპირველეს ყოვლისა. ფაქტობრივად, ესაა ჩვენი ფირმის დევიზი და სწორედ ამას ვთავაზობ მომხმარებელს! დიახ, უეჭველად, მოჩუქურთმებული სარტყელი...ოღონდ... რა არის, იცი, მონახაზი უკვე შევუქე და შტენგელსაც მართლა გულით უმუშავია...
– თქვენ თუ ურჩევთ, მისტერ შტენგელს გადაკეთება გაუხარდება კიდეც.
წამით ფრენკონმა თვალი თვალში გაუყარა კიტინგს. მერე მზერა აარიდა და სახელოდან რაღაც ნამცეცი მოიშორა ორი თითით.
– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... – ჩაილაპარაკა ორჭოფულად, - თუმცა... მოიცა, სარტყელი მართლა მნიშვნელოვანი გგონია?
– მე მგონი, – დინჯად დაიწყო კიტინგმა, – ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თქვენი თვალსაზრისით აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებაა და არა მისტერ შტენგელის ნებისმიერი ნახაზის უპირობოდ მოწონება.
და რადგან ფრენკონმა მაშინვე არ უპასუხა, მხოლოდ ერთხელ კიდევ მიაჩერდა ჯიქურ, რადგან მის მზერაში სხვანაირი დაჟინება იგრძნობოდა და თითებსაც უკვე რაღაც სხვანაირად ათამაშებდა მაგიდაზე, კიტინგი მიხვდა: იშვიათი შანსი მომეცა და გამოვიყენე კიდეცო; ოღონდ როცა ეს გაიაზრა, მერეღა შეაძრწუნა თავად შანსის მნიშვნელობამ.
უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს და უსიტყვოდაც უგებდნენ ამაში არც ერთს აღარ ეპარებოდა ეჭვი.
– გადაწყდა, სარტყელი და თან მოჩუქურთმებული, – მშვიდად გამოიტანა ფრენკონმა საბოლოო განაჩენი, – მაკეტი დამიტოვე და შტენგელს უთხარი, ამოვიდეს.
უკვე კაბინეტიდან გამოდიოდა, მაგრამ ფრენკონმა ისევ დააბრუნა. უცებ რაღაც უცნაურად გაუთბა და გაუმხიარულდა ხმა:
– ერთიც უნდა გითხრა, კიტინგ, იმედია, არ გეწყინება! ჩვენში დარჩეს და, მაგ ნაცრისფერ ჰერანგს ლურჯზე უფრო, შინდისფერი ყელსახვევი მოუხდებოდა. არ მეთანხმები?
– სავსებით, – ძნელი იყო, კაცს კიტინგის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანა, – დიდი მადლობა რჩევისთვის, ხვალვე გავიკეთებ.
გამოვიდა და ზურგს უკან კარი უხმაუროდ გამოიკეტა.
ზუსტად ამ დროს მოპირდაპირე კარი გაიღო და წარმოსადეგმა ჭაღარა მამაკაცმა მისაღებში ქალბატონი შემოაცილა; ქუდი არ ეხურა და

მკითხველთა ლიგა

აშკარად აქაურ თანამშრომელს ჰგავდა, მხრებზე სიასამურის ბეწვმოგდებული ქალბატონი კი აშკარად პატივსაცემი კლიენტი იყო.
კაცი არც მოწიწებით იხრებოდა წელში, არც ფიანდაზად ეგებოდა ქალბატონს და არც მარაოს უნიავებდა; უბრალოდ, კარი გაუღო შემოსვლისას, არადა, კიტინგმა მაინც თითქოს ყველაფერი ეს დაინახა –თვალნათლივ.

• • •

"ფრინკის ნაციონალური ბანკის" შენობა ქვემო მანჰეტენს გადასცქეროდა და მისი წაგრძელებული ჩრდილიც, ცაზე მზის მოძრაობის შესაბამისად, ვეებერთელა საათის ისარივით გადადიოდა ერთი გამჭვარტლული სახლიდან მეორეზე "ექვერიუმ ბილდინგიდან" მანჰეტენის ხიდამდე. ხოლო მზე რომ ჩავიდოდა ხოლმე, "ადრიანეს მავზოლეუმის" ჩირაღდანი აკაშკაშდებოდა და რამდენიმე მილის რადიუსში ჩრდილის ნაცვლად, ახლა უკვე მისი შუქი ეცემოდა მაღალი სახლების ზედა სარ-
თულების დალაქულ ფანჯრებს. "ფრინკის ნაციონალური ბანკის" შენობის უზადოდ შერჩეული თითოეული დეტალი რომაული ხელოვნების მთელი ისტორიის სარკედ გამოდგებოდა; ძალიან დიდხანს სწორედ ეს ნაგებობა მიიჩნეოდა საუკეთესოდ მთელ ქალაქში, რადგან დანარჩენები ვერ მოიწონებდნენ თავს თუნდაც ერთი იმგვარი კლასიკური ელემენტით, რომლითაც ის არ ყოფილიყო შემკული. იმდენი სვეტით, ფრონტონით, კარედით, სამფეხით, გლადიატორების ტორსით, ლარნაკითა თუ ნახჭით აოცებდა მნახველს, თითქოს თეთრი მარმარილოთი კი არ აეშენებინა ხუროთმოძღვარს ვინმე შეფ-მზარეულს გამოეძერწა ფუმფულა კრემისგან... არადა, მასალად ნამდვილად თეთრი მარმარილო იყო გამოყენებული, ოღონდ ეს მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი, ვინც ამაში ფული გადაიხადეს. ახლა შენობას უკვე ჭუჭყის თუ კეთროვნის ფერი დასდებოდა არც ყავისფერი, არც მწვანე ამ ორივეს რაღაც ნარევი ელფერი დაჰკრავდა, ნელი ლპობის, კვამლის, გამონაბოლქვი გაზის თუ მჟავის, და მეტასტაზებივითაც გასჯდომოდა კეთილშობილ, ბუნებისგან სუფთა ჰაერისა და გაშლილი სივრცისთვის ჩაფიქრებულ ქვას. თუმცა, "ფრინკის ნაციონალური ბანკის" შენობა მაინც უდიდესი წარმატება იყო – იმდენად დიდი, მისი დაპროექტების შემდეგ გაი ფრენკონს სხვა არც აღარაფერი გაუკეთებია; ამ შედევრმა სახელიც მოუტანა და დიდებაც.
"ფრინკის ნაციონალური ბანკიდან" აღმოსავლეთით კი, სამი კვარტალის იქით, "დანას" შენობა იდგა რამდენიმე სართულით დაბალი და სრულიად არაპრესტიჟული. მისი უხეში და სადა ნაკვთები არა მარტო ააშკარავებდნენ, ხაზსაც უსვამდნენ ფოლადის მთელი შიდა კონსტრუქციის ჰარმონიულობას, სწორედ ისევე, როგორც აღნაგობით შეატყობ კაცს ძვლის სიმაგრეს. სხვა რამ ჩუქურთმა-სამშვენისების ნასახიც არ ჩანდა. სახლი არაფერს გამოხატავდა საკუთარი მკვეთრი კუთხეების სიზუსტის, სიბრტყეთა უზადო დაგეგმარების გარდა და მისი წაგრძელებული ფანჯრებიც მყინვარის ენებივით ეშვებოდნენ სახურავიდან ქვაფენილამდე. ნიუ-იორკელებს იშვიათად გაექცეოდათ ხოლმე ამ შენობისკენ თვალი. მხოლოდ ვინმე პროვინციელი სტუმარი თუ აღმოჩნდებოდა შემთხვევით მის შორიახლოს, მთვარიან ღამით, ცოტა ხნით შეჩერდებოდა და გაიოცებდა ნეტავი, ვისი სიზმრისეული ხილვაა ეს ყველაფერიო. თუმცა, ამგვარი მნახველებიც დიდი იშვიათობა იყო. არადა, თავად "დანას" შენობის ბინადრები ამბობდნენ, აქაურობას

მკითხველთა ლიგა

ცოცხალი თავით არაფერზე გავცვლითო და დიდადაც აფასებდნენ ამ დარბაზებისა თუ ოფისების დაგეგმარების შეუდარებელ ლოგიკურობას, განათებასა და სივრცეს. ერთი ეგაა, "დანას" შენობა ბინადართა სიმრავლით არ გამოირჩეოდა: აბა, რომელი თავმოყვარე, საქმიანი კაცი იქირავებდა საოფისე ფართს შენობაში, რომელიც უმრავლესობის თქმით, „საწყობს ჰგავდა“.

ავტორს რაც შეეხება, „დანა” ჰენრი კამერონის ქმნილება იყო.

1880-იან წლებში ნიუ-იორკელი არქიტექტორები პროფესიაში მხოლოდ მეორე საპატიო ადგილისთვის ექიშპებოდნენ ერთმანეთს და პირველობაზე არც კი ოცნებობდნენ: პირველი ადგილი უპირობოდ ჰენრი კამერონს ეკავა. იმ დროს მასთან შეხვედრა ლამის წარმოუდგენელი იყო. ხალხი ორი წლით ადრე ეწერებოდა მიღებაზე; რაც მთავარია, მის ფირმაში შესულ ყველა შეკვეთას მართლა თვითონვე აპროექტებდა. მხოლოდ სა კუთარ გუნება-განწყობას ანდობდა, რომელი საქმისთვის მოეკიდა ხელი და რაზე უარი ეთქვა. სანამ მუშაობდა, კლიენტს პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. სხვებისგან იმას მოითხოვდა, რაც თავად მას ყველაზე ნაკლებად ახასიათებდა მორჩილებას. საკუთარი დიდების წლებში ისე გაიქროლა, როგორც მიზანს ამცდარმა ტყვიამ და ხალხის ხსოვნას გიჟის სახელით შემორჩა. ეს კია, თავის დროზე, ყველა მაინც უსიტყვოდ სთანხმდებოდა ნებისმიერ მის ახირებულ შეთავაზებას, რადგან იმხანად "ჰენრი კამერონის ნაშენები" ბევრ რამეს ნიშნავდა.

თავდაპირველად მისი ქმნილებები სხვებზე ოდნავ უცნაურნი ჩანდნენ და არც არავის აფრთხობდნენ მაინცდამაინც. ხანდახან მართლა გასაოცარ ექსპერიმენტებსაც მიმართავდა, მაგრამ მისგან არც ასეთები უკვირდათ და ჰენრი კამერონთან კამათს ყველა წინდახედულად არიდებდა თავს. ყოველ ახალ შენობასთან ერთად, მასში რაღაც იზრდებოდა, ფორმებს იღებდა და თითქოს აფეთქებას, გარეთ გადმონთხევას
ლამობდა. სწორედ ასეთი აფეთქება მოჰყვა ცათამბჯენების გაჩენასაც, როცა ნაგებობები ძველებურად სიგანეში კი აღარ იკავებდა ქვა-ქვაზე დადებულ სივრცეს, არამედ უკვე მაღლა, ცაში აჭრილი ლითონის კონსტრუქციები ქმნიდნენ უწონადობისა და უსაზღვრობის განცდას. კამერონი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ამ საოცრებას აუღო ალღო, პირველთაგანი იმ უმცირესობაში მოხვედრილთა შორის, ვინაც გაიაზრა, რომ მაღალი შენობა სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს... და სანამ სხვები ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, ოცსართულიანი ნაგებობები რამენაირად ორსართულიანი აგურის აგარაკებისთვის მიემსგავსებინათ, შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, თვალის მოსატყუებლად კიდევ რაიმე თარაზული დეტალი ჩაეხაზათ პროექტში, სიმაღლე მიეჩქმალათ, ლითონის სტრუქტურა დაემალათ, ახალი სტილი ტრადიციისთვის მიესადაგებინათ როგორმე, ჰენრი კამერონი ცათამბჯენებს აპროექტებდა შვეული ხაზების, ფოლადისა და სიმაღლის აპოლოგიას. და ვიდრე სხვები ფრიზებისა და ფრონტონების გამოხაზვაში იყვნენ, კამერონმა გადაწყვიტა, რომ ცათამბჯენები არ უნდა ჰგავდეს ბერძნული სტილის შენობებს. და საერთოდ, არც ერთი შენობა არ უნდა ყოფილიყო სხვისი ასლი.

39 წლისა იყო მაშინ, ტანმოკლე, ჯმუხი და მოუვლელი; ვირივით შრომობდა, ძილი არ ახსოვდა და ჭამა, იშვიათად სვამდა, მაგრამ ბოლომდე. შეეძლო, წარმოუდგენელი სიტყვებით გაელანძღა დამკვეთები, მის მიმართ არსებული სიძულვილი კი მხოლოდ დამცინავ ღიმილს ჰგვრიდა. მუდამ ისეთი დაძაბული და ვნებას აყოლილი

მკითხველთა ლიგა

საქმიანობდა, მასთან ერთ ოთახში დიდხანს ყოფნას ვერც ერთი თანამშრომელი ვერ უძლებდა და ასე გრძელდებოდა 1892 წლის ჩათვლით...

სრულიად ამერიკის ჩიკაგოს გამოფენა კი 1893 წელს გაიხსნა, სადაც არქიტექტორები პლაგიატში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, ვინ მეტს მოიპარავდა და უკეთ. მიჩიგანის ტბის ნაპირებზე თითქოს ახალი რომი ამოიზარდა, ოღონდ მისი, ასე ვთქვათ, "გაუმჯობესებული" სახეცვლილება შუა საუკუნეების ფრანგული, მავრების დროინდელი ესპანური, ანტიკური ბერძნული, ნახჭებიანი თუ გლუვი სვეტების, სამშვენისებიანი ტრიუმფალური თაღების, ქანდაკებებით შემკული შადრევან-აუზებისა და პოპკორნის ნამდვილი ზეიმი. კეთროვანივით გადათეთრებული ქალაქი, ასეთივე ამაზრზენი.

ხალხი მოდიოდა, ნახულობდა, გაოგნებული რჩებოდა და მერე შთაბეჭდილებას ბაბუაწვერას თესლივით ავრცელებდა ამერიკის ქალაქებში. თესლი ნოყიერ ნიადაგს პოულობდა, სარეველად ედებოდა ყველაფერს და მალე სად არ წააწყდებოდით დორიული ტალანებით გაწყობილ საფოსტო სამსახურის შენობებს, რკინა-ბეტონის კარკასში ჩასმულ წითელი აგურის სახლებს, ათი-თორმეტი ერთმანეთზე შემოდგმული პართენონის იმიტაციისგან აკოკოლავებულ საოფისე ნაგებობებს... სარეველა თავისით ვრცელდებოდა და არც რაიმე ხელშეწყობას საჭიროებდა.

ჰენრი კამერონმა უარი თქვა გამოფენაში მონაწილეობაზე და მისი სიტყვიერი დახასიათებით შემოიფარგლა, რასაც ნაბეჭდი სახით არასოდეს უნახავს დღის სინათლე, მაგრამ ყველა ერთმანეთს უყვებოდა, ცინცხალი ანეკდოტივით. მერე იმასაც ამბობდნენ, ხმები დადიოდა ვიღაც ბანკირს სამელნე ესროლა, რადგან მან რკინიგზის დაპროექტება სთხოვა ქალღმერთ დიანას ტაძრის სტილში, ეფესოში რომ დგას, იმის. ცხადია, ბანკირს თხოვნა აღარ გაუმეორებია. და არც ბევრ სხვას.

წლების განმავლობაში მძიმე შრომის შედეგად თითქოს მიაღწია კიდეც სასურველ შედეგს და სწორედ მაშინ უცებ დამთავრდა ყველაფერი. კლასიციზმის ორგიაში გადავარდნილ ქვეყანას, როგორც აღმოჩნდა,მისი იდეები არაფერში სჭირდებოდა.

რაღა საჭირო იყო ახალი პროექტები, როცა უბრალოდ, კარგი ფოტოს გადაღებაც საკმარისი იყო და კარგი ფოტოარქივის მქონე არქიტექტორებიც წამსვე კარგ დიზაინერებად იქცეოდნენ იმიტატორები იმიტაციების ასლებს ამზადებდნენ და ყველაფერ ამას უძველეს კულტურასთან მიბრუნების ტვიფარი ედო: ყოველ ოჯახში იპოვიდით "სრულიად ამერიკის გამოფენის" მიერ გამოშვებულ ფერად საფოსტო
ბარათებს.

ჰენრი კამერონს კი არაფერი გააჩნდა ამ მასობრივ ისტერიასთან დასაპირისპირებელი არაფერი, საკუთარი რწმენის გარდა. ვერავის დაიმოწმებდა და ვერც ვერავის დაიყენებდა გვერდით, მარტო ის შეეძლო ეძახა, შენობის ფუნქცია უნდა განსაზღვრავდეს მის ფორმას, ხოლო კონსტრუქცია მშვენიერებას, რომ შენების ახალი მეთოდები თავისთავად მოითხოვენ ახალ ფორმებს და საერთოდ, რაც თავად უნდოდა, მხოლოდ ის უნდა ეშენებინა და მორჩა... ოღონდ, არავინ უსმენდა ხალხი ვიტრუვიუსით, მიქელანჯელოთი და სერ ქრისტოფერ რენით იყო შეპყრობილი.

საზოგადოდ, ხალხს სხვისი მძაფრი ვნებები არ ეპიტნავება; ჰენრი კამერონის ყველაზე დიდი შეცდომაც ეს იყო: შეყვარებული იყო საკუთარ

მკითხველთა ლიგა

საქმეზე და მისთვის თავსაც გადადებდა. ამიტომ იბრძოდა. ამიტომ წააგო.
ხალხი ამბობდა, ვერც კი ხვდება, რომ მისი საქმე წასულიაო. ყოველ შემთხვევაში, არაფერს იმჩნევდა. რაც უფრო აკლდებოდა შემკვეთები, მით ნაკლებ დათმობებზე მიდიოდა მათთან. თავის დროზე ერთი ჩია ტანის, ერთგული მენეჯერი ჰყავდა, რომელიც ყველა მის გამოხდომას იტანდა და მეტიც ახერხებდა, კლიენტებსაც გულთან არ მიეტანათ კამერონის უხიაგობა; მაგრამ ის უკვე ცოცხალი აღარ იყო.
თავად კამერონს წარმოდგენა არ ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობაზე; არც მათი არსებობა ადარდებდა და არც თავისი. მისთვის მხოლოდ ნაგებობა და მისი პროექტი არსებობდა. არც კლიენტისთვის რაიმე ახსნა-განმარტების მიცემაზე იწუხებდა თავს და არც საქებარ სიტყვებს ელოდა მათგან. არავის უყვარდა ჰენრი კამერონი_მხოლოდ რიდი ჰქონდათ მისი. ახლა კი ეგ დროც წარსულს ჩაჰბარდა.
ახლა უბრალოდ ცხოვრობდა. ცხოვრობდა, რომ ევლო იმ ქალაქის ქუჩებში, რომლის განახლებაზე ოცნებობდა ერთ დროს; ან თავის დაცარიელებულ ოფისში მჯდარიყო გარინდული, უსაქმოდ, რაღაცის მომლოდინე; შიგადაშიგ წაეკითხა ხოლმე, "განსვენებული ჰენრი კამერონიო", რომ წერდნენ; შემდეგ სმაც რომ დაეწყო უჩუმრად, ყოველდღიურად, გაბმით. და სწორედ ისინი, ვინც ამ დღეში ჩააგდო, მერე მიმღები კომისიის რომელიღაც სხდომაზე გაიძახოდნენ: ”ვინ? კამერონი? არავითარ შემთხვევაში! სულ მთლად გალოთდა ეგ უბედური..." ერთ დროს ქალაქის ცენტრში, პრესტიჟულ შენობაში რომ ეკავა სამი სართული, ახლა სამოთახიანი ოფისით კმაყოფილდებოდა გარეუბანში. ეს ოთახები იმიტომ აირჩია, კაბინეტის ფანჯარას ცხვირს თუ მიაბჯენდა, აგურის კედლის ზემოთ "დანას" შენობის სახურავსაც ხედავდა.
ჰაუარდ რორკი, როცა ჰენრი კამერონთან ფეხით ადიოდა მეექვსე სართულზე, კიბის ყველა ბაქანზე ჩერდებოდა და ყველა ფანჯრიდან სწორედ ამ შენობის დანახვას ცდილობდა. ლიფტი არ მუშაობდა. კიბე, ეტყობა, კარგა ხნის წინ შეეღებათ ჭაობისფრად; ფეხსაცმლის ლანჩებს საფეხურებზე ადგილ-ადგილ თითქმის მთლიანად აექერცლა საღებავი. რორკი ჩქარობდა, თითქოს შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, იღლიაში დაგრაგნილი ნახაზები ამოეჩარა და თვალი მუდმივად "დანასკენ" გაურბოდა. ერთხელ ვიღაც ზემოდან მომავალ კაცსაც შეეჯახა; ბოლო ორი დღის განმავლობაში ასეთი რამ ხშირად ემართებოდა ქალაქის ქუჩებში სულ ასე, თავგადაგდებული დააბიჯებდა, ვერაფერს ამჩნევდა ნიუ -იორკის ცათამბჯენების მეტს.
კამერონის მოსაცდელის ბნელ კუთხეში მაგიდა იდგა, ზედ ტელეფონით და საბეჭდი მანქანით. მაგიდას ვიღაც ჭაღარა, გაძვალტყავებული კაცი მისჯდომოდა, მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა და თვალში საცემად მოფომფლოვებული აჭიმები ეკეთა.მონდომებით ბეჭდავდა რაღაცას მანქანაზე, ორი თითით, მაგრამ საოცარი სისწრაფით. მქრქალი ნათურის შუქი ზურგზე ყვითელ ლაქად ემჩნეოდა, ზუსტად იმ ადგილას, სადაც სველი პერანგი ძვლად ქცეულ ბეჭებზე მიჰკვროდა.
მძიმედ აიღო თავი, რორკს მიაჩერდა. ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ შეჰყურებდა ბებერი, დაღლილი, ყოველგვარი ინტერესისა თუ ცნობისმოყვარეობისგან დაცლილი თვალებით.
_ მისტერ კამერონის ნახვა მინდოდა, – უთხრა რორკმა.
– მართლა? – კითხვაში არც ირონია იგრძნობოდა, არც მით უმეტეს შეურაცხყოფა; საერთოდ არ იგრძნობოდა არაფერი, – და რა საქმეზე?
– სამსახურის.

მკითხველთა ლიგა

– რა სამსახურის?
– მხაზველი ვარ.
კაცი არ განძრეულა, ისევ ბრიყვულად უაზროდ შესცქეროდა. აღარც ახსოვდა, ამგვარი თხოვნით რამდენი ხნის წინ მიმართეს უკანასკნელად. ზანტად წამოიზლაზნა, უსიტყვოდ, კარებთან მიბარბაცდა, შეაღო და შევიდა.
კარი სანახევროდ გამოღებული დატოვა. რორკს მეორე ოთახიდანაც ესმოდა მისი ლუღლუღი:
– მისტერ კამერონ, ვიღაც ბიჭია მოსული. ამბობს, თქვენთან სამსახურის დაწყება მინდაო.
პასუხად ძლიერი, მკაფიო ხმა გაისმა, სრულებით რომ არ ჰგავდა ხანდაზმულისას: "გიჟია ვიღაცაა! მომაშორე აქედან... არა, მოიცა შემოვიდეს!”
ბერიკაცი გამობრუნდა, კარი აღარ დაუკეტავს და მიბრძანდიო თავის გადაქნევით ანიშნა რორკს. შევიდა. ზურგს უკან კარი მიიხურა.
გრძელი, თითქმის ცარიელი ოთახის ბოლოში ჰენრი კამერონი უჯდა მაგიდას, წინწახრილი, ხელებდაკრეფილი. ნახშირივით შავი თმაწვერი ჰქონდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ გამორეოდა თითო-ოროლა ღერი ჭაღარა. მოკლე, სქელ კისერზე ბაგირივით ძარღვები აჩნდა. თეთრი პერანგი ეცვა და სახელოები იდაყვებამდე აეკაპიწებინა; სანახევროდ შიშველ, გარუჯულ მკლავებსაც აშკარად ეტყობოდა ძალა და მოქნილობა. ფართო სახეზე კანი ისე გლუვად გადასჭიმოდა, თითქოს თაბაშირის ნიღაბი აეფარებინა, არადა, შავ, ჭაბუკურ თვალებში ჯერ კიდევ ჭინკები დაურბოდნენ.
რორკი ისევ კარებთან იდგა, გრძელი ოთახის მეორე ბოლოში. სტუმარ-მასპინძელი უხმოდ ათვალიერებდა ერთმანეთს.
სავენტილაციო ცხაურიდან მონაცრისფრო შუქი იღვრებოდა და სახაზავ დაფასა თუ რამდენიმე საქაღალდეზე დადებული მტვერიც ამ შუქით დალექილ კრისტალებს წააგავდა. მერე რორკმა კედელზე, ორ ფანჯარას შორის, სურათი დაინახა _ერთადერთი ამოდენა ოთახში.უფრო სწორად, იმ ცათამბჯენის ნახაზი, რომელსაც აშენება არ ეღირსა.
რორკი ხარბად მიაჩერდა. ნაბიჯიც გადადგა, მიუახლოვდა და სურათის წინ გაჩერდა. კამერონი თვალს არ აშორებდა, თითქოს სტუმარი მიზანში ჰყავდა ამოღებული და პირველივე საეჭვო მოძრაობისთანავე, მისი მზერა, როგორც ნასროლი ბარჯი, კედელზე უპირებდა მილურსმვას. უყურებდა ამ ფორთოხლისფერ ქოჩორს, სურათისკენ გაწვდილ ხელს, გაშვერილ თითს და ამ ჟესტში უნებლიე მოძრაობას კი არ ხედავდა, არამედ რაღაცის მოთხოვნისა თუ წართმევისთვის შემზადებას.
– აბა! – როგორც იქნა, დაარღვია სიჩუმე, – ჩემთან სალაპარაკოდ მობრძანდი, თუ მაგ ნახაზის სანახავად?
რორკი კამერონისკენ შეტრიალდა:
– ერთი მეორეს არ უშლის.
მაგიდას მიუახლოვდა. მის გვერდით, როგორც წესი, ყველას თავგზა ებნეოდა ხოლმე, კამერონს კი ისეთი განცდა დაეუფლა, ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ნამდვილი, როგორიც ახლა ამ ბიჭის თვალში ვჩანვარო.
– რაზე შეწუხებულხარ? – წარმოთქვა უკმეხად.
– თქვენთან მინდა ვიმუშაო, – წყნარად მიუგო რორკმა. ოღონდ ეს მისმა ხმამ თქვა ასე, ინტონაცია სხვას ამბობდა: "მე თქვენთან ვიმუშავებ!"
– არა, მართლა? – კამერონმა, თვითონაც რომ ვერ მიხვდა ისე, სწორედ იმ უთქმელ, ინტონაციით ნაგულისხმებ ფრაზას გასცა პასუხი, – რა იყო?

მკითხველთა ლიგა

სხვებმა ცხვირწინ მოგიკეტეს კარი, პატივცემულმა, ცნობილმა ხალხმა?
– სხვასთან არც არავისთან მივსულვარ.
– რატომ ვითომ? გგონია, აქ რამე გამოგივა? გგონია, პირველსავე მსურველს იქით ვეხვეწებით, არა? საერთოდ, იცი, ვინ ვარ?
– ცხადია. ისე რატომ მოვიდოდი.
– ვინ მოგაგზავნა?
– არავინ.
– აბა, რა ნიშნით ამარჩიე...
– თვითონაც ხვდებით.
_ არა, მაინც რამ გაფიქრებინა, კამერონი სამსახურს მომცემსო? გგონია, მთლად ისე წავიდა ჩემი საქმე, ყველა ლაწირაკს ხელგაშლილი შევეგებები, ვინც კი პატივს დამდებს და დამაფასებს? ბებერი კამერონიო, _ ასე იფიქრებდი ალბათ, – ჩაშვებული, გალოთებულიო... ეგრეა? ეგრეა-მეთქი?! რას მომშტერებიხარ? ახლა არ მითხრა, არაფერი მაგდაგვარიო... მიდი, ამოღერღე!
– არც ვაპირებ.
– ადრე სად მოღვაწეობდი, თუ საიდუმლო არაა?
– ახლა ვიწყებ.
– აქამდე რას მიკეთებდი?
– სთენტონში ვსწავლობდი. სამი წელი.
– და რაო მერე, დაგეზარა, ბოლომდე მიგეყვანა საქმე?
– გამრიცხეს.
– გადასარევი ამბავია! – კამერონმა მაგიდას მუშტი დაარტყა და ლამის გადაბჟირდა სიცილით, – ბიჭმა ჭაობშიც კი ვერ ივარგა და პირდაპირ ჰენრი კამერონთან არ მომინდომა მუშაობის დაწყება! მაგარი ხარ... არა, მაინც რისთვის გამოგაგდეს, აღარ იტყვი? სმა, ქალები თუ რამე მაგაზე უარესი?
– აი, ამისთვის. – თქვა წყნარად და ნახაზები გაუწოდა.
კამერონმა ჯერ ცალი თვალით დახედა ერთს, მერე ორივეთი მეორეს, მერე ფურცლები ააშრიალა, რიგრიგობით. თავი ასწია:
– დაჯექი.
რორკი დაჯდა. კამერონი სახეში მისჩერებოდა, თითებს ათამაშებდა მუყაოს საქაღალდეზე.
– მოკლედ, გგონია, რომ მაგარი ხარ? ეს ხომ საშინელებაა! ამას შეხედე... – და ერთი ნახაზი სახეზე ააფარა, – რა ეშმაკი შეგიჩნდა? რისი თქმა გინდოდა ამით? ვითომ, ორ ლამაზ რამეს თუ ერთმანეთს მიუერთებ, თავისთავად ორჯერ უკეთესი გამოვა?! ღმერთმა გიშველოს, გაი ფრენკონი გგონია თავი? ასეთი იდეა მოგივიდა და რა უქენი?! ლაფში ამოსვარე! აზრზე თუ ხარ, ჯერ კიდევ რამდენი უნდა ისწავლო?!
– კი. ამიტომაც ვარ აქ.
– ახლა ამას დამიხედე! ე-ეჰ, შენს ასაკში რომ ასეთი გაქანება მქონოდა... მერე, აი, ამას რაღას ერჩოდი?! დაგიშავა რამე? ეშმაკსაც წაუღია ეს გრეხილი კიბეები და მთელი ცენტრალური გათბობა! საძირკველს რომ ჩაუყრი... .
აღტკინებული ლაპარაკობდა, ილანძღებოდა კიდეც შიგადაშიგ,და ერთი ნახაზი არ იყო, წუნი არ ეპოვა. ისე გამოცოცხლდა, თითქოს მშენებარე ობიექტს ეხებოდა საქმე. მერე უცბად მოჭრა, ნახაზები გვერდზე მიყარა და ჰკითხა:
– არქიტექტორობა როდის გადაწყვიტე?
– ათი წლისამ.
– ტყუი. ამ ხნის ბავშვი ასე ვერ წყვეტს, რა გამოვა.

მკითხველთა ლიგა

– ვითომ?
– კარგი და, რატომ მაინცდამაინც არქიტექტურა?
– ღმერთის არასოდეს მწამდა.
– მერედა რაო, ვითომ?
– ეს პლანეტა მიყვარს. დედამიწა. ოღონდ რაც დააშენეს ზედ, ის არ მომწონს. მინდა, შევცვალო.
– რამდენისა ხარ?
– ოცდაორის..
– ეგეთი რამეები სად ამოიკითხე?
– არსად.
– მორჩი რა... ოცდაორი წლის კაცი ასე არ ლაპარაკობს ხოლმე. მე მგონი, მთლად ნორმალური არ უნდა იყო.
– შეიძლება.
– სატრაბახოს ამაში ვერაფერს ვხედავ.
– ვერც მე.
– ოჯახი გყავს?
– არა.
– თავისუფალ დროს თუ მუშაობდი სადმე?
– კი.
– სად, მაინც?
– მშენებლობაზე.
– ფული გაქვს?
– ჩვიდმეტი დოლარი და ოცდაათი ცენტი.
– ნიუ-იორკში როდის ჩამოხვედი?
– გუშინ.
კამერონმა საქაღალდეს დახედა. "ეშმაკსაც წაუღიხარ, "– თქვა წყნარად.
მერე უცაბედად, წინ გადაიხარა და ლამის დაიბღავლა:
– ეშმაკსაც წაუღია შენი თავი! ვინ გთხოვა, მე მომადექიო?! მხაზველები რა ჯანდაბად მინდა? რა ვახაზვინო?! სადაა სამუშაო! მეოცნებე გიჟებიღა მაკლდა... ახლა კიდევ ამაზე აიღე პასუხისმგებლობა... მეგონა, მოვრჩი ამისთანებს-მეთქი! დიდი ხნის წინ მოვრჩი-მეთქი! ეს ხისთავები რომ მყავს, ისიც მეყოფა. რაც აქვთ, იმაზეც მადლობლები არიან და არც უნდათ მეტი. შენ კიდევ თავს დაიღუპავ, და ამაში გინდა, ხელი გავრიო? ვერ მოგართვეს! არ მომწონხარ, შენი სახე არ მომწონს, ეგოისტი ხარ ნამდვილი და ერთი ოცი წლით ადრე სიამოვნებით მოგინგრევდი სიფათს... ხვალ, ზუსტად დილის ცხრაზე დაერჭობი აქ და შეუდგები საქმეს.
– გასაგებია, – თქვა რორკმა და წამოდგა.
– კვირაში თხუთმეტ დოლარად. მეტის იმედი არ გქონდეს.
– გასაგებია.
– არა, ნაღდად გიჟი ხარ... ვინმე სხვასთან როგორ არ მიხვედი?! იცოდე, ახლა თუ სხვასთან მიხვალ, საკუთარი ხელით დაგახრჩობ. რა გქვია?
– ჰაუარდ რორკი.
– იცოდე, პირველსავე დაგვიანებაზე გაგიშვებ.
– გასაგებია.
საკუთარი ნახაზებისკენ გაიწვდინა ხელი.
– ეგენი დატოვე! – შეუღრინა კამერონმა, – და ხვალამდე არ დამენახო!

4

– თუი, – თქვა გაი ფრენკონმა, – ელზუერთ თუი... რას ერჩი, სცოდნია შავის და თეთრის გარჩევა... აჰა, წამიკითხე ერთი.

მკითხველთა ლიგა

ფრენკონი ცქვიტად გადაიხარა და კიტინგს „ახალი მიჯნის” აგვისტოს ნომერი მიაწოდა. თოვლივით თეთრ გარეკანს პალიტრის, ქნარისა, ჩაქუჩის, კორპსაძრობისა და ამომავალი მზის ორიგინალურ კომბინაციად ჩაფიქრებული შავი ლოგო ამშვენებდა; ჟურნალს ოცდაათიათასიანი ტირაჟი ჰქონდა და ერთგულ თანამოაზრეთა მთელი ჯგუფი უმაგრებდა ზურგს მათივე განცხადებით, ქვეყნის ინტელექტუალური ავანგარდი, და სხვათა შორის, ეს განცხადება დიდად არც არავის გაუხდია საკამათოდ. "მარმარილო და გაჯი" – ასე დაესათაურებინა ელზუერთ მ. თუის საკუთარი წერილი; კიტინგმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა მითითებული ადგილიდან:

„... და ახლა ჩვენი ქალაქის ჰორიზონტს კიდევ ახალი სილუეტიც დაამშვენებს: საუბარია "მელთონ ბილდინგზე", ფრენკონისა და ჰეიერის ახალ, გამორჩეულ ქმნილებაზე. ზეცად აჭრილი ეს თეთრი შენობა კლასიკური სრულყოფილებისა და საღი აზრის იდეალური შერწყმაა. უკვდავი ტრადიციის გონივრული ერთგულება არის ამ მშვენიერების მშობელი, გამვლელის გულსა და გონებას დანახვისთანავე რომ იპყრობს. არსად იგრძნობა ყალბი ეგზიბიციონიზმის მანერულობა, გარყვნილი მცდელობა ახლის შექმნისა; ინფანტილური ჟინი თუ თავაშვებული, მოუთოკავი ეგოიზმის გამოვლინებანი. გაი ფრენკონს, ამ ქმნილების ავტორს, ნამდვილად არ ესწავლება, როგორ დაუმორჩილოს საკუთარი ნიჭი და გაქანება იმ აუცილებელ კანონებს, რომელთა სიწმინდეც სწორუპოვარ ოსტატთა თაობებმა შეუბღალავად მოიტანეს ჩვენამდე; ამავე დროს, მას არც დაუდგრომელი თვითმყოფადობის გამოვლენა უჭირს და თან არა "მიუხედავად”, არამედ "სწორედაც" იმ კლასიკური დოგმების წყალობით, რომელთაც ჭეშმარიტი ხელოვანის თავმდაბლობით იცავს. სხვათა შორის, ალბათ უპრიანი იქნება, შევნიშნოთ, რომ დოგმების ერთგულების გარეშე, ჭეშმარიტი ორიგინალობაც წარმოუდგენელია...

თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რა სიმბოლურ დატვირთვას იძენს ჩვენს დიად ქალაქში აღმართული ეს იშვიათი ქმნილება. შეუძლებელია, სამხრეთის ფასადთან მდგომი მნახველი გულის კიდემდე არ შეძრას იმ ფაქტის გააზრებამ, რომ შენობის გარე სარტყლები, რომლებიც შეგნებულად და თან საოცარი სინატიფით იმეორებენ სა კუთარ თავს მესამედან მეთვრამეტე სართულამდე, ეს გრძელი, სწორი, ჰორიზონტული ხაზები, ამავე დროს, ერთგვარი დამზავებელი, გამათანაბრებელი პრინციპის დანიშნულებას ასრულებენ; თამამად ვიტყოდი, ეს სწორედაც ამერიკული თანასწორობის გამომხატველი ხაზებია-მეთქი! თითქოს ნებისმიერი მნახველისათვის გასაგებ დონემდე ამიწებენ" ამ ცადაზიდულ ნაგებობას თავიანთი ჯანსაღი მიწიერებით, ხალხურობით, ადამიანურობით... და თან თითქოს გვაფრთხილებენ კიდეც ადამიანთათვის დადგენილ მიჯნებს საბოლოოდ მაინც ვერავინ ასცდება, ყოველივე დასაზღვრულია და მოზომილი, მათ შორის, თავად ეს ამაყი ნაგებობაც კი კაცთა ძმობა-ერთობის ნიშანსვეტად ქცეულ თუნდაც ამ სარტყლებითო..."

წერილი კიდევ გრძელდებოდა იმავე სტილში. კიტინგმაც ბოლო წერტილამდე ჩაიკითხა და თავი ასწია. "ღმერთო!" – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა, მღელვარებისგან ხმაგაბზარულმა.

ფრენკონს სახე გაებადრა.

– ურიგო არაა, რას იტყვი? თანაც თუისგან... ხალხს ჯერ არც არაფერს ეუბნება ეს სახელი, მაგრამ მალე ეტყვის, მერწმუნე. ასეთებს კანით ვგრძნობ... მოკლედ, ფიქრობს, რომ არც ისე ცუდი ვარ? ენა აქვს

მკითხველთა ლიგა

ნესტარივით! უნდა ნახო, სხვებზე რას გაიძახის ხოლმე. ერთხელაც წვეულებაზე ვართ და უცებ თუი ამბობს, სიტყვასიტყვით: "თუკი მისტერ დარკინს მართლა ხუროთმოძღვრად მოაქვს თავი, იქნებ ვინმემ შეახსენოს, რა მოთხოვნაა გამოცდილ ქვისმთლელებზე”... – პირდაპირ ასე თქვა, ღმერთს გეფიცები! ყველას გასაგონად.

– ნეტა დრო რომ მოვა, ჩემზე რას იტყვის? – ჩაიბურტყუნა კიტინგმა.

- დაიცა, "სიმბოლური დატვირთვის მქონე დეტალები და ადამიანურ ვნებათა ბორკილები"... – ეს რაღა უბედურებაა?! თუ მართლა მაგიტომ გვაქებს, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე!

– კრიტიკოსის საქმე ეს არის, მისტერ ფრენკონ, ხანდახან თავად ხელოვანს უნდა აუხსნას ხოლმე მისივე ნამუშევრის არსი... პასუხისმგებლობის იმ ბორკილებს გულისხმობდა, გაუცნობიერებლად რომ იდებთ საკუთარ კისერზე.

– ა-ჰაა... – რაღაც ორჭოფობა ეტყობოდა ფრენკონს ხმაში, – მართლა ასე ფიქრობ? არ ვიცი, არ ვიცი... იქნებ, მართალიც ხარ. ჰმ... ყოჩაღ, პიტერ.

– გმადლობთ, მისტერ ფრენკონ, – კიტინგი წამოიწია.

– დაიცადე, ჯერ არ წახვიდე. ერთიც გავაბოლოთ და მერე შევებათ ჩვენ-ჩვენს უღელში.

ფრენკონმა ისევ გადაავლო თვალი ნაბეჭდს, ღიმილით. ასეთი ნეტარი ფრენკონი არასოდეს უნახავს. ეტყობა, არც ნახაზებში საკუთარი კორექტივების შეტანა და არც დამთავრებული პროექტის ხილვა არ ანიჭებდა ისეთ სიამოვნებას, როგორც ვიღაცის მიერ სხვებისთვის წასაკითხად გამიზნული ეს სტატია სადღაც ჟურნალში.

კიტინგი ნებიერად გადაწვა სავარძელში. არა, თქმა არ უნდა, უქმად მაინც არ დაუხარჯავს ეს ერთი თვე არც საქმეში გამოუჩენია თავი და არც ბრძნული გამონათქვამები უფრქვევია, მაგრამ ფირმაში უკვე ყველამ იცოდა თუკი რაიმე უნდა გაეტანებინათ გაი ფრენკონისთვის საჩვენებლად, ჯობდა, ეს ამ ახალი თანამშრომლისთვის ეთხოვათ. დღე არ გავიდოდა, აქ არ მჯდარიყო, ამ მყუდრო კაბინეტში და ფრენკონის მოთქმა-გოდება არ ესმინა იმის თაობაზე, თუ როგორ საჭიროებდა სანდო და გონებაგახსნილ ადამიანებს თავის გარემოცვაში.

რაც კი რამ შეიძლებოდა, ყველაფერი წვრილად გამოიკითხა ფრენკონის შესახებ: საკვებს რაც შეეხებოდა, მცირედით კმაყოფილდებოდა თურმე, მხოლოდ ყველაფერს არ გეახლებოდათ და გურმანად იყო ცნობილი. წარჩინებით დაუმთავრებია ნატიფ ხელოვნებათა სასწავლებელი; ანგარიშით შეირთო ცოლი და ბედნიერი ოჯახი ვერ ააწყო; წინდებს მუდამ ცხვირსახოცის ფერს უხამებდა ხოლმე, ჰალსტუხს კი არასოდეს; მოსაპირკეთებელ მასალად რუხ გრანიტის ქვას ანიჭებდა უპირატესობას და სწორედ ამგვარი ქვის საკუთარ კარიერსაც კი ფლობდა სადღაც მთებში; ლუი XV-ის სტილის აპარტამენტებში ცხოვრობდა მარტოდმარტო მეუღლე კარგა ხნის წინ გარდასცვლოდა და მთელი ქონება მათი ქალიშვილისთვის უანდერძებია, რომელიც უკვე კოლეჯში სწავლობდა.

აი, სწორედ ეს ბოლო ფაქტი განსაკუთრებით იქცევდა კიტინგის ყურადღებას. ერთხელ ისე, გაკვრით უხსენა კიდეც ქალიშვილის ამბავი და კი, ნამდვილადო... – ამის მეტი ვერაფერი დააცდენინა. სახეზე კი შეატყო, ფრენკონს გულზე ცუდად მოხვდა 19 წლის ქალიშვილის ხსენება... მოკლედ, კიტინგმა ამ საკითხზე სიტყვის თქმაც კი აიკრძალა. დროებით.

ლუშეს ნ. ჰეიერს, ფრენკონის პარტნიორს, კიტინგმა სულ ორჯერ მოჰკრა თვალი და ჯერაც ვერ დაედგინა, რა როლს თამაშობდა ფირმის საქმიანობაში. გარეგნობით ჰემოფილიით დაავადებულს ჰგავდა:

მკითხველთა ლიგა

გრძელკისერა, ფერმკრთალი, თვალებგადმოკარკლული, დაჩამიჩებული არისტოკრატი, შიშნარევი დათაფლულობით რომ მიმართავს ყველას განურჩევლად. ძირძველი ოჯახის ნაშიერი სწორედ მისი ოჯახური კავშირების გამო აეყვანა ფრენკონს ფირმის მეწილედ. მისი წრის ხალხს ლამის გული ეწურებოდა საყვარელი ბებერი ლუშესის მცდელობებზე, პროფესიული კარიერის გზას დასდგომოდა და მისთვის შეკვეთების მიცემა კარგ ტონად მიაჩნდათ. შეკვეთებს ფრენკონი ასრულებდა და მეტს არც არაფერს მოითხოვდა პარტნიორისგან. მოკლედ, ყველა კმაყოფილი ჩანდა.

აი, პიტერ კიტინგმა კი მართლა შეაყვარა თავი მთელ საპროექტოს. კოლეგებს ისეთი გრძნობა გაუჩინა, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდნენ; ყოველგვარ სიტუაციას და ადგილს წამსვე ერგებოდა, ყველა თავისიანად თვლიდა. მუდმივად თბილად მომღიმარი, მხიარულხმიანი და ლაღი, მხრებს იმგვარად აიჩეჩავდა ხოლმე დროდადრო, სულს არაფერი უმძიმებდა და მისგან არც ცუდს ელოდებოდა ვინმე.

ფრენკონმა თავი ასწია და ახლა კიტინგს მიაჩერდა. კი ბატონო, მის თვალებში ნამდვილად ხედავდა აღტაცებას, თუმცა ტუჩების უპეებში მაინც რაღაც ეშმაკური ჩამალულიყო, რაღაც წინააღმდეგობრივი, თითქოს ეს-ესაა ჩაიღიმებსო. თუმცა, მაინც ასე ერჩია. ბრმა თაყვანისცემა არაფერში სჭირდებოდა, დამსახურებული ალბათ მეტ პასუხისმგებლობასაც დააკისრებდა, აი, ასეთი დაუმსახურებელი თაყვანისცემა სწორედ ის იყო, რაც ახლა უფრო აწყობდა.

– რომ გახვალ, ეს მის ჯეფერსს დაუტოვე, ჩემს ალბომში ჩადოს.

კიბეზე რომ ჩარბოდა, კიტინგმა ჟურნალი ჰაერში ააფრიალა და ტუჩები მოპრუწა, თითქოს დასასტვენად.

• • •

ტიმ დეივისი, მაღალი, ქერა ბიჭი, გვერდითა დაფასთან მუშაობდა და კიტინგმაც კარგა ხნის წინ გამოარჩია სხვებში: ჩვეულმა ალღომ უკარნახა, რომ ტიმი მთელ ოფისში მართლა საუკეთესო მხაზველი იყო.ამიტომაც ცდილობდა, რამენაირად ისიც იმ პროექტებზე მუშაობაში ჩაერთოთ, რომლებზეც დეივისი იყო პასუხისმგებელი. მალე დაახლოვდნენ, ერთად სადილობდნენ, რამდენჯერმე ბარშიც გადაკრეს სამსახურის მერე სულგანაბული უსმენდა ელენ დაფის ტრფობით დამწვარი დეივისის აღსარებებს, თუმცა ბარიდან გამოსულს მისი ნალაპარაკევიდან სიტყვაც აღარ ახსოვდა.

ახლა კი ტიმი აშკარად რაღაც სადარდებელს შეეპყრო გაშმაგებული ღეჭავდა ერთდროულად სიგარეტსაც და ფანქარსაც. კიტინგს არაფერი უკითხავს, უბრალოდ, მისი დაფისკენ წაიხარა და მეგობრულად გაუღიმა. დეივისმა ბრაზიანად გამოაფურთხა სიგარეტი: ის-ის იყო უფროსობისგან შეეტყო, დღესაც, უკვე მესამედ ამ კვირაში, დარჩენა და გვიანობამდე მუშაობა მოგიწევსო.

– გვიანობამდეო, გესმის?! კაცმა არ იცის, როდემდე! თურმე ამაღამ თუ არ დაიხაზა ეს კარნიზი, ვერ გადავრჩებით! – გამეტებით დაჰკრა ხელი გაშლილ ფურცელს, – ერთი ამას დახედე, დილამდე რა მორჩება! რა გავაკეთო?

– შენზე უკეთესი აქ არავინაა და იმიტომ. შეუცვლელი ხარ, ტიმ.

– დაიცა ერთი! საღამოს ელენს უნდა შევხვედროდი! მესამედ ვატყუებ უკვე! აღარც დამიჯერებს. მითხრა კიდეც... მორჩა გაი ყოვლისშემძლესთან ავდივარ და პირდაპირ ვეუბნები, რა უნდა უქნას

მკითხველთა ლიგა

თავის ნახაზებსაც და სამსახურსაც! ამოვიდა ყელში!
_ მოიცა, – კიტინგი გვერდით ამოუდგა, – დაწყნარდი. სხვა გზაც არსებობს. მე დაგიმთავრებ მაგ ნახაზებს.
– რა-ა?
– დავრჩები და მივხედავ. ნუ გეშინია. ვერავინ ვერაფერს გაიგებს.
– ხუმრობ?
– საღამოს საქმე მაინც არაფერი მაქვს... დაიცადე, სანამ ყველა წავა და შენც მოუსვი.
– გადამარჩინე, პიტ! – დეივისმა შვებით ამოისუნთქა, – მაგრამ თუ გაიგეს, ჩემი საქმე წასულია... თან... ჯერ გამოუცდელი ხარ.
– ნუ დარდობ, ვერ გაიგებენ!
– ეხლა უსამსახუროდ ნაღდად ვერ დავრჩები... ხომ აზრზე ხარ, პიტ?! დაქორწინებას ვაპირებთ. რამე რო მოხდეს...
– არ მოხდება-მეთქი არაფერი.
შვიდი იყო დაწყებული, დეივისმა რომ თავისი დაფა-ნახაზები კიტინგს გადააბარა, თვითონ გაიპარა და მარტოდმარტო დატოვა დაცარიელებულ ოთახში.
კიტინგი ერთადერთი ანთებული, მწვანეთალფაქიანი ნათურის ქვეშ იდგა და მთელი დღის ღრიანცელის შემდეგ სამ უცნაურად დადუმებულ, გრძელ, ერთმანეთზე გადაბმულ, უკაცრიელ ოთახს გასცქეროდა: იქაურობის მესაკუთრედ აღიქვამდა თავს იმწუთას თუ არა, სამომავლოდ მაინც უთუოდ. ოდნავი ეჭვიც კი არ ეპარებოდა, ისევე როგორც დასახული გეგმის წარმატებაში....
ათის ნახევარზე საქმეს მორჩა, ნახაზები დააბინავა და ოფისიდან გამოვიდა. დანაყრებული კაცივით კმაყოფილი და თან ოდნავ დარცხვენილი მიუყვებოდა ქუჩას. უცებ საკუთარი სიმარტოვის განცდამ შეაწუხა. ამ საღამოს მაინც აუცილებლად სჭირდებოდა ვინმე ხმის გამცემი. არადა, არც არავინ ეგულებოდა. პირველად ინატრა, ნეტა დედაჩემიც ნიუ-იორკში იყოსო. მაგრამ ის სთენტონში დარჩა იმ ბედნიერი დღის მოლოდინში, როცა შვილი თავისთან გადაიყვანდა საცხოვრებლად. არა, ამ საღამოს წასასვლელი არსად ჰქონდა, იმ პატარა, კოხტა პანსიონის გარდა დასავლეთ ნიუ-იორკის ოცდამერვე ქუჩაზე, სადაც კიბეზე სამ
სართულს აივლიდა და თავის დაწკრიალებულ, ჩახუთულ ოთახში შეიკეტებოდა. ვიღაცეებს კი იცნობდა ქალაქში, არაერთ გოგოს მაგალითად, ერთთან სასიამოვნო ღამეც კი გაატარა, ოღონდ მათგან ახლა მაინც არავის ნახვა არ სურდა. ფიქრში უცებ თავისთავად ამოტივტივდა ქეთრინ ჰელსის სახელი.
გამოსაშვები ბანკეტის მერე დეპეშა გაუგზავნა, მაგრამ იმ დღიდან აღარც გახსენებია. ახლა კი საოცრად მოუნდა მისი ნახვა; სურვილი უცაბედი იყო და მოურეველი. ავტობუსს შეახტა და გრინვიჩ ვილიჯამდე შორი მგზავრობისთვის მოემზადა მარტოდმარტო იჯდა წინა სკამზე და ყოველ წითელ შუქზე გულში ენერგიულად ლანძღავდა შუქნიშნის მომგონს. ქეთრინთან შეხვედრის წინ სულ ასე ფორიაქობდა და ვერაფრით აეხსნა, რა ემართებოდა ხოლმე.
ქეთრინი ერთი წლის წინ გაიცნო ბოსტონში, სადაც ის დაქვრივებულ დედასთან ერთად ცხოვრობდა. თავიდან მორცხვი და მოსაწყენი ეჩვენა, იმ პირველ დღეს, გულიანი ღიმილის გარდა თავი ვერაფრით დაამახსოვრა და არც ის უფიქრია, კიდევ თუ ნახავდა როდისმე. მეორე დღესვე დაურეკა. მისი სტუდენტობის დროინდელი გოგოებიდან ქეთრინი იყო ერთადერთი, ვისთანაც მოუწია, რამდენიმე კოცნით

მკითხველთა ლიგა

შემოფარგლულიყო. ნებისმიერი გოგონა მისი ხდებოდა, თუ მოინდომებდა და ეს თავადაც მშვენივრად მოეხსენებოდა; იცოდა, არც ქეთრინი ეტყოდა უარს; მით უმეტეს, გოგოს უყვარდა და ეს ღიად, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე აღიარა კიდეც; მისგან არაფერი მოუთხოვია, არაფრით დაუვალდებულებია. არადა, რატომღაც მაინც შეიკავა თავი. მაშინ, სტუდენტობისას, ძალიან ამაყობდა ხოლმე მის გვერდით მყოფი გოგოებით ყოველთვის სხვებისგან გამორჩეულები იყვნენ, საუკეთესოდ ჩაცმულები... ძმაკაცების შურიანობაც ახალისებდა. აი, ქეთრინის
უბრალოებისა და უაზრო დაუდევრობის გამო კი სირცხვილი კლავდა და იმაზეც ბრაზობდა, არც ერთი სხვა ბიჭი მეორედ ზედ არ შეხედავდაო. არადა, არც ისეთი ბედნიერება უგრძნია როდისმე, როგორიც მაშინ, როცა თავიანთ ინსტიტუტში დაპატიჟა ცეკვებზე. ბევრ ბობოქარ სამიჯნურო მორევში უცურავია, ბევრისთვის შეუფიცია საუკუნო სიყვარული; ქეთრინიც ბევრჯერ დავიწყებია კარგა ხნით და არც იმას შეუხსენებია როდისმე თავი, მაგრამ მაინც მუდამ თვითონვე უბრუნდებოდა, მოულოდნელად, გაუაზრებლად, როგორც ახლა, ამ საღამოს.

ქეთრინის დედა, პატარა, მორიდებული ქალი, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, შარშან ზამთარს გარდაიცვალა. ქეთრინს ბიძასთან, ნიუ-იორკში მოუწია საცხოვრებლად გადმოსვლა. მის ზოგიერთ წერილს კიტინგი დაუყოვნებლივ პასუხობდა ხოლმე, სხვებს რამდენიმე თვის მერე. ცხადად გრძნობდა, ქეთრინი მისთვის შეუცვლელი იყო; ოღონდ აქ, ნიუ-იორკში, მიუხედავად იმისა, რომ ავტობუსითაც შეეძლო მისულიყო მასთან და ტელეფონითაც შეხმიანებოდა, ერთი თვით ისევ ამოიგდო თავიდან.

ახლა ქეთრინთან მიდიოდა და არც კი უფიქრია, წინასწარ ეცნობებინა ვიზიტის თაობაზე. არც იმაზე დაფიქრებულა, სახლში თუ დამხვდებაო. სულ ასე უბრუნდებოდა ხოლმე და ისიც სულ მუდამ ხვდებოდა უსახური, მაგრამ ძალიან პრეტენზიული შენობის ბოლო სართულზე.დღესაც იგივე მოხდა.

კარი გაუღო და გამარჯობაო ისე უთხრა, თითქოს წინა დღეს დაშორებოდნენ ერთმანეთს.

უცნაურად ეცვა ყველაფერი თითქოს ერთი ზომით დიდი. შავი კაბა მუხლებსქვემოთ ჩამოჩაჩვოდა, მამაკაცის პერანგის მაღალი საყელო გვერდზე მოჰქცეოდა და ლავიწის სიფრიფანა ძვალი მოუჩანდა; სახელოები მყიფე თითებამდე ჩამოგრძელებოდა. წაბლისფერი თმა დაუდევრად აეკრიფა, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს მთვარის ბაკმივით შემოსალტოდა თხელ სახეზე. დიდი, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, ოღონდ ახლომხედველი იყო და ახლაც თვალმოწკურული იმზირებოდა სულ ოდნავ, ტუჩის კუთხეებით მოღიმარი.

– როგორ ხარ, ქეითი? – ისე ჰკითხა, ჩვეულებისამებრ, თორემ უკვე მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ამ სახლშიც და საერთოდაც... ჯერ აპირებდა, დაწვრილებით აეხსნა ყველაფერი დაძაბული სამუშაოს თაობაზე და მთელი ამბავი, მაგრამ ახლა აღარც ამის საჭიროება ჩანდა. _

– ქუდი მომე... მაგ სკამზე არ დაჯდე, ყანყალებს. ოთახში შევიდეთ... წამო.

ოთახი უბრალოდ, მაგრამ თვალში საცემი გემოვნებით იყო გაწყობილი; იაფი ხის თაროები ოქროსვარაყიანი სქელ-სქელი ტომებით იყო სავსე, ოღონდ არეულ-დარეულად: აშკარად, სილამაზის გამო არ გამოეფინათ და ხშირადაც მოიხმარდნენ ხოლმე. სპეციალურ დაფაზე რემბრანდტის დალაქავებული, სიძველისგან გამოხუნებული ოფორტი გაეკრათ ალბათ სადმე, მიგდებულ მაღაზიაში ვინმე მოხუცი, ხელმოცარული მხატვრის

მკითხველთა ლიგა

აღმოჩენა არაფრით რომ არ სთანხმდებოდა მასთან განშორებას, სანამ ისეთი თანხა არ შესთავაზეს, უარი რომ ვეღარაფრით თქვა... სულ უნდოდა ეკითხა, ამისთანას რას საქმიანობს ბიძაშენიო, მაგრამ ერთხელაც ვერ გაბედა.

ოთახს ათვალიერებდა და ზურგს უკან ქეითის სუნთქვას გრძნობდა; შემოტრიალდა, მკლავებში მოიქცია, ჩაკოცნა, და გოგომაც ლბილი, მომლოდინე ტუჩები შეაგება არც შემცბარა და არც აღელვებულა, უბრალოდ, ბედნიერი იყო და არც არაფერი უკვირდა.

– ღმერთო, როგორ მომენატრე! – თქვა კიტინგმა და ნამდვილად არ თვალთმაქცობდა.

– დიდად არ შეცვლილხარ... გამხდარხარ ცოტათი.

– ეს რა კომპლიმენტია?

– აბა, სხვა რა?

– მთლად ასეც არ უნდა მომახალო.

– რატომაც არა? მშვენივრად გამოიყურები. ერთი მანახა, ორმოცდაათისა როგორი იქნები შეჭაღარავებული, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწკეპილი სახელოვანი ხუროთმოძღვარი...

– მართლა ასე ფიქრობ?

– შენ წარმოიდგინე, – არა, ნამდვილად არ ეპირფერებოდა.

ვერც კი იფიქრებდა, ქეთრინივით თუ გაუგებდა ვინმე. დარწმუნებული იყო, მომავალში სწორედ ასე იქნებოდა ყველაფერი.

შეკითხვებს ელოდა, ამის მაგივრად კი სთენტონში ერთად გატარებული დღეები გაიხსენეს; ქეთრინი მუხლზე ეჯდა, მკლავზე ჰყავდა გადაწვენილი და თვალებში ჩასცქეროდა, ერთად იცინოდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ მოყოლას რა სასაცილო საცურაო კოსტიუმები იყო მაშინ მოდაში, სთენტონის სანაყინე, სადაც ზაფხულის უამრავი საღამო ჰქონდათ გატარებული... კიტინგი კი გულში იმას ფიქრობდა, რა სისულელე იყო ეს ყველაფერი, როცა უამრავი მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა სათქმელი და საკითხავი; "არ შეიძლება ამდენი ხნის უნახავი ხალხი ასეთ რამეებზე ხარჯავდეს დროს," – ფიქრობდა პიტერი. ქეითისთვის კი, ეტყობა, სწორედ ეს სავსებით ნორმალური იყო საერთოდ არც იმჩნევდა, თუ დაშორებოდნენ ერთმანეთს ოდესმე.

ბოლოს, მაინც ისევ პიტმა ჰკითხა:

– ჩემი დეპეშა მიიღე?

– კი. დიდი მადლობა.

– არ გაინტერესებს, ნიუ-იორკში რას ვსაქმიანობ?

– რა თქმა უნდა. რას საქმიანობ?

– დიდ დაინტერესებას რაღაც ვერ გატყობ.

– როგორ თუ არა! დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი.

– მერედა, რატომ არაფერი მკითხე?

– როცა მოგინდება, თვითონ მეტყვი.

– შენთვის რამე მნიშვნელობა აქვს?

– რას?

– რასაც ვაკეთებ.

– როგორ არ აქვს... თუმცა არც ისე დიდი.

– როგორ გამახარე!

– რას გეტყვი, იცი, ჩემთვის მართლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას საქმიანობ მთავარი შენ ხარ.

– ეგ როგორ?

– აქ რომ ხარ. ან ამ ქალაქში. ან სადმე სხვაგან. რა ვიცი. მთავარია, რომ

მკითხველთა ლიგა

არსებობ.
– არა, ცოტათი მაინც სულელი ხარ, ქეითი. შენი პირდაპირობა მაგიჟებს. არ შეიძლება, კაცს ასე მიახალო, ჭკუას მაკარგვინებო.
– და თუ მართლა ასეა?
- მაინც... ხიბლი მოგაკლდება.
– და თუ არავის მოხიბვლას არ ვაპირებ?
– მეც ვიგულისხმები?
– შენ ისედაც მოხიბლული ხარ... არა?
– კი, – მკლავებში მოიმწყვდია, – სამუდამოდ. ეტყობა, მე შენზე სულელი გამოვდექი.
– ძალიანაც კარგი, ესე იგი, ყველაფერი ძალიან კარგადაა! – თმაში შეუცურა თითები, – მართალი ვარ?
– შენთვის ყოველთვის ყველაფერი კარგადაა... სწორედ ეს არის საუკეთესო ჩვენს ურთიერთობაში. მაგრამ მისმინე ერთი წუთით, მინდა მოგიყვე, რას ვაკეთებ, ეს მნიშვნელოვანია.
– ყურადღებით გისმენთ, მისტერ კიტინგ!
– მოკლედ, ფრენკონთან და ჰეიერთან რომ ვმუშაობ, ეგ იცი... ისე, ვინ არიან,იცი?
– კი. წიგნში ვნახე. "ვინ ვინაა არქიტექტურაში". კარგი რამეები ეწერა ორივეზე. მერე ბიძაჩემსაც ვკითხე. პირველები არიან თავიანთ საქმეშიო...
– სწორი უთქვამს. ფრენკონი ნიუ-იორკში საუკეთესო დიზაინერია, იქნებ მთელ ამერიკაშიც... ან შეიძლება, მსოფლიოშიც. ჩვიდმეტი ცათამბჯენი ააშენა, რვა ტაძარი, რკინიგზის ექვსი სადგური და რა ვიცი, კიდევ რა... ისე, შენც ხვდები ალბათ ერთი ბებერი იდიოტია, ყველას ელაქუცება და...
უცებ გაჩუმდა, პირდაღებული მიაჩერდა ქეითს. ამის თქმას არ აპირებდა. ადრე ამაზე ფიქრის ნებაც არ მიუცია საკუთარი თავისთვის.
ქეთრინი მშვიდად შესცქეროდა.
– მერე? – ჩაეკითხა, – გააგრძელე...
– ხოოო... მოკლედ... – ენა დაება, მიხვდა, ახლა მხოლოდ გულწრფელად შეეძლო ელაპარაკა, – სინამდვილეში, სწორედ ასეთი აზრის ვარ მისტერ ფრენკონზე. თან მსიამოვნებს იმასთან მუშაობა. როგორი ამბავია?
– ძალიანაც ჩვეულებრივი. უბრალოდ, ამბიციური ადამიანი ხარ, რა მოხდა მერე?
– და ეს არ გაღიზიანებს?
– არა. შენ შენი მიზანი გაქვს.
– ჩემივე არჩეული. არადა, ყველაფერი არც ისე ცუდად მიდის: უდიდესი ფირმაა, ქალაქში საუკეთესო. საჭირო საქმეს ვაკეთებ და ფრენკონიც ჩემი ძალიან მადლიერია. პატივსაც მცემენ. ბოლოს და ბოლოს ალბათ მოვახერხებ, ნებისმიერ თანამდებობაზე მოვხვდე... ოღონდ ამ საღამოს ერთი კაცის გასაკეთებელი საქმე გავაკეთე, ის კი ვერც ხვდება, მალე რომ აღარავის დასჭირდება მაგის მხაზველობა... ქეით! გესმის, რას ვლაპარაკობ?
– დაწყნარდი, მესმის ყველაფერი, ნუ ნერვიულობ.
– რომ გესმოდეს, მეტყოდი, რასაც ფიქრობ ჩემზე, რასაც ვიმსახურებ... გამაჩერებდი.
– არა, პიტერ. არ მინდა შეიცვალო. ასეთი მიყვარხარ.
– ღმერთმა გიშველოს!
– მიშველის კიდეც.
– იცი, საშველად გაქვს საქმე და ასე მშვიდად ლაპარაკობ? ვითომც არაფერიო...

მკითხველთა ლიგა

– რა მოხდა? რა არ გესმის? ხომ გითხარი, მიყვარხარ-მეთქი!
– ხო, კარგი! ყველაფერი მესმის... ქეით... იცი, შენსავით არასდროს არავინ მყვარებია..
– ეგეც ვიცი:
მაგრად ჩაიხუტა გულში, მთელი ძალით, თან ეშინოდა, ეს უწონო პატარა სხეული უცებ საერთოდ არ გაცრეცილიყო. ვერ ხვდებოდა, რატომ უჩნდებოდა ამ გოგოსთან იმის ხმამაღლა აღიარების ჟინი, ფიქრში საკუთარ თავსაც რომ ვერ უტყდებოდა ხოლმე. ვერც ის გაეგო, რამ გაახუნა იმ გამარჯვების განცდის სიხარული, რისი გაზიარების სურვილმაც მოიყვანა აქ. თუმცა უკვე ტვინის ჭყლეტასაც დაეკარგა აზრი და უცნაურ, უჩვეულო თავისუფლებას გრძნობდა ქეთრინი ხომ მუდამ უმსუბუქებდა იმ წნეხს, სახელი რომ ვერ მოუნახა ვერასდროს, თითქოს სულ მარტო, ერთი-ერთზე დარჩა საკუთარ თავთან და თან ნაღდი, ბუნებრივი სახითაც ეჩვენა. ერთადერთი, რასაც ამწუთას მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შეიძლება, მეტხანს ეგრძნო მკერდზე ქეთრინის ტილოს პერანგის შეხება.
მერე ჰკითხა, ნიუ-იორკს როგორ შეეჩვიეო, და ისიც ბედნიერი აჟღურტულდა ბიძამისის ქება-დიდებას მოჰყვა.
– იცი, რა სიცოცხლეა, პიტერ?! გაგიჟდები! თვითონაც უჭირს, მაგრამ შემიფარა და თავისი კაბინეტიც მე დამითმო; მას მერე ამ ოთახში მუშაობს. უნდა გაგაცნო. ახლა წასულია, ლექციებს კითხულობს დასავლეთში, მაგრამ ჩამოვა თუ არა, აუცილებლად გაგაცნობ.
– სიამოვნებით.
– სამსახურის დაწყება მინდოდა, ჩემი ხელფასი მექნება-მეთქი; არაფრით არ ქნა. რა მითხრა, იცი? მეო, – სიტყვასიტყვით გეუბნები, – "ბავშვთა შრომის" არაფერი მჯერა და ჩვიდმეტი წლის გოგო სამუშაოდ რომ გაგიშვა, მერე თავი სად გამოვყოო. ხო საყვარელი ვინმეა? გაგიჟდები, ისეთ რამეებს იგონებს ხოლმე რაღაც თავისი იდეები აქვს, მე ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ ყველა ამბობს, იშვიათი ჭკუის კაციაო. სულ უნდა მაგრძნობინოს, რა ბედნიერია, აქ რომ ვცხოვრობ. ვითომ თვითონ არ შემიფარა... საყვარელი!
– მთელი დღე რას აკეთებ?
– ახლა ისეთს არც არაფერს. წიგნებს ვკითხულობ. არქიტექტურაზე. ტონობით აქვს. როცა ქალაქშია, იმის ლექციებს ვბეჭდავ. არა მგონია, კარგ მბეჭდავად მთვლიდეს, ალბათ პროფესიონალი ურჩევნია, მაგრამ იცის, როგორ მიყვარს ბეჭდვა და ვითომ საქმეს მიჩენს. ხელფასსაც კი მიხდის, ნამდვილი მბეჭდავივით. უარს ვამბობდი, მაგრამ ვინ გისმინა!
– მაინც, რას საქმიანობს?
– უჰ, რა ვიცი, ათას რაღაცას. მაგალითად, ხელოვნების ისტორიას ასწავლის. მგონი, მთლად პროფესორია.
– ისე, შენ როდის აპირებ კოლეჯში?
– რას გეტყვი, იცი არა მგონია, ბიძაჩემმა მოიწონოს ეგ აზრი. ერთხელ ვუთხარი კიდეც, მინდა, თავად გავიკვალო-მეთქი გზა, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს საჩემო საქმე არაა. სწორედ ასე მითხრა: „ღმერთმ, სპილო გამწევ ძალად შექმნა და რწყილი სახტუნაოდ; რა საჭიროა, ბუნების კანონებზე ატარო ექსპერიმენტები. ისე, თუ არ იშლი...” მოკლედ, წინ არ მეღობება, მაგრამ არც...
– ეცადე, არ გადაგაფიქრებინოს.
– არა, არც მასეა საქმე, უბრალოდ... სკოლაშიც არ ვბრწყინავდი და საერთოდ... თუმცა რა, დრო ჯერ კიდევ მაქვს, მოვიფიქრებ.
– დაიცა, ქეითი, არ მომწონს ეს ამბავი. სულ კოლეჯზე ოცნებობდა და

მკითხველთა ლიგა

ახლა ეგ ბიძაშენი თუ...
– ასე ნუ ამბობ. რომ იცოდე, როგორი არაჩვეულებრივი ვინმეა. მისნაირი საერთოდ არავინ მინახავს. ისეთი კეთილია, გამგები... თან სულ ხუმრობს, გეთამაშება და ვერც კი ხვდები, როგორ პოულობს შენთვის დროს. საათობით მელაპარაკება ხოლმე გაფიცვებზე და ფაბრიკა-ქარხნებში აუტანელ შრომაზე და საერთოდ, სულ სხვებზე და მათ პრობლემებზე ლაპარაკობს არასოდეს საკუთარ თავზე... არც ჩემი სულელური შეკითხვები უშლის ნერვებს და არაფერი... ერთმა მისმა მეგობარმა
ისიც კი მითხრა: ბიძაშენმა რომ მოინდომოს, ძაან-ძაან მდიდარი ვინმე გახდებოდაო, მაგრამ ფული საერთოდ არ აინტერესებს...
– რაღაც არა მჯერა.
– გაიცნობ და დაიჯერებ. ჰო მართლა, შენზე ვუთხარი და ძალიან უნდა შენი გაცნობა. რომეო-სახაზავი შეგარქვა...
– ოჰ,ნუთუ?!
– კარგი რა ცუდად კი არაფერი უთქვამს! სულ ასე ლაპარა კობს ხოლმე. ნახავ, ბევრი რამე გექნებათ საერთო. იქნებ ხელიც წაგაშველოს, რა იცი. არქიტექტურაში მართლა ერკვევა არ ვხუმრობ. მოკლედ, შანსი არაა, ბიძია ელზუერთი არ მოგეწონოს.
– ვინ? დაიცა, რა ჰქვია ბიძაშენს?!
– ელზუერთ თუი. რა მერე?
ხელები ჩამოუვარდა. პირდაღებული მისჩერებოდა.
– რა მოხდა, პიტ?
ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და მერეღა ამოიღო ხმა:
– შანსი არაა. ბიძაშენს ვერ შევხვდები.
– რატომ ვითომ?
– ასე არა. არა შენგან... რას გეტყვი, იცი, ქეით აზრზეც არა ხარ მე რა კაცი ვარ... სულ ვიღაცის გამოყენებაზე ვარ დაგეშილი... არ მინდა, შენთანაც ასე გამომივიდეს.
– მე რაღაში უნდა გამომიყენო?.. რას ამბობ?!
გაეცინა. ხმამაღლა, დაუფარავად.
– მაშ, არქიტექტურაშიც ერკვევა, არა? ჩემო პატარა სულელო, ა? საქმეში მაგაზე მნიშვნელოვანი კაცი, მგონი, არც არავინაა! თუ არადა - ნაღდად გახდება. ფრენკონისთვის გეკითხა მაგ მელას რას გამოაპარებ! ასე ამბობს, ეგ ელზუერთი ნაპოლეონია არქიტექტურის კრიტიკოსებშიო. არადა, ბევრი არც არავინ წერს ამ თემაზე, ეგ კიდევ წინასწარ იბევებს პირველ ადგილს... უნდა ნახო, მის ყოველ სტატიას ლოცვანივით აბულბულებენ! იქნებადა, ხელიც შეგაშველოსო? თუ მოინდომა ზედ კვარცხლბეკზე დამასკუპებს! ეგ დღეც მოვა, ნაღდად მოვანდომებინებ როგორც ფრენკონს ავაყვანინე თავი. ოღონდ არა ასე, არა შენი წყალობით, გასაგებია?
– ვერაფერიც ვერ გავიგე! რატომ არა?
– იმიტომ, რომ არ მინდა! ბინძური საქციელი იქნება და მეტი არაფერი, ისედაც ქუჩის ქალი მგონია თავი მართლა პროსტიტუციასავითაა ეს ჩვენი საქმე და ახლა სუტენიორიღა მაკლდა! არ მინდა, ამაში გაგხვიო, გაიგე?! ერთი მარტო შენთან ურთიერთობა შემრჩა წმინდა და ახლა...
– ახლა რა?
წამოდგა და წინ დაუდგა მჯდომარეს. მერე ახლოს მიიწია, ხელები მოხვია, თმები აუჩეჩა.
– კარგი, როგორც იტყვი. მაგრამ ბიძაჩემი თუ დაგჭირდა, მითხარი არ დამიმალო. გამომიყენე რა ვინ გამადლის...

მკითხველთა ლიგა

ქვეშ-ქვეშ ამოხედა. ქალი უღიმოდა, ალერსით.
– გადაღლილი ჩანხარ, პიტ... გინდა, ჩაი გაგიკეთო?
– რომ არ გეთქვა, აღარც მახსოვდა ლუკმა არ ჩამსვლია დღეს პირში... დრო არ მქონდა.
– გადამრევ ნამდვილად! შეიძლება ასე?! თავს დაიავადმყოფებ! სამზარეულოში წამო, რამეს მოვიფიქრებ...
ორი საათის მერე წამოვიდა მისგან ლაღად, მსუბუქად მოაბიჯებდა, აღარც მისტერ თუი ახსოვდა და აღარც თავისი შეფი, მისტერ ფრენკონი. მარტო იმაზე ფიქრობდა, მეორე დღისთვის ისევ რომ დაჰპირდა მისვლას – იქამდე რა მოიცდისო. ქალი კი კარის წირთხლს მიჰყრდნობოდა, ქუჩის სიბნელეს გასცქეროდა და მისი ფიქრიც პიტს დასტრიალებდა: "ნეტა, მართლა ხვალაც მოვა. თუ სამი თვის შემდეგ?”

• • •

– საქმეს რომ მორჩები, ჩემთან შემოდი, – უთხრა კამერონმა.
– კი ბატონო, – მიუგო რორკმა.
კამერონი სწრაფად შეტრიალდა ქუსლებზე და მხაზველების ოთახიდან გავიდა. ერთი თვის მანძილზე ჯერ არასოდეს უთქვამს რორკისთვის გადაბმულად ამდენი სიტყვა.
რორკი ყოველ დილით შედიოდა ამ ოთახში და დავალებულ საქმესაც ისე აკეთებდა, კამერონისგან არც ქება მოუსმენია, არც შენიშვნა ჩუმად შემოვიდოდა, ზურგს უკან დაუდგებოდა და უსიტყვოდ მიაჩერდებოდა ხოლმე ნახაზს. თითქოს ცდილობდა, ამ მზერით ეიძულებინა შეგირდი, ხელი აჰკანკალებოდა და ფურცელზე სწორად ვერ გაევლო ხაზი. ორ დანარჩენ მხაზველს მარტო ზურგს უკან აჩრდილივით ასვეტილი კამერონის წარმოდგენაზეც კი ერეოდა თავგზა, რორკი კი ვითომ საერთოდ ვერც ამჩნევდა მშვიდად აგრძელებდა ხაზვას, არც ხელს აკლდებოდა სიმტკიცე და წვერდაბლაგვებულ ფანქარსაც ხაზგასმით დინჯად, აუჩქარებლად ცვლიდა ახლით. "ა-ჰაა," – უცებ, მოულოდნელად ჩაიბურდღუნებდა კამერონი. რორკიც მხოლოდ მაშინ შეაბრუნებდა ხოლმე მისკენ თავს, თავაზიანი ყურადღებით შეხედავდა და რაშია საქმეო? – ჰკითხავდა. კამერონი არაფერს ამბობდა, შეტრიალდებოდა და მიდიოდა; მარტო თვალებს წკურავდა რაღაც სხვანაირად და ეტყობა, ამით სურდა მიეხვედრებინა რორკი, პასუხის აუცილებლობას ვერ ვხედავო. ისიც კვლავ საქმეს უბრუნდებოდა.
– არ მომწონს ეს ამბავი, – ეუბნებოდა ლუმისი ახალგაზრდა მხაზველი სიმპსონს, თავის მხცოვან კოლეგას, – ბებერს ბიჭი გულზე არ ეხატება. თუმცა, ალალად გითხრა, ვერც გაამტყუნებ. ეგ აქ დიდხანს გამჩერებელი არ არის.
მთლად მიხრწნილ დაუძლურებული სიმპსონი დიდი ხანია, კამერონთან მუშაობდა და ახლა უკვე სამადლოდ ინახავდნენ, თუმცა თვითონ ვერაფერს ხვდებოდა. ლუმისი ახალგაზრდა იყო, სახე სოფლის დუქნის დახლიდარს მიუგავდა; ბევრგან დაეთხოვათ და ბოლოს აქ ეპოვა ნავსაყუდელი.
რორკი კი ორივეს აღიზიანებდა როგორც საერთოდ ყველას და ყველგან, ლამის დანახვისთანავე. ისე, მართლა სეიფის კარს მიუგავდა სახე, ოღონდ ამ სეიფში თუ რამე ძვირფასი ინახებოდა, ამაზე ფიქრით ზედმეტად აღარავინ იწუხებდა თავს. მის გვერდით მუდამ სუსხი და შფოთვა ისადგურებდა, უცნაურ განცდას უჩენდა ირგვლივ მყოფთ _

მკითხველთა ლიგა

თითქოს რაღაც საგანგაშო წინათგრძნობით მუხტავდა ჰაერს, არადა, თვითონ იქ არც იყო; არა, პირიქით: თითქოს მარტო თვითონ იყო და სხვა არავინ...

სამსახურიდან შინ ფეხით ბრუნდებოდა, თუმცა კი საკმაოდ შორს, ისტ-რივერის მახლობლად იქირავა ბინა მრავალსართულიან სახლში. აქაურობა იმიტომ შეარჩია, კვირაში ორდოლარ-ნახევრად მთელი ბოლო სართული რომ დაუთმეს ვეებერთელა ოთახი, ყოფილი საწყობი. უჭერო ოთახში, შიშველ კოჭებს შორის, პირდაპირ სახურავი მოჩანდა. სამაგიეროდ, ორ კედელს, მთელ გაყოლებაზე, ფანჯრები ჰქონდა დატანებული და მართალია, ზოგში შუშა იყო ჩასმული, ზოგშიც მუყაო, მაგრამ ერთი რიგი რომ მდინარის ხედს გადაჰყურებდა, მეორედან ლამის ნახევარი ქალაქი მოჩანდა.

წინა კვირას მხაზველებთან კამერონი შევიდა და რორკს სოფლის სახლის რაღაც უცნაური ესკიზები მიაჩეჩა ნახე ერთი, აქედან შენობას თუ გამოიყვანო. სხვა არაფერი, მოტრიალდა და წამოვიდა მომდევნო რამდენიმე დღე ახლოსაც აღარ გაჰკარებია. რორკმა ნახაზები მოამთავრა და კამერონს დაუტოვა მაგიდაზე. დილით კამერონი ისევ გამოჩნდა მხაზველებთან, რორკს ახლა ლითონის კონსტრუქციის გეგმა დაუტოვა და უთხრა, მოგვიანებით ჩემს კაბინეტში შემოდიო; მერე, მთელი დღე, ისევ აღარ გამოჩენილა.

სხვები უკვე წასულიყვნენ. რორკმა თავის სახაზავ დაფას ტილოს ძველი ნაჭერი ჩამოაფარა და კამერონის კაბინეტში შევიდა. კამერონს აგარაკის ნახაზები მაგიდაზე გაეშალა. ნათურის შუქი ირიბად ეცემოდა მის ყვრიმალს, ოდნავ შევერცხლილ წვერს, მომუშტულ ხელსა და ნახაზის მკვეთრ, თითქოს შავად ამოტვიფრულ ხაზებს.

– გათავისუფლებული ხარ! – აჯახა კამერონმა.

რორკი შუა ოთახში იდგა სიმძიმე ერთ ფეხზე გადაეტანა, ხელები ჩამოეშვა და ცალი მხარი გვერდზე ჩამოვარდნოდა.

– ვითომ? – იკითხა მშვიდად, ადგილიდან არ დაძრულა.

– მოდი აქ, – თქვა კამერონმა, – დაჯექი.

რორკიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

– მაგარი ხარ, – კამერონი თითქოს დაღლილი ლაპარაკობდა, – მეტისმეტად მაგარი საიმისოდ, რასაც საკუთარ თავს უპირებ. უაზრობაა, რორკ, სრული უაზრობა და ჯობია, იქამდე მიხვდე, სანამ გვიანი არაა.

– დავაშავე რამე?

– უაზრობაა, მიუწვდომელ იდეალს დაახარჯო მთელი ენერგია. უბრალოდ, იქამდე არც მიგიშვებენ. სისულელეა, ღვთით ბოძებული ნიჭი სატანჯველად გადაიქციო. გაყიდე ეგ ნიჭი. ახლავე, დღესვე. შენი სამყოფი მაინც დაგრჩება ის კი არა, ჭკუას თუ მოუხმობ, ძალიან დიდ ფულსაც იშოვი. სიამოვნებით გადაგიხდიან, ოღონდ კი თავი გაუყადრე და რამედ ჩააგდე. კომპრომისი რას ნიშნავს, არ გაგიგია? ჰოდა, ზუსტად ახლაა დათმობის დრო, მერე მაინც გაიძულებენ... ოღონდ მანამდე, ვერც წარმოიდგენ, რა გზის გავლა მოგიწევს! დაიტანჯები. ჩემსავით. დამიჯერე. ჯერ კიდევ შეგიძლია, ეგ ყველაფერი აიცილო. წადი, ვინმე სხვა მოძებნე.

– თქვენ რა, ეგრე მოიქეცით?

– დიდი თავდაჯერებული და თავხედი ვინმე ხარ! მართლა ეგეთი მაგარიც კი არა ხარ! როდის გითხარი, ჩემსავით... – უცებ გაჩუმდა, დაინახა რორკი იღიმებოდა..,

მიაჩერდა და მოულოდნელად თვითონაც გაეღიმა; რორკს ასეთი მწარე ღიმილი ჯერ ცხოვრებაში არ ენახა.

– არა, – თქვა კამერონმა უკვე მშვიდად, – ტყუილია ყველაფერი,

მკითხველთა ლიგა

არაფერი არ... კეთილი, რა გაეწყობა. ალბათ მაინც მართალი ხარ. ოღონდ ერთი კი უნდა გითხრა. არ ვიცი, როგორ დავიწყო... შენნაირ ხალხთან ლაპარაკს გადავეჩვიე. არა, გადავეჩვიე კი არა, არც არასოდეს შემეძლო. ეცდები მაინც, გამიგო?

– უკვე მესმის. ტყუილად კარგავთ დროს.

– ნუ თავხედობ. უნდა მომისმინო. მოსმენა შეგიძლია?

– დიახ, რა თქმა უნდა. ბოდიშს გიხდით. თავხედობით არ მომსვლია.

_ შენი მთავარი შეცდომა ჩემთან მოსვლა იყო და მეც თავს ვერ ვაპატიებ, დროზე თუ არ გაგიშვი აქედან. დავიჯერო, არავინ გაგაფრთხილა? იცოდე, ჩემი დახმარების იმედი არ გქონდეს... პირიქით მუდამ კრიჭაში ჩაგიდგები, არ ამოგასუნთქებ, შემთხვევით გზიდან რომ არ გადაუხვიო... იგივე უნდა დარჩე, რაცა ხარ, ან უარესი გახდე. კიდევ ერთი თვე და, ვეღარც გაგიშვებ ხელიდან... არადა, ჯერ კიდევ შეგიძლია, დამისხლტე. დავას შეეშვი და სანამ დროა, მომწყდი თავიდან!

– რაღა დროსია... ორივემ დავაგვიანეთ. ყოველ შემთხვევაში, მე ათი-თორმეტი წლით მაინც.

– სცადე. ერთხელ მაინც მოუხმე ჭკუას. რამდენი გაზულუქებული ვინმეა – ერთი ჩემი ნათქვამი და ციმციმ აგიყვანენ, შენს სთენტონიდან გამოგდებას ყურადღებასაც არავინ მიაქცევს... ეგრეა. ზურგს უკან მაქილიკებენ, მაგრამ ოღონდ რამე ან ვინმე დამცინცლონ, წამით არავინ დაფიქრდება მე შენ გეტყვი, ჩემზე უკეთ ამოიცნობენ ნიჭიერ მხაზველს თუ რა? გაი ფრენკონთან გაგატან წერილს ერთ დროს ჩემთან მუშაობდა. დავითხოვე. ორივე ხელით ჩაგებღაუჭება. თავიდან იქნებ არც დაგეხატოს გულზე, მაგრამ დრო გავა და მადლობას მეტყვი.

– ვითომ? არც თავად მოიქცეოდით ასე და რაღაც ვერ გატყობთ, ახლა ამას ალალად მეუბნებოდეთ...

– მეც მაგას არ ვამბობ?! არ მოვიქეცი და რა მოვიგე?! მისმინე, რორკ, შენ რომ ვინმე მასხარა იყო თვალთმაქცობდე და ხალხს ნაცარს აყრიდე თვალებში ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ თავფეხიანად ხარ საქმეში ჩართული! გიყვარს ეგ საქმე და ვერც შეელევი! და სწორედ ეგაა კაცის წყევლა დაღდასმული ხარ და ამას ყველა ხედავს... და გიყენებს. ქუჩაში ხალხისთვის არასოდეს გიდევნებია თვალი? მიდი-მოდიან, თავიანთ პატარ-პატარა საქმეებზე მიიჩქარიან და მხოლოდ ერთი აქვთ საერთო: დასანახად ვერ იტანენ იმას, ვინც თავის პროფესიაზეა შეყვარებული! მხოლოდ მასეთ ვინმეს უფრთხიან და ეშინიათ არც ვიცი, რატომ. შენ კი მათ მიმართ გულღია ხარ და სრულიად დაუცველი!

– როდის იყო, ქუჩაში ხალხს ვამჩნევდი.

– ვერ ხედავ, მე რა მიქნეს?

– მარტო იმას ვხედავ, რომ არასოდეს გშინებიათ. მე რაღას მაფრთხობთ?

– სწორედ მაგისთვის! – წინ გადმოიხარა, მუშტებით დაეყრდნო სახაზავ დაფას, – მაინცდამაინც გინდა, ბოლომდე მათქმევინო სათქმელი?! დანდობა არ იცი, არა? კი ბატონო, რა ძნელი ეგაა: ჩემნაირი გინდა გახდე და ჩემსავით გინდა დაამთავრო-მეთქი?

რორკი წამოდგა, ახლა სანათის ოთხკუთხა თალფაქით მოჭრილი შუქის ზედ კიდეზე იდგა.

– სიცოცხლის ბოლოს, – თქვა წყნარად, – თუკი ისევ აქ ვიქნები, სახაზავ დაფასთან მიმჯდარი, ჩავთვლი, რომ ტყუილად არ მიცხოვრია.

– დაჯექი ადგილზე! – იბღავლა უცებ კამერონმა, – ეს რა დემონსტრაციაა!

რორკმა გაკვირვებით დაიხედა ძირს, მერე დაფას გახედა:

მკითხველთა ლიგა

– მაპატიეთ. ჩემდა უნებურად წამოვდექი.

– ჰოდა, დაჯექი. და მისმინე. შენიც მესმის. კარგი ბიჭი კი ხარ, მაგრამ ამ ცხოვრების არაფერი გაგეგება. მეგონა, ორ-სამ დღეში გამოგიბერტყავდი თავიდან მაგ კერპთაყვანისმცემლობას. არ გამომივიდა. ახლა დავარდნილხარ აქ ქადაგად და გაიძახი დიდოსტატი, მარტვილი, დიად საქმეს შეწირული მოძღვარი კამერონი მასთან ვარ და მასთან ერთად შევაკლავ თავს საკუთარ რწმენასო. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლის ბოლომდე დაჭყლეტილი ჰამბურგერების მეტს არაფერს შეჭამ, ისიც სადღაც, მიგდებულ სასაუზმეში... მესმის, განა არა ახლა ეს მშვენიერი რამეა, სანამ ოცდაორი წლისა ხარ... ოცდაათი წლის მერე რაღას იზამ? თუ აზრზე ხარ, რამდენი დღეა ოცდაათ წელიწადში?! და მთელი ამ დღეების მანძილზე რა ჯოჯოხეთიც გელის? არ იცი.

– არცაა საჭირო.

– არა, საჭიროა! საჭიროა და ეგრე?! ისეთი დღეებიც გელის, ხელებზე რომ დაიხედავ და ერთი სული გექნება, მიამტვრ-მოამტვრიო ირგვლივ ყველაფერი, იმიტომ რომ ყელში ამოგიყვანენ ყველაფერს... და ამაზე უარესი კიდევ ისაა, ავტობუსში რომ ახვალ და მძღოლი რომ ბილეთის ფულს გთხოვს, შენ კიდევ გეჩვენება მასხრად მიგდებს, ჩემს ცარიელ ჯიბეს დასცინისო... მერე კიდევ სადმე კუთხეში მიდგები ხალხით გატენილ დიდ დარბაზში, ვიღაც იდიოტი კი, შემაღლებულიდან, სწორედ შენს საყვარელ შენობებზე ილაპარაკებს, იმ საქმეზე რაზეც თავფეხიანად შეყვარებული ხარ, და ისეთ სისულელეებს ილაპარაკებს, იფიქრებ აი, ახლა ადგება ვინმე და ჩამოაგდებს იქიდანო... ხალხი კი ტაშს დაუკრავს. შენ კიდევ ყვირილი მოგინდება, ოღონდ ხმასაც არ გაიღებ, იმიტომ რომ უკვე აღარც ის გეცოდინება, ვინ მართალია და ვინ მტყუანი; ეს ხალხი მართლა არსებობს, თუ უკვე შენ გეჩვენება რაღაც-რაღაცეები; ყველა ასე გამოშტერდა გარშემო, თუ ეს შენ ვეღარ აზროვნებ საღად... ყვირილი მოგინდება-მეთქი, მაგრამ რა აზრი ექნება რა შენი ენა აღარავის გაეგება იმ ბრბოში და საერთოდაც, ისე გაგწევენ გვერდზე, როგორც უსარგებლო ნივთს, არათუ ხუროთმოძღვრებაზე დაგაცდენინონ სიტყვა! ეს გინდა?!

რორკი ქანდაკივით იდგა, ლოყებჩაცვენილი, გახევებული; სახე მოქუფროდა, ჯიქურ მზერას არ აცილებდა კამერონს.

– არ არის საკმარისი? – დაეკითხა ისიც, – კიდევ გეტყვი. ერთ დღესაც ისეთ ნახაზს დახაზავ, მის წინ მუხლის მოყრა მოგინდება; ვერც დაიჯერებ, არადა, სწორედ შენი შექმნილი იქნება! მერე სამყარო მშვენიერი მოგეჩვენება, ჰაერში გაზაფხულის სურნელს იგრძნობ და ყველა შეგიყვარდება, დაასკვნი კიდეც, ბოროტება საერთოდ არ არსებობსო. შენი ნახაზებით ხელდამშვენებული გამოხვალ შინიდან, ნაოცნებარი ნაგებობის აშენების იმედით, რადგან ოდნავი ეჭვიც არ გექნება, როგორ შეიძლება, ამ ნახაზების პირველივე მნახველი დაუყოვნებლივ საძირკვლის გათხრას არ შეუდგესო. თუმცა შინიდან შორს წასვლას ვერც მოახერხებ იმიტომ რომ ლამის კარებთანვე შეგაჩერებს გაზის გადასაჭრელად მოსული მოხელე. არადა, საჭმელიც ბევრი არაფერი გექნება მომარაგებული, მთელ ფულს ხომ ნახაზების მომთავრებას მიახარჯავ, ჭამა კი ყველას უნდა და საკვებიც მუქთად არ იშოვება... კარგი, ეგ დიდი

არაფერი, მაგაზე იქნებ გაგეცინოს კიდეც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვინმე საჭირო კაცის კაბინეტში რომ მოხვდები, თავბედის წყევლას აი სწორედ მაშინ დაიწყებ ნეტა გამაქრო და ახლა აქ არ ვიდგე, ნეტა თვითონაც არ მესმოდეს, როგორ ვეხვეწები, როგორ ვემუდარები და

მკითხველთა ლიგა

ვეპირფერები ვიღაც ნაძირალასო. თავი შეგეზიზღება... არადა, ამასაც აიტან, ყველაფერს ჩაყლაპავ, ოღონდ კი იმ შენობის აშენების ნება მოგცენ, რას არ მოითმენ, გულ-ღვიძლს ამოიგლეჯ საკუთარი ხელი, ოღონდ კი დაითანხმო, დაანახო, რა ცეცხლი გიბუგავს შიგანს. ის კი გეტყვის, გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ ხელშეკრულება ეს-ესაა გაი ფრენკონთან გავაფორმეო. შენც შინ დაბრუნდები და იცი, რას იზამ? ატირდები. ქალივით, ანდა ბებერი ლოთივით... ან დაჭრილი მხეცივით აყმუვლდები. აი, ასეთი მომავალი გელოდებათ, მისტერ რორკ-ეგ გხიბლავთ, მაგაზე ოცნებობთ?!

– ეგრეა, – თქვა რორკმა.

კამერონმა მზერა აარიდა; თითქოს თავიც ჩამოუვარდა, ნელ-ნელა, მძიმედ, ვიდრე ნიკაპი მკერდს არ დააბჯინა. გაქვავებული იჯდა, მხრებჩამოყრილი, კალთაში ხელებდაკრეფილი.

– ჰაუარდ, – წაიჩურჩულა ბოლოს, – ეს მე ჯერ არავისთვის მითქვამს...

– მადლობელი ვარ. – მიუგო რორკმა.

როდის-როდის, კამერონმა ისევ ასწია თავი.

– ახლა წადი, – ხმა დამშვიდებოდა, – ბოლო დროს ბევრი სამუშაო გქონდა. ხვალაც მძიმე დღე გელის. მერე ნახაზებისკენ გაიშვირა ხელი ძალიან კარგია. ვიცოდი, რაღაცას მოიფიქრებდი, მაგრამ ასაშენებლად ჯერ მაინც არ ივარგებს. გადაკეთება მოგიწევს. ხვალ აგიხსნი.

5

„ფრენკონისა და ჰეიერის” ფირმაში გატარებული ერთი წლის მერე, კიტინგს ზურგს უკან ყველა "ტახტის მემკვიდრეს" ეძახდა. მართალია, ჯერაც მხაზველად მუშაობდა, მაგრამ აშკარად ფრენკონის ფავორიტად ითვლებოდა. ხშირად სადილობდნენ ერთად, რაც რიგითი თანამშრომლისთვის სრულიად წარმოუდგენელი პატივი იყო. ფრენკონი დამკვეთებთან საუბრის დროსაც არ იშორებდა გვერდიდან და როგორც ჩანს, არც იმათ სწყინდათ ამ თავაზიანი და წარმოსადეგი ახალგაზრდის დასწრება.

ლუშეს ნ. ჰეიერს ერთი უბედურება სჭირდა ეს ახალი როდისღა მივიღეთო? – დააჯახებდა უცებ ფრენკონს ისეთ თანამშრომელზე, რომელიც უკვე წლობით მუშაობდა ფირმაში. არადა, ყველა სახტად დატოვა, როცა თავიდანვე იოლად დაიმახსოვრა კიტინგის გვარი და ყოველ შეხვედრაზეც დიდი ხნის ნაცნობივით მოიკითხავდა ხოლმე. ნოემბრის ერთ უჟმურ საღამოს კი კარგა ხანს ისაუბრეს ძველებური ფაიფურის ავკარგიანობაზე. ფაიფური ჰეიერის ჰობი იყო, ჭკუას კარგავდა და გამორჩეული კოლექციის პატრონადაც ითვლებოდა. კიტინგმა დარგის საფუძვლიანი ცოდნით გამოიჩინა თავი, თუმცა საჯარო ბიბლიოთეკაში გატარებულ წინა საღამომდე, ძველებური ფაიფურის შესახებ ბაიბურშიც არ იყო. ჰეიერი ძალიან ნაამები დარჩა მისი ჰობი ოფისში ხომ არავის აინტერესებდა სხვათა შორის, ისევე, როგორც თავად ჰეიერიც. "ხალხის შერჩევა გეხერხება, გაი,” – უთხრა ფრენკონს, – ”ის ბიჭი ნამდვილად არ უნდა გავუშვათ ხელიდან... რა გვარია? ხო, კიტინგი”. "მართალი ხარ,” – ღიმილით დაეთანხმა ისიც, – "იშვიათი ვინმეა.”

კიტინგს კი თავი ისე ეჭირა, თითქოს ყოველდღიური საქმის გარდა, მისთვის არც არაფერი არსებობდა; სულ ტიმ დეივისს შესციცინებდა, უახლოეს მეგობრად, მასწავლებლად აღიარებდა და არც უმალავდა, რა იმედებს ამყარებდა მასზე საკუთარი პროფესიული წინსვლის თვალსაზრისით...

მკითხველთა ლიგა

დეივისიც უკვე უყოყმანოდ ანდობდა თავის ნახაზებს; არა მარტო დამატებით საქმეს აკეთებინებდა, ყოველდღიური სამუშაოც ლამის მთლიანად კიტინგს გადააბარა. ჯერ უჩუმრად, ფარულად, მერე კი უკვე აშკარადაც. ისე, ამ ამბის გახმაურება მაინც არ უნდოდა, ყველაფერი კიტინგმა დაფქვა: იმ მეგობრის მიამიტი გულწრფელობით, რომელიც თითქოს მხოლოდ სამუშაო იარაღი იყო დეივისის ხელში ასე ვთქვათ, მისი "ფანქარი" – მართლაცდა, რა იყო ამაში დასამალი?!

თავიდან დეივისი რაღაც-რაღაც მითითებებს აძლევდა, მაგრამ ბოლოს მთავარმა მხაზველმაც კი აუღო ალლო ვითარებას და დეივისისთვის სათქმელს უკვე პირდაპირ კიტინგს ეუბნებოდა. ისიც მუდამ ყველაფრისთვის მზად იყო, მოღიმარი, ხალისიანი... "რა თქმა უნდა, მე გავაკეთებ, ტიმს ამ წვრილმანებზე ნუ მოაცდენთ", – მუდმივად ეს ეკერა პირზე. დეივისიც მოეშვა და დინებას მიჰყვა; მთელი დღე ძირითადად ეწეოდა, ანდა სკამზე გაწვებოდა, ფეხებს გაჭიმავდა, თვალებს მინაბავდა და თავის "ერთადერთ და განუმეორებელ" ელენზე ფიქრობდა; როგორ მიდის საქმეო, – ათასში ერთხელ თუ შეეხმიანებოდა კიტინგს,

დეივისი და ელენი გაზაფხულზე დაქორწინდნენ. უკვე ხშირ-ხშირადაც იგვიანებდა, ერთხელ კი ისიც სთხოვა კიტინგს ძაან დაძმა კაცებული ხარ ბებერთან და შიგადაშიგ, თითო-ოროლა სიტყვა მეც შემაწიე ხოლმეო. კიტინგიც ხან რას ჩააწვეთებდა ყურში ფრენკონს და ხან _ რას: მოგეხსენებათ ახალდაქორწინებულების ამბავი ან ჩხუბობენ, ანდა ესიყვარულებიან ერთმანეთს და ახლა ტიმ დეივისს განა რა მუშაობის თავი აქვსო... და ასე, თვეების მანძილზე.

ერთხელაც, ფრენკონმა ხელქვეითთა ხელფასების ნუსხას გადახედა და რას ხედავს ყველაზე მეტს იმას უხდის, ვინც საერთოდ არაფერში არგია...

ასე დაკარგა ტიმ დეივისმა სამუშაო და მის გარდა, ეს არც არავის გაჰკვირვებია. დეივისი კი ჭკუაზე აღარ იყო, ეჩვენებოდა, თითქოს მთელი სამყარო აუმხედრდა და ერთსღა ამბობდა ამქვეყნად პიტერ კიტინგის გარდა, კაცი აღარ დადის ჩემი გამგებიო.

ის კიდევ ამშვიდებდა, ფრენკონს ამართლებდა, ამ ქვეყნის უსამართლობაზეც მოთქვამდა და საბოლოოდ, ექვსდოლარიანი კოქტეილითა და ერთსაათიანი ლაქლაქით, ვიღაც მესამეხარისხოვანი არქიტექტორის მდივანი გოგოს დახმარებით, ტიმ დეივისი ახალ სამუშაოზე მოაწყო.

დროდადრო იხსენებდა ხოლმე ამ ამბავს და საკუთარი თავით მეტად კმაყოფილიც რჩებოდა: ხუმრობა საქმეა, კაცს მთელი ცხოვრება შეუცვალო? მერე კიდევ თვითონაც ხომ გვარიანად იხეირა ამით? საბჭოს საერთო გადაწყვეტილების თანახმად, ტიმის სახაზავი დაფა მთელი ხარახურით თანამდებობა და ხელფასიც კი პიტერ კიტინგს გადაელოცა... მთავარი აქ მაინც სხვა რამ იყო იქნებ ნაკლებ ხელშესახები, მაგრამ მაინც ძალიან საამო. ახლა ხშირ-ხშირად უწევდა ხოლმე თქმა: "ვინა? ტიმ დეივისი? კარგი ბიჭია, მე მოვაწყვე სამუშაოდ იმასთან, რა ქვია იმას..."

დედასაც კი მისწერა ამის თაობაზე და იმასაც საშუალება მიეცა მეგობარ-მეზობლებისთვის გაენდო: "იცით, პიტი ისეა სხვებზე გადაყოლილი..."წერილებს ყოველ კვირას უგზავნიდა. სწერდა მოკლედ და ხაზგასმული პატივისცემით. დედის პასუხები კი, როგორც წესი, გრძელზე- გრძელი იყო და რჩევა-დარიგებებით სავსე. შესაბამისად, ბოლომდე არც კითხულობდა ხოლმე.

ქეთრინ ჰელსისაც დროდადრო თუ ინახულებდა: არც იმ მეორე დღეს

მკითხველთა ლიგა

მისულა და არც მთელი კვირის განმავლობაში. თუმცა, როცა მაინც მოიცალა მისთვის, გოგონას საყვედურის სიტყვა არ დასცდენია და არც ბიძამისი უხსენებია. პიტერი კი თავად ერიდებოდა საკუთარ კარიერაზე ლაპარაკს.

აი, რორკთან გულით უნდოდა გასაუბრება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ტელეფონით რომ ვერ დაუკავშირდა, თავად ეახლა ბინაზე ხუთი სართული აიარა ხვნეშა-ხვნეშით. რამე რომ იყოს, არც კი იცოდა, რას მოელოდა მისგან, რისი გაგონება სურდა; ჯერ კამერონთან მუშაობის თაობაზე დააყარა შეკითხვები, მერე თავისი ამბებიც მოუყვა წვრილად, მაგრამ სულ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მასა და ჰაუარდს ერთმანეთის არაფერი ესმოდათ. კიდევ უფრო გაღიზიანებული წამოვიდა და დაიფიცა, მეტი მაგასთან ფეხის შემდგმელი არა ვარო. მერე მასპინძლის იდაყვებზე გაცრეცილი სახელოები, მუხლებზე ნაჭერდაკერებული შარვალი, ფერგადასული ძველი ფეხსაცმელები გაახსენდა და რაღაც კმაყოფილებასავით იგრძნო. ჩაიცინა და გაიკვირვა კიდეც ნეტა, რა მინდოდა, მაინც რას მოველოდი მაგ ხელმოცარულისგანო...

• • •

– სიმართლე გითხრა, – თქვა კიტინგმა, – მაშინვე ვახშამზე დაპატიჟება ვერ შევბედე, მაგრამ მოუსონის გამოფენაზე კი მომყვება ზეგ. და რა მერე?

იატაკზე იჯდა, კეფა ტახტის კიდეზე ჩამოედო და გაი ფრენკონისეულ სალათისფერ პიჟამაში გაყრილი ფეხები ნებიერად გაეჭიმა. ღიად დატოვებულ კარში თავად ფრენკონს ხედავდა პირსაბანთან წახრილიყო, კბილებს იხეხავდა.

– მთლად გადასარევი ამბავია, – ბუყბუყით გამოსძახა პასტით პირგამოტენილმა ფრენკონმა, – ეგ კიდევ უკეთესი. მოდიხარ აზრზე?

– ვერა.

_ ღმერთო დიდებულო! კარგი რა ხომ აგიხსენი გუშინ: მისის დანლოპის მეუღლე მისთვის სახლის აშენებას აპირებს...

– რაღაც მაგდაგვარი თითქოს კი მაგონდება... და რა მერე?

ბუნდოვნად ახსოვდა გუშინდელი წვეულება, ყინულის დიდ ნატეხზე დაფენილი ხიზილალა, მისის დანლოპის სანდომიანი სახე და მეტისმეტად გულამოღებული საღამოს კაბა... ის კი აღარ ახსოვდა, ფრენკონთან როგორ აღმოჩნდა. სხვა დროსაც ასე მომხდარა გაიყოლებდა ხოლმე ფრენკონი სადმე და მერე, დილისპირზე, მის ბინაში იღვიძებდა.

– სახლი დიდი არაფერია, – განაგრძობდა კბილებში ჯაგრისგაჩრილი ფრენკონი რაღაც ორმოცდაათი ათასის ფარგლებში. ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი დიდი ვინმეები მყვანან... აი, მისის დანლოპის სიძე კიდევ ქუიმბი ჰქვია, არ გაგიგია? დიდი ვინმეა უძრავი ქონების ამბავში. ცუდი არ იქნება, იმ ოჯახში თუ გავშინაურდებით პირიქით... უნდა გამირკვიო ერთი, ქარი საიდან უბერავს. მოკლედ, შენი იმედი მქონდეს?

– აბა რა! – თქვა კიტინგმა და თავი დაუკანტურა, – მუდამ და ყოველთვის, გაი.

გაუნძრევლად იჯდა, საკუთარ შიშველ ფეხის თითებს მიშტერებული და შტენგელზე, ფრენკონის მთავარ დიზაინერზე ფიქრობდა. ძალიან არ უნდოდა, მაგრამ ფიქრი თავისდა უნებურად აეკვიატა, ჩვეულებისამებრ. შემდეგი წინაღობა ხომ სწორედ შტენგელი იყო.

შტენგელი, ეტყობა, აცრილი იყო მეგობრობაზე. მთელი ორი წელიწადი,

მკითხველთა ლიგა

კიტინგის მხრიდან გულითადობის გამოვლენის ნებისმიერი მცდელობა მისი სათვალის შუშების სიცივეზე იმსხვრეოდა. მთელი ოფისი მხოლოდ ჩურჩულით იმეორებდა იმას, რასაც შტენგელი კიტინგზე ფიქრობდა და დაუფარავადაც ამბობდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა ფრენკონის მოწონებული მისი ნახაზები სწორედ კიტინგის ხელით იყო შესწორებულ-გადაკეთებული. ოღონდ, სუსტი წერტილი შტენგელსაც ჰქონდა: კარგა ხანია, აპირებდა, ფრენკონისგან წასულიყო და საკუთარი საქმე წამოეწყო. უკვე ამხანაგიც შერჩეული ჰყავდა ერთი უნიჭო, მაგრამ სქელი ჯიბის პატრონი ახალგაზრდა არქიტექტორი. მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. კიტინგიც დღედაღამ ამ ამბავზე იჭყლეტდა ტვინს. სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა აქაც კი, ფრენკონის საძინებელი ოთახის იატაკზე ფეხმორთხმული.

ორი დღის შემდეგ, როცა მისის დანლოპს ვინმე ფრედრიკ მოუსონის გამოფენაზე ახლდა, მოქმედების გეგმა უკვე ბოლომდე ჰქონდა მოფიქრებულ-გააზრებული. არცთუ მრავალრიცხოვან დამთვალიერებლებში ქალს ვითომ გზის გაკვლევაში ეხმარებოდა, დროდადროო მსუბუქად ეხებოდა თითებით იდაყვზე და ცდილობდა ეჩვენებინა, ნახატებზე მეტად მისი სანდომიანი სახის ცქერა რომ სიამოვნებდა.

– აი, შეხედეთ! – აღელვებულმა მიმართა მისის დანლოპს და ერთ- ერთ ნახატთან შეაჩერა, პეიზაჟთან, რომელზეც ჯართსაყრელი იყო გამოსახული, – მართლაც განსაცვიფრებელი ნამუშევარია. ფერებს მიაქციეთ ყურადღება... ამბობენ, ამ მოუსონს მძიმე ცხოვრება ჰქონდაო. სამყაროსავით ძველი ამბავია ხელოვანის ტანჯვა, აღიარების წყურვილი... ძველი და სევდიანი. ყველგან ერთი და იგივეა. ჩემს პროფესიაშიც კი.

– არა, მართლა? – გამოცოცხლდა მისის დანლოპი; აშკარად შეეტყო, ფერწერის ნიუანსებში ჩაღრმავებას არქიტექტურაზე საუბარი ერჩია.

– ანდა, ეს ნახეთ, – კიტინგი სხვა ნახატთან გაჩერდა: ბებერი, ფეხშიშველი ალქაჯი კლანჭებით ჩაჰფრენოდა ტროტუარის კიდეს, – ასეთ ხელოვნებას სოციალური დოკუმენტის ძალა აქვს. პიროვნული სიმამაცეა საჭირო ამის ღირსეულად შესაფასებლად.

– მართლა გადასარევია, – დაეთანხმა მისის დანლოპი.

– დიახ, სიმამაცე. რაც სამწუხაროდ, იშვიათია... ამბობენ, მოუსონი სადღაც სხვენში კვდებოდა შიმშილით, სანამ მისის სტივზანმა არ აღმოაჩინაო. დიდი სიქველეა, ახალგაზრდა ხელოვანს გზის გაკვლევაში რომ დაეხმარები.

– ნამდვილად, ალბათ... – ისევ ხალისით დაეთანხმა ქალი.

- მდიდარი რომ ვიყო, – ნათქვამს გული ამოაყოლა კიტინგმა, – სხვას არც არაფერს გავაკეთებდი: ან დამწყები მხატვრის გამოფენას მოვაწყობდი, ან პიანისტის კონცერტს დავაფინანსებდი, რომელიმე ახალგაზრდა არქიტექტორს ავაშენებინებდი სახლს...

– მართლა, მისტერ კიტინგ, იცით, მე და ჩემმა ქმარმა პატარა სახლის აშენება გადავწყვიტეთ ლონგ აილენდზე.

– რას მეუბნებით?! მისის დანლოპ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, თქვენს გეგმებს რომ მანდობთ! არ მიწყინოთ და ალბათ იმიტომ,ასეთი ახალგაზრდა რომ ხართ. იცით, შეიძლება თქვენმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ ისე გამათამამოს, თავიც მოგაბეზროთ და ჩემი ფირმის საქმიანობით თქვენი დაინტერესება ვცადო. თუ მაგისგან უკვე დაიზღვიეთ თავი და არქიტექტორიც შერჩეული გყავთ?

– არა, დაზღვეული არაფრისგან არა ვარ, – მომხიბლავად გაუღიმა

მკითხველთა ლიგა

ქალმა, – და არც სითამამე მაფრთხობს. სხვათა შორის, ”ფრენკონი და ჰეიერის” ფირმაზე ბოლო დროს მეც ვფიქრობდი. ბევრი კარგი მსმენია..

– დიდი მადლობა, მისის დანლოპ.

– მისტერ ფრენკონი უბადლო არქიტექტორია.

– დიახ, რა თქმა უნდა!

– რა, არა?

– კი, კი... ვინ უარყოფს?!

– აბა, რაშია საქმე?

– ნამდვილად გინდათ, სიმართლე გითხრათ?

– რასაკვირველია!

- იცით... გაი ფრენკონი ეს მხოლოდ სახელი და გვარია. თქვენს სახლთან სინამდვილეში არანაირი საქმე არ ექნება. ცხადია, ეს ისეთი პროფესიული საიდუმლოა, მაგაზე ლაპარაკის უფლებაც არა მაქვს, მაგრამ... არ შემიძლია, თქვენთან გულწრფელი არ ვიყო. ჩვენს ფირმაში ყველა საუკეთესო შენობის დამპროექტებელი მისტერ შტენგელია.

– ვინ?

– კლოდ შტენგელი. ჯერ მისი სახელი არ გსმენიათ, მაგრამ ეგ დროც მოვა აი, სწორედ როცა ვინმეს მის აღმოსაჩენად სითამამე ეყოფა. ყველაფერი მის კისერზეა და მართლა გენიოსია, ოღონდ უჩინარი. არადა, ყველა პროექტს ფრენკონი აწერს ხელს და დაფნის გვირგვინსაც თვითონ იდგამს. თუმცა რა, ყველგან იგივე არ ხდება?!

– კი მაგრამ, ეგ შტენგელია თუ ვიღაცა, ხმას რატომ არ იღებს?

– რა აზრი აქვს, თუკი ხელის წამშველებელი არ გამოუჩნდა ვინმე! არ იცით ხალხის ამბავი? უმრავლესობას გაკვალული გზა ურჩევნია. მარტო საფირმო ნიშანში სამმაგს იხდიან... სითამამე კი არა, სიმამაცე გვაკლია ადამიანებს, მისის დანლოპ! შტენგელი დიდი ხელოვანია, მაგრამ რა ვინაა დამფასებელი! საკუთარი ფირმის გახსნა უნდა, არადა, თუ ვინმე მისის სტივზანისნაირი მფარველი არ გამოუჩნდა, ალბათ ფრენკონთან ჩაბერდება კიდეც.

– რას მეუბნებით! – დაინტერესდა მისის დანლოპი, – აბა, კიდევ მომიყევით მაგ შტენგელზე!

კიტინგსაც ეს უნდოდა მოხსნა გუდას პირი და კარგა ხანს აღარც გაჩუმებულა. იმ დროისთვის, როცა ფრედრიკ მოუსონის ყველა ფერწერული ტილო მოიხილეს, მისის კიტინგი მხურვალედ ართმევდა კიტინგს ხელს და აღელვებული ეუბნებოდა: ”ძალიან მადლობელი ვარ თქვენი... რამე რომ იყოს, ფრენკონისგან უსიამოვნება ხომ არაფერი შეგემთხვევათ, შტენგელთან თუ გამიხერხებთ შეხვედრას? თავად ძალიან მერიდებოდა ამის თხოვნა, მაგრამ რაკი ასეთი გულისხმიერება გამოიჩინეთ”...

კიტინგი რომ შტენგელს მიადგა ნაშუადღევს სასაუზმოდ დაპატიჟების თაობაზე, იმან ჯერ ხმაც არ გაიღო, მერე კი უცბად ასწია თავი და მოკლედ მოუჭრა:

– შენ რა მაგით?

მაგრამ სანამ კიტინგი რამეს უპასუხებდა, თავადვე დაუმატა:

– აჰ-ა... მგონი, გასაგებია ყველაფერი.

მერე წინ გადმოიხარა და კბილებში გამოცრა:

– კარგი, თანახმა ვარ. მოვალ.

როცა შტენგელი უკვე ფრენკონისა და ჰეიერის ფირმას გამოეყო, საკუთარი ოფისი გახსნა და თავისი პირველი შეკვეთის დანლოპის სახლის დაპროექტებას შეუდგა, გაი ფრენკონმა სახაზავი დაათხლიშა მაგიდას და რატომღაც კიტინგს უღრიალა:

მკითხველთა ლიგა

– ნაბიჭვარი! ბინძური ნაბიჭვარი! რაც მე მაგას გადავყევი!
– აბა, რას ელოდით? – რიტორიკულად დაეკითხა კიტინგი და სავარძელში გადაწვა, – ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი.
– ერთი გამაგებინა საერთოდ, საიდან იეჭვა რამე?! ცხვირწინ ამაცალა!
– ცოდვა გამხელილი ჯობია და, არც არასდროს ვენდობოდი ბოლომდე... – კიტინგმა მხრები აიჩეჩა, ჩვეულებისამებრ, – ადამიანის ბუნება არ გესწავლებათ...
ხმაში ალალი წყენა შერეოდა. ბოლოს და ბოლოს, შტენგელს მადლობის ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია წასვლისას მარტო ის უთხრა,შენისთანა ქვემძრომი ჯერ კაცი არ შემხვედრიაო. ერთ დღესაც დიდი არქიტექტორის სახელს დაიგდებო, დაამატა.
ასე და ამგვარად იქცა კიტინგი "ფრენკონი და ჰეიერის" მთავარ დიზაინერად.
ფრენკონმა ეს ამბავი ერთ პატარა, წყნარ და განსაკუთრებით ძვირიან რესტორანში აღნიშნა. "ორიოდ წელიც," – წარამარა იმეორებდა შექეიფიანებული, – "და საქმეც დაიძრება, პიტ... კარგი ბიჭი ხარ, მეც გვერდში დაგიდგები... აქამდეც არ გედექი, თუ? ერთი-ორი წელიც და. "
– პერანგი შეიკარი, გაი... – თავის მხრივ, მშვიდად პასუხობდა კიტინგი, – და თუ კაცი ხარ, ნურც მაგ კონიაკს ისხამ პერანგზე, რა წესია...
თავის პირველ შეკვეთას რომ ჩაუჯდა, ტიმ დეივისი გაახსენდა, შტენგელი და კიდევ ზოგიერთი სხვაც, თავს რომ არ ზოგავდა, მაგრამ კიტინგთან მაინც არაფერი გაუვიდა. საკუთარი გამორჩეულობის ამაზე მეტი რა დასტური სჭირდებოდა? სასიამოვნო შეგრძნება იყო, ნამდვილად. მერე კი უცბად აღმოაჩინა, რომ მარტო იჯდა მინისკედლებიან ოფისში და ცარიელ ფურცელს დაშტერებოდა. აი, მაშინ კი აეწვა გულ-მუცელი მაშინღა გაიაზრა, აწი რაც მოეთხოვებოდა: ეს ფურცელი უნ-და შეევსო, სწორედ ამ სიცარიელისგან უნდა შეექმნა რამე...
არცთუ ისე დიდებული შენობა უნდა გამოსულიყო, ოღონდ ჯერ ვერაფრით წარმოედგინა თვალწინ სულ რაღაც ღრმული ედგა, ამოუვსები, და იქიდან დეივისისა თუ შტენგელის სახეები ამოსცქეროდნენ.. ახლა კიდევ, ფრენკონის დანაბარებიც გაახსენდა: "ღირსეულად უნდა წარმოვჩინდეთ, ხომ იცი... არაფერი ექსტრავაგანტური, არაფერი ისეთი... ელეგანტური სილუეტით უნდა გამოირჩეოდეს. თანაც, ბიუჯეტში გარღვევა მაქვსო, არ გავიგონო!" – კაცმა რომ თქვას, სწორედ ასე ესმოდა ფრენკონს ახალგაზრდა შემოქმედთა დამოძღვრა და მათთვის "შემოქმედებითი თავისუფლების" მინიჭება. უცბად წარმოიდგინა, დამკვეთები რა ქოქოლას დააყრიდნენ და ელზუერთ თუიც რა სახით მისცემდა რჩევას სანტექნიკოსებზეა დიდი მოთხოვნა და იქნებ პროფილი შეგეცვალათო; ერთბაშად შეზიზღდა ყველა ქვა თუ აგური დედამიწის ზურგზე და საკუთარი თავიც კი არქიტექტორობის დაჩემების გამო.
ხაზვა რომ დაიწყო, ცდილობდა, ჭკუა არც მიეტანებინა მარტო იმასღა ფიქრობდა, ფრენკონი, შტენგელი და ჰეიერი თუკი ახერხებდნენ ამას, როგორმე მეც შევძლებო... დღე და ღამეს ასწორებდა წინასწარი გეგმის გამოსახაზავად, საათობით იჯდა ფირმის ფოტოთეკაში და "კლასიკის" სერიიდან არჩევდა სახლისთვის ექსტერიერს. თანდათან დაძაბულობაც გაუნელდა. ატყობდა, კარგი რაღაც გამოსდიოდა სწორედ იმ სტილში, სიძველის თაყვანისმცემლებს რომ მოეწონებოდათ. სულ ტყუილად შიშობდა და იჭყლეტდა ტვინს გზა დიდი ხნის გაკვალული იყო.
ბოლო ხაზი რომ გაავლო, კიდევ კარგა ხანს დასცქეროდა ეჭვით. ვინმეს

მკითხველთა ლიგა

რომ ეთქვა ახლა ულამაზესია ან უსაზიზღრესიო, ორივე მოსაზრებას დაეთანხმებოდა. სთენტონის დროინდელი დავა-კამათი გაახსენდა უცებ და კამერონის ოფისში დარეკვა გადაწყვიტა: უნდოდა, ჰაუარდ რორკისთვის ეჩვენებინა თავისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი.

იმავე საღამოს ესტუმრა. ნახაზები, გათვლები, სივრცული დაგეგმარება – ყველაფერი წინ დაულაგა, მაგიდაზე. რორკი კი მაგიდის კიდეს დაჰყრდნობოდა ხელებგაშლილი და ხმას არ იღებდა.

კიტინგს საცაა მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა ნერვიულობდა და თან იმაზეც ეკიდებოდა ბრაზი, რა მაქვს სანერვიულოო. ბოლოს მაინც ვეღარ გაუძლო, რორკს ვეღარ დაელოდა და თავად ალაპარაკდა: "ყველა იმას გაიძახის, შტენგელი საუკეთესოა მთელ ქალაქშიო და არა მგონია, მართლა აპირებდა სამსახურიდან წასვლას მე ვაიძულე და იმისი ადგილიც დავითრიე. მაგარი რაღაცეები მოვიფიქრე..."

უცებ გაჩუმდა. სადმე სხვაგან ალბათ ეს ყველაფერი კმაყოფილი და საკუთარი თავით ამაყი კაცის ნალაპარაკებს ემსგავსებოდა, აქ კი თითქოს უფრო პატიების თხოვნას ჰგავდა.

რორკმა კიტინგს გამოხედა. მზერაში ზიზღი არ იგრძნობოდა უბრალოდ, დაძაბული და გაოცებული ჩანდა, თვალებიც ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო მეტად გაფართოებოდა. ცოტა ხანს უხმოდ უყურა და ისევ ნახაზებს მიუბრუნდა.

კიტინგს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს დედიშობილა იდგა რორკის წინ. დეივისი, შტენგელი, ფრენკონი ეს გვარები აქ არაფერს ნიშნავდა, რორკს ისინი საერთოდ არ ანაღვლებდა. სხვებთან კიტინგს საკუთარი განსაკუთრებულობის შეგნება უმძაფრდებოდა, რორკთან კი იბნეოდა, კნინდებოდა, ბეჩავდებოდა. ერთი პირობა, ისიც კი გაიფიქრა, დავავლებ ხელს ამ ჩემს ნახაზებს და თავქუდმოგლეჯილი გავიქცევიო...

რორკმა ისევ გამოხედა.

– პიტ, გაფიცებ, ასეთი რამეების კეთება მართლა გეხალისება?

– ხო, კარგი, ვიცი... – კიტინგს ხმა გაებზარა, – შენ არ მოგწონს მაგრამ ბიზნესი ბიზნესია. უბრალოდ, მითხარი, კონკრეტულად რა შენიშვნები გაქვს, ფილოსოფია არ მინდა...

– არა, ჭკუის სწავლებას არც ვაპირებ. ისე, დამაინტერესა.

– დახმარება მჭირდება, ჰაუარდ, ხელის წაშველება. პირველი სერიოზული საქმეა, ჩემი მომავალი კიდია ამ პროექტზე, არადა, გული მეთანაღრება. რას იტყვი? დამეხმარები?

– ვეცდები.

რორკმა გვერდზე გასწია თვალისმომჭრელი ფასადის ესკიზი დატალღული სვეტებით, დატეხილი ფრონტონებით, ფანჯრებზე რომაული ფასციებითა და კარიბჭესთან ორი იმპერიული არწივით და მაგიდაზე ახლა დასრულებული ნახაზი გაშალა. მერე ზემოდან კალკის ქაღალდი დააფარა და ხაზვას შეუდგა. კიტინგი უსიტყვოდ იდგა და მის თითებში მომწყვდეულ ფანქარს ვერ აშორებდა თვალს. ხედავდა, როგორ გაქრა დიდებული ფოიე, მიხვეულ-მოხვეული დერეფნები, ბნელი კუთხეები; მერე უცებ მისი აზრით, საკმაოდ შეზღუდულ სივრცეში ვეებერთელა მისაღები ოთახი გაჩნდა, ბაღში გამავალი გოლიათური ფანჯრების რიგი, ვრცელი სამზარეულო... კარგა ხანს ვერ მოსწყვიტა მზერა.

– და ფასადი? – იკითხა ბოლოს, როცა რორკმა ფანქარი მაგიდაზე დააგდო.

– აი, მანდ ხელებიც დამიბანია... თუ აუცილებლად კლასიკური გინდა, ნაღდ კლასიკას მაინც მიბაძე. რა საჭიროა სამი სვეტი, როცა ერთიც კმარა? და თუ შეიძლება, ეგ რაღაც სვავებიც მოაშორე, გული აგერევა კაცს.

მკითხველთა ლიგა

მერე, უკვე იღლიაში ნახაზებამოჩრილმა და წასასვლელად გამზადებულმა კიტინგმა ერთხელ კიდევ მიანათა გულიანი, მადლიერი ღიმილი, თუმცა კიბეზე რომ ჩადიოდა, კინაღამ დაახრჩო მოწოლილმა ბრაზმა და ბოღმამ. მომდევნო სამი დღე ვირივით იმუშავა და რორკის ესკიზების მიხედვით ახალი ნახაზებიც მოამთავრა ფასადის ახლებური, სადა ვარიანტიც გაამზადა და როცა ბავშვივით აჭარხლებულმა საკუთარი ქმნილება ფრენკონს წარუდგინა, მართლა გაუჭირდა სიამაყის შენიღბვა.

– კარგია, მომწონს, – იმეორებდა ნახაზებში ცხვირჩარგული ფრენკონიც, – უყურე შენ!.. მაგარი ფანტაზიის პატრონი ხარ, პიტერ... მოიცა და... ცოტა თამამი კია, მაგრამ რას გეტყვი, იცი... – ხმა გაებზარა, ჩაახველა, – სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი!

– ბუნებრივია, – გაიბადრა კიტინგი, – მე ყველა შენი ნაგებობა შევისწავლე, გაი... ვცდილობდი გამომეცნო, თვითონ შენ რას მოიფიქრებდი. თუ მართლა მოგწონს, ეგ იმიტომ, მეტრ ფრენკონის იდეების გამოცნობას რომ მივეჩვიე.

ფრენკონს ჩაეღიმა და კიტინგიც უეცრად მიხვდა, სინამდვილეში ჩემი არ სჯერა და ისიც იცის, მეც რომ არ მჯერა საკუთარი ნათქვამიო; არადა, თან ორივე კმაყოფილი ჩანდა, საერთო ხელწერითა და საერთო დანაშაულით სამუდამოდ ერთმანეთს დაკავშირებული ოსტატიც და შეგირდიც...

• • •

კამერონის მაგიდაზე გადაშლილი წერილი გულისტკივილით იუწყებოდა სადაზღვევო კომპანიის დირექტორთა საბჭო საფუძვლიანი მსჯელობის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახალი ფილიალის შენობისთვის თქვენი პროექტის განხორციელებას ვერ შეძლებს, ამიტომაც ხელშეკრულება "გულდისა და პეტინგილის" ფირმასთან გააფორმაო. წერილს თან ქვითარიც ერთვოდა, შეთანხმებისამებრ, გაწეული სამუშაოს გასამრჯელო; თანხა სახაზავი ქაღალდისა და ფანქრების ხარჯსაც კი ძლივს ფარავდა.

წერილი მაგიდაზე ეგდო. მაგიდასთან კამერონი იჯდა, სკამის საზურგეზე გადაწოლილი, კალთაში ხელებდაკრეფილი, თითებგადაჭდობილი. რა იყო ქაღალდის ერთი პატარა ნაგლეჯი, არადა, ისე მოენუსხა და გაექვავებინა, თითქოს რაღაც ზებუნებრივი საგანი ედო წინ და ისიც, რადიუმივით, სხივებით დაბუგავდა და აუტანელ ტკივილს მიაყენებდა ხელის სულ ოდნავი შეხებისთანავე.

სამი თვე ელოდა ამ კომპანიასთან ხელშეკრულების დადებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში მხოლოდ დროდადრო თუ გაკრთებოდა ხოლმე რაღაც ხეირიანი საქმის დაპირებები, მაგრამ ყველაფერი, როგორც წესი, უარით მთავრდებოდა. დაპირებები მუდამ ბუნდოვანი იყო, უარი_ მკვეთრი და პირდაპირი. ერთ-ერთი მხაზველი კარგა ხნის წინ დაითხოვა; ბინის პატრონიც უსიამოვნო კითხვებს იძლეოდა თავიდან ზრდილობიანად, მერე უჟმურად, ახლა კი უკვე უხეშად და შეულამაზებლად. თუმცა ოფისში ამაზე დიდად მაინც არ იკლავდნენ თავს და არც უკვე წესად ქცეულ ხელფასის დაგვიანებაზე ბუზღუნებდა ვინმე: ყველა სწორედ ამ სადაზღვევო კომპანიის ხელშეკრულებას ელოდა იმედით. ვიცე-პრეზიდენტმა, რომელმაც უშუალოდ შეუკვეთა პროექტი, კამერონს უთხრა: "ვიცი, დირექტორთა საბჭოში ზოგ-ზოგებს განსხვავებული აზრი აქვთ, მაგრამ თქვენ მაგაზე ნუ იდარდებთ, კამერონ. მოვახერხებ, ჩემი გავიტანო."

მკითხველთა ლიგა

კამერონიცა და რორკიც თავაუღებლად, გაშმაგებულები მუშაობდნენ იქამდე უნდოდათ ნახაზების მომთავრება, ვიდრე გულდი და პეტინგილი წარადგენდნენ საკუთარს; მაგრამ პეტინგილი ბანკის პრეზიდენტის ცოლის ბიძაშვილი და პომპეის ნანგრევების უბადლო მცოდნე იყო, თავად ბანკის პრეზიდენტი კი იულიუს კეისარს აღმერთებდა და ერთხელ, რომში ყოფნისას, საათზე მეტი კოლიზეუმის გულმოდგინე დათვალიერებისთვისაც დაეთმო თურმე...

კამერონი და რორკი, პრაქტიკულად, ოფისიდან არ გამოდიოდნენ და შავი ყავით გაჰქონდათ თავი ერთი ყინულიანი დილიდან მეორემდე; კამერონს ხანდახან კი გაკენწლავდა ხოლმე დახარჯული ელექტროენერგიის ამბავი, მაგრამ ამაზე ფიქრიც არ სურდა. ერთხელაც, რაიმე კბილის გასაკრავის მოსატანად გაგზავნა რორკი და ჰაუარდს გაუკვირდა კიდეც, დილის ნათელში რომ ამოყო თავი, როცა სამხაზველოში, რომლის ფანჯრებიც ყრუ აგურის კედელს გაჰყურებდა, ჯერაც ღამე
ეგონათ. ბოლო დღეს კი უკვე რორკმა მოსთხოვა კამერონს სახლში უნდა წახვიდეო: კაცს უკვე ხელები ნერვიულად უკანკალებდა და სახაზავ დაფაზე წახრილი, მაღალი სკამის საზურგეს იყენებდა საყრდენად. რორკმა თავად ჩააცილა, ტაქსიშიც ჩასვა, და ახლა კამერონს ეცა თვალში შეგირდის ჩაცვენილი ლოყები, ჩაწითლებული თვალები და ფერწასული ტუჩები... მეორე დღეს, ოფისის კარი რომ გააღო, იატაკზე ყავის გუბე და რორკის თითებიდან გამსხლტარი ფინჯანი დაინახა; თავად რორკიც იქვე, იატაკზე იწვა, თავგადაგდებული, ღრმა ძილში წასული. მაგიდაზე კი დასრულებული ნახაზები ელაგა...

ახლა კი იჯდა, მაგიდაზე დაგდებულ წერილს დასცქეროდა და იმდენად გამოფიტულად გრძნობდა თავს, აღარც გატეხილი ღამეები ახსოვდა და აღარც პროექტის მომავალი ადარდებდა ელექტროენერგიის გადაუხდელი ქვითრების ამბავი აჰკვიატებოდა მხოლოდ...

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, კამერონი მთელი კვირაობით იკვეთდა ხოლმე ფეხს ოფისიდან, არც სახლში არ ათევდა ღამეს და რორკს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, მისი მშვიდობიანად დაბრუნების იმედით, საქმე მარტოკას ეგრძელებინა. ბოლოს კამერონმა საერთოდ დაკარგა ყოველგვარი სირცხვილის გრძნობა, ბანცალ-ბანცალით შემობლაყუნდებოდა ხოლმე და ვითომ ამაყად თავაწეული, ფეხათრევით დაიარებოდა სახაზავ დაფებსა და კედლებს შორის თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა.

რორკი იმასაც მიეჩვია, ყოველი კვირის თავზე წყნარად როგორ ეხარებინა სახლის მეპატრონისთვის, რომ სახლის ქირას ისევ ვერ გადაუხდიდა. იმას რორკის რიდი ჰქონდა და დიდი დაჟინებით არც ითხოვდა თავისას, ოღონდ ეს ამბავი როგორღაც პიტერ კიტინგის ყურამდე მივიდა იგი ყოველთვის იგებდა იმას, რისი გაგებაც სურდა ხოლმე და რორკს მიადგა კარზე. მერე პალტოგაუხდელი დაუჯდა გაუთბობელ ოთახში, ათი ხუთდოლარიანი ამოაცოცა საფულიდან და ჰაუარდს გაუ-
წოდა: "შენ უფრო გჭირდება, ხომ ვიცი. ახლა არ დამიწყო უარები. სხვა დროს გადამიხდი." რორკი ჯერ გაოგნებული მიაჩერდა, მერე გამოერკვა, ფული გამოართვა.

– კი, მჭირდება. დიდი მადლობა. – თქვა და ფული ჯიბეში ჩაიდო.

– რას გადაჰკიდებიხარ იმ ბებერ კამერონს? – ჰკითხა კიტინგმა, – სულ ასე აპირებ ცხოვრებას?! შეეშვი და ჩვენთან გადმოდი. ერთი ჩემი სიტყვა და მორჩა ფრენკონი მადლობასაც გადამიხდის. კვირაში სამოც

მკითხველთა ლიგა

დოლარს მოგცემთ ეს ჯერჯერობით. რორკმა ხმის გაუღებლად ამოიღო ფული ჯიბიდან და გაუწოდა.

– კარგი რა, ჰაუარდ, რა გემართება! მე... მე რა შენი წყენინება არც მიფიქრია.

– არც მე.

_ დაიცა, ფული მაინც დაიტოვე...

– ღამე მშვიდობისა, პიტერ.

რორკი სწორედ ამას იხსენებდა, როცა კამერონი შემოვიდა სამუშაო ოთახში. ხელში სადაზღვევო კომპანიის წერილი ეჭირა. სიტყვა არ დასცდენია, კონვერტი რორკს გაუწოდა და თავის კაბინეტში შევიდა, ჰაუარდმა წერილს დახედა და უკან მიჰყვა: ყოველთვის, როცა კი მორიგ შეკვეთას კარგავდნენ ხოლმე, კამერონი ითხოვდა, რორკიც მასთან ყოფილიყო და ნებისმიერ რამეზე ელაპარაკათ, ოღონდ არა ამ საკითხზე

– უბრალოდ, სურდა, მასთან ყოფნით ძალა მოეკრიბა, ნერვები დაეოკებინა,

მაგიდაზე "ნიუ-იორკ ბანერის” იმ დღის ნომერი იდო უაინენდის ქსელის კუთვნილი გამოცემა. ამ გაზეთის ნახვა რორკს არც ვინმეს სამზარეულოში, დალაქის სალონში თუ მესამეხარისხოვან ატელიეში არ გააკვირვებდა, ოღონდ არა კამერონის სამუშაო ოთახში. კამერონმა მის მზერას ჩაავლო და გაიჭყანა:

– ამ დილით შევიძინე, ასე ვთქვათ... როგორია? აზრზე არ ვიყავი, ასეთ წერილს თუ დამახვედრებდნენ დილაუთენია. საინტერესო დამთხვევაა, ღმერთმანი. გადახედე ერთი, შენც დაგაინტერესებს.

რორკმა გაზეთი გადაფურცლა: ჩვილის პატრონმა მარტოხელა დედამ საყვარელს ტყვია დაახალა ფოტო და სასამართლო პროცესის სრული ანგარიში; ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნალური მომსახურების კომპანიების წინააღმდეგ... დღის ჰოროსკოპი... ნაწყვეტი საკვირაო ქადაგებიდან... რჩევები ახალდაქორწინებულებს... ბავშვთა კონკურსის შედეგები... მაღალი პოეზიის ნიმუში, სადაც ცხადდებოდა, რომ ჭურჭლის რეცხვა არაფრით არ არის სიმფონიის წერაზე ნაკლები ამბავი... გრძელფეხება გოგონების ფოტოები... როგორ შევინარჩუნოთ ქმარი.. ვრცელი დებულება იმის თაობაზე, რომ ბავშვის მშობი ქალი წმინდანის ტოლფასია... etc.

– ესაა პასუხი, ჰაუარდ. პასუხი ჩვენთვის. აი, სწორედ ეს გაზეთი.ეს იბეჭდება, ეს მოსწონთ, ეს იყიდება. რა უნდა გავაკეთოთ? ამგვარად გინდა, შენი ხმა მიაწვდინო ვინმეს? წერილს რა ეშმაკად გვიგზავნიდნენ ამ გაზეთის ერთი ნომერიც საკმარისი იქნებოდა... ცხადი და ნათელი პასუხი. აზრზე მოდი რამდენიმე წელიწადში მაგ ვირიშვილი გეილ უაინენდის ქსელი მთელ მსოფლიოს მოედება! მშვენიერი სამყარო კი იქნება, ღმერთმანი... ისე, მართალიცაა ეგ კაცი, რას ერჩი?

მერე გაზეთი გამოართვა და კუთხეში მოისროლა.

– ან ის უნდა მისცე, რაც სურთ და რასაც მოითხოვენ, ან... ან რა? ჩემთვის ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... – რორკს ახედა, ხმადაბლა დაამატა, – იქამდე მაინც გამაძლებინა, სანამ შენ დაგაყენებდე ფეხზე...

– მაგას ნუ დარდობთ.

– უცნაურია, ჰაუარდ, გაზაფხულზე სამი წელი შესრულდება, რაც აქა ხარ, არადა, თითქოს რამდენი დრო გავიდა! გასწავლე მაინც რამე? ძალიან ბევრი და თან ვერაფერი. საერთოდ, არავის არ შეუძლია, რამე გასწავლოს, არც ჩვენი ხელობის არსზე და არც პირველწყაროზე. რასაც აკეთებ მხოლოდ შენია, სისხლხორცეული, არც ჩემი და არც ვინმე სხვისი. მარტო ის შემიძლია, გირჩიო, უკეთ როგორ გააკეთო. გზა,

მკითხველთა ლიგა

იქნებადა, დაგისახო კიდეც, მაგრამ არა მიზანი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ შენივე არჩევანია. ვერასოდეს გახდები ბეჯითი შეგირდი და ვერასოდეს დაუდებ გულს რაღაც წვრილმანებს ადრეულ ვიქტორიანულ თუ "გვიანდელ კამერონისეულ" სტილში. შენ იქნები... ნეტა მომასწრო და მანახა!

– ნახავთ, აუცილებლად.

კამერონმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს შიშველ კედლებს, საწერ მაგიდაზე დახვავებულ ქვითრებს, ფანჯრის რაფებიდან ნელ-ნელა მწვეთავ წვიმის მოშავო წყალს.

– იმათ მე უკვე ვეღარაფერს ვუპასუხებ... შენ გტოვებ და პასუხიც შენ უნდა გასცე. ყველას უაინენდის გაზეთსაც, იმის მკითხველსაც და იმათაც, ვინც ამ ხალხს უხილავი ძაფებით მართავს. ძალიან უცნაურ მისიას კი გაკისრებ. არც ის ვიცი, როგორი უნდა იყოს ჩვენი პასუხი. ერთში ვარ დარწმუნებული, პასუხი არსებობს და ის შენშია, ჰაუარდ ერთ მშვენიერ დღეს მის გამოსათქმელ სიტყვებსაც იპოვი.

6

ელზუერთ მ. თუის "ქვაში ნაკვეთი ქადაგებანი" 1925 წლის იანვარში დაიბეჭდა.

წიგნს უპრეტენზიო, მუქი ლურჯი გარეკანი ჰქონდა, ზედ ავტორის ვინაობა და სათაურიც სადა, ვერცხლისფერი ასოებით ამოეტვიფრათ და ყდის კუთხეში ვერცხლისფერივე პირამიდა იყო გამოსახული, „არქიტექტურა ყველასათვის" – ასეთი იყო ამ ნაშრომის ქვესათაური და მართლაც არნახული, გასაოცარი წარმატება ხვდა წილად. ავტორი არქიტექტურის მთელ განვლილ გზაზე საუბრობდა მიწურიდან ცათამბჯენამდე თანაც, ძალიან უბრალო და ყველასთვის გასაგები ენით, თუმცა მის ნაწერს არც მეცნიერული სიღრმე აკლდა. წინათქმაშივე ამცნობდა მკითხველს შევეცადე, არქიტექტურა მისი ერთადერთი კანონიერი მფლობელისთვის, ადამიანისთვის დამებრუნებინაო. შემდეგ იმასაც აცხადებდა, მსურდა, ერთ რიგით ამერიკელს არქიტექტურაზეც ისევე თამამად ეფიქრა და ესაუბრა, როგორც ბეისბოლზეო. რაც მთავარი, მკითხველს თავს არ აბეზრებდა არც ხუთი წესის ტექნიკური ტერმინოლოგიით, არც დედაბოძისა თუ თავხეს მნიშვნელობის დეტალური ანალიზით, არც კამაროვანი თაღების თავისებურებებით და არც რკინა-ბეტონის უპირატესობების მტკიცებით. პირიქით, ძალიან ლაღად ჰყვებოდა, როგორ ცხოვრობდა, მაგალითად, ჩვეულებრივი დიასახლისი ძველ ეგვიპტეში, ან რომაელი მეწაღე თუ, ვთქვათ, ლუი XIV-ის სატრფო... რითი იკვებებოდნენ, ტანს როგორ იბანდნენ, სად დადიოდნენ საყიდლებზე და რა გავლენას ახდენდა მათ არსებობაზე ის შენობები, რომლებშიც ბინადრობდნენ. მკითხველს კი ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ამომწურავ ცოდნას იძენდა სწორედ ხუთი წესისა თუ რკინა-ბეტონის უპირატესობების თაობაზე. ავტორის წყალობით, ის აზრიც უმტკიცდებოდა, რომ როგორც აწმყოში, ისე წარსულში მცხოვრები უსახელო, უბრალო ადამიანების ყოველდღიური საზრუნავის თვინიერ, არანაირი პრობლემა, მიღწევა თუ აზრის გაქანება არ არსებობდა; რომ მეცნიერებასაც არანაირი სხვა მიზანი თუ ამოცანა არ ამოძრავებდა, თუ არა ამ საზრუნავთა შემსუბუქება და მისი მკითხველიც მხოლოდ ასე ეზიარებოდა და თავადვე განასაგნებდა კიდეც ნებისმიერი ცივილიზაციის უდიდეს მიღწევებს. ავტორის მეცნიერული

მკითხველთა ლიგა

სიზუსტე, უზადო
ერუდიცია კი გამაოგნებელი იყო; კაცი ვერ გახდიდა საკამათოს მის ცოდნას ბაბილონური ჯამ-ჭურჭლისა თუ ბიზანტიური ფარდაგების თაობაზე. თვითმხილველივით ამომწურავად და ფერადოვნად აღწერდა უძველეს დროთა ამბებს; საუკუნეთა ლაბირინთებში ხელის ცეცებით კი არ დაბორიალობდა, როგორც წიგნის კრიტიკოსები აღნიშნავდნენ ერთხმად, ცეკვა-ცეკვით მოუყვებოდა დრო-ხანის უსასრულო გზას ერთდროულად მხიარული ოინბაზიცა და ბრძენი ქადაგიც.
ავტორის აზრით, ხელოვნების დარგთა შორის უდიადესი სწორედ ხუროთმოძღვრება იყო, რადგან ნებისმიერი სიდიადისა არ იყოს, ისიც არ დაგიდევდა სახელს. დედამიწაზე, – ბრძანებდა მისტერ თუი, – უამრავი ცნობილი ნაგებობა დგას, მაგრამ აღიარებულ მშენებელთა რიცხვი ძალზე მცირეა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან არც ერთ ცალკე აღებულ პიროვნებას არასოდეს შეუქმნია რაიმე ღირებული არც არქიტექტურაში და არც რომელიმე სხვა სფეროში. ის ერთეულები კი, ვისი
სახელიც დღემდე ცოცხლობს, მისი თქმით, სინამდვილეში თურმე თვითმარქვიები იყვნენ და ისევე ისაკუთრებდნენ სხვათა დიდებას, როგორც მავანნი სხვების სიმდიდრეს იტაცებენ. "როცა ანტიკური ძეგლის დიდებულებას ვჭვრეტთ და მის სრულყოფილებას ერთ ადამიანს მივაწერთ, ჩვენ დანაშაულს ჩავდივართ იმათ წინაშე, ვინც თავდადებით შრომობდა საკუთარი, თუნდაც რომ მცირე წვლილი შეეტანა სამომავლო საგანძურში. არც ერთი დიდებული ნაგებობა არაა ვისიმე გენიის კერძო გამოვლინება ის ხალხის სულისკვეთების შედეგია."
მერე განმარტავდა, რომ ხუროთმოძღვრების დეკადანსი მაშინ დაიწყო, როცა კერძო საკუთრებამ შუა საუკუნეების დროინდელი თემური ურთიერთობები ჩაანაცვლა, ხოლო მესაკუთრეთა უსახურმა გემოვნებამ ურბანული დაგეგმარების პრინციპებიო; ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა ისეთი რამ, რასაც ზოგადად თავისუფალ ნებას უწოდებენ რადგან ადამიანის შემოქმედებით მისწრაფებებს, ისევე როგორც ყველაფერ სხვას, თავად ეპოქის ეკონომიკური წყობა განსაზღვრავს; მაგრამ როცა ისტორიულად ჩამოყალიბებული სტილი ეკლექტიკაში გადადის, ამას სიკეთე არასოდეს მოაქვს. თანამედროვე არქიტექტურაზეც განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა: ცალკეულ პირთა თავკერძობისიმგვარ გამოხატულებად თვლიდა, ვერავითარი მასობრივი მიმდინარეობის წინაპირობას რომ ვერ ქმნის და, შესაბამისად, არც რაიმე თვალსჩინო შედეგი მოაქვს. მისი წინასწარმეტყველებით, უკეთესი სამყარო მომავალში აშენდებოდა, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელი კი არა,ძმა გახდებოდა და მათი საცხოვრისებიც ჰარმონიული, ერთმანეთს მიმსგავსებული იქნებოდა ბერძნული ტრადიციის მიხედვით ბოლოს და
ბოლოს, დემოკრატიის აკვანიც ხომ სწორედ იქ დაირწა პირველად...ნაწერში მაინც იგრძნობოდა, რომ თითქოს მშვიდი და აუმღვრეველი სტილი მხოლოდ გარეგანად ფარავდა მის გულისგულში ჩაბუდებულ გრძნობებს ხუროთმოძღვართა მთელ ამქარს მოუწოდებდა, თავი გაენებებინათ ფუჭი სახელისა თუ სიმდიდრის მოხვეჭის მცდელობებისთვის და ხალხის საჭიროებები გაეთავისებინათ: "არქიტექტორი მსახური უნდა იყოს, და არა ბატონი... პატივმოყვარეობა უნდა დასძლიოს და საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის სამსახურში ჩადგეს, საკუთარი
დროის რიტმს უნდა აუწყოს ფეხი. ჩვენი საქმე არ არის განსჯა ჩვენი

მკითხველთა ლიგა

საქმე მხოლოდ აღსრულებაა!"

გამოძახილებმა წიგნზე ”ქვაში ნაკვეთი ქადაგებანი” ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: "ზღაპრულია!" "არაფერი ამდაგვარი ხელოგვნებაზე ჯერ არ დაწერილა!” "გაიცანით შეუდარებელი პიროვნება და მოაზროვნე!" 'სავალდებულო საკითხავი ინტელექტუალთათვის!"

აი, ამ ზედსართავზე პრეტენზია კი, როგორც ჩანს, ძალზე ბევრს ჰქონდა და სწორედ ამგვარი რამ სჭირდებოდათ: განსწავლულობა - სწავლის გარეშე, აზრის გამოთქმა გააზრების გარეშე, მსჯელობა განსჯის გარეშე. მათთვის ერთი სიამოვნება იყო ნებისმიერი ნაგებობის,ვთქვათ, 432-ე გვერდზე მონიშნული პროფესიული ტერმინოლოგიით შეფასება; ანდა მაღალ ხელოვნებაზე დაზუთხული ფრაზებით ლიკლიკი- მალე ცნობილ სალონებში ლამის იყო, მოარულ ფრაზად იქცა გამოთქმა – არქიტექტურას რაც შეეხება, ელზუერთ თუისთან ნახეთო...

საკუთარი პრინციპების შესაბამისად, ელზუერთ მ. თუი თავად ტექსტში არც ერთ ხუროთმოძღვარს არ ასახელებდა "ისტორიულ წიაღსვლებში მითოპოეტიკისა და გმირების ძერწვის მეთოდს საერთოდ გამოვრიცხავ ხოლმე...” – ისინი მხოლოდ შენიშვნებში იხსენიებოდნენ, სადაც გაი ფრენკონსაც ერგო ორიოდ სიტყვა: "მართალია, მას გადამეტებული დეკორირებისკენ გარკვეული მიდრეკილება ახასიათებს, ოღონდაც კლასიციზმის მკაცრ ჩარჩოებს მაინც არასოდეს ღალატობს.” გაკვრით კამერონიც იყო ნახსენები: "ერთ დროს ე.წ. მოდერნისტთა მამა, დღეს არცთუ დაუმსახურებლადაა მივიწყებული.. რას იზამ Vox populis vox dei.”

1925 წლის თებერვალში ჰენრი კამერონმა არქიტექტურას თავი და-ანება.

კარგა ხანია, ამ დღის მოახლოებას გრძნობდა, მაგრამ რორკთან სიტყვაც არ დასცდენია ის ისედაც ყველაფერს ხვდებოდა და ორივენი უტყვი თანხმობით განაგრძობდნენ მუშაობას, გაძლებაზე. დროდადრო რამდენიმე წვრილ-წვრილ დაკვეთას მიიღებდნენ: ერთი-ორი აგარაკის, ავტოფარეხის, ძველი შენობის რესტავრაციის... უარი არაფერზე უთქვამთ. მაგრამ ბოლოს ეს წყაროც დაიწრიტა. წყალი სწორედ იმ საზოგადოებამ გადაუკეტა, რომელსაც კამერონი არასდროს უხდიდა ხარკს.

სიმპსონიც და ის მოხუცი კარისკაციც დიდი ხნის წინ დაითხოვეს; თანამშრომლებიდან მხოლოდ რორკი დარჩა, და ზამთრის გრძელი საღამოები მხოლოდ იმის ცქერაში იყო, როგორ ნელ-ნელა უვარდებოდა კამერონს თავი მაგიდაზე დაწყობილ, გადაჯვარედინებულ ხელებზე, სანათის ქვეშ კი ძირამდე დაყვანილი ბოთლიღა ლაპლაპებდა ხოლმე...

მერე, თებერვლის ერთ დღესაც, კამერონი უცაბედად დაუძლურდა იატაკზე ჩაიკეცა და ფეხზე აღარც დამდგარა. სახლში რომ მიიყვანეს, ექიმმა ისიც კი უთხრა რორკს თუ მისი სიკვდილი არ გინდათ, ლოგინიდან ნუ წამოაყენებთო. ის კი იწვა წყნარად, გულხელდაკრეფილი და ერთ წერტილს მიშტერებოდა კედელზე. მერე თქვა მოულოდნელად:

– ოფისს ხომ მიხედავ?

– კი.

თვალები დახუჭა, აღარაფერი უთქვამს, და რორკიც მთელი ღამე სასთუმალთან ეჯდა, ისე რომ ვერც ხვდებოდა, მართლა ეძინა თუ მხოლოდ ძილ-ღვიძილში იყო მოხუცი.

მეორე დღეს კამერონის და ჩამოვიდა სადღაც ნიუ-ჯერსიდან. ერთი ტანმორჩილი, უენო, უპრეტენზიო, ადრიანად გაჭაღარავებული ქალი იყო, მცირე შემოსავალი კი ჰქონდა და ძმაზე ზრუნვაც თავის მოვალეობად

მკითხველთა ლიგა

მიაჩნდა. არც ქმარი ჰყავდა და ძმის გარდა, არც არავინ სხვა ახლობელი დედამიწის ზურგზე; არც რაიმე წუხილს გამოთქვამდა დამატებითი ცხოვრებისეული ტვირთის გამო და არც ძმასთან შეხვედრის სიხარული გამოუხატავს გრძნობებიც კარგა ხნის წინ მოსჩლუნგებოდა, ეტყობა.

გამგზავრების დღეს კამერონმა რორკს ბარათი გადასცა მთელი ღამე წერდა თურმე, წვალებ-წვალებით, ძველი სახაზავი დაფა დაედო მუხლებზე, ბეჭებქვეშ კიდევ ერთი ბალიში ამოედო და ისე სარეკომენდაციო წერილი იყო ერთ ცნობილ არქიტექტორთან, სამუშაოზე აყვანის თაობაზე. რორკმა თვალი გადაავლო მხოლოდ და კამერონს შეხედა, წერილი ჯერ შუაზე გადახია, მერე ოთხად.

– არა, – თქვა რორკმა, – არავისთვის არაფრის თხოვნა არაა საჭირო. ჩემზე ნუ იდარდებთ.

კამერონმა თავი დაუქნია და კარგა ხანს აღარ ამოუღია ხმა.

ბოლოს მაინც თვითონვე დაარღვია დუმილი:

– მოკლედ, ოფისს მიხედავ. ავეჯი წაიღონ ქირის ანგარიშში, ოღონდ ჩემს კაბინეტში კედლებზე რაც ნახაზები კიდია, ყველა წამოიღე და მერე გადმომიგზავნე. სხვას ნურაფერს ახლებ ხელს. ანდა არა, დაწვი ყველაფერი. ქაღალდები, დოკუმენტები, ნახაზები, ხელშეკრულებები ყველაფერი.

– კარგი, – თქვა რორკმა.

მის კამერონი ოთახში სანიტრებს შემოუძღვა, იმათ ავადმყოფი საკაცეზე დააწვინეს და სასწრაფოთი წაიყვანეს პორტში. იქ, ვიდრე ბორანზე აიყვანდნენ, კამერონი ერთხელ კიდევ შეეხმიანა: "ახლა წადი, ოღონდ ნუ დამივიწყებ, ხანდახან მინახულე ხოლმე, ჰაუარდ."

რორკი გამობრუნდა და წამოვიდა, აღარ დაუნახავს, როგორ აჰყავდათ მოხუცი ტრაპზე. მოჟამული დილა იდგა, ჰაერშიც ზღვის სუსხიანი, მძაფრი სუნი ტრიალებდა. უკვე ქუჩაში გამოსულს, ლამის ზედ თავზე თოლიამ გადაუფრინა ძველი გაზეთის ფურცელივით განაცრისფრებულმა სველი, დაღარული ქვის კედლის ფონზე.

იმავე საღამოს მივიდა მიტოვებულ ოფისში. შუქი არ აუნთია. მხოლოდ კამერონის კაბინეტში ჩართო გაზის ქურა და რაც კი რამ იყო მაგიდის უჯრებში, ყველაფერი შიგ ჩაცალა მიყოლებით, დაუხარისხებლად. სრულ სიჩუმეში მხოლოდ გამომშრალი ქაღალდის შარიშური ისმოდა, ბნელ ოთახში ობის სუსტი სუნი იდგა და დროდადრო აბრიალებული ცეცხლიც ქურაში ავის მომასწავებლად შიშინებდა; მერე ერთს ამოიქშენდა, კიდეებაალებულ ფურცელს ამოისვრიდა და რორკიც რკინის სახაზავით უკანვე ჩააბრუნებდა ხოლმე.

ყველაფერი იწვოდა კამერონის უცნობილესი თუ განუხორციელებელი პროექტები; ნახაზები და ესკიზები; ერთ დროს პატივცემულ გვამთა ხელმოწერილი ხელშეკრულებები ხანდახან, წითელი ნაღვერდლიდან, შვიდციფრიანი ფურცელიც გამოაჭყეტდა, წამით გაკრთებოდა და ნაცრად ინავლებოდა...

ძველი საქაღალდიდან იატაკზე გაზეთის ამონაჭერი გადმოვარდა. დასწვდა და აიღო. ფურცელი ისე გამომშრალიყო, გაცრეცილიყო და გაყვითლებულიყო, ლამის თითებში შემოეფშვნა. 1892 წლის 7 მაისს მიცემულ ინტერვიუში ჰენრი კამერონი ამბობდა: "არქიტექტურა ეს არც საქმიანობის ჩვეულებრივი სფეროა და არც კარიერა: ესაა ჯვაროსნული ლაშქრობა და საკუთარი თავის იმ სიხარულის სამსხვერპლოზე მიტანა, რომელიც ჩვენი პლანეტის არსებობას ამართლებს.” ეს ფურცელიც ცეცხლში შეაგდო და ახლა სხვა საქაღალდეს გადასწვდა.

მერე კამერონის ფანქრებსაც მოუსვა ხელი და ერთიანად დაწვა.

მკითხველთა ლიგა

ქურასთან იდგა გახევებული, ცეცხლს შეგნებულად არიდებდა თვალს, მაგრამ გრძნობდა კი, როგორ გაიბრძოლა საბოლოოდ და ჩაცხრა. ცქერით კედელს უცქერდა, სადაც იმ ცათამბჯენის პროექტი ეკიდა, დღემდე რომ არ ეღირსა აგება.

• • •

სამი წელი შესრულდა, რაც პიტერ კიტინგი ფრენკონისა და ჰეიერის ფირმაში მუშაობდა. უკვე თავიც მაღლა ეჭირა და ამაყად წელგამართულიც მიმოდიოდა სარკეში ნავარჯიშევი მიხვრა-მოხვრით. მოკლედ, ზუსტად წარმატებულ, საქმიან ახალგაზრდა კაცს ჰგავდა ძვირფასი საპარსების, ანდა მოდური ავტომობილების რეკლამიდან.

უზადოდ იცვამდა და ამჩნევდა ამას ხალხიც აქცევდა ჯეროვან ყურადღებას. საცხოვრებლად პარკ ავენიუს უბანში გადავიდა, მომცრო, მაგრამ უკანასკნელი მოდის კვალდაკვალ მოწყობილ ბინაში; სამი სოლიდურ თანხად შეფასებული გრავიურაც შეიძინა და რომელიღაც კლასიკური ნაწარმოების პირველი, იშვიათი გამოცემაც, თუმც წიგნის წაკითხვა რაა, გადაშლაც ვერ მოასწრო ხეირიანად. დროდადრო, საპატიო დამკვეთებთან ერთად "მეტროპოლიტენ ოპერასაც" სტუმრობდა. ერთხელ კოსტიუმირებულ მეჯლისზეც მოუწია გამოჩენა და თავისი ჩაცმულობით მართლა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია_შუა საუკუნეების ქვისმთლელის მეწამულ ხავერდის ქურთუკსა და შემოტკეცილ ტრიკოში გამოწყობილი მივიდა. ეს ამბავი "ყვითელმა" პრესამ გააშუქა და ბოლოს და ბოლოს, მისი სახელი და გვარიც მოხვდა გაზეთის ფურცლებზე. ამონაჭერი, ცხადია, შეინახა.

პირველი ნაგებობა უკვე აღარც ახსოვდა, აღარც ის შიში და ეჭვი, რაც მის შექმნას ახლდა თან. გამოიწრთო და თავისი ხელობის მარტივ არსსაც კარგად ჩასწვდა. შემკვეთები ხომ სიხარულით იფშვნეტდნენ ხელებს, როცა თვალისმომჭრელ ფასადს, გასაგიჟებელ კარიბჭეს და სამეფო აპარტამენტებისდარ ბუდუარს სთავაზობდა შურიანი სტუმრების გულის გასახეთქად. ნებისმიერი გემოვნების დაკმაყოფილება ისწავლა: თვითონ ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, თუკი შემკვეთი კმაყოფილი იყო. თავის მხრივ, შემკვეთი იმით რჩებოდა კმაყოფილი, თუ საკუთარ სტუმრებს დააღებინებდა პირს, სტუმრები კი... სტუმრებისთვის უბრალოდ, სულ ერთი იყო.

მისის კიტინგმა სთენტონის სახლი გააქირავა და შვილთან გადმობარგდა ნიუ-იორკში. შვილს ეს მაინცდამაინც არ აწყობდა, მაგრამ უარიც ვერ თქვა დედა იყო და უარი იმთავითვე წარმოუდგენლად დაუშვებლად მიაჩნდა. სიხარულით შეეგება; მით უმეტეს, ასე დაწინაურებულს და ხალხში გასულს, მშობელთან უკვე თავის მოსაწონე ბელიც ბევრი ჰქონდა. დედას განსაკუთრებული აღფრთოვანება არ გამოუხატავს; გულდასმით შეისწავლა ვაჟიშვილის ბინა, გარდერობი, საბანკო ანგარიში და არა უშავს, პიტ, ჯერჯერობით ივარგებსო, ესღა უთხრა.

ერთხელ სამსახურშიც ესტუმრა და ოფისში ნახევარი საათით დარჩა.იმავე საღამოს, უკვე შინ, დედამ წინ დაისვა და პიტერსაც სულ თითები კვნეტა-მტვრევით მოუწია მისი შეგონებების თმენა; "იმ ბიჭს, უიტერსს შენზე ძვირიანი პიჯაკი ეცვა, პიტერ. ეგრე არ ივარგებს. სხვებისგან ჩაცმითაც უნდა გამოირჩეოდე. ის კიდე, ნახაზები რომ შემოიტანა, გაწრიპული... არ მომეწონა, როგორ გელაპარაკებოდა... არა, ისეთიც არაფერი, მაგრამ შენ ადგილას, ყურადღებას მივაქცევდი... აი,

მკითხველთა ლიგა

გრძელცხვირა ნამდვილად გმტრობს... რა ვიცი და ვიცი... ეგ არ შემეშლება! და რა ქვია... ხო, ბენეტთანაც ფრთხილად იყავი. საერთოდ თუ მოიშორებ, ცუდი არ იქნება. ძალიან ამბიციურია. შეხედვისთანავე ეტყობა..."

მერე, ცოტა ხნით იყუჩა და იმ შენ გაი ფრენკონს შვილები თუ ჰყავსო, ჰკითხა პიტერს.

– კი, ქალიშვილი.

– ა-ა... ლამაზია?

– თვალით არ მინახავს.

– კარგი რა, პიტერ! არც კი გიცდია ფრენკონის ოჯახის გაცნობა? უხერხულია, ბოლოს და ბოლოს...

– ნიუ-იორკში არაა, სადღაც სწავლობს კოლეჯში. როდისმე ალბათ შევხვდები. ახლა კი მაპატიე გვიანია უკვე, ხვალ მძიმე დღე მაქვს...

თქმით კი უთხრა, ოღონდაც მთელი ღამე ამაზე ფიქრობდა. განა არა, ეგ ადრეც მოსვლია თავში ფრენკონის ქალიშვილი ახლა "ბანერში" აქვეყნებდა პატარ-პატარა სტატიებს ბინების ინტერიერების თაობაზე, ოღონდ მეტი ვერც ვერაფერი გაიგო მის შესახებ რედაქციაშიც არავინ იცნობდა და ქალიშვილზე არც ფრენკონს დაუძრავს ოდესმე სიტყვა.

მეორე დღეს, სადილობისას, კიტინგმა ნიადაგი მოსინჯა:

– მის ფრენკონზე მხოლოდ კარგი მესმის... – სიტყვა გადაუკრასავით შეფს.

– საინტერესოა, ვინ ეშმაკისგან?! – რაღაც გაღიზიანებით გაეპასუხა.

– რა ვიცი, ხან ვისგან, ხან ვისგან... როგორც ხდება ხოლმე... თანაც, მშვენივრად წერს.

– კი, მშვენივრად. – რატომღაც დაიჭყანა ფრენკონი.

– სიამოვნებით გავიცნობდი...

ფრენკონმა ეჭვით გამოხედა.

– რას გეტყვი, იცი ჩემთან არ ცხოვრობს... საკუთარი ბინა აქვს. სიმართლე გითხრა, მისამართიც კი არ მახსოვს წესიერად. თუ როდესმე შეხვდი, ჩემი სიტყვა გახსოვდეს საშენო არაა.

– კარგი ახლა, ეგ რაღას ნიშნავს?

– რა ვიცი, ასე მგონია და... საერთოდ, მამად ვერ ვივარგე. შენ ის მითხარი, მისის მენერინგმა რაო ბოლოს და ბოლოს, უნდა ის გრეხილი კიბე?

კიტინგს თან ეწყინა, თან გულზეც მოეშვა. შეფის დონდლო სხეულს შეავლო თვალი და ისიც კი გაიფიქრა, ნეტა გარეგნობით მაინც თუ განსხვავდება მშობელი მამისგან, ასე რომ გაუნაწყენებიაო., შეუხედავი და ძვირფასეულობით დახუნძლულია ალბათ ოღონდ ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ აღარც ამას მიაქციოს ყურადღება... მადლობა უფალს, ეს დღე ჯერ არ დამდგარა. ამ ღამით კი ქეითს ნახავდა.

მისის კიტინგი ქეითს ადრე, სთენტონში შეხვდა და დიდი იმედი ჰქონდა, პიტერს მალე დაავიწყდებოდა ის, მაგრამ შეცდა, თუმცა შვილს მასზე არც სიტყვა დასცდენია და არც სახლში მიუყვანია ოდესმე. ისე, მისის კიტინგსაც არასდროს უხსენებია ქეთრინის სახელი უბრალოდ, ხშირ-ხშირად გააბამდა ხოლმე საუბარს უმზითვო გოგოებზე, ერთთავად კარგ ოჯახიშვილ ბიჭებზე რომ უჭირავთ თვალი... რამდენი ჩინებული ყმაწვილის წინსვლას დასმია ასე წერტილი უთანასწორი ქორწინების შედეგად! და თუკი რამ წერილს გადააწყდებოდა გაზეთში, სადაც დაწვრილებით იყო ხოლმე მოთხრობილი, ცნობილი ვინმე, წლების შემდეგ, განქორწინების გზით როგორ ასწორებდა უთანასწორო ქორწინებით ჩადენილ შეცდომას ამგვარი რამ მუდამ ხმამაღლა უნდა წაკითხულიყო, შვილის გასაგონად.

მკითხველთა ლიგა

ქეთრინთან რომ მიდიოდა, კიტინგმა ისიც კი გაიფიქრა, სულ რაღაც უმნიშვნელო საბაბით თუ ვხვდები ხოლმეო; არადა, მხოლოდ ეს დღეები იყო, ნიუ-იორკში ცხოვრებას რომ უხალისებდა.

მთელი ოთახი წერილებით დახვდა მოფენილი, მაგიდაზე თავახდილი საბეჭდი მანქანა, დაჭრილ-დანაკუწებული გაზეთები, მაკრატელი რაღაც საქაღალდეები და წებო უწესრიგოდ მიმოეყარათ.

– აბა! – წამოიძახა ქეთრინმა, ქაღალდების გროვაში დასკუპდა, ერთიანად მოხვეტა და ქვეშიდან ამოხედა პიტერს, – მანდ დაჯექი! მეგონა შენ მოსვლამდე მოვრჩებოდი, არ გამომივიდა... ეს სულ ბიძაჩემის თაყვანისმცემლების წერილებია და ამონაჭრები გაზეთებიდან... უნდა დამეხარისხებინა, მერე პასუხებიც დამეგზავნა, მერე მადლობებიც მეხადა და რა ვიცი, რა არა! ერთი განახა, რეებს სწერენ გადასარევი ამბავია! მოკლედ, მანდ იჯექი და ახლავე მივალაგებ აქაურობას. – უკვე თითქმის ოცი
შესრულებოდა, მაგრამ იგივე დარჩა, რაც ჩვიდმეტისა იყო.

– რა დროს ეგაა! – ვითომ გაბრაზდა კიტინგი და ხელში ატატებული, სავარძლისკენ გააქანა. ასე, მკლავებში მომწყვდეულს კოცნიდა და ისიც, მის მხარში თავჩარგული, ბედნიერად იცინოდა.

– არ გაინძრე, პიტერ მშვენივრად მოვეწყვე!

– დაიცა, ქეით, იცი, რა დღე მქონდა? ”ბორდმენ ბილდინგი” გაიხსნა ზედ ბროდვეიზე ოცდაორი სართული, თან გოთიკურ სტილში... ფრენკონი ცუდად გახდა და წარმომადგენლად მე გამიშვა ჩემი ნახაზების მიხედვით აშენდა, როგორც იქნა... შენ რა, მართლა არაფერი გაგიგია?

– გამიგია, პიტერ, გამიგია. ეგ კი არა, რაც რამ აგიშენებია, ყველა ნანახი მაქვს ოღონდ ფოტოებზე. მერე გაზეთებიდან ვჭრიდი და ცალ-ცალკე ალბომში ვაკრავდი აი, ბიძაჩემს რომ აქვს, ისე...

– რა აქვს?

– ალბომი და ეს ყველაფერი... – იატაკზე მიმოფანტულ ქაღალდებისა და კონვერტებისკენ გამოიშვირა ხელი, – მარტო ეს რად ღირს, ამდენი უცხო ადამიანისთვის რომ რაღაცას ნიშნავ... მე კიდევ ვეხმარები, რაც შემიძლია. იცი, რამხელა პასუხისმგებლობაა?! ჩვენი პატარ-პატარა სადარდებლები რა მოსატანია, როცა ამდენ ხალხთან გაქვს საქმე!

– მართლა? თვითონ გითხრა ეგრე?

– საერთოდ არაფერი უთქვამს. უბრალოდ, არ შეიძლება, ამდენ ხანს ერთად იცხოვრო და რაღაც... ცოტათი მაინც არ გადმოგედოს იმის თავგანწირვა და უანგარობა.

უნდოდა გაბრაზებულიყო, მაგრამ ხედავდა გოგოს ღიმილს, აციმციმებულ თვალებს და ბოლოს თვითონაც გაეღიმა.

– რას გეტყვი, იცი, ქეით: შენ ყველაფერი გიხდება, თან მაგრა. საერთოდ, ცოტა ჩაცმასაც თუ ისწავლი, კაცებს გადარევ... ამ დღეებში მოგკიდებ ხელს და წესიერ მკერავთან მიგიყვან. გაი ფრენკონიც უნდა გაგაცნო. მოგეწონება.

– ვითომ? ადრე სხვანაირად ჭიკჭიკებდი.

– ეგ როდის? ეტყობა, მაშინ წესიერად არ ვიცნობდი. ჯიგარი ვინმეა სხვებსაც გაგაცნობ, ყველას...

ამ დროს ქეითმა მაჯის საათზე დახედა და უცებ აფაცურდა.

– მოიცა, რას შვები?

– რას ვშვები და.. ცხრა ხდება უკვე! ძია ელზუერთის მოსვლამდე უნდა მოვამთავრო. თან ვილაპარაკოთ, არა უშავს...

– რას ჰქვია, არა უშავს! წყალს წაუღია ბიძაშენის თაყვანისმცემლები.. თვითონ მიხედოს. შენ მოდი, აქ დამიჯექი!

მკითხველთა ლიგა

გოგონამ ერთი ამოიოხრა, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა და თავი მხარზე ჩამოადო:

– ძია ელზუერთზე ეგრე ნუ ლაპარაკობ. საერთოდ არ იცნობ, ისე, წიგნი თუ წაიკითხე?

– აბა?! მართლა მაგარი რამეა, ოღონდ სადაც მივედი, ყველა ამ ოხერ წიგნზე ლაპარაკობს და იქნებ ჩვენ მაინც შეგვეცვალა თემა...

– ისევ არ გინდა, გაიცნო?

– ბიძაშენი? როგორ თუ არ მინდა! დიდი სიამოვნებით...

– აუჰ...

– რა იყო?

– აბა, რო ამბობდი, არ მინდა, შენ გამაცნოო?..

– მართლა მასე ვთქვი? რანაირად გამახსოვრდება ხოლმე ყველა ჩემი ნაბოდვარი?

– იცი, არც მე მინდა გაგაცნო.

– ეგ რატომ?

– არ ვიცი... ალბათ შტერი ვარ. ოღონდ, ახლა მართლა აღარ მინდა. ვერ აგიხსნი.

– კარგი, მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს. ეგ დროც მოვა. იცი, გუშინ ფანჯარასთან ვიდექი, შენზე ვფიქრობდი და უცებ ისე მომინდა, შენც იქ ყოფილიყავი... დარეკვა დავაპირე, მაგრამ გვიანი იყო უკვე... ისე ძალიან მომენატრე, არც ვიცი...

გოგოს კისერზე შემოეხვია მისთვის ხელები და ყურადღებით უსმენდა. მერე, უცებ, სადღაც გვერდზე გაექცა მზერა და გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა; წამოხტა, ოთახი გადაირბინა, დაოთხილი შეძვრა საწერი მაგიდის ქვეშ და იატაკზე დაგდებული კონვერტი აიღო.

– ახლა რაღა მოხდა? – სიბრაზე ვეღარ მოთოკა კიტინგმა.

– ძალიან მნიშვნელოვანი წერილია, – ჯერაც მუხლებზე იდგა, კონვერტი პაწია მჯიღში ჩაებღუჯა, – ძალიან! კიდევ კარგი, ნაგავს არ გადავაყოლე!.. ერთმა ქვრივმა გამოუგზავნა, ხუთი შვილის დედამ, უფროს ბიჭს არქიტექტორობა უნდა და ძია ელზუერთი სტიპენდიის მიღებაში ეხმარება.

– დიდი ამბავია, – წამოდგა კიტინგი, – ოღონდ ერთ დღეში ამდენს უკვე ნაღდად ვეღარ გადავხარშავ. იცი რა, მოდი, სადმე გავიაროთ ნახე, რა საღამოა! გამომწყვდეულხარ ამ ოთხ კედელში...

– ძალიან კარგი! გავისეირნოთ.

გარეთ ნისლი იდგა და ბარდნიდა, მშრალი, ლამაზი, უწონო ფიფქების ფარდა უხმოდ ეფინებოდა ქუჩას. ჩახუტებულები მიაბიჯებდნენ და ერთიანად გადათეთრებულ ქვაფენილზე ყავისფერ, წაგრძელებულ ნაკვალევს ტოვებდნენ.

მერე, უოშინგტონ სქვერზე მერხზე ჩამოსხდნენ. თოვლს თითქოს მთელი დანარჩენი სამყაროსგან გაემიჯნა აქაურობა, ოთხივე მხრიდან.. არც სახლები ჩანდა ირგვლივ, არც ქალაქის დანარჩენი ნაწილი. დიდი თაღის ჩრდილიდან დროდადრო ფოსფორისფერი, მწვანე და წითელი სინათლე გამოკრთებოდა ხოლმე.

გოგო მთელი ტანით მიჰკვროდა კიტინგს, ის კი სადღაც შორს იყურებოდა, თოვლის კედლის მიღმა დარჩენილი ქალაქი ადრეც ყოველთვის შიშს ჰგვრიდა და ახლა მით უმეტეს. მისგან თავის დასაცავადაც დიდი ვერაფერი საიმედო მოკავშირეები ჰყავდა თოვლი და გვერდით მოკუნტული გოგო.

– ქეით... – დაიჩურჩულა ძლივს გასაგონად, – ქეით...

– მიყვარხარ, პიტ...

მკითხველთა ლიგა

– ქეით, – მაშინვე შეეხმიანა, უყოყმანოდ, მშვიდად, – მე და შენ სულ ერთად ვიქნებით.

გოგოს ტუჩები გაჰყინოდა, ძლივს დაილაპარაკა: ,

– ხო, ვიცი...

- ჩუმად, ფიქრიანად, თითქოს გულგრილადაც კი თქვა ეს ორი სიტყვა.

საერთოდ, ქეთრინი ცდილობდა, მომავალზე არ ეფიქრა, საკუთარი თავისთვისაც კი არ დაესვა შეკითხვები, რადგან შეკითხვას შესაძლოა, ეჭვიც გაეჩინა. თუმცა ახლა, როცა ამ ორ სიტყვას ამბობდა, დარწმუნებული იყო, სულ ამ წუთს ველოდი და ბედნიერებამ თავბრუ თუ დამახვია, ვაითუ, ყველაფერი გავაფუჭოო.

– ერთ-ორ წელიწადში, – კიტინგმა გოგოს თითები მუჭში მოიმწყვდია, – დავქორწინდებით. როგორც კი საბოლოოდ დავდგები ფეხზე.დედაც მისახედია, მაგრამ ყველაფერს მოვაგვარებ. ცდილობდა, ხაზგასმულად საქმიანად, ცივადაც კი ელაპარაკა, არ შესტყობოდა, რა უჩვეულო მღელვარებას განიცდიდა შინაგანად.

– მოვიცდი, პიტერ, – ჩასჩურჩულა გოგომ, – სად გვეჩქარება,

– ჯერ არავის ვეტყვით... ჩვენი საიდუმლო იქნება, მხოლოდ ჩვენ ორის, სანამ... – და მოულოდნელად, თითქოს ელდამ დაჰკრაო, ადრე ფიქრადაც არასოდეს გაუვლია ამგვარი რამ, ახლა უცებ ხელიც კი წაჰკრა და ბრაზმორეული დაეკითხა, – ერთი ეს მითხარი, მართლა ხომ არ გგონია, იმ შენი დიადი ბიძის გამო... ეშმაკსაც წაუღია მისი
თავი!

იმას კიდევ სიცილი წასკდა, და კიტინგმა იაზრა, რაღაც სისულელე წამოვროშეო.

– არა, პიტერ, ასეთი რამე არც კი მიფიქრია... ისე, შეიძლება, არც გაუხარდეს, მაგრამ რას ვიზამთ?

– ვითომ რატომაო? რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო?

– არა მგონია, საერთოდ იყოს ქორწინების მომხრე. არა, ოჯახის წინააღმდეგი კი არაა უბრალოდ, თავად ქორწინება მიაჩნია ძველმოდურად. ეგ ახლა მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ ვექილებს, კერძო საკუთრების ინსტიტუტი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გამოიყენონო,თუ რაღაც ამდაგვარი... მოკლედ, გულზე არ ეხატება.

– ძალიანაც კარგი. ჩვენი ჩვენ ვიცით.

მართლა კმაყოფილი დარჩა. თავად ხომ ისედაც იცოდა, უბრალო იყო, ახლა კიდევ ვეღარც ვერავინ დააბრალებდა, თვალი ფრენკონის ქალიშვილზე გიჭირავსო. ისე, უცნაურადაც კი ეჩვენებოდა, ასეთ მნიშვნელობას რატომ აძლევდა ამას, მაგრამ ერთი რამ სურდა ქეითთან ურთიერთობაში სხვა ვიღაცის სახელი არ გაჭაჭანებულიყო.

თავი უკან გადააგდო, სახეზე ფიფქების ჩხვლეტა ესიამოვნა. მოუტრიალდა და ტუჩებში აკოცა. მის ტუჩებზეც თოვლის სილბო და სიცივე იგრძნო.

ქუდი გვერდზე მოჰქცეოდა, თვალები გაფართოებოდა, წამწამებზე ფიფქი დასდებოდა. ხელისგულებზე დახედა თითები უმწეოდ გაეშალა, ბავშვივით, თათმანებზე შერჩენილი თოვლი გვერდზე ჩავლილი მანქანის ფარების შუქმა ააციმციმა.

"ამერიკის არქიტექტორთა გილდიამ" მოკლე ცნობა გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ ჰენრი კამერონი თავის შემოქმედებით მოღვაწეობას წყვეტდა; სულ რაღაც ექვსსტრიქონიან ტექსტში ჩაატიეს მისი

მკითხველთა ლიგა

მიღწევების მიმოხილვა და ნუსხაშიც ორი მთავარი ნაგებობის სახელწოდება შეცდომით დაბეჭდეს.

პიტერ კიტინგი ფრენკონის ოფისში მაშინ შევიდა, როდესაც ის მადამ დე პომპადურის ნაქონი ოქროს სათუთუნის ფასზე ევაჭრებოდა ვიღაც ანტიკვარს არაფრით არ თანხმდებოდა, ნივთში 9 დოლარითა და 25 ცენტით მეტი გადაეხადა. რომ გაისტუმრა, მერეღა მოუბრუნდა კიტინგს, იჭვნეულად:

– რა ხდება, პიტერ?

კიტინგმა ფურცელი მაგიდაზე დაუდო და კამერონთან დაკავშირებული ცნობა ფრჩხილით გაუხაზა.

– ღმერთმანი, ის კაცი გვჭირდება.

– ვინ კაცი?!

– ჰაუარდ რორკი.

– ეგ ვინღაა?

– ერთხელ გელაპარაკეთ უკვე. კამერონთან მუშაობდა.

– ა-ა, კი მახსენდება რაღაც... მიდი მერე, ვინ გიშლის?

– ჩემი პირობებით უნდა დავითანხმო.

– ღვთის გულისთვის, რა გახდა ასეთი?! კიდევ ერთი მხაზველი რა პრობლემაა? ამაზე მაცდენ?

– არ არის იოლი. არადა, საჩქაროა სხვაზე არ შეაჩეროს არჩევანი.

– ნუთუ! კამერონის ყოფილ თანამშრომელს უნდა ვეხვეწოთ, პატივი დაგვდოს და ჩვენთან იმუშაოს? არა მგონია, კარგი რეკომენდაცია იყოს ეს მისთვის.

– მორჩი რა, გაი... ყოველთვის ასე იყო.

– არ დაიწყო ახლა... არა, რამე რომ იყოს, ახალგაზრდების მომზადება კი იცოდა რაც მართალი მართალია. ერთ დროს მაგარი იყო, მიმუშავია მასთან.. მოკლედ, თუ საჭიროდ თვლი, ის რორკი გადმოიბირე.

– იმდენად საჭიროებაზე არაა საქმე... ჩემი ძველი მეგობარია და ახლა ასე, მთლად უმუშევარი რომ დარჩა... გამოვიყენოთ.

– კი ბატონო, ოღონდ ასეთი წვრილმანებით ნუღარ მიბურღავ ტვინს... მოგწონს? – და სათუთუნეზე ანიშნა.

იმავე საღამოს კიტინგი დაუპატიჟებლად მიადგა რორკს, კარზე ნერვიულად დააკაკუნა და მერე სახეგაბადრულმა შეაბიჯა ოთახში რორკი ფანჯრის რაფაზე იჯდა, ეწეოდა.

– აქეთ ვიყავი, – უთხრა კიტინგმა, – საქმე არაფერი მქონდა და ვიფიქრე, ჰაუარდს შევუვლი-მეთქი, აბა, შენ ხო არ გაგახსენდები!

– ვიცი, რაც გინდა, – თქვა რორკმა, – კარგი, რამდენს მთავაზობ?

- მოიცა, ვერ გავიგე...

– მშვენივრად გაიგე.

– კვირაში სამოცდახუთს, – კატათაგვობანას აზრი აღარ ჰქონდა. ცხადია, კიტინგის მომზადებული გეგმა ამას არ ითვალისწინებდა, მაგრამ იმასაც ნამდვილად არ ელოდა, საერთოდ არანაირი გეგმა თუ არ გახდებოდა საჭირო, – ჯერ სამოცდახუთს. თუ გეცოტავება, ალბათ მოვახერხებ და...

– არა, არ მეცოტავება.

– ესე იგი... თანახმა ხარ?

– როდიდან უნდა დავიწყო?

– როცა გაგიხარდება, თუ გინდა, ორშაბათიდანვე!

– კარგი.

– მადლობელი ვარ, ჰაუარდ.

– ოღონდ, ერთი პირობით. – დაუმატა რორკმა, – არავითარ ნახაზებს არ ვხაზავ. საერთოდ არანაირს. ლუი XV-ის სტილის რაღაც ცათამბჯენებს. თუ

მკითხველთა ლიგა

მართლა გჭირდებით, მაგ თქვენს ესთეტიკას არ გამაკაროთ. საინჟინრო განყოფილებაში გამიშვით, ან მშენებლობის ზედამხედველად, თუ გინდა... ამაზეც თანახმა ხარ?

– როგორც შენ იტყვი. ნახავ, ჩვენთან მართლა მოგეწონება, მიეჩვევი და თვითონ აღიარებ. ფრენკონსაც შეეწყობი. სხვათა შორის, ეგეც კამერონის გაზრდილია.

– მაგით ნამდვილად არ იამაყებდა მოხუცი...

– ნუ...

– კარგი ახლა, ნუ აღელდები. პირში კი არ ვეტყვი. საერთოდ, არავის არაფერს ვეტყვი. დამშვიდდი?

– არც მიფიქრია...

– მით უკეთესი. აბა, კარგად. ორშაბათს შევხვდებით.

– ხო... ისე, არსად არ მეჩქარება. თან შენთან ლაპარაკიც მინდოდა...

– რა ხდება, პიტერ? რა გაწუხებს?

– მე?.. არაფერი...

– გაინტერესებს, რატომ დაგთანხმდი? – რორკს ჩაეღიმა, უხალისოდ, უბოროტოდ, – ეგრეა? თუ გინდა, გეტყვი. სულ ერთია, მუშაობას სად გავაგრძელებ. ამ ქალაქში საკუთარი სურვილით არც ერთ არქიტექტორთან საქმეს არ დავიჭერდი. არადა, სადღაც მაინც უნდა ვიმუშაო. ჰოდა, იყოს შენი ფრენკონი თქვენგან რაც მჭირდება, ის თუ მივიღე, რა მნიშვნელობა აქვს?! საკუთარ თავს ვყიდი და ჯერჯერობით, ასე
მირჩევნია კიდეც.

– გეფიცები, ჰაუარდ, არასწორად გესმის ყველაფერი. ვერც წარმოიდგენ, რისი კეთება შეგეძლება ჩვენთან, მთავარია, დაიწყო და იქაურობას მიეჩვიო. ნახავ, რას ნიშნავს ნამდვილი ოფისი. კამერონის ბუნაგის მერე...

– აი, ახლა დადუმდი და მაგაზე ხმა აღარ ამოიღო.

– არა, კი არავის ვამცირებ... უბრალოდ... – აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან საერთოდ, როგორ დაეჭირა თავი. კი გაიმარჯვა, მაგრამ რაღაც უსიხარულო გამარჯვება გამოუვიდა. არადა, მართლა კეთილი საქმის ჩამდენად თვლიდა თავს.

– ჰაუარდ, წამო, სადმე დავსხდეთ და ცოტა დავლიოთ, დღევანდელი ამბავი დავასველოთ.

– არ გამოვა, პიტერ. თან ეგ არც ხელშეკრულების პირობებითაა გათვალისწინებული.

აქეთ რომ მოდიოდა, კიტინგი მთელი გზა საკუთარ თავს უჩიჩინებდა, ტაქტი და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოო; დიდი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც მიაღწია; ახლაც ხვდებოდა, ჯობდა, ენა გაეჩუმებინა და წასულიყო, მაგრამ რაღაც გაუგებარი, აუხსნელი არ ასვენებდა და საღი აზრის მიუხედავად, მაინც ცეცხლთან თამაშისკენ უბიძგებდა.

– ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ შეგიძლია, ადამიანურად მოიქცე?– წაკბინასავით რორკს.

– როგორ მოვიქცე?

– ადამიანურად! უბრალოდ. ბუნებრივად.

– ეგრეც ვიქცევი.

– მოდუნება არასოდეს გიცდია?

რორკს ისევ ჩაეღიმა, ჯერაც ფანჯრის რაფაზე იჯდა, გრძელი ფეხები ჩამოეკიდა და თითებით სიგარეტს აწვალებდა.

– არა, არც ეგაა საქმე! – გააგრძელა კიტინგმა, – უბრალოდ, ამიხსენი, რატომ არ შეიძლება, მე და შენ სადმე დავსხდეთ და დავლიოთ?

მკითხველთა ლიგა

– რა საბაბით?
– ეგ რა, აუცილებელია? ამასაც რაღაც მიზეზი უნდა?! ისე, ჩვეულებრივი ადამიანებივით, არაფრის კეთება არ შეგიძლია? ვერ ხვდები, ზედმეტი რომ მოგდის, დროზე ადრე იბერებ თავს?! ყველაფერს ართულებ, აზვიადებ, რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებ ყოველთვის როცა ჩუმად ზიხარ, მაშინაც კი. არ გინდა, ხანდახან მაინც მოეშვა?
– არა.
– ეგ გმირის პოზა არ გღლის?
– გმირობა რაში შემატყვე?
– არც არაფერში. ყველაფერში... მე რა ვიცი?! უბრალოდ, შენ გვერდით ეგეთი განცდა უჩნდება ხალხს.
– როგორი?
– არანორმალური. დაძაბულობის. აი, მეც თითქოს სულ არჩევანის წინაშე ვდგავარ. შენსა და დანარჩენ სამყაროს შორის. არ მინდა ეგეთი არჩევანი. არც გარიყული მინდა ვიყო. ჩემი კუთვნილი ადგილის დაკავებას ვცდილობ. ამქვეყნად იმდენი მარტივი, პატარა სიამოვნება არსებობს... მარტო ბრძოლა და უარყოფაა ცხოვრება? ისე, შენი შემხედვარე ეგრე გამოდის.
– როდის იყო, რამეს უარვყოფდი?!
– საქმეც ეგაა, უარი რომ არაფერზე გითქვამს! გვამებზე გადაივლიდი მიზნის მისაღწევად... ოღონდ უარყოფაც ეგ იყო, მიზანი რომ არ გაგაჩნდა.
– არ შეიძლება, ორივე გინდოდეს.
– რა ორივე?
– მომისმინე, მე შენთვის გული არასოდეს გადამიშლია ხომ არასოდეს მითხოვია, ჩემსა და რაიმე სხვას შორის გაგეკეთებინა არჩევანი.. რატომ გაგიჩნდა ეს გრძნობა, რომ უნდა აგერჩია? რა გაწუხებს? აკი დარწმუნებული ხარ, არაფერში ვვარგივარ?
– არ... არ ვიცი. ვერ ვხვდები, რას მეუბნები, – მერე უცბად დაამატა, – გეზიზღები, არა?
– არ მეზიზღები.
– აი, სწორედ მაგაშია საქმე! საერთოდ არაფერს რომ არ გრძნობ ჩემ მიმართ!
– და რა უნდა ვქნა?
– ვიცი, რომ არ შეიძლება, გიყვარდე შენ საერთოდ არ შეგიძლია სიყვარული... ზიზღის ღირსად მაინც თვლი ვინმეს?
– და ვინაა ეგეთი?
მერე, რაკი კიტინგმა ვერაფერი მოისაზრა პასუხად, დაამატა:
– სახლში წადი. რაც გინდოდა, ხომ მიიღე. ორშაბათს გნახავ.

• • •

რუხ კომბინეზონში გამოწყობილი, როგორც ეს ”ფრენკონი და ჰეიერის" ფირმაში ჰქონდათ წესად, და შუბლზე თმაჩამოშლილი, ხელში ფანქარმომარჯვებული რორკი სახაზავ დაფას დაჰყურებდა.
სამსახურს უკვე შეეჩვია: უმეტესად, ფოლადის განივი კოჭების გამოხაზვა უხდებოდა ხოლმე, და დავალებასაც გაუაზრებლად ასრულებდა. მხოლოდ ხანდახან, თავისდა უნებურად, ის ნაგებობა დაუდგებოდა თვალწინ, რომელიც შეიძლებოდა დაეპროექტებინა ნება რომ მიეცათ. ხელი ექავებოდა, ნახაზი შეეცვალა და სულ სხვა ხაზები დაედო ვატმანის ქაღალდზე, მაგრამ სურვილს იხშობდა ის უნდა გამოეხაზა, რასაც ავალებდნენ. ხანდახან ტანშიც კი აჟრჟოლებდა ხოლმე

მკითხველთა ლიგა

ბრაზისგან: "გიჭირს?” – ეკითხებოდა საკუთარ თავს, – "მოთმენა ისწავლე”...

ტკივილი მაინც რჩებოდა ტკივილი და გაურკვევლობის განცდა. რასაც ის წარმოსახვით ხედავდა, ბევრად უფრო რეალური ეჩვენებოდა, ვიდრე ქაღალდზე გამოსახული ეს უბადრუკობა. ვერაფრით გაეგო რამ დააბრმავა ყველა, რატომ არავის ადარდებდა თვალში საცემი შეუსაბამობანი; ეს სწორედ ის რეალობა იყო, რომელთან შეგუებაც უჭირდა...

ერთი კი იცოდა სამუდამოდ ვერ გაგრძელდებოდა ასე, და საკუთარ თავთან დადებული მისი ხელშეკრულებაც ეს იყო მოთმინება: "მისტერ რორკ, ამერიკის რადიოკორპორაციისთვის განკუთვნილი გოთიკური სანათების ნახაზებს თუ მორჩით?”

მეგობრები არც აქ, მხაზველთა დარბაზში არ გაუჩენია. თითქოს ავეჯის რაღაც ნაწილი ყოფილიყო სასარგებლო, უსახური, უენო. მხოლოდ სამშენებლო_საინჟინრო განყოფილების უფროსმა უთხრა ერთხელ კიტინგს: "უფრო მეტი ტვინი გქონია, პიტერ, ვიდრე მეგონა. მადლობა დიდი.” "რისთვის?" – ვითომ გაიკვირვა კიტინგმა, – "ყოველ შემთხვევაში, არა იმისთვის, რაც გათვლილი გქონდა."

შიგადაშიგ კიტინგი რორკის მაგიდას მიადგებოდა ხოლმე: "ჩემს კაბინეტში არ შემოიხედავ, ჰაუარდ? ისე, არაფერი განსაკუთრებული..."

ერთხელაც, კიტინგმა რომ წამოიწყო თავისი "როგორ ხარ? რამეში თუ გამოგადგები"... რორკმა გააწყვეტინა: "ახლა რაღა გინდა?”

კიტინგმა ნახაზები დაულაგა წინ და ისიც დაუმატა, ეჭვი კი არაფერში მეპარება, მაგრამ მაინც, გადახედეო. რორკს ერთი სული ჰქონდა, სახეში ეთხლიშა მისთვის გრაგნილები, მაგრამ უცებ დაამუხრუჭა: ეს მაინც ნაგებობა იყო და კარგი მშენებელ-ინჟინრის გათვლების გარეშე, ეშმაკმა უწყის, რა შეიძლებოდა მოსვლოდა...

მერე საათობით მუშაობდა, ხანდახან ღამითაც, კიტინგი კი იჯდა და თვალს შორიდან ადევნებდა ხოლმე. სხვა გზა არც ჰქონდა გრძნობდა, თუ მოაწესრიგებდა ამ უნიჭო ნახაზს, ნაგებობა მშვენიერი თუ არა, შეუდარებლად უფრო მდგრადი ხომ მაინც გამოვიდოდა.

ზოგჯერ კიდევ, სხვებთან შედარებით მარტივ, ცხად, ნათელ ნახაზს რომ დაინახავდა, "არაა ურიგო წინსვლა გეტყობა", – ეტყოდა ხოლმე და კიტინგსაც თითქოს რაღაც გაჰკრავდა გულში, რაღაც ისეთი, რასაც ვერც ფრენკონის შექება თუ ვერც მდიდარ შემკვეთთა გაფუყული კომპლიმენტები ვერ უღვიძებდა; მაგრამ იოლადვე ივიწყებდა და ფინჯან ჩაიზე ვინმე გაფოფინებული ქალბატონის დაყენებული ხმით თქმული "თქვენ ამერიკული არქიტექტურის მომავალი ხართ, მისტერ კიტინგ!" – ბევრად უფრო უფონებდა გულს, და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ხსენებულ ქალბატონს არც ერთი მისი ქმნილება სიზმარშიც არ ენახა.

მერე და მერე, გულის მოსაოხებელ საშუალებებსაც მიაგნო: შევიდოდა ხოლმე მხაზველებთან, რორკს მაგიდაზე დაუგდებდა ვინმე ახალბედას ნახაზს და ეტყოდა: "ერთი მიმიხედე ამას, იქნებ დაამსგავსო რამეს... საჩქაროა”. გაგანია შუადღისას მიუგზავნიდა ხოლმე კურიერ ბიჭს და ისიც ხმამაღლა, ყველას გასაგონად ეუბნებოდა: "მისტერ კიტინგს უნდა შენი ნახვა, დაუყოვნებლივ.” ანდა თავისი კაბინეტიდან გამოვიდოდა, რორკს დაადგებოდა თავზე და მიახლიდა: ჰაუარდ, შენ მაინც უსაქმოდ ხარ, იქნებ მეთორმეტე ქუჩის წყალგაყვანილობის გეგმა მომიძებნო და შემომიტანოო.

თავიდან რორკის რეაქციის მაინც ეშინოდა. მერე, როცა ვერანაირი

მკითხველთა ლიგა

რეაქცია ვერ დაინახა უსიტყვო მორჩილების გარდა უკვე თავის შეკავებასაც ვეღარ ახერხებდა. ლამის ხორციელ სიამოვნებას ანიჭებდა მისთვის ბრძანებების მიცემა; და თან ხელქვეითის სიმშვიდე და მოთმინებაც ამწარებდა. იცოდა ასე მანამ გაგრძელდებოდა, სანამ რორკი ერთხელაც მართლა არ გაბრაზდებოდა, უნდოდა კიდეც, როგორმე წონასწორობიდან გამოეყვანა და გაეცოფებინა, მაგრამ მსგავსიც არაფერი ხდებოდა.

რორკს უხაროდა, როცა მშენებარე ობიექტების შესამოწმებლად აგზავნიდნენ. ხარაჩოებზე უფრო თავისუფლად და ბუნებრივად მიდი-მოდიოდა, ვიდრე ქვაფენილზე. მუშები გაკვირვებით და თან, ცოტა არ იყოს, შურითაც ადევნებდნენ თვალს, როგორ თამამად გაირბენდა ხოლმე ჩიტის გაფრენის სიმაღლეზე გადებულ ვიწრო ხარიხაზე, როგორ თვალდახუჭულივით გაივლიდა ცარიელ სივრცეში გამოკიდულ რკინის შვერილზე...

უკვე მარტი იდგა და თითქოს ცასაც კი დაჰკრავდა გაზაფხულის მომასწავებელი ოდნავი სიმწვანე. ხუთასი ფუტის სიმაღლიდან დანახულ სენთრალ პარკშიც ჯერ ისევ გაყავისფრებული მდელოები ასაფეთქებლად ემზადებოდნენ, პატარ-პატარა ტბები კი შიშველი ტოტების აბლაბუდის ქვეშ მიმობნეულ შუშის ნამსხვრევებს ჰგავდა. რორკი მშენებარე, ჯერ დაუმთავრებელი ვეებერთელა სასტუმროს ჩონჩხს ათვალიერებდა და უცებ საქმით გართულ შემდუღებელს წაადგა თავზე.

მუშა ცდილობდა, ორი შედარებით წვრილი მილი ჯერ დაეკუთხა და მერე როგორმე გაეძვრინა სქელი, მთავარი მილის ქვეშ. ამ ყველაფერს რამდენიმესაათიანი დაძაბული და მძიმე შრომა დასჭირდებოდა და კაცმა არ იცის, საერთოდ გამოუვიდოდა თუ არა რამე. რორკი ჯიბეებში, ხელებჩაწყობილი იდგა და შემდუღებლის ჯახირს ადევნებდა თვალს.

იმან უცებ ამოხედა და თვალი თვალში გაუყარა. უშველებელი და მომნუსხავად მახინჯი სახე ჰქონდა: არც ბებერი და არც დონდლო, მაგრამ დაღარული და ბულდოგივით ლაშებიანი, თვალებიც უცნაური _დაჭყეტილი, გადმოკარკლული, ცისფრად გადარეცხილი.

– რა იყო? – ჰკითხა ბრაზიანად, – გინდა რამე, მეგობარო?

– დროს კარგავ, – მშვიდად მიუგო რორკმა.

– არა, მართლა?

– მართლა.

– რას მეუბნები!

– ეგრე დაღამებამდე ვერ მორჩები.

– უკეთესს მირჩევ რამეს?

– კი.

– ძმურად, წადი რა, შენს საქმეს მიხედე. ლექციაზე დაგაგვიანდება.

– დიდი მილი გახვრიტე და პატარები ხვრელში გაატარე.

– რაა?

– მილი გახვრიტე-მეთქი.

– შანსი არ არი!

– რატომ ვითომ?

– ვის გაუგია, ბიჭო, მთავარი მილის გახვრეტა?!

– მე გამიგია.

– შენ?

– ყველგან ეგრე აკეთებენ.

– შეიძლება, ოღონდ აქ არა. მე მაგის გამკეთებელი არა ვარ.

– მაშინ მე მიმიშვი.

მკითხველთა ლიგა

– რას გეტყვი, იცი?.. – უცებ იფეთქა, – ეხლა ეგღა მაკლია, ვიღაც დედიკოს ბიჭმა მასწავლოს ჭკუა!
– მომე აქ...
– შენ რა, შარს ეძებ?! შენი გზით წადი, რა...
ბოლოს რორკმა ხელთათმანები და სათვალე მაინც გამოართვა, შესადუღებელ სანთურს დასწვდა, ჩაიმუხლა და ცისფერი ალის სხივი მილის შუაგულს დაუმიზნა. მუშა იდგა და პირდაღებული მისჩერებოდა. სწორი, ცისფერი, შიშინა სხივი ერთხელ არ შეთრთოლებულა, ერთხელ არ აცდენილა მიზანს. რორკსაც არანაირი დაძაბულობა ან ძალდატანება არ ეტყობოდა, სანთური ღონივრად ჩაებღუჯა და იფიქრებდი, ლითონის მთლიანობას ცისფერი ალი კი არა, სწორედ მისი მკლავის ძალა არღვევდა ჯიუტად.
საქმე მოამთავრა და წელში გასწორდა.
– უყურე შენ! – მოლბა მუშა, – გცოდნია...
- მიხვდი, არა? – სათვალე მოიხსნა, ხელთათმანებიც გაიხადა და პატრონს დაუბრუნა, – ამის მერე, ასე გააკეთე ხოლმე. თუ ვინმემ რამე გითხრას, მე დამაბრალე.
შემდუღებელი აღტაცებული დასცქეროდა მილში გაჭრილ კოხტა ხვრელს. მაინც სად ისწავლე? – ჰკითხა და ხმაში მოკრძალებაც კი გამოურია.
რორკს ჩაეღიმა. შეეტყო, ეამა კიდეც.
– რა ვიცი, შემდუღებლადაც მიმუშავია, სანტექნიკოსად, მრჩილავად... რა ჩამოთვლის...
– თან სწავლობ?
– ასე ვთქვათ.
– არქიტექტორი უნდა გამოხვიდე?
– ვაპირებ.
– პირველი იქნები, ვისაც მართლა რაღაც ეცოდინება, ლამაზ-ლამაზი ნახაზების ფრიალისა და გატყლარჭული ლაპარაკის გარდა. განახა ერთი, რა იდიოტებს გვიგზავნიან ხოლმე...
– ეგეთი ტიპები არც მე მეხატება გულზე. აბა, კარგად იყავი, მიხედე საქმეს.
– კარგად, წითურო.
ისევ რომ მივიდა იმავე ობიექტზე, ცისფერთვალა შორიდანვე მიესალმა ხელის ქნევით, მერე თავისთან მისვლა სთხოვა და რჩევაც ჰკითხა : ტყუილად, სულ რომ არ სჭირდებოდა, ისე. უთხრა, მაიკი მქვია და გელოდი, როდის გამოჩნდებოდიო. უკვე ამის მომდევნო მისვლაზე კი მაიკი გარეთ უცდიდა, სანამ რორკი საქმეს მორჩებოდა. "თითო კათხა ხომ არ დაგველია?" – შესთავაზა და აღარც ჰაუარდს გამოუდვია თავპატიჟი.
მერე ლუდის სარდაფში უსხდნენ მაგიდას, მაიკი თავის საყვარელ ზღაპარს უყვებოდა როგორ იფრინა ხუთი სართული, ხარაჩოს ფიცარი რომ ჩაუტყდა ფეხქვეშ და სამი გაბზარული ნეკნით გადარჩა; რორკი თავისას იხსენებდა, როცა ჯერ კიდევ მშენებლობაზე მუშაობდა. მაიკს ნამდვილი სახელიც ჰქონდა შონ ქსავიერ დონიგანი მაგრამ იგი უკვე ყველას დავიწყებოდა და, უბრალოდ, მაიკს ეძახდნენ; ერთი ყუთი იარაღებისა და დაფეხვილი "ფორდის" პატრონი იყო, თავს კი იმით ირჩენდა, რომ მშენებლობიდან მშენებლობაზე გადადიოდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში. ხალხი არ აინტერესებდა მხოლოდ ის, რასაც ეს ხალხი აკეთებდა და მათ ორ ნაწილად ყოფდა: ვინ საქმეში ვარგოდა და ვინ არა. საკუთარი პროფესიის ოსტატი იყო და თუკი ვინმე თავის პროფესიაში არ ვარგოდა, უბრალოდ, იგნორირებას უკეთებდა. მოკლედ,

მკითხველთა ლიგა

კაცობრიობა ორად ჰყავდა გახლეჩილი: საქმის მცოდნენი და უვარგისნი. თანაც, სიყვარულით მხოლოდ შენობები უყვარდა, არქიტექტორებს კი თვალის დასანახად ვერ იტანდა.

– მარტო ერთი იყო გამონაკლისი, – მაინც გამოტყდა, მეხუთე კათხის მერე, – ოღონდ შენ საიდან გეცოდინება, ნამეტანი ახალგაზრდა ხარ. მარტო ის იყო შენების აზრზე. სწორედ შენი ხნისა ვიყავი, როცა იმასთან ვმუშაობდი...

– ვისზე ამბობ?

– კამერონი ერქვა. ჰენრი კამერონი. მაგარი ვინმე იყო. ახლა ალბათ იმქვეყნადაა უკვე, ღმერთმა აცხონოს.

რორკი ერთხანს შესცქეროდა დაჟინებით,მერე ჩუმად თქვა: „არ მომკვდარა,მაიკ. ჯერ არა.“ _მერე დაამატა, სასხვათაშორისოდ, – "მეც მიმუშავია მასთან."

– ვისა შენა?!

– სრული სამი წელი.

უხმოდ შეაცქერდნენ ერთმანეთს, და ამით თითქოს ბეჭედიც დაუსვეს თავიანთ მეგობრობას.რამდენიმე კვირის მერე, მშენებლობაზე, წარბებშეჭმუხნულმა მაიკმა რორკს მკლავში წაავლო ხელი:

– დაიცა, სამუშაოების მწარმოებელს უთქვამს შენზე მაგისთანა ქედმაღალი და ჯიუტი ნაბიჭვარი მეტი არ მინახავს ცხოვრებაშიო... რა უქენი ამისთანა?

– არაფერი.

– აბა, რას გერჩის?

– რა ვიცი... შენ როგორ გგონია?

მაიკმა ერთი გახედა ცერად, მხრები აიჩეჩა და დაიჭყანა.

– ერთი მაგის...

8

მაისში პიტერ კიტინგი ვაშინგტონს გაემგზავრა ცნობილი ფილანტროპის დაფინასებული მუზეუმის მშენებლობისთვის უნდა ედევნებინა თვალი. ამჯერად პროექტი პართენონის კვალად კი არა, ნიმში მდებარე "მეზონ კარეს” დარბაზის მიბაძვით იყო გამოხაზული.

ერთხელაც, კიტინგის არყოფნაში, ფრენკონმა თავის კაბინეტში გამოიძახა რორკი, გულთბილად გაუღიმა და დაჯექი, მეგობარო, დაჯექიო, შესთავაზა; ოღონდ იქვე რაღაც ისეთი დაინახა ხელქვეითის გამოხედვაში, ხმაც მიენავლა და ღიმილიც მიეყინა სახეზე. მცირე ხანს აკვირდებოდა, მაგრამ განსაკურებული ვერაფერი აღმოუჩინა თხელნაკვთებიანი, ოლონდ ცოტა არ იყოს, უხეშად ნაჩორკნი სახე შემოსცქეროდა, ზომიერად ყურადღებიანი მზერით.

– კამერონთან მუშაობდით, ეგრეა? – დაეკითხა ბოლოს.

– კი.

- კიტინგი ბევრს კარგს მეუბნებოდა შენზე... – ფრენკონმა უცბად წაიბორძიკა: აშკარა იყო, ამისთანა სალამ-ქალამი ახალ თანამშრომელზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენდა. უბრალოდ, იჯდა და ელოდა.

– ე-ე... გვარი შემახსენე...

– რორკი.

– აი რა, რორკ. ერთი დამკვეთი გვყავს, როგორ გითხრა და, ცოტა გარეკილი კია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი კაცია, ძალიან. არ უნდა მოვიმდუროთ. რვა მილიონის საქმეა. საოფისე შენობა უნდა

მკითხველთა ლიგა

დავუპროექტოთ, მაგრამ რაღაც-რაღაც საკუთარი იდეები აწუხებს..._ აქ ფრენკონმა მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს ამბობდა, აბა, მე რა შუაში ვარო. "ამას უნდა, რომ მივამგავსოთ", – თქვა და "დანა ბილდინგის" ფოტო გაუწოდა.

რორკს ხმა არ ამოუღია, ფოტოსურათს თითებში ათამაშებდა.

– გეცნობა? – დაეკითხა ფრენკონი.

– კი.

– აი, ეგეთი რამე უნდა. ჯიბრზე, კიტინგიც აქ არაა. ჯერ ბენეტს, კუპერს და უილიამსს გავაკეთებინე ნახაზები, მაგრამ რად გინდა დაიწუნა. ვიფიქრე, ახლა შენ მოგცემ შანსს-მეთქი.

ფრენკონი აშკარად დიდად კმაყოფილი ჩანდა საკუთარი დიდსულოვნებით. არადა, არანაირი პასუხი. რორკი ჯერაც უტყვი სახით მისჩერებოდა.

- შენთვის ეს შეიძლება ერთგვარ ტრამპლინადაც გამოდგეს, – თქვა ფრენკონმა, – საპასუხისმგებლო დავალებაა, მაგრამ ვფიქრობ, თავის გამოჩენის საშუალება უნდა მოგცე. არ შეშინდე მერე მე და კიტინგიც გავკრავთ ხელს. შენ მხოლოდ ზოგადი მონახაზი და ხარისხიანი ესკიზები მოამზადე... წესით, კი უნდა იცოდე, რას ითხოვს. კამერონის პატარ-პატარა ეშმაკობებსაც გაიხსენებ და... ოღონდ, ცხადია, ჩვენი ოფისიდან მთლად მისნაირი სიმახინჯეებიც ვერ გავა. შემკვეთი უნდა ვასიამოვნოთ, მაგრამ საკუთარ სახელსაც გაფრთხილება უნდა. მოკლედ, უბრალო და უპრეტენზიო კი უნდა გამოვიდეს, ზოგად ხასიათს ვგულისხმობ, ოღონდ თან მაღალმხატვრულიც. ასე ვთქვათ, ბერძნული სტილის მკაცრი ვარიანტი. იონიური წყობა არ გინდა, დორიული აჯობებს. ბრტყელი საყრდენები, მარტივი ფორმები... რაღაც მაგდაგვარი. ხვდები ხომ? აბა, ესენი წაიღე და დამიმტკიცე, რა შეგიძლია. დანარჩენს ბენეტი აგიხსნის. მოიცა, რა... – ფრენკონმა შუაზე გაწყვიტა სიტყვა.

– მისტერ ფრენკონ, ნება მომეცით, "დანას" შენობის სტილში დავაპროექტო.

– ოჰო!

– პირდაპირ გადმოღებას არ ვგულისხმობ უბრალოდ, როგორც ჰენრი კამერონი გააკეთებდა.

– ანუ, ასე ვთქვათ, მოდერნისტულს?

– ... ასე ვთქვათ.

– სულ გააფრინე?!

– მომისმინეთ, მისტერ ფრენკონ,... – რორკის სიტყვები უფსკრულის თავზე გადაჭიმულ ბაგირზე მოარული კაცის ნაბიჯებს ჰგავდა, მოზომილი, დაძაბული, ერთადერთი საყრდენის მაძიებელი და თან ზუსტი, – იმისთვის არ გკიცხავთ, რასაც თავად აკეთებთ. თქვენთან ვმუშაობ, ხელფასს თქვენ მიხდით, უფლებაც არა მაქვს, რამეში შეგეწინააღმდეგოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში... ამ შემთხვევაში დამკვეთი თვითონვე ითხოვს. სასწორზე არაფერს დებთ. თვითონ უნდა ასე. დაფიქრდით

გამოჩნდა კაცი, ერთადერთი ადამიანი, ვინც განსხვავებულად ხედავს, სხვანაირად ესმის, იცის, რა სურს და თან აშენების ფულიც აქვს. თქვენ რა, დამკვეთთან ბრძოლას აპირებთ?! თანაც, რის გამო? იმისთვის, რომ მოატყუოთ და იგივე ძველი ნაგავი მიაჩეჩოთ, რასაც უამრავი სხვა მუშტარი ჰყავს? მაინცდამაინც იმ ერთს, ერთადერთს ვინც რაღაც განსხვავებულს ითხოვს?

– ზღვარს ნუ გადადიხარ! – ხმაში ფოლადი გამოურია ფრენკონმა.

– თქვენი რა მიდის? უბრალოდ, ნება მომეცით, ჩემებურად გავაკეთო და იმასაც ვაჩვენო. მეტი არაფერი. უკვე სამი ესკიზი დაიწუნა, ბოლოს და

მკითხველთა ლიგა

ბოლოს მეოთხესაც დაიწუნებს და ეგ იქნება... აი, თუ არ დაიწუნა თუკი...
ხვეწნა-მუდარა რორკს არასოდეს ეხერხებოდა და ახლაც, ლამის გრძნობაგამოცლილ ხმაში სიუხეშე და ძალდატანება გამოსჭვიოდა და თხოვნაც სწორედ იმ კაცის შეურაცხყოფას ემსგავსებოდა, ვისაც ეს თხოვნა უნდა შეესრულებინა. რას არ მისცემდა კიტინგი, ოღონდ კი ამ დღეში მყოფი რორკი ენახა. აი, ფრენკონი კი ნამდვილად ვერ ხვდებოდა, რა გამარჯვებისთვის მიეღწია პირველს მთელი დედამიწის ზურგზე; მას მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფა ესმოდა რორკის ნათქვამში.
– თუ სწორად ვხვდები, ჭკუას მასწავლი?..
– მხოლოდ გთხოვთ, – თქვა რორკმა და თვალები დახუჭა.
– მისტერ კიტინგის მოყვანილი არ იყო, კრინტს აღარ დაგაძვრევინებდი საერთოდ! მაგრამ შენს მიამიტობას და გამოუცდელობას ვითვალისწინებ და გეტყვი ჩემი მხაზველების ესთეტიკური მრწამსის ამბები ფეხებზეც მკიდია. კეთილი ინებე, მოჰკიდე ამ ფოტოებს ხელი და დაიმახსოვრე ასი წელი არ მჭირდება ა ლა კამერონი... ჩვენ ჩვენი ხელწერა გვაქვს და, ზედმეტი ტვინის ჭყლეტის გარეშე, რაც გითხარი, ის დახაზე კლასიკური ტიპის ფასადი!
– ვერ გავაკეთებ, – მშვიდად ჩაილაპარაკა რორკმა.
– რაა? მოიცა, მაგით რისი თქმა გინდა ბოდიში და, ეგ ამბავი არ გამოვაო?
– ბოდიში არ მითქვამს, მისტერ ფრენკონ.
– აბა, რა თქვი?
– უბრალოდ, ვერ გავაკეთებ-მეთქი.
– რატომ?
– მაინც არ მისმენთ... საერთოდ, ნურაფრის დაპროექტებას ნუ დამავალებთ. სხვას, რასაც მეტყვით ყველაფერს გავაკეთებ, დაპროექტების გარდა. მით უმეტეს, კამერონის მიბაძვით.
– დაპროექტების გარდაო?! შენ რა, არქიტექტორობას არ აპირებ?.
– ამ გზით არა.
– ხოოო... გასაგებია... ესე იგი, არ შეგიძლია... ანუ არ გინდა?
– თუ ასე ფიქრობთ...
– უკვე მართლა ზედმეტი მოგდის, ხო იცი!..
რორკი წამოდგა.
– თუ შეიძლება, გავალ, მისტერ ფრენკონ.
– ჩემ დღეში მსგავსი არაფერი მინახავს... – უკვე ღრიალებდა ფრენკონი, – ვინ მოგცა ასეთი თავხედობის უფლება, რას გააკეთებ და რას არა! შენნაირი კრიტიკოსებიღა მაკლდა!
– არაფერს არ ვაკრიტიკებ, – ისევ ძალიან მშვიდად მიუგო რორკმა, – ან რომელი შემფასებელი მე ვარ? უბრალოდ, რაღაცეების გაკეთება არ შემიძლია. მოდით, ამაზე შევთანხმდეთ და თქვენი ნებართვით, წავალ.
– წახვალ, აბა, რას იზამ! შენი ფეხი აღარ ვნახო აქ არც ამ ოთახში და არც საერთოდ, ოფისში! ჯანდაბამდის გზა გქონია! წადი, ვინმე სულელი მონახე, იმან მოგცეს სამუშაო... თუ იპოვი სადმე!.. ანგარიში გაასწორე და აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!
– დიახ, მისტერ ფრენკონ.
იმავე საღამოს რორკი ისევ იმ ბარში მივიდა, სადაც მაიკი ეგულებოდა ხოლმე დღის ბოლოს. მაიკი ახლა ფრენკონის ძველისძველი კლიენტის დაკვეთაზე მუშაობდა, რაღაც ქარხნის მშენებლობაზე და ეგონა, რორკი დღეს მაინც მოვა დასახედადო. იმიტომაც დახვდა განაწყენებული:
– რაო, სამუშაოზე გამოცხადებასაც აღარ კადრულობ?
რორკი მოყოლას რომ მორჩა, მაიკს კბილებდაკრეჭილ ბულდოგს

მკითხველთა ლიგა

მიუგავდა სახე. მერე ერთი გემრიელად შეიგინა.
– გინება რო შველოდეს...
– მაიცა რა... აღარც შევიგინო?! ახლა რას აპირებ?
– გამოჩნდება კიდევ ვინმე, ფრენკონისნაირი... მერე ისიც გამომაგდებს და ვიქნები ეგრე...

• • •

ვაშინგტონიდან ჩამოსვლისთანავე კიტინგი პირდაპირ ფრენკონის ოფისს მიადგა. მხაზველთა ოთახში არც შეყოვნებულა, ისე შეაღო კაბინეტის კარი. გაი ფრენკონი მეტად კმაყოფილი ჩანდა:
– აგაშენა ღმერთმა! დალევ რამეს? ვისკი-სოდა თუ იქნებ, ბრენდი გეამება?
– მადლობელი. ერთი ღერი სიგარეტიც გექნება.
- რაზეა ლაპარაკი! ისე, მშვენივრად გამოიყურები... არა, მაინც როგორ მოახერხე, შე ნაძირალა? – და მერე, სანამ კიტინგი სიტყვას ჩაურთავდა, თავისი გააგრძელა, – აქ კი ვერ იყო კარგი ამბავი. ლილი ლანდაუ ხომ გახსოვს? მეგონა, მასთან საქმე გაჩარხული მაქვს-მეთქი და გეილ უაინენდმა არ დაითრია?! გაზეთებში მაგის კანჭების მეტს აღარაფერს ბეჭდავენ! რა გინდა, რომ ქნა? ვერც იზამ ვერაფერს... იმან კიდევ გახსოვს, სულ რომ გაიძახოდა, ჩემი ნატვრა იმ ჩემს პაწია ავსტრიულ სოფელში დაბრუნებააო უაინენდმაც აიღო და მთელი სოფელი იყიდა... სახლებიან-ეკლესიებიანად! მერე რა ქნა, თუ იცი? რა და – აგურ-აგურ დაშალა, აქ ჩამოიტანა და სადღაც ჰადსონის პირას ააწყობინა! კი, სახლებიან-ბაღებიანად! და გოგოს აჩუქა! მოკლედ,იმ ვიღაც ბაბილონის მეფეს თუ შეეძლო, თავისი ცოლისთვის დაკიდული ბაღები გაეკეთებინა, მე რითა ვარ მასზე ნაკლებიო... გოგო კი დადნა, მაგრამ სახეზე ეტყობა სიასამურის ერთი ქურქი ერჩია ყველაფერს! აბა, სინამდვილეში, სოფელი რად უნდოდა?! ეგ უაინენდმაც კი იცის, მაგრამ ხომ ასწავლა ჭკუა, გაფრთხილდება და ეგეთ სისულელეებს აღარ დააყრანტალებს... უაინენდმა ეგეც თავის სასარგებლოდ გამოიყენა წვეულება გამართა შიგ სოფელში. აზრზე მოდი, კოსტიუმირებული წვეულება ავსტრიულ მთიან სოფელში, ოღონდ ჰადსონის პირას
– როგორია?! თვითონ ცეზარე ბორჯიასავით იყო გამოწყობილი, და მეორე დღეს რა მოიფიქრა რომელიღაც სკოლის მოწაფეები მოხიკა და იქ წაასხა, ავსტრიული სოფელი არასოდეს უნახავთ ბავშვებსო! მაგარია... გაზეთები ახლა მაგის ფოტოებით გადაჭრელდა: ბავშვთა განათლების სისტემაში ამგვარი თვალსაჩინოების მაგალითები უნდა დავნერგოთო და რა ვიცი... ატირა ხალხი. ყოველ შემთხვევაში, ქალთა კლუბებმა ნამდვილი ბრძოლა გამართეს მაგის საპატიო წევრობაზე! ნეტა მერე რას უზამს თავის სოფელს, როცა ლილისაც მოიშორებს თავიდან? არადა, ნაღდად ეგრე იქნება... რას იტყვი, მექნება რამე შანსი მაგ გოგოსთან?
– კი, რატომაც არა... ისე, აქროგორ მიდის საქმეები?
– გადასარევად. როგორც ყოველთვის. ერთი ეგ იყო, ლუშესი გაგვიცივდა ცოტა და, ვითომ წამლად, არმანიაკის მთელი მარაგი გამომიწრუპა... ღმერთმა შეარგოს, ოღონდ თან ერთ ცუდ საქმეშიც რომ გაიხლართა?! ფაიფურზე გიჟდება, ხომ იცი და რაღაც ჩაიდანი უყიდია, ნაქურდალი ძლივს გადავურჩით თავის მოჭრას... ხო, მართლა, ის შენი ძმაკაცი დავითხოვე, რა ქვია იმას რორკი...
კიტინგს ნერწყვი გადასცდა სასულეში. მერე ისე იკითხა, ვითომ სხვათა შორის: "დააშავა რამე?"

მკითხველთა ლიგა

– თავხედი ნაბიჭვარი! არა, მაინც სად გამოქექე?
– რა მოხდა ასეთი?
– ვიფიქრე, წავახალისებ, ნამდვილ სამუშაოს ვანდობ-მეთქი და ფარელის დაკვეთა ვაჩვენე ესკიზები მჭირდებოდა, გამარტივებულ დორიულ სტილში... იმან კი სასტიკი უარი მტკიცა მე ეგეთ რამეზე ხელს არ გავიფუჭებო. იდეები აწუხებს, ეტყობა... მეც ავდექი და გავაგდე. არ უნდა მექნა? რა გაცინებს?
– არაფერი. არც მიკვირს.
– ახლა არ მითხრა, უკან უნდა დავაბრუნოო.
– ფიქრადაც არ გამივლია.
ამის მერე რამდენიმე დღე კიტინგი კიდევ ფიქრობდა, რორკთან შეევლო და ორიოდ სიტყვა მაინც ეთქვა, მაგრამ სულ სამომავლოდ დებდა ამ საქმეს და მალე იმასაც მიხვდა, უკვე აღარაფერში სჭირდებოდა. დღე დღეს მისდევდა, თანდათან გულზეც მოეშვა და საერთოდ მიივიწყა კიდეც ჰაუარდ რორკი.
საკუთარი ოთახის ფანჯრებიდან რორკი სახურავებს, საკვამურებს, თუნუქის სადინრებსა და უფრო ქვევით, მანქანების უწყვეტ ნაკადს გაჰყურებდა... რაღაც მუქარასავით იგრძნობოდა ამ ოთახის სიცარიელეში, ჩუმი და უაზრო დღეების მდინარებაში, უსაქმურად ჩამოშვებულ ხელებში... გარეთაც იგივე გრძნობა იპყრობდა ქვაფენილზე მიაბიჯებდა, მდინარის პირას იდგა თუ ნიუ-იორკელთა ჩაბნელებული ფანჯრებს გაჰყურებდა. მაგრამ აღარც ეს აწუხებდა: რა ხანია, შესჩვეოდა უკვე.
ერთ დღესაც იმ არქიტექტორთა სია ჩამოწერა, რომელთა ნამოღვაწარი შედარებით ნაკლებად უშლიდა ნერვებს მათი, ასე ვთქვათ, ნაკლები ბოროტების რიგითობით და ისევ სამსახურის ძებნას შეუდგა მშვიდად, ჯიუტად, სიბრაზისა და იმედის გარეშე. არასდროს დაფიქრებულა, რამდენად მძიმე და მტკივნეული იყო მისთვის ეს დღეები; უბრალოდ, იცოდა ამის გაკეთება აუცილებელიაო და აკეთებდა კიდეც.
არქიტექტორები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ: ზოგი კეთილად ხვდებოდა და თითქოს ეუხერხულებოდა კიდეც, როცა ეუბნებოდა, სასიამოვნოა და საქებარიც, არქიტექტორობა რომ გადაგიწყვეტია, მაგრამ თან უცნაურიც და ცოტა სევდის მომგვრელი, როგორც ყველა ახალგაზრდული ილუზიაო. სხვები ნაძალადევად უღიმოდნენ წვრილად მოკუმული ტუჩებით და აშკარად ეტყობოდათ, ბედის მადლიერნი იყვნენ, მის ადგილას რომ არ უწევდათ ყოფნა. ზოგი ხაზგასმით ცივად ელაპარაკებოდა, თითქოს პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა მის მისწრაფებებს; ზოგი დაუფარავად უხეშობდა, აგდებულად ეუბნებოდა –კარგი მხაზველი ყველასთვის და ყველა დროში სანთლით საძებარია,მაგრამ შენ რისი იმედი უნდა გქონდეს. მოდი, მშვიდობიანად დავშორდეთ და მეტის თქმას ნუღარ გვაიძულებო.
არა, სისასტიკე ან ბოროტება არ ამოძრავებდათ და არც მისი ნიჭის თუ უნარის შეგნებულად დაკნინებას ცდილობდა ვინმე. ალბათ მთლად უსარგებლოდ არც თვლიდნენ, უბრალოდ, თავის ზედმეტად შეწუხება არავის უნდოდა. ხანდახან ესკიზების ჩვენებას სთხოვდნენ; მაგიდაზე რომ გაშლიდა ხოლმე, სირცხვილისგან თითები ეკრუნჩხებოდა; ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სამოსს იხევდა ტანზე, მაგრამ თავისთავად სიშიშვლის კი არა, უფრო იმის რცხვენოდა, სრულიად გულგრილი თვალების წინ რომ უწევდა გახდა...
დროდადრო ნიუ-ჯერსიში ჩადიოდა კამერონის სანახავად. გორაკზე შეყუჟული პატარა სახლის პარმაღზე ისხდნენ ხოლმე, კამერონი

მკითხველთა ლიგა

ბორბლებიან სავარძელში, მუხლებზე პლედშემოხვეული, ხელებდაკრეფილი. "რას შვრები, ჰაუარდ? ძალიან გიჭირს?" "არა." "გინდა, რომელიმე ნაბიჭვართან წერილი გაგატანო?" "არა."

მერე და მერე კამერონი ამ თემაზე საუბარს შეეშვა, ეტყობა, უჭირდა იმ აზრთან შეგუება, როგორ გარიყა მისი შეგირდი მთელმა ქალაქმა. თავიდან, როცა სამსახური მისცა, არქიტექტურაზე ისე უბრალოდ და თავდაჯერებულად ელაპარაკებოდა, თითქოს პირადად მის კერძო საკუთრებას ეხებოდა საქმე. დასხდებოდნენ ხოლმე კამერონის კაბინეტში და საათობით გასცქეროდნენ მდინარის იქით, ჰორიზონტზე გადაშლილ ნიუ-იორკს. თანდათან ბინდი წვებოდა და ცაც მომწვანო-მოლურჯო შუშასავით ირეკლავდა დაწრეტილ შუქს; შენობები ფანჯრებზე დაორთქლილ ღრუბლებს ემსგავსებოდნენ, მორუხო-მოცისფრო ღრუბლებს ოღონდ წამით სწორ
კუთხეებად და ვერტიკალურ ხაზებად გაყინულებს, დაისის ათინათში...

ზაფხული გავიდა, სიაც ამოიწურა და კვლავ მოუწია, ყველა ის ადგილი ჩამოევლო, საიდანაც უარით გამოესტუმრებინათ. ისევ ზოგგან ჯიქურ, ზოგგან მორცხვად, ზოგგან ბრაზით და ზოგგანაც ბოდიშით ხვდებოდნენ, საბოლოო ჯამში კი მაინც ერთსა და იმავეს უმეორებდნენ _ თქვენ ხომ სთენტონიდან გაგრიცხეს და მერე ვერც
ფრენკონთან მოიკიდეთ ფეხიო... ცხადია, ამას ყველგან სხვადასხვანაირი ხმით ამბობდნენ, ოღონდ ნათქვამში ერთნაირი კილო მოისმოდა ვერ გაგვიგია, უარისთვის მეტი რაღა საბუთი გინდაო.

ერთ საღამოს თავის ოთახში იჯდა ფანჯრის რაფაზე, ეწეოდა, ხელი ცივ შუშაზე მიებჯინა და თითებშორის მოქცეულ ქალაქს გადაჰყურებდა.

სექტემბერში გორდონ ლ. პრესკოტის სტატიას გადააწყდა "არქიტექტურის მაცნეში" – "გზა გავუხსნათ ხვალინდელ დღეს!" ავტორის აზრით, ხუროთმოძღვრის პროფესიის ტრაგედია ის იყო, დამწყებ ტალანტებს უამრავი სიძნელე რომ ეღობებოდათ გზაზე; დიდი ნიჭი იკარგებოდა ბრძოლაში უკვალოდ; არქიტექტურა ახალი სისხლის, ახალი აზრისა და სითამამის ნაკლებობის გამო ღაფავდა სულს; თავად სტატიის ავტორსაც მიზნად იმედისმომცემი ახალგაზრდების ძიება, გამხნევება და გზაზე დაყენება დაესახა. რორკს მანამდე არაფერი სმენოდა გორდონ ლ. პრესკოტის შესახებ, თუმცა ნაწერის გულწრფელობა რატომღაც მაშინვე ირწმუნა და როცა მისი ოფისისკენ მიაბიჯებდა, პირველად გაუკრთა გულში რაღაც იმედის მსგავსი.

გორდონ ლ. პრესკოტის მისაღები ოთახი რუხ, შავ და მეწამულ ფერებში იყო გადაწყვეტილი; ყველაფერში სიზუსტე, ზომიერება და თან სითამამე იგრძნობოდა ერთდროულად. ახალგაზრდა და ძალზე სანდომიანმა მდივანმა რორკს აუხსნა, მისტერ პრესკოტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვედრა გამორიცხულია და თუ გნებავთ, სიამოვნებით ჩაგწერთ მომავალი ოთხშაბათის სამ საათზეო. ოთხშაბათს, ზუსტად სამზე კი მომხიბლავად გაუღიმა და ცოტა ხნით მოსაცდელში ჩამოჯდომა სთხოვა. ხუთს აკლდა თხუთმეტი, როცა რორკმა გორდონ ლ.
პრესკოტის კაბინეტში შედგა ფეხი.

პრესკოტს კუბოკრული ტვიდის პიჯაკი და ანგორის თეთრი სვიტერი ეცვა. მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ოცდაათიოდე წლის კაცი იყო და გადატკეცილი პირისკანის, პაწაწა ცხვირის, პატარა, მსუქანი ტუჩების მიუხედავად, სახეზე მისი ასაკისთვის უჩვეულო სიბრძნის კვალი აჩნდა. მზედაკრული სახე ჰქონდა და პრუსიელი ჯარისკაცივით მოკლედ შეკრეჭილი თმა. აშკარად უსვამდა ხაზს საკუთარ მამაკაცურობას, ელეგანტურობისადმი ვითომ გულგრილობას და არც იმას მალავდა,

მკითხველთა ლიგა

აზრზე რომ იყო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე.
ხმა არ ამოუღია და თვალებიც წამმზომს მიუგავდა, ყოველი სიტყვის თქმაზე დახარჯულ ზუსტ დროს რომ აღნუსხავს... სტუმარს პირველი წინადადება არ გააწყვეტინა, მეტი კი აღარ აცალა და მოკლედ აჯახა ნახაზები მაჩვენეო, თითქოს მიახვედრა, რა უნდა მითხრა ისეთი,წინასწარვე არ ვიცოდეო.
ნახაზები გარუჯული ხელებით ჩაბღუჯა. სანამ დახედავდა, რორკს მიუბრუნდა: ”ძალიან ბევრი ახალგაზრდა მაკითხავს რჩევისთვის უამრავი." პირველ ესკიზს შეავლო თვალი, მაგრამ უცებვე ამოხედა; „ გასაგებია პრაქტიკულისა და ტრასცენდენტურის შერწყმის მცდელობა, არ არის იოლად შესასრულებელი ამოცანა." ესკიზი ქვემოდან ამოუდო დანარჩენებს: "არქიტექტურა, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებითი მიდგომაა და მთელი სირთულეც ისაა, როგორ ავამაღლოთ პრაგმატიზმის პრინციპი ესთეტიკური აბსტრაქციის სფერომდე. სხვა ყველაფერი სისულელეა”. კიდევ ორ ესკიზს გადაავლო თვალი და ისინიც ქვემოდან ამოდო: "მეოცნებეებისთვის დრო ნამდვილად არა მაქვს, ვისაც არქიტექტურა ჯვაროსნული წმინდა ლაშქრობა ჰგონია, იმისთვის მხოლოდ ერთი რამ მაქვს სათქმელი: არქიტექტურის ერთადერთი დინამიკური პრინციპი - ეს ადამიანთა თანასწორობის საერთო პრინციპია", მერე რომელიღაც ნახაზს დახედა და ისიც სხვების ქვეშ ამოდო: "საზოგადოების შეფასება გადამწყვეტია ხელოვანისთვის. გენიოსიც ისაა, ვისაც
საერთოსა და ზოგადის გამოხატვა ძალუძს". ნახაზების შეკვრა ხელისგულზე აწონ-დაწონა, შენიშნა, რომ ნახევარზე მეტი უკვე გადათვალიერებული ჰქონდა და მთელი შეკვრა ისევ მაგიდაზე დაუშვა.
"ჰო, მართლა,” – თქვა მერე, – "შენს სამუშაოს რაც შეეხება: ძალიან საინტერესოა, ოღონდ არაპრაქტიკული. და უმწიფარი. ორიგინალურობა – ორიგინალურობისთვის. დღევანდელობაში ვერ ჯდება. თუ მართლა გაინტერესებს რაიმე აქტუალური შემიძლია გაჩვენო". უჯრიდან ახლა სხვა ნახაზი ამოიღო: "აი, ეს პროექტი ერთი ვინმე ახალგაზრდა კაცის გაკეთებულია არც რეკომენდაცია ჰქონია და არც არაფერი.
ერთი დავხედე და იქვე ავიყვანე სამუშოდ, 25 დოლარს ვუხდი კვირაში. ამისთანა რამეს თუ დამიხაზავ, აღარც შენ გექნება სამუშაო საძებარი.” – თქვა და ნახაზი რორკს გაუწოდა. არც მეტი, არც ნაკლები, ბეღლისმაგვარი სახლი იყო, ოღონდ -პართენონის მსგავსი სვეტებით გაწყობილი.
"აი, ესაა სწორედ მარადიული სიახლე!" – საზეიმო ხმით წართქვა უფ. გორდონ ლ. პრესკოტმა, – "თუკი სახელის მოხვეჭა გსურს, რაიმე ამდაგვარს უნდა შეეჭიდო. შენ კი ჯერ დიდი გზა გაქვს წინ და სასწავლიც ბევრი გაქვს... ხუროთმოძღვრება უმძიმესი პროფესიაა, მაგრამ სათანადო შრომისა და თავდადების შემთხვევაში ვინ იცის... ახლა კი, ბოდიში მომიხდია და, ჩემს მდივანს რაღაც შეხვედრა ჰქონია დანიშნული..."

• • •

ოქტომბერი იდგა და რორკი გვიან საღამოს ბრუნდებოდა შინ; ესეც რიგითი დღე იყო მისთვის, ერთი იმდაგვარი ამ ბოლო თვეების მანძილზე, როცა აღარც ახსოვდა ვის შეხვდა, რა სიტყვებით გამოისტუმრეს, რა მოიმიზეზეს...
წინ გრძელი ქუჩა გადაჭიმულიყო; ბოლოში სახლების კედლები თითქოს ერთმანეთისკენ იწევდა და ვიწრო, ხელის სიგრძე გასასვლელსღა

მკითხველთა ლიგა

ტოვებდა მხოლოდ. სწრაფ-სწრაფად მიაბიჯებდა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. უცბად ბეტონის რაღაც სამკუთხედი დალანდა ჰაერში, რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლეზე გამოკიდულიყო. სიბნელეში ჯერ ვერც გაერკვია, თუ რა იჭერდა კონსტრუქციას, მერე უცბად წარმოიდგინა, თავად რას შეუდგამდა, რაზე დააფუძნებდა და იქვე იმასაც მიხვდა, რომ მთელ ქალაქში სულიერი არ მოიძებნებოდა, მასავით ერწმუნა ჰაუარდ რორკი კიდევ ააშენებდა რამეს; თუმცა "კიდევ ააშენებდა" რა ჯერ ხომ არც დაეწყო არაფერი... გააჟრჟოლა.

გვერდითა ქუჩაზე გადაუხვია ისტ-რივერისკენ. შორს ერთადერთი შუქნიშანი ბჟუტავდა წითელი წერტილი შავ ფონზე. ძველი, სულ რამდენიმესართულიანი სახლები თითქოს ცის სიმძიმის ქვეშ იზნიქებოდნენ, მისი ნაბიჯების ხმა კი ყრუდ გაისმოდა ამ სიცარიელეში. მიდიოდა, საყელოაწეული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მარტოსული; მისი ლანდი კი კედლებზე იწრიტებოდა მანქანის საქარე მინაზე დანატოვარი წყლის კვალივით...

9

ჯონ ერიკ სნაიტმა რორკის ესკიზები დაათვალიერა, სამი გვერდზე გადადო, დანარჩენები ერთ დასტად დაალაგა, მერე ისევ იმ სამს გადაავლო თვალი, ბოლოს რიგრიგობით, მოწყვეტით დააგდო ზევიდან დასტაზე და რორკს მიუბრუნდა:

– შთამბეჭდავია. უკიდურესად თამამი, მაგრამ შთამბეჭდავი, ამ საღამოს დაკავებული ხარ?

– რატომ მეკითხებით? – გაიკვირვა რორკმა.

– გცალია? შეგიძლია, ახლავე შეუდგე საქმეს? პალტო გაიხადე, მხაზველების ოთახში შედი, დროებით ვინმეს გამოართვი, რაც გჭირდება – ფანქარი, სახაზავი და სუპერმარკეტის ესკიზი დამიხაზე, ახლა სწორედ მაგის გადაკეთებაზე ვმუშაობთ. შავი მონახაზი მჭირდება, მთავარი იდეა, ხვალისთვის მზად იყოს... გვიანობამდე დარჩენა პრობლემაა? გათბობა ჩართულია და ჯოსაც ვეტყვი, რამე საჭმელი მოგიტანოს. შავ ყავას დალევ? თუ ვისკი გირჩევნია? არ მოგერიდოს... ჯოს უთხარი. მოკლედ, რჩები?

– კი. – მიუგო ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა რორკმა, – ღამეც შემიძლია გავათენო.

– აგაშენა ღმერთმა! აი, ვინ მჭირდებოდა კამერონთან ნამუშევარი კაცი. სხვა ყველა ჯურის უკვე მყავს. ხო, მართლა, ფრენკონთან რამდენს გიხდიდნენ?

– სამოცდახუთს.

– მე იმ ეპიკურეელი გაისავით ხელგაშლილი ვერ ვიქნები. ბევრი- ბევრი – ორმოცდაათი. გაწყობს? აგაშენა ღმერთმა. მაშინ წავედით. ბილინგზს ვეტყვი, დაგაკვალიანოს. რაღაც მოდერნული მჭირდება. ხვდები, არა? მოდერნული, მძაფრი, ხალხს რომ გააოცებს ისეთი. მოკლედ, ბოლომდე შეუბერე, თამამად. ყველაფერი ჩამოყარე, რაც თავში მოგივა, რაც უფრო უაზრო იქნება მით უკეთესი. აბა, შენ იცი!

ჯონ ერიკ სნაიტი სკამიდან წამოხტა, მხაზველების დარბაზის კარი შეაღო, შევარდა, პირველივე მაგიდას მიაწყდა და მაგიდასთან მდგომ, პირქუშ, მრგვალსახიან კაცს აჯახა: "ბილინგზ ეს რორკია. ჩვენი მოდერნისტი. ბენტონის მარკეტის სქემა მიეცი. საერთოდ, ყველაფერი, რაც დასჭირდება. მერე შენი გასაღები დაუტოვე და აუხსენი, წასვლისას რა ჩაკეტოს. დღეს დილიდან გააფორმე. ხელფასი ორმოცდაათი. ძმებ

მკითხველთა ლიგა

დოლსონებთან რომელზე მქონდა შეხვედრა? მაინც დავაგვიანე. აბა, წავედი, დღეს ვეღარ მნახავთ".

ახლაც დამდუღრულივით მოსწყდა ადგილს და კარი გაიჯახუნა. ბილინგზს გაკვირვება არ შესტყობია. რორკს ისე გახედა, როგორც უკვე დიდი ხნის თანამშრომელს. დუნედ, მძიმედ ლაპარაკობდა, დაღლილი კაცივით. ოც წუთში რორკი მარტო დატოვა სახაზავ დაფასთან, თუმცა მანამდე ყველაფრით მოამარაგა ფურცლებით, ფანქრებით, ინსტრუმენტებით, სუპერმარკეტის გეგმებით და ფოტოებით, სქემებით და მითითებების გრძელზე-გრძელი სიით.

რორკმა ფანქარი მაგრად ჩაბღუჯა და ცარიელ, თეთრ ფურცელს მიაჩერდა. მერე ფანქარი დადო, ისევ აიღო, თან ნელ-ნელა უსვამდა ცერა თითს მის გლუვ ზედაპირს; ხედავდა, როგორ უთრთოდა ფანქარი თითებში. ერთხელაც დააგდო, უკვე საკუთარ თავზე გამწყრალმა, ბრაზობდა, რატომ ვერ ერეოდა თავს და ამოდენა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სამუშაოს ახლაღა მიმხვდარიყო უეცრად, სინამდვილეში რას ნიშნავდა მისთვის უსაქმოდ გატარებული ამდენი თვე. თითის წვერები დაფაზე გადაჭიმულ ფურცელს მიაბჯინა, თითქოს ფურცელი აპოვნინებდა საყრდენს, თითქოს ნათურის შუქდაკრული ზედაპირი შეაკავებდა მის სხეულს, შეაკავებდა და თან ტკივილს მიაყენებდა. მერე თითები მოწყვეტით აიღო ფურცლიდან და საქმეს შეუდგა...

ჯონ ერიკ სნაიტი ორმოცდაათი წლის იყო; ეშმაკურ და კვიმატ სახეზე მუდამ დამცინავი ნიღაბი ჰქონდა აფარებული, თითქოს ყველა იმათზე, ვისაც კი შესცქეროდა, რაღაც სამარცხვინო ამბავი იცოდა და თან უნდოდა, უთქმელად ეგრძნობინებინა ნუ გეშინია, სამარე ვარო. სამართლიანად სარგებლობდა ცნობილი არქიტექტორის სახელით; თუმცა გამომეტყველება არც ამ თემაზე საუბრისას ეცვლებოდა. გაი ფრენკონი არაპრაქტიკულ იდეალისტად მიაჩნდა; არავითარი კლასიკური დოგმებით არ იზღუდავდა თავს; ნიჭიერი იყო, დაბადებითვე ლიბერალი და ნებისმიერი ტიპისა და დანიშნულების ნაგებობის აშენება შეეძლო. არც თანამედროვე სტილი აფრთხობდა და ასეთი შენობების დაპროექტებასაც ხალისით ჰკიდებდა ხელს, თუკი იშვიათი დამკვეთი მოითხოვდა შიშველ, ბრტყელსახურავებიან კოლოფებს რასაც თავად "დიდად პროგრესულ" საქმედ ნათლავდა. აშენებდა რომაული ტიპის ვილებსაც და სასაცილო ახირებებს უწოდებდა, თავისსავე აგებულ გოთიკურ ტაძრებს კი "სულიერებისთვის გადახდილ ხარკად იხსენიებდა, რაც მთავარია, მათ შორის განსხვავებასაც ვერ ხედავდა. არასოდეს ბრაზდებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, ვინმე არ იტყოდა სნაიტი ეკლექტიკურიაო; ეს კი მართლა აცოფებდა.

საკუთარი სისტემით მუშაობდა. განსხვავებული ხელწერის ხუთი დიზაინერი ჰყავდა დაქირავებული და ნებისმიერი შეკვეთაც საბოლო სახეს მათი შემოქმედებითი ქიშპის შედეგად იღებდა ხოლმე. გამარჯვებულად ერთ რომელიმე პროექტს კი აცხადებდა, მაგრამ აუცილებლად აუმჯობესებდა დანარჩენი ოთხიდან მოწონებული დეტალებით. ერითი ჭკუა კარგია, მაგრამ ექვსი ბევრად უკეთესიო, უყვარდა თქმა.

როცა რორკმა ბენტონის სუპერმარკეტის საბოლოო პროექტი ნახა, მაშინვე მიხვდა, რატომ არ შეეშინდა სნაიტს მისი დაქირავება. ეცნო სივრცული გადაწყვეტის საკუთარი პრინციპები, მისეული ფანჯრებიც და სავენტილაციო სისტემის არაორდინარული გადაწყვეტაც; არადა,კორინთულ სვეტისთავებსაც, გოთიკურ კამარებსაც, კოლონიალური ეპოქის ჭაღებსაც და მავრიტანულს მიმგვანებულ რაღაც

მკითხველთა ლიგა

საოცარ ფორმებსაც ხომ თვალნათლივ ხედავდა. პროექტი აკვარელით იყო შესრულებული, იშვიათი სინატიფით, მუყაოზე დაკრული და ზემოდან პაპირუსის ქაღალდგადაკრული. მხაზველების ოთახში შეკრებილებს მხოლოდ შორიდან შეეძლოთ მისი ცქერა; წინასწარ ყველას მკაცრად მოსთხოვეს ხელების საფუძვლიანად დაბანა და სიგარეტის ჩაქრობა. დამკვეთთა სამსჯავროზე პროექტის გამოტანას ჯონ ერიკ სნაიტი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ საპატიო მისიის შესასრულებლად საგანგებოდ ჰყავდა დაქირავებული არქიტექტურის ინსტიტუტის ერთი ჩინელი სტუდენტი მის გარდა ხელით ამ შედევრებს ვერავინ შეეხებოდა.

რორკმა იცოდა, რას მისცემდა ასეთი სამსახური. საკუთარ ქმნილებას, სრული სახით, ვერასოდეს იხილავდა მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს, მათი ნახვის სურვილი კი საერთოდ არ ჰქონდა; მეორე მხრივ, შეეძლებოდა თავისუფლად დაეპროექტებინა ყველაფერი, თავის ნებაზე,და ნამდვილი პრობლემების გადაწყვეტის გამოცდილებაც შეეძინა. ეს სასურველზე ნაკლები იყო და მოსალოდნელზე მეტი. ამიტომაც არ გაჯიუტებულა. დანარჩენი ოთხი დიზაინერიც გაიცნო, მეტოქეები, და ოფისში მათთვის შერქმეული სახელებიც შეიტყო "კლასიკა", "გოთიკა", "რენესანსი" და "ნაირ-ნაირი".

თავად კი შეკრთა, ვიღაცამ ეი შენ, მოდერნისტოო რომ მიაძახა.

• • •

მშენებელთა პროფკავშირების გაფიცვამ ლამის წყობიდან გამოიყვანა გაი ფრენკონი. გაფიცვა "ნოიეს-ბელმონტის" სასტუმროს აგების წინააღმდეგ წამოიწყეს და მალე მთელი ნიუ-იორკის ახალმშენებლობებს მოედო. პრესაში გაჟონა ცნობამ, პროექტი "ფრენკონი და ჰეიერის" ფირმას ეკუთვნისო.

თუმცა, ისიც ითქვას, ზოგადად, მთელი მედია გაფიცვის წინააღმდეგი იყო და დამკვეთებს აგულიანებდა, არაფერი დათმოთო. ყველაზე ძლიერი მხარდაჭერა კი უაინენდის გაზეთებიდან მოდიოდა.

"ჩვენ მუდამ და ყოველთვის რიგითი მოქალაქეების უფლებებს ვიცავდით, მაგრამ კანონისა და წესრიგის წინააღმდეგ არასოდეს აგვიმაღლებია ხმა..." – ეწერა ერთ-ერთ მეწინავეში. კაცმა არ იცის, უაინენდის მედია-ჰოლდინგი წარმართავდა საზოგადოებრივ აზრს, თუ პირიქით; ოღონდ ცხადი იყო, მუდამ ერთ ხმაში იმღერებდნენ. რაც არავინ იცოდა, ფრენკონისა და ერთი-ორი სხვა ბობოლას გამოკლებით, რომ სწორედ გეილ უაინენდის მფლობელობაში იყო ის კორპორაცია, რომელსაც, თავის მხრივ, "ნოიეს-ბელმონტ ჰოტელი" ეკუთვნოდა.

ესეც ახალ თავსატკივარს უჩენდა გაი ფრენკონს: ხმები დადიოდა, გეილ უაინენდის უძრავი ქონებით ვაჭრობის დივიდენდები მისი მედიაკორპორაციისას არ ჩამოუვარდებაო და ახლა, ამისთანა შეკვეთა შეიძლება გამოსცლოდა ხელიდან. ფრენკონს და კიტინგს თავი არ დაუზოგავთ როკოკოს ეპოქის ყოველნაირი სამშვენისის მისასადაგებლად: არც თაბაშირში ჩამოსხმული ყვავილები დავიწყებიათ, არც მარმარილოში ნაკვეთი კუპიდონები, ბრინჯაოთი მოპირკეთებული, ღია ლიფტებიც კი ჩადგეს, მაგრამ ამაოდ ახლა წყალში ეყრებოდათ ყველაფერი.საქმეც ისაა, რომ გეილ უაინენდისას ვერას გაიგებდი ვის როდის დაანაშაულებდა და რაში... გაფიცვა გაფიცვად, მაგრამ ჯოხი კი შეიძლება სწორედაც ფრენკონის ფირმაზე გადაეტეხა!

გაი ფრენკონს ისე დაეკარგა წონასწორობა, უკვე სულ ტყუილუბრალოდ

მკითხველთა ლიგა

ეჯაჯღანებოდა კიტინგს, ის კიდევ ვითომც არაფერიო, მშვიდად შეაქცევდა ხოლმე ზურგს და მხაზველთა ოთასში დაყიალებდა უსაქმოდ. თუმცა ნერვები არც მას ჰქონდა მთლად რიგზე, ერთხელაც,ლუშეზ ნ. ჰეიერს გადააწყდა და წინ ვერ იყურებიო?! – მიაყვირა. ჰეიერი კარგა ხანს ვერ მოვიდა გონზე, იდგა და გაოცებული თვალებს ახამხამებდა.

მოკლედ, ოფისში ისეთი ვითარება შეიქმნა, არც საქმე იყო გასაკეთებელი, არც სალაპარაკო და ჯობდა, არავის დატაკებოდი რაღაც წვრილმანის გამო. კიტინგიც ადრე წამოვიდა სახლში; თუმცა, ვერც იქ ისვენებდა: ხან რადიატორები ეჩვენებოდა გადახურებული, მერე დედამისს ამუნათებდა ფანჯარას რომ აღებ, რა ჩემი გაციება გინდაო?.. მოუსვენრად იყო უსაქმობის გამო და ვერც ასე მარტო ყოფნას ეგუებოდა...

ბოლოს ვეღარ გაძლო, ტელეფონს ეცა და ქეთრინ ჰელსის დაურეკა.მისი მშვიდი, ალერსიანი ხმა კი მართლა გულზე მოეფონა. "ისეთი არაფერი, ქეითი უბრალოდ, ვიფიქრე, ამ საღამოს თუ იქნები სახლში-მეთქი,შემოგივლიდი". ”რა თქმა უნდა, ვიქნები... მოხვალ?” "კი, რვის მერე,გაწყობს?” ”სავსებით. ბიძაჩემზე გაიგე?" "კარგი რა... მთელი დღე მარტო ბიძაშენის ამბები მესმის! დაიცა, სულაც არ მინდოდა, ბიძაშენზე წამომცდენოდა რამე, მაგრამ... ხომ გესმის... მოდი, ამ საღამოს მაინც ნუღარ ვახსენებთ.” "როგორც შენ იტყვი. გელოდები." "საღამომდე, ქეით”.

ელზუერთ თუის ახალ გამოხტომაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა,მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც კი არ სურდა. საქმეც ის იყო, რომ ამ რამდენიმე თვის წინ, მისი წიგნის წარმატების გამო უაინენდის ერთ-ერთ გაზეთშიც მიიწვიეს საკუთარი გვერდის გასაძღოლად; რუბრიკა იმთავითვე ხელოვნების პრობლემების გასაშუქებლად იყო გამიზნული, მაგრამ ნელ-ნელა ელზუერთ თუის ტრიბუნად გადაიქცა, საიდანაც იგი თავის მოსაზრებებს აფრქვევდა ლიტერატურაზე, ნიუ-იორკის რესტორნებზე, საერთაშორისო კრიზისებსა თუ სოციოლოგიის საკითხებზეც კი. დიდად პოპულარული წამოწყება აღმოჩნდა, მაგრამ სწორედ გაფიცვამ ჩააგდო მისტერ თუი საორჭოფო მდგომარეობაში: თითქოს მუშებს თანაუგრძნობდა, თან სიტყვაც არ დასცდენია ამის თაობაზე თავის სტატიებში. ოღონდ ესაა, რომ სწორედ ამ საღამოს დიდი მიტინგი იყო დანიშნული გაფიცულთა მხარდასაჭერად და სიტყვით გამომსვლელთა სიაში, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, ელზუერთ თუის სახელიც იხსენიებოდა.

გასაგები მიზეზების გამო, ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ამბობდნენ, ხალხი ნაძლევსაც კი ჩამოდის, დაუპირისპირდება თუი უაინენდს თუ არაო. კიტინგმა გაიგონა, მათი ერთი თანამშრომელი პირზე დუჟმომდგარი რომ გაიძახოდა გამოვა და ეგრე?! მთელი ნიუ-იორკის მეკალმეებში ერთი ეგღა დარჩა ნამუსგაურეცხავიო... სხვა კიდევ ამტკიცებდა შანსი არაა, ორი თავი და ცხრა სიცოცხლე უნდა გქონდეს, უაინენდს რომ დაუპირისპირდე გაგსრესსო.. თავად კიტინგს ცალ ფეხზე ეკიდა, ასე იქნებოდა თუ ისე, ოღონდ რატომღაც ხასიათს კი უშხამავდა მთელი ეს ამბავი.

სადილზე ხმა არ გაულია და როცა დედამისმა წამოიწყო თავისი ”მართლა, კიტ, რას ფიქრობ, როგორ..." – საუბარი წამსვე სხვა რაღაცაზე გადაიტანა.

საღამოს ტაქსი გააჩერა და გრინვიჩ ვილიჯში წავიდა. კიბე, რატომღაც, ფეთიანივით აირბინა, ზარიც ენერგიულად, გაბმით დარეკა. მოიცადა. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ზურგით კედელს მიეყრდნო, ისევ დარეკა,

მკითხველთა ლიგა

რამდენჯერმე. ქეთრინი ვერსად წავიდოდა, რაკი მის მისვლას ელოდებოდა; არსად არ შეიძლებოდა წასულიყო. დაბნეული დაუყვა კიბეს, ქუჩაში გამოვიდა, ფანჯრებს ახედა. შუქი არც ერთში არ ენთო. იდგა, ჩაბნელებულ ფანჯრებს ასცქეროდა და მიტოვებულად მიაჩნდა თავი. მერე სიმარტოვის განცდა შეაცოცდა ლოკოკინასავით, თითქოს უბინაოდ დარჩაო უშველებელ ქალაქში. წამით საკუთარი მისამართიც დაავიწყდა, ისიც კი აღარ იცოდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა. მერე შეხვედრა გაახსენდა, დიდი თავყრილობა, სადაც ამ საღამოს ქეთრინის ბიძა საჯაროდ აპირებდა მარტვილად ქცევას. აი, სად იქნება ის ჩურჩუტიო, გაიფიქრა. "ერთი მაგისი ჭკუაც...” – თქვა უკვე ხმამაღლა და მაშინვე ლამის სირბილით გაეშურა იქით.

დარბაზის შესასვლელს ერთი გაშიშვლებული ნათურა ანათებდა ავის მომასწავებელი მოცისფრო-მოთეთრო, ცივი და კაშკაშა შუქით. ქუჩაში ბნელოდა და ამ შუქის ფონზე მხოლოდ გახვრეტილი საწვიმარი მილიდან ჩამომავალი წვიმის ჭავლი მოჩანდა, შუშის ბრჭყვიალა ნემსი, ისეთი წვრილი და სწორი, კიტინგს რატომღაც ყინულის ლოლუებით მოკლულებზე ყურმოკრული ამბები გაახსენდა. შესასვლელთან, წვიმაში, რამდენიმე ცნობისმოყვარე უსაქმური და ერთი-ორი პოლიციელი იდგა. კარი ღია იყო. ჩაბნელებული წინკარი გადაჭედილ დარბაზში შესვლის უამრავ მსურველს გაევსო; იდგნენ და საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის მოტანილ ხმის გამაძლიერებელს უსმენდნენ. კართან სამი ლანდიც ასვეტილიყო უფასო ბუკლეტებს ურიგებდნენ გამვლელ-გამომვლელს. ერთი, გაუპარსავი, წვრილკისერა ახალგაზრდა კაცი ჭლექიანს მიაგავდა; მეორეს, გამოწკეპილს, ბეწვისსაყელოიანი პალტო ეცვა; მესამე კი თავად ქეთრინ ჰელსი იყო.

ისიც წვიმაში იდგა, აწურული, მხრებში მოხრილი; ცხვირი უბზინავდა, თუმცა თვალები მაინც მღელვარებისგან უციმციმებდა. კიტინგმა ნაბიჯი შეანელა, მიაჩერდა.

თავჩაღუნულმა გოგომ მექანიკურად გამოუწოდა ბუკლეტი, მერე ამოიხედა და გაუღიმა, ხმაც ბედნიერი ჰქონდა, სიხარულს ვერ მალავდა:

– პიტერ! რა კარგია, რომ მოხვედი!

– ქეით... – კიტინგს ლამის სული შეუგუბდა, – ქეით, აქ რა ჯანდაბა...

– სხვა გზა არ მქონდა, პიტერ. – სულაც არ ეტყობოდა, რომ მობოდიშებას აპირებდა, – როგორ არ გესმის...

– წვიმაში ნუ დგახარ. შედი შიგნით.

– არ შემიძლია. უნდა...

– შეეფარე მაინც, სულელო! – უხეშად უბიძგა კარისკენ და წინკარში შეაგდო.

_პიტერ, საყვარელო, ხომ არ მიბრაზდები? ყველაფერს აგიხსნი: არ მეგონა, ბიძაჩემი წამოსვლის ნებას თუ მომცემდა, არადა, ბოლო წუთს მითხრა, თუ გინდა, წამოდი, ბუკლეტების დარიგებაში მოგვეხმარეო. ვიცოდი, გამიგებდი. ბარათიც დაგიტოვე სასტუმრო ოთახის მაგიდაზე, დაგიწერე...

– ბარათი დამიტოვე? ოთახში?

– ხო... უი... ღმერთო, რა შტერი ვარ, მაგაზე არც მიფიქრია, როგორ შეხვიდოდი, რამ გამომაჩერჩეტა, მაგრამ ისე ვჩქარობდი!.. არა, არ უნდა გაბრაზდე, ჩემზე გაბრაზება შეიძლება?! თან, ხო ხედავ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი ბიძაჩემისთვის? არ იცი, რამდენი რამ დადო სასწორზე? ისე, ეჭვიც არ მეპარებოდა. ყველას ვეკამათებოდი, ისინი კიდევ შანსი არააო, ეგ ბოლოს მოუღებსო... იქნებ ეგრეც მოხდეს, ოღონდ მაინც არ გაჩერდება: ასეთია და რა ქნას?! მეშინია და თან ბედნიერიც ვარ, იმიტომ

მკითხველთა ლიგა

რომ რაც გააკეთა... იცი, ადამიანებისადმი რწმენა განმიმტკიცა.ოღონდ მეშინია, უაინენდი...

– გაჩუმდი ერთი წამი, თუ ღმერთი გწამს! ვიცი ყველაფერი. ყელში ამომივიდა. აღარ გამაგონო არც ბიძაშენი, არც უაინენდი და არც ეს ოხერი გაფიცვა! წამო, წავედით.

– არა რა, პიტერ! გთხოვ! მინდა მოვუსმინო და...

– ჩუმად, მოგვასმენინეთ! – ვიღაცა აღშფოთდა ბრბოში.

– გამოვტოვეთ ყველაფერი, – წაიჩურჩულა ქეითმა, – ოსტინ ჰელერი ლაპარაკობს. არც ოსტინ ჰელერის მოსმენა გინდა?

კიტინგმა იმ მოწიწებით ახედა ხმის გამაძლიერებელს, რასაც ნებისმიერი ცნობილი სახელისა და გვარის მიმართ განიცდიდა. ოსტინ ჰელერის ბევრი არაფერი წაეკითხა, თუმცა იცოდა, ჰელერი "ქრონიკლის" – ამ ბრწყინვალე, დამოუკიდებელი გაზეთის უპირველესი, საამაყო ჟურნალისტი და "უაინენდ ფაბლიქეიშნის" დაუძინებელი მტერი იყო; ძველი, სახელოვანი ოჯახის შვილი და ოქსფორდის კურსდამთავრებული; ლიტერატურული კრიტიკოსობით დაიწყო და ბოლოს ნებისმიერი კერძო თუ საზოგადო ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებულ ფანატიკოსად იქცა; მის სახელს ერთნაირად წყევლიდნენ ღვთისმსახურნიც, ბანკირებიც, ქალთა კლუბების წევრებიცა და პროფკავშირების მესვეურებიც; უფრო დახვეწილი მანერები ჰქონდა, ვიდრე ქვეყნის უმაღლესი ელიტის ნაღებს, რომელსაც განუწყვეტლივ აბიაბრუებდა, და უფრო მაგარი ხერხემალი, ვიდრე მუშებს, რომლებსაც მუდმივად ქომაგად ედგა; ერთნაირი ცოდნით შეეძლო ესაუბრა ბროდვეიზე გამართულ უკანასკნელ პრემიერაზე, შუა საუკუნეების პოეზიაზე და საერთაშორისო ფინანსურ საკითხებზე; არასდროს მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში, თუმცა თითქმის მთელ საკუთრ შემოსავსალს ახმარდა პოლიტიკური პატიმრების დაცვის საქმეს_ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში...

გამაძლიერებლიდან ხრინწიანი, ოდნავ ბრიტანულაქცენტდაკრული, მჭახე ხმა მოისმოდა.

„...და ისიც უნდა გავაცნობიეროთ," – ოსტინ ჰელერი სრულიად უემოციოდ ლაპარაკობდა, – "რომ ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ, გვერდიგვერდ ვიარსებოთ და ამიტომაც მთავარია, გვახსოვდეს: თუკი საერთოდ გვსურს, კანონიერ ქვეყანაში ვიცხოვროთ, მაშინ თავად კანონების, რაც შეიძლება, მინიმალური ოდენობა უნდა მოვითხოვოთ... მე პირადად, სხვა ვერანაირ ზნეობრივ საზომს ვერ ვხედავ, რითაც სახელმწიფოს თაობაზე არსებული არაეთიკური მოძღვრებები განიზომებოდა...

დრო, ფული, ძალისხმევა და მორჩილებაა, რასაც საზოგადოება თავისი ყოველი წევრისგან მოითხოვს, და მისი ცივილიზებულობის დონეც სწორედ ამ ამონაგების შეფარდებით განისაზღვრება. არ არსებობს კანონი, ადამიანი აიძულო, იმაზე მეტი იმუშაოს, ვიდრე თავად არის თანახმა და ვერც მეწარმეს მოსთხოვ, ყველა მის მოთხოვნას დასთანხმდეს: ჩვენი საზოგადოება თანხმობის მიღწევაზეა დაფუძნებული, და დაეთანხმები თუ არა, ეს უკვე შენი პირადი საქმეა როგორც ის, შეუერთდები თუ არა ამ გაფიცვას. დიახ, მე ამას '"ჯოჯოხეთის სამზარეულოში"
გამოზრდილ ფსევდოპეტრონიუსთა გასაგონად ვამბობ, გაფიცვების კანონთა ძირგამომთხრელ ბუნებაზე რომ მოთქვამენ!"

ხმის გამაძლიერებელმა მოწონების შეძახილებისა და ტაშისცემის ხმები ერთად გადმოაფრქვია. ქეთრინი სახელოში ჩააფრინდა კიტინგს: "ვაიმე, პიტერ! ეგ სულ უაინენდზე თქვა სწორედ იმ უბანშია გაზრდილი!

მკითხველთა ლიგა

მაგას რა უაინენდი კი ახლა სულ ბიძია ელზიზე იყრის ჯავრს!"
კიტინგს მეტის მოსმენა აღარ შეეძლო თავი უსკდებოდა. თვალები დახუჭა და კედელს მიეყრდნო.
თვალები რომ გაახილა, გარშემო მდუმარებას დაესადგურებინა. ჰელერს სიტყვა დაემთავრებინა და ხალხი დაძაბული, თითქოს საზეიმო მდუმარებითაც კი ელოდა რაღაცას. მიკროფონში ახლა ასევე დაძაბული, ასევე საზეიმო ხმით წართქვა მიტინგის წამყვანმა:
"ბატონებო და ქალბატონებო, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ელზუერთ მონკტონ თუი!"
აჰა, მაშ, ბენეტს ნიძლავიც მოუგიაო, გაუელვა გონებაში კიტინგს: რამდენიმე წამით ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, მერე კი ისეთი ოვაციები გადმოსკდა, იფიქრა, დაინგრა აქაურობაო... ქეთრინი კი იდგა ტუჩებმოკუმული და თითქოს არც სუნთქავდ ა.
კარგა ხანი გავიდა, სანამ კვლავ სიჩუმე ჩამოწვა ოღონდ ისეთივე მოულოდნელი და დაძაბული, როგორიც მანამდე ხმაური იყო; მერე კი ორატორის ხმაც გაისმა:
"მეგობრებო..." – მარტივად და ძალზე უშუალოდ დაიწყო მისტერ თუიმ, – "ძმებო" – დაამატა მერე, თითქოსდა მობოდიშებით, – "ვატყობ, უფრო მეტადა ვარ გრძნობებს აყოლილი, ვიდრე ეს საერთოდ მჩვევია ხოლმე... იმედი მაქვს, თქვენი ეს მისალმება იმდენად ჩემი პიროვნებისადმი არაა მიმართული, რამდენადაც იმ პრინციპებისადმი,
რომელთა დასაცავადაც საშუალება მომეცა, აქ დავმდგარიყავი..."
საოცარი ხმა ჰქონდა მჟღერი და თან აბრეშუმივით რბილად რომ მოედინებოდა შეკრებილთა თავს ზემოთ. კი, ნამდვილად ჩვეული, ინგლისური ენით ლაპარაკობდა, მაგრამ ისე მკაფიოდ წარმოთქვამდა თანხმოვნებს, ისე ჭიმავდა ხმოვნებს, მუსიკასავით ეფინებოდა იქაურობას. კიტინგიც სულგანაბული უსმენდა, ოღონდ თავად ხმას და არა სიტყვებს; არც სჭირდებოდა, რადგან ამგვარ ხმას კაცი ყველაფერში დაეთანხმებოდა, ყველგან გაჰყვებოდა განუსჯელად...
"ასე და ამგვარად, ჩემო კეთილო ხალხო", – რეკდა ტრიბუნიდან, – "ამ ბრძოლის ერთადერთი გაკვეთილი ერთობაა: ან ერთ მუშტად შევიკვრებით, ან_ დავმარცხდებით: ძალა ერთობაშია მხოლოდ! საკუთარი ნება ჩვენ ჩაგრულთ, მივიწყებულთ, უპოვართ ერთი მიზნით, ერთი რწმენით აგებულ შეუვალ ბასტიონად გვაქცევს. ახლა სწორედ ის დროა, ყველამ ჩვენ-ჩვენი პატარ-პატარა პრობლემები დავივიწყოთ და გვინდა თუ არა, ერთ ტალღად გავწიოთ საერთო მომავლისაკენ! ისტორია არც კითხვებს სვამს და არც თანხმობას ითხოვს: იგი ისევე შეუვალია, როგორც ხალხის ნება, რომელიც ქმნის კიდეც მას! იმ ზარის ხმას დაუგდეთ ყური, ჩვენ ყველას რომ გვიხმობს გავერთიანდეთ, ძმებო, გავერთიანდეთ! გავერთიანდეთ!"
კიტინგმა ქეითს გახედა; ის კი თითქოს მთელი არსებით ორატორის ხმაში გათქვეფილიყო ხმაში, სიტყვებში კი არა; ეს რაღაც სრული გაუცხოება იყო, აღარც ნებისყოფა შერჩენოდა, აღარც რაიმეს გააზრების უნარი.
– წავედით აქედან, – ჩაუჩურჩულა კიტინგმა. საკუთარი ხმა ეუცხოვა, შიში გამოკრთოდა მასში და იმიტომ.
ქეითი მოუტრიალდა, თითქოს ახლაღა გამოერკვა, თითქოს მხოლოდ ახლაღა დაინახა კიტინგიო და რატომღაც, ასევე ჩურჩულით გაეპასუხა:
– კარგი, წავიდეთ.
უმიზნოდ გაუყვნენ რომელიღაც ქუჩას; წვიმდა, ოკეანის ცივი ქარი სახეს უშუშხავდათ, და მაინც მიდიოდნენ სიარული, მოძრაობა უნდოდათ.

მკითხველთა ლიგა

– გასაწურები ვართ, – თქვა ბოლოს კიტინგმა, – სადმე შევიდეთ, თითო ჭიქა ახლა მისწრება იქნებოდა.

– მართალი ხარ, – თქვა ქეთრინმა, – ძალიან ცივა... რა სულელი ვარ, არა? ბიძაჩემსაც ვერ მოვუსმინე, არადა, როგორ მინდოდა, – არ ბრაზობდა. მისი ნათქვამი მხოლოდ ამას ნიშნავდა და მეტს არაფერს, თუმცა არც სინანულის დამალვას ცდილობდა, – შენთან ყოფნაც მინდოდა, პიტერ... სულ შენთან მინდა ყოფნა. ამის გაგონებაზე კიტინგს ერთხელაც რაღაცამ გაჰკრა გულში უსიამოდ, მაგრამ მერე ეს უსიამო განცდაც გაქრა და გაეღიმა; თითებით გოგოს შიშველი მაჯა მოძებნა სახელოსა და ხელთათმანს შორის და მთელ სხეულში სასიამოვნოდ ჩაეღვარა მისი სითბო...

რამდენიმე დღის მერე კი, ლამის მთელ ქალაქში სალაპარაკოდ გამხდარ ამბავს მოჰკრა ყური: თურმე იმ შეკრების მეორე დღესვე, გეილ უაინენდს ელზუერთ თუისთვის ხელფასი მოუმატებია. თუი გაცოფებულა და უარზე დამდგარა, "ჩემს მოქრთამვას ვერ შეძლებთ", – მიუხლია პირში უაინენდისთვის. "ჩვენში ქრთამი რა მოსატანია, დიდი წარმოდგენა გაქვთ საკუთარ თავზე..." – უპასუხია უაინენდს....

• • •

როცა გაფიცვა დამთავრდა, დროებით შეჩერებული მშენებლობები გაცხოველებული შემართებით განახლდა მთელ ქალაქში და კიტინგიც დღე და ღამე მუშაობდა ახალ-ახალი შეკვეთების მიღებას ვეღარ ასწრებდა. ფრენკონი ბედნიერად იღიმებოდა და პატარა წვეულებაც კი გამართა თანამშრომლებისთვის ვითომ, თუ ვინმეს რამე გაწყენინეთ, გულში არ ჩაიდოთო. როგორც იქნა, დასრულდა მისტერ და მისის დეილ ეინზუორთების სასახლის მშენებლობაც რივერსაიდ-დრაივზე კიტინგის ეს საოცნებო პროექტი გვიანი რენესანსის სტილში გადაწყვეტილი და რუხ გრანიტში გაცოცხლებული. ცხადია, მოვლენის აღსანიშნავად მასპინძლებმა დიდი მიღება მოაწყვეს და გაი ფრენკონიც და პიტერ კიტინგიც მიიწვიეს, ლუშეს ნ. ჰეიერი კი დაავიწყდათ, რა თქმა უნდა, შემთხვევით, როგორც ეს ყველას მოსდიოდა ხოლმე ბოლო დროს. ფრენკონი საღამოთი დიდად ნასიამოვნები დარჩა, რადგან რუხი გრანიტის ყოველი კვადრატული ფუტის შეხედვაზე კონექტიკუტის შტატის რომელიღაც ქვის სამტეხლოდან მიღებული გვარიანი თანხა ახსენდებოდა. კიტინგიც კმაყოფილი ჩანდა, განსაკუთრებით მას მერე გახალისდა, რაც თვალისმომჭრელმა მისის ეინზუორთმა მომაჯადოებლად გაუღიმა და უთხრა:

"რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ ფრენკონის პარტნიორი სწორედ თქვენ ხართ? ფირმას ხომ "ფრენკონი და ჰეიერი" ჰქვია! მობოდიშებად ნუ ჩამითვლით, გულწრფელად გეტყვით, დღეს შეიძლება, პარტნიორი არ ბრძანდებით, მაგრამ არა მგონია, ამას თქვენზე მეტად ვინმე იმსახურებდეს!" ოფისშიც საქმე საათივით იყო აწყობილი მოკლედ, ირგვლივ სრული სიმშვიდე და ნეტარება სუფევდა...

ამიტომაც იყო, კიტინგს ძალიან რომ გაუკვირდა, როცა ერთ დილით, სწორედ ეინზუორთებთან გამართული წვეულებიდან რამდენიმე დღის მერე, ფრენკონი აღელვებული და გაღიზიანებული გამოცხადდა სამსახურში. "ეგ არაფერი", – მოუთმენლად აუქნია ხელი, – "სალაპარაკოდ არ ღირს..." მხაზველების დარბაზში კი დაინახა, შეთქმულებივით თავებმიტყუპებული სამი თანამშრომელი, დამნაშავეების გამომეტყველებით, როგორ ჩაჰკირკიტებდნენ "ბანერის" ნომერს; მერე

მკითხველთა ლიგა

ისიც გაიგონა, როგორ უსიამოდ ჩაიხითხითა ერთ-ერთმა მათგანმა, ოღონდ კიტინგის დანახვაზე გაზეთი თვალის დახამხამებაში სადღაც გაქრა. მაშინ ამ ამბავში ჩასაძიებლად დრო არ ჰქონდა, კაბინეტში დამკვეთის გამოგზავნილი კაცი, წასაკითხი წერილების მთელი დასტა და განსახილველი ნახაზები ელოდა.

სამი საათის შემდეგ, საქმეში ჩაფლულს საერთოდ გადაავიწყდა ყველაფერი. მით უმეტეს, ფრენკონისგან განსხვავებით, თვითონ თავს მშვენივრად გრძნობდა: როცა რაღაც ახალ პროექტთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მოუწია ჩასვლა საუკეთესო პროტოტიპებისთვის უნდოდა ესკიზების შედარება კაბინეტიდან სულ სტვენა-სტვენით გამოვიდა და საქაღალდესაც მხიარულად მიიქნევდა მელოდიის რიტმში.

უკვე ვესტიბულში ჩასულს კი უცებ შუა გზაზე გაუშეშდა ფეხი; საქაღალდეც მოწყვეტით მიეხალა მუხლზე. მეხნაკრავივით გახევდა და იმაზეც არ დაფიქრებულა, რას იტყოდნენ, ვინმეს ასე გაშტერებული რომ დაენახა.

თეჯირთან ახალგაზრდა ქალი იდგა და ადმინისტრაციის თანამშრომელს ელაპარაკებოდა. მისი სხეულის სინატიფე თითქოს ანატომიის არანაირ კანონებში არ ჯდებოდა: ხაზები იმდენად გრძელი, მყიფე და თვალში საცემი იყო, იფიქრებდი, ქალის სტილიზებულ ნახატს ვუყურებო და ჩვეულებრივი ადამიანის ბუნებრივი პროპორციები მასთან შედარებით მძიმე და მახინჯი მოგეჩვენებოდა. სწორი, გრძელი, ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა; შეუსაბამობა თარგის სიმკაცრესა და ქალის გარეგნობას შორის ხაზგასმულად მკვეთრი და, იმავე დროს, უცნაურად მომხიბვლელი ჩანდა. ერთი ხელის თითები თეჯირზე ჩამოედო და კოხტა მტევანიც ლამაზად აბოლოებდა მკლავის უზადო, დედოფლურად მედიდურ კონტურს. მორუხო-მოცისფრო თვალები ჰქონდა, ოღონდ არა ოვალური მოხაზულობის წარბების სწორი ხაზები ქვემოთ ორ წაგრძელებულ, სწორკუთხა ჭრილს აჩენდა; მთელი არსებით ცივ სიმშვიდეს ასხივებდა და ამას მკაცრად მო კუმული ტუჩებიც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. მის სახეს, ღია თმას, პიჯაკს თითქოს საერთოდ არ ჰქონდა გამოკვეთილი ფერი, მხოლოდ ელფერი დაჰკრავდა, მინიშნება რაღაც ფერზე, ლამის ბუნებაში არარსებულზე, რაც კაცს სინამდვილის ვულგარულობას შეახსენებდა. კიტინგი გაუნძრევლად იდგა ცხოვრებაში პირველად მიხვდა, რას გულისხმობდნენ მხატვრები, როცა მშვენიერებაზე ლაპარაკობდნენ.

“ახლავე უნდა ვნახო, ან საერთოდ არ შევხვდები," – ეუბნებოდა ქალი ადმინისტრაციის თანამშრომელს, – ”თვითონ მთხოვა მოსვლა, მე კი სხვა დროს არ მცალია." მბრძანებლური ტონი არ ჰქონდა; უბრალოდ, ხმაზევე ეტყობოდა, რამდენად იყო დარწმუნებული, მბრძანებლობა არც დამჭირდებაო.

"დიახ, მაგრამ... – კლერკის პულტზე ნათურა აციმციმდა და ისიც მაშინვე ყურმილს დასწვდა. "დიახ, მისტერ ფრენკონ..." – ცოტა ხანს ჩუმად უსმენდა და მხოლოდ თავს აკანტურებდა, – "მესმის, მისტერ ფრენკონ.” მერე სტუმარს მიუბრუნდა: "შეგიძლიათ, ახლავე აბრძანდეთ, ქ ალბატონო.

ქალი შეტრიალდა და კიბისკენ მიმავალმა კიტინგს შეავლო თვალი. უცებვე აარიდა მზერა და კიბეს აუყვა. კიტინგის თავდაპირველი აღფრთოვანება თითქოს რაღაცამ გაანელა. დრო ჰქონდა, ქალის თვალები დაენახა; დაღლილი და, ცოტა არ იყოს, გოროზიც, და მათში გულცივი სისასტიკის კვალიც შენიშნა...

მაგრამ ეს შთაბეჭდილება უცებვე გაუქრა, აღფრთოვანება კი დარჩა. გაღიმებული მიუახლოვდა თეჯირს:

მკითხველთა ლიგა

– რა ხდება?
კლერკმა დაბნეულმა აიჩეჩა მხრები: "ეგ ბოსის გოგოა.”
– უყურე შენ! ამას მიმალავდა?!
– ვერ გამიგეთ, – ქუშტად თქვა კლერკმა, – მისი ქალიშვილია, დომინიკ ფრენკონი.
– ღმერთო დიდებულო!
– რაო, დღევანდელი "ბანერი" არ გადაგიშლიათ?
– არა... მოხდა რამე?
– თავად ნახეთ.
გამოძახების ზარმა ისევ დარეკა და კლერკსაც მისთვის უკვე აღარ ეცალა.
კიტინგმა გაზეთი მოატანინა ბიჭს და რუბრიკა "შენი სახლი” მოძებნა. გაგონილი ჰქონდა, დომინიკ ფრენკონს მიჰყავს და საკმაო წარმატებაც აქვსო; ძირითადად, ნიუ-იორკის ცნობილი ადამიანების ბინებს აღწერდა და უფრო დიზაინზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ ზოგჯერ არქიტექტურულ ნიუანსებსაც გადასწვდებოდა ხოლმე. ამჯერად მისტერ და მისის დეილ ეინზუორთების თაობაზე ჰქონდა წერილი რივერ-საიდ-დრაივზე ჰქონდათ ბინა:
„ოქროსფერი მარმარილოთი გაწყობილ ზღაპრულ წინკარში შესულებს თავი მერიის დარბაზში გეგონებათ. ან რა გასაკვირია: სვეტებზე წრიულად შემოყოლებული ბანი, ჭედურმოაჯირიანი დახვეული კიბე და ნახჭებიანი სამშვენისები კედლებზე. სასადილო ოთახშიც ბრინჯაოს კარით შედიხართ, ზედ გამოყვანილი ვაზის ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით. საგანგებოდ ჩაყოლებულ კაუჭებზე "ნანადირევი“ იხვები და კურდღლები კიდია, და კიდევ _ ხახვისა და ნივრის გალა, ერთი-ორი შეკვრა სტაფილო, პარკი ლობიოს აცმა და რა ვიცი, რაც კი გარნირისთვისაა საჭირო... ნამდვილი რომ იყოს, ვერაფერი სანახავი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ რაკი თაბაშირისგან არის ჩამოსხმული იყოს, რა უშავს. წინა ფანჯრები საკმარისად დიდია იმისთვის, რომ სინათლის ნაკლებობა არ იგრძნობოდეს, და ყოველ მათგანს ორ-ორი ეშმაკურგამომეტყველებიანი კუპიდონი ამშვენებს გარედან. კედლები გრანიტის ქვითაა მოპირკეთებული, და თუ მისი ერთფეროვნებით თვალი დაგეღალათ, შეგიძლიათ, რკინისგან ჩამოსხმული მერკურიუსის პრიალა უკანალით დატკბეთ, ზედ კარიბჭის თავზე რომ დასკუპებულა. მშვენიერი შესახედია, მერწმუნეთ ისევე როგორც თავად ეს მუხის მძიმე კარი. მაშ ასე, დაპირებისამებრ, შემდეგ ჯერზე მისტერ და მისის პიკერინგებს
ვესტუმრებით. კარგად მეყოლეთ."
სახლი კიტინგის დაპროექტებული იყო და ჩაეცინა კიდეც, რომ წარმოიდგინა რა სახე ექნებოდა გაი ფრენკონს, როცა ყველაფერ ამას წაიკითხავდა და მერე მისის დეილ ეინზუორთისთვის მოუწევდა თვალის გასწორება. მაგრამ მალე სახლიც გადაავიწყდა და სტატიაც. მარტო მისი დამწერისკენ გაურბოდა ფიქრი.
ყოველგვარი შერჩევის გარეშე, რომელიღაც ნახაზს დაავლო ხელი და ფრენკონის კაბინეტისკენ გაემართა, ვითომდა პროექტის დეტალების თაობაზე მისი აზრის გასაგებად.
მაგრამ კარს რომ მიადგა, თავისდა უნებურად შეყოვნდა: ოთახიდან შეფის ბრაზიანი, წიკვინა, სასოწარკვეთილი ხმა მოისმოდა ასე მაშინ ლაპარაკობდა ხოლმე, როცა აშკარა მარცხის წინაშე იდგა...
”... რაა?! და ეს საკუთარი ქალიშვილისგან!!! ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ეს... ხვდები მაინც, რა დღეში ჩამაგდე?! ახლა რაღა ვქნა? რითი

მკითხველთა ლიგა

ვიმართლო თავი?!"
პასუხად ქალის სიცილი გაისმა ისეთი მხიარული და, ამავე დროს, ისეთი ცივი, შესვლა საერთოდ გადაიფიქრა. უბრალოდ, შეეშინდა როგორც მაშინ, მის მზერას პირველად რომ გადააწყდა.მოტრიალდა და კიბეზე დაეშვა. ახლა დარწმუნებული იყო, დომინიკს უცილობლად უნდა შეხვედროდა და ამიერიდან ვეღარც ფრენკონი გააწყობდა რამეს. მომავალიც აშკარად შეიცვლებოდა მისი, კიტინგის მომავალი, რაღა თქმა უნდა სწორედაც ფრენკონის ქალიშვილის წყალობით; მხოლოდ, რატომღაც ფარული ეჭვი ღრღნიდა იქნებ ჯობდა, დომინიკ ფრენკონს საერთოდ არასდროს შეხვედროდა...

10

რელსტონ ჰოლქომბს კისერი აშკარად არ ემჩნეოდა, თუმცა მის მაგივრობას ნიკაპი უწევდა წარმატებით. ნიკაპიცა და ყბებიც კი ერთ ურყევ მონოლითად ესვენა მკერდზე. ლოყები ვარდისფერი და რბილი ჰქონდა წლების გავლენით ცოტა მოჭმუჭნული და კანგაცლილ, მოთუშულ ატმებს მიუგავდა. შუბლიდან უკან გადავარცხნილი ხშირი, ჭაღარა თმა შუა საუკუნეების დროინდელი რაინდივით ეფინა მხრებზე და საყელოზე მუდმივად ქერტლი ეყარა.
ნიუ-იორკის ქუჩებში გამოსულს თავზე მაგარფარფლიანი ქუდი ეხურა, საქმიანი კაცის მუქი კოსტიუმი, ღია მწვანე ფერის სატინის პერანგი და თეთრი ატლასის ჟილეტი ეცვა, უშველებელ ნიკაპს ქვემოთ კი უცვლელი ჰალსტუხი-პეპელა მოუჩანდა; ჩვეულებრივი ხელჯოხი კი არა, ერთი დიდი, აბანოზის ხის კეტი ეჭირა მასიური ოქროს ბურთულით დაბოლოებული. მისი ზონზროხი სხეული თითქოს პროზაული ცივილიზაციის ყველა უსიტყვო შეთანხმებას, ყველა მოსაწყენ ფერს ერთად უცხადებდა პროტესტს, ხოლო მისი იდუმალი სულის მთელ პალიტრას საჯაროდ ამაყად წინგამოშვერილი გულმკერდისა და ღიპის ოვალი ამზეურებდა.
მას ხომ ყველაფერი ეპატიებოდა გენიოსი იყო და იმიტომ. თანაც, გენიოსობასთან ერთად, "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" პრეზიდენტობასაც ითავსებდა.
რელსტონ ჰოლქომბი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული სხვა კოლეგების შეხედულებებს არ იზიარებდა. ის არც ხელებდაკაპიწებული მშენებელი იყო და არც ანგარიშიანი ბიზნესმენი. მე იდეალების კაცი ვარო, აცხადებდა მტკიცედ და გადაჭრით.
სასტიკად ამათრახებდა ამერიკული არქიტექტურის სავალალო მდგომარეობას და მის ქურუმთა უპრინციპო ეკლექტიზმს. ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში, – უყვარდა ხოლმე თქმა, – ხუროთმოძღვრები თანამედროვეობის სულისკვეთების კარნახით ქმნიდნენ და მზა ნახაზებს წარსულიდან არ სესხულობდნენო; ისტორიის წინაშე პირნათელი მხოლოდ მაშინ ვიქნებით, თუკი მის კანონს მივყვებით და ჩვენი ხელოვნების ფესვებსაც საკუთარი ცხოვრების სინამდვილეში ჩავრგავთო. უგუნურებად და სისულელედ მიაჩნდა, ასე ვთქვათ “ბერძნული”, "გოთიკური”" თუ "რომანული" შენობების აგება; მოდით, თანამედროვეები ვიყოთ და დღევანდელი სტილით ვაშენოთო, მოუწოდებდა ყველას. თვითონ ეს სტილი ნაპოვნი ჰქონდა რენესანსი.
საკუთარ მოსაზრებებს მკაფიოდ გამოთქვამდა: რამდენადაც რენესანსის შემდგომ სამყაროში დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე აღარაფერი მომხდარა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ჯერაც იმ ეპოქაში ვცხოვრობთო; ჩვენი არსებობის ყოველი გარეგანი ფორმაც XVI საუკუნის

მკითხველთა ლიგა

დიად ოსტატთა მაგალითების ერთგულების ბეჭედს უნდა ატარებდესო, იმეორებდა დაბეჯითებით.

თუკი ვინმე თავზეხელაღებული თანამედროვე არქიტექტურაზე განსხვავებული აზრის გამოთქმას შეჰკადრებდა, მოთმინებას კარგავდა და ასეთ ხალხს საერთოდ აღარ თვლიდა დალაპარაკების ღირსად; მისი ღრმა რწმენით, ნებისმიერი, ვისაც მთელ წარსულთან სურდა კავშირის გაწყვეტა, უბრალოდ, ზარმაცი და უმეცარი იყო, ხოლო ორიგინალობის მშვენიერებაზე წინ დაყენების მცდელობა უაზრო შრომად მიაჩნდა. სიტყვა "მშვენიერების" წარმოთქმისას ხმა მუდამ მოწიწებით აუთრთოლდებოდა ხოლმე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შეკვეთების გარდა, ხელს არაფერს ჰკიდებდა. მისი ვიწრო სპეციალიზაცია მარადიულობა და სიდიადე იყო. უამრავი მემორიალი და კაპიტოლიუმი ჰქონდა აგებული და მხოლოდ დიდ საერთაშორისო გამოფენებში თუ მონაწილეობდა.

აშენებდა ზუსტად ისევე, როგორც მისტიკურ ნებას მინდობილი კომპოზიტორი ქმნის მუსიკას: შთაგონების უეცარი შემოტევები ახასიათებდა და შეიძლებოდა, დასრულებული ნაგებობის ბრტყელ სახურავზე უცებ უშველებელი გუმბათი დაედგა, ან სარდაფის გრძელი დერეფანი ოქროს ფურცლების მოზაიკით მოეპირკეთებინა, ანდა ბათქაშით შელესილი ფასადი ჩამოეფხიკა და მარმარილოთი შეეცვალა. დამკვეთებს ფერი მისდიოდათ, ენა ებმოდათ და მაინც იხდიდნენ ფულს. მისი პიროვნების მედიდურობა ნებისმიერ ხელმომჭირნე დამკვეთს მეფური
ხელგაშლილობისკენ უბიძგებდა; ხელოვანი იყო და ამას უსიტყვოდ, ზედმეტი დავა-კამათის გარეშე აღიარებდა მტერიცა და მოყვარეც. მოკლედ, ქუხდა მისი სახელი.

"მაღალი წრის ალმანახში" შესული ოჯახის შვილი იყო. უკვე შუა ხნისამ ცოლად ახალგაზრდა ქალი მოიყვანა, ვისი ოჯახიც, მართალია, იმავე ალმანახში ვერ მოხვედრილიყო, მაგრამ ამას მათთვის დიდი ფულის შოვნაში ხელი არ შეუშლია საღეჭი რეზინის იმპერიის ერთადერთი მემკვიდრე სწორედ მისის ჰოლქომბი აღმოჩნდა.

რელსტონ ჰოლქომბი უკვე სამოცდახუთს უკაკუნებდა, თუმცა რამდენიმე წელს კიდევ იმატებდა იმ მეგობრების გულის გასახეთქად, მუდმივად რომ ეპირფერებოდნენ რა ახალგაზრდულად გამოიყურებიო;

მისის რელსტონ ჰოლქომბი კი, როგორც თვითონ ამბობდა, ჯერ მხოლოდ ორმოცდაორის იყო და მის ცნობილ სალონში ყოველ კვირას უამრავი სტუმარი იკრიბებოდა. "არქიტექტურაში თუ ვინმე რამეს წარმოადგენს, ნებისმიერს შეხვდებით ჩვენთან," – ეუბნებოდა მეგობრებს; "არადა, იმათი აჯობებს," – ამატებდა მერე ღიმილით.

მარტის ერთ კვირა დღეს ჰოლქომბების სახლს ფლორენციული პალაცოს ასლს კიტინგიც მიადგა: უფრო მოვალეობის გრძნობის კარნახით, ვიდრე ხალისითა და საკუთარი სურვილით. ამ გამორჩეული თავყრილობების სტუმარი ადრეც ბევრჯერ ყოფილა და, ცოტა არ იყოს, მოჰბეზრებოდა კიდეც, რადგან უკვე ყველას კარგად იცნობდა, ვინც კი შეიძლებოდა, იქ ენახა. არადა, დღეს მიუსვლელობა ნამდვილად არ ივარგებდა ღონისძიება რელსტონ ჰოლქომბის მიერ რომელიღაც შტატში მორიგი კაპიტოლიუმის მშენებლობის დასრულებას ეძღვნებოდა.

ჰოლქომბების თვალუწვდენელ, მარმარილოთი მოპირკეთებულ სამეჯლისო დარბაზში უამრავი ხალხი ირეოდა. ცდილობდნენ, შინაურული და, ამავე დროს, მედიდური იერი შეენარჩუნებინათ. მარმარილოს იატაკზე ნაბიჯები ისეთ ექოს გამოსცემდნენ, კატაკომბებში

მკითხველთა ლიგა

გეგონებოდა თავი. მაღალი სანთლების ალი ამაოდ ებრძოდა ქუჩიდან შემომავალ მორუხო შუქს: შუქი სანთლის ალს ბინდავდა და სანთლების შემხედვარე იფიქრებდი, გარეთ ჩამოწვა ბინდიო. ახლად აგებული კაპიტოლიუმის მცირე ასლი შუა დარბაზში, საგანგებო კვარცხლბეკზე იდგა _
ელექტრონათურების სინათლით აბრჭყვიალებული.
მისის რელსტონ ჰოლქომბი ჩაისთვის გაწყობილი მაგიდის თავში იჯდა. ყოველი ახალი სტუმარი მისი ხელიდან იღებდა გამჭვირვალე ფაიფურის კოხტა ფინჯანს, ორიოდე ყლუპს მოსვამდა და ბარის მიმართულებით უჩინარდებოდა. დაცლილ ფინჯნებს ორი ზორბა ლაქია აგროვებდა მთელ დარბაზში.
მისის რელსტონ ჰოლქომბი, როგორც ერთმა კვიმატმა ბავშვობის მეგობარმა დაახასიათა, "პატარა იყო, მაგრამ ჭკუით სავსე." მინიატურული ფიგურა მისი ფარული საწუხარი იყო მუდამ, მაგრამ გუნება-განწყობის გამოსასწორებელი საშუალებანიც იოლად გამოძებნა: 10 ზომის კაბების ჩაცმაზე გადავიდა და ზაფხულობით არც თავისი გრძელი, ჩამოქნილი ფეხების დემონსტრირებას ერიდებოდა. ასე ვთქვათ, "ცნობად სახეებზე" კარგავდა ჭკუას და მათთან დაახლოება სიცოცხლის მიზნად გაეხადა. გადააწყდებოდა ვინმე ასეთს, მერე თვალებს ფართოდ გაახელდა აღტაცებისა თუ გაოგნების ნიშნად და თან სულ საკუთარ უმნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, საკუთარ მოწიწებაზე წარმატებული ხალხის მიმართ. მხრებს აიჩეჩდა ხოლმე და ცხვირს იბზუებდა, თუკი ვინმე მის მოსაზრებებს არ იზიარებდა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ფარდობითობის თეორიაზე, აცტეკთა არქიტექტურაზე, შობადობის შეზღუდვის კანონსა თუ ნეორეალისტურ ფილმებზე. უამრავი ჯიბეგაფხეკილი მეგობარი ჰყავდა და ამ ფაქტს მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა ყველგან და ყოველთვის; მაგრამ როგორც კი რომელიმე ოდნავ მაინც გაიუმჯობესებდა ფინანსურ მდგომარეობას, წამსვე მიატოვებდა და მოღალატედ თვლიდა. საერთოდ, დასანახად ვერ იტანდა მდიდრებს: ისინი იმ ერთადერთში ეცილებოდნენ, რაც მისი და მხოლოდ მისი გამორჩეულობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. თანამედროვე არქიტექტურას, უბრალოდ, საკუთარ სამკვიდროდ მიიჩნევდა. ნათლობის სახელად "კონსტანსი" დაარქვეს და ოცდაათს გვარიანად გადაცილებული იყო, ყველა ნაცნობ-უცნობს რომ აიძულებდა, მისთვის "კიკი" დაეძახათ.
რა გასაკვირია, მისის ჰოლქომბის თანდასწრებით კიტინგი რომ საკუთარ ქერქში ვერასოდეს გრძნობდა თავს: ის ან თვალებს უჟუჟუნებდა ყველას დასანახად, ან ყოველ მის ნათქვამზე შეთქმულივით უღიმოდა და იქვე დააყოლებდა ხოლმე: „არა, მაინც რა აუტანელი ვინმე ხარ,პიტი!"
თუმცა ამ საღამოს, როგორც წესი იყო, მაინც ემთხვია ხელზე და საპასუხო გულთბილი ღიმილიც დაიმსახურა. ხასხასა მწვანე ატლასის კაბა ემოსა და შინდისფერი ბაფთა ჩაეწნა თმებში. მზედაკრული კანი ჰქონდა და ერთი-ორი ნაოჭიც წვრილად, მუხანათურად, ძაფივით გასდევდა ყელთან. ფინჯანი გაუწოდა და თითზე ზურმუხტის დიდრონი, დაოთხკუთხებული ქვა აუბრჭყვიალა სანთლის ათინათმა.
კიტინგმა თავისი წილი აღტაცება გამოთქვა შტატის ახალი კაპიტოლიუმის პროექტის თაობაზე და როგორღაც მოახერხა, მაკეტის განხილვისთვის აერიდებინა თავი. თუმცა, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, ორიოდ წუთი მაინც დააყოვნა მის თვალიერებაში და თავისი გონებაგაფანტულობის გამო, არომატული სითხით კინაღამ დაიმდუღრა ტუჩები. მისტერ ჰოლქომბმა, რომელსაც თავად ერთხელაც არ გაუხედავს იქით, მაგრამ მაკეტთან თუნდაც წამით შეჩერებულ სტუმარს ვერაფრით

მკითხველთა ლიგა

გამოაპარებდი, მხარზე ხელი მოუთათუნა, თან რაღაც წართქვა იმ მრავალი იმედის მომცემ თაობაზე, მუდამ მზად რომ არის, რენესანსის მშვენიერებას ეზიაროს. კიტინგი ერთხანს დაიარებოდა აქეთ- იქით, ერთ-ორს ხელიც კი ჩამოართვა, მოიკითხა კიდეც და მერე საათზე დაიხედა იმის დასაანგარიშებლად, ზრდილობისთვის კიდევ რამდენ წუთს იყო დარჩენა საჭირო.

უცბად, ფართო თაღის მიღმა, სამი თუ ოთხი ახალგაზრდა კაცით გარშემორტყმული დომინიკ ფრენკონი შეამჩნია. ქალი სვეტს მიჰყრდნობოდა, ხელში კოქტეილის ჭიქა ეჭირა; შავი ველვეტის კოსტიუმი ეცვა, რაც კარგად ეხამებოდა მის ფერმკრთალ სახესა და ხელებს.

კიტინგი მისკენ წავიდა, მაგრამ გზად თავად ფრენკონს გადააწყდა.

– რაო, პიტერ, გინდა დასალევი გიშოვო? – მერე ხმას დაუწია,_ რას ერჩი, კარგად უბერავენ ეს მანჰეტენელები, არა?

– არც არაფერს.

– აჰ-ა-ა... მოკლედ, არ მოგწონს? – და თვალით მაკეტზე ანიშნა

– არანაირად. არც პროპორციებია დაცული, თანაც გუმბათიც..._ ამ დროს კიტინგი თვალებით ჭამდა შავ სილუეტს და ერთი სული ჰქონდა,ეს ფრენკონსაც შეემჩნია.

– დაგეგმარებას არ იკითხავ? ვერ ხედავ, მეორე სართულს რომ... _ უცბად მოსხიპა სათქმელი, ჯერ ბიბლიოთეკისკენ გაიხედა, მერე კიტინგს ახედა ისევ.

– ნება შენია, – თქვა ბოლოს, – ოღონდ იცოდე, მე არაფერი დამაბრალო, თავად გაები მახეში. წამო, გაგაცნობ.

ბიბლიოთეკაში ერთად შევიდნენ, ოღონდ კიტინგი შორიახლოს გაჩერდა, ვითომ ზრდილობისთვის, თან თვალს არ აცილებდა ქალიშვილს; ფრენკონი კი ისევ მთლად დამაჯერებლად კმაყოფილი სახით ალაპარაკდა:

– დომინიკ, ძვირფასო! მინდა, პიტერ კიტინგი გაგაცნო ჩემი მარჯვენა ხელია! კიტინგ ჩემი ქალიშვილი, დომინიკი.

– დიდი ხანია, თქვენი გაცნობა მსურდა, მის ფრენკონ. – თქვა კიტინგმა ხმადაბლა.

– საინტერესო სიტუაციაა: გინდათ, თავი მომაწონოთ, ოღონდ ამით მამაჩემთან არ გაიფუჭოთ საქმე...

– რა ბრძანეთ?

– მამაჩემს ალბათ ურჩევნია, ძაღლი-კატასავით თუ ვიქნებით. მოგეხსენებათ, ვერც ჩვენ ვეწყობით ერთმანეთს.

– კარგით რა, მის ფრენკონ ნაცნობობის ასე დაწყება, ცოტა არ იყოს...

– უბრალოდ, გაგაფრთხილეთ. იქნებ გადაიფიქროთ.

პიტერმა მიმოიხედა, მაგრამ გაი ფრენკონი სადღაც გამქრალიყო.

– ასეა, – ჩაეცინა დომინიკს, – მამაჩემს არასდროს გამოსდიოდა ეს: სახეზე აწერია ხოლმე. თუმცა, რაკი ჩვენ შორის ყველაფერი გაირკვა, ახლა შეგიძლიათ, გვერდით მომიჯდეთ, არაფერი დაშავდება.

იქვე დივანზე მოეწყო და კიტინგიც გვერდით ჩამოუჯდა. მისთვის უცნობი ახალგაზრდები მცირე ხანს კიდევ ცდილობდნენ საუბარში ჩართვას, მერე ისინიც სადღაც გაქრნენ; კიტინგმა კი შვებით ამოისუნთქა და გაიფიქრა რას ერჩი, უკარება სულაც არ ყოფილა ეს ქალიო; უბრალოდ, რაღაც ამაფორიაქებელი შეუსაბამობა იგრძნობოდა მის მიერ ნათქვამ სიტყვებსა და საუბრის მიამიტურ კილოს შორის; აღარ იცოდა, რომელი ერთი ერწმუნა.

– ვაღიარებ, მამათქვენს თავად ვთხოვე ჩვენი გაცნობა, – დაარღვია

მკითხველთა ლიგა

დუმილი კიტინგმა, – ისედაც ცხადი იყო, არა? მაგრამ ხომ ხვდებით, ამის სურვილი, ადრე თუ გვიან, მაინც გამიჩნდებოდა.
_ არ მითხრათ ახლა, რომ ლამაზი ვარ, მომხიბლავი, ჯერ ჩემნაირი არავინ შეგხვედრიათ და გეშინიათ, სიგიჟემდე არ შეგიყვარდეთ! ვიცი, ბოლოს მაინც ასე იტყვით, მაგრამ მოდით, ჯერ გადავდოთ. სხვა მხრივ, მგონი, მოვახერხებთ საერთო ენის გამონახვას.
– ცდილობთ, საქმე თავიდანვე გამირთულოთ...
– ნამდვილად. წესით, მამას უნდა გაეფრთხილებინეთ.
– გამაფრთხილა კიდეც.
– მერე, უფროსებს უნდა დაუჯეროთ ხოლმე... უკვე იმდენი მარჯვენა ხელი გამაცნო, შივას რომ არ ექნებოდა! არადა, პირველი ხართ, ვინც ამდენი ხანი ავიტანე. ისე, ბევრი მსმენია თქვენზე.
– რამდენიმე წელია, თქვენს გაცნობას ვცდილობ. გაზეთში თქვენს სვეტსაც ისეთი... – ენას კბილი დააჭირა, იცოდა ამ თემაზე საუბარი არ უნდა წამოეწყო; არადა, მაინც ვერ შეიკავა თავი.
– ისეთი რა?.. რას ამბობდით? – ჩაეკითხა ქალი.
– ...სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე, – დააბოლოვა ფრაზა, იმ იმედით, თავის ჟურნალისტურ საქმიანობაზე აღარც ქალი გააგრძელებს საუბარსო.
– ხო, რა თქმა უნდა, – ჩაეღიმა მის ფრენკონს, – ენზუორთების სახლი. თქვენი დაპროექტებული. ბოდიშს გიხდით. გულწრფელობის იშვიათი შემოტევა... ხომ გესმით. უნებლიე მსხვერპლი აღმოჩნდით. ისე, მსგავსი იშვიათად მემართება ხოლმე. თვითონაც მიმიხვდებოდით, თუკი ჩემი გუშინდელი წერილიც წაკითხული გაქვთ.
– წავიკითხე და... კარგი, თქვენს მაგალითს მივბაძავ მეც ბოლომდე გულწრფელი ვიქნები. საყვედურად არ მიიღოთ ან გაკრიტიკებული კრიტიკოსს საყვედურობდეს, სად გაგონილა? მაგრამ ჰოლქომბის კაპიტოლიუმი ყველა იმ ნაგებობაზე ბევრად უარესია, რისთვისაც ჩვენ მიწასთან გაგვასწორეთ. იმას რატომღა მიუძღვენით დითირამბები? თუ იძულებული იყავით?
– ასეც ნუ გააზვიადებთ ჩემი პიროვნების მნიშვნელობას, რათქმა უნდა, იძულება არაფერ შუაშია. გგონიათ, ჩვენს გაზეთში ვინმე იმდენ ყურადღებას უთმობს რუბრიკას ბინის მოწყობაზე, მიმოწმებენ კიდეც _ რა დავწერე და როგორ? ეგეც არ იყოს, ვერც ვერავინ წარმოიდგენს, უცებ კაპიტოლიუმებზე თუ დავაპირებ აზრის გამოთქმას, უბრალოდ, სულ ბინების მორთვა-მოკაზმვაზე წერაც მომწყინდა.
– კი მაგრამ, ჰოლქომბის ქება-დიდება რაში დაგჭირდათ?
- ეს კაპიტოლიუმი ისეთი საშინელებაა, მთლად გაჩუმება უარესი დანაშაული იქნებოდა. ამიტომაც ვიფიქრე, ცაში თუ ავიყვან, სასაცილო გამოვა-მეთქი. ეგრეც მოხდა.
– ხშირად პოულობთ ხოლმე ასეთ გამოსავალს?
– როცა საჭიროა. თუმცა ჩემს რუბრიკას არც არავინ კითხულობს, დიასახლისების გარდა, და ისინიც ვერასდროს მოიწყობენ ბინებს ჩემი რჩევით. ამიტომ, სისულელეა ყველაფერი.
– ისე, მართლა რა მოგწონთ არქიტექტურაში?
– არქიტექტურაში საერთოდ არაფერი არ მომწონს.
– ხომ იცით, მაგას ვერ დავიჯერებ. მაშინ რატომღა წერთ, თუკი სათქმელი არაფერი გაქვთ?
– რამე რომ ვაკეთო თან ყველაზე ნაკლებად საძულველი ყველა სხვა შესაძლებელ საქმეს შორის, თან სასაცილოც.
– არ მჯერა. არა მგონია, ეგ საკმარისი მიზეზი იყოს.

მკითხველთა ლიგა

- საკმარისი მიზეზები არაფრისთვის მჭირდება.
– საქმე ხომ უნდა გიყვარდეთ?
– მიყვარს კიდეც. არ მეტყობა?
– იცით, მართლა მშურს თქვენი. ხუმრობა ხომ არ არის, უაინენდის კორპორაციაში მუშაობთ! ქვეყნის უდიდესი ორგანიზაცია, საუკეთესო ჟურნალისტები...
- მოდით, – ქალი კიტინგისკენ გადაიხარა, თითქოს დიდი საიდუმლოს განდობას აპირებსო, – რაღაცეების გარკვევაში მე თვითონ დაგეხმარებით. აი, ვთქვათ, მამაჩემი რომ გაგეცნოთ ცოტა ხნის წინ და უაინენდის თანამშრომელიც ის ყოფილიყო, მაშინ თქვენი ნათქვამი წმინდა წყლის სიმართლე იქნებოდა. მაგრამ არა ჩემს შემთხვევაში. თქვენგან ზუსტად ამის გაგონებას ველოდი, ოღონდ არ მიყვარს იმის მოსმენა, რასაც ველი ხოლმე. გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა, თუ მეტყოდით უაინენდის მთელი კორპორაცია ყვითელი ჟურნალისტიკის ბინძური ნაგვის ყუთია და მთელი მისი ავტორების ფასი ერთი ჟანგიანი ლურსმნის ფასიაო.
– მართლა ასე ფიქრობთ?
– სულაც არა. მაგრამ არც ის ხალხი მომწონს, ვინც ცდილობს, ის მითხრას, რასაც მათი აზრით, მე ვფიქრობ.
– დიდი მადლობა. თქვენი დახმარება კი დამჭირდება. არავის ვიცნობ, ვინც... არა, ეს თუ ვთქვი, ცხადია, არ მოგეწონებათ. ისე, თქვენი გაზეთი გულწრფელად მომწონს. გეილ უაინენდსაც ყოველთვის უდიდეს პატივს ვცემდი. მის გაცნობაზე ვოცნებობდი. რა ტიპია?
– ზუსტად ისეთი, როგორც ოსტინ ჰელერმა დაახასიათა იშვიათი ნაბიჭვარი.
კიტინგი შეკრთა. გაახსენდა, სად და როდის მოისმინა ეს სიტყვები უშუალოდ ოსტინ ჰელერისგან. ახლა ქეთრინის მოგონება განსაკუთრებით მძიმე და უსიამო იყო, როცა სკამის საზურგიდან გადმოკიდულ თხელ, თეთრ მკლავს ვერ აშორებდა მზერას.
– არა, მე გარეგნობას ვგულისხმობდი, – დააზუსტა ნათქვამი.
– არ ვიცი. პირადად არასდროს შევხვედრივარ.
– მართლა?
– დიახ.
– გამიგონია, ძალიან საინტერესო პიროვნებააო.
– უეჭველად. თუკი ოდესმე რაიმე დეკადენტურის ხასიათზე დავდექი, აუცილებლად შევხვდები.
– თუის თუ იცნობთ?
– ა-ჰაა... – წაიმღერასავით, და მის თვალებში რაღაც უსიამო გაკრთა, რაღაც ისეთი, მანამდეც რომ შეუმჩნევია კიტინგს, – მისტერ ელზუერთ თუი... რა თქმა უნდა, ვიცნობ, არაჩვეულებრივი ვინმეა. ყოველთვის მსიამოვნებდა მასთან საუბარი. ნამდვილი გარეწარია.
_კარგით ერთი, მის ფრენკონ! თქვენ პირველი ხართ, ვისგანაც კი...
– რა მოხდა მერე! სწორედ მაგას ვგულისხმობდი ერთი-ერთში. ვაღმერთებ-მეთქი, გეუბნებით. მამაკაცის დასრულებული ხატია, მონოლითური ნაწარმოები, შეიძლება ითქვას! სხვები სუყველანი ნატეხ-ნატეხ არიან შეკოწიწებული და მაგათი არც თავი მესმის, არც ბოლო. საერთოდ, როცა მთელ სამყაროზე ვარ ხოლმე გაბრაზებული, ელზუერთის არსებობა მახსენდება და იქვე ვწყნარდები ის მაინც იყრის ჩემს ჯავრს!
– მაპატიეთ და, მაინც ვისი ან რისი ჯავრი უნდა იყაროთ?
ქალმა წარბები წამით აწკიპა, თვალი თვალში გაუყარა და მერე თქვა მშვიდად, წყნარად:

მკითხველთა ლიგა

– აი, ეს კი ძალზე კარგად გამოგივიდათ... პირველი ჭკვიანური რამ, რაც მითხარით.
– მაგით რა გინდათ თქვათ?
– ის, რომ ჩემს სიტყვებში სწორედ იმას ჩაავლეთ, რაზეც პასუხის გაცემა მომიწევს. მინდა, შური ვიძიო, რადგან არც არაფერზე მაქვს შური საძიებელი! გასაგებად ვამბობ? თუ არა, მაშინ ისევ ელზუერთ თუის დავუბრუნდეთ.
– მ-მ... ყველასგან მარტო ის მესმის, იდეალისტია, მოუსყიდავი ვინმეა, ნამდვილი წმინდანიაო...
– მართალიც უთქვამთ. მექრთამე რომ ყოფილიყო, აღარც პრობლემა იქნებოდა. ახლა კი თითქოს რაღაც ინდიკატორია. შეგიძლია, ხალხი იმის მიხედვით განსაჯო, თუ როგორ უყურებენ მას.
– ანუ?..
დომინიკი საზურგეზე გადაწვა, ხელები სკოლის მოწაფესავით დაიწყო მუხლებზე და გაეცინა.
– ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი, ფინჯან ჩაიზე რომ უნდა გაარჩიო ახალგაცნობილ კაცთან. აი, კიკი სწორედ ასე იქცევა დასანახად ვერ მიტანს, მაგრამ მაინც მპატიჟებს ხოლმე... და მეც მოვდივარ როცა ვატყობ, ადამიანს ჩემი ნახვა არ სიამოვნებს, ასეთ სიამოვნებას მოვიკლებ?! შემოსვლისას კი რელსტონს ვუთხარი საზიზღრობაა ეგ თქვენი კაპიტოლიუმი-მეთქი. რა მერე დაგიჯერა ვინმემ? ძალიან
კარგი პატარა ეშმაკუნა ხარო, სწორედ ასე მითხრა.
– მერე, მართალია?
– რა?
– ძალიან კარგი პატარა...
– არა. ყოველ შემთხვევაში, დღეს არა. ჯერ იყო და, ჭკუა აგირიეთ, ახლა იმას გეტყვით, მართლა რას ვფიქრობ თქვენზე: ნიჭიერი ხართ და ჭკუადამჯდარიც; არც ამბიციურობა გაკლიათ და შორსაც წახვალთ... მოკლედ, მომწონხართ. ასე რომ, ჩემგან საფრთხე არ გემუქრებათ. მამაჩემსაც ვეტყვი, მარჯვენა ხელის თანამდებობაზე სწორი არჩევანი გაგიკეთებია-მეთქი. თუმცა, არ ვიცი, ეს რამდენად წაგადგებათ ვაითუ, ჩემმა რეკომენდაციამ საწინააღმდეგოდ იმოქმედოს...
– გნებავთ, ერთი ისიც გითხრათ, მე რას ვფიქრობ თქვენზე?
– ცხადია. თუნდაც ორი მითხარით.
– ჯობდა, ხმამაღლა არ გეთქვათ, მომწონხარო. მეტი შანსი იქნებოდა, მართალი ყოფილიყო.
დომინიკს სიცილი წასკდა.
– თუ მაგდენს მიმიხვდით, მაშინ კარგად შევეწყობით ერთმანეთს და ერთიც ვნახოთ, მართალიც აღმოჩნდეს...
გორდონ ლ. პრესკოტმა თაღქვეშ გამოიარა, ჭიქით ხელში. ღია ნაცრისფერ კოსტიუმსა და უკლებლივ ყველა ღილზე შეკრულ თეთრ პერანგში იყო გამოწკეპილი; სახე, როგორც ყოველთვის, სუფთად გაპარსული, სუნამოდაპკურებული და მზედაკრული.
– დომინიკ, ჩემო კარგო! – შესძახა და ხელში ჭიქა შეათამაშა, – კიტინგსაც გაუმარჯოს... – დაამატა მერე, – ისე, რამე რომ იყოს, რას იმალებოდით? მითხრეს, დომინიკიც აქააო და მთელი საათია, გეძებ!
– გაგიმარჯოს, გორდონ, – ისე თქვა, ძალზე ზრდილობიანად, ოღონდ კაცის ლამის აღტაცებული ტონის მერე, მაინც ცივ მისალმებად გაისმა. თუმცა, პრესკოტის სქელ კანში ასე იოლად ვერაფერი გაატანდა.
– ძვირფასო, ყოველ ნახვაზე უფრო და უფრო მშვენიერდები! არ მესმის,

მკითხველთა ლიგა

როგორ ახერხებ...
– მეშვიდეჯერ. – მშვიდად თქვა დომინიკმა.
– რა თქვი?
– მეშვიდეჯერ-მეთქი. მეშვიდეჯერ მეუბნები ერთსა და იმავეს. დავთვალე.
_ კარგი რა, ხანდახან მაინც ილაპარაკე სერიოზულად.
_სწორედ მაგით ვიყავი დაკავებული, შენ რომ შემაწყვეტინე. ძაან-ძაან სერიოზული სალაპარაკო მაქვს პიტერ კიტინგთან.
გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია და გორდონ ლ. პრესკოტმაც აღარ დააყოვნა უკან დახევა, თუმცა მთლად ისე ელეგანტურად ვერა, როგორც თავად ისურვებდა. საერთოდ, ცოტა სულელურადაც გამოიყურებოდა. კიტინგს კი გულზე მოეფონა,მასთან სასაუბროდ ვიღაც სხვა რომ მოიცილეს თავიდან.
მაგრამ მერე რაღაც შეიცვალა თითქო : რაზე შევჩერდითო, გულგრილად იკითხა ქალმა და ეს იყო და ეს, თვალი აღარ მოუცილებია ვიღაც დაჩამიჩებული ჯენტლმენისთვის, თავის ჭიქა ვისკის რომ დაჰფოფინებდა.
– არ ვიცი, – თქვა კიტინგმა, – ჩვენ ხომ...
– აი, იუჯინ პეტინგილიც! ვგიჟდები ამ კაცზე. აუცილებლად უნდა მივესალმო.
მაშინვე წამოდგა და წელში ამაყად გაზნექილი, დარბაზის მეორე ბოლოსკენ გაემართა შეუხედავი, ოთხმოცს მიტანებული ბერიკაცისკენ.
კიტინგმა არ იცოდა, ისიც შეგნებულად მიატოვეს გორდონ ლ. პრესკოტივით, თუ შემთხვევით გამოვიდა ასე.
მერე თვითონაც მთავარ დარბაზში დაბრუნდა უხალისოდ. ნაძალადევად უღიმოდა და ესაუბრებოდა ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილ სტუმრებს. შორიდან ადევნებდა თვალს, როგორ მიმოდიოდა ხალხში დომინიკ ფრენკონი, ხანდახან შეჩერდებოდა და ვიღაცას გამოელაპარაკებოდა ხოლმე. მისკენ ერთხელაც აღარ გამოუხედავს და კიტინგი ვერ მიმხვდარიყო, რამე წარმატებისთვის მიეღწია თუ სრული მარცხი განეცადა.
დომინიკი რომ მიდიოდა, ისიც კარებთან აღმოჩნდა ამ დროს.
ქალი შეჩერდა და მომხიბლავად გაუღიმა.
– არა, – უთხრა, ვიდრე კიტინგი ხმას ამოიღებდა, –- შინ ვერ გამაცილებთ. მანქანა მელოდება. თუმცა, მაინც მადლობელი ვარ.
წავიდა და ყურებჩამოყრილი კიტინგი კარებთან დატოვა, იდგა გაბრაზებული და თან გრძნობდა, რომ პატარა ბიჭივით აჭარხლებული იყო.
ვიღაც მსუბუქად შეეხო მხარზე, მიტრიალდა და ფრენკონი შერჩა ხელში.
– შინ მიდიხარ? გაგიყვან.
– შვიდზე კლუბში არ უნდა ყოფილიყავი?
– არა უშავს, ცოტათი დავაგვიანებ, არაფერი დაშავდება. წამო, სახლამდე მიგიყვან, – რაღაც უცნაურად მიზანდასახული და თან ყურადღებიანი ჩანდა, მისთვის უჩვეულოდ.ცოტა არ იყოს, გაკვირვებული კიტინგი ხმის ამოუღებლად მიჰყვა,
და არც მაშინ დაუძრავს კრინტი, როცა ფრენკონის მანქანაში ჩასხდნენ.
– აბა, რას იტყვი? – ჰკითხა ფრენკონმა ვითომ სხვათა შორის.
კიტინგს ჩაეღიმა:
– მართლა ღორი ხარ, გაი. უმადური და დაუნახავი. რას მიმალავდი ვითომ? მსგავსი ქალი ჯერ ცხოვრებაში არ შემხვედრია.
– მართალია, – თქვა ფრენკონმა პირქუშად, – უბედურებაც ალბათ ესაა.
– უბედურება? რაში ხედავ უბედურებას?
– სინამდვილეში რას ფიქრობ, პიტერ? გარეგნობა დაივიწყე. თვითონ

მკითხველთა ლიგა

ნახავ, მართლა რა მალე დაგავიწყდება. მთავარია, რას ფიქრობ?
– რას ვფიქრობ და, იშვიათად მტკიცე ხასიათის ადამიანია.
– როგორ გამახარე!..
ფრენკონმა მოიწყინა და ჩაჩუმდა, ცოტა ხნის მერეღა დაარღვია დუმილი და ხმაში თითქოს იმედისმაგვარიც გამოერია:
– რას გეტყვი, იცი, გიყურებდი და მიკვირდა, რამდენ ხანს ლაპარაკობენ-მეთქი. მეგონა, ერთს თავისებურად, მწარედ გაჯახებდა რაღაცას და უცებ მოგიშორებდა თავიდან. იქნებ, მართლა გაუგოთ ერთმანეთს?! მოდი, პირდაპირ გეტყვი: ყურადღებას ნუ მიაქცევ, მე და ჩემს ქალიშვილს რა ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.
ამ სიტყვებში ისეთი გულწრფელობა იგრძნობოდა, კიტინგმა კინაღამ წაუსტვინა კიდეც, თუმცა დროზევე შეიკავა თავი. "არ მინდა, ჩემს გამო აგითვალწუნოს და ნურც შენ ჩაუდგები კრიჭაში, ვითომ ჩემი ხათრით," – დაამატა.
_ კარგი რა, გაი, – კიტინგმა ხმაში თანაგრძნობა გაურია, – მე მგონი, ზედმეტად ართულებ ყველაფერს.
– არასდროს ვიცოდი, როგორ დავლაპარაკებოდი, – ამოიოხრა ფრენკონმა, – აქამდე ვერ ვისწავლე. რა უბედურება სჭირს საერთოდ?.. არ მესმის, არადა, რაღაცაშია საქმე. ადამიანივით არც იქცევა. ორი სკოლიდან გარიცხეს, ბოლო კლასში. აზრზე ვერ მოვდივარ, კოლეჯის დამთავრება რანაირად მოახერხა... ოთხი გაუთავებელი წელიწადი წერილის მიღების მეშინოდა, სულ რაღაც უბედურებას ველოდი. მერე ვიფიქრე, ჯანდაბას, რადგან გზაზე დადგა, თავსაც მიხედავს და ზედმეტად აღარ
შევაწუხებ -მეთქი, არადა, ბოლო დროს უფრო და უფრო აურია.
– მოიცა, რა განერვიულებს?
– არაფერი. ვცდილობ, არც ვინერვიულო. საერთოდ თუ არ ვფიქრობ ხოლმე დომინიკზე, ვწყნარდები. ალბათ ეგოისტობით მომდის, მაგრამ არ გამოვიდა ჩემგან მამა და რა ვქნა?! თან ამ ოხერ პასუხისმგებლობის გრძნობასაც რა გინდა უყო, ღმერთმა იცის, მე სულ არ მინდა,არადა, ხანდახან წამომივლის და თავი მისკდება ხოლმე რაღაც უნდა ვიღონო, მოვალე ვარ, სხვა ჩემ მეტი ვინ ჰყავს-მეთქი!..
– ძალიან კი შეუშინებიხარ, გაი. დამიჯერე, არც ასეა საქმე,
– ეგრე გგონია?
– დარწმუნებული ვარ.
– იქნებ შენ აღმოჩნდე ის კაცი, ვინც მოარჯულებს. უკვე აღარ ვნანობ, რომ გაგაცანი. არადა, შენც იცი, დიდხანს ვითრიე ფეხი. კი, ნაღდად მოარჯულებ. შენ... შენ სხვანაირად მიზანდასახული ხარ, ჯიუტი... არა? რამე თუ ჩაიდე გულში, მტრისას...
– რა ვიცი, – კიტინგმა დაუდევრად აიქნია ხელი, – უბრალოდ,ვცდილობ, შიშებს არ ავყვე.
მერე საზურგეზე გადაწვა, თითქოსდა დაღლილი სახით, ვითომ დიდად მნიშვნელოვანი არც არაფერი თქმულაო, და მთელი გზა ხმა აღარ ამოუღია. ფრენკონიც ბოლომდე ჩუმად იყო.

• • •

– ბიჭებო, – თქვა ჯონ ერიკ სნაიტმა, – ამაზე ნუ გავჩერდებით. წელს უკეთესი არაფერი გაგვიკეთებია. ცხადია, ფულის ამბავს არ ვგულისხმობ, მარა სახელი, კონტაქტები! ბოლომდეც თუ გავქაჩეთ, მერე ნახეთ, რას დაიბერებიან ბოღმით ის ბობოლა ვითომ ხუროთმოძღვრები! ოსტინ

მკითხველთა ლიგა

ჰელერმა მითხრა ამას წინათ მესამე ფირმა ვყოფილვართ, ვისაც ეგ მიადგა. უფრო დიდმა ბიჭებმა, ეტყობა, ვერაფრით მოაწონეს თავი. ახლა ჩვენი ჯერია. ხომ გესმით რაღაც ისეთი, განსხვავებული, უჩვეულო, ოღონდ გემოვნებიანი უნდა შევთავაზოთ. მოკლედ, ახლა თქვენ იცით.

მისი ხუთი დიზაინერი ნახევარწრედ შემორტყმოდა და ხმის ამოღებას ჯერ არავინ ჩქარობდა. ცხადი იყო "გოთიკურის", ან "რენესანსის“ შეთავაზებას აზრი არ ჰქონდა, სხვა კი ჯერ არაფერი მოსდიოდათ თავში.

_ მაინც, რა თქვა, რა მინდაო? – ეს რორკმა დაარღვია სიჩუმე.

სნაიტმა ისეთი სახით გამოხედა, თითქოს ეუბნებოდა ჩვენ კი ვიცით, ოღონდ ახლა ამას ხმამაღლა ხომ არ ვიტყვიო... ბოლოს მხრები აიჩეჩა:

_ აბა, რა გითხრათ, ბიჭებო მაინცდამაინც ენამჭევრი ვერ იყო, ბეჭდვითი სიტყვის სფეროში მის გავლენას თუ გავითვალისწინებთ... ის კი აღიარა, არქიტექტურისა არაფერი გამეგებაო. ასე რომ, არანაირი სტილის მოთხოვნა არ დაუკონკრეტებია. უბრალოდ, სახლი მინდა ავიშენო, ოღონდ ახლანდელ ნაგებობებს რომ ვუყურებ, ყოველნაირი ხალისი მეკარგებაო. ისეთი სახლი მინდა, შიგ მეცხოვრებოდესო, დაამატა. მერე თქვა: "სახლი რაღაცას უნდა ნიშნავდეს კაცისთვის". ოღონდ რას – ვერ დააზუსტა. მოკლედ, ესაა სულ. ამ მონახაზებსაც არ გამოვართმევდი, მაგრამ ოსტინ ჰელერია მაინც... მე, პირადად, ვერაფერი გავუგე· რაო, რორკ?

– არც არაფერი. – მშვიდად თქვა რორკმა.

ოსტინ ჰელერის სამყოფლის თაობაზე გამართული პირველი თათბირიც ამით დამთავრდა.

იმავე დღეს, მოგვიანებით, სნაიტმა მატარებელში ჩასვა ხუთივე და კონექტიკუტში გაემგზავრნენ, ჰელერის შერჩეული ადგილის დასათვალიერებლად. მერე რომელიღაც შეუხედავი პატარა ქალაქიდან სამი მილის დაშორებით, კლდოვან სანაპიროზე იდგნენ, სენდვიჩებს მიირთმევდნენ და დესერტად მიწის თხილს აყოლებდნენ. მათ წინ გვერდებჩამომტვრეული, შიშველი კლდე ამომართულიყო, რომელიც ზღვის თარაზულ სიბრტყეს ჯვრად ედებოდა, შვეულად.

„აი, სულ ესაა.” – რატომღაც განაწყენებული ხმით განაცხადა სნაიტმა, – ””როგორია?” თან მწარედ ამოიოხრა: "ისეთი ადგილი შევთავაზე, ისეთი, წუნი არ დაედებოდა, მაგრამ რად გინდა არც კი მომისმინა. მაინცდამაინც ზედ ამ შვერილის წვერზე სურს სახლის წამოჭიმვა.ვუთხარი,სახლი ცოტა უკან და გვერდზე ჩავდგათ, კლდე კი მშვენიერ ხედად გამოდგება მეთქი... გაგიგონია?“ სნაიტმა ფანქარი გაიჩარა პირში და ახლა ისე მოთქვამდა: "მარტო აფეთქებები გაგვყიდის... ახლა მთელი კლდის მისწორ-მოსწორებაც თქვი! მოკლედ, დახრილობა დაიანგარიშეთ და ქვის სიმკვრივეც შეამოწმეთ... ფოტოსურათები და ნიადაგის სინჯების პასუხები ოფისშია უკვე. რამეში თუ დაგჭირდით,მეც იქვე ვიქნები... ღერი სიგარეტი არავის გაქვთ? წავედით, იმ ოხერ მატარებელზე არ დაგვაგვიანდეს...”

ასე და ამგვარად, ხუთი არქიტექტორი ერთად შეეჭიდა საქმეს.მათგან ოთხი თავაუღებლად უჯდა სახაზავ დაფას; მარტო რორკი აკითხავდა ხოლმე სამშენებლო ადგილს.

სნაიტთან გატარებულმა ხუთმა თვემ თვალის დახამხამებაში გაირბინა რორკისთვის: რომ გეკითხათ, ვერც გაიხსენებდა, როგორ გადიოდა დღეები მარტო ნახაზები ახსოვდა. გვიანობამდე რჩებოდა ხოლმე მხაზველთა დარბაზში და თვალწინ სულ ის კლდე ედგა. ნახაზები კი არავისთვის უჩვენებია, სანამ ყველა არ დაამთავრა.

მკითხველთა ლიგა

მერე კი, ერთ საღამოს, მიხვდა, რომ საქმე დასრულებული იყო, მაინც იჯდა, ნამუშევარს დასცქეროდა, გვიანობამდე, სანამ ფანჯრის შუშები ჯერ მუქ ლურჯად, მერე შავად, და ბოლოს მქრქალ ნაცრისფრად არ დაიფერა. უბრალოდ დაღლილი კი არა, სულ მთლად გამოფიტული იყო.

მისთვის რომ გეკითხათ, თავად კლდემ გამოახაზვინა ეს სახლი: იდგა თავისთვის და ელოდა, როდის დაადგამდნენ გვირგვინს... შენობა რამდენიმე დონედ იყო დაპროექტებული და კლდის რელიეფს ესადაგედა, ისევე როგორც გრძივად გაწყობილი ფასადი სადაც კი კლდე ზღვისკენ მიიწევდა, ხოლო ვერტიკალურ შრეებს იმავე გრანიტის ქვისგან ნაგები კედლები ჰარმონიულად აგრძელებდნენ ცისკენ... თავის მხრივ, წაწყობილი ტერასებიც ტალღოვან ეფექტს ქმნიდნენ ზღვის ფონზე.

რორკი ისევ ისე უჯდა მაგიდას, თანამშრომლები რომ თითო-თითოდ შემოლაგდნენ ახალი სამუშაო დღის დასაწყებად. მაშინღა წამოდგა და ნახაზები სნაიტის კაბინეტში გაიტანა.

ორი დღის შემდეგ, პროექტის საბოლოო ვარიანტი, უკვე ერიკ სნაიტის ხელმოწერით და ჩინელი მხატვრის მიერ გაფორმებული, რბილ ქაღალდში გამოხვეული ელაგა მაგიდაზე. არა, ეს ნამდვილად რორკის ნახაზები იყო, ოღონდ კედლები უკვე წითელი აგურისა ჰქონდა, ფასადის ფანჯრები ყველა ერთი ზომის და ხასხასა მწვანე დარაბებით შემკული სივრცეში გადმოკიდებული ორი ტერასა საერთოდ სადღაც გამქრალიყო და მათ მაგივრად პატარა რკინის აივანი მიეხატათ, ტეხილი ფრონტონის შესაკავებლად კი სახლისთვის იონიურსვეტებიანი შესასვლელი გაეკეთებინათ და არც მაღალი ჭოკი დავიწყებოდათ ფლუგერისთვის.

ჯონ ერიკ სნაიტი დაფასთან იდგა, რომელზეც დასრულებული ესკიზი იყო გაკრული, ორივე ხელი მოწიწებით აღემართა და შორიდან ტკბებოდა ამ დახვეწილი ფერების ქალწულებრივი სიწმინდით.

"დარწმუნებული ვარ, მისტერ ჰელერს სწორედ ასეთი სახლი ჰქონდა წარმოდგენილი" – ტრაბახობდა სნაიტი, – "შესანიშნავია.. მართლა მაგარია... რორკ, რამდენჯერ გითხრა, ესკიზთან ნუ ეწევი-მეთქი. გამოიწი აქეთ, ფერფლი არ დაეცეს!.."

ოსტინ ჰელერს თორმეტზე ელოდნენ, მაგრამ თორმეტის ნახევარზე მისის სიმინგტონი მობრძანდა გაუფრთხილებლად და დაუყოვნებლივ მისტერ სნაიტთან შეხვედრა მოითხოვა. ეს ქალბატონი ერთი დიდად ცნობილი პიროვნების ქვრივი იყო და სულ ცოტა ხნის წინ დასახლებულიყო სნაიტის დაპროექტებულ ახალ რეზიდენციაში; ეგეც არა, სნაიტი მისგან სხვა შეკვეთასაც მოელოდა სტუმრის ძმასაც მონდომებოდა ახალი სახლი. ამიტომ სასწრაფოდ გამოეგება, თავი მდაბლად დაუკრა და კაბინეტში შეიპატიჟა. ქალმა არც აცია, არც აცხელა და მაშინვე
სეტყვასავით დააყარა საყვედურები ბიბლიოთეკაში ჭერი დასკდა, ყურეზე გამავალი ჩემი მისაღები ოთახის ფანჯრებიც მუდმივად დანამულია და საერთოდ არ მოჩანს არაფერიო. სნაიტმა მთავარ ინჟინერს უხმო და მერე უკვე ორ ხმაში მოჰყვნენ ახსნა-განმარტებებს, ბოდიშებს და მშენებლების ლანძღვას. მისის სიმინგტონს ჯერ დამშვიდებამდე ბევრი უკლდა, როცა სნაიტის მაგიდაზე ზარი აწკრიალდა და ადმინისტრაციიდან კლერკმა აცნობა მისტერ ოსტინ ჰელერი მობრძანდაო.

მისის სიმინგტონთან ასე დამშვიდობება წარმოუდგენელი იყო, ვერც ოსტინ ჰელერს ალოდინებდა; ამიტომ სნაიტმა მოიბოდიშა, წუთით დაგტოვებთო, და ქალბატონი თაფლად დაღვრილ მთავარ ინჟინერს

მკითხველთა ლიგა

გადააბარა. მერე მისაღებში გავარდა, ჰელერს გრძნობით ჩამოართვა ხელი და მხაზველების დარბაზში შეიპატიჟა: "ესკიზი მზადაა და აჯობებს, აქვე ნახოთ დარბაზში ბევრად უკეთესი განათებაა.”

როგორც ჩანს, ჰელერს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მორჩილად მიჰყვა უკან სნაიტს მაღალი, მხარბეჭიანი, ინგლისურ ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილი კაცი, რომელსაც წითური თმა, თითქმის ოთხკუთხა სახე ჰქონდა, დამცინავად მშვიდი თვალების ირგვლივ კი ნაოჭების აბლაბუდა მოსდებოდა.

ესკიზი სნაიტის ჩინელი ფერმწერის დაფაზე იყო გაკრული და თვითონ ფერმწერიც მაშინვე მორცხვად და უსიტყვოდ გადგა განზე. მეზობელ დაფასთან რორკი მუშაობდა, ჰელერისკენ ზურგშექცეული. საქმე არ შეუწყვეტია და არ შემობრუნებულა. თანამშრომლები კარგად იყვნენ გაწვრთნილები და იცოდნენ, როცა სნაიტს დამკვეთი მხაზველების დარბაზში შეჰყავდა, ისინი არაფერში არ უნდა ჩარეულიყვნენ.

სნაიტმა სხარტად ააცალა ესკიზს პერგამენტის ქაღალდი, თითქოს პატარძალს რიდე ახადაო. მერე უკან დაიხია და ჰელერის სახეს შეავლო თვალი. ჰელერი დაიხარა და კარგა ხანს დარჩა ასე კისერწაგრძელებული, დაძაბული, მდუმარე...

– მისმინეთ, მისტერ სნაიტ, – როგორც იქნა, ამოიღო ხმა, – იცით, მე მგონი... – ისევ გაჩუმდა.

სნაიტი მოთმინებით უცდიდა, ნასიამოვნები, რაღაც ისეთი წამის მოახლოებას გრძნობდა, არასდიდებით რომ არ უნდა შეეშალა ხელი.

– აი ეს, – თქვა უცებ ჰელერმა ხმამაღლა და ისე დაჰკრა მუშტი ესკიზს, სნაიტს სუნთქვა შეეკრა, – ყველაზე ახლოა იმასთან, რაზეც ვოცნებობდი.

– ვიცოდი, რომ მოგეწონებოდათ, მისტერ ჰელერ, – თქვა სნაიტმა.

– და ვინა თქვა, მომწონსო?! – აჯახა ჰელერმა.

სნაიტმა ნერწყვი გადაყლაპა და გაყუჩდა.

– ახლოს ნამდვილად არის, – ხმაში სინანული გამოერია ჰელერს, „ოღონდ არაზუსტია. არ ვიცი, რა, თუმცა რაღაც არაა სწორად. მაპატიეთ, თუ ძალიან ბუნდოვნად ვლაპარაკობ, მაგრამ მე ან მაშინვე მომწონს ხოლმე, ან საერთოდ არ მომწონს... ვიცი, მაგალითად, რომ ასეთ შესასვლელს ვერასდროს შევეგუები. ლამაზია, მაგრამ თვალში არც მოგხვდება კაცს უკვე იმდენჯერ გაქვს ნანახი.

– თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ, მისტერ ჰელერ. ცხადია, თანამედროვე ხედვას ხარკი უნდა გადავუხადოთ, მაგრამ ამავე დროს, საცხოვრებელი სახლის იერიც ხომ უნდა შევინარჩუნოთ! ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ მთავარია, დიდებულების და სიმყუდროვის ურთიერთშეხამება და მსგავს მკაცრი სტილის სახლს რამდენიმე, ასე ვთქვათ, რბილი შტრიხიც აუცილებლად სჭირდება... არქიტექტურული თვალსაზრისით, ყველა კანონი მკაცრადაა დაცული.

– ეჭვი არ მეპარება, – თქვა ჰელერმა, – მაგაზე არც ვკამათობ. სხვათა შორის, არც კანონების მკაცრი დაცვით მიცხოვრია ამქვეყნად.

– არა, უბრალოდ, ამ სქემას აგიხსნით და ნახავთ...

– ვიცი, ვიცი, – თითქოს მოიწყინასავით ჰელერმა, – დარწმუნებული ვარ, მართალს ბრძანებთ. ოღონდ... – აშკარად ეტყობოდა, როგორ უჭირდა, დაინტერესებული კაცის ტონით ელაპარაკა, – ... რაღაც მთლიანობას რომ ვხედავდე, რაიმე... ასე ვთქვათ, ცენტრალურ იდეას... შეფარულს მაინც... ყველაფერს რომ გააცოცხლებდა... მოკ-
ლედ, რაღაც აკლია და თან უამრავი ზედმეტობაა... უფრო სადა თუ იქნება, გამოკვეთილი... რა სიტყვა თქვით წეღან? – ხო, ყოვლისმომცველი...

რორკი შემოტრიალდა. დაფასთან მივიდა, ფანქარი მოიმარჯვა და

მკითხველთა ლიგა

"ხელშეუხებ” აკვარელზე მკვეთრი, შავი ხაზების გავლება დაიწყო. თვალის დახამხამებაში გაქრა სადღაც იონიური სვეტები, ფრონტონი, შესასვლელი, ჭოკი, დარაბები, აგურები; სამაგიეროდ, გაჩნდა ქვით ნაგები ორი ახალი ფრთა; ფართო ფანჯრები; აივნის ადგილი ზღვაზე გამავალმა ღია ტერასამ დაიკავა.

ისე უცებ გააკეთა ყველაფერი, ვერც ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. პირველი სნაიტი გამოერკვა და დაფისკენ ისკუპა, თუმცა ჰელერმა მაჯაში ჩაავლო ხელი და შეაჩერა. რორკს კი უკვე ახალი კედლები ამოჰყავდა, გაშმაგებული უცვლიდა სახეს ყველაფერს.

მხოლოდ ერთხელ ასწია თავი, წამით, და შორიახლოს მდგომ ჰელერს გახედა; ასე გაიცნეს კიდეც ერთმანეთი... რორკი არ ჩერდებოდა და როცა ბოლოს ფანქარი დააგდო, სახლი უკვე მხოლოდ მისი ნაოსტატარი დასრულებული სახით წარდგა მნახველების წინაშე. მთელი ეს წარმოდგენა კი ხუთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა.

სნაიტს ჯერ თითქოს რაღაც გაეჩხირა ყელში; მერე რაკი ჰელერმა აღარ გაიღო ხმა რორკს მოუტრიალდა და ლამის იბღავლა:„ მორჩა, დათხოვნილი ხარ, რორკ! შენი ფეხი აღარ ვნახო აქ!“

– ეგრეა, – კვერი დაუკრა ოსტინ ჰელერმა და რორკს თვალი ჩაუკრა, – საუზმობა თუ მოასწარი ამ დილით? წამო, ერთი კარგი ადგილი ვიცი და პატარა სალაპარაკოც მაქვს შენთან.

რორკი საკიდთან მივიდა, პალტო და ქუდი ჩამოიღო. ამ დროს კი ჰელერმა ისეთი რამ ჩაიდინა, მთელი საპროექტო პირღია დატოვა: ნახაზებს დაავლო ხელი, მუყაოიანად ოთხად გაკეცა და ჯიბეში იკრა.

– დაიცათ, მისტერ ჰელერ... ე-ე.. თუკი ასე გსურთ... ჩვენ რა, _ ჩვენ არაფერი... ახლავე გადავაკეთებინებ ნახაზს როგორც თქვენ იტყვით, ისე...

_ ახლა არა, – დაუგდო ჰელერმა, – ახლა არ მცალია. კარებთან მისულმა კი დაამატა: "ჩეკს ფოსტით გამოგიგზავნით."

მერე გავიდა, რორკთან ერთად, კარიც კი ისე გაიჯახუნა, თითქოს თავისივე სტატიისთვის ბოლო, დამამთავრებელი წერტილი დაესვას.

რორკს მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არ გაუღია.

მერე, რომელიღაც რესტორანში სადაც რორკს მარტოს ნამდვილად არ შეესვლებოდა ვერცხლითა და ბროლით გაწყობილ მაგიდასთან, ჰელერი უყვებოდა:

– ...დავინახე თუ არა, წამსვე მივხვდი, რომ სწორედ ის იყო ჩემი ნანატრი სახლი... ამიშენებ? იმის თქმა მინდა, გათვლები, დიზაინი, მშენებლობის ზედამხედველობა... იკისრებ?

– კი, – უბრალოდ უპასუხა რორკმა.

– დრო რამდენი დაგჭირდება?

– რვა თვე.

– მოკლედ, შემოდგომის მიწურულს მზად იქნება?

– ხომ გითხარით.

– ზუსტად ისეთი, როგორიც ქაღალდზეა გამოხაზული?

– კი, ზუსტად.

– მისმინე, წარმოდგენა არა მაქვს, რა კონტრაქტი უნდა დაგიდო შენ თვითონ შეადგინე და თავად დაასმევინე ჩემს ვექილს ბეჭედი, მოსულა?

– კი.

ჰელერი ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდა. მერე ხელის მტევნებზე ჩამოავლო მზერა გრძელ, დატეხილ თითებზე, დაბერილ ძარღვებზე. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ვინმე სპეციალისტს კი არ ქირაობდა, აქეთ აძლევდნენ ნებას, გვიმსახურეო.

მკითხველთა ლიგა

– რამდენისა ხარ, რამე რომ იყოს? – დაეკითხა.
_ ოცდაექვსის. რეკომენდაციები გჭირდებათ?
– აგერ მიწყვია, ჯიბეში. მართლა, რა გქვია?
_ ჰაუარდ რორკი.
ჰელერმა ჩეკების წიგნაკი დააგდო მაგიდაზე, გადაშალა და ახლა კალმისტარი დააძრო გულის ჯიბიდან.
– მოკლედ, ამ ხუთი ათას დოლარს წინასწარ გაძლევ, ოფისი ან სტუდია ან რაც გინდა, ის დაიქირავე და საქმეს შეუდექი.
ხელმოწერილი ფურცელი მოახია, ორ თითს შორის მოქცეული გაუწოდა რორკს და თან თვალები მოწკურა, თითქოს მისი რეაქცია აინტერესებდა.
თანხა ჰაუარდ რორკის, არქიტექტორის სახელზე იყო გამოწერილი.

• • •

ჰაუარდ რორკმა საკუთარი კაბინეტის კარი შეაღო.
ეს ერთი ვრცელი ოთახი იყო ძველი შენობის ბოლო სართულზე და მისი განიერი ფანჯრები მეზობელ სახურავებს ზემოდან გადაჰყურებდა. შორს, ზუსტად ფანჯრის რაფის გაგრძელებაზე, ჰადსონის ზოლი მოჩანდა გემები სათამაშოებს ჰგავდნენ აქედან. ერთი მაგიდა ედგა, ორი სკამი და დიდი სახაზავი დაფა. "ჰაუარდ რორკი, არქიტექტორი" – ეწერა შუშის კარზე. შემოსვლამდე კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად და ამ წარწერას შესცქეროდა. მერე კაბინეტში შევიდა და კარი მაგრად მიიჯახუნა; მაგიდიდან გონიო აიღო, მერე ისევ დააბრუნა თავის ადგილზე_ თითქოს ღუზა ჩაუშვაო.
ჯონ ერიკ სნაიტი ცოცხალი თავით არ უშვებდა რორკს როცა სახაზავი ინსტრუმენტებისთვის ბოლოჯერ შეიარა ძველ ოფისში, სნაიტი მისაღებში გამოენთო, მხურვალედ ჩამოართვა ხელი და უთხრა: ”მიხარია შენი ნახვა, რორკ! როგორ ხარ? შემოდი, თამამად, სალაპარაკო მაქვს შენთან."
მერე მაგიდასთან დაისვა და რიხიანად გააგრძელა:
– ახლა ყურადღებით მისმინე, იმედია, ჭკუა გეყოფა და გუშინდელ ჩემს ნალაპარაკევს გულში არ ჩაიხვევ. გესმის ალბათ, ცოტა გავცხარდი არა, შენმა საქციელმა კი არ გამომიყვანა მოთმინებიდან, იმაზე შევიშალე, ესკიზს რაც დაემართა, იმ ესკიზს... მაგრამ არა უშავს. შევრიგდით?
– რა თქმა უნდა, – თქვა რორკმა, – არც მწყენია.
– იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ არავის გაუთავისუფლებიხარ. ეგ სიტყვები ხუმრობად ჩამითვალე, კარგი? ახლავე შეგიძლია, შეუდგე საქმეს.
– რისთვის, მისტერ სნაიტ?
– რას ნიშნავს რისთვის? ააა, ჰელერის სახლს გულისხმობ? მოიცა, შენ რა, მართლა დაიჯერე მაგის ნათქვამი? ვერ ნახე, რაცაა მაგ გადარეულს კვირაში ცხრა პარასკევი აქვს! შეკვეთაზე არც იოცნებო, ეგრე მარტივად არაა საქმე, არაფერი შეგეშალოს...
– გუშინ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი.
– მართლა? ძალიანაც კარგი! მისმინე, რორკ, მე და შენ ასე მოვიქცევით: მაგ შეკვეთას ისევ ჩვენს ფირმაში მოიტან, და შეგიძლია, პროექტს ჩემთან ერთად მოაწერო ხელი "ავტორები ჯონ ერიკ სნაიტი და ჰაუარდ რორკი” – როგორია? ჰონორარსაც გავიყოფთ. ცალკე ხელფასი ხელფასად სხვათა შორის, ხელფასი მოგემატა... იგივე პირობა გვექნება ყველა შენს მოტანილ შეკვეთაზეც და... მოიცა, რა გაცინებს?
– მაპატიეთ, მისტერ სნაიტ. ბოდიშს გიხდით.

მკითხველთა ლიგა

– მე მგონი, ვერაფერი გაიგე, – სნაიტი აშკარად გაოგნებული ჩანდა,
– მოიცა, ვერ ხვდები? შენთვის ეს ნებისმიერ დაზღვევას სჯობია. მარტო ვერ მოერევი. შეკვეთები ეგრე არ მოდის. მერე რაღას იზამ? ასე კი მუდმივი სამსახურიც გექნება და დამოუკიდებლად შენებაც შეგეძლება, თუკი ესაა შენი მიზანი, რა თქმა უნდა. ოთხ-ხუთ წელიწადში უკვე მყარად იდგები ფეხზე. ყველას ეს გზა გვაქვს გავლილი. გაიგე?
– დიახ.
– ესე იგი, თანახმა ხარ?
– არა.
– ღმერთო, გამაგიჟებს ეს კაცი! შეიშალე? მარტო რას იზამ? გამოუცდელი, თან შენისთანა... რისი იმედი გაქვს საერთოდ?! მართლა გაუგონარი ამბავია! ვისაც გინდა, ჰკითხე, ნებისმიერ არქიტექტორს. ნახე, რას გეტყვიან. დამიჯერე, უაზრობაა...
– შეიძლება.
– მომისმინე, რორკ, თუ ღმერთი გწამს, მომისმინე...
– მოგისმენთ, მისტერ სნაიტ. ოღონდ წინასწარ გეტყვით რაც არ უნდა მითხრათ, არაფერი შეიცვლება.
სნაიტი დიდხანს ლაპარაკობდა, რორკიც უსმენდა არც ეწინააღმდეგებოდა, არც რამეს უხსნიდა, არც პასუხობდა.
– კარგი, თუ ეგრეა, ნურც აქ დაბრუნების იმედი გექნება, როცა ბოლოს ქუჩაში აღმოჩნდები.
– მაგის იმედი არც მაქვს, მისტერ სნაიტ.
– აღარც რომელიმე სხვა არქიტექტორი შეგიკედლებს ხომ ეცოდინებათ, როგორც მომექეცი.
– არც მაგას ველი.
სნაიტი რამდენიმე დღე იმასაც ფიქრობდა, რორკს და ჰელერს ხომ არ ვუჩივლოო. მაგრამ ბოლოს ამ განზრახვაზე ხელი აიღო მსგავსი პრეცედენტი ვერ გაიხსენა; ეგეც არ იყოს, გაწეული სამსახურისთვის ჰელერმა ფული პატიოსნად გადაუხადა, თავდაპირველი პროექტიც, ძირითადად, რორკის შესრულებული იყო და რაც მთავარია, ოსტინ ჰელერისთვის ჯერ არავის არასოდეს გაებედა ასეთი რამ.
პირველი სტუმარი რორკის კაბინეტში პიტერ კიტინგი იყო.
გაუფრთხილებლად ეწვია ერთ დღეს, მხიარულად მოღიმარმა შემოალაჯა და წინ დაუჯდა, ხელები ფართოდ გაშალა და ოთახი მოათვალიერა:
– აი ეს მესმის, ჰაუარდ! ვინ იფიქრებდა?!
რორკი რამდენიმე წელი აღარ ენახა.
– გამარჯობა, პიტერ, – უთხრა რორკმა.
– საკუთარი საქმე, საკუთარი სახელი... მაგარია! თან ამ ასაკში!
– შენ როგორ გაიგე?
– რა დაიმალება? ხომ იცი, რასაც ვფიქრობდი შენზე და ახლა იმის თქმა არ უნდა მჭირდებოდეს, როგორი მოხარული ვარ და ასე შემდეგ...
– არა, რა საჭიროა.
– კარგად კი მოწყობილხარ. ნათელი ოთახია და ფართითაც არ დაიწუნება, პრესტიჟული უბანი ვერაა, მაგრამ რა მერე? დასაწყისისთვისესეც კარგია. თან კაცმა არ იცის, რა როგორ შემოტრიალდება მომავალში, ეგრეა?
– ვნახოთ.
– კარგი შანსი მოგეცა, ღმერთმანი.
– მაგასაც ვნახავთ.
– მართლა მარტო აპირებ, აუხვიდე ამხელა საქმეს?

მკითხველთა ლიგა

– მგონი, კი.
– ჯერ კიდევ არაა გვიან, ხომ იცი. შენი ამბავი რომ გავიგე, ვიფიქრე სნაიტს გაურიგდება-მეთქი.
– შეგშლია.
– რა, არც აპირებ?
– არა.
კიტინგს თავში გაუელვა, რა ეშმაკმა მაფიქრებინა, რორკი გაურკვევლობაში იქნება და იოლად დავიყოლიებო. თან მთელი ეს დღეები რაღაც ისეთი გრძნობა სდევდა, გაურკვეველი, უსიამო, და მიზეზსაც კი ვერ იხსენებდა ხოლმე; მერე უცბად რორკი და მისი ახალგახსნილი ოფისის ამბავი ამოუტივტივდებოდა გონებაში და გუნებაც ეშხამებოდა, რატომღაც...
– ჰაუარდ, ხომ იცი, შენს გამბედაობას როგორ ვაფასებ შენზე მეტი გამოცდილებაც დამიგროვდა და მხარში დამდგომი ხალხიც მყავდა, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმას მაინც მოვერიდებოდი.
– მე არა.
– მოკლედ, თავით გადაეშვი მორევში... ვინ იფიქრებდა? ღმერთმა ხელი მოგიმართოს!
– მადლობელი ვარ.
– მჯერა, მიაღწევ შენსას.
– მართლა ასე გჯერა?
– რა თქმა უნდა! შენ რა არა?
– მაგაზე არ დავფიქრებულვარ.
– ეგ როგორ?!.
– ყოველ შემთხვევაში, ბევრიც არ მიფიქრია.
– ესე იგი, მთლად დარწმუნებულიც არა ხარ? ეგრეა?
– ასე დაჟინებით რაზე მეკითხები?
_ რა... არა, რატომ დაჟინებით უბრალოდ, ძალიან მაფიქრებს ეს ამბავი..ახლა საკუთარ ძალებში დაეჭვება ცუდ სამსახურს გაგიწევდა, ნამდვილად! გაწუხებს რამე?
– არც არაფერი.
– მაგრამ რომ თქვი...
– სრულიად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში, პიტერ.
– განაცხადი როდის შეგაქვს?
– უკვე შევიტანე.
– კოლეჯის დამთავრების მოწმობა რომ არა გაქვს, მაგაზე არ მოგდონ შარი. ხომ იცი, გამოცდას მოგიწყობენ და...
– ვიცი.
– ლიცენზია რომ არ მოგცენ?
– მომცემენ.
- აბა, ”ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" შეკრებებზე გნახავ ხოლმე, ცხვირს თუ არ ამიბზუებ, რაღა თქმა უნდა შენ სრულუფლებიანი წევრი იქნები, მე კიდევ მხოლოდ შეგირდის რანგში...
– მანდ არაფერი მესაქმება.
– რას ბოდავ? სრული უფლება გექნება...
– მექნება, კი.
– მოსაწვევსაც გამოგიგზავნიან ხოლმე, ასე ხდება...
– გადაეცი, თავს ნუ შეიწუხებენ.
– გაგიჟდი?!
- პიტერ, მე და შენ ზუსტად ამგვარი საუბარი გვქონდა ამ შვიდი წლის წინათ, როცა სთენტონის საძმოში გინდოდა ჩემი გაწევრიანება.ახლა

მკითხველთა ლიგა

თავიდან ნუ დაიწყებ.
– მოკლედ, ჩვენი ამქრის წევრობაზე გინდა თქვა უარი?!
– არასოდეს არავითარი კავშირისა თუ ამქრის წევრი არ ვყოფილვარ და არც ვაპირებ.
_ აზრზე თუ ხარ მაინც, ეს რას ნიშნავს?
– მაინც, რას უნდა ნიშნავდეს?
_ არქიტექტორობას, ჰაუარდ არქიტექტორობას!
_ და გგონია, ეს მაგითი იზომება?
_ ცხოვრებას რატომ ირთულებ, ჰაუარდ?
– ეგრე მირჩევნია.
– მაგრად გაგიჭირდება, იცოდე.
– უკვე ვიცი:
– უარის თქმით ყველას მტრად გადაიკიდებ...
– ისედაც და ასედაც, რა განსხვავებაა.

• • •

პირველი, ვისაც რორკმა თავისი ამბავი ახარა, ჰენრი კამერონი იყო. კონტრაქტის ხელმოწერის მეორე დღესვე გაემგზავრა ნიუ-ჯერსიში. ახალი ნაწვიმარი იყო და კამერონი ბაღში სეირნობდა, ნელა, მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა სველ ბილიკს და თან ხელჯოხს ეყრდნობოდა. გასულ ზამთარს იმდენად მომჯობინდა, უკვე შეეძლო, დღეში რამდენიმე საათი ჰაერზე გაეტარებინა. თუმცა სიარული მაინც უჭირდა ბოლომდე ვერ იმორჩილებდა სხეულს. მიაბიჯებდა და ფეხქვეშ ახლად ამონაყარ ბალახს დასცქეროდა. დროდადრო ხელჯოხს ასწევდა და ცკდილობდა, მის
დაუხმარებლად მდგარიყო მყარად ფეხზე; ჯოხის წვერს ფოთოლებს წაჰკრავდა ხოლმე და თვალს ადევნებდა, ბინდში როგორ დაქანდებოდა მოწყვეტილი ბრჭყვიალა წვეთი მიწისკენ. გორაკზე ამომავალი რორკის დანახვაზე მოიღუშა: ერთი კვირის წინ ესტუმრა ბოლოს და რაკი ეს შეხვედრები ორივესთვის უაღრესად ბევრს ნიშნავდა, ცდილობდნენ, ძალიანაც არ გაეხშირებინათ.
– მოხდა რამე? – ჰკითხა უკმეხად, – დღეს რაღას გამომეცხადე?
– სალაპარაკო მაქვს.
– გადაუდებელი?
– მგონი, კი.
– გისმენ.
– საკუთარ საქმეს ვიწყებ. პირველ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი.
კამერონმა წვერით მიწას დაბჯენილი ხელჯოხი ადგილზე შემოატარა, ისე რომ სახელურმა მოზრდილი წრე შემოხაზა, თან თვითონ ორივე ხელით ზედ იყო დაყრდნობილი. თავიც ამ მოძრაობის რიტმში დააქნია, მძიმედ, და თვალები დახუჭა. მერე რორკს შეხედა და ძალიანაც ნუ აგივარდება თავშიო, უთხრა.
_ დაჯდომაში მომეხმარე, – სთხოვა ცოტა ხნის შემდეგ. მსგავსი რამ მისგან ჯერ არავის გაეგონა; დამაც და რორკმაც დიდი ხანია, კარგად იცოდნენ მისთვის იმაზე დიდი შეურაცხყოფა არაფერი იყო, თუნდაც უნებლიეთ ხელის შეშველებას თუ დაუპირებდნენ.
რორკი მხარში შეუდგა და მერხთან მიიყვანა. კამერონი პირდაპირ, ჩამავალი მზისკენ იყურებოდა.
– რას აშენებ? ვისთვის? რამდენად? – იკითხა.
რორკის ნაამბობს უხმოდ უსმენდა. მერე კარგა ხანს ათვალიერებდა

მკითხველთა ლიგა

შელახულ, მუყაოზე დაკრულ აკვარელს, ფანქრით გადაკეთებულ ესკიზს. თვალიერებას რომ მორჩა, კითხვა კითხვაზე დააყარა ყველაფერი გამოიკითხა საშენ მასალაზე, ადგილზე, მშენებლებზე, ფასზე... არაფერი მიულოცია. კომენტარებისგანაც კი შეიკავა თავი.

მხოლოდ მაშინღა, როცა რორკი უკვე წასასვლელად ემზადებოდა, მოულოდნელად სთხოვა:

– ჰაუარდ, შენი სამუშაო ოთახის ფოტოები გადაიღე და მაჩვენე.

მერე თავი გადააქნია, დამნაშავის სახით გვერდზე გაიხედა და შეიგინა: ”შარიანი ბებერი გავხდი. ჩემგან ნურაფერი გეწყინება."

რორკს არაფერი უპასუხია.

სამი დღის მერე ისევ მიადგა. "უკვე ცოტა თავიც მომაბეზრე", – უთხრა კამერონმა. რორკმა კონვერტი გაუწოდა უსიტყვოდ. კამერონმა ფოტოების თვალიერება დაიწყო დიდი, მოტიტვლებული ოთახის, განიერი ფანჯრების, შუშის კარის... მერე სხვები გვერდზე მიაგდო და კარგა ხანს ამ ბოლო ფოტოს მიაშტერდა.

"ძალიანაც კარგი,” – თქვა, როგორც იქნა, – ”ამ დღესაც მოვესწარი."

მერე იმასაც დანარჩენებისკენ გადაუძახა.

„მთლად ისე ვერა, როგორც მინდოდა," – დაამატა ნათქვამს, – ”როგორც ვგეგმავდი, მაგრამ მაინც მოვესწარი. ამბობენ, იმქვეყნიდან დედამიწაზე რაღაც ჩრდილებს ხედავენო... ეტყობა, სხვა დანარჩენს მეც ეგრე დავინახავ, იმედია."

ისევ კარების ფოტოს დასწვდა.

_ შეხედე! თითქოს დიდი არაფერია ჰაუარდ რორკი,არქიტექტორი, – არადა, იმ დევიზს ჰგავს, რაინდი საკუთარი ციხე-დარბაზის კარიბჭეზე რომ წააწერდა ხოლმე და მერე მის დაცვას აკლავდა თავს. ეს რაღაც ძალიან დიდის და ბნელის გამოწვევაა შენი მხრიდან, და მთელი სამყაროს ტკივილიც იცი კი, რამდენ სატკივარს იტევს სამყარო? – ერთიანად დაგატყდება.... ვერ გეტყვი, რა სახელი ჰქვია იმ ძალას, არც ის ვიცი, მაინცდამაინც შენ რატომ უნდა შემოგიტიოს, ოღონდ დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. ისიც ვიცი,თუკი ამ დევიზის ერთგულებას ბოლომდე შეინარჩუნებ, გამარჯვებული დარჩები. მარტო შენ თვითონ კი არა, ის საქმეც, რომელიც გა-
მარჯვების ღირსია, რომელიც სამყაროს ამოძრავებს და აღიარებას კი ვერასოდეს იმსახურებს. ეგ იმ უამრავ შენს თანამოაზრესაც გაამართლებს, ვინც შენამდე დაეცა, იმ ტანჯვით გატეხილი, რაც არც შენ აგცდება მომავალში. ღმერთმა დაგლოცოს ან იმან, სულ ერთია, რაც უნდა ერქვას, ვინც ერთადერთი ხედავს ადამიანთა გულებში დაბუდებულ ყოველივე საუკეთესოს. ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას ადგახარ, ჰაუარდ."

• • •

რორკი იმ გორაკის ბილიკს მიუყვებოდა, რომლის წვერზეც, ლურჯი ცის ფონზე, ჰელერის სახლის ფოლადის ჩონჩხი იკვეთებოდა. უკვე ბოლომდე იყო შეკრული და ბეტონის ჩასხმაც მოესწროთ; შორს, ქვევით, ვერცხლისფრად მოციმციმე წყლისკენ, ტერასების ვეება საყრდენები გადაწოლილიყო; სანტექნიკოსებს და ელექტრიკოსებს ერთდროულად წამოეწყოთ თავ-თავიანთი საქმე.

ფოლადის ძელებითა და ხარიხებით დატეხილ ცას გახედა, უსასრულო სივრცის იმ ცარიელ უჯრედებს, თვითონვე რომ ამოეგლიჯა ცისთვის. უნებურად აიქნია ხელები, თითქოს ამ სიცარიელის კედლებით ამოსავსებად, ოთახებად გარდასაქმნელად.

მკითხველთა ლიგა

ფეხქვეშ ქვა გაუსხლტა და ხმაურით დაქანდა ქვევით, მოულოდნელად დაარღვია ზაფხულის მზიანი დღის სიმყუდროვე.

უკვე გორაკის წვერზე იდგა, ფართოდ ფეხებგალაჯული, ზურგით სივრცეს მიყრდნობილი. მერე ვიღაცის ნაცნობი, მავთულებში გაბლანდული ფიგურა, ბულდოგის გაბადრული დრუნჩი და სიხარულით გაბრწყინებული ცისფერი თვალები დაინახა.

– მაიკ! – შეეხმიანა, ცოტა არ იყოს, დაეჭვებული.

მაიკი სამი თვით ფილადელფიაში იყო წასული, საქმეზე, ჰელერის გამოჩენას არ შესწრებია და ჰაუარდს არც ეგონა, სნაიტის ოფისში დატრიალებული ამბებისა თუ იცოდა რამე.

– გამარჯობა შენი, წითურო! – რაღაც ისე, ორაზროვნად მიესალმა მაიკი და მერე მაინც დაამატა, – ბოსს ჩვენი სალამი!

– მაიკ, შენ საიდანღა...

– კარგი რა, მესამე დღეა, გიცდი, როდის შემოიხედავს-მეთქი. მაგარი ხარ. სნაიტისგან ასე წამოსვლა პატარა ამბავია?!

– შენ რაღატომ გამომყევი კუდში? ხომ იცი, ჩამოქვეითება შენისთანა კაცისთვის...

– არ დამიწყო ახლა! ჩამოქვეითებაა თუ დაწინაურება ეგ ჯერ კიდევ საკითხავია... რორკის პირველი სახლის შენებას კი ნაღდად ვერ გამოვაკლდებოდი, ალალად!

ჰაუარდმა ხელი გაუწოდა და იმანაც ისე მაგრად ჩამოართვა თავისი დაშაშრული თითებით, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, რასაც სიტყვით თავს ვერ აბამდა. მერე, იმის შიშით, მართლა არ დავფქვა ყველაფერიო, ჩაიბუზღუნასავით:

– მიდი, მიდი, ამისთანა შანსი ყოველთვის კი არ ეძლევა კაცს!

რორკმა სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული დაიარა. ზოგჯერ სრულიად სხვანაირი ხდებოდა ხოლმე სხარტად ლაპარაკობდა, ჩამოქნილად ამბობდა სათქმელს და არც ახსნა-განმარტებებს ამადლიდა ვინმეს; თან ისე განიხილავდა რაღაც კონკრეტულ სამშენებლო პრობლემას, თითქოს აბსტრაქტული მათემატიკური ფორმულა ყოფილიყოს და სახეზევე ეტყობოდა, ამ დროს თუჯის მილებისა თუ რკინის მოქლონების მეტი მისთვის არც არაფერი არსებობდა ქვეყანაზე.

ხანდახან ისეც ხდებოდა, რაღაც შინაგანი ძალა უბიძგებდა, გაჩერდებოდა და რკინის კარკასს მიაშტერდებოდა, თითქოს საკუთარ სხეულს ადარებდა თავისსავე ნამოქმედარს; მერე გამოერკვეოდა და ახლა ხელით ეხებოდა, თითქოს სიმტკიცეს უმოწმებდა შვერილებსა და კოჭებს, თითქოს ეფერებოდა კიდეც... მუშებმაც კი შეამჩნიეს ეს მისი უცნაურობანი და ერთმანეთში იტყოდნენ ხოლმე ეს კაცი მართლა შეყვარებულია თავის საქმეზე, ხელებსაც კი ვერ აჩერებსო...

მშენებლებს გულით მოსწონდათ რორკი; აი, სამშენებლო ფირმების ინჟინრები კი დასანახად ვერ იტანდნენ. თავიდანვე გაუჩნდა პრობლემა, ვინ მიიღებდა სამშენებლო შეკვეთას ზოგი რას გაიძახოდა და ზოგი რას: ასეთ რამეს ჩვენ ვერ გავაკეთებთ... არა-ა, ძალიან რთული საქმეა, სამაგისოდ... ამისთანა სახლში ვინმე იცხოვრებს?! აშენებულს რომ ნახავს, იქნებადა, აქეთ მოგვდოს შარი... არა-ა, არ გამოვა, და ა შ. ერთმა ისიც კი განუცხადა შანსი არაა, ეგ ნაგებობა კლდეზე ვერ გაჩერდებაო. "გაჩერდება. – მიუგო რორკმა. „ჰოო?! და შენ თვითონ ვინ მყავხარ, ასე სიტყვაზე რომ გენდო?”

ბოლოს და ბოლოს ერთი პატარა კომპანია გამოძებნა, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა შეკვეთა, მაგრამ იმანაც კი ფული წინასწარ მოითხოვა ასეო, ისეო, მაინც ექსპერიმენტული პროექტია და ხომ იცით,

მკითხველთა ლიგა

ეშმაკს არ სძინავსო... მოკლედ, მშენებლობა მაინც დაიწყო და ათისთავებიც უხმოდ ემორჩილებოდნენ, ოღონდ ენთუზიაზმი კი არც ერთს არ ეტყობოდა სახეზე.

რორკმა ერთი ძველი, დაფეხვილი "ფორდი" შეიძინა და კაცმა რომ თქვას, საჭიროზე ხშირადაც კი ჩადიოდა ხოლმე მშენებლობის დასახედად აბა, მხოლოდ სახაზავ დაფასთან რა გააჩერებდა; ზოგჯერ ისეთი გრძნობაც კი მოერეოდა ხოლშე აი, ახლა ხელსაწყრო-იარაღებს დავავლებ ხელს, წავალ და მუშებთან ერთად, ჩემი ხელით ავაშენებ იმ სახლსო.

იქ მისული ახლად ამოყვანილ კედლებს შორის მიმოდიოდა ხოლმე, ფრთხილად აბიჯებდა მეთლახის ფილებსა და მავთულის გორგლებს, რაღაცას ინიშნავდა, მერე მოკლედ და მშრალად გასცემდა მითითებებს. ცდილობდა, მაიკისკენ არ გაჰქცეოდა თვალი, ის კიდევ სულ კუდში დასდევდა და ერთხელ სიტყვაც გადაუკრა:

– კარგი ახლა, წითურო! ასეც არ შეიძლება რა წესია, ჩვენს დროში კაცი შენსავით გაბადრული დაიარებოდეს...

ამჯერად რორკი კლდის ქიმზე იდგა და არემარეს გადაჰყურებდა; სანაპიროს გასწვრივ გზის რუხი სერპანტინი მიიკლაკნებოდა, ზედ კი ფერად-ფერად სვიტერებში გამოწყობილი, ყელზე ჭრელშარფებმოხვეული ხალხით სავსე მანქანა მოძრაობდა მსუქანი ხოჭოსავით.აშკარად საპიკნიკოდ გამოსულიყვნენ ერთ მათგანს კიდევ სომბრერო ჩამოეფხატა თავზე, ხელში უკულელე მოემარჯვებინა და ბოლო ხმაზე მღეროდა.მთელი კვირის ნაშრომი ეს ხალხი აშკარად შეჰხაროდა ცხოვრებას და ახლა გართობისთვის გადაედოთ დღევანდელი დღე. სინამდვილეში მათი ცხოვრების მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო.

მანქანას თვალი გააყოლა. გაიფიქრა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ამ ხალხისა და დროის მისეულ აღქმას შორის; უნდოდა, ხელი ჩაევლო, გაეაზრებინა ეს განსხვავება, მაგრამ უცებ სატვირთო დაინახა, ღმუილ-ღმუილით რომ მოუყვებოდა აღმართს, გრანიტის თლილი ფილებით დატვირთული, და სხვა ყველაფერი გადაავიწყდა.

• • •

ოსტინ ჰელერიც ხშირად დადიოდა მშენებლობის დასახედად და მუდამ რაღაც გაკვირვებული გამომეტყველება ედო სახეზე ხან ამოყვანილ კედლებს შეხედავდა, ხან რორკს, თითქოს ტყუპების ერთმანეთისგან გარჩევას ცდილობსო. თავად ჰელერი ყოველგვარი ძალდატანების მტერი იყო და ახლა რორკის ქცევა საგონებელში აგდებდა: იმდენად შეუვალი იყო ნებისმიერი იძულებისადმი, თავადვე იქცა იძულების განსახიერებად, თავისებურ ულტიმატუმად ბევრი იმგვარი რამის მიმართ, რისთვის სახელის დარქმევას ჰელერი ვერც ახერხებდა. ერთ კვირაში დარწმუნდა, ცხოვრებაში უკეთეს მეგობარს ვერასოდეს იპოვიდა და იმასაც მიხედა მეგობრობის საფუძველი რორკის სრული გულგრილობა იყო. რორკის არსებობის სიღრმისეულ შრეებში ჰელერი საერთოდ არ მოიაზრებოდა. არც მისი აუცილებლობა ჩანდა, არც მისთვის რაიმეს თხოვნის თუ მოთხოვნის საჭიროება. ჰელერიც გრძნობდა, მათ შორის თითქოს უხილავი ხაზი იყო გავლებული და მას ვერასდროს გადააბიჯებდა; ხაზს იქით დარჩენილი რორკი არაფერს სთხოვდა და არც არაფერს ჰპირდებოდა, მაგრამ როგორც კი მოწონებით შეხედავდა, ერთს გაუღიმებდა

მკითხველთა ლიგა

ანდა რომელიმე სტატიას შეუქებდა ჰელერს უცნაურად მშვიდი სიხარული ეუფლებოდა, ღირსეულისგან აღიარების სასიამოვნო განცდა,რასაც ვერც მლიქვნელობას დაარქმევდი და ვერც მოწყალებას.

საღამოობით შუა გორაკზე ამორჩეულ ერთ ბექობზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და იქამდე საუბრობდნენ, ვიდრე კლდის წვერზე წამომართული, მზეზე აბრჭყვიალებული კარკასი ნელ-ნელა მთლიანად არ ჩაიძირებოდა ბინდში.

- შენი აზრით, მაინც რა მომწონს ყველაზე მეტად ამ სახლში, ჰაუარდ? – ჰკითხა ერთხელაც ჰელერმა.

– სახლიც, როგორც პიროვნება, შეიძლება მართალი და პატიოსანი იყოს, – უპასუხა რორკმა, – ისევე იშვიათად, მაგრამ მაინც...

– რას გულისხმობ?

– აი, შეხედეთ. აქ ნებისმიერი დეტალი იმიტომაა, რომ სახლს სჭირდება – სხვა მიზანი არ არსებობს. გარედანაც ის ჩანს, რაც შიგნიდანაა. გარეგანი ფორმები მხოლოდ შიდა საცხოვრებელი ოთახების სიმყუდროვითაა ნაკარნახევი. ყველა პროპორცია სწორედ შიდა სივრცის განაწილებამ განაპირობა. თუ რამე ორნამენტი გამოვიყენე, ისიც იმიტომ, აგების მეთოდმა რომ მოითხოვა, იმ პრინციპის ხაზგასმამ, რამაც მთელი ნაგებობა უნდა "დაიჭიროს". ყველა ბიჯგი, თითოეული საყრდენი ამ ამოცანას ემსახურება. როცა სახლს უყურებ, თითქოს მშენებლობის მთელ პროცესს ნაბიჯ-ნაბიჯ ხედავ, საძირკვლის ჩაყრიდან – გადახურვამდე და ყველაფრის კანონზომიერებაშიც რწმუნდები. არადა, უამრავი ისეთი ნაგებობაც გვინახავს, სადაც სვეტები არაფერს აკავებენ, ვერ მიხვდები, რა დანიშნულებას ასრულებენ კარნიზები, ბურჯები, ჩუქურთმები, ფსევდოთაღები, ბრმა ფანჯრები... ზოგი შენობა გარედან ისე გამოიყურება, თითქოს მარტო ერთი დიდი დარბაზისგან შედგება მასიური სვეტები "ამშვენებს" და ორმეტრიანი ფანჯრები... არადა, შეხვალ და შიგნით ექვსი სართული დაგხვდება. ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება, მართლა ერთი უშველებელი დარბაზია, არადა, ფასადი სართულებადაა დაყოფილი, უაზრო სარტყლებით და უფუნქციო ფანჯრების წყებით. ხვდებით განსხვავებას? თქვენი სახლი მისივე მოთხოვნილებების კარნახითაა აშენებული, ის სხვები შთაბეჭდილების მოხდენის ჟინით. თქვენსას საკუთარივე განმსაზღვრელი მოტივი აქვს, იმათ აგებას კი საფუძვლად მნახველის გემოვნებაზე თამაში უდევს.

– იცი, შინაგანად მეც ზუსტად იმავეს ვგრძნობდი. ასე მგონია, დავბინავდები ამ ახალ სახლში და ჩემთვის ახლებური არსებობა დაიწყება: თითქოს ყოველდღიური შეჩვეული ყოფაც რაღაც ისეთ გულწრფელობას და ღირსებას შეიძენს, სახელიც რომ ვერ დამირქმევია. ნუ გაგიკვირდება,თუ გეტყვი, მინდა ვეცადო და ამ სახლის ღირსი გავხდე-მეთქი.

– მეც ეგ მიზანი მქონდა სწორედ, – თქვა რორკმა.

– და, სხვათა შორის, იმისთვისაც დიდი მადლობელი ვარ, ამდენი რომ იფიქრე, მყუდროდ და მოხერხებულად როგორ მეგრძნო თავი. ახლა უკვე ბევრ ისეთ რამეს ვამჩნევ, რაზეც ადრე საერთოდ არც მიფიქრია... შენ კი ყველაფერი ისე გათვალე, ვითომ ჩემს გულში იჯექი. აი, მაგალითად, სწორედ ასეთი კაბინეტი მჭირდებოდა, ადგილიც ზუსტად გაქვს შერჩეული და ზომაც მაგდენს მეც ვხვდები. ბიბლიოთეკასაც ბუნებრივად უკავშირდება და ვერც ხმაური შეგაწუხებს მისაღები ან სტუმრების ოთახებიდან... მოკლედ, ყველაფერი გათვალისწინებულია. მადლობის მეტი რა მეთქმის...

მკითხველთა ლიგა

– იცით, თქვენზე საერთოდ არ მიფიქრია, – გამოტყდა რორკი, – მარტო სახლი მახსოვდა. ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე დაამატა ეტყობა, ამან მიმახვედრა, თქვენდამი ყურადღება როგორ გამომეჩინა.

• • •

ჰელერის სახლის მშენებლობა 1926 წლის ნოემბერში დასრულდა. 1927 წლის იანვარში "არქიტექტურის მაცნემ" ბოლო ერთ წელიწადში აშენებული საუკეთესო ამერიკული ნაგებობების სია გამოაქვეყნა. სრული თორმეტი, პრიალა გვერდი ეთმობოდა იმ ოცდაოთხი შენობის ფოტოებს, რომლებიც რედაქციამ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ მიღწევებად შეაფასა. ჰელერის სახლი ნახსენებიც არ იყო.

ნიუ-იორკის გაზეთების კერძო საკუთრების რუბრიკებიც ყოველ კვირას ბეჭდავდნენ ქალაქის შემოგარენში გაჩენილი ახალ-ახალი კარმიდამოების მოკლე მიმოხილვას. ჰელერის სახლი ვერც ამ ჩამონათვალში მოხვდა.

"ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" ყოველწლიური გამოცემაც „მომავლის ხედვა" – მის მიერ ქვეყნის მასშტაბით შერჩეული საუკეთესო არქიტექტურული ქმნილებების რეპროდუქციებს აქვეყნებდა და ჰელერის სახლი მისი ყურადღების მიღმაც დარჩა.

ამ დროის მანძილზე არაერთი შეხვედრა თუ კონფერენცია მიეძღვნა ამერიკული ხუროთმოძღვრების განვითარების საკითხებს.მაგრამ არც ერთ გამოსვლელს საჯაროდ სიტყვაც არ დასცდენია ჰელერის სახლზე.

აი, „არქიტექტორთა გილდიის" კლუბში კი მოსაზრებების გამოთქმას არ ერიდებოდნენ.

– ქვეყნის შეურაცხყოფაა, – ბობოქრობდა რელსტონ ჰოლქომბი,_ როცა ამ ჰელერის სახლისნაირი სიმახინჯის აშენებას არავინ კრძალავს.საერთოდ, ჩვენი პროფესიის აბუჩად აგდებაა. რაღაც კანონია მისაღები.

– აი, რა გვიფრთხობს დამკვეთებს, – ამბობდა ჯონ ერიკ სნაიტი,_ ნახავენ ეგეთ სახლს და მერე ყველა არქიტექტორი გადარეული ჰგონიათ.

– არ მესმის, რატომ ღელავთ?! – კოლეგების დამშვიდებას ცდილობდა გორდონ ლ. რესკოტი, – მე მგონი, ძალიანაც სასაცილოა, წყალსაქაჩზე ჩადგმულ ჯვარს ჰგავს, ან უფრო აეროპლანის კარიკატურას.

– ერთი-ორი წელი მოიცადეთ, – წინასწარმეტყველებდა იუჯინ პეტინგილი, – და ნახავთ, რაც მოხდება: ბანქოს ხუხულასავით დაიშლება.

– რა წლებზეა ლაპარაკი? – ქილიკობდა გაი ფრენკონი, – ეს მოდერნისტი ვაჟბატონები, დიდი-დიდი, ერთი სეზონი ძლებენ ხოლმე. მალე საკუთარი სახლი პატრონსაც მობეზრდება და ისევ ძველი, მამაპაპური კოლონიური შენობა მოენატრება.

არადა, უახლოეს სამეზობლოში ჰელერის სახლმა მალევე გაითქვა სახელი: ხალხი საგანგებოდ აჩერებდა მანქანებს. გადმოდიოდნენ, ნაგებობას ათვალიერებდნენ და ძალიანაც ხალისობდნენ. ჰელერის მანქანის დანახვაზე ბენზინგასამართი სადგურის ბიჭები დამცინავად ქირქილებდნენ, მისი მზარეული კი იმ ირონიულმა მზერებმა გატანჯა, საყიდლებზე ქალაქში ჩასულს რომ ერთთავად თან სდევდა. ისიც ითქვას, მთელ ამ არემარეში ჰელერის სახლს "გიჟის თავშესაფრად" იხსენიებდნენ.

პიტერ კიტინგის ყურამდეც აღწევდა კოლეგების ნაჭორავები და შემრიგებლური ტონით მოძღვრავდა ხოლმე: "კარგით ახლა, ზედმეტი მოგდით... ჰაუარდ რორკს ჯერ კიდევ როდიდან ვიცნობ, ერთი ხანი ჩემთანაც მუშაობდა. ნიჭი აქვს, ნამდვილად. ეტყობა, ამ სახლზე ჭკუა

მკითხველთა ლიგა

გადაეკეტა ხდება ხოლმე. ისწავლის, ახალგაზრდაა ჯერ... რაო, ვერ ისწავლის? გგონიათ, არც ჭკუა ეყოფა და არც ნიჭი?..”

ელზუერთ მ. თუის, რომლის დალოცვისა თუ შერისხვის გარეშე ორი ქვა არ იდებოდა ერთმანეთზე მთელ შეერთებულ შტატებში, ჰელერის სახლის მშენებლობის თაობაზე სიტყვა არ დასცდენია არ თვლიდა საჭიროდ და იმიტომ.

12

"ნიუ-იორკ ბანერის” პირველსავე გვერდზე ყოველდღიურად იბეჭდებოდა ალვა სკარეტის რუბრიკა სახელწოდებით "მიმოხილვა და დასკვნები”. ამ მიმოხილვას დიდი გავლენა ჰქონდა და პატარ-პატარა ქალაქებში საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლადაც მიიჩნეოდა. წლების წინ სწორედ აქ დაიბეჭდა სახელგავარდნილი გამოთქმა: "ბევრად უკეთესად ვიგრძნობდით თავს, ჩვენი ტექნოკრატიული ცივილიზაციის უამრავი ფუჭი შეგონება რომ დაგვევიწყებინა და გაგვხსენებოდა ის, რაც ბარბაროსებმაც კი იცოდნენ ჩვენამდე: პატივი ეც დედასა შენსა!”

ალვა სკარეტი უცოლო იყო, ორი მილიონის მოხვეჭა მოესწრო უკვე, საუკეთესოდ თამაშობდა გოლფს და უაინენდის გამომცემლობის მთავარი რედაქტორობისთვისაც მიეღწია. სწორედ ეგ ალვა იყო, ქალაქის ძველ უბნებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და "სახლების მესაკუთრე ზვიგენთა”" წინააღმდეგ კამპანია რომ წამოიწყო. მთელი სამი კვირა "ბანერის" მთავარ თემად ეს მიდიოდა. ამგვარი რამეები სკარეტს კარგად ეხერხებოდა ადამიანურ და სოციალურ ჭრილში განიხილავდა მათ და ხიდებიდან მდინარეში გადამხტარი, კაბააფრიალებული გოგონების ფოტოებით "კაზმავდა” ხოლმე. ეს ერთდროულად ტირაჟსაც ზრდიდა და ისტ-რივერის სანაპიროს მიმდებარე სახლების მფლობელ ზემოხსენებულ ზვიგენებსაც ხასიათს უფუჭებდა. საქმე ის იყო, რომ მესაკუთრეები უარს იყვნენ, რომელიღაც ფირმისთვის მიეყიდათ საკუთარი ქონება; სკარეტის წამოწყებული საგაზეთო კამპანიის მერე
კი მაინც დათანხმდნენ. ახლა ვერც ვერავინ დაამტკიცებდა, რომ უძრავი ქონებით მოვაჭრე ის ფირმა, სინამდვილეში, გეილ უაინენდის კომპანიას ეკუთვნოდა.

საერთოდ, უაინენდის სტრატეგია ამგვარი კამპანიის გარეშე ვერ ძლებდა და ახლა თანამედროვე ავიაციის საკითხებზე ბეჭდავდა სერიებს. მაგალითად, საოჯახო ჟურნალის კვირის დამატება ლეონარდო და ვინჩის ჩანახატებისა და თანამედროვე ბომბდამშენების ფოტოებით იყო გაფორმებული, ალმოდებული იკაროსის შიშველ სხეულზე რომ არაფერი ვთქვათ; ასევე, XI საუკუნის მავანი წინასწარმეტყველის ცეცხლოვანი თვალებითა და ბროლის ბურთით ხელში, რომელსაც უთქვამს_ და გეტყვით თქვენ, ძე კაცისა დასტურ იფრენსო... ვამპირების, ღამურებისა და მაქციების ნახატებს ხომ თვლა არ ჰქონდა.

მერე საფრენი აპარატების მოდელების კონკურსიც კი მოაწყვეს და „ბანერის“ხელმომწერ 10-12 წლის ნებისმიერ ბიჭუნას შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება; თავად გეილ უაინენდი კიდევ, რომელიც თავის ლიცენზიას ყოველწლიურად აახლებდა, მარტო გადაფრინდა ლოს-ანჯელესიდან ნიუ-იორკში, თან სიჩქარის ტრანსკონტინენტური რეკორდიც მოხსნა და არც გასაკვირი იყო, რადგან სპეციალურად მისთვისა და სწორედ ამ შემთხვევისთვის თვითმფრინავის აწყობა, არც მეტი, არც ნაკლები 100,000 დოლარი დაჯდა. მხოლოდ ეს იყო, პატარა

მკითხველთა ლიგა

შეცდომა
მოუვიდა და აეროდრომის მაგივრად სადღაც საძოვრებზე მოუწია მეტად სახიფათო, თუმც კი უზადოდ ოსტატური დაშვება, და როგორღაც ისე მოხდა, რომ ახლომახლო სწორედ "ბანერის" ფოტორეპორტიორებს მოეყარათ თავი. გეილ უაინენდი თვითმფრინავიდან ჩამოხტა. მსგავსი თავგადასავალი გამოცდილ მფრინავსაც კი წაუხდენდა ნირს, ის კი, ვითომც არაფერი, ფოტოაპარატების წინ მოღიმარი და ხელაწეული იდგა, მფრინავის ქურთუკის საყელოზე მშვენიერი გარდენია დაემაგრებინა და თითებსშუა მომწყვდეული სიგარეტი ოდნავაც არ უთრთოდა. როცა ჰკითხეს, მიწაზე მშვიდობით დაბრუნებული, პირველ რიგში, რას ისურვებდითო, დამსწრე ქალბატონთაგან ულამაზესის კოცნასო, უპასუხა, მერე ხალხში ვიღაც ჩამოძონძილი, ბებერი ალქაჯი გამოარჩია, შუბლზე საქმიანად ეამბორა და დედაჩემს მაგონებთო უთხრა...

მოგვიანებით, როცა უკვე ისტ-რივერის ჯურღმულების ბინადართა დახმარების კამპანიის დაწყება ოფიციალურად გამოცხადდა, ალვა სკარეტი იხმო, აბა, შენ იცი, რა სარგებელს ნახავ ამ საქმიდანო, დაუბარა და საკუთარი იახტით დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ გაემართა იმ მომაჯადოებელ, ოცდაოთხი წლის ავიატორ ქალბატონთან ერთად, რომელსაც მანამდე თავისი ტრანსკონტინენტური თვითმფრინავი უსაჩუქრა.

ალვა სკარეტმაც სახელოები დაიკაპიწა კამპანიის ფარგლებში გათვალისწინებულ სხვა ნაბიჯებთან ერთად, დომინიკ ფრენკონს ჯურღმულების საყოფაცხოვრებო პირობების უშუალოდ გაცნობა და მობინადრეებთან გასაუბრება დაავალა. დომინიკი ახალი დაბრუნებული იყო ბიარიციდან; ყოველ ზაფხულს შვებულების სრული ვადით ბოლომდე სარგებლობდა ხოლმე და ალვა სკარეტიც კარგა ხნის შეგუებული იყო ამ ამბავს ჯერ ერთი, გამორჩეულ თანამშრომლად მიაჩნდა, მეორეც, ამ ქალის საერთოდ ვერაფერი გაეგო, და ბოლოს მშვენივრად იცოდა, ეს გამორჩეული და ამოუხსნელი თანამშრომელი მაშინვე უყოყმანოდ მიატოვებდა სამსახურს, როცა კი მოეპრიანებოდა.

დომინიკი ორი კვირით საცხოვრებლად იაფფასიან ბინაში გადავიდა ისტ-საიდის რომელიღაც მრავალსართულიან სახლში. უფანჯრებო ბინა ბოლო, მეხუთე სართულზე იყო, შუქი შემინული ჭერიდან აღწევდა და წყალიც არ მოდიოდა. საჭმელს საკუთარი ხელით იმზადებდა ქვედა სართულზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახის საერთო სამზარეულოში; მეზობლებს სტუმრობდა, საღამოობით იმათთან ერთად იჯდა ხოლმე სახლის წინ და რამდენიმე გოგოსაც დაუახლოვდა, ერთი-ორჯერ კინოშიც დაპატიჟა.

ძველი, შელახული ქვედაკაბები და ბლუზები ეცვა. ამ ახალ გარემოში მის არაბუნებრივ სიგამხდრეს კაცი მხოლოდ სიღატაკით და უჭმელობით თუ ახსნიდა. მეზობლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ ჭლექიანია ეს საცოდავიო. თუმცა, აქაც ზუსტად ისევე დაიარებოდა, როგორც კიკი ჰოლქომბის სამეჯლისო დარბაზში გოროზი სიამაყითა და თავდაჯერებით. თვითონ ხეხავდა ოთახის იატაკს, კარტოფილს ფცქვნიდა, რკინის კასრში ცივი წყლით ბანაობდა. მსგავსი ადრე არაფერი გაეკეთებინა, არადა, ვერც შეატყობდი, თითქოს მთელი ცხოვრება სწორედ ასე ჰქონდა გატარებული. მოქმედება სწყუროდა და გარეგნული სისუსტის მიუხედავად, ძალაც ერჩოდა. მშვენივრად შეეგუა და მოერგო ახალ პირობებს; არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ჯურღმულში გადაისვრიდა ბედი თუ სამეჯლისო დარბაზში.

ორი კვირის შემდეგ ისევ საკუთარ აპარტამენტებს დაუბრუნდა

მკითხველთა ლიგა

სენთრალ პარკის შორიახლოს მდებარე სასტუმროს პენტჰაუზში და მალე "ბანერში" თავისი ალალი და დაუნდობელი წერილების ბეჭდვაც დაიწყო ჯურღმულების ცხოვრების თაობაზე.

ერთ-ერთ წვეულებაზე, გაზეთში წაკითხულით გაოგნებული სტუმრები კითხვას კითხვაზე აყრიდნენ ძვირფასო, ეს მართლა თქვენ დაწერეთ? მართლა ასეა საქმე? დომინიკ, ნამდვილად იქ ცხოვრობდი მთელი ორი კვირა?! "დიახ, რა თქმა უნდა, – პასუხობდა ისიც, – "სხვათაშორის, მისის პალმერ, თქვენს კუთვნილ სახლში, მეთორმეტე ქუჩაზე, საკანალიზაციო კოლექტორი ყოველ მეორე დღეს იჭედება და ეზოც მთლიანად იტბორება გადმოღვრილი სიბინძურით. მზეზე ყველაფერი ლურჯად და ალისფრად ბზინავს, ცისარტყელასავით." თან იღიმებოდა და ხელზე ზურმუხტის სამაჯურს იბზრიალებდა, მეტისმეტად ფართოს და მძიმეს მისი სუსტი მაჯისთვის. "თქვენს უბანში კი, მისტერ ბრუკს, უნდა ნახოთ, რა ლამაზად წვეთავს ყველა ბინის ჭერიდან..."

მერე სოციალური სამსახურების წარმომადგენელთა რაღაც შეკრებაზე სიტყვით გამოსვლაც სთხოვეს. მნიშვნელოვანი თავყრილობა იყო,რადიკალური განწყობილებების მატარებელი და ამ სფეროში გავლენიანი ქალბატონების დაგეგმილი. ალვა სკარეტს ეს ამბავი ეამა და გზაც დაულოცა: "აუცილებლად უნდა მიხვიდე, შენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ? მიდი და შენებურად გადარიე, სოციალური სამსახურები ახლა ძალიან გვჭირდება." არარადიოფიცირებულ დარბაზში ტრიბუნაზე იდგა და საკუთარი მნიშვნელობის განცდით გაზულუქებული სახეების ერთფეროვან კედელს შესცქეროდა. მოზომილი, თანაბარი ხმით ლაპარაკობდა და მეტად უცნაურ რამეებს: "პირველ სართულზე მცხოვრები ერთი ოჯახი ჯიუტად უარს ამბობს ბინის ქირის გადახდაზე და ბავშვებსაც არ უშვებს
სკოლაში, ჩაუცმელობის მომიზეზებით. მამას ღია კრედიტი აქვს გახსნილი იქვე, კუთხის მაღაზიაში. თვითონ საკმაოდ ჯანმრთელი კაცია და კარგ ადგილზეც მსახურობს... ცოლ-ქმარმა მეორე სართულიდან ახლახან ნაღდი ფული გადაიხადა და რადიო შეიძინა სამოცდაცხრა დოლარად და ოთხმოცდათხუთმეტ ცენტად. მეოთხე სართულზე ოჯახის მამას ცხოვრებაში ერთი სრული დღე არ უმუშავია და ამის არც არანაირი სურვილი არ გასჩენია. ცხრა შვილი ჰყავთ და ადგილობრივი მრევლის კმაყოფაზე არიან, არადა, მეათეს ელოდებიან..." როცა სიტყვა დაამთავრა, რამდენიმე კანტიკუნტი, ბრაზიანი ტაში გაისმა. ხელი ასწია და ხაზგასმით თავაზიანად მიმართა დარბაზს: "არ არის საჭირო. ტაშს არ ველოდები თქვენგან. კითხვები თუ გაქვთ ვინმეს?" კითხვა არავის დაუსვამს.

სასტუმროში დაბრუნებულს იქ ალვა სკარეტი დაუხვდა. პენტჰაუზის სალონში თვალში საცემად შეუსაბამოდ გამოიყურებოდა, ზონზროხი და მოუხეშავი, წკიპად იჯდა კოხტა სკამზე, ხორციან, დაზეთილ სახეს უშნოდ უპრიალებდა მთლიანი შუშის კედლიდან შემოჭრილი ღამის ქალაქის სინათლეები. თვითონ ქალაქი ფრესკას ჰგავდა, რომელსაც თითქოს ეს ოთახი უნდა გაენათებინა და დაებოლოებინა: მაღალი შენობების მყიფე ხაზები შავი ცის ფონზე ავეჯის მყიფე ხაზებს აბოლოებდნენ; შორეულ ფანჯრებში მოციმციმე სინათლეები შიშველ, პრიალა იატაკზე ირეკლე-ბოდა; შენობების კუთხოვანი ფორმების ცივი სიზუსტე კარგად პასუხობდა ოთახის ყველა საგნის ცივ, მკაცრ სინატიფეს. ჰარმონიას მხოლოდ ალვა სკარეტი არღვევდა: ის ერთსა და იმავე დროს სოფლის გულკეთილ ექიმსაც წააგავდა და ბანქოს მატყუარა მოთამაშესაც. განიერ სიფათზე ალალი, მამობრივი ღიმილი გადაჰფენოდა მისი მუდმივი, უტყუარი იარაღი და საფირმო ნიშანი. იშვიათი წარმატებით ახერხებდა, ამ

მკითხველთა ლიგა

კეთილი ღიმილით სწორედაც რომ ხაზი გაესვა, და არა დაეკნინებინა, საკუთარი
ღირსება და მნიშვნელობა; აი, ეს გრძელი, თხელი, კაუჭა ცხვირი, მართალია, სიკეთეს ვერ ეხამებოდა, მაგრამ ღირსებას კი მატებდა; რაც შეეხება ლამის მუხლებამდე ჩამოვარდნილ ფაშვს ღირსებისთვის ვერაფერი შეღავათი იყო, თუმცა მის კეთილ ბუნებას არანაირად არ უშლიდა ხელს.

წამოდგა, სახე გაუნათდა და დომინიკის თითები თავისაში მოიქცია.

– სწორედ ახლა გავიფიქრე, გზად შევივლი-მეთქი... რაღაც მინდა გითხრა. ისე, როგორ ჩაიარა?

– როგორც მოველოდი.

ქუდი მოიხადა და უახლოეს სკამზე მოისროლა. თმები მხრებამდე ჩამოეშალა და სინათლეზე ლითონისფრად უბრწყინავდა. ფანჯარასთან მივიდა, ერთხანს ქალაქს გაჰყურებდა, მერე თავმოუბრუნებლად ჩაეკითხა: "რისი თქმა გინდოდა?"

ალვა სკარეტი ისე შესცქეროდა, როგორც მშიერი კატა ფინჯან ნაღებს; იმედი კი არაფრისა ჰქონდა მხოლოდ ხანდახან თუ მოუთათუნებდა მხარზე ხელს, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა ჩასძახოდა ხოლმე: ვინ იცის, ვინ იცის...

– კარგი ამბები მაქვს შენთვის, – თქვა მშვიდად, – რაღაც ჩავიფიქრე: პატარა რეორგანიზაცია მინდა ჩავატარო ჩვენთან, ქალთა სოცუზ-რუნველყოფის განყოფილებაში და ერთ ხელმძღვანელს ჩავაბარო.შენზე უკეთეს კანდიდატურას კი სად ვიპოვი...

– გინდა, სავარძელში მე ჩამსვა?

– და სხვა არავინ. გეილი დაბრუნდება თუ არა, შენს დანიშვნაზე მოვაწერინებ ხელს.

ქალი მოტრიალდა, გულხელდაკრეფილი.

– გმადლობ, ალვა. მაგრამ არ ღირს.

– დაიცა, მაგით რისი თქმა გსურს?

– იმის თქმა მსურს, რომ უარს ვამბობ.

– აზრზე თუ ხარ, რაზე ამბობ უარს?

– მაინც?

– საკუთარ კარიერაზე!

– მერე ვინ გითხრა, რომ კარიერის გაკეთებას ვაპირებ?

– აბა, მთელი ცხოვრება იმ რაღაც ერთ სვეტს ხომ არ გადაჰყვები!

– მთელი ცხოვრება ალბათ არა. უბრალოდ, სანამ არ მომბეზრდება,

– რას ბავშვობ?! წარმოიდგინე ერთი, გეილს რეების გაკეთება შეუძლია, თუკი მის ყურადღებას მიიპყრობ!

– არავითარი სურვილი არა მაქვს, მისი ყურადღება მივიპყრო.

– მოიცა, დომინიკ, მართლა გვჭირდები... ამ საღამოს მერე ქალები სულ შენს მხარეს იქნებიან!

– არა მგონია.

– როგორ თუ არ გგონია! მთელი ორი სვეტი დავუკვეთე ამ შეხვედრის და შენი სიტყვის გასაშუქებლად!

დომინიკი ყურმილს დასწვდა და სკარეტს გაუწოდა.

– გირჩევნია, ახლავე გააუქმო შეკვეთა.

– რატომ ვითომ?

დომინიკმა მაგიდაზე დახვავებული თაბახის ქაღალდებიდან ერთი გამოაძვრინა.

– აი, ესაა ჩემი სათქმელი. წუხელ დავასრულე.

ალვამ ნაბეჭდს გადახედა. არაფერი უთქვამს, მარტო შუბლზე

მკითხველთა ლიგა

შემოირტყა ხელი. მერე ტელეფონით გადარეკა და ყურმილში ჩასძახა _ რაც შეიძლება, მოკლე მიმოხილვა გამიკეთეთ, სიტყვით გამომსვლელის სახელი კი საერთოდ არ ახსენოთო.

– ასე და ამგვარად, დათხოვილი ვარ? – დაეკითხა ქალი.

კაცმა თავი გადააქნია.

– ძალიან გინდა?

– არც ისე.

– საქმეს ჩავფარცხავ, – ჩაიბურდღუნა სკარეტმა, – გეილი მაინც ვერაფერს გაიგებს.

– როგორც გინდა. ეგ ჩემთვის სულ ერთია.

– ერთი ამას მაინც გკითხავ, დომინიკ რა ეშმაკად გჭირდება ხოლმე ასეთი გამოხდომები?

ქალმა მხრები აიჩეჩა: "ისე, უბრალოდ."

– მისმინე, კარგად ვიცი, იმ სადილზე რეებიც გილაპარაკია. ახლა რა, რადიკალთა შეკრებაზეც იგივე მოხდა?

– ორივე შემთხვევაში მართალი ვიყავი, ასე არაა?

– ბატონი ბრძანდები, ოღონდ არ უნდა იცოდე, სიმართლე სად თქვა და როდის?

– მაშინ რაღა აზრი ექნებოდა...

– და ახლა რა აზრი აქვს?

– არავითარი. უბრალოდ, ვიხალისე.

- შენი მაინც ვერაფერი გამიგია, დომინიკ. მშვენივრად აუდიხარ საქმეს, რაღაცას აღწევ და ბაც! სწორედ მაშინ, როცა ნაღდი წარმატების გზა გეხსნება... რა ძალა გადგას?

– არც არაფერი.

– მომისმინე მეგობრად გთვლი და არც მთლად გულგრილი რომ არა ვარ შენ მიმართ, ეგეც იცი... ახლა რას აპირებ?

– მეგონა, ეს ყველასთვის ცხადი იყო არაფერსაც არ ვაპირებ.

კაცმა უმწეოდ გაასავსავა ხელები, ქალს კი გაეცინა, ალალად.

- მაინც, რა გადარდებს? ძალიანაც მომწონხარ, ალვა, და არც მე ვარ მთლად გულგრილი... ხომ ხედავ, გულახდილად გელაპარაკები, მეტი რაღა გინდა? იჯექი მანდ და მოისვენე, მე კიდევ რამე დასალევს მოგიტან. ახლა მოგიხდება.

შეორთქლილი ჭიქა შემოუტანა, შიგ ყინულის ნატეხები წკარუნობდა და ოთახში გამეფებულ სიჩუმეს ეგღა არღვევდა. "რომ იცოდე, რა კარგი გოგო ხარ, დომინიკ," – უთხრა კაცმა.

– ვიცი, როგორ არ ვიცი...

მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა, ხელები უკან წაიღო და გაჭიმულ მკლავებს დაეყრდნო მთელი ტანით თან ჰაერში იქნევდა ფეხებს, ნელ-ნელა, ზარმაცად.

– არ დაგიმალავ, ალვა, საშინელება იქნებოდა, მართლა ჩემთვის მოსაწონი სამსახური რომ მქონდეს.

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ხუმრობ? მაგით რისი თქმა გინდა?

– რასაც ვამბობ. საშინელება იქნებოდა-მეთქი, თუკი სამსახურის დაკარგვის შემეშინდებოდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაშინ შენზე ვიქნებოდი დამოკიდებული შესანიშნავი პიროვნება ხარ, ალვა, მაგრამ არც იმდენად მაღელვებ, შენს ჭკუაზე ვიარო... არა, ნუ შემეკამათები, შეიძლება, სწორადაც მირჩევდე, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. მერე ჩვენს საერთო უფროსზე, გეილზეც გავხდებოდი დამოკიდებული ეჭვი არ მეპარება, დიდი ვინმეა, მაგრამ

მკითხველთა ლიგა

ეგრე თუ მოხდა, მირჩევნია, საერთოდ არც ვიცნობდე.
– საიდან ასეთი სულელური აზრები? ვითომ არ იცი, გეილიც და მეც შენთვის ყველაფერს გავაკეთებთ, პირადად მე რაც შემეხება...
– მარტო ეგ არაა, ალვა. პირადად შენით არ წყდება საქმე. ისეთ სამსახურს თუ ვიპოვი, ან პროექტს, ან იდეას, ან პიროვნებას, რომელიც ჩემთვის სასურველი იქნება მთელ სამყაროზე დამოკიდებულად ვიქცევი. ყველაფერი უხილავი ძაფებითაა ერთმანეთზე გადაბმული. ბადეში ვართ გაბლანდულები... აი, მაგალითად, რაღაც გინდა მთელი გულითა და სულით, მაგრამ იცი კი, ვინ გიპირებს, ის რაღაც ხელიდან გამოგგლიჯოს? არ შეიძლება იცოდე, იქნებ არც გინახავს არასდროს, იქნებ სულაც
სადღაც ცხრა მთას იქითაა, მაგრამ ვიღაც მაინც სულ მზადაა საამისოდ, და შენც სულ გეშინია, ვიღაცის, ვიღაცეების... ამიტომაც გიწევს, შენსას ჩაებღაუჭო, მუხლებზე იხოხო, ხვეწნა-მუდარა დაიწყო, ყველას გულის მოგება სცადო იქნებ დაგანებონ და არ წაგართვან შენთვის ძვირფასი ეს რაღაც. არადა, ვის გულს იგებ, ვის ეხვეწები, გიფიქრია?
– თუ სწორად გაგიგე, შენ მთელ კაცობრიობას ამხედრებიხარ და ეგაა.
– კარგი რა! საერთოდაც, რა უცნაური რამეა ეს ჩვენი წარმოდგენა „კაცობრიობაზე”. როცა მასზე ვლაპარაკობთ, თითოეულ ჩვენგანს რაღაც დიდებულის, მნიშვნელოვანის თუ სულაც დიადის საკუთარი ბუნდოვანი სურათი გვაქვს ხოლმე წარმოდგენილი. არადა, სინამდვილეში კაცობრიობაზე მხოლოდ იმ ხალხის მეშვეობით ვიგებთ რამეს, ვისაც ცხოვრების მანძილზე გადავეყრებით. ჰოდა, ერთი მაგათაც შეხედე ჩათვლიდი რომელიმეს დიდებულად ან დიადად? სასურსათოსთან რიგში მოყაყანე დიასახლისები, კედლებზე უწმაწური სიტყვების მჯღაბნელი ცხვირმოუხოცავი ლაწირაკები და გალეშილი უსაქმურები... ანდა, მათი ვითომ უფრო დახვეწილი ანალოგებიც ნახე! სხვათა შორის, ტანჯულ ადამიანს შეიძლება მართლა სცეს კაცმა პატივი ტანჯულებს გარკვეული ღირსება აქვთ. მაგრამ იმათ სახეებს თუ დაჰკვირვებიხარ, ვინც თავიანთი ჭკუით, "ერთობიან და
დროს ატარებენ”? აი, სად ჩანს ხოლმე სიმართლე. შეხედე, რაში ხარჯავენ ვიღაცეების მონობით ნაშოვნ ფულს... ნახე, როგორ ცხოვრობენ მდიდრები, ვისაც ეკუთვნით ეს ქვეყანა. დაფიქრებულხარ, რას ეძახიან დროსტარებას? სწორედ ესაა კაცობრიობა ზოგადად. გაკარებაც არ მინდა...
– კარგი რა! ეგრეც არ შეიძლება, მარტო ცუდის დანახვა... რაღაც კარგი ყველაზე უვარგის ადამიანშიც მოინახება. გამოსწორებაც არასოდეს არ არის გვიან, მონანიება...
– მით უარესი. როგორია კაცი რაღაც გმირულ ნაბიჯს გადადგამს და მერე იგებ, დაძაბულობის მოსახსნელად ვოდევილის საყურებლად არ წასულა?! ანდა, ვთქვათ, ვინმე "შემოქმედმა” ფერწერული შედევრი შექმნა და ამ დროს თურმე უკანასკნელ კახპებთან ატარებს ცხოვრებას სადღაც ბუნაგში.
– აბა, რა გინდა სრულყოფილება?
– ...ან არაფერი. ჰოდა, ამიტომაც არაფერს ვირჩევ.
– უაზრობაა.
– მე ერთადერთი ოცნება მაქვს, ერთადერთი, რასაც მართლა ვერავინ დაუშლის ადამიანს: თავისუფლება, ალვა, თავისუფლება.
– რას ეძახი შენ თავისუფლებას?!
– როცა არაფერს ითხოვ. როცა არაფერს ელი. როცა არაფერზე არა ხარ დამოკიდებული.

მკითხველთა ლიგა

– და თუ მართლა იპოვე ისეთი რამე, რაც გულით გენდომება?
– ვერ ვიპოვი. მირჩევნია, შორიდანაც არ მოვკრა თვალი. ისიც თქვენი პატარა, საყვარელი სამყაროს ნაწილი იქნება. და ყველა თქვენგანთან იმის განაწილება მომიწევს ეს კი არ მსურს. იცი, უკვე აღარასოდეს გადავშლი აღარც ერთ იმ დიდებულ წიგნს, ადრე რომ წამიკითხავს და მომწონებია. ძალიან მტკივნეულია იმის წარმოდგენა, იმავე სიტყვებს სხვა თვალებიც კითხულობდნენო. ვიცნობ იმ თვალებს. მსგავსი რამის განაწილება კი არ შეიძლება. მით უმეტეს, ამნაირ ადამიანებთან.
– დომინიკ, ნებისმიერ საკითხზე ასეთი გაშმაგებით ლაპარაკი არანორმალურია.
– მე ასე ვგრძნობ და ასე განვიცდი. არ შემიძლია სხვანაირად,
– დომინიკ, ძვირფასო, – ალვას ეტყობოდა, როგორ ღელავდა, – ნეტავი, მამაშენი ვიყო. მაინც, ამისთანა რა ტრაგედია გადაიტანე ბავშვობაში?
– რა სისულელეა! არანაირი! გადასარევი ბავშვობა მქონდა. თავისუფალი და თამამი ვიყავი, არავინ ზედმეტად არ მაწუხებდა. თუმცა, ვაღიარებ, ძალიან ხშირად ყველაფერი მბეზრდებოდა ხოლმე. მაგასაც მივეჩვიე
– მე მგონი, უბრალოდ, ჩვენი დროების უიღბლო ნაყოფი ხარ. სულ ამას ვამბობდი. ძალიან ცინიკურები გავხდით, დეპრესიულები. თუკი მთელი კაცობრიობა ისევ უმარტივეს ჭეშმარიტებებს დაუბრუნდება...
_ ალვა, მაგას სერიოზულად ამბობ?! ეგ ხომ მხოლოდ შენი მეწინავეების თემად გამოდგება და... – კაცის გამოხედვა შეამჩნია, გაჩუმდა; ალვა დაბნეული და ცოტათი ნაწყენი თვალებით შემოსცქეროდა. უცბად, დომინიკს სიცილი აუტყდა: "არა, მეშლება. შენ ეგ ყველაფერი მართლა გჯერა. ამიტომაც მიყვარხარ. ამიტომაც ვაგრძელებ ახლა იმას, რაც ამ საღამოს შეკრებაზე დავიწყე”.
– რას აგრძელებ? – ჩაეკითხა გაოგნებული ალვა.
– ამნაირ ლაპარაკს შენისთანა კაცთან. თუ იცი, რომ პრიმიტიული ტომები თავიანთ ღმერთებს მუდამ ადამიანებს ამსგავსებდნენ? წარმოიდგინე ერთი, შენი ქანდაკება რომ იდგეს შუა მოედანზე შიშველი, ღიპგადმოგდებული და...
– ამით რისი თქმა გინდა?
– არც არაფრის, საყვარელო. შემინდე. –- მერე მაინც დაამატა,- იცი, შიშველი მამაკაცების ქანდაკებები მიზიდავს. ქანდაკებები-მეთქი დაიხსომე... განსაკუთრებით ერთი ჰელიოსს გამოსახავდა. ძლივს წავგლიჯე ერთ პატარა მუზეუმს, ევროპაში... მგონი, მართლა ცოცხალი კაცივით მიყვარდა...
– მერე, სადაა? ერთი რაღაც მაინც ვნახო, რაც გიყვარს...
– დაიმსხვრა.
– როგორ მოახერხე?!
– ქვევით ბეტონის საძირკველია, იმას დავახეთქე.
– სულ გაგიჟდი?! რა დაგიშავა?
– არავის რომ აღარასოდეს ენახა.
– დომინიკ...
თავი ასწია, თმები უკან გადაიგდო, თითქოს ამით ფიქრი მოიცილა. მერე ესღა თქვა:
– შოკური თერაპია არც მომსვლია აზრად. მეგონა, ამგვარი რამ საერთოდ არ იმოქმედებდა შენზე.
მაგიდის კიდიდან ჩამოხტა, მსუბუქად.
– ახლა სახლში წადი, ალვა. გვიანია უკვე. მეც მეძინება. ხვალ შევხვდებით.

მკითხველთა ლიგა

• • •

გაი ფრენკონმა თავისი ქალიშვილის სტატიებს გადაავლო თვალი. ყურმოკვრით იცოდა, რაც დომინიკს იმ მიღებაზე და სოციალურ მუშაკთა შეკრებაზე ეთქვა. ნათქვამის ბევრი კი ვერაფერი გაიგო, მაგრამ არც მისი ამგვარი საქციელი გაჰკვირვებია. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, მართლა ხომ არ მეჯავრება საკუთარი ქალიშვილიო.

მაგრამ რამდენჯერაც ეს უსიამო აზრი გაუელვებდა თავში, იმდენი ის სურათი ახსენდებოდა დომინიკის ბავშვობის ხანიდან რომელიღაც ზაფხულის ერთი დღე კონექტიკუტში, საკუთარ კარ-მიდამოში. უფრო სწორად, არც თავად ის დღე ახსენდებოდა მთლიანად მხოლოდ ისღა ჩარჩენოდა გონებაში, პარმაღზე რომ იდგა და შვილს გაჰყურებდა, რომელიც ბუჩქების პატარა მესერს ახტებოდა. ერთი კი მოასწრო გაფიქრება ვერა, ვერ იზამსო და დაინახა კიდეც, როგორ გადაევლო ბავშვი მწვანე ზოლს. ოღონდ ნახტომის არც დასაწყისი ახსოვდა და არც ბოლო, მხოლოდ კნაჭა სხეული, გაშლილი ხორბლისფერი თმა, ზეაწეული წვრილი ხელები ცის ფონზე ეს გაყინული კადრიღა ჩაჰბეჭდოდა გონებაში, აღტკინებული თავისუფლების იმგვარი გამოხატულება, აღარასოდეს რომ აღარ შესწრებია სიცოცხლეში.

წარმოდგენა არ ჰქონდა, რაღა ეს სურათი შემორჩა მთელი ცხოვრება, როცა უამრავი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ უკვე გადავიწყებოდა კიდეც. იმასაც ვერ ხვდებოდა, რაღა ეს ახსენდებოდა ყოველთვის, როცა კი საკუთარ ქალიშვილზე მწარე ფიქრები მოეძალებოდა ხოლმე და ან რატომ ხდებოდა, მაშინვე რომ თითქოს სითბო ეღვრებოდა გულში... ხან მამობრივ ინსტინქტს აბრალებდა აქაოდა, უბრალოდ, მინდა დავეხმარო, დავიცვა, ოღონდ არ კი ვიცი, როგორ ან რისგანო.

კიტინგი ცოცხალი თავით არ გამოტყდებოდა, რომ დომინიკის ნახვა სურდა, უბრალოდ ვერ ახერხებდა. რა ხანია, ფრენკონს გამოართვა მისი ტელეფონის ნომერი და დაურეკა კიდეც რამდენჯერმე, ის კიდევ ყურმილში კისკისებდა, ეუბნებოდა, რომ თვითონაც ძალიან უნდოდა მასთან შეხვედრა, ოღონდ ეს რამდენიმე კვირა ძალზე დაკავებული იყო და იქნებ იმ თვის დასაწყისისთვის გადაედოთ?

გაი ფრენკონი ყველაფერს ხვდებოდა და ერთხელ ისიც შესთავაზა ჩემს ქალიშვილს ვახშამზე დავპატიჟებ, მერე შენც გაგაფრთხილებ და ასე შეგახვედრებ დომინიკსო... "უფრო სწორად," – დაამატა თან, – "შევეცდები, ვახშამზე დავითანხმო, ოღონდ დიდი იმედი კი ნუ გექნება" დომინიკმა კი ისევ გააკვირვა თავისი ცვალებადი ხასიათით და თავპატიჟი არც გაუდვია.

რესტორანში ისეთი სახით მიესალმა, თითქოს სულ ამ შეხვედრაზე ოცნებობდა. მხიარულად ლაპარაკობდა ათას რამეზე, სულ იღიმოდა და, ბოლოს და ბოლოს, კიტინგს თავში გაუელვა კიდეც, ნეტა, რას ვუფრთხოდიო. ერთი საათის მერე დომინიკი გაი ფრენკონს მიუბრუნდა:

– რა კარგია, დრო რომ გამონახე და აქ მომიყვანე, მამა! შენ სულ ისეთი დაკავებული ხარ...

გაის უცბად სახე მოეღუშა.

– ღმერთო დიდებულო! ეს რა გამახსენე!

– რა, ისევ რაღაც შეხვედრაზე იყავი წასასვლელი?

– დალახვროს ეშმაკმა, ეგრეა! ენდრიუ კოლსონმა დამირეკა ამ დილით და ჩანიშვნა დამავიწყდა... რვაზე მელოდება! დიდი ამბით კი დავპირდი, უეჭველად გეახლები-მეთქი. ახლა იმ ოხერი ენდრიუ კოლსონის ნახვა

მკითხველთა ლიგა

მინდოდა?! თან მაინცდამაინც დღეს... – მერე შემპარავად დაამატა, – შენ რა იცოდი?

– მე? არაფერიც არ ვიცოდი. და საერთოდ, მამა, შეგიძლია, მშვიდად წახვიდე. მე და მისტერ კიტინგი სულგრძელად გაპატიებთ, ჩვენ კი გემრიელად ვისადილებთ უშენოდ. დღეს სხვა გეგმები არც მაქვს, ასე რომ, ნუ ინერვიულებ არსად გავექცევი.

ფრენკონს ვერ გაეგო, მიხვდა თუ არა დომინიკი, სწორედ ეს მიზეზი რომ ჰქონდა წინასწარ მომზადებული კიტინგთან მის დასატოვებლად. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ იყო; მით უფრო, ქალიშვილი ალალად შესცქეროდა თვალებში შეიძლება ოდნავ ზედმეტად მიამიტად. მოკლედ, დროზე უშველა თავს და შვებითაც ამოისუნთქა.

დომინიკი კიტინგს მიუბრუნდა და ისეთი გადამეტებული სინაზით მიაჩერდა, ამ მზერაში დაფარული ზიზღის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდი.

"ახლა კი ცოტა მოვეშვათ, –- უთხრა ნირწამხდარ კავალერს, – "ორივემ მშვენივრად ვიცით მამაჩემის გეგმები და თამაშში ავყვეთ. ნუ დაიმორცხვებ. აი, მე ხომ არ ვმორცხვობ. კარგია, შენს ჭკუაზე რომ დაატარებ, ოღონდ ეცადე, არ მიგიხვდეს. ახლა კი, მოდი, სხვა ყველაფერი დავივიწყოთ და წყნარად ვისადილოთ."

კიტინგს ძალიან უნდოდა, ამდგარიყო და უკანმოუხედავად გავარდნილიყო იქიდან; არადა, საკუთარი უძლურებით გამწარებულმა ისიც იცოდა, ასი წელი ამის გამკეთებელი არ იყო.

"ნუ იბღვირები, პიტერ," – უთხრა დომინიკმა, – "ისე, შეგიძლია, შენც სახელით მომმართო, ადრე თუ გვიან მაინც მივალთ აქამდე. ალბათ ხშირადაც გნახავ ხოლმე, საერთოდ, უამრავ ადამიანს ვხვდები და თუ მამას ესიამოვნება, ერთ-ერთი იმათგანი იყო, გული რატომ ვატკინოთ?!"

მერე მთელი დარჩენილი დრო ისე ელაპარაკებოდა, როგორც ძველ მეგობარს, მხიარულად და გულღიად; ისეთი დაუფარავი გულწრფელობით, თითქოს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ არაფერი ჰქონდა დასამალი, ოღონდ თან იმასაც აგრძნობინებდა, რამეში ჩაძიება არც იფიქროო. ამგვარი ხაზგასმული კეთილგანწყობა ალბათ იმასაც გულისხმობდა, მათ ურთიერთობას არანაირი გაგრძელება რომ არ ეწერა, სამომავლოდ მტერსაც კი არ ხედავდა კიტინგში. კიტინგმაც უკვე იცოდა, როგორ სულის სიღრმემდე სძულდა ეს ქალი. არადა, შესცქეროდა მის ბაგეს, ტუჩების მოძრაობას სიტყვების წარმოთქმისას; უყურებდა, როგორ მოხდენილად გადაიდებდა ხოლმე ფეხზე ფეხს და ვეღარაფრით ერეოდა იმ უჩვეულო აღფრთოვანების განცდას, დომინიკის პირველივე დანახვიდან რომ არ აძლევდა მოსვენებას.

წამოსვლისას ქალმა უთხრა:

– ამ საღამოს თეატრში არ წამომყვები, პიტერ? მნიშვნელობაც არა აქვს, რომელ სპექტაკლზე. ვახშმის შემდეგ გამომიარე. თან მამასაც გააგებინე ეს ამბავი. გაუხარდება.

– გაუხარდება და მეტი არაფერი?! თუმცა არ ვიცი, რა გვაქვს გასახარი ან მას და ან მე... მაინც დიდი მადლობა ასეთი დაფასებისთვის.

– რატომ არ გაქვს გასახარი?

– იმიტომ, რომ სინამდვილეში არც თეატრში წასვლა გინდა და არც ამ საღამოს ჩემი ნახვა.

– ცამდე მართალი ხარ. იცი, ნელ-ნელა მომწონხარ, პიტერ. ცხრის ნახევარზე გამომიარე.

ოფისში დაბრუნებული კიტინგი მაშინვე ფრენკონმა იხმო თავისთან.

– აბა? – ჰკითხა მოუთმენლად.

მკითხველთა ლიგა

– რა ხდება, გაი? – ვითომ მიამიტურად შეუბრუნა კითხვა, – ასე რამ აგაღელვა?
– უბრალოდ, მე... მართალი გითხრა, მაინტერესებს, საერთოდ შეეწყობით ერთმანეთს თუ ვერა. მე მგონი, შენთან ურთიერთობა არგებს. სასიკეთო გავლენა... მოკლედ, რას მაწვალებ?! მოყევი, რა იყო და როგორ!
– არც არაფერი. სასიამოვნოდ გავატარეთ დრო. შენი რესტორნები ჩემზე კარგად არ იცი?! საჭმელი გადასარევი იყო... ხო, მართლა, ამ საღამოს შენი ქალიშვილი თეატრში მიმყავს.
– გაფიცებ!
– ხო, რა იყო?!
– ეგ როგორღა მოახერხე?
კიტინგმა მხრები აიჩეჩა: "ხომ გითხარი, დომინიკის არ უნდა გეშინოდეს -მეთქი.”
– კი არ მეშინია, მარა... ოჰო, უკვე "დომინიკიც" გახდა? გილოცავ,ძმაო. არ მეშინია, უბრალოდ, ვერ ვუგებ. საერთოდაც, თითქოს ახლოს არავის იკარებს. არასოდეს არც ერთ გოგოსთან არ უმეგობრია, საბავშვო ბაღშიც კი. სულ ხალხში ტრიალებს, მაგრამ ერთი მეგობარიც არა ჰყავს. არც ვიცი, რა ვიფიქრო. ახლაც მარტო ცხოვრობს, არადა, ამდენი კაცი ახვევია და...
– კარგი რა, გაი, საკუთარ ქალიშვილზე რამე უკადრისი როგორ უნდა იფიქრო?!
– არა, მაგას არც ვფიქრობ! საქმეც ეგაა სწორედ. ნეტა რამის ფიქრის საფუძველი მქონდეს! არადა, უკვე ოცდაოთხი წლისაა, პიტერ, და ჯერაც ქალწულია მე ხომ ვიცი, დარწმუნებული ვარ! შენ რა, ქალს ვერ შეატყობ? მორალისტი ნამდვილად არა ვარ და ეს არანორმალურად მიმაჩნია. არაბუნებრივადაც მის ასაკში, მით უმეტეს, თუ დომინიკის შეხედულებებს და ცხოვრების ყაიდასაც გავითვალისწინებთ. ღმერთს ვთხოვ, მალე გათხოვდეს. გეფიცები... ოღონდ, სწორად გამიგე, შენ კი არ გახვევ თავს...
– ეგ რა სათქმელია!..
– მართლა, პიტერ, საავადმყოფოდან დარეკეს. საწყალი ლუშესი, მგონი, გამომძვრალა. ამბობენ, აშკარა უკეთესობააო.
ლუშეს ნ. ჰეიერს ინსულტი დაემართა, კიტინგიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, ყოველდღე დაწვრილებით არკვევდა მის ამბავს, თუმცა ერთხელაც არ მოუნახულებია.
– აგაშენა ღმერთმა, – გაუღიმა ფრენკონს.
– ოღონდ, არა მგონია, როდისმე სამსახურს დაუბრუნდეს. ბერდება... ყველას მოგვიკაკუნებს ეგ დრო, როცა საქმისთვის ვეღარ ვივარგებთ, – თითებში ქაღალდის საჭრელ მოოქჭვილ დანას ათამაშებდა, – ეს ყველა ჩვენგანის ხვედრია, პიტერ... ადრე თუ გვიან. წინ უნდა გაიხედო კაცმა...

• • •

კიტინგი სასტუმრო ოთახში იჯდა; გაზის ბუხარში სინთეტური ქვის ჯორკოებს ხელოვნური ცეცხლის ალი მოსდებოდა, დედა კი შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა დომინიკის გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, ლაპარაკის მანერაზე და, სავარაუდოდ, რა რაოდენობის თანხა დაეტოვებინა დედამისს ანდერძად.
ახლა უკვე ხშირ-ხშირად ხვდებოდა ხოლმე დომინიკ ფრენკონს. ქალს უარი არც ერთ მიპატიჟებაზე აღარ უთქვამს. ახლაც მისგან მოდიოდა ღამის კლუბში გაატარეს მთელი საღამო. პიტერს მხოლოდ ის ვერ გაეგო, ეს რაღაცას მაინც ნიშნავდა მისთვის, თუ ამით იმას აჩვენებდა მხოლოდ

მკითხველთა ლიგა

გინდა ერთად ვყოფილვართ, გინდა შეხვედრებზე უარი მითქვამს ერთიაო. ასეა თუ ისე, მუდამ გულის ფანცქალით ელოდა ხოლმე შემდეგ შეხვედრას. უკვე თვე იყო გასული, ქეთრინი არ ენახა და არც ის იდებდა თავს ერთიანად ჩაფლულიყო მისი ბიძის სალექციო ციკლის მოსამზადებელ სამუშაოში.

მისის კიტინგი სანათის შუქზე პიტერს პიჯაკზე ღილს უკერებდა, ათას შეკითხვას უსვამდა და თან ამუნათებდა რა წესია, საგარეო შარვლით რომ დამჯდარხარ იატაკზეო; ის კიდევ ყურსაც არ იბერტყავდა, მხოლოდ შიგადაშიგ თუ გაეპასუხებოდა: "კი... არა... არ ვიცი... კი, ნამდვილად მომხიბვლელი ვინმეა... გვიანია უკვე, დავიღალე... ჯობს, დავიძინო, ხვალ ადრე უნდა ავდგე..."

უცბად, კარზე ზარმა გაიწკარუნა.

"ასე გვიან ვის გავახსენდით?"" – რიტორიკულად იკითხა მისის კიტინგმა. პიტერმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა საპასუხოდ, ადგა და კარის გასაღებად გაემართა.

ზღურბლზე ქეთრინი იდგა და ჯიბის რაღაც წიგნს აწვალებდა ხელში. ყოყმანიცა და მტკიცე გადაწყვეტილებაც ერთდროულად ეხატა სახეზე. წამიერი პაუზის მერე თქვა:

– საღამო მშვიდობისა, პიტერ. შეიძლება, შემოვიდე? სალაპარაკო მაქვს.

– ქეით! შემო, რა თქმა უნდა! როგორ ხარ? დედა, ქეითია.

მისის კიტინგს არავითარი მინიშნება არ სჭირდებოდა იმის მისახვედრად, რომ მისი ბიჭის თავს რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც დიდი სიფრთხილითა და ტაქტით სჭირდებოდა მიდგომა.

– საღამო მშვიდობისა, ქეთრინ! კარგია, რომ შემოგვიარე. _ თქვა მშვიდად.

კიტინგს კი, უბრალოდ, ისეთი სითბო ჩაეღვარა გულში, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რაკი ქეითი ჩემთანაა, საორჭოფოც არაფერიაო; ის კი ვეღარ იაზრა, რას ნიშნავდა ასე დაუპატიჟებლად, ასე ნაგვიანევზე მოულოდნელი სტუმრობა.

– საღამო მშვიდობისა, მისის კიტინგ, – გაეპასუხა ქეითი, – მეტისმეტად გვიან ხომ არ მომივიდა მოსვლა?

– სულაც არა, ჩემო გოგონა, – თქვა მისის კიტინგმა, – აბა, ეგ რა სათქმელია.

– მხოლოდ ქუდს მოვიხდი... სად დავდო, მისის კიტინგ? მაგიდაზე? არა, იქნებ აგერ, სეკრეტერზე... არა, არ ივარგებს ეს ისეთი კარგი სეკრეტერია, მე კიდევ ქუდი სულ დამისველდა... – აშკარა იყო, აზრს ვერ აყოლებდა საკუთარ სიტყვებს.

– ქეით, რა დაგემართა? – ბოლოს და ბოლოს, მისი ეს უცნაური მდგომარეობა კიტინგსაც აღარ დარჩა შეუმჩნეველი.

ქეითმა გამოხედა და აშკარა იყო, თვალებში შიში ჩაჰბუდებოდა. ტუჩები გაჰპობოდა ცდილობდა, გაეღიმა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა.

– მოდი, ბუხართან გათბი!

დაბალი სკამი ცეცხლთან ახლოს მიუჩოჩა და ლამის აიძულა, დამჯდარიყო. მოთელილი საშინაო შავი სვიტერი და გაცრეცილი ძველი ქვედაკაბა არც გამოეცვალა, ისევე წამოსულიყო. მობუზული დაჯდა, მუხლისთავები მჭიდროდ მიეტყუპებინა ერთმანეთისთვის სკოლის მოწაფეს ჰგავდა. მერე ჩუმად, ტკივილნარევი ხმით თქვა:

– მშვენიერი ოთახია... თბილი და მყუდრო...

– ქეით, საყვარელო, რა მოხდა?

– დიდი არაფერი. ოღონდ უნდა დაგელაპარაკო. ახლავე.

პიტერმა დედას გახედა: "იქნებ..."

მკითხველთა ლიგა

– არა, არაფერია, არა უშავს... მისის კიტინგმაც გაიგონოს. იქნებ ასე უკეთესიც იყოს.

მერე მიუტრიალდა და წყნარად თქვა: "იცით, მისის კიტინგ, მე და პიტერი დანიშნულები ვართ." მერე ასევე წყნარად, უემოციოდ დაამატა: პიტერ, მინდა, ახლავე ვიქორწინოთ, ან ხვალ... მოკლედ, რაც შეიძლება, მალე."

მისის კიტინგის ხელი მაგიდაზე დაეშვა, უღონოდ. ჯერ სრულიად არაფრისმეტყველი თვალებით მიაჩერდა ქეითს, მერე კი ისეთი შინაგანი ღირსებით, რაც პიტერს დედისთვის ადრე არასოდეს შეუმჩნევია, ლამის საზეიმოდ წართქვა:

– არაფერი ვიცოდი... ძალიანაც კარგი, შვილებო, ასე ჯობია.

– და თქვენ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო? სულ არაფერი?_ ახლა კი აუკანკალდა ხმა ქეთრინს.

– საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს? და საერთოდ, ამგვარი რამ მხოლოდ შენი და პიტერის გადასაწყვეტია.

– ქეით! რა მოხდა? რატომ ასე სასწრაფოდ?!

– იცი რა... მე მგონი, რაღაც პრობლემა მაქვს... ქალური, – უცებ სახე აეფაკლა, – ღმერთო ჩემო! არა! სისულელეს ვამბობ! შენც ხომ ხვდები? ხო არ ფიქრობ, რომ მე... მე...

– კარგი, რა მოგივიდა, არაფერსაც არ ვფიქრობ, – პიტერს გაეცინა, მერე იატაკზე გვერდით მიუჯდა და ხელი გადახვია, – ოღონდ, ცოტა დაწყნარდი და მითხარი, რა მოხდა. თუ გინდა, დღესვე დავქორწინდეთ, ოღონდ გამაგებინე, რა ხდება.

– არაფერი. უკვე გადამიარა. ყველაფერს გეტყვი. იფიქრებ, გაგიჟებულაო. უბრალოდ, უცებ რაღაცამ წამომიარა, ასე მეგონა, არასდროს შემირთავს, რაღაც საშინელება დამემართება და სასწრაფოდ თავს უნდა ვუშველო-მეთქი.

– მაინც რა დაგემართა?

– არ ვიცი. არც არაფერი. მთელი დღე ვმუშაობდი, ჩვეულებრივად. არც არავინ მოსულა, არც არავის დაურეკავს. მერე უცებ, საღამოს, აი ეს აზრები ამეკვიატა, კოშმარული, შენც ხომ იცი, რაღაც აუხსნელი შიში რომ აგიტანს, გიჟური, გაუგებარი... ვგრძნობდი, რომ ჩემი სიცოცხლე იყო საფრთხეში, რაღაც მემუქრებოდა, რასაც ვერასდროს გავექცეოდი, ვერ გავასწრებდი, ყველგან მომეწეოდა...

– მოიცა, რას ვერ გაექცეოდი?

– ზუსტად ვერ აგიხსნი. ყველაფერს. მთელ ჩემს ცხოვრებას. ჭაობივით ჩამითრევდა. უხმაუროდ და ჯიუტად. ვერც მოვასწრებდი ვერაფერს. როცა მივხვდებოდი, ჭაობში შევდგი-მეთქი ფეხი, უკვე ძალიან გვიანი იქნებოდა... მაგიტომაც ვიფიქრე, რომ ვეღარასდროს შემირთავდი და გაქცევა მომინდა, დაუყოვნებლივ, უკანმოუხედავად. შენ როდისმე გიგრძნია რამე მსგავსი? ეგეთი აუხსნელი შიში?..

– კი, – ჩაიჩურჩულა პიტერმა.

– გიჟი არ გგონივარ?

– არა, ქეით. ოღონდ, მაინც რით დაიწყო ეგ ყველაფერი? მოხდა რამე?

– რა ვიცი... ახლა უკვე ისეთ სისულელედ მეჩვენება, – ჩაიფხუკუნა, თითქოს მოიბოდიშასავით, – მოკლედ, ოთახში ვიჯექი, ცოტა გრილოდა და ფანჯარა არ გამიღია. მაგიდაზე იმდენი ქაღალდები და წიგნები მელაგა, საწერად ადგილი არც მყოფნიდა და ყოველ წუთს იდაყვს გავკრავდი ხოლმე რაღაცას. იატაკზეც, მაგიდის გარშემო, რაღაცეები იყო დახვავებული ფურცლები, საქაღალდეები... და მუდმივად სუსტი შარიშურის ხმა მესმოდა: სასტუმრო ოთახის კარი მქონდა ცოტაზე გამოღებული და ეტყობა, იქიდან უბერავდა. იმ ოთახში ბიძაჩემი

მკითხველთა ლიგა

მუშაობდა.
ისე გავერთე საქმით, არც ვიცოდი, რა დრო გავიდა. მერე უცებ რაღაცამ დამკრა თავში არ ვიცი, რატომ... შეიძლება, ჩახუთული ოთახის ბრალი იყო, შეიძლება სიჩუმის. აღარაფერი მესმოდა, ჩამიჩუმი აღარ გამოდიოდა სასტუმრო ოთახიდან მარტო ქაღალდის ის სუსტი შარიშური არ წყდებოდა და გაგუდულის უკანასკნელ ამოხავილს ჰგავდა. თავი ავწიე, სასტუმრო ოთახისკენ გავიხედე და ბიძაჩემს ვეღარ მოვკარი თვალი, აი, მისი ვეება ჩრდილი კი კედელზე ასვეტილიყო, უშველებელი, გაქვავებული საერთოდ არ ირხეოდა!
გააჟრჟოლა. ეს მოგონება წეღანდელივით სულელურად უკვე აღარ ეჩვენებოდა. რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა:
– აი, მაშინ დამკრა თავში. არ ინძრეოდა, ჩრდილზე გეუბნები, ფურცლები კი თითქოს ადგილს იცვლიდნენ თავისით, ნელ-ნელა სწყდებოდნენ იატაკს და თითქოს ჩემი ყელისკენ მოიწევდნენ, ჩემს დასახრჩობად. მაშინ კი ვიკივლე. და იცი, პიტერ, იმას არაფერი გაუგონია. კივილიც ვერ გაიგონა. იმიტომ, რომ ჩრდილი არც მაშინ შერხეულა. მერე ჩემს ქუდს და პალტოს ვეცი და გამოვვარდი. უკვე სასტუმრო ოთახში ვიყავი, როცა, მე მგონი, მკითხა ქეთრინ, სად მიდიხარ, რომელი საათიაო? რაღაც მაგდაგვარი, დარწმუნებული არა ვარ. ოღონდ, არც უკან მიმიხედავს და არც მიპასუხია. არ შემეძლო. მეშინოდა ბიძაჩემის. ძია ელზუერთის, რომელსაც ხმამაღალი სიტყვა არასოდეს უთქვამს ჩემთვის! აი, ეგ იყო და ეგ. არაფერი მესმის, მაგრამ მეშინია. უკვე ძველებურად აღარ, მით უმეტეს, აქ, შენთან, მაგრამ მაინც...
საუბარში მისის კიტინგი ჩაერია, მკაცრი, მკვეთრი ხმა ჰქონდა:
_ ყველაფერი გასაგებია, ჩემო კარგო. მოგიკლავს მუშაობით თავი და ეგაა. მსუბუქი ისტერიკის ნიშნებიც დაგტყობია უკვე...
– დიახ... ალბათ...
– არა, – ჩაიბურტყუნა კიტინგმა, – ეგ არაფერ შუაშია... – რატომღაც ის ხმის გამაძლიერებელი გაახსენდა, გაფიცულთა შეკრებიდან. მერე უკვე ცოცხლად დაამატა, – ხო, დედა მართალია: თავს იკლავ მუშაობით, ქეით. ეგ ბიძაშენი... ერთხელაც იქნება, შემომელახება.
_ კარგი, გეხვეწები... რა იმის ბრალია! სულაც არ სჭირდება ჩემი მუშაობა. წიგნებს მართმევს ხოლმე და ძალით მაგდებს კინოში, თვითონაც მეუბნება, ბევრს მუშაობო. არადა, მე მომწონს. ასე მგონია, ერთ პაწაწინა ბარათზე ამოწერილი ინფორმაცია ასობით სტუდენტამდე უნდა მივიდეს, მთელ ქვეყანაში, და მე ამაში ვეხმარები, ხალხის განათლებაში, პატარა წვლილი მეც შემაქვს... ვამაყობ კიდეც და არც გაჩერება მინდა. გესმით? საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს. ოღონდ_ ოღონდ არ ვიცი, ამ საღამოს რა დამემართა.
- მისმინე, ქეით, ხვალ დილით განცხადებას შევიტანთ და მაშინვე დავქორწინდებით, სადაც შენ იტყვი იქ.
– მოდი, მართლა ეგრე ვქნათ, – ჩასჩურჩულა გოგომ, – შენც ნამდვილად გინდა? არ ვიცი, რატომ, მაგრამ ნუ გადავდებთ. მაშინ დავმშვიდდები, მეცოდინება, საშიში აღარაფერია-მეთქი. ერთად ყველაფერს მოევლება. სამსახურსაც ვიშოვი, თუ შენ... არა, ჯერ თუ მზად არ ხარ, ან...
– მორჩი სისულელებს. მოევლება, აბა რა?! დავქორწინდეთ და ყველაფერი თავისით დალაგდება.
– მარტო შენ გესმის ჩემი. ხო გესმის?
– მესმის, ქეით.
– აბა, როცა ყველაფერი მოგვარდა, – ისევ ჩაერთო მისის კიტინგი, – ახლა ჩემი ცხელი შოკოლადიც უნდა გაგასინჯო. წასვლამდე ცოტა

მკითხველთა ლიგა

გათბობა მოგიხდება.
ცხელი შოკოლადი შემოიტანა, ქეთრინმა მოსვა და გაუღიმა:
– მე... მეშინოდა, უარზე იქნებოდით, მისის კიტინგ.
– რატომ დაგრჩა ასეთი შთაბეჭდილება, არ ვიცი, – ჩამარცვლა მისის კიტინგმა, – ოღონდ ახლა კი სახლში წახვალ და კარგად გამოიძინებ...
– დედა, იქნებ ამ ღამით ჩვენთან დარჩენილიყო? აქვე გავუშლიდით ლოგინს...
– კარგი რა, პიტერ, ბიძამისი რას იფიქრებს?
– რა თქმა უნდა, სავსებით მართალი ბრძანდებით, მისის კიტინგ! სახლში წავალ.
– დაიცა, თუ...
– ახლა აღარაფერი მიჭირს, პიტერ. მართლა ბიძია ელზუერთის შიში კი არ მაქვს...
– კარგი, მაგრამ ჯერ ადრეა, რა გეჩქარება...
– პიტერ, ღამით ხომ არ ირბენს ახალგაზრდა ქალი ქუჩა-ქუჩა?
– მე გავაცილებ!
– არავითარ შემთხვევაში! მართლა სულელურად გამომივა მოვედი და ახლა თავს გაცილებინებ...
კარი რომ გაუღო, პიტერმა ლოყაზე აკოცა და უთხრა: „ხვალ დილის ათზე გამოგივლი ქორწინების განაცხადი შევიტანოთ”.
– კარგი...
კარი მიკეტა და ერთხანს ქანდაკებასავით იდგა, ვერც ამჩნევდა, თითები რომ მომუშტული ჰქონდა. მერე ოთახში დაბრუნდა, შეჩერდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და დედამისს მიაჩერდა რაღაცის თქმას მაინც მოითხოვდა მისგან. მისის კიტინგი კი წყნარად განაგრძობდა საქმიანობას, არც არაფერს იმჩნევდა.
ბოლოს ისევ კიტინგმა დაარღვია სიჩუმე:
– გადაწყვეტილია, დედა! ამაზე ლაპარაკიც აღარ მინდა!
– მერედა, ვინ ამბობს რამეს?
– უნდა გაიგო ქეითი მიყვარს და ამას წინ არაფერი დაუდგება.
– ძალიან კარგი, პიტერ.
– ჩემამდე არ დადის, მაინც რას უწუნებ!
– ვის რას ვუწუნებ, მაგას ახლა არავითარი წონა არა აქვს შენთვის.
– აქვს, დედა, როგორ არა აქვს! მაგას რატომ ამბობ?!
– შვილო, ჩემთვის შენ გარდა ქვეყანაზე აღარაფერი არსებობს და სხვაზე რა აზრისა ვარ, რა მნიშვნელობა აქვს? იქნებ ჩამოვრჩი კიდეც ცხოვრებას, მაგრამ ახლა ესეთი ვარ და რა ვქნა...
– კარგი რა, დედა! მშვენივრად მოგეხსენება, სულაც რომ არ მეჩვენება მასე! და არც ის მინდა, როდისმე ჩემ გამო გული გეტკინოს.
– გულს ვერაფრით მატკენ, პიტერ სანამ საკუთარ თავს არ ავნებ რამეს. აი, მაშინ კი...
– საკუთარ თავს რაღა უნდა დავუშავო?
– ეგეთებიც ხდება, პიტერ, ეგეთებიც ხდება... მოსმენა არ გინდა და...
– როდის იყო, შენთვის სიტყვა შემებრუნებინოს!
- მაშინ ერთ რამეს გეტყვი: აი, ახლა ის დროა, 29 წლის მანძილზე რაც შენზე იმედებს ვამყარებდი, ხუხულასავით რომ მენგრევა თავზე!
– რატომ, დედა, რატომ?!
– ქეთრინში კი არაა საქმე, შვილო მშვენიერი გოგონაა, ნებისმიერი რიგითი, წესიერი ბიჭისთვის სანატრელი საცოლე იქნებოდა, მაგრამ არა შენთვის, პიტერ არა შენთვის!
– ვითომ რატომ არა?

მკითხველთა ლიგა

- მეტისმეტად თავმდაბალი ხარ, პიტერ, მეტისმეტად... და ესაა სწორედ შენი დიდი ნაკლი! თავი ერთი ჩვეულებრივი ბიჭივით გიჭირავს.

– სულაც არა!

– მაშ, ეს ყველაფერი რას მივაწერო? განა ვერ ხედავ, რამდენს მიაღწიე უკვე და კიდევ რამდენი გაქვს მისაღწევი? მართლა შეგიძლია, საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც გახდე, და თან მთელ ამერიკაში! ასე არაა?

– კი, ასეა! და ეჭვიც არასოდეს შემპარვია მაგაში! რა მერე?

– რა და, ასე იოლად, თავისთავად, არაფერი ხდება, პიტერ! ბევრი რამის დათმობა მოგიწევს ცხოვრებაში ისე არაფერი გამოგივა.

– მაგრამ...

– თუ მართლა მწვერვალს უმიზნებ, პიტერ, ჩათვალე, რომ შენი ცხოვრება შენ აღარ გეკუთვნის! უბრალო, ყოველდღიურ სიამეებზე ვერ დაიხარჯები და ვერც რიგითი კაცივით ვერ იცხოერებ... სხვათა თაყვანისცემის მოსაპოვებლად, უამრავ პატარ-პატარა რამეზე უნდა თქვა უარი...

– ქეთრინი პატარ-პატარა რამე არაა, დედა!

– არ ვიცი, არ ვიცი... როცა ქალი იმდენს ვერ ხვდება, კაცს შინ არ უნდა მიუვარდეს, რაღაც სისულელეებით არ ააფორიაქოს და მომავლის სასწორზე შეგდება არ სთხოვოს მარტო იმიტომ, გიჟური ხილვები რომ არ აძლევენ მოსვენებას, მაგაზეც ეტყობა, რა ცოლობასაც გაგიწევს. ოღონდ, თუ გგონია, საკუთარ თავზე ვდარდობ, საერთოდ დაბრმავებულხარ. როგორ ვერ ხვდები, პირადად მე რაც შემეხება, ქეთრინთან არანაირი პრობლემა არ მექნება საერთო ენასაც გამოვნახავთ და არც იმაში მეპარება ეჭვი, დედამთილის პატივისმცემელი იქნება და უბატონოდ სიტყვას არ შემიბრუნებს. აი, მის ფრენკონს რაც შეეხება...

პიტერი შეკრთა. წინდაწინვე იცოდა, ამ საუბარს ვერ გადაურჩებოდა. არადა, ყველაზე უფრო სწორედ ამის ეშინოდა.

– ასეა, პიტერ, – გააგრძელა დედამისმა მშვიდად, დაყვავებით, – ამაზეც უნდა დავილაპარაკოთ. მშვენივრად მესმის, იმას ვერასდროს ვერაფერს გავუგებ და თვითონაც, ეს მომხიბლავი, ხალხში გამოსული თამამი ქალი ჩემნაირ ჩამორჩენილ, გაუნათლებელ დედამთილს თავს არასდროს გაუყადრებს. იქნებ, საერთოდ გამაგდოს კიდეც სახლიდან. მაცადე, პიტერ... ოღონდ არაფერს დავეძებ მე ხომ საკუთარ თავზე დარდი არ მალაპარაკებს.

– დედა, – შეაწყვეტინა უხეშად, – აი, ეგ უკვე სრული ბოდვაა, ვითომ მე დომინიკთან რამის იმედი შეიძლება მქონდეს! იმედი კი არა, მე მგონი, სულაც მასხრად მიგდებს...

– მე მგონი, ახლა შენ თვითონ ბოდავ, პიტერ. მე ის დროც მახსოვს, როცა საკუთარ თავსაც კი არ გამოუტყდებოდი, ცხოვრებაში რაღაცა მაინცაა ჩემთვის შეუძლებელიო.

– და თუ ეგ ქალი არაფერში მჭირდება?

– ვითომ, დაგიჯერო? აი, ეგა ხარ. რას გეუბნებოდი? შენს თავს შეხედე! ფრენკონი, ქალაქში საუკეთესო არქიტექტორი, გამოჭერილი გყავს. აქეთ გეხვეწება პარტნიორობას შენი ასაკის ბიჭს ვითომ ირგვლივ გამოცდილი ხალხი დაილია! წინააღმდეგია კი არა, თვითონვე გთხოვს, იმის ქალიშვილი ცოლად შეირთო! შენ კი ხვალ მიადგები და ვიღაც ცხვირმოუხოცავ არარაობას მიუყვან გაიცანით, ჩემი მეუღლეაო! მაგას აპირებ? მოდი, ცოტა ხნით საკუთარი თავი დაივიწყე და ხანდახან სხვებზეც იფიქრე! მოეწონება ფრენკონს ეგ ამბავი? გაუხარდება, იმის ქალიშვილს ვიღაც პატარა მაწანწალას თუ ამჯობინებ?

მკითხველთა ლიგა

– არ მოეწონება... – ამოიხავლა კიტინგმა.
– აგაშენა ღმერთმა! წიხლს გკრავს და ქუჩაში გამოგისვრის. მე შენ გეტყვი, გაუჭირდება შემცვლელის პოვნა! მაგალითად, ბენეტი რა, ვერ ივარგებს?
– არა! – ისეთი გააფთრებით წამოიყვირა კიტინგმა, დედამისი მიხვდა, ათიანში გავარტყიო, – ოღონდ ეგ არა!
– დიახაც, – გამარჯვებული იერით დაასვა ბეჭედი მისის კიტინგმა,– ბენეტი! "ფრენკონი და ბენეტი" – ცუდად ჟღერს თუ? შენ კიდევ იწანწალე კარდაკარ და ახალი სამსახური ეძებე. თუმცა რა, ცოლი ხომ გეყოლება! მერე რა ცოლი...
– დედა, გთხოვ... – ისეთი სასოწარკვეთილი ხმით ამოიხრიალა პიტერმა, დედამისი მიხვდა, ახლა გაჩუმება არ იქნებაო და მაშინვე გააგრძელა:
– აი, ასე დასრულდება შენი ქორწინება. შეგრჩება ხისგან გამოჩორკნილი თოჯინა, რომელმაც ისიც არ იცის, ხელები და ფეხები სად წაიღოს. სტუმრად თუ ვინმე ცნობილ კაცს მიიპატიჟებ, სოფლის გოგოსავით დაიმორცხვებს და აბაზანაში დაიმალება. ესე იგი, მაგარი და შეუმცდარი გგონია არა, შენი თავი? ნურას უკაცრავად, პიტერ კიტინგ! მარტოკაცი ამ ცხოვრებას მწვერვალზე ჯერ არასდროს მოჰქცევია. დამიჯერე, თუ გინდა, გზა გაიკვალო, ქალი უნდა შეარჩიო სწორად. შენმა ფრენკონმა რა, სასტუმროს დამლაგებელი მოიყვანა ცოლად? სულ მაგ ჭკუაზე იყო! ხანდახან სხვისი თვალითაც შეხედე ცხოვრებას. რას იტყვის ხალხი შენს ცოლზე? და მერე შენზე რას იფიქრებენ? საქათმეს არავინ აგაშენებინებს! თამაშის წესები შენზე და ჩემზე ჭკვიანმა ხალხმა დაადგინა დიდი ხნის წინ. ეგ არ დაივიწყო. ვინ მოგიწონებს არჩევანს? ვიღა გენდობა? ან ვინ გცემს პატივს?
– გეყოფა! – წამოიყვირა კიტინგმა.
დედამისი კი ვეღარ ჩუმდებოდა. კარგა ხანს ილაპარაკა მოქოქილივით, შვილი კი იჯდა, გაშმაგებული იმტვრევდა თითებს და მიყვარს...არ შემიძლია, მიყვარსო ამოიგმინავდა ხოლმე ხანდახან.
მისის კიტინგმა მხოლოდ მაშინღა დაანება თავი, როცა ღამე განაცრისფრდა და პირველი ჩიტები აჟივჟივდნენ. პიტერი ფეხარეული გაემართა თავისი ოთახისკენ, გზადაგზა დედის უკანასკნელი, თბილი მზრუნველი სიტყვები მიაცილებდა:
– მაგაზე მაინც ნუ მეტყვი უარს. სულ რამდენიმე თვეზეა ლაპარაკი... სთხოვე, რამდენიმე თვე მოითმინოს. ჰეიერი ყოველ წუთს შეიძლება მოკვდეს და პარტნიორი თუ გახდი, მერე ვინც გინდა, ის შეირთე და რაც გინდა, ქენი. თუ უყვარხარ, მაგაზე უარს არ გეტყვის... დაფიქრდი,პიტერ! იმაზეც იფიქრე, გაჯიუტებით როგორ დაუმსხვრევ დედაშენს გულს... ეგ რა მოსატანია, მაგრამ მაინც. საკუთარ თავზე საათს თუ იფიქრებ, სხვებისთვის წუთი გამოიმეტე...
დაძინება არც უცდია. არც ტანზე გაუხდია. რამდენიმე საათი საწოლზე იჯდა გონებაარეული, ერთადერთს ნატრობდა მხოლოდ, ერთი წლით წინ გადაენაცვლა, როცა უკვე ყველაფერი მოგვარებული იქნებოდა. თუმცა, რა და როგორ უნდა მოგვარებულიყო წარმოდგენა არ ჰქონდა.
დილის ათ საათზე, როცა ქეთრინს მიადგა შინ, ჯერაც ვერაფერი გადაეწყვიტა. ბუნდოვნად გრძნობდა ქეთრინი თვითონ ჩაჰკიდებდა ხელს, გზას თავად გამონახავდა და ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა.
გოგომ კარი გაუღო და გაუღიმა, ბედნიერმა და თავდაჯერებულმა თითქოს არც მომხდარიყოს არაფერი. თავის ოთახში შეიყვანა, სადაც საწერ მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს და ქაღალდებს სწორ ზოლებად ეცემოდა დილის მზის შუქი. სუფთა ოთახი ახლად დალაგებული ჩანდა,

მკითხველთა ლიგა

ხალიჩას ჯერაც ეტყობოდა მტვერსასრუტის ნაკვალევი. ქეთრინს ბამბის თხელი, სახელოებგახამებული კაბა ეცვა; მზე უცნაურად უბრჭყვიალებდა თმაზე დაბნეულ პატარ-პატარა, ნემსებივით სამაგრებს. პიტერმა უცებ შვებაც იგრძნო, და ერთგვარი იმედგაცრუებაც.

– აი, მეც მზად ვარ! პალტო მომაწოდე.

– ბიძას უთხარი? – ჰკითხა.

– აბა არა?

– მერე, რაო?

– არაფერი. გაიცინა მხოლოდ და მკითხა, საქორწინო საჩუქრად რას ვინდომებდი. სიცილით კი ბევრი იცინა.

– ახლა სადაა? ჩემი ნახვა არ უნდოდა?

– ოფისში ეჩქარებოდა. ასე თქვა, კიდევ ბევრჯერ მოვასწრებ მაგის ნახვასო. სწორედ ასე თქვა, მაგრამ ისე სასაცილოდ გამოუვიდა!

- მისმინე, ქეით.. რალაც უნდა გითხრა, – ჭოჭმანობდა, ვერც თვალს უსწორებდა, – მოკლედ, ეგეთი ამბავია: ფრენკონის პარტნიორი, ლუშეს ჰეიერი, სიკვდილის პირასაა და არც მისი გადარჩენის იმედი აქვთ.. ფრენკონმა რამდენჯერმე გადამიკრა სიტყვა, მომავალი ჩემი პარტნიორი შენ უნდა იყოო, მაგრამ ერთი იდეა აქვს აკვიატებული საკუთარი ქალიშვილი უნდა შემრთოს. ახლა სხვანაირად არ გამიგო, მაგის შანსი არაა, მაგრამ პირდაპირ ვერ ვეუბნები. ამიტომაც ვიფიქრე ...იქნებ მოგვეცადა და... სულ რაღაც ორიოდ კვირა... მყარად მოვჯდებოდი ფირმაში და მერე ფეხებსაც ვერ მომჭამდა, თუ ვეტყოდი, რომ ცოლიანი ვარ... ოღონდ ეს ყველაფერი ისევ შენი გადასაწყვეტია, იცოდე, – ახლაღა გაუსწორა თვალი და სწრაფად დაამატა, – თუ იტყვი, არაო, ახლავე წავალთ განცხადების შესატანად.

- მოიცა, პიტერ... – წყნარად თქვა, ოღონდ გაოცებას ვერ ფარავდა რა თქმა უნდა, დავიცდით რაზეა ლაპარაკი! ადრევე უნდა გეთქვა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ამბავია, აჩქარება არანაირად არ ივარგებს, ან სად გვეჩქარება?

პიტერმა შვებით ამოისუნთქა და ერთი წამით თვალები მოხუჭა,

– იმის არ გეშინია, ფრენკონის გოგომ რომ გაჯობოს?

ქეითს ალალად გაეცინა: "არა, პიტერ! მეტისმეტად კარგად გიცნობ“

– მაგრამ თუ გული მაინც გეთანაღრება...

– კარგი რა! რამე რომ იყოს, წეღანაც სწორედ მაგას ვფიქრობდი, რას ავჩქარდი-მეთქი, მაგრამ რაკი გადაწყვეტილი გქონდა... რაკი თვითონაც გაწყობს, რომ მოიცადო, არც მე მაქვს საწინააღმდეგო არაფერი. თანაც, სწორედ ამ დილით ბიძაჩემმა დასავლეთ სანაპიროზე რომელიღაც ძაან-ძაან მნიშვნელოვანი უნივერსიტეტიდან ხელმეორედ მიიღო მიწვევა ლექციების კურსი უნდათ რომ განაახლოს. სინდისი მქენჯნიდა, ასე დაუმთავრებელ-დაუხარისხებელ მასალებს რომ ვუტოვებდი. მერე ისიც კი ვიფიქრე, ჯერ ხომ ძაან ახალგაზრდები ვართ, ცოტა რომ დავიცადოთ, უკეთესიც კი იქნება-მეთქი.

– მართალი ხარ, ეგრეა. მაგრამ ისევ გუშინდელივით თუ იგრძნობ თავს...

– ეგ აღარ გამახსენო! საკუთარი თავის მრცხვენია. სიმართლე გითხრა, არც კი მესმის, რა დამემართა... არც მახსოვს. ბევრი სისულელე ვილაპარაკე?

– კარგი, გახსენებად არ ღირს.

მერე კი რაღაც ხუმრობანარევი კილოთი დაამატა: "ისე, არ დაივიწყო თავად დამეთანხმე..."

ქეითს მხოლოდ გაეცინა ამაზე, მერე კი მეორე დღისთვის შეთანხმდნენ, ერთად ესადილათ.პიტერ კიტინგი ოფისისკენ გაემართა, სადაც მისის

მკითხველთა ლიგა

მორჰედთან შეხვედრაზე უკვე იგვიანებდა კიდეც, ოღონდ გზად სულ რაღაც აწუხებდა,
თითქოს ეჭვის ჭიაც ღრღნიდა თითქოს რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი დაკარგა... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცის წნეხის ქვეშ მოხვდნენ ორივენი და ნაადრევად დანებდნენ...

ქეთრინი ოთახის შუაგულში იდგა, შინაგან სიცივესა და სიცარიელეს აეტანა თითქოს: სულ ბოლომდე იმედოვნებდა პიტერი უკან აღარ დაიხევსო. მაგრამ მერე თავი გაიქნია, ავბედითი ფიქრები მოიშორა და ისევ თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

13

ოქტომბრის ერთ დღეს, როცა ჰელერის სახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, სახლის საცქერად გზის პირას შეყრილ პატარა ჯგუფს ერთი აწოწილი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კაცი გამოეყო და რორკს მიუახლოვდა.

– ბოდიში მომითხოვია და, "საგიჟეთს“ თქვენ აშენებთ? – დაეკითხა.

– ამ სახლს თუ გულისხმობ, კი. – მიუგო რორკმა.

- კი ნუ მიწყენთ, სერ. უბრალოდ, ხალხი ეძახის ასე. მე პირადად სხვა აზრი მაქვს. თვითონაც მშენებელი ვარ... არა, მშენებელი კი არა, საკუთარი ბენზინგასამართი სადგურის აშენებას ვაპირებ აქედან ათი მილის მოშორებით. დალაპარაკება მინდოდა თქვენთან.

მოგვიანებით, როცა უკვე იმ გარაჟის წინ ისხდნენ მერხზე, სადაც იმხანად ჯიმი გოუენი მუშაობდა, ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა რორკს და ბოლოს დაამატა: "თქვენზე კი იმიტომ ვიფიქრე, მისტერ რორკ, მართლა გულით რომ მომწონს ის სასაცილო სახლი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეგრე კია. რაღაც აზრს ვხედავ ყველაფერ-
ში. თან იმის შემხედვარე ყველა გაოგნებული რჩება და მეტი სალაპარაკოც არაფერი აქვთ... სახლისთვის ხალხის ყაყანი რა ხეირია, მაგრამ აი, ბიზნესს კი წაადგება იცინონ, იხითხითონ, ოღონდ კი ყურადღება მიაქციონ! ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი სადგურის აშენებაც თქვენ გთხოვოთ. გიჟად კი მომნათლავენ, მაგრამ თქვენი რა მიდის?”

ჯიმი გოუენი თერთმეტი წელი მართლა ვირივით მუშაობდა და საკუთარი საქმის წამოსაწყებად აგროვებდა ფულს. არქიტექტორის არჩევანი, როგორც ვარაუდობდა კიდეც, საყოველთაო აღშფოთების საგნად იქცა; ჯიმი არავის შეჰკამათებია, არც ახსნა-განმარტება დაუწყია, არც თავის დაცვა უცდია; ყველას ზრდილობიანად პასუხობდა, ალბათ მართლები ხართ, ძმებოო, რორკს კი აცლიდა, მშვიდად ემუშავა.

ბენზინგასამართი სადგური დეკემბრის ბოლოს გაიხსნა ბოსტონ ფოუსტ როუდის გზატკეცილზე ხეებს შორის ჩადგმული, შუშითა და ბეტონით ნაგები ნახევარწრის ფორმის ორი მომცრო შენობა: ცილინდრული ოფისი და დაბალი, წაგრძელებული, ოვალური სასადილო. შუაში კი, შიდა ეზოს კოლონადასავით, თავად ბენზინის საქაჩი ტუმბოები იყო ჩარიგებული. ყველაფერს წრიული მოყვანილობა ჰქონდა; არსად ჩანდა კუთხე ან სწორი ხაზი; თითქოს მოქცევის ტალღები გაქვავებუ-
ლიყვნენ იმ უმაღლესი ჰარმონიის წამს, რომლის სრულყოფილებაც არაფრით შეიძლებოდა, წინასწარგამიზნული ყოფილიყო... თითქოს საპნის ბუშტები ეშვებოდნენ ზემოდან, მიწისკენ, და მიწასაც ბოლომდე არ ეხებოდნენ; თითქოს ცოტაც და, მონაბერი სიო მათ სადღაც სხვა მხარეს გადარეკავდა. მთელი ნაგებობა რაღაცით თვითმფრინავის ძრავასაც წააგავდა და, იმავდროულად, სინატიფისა და სიმსუბუქის

მკითხველთა ლიგა

განცდასაც ბადებდა.
რორკი მთელი ის დღე იქ დარჩა. სასადილოს დახლთან საფირმო, თეთრი ფინჯნიდან ყავას სვამდა და ხედავდა, როგორ ჩერდებოდნენ კართან მანქანები ერთმანეთის მიყოლებით. შეღამებულზეღა წამოვიდა. საჭეს მიმჯდარმა მხოლოდ ერთხელ მიიხედა უკან: შენობა გზაჯვარედინზე, ორი დიდი გზის გადაკვეთაზე იდგა და ალბათ მთელი დღე არ მოაკლდებოდა მანქანები არც იმ ქალაქებიდან მომავალი, სადაც მსგავსი ნაგებობისთვის არანაირად არ მოინახებოდა ადგილი და არც იმ ქალაქებისკენ მიმავალი, სადაც ასეთ ნაგებობას სანთლით ვერ იპოვიდა კაცი. წინ გაწოლილ გზას გახედა და მერე თვალიც არ გაჰქცევია სარკისკენ, რომელშიც ჯერ კიდევ წერტილებად კრთებოდნენ უკვე შორს დარჩენილი სინათლეები...
მერე ისევ უქმად ყოფნის თვეები გაიწელა. ყოველ დილით პატიოსნად მიდიოდა ოფისში, სამუშაო მაგიდასთან ჯდებოდა და კარს მიაშტერდებოდა ხოლმე; კარს კი არა და არ აღებდა არავინ, ტელეფონიც დუმდა და დღის ბოლოს საფერფლეც მხოლოდ მისი ნამწვავებით იყო სავსე.
– რას ფიქრობ, ჰაუარდ, რას აპირებ? – ერთ დღეს, სადილობისას, ჩაეკითხა კიდეც ოსტინ ჰელერი.
– არაფერს.
– არ შეიძლება ეგრე!
– მე რას მერჩით?!
– ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა უნდა სცადო.
– არ მეხერხება.
– რატომ?
– სამაგისო გზა არ ვიცი. ეტყობა, რაღაც ერთი გრძნობა დაბადებიდანვე არ დამყვა.
-– მერეც შეგეძლო შეგეძინა...
– ალბათ არც მაგ გრძნობისთვის აუცილებელი ორგანო გამაჩნია. რაღაც მაკლია, ანდა პირიქით ზედმეტი მაქვს ისეთი, რაც მბორკავს, მაფერხებს... რაც მთავარია, ის ხალხი არ მიყვარს, ვისთან საერთო ენის გამონახვასაც ცალკე მცდელობა სჭირდება.
– აბა, უსაქმურად უნდა იჯდე?! შეკვეთები არ გინდა?
– და შეკვეთის მისაღებად რა ვუთხრა ხოლმე? მე მხოლოდ ის შემიძლია, საკუთარი ნამუშევრები ვაჩვენო. თუ არ მოეწონათ, ლაპარაკი რას შეცვლის? ან რომელი მჭევრმეტყველი მე ვარ?!..
– მერე, არ გაწუხებს ეს ამბავი?
- არც მაინცდამაინც. ამისთვის მზად ვიყავი. ველოდები.
– რას?
– ჩემნაირ ხალხს.
– ეგ რანაირს?
– არ ვიცი. არა, როგორ არ ვიცი, ოღონდ ახსნა მიჭირს. ხშირად მინატრია კიდეც, ნეტავ შემეძლოს-მეთქი. რაღაც საერთო პრინციპით მონათესავე...
– გულწრფელობის?
– დიახ... არა, მხოლოდ ნაწილობრივ. გაი ფრენკონიც გულწრფელი კაცია, ეგ არაა საქმე. გაბედულების? თავისებურად, რელსტონ ჰელქომბსაც არ აკლია გაბედულება... არ ვიცი... ოღონდ ჩემნაირ ხალხს გამოხედვით ვცნობ. შეიძლება, ასმა და ათასმაც ჩაუაროს თქვენს სახლს, მაგრამ აი ის ერთი, რომელიც გაჩერდება და თვალს არ მოაცილებს_ ისაა სწორედ, ვინც მინდა.

მკითხველთა ლიგა

– ესე იგი, სხვა ხალხიც გჭირდება ეგრეა?
– ცხადია. რა გაცინებთ?
– მეგონა, ყველაზე ასოციალური არსება იყავი მათ შორის ვისი გაცნობის პატივიც კი ოდესმე მქონია...
–- ხალხი იმისთვის მჭირდება, სამუშაო დამიკვეთონ. აბა, მავზოლეუმებს კი არ ვაშენებ... თუ გგონიათ, რაღაც სულიერი სიახლოვისთვის მესაჭიროება ვინმე?
– მართლა არავინ გჭირდება?
– არა.
– უცნაურია, თითქოს არც კი ტრაბახობ ამით...
– რა არის ამაში სატრაბახო?
ჰელერს ერთხანს ხმა არ გაუღია, მარტო სიგარეტს ათამაშებდა თითებში; მერე გაეცინა:
– დიდი უცნაური ვინმე ხარ.
– მაპატიეთ. თქვენ იმ რამდენიმეში გადიხართ, ვის შენარჩუნებასაც ვისურვებდი. უბრალოდ, არ მინდა ამაზე ლაპარაკი.
– საქმეც ეგაა. საკუთარ თავში ჩაკეტილი მოარული საფრთხობელა ხარ, ჰაუარდ.
– ვიცი.
– მერე, რატომ არ გინდა, ცოტა მაინც შეიცვალო?
– რისთვის?
– სწორედ ეს მაკვირვებს შენში... ისეთი ცივსისხლიანი ჩანხარ, შენნარი არც არავინ მინახავს! არადა, ხომ ვიცი, საქმისთვის თავს გაწირავ.
– მაგით რისი თქმა გინდათ?
– რა ვიცი, ისე... .
კვირა კვირას მისდევდა, რორკი ბეჯითად დადიოდა ოფისში, რვა-რვა საათი უჯდა მაგიდას და ბევრსაც კითხულობდა; ხუთზე კი სახლში მიდიოდა ახლა უკეთესი ბინა შეარჩია, ოფისთან ახლოს. ცოტა ეხარჯებოდა და ფულიც საკმაოდ დაუგროვდა.
ერთ დღესაც, თებერვლის თვეში, მის ოფისში ტელეფონი აწკარუნდა. ქალის ცოცხალი, თვითდაჯერებული ხმა რორკთან, არქიტექტორთან შეხვედრას ითხოვდა. იმავე საღამოს ვიღაც შავტუხა, ტანმორჩილი ქალბატონი ესტუმრა; წავის ქურქი მოესხა და ერთობ ეგზოტიკური საყურეები ეკეთა, თავის ყოველ შერხევაზე რომ წკარუნობდნენ. ეს მისის უეინ უილმოტი იყო ლონგ აილენდიდან და აგარაკის აშენება მოესურვებინა. რორკი თურმე იმიტომ გამოერჩია სხვებისგან, რომ ოსტინ ჰე-
ლერის სახლზე სმენოდა უამრავი რამ. თანაც, – დაუმატა, – ჰელერს ვაღმერთებ, ერთადერთი ნამდვილი ინტელექტუალია მთელ ამ ლაწირაკებშიო. მისი მარადი თანამდგომი ვიქნები, რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელიო... ისე, მისტერ რორკ, უფრო ახალგაზრდა ყოფილხართ, ვიდრე მოველოდიო, თუმცა, აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, რამე რომ იყოსო... ახალგაზრდობას მხარში უნდა ამოვუდგეთ სწორედ ასე ამბობს ოსტინ ჰელერიო; თუმცა, სახლი დიდი მინდაო, ორი ბავშვი მყავს და ორი საბავშვო ოთახიც დამჭირდება ხომ გესმით, ბავშვებს საკუთარი სამყარო უნდა ჰქონდეთო; ჩემთვის კიდევ ბიბლიოთეკა (ვგიჟდები წიგნებზე), მუსიკის მოსასმენი სტუდია, ორანჟერეა (ველის შროშანები უნდა მოვაშენო ასე მეუბნებიან, შენი ყვავილიაო), ქმარსაც თავისი ბუნაგი უნდა ჰქონდეს, რასაკვირველიაო, ოღონდ ყველაფერში ჩემს გემოვნებას ენდობა და ესეც ჩემი გადასაწყვეტიაო; ისე, ქალი რომ არ ვიყო, მეც არქიტექტორობას მოვკიდებდი ხელსო... მერე კიდევ

მკითხველთა ლიგა

მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი და ა.შ და ა.შ. სამი მანქანის სამყოფი ავტოფარეხით... გაჭიმული სამი საათი იქაქანა და ბოლოს ისიც დაამატა რაც სტილს შეეხება, ტიუდორების ხანისა უნდა იყოს, ცხადია, ჭკუას ვკარგავ მაგ სტილზეო.

რორკმა მძიმე-მძიმედ ასწია თავი და დაეკითხა, მშვიდად:

– ოსტინ ჰელერის სახლი გინახავთ?

– არ-ა-ა, სადა მაქვს დრო! არადა, ისე მინდოდა, თუნდაც მხოლოდ ოსტინის ხათრით სახეზე ხომ არც ის მყავს ნანახი მისი ერთი უბრალო თაყვანისმცემელი ვარ. სადღაც მეინის მხარესაა, ეგრეა?

რორკმა ფოტოები დაულაგა წინ.

– აი, ესაა.

ერთი გადაავლო თვალი და იქვე დაყარა, მაგიდაზე.

– ძა-ალიან საინტერესოა, – თქვა მერე, – მაგარია. ოღონდ გამიგებთ ალბათ, მთლად ჩემი სტილი არაა. მეგობრები მეუბნებიან, ინგლისურ სტილში ზიხარო...

სცადა აეხსნა, რატომ არაფერში გამოადგებოდა ტიუდორების ხანის სახლი, მაგრამ გაგიგონიათ? შუაზე გააწყვეტინა:

– მოიხედეთ აქეთ, მისტერ რორკ! ლექცია გინდათ წამიკითხოთ? მშვენიერი გემოვნება მაქვს და არქიტექტურაშიც სავსებით... საგანგებო კურსიც კი გავიარე ჩვენს კლუბში. მეგობრები მეუბნებიან ბევრ ხუროთმოძღვარზე მეტი იციო. მოკლედ, ვიფიქრე და გადავწყვიტე ინგლისური, ტიუდორის სტილის სახლი მინდა. ამაზე კამათს აღარ ვაპირებ.

– სხვა არქიტექტორის მოძებნა მოგიწევთ, მისის უილმოტ.

ქალი, ცოტა არ იყოს, დაეჭვებული მიაჩერდა.

– ესე იგი, რა, შეკვეთაზე უარს ამბობთ?

– დიახ.

– ჩემს შეკვეთაზე?

– ასეა.

– კი მაგრამ, რატომ?

– ასეთ საქმეს ხელს არ მოვკიდებ.

– მეგონა, არქიტექტორები...

– სწორია. არქიტექტორები ყველაფერს აგიშენებენ, რასაც ინებებთ. ნებისმიერი სხვა არქიტექტორი ამ ქალაქში.

– მაგრამ მე ჯერ თქვენთან მოვედი.

– მისის უილმოტ, დამდეთ პატივი და მითხარით, ჩემთან რატომ მობრძანდით, თუ ტიუდორების სტილში ნაგები სახლი გინდოდათ?

– მე მეგონა, ჩემს არჩევანს სათანადოდ დააფასებდით. თანაც, მეგობრებში ვიტყოდი, ოსტინ ჰელერის არქიტექტორი დავიქირავე-მეთქი.

ჰაუარდი გულით ეცადა, ყველაფერი აეხსნა და ქალი რაღაცაში მაინც დაერწმუნებინა. არადა, რაც მეტს ლაპარაკობდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა წყალს ვნაყავო. თითქოს მის წინ საერთოდ არც იჯდა მავანი მისის უილმოტი: არსებობდა უბრალოდ საკუთარი მეგობრების შეხედულებებით, ცხოვრებაში ნანახი საფოსტო ბარათებით, სოფლური ცხოვრების ამსახველი, ყმაწვილქალობაში წაკითხული რომანებით გამოვსებული რაღაც ნიჟარა პიროვნებაწაშლილი, შეუვალი, ბამბის ქულასავით ხმაშეუღწეველი...

"ძალიან ვწუხვარ," – თქვა მისის უილმოტმა, – "მაგრამ საღი აზრის წინააღმდეგ ასე ჯიუტად ამხედრებულ ხალხთან ურთიერთობას ნამდვილად არა ვარ მიჩვეული. ეჭვი არ მეპარება, არაერთი ცნობილი

მკითხველთა ლიგა

არქიტექტორი ჩათვლის პატივად ჩემთვის მუშაობას. არ დაგიმალავთ, ჩემი მეუღლე არჩევანს არ მიწონებდა და ყველაზე მეტად ის მწყინს, მართალი რომ გამოდგა. კარგად მენახეთ, მისტერ რორკ."

სკამიდან ღირსების გრძნობით აღსავსე სახით კი წამოდგა, მაგრამ კარი მაინც მთელი ძალით გაიჯახუნა ზურგს უკან. რორკმა ფოტოები ისევ საწერი მაგიდის უჯრაში ჩაყარა.

მისტერ რობერტ ლ. მანდი, მარტის თვეში რომ მიადგა, ოსტინ ჰელერის გამოგზავნილი იყო. ფოლადივით მჟღერი ხმა და ფოლადისფერი თმა ჰქონდა, თვალები კი ცისფერი, კეთილი და აზრიანი. კონექტიკუტში უნდოდა სახლის აშენება და ამ სახლზე ისე მორცხვად და მოკრძალებით ლაპარაკობდა, როგორც ახლად მოწიფული სასიძო საპატარძალზე, ანდა ჭარმაგი კაცი ცხოვრების უკანასკნელ, ფარულ გრძნობაზე.

– უბრალოდ სახლზე არაა საუბარი, მისტერ რორკ, – გაუბედავად უხსნიდა გულს მასპინძელს, თან იმგვარი რიდით, თითქოს თავისზე ბევრად უფროს და გამოჩენილ ადამიანს ელაპარაკებოდა, – იცით, როგორაა... სიმბოლოსავითაა ჩემთვის. მთელი ეს წლები ამას ველოდი, ამისთვის ვიდგამდი წელებზე ფეხს. მთელი ცხოვრება... უნდა აგიხსნათ, ყველაფერი გიამბოთ. დღეს უკვე დიდი ფულის პატრონი ვარ, იმდენის, შემიძლია, აღარც ვთვალო. ოღონდ, სულ ასე არ ყოფილა ჩემი საქმე. იქნებ მეტისმეტად გვიანაც გამიმართლა, ვერ გეტყვით. ახალგაზრდებს ჰგონიათ, მწვერვალზე ფეხი თუ შედგი, გავლილი გზა მაშინვე პირწმინდად გავიწყდება კაცს. არაა ასე. რაღაც მუდამ რჩება. ჩემი ბავშვობა არასდროს დამავიწყდება ჯორჯიაში დავიბადე, სოფელში. სულ პატარა ბიჭი ვიყავი, მჭედლის შეგირდად რომ დავიწყე მუშაობა... ცუდ ამინდში სამჭედლოსთან ეტლი რომ ჩაიქროლებდა და თავფეხიანად ტალახში ამომგანგლავდა, ჩემი ტოლ-ამხანაგები სიცილით იხოცებოდნენ. აი, მაშინ გადავწყვიტე მტკიცედ, ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი სახლი მექნება-მეთქი, ზუსტად ისეთი, რომლისკენაც ის ეტლები მიქროდნენ. მერე და მერე, როგორც არ უნდა გამჭირვებოდა, სულ იმ სახლზე ვფიქრობდი და ეს მშველოდა. წლები გავიდა და ახლა შიში გამიჩნდა _ აშენება უკვე შემეძლო, არადა, რაღაცის მეშინოდა. ბოლოს, ეტყობა,ამის დროც დადგა. გესმით, არა, მისტერ რორკ? ოსტინმა მითხრა თქვენზე, თუ გაგიგებს, მარტო ის გაგიგებსო.

– დიახ, – გახალისდა რორკი, – ნამდვილად მესმის.

– ერთ სახლს დავადგი თვალი, – გააგრძელა მისტერ მანდიმ, – ჩემი მშობლიური სოფლის სიახლოვეს. მთელ ოლქში გამორჩეული ნაგებობაა, ძველი პლანტატორ რენდოლფების საგვარეულო სამოსახლო. ახლა მაგისთანას ვიღა აშენებს. ბავშვობაში რაღაც-რაღაცეები მიმქონდა ხოლმე იქ, უკანა კართან. აი, ზუსტად მასეთი სახლი მინდა, მისტერ რორკ. იმის ასლი. ოღონდ, ჯორჯიაში არა. ჯორჯიაში დაბრუნებას აღარ ვაპირებ. აქვე, ქალაქის შორიახლოს. მიწა უკვე ვიყიდე. თქვენი დახმარებით, იქაურობას მართლა რენდოლფების მამულს დავამსგავსებ. ხეებს დავრგავთ, ბუჩქებს გავაშენებთ როგორც ჯორჯიიდან მახსოვს, ისე... ყვავილნარიო, ესაო, ისაო... ეჭვი არ მეპარება, აქაც იხარებს ყველაფერი. ფასის ამბავი არ მაღელვებს. ცხადია, დღევანდელ დღეს უკვე ელექტრობასაც გავიყვანთ და მანქანებისთვის ფარეხსაც ავაშენებთ – რაღა დროს ეტლები და ცხენებია! ოღონდ, რა მინდა, იცით, ჭაღები დიდ სასანთლეებს უნდა ჰგავდეს და ავტოფარეხი აუცილებლად თავლას. როგორც რენდოლფების დროს იყო. მაშინდელი ფოტოებიც მაქვს. იმათი ავეჯის ნაწილიც შევისყიდე.

მერე რორკი ალაპარაკდა და მისტერ მანდიც მოკრძალებული

მკითხველთა ლიგა

გაოცებით უგდებდა ყურს. ჰაუარდის სიტყვებს თითქოს არც გაუბრაზებიათ,უბრალოდ,ეს სიტყვები ვერც აღწევდნენ მის ცნობიერებამდე:

"როგორ ვერ ხვდებით?!" – ცხარობდა რორკი, – "თქვენ ძეგლის დადგმა გინდათ, თანაც არა საკუთარი თავისთვის, არა თქვენი ცხოვრების ან მიღწევებისთვის. ვიღაც სხვა ადამიანებს უდგამთ ძეგლს, იმათ წარსულ უპირატესობას თქვენთან შედარებით. არადა, ის უპირატესობაც არ გაღიზიანებთ. პირიქით უკვდავებასაც ანიჭებთ. ერთხელ და სამუდამოდ კი არ დაივიწყეთ, მარადიულ ნიშანსვეტად გადაიქციეთ. ვითომ ბედნიერი იქნებით, მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ვიღაცისგან ნასესხებ გარემოში თუ გაატარებთ? არ ჯობია, ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდეთ და ახალი, საკუთარი სახლი ააშენოთ? თქვენ რენდოლფების სახლი კი არ გჭირდებათ, არამედ რასაც ის განასახიერებდა. არადა, მთელი ცხოვრება სწორედ მაგას ებრძოდით."

მისტერ მანდი გაოგნებული უსმენდა. და რორკსაც ერთხელ კიდევ დაეუფლა არარეალურთან შეჯახებით გამოწვეული უცნაური უძლურების განცდა: არ არსებობდა არავითარი მისტერ მანდი... მხოლოდ "'რენდოლფ-ფლეისის" დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ხალხის აჩრდილებიღა დაშრიალებდნენ ოთახში, იმათ კი ვერც მოსთხოვდი რამეს და ვერც რაიმეში დაარწმუნებდი.

– არა, – თქვა ბოლოს მისტერ მანდიმ, – შეიძლება, მართალიც იყოთ, მაგრამ მე მაინც "რენდოლფ-ფლეისი" მინდა.

– რატომ?

– რა ვიცი. მომწონს, მორჩა და გათავდა.

მერე, როცა რორკმა განუცხადა, სხვა არქიტექტორი ეძიეთო, მოულოდნელად აჯახა:

– მაგრამ მე თქვენ მჭირდებით! რატომ არ გინდათ, ამ პროექტს ხელი მოჰკიდოთ? რა გიშლით ხელს?

რორკს ხმა არ გაუღია.

მოგვიანებით ჰელერმა უთხრა: "ასეც ვიცოდი, ჰაუარდ, უარზე რომ დადგებოდი. არც გსაყვედურობ უბრალოდ, ძალიან მდიდარია... ასეთი კაცი ბევრგან გამოგადგებოდა. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაც ხომ გინდა."

– არა ამ ფასად. – გაეპასუხა რორკი.

• • •

აპრილში უკვე თავად ნათანიელ ჯეინზმა დაურეკა "ჯეინზ-სტიუარტის უძრავი ქონების სააგენტოდან" და საკუთარ ოფისში მიიწვია. ბატონი ჯეინზი პირდაპირი და შეუვალი ადამიანი იყო და პირდაპირვე მიახალა, რომ მის კომპანიას სურდა ერთი მომცრო, ასე, ოცდაათიოდე სართულის ნაგებობის აშენება ქვედა ბროდვეიზე და თუმცა არქიტექტორი რორკი სულ არ ეხატებოდა გულზე, მეგობარმა, ოსტინ ჰელერმა, დაჟინებით ურჩია, გინდა თუ არა, ერთხელ მაინც უნდა შეხვდე და და ელაპარაკოო... ახლა კი სწორედ რომ შესაფერისი დრო იყო და აინტერესებდა, ამისთანა რა ჰქონდა სათქმელი მისტერ რორკს, არქიტექტორს?

რორკს კი უდავოდ სათქმელი ბევრი ჰქონდა. მართლა უნდოდა ამ შეკვეთის მიღება მისი ნება ყოფილიყო და, იარაღის მუქარითაც გამოსძალავდა... ოღონდ სულ მალე შენობაც გადაავიწყდა, შეკვეთაც და ზოგადად, არქიტექტურაზე ალაპარაკდა:

მკითხველთა ლიგა

– მისტერ ჯეინზ, როცა მანქანას ყიდულობთ, მოგდით თავში, რომ ფანჯრებს გარშემო ყვავილები ჰქონდეს შემოვლებული, ფარების თავზე – ხახადაფჩენილი ლომები, სახურავზე კიდევ კუპიდონი შემოსკუპებულიყოს?

– დიდი სისულელე იქნებოდა. – თქვა მისტერ ჯეინზმა.

– მერედა, რატომ? აკი ლუი XIV ზუსტად ასეთი კარეტით დაბრძანდებოდა და რაც საფრანგეთის დიდი მეფისთვის ვარგოდა, ჩვენ რატომ უნდა დავიწუნოთ? განა ეს გარკვეული ტრადიციის დარღვევა არ იქნებოდა?

– ახლა არ მითხრათ, რომ სერიოზულად ლაპარაკობთ!

– არ გეტყვით. მაგრამ ხომ დაიჯერეთ, ცოტათი მაინც? ახლა თუნდაც ადამიანის სხეული ავიღოთ: გენდომებოდათ, შემოქმედს რომ სირაქლემისბუმბულიანი კუდი მოეცა თქვენთვის? ან იაგუარის ბეწვით დაეფარა ადამიანის სხეული? ამ სიშიშვლეს აღარ აჯობებდა?! თან, ასე ვთქვათ, ესთეტიკური თვალსაზრისით, ლამაზი ლაქებითაც იქნებოდა გაწყობილი... არ ისურვებდით? და რატომ მერე? იმიტომ, რომ სრული უაზრობა იქნებოდა! იმიტომ, რომ ადამიანის სხეულს ერთი კუნთიც კი არ გააჩნია ზედმეტი და უსარგებლო... სწორედ ეს განაპირობებს მის საოცარ ფუნქციონალურობასა და, შესაბამისად, მშვენიერებას! და განა იგივე არ ითქმის შენობებზეც?! რატომ გინდათ, რომ მისი ფასადი მისსავე დანიშნულებასთან სრულ შეუსაბამობაში იყოს? რატომ უნდა ჰგავდეს იგი რაღაც კონგლომერატს, ათი სხვადასხვა სახეობის ცხოველის რაღაც კოშმარულ ნაჯვარს? არა, მართლა მინდა ამიხსნათ, რადგან თავად მე ამაზე პასუხი გამიჭირდება...

– ეე... მართალი გითხრათ და, ამაზე არასოდეს მიფიქრია... – მერე კი დაუმატა, უკვე არცთუ ისეთი თვითდაჯერებით, – ოღონდ ჩვენი შენობა სწორედაც ღირსებითა და მშვენიერებით მინდა გამოირჩეოდეს, ნამდვილად მშვენიერი უნდა იყოს!

– მერე, რას ეძახით თქვენ მშვენიერებას? გულახდილად ბრძანეთ, მისტერ ჯეინზ, მართლა თვლით, რომ დორიული სვეტები და თაბაშირის ხილეულობით სავსე კალათები ღირსებასა და მშვენიერებას მატებს თანამედროვე, ლითონითა და შუშით ანაგებ ოფისს?

– მაგრამ ესაა, რასაც ხალხი ითხოვს!

– და რატომ გგონიათ, რომ ამას ვინმე ითხოვს?

– რა ვიცი, ასე კი ამბობენ და...

– განა არ იცით, რომ ხალხის უმრავლესობა იმით კმაყოფილდება, რასაც შესთავაზებენ და საკუთარი აზრი არასოდეს გააჩნია? და გინდათ, იმათ ენდოთ, ვინც იმას ითხოვს, რაც, მათი აზრით, თქვენ უნდა გინდოდეთ?! რა გამოვა ახლა თქვენ იტყვით უარს საკუთარ აზრზე?

– ძალით ხომ არ მოახვევ საზოგადოებას საკუთარ აზრს...

- და რა საჭიროა? მოთმინება იქონიეთ, და რაკიღა საღი აზრი თქვენს მხარეზე იქნება, ადრე თუ გვიან და უფრო ადრე, ვიდრე გვიან ისევ თქვენ გაიმარჯვებთ!

– იქნებადა, მართალიც იყოთ... – დაეთანხმა მისტერ ჯეინზი; უკვე საუბრის ბოლოს კი უთხრა:

– ვერ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი უაზრობად მეჩვენებოდეს, მისტერ რორკ. მოვიფიქრებ და მალე შეგეხმიანებით.

ერთი კვირის შემდეგ დაურეკა: "საბოლოო გადაწყვეტილებას დირექტორთა საბჭო მიიღებს. გინდათ, ბედი სცადოთ, რორკ? გეგმები და ესკიზების მონახაზი გაამზადეთ. საბჭოს თავადვე წარვუდგენ. დაპირებით ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ თქვენს მხარეს ვარ და კბილებით ვიომებ.

მკითხველთა ლიგა

რორკმა ორი კვირა თავაუღებლად იმუშავა, დღე და ღამეს ასწორებდა... ნახაზები განსახილველად საბჭოს წარუდგინა. მერე თავადაც მიიწვიეს "ჯეინზ-სტიუარტის უძრავი ქონების სააგენტოს" დირექტორატის სხდომაზე. გრძელ მაგიდასთან იდგა და ლაპარაკობდა, მზერა კი ნელ-ნელა, მძიმედ გადაჰქონდა ერთი სახიდან მეორეზე, თუმცა თვალის კიდით მაინც ამჩნევდა თორმეტი კაცის წინ მიმობნეულ თეთრ ფურცლებს საკუთარ ნამუშევარს. უამრავი შეკითხვა დაუსვეს. დროდადრო მისტერ ჯეინზი წამოხტებოდა ხოლმე, მის მაგივრად ცდილობდა პასუხის გაცემას, ცხარობდა და ხელებს იქნევდა: "რა, ვერ ხედავთ? გაუგებარია რამე?.. მერედა რა, მისტერ გრანტ? რა მოხდა, თუკი მსგავსი არასდროს არავის აუშენებია?.. გოთიკა, მისტერ ჰაბარდ? რატომ მაინცდამაინც გოთიკა?.. იცოდეთ, თუ დაიწუნებთ, ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ!"

რორკი კი მშვიდად ლაპარაკობდა. ოთახში ერთადერთი ის იყო საკუთარ სიტყვებში დარწმუნებული და აღარც იმაში ეპარებოდა ეჭვი _არანაირი იმედი აღარ დარჩაო. თორმეტივე სახე სხვადასხვაგვარად უშფოთველი და შეუვალი კი ჩანდა, მაგრამ რაღაც არა ფერი ან ნაკვთები თითქოს მაინც მათემატიკური საერთო მნიშვნელივით ერთნაირად შლიდა ყოველგვარ გამომეტყველებას და სახეებიც სახეებს კი არა, ხორცის ოვალურ, უტყვ მასას ჰგავდნენ. ყველას მიმართავდა ერთდროულად და თან არც არავის მიმართავდა. ოღონდ პასუხი არ ისმოდა, ის კი არა, საკუთარი სიტყვების ექოც არ აღწევდა ყურის მემბრანამდე, სიტყვები ჭაში ცვიოდნენ, გზადაგზა ქვის წახნაგებს ეჯახებოდნენ და ყოველი ქვა უარს ამბობდა მათ შეჩერებაზე, პირიქით ისხლეტდა და სისწრაფეს მატებდა, აქეთ-იქით ახლიდა და ქვევით, არარსებული ფსკერისკენ ისროდა...

ბოლოს უთხრეს, საბჭოს გადაწყვეტილებას წერილობით შეგატყობინებთო და დაემშვიდობნენ. წინასწარვე იცოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. წერილი რომ მოუვიდა, ყოველგვარი გრძნობისგან ერთიანად დაცლილმა წაიკითხა, "ძვირფასო მისტერ რორკ," – საბჭოს სახელით სწერდა მისტერ ჯეინზი, – "ძალზე ვწუხვარ, გაცნობოთ, რომ დირექტორთა საბჭო ამჟამად შესაძლებლად არ მიიჩნევს..." მკაცრი, ფორმალური ტონის მიღმაც კი იგრძნობოდა იმ კაცის ვედრება, რომელსაც მომავალში, ალბათ, მისთვის თვალის გასწორება ძალზე გაუჭირდებოდა.

• • •

სიყმაწვილეში ჯონ ფარგო ხელზე მოვაჭრე იყო და ქუჩა-ქუჩა დააგორებდა წვრილმანებით დატვირთულ პატარა ურიკას. როცა ნახევარ საუკუნეს უწია, უკვე გვარიანი ქონების და ერთობ მომგებიანი უნივერმაღის პატრონი გახდა, მეექვსე ავენიუს ბოლოში. რამდენიმე წელი წამატებით ებრძოდა და უმკლავდებოდა უფრო დიდ სავაჭრო ცენტრს ქუჩის გადაღმა მაღაზიების მთელი ქსელის მფლობელი მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთ-ერთ საკუთრებას. გასული წლის მიწურულს ამ ოჯახმა სავაჭრო ცენტრი ქალაქის განაპირას, ახალ უბანში გადაიტანა. ვიღაცეებმა დაარწმუნეს, საცალო ვაჭრობის მომავალი სწორედ იქ გაიფურჩქნებაო და იმათაც გადაწყვიტეს, დროზე გასცლოდნენ შეჩვეულ ადგილს, საკუთარი ნებით დაუტოვეს ბურთი და მოედანი მუდმივ მეტოქეს აბა, ახლაც ივაჟკაცე, თუ მაგარი ბიჭი ხარო. ჯონ ფარგომ გამოწვევა ღირსეულად მიიღო და საჯაროდ განაცხადა

მკითხველთა ლიგა

კიდევ ერთ, ახალ მაღაზიას ავაშენებ, ამავე უბანში, უკვე არსებული უნივერმაღის გვერდითო;
მსგავსი ჯერ არაფერი აშენებულა ჩვენს ქალაქში და მომავალი ვისია,მაგასაც ვნახავთო.

რორკი რომ დაიბარა ოფისში, მიკიბ-მოკიბვა არ დაუწყია ვნახავ, მოვიფიქრებო... არქიტექტორი შენ უნდა იყო, გადაწყვეტილი ამბავიაო, აჯახა თავიდანვე. ფეხები მაგიდაზე შემოალაგა, ჩიბუხი გააწყო და ერთდროულად დაიწყო ირგვლივ ბოლისა და სიტყვების ფრქვევა: "ადგილს გაჩვენებ და გეტყვი, რამდენის დახარჯვას ვაპირებ. მეტი დასჭირდება მეტყვი. დანარჩენი შენი საქმეა. შენობების მე პირადად, ბევრი არაფერი გამეგება, მარა მცოდნე კაცს კოჭებში ვატყობ. აბა, შენ იცი!"

რორკი კი იმიტომ ამოირჩია, ერთ დღეს გოუენის ბენზინგასამართ სადგურთან ჩაევლო, მანქანა გაეჩერებინა, შიგ შესულიყო და რაღაც-რაღაცეები გამოეკითხა. მერე, თურმე, ჰელერის მზარეულიც მოისყიდა და პატრონის არყოფნაში მთელი სახლი საფუძვლიანად დაათვალიერა შიგნიდან და გარედან. სხვა საბუთი აღარც დასჭირვებია.

მაისის ბოლოს, როცა რორკის სამუშაო ოთახი თითქმის მთლიანად მოიფინა ფარგოს მაღაზიის ესკიზებით და ნახაზებით, კიდევ ერთი დამკვეთი გამოუჩნდა.

თავის დროზე, კარგა ხნის წინ, მისტერ უიტფორდ სენბორნის, ამ ახალი მუშტრის ოფისი ჰენრი კამერონს დაეპროექტებინა. როცა სენბორნმა სოფლად სახლის აშენება გადაწყვიტა, ცოლის მოსაზრებებს ანგარიში არ გაუწია და ისევ კამერონს მისწერა წერილი. კამერონმა ათგვერდიანი პასუხი გამოუგზავნა; პირველი სამი სტრიქონი იმის ახსნას დაუთმო, დავბერდი და საქმეს თავი მივანებეო, დანარჩენი მთლიანადჰაუარდ რორკს ეხებოდა. რორკმა ვერც ვერასოდეს შეიტყო, რას სწერდა კამერონი სენბორნს არც ერთი ეტყოდა ამას და არც მეორე უჩვენებდა წერილს მაგრამ მისის სენბორნის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახლის აშენება სწორედ მას მიენდო საბოლოოდ.

მისის სენბორნი არაერთი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე იყო და სწორედ ამით უნდა ახსნილიყო ერთმმართველობისკენ მისი იმდენად ძლიერი მიდრეკილება, ძნელად რომ რაიმე სხვა საქმიანობამ გააღვივოს ადამიანში. ის ფრანგულ შატოზე ოცნებობდა, სწორედ ასეთად ხედავდა საკუთარ ახალ სახლს ჰადსონის პირას; თან უნდოდა, ისეთი დიდებული და არქაული იერიც ჰქონოდა, თითქოს უხსოვარი დროიდან იქ ეცხოვრა მათ საგვარეულოს. ცხადია, ყველას ეცოდინება, ასე რომ არაა, მაგრამ შთაბეჭდილება ხომ შეიქმნებაო, უმტკიცებდა ქმარს.

მისტერ სენბორნმა ხელშეკრულებას მას მერე მოაწერა ხელი, როცა რორკმა დაწვრილებით აუხსნა, რისი მოლოდინი შეიძლებოდა ჰქონოდა მისგან დამკვეთს; სენბორნი ყველაფერზე ხალისით დაეთანხმა, ესკიზების ნახვაც კი არ მოუთხოვია. ”ოღონდ, რა თქმა უნდა, თანამედროვე სახლი მინდა,” - თქვა დაღლილი ხმით, – "კამერონი სწორედ ასეთს დამპირდა.”

– და დღეს ვის რაში აინტერესებს, შენი კამერონი რას ააშენებდა?- ხმა აიმაღლა მისის სენბორნმა.

– არ ვიცი, ფანი. მარტო ის ვიცი, რომ რაც კამერონმა დადგა, მთელ ნიუ-იორკში იმის ფასი არაფერია.

კამათი დაუსრულებლად გრძელდებოდა ხოლმე სენბორნის ვიქტორიანული ეპოქის სტილში გაწყობილ, წითელი ხის ავეჯით მორთულ

მკითხველთა ლიგა

კაბინეტში. ერთხელაც, რორკი ჯიქურ დაეკითხა: "ბოლოს და ბოლოს, მისტერ სენბორნ ნუთუ მართლა ესაა, რაც გინდათ?”

“ჩემო კარგო, თუ ასე დაიჟინებთ..." – გაეპასუხა მისის სენბორნი, მაგრამ ქმარმა აღარ აცალა, – ”ღმერთო დიდებულო! სწორია ეს კაცი, ფანი! ესაა სწორედ, რაც მე არ მინდა! ყელში ამომივიდა!”

რორკს ხმაც კი არავისთვის გაუცია, ვიდრე პროექტი არ მოამთავრა. უბრალო ნათალი ქვით ნაშენი, მოზრდილფანჯრებიანი და ერთმანეთში გარდამავალტერასებიანი სახლი ზედ მდინარეზე გადმოკიდებულ ბაღში იდგა, კედლები კი ისე ბუნებრივად ერწყმოდა ლანდშაფტს, პირდაპირ წყლიდან ამოზრდილი გეგონებოდათ, ხოლო ხეები შიგ შენობაში ჩარგული... და ასე ჩანდა, სახლი კი არ აკავებდა, პირიქით თითქოსდა აგროვებდა მზის ნათელს, შემდგომ ყოველ კუთხე-კუნჭულში მოსაფენად.

მისტერ სენბორნი, რა თქმა უნდა, პირველი იყო, ვინაც ნახაზები იხილა. ერთხანს მდუმარედ დასჩერებოდა ქაღალდებს, მერე კი ამოღერღასავით: ”არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო, მისტერ რორკ... კამერონი სრულ სიმართლეს ამბობდა თქვენზე!”

თუმცა, მას მერე, რაც სხვებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი, მთლად ასე დარწმუნებულიც აღარ ჩანდა; მაგალითად, მისის სენბორნი ამტკიცებდა, საშინელებააო და საღამოობით ცოლ-ქმრის უსასრულო კამათიც განახლდა: ”არა, გამაგებინე ერთი, რატომ არ შეიძლება საბუხრე კოშკურების მიმატება? ადგილი არაა თუ რა?” მერე, როცა ეს თემა ამოწურულად ჩათვალა, ფანჯრებზე გადავიდა: "არ მესმის, ამსიფართე ფანჯრები რა საჭიროა?! კარგი, ვთქვათ და, ასეა გათვლილი დატიხვრას რა უდგას წინ? ეს ისეთ, მე ვიტყოდი, გვიანი შუა საუკუნეების ატმოსფეროს შემოიტანდა ოთახებში...”

ასევე, ვისაც კი მისის სენბორნმა გაუზიარა თავისი უკმაყოფილება, ყველამ წამსვე აუბა მხარი: მისის უოლინგმა პროექტს „აბსურდული”,ხოლო მისის ჰუპერმა ”მოუმთავრებელი” უწოდეს; მისტერ მელანდერმა, თავის მხრივ, დაამატა ამგვარ რამეს საჩუქრადაც არ ვინდომებდიო... ქ-ნმა ეპლბიმ, რატომღაც, ის ფეხსაცმელების ფაბრიკას მიამსგავსა, მის დევიტმა კი ერთი დახედა ნახაზებს და, მთლად გადასარევიაო, – დაასკვნა, – ასეთი გიჟური იდეა თავისთავად დასაფასებელიაო...

ოჯახის უმცროსი თაობის წარმომადგენლები კი ლამის წაიკიდნენ ამ ნიადაგზე: ჯუნ სენბორნი, 19 წლისა, მუდამ იმ აზრისა იყო, რომ არქიტექტორები, საზოგადოდ, რომანტიკულები არიან და ძალიანაც გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ძალზე ახალგაზრდა კაცზე შეჩერდა არჩევანი; მაგრამ მერე არც რორკი მოეწონა, არც რორკის მხრიდან მისი კეკლუცობის იგნორირება და განაცხადა ასეთ სიმახინჯეში რა მაცხოვრებსო. რაც შეეხება 24 წლის რიჩარდს, რომელიც ერთ დროს კოლეჯის
ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, ახლა კი მთლად გალოთებულიყო, კაცმა არ იცის დედის ჯინაზე თუ გემოვნების მოდერნისტული გადახრების გამო მომავალი საცხოვრებელი ”სენბორნთა ვარსკვლავად “მონათლა...

თავად უიტფორდ სენბორნი მუდამ ახერხებდა ორ ცეცხლშორის მოხვედრას და, ძირითადად, რორკს ემუდარებოდა: „ ე-ე... რაღა თქმა უნდა, დატიხრული ფანჯრები ეს, ასე ვთქვათ, სრულიად ზედმეტი იქნებოდა... მაგრამ რაიმე ისეთი, ვთქვათ და პაწია მოჩუქურთმებული ლავგარდანი რომ დაგვეყოლებინა ვითომ გააფუჭებდა რამეს? ოჯახშიც, ასე ვთქვათ, კონსენსუსი... თუ გააფუჭებდა?”

მკითხველთა ლიგა

დავა-კამათს ისევ რორკმა მოუღო ბოლო ან ნახაზზე მისტერ სენბორნ-უფროსის ხელმოწერა იქნება და სახლიც ზუსტად პროექტის მიხედვით აშენდება, ან არადა, კარგად მეყოლეთ ყველანიო. მისტერ სენბორნმა ამოიოხრა და მერეღა მოაწერა ხელი.

ქ-ნ სენბორნის გასახარად, არც ერთი სახელოვანი სამშენებლო ფირმა არ ჩქარობდა, კონტრაქტს დაჰპატრონებოდა. „ ხედავ?" – ნიშნისმოგებით ეკითხებოდა ქმარს, ის კიდევ ვერაფერს ხედავდა სადღაც ვიღაც გამოძებნა, ვინც "ხათრით" დასთანხმდა მშენებლობის დაწყებას. ქ-ნმა სენბორნმა ამ ფორმულირებას წამსვე მიაქცია სათანადო ყურადღება და მაღალ საზოგადოებაში მიღებული ყველა წეს-კანონის დარღვევით, ფირმის წარმომადგენელი სახლში დაპატიჟა, ჩაიზე. ამ დროისთვის არავითარი მშენებლობა მას უკვე აღარ აინტერესებდა თავი და თავი ახლა
რორკი და მისდამი სიძულვილი იყო. როგორც აღმოჩნდა, ფირმის თავკაცი არათუ იზიარებდა მასპინძლის შეხედულებას, უფრო შორსაც მიდიოდა მას ზოგადად არქიტექტორების ჯინი სჭირდა...

თავად სახლის მშენებლობა კი მთელი ზაფხული და შემოდგომის უმეტესი ნაწილი, ყოველდღიური შეხლა-შემოხლისა და დავა-კამათის თანხლებით მიმდინარეობდა: "დამაცადეთ, მისტერ რორკ! როგორ თუ არაფერი მითქვამს! სამი საპირფარეშო მარტო ამ სართულზე მჭირდება-მეთქი, გითხარით! აი, სწორედ მაშინ, ჩემი ქმარი იმ დიდ სავარძელში რომ იჯდა და მე კიდე... ნახაზები? რა ნახაზები? მაგ ნახაზებში რა გამარკვევს?!" ანდა "დეიდა როზალიმ თქვა, მაგ დაგრეხილ კიბეზე ვერაფრით ავალ! რა ვქნათ ახლა, მისტერ რორკ თქვენი კიბის მიხედვთ შევარჩიოთ ხოლმე სტუმრები?! მისტერ ჰუბერტმა კიდევ ეს ჭერი ვერ გაუძლებსო... რა ბრძანეთ? ო, როგორ თუ ვერ ერკვევა, ძალიანაც კარგად ერკვევა მთელი ორი ზაფხული გაატარა ვენეციაში!.." შიგადაშიგ კიდევ დედობრივი გრძნობებიც მოაწვებოდა ხოლმე: "საბრალო ჯუნი ამბობს, მაგ საკანივით ბნელ ოთახში ვერ დავიძინებო... შეიძლება, მისტერ რორკ, მაგრამ ის ასე გრძნობს და რა ვქნა?"

რორკი ღამეებს ტეხდა პროექტში იმ ცვლილებების შესატანად, რომლებსაც თვით ისიც კი ვერ აიცილებდა თავიდან და ასე იყრებოდა უკვე დაგებული იატაკი, იშლებოდა კიბეები, იგებოდა ახალ-ახალი ტიხრები... ეს კი უშუალოდ მშენებლობის ბიუჯეტზე ისახებოდა. "გეუბნებოდით მე თქვენ," – გაიძახოდა ფირმის წარმომადგენელი, – "ეგრეა, ვიღაც მოდურ არქიტექტორს რომ მიენდობით ხოლმე... ჯერ სადა ხართ!"

მერე კი, სახლის კონტურები რომ გამოიკვეთა, უკვე თავად რორკს მოუნდა რაღაც-რაღაც ცვლილებების შეტანა. აღმოსავლეთ ფლიგელით ბოლომდე კმაყოფილი თავიდანვე არ იყო და მშენებლობას რომ ადევნებდა თვალს, მერეღა მიხვდა, რა შეცდომაც დაეშვა და გამოსწორების გზაც დაინახა; იცოდა შეცდომა თუ გამოსწორდებოდა, სახლი ლოგიკურად უფრო "შეიკვრებოდა". უშუალოდ მშენებლობას პირველად ხელმძღვანელობდა და ბევრი რამის სწავლა საქმეში, გზადაგზა უხდებოდა. თან არც ამის ხმამაღლა აღიარება უჭირდა. მაგრამ მისტერ
სენბორნი აღარაფრის შეცვლას არ სთანხმდებოდა; კაცმა რომ თქვას, უფლებაც ჰქონდა. რორკი ლამის ევედრებოდა: რაკი ახლებური ფლიგელი გონებაში უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, არსებულის შეხედვა თითქმის ფიზიკურ ტკივილს აყენებდა. „არა, განა არ გეთანხმები," – ეუბნებოდა მისტერ სენბორნი, ცოტა არ იყოს, მკაცრად, –

მკითხველთა ლიგა

”სინამდვილეში, მეც იმავე აზრისა ვარ, ოღონდ მეტისმეტი ფუფუნების უფლებასაც ვერ მივცემ თავს. ძალიან ვწუხვარ.”

– ეგ გაცილებით იაფი დაგიჯდებათ იმ უაზრო ცვლილებებთან შედარებით, რაზეც თქვენმა მეუღლემ ძალით დამითანხმა!

– ძველი ამბების ჩხრეკას ნუ დამიწყებ ახლა...

– მისტერ სენბორნ, – რორკმა თავს ძალა დაატანა და ხმაში ხვეწნა გაურია, – არც იმ შემთხვევაში მომიწერთ თანხმობაზე ხელს, ეს ცვლილება პირადად თქვენ თუ საერთოდ არაფერი დაგიჯდებათ?

– მაგ სასწაულს თუ მოახდენ...

მართლაც მოაწერა. ფლიგელი ხელახლა ააშენეს. ყველაფრის ფული რორკმა გადაიხადა საკუთარი ჯიბიდან და აღებულ მთელ გასამრჯელოზე ძვირიც დაუჯდა. მისტერ სენბორნი შეცბასავით: ჯიბეზე ხელის გაკვრაც კი დააპირა, მაგრამ ცოლმა გააჩერა. ”ეშმაკობს, ვერ ხვდები?“ – უთხრა ქმარს, – "ნამუსზე გაგდებს. დარწმუნებულია, ფულის გადახდას არ დაანებებ. ცოტა მოიცადე და ნახავ. თვითონვე გთხოვს, თავი არ გაასულელებინო.” რორკს არაფერი უთხოვია. თუმცა, აღარც მისტერ სენბორნი შეუწუხებია მაინცდამაინც სინდისს.

მშენებლობა დასრულდა და მისის სენბორნმა ახალ სახლში გადასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მისტერ სენბორნი დასევდიანდა, მაგრამ იმდენად დაღალა გამუდმებულმა დავა-კამათმა, ხმამაღლა არც არავისთვის უთქვამს ძალიანაც მომწონს და საერთოდ, მუდამ ამისთანა სახლზე ვოცნებობდიო. დაყარა ფარ-ხმალი და დანებდა. არც შიგნიდან მოუწყვიათ ოთახები და არც ავეჯი შეუტანიათ შიგ. მისის სენბორნმა მოჰკიდა ხელი ქმარს და ქალიშვილს და მთელი ზამთრით ფლორიდაში გაემგზავრა: იქ, ღვთის წყალობით, ნამდვილი ესპანური ვილა გვაქვს, კიდევ კარგი, უკვე აშენებული ვიყიდეთ და ვიღაც დარტყმული არქიტექტორის ხუშტურების აყოლა არ მოგვიწევსო! სენბორნების ვაჟმა კი, ყველას გასაოცრად, უეცარი ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინა ცოცხალი თავით არ აჰყვა დანარჩენებს ახალი სახლი ისე მოეწონა, სხვაგან ცხოვრება ვეღარც წარმოედგინა. სამ თუ ოთხ ოთახში მაინც შეატანინა ავეჯი და ოჯახის გასტუმრების შემდეგ, მარტოდმარტო დაბინავდა ჰადსონის პირას. ღამღამობით მდინარის მხრიდან კარგად მოჩანდა ხოლმე დიდი, ჩამკვდარი სახლის ერთადერთი მართკუთხა, ყვითლად განათებული ფანჯარა...

"ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" ბიულეტენში პატარა ცნობა გამოქვეყნდა:

"სატირალი რომ არ იყოს, მართლაც სასაცილო იქნებოდა, რა უცნაური ამბავიც შევიტყვეთ ცნობილი მეწარმის, მისტერ უიტფორდ სენბორნის ახლად აშენებული სახლის თაობაზე. ვინმე ჰაუარდ რორკის მიერ დაპროექტებულ და ასი ათას დოლარად აგებულ ამ სახლში ცხოვრებაზე მეწარმის ოჯახმა უარი განაცხადა და ისიც მიტოვებული და უკაცრიელი დგას წყლის პირას, როგორც პროფესიული უმწიფრობის თვალსაჩინო მაგალითი.”

14

ლუშეს ნ. ჰეიერი ჯიუტად ამბობდა უარს სიკვდილზე, დამბლის მერე ცოტა გამომჯობინდა და მკურნალი ექიმის წინააღმდეგობისა და გაი ფრენკონის მეგობრული შფოთვის მიუხედავად, სამსახურში დაბრუნდა. ფრენკონმა თავიდანვე შესთავაზა წილის გამოსყიდვა, მაგრამ უფერული, აწყლიანებული თვალებით რაღაც ერთ წერტილს მიშტერებულმა

მკითხველთა ლიგა

ჰეიერმა შორს დაიჭირა. ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ მოდიოდა ოფისში, კაბინეტში შეიკეტებოდა, ძველი წესისამებრ, მისთვის საგანგებოდ დატოვებული კორესპონდენციის ასლებს გადახედავდა, მერე იჯდა საწერ მაგიდასთან და საღამომდე ყვავილებს ხატავდა. საღამოსღა ბრუნდებოდა შინ; სიარულში ცალ ფეხს მიითრევდა. ორივე იდაყვი მაგრად ჰქონდა ფერდებზე მიჭერილი, მკლავები წინ გაეშვირა და მოკრუნჩხული თითები ჩიტის კლანჭებს მიუგავდა. თან გამუდმებით უცახცახებდა. მარცხენა ხელს საერთოდ ვეღარ ხმარობდა. არადა, მაინც ვერ ისვენებდა: ერთი სიხარული დარჩენოდა საკუთარი გვარის ხილვა ფირმის აბრაზე.

ბევრს ფიქრობდა და ვერ გაეგო, რატომ აღარ იწვევდნენ გამორჩეულ დამკვეთებთან შეხვედრებზე, რატომ არ აჩვენებდნენ ნახაზებს იქამდე, სანამ ახალი შენობების მშენებლობა ლამის ბოლომდე არ მოთავდებოდა. ამაზე სიტყვას თუ ჩამოაგდებდა, ფრენკონი ცხარედ ედავებოდა: "კარგი რა, ლუშეს, ახლა შენი ზედმეტად შეწუხება იქნება?! სხვა შენს ადგილას დიდი ხნის წინ დაჯდებოდა შინ და თავს მიხედავდა.”

ფრენკონის ქცევა საგონებელში აგდებდა, აი, კიტინგი კი უკვე საკმაოზე მეტად აღიზიანებდა: საერთოდ აღარ იმჩნევდა, ლამის გამარჯობასაც არ ეუბნებოდა და თვითონ თუ გამოიდებდა თავს და გამოლაპარაკებას დაუპირებდა, წესიერად არც უჩერდებოდა ხოლმე. ერთხელ რაღაც დაავალა რომელიღაც მხაზველს და როცა დავალება არ შესრულდა, იმ მხაზველმა მოახსენა მისტერ კიტინგმა სხვანაირად გადაწყვიტაო. მოკლედ, ჰეიერს ვეღარაფერი გაეგო; კიტინგი ერთ თავაზიან, ყურადღებიან ახალგაზრდად ახსოვდა, მოწიწებით რომ ესაუბრებოდა ძველებურ ფაიფურზე. თავიდან სცადა, რამე ახსნა-გამართლება მოეძებნა; მერე, საკმაოდ სულელურად და უხეიროდ, კიტინგის გულისმოგება დააპირა, ბოლოს მის მიმართ რაღაც აუხსნელი შიშიც კი გაუჩნდა. მერე ყველაფერი ფრენკონს შესჩივლა. შეეცადა, თავისთვის უჩვეულოდ მკაცრად და მბრძანებლურად ელაპარაკა: „ეგ შენი ბიჭი, გაი, ლაწირაკი კიტინგი, ძალიან გავიდა თავს. მეუზრდელება. კინწისკვრითაა აქედან გასაგდები.” "ხედავ, ამას არ გეუბნებოდი?" – მშრალად გაეპასუხა ფრენკონი, – "დროა, სახლში დაჯდე და მოისვენო.ძალით ინერვიულებ თავს და უკვე რაღაც-რაღაცეებიც გეჩვენება."

მერე უკვე '"კოსმო-სლოტნიკის” კონკურსიც გამოცხადდა.

ჰოლივუდის კომპანიამ ”კოსმო-სლოტნიკ ფიქჩერზმა" ნიუ-იორკში დიდი ოფისის აშენება გადაწყვიტა; ცათამბჯენის პირველ სართულზე კინოთეატრი უნდა ყოფილიყო, დანარჩენი ორმოცი კი ოფისებს დაეთმობოდა. არქიტექტორის შესარჩევად მთელი წლით ადრე გამოაცხადეს კონკურსი მსოფლიოს მასშტაბით. ცნობილი იყო, რომ ”კოსმო-სლოტნიკი” არა მარტო მოწინავე იყო კინოხელოვნების ბიზნესში, არამედ ზოგადად ხელოვნებასაც მეცენატობდა, რადგან მის ყოველ სფეროს რაღაც წვლილი მაინც მიუძღოდა კინემატოგრაფიის წინაშე; ხუროთმოძღვრებასაც ესთეტიკის ერთ განხრად განიხილავდა და, ამდენად, მზად იყო, მასაც გადასწვდომოდა.

ერთი სიტყვით, როცა აშუქებდნენ კასტინგს ფილმისთვის "უნდა გავყვე კაპიტანს“ ან "გასაყიდი ცოლების" გადაღებების შესახებ ჰყვებოდნენ, სხვადასხვა ისტორიებსაც მიაყოლებდნენ ხოლმე პართენონსა თუ პანთეონებზე. ბიკინებში გამოწყობილი მის სალი ო'დაუნი რეიმსის საკათედრო ტაძრის კიბეებზე პოზირებდა ფოტოკამერებისთვის; მისტერ პრატ პურსელი კი ინტერვიუებს არიგებდა _ ვინდომებდი, მშენებელი ვყოფილიყავი, კინომსახიობი რომ არ ვიყოო... ვინმე მის

მკითხველთა ლიგა

დიმპლზე უილიამსი თხრობისას რელსტონ ჰოლქომბის, გაი ფრენკონის და გორდონ ლ. პრესკოტის ნააზრევთა ციტირებას მიმართავდა ამერიკული არქიტექტურის ნათელი მომავლის თაობაზე, ხოლო ყველაფერ ამას სერ ქრისტოფერ რენთან წარმოსახვითი ინტერვიუ ასრულებდა _ რას იტყოდა იგი, კინემატოგრაფს რომ მოსწრებოდა... შიგადაშიგ შორტებსა და შემოტკეცილ სვიტერებში გამოწყობილი გოგონები ჩნდებოდნენ, გრძელფრჩხილებიანი თითებით გონიო და სახაზავი ეჭირათ უზარმაზარი ფერადი პლაკატის ფონზე " კოსმო-სლოტნიკი" – აღმშენებლობა". ტექსტი, რაღა თქმა უნდა, ასევე დიდი, ფერადი, თვალში საცემი ძახილის ნიშნით თავდებოდა.

კონკურსი ყველა ქვეყნის არქიტექტორთათვის ღია იყო; შენობა ბროდვეიზე უნდა აღმართულიყო და, სავარაუდოდ, მომავალში თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა და ამერიკელი ხალხის უკვდავი სულის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. "მსოფლიოში ულამაზეს ნაგებობად" კი მას უკვე წინასწარ ნათლავდნენ. განსწავლულ მსაჯულთა სიაში იყვნენ „კოსმოს" წარმომადგენელი მისტერ შუპი, "სლოტნიკის" წარმომადგენელი, თავად მისტერ სლოტნიკი, პროფესორი პეტერკინი სთენტონის უნივერსიტეტიდან, "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" თავკაცი
რელსტონ ჰოლქომბი, ელზუერთ მ. თუი და ნიუ-იორკის მერი, პირადად.

– აბა, შენ იცი, პიტერ! – ყოველმხრივ ამხნევებდა გაი ფრენკონი, – უჩვენე მაგათ! იცოდე, ეს შანსი არ გაუშვა ხელიდან მსოფლიოში სახელს გაითქვამ და 60,000 დოლარიც არაა ურიგო თანხა. ჰო, და კიდევ რა შენს სახელს ფირმის სახელწოდების წინ დავსვამთ, გამარჯვების შემთხვევაში კი პრიზის 1/5-ს მიიღებ!

– მაგაზე ჰეიერი არ წავა...

– წყალსაც წაუღია ჰეიერი! რა ხანია, ჩემს პარტნიორად მიმაჩნიხარ და ახლა უნდა დაამტკიცო კიდეც, რა შეგიძლია!

ხუთჯერ გადააკეთა პროექტი. ჭირის დღესავით სძულდა, ჯერ კიდევ დაწყებამდე. მუშაობის დროს ხელი სულ უკანკალებდა და იმასღა ფიქრობდა, ვაითუ, მართლა მაჯობოს ვინმემო; არა, ამას ვერ დაუშვებდა და უკვე აღარც ვინმე პიტერ კიტინგი არსებობდა, არამედ იმ ტროპიკული ყვავილის მსგავსი რაღაც არსებობდა, მწერს რომ შეიტყუებს და მთელ სასიცოცხლო სითხეს გამოსწოვს...

უცნაურ გაუბედაობას კი მაინც გრძნობდა რატომღაც, მაგიდაზე გაშლილ მაკეტს რომ დაჰყურებდა რენესანსულ სტილში გაწყობილი ორმოცსართულიანი შენობის ცვილის ასლს. რენესანსი იმიტომაც აირჩია, კარგად ახსოვდა ის დაუწერელი კანონი, რომ ყველა ჟიურის მოსწონს სვეტები და თაღები და რომ ამ ჟიურის წევრი რელსტონ ჰოლქომბი იყო. არა, ისე, მაკეტს ნამდვილად არა უშავდა, მხოლოდ... არადა, რა იყო, თავადაც ვერ ხვდებოდა კარგად. უცბად მიხვდა: არავინ ჰყავდა, რომ აზრი მაინც ეკითხა.

მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა: იცოდა, როგორ არ იცოდა, ვისთვისაც უნდა ეკითხა რჩევა, მაგრამ იმ კაცთან აღარ მიესვლებოდა...იმასაც ხვდებოდა, მაინც რომ მივიდოდა და ეს უფრო უკარგავდა მოსვენებას. მერე თავი გააქნია, თითქოს მოუსვენარ ფიქრებს იშორებდა, დახვეული ქაღალდები ტუბუსში ჩატენა და რორკის ოფისისკენ გაემართა.

ჰაუარდ რორკი მარტო იჯდა დიდ ოთახში, რომელსაც რაიმე საქმიანობის არანაირი კვალი არ აჩნდა.

– გამარჯობა, ჰაუარდ! – შესძახა შესვლისთანავე, – იმედია, ძალიან უდროო დროს არ მომივიდა მოსვლა?

მკითხველთა ლიგა

– გაგიმარჯოს... არა, რა უდროოდ.
– დაკავებული ხარ?
– არც ისე.
– ცოტა ხანს ჩამოგიჯდები, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს.
– კი ბატონო.
– ისე, მაგრად გამოგდის რაღაც-რაღაცეები. ფარგოს მაღაზია მოვინახულე, მართლა შესანიშნავია. მოლოცვაც მინდოდა, მაგრამ ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე...
– ვიცი.
– ბედს, მგონი, არ უნდა უჩიოდე სამი შეკვეთა გქონდა წელს, ასეა?
– ოთხი.
– მაგარია. ოღონდ სენბორნებთან გქონია რაღაც პრობლემები, ასე გავიგე.
– ახლაც მაქვს.
– რას იზამ, ხდება ხოლმე. მერე არაფერი?
– არა. ჯერ არა.
– არა უშავს, იქნება. სულ იმას ვამბობ ხოლმე, არქიტექტორებმა ერთმანეთს არ უნდა წავართვათ შეკვეთები და საქმე ყველას გვეყოფა...თუნდაც ეს კონკურსი თქვი... განაცხადი უკვე შეიტანე?
– რა კონკურსი...
– რა და ის კონკურსი. "კოსმო-სლოტნიკის" გამოცხადებული:
– არაფრის გაგზავნას მე არ ვაპირებ.
– მოიცა, როგორ? საერთოდ?..
– დიახ.
– მიზეზი?
– კონკურსებში არ ვმონაწილეობ.
– კი მაგრამ, რატომ?
– გეყოფა, პიტერ. ხომ ვიცი, მაგაზე საკამათოდ არა ხარ მოსული.
– სხვათა შორის, ვიფიქრე, ჩემს მონახაზებს ვაჩვენებ-მეთქი... არა, დახმარებას არ გთხოვ უბრალოდ, აზრი მაინტერესებს, ზოგადი შთაბეჭდილება.
ცოტა არ იყოს, აფორიაქებულმა გახსნა საქაღალდე.
რორკმა ესკიზები ყურადღებით დაათვალიერა. "რას იტყვი?" – შეაპარა კიტინგმა, – "როგორია?"
– საშინელებაა. თვითონაც მშვენივრად იცი.
მერე, რამდენიმე საათის განმავლობაში, კიტინგი უხმოდ იჯდა და რორკის ლაპარაკს უსმენდა; გარეთ ჩამობნელდა, სახლებში ნათურები აინთო, ის კი არ ჩერდებოდა, უხსნიდა, ახალ ხაზებს ავლებდა კიტინგის ესკიზებზე კინოთეატრის შესასვლელის ლაბირინთი მთლიანად წაშალა, დარბაზები გადააკეთა, უსარგებლო თაღები გააქრო, ხვეული კიბე შეცვალა...
– კი მაგრამ, ჰაუარდ, ამდენი თუ შეგიძლია, კონკურსში რატომ არ მონაწილეობ? – ძლივს ამოიღო ხმა კიტინგმა.
_ რომც ვცადო, მაინც არაფერი გამომივა, – მიუგო რორკმა, – გამოვიფიტე. დავიღალე. იმათ რაც უნდათ, მაინც ვერ მივცემ. თუმცა, როცა სხვის ნაცოდვილარს ვხედავ, რაღაც-რაღაცეების გასწორება კი მინდება ხოლმე.
უკვე თენდებოდა, როცა ესკიზებს ერთიანად მოუსვა ხელი და გვერდზე მისწია. "და ფასადი?.." – ჩაიჩურჩულა კიტინგმა.
"ჯანდაბას შენი ფასადი! მაგ რენესანსული მაიმუნობების დანახვა აღარ შემიძლია!" – თუმცა ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო; კიდევ ერთხელ

მკითხველთა ლიგა

დასწვდა ფანქარს და ესკიზზე სწრაფად მოხაზა ახალი ვარიანტი. _" თუ მაინცდამაინც რენესანსი უნდათ, ხარისხიანი რენესანსი მაინც შესთავაზე, საერთოდ თუ არსებობს ეგეთი! შენ მაგივრად მაგას ვერ გავაკეთებ. თვითონ მოიფიქრე. რაღაც ამდაგვარი, მარტივი, პიტერ, უფრო მარტივი, გასაგები და გულწრფელი მთელი ამ სიყალბის მიუხედა-კადაც კი. ახლა სახლში წადი და დანარჩენზე თვითონ იფიქრე."

კიტინგი შინ დაბრუნდა. ლამის უცვლელად გადახაზა რორკის გეგმა. მის ნაჩქარევად მოხაზულ ფასადსაც კოხტა, დასრულებული სახე მისცა. მერე ნახაზები კონვერტში ჩადო და მისამართიც დააწერა.

"კოსმო-სლოტნიკ ფიქჩერზი"
"მსოფლიოს ყველაზე ლამაზი შენობის" კონკურსისთვის
ნიუ-იორკი

კონვერტზე, მისამართის გარდა, სხვა წარწერაც იყო: „ ფრენკონი და ჰეიერი, არქიტექტორები; პიტერ კიტინგი, თანაავტორი."

• • •

იმ ზამთარს რორკს სხვა აღარავინ სტუმრებია, არც ახალი შემოთავაზება ჩანდა, არც შეკვეთა. შებინდებამდე იჯდა ხოლმე საწერ მაგიდასთან და ზოგჯერ შუქის ანთებაც კი ავიწყდებოდა. ოთახში დასადგურებული ერთიანი უძრაობა თანდათანობით თითქოს მის კუნთებსაც გადაედებოდა. ამიტომ ხანდახან წამოხტებოდა, რომელიმე წიგნს ხელს დაავლებდა და კედელს მიახლიდა, მარტო იმიტომ, მკლავი რომ მოექნია, სამარისებურ სიჩუმეში რაღაც ხმა მაინც გაეგონა... საკუთარ თავზე თვითონვე ეღიმებოდა, იატაკიდან წიგნს იღებდა და მშვიდად აბრუნებდა ძველ ადგილზე; მაგიდის ნათურას აანთებდა, კარგა ხნით გაირინდებოდა ერთ ადგილას განათებულ შუქის წრეში ხელებგაქვავებული, მერე ხელებზე დაიხედავდა და ნელ-ნელა აამოძრავებდა თითებს. ზოგჯერ კამერონის წინასწარმეტყველებაც აგონდებოდა და ეს მოგონება ისე შეაკრთობდა ხოლმე, საჩქაროდ პალტოს დასწვდებოდა, შუქს აქრობდა, კარს კეტავდა და შინ მიდიოდა.

გაზაფხული ახლოვდებოდა და უკვე იცოდა, ფული დიდხანს ვეღარ ეყოფოდა. ოფისის ქირას ყოველი თვის პირველ რიცხვში იხდიდა პატიოსნად. ოცდაათდღიან სიმშვიდეს ყიდულობდა თითქოს წინასწარ, თავისი სამუშაო ოთახის კანონიერი მფლობელობის სასიამოვნო განცდას... ყოველ დილით დაწყნარებული შედიოდა იქ. მარტო კალენდარს არიდებდა უნებურად თვალს, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ოცდაათიდან კიდევ ერთი დღე უახლოვდებოდა თავის დასასრულს. მაგრამ
როგორც კი ეს გააცნობიერა, უკვე შეგნებულად მიაჩერდებოდა ხოლმე ჯიუტად. თითქოს რბოლაში მონაწილეობდა, შეჯიბრში ქირის ფულსა და... არა, მეტოქის სახელი არ იცოდა: ქუჩაში ნებისმიერი შემხვედრი შეიძლებოდა ყოფილიყო.

თავის ოთახში რომ ადიოდა, ლიფტიორი უცნაურად, ზარმაცად, ცოტა გაკვირვებითაც კი შეავლებდა ხოლმე თვალს; თუ გამოელაპარაკებოდა, ისიც ეპასუხებოდა, უპატივცემულოდ არა, თუმცა ისე გულგრილად, იოლად მიხვდებოდი უპატივცემულობას ბევრიც აღარაფერი უკლდა. მთელ იმ შენობაში წესიერად არავინ იცოდა, რას საქმიანობდა, რისთვის ქირაობდა ოთახს. მასთან მისული ჯერ არავინ ენახათ. რამდენჯერმე,

მკითხველთა ლიგა

ოსტინ ჰელერის დაჟინებული თხოვნით, ამ უკანასკნელის მიერ გამართულ წვეულებებს დაესწრო. "აჰა-ა, არქიტექტორი ბრძანდებით? მაპატიეთ, ხუროთმოძღვრებაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი. რაიმე ცნობილი დაგიპროექტებიათ?" – ეკითხებოდნენ სტუმრები. როცა პასუხობდა, მუდამ ერთი და იგივე ესმოდა დიახ, დიახ, რა თქმა უნდაო, და მშვენივრად ხვდებოდა, რომ მხოლოდ ზრდილობის გამო ენდობოდნენ სიტყვაზე. მისი აშენებული თვალით არავის ენახა, არც მათი ღირსება-ნაკლოვანების შემფასებელი ჩანდა ვინმე. არქიტექტორ რორკის სახელი და გვარიც აშკარად პირველად ესმოდათ.

მოკლედ, ომს უცხადებდნენ და საბრძოლველად იწვევდნენ, აიძულებდნენ კიდეც ბრძოლას და ისიც უკან არ იხევდა, არჩევანიც არ ჰქონდა, ოღონდ ისიც ვერ გაეგო ხეირიანად, ვინ ჩაეთვალა მოწინააღმდეგედ.

ერთხელაც ერთ მშენებარე, ხარაჩოებში ჩასმულ სახლს ჩაუარა გვერდით. გაჩერდა და შეხედა. ხანდახან ისეთი გრძნობა უჩნდებოდა ხოლმე, თითქოსდა ეს ხარიხები და ტიხრები თავისთავად უქმნიდნენ რაღაც წინააღმდეგობებს, ის რამდენიმე ნაბიჯი კიდევ, რაც დაუმთავრებელი სახლის ღობიდან სახლის კედლებამდე იყო გასავლელი, სამუდამოდ გაუვლელი დარჩებოდა.. გულის სიღრმეში ყრუ ტკივილს
გრძნობდა, გაუსაძლისს და თან, რაღაცნაირად, თითქოს საამოსაც კი...

ფარგოს მაღაზია გაიხსნა, მაგრამ მისი ყოფილი კონკურენტები მართალნი აღმოჩნდნენ: ვითარება შეიცვალა და ხალხი გარეუბნებში ამჯობინებდა საყიდლებზე წასვლას, ფარგოს კი მომხმარებელი აკლდებოდა.ხმები გავრცელდა, ჯონ ფარგომ იმისთანა შენობა ააგო, შიგნით შეხედვაც არ მოუნდება ადამიანსო. იმას კი არავინ აქცევდა ყურადღებას, ასეთი ნათელი და მოსახერხებელი სათავსოებით სავსე მაღაზია ერთიც არ იყო მთელ ქალაქში; რომ მყიდველს ლამის ორჯერ ნაკლები დრო ეხარჯებოდა, ვიდრე ნებისმიერ სუპერმარკეტში უბრალოდ, მთელი ის უბანი მანამდეც განწირული იყო, ბრალი კი ახლა შენობას ედებოდა.

ათელსტან ბიზლიმ, “ამერიკის არქიტექტორთა გილდიის” მთავარმა ხუმარამ და კაცმა, რომელსაც ჯერაც არსად არაფერი აეშენებინა, ოღონდ ყველა შეკრების მოთავე თუ საზეიმო შეხვედრის უებარი წამყვანი იყო, საჟურნალო სტატიაში "სამასხარო მასხრობები" ენამახვილობის მთელი თავისი მარაგი ჩააქსოვა:

"აბა, ყმაწვილებო აი, თქვენ ერთი კარგი, ჭკუის სასწავლებელი არაკი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი მწიფენესვისფერთმიანი ბიჭი, და თავი ყველაზე მაგარი ეგონა დედამიწის ზურგზე... რაში? რაში და არც მეტი და უფრო კიდევ ნაკლები სახლების აგებაში! ჰოდა, ააშენა ამ ბიჭმა ერთი სახლი, ერთი მაღაზია და ერთი ბენზინგასამართი სადგური - სადღაც, ქვეყნის ბოლოში, მანქანა რომ არ უნახავს ჯერ, იმისთანა გზის პირას... და რა მერე? სახლში ცხოვრება არავის უნდა, მაღა-ზიაში ვაჭრობა, ერთი ის ბენზინგასამართი სადგური მუშაობს თურმე 100%-იანი შედეგით: მისი პატრონი ყოველ კვირადღეს ასხამს საკუთარ მანქანაში ბენზინს ერთს არ გამოტოვებს თურმე და ამტკიცებს ასეთი მომსახურება, ისიც ნისიად უმაღლესია თავის ფასშიო!.."

მარტის ბოლოს რორკი გაზეთებში როჯერ ენრაიტის სახელს გადააწყდა. ენრაიტი ნავთობის კონცერნის მფლობელი მილიონერი იყო, თავშეკავების უნარი სრულიად არ გააჩნდა და ამიტომაც ხშირად ხვდებოდა პრესის ფურცლებზე, მისი წამოწყებები კი მუდამ მითქმა-

მკითხველთა ლიგა

მოთქმის საბაბად იქცეოდა ხოლმე. სულ ბოლო ხუშტური საცხოვრებელი სახლი იყო, ოღონდ ისეთი, პირდაპირ ვთქვათ, ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა ყოველი ბინა სრულიად იზოლირებული და თვითკმარი ტერიტორია უნდა ყოფილიყო, საკუთარი აუზითა და "სემირამიდას ბაღებით"... სახელიც, რაღა თქმა უნდა, უკვე შერჩეული ჰქონდა: "ენრაიტის სამოსახლო". ოღონდ საქმე ის იყო, დედამიწის ზურგზე არც ერთ ნაგებობას რომ არ უნდა მსგავსებოდა და სწორედ ამიტომ, მისტერ ენრაიტს უკვე რამდენიმე სახელგანთქმული ხუროთმოძღვარი მოემდურებინა.

ჰაუარდ რორკმა კი ეს პირად გამოწვევად თუ პირიქით თავის ბოლო შანსად აღიქვა. სიცოცხლეში პირველად გადაწყვიტა, ძალისხმევა გაეღო შეკვეთის მისაღებად და როჯერ ენრაიტს წერილიც კი მისწერა, გასაუბრების თხოვნით. თავდაპირველად, ჯერ მდივანს შეახვედრეს, ახალგაზრდა კაცს, რომელმაც 10-12 კითხვა მაინც დაუსვა პროფესიულ გამოცდილებასა თუ სავარაუდო გეგმებზე, მერე რორკის აშენებული "ობიექტების" ფოტოებსაც გადაავლო თვალი და ბოლოს განუცხადა დინჯად, სიტყვების გაწელვით არა მგონია, მისტერ ენრაიტი თქვენი შემოთავაზებით დაინტერესდესო...

აპრილის დასაწყისში, როცა რორკმა ოფისის ბოლო ქირა გადაიხადა, (ბოლო იმიტომ, რომ კალენდარულადაც ბოლო იყო და მისი ჯიბის შესაძლებლობების გამოც), "მანჰეტენის საბანკო კომპანიის" ახალი შენობისთვის ნახაზების წარდგენა მოსთხოვეს. თხოვნა რიჩარდ სენბორნის ახლო მეგობრისა და საბჭოს წევრის, თვით მისტერ უეიდლერისგან მოდიოდა: ასე უთხრა: "მაგარი ბრძოლა კი გადავიხადე, მაგრამ მე და რიჩარდმა სენბორნების სახლში წავიყვანეთ ყველანი, დაწვრილებით
ავუხსენით ყველაფერი და, მგონი, მიზანსაც მივაღწიეთ... მთლად ბოლომდე ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ნახაზებსაც წინასწარ ითხოვენ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, გამოვა ეგ საქმე, ასე მგონია... მოკლედ, ახლა ჯერი შენზეა, მიდი, თავი არ შეირცხვინო".

• • •

ჰენრი კამერონს შეტევა გაუმეორდა და ექიმმა მის კამერონი გააფრთხილა, გაუმჯობესების იმედი აღარ არისო. მან კი არ დაუჯერა მისი მწოლიარე ძმა ისე მშვიდად და ლამის ბედნიერი გამოიყურებოდა, ეს სიტყვა კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერაფრით მიესადაგებინა მისთვის.

ოღონდ ერთ საღამოს კი მართლა შეაშინა, როცა განუცხადა ჰაუარდ რორკს შეატყობინე, მისი ნახვა მინდა, გადაუდებლადო. არადა, სამი წელია, თვითონ არასოდეს მოუხმია რორკისთვის, სულ ელოდა თავად როდის ესტუმრებოდა ხოლმე.

რორკი იმავე საღამოს ჩამოვიდა, საწოლზე ჩამოუჯდა და ხმაამოუღებლად უსმენდა მასწავლებელს. იმას კი საერთოდ არც უხსენებია, რისთვის უხმო ასე სასწრაფოდ. თბილი საღამო იდგა, კამერონის საწოლი ოთახის მოღიავებული ფანჯრები პირდაპირ ბაღში გადიოდა და ნელ სიოს ახალაფეთქებული კვირტების სურნელი შემოჰქონდა შინ. „ჰაუარდს სასტუმრო ოთახში გაუშალე ლოგინი", – გასძახა კამერონმა დას, – "ამაღამ აქ დარჩება". რორკმა თანხმობის ნიშნად მხოლოდ ოდნავ დახარა თავი.

მთელი სამი დღით დარჩა. არც იმაზე დაუძრავთ სიტყვა, რა საჭირო იყო,

მკითხველთა ლიგა

ან კიდევ რამდენი დღე-ღამე აპირებდა იქ ყოფნას. ეს თითქოს ბუნებრივად ასე უნდა მომხდარიყო და არც რაიმე ახსნა-განმარტებას საჭიროებდა. მის კამერონიც მიხვდა ყველაფერს არც მას უკითხავს რაიმე. მშვიდად, უდრეკი სიმტკიცით მიდი_მოდიოდა სახლში, ხმის ამოუღებლად.

კამერონს არ უნდოდა, ჰაუარდი მუდმივად მის ოთახში მჯდარიყო. გადი, ბაღში გაისეირნე, ნახე, რა ლამაზია ახლად ამოსული ბალახიო, – ეუბნებოდა ხშირ-ხშირად. თვითონ იწვა და ფანჯრიდან დაძაბული ადევნებდა თვალს, როგორ დაბორიალებდა რორკი ჯერაც შიშველ ხეებს შორის.

თუმცა სთხოვა, ერთად ვისადილოთ ხოლმეო; მის კამერონი ძმას მუხლებზე უდებდა საჭმლიან ლანგარს, რორკს კი საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე უშლიდა სუფრას. ავადმყოფს ახლა თითქოს სიამოვნებდა კიდეც ის, რაც ადრე არათუ არასოდეს განუცდია, შეგნებულადაც გაურბოდა მთელი ცხოვრება: ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფის სითბო, უბრალო, ოჯახური სიმყუდროვის განცდა...

მესამე საღამოს კამერონი, ჩვეულებისამებრ, სანახევროდ ლოგინში წამომჯდარი და ბეჭებქვეშ ბალიშებამოწყობილი, კარგა ხანს ესაუბრა; თუმცა ლაპარაკი უწინდელზე მეტად უჭირდა და თავს უკვე საერთოდ ვეღარ ამოძრავებდა. რორკი ჩუმად უსმენდა, ცდილობდა, არ შესტყობოდა, რომ ხვდებოდა, რა ტანჯვის გადატანაც უხდებოდა ავადმყოფს ხანგრძლივი პაუზების დროს. სიტყვები ბუნებრივად ჟღერდნენ, ის ძალდატანება კი, რადაც მათი წარმოთქმა უჯდებოდა, მისივე სურვილის თანახმად, კამერონის უკანასკნელ საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

სამშენებლო მასალების მომავალზე ლაპარაკობდა. "მსუბუქი ლითონების წარმოებას მიაქციე ყურადღება, ჰაუარდ... რამდენიმე წელიწადში... ნახავ, რა სასწაულები მოხდება... ან პლასტიკატი თქვი... ახალი ხანა დგება... ახალი მასალების, ახალი საშუალებების, ახალი ფორმების... უნდა დაუმტკიცო... იმ უგვან ბრიყვებს... რა სიმდიდრის პატრონებად აქცია ადამიანის გონებამ... რა ამოუწურავი შესაძლებლობების... იმ კვირაში რაღაც ახლებურ კრამიტზე იყო სტატია გაზეთში... ვიფიქრე, როგორ გამოიყენებდა გონიერი კაცი... იქ, სადაც სხვა არაფერი ივარგებს.. მაგალითად, პატარა სახლის გადასახურავად.. სულ ხუთიათასდოლარიანის..."

გაჩუმდა და ცოტა ხანს ხმა აღარ ამოუღია, თვალებიც დახუჭა. მერე, უცებ, რორკს მისი ჩურჩული მოესმა:

– გეილ უაინენდი...

რორკი ავადმყოფისკენ დაიხარა, ლამის ტუჩებთან მიუტანა ყური, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა.

– უფრო მეტად... არავინ მეჯავრება... არა, თვალით საერთოდ არც მინახავს... ოღონდ სწორედ ისაა... იმ ყველა უბედურების განსახიერება.. რაც სამყაროს სჭირს... ყალბი ზეიმურობის, ძალაუფლების მდაბიური ჟინის... შენც მაგას უნდა ეომო, ჰაუარდ... გეილ უაინენდს...

მერე უკვე კარგა ხნით დადუმდა. როცა ისევ გაახილა თვალები, გაიღიმა.

– ვიცი, ახლა რა დღეშიც ხარ... როგორც მიგდის საქმე... არა... ნუ შემეკამათები... საერთოდ ნურაფერს იტყვი... ვიცი... მაგრამ... არა უშავს... ნუ შეგეშინდება... გახსოვს ის დღე, გაგდება რომ დაგიპირე?... დაივიწყე, მაშინ რაც გითხარი... ამბავი ბოლომდე არ მომიყოლია... ეს... ნუგეშინია... ღირდა გარჯად...

ხმა გაუწყდა, კრინტი ვეღარ დაძრა. თუმცა სახეზე საოცარი სიმშვიდე

მკითხველთა ლიგა

ეწერა და უხმოდ, აზრიანი თვალებით მისჩერებოდა რორკს. ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

• • •

კიტინგი ხშირად ნახულობდა ქეთრინს. ნიშნობის ამბავი არ გაუხმაურებია, მაგრამ დედამისმა მაინც გაიგო და გასაიდუმლოებას აზრი აღარ ჰქონდა. ქეთრინს ზოგჯერ ეჩვენებოდა, ჩვენი შეხვედრები უფრო ჩვევად იქცაო. მართალია, სიმარტოვეს მიეჩვია, თუმცა თანდათან მისი უეჭველი დაბრუნების უწინდელი რწმენაც შეერყა.

– მოდი, იმ კონკურსის შედეგებს დაველოდოთ, ქეით, – უთხრა ერთ დღეს კიტინგმა, – ბევრი აღარ დარჩა, მაისში გაირკვევა ყველაფერი. თუ გავიმარჯვე, მთელი ცხოვრება წყნარად შემეძლება ვიყო. მერე დავქორწინდებით. მაშინ უკვე ბიძაშენსაც გავიცნობ თვითონაც ენდომება ჩემი გაცნობა... არადა, გამარჯვებით უეჭველად უნდა გავიმარჯვო,

– ვიცი, გაიმარჯვებ...

– და კიდევ, ბებერი ჰეიერი ერთ თვესაც ვეღარ გაატანს. ექიმმა გვითხრა, მეორე შეტევა ნებისმიერ წუთსაა მოსალოდნელი და მერე კარგად მეყოლეთო. სასაფლაოს გზას თუ არ გაუდგა, ოფისში უკვე ნაღდად ვეღარ ივლის მაინც...

– კარგი რა, პიტერ, არ მიყვარს, როცა მასე ლაპარაკობ ხოლმე. არ შეიძლება ეგეთი... ეგეთი საშინელი ეგოისტობა.

– მაპატიე, საყვარელო, ბოდიშს გიხდი. ხო... ვაღიარებ, ეგოისტი ვარ. ყველასავით...

ბოლო დროს დომინიკთან მეტ დროს ატარებდა. ქალიც უფრო გულისხმიერი გახდა, როგორც ჩანს, მისგან არანაირ თავსატეხს აღარ ელოდა სამომავლოდ. სასიამოვნო კავალერად თვლიდა და საღამოებსაც ხშირად ატარებდნენ ერთად. კიტინგს ეჩვენებოდა, მგონი, ცოტათი მოვწონვარ კიდეცო. თუმცა ამაში მაინცდამაინც დამაიმედებელს ვერაფერს ხედავდა.

ზოგჯერ ისიც ავიწყდებოდა, ფრენკონის ქალიშვილიაო; საერთოდ, ყველა მიზეზი ავიწყდებოდა, რის გამოც შეიძლებოდა, ეს ქალი მისთვის სასურველი ყოფილიყო. ან რა მიზეზებზე იყო ლაპარაკი უბრალოდ, უნდოდა და მორჩა. მარტო მის გვერდით ყოფნაც კი თავბრუს ახვევდა.

არადა, თან სრულიად უმწეოდ გრძნობდა თავს. იმის გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რომ ქალი მის მიმართ გულგრილი შეიძლებოდა დარჩენილიყო. ოღონდ, დარწმუნებული არც ამ გულგრილობაში იყო და ცდილობდა, დომინიკის გუნება-განწყობა გამოეცნო, ისე დაეჭირა თავი, როგორც, მისივე აზრით, ქალი ელოდა მისგან. პასუხს კი ვერანაირს ვერ იღებდა.

გაზაფხულის ერთ საღამოს მეჯლისზე წავიდნენ ერთად. იცეკვეს კიდეც: ცეკვისას ახლოს მიიზიდა თავისკენ, წელზე მაგრად მოუჭირა თითები. იცოდა, ქალი განზრახვას სწორად მიუხვდა. არ გასცლია, არ გასძალიანებია. პირიქით, ისე მიაშტერა მზერა, თითქოს კიდევ ელოდა რაღაცას. როცა უკვე მოდიოდნენ, ხელი მოხვია და თითები მხარზე ჩამოადო; არც ამას მოჰყოლია დომინიკის წინააღმდეგობა, მშვიდად უცდიდა რას იზამსო. კიტინგმა ხელი აიღო. მერე ქუჩაში გამოვიდნენ და ტაქსიში ჩასხდნენ.

ქალი კუთხეში მიიყუჟა და ხმას არ იღებდა; ადრე მის გვერდით ყოფნისთვის იმდენი მნიშვნელობა არასოდეს მიუნიჭებია, დუმილი აუცილებლად ჩაეთვალა. ფეხი ფეხზე გადაედო, მოსასხამი მჭიდროდ

მკითხველთა ლიგა

ჰქონდა მხრებზე შემოხვეული, თითებს ნელ-ნელა ათამაშებდა მუხლისთავზე.

კიტინგმა ნაზად მოჰკიდა ხელი მკლავზე იმასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც უპასუხია; მხოლოდ თითების თამაში შეწყვიტა. ტუჩებით შეეხო თმაზე და ეს კოცნა არ იყო უბრალოდ, დიდხანს აღარ მოუცილებია...

მანქანა რომ გაჩერდა, ყურში წაუჩურჩულა: "დომინიკ... ცოტა ხნით მაინც ამოვალ..."

"კარგი" – უთხრა მშვიდად, უემოციოდ. არანაირ მიწვევას ეს არ ჰგავდა; ოღონდ მანამდე ამგვარი არაფერი უთქვამს. უკან რომ მიჰყვა, იგრძნო გული ლამის ამოვარდნაზე ჰქონდა. ბინაში რომ შევიდნენ, ქალი წამიერად შეყოვნდა, თითქოს ელოდა რაღაცას; ის კიდევ მიშტერებოდა, უნიათოდ, ბედნიერებისგან გაბრუებული. მერეღა შეიგრძნო ეს პაუზა, როცა ქალმა ისევ გადადგა ნაბიჯი, გაეცალა, საწოლი ოთახისკენ წავიდა.

დომინიკი საწოლზე იჯდა, მკლავები უღონოდ ჩამოეშვა სხეულის გასწვრივ, დაუცველობის ნიშნად... მზერაც მიბნედილი ჰქონდა, უმეტყველო.

"რა ლამაზი ხარ..." – ჩაიჩურჩულა პიტერმა. მერე თავისდაუნებურად აღმოჩნდა მის გვერდზე, მკლავები შემოეხვია და უთავბოლოდ ბუტბუტებდა: "მიყვარხარ... არ დამცინო, იცოდე, მაგრამ მთელი ცხოვრებაა, მიყვარხარ... რასაც კი ისურვებ... რა ლამაზი ხარ, დომინიკ! მიყვარხარ...

უცბად შეჩერდა რაღაც გამოძახილს მაინც თუ მოელოდა და რომ ვერ მიიღო, ჯერ შეანჯღრია, მერე მკერდზე უხეშად მიიკრა და ტუჩებზე აკოცა... კვლავ არაფერი. ხელი უშვა და ქალის მოშვებული სხეულიც უღონოდ გადაესვენა ლოგინზე. კაცი გაოგნებული მისჩერებოდა არა, ეს არც კოცნა არ იყო და არც ქალი ჰგავდა ქალს... უფრო სწორად, ცოცხალს არ ჰგავდა. ტუჩიც არ შერხევია ამბორის პასუხად,
არც ხელი გაუტოკებია მხარზე მოსახვევად... მხოლოდ სურვილის არქონა რომ ყოფილიყო, კიდევ გაუგებდა კაცი, ოღონდ ეს სულ სხვა რაღაც იყო თითქოს საერთოდ ვერც გრძნობდა, ვინმე თუ იყო მასთან, სადღაც პიტერის მიღმა იცქირებოდა, სხეული კი საერთოდ არ პასუხობდა შეხებაზე... უცბად, თითქოს გამოერკვაო, საფერფლიდან გადმოვარდნილ სიგარეტის ნამწვს ჰკიდა თვალი, ხელი გაიწვდინა, აიღო და ისევ შიგ ჩააბრუნა.

– დომინიკ... – ჩაიჩურჩულა, სულელივით, – არ გინდა, გაკოცო?

– კი. – სულაც არ დასცინოდა, უბრალოდ, კითხვას უპასუხა.

– შენთვის რა, აქამდე არავის უკოცნია?

– კი. ბევრჯერ.

– და სულ ასე პასუხობ?

– სულ. მუდამ.

– მაშინ, რაღად გინდა?

– ვნახავ, თუა რამე განსხვავება-მეთქი.

– არაადამიანური ვინმე ხარ, დომინიკ!

ქალმა თავი ასწია, წამოდგა და ახლა მისი მოძრაობები ზუსტი და გამოზომილი იყო. კაცმა ლამის ფიზიკურად შეიგრძნო ყოველგვარი ინტიმურობის უეცარი გაქრობა, თუმცა სიტყვები, რომლებსაც ქალი წარმოთქვამდა, ინტიმურზე-ინტიმური იყო, ოღონდ ასე ჩანდა, საერთოდ არ აღელვებდა, რას ამბობდა ან ვის ეუბნებოდა:

– მგონი, რაღაც გადახრები მაქვს, ან, უბრალოდ, ფრიგიდული ვარ...მაპატიე, პიტერ, მეტოქე არ გყავს, მაგრამ არც შენი ვარ... გეწყინა,

მკითხველთა ლიგა

ძვირფასო? კარგი რა, ცხვირს ნუ ჩამოუშვებ!
– გაგივლის, შანსი არაა... ოდესმე...
– არც ისე ახალგაზრდა ვარ, პიტერ. ოცდახუთის ვარ. დავწვებოდი ვინმესთან ისე, ექსპერიმენტის სახით... მინდოდა, რომ მდომებოდა. საინტერესო იქნებოდა, გარყვნილი ქალი რომ ვიყო. ვარ კიდევაც ყველაფერში, გარდა... პიტერ, ცოტაც და, გაწითლდები, მგონი!
– დაიცა, რა არასოდეს არავინ გყვარებია? თუნდაც ისე, შორიდან?
– არც შორიდან და არც ახლოდან. ისე, შენი შეყვარება მართლა მინდოდა რამდენ პრობლემას ავიცილებდი თავიდან! მაგრამ რა ვქნა, შენ, ალვა სკარეტი ან ლუშეს ჰეიერი ჩემთვის ყველა ერთია... ხორციელ ამბავში, რაღა თქმა უნდა.
პიტერი წამოდგა. მისი შეხედვაც აღარ უნდოდა. ფანჯარასთან მივიდა, ზურგზე ხელებდაწყობილი. ამ წუთს აღარც მისი სილამაზე ახსოვდა და აღარც თავისი ლტოლვა მისდამი. ერთი, რაც არ ავიწყდებოდა რომ დომინიკი გაი ფრენკონის ქალიშვილი იყო.
– გამომყვები ცოლად?
იცოდა, ეს მაინც უნდა ეთქვა; ფიქრი რომ დაეწყო, ამას ვეღარასოდეს ეტყოდა; მის გრძნობას ქალისადმი უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; მისი მომავალი წყდებოდა და ახლა გულს გონებაზე წინ ვერ დააყენებდა. თანდათან სიყვარული სიძულვილად ექცეოდა თითქოს...
– არ მითხრა, სერიოზულად გეუბნებიო...
– მიყვარხარ, დომინიკ, ჭკუა მეკარგება! ერთი შანსი მაინც მომეცი! თუ სხვა არავინ გყავს, რატომაც არა?! მომთმენი ვიქნები, და ბოლოს იქნება შენც შემიყვარო. ბედნიერებას თუ არა, სიმშვიდეს მაინც მოგიტან...
უცებ გააჟრჟოლა, მერე სიცილი აუტყდა, გულით იცინოდა თავი უკან გადაეგდო და ისე. მისი სიცილი არც დამცინავი იყო და არც შეურაცხმყოფელი, უბრალოდ, მხიარულობდა. ეს კი კიდევ უფრო ძნელი ასატანი იყო.
მერე უცებ შეჩერდა, თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა.
- პიტერ, თუ როდისმე საკუთარი თავის დასჯა მომინდება რაღაც საშინელი საქციელისთვის მკაცრად, დაუნდობლად მაშინ გამოგყვები ცოლად. ცოტა ხნით გაჩუმდა და დაამატა თუ გინდა, ჩათვალე, რომ პირობა მოგეცი.
– დაგელოდები, სულ ერთია, რა მიზეზით მოგინდება თავის დასჯა.
ქალმა გაიღიმა, თითქოს მხიარულადაც, იმ ცივი, მომხიბლავი სიცილით, რომლისაც პიტერს ყოველთვის ეშინოდა.
– შენც ხომ იცი, პიტერ, აუტკივარ თავს იტკიებ. მამაჩემის პარტნიორი ისედაც გახდები. ჯობია, კარგ მეგობრებად დავრჩეთ, ახლა კი დროა, შინ წახვიდე. ოთხშაბათს დოღზე მივდივართ არ დაგავიწყდეს, ჭკუას ვკარგავ ცხენებზე. აბა, ღამე მშვიდობისა.
გაზაფხულის თბილი, გვიანი საღამო იდგა; სიბრაზისგან ერთიანად აცახცახებული პიტერი გაშმაგებული მიაბიჯებდა ქუჩაში, იმ წუთას მართლა რომ შეეთავაზებინათ ფირმის სრულუფლებიანი პარტნიორობა დომინიკთან დაქორწინების ფასად უეჭველად უარს იტყოდა. არადა, არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, იმავე წინადადებას ხვალ დილით უთუოდ დავთანხმდებოდიო.

15

ამას მხოლოდ შიში ერქვა და სხვა არაფერი, კოშმარული სიზმრის ნახვისას რომ ეუფლება ხოლმე კაცს; როცა ასეთი შიში გაუსაძლისი

მკითხველთა ლიგა

ხდება, საბედნიეროდ, გეღვიძება კიდეც, მაგრამ პიტერ კიტინგს არც გაღვიძება შეეძლო და აღარც ამ შიშის ატანა. ყოველდღიურად მატულობდა, იზრდებოდა კვირიდან კვირამდე და უკვე ერთიანად მოენუსხა: დამარცხების ყოვლად უგვან, ვინმესთვის გასაზიარებლად სამარცხვინო შიშს. კონკურსში გამარჯვება არ ეწერა, სულ მცირე იმედიც აღარ
ჰქონდა და ეს აზრი სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა ამ უსასრულო მოლოდინის დღეებში. მუშაობა არ შეეძლო, ხალხს გაურბოდა, ღამეებს კი თეთრად ათენებდა...

ახლა ლუშეს ჰეიერის სახლისკენ მიდიოდა. ცდილობდა, გამვლელებისთვის სახეში არ შეეხედა, მაგრამ ვერ ახერხებდა: ადამიანების ცქერის ჩვევა სისხლში ჰქონდა გამჯდარი და, როგორც ყოველთვის, არც ისინი აკლებდნენ ყურადღებას. თავი დამანებეთ, რას მომჩერებიხართო, უნდოდა ეყვირა, ეღრიალა მათთვის. ეგონა, იციან, დამარცხებისთვის რომ ვარ განწირული და იმიტომ მათვალიერებენ ასეთი ინტერესითო.ჰეიერთან კი იმიტომ მიდიოდა, სურდა, მოსალოდნელი უბედურებისგან გადაერჩინა თავი იმ ერთადერთი გზით, რომლის მეტსაც, უბრალოდ, უკვე ვეღარ ხედავდა. კონკურსში თუ ჩაფლავდებოდა რაშიც
ეჭვი აღარც ეპარებოდა ფრენკონი სახტად დარჩებოდა და გულსაც აიცრუებდა კიტინგზე; მერე ჰეიერიც თუ მოკვდებოდა, რაც ნებისმიერ წუთს იყო მოსალოდნელი, ფრენკონიც დაეჭვდებოდა, მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა და ხალხის ყბაში არ ჩავვარდეო კიტინგის შეამხანაგებას გადაიფიქრებდა; ხოლო თუ გადაიფიქრებდა, პიტერ კიტინგს მთელი ამდენი ხნის დავიდარაბა წყალში ეყრებოდა. პარტნიორობის მსურველთა რიგს კი ბოლო არ უჩანდა: ბენეტი, რომელიც ვერაფრით მოიშორა და ოფისიდან ვერ გააგდებინა; კლოდ შტენგელი, რომელიც ცალკე საქმის წამოწყების მერე უკვე მყარად იდგა ფეხზე და ფრენკონსაც არაერთხელ შესთავაზა ჰეიერის წილს მე ვიყიდიო. კიტინგი, მართალია, ჯერჯერობით ფრენკონის თითქმის ბრმა ნდობით კი სარგებლობდა, მაგრამ გაის რწმენა თუ შეერყეოდა და ვინმე სხვაზე შეაჩერებდა არჩევანს, პიტერის საქმე მოთავებული იყო. ერთხელ და სამუდამოდ. ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არავინ აპატიებდა.

უძილო ღამეების განმავლობაში გადაწყვეტილება ნელ-ნელა გამოიკვეთა და მტკიცედაც ჩამოუყალიბდა; უცებ და სამუდამოდ უნდა გადაეჭრა ყველაფერი ფრენკონის გაუაზრებელი ნდობით და ბუნდოვანი იმედებით მანამდე უნდა ესარგებლა სათავისოდ, ვიდრე გამარჯვებულის ვინაობა გამოცხადდებოდა; ჰეიერი ძალით უნდა გაეგდო და მისი ადგილი თვითონ დაეკავებინა; მარაგში სულ რამდენიმე დღეღა რჩებოდა.

გაახსენდა, როგორ ჭორაობდა ფრენკონი ჰეიერზე; მერე ჰეიერის პირადი დოკუმენტაციაც მოჩხრიკა და მართლაც იპოვა ის, რისი პოვნის იმედიც ქონდა ერთ-ერთი სამშენებლო ფირმიდან მოსული წერილი_ თხუთმეტი წლის წინანდელი; კონტრაქტის მიღების მსურველი ეს ფირმა პირადად მისტერ ჰეიერს, წერილთან ერთად, ოცი ათასი დოლარის ჩეკსაც უგზავნიდა; კიტინგმა უშუალოდ იმ მშენებლობასთან დაკავშირებული ქაღალდებიც იპოვა; ისე ჩანდა, მშენებლობა ნავარაუდევზე ბევრად უფრო ძვირი დაჯდა. ეს სწორედ ის დრო იყო, ჰეიერმა რომ ფაიფურის კოლექციის შეგროვებას მიჰყო ხელი...

ახლა თავის კაბინეტში პატარა, ჩაბნელებულ და ჩახუთულ ოთახში იჯდა. ძვირფასი ხის ავეჯს, მუხის პანელებსა და მათზე გამოკიდულ

მკითხველთა ლიგა

გობელენებსაც ყოველდღე აცლიდნენ მტვერს, ოღონდ ჰაერი კი მაინც ისეთი იდგა, თითქოსდა წელიწადია, არ გაუნიავებიათო. მაგიდას ერთადერთი სანათი ანათებდა, გარშემო კი უთხელესი ფაიფურის ხუთი ფინჯანი შემოეწყოთ. ჰეიერი გულდასმით, ლამის აღტკინებით ათვალიერებდა ამ თავის განძს, როცა მსახურმა მოახსენა, მისტერ კიტინგი გესტუმრათო. ჯერ შეკრთა, მერე თავს მოერია და ანიშნა, დაბრძანდიო,

საკუთარი ცივი და თავდაჯერებული ხმა რომ გაიგონა, კიტინგი მიხვდა მთელი შიშები უკან მომიტოვებიაო; ახლა წინ მხოლოდ კიდევ ერთი ტიმ დეივისი თუ კლოდ შტენგელი ეჯდა და მისი თავიდან მოცილებაღა იყო საჭირო.

წყნარად და მშვიდად აუხსნა, რისთვისაც იყო მოსული მოკლედ, გასაგებად, ოქრომჭედელი რომ ძვირფას ქვას აწახნაგებს, ისე.

"მაშ ასე, თუკი ხვალ დილით თხოვნა თქვენი გათავისუფლების შესახებ გაი ფრენკონს არ დახვდება მაგიდაზე, ჩათვალეთ, რომ აი ეს", _ და მან კონვერტი შეათამაშა თითებშორის, – "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" სათავო ოფისში იდება უკვე შუადღისას".

მერე შეიცადა. ჰეიერი გაფითრებული იჯდა, თვალებგადმოკარკლული და პირღია. კიტინგმა ერთი ისიც კი გაიფიქრა საერთოდ თუა სრულ ჭკუაზეო.

მერე უცბად ალაპარაკდა, თავის წვრილ წითელ ენას გველივით ასავსავებდა თეთრ, ჩაწიკწიკებულ, რაღა თქმა უნდა, ხელოვნურ კბილებსშუა:

– წასვლა რომ არ მინდა? – ისე იკითხა, წყნარად, თითქოს ორჭოფობსო.

– მოგიწევთ.

– არ მინდა, არ მსურს. არც ვაპირებ. მუდამ სახელოვანი ხუროთმოძღვარი ვიყავი და ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელ... – წინ გადმოიხარა, ჩურჩულით გაანდო, – ეგ სულ გაი ფრენკონის ოინებია. რა ხანია ჩემს თავიდან მოცილებას ცდილობს... არ გაუვა. მერე ფხუკუნი აუტყდა.

– მგონი, ვერაფერი გამიგეთ. იქნებ ამან მაინც გაგაგებინოთ!_ გამოცრა კიტინგმა და კონვერტი გაუწოდა.ხედავდა, როგორ თრთოდა ფურცელი მოხუცის თითებში; მერე უცბად ხელიცა და ფურცელიც ერთად დაუვარდა მაგიდაზე, დამბლადაცემულივით. ძლივს ამოღერღა:

– არა, არ იზამთ ამას... ეს რომ ნახონ, ლიცენზიას ჩამომართმევენ...

– იზამენ, კი.

– გაზეთებშიც...

– უსათუოდ.

– არ იზამთ ამას...

– ვიზამ თუ საკუთარი ნებით არ გადადგებით.

ჰეიერმა ლამის მაგიდის კიდემდე ჩამოყარა მხრები და თავიც ლამის უკვე ზედ მაგიდაზე ედო...

– არა, გემუდარებით, მაგას ნუ იზამთ თქვენისთანა წესიერი ზრდილი ყმაწვილი მაგას არ იკადრებთ...

ყვითელი ქაღალდის ოთხკუთხედი მაგიდაზე ეგდო. ჰეიერი ისევ წაეპოტინა, მაგრამ კიტინგმა დაასწრო.

– გემუდარები, – დაიხავლა მოხუცმა, – ხომ არ იზამ ამას? მეც მიქნია შენთვის რაღაც სიკეთე, არ გახსოვს?

– რა... რომელ სიკეთეზე მელაპარაკებით?

– შენ პიტერ კიტინგი არა ხარ? მახსოვს... გაი ფრენკონს შენი სჯერა, ოღონდ შენ არ დაუჯერო, იცოდე... არ ენდო. მალე მთავარ არქიტექტორს

მკითხველთა ლიგა

გაგხდი... – პირი დაფჩენოდა, ნერწყვის წვრილი ძაფი ჩამოსდიოდა ნიკაპზე, – ეგ არ ქნა...

კიტინგს ლამის გული არეოდა მის შემყურეს. ახლა უკვე აღარც ეცოდებოდა:

– სახალხოდ გამოგაჭენებენ. გაზეთები თქვენი ფოტოებით იქნება გადაჭრელებული... იმ სახლის მფლობელები კი სასამართლოში გიჩივლებენ და ციხე არ აგცდებათ!

ჰეიერს ხმა აღარ გაუღია. არც შერხეულა. ოღონდ ისეთმა კანკალმა აიტანა, ფინჯნები აწკარუნდა ლამბაქებზე. აი, ეს კი მართლა მეტისმეტი იყო და კიტინგმაც ხმას აუწია, თითქოს ამ უცნაური ხმაურის ჩახშობა სურსო:

– წადით! გადადექით! რა ეშმაკები გინდათ ჩვენს ფირმაში?! არაფრად ვარგიხართ და არც არასოდეს ვარგოდით რამედ!

მერე საზურგეზე გადაწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ისე გააგრძელა ან ჰო თქვით, ან არა, სხვა არაფერი არ მჭირდება თქვენგან! დროზე მოიფიქრეთ. საკამათოდ არ მცალია.

ჰეიერს ცახცახმა გადაუარა. ირიბად დაცემულმა ჩრდილმა სახე თითქოს შუაზე გადაუსერა. კიტინგი ახლა ცალ, გაშტერებულ თვალს, უაზროდ დაბჩენილი პირის ნახევარს შესცქეროდა და ხედავდა, ტუჩის კუთხიდან ყვრიმალისკენ ნელ-ნელა როგორ მიცოცავდა გვამური სილურჯე...

– მიპასუხეთ! – რატომღაც უცებ ხმა დაუწვრილდა კიტინგს, - რამ დაგამუნჯათ?

ნახევარსახე შეირხა და თავი წინ გადმოქანდა, მაგიდას დაასკდა და ჯალათის ცულით მოსხეპილივით გაგორდა იატაკზე; თავს კვალდაკვალ ორი ფინჯანიც მიჰყვა, უხმაუროდ დაიმსხვრა ხალიჩაზე. პირველი, რაც კიტინგმა იგრძნო, შვება იყო, რადგან საბედნიეროდ, თავმა ტანიც წაიყოლა და ჰეიერის მოკუნტული სხეული უკვე უძრავად ეგდო მაგიდის ფეხებთან. ყველაფერი სრულ სიჩუმეში მოხდა; მხოლოდ ფაიფურმა გაიწკარუნა სულ ოდნავ, მელოდიურად.

გადაირეოდა ეს უბედურიო, – გაიფიქრა კიტინგმა დამსხვრეული ფაიფურის დანახვაზე. მერე წამოხტა, ჩაიმუხლა და გაუაზრებლად შეუდგა ნამსხვრევების შეგროვებას; მალევე მიხვდა, ამ ფინჯნებს ვეღარაფერი შეაწებებდა და გაამთელებდა. თან, იმავე დროს, იმასაც ფიქრობდა, ბოლოს და ბოლოს ის მეორე შეტევაც მოუვიდა, რასაც ყველა ამდენ ხანს ველოდით, ახლა მომიწევს, რაღაც ვიღონო, მაგრამ არა უშავს, ეს ოხერი ჰეიერი ხომ მაინც ვეღარასდროს დაბრუნდება ოფისშიო...

როგორც იქნა, მუხლებზე დამდგარი მიხოხდა ძირს გართხმულ სხეულთან. ვერ გაეგო, რატომ ვერ ბედავდა შეხებოდა. "მისტერ ჰეიერ, "_ დაუძახა ჩუმად, ლამის პატივისცემითაც. მერე ფრთხილად აუწია თავს და უცებვე ხელი უშვა. თავის იატაკზე დაცემისას არანაირი ხმა არ გაუგონია – საკუთარი სლოკინის გარდა. ჰეიერი მკვდარი იყო.

მუხლმორთხმით იჯდა გარდაცვლილის გვერდით და გაშტერებული სადღაც პირდაპირ იყურებოდა. მერე ფარდის ნაკეცები მოხვდა თვალში. ვერ მიმხვდარიყო, ნაცრისფრად მტვერი ციმციმებდა ასე თუ ხავერდის ხაო, საერთოდ, ხავერდისა თუ იყო ფარდა და ეგეც რომ არა _ რამდენად მისაღები იყო ბინაში ხავერდის ფარდების დაკიდება. მერე იგრძნო, კანკალებდა; გულიც ერეოდა. წამოიზლაზნა, ოთახი გადაჭრა და კარი გამოაღო ლაქიას უხმო საშველად.

• • •

მკითხველთა ლიგა

კიტინგი ჩვეულებრივად გამოცხადდა ოფისში. შეკითხვებისთვის თავი არ აურიდებია, ყველას აუხსნა იმ დღეს ჰეიერმა თვითონ დამიბარა თავისთან, უნდოდა, გადადგომასთან დაკავშირებით დამლაპარაკებოდაო. ნათქვამის სიმართლეში არავინ დაეჭვებულა და კიტინგის ღრმა რწმენით, არც არასოდეს დაეჭვდებოდა ვინმე. ჰეიერის ასეთი აღსასრული უკვე კარგა ხნის წინ ჰქონდათ ნაწინასწარმეტყველები. ფრენკონმაც მხოლოდ შვება იგრძნო: "ხომ ვიცოდით, ადრე თუ გვიან, მოხდებოდა, გაჭიანურებულ აგონიას ისევ ეს სჯობდაო", – ამშვიდებდა თანამშრომლებს.

კიტინგსაც აშკარად გადაუარა ბოლოდროინდელმა შფოთვამ და გულისხეთქვამ. ერთიანად მოეშვა კიდეც. თუმცა სადაც არ უნდა ყოფილიყო, შინაც და გარეთაც, ერთი ფიქრი მაინც მუდმივად, ჯიუტად ახსენებდა თავს: მკვლელი იყო... არა, მკვლელი კი არა, თითქმის მკვლელი... თითქმის... თვითონ ხომ იცოდა რაც მოხდა, შემთხვევით არ მომხდარა. განზრახ ააღელვა და შეაშინა ჰეიერი; იმ მეორე შეტევის იმედით, უარეს შემთხვევაში, სამუდამოდ ლოგინად რომ ჩააგდებდა უბედურს.

მაგრამ უკეთეს შემთხვევაში? ვითომ არ იცოდა, სხვაც რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეორე შეტევას? ამასაც ვარაუდობდა ჰეიერთან მიმავალი? ცდილობდა, გაეხსენებინა, გონებას უშედეგოდ ატანდა ძალას, ვერაფერს იხსენებდა. არადა, სიმართლის დადგენაც უნდოდა თავისთვის მაინც. ფიქრში გართული, ვერც ამჩნევდა, რა ხდებოდა ირგვლივ ოფისში. აღარც ის ახსოვდა, რა ცოტა დრო რჩებოდა ფრენკონთან პარტნიორობის ამბის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

ჰეიერის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი ფრენკონმა თავადვე უხმო.

"დაჯექი, პიტერ," – მიეგება ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაბადრული, – "კარგი ამბები მაქვს შენთვის! ამ დილით ლუშესის ანდერძი გახსნეს. ხომ იცი, ნათესავი არავინ ჰყავდა. ისე, ცოტა კი გამიკვირდა, ხო იცი... ეტყობა, სათანადოდ ვერ ვაფასებდი ცხონებულს, არადა, კაცური კაცი ყოფილა მთელი ქონება შენ დაგიტოვა... როგორია? ახლა აღარაფერზე მოგიწევს დარდი... რა გჭირს, რა მოგივიდა?.."

კიტინგს თავი ჩამოუვარდა და სახე ხელებში ჩამალა ახლა ფრეკონს სახეს ვერ დაანახვებდა. შეიძლებოდა, მართლა წასვლოდა გული, იმიტომ რომ უცებ გაჩენილი დამზაფრავი შიშის მიუხედავად, უკვე იმასაც ანგარიშობდა გონებაში, რა სიმდიდრის პატრონი შეიძლებოდა ყოფილიყო ჰეიერი...

ლუშეს ჰეიერს ანდერძი ხუთი წლის წინ შეედგინა ალბათ ბოლომდე გაუაზრებელი მადლიერების კარნახით იმ ერთადერთი ადამიანისადმი, ვინც გულისხმიერება გამოიჩინა მის მიმართ; ან, შეიძლება, ასე მოუგო ნიშნი ყოფილ პარტნიორს, მერე კი ანდერძი თვითონაც გადაავიწყდა. ნაღდი ქონება ორასი ათას დოლარს შეადგენდა, რასაც ფირმის წილი და ფაიფურის კოლექციის ღირებულებაც ემატებოდა.

კიტინგი იმ დღეს ადრე წამოვიდა ოფისიდან, ისე უგუგუნებდა თავი, თანამშრომლების მილოცვებიც არ ესმოდა. შინ დაბრუნებულმა ახალი ამბავი დედას მიახარა, აფორიაქებულ-აჟივჟივებული დატოვა სასტუმრო ოთახში და საძინებელში ჩაიკეტა. მერე, ვახშმობამდე, სიტყვის უთქმელად წაბოდიალდა სადღაც. იმ საღამოს საერთოდ არც უვახშმია, დალევით კი მართლა ბლომად დალია რომელიღაც ბარში, თუმცა არც ძალიან დამთვრალა და არც გონება არევია. პირიქით, აზრი თითქოს უფრო დაეწმინდა კიდეც და ერთბაშად გააცნობიერა

მკითხველთა ლიგა

არაფერი მაქვს მოსანანიებელიო; მის ადგილას ნებისმიერი იმავეს მოიმოქმედებდა; ქეთრინმა კი უთხრა, ეგოისტი ხარო, მაგრამ სხვას ნეტა ვის იცნობდა არაეგოისტს?! ცხადია, ამაში სატრაბახოც არაფერი იყო, უბრალოდ, სხვებზე მეტად გაუმართლა; ეკუთვნოდა და იმიტომ; შესანიშნავად გრძნობდა თავს; იმედი ჰქონდა, უაზრო კითხვები და ეჭვები საბოლოოდ ჩაჰბარდა წარსულსო; ყველამ საკუთარ თავს მიხედოსო, – ეს გაიფიქრა ბოლოს, სანამ მაგიდაზე თავჩამოდებულს ჩაეძინებოდა.

უაზრო შეკითხვებს მართლაც აღარასოდეს შეუწუხებია. დროც ჰქონდა საამისოდ როგორც აღმოჩნდა, "კოსმო-სლოტნიკის" კონკურსის ჟიურისაც მასზე შეეჩერებინა არჩევანი!

• • •

კიტინგი ხვდებოდა, ეს გამარჯვება უხმაუროდ არ ჩაივლიდა, მაგრამ რაც მოხდა, მისთვისაც მოულოდნელი გამოდგა დაფდაფების ხმას მოელოდა და მთელი სიმფონიური ორკესტრი კი ახმიანდა...

ჯერ ტელეფონი აწკარუნდა ოფისში და გამარჯვებულის ვინაობა აცნობათ ვიღაცამ, მერე კი ზარები მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა ვინ ულოცავდა, ვინ ინტერვიუს სთხოვდა, ვინ რაღაც მოლაპარაკებებზე იწვევდა... მერე წამოვიდა დეპეშები, წერილები, ვიღაც ხალხი, რომელთაგან კიტინგი ზოგს იცნობდა, ზოგს არა; მდივანს თავგზა სულ აებნა, აღარც იცოდა, ვინ შეეშვა, ვინ უარით გაესტუმრებინა, კიტინგსაც თითები დაუბუჟდა ამდენი ხალხისთვის ხელის ჩამორთმევით... თავის პირველ ინტერვიუში რა ილაპარაკა, არც კი ახსოვდა ხეირიანად ოფისი ხალხით იყო გადაჭედილი, ბლიცები თვალისმომჭრელად ციმციმებდა... ფრენკონმაც გამოიდო თავი და საკუთარი ბარის კარი დილით რომ გამოაღო, მერე აღარც დაუკეტავს. მერე ისიც კი გამოაცხადა სახალხოდ: "ეს გამარჯვება სულ პიტერ კიტინგის დამსახურებაა, ჩვენი წვლილი მხოლოდ მისთვის ხელშეწყობა იყო!”

ამან კიდევ უკეთესი შედეგი მოიტანა, ვიდრე თავად გაი ფრენკონი ვარაუდობდა: გაზეთები გადაჭრელებული იყო პიტერ კიტინგის მოღიმარსახიანი ფოტოებით, რომელთაც უცილობლად ახლდათ თხრობა მისი წარსული სიღარიბის, სწავლის წლების, მძიმე შრომისა და რაღა თქმა უნდა ახლანდელი დამსახურებული გამარჯვების თაობაზე; არც დედის შვილისადმი ურყევი რწმენისა და თავდადების მოხსენიება დავიწყებია ვინმეს მოკლედ, ერთბაშად შეითხზა მითი ”კონკია-არქიტექტორის” შესახებ...

უკმაყოფილო არც "კოსმო-სლოტნიკი" დარჩენილა: "ახალგაზრდა გენიოსის აღმომჩენები" სულაც არ ელოდნენ, რომ აღმოჩენა გარეგნულადაც ასეთი მომხიბლავი, სანდოღიმილიანი და უბრალო წარმომავლობის, ღარიბი ოჯახიშვილი იქნებოდა... მოკლედ, სარეკლამო ბიზნესის ბორბალი სრული სვლით დატრიალდა.

„ მსოფლიოს უმშვენიერესი ცათამბჯენის” მაკეტის ფოტოები ლამის ყველა ქუჩის გადაკვეთაზე გამოეფინათ, თანამდევი წარწერებით: "სისადავისა და ფანტაზიის შერწყმით აღბეჭდილი პროექტი... წარსულიდან ამოზრდილი თანამედროვეობის განსახიერება... ფრენკონისა და კიტინგის შედევრი!”

თავად კიტინგი ახალი ამბების გამოშვებებში ჩნდებოდა ხან მისტერ შუპთან, ხანაც მისტერ სლოტნიკთან ერთად, და თითოეული მათგანი საკუთარ, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს შეფასებას არ იშურებდა მომავალი

მკითხველთა ლიგა

ნაგებობისთვის; ხანაც ათასგვარ ბანკეტებზე იწვევდნენ საპატიო სტუმრად და აუცილებელი, მთავარი სიტყვის წარმოსათქმელად; არც საკლუბო შეხვედრებს აკლდებოდა და არც მაღალი საზოგადოების რაუტებს - შავ ფრაკში გამოწყობილი, სახეზე ღიმილაკრული, ყველგან ორი-სამი წუთი მაინც ლაპარაკობდა ხოლმე არქიტექტურის მნიშვნელობასა და მომავალზე. ატლანტიკ-სიტიში იმავე "კოსმო-სლოტნიკის" მიერ გამართულ ლამაზმანების კონკურსს თავმჯდომარეობდა, ხოლო ჩემპიონთა ქამრის შესანარჩუნებლად რინგზე გამოსულ მოკრივესთან გადაღებულ ფოტოს ამგვარი წარწერა ამშვენებდა: "ჩემპიონები!"

ქ-ნმა კიტინგმა ერთი კი ამოისლუკუნა, მერე შვილს ჩაეხვია და ერთთავად იმას მოთქვამდა ვერაფრით დავიჯერებდი, ეს ჩემი ფარული ოცნება თუ ამიხდებოდაო. ლაპარაკი უჭირდა, როცა ფოტოებს უღებდნენ, მიკროფონებთანაც უხერხულად გრძნობდა თავს, ოღონდ უარი კი არავისთვის უთქვამს ალბათ, მეტისმეტი ხათრიანობის გამო... მერე და მერე მიეჩვია მხრებს იჩეჩავდა, რა მოხდა ისეთი, აბა, სხვას ვის უნდა რგებოდა ეს ჯილდოო; ჟურნალისტებთან სასაუბრო დედაშვილური ტონიც გამოიმუშავა და ფრიად ნაწყენი რჩებოდა ხოლმე, თუკი შვილს დედის გარეშე დაუპირებდა ვინმე ფოტოს გადაღებას. ბოლოს საკუთარი გარდერობის განახლებასა და ბეწვის ქურქის შერჩევას მიჰყო ხელი.

კიტინგი ახლა უბრალოდ დინებას მიჰყვებოდა. შინაგანად სჭირდებოდა მთელი ეს აურზაური. აღარც ეჭვები სტანჯავდა და აღარც პასუხგაუცემელი შეკითხვები მათი ადგილი აღარც რჩებოდა ასეთ გარემოცვაში. იმდენად დიდი იყო, რამდენადაც დიდი იყო ამ ხალხის მისით აღტაცება; იმდენად სწორი, რამდენი ადამიანიც იჯერებდა ამას. ხელახლა დაიბადა თითქოს იმათ თვალებში, და ახლა თავი მათი დანახულის ანარეკლად ეჩვენებოდა: პიტერ კიტინგი ხალხის მიერ დანახულის განსახიერება!

ერთხელაც დრო გამონახა და ქეთრინთან დარჩა მთელი ორი საათით. ხელიხელგადახვეულები ისხდნენ და ქეითი სულ ბროლის კოშკებს აგებდა და არც პიტერი შეწინააღმდეგებია უფრო სწორად, საერთოდ არც ესმოდა, რას ეუბნებოდა. უფრო იმაზე ფიქრობდა, ახლა ფოტო რომ გადაგვაღებინა ასე ჩახუტებულებს, რამდენი გაზეთი ინატრებდა მის დაბეჭდვასო.

დომინიკი კი მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც ორიოდ წუთით და რაღაც უსიამო ნალექი დარჩა ამ შეხვედრიდან: ქალმა მიულოცა, ოღონდ რაღაც ისე უცებ კაცი ვერც გაიგებდა, რას ულოცავდნენ, და თან ისე შესცქეროდა, თითქოს დიდი არც არაფერი მომხდარიყოს; მერე საზაფხულოდ ქალაქი დატოვა და მის ბოლო პუბლიკაციაში "კოსმო-სლოტნიკის" კონკურსისა თუ მისი გამარჯვებულის ხსენებაც კი არ იყო...

"კონექტიკუტში მივემგზავრები", – ესღა უთხრა გამომშვიდობებისას, – "მამამ მთელი ზაფხულით დამითმო სახლი. არა, პიტერ, შენ ჩემს სანახავად ვერ ჩამოხვალ. ვერც ერთხელ. იქ სწორედ იმისთვის მივდივარ, არავინ რომ არ ვნახო." კიტინგი იმედგაცრუებული დარჩა, თუმცა არც იმდენად, ბოლო დღეების საზეიმო განწყობა გაფუჭებოდა. აღარც დომინიკს უფრთხოდა უკვე. დარწმუნებული იყო, მაინც აიძულებდა ქალს, მის მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა; ვინ იცის, იქნებ შემოდგომაზე სულ სხვანაირი დაბრუნებულიყო ნიუ-იორკში...

ერთადერთი რამ უშხამებდა ზეიმს; ხშირად არა, კაცმა რომ თქვას, არც დიდად მაგრამ მაინც. ზოგადად ქების მოსმენა არ ბეზრდებოდა, ოღონდ არ სიამოვნებდა, როცა საკუთარ ქმნილებაზე ელაპარაკებოდნენ ბევრს.

მკითხველთა ლიგა

იმას კიდევ რა უშავდა, თუკი "მოდერნისა და ტრადიციის ჯერ არნახული შერწყმის მაგალითად" ნათლავდნენ შენობის ფასადს; მაგრამ როცა დაგეგმარების ღირსებებზე მიდგებოდა საქმე ამ თემაზე კი განსაკუთრებით ხშირად უმახვილებდნენ ყურადღებას როცა ესმოდა მსჯელობა "უბადლო ნიჭსა და გენიალურ სიმარტივეზე... უჩვეულო, ძალდაუტანებელ ბუნებრიობაზე.. სივრცის არაჩვეულებრივ ეკონომიაზე.,.." – იძაბებოდა და ფიქრობდა... არა, ვერაფერსაც ვერ ფიქრობდა, გონებაშიც ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს; უფრო სწორად, თავადვე არ აჭაჭანებდა. რჩებოდა მხოლოდ მძიმე, უჟმური განცდა და ერთადერთი სახელი: ჰაუარდ რორკი...

ჯილდოს მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში სულ ამისგან განთვისუფლებას ცდილობდა, ისევე, როგორც რაღაც დრომოჭმულისგან, როგორც ერთხელ და სამუდამოდ დავიწყებული და დამარხული,ხელმოკლეობაში გატარებული წარსულისგან. მთელი ზამთარი ინახავდა სხვისი ხელით გადაკეთებულ-გადასწორებულ თავის საკონკურსო ნახაზებს; დაჯილდოების შემდეგ კი, იმავე საღამოს, პირველი, რაც შინ დაბრუნებულმა მოიმოქმედა ერთიანად მოუსვა ხელი და ბუხარში შეუძახა.

შვებას მაინც ვერ გრძნობდა. მერე უეცრად გაუნათდა გონება და მიხვდა – გაუაზრებელ შიშს კი არ ებრძოდა, სრულიად კონკრეტული საფრთხე ელოდა; მიხვდა და შიშმაც მაშინვე გაუარა კონკრეტულ საფრთხესთან გამკლავება შეეძლო, ამას ნამდვილად მოევლებოდა. შვებით ამოისუნთქა, რორკის ოფისის ნომერი აკრიფა და ჰაუარდს შეხვედრაზე შეუთანხმდა.

შეხვედრაზე თავდაჯერებული გაემართა. ცხოვრებაში პირველად არ აწუხებდა ის აუხსნელი, უცნაური უხერხულობა, რასაც რორკთან ურთიერთობისას ვერასოდეს აღწევდა ხოლმე თავს. ახლა უკვე აღარაფერი ემუქრებოდა. ჰაუარდ რორკის საქმე მოთავებული იყო.

• • •

რორკი თავის ოფისში, მაგიდასთან იჯდა და ელოდებოდა. დილით ერთხელ დარეკა ტელეფონმა, მაგრამ პიტერ კიტინგი შერჩა ხელში - შეხვედრას სთხოვდა. ახლა აღარც ახსოვდა, რომელ საათზე უნდა მოსულიყო. დაძაბული ელოდა ტელეფონის ზარს. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, მისი ბედი ამ ერთ ზარზე ეკიდა: უნდა ეცნობებინათ, რა ბედი ეწია მანჰეტენის საბანკო კომპანიისთვის გაკეთებულ ნახაზებს.

ოფისის ქირა უკვე კარგა ხანია, ვალად ედო. სხვათა შორის, საცხოვრებლისაც. ოთახი დიდად არ ანაღვლებდა სახლის პატრონს კი დაელაპარაკებოდა, მოაცდევინებდა ცოტას; რომც არა და, არც მაგას დაგიდევდათ. აი, ოფისი სხვა საქმე იყო. გამქირავებელ სააგენტოში ერთხელ უკვე ითხოვა გადავადება; ითხოვა კი არა, უბრალოდ, შეატყობინა ჯერჯერობით ვერ გადავიხდი ქირასო, მაგრამ მაინც იმდენად ესიკვდილებოდა ამის განცხადება, ლამის ფიზიკურად იტანჯებოდა,
დამცირებულად გრძნობდა თავს... არა უშავს, ვიტანჯები და ახია ჩემზეო ამასღა ფიქრობდა სანუგეშოდ.

ტელეფონის ფულიც ორი თვის გადაუხდელი ჰქონდა. ცოტა ხნის წინ უკანასკნელად გააფრთხილეს. რამდენიმე დღეში უკვე უსიკვდილოდ გადაუჭრიდნენ. ამისთვისაც მზად იყო რამდენიმე დღეში უამრავი რამ

მკითხველთა ლიგა

შეიძლებოდა მომხდარიყო.
ბანკის სამეურვეო საბჭოს პასუხი მიუხედავად იმისა, რომ უეიდლერი შეტყობინებას ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დაჰპირდა უსაშველოდ იგვიანებდა. თურმე ნუ იტყვით და, საბჭო ერთიან აზრამდე ვერაფრით მისულიყო; იყვნენ მოწინააღმდეგეებიც და გულმხურვალე მომხრეებიც.. მოკლედ, დავა-კამათს ბოლო არ უჩანდა. უეიდლერი სიტყვაძუნწობდა, თუმცა რორკი ისედაც ხვდებოდა ყველაფერს. აუტანლად გაიწელა დუმილის დღეები. მის არსებაშიც სიჩუმე გამეფე-ბულიყო, იჯდა და იცდიდა.
მაგიდაზე გადაწოლილს სახე მკლავზე ედო და თითებით ტელეფონის აპარატი ჩაებღუჯა. ფიქრი ბუნდოვნად კარნახობდა, ასე ჯდომა არაფერს მოუტანდა, მაგრამ უჩვეულო დაღლილობას გრძნობდა. დააპირა კიდეც, ტელეფონიდან ხელი აეღო, მაგრამ თავს ვერ მოერია. მთლიანად ამ ტელეფონზე ეკიდა მისი ბედი სულ რომ დაელეწა, ნამსხვრევებად ექცია, მაინც. ამიტომაც ჩაჰფრენოდა ასე ჯიუტად. ტელეფონი და ფოსტა ესღა რჩებოდა იმედად. იქნებ თავსაც იტყუებდა, როცა ყოველდღე, ფოსტის მოტანის დროს, ერთიანად იძაბებოდა და თუ ხანდახან მართლა შემოუგდებდნენ კარის ჭრილში იშვიათ წერილს, თავს ძალას ატანდა, მაშინვე გიჟივით არ წამომხტარიყო სკამიდან: შეგნებულად ითრევდა ფეხს, მერე ნელა, ზლაზვნით მიუახლოვდებოდა თეთრ კონვერტს კიდევ ერთხელ გაცრუებულ მოლოდინს და დინჯად დასწვდებოდა ხოლმე. კარში დატანებული ჭრილი და ტელეფონი _ სხვა არც აღარაფერი აკავშირებდა დანარჩენ სამყაროსთან.
ახლაც კარისკენ გააპარა თვალი. უკვე საღამოვდებოდა, დღეს ფოსტას ალბათ აღარც მოიტანდნენ. ხელი ასწია, საათზე უნდოდა დაეხედა, და მერეღა გაახსენდა რა ხანია, დაეგირავებინა. ფანჯრიდან ქუჩის საათი მოჩანდა ხუთის ნახევარს უჩვენებდა. ფოსტას ნამდვილად აღარ მოიტანდნენ.
ხედავდა, როგორ დასწვდა მისი ხელი ტელეფოხის ყურმილს და თითებმაც ნომრის აკრეფა დაიწყეს.
"არა, ჯერ არა," – ისმოდა უეიდლერის ხმა მეორე ბოლოდან,_"თათბირი გუშინ იყო დანიშნული, მაგრამ გადადება მოგვიწია...მოსვენებას არ ვაძლევ, ბულდოგივით ჩავაფრინდი ყელში... გპირდები, ხვალ საბოლოო პასუხს გაგაგებინებ. თითქმის დარწმუნებული ვარ. ხვალ თუ არა, მაშინ კვირის ბოლომდე ვეღარ შევიკრიბებით, ოღონდ ორშაბათს უეჭველად აღარ გადასცილდება... საოცარი მოთმინება გამოიჩინე მისტერ რორკ! დიდი მადლობლები ვართ თქვენი." რორკმა ყურმილი დააგდო. თვალები დახუჭა.
გახსენებაც კი ზარავდა, რა თარიღი ესვა ტელეფონის ქვითარს და თან იმის ფიქრი, ორშაბათამდე როგორ და რანაირად გაეტანა თავი,,
– სალამი, ჰაუარდ.
თვალი გაახილა და პიტერ კიტინგის მოღიმარი სახე დაინახა. თხელი, ღილებშეხსნილი თეთრი საგაზაფხულო პალტო ეცვა, ქუდი დარდიმანდულად მოეგდო კეფაზე.
– გაგიმარჯოს. – გაეპასუხა დუნედ.
კიტინგმა ქუდი მაგიდაზე დააგდო, გემრიელად მოეწყო სავარძელში და ფეხი ფეხზე გადაიდო.
– მოკლედ, ცხოვრება მიდის, ეგრეა?
– მომილოცავს.
– გმადლობ. შენ რაღა დაგემართა? რაღაც კარგად ვერ გამოიყურები. არადა, როგორც ვიცი, ზედმეტი მუშაობა არ უნდა გიწევდეს...

მკითხველთა ლიგა

არა, ასე არ აპირებდა საუბრის დაწყებას უნებურად გამოუვიდა. ”არა უშავს," – გაიფიქრა, – "მაგას გამოვასწორებთ, ახლა ისაა მთავარი, კარგად გამოჩნდეს, ვინ ვინაა."

– არა, ეგ ნამდვილად არ მემუქრება...

– კარგი რა, აღარ უნდა შეეშვა?

– რას?

– აი, მაგ პოზიორობას. ან იდეალიზმს თუ ესე უფრო მოგწონს...დაეშვი რა, მიწაზე! უბრალო სამუშაოს მოჰკიდე ხელი რას მედიდურობ?!

აი, ამის თქმას კი ნამდვილად არ აპირებდა ნამდვილად ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ახლა გვიანი იყო უკვე... მუხრუჭებმა უმტყუნა, ნამდვილად.

– არა, მაინც როგორ აპირებ თავის გატანას?! არ შეიძლება, მთლად ასე გაირიყო! მოკლედ, ორი გზა არსებობს ან ყველასთან ხარ, ან ყველას წინააღმდეგ... შენ კიდევ საერთოდ დაგვიკიდე! ეგრე არ გამოვა, ძმაო!

– არ მითხრა...

– ხალხს არ უნდიხარ, ჰაუარდ! შენი არაფერი ესმით! ასეთი პერსპექტივა არ გაშინებს?

– არა.

– წელიწადია, შეკვეთა არ მიგიღია. ვერც მიიღებ. ვინ გიჟი დაიჭერს შენთან საქმეს? ასი-ორასი დოლარიღა დაგრჩენია მერე რას იზამ?

– გეშლება, პიტერ 14 დოლარი და 57 ცენტი დამრჩა.

– და ასე სახუმაროდ გაქვს საქმე?! ხომ გახსოვს, ერთად დავიწყეთ, ახლა კი სად შენ, სად მე! და რატომ, იცი? ცხვირს არაფერზე ვიბზუებ, რაც გასაკეთებელი იყო, უარი არაფერზე მითქვამს! ამ ბაქიაობას შეეშვი და ერთ წელიწადში ახალ ოფისშიც გადახვალ, არც დამკვეთები მოგაკლდება და არც ფული! მეგობრებსაც გაიჩენ, ხალხშიც გამოხვალ და საერთოდ, ნორმალურ ცხოვრებას ააწყობ რა, არ გინდა?! ამ სოროში გინდა ამოგძვრეს სული?! მე რა ჩემთვის შენ კიდევ ერთი მეტოქე იქნები, ასე არაა? ჰოდა, რა მრჯის, ამას რომ გიჩიჩინებ?! უბრალოდ, გული მიკვდება...

უცბად შეამჩნია, რორკი განაწყენებული და დაბოღმილი კი არ იმზირებოდა, მართლა მთელი ყურადღებით უსმენდა თითქოს წონიდა რაღაცას, თითქოს რაღაცამ დააეჭვაო...

– დაიცა, პიტერ, ნუ გაუტიე, – თქვა ბოლოს, – კარგად ვხვდები, მთელი გულით მთავაზობ ოღონდ რატომ? ეგაა საკითხავი. განა რა მართლა გაგიხარდება, ყველაფერი რომ ისე აეწყოს, როგორც მიხატავ? შანსი არაა. მაშ , რა მოგდის? რითი გაშინებ და რითი გიშლი ხელს?

– არ ვიცი... მართლა არ ვიცი!

ამაზე გულწრფელი პასუხი წარმოუდგენელიც იყო. მართლა არ იცოდა, ვერ გაეგო, და იმასაც ხვდებოდა, თავად რორკიც რომ ვერ მიმხვდარიყო ამას უბრალოდ, ზუსტად ათიანში მოარტყა, შემთხვევით...ახლა კი ისხდნენ ასე, უბრად.

_ კარგი ახლა, პიტერ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. მე უკვე დავივიწყე.

და სწორედ ამ დროს კიტინგმა თითქოს საკუთარი თავი იპოვა,სწორედ ისე ალაპარაკდა, როგორც თავიდან აპირებდა მეგობრულად და თან მენტორული ტონით:

– მოკლედ, მე ჩემი გითხარი და თუ ადამიანური ცხოვრება არ გინდა...

– მოკეტე! – კბილებში გამოცრა რორკმა.

კიტინგი უკან გადაწვა, საზურგეზე. სათქმელი არც აღარაფერი ჰქონდა. ისიც კი გადაავიწყდა, რისთვის იყო მოსული. წამიერად სიჩუმე ჩამოვარდა.

მკითხველთა ლიგა

– ბოლოს და ბოლოს იმ კონკურსის თაობაზე რა უნდა გეთქვა? _ ისევ რორკმა ამოიღო ხმა.

კიტინგი ერთიანად დაიძაბა. ვერ გაეგო, რორკი როგორ უნდა მიმხვდარიყო ამას. თუმცა უეცრად მოძალებულმა სიბრაზემ და აღშფოთებამ სხვა დანარჩენი დაავიწყა და ამით თითქოს საქმეც გაუადვილა,

– ხო, რა თქმა უნდა! – მტკიცედ, დამაჯერებლად ლაპარაკობდა, თანაც უსამართლობით გულნატკენი კაცის იერით, – ნამდვილად მინდოდა, მაგაზეც მეთქვა. გმადლობ, რომ შემახსენე. ცხადია, მიხვდებოდი, შენ მაინც იცი უმადური ღორი არასდროს ვყოფილვარ. მადლობის სათქმელად მოვედი, ჰაუარდ. არ დამვიწყებია, იმ შენობის დაპროექტებაში შენც რომ გიდევს წილი, შენი რჩევებიც რომ გავითვალისწინე... ჩემი ნება იყოს სახელს და დიდებასაც სიამოვნებით გაგინაწილებდი.

– რა აუცილებელია...

– მართლა, გულით ვამბობ! მაგრამ ხომ ვიცი, მაგაზე კრინტსაც არ დამაძვრევინებ და ცოცხალი თავით თვითონაც არ ამოიღებ ხმას... ხალხის ამბავი ჩემზე კარგად მოგეხსენება, ისეთ სულელურ კუდს გამოაბამენ ყველაფერს... ოღონდ რახან ფულადი პრემიაც მერგო, მე მგონი, სამართლიანი იქნება, შენი კუთვნილი წილი შემოგთავაზო. კარგია, ამ დროს რომ დაემთხვა როცა ასე გიჭირს. წინდაწინვე გამზადებული ჩეკი დააძრო და მაგიდაზე დადო. "ხუთი ათასი დოლარი. განაღდდეს ჰაუარდ რორკის მოთხოვნისთანავე", – ეწერა ზედ.

– მადლობა, პიტერ, – თქვა რორკმა და ჩეკს დასწვდა.

მერე უკუღმა გადააბრუნა, კალმისტარი აიღო და მეორე მხარეს წააწერა: "განაღდდეს პიტერ კიტინგის მოთხოვნისთანავე" , ხელი მოაწერა და ფურცელი კიტინგს დაუბრუნა.

– ესეც ჩემი ქრთამი, პიტერ. იმავე მიზნით გაძლევ ენას კბილი მაგრად რომ დააჭირო.

კიტინგი გაშტერებული მისჩერებოდა.

– მეტს ვერაფერს შემოგთავაზებ, – განაგრძო რორკმა, – ამჟამად მთლად გამოფხეკილი ვარ, მაგრამ მოგვიანებით, როცა ფული გამიჩნდება, აუცილებლად მოგთხოვ, ნუღარ დამაშანტაჟებ-მეთქი. გულწრფელად გეუბნები მაგის მკისრებელიც მგონიხარ. არადა, ძალიან არ მინდა, ვინმემ გაიგოს, იმ შენობის დაპროექტებაში ჩემი ხელიც რომ ურევია.

კიტინგი შეცბა, ნელ-ნელა ყველაფერს მიხვდა და მისი სახის შემხედვარე რორკს მართლა გულიანად გაეცინა.

– რას იტყვი? – ჩაეკითხა, – ვითომ დამიპირებ დაშანტაჟებას? ახლა წადი, ჩემგან არაფერი გემუქრება. კრინტს არ დავძრავ. ის სახლი მთლიანად შენია, საძირკვლიან-სახურავიანად და არც ის მინდა, გაზეთებში შენთან ერთად ვჩანდე.

პიტერ კიტინგი დამდუღრულივით წამოხტა ფეხზე. ერთიანად ცახცახს აეტანა.

– კისერიც გიტეხია! – კიოდა ცივი ხმით, – ჯანდაბამდე გზა გქონია! ვინ გგონია შენი თავი? ვინ მოგცა ადამიანებთან ასე მოქცევის უფლება?! არ გეკადრება, არა, იმ შენობის ავტორობა? გინდა, მეც მრცხვენოდეს? წადი, შე დამპალო, უსაქმურო ნაბიჭვარო! ვინ მიგდიხარ? იმდენი ტვინიც არ გყოფნის, იმას მაინც მიხვდე, რომ არაფერში ვარგიხარ! ან საერთოდ, რა გესმის, შე მათხოვარო! დამდგარა აქ უზენაესი მსაჯულივით! ქვეყნიერებას ამხედრებია! კაცი არ მოინახა ამის მოსაწონი! ვითომ,

მკითხველთა ლიგა

რატომ უნდა გისმინო? ფეხებს ვერ მომჭამ! ნუ მიყურებ ეგრე! ყოველთვის მეზიზღებოდი! არ იცოდი, არა? ყოველთვის! და სულ ეგრე იქნება! ერთხელაც, საბოლოოდ მოგსპობ, გაგანადგურებ, არაფერზე დავიხევ უკან!

– წინასწარ რატომ მაფრთხილებ, პიტერ? – ჰკითხა რორკმა მშვიდად.

კიტინგს თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა, ხელები უღონოდ ჩამოყარა და მოწყვეტით დაენარცხა სკამზე.

ცოტა ხნის შემდეგღა ასწია თავი.

_ ღმერთო ჩემო, ეს რა ვიბოდიალე, ჰაუარდ? – ამოილუღლუღა დაგუდული ხმით.– მოგეშვა ცოტა? სახლამდე მიაღწევ?

– მაპატიე, გთხოვ. არ ვიცი, რა დამემართა. ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. რამ მათქმევინა...

– ჰალსტუხი მოგეჩაჩა, გაისწორე.

– ეტყობა, ჩეკის ამბავმა გამაბრაზა. ალბათ, შენც შეურაცხყოფილად იგრძენი თავი. ბოდიშს გიხდი. ზოგჯერ ასე ბრიყვულად ვიქცევი ხოლმე. შენი შეურაცხყოფა მართლა არ მინდოდა. მოდი, საერთოდ მოვსპოთ ეს ოხერი ჩეკი.

ასანთს გაჰკრა და ქაღალდს წაუკიდა, საფერფლეში.

– არ აჯობებს, ახლა მაინც წახვიდე შინ?

კიტინგი მძიმედ წამოიზლაზნა, ჰაერში უაზროდ მოატარა ხელი და ისევ ალუღლულდა:

– ხო, კარგი... კარგი, ღამე მშვიდობისა, ჰაუარდ. მე... მალე გნახავ. უბრალოდ, ბოლო დროს იმდენი რამე დამატყდა თავს... ეტყობა, დასვენება მჭირდება... დროებით...

ოთახიდან გამოვიდა, ზურგს უკან კარი გამოიხურა და უცებ საოცარი შვება იგრძნო. საშინლად იყო დაღლილი, მაგრამ ამავე დროს, ასეთი თვითდაჯერებაც იშვიათად დაუფლებია ცხოვრებაში. ერთ რამეში ეჭვი აღარ ეპარებოდა: რორკი სძულდა და არც იმ ოდინდელი უხერხულობის მიზეზის ახსნა სჭირდებოდა უკვე. პასუხი მარტივი ჩანდა რორკის სიძულვილი, ხოლო თავად ამ სიძულვილს რა ედო საფუძვლად, მნიშვნელობაც არ ჰქონდა. მთავარია, სიძულვილს არ დაჰკარგოდა ძალა -ბრმად, მოთმინებით, ბრაზის გარეშე, კიდევ და კიდევ ემატა ყოველდღიურად და დაგროვილიყო, სამუდამოდ...

• • •

ტელეფონმა ორშაბათს, ნაშუადღევს დარეკა.

"მისტერ რორკი ხართ?" – იკითხა უეიდლერმა, – "შეგიძლიათ ახლავე მოხვიდეთ? ტელეფონით არაფრის თქმა არ მინდა, მაგრამ ეცადეთ, არ დაიგვიანოთ." ხმაში ხალისი, მხიარულება და იმედი მოისმოდა.

რორკი ფანჯარასთან მივიდა, ქუჩის საათს გახედა. უცქერდა მეგობრად ქცეულ ამ ძველ მტერს და ეცინებოდა; უკვე ალბათ აღარ დასჭირდებოდა, გამომწვევი მზერით გაეხედა ხოლმე ქალაქის მოედანზე გამოკიდული ამ უჟმური, დიდი, მრგვალი ციფერბლატისკენ.

წამოდგა, პალტოს დასწვდა. მერე, ქუჩაში, ტაქსი გააჩერა, თუმცა ფული ცოტა ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარე კაბინეტში ელოდა, უეიდლერსა და "მანჰეტენ ბენკ კომპანის" ვიცე-პრეზიდენტთან ერთად. დიდ, წითელი ხის მაგიდაზე რორკის ნახაზები გაეშალათ. უეიდლერი წამოდგა და მის შესახვედრად გამოემართა. ჯერ კრინტიც არ დაეძრა, რორკი რომ რაღაცას მიხვდა გუმანით...

"მაშ ასე, მისტერ რორკ დაკვეთა თქვენია!" – ახარა უეიდლერმა.

მკითხველთა ლიგა

რორკმა თავი დაუქნია, სულ ოდნავ. არაფერი საჭირო არ იყო, დროზე ადრე მინდობოდა ამ დათაფლულ ხმას.

თავმჯდომარემაც გაუღიმა, გულთბილად, და შავტყავგადაკრულ დიდ სავარძელზე ანიშნა დაბრძანდითო. დაჯდა, ხელი მაგიდაზე ჩამოდო. მისი ხელი და მისი ნახაზები: ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უკვე თავად შენობის საძირკვლის პირს ეხებოდა ორმოცდაათსართულიან ნაგებობას, ზედ მანჰეტენზე...

"უნდა მოგახსენოთ" – წამოიწყო თავმჯდომარემ, – "დიდი ბრძოლა გადაგვხდა, ე-ე... ნამდვილი *ალამო*! თუმცა, ამჯერად ჩვენ გავიმარჯვეთ. ხომ იცით, ზოგ-ზოგი ორგანულად ვერ იტანს ინოვაციებს. ოღონდ, ჩვენც მაგრად დავუდექით და, გარკვეულწილად, რაღაც კონსენსუსამდეც მივედით. ისე, უნდა მოგახსენოთ, მისტერ უეიდლერის მჭევრმეტყველება რომ არა..."

მერე არც სხვები ჩამორჩნენ და დეტალურად იხსენებდნენ წარსული სიტყვიერი შეხლა-შემოხლის პერიპეტიებს. რორკი, სიმართლე ითქვას, არც კი უსმენდა, წარმოსახვით უკვე იქ იყო, სამშენებლო მოედანზე... და სწორედ ამ დროს გაიგონა: "მოკლედ, ჩემო ბატონო, დაკვეთა თქვენია და მხოლოდ ამ ერთ პატარა დათმობაზე მოგიწევთ წასვლა." გაიგონა და გახედა, სამივეს.

– სულ ერთი პაწაწინა კომპრომისი, და ყველა საბუთს აქვე შეგვეძლება მოვაწეროთ ხელი. ერთი პატარა დეტალი შენობის გარე ფასადთან დაკავშირებით. არა, მე კი მესმის თქვენისთანა მოდერნისტები, მოდით, ასე ვთქვათ, გარეგან ხედს არად დაგიდევენ და სადღაც მართალიცაა ჩვენც სწორედ თქვენი პროექტის, ასე ვთქ ფუნქციონალურობამ მოგვხიბლა, მაგრამ ეს მცირე კორექტივი თავად შენობის დაგეგმარებას არანაირად არ ეხება და, აქედან გამომდინარე...

– რა კორექტივი?

– გარე ხედის მცირეოდენი შეცვლა ესაა და ეს! ახლავე გიჩვენებთ. აგერ, მისტერ პარკერის ვაჟი სწორედ არქიტექტურას ეუფლება, დენვერში და ჩვენც ვთხოვეთ, რაღაც მონახაზის მსგავსი დაემზადებენა საბჭოში წარსადგენად. მოგეხსენებათ, სიტყვიერი ახსნა ერთია და ჩვენ ბანკირებს, თვალსაჩინოება უფრო გვიყვარს ხოლმე... აი, ინებეთ.

მაგიდაზე დახვავებული ფურცლებიდან ერთი გამოაძვრინა და რორკს გაუწოდა.

კი, ნამდვილად მისი პროექტი იყო, ოღონდ ფასადში ჩასმული, გამარტივებული დორიული ტალანითა და ფიგურებიანი ლავგარდანებით დახუნძლული....

წამოდგა, უხმოდ. ფეხზე უნდა მდგარიყო, ისე არაფერი გამოუვიდოდა. ერთი ხელით მაინც დაეყრდნო მაგიდას თითებით კიდეს ჩააფრინდა და ხმელ ხელზე მყესები დააჩნდა...

"ხომ მიხვდით?" – კმაყოფილი სახით ჩაეკითხა თავმჯდომარე, -"სულ ესაა. ჩვენი კონსერვატორები უცნაურად დაკუთხულ შენობას ისე ვერაფრით შეეგუებოდნენ, ჰოდა, ჩვენც, ასე ვთქვათ, კოჭი გავუგორეთ_ გარედან ვითომ კლასიკური სტილის ნაგებობად შევნიღბეთ! თანაც, რამე რომ იყოს, ბანკის იდეაც ხომ ესაა სიმყარე, სანდოობა, მემკვიდრეობითობა! ხალხიც ამას მოელის, მკვეთრი ინოვაციები კი ყოველთვის აფრთხობს ასეა! მოკლედ, საკრებულო, სრული შემადგენლობით, კმაყოფილი დარჩა და ახლა თქვენია ბურთი და მოედანი ეს ნახაზიც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ნახაზია იდეა, ასე ვთქვათ... თუ რაიმეს შეცვლას ისურვებთ არავითარი პრობლემა, მხოლოდ ეს მცირე, ასე ვთქვათ, კლასიკური მოტივების მინიშნება შეინარჩუნეთ როგორმე სულ ესაა."

მკითხველთა ლიგა

ბოლოს რორკმაც გაიღო ხმა. კაცი ვერ იტყოდა, მისი ტონის სიმშვიდემ უფრო დაზაფრა იქაურობა თუ იმ ფარულმა ემოციამ, მის ყოველ სიტყვაში რომ რეკდა ზარივით. მერე კიდევ, არც ის იყო ნორმალური, მარჯვენა ხელს რომ არ აცილებდა მაგიდის კიდეს, თითების გათეთრებამდე ჩაჰფრენოდა და როცა ნახაზს დასწვდებოდა ხოლმე, მაშინაც კი მხოლოდ მარცხენას ხმარობდა, თითქოს დაბადებიდან ცალხელა ყოფილიყოს...

დიდხანს ლაპარაკობდა. ქადაგად იყო დავარდნილი და დაწვრილებით უხსნიდა, რატომ არ შეიძლებოდა "კლასიკური" მოტივების მიწებება ამგვარი შენობისთვის; იმას ამბობდა, რომ კაცი პატიოსანი და პატიოსანი ნაგებობა ერთ თარგზე, ერთი მასალიდან და ერთი რწმენით უნდა იყვნენ გამოჭრილნი მცირე უზუსტობა და, თავად იდეა ბუმერანგივით მოუბრუნდებოდათ უკან; დედამიწაზე ყველგან და ყოველთვის მხოლოდ იდეისა და შესრულების ერთიანობა ქმნიდა იმას, რასაც ზოგადად, სიდიადე ეწოდება...

ბოლოს ისევ თავმჯდომარემ გააწყვეტინა:

- არათუ საწინააღმდეგო მქონდეს რამე, მისტერ რორკ, პირიქით, სრულიად გეთანხმებით და ყოველი ჩვენგანი თქვენს მხარეზეა, შინაგანად... მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასეთი უდრეკი და შეურყეველი ვერ იქნები. საქმეში აუცილებლად ჩაერევა ხოლმე გაუთვალისწინებელი ადამიანური გრძნობები, რასაც მხოლოდ ცივ ლოგიკას ვერ დაუპირისპირებ. ნამდვილად ტყუილად რომ ვდაობთ, მე შემიძლია, დაგეთანხმოთ, მაგრამ ვერ დაგეხმარებით. თემა, ასე ვთქვათ, ამოწურულია: საბჭომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, სხვათა შორის, გაიგებდით ალბათ ჩვეულებრივზე ბევრად ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ...

– შეიძლება, შევხვდე და პირადად ველაპარაკო საბჭოს წევრებს?

– ვწუხვარ, მისტერ რორკ, მაგრამ საკითხის ხელახალი განხილვა გამორიცხულია. ერთს გთხოვთ მხოლოდ პირდაპირ მითხარით, თანახმა ხართ თუ არა, ჩვენი პირობებით მოჰკიდოთ საქმეს ხელი. გამოგიტყდებით, თქვენი უარის შესაძლებლობაც განვიხილეთ. თითქმის საყოველთაო აზრით, ამ შემთხვევაში არქიტექტორ გორდონ ლ. პრესკოტს შევთავაზებთ შენობის დაპროექტებას. მე გამოვიდე თავი, მისტერ რორკს დავიყოლიებ-მეთქი.

გაჩუმდა და რორკს მიაჩერდა. ის კი ხმას არ იღებდა.

– ხომ ხვდებით, მისტერ რორკ?

– დიახ, – თქვა და თვალები დახარა. საკუთარ ნახაზებს დააცქერდა.

– მერე?

რორკს არაფერი უპასუხია.

– ჰო თუ არა?

რორკმა თავი ასწია და თვალები დახუჭა.

– არა, – თქვა ბოლოს.

– ბოლომდე აცნობიერებთ, რას სჩადით? – დაეკითხა თავმჯდომარე

– სავსებით.

– ღმერთო დიდებულო! – უცებ აღელდა უეიდლერი, – თუ გესმის,რამხელა საქმეზეა ლაპარაკი? ახალგაზრდა კაცი ხართ, ასეთი შესაძლებლობა იქნებ აღარც მოგეცეთ. თანაც... კარგი, ჯანდაბას ეს ყველაფერი! უბრალოდ, თქვენც ხომ გჭირდებათ ეს შეკვეთა? მატერიალური თვალსაზრისით?.. ვიცი...

რორკმა მაგიდაზე გაბნეული ნახაზები ერთად მოაგროვა, დაახვია და იღლიაში ამოიჩარა.

– არა, ეს უკვე სიგიჟეა! – ამოიგმინა უეიდლერმა, – მე თქვენ მჭირდებით.

მკითხველთა ლიგა

სწორედ თქვენი შენობა მჭირდება. ეს ფანატიზმი და თვითგვემა რაღა უბედურებაა?!
– რა? – გაკვირვებული ჩაეკითხა რორკი.
– ფანატიზმი და თვითგვემა-მეთქი!
რორკს გაეღიმა, დახვეული ნახაზები უფრო მაგრად მიიკრა ფერდზე.
– არა, მისტერ უეიდლერ, პირიქით დღეს ჩემი უმაგალითო ეგოიზმის მომსწრე გახდით.
მერე ოფისში დაბრუნდა, მთელ თავის ავლადიდებას ერთ პარკში მოუყარა თავი, კარი ჩაკეტა, გასაღები გამქირავებელი ბიუროს აგენტს დაუტოვა, უთხრა, ოფისს ვკეტავო, პარკი შინ დატოვა და მაიკ დონიგანის სახლისკენ გასწია.
– არაო? – უცებ მიხვდა ყველაფერს მაიკი.
– არაო! – დაუდასტურა რორკმა.
– მაინც, რა მოხდა?
– სხვა დროს მოგიყვები.
– ნაბიჭვრები!
– ეგ არაფერი, მაიკ.
– ოფისის რა უნდა ქნა?
– ოფისი დავკეტე.
– სამუდამოდ?
– ჯერჯერობით.
– უუ, მაგათი დედა!..
– გეყოფა, მაიკ. სამსახური მჭირდება. დამეხმარები?
– მე?
– აბა, მე მაგ საქმეში არავის ვიცნობ. შენ კი შინაური კაცი ხარ.
– რა საქმეში? რაზე ლაპარაკობ?
– სამშენებლოში. მშენებლობაზე მინდა მუშაობა. ცოტა გამოცდილებაც მაქვს.
– მოიცა, რა უბრალო მუშად?
– უბრალო მუშად.
– სულ გაგიფრენია, ხო იცი!..
– მორჩი, მაიკ. დამეხმარები?
– კი მაგრამ, შენისთანა არქიტექტორი...
– მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.
– რატომ?
– არქიტექტურა მორჩა. გაგონება აღარ მინდა. რა, იმაში მივეხმარო, რასაც ეგენი აკეთებენ?..
– სხვაგანაც მოახერხებ რამე წესიერი სამუშაოს შოვნას.
– იქ ფიქრი მომიწევს. ეგ კი არ მინდა. იმათსავით ფიქრი. არადა, მომიწევს, სადაც არ უნდა მოვხვდე მაინც. ისეთი საქმე მინდა, ფიქრი არ დამჭირდეს.
– როდის იყო, არქიტექტორები მუშის საქმეს ჰკიდებდნენ ხელს!
– მაგათი უბედურებაც ეგაა.
– იქნებ სხვა გესწავლა რამე.
– არაფრის სწავლა არ მინდა.
– აქ, ამ ქალაქში მთხოვ სადმე მშენებლობაზე მოწყობას?
– ეგრეა, ბოს!
– არა, ნაღდად უბერავ! არ შემიძლია! მაგას არ ვიზამ!
– რატომ?
– რა გინდა, ყველა იმ ნაბიჭვრის დასაცინი და სამასხარაო გახდე? და ყველა იმ ძაღლიშვილის გასაგონად იძახონ რორკი დავიკიდეთო? იმათ

მკითხველთა ლიგა

გასახარად?!
რორკს გაეცინა.
– კარგი რა მე სულ ფეხზე მკიდია და შენ რატომ გეშლება ნერვები?
– არა-ა, მაგის ნებას ვერ მოგცემ იმ ძაღლისგაგდებულებს ვერ გავახარებ!
– და რა გინდა, რომ ქნა?
– ერთხელ გითხარი უკვე... ახლა მაინც მიგდე ყური: საკმარისი ფული მაქვს, სანამ...
– მეც იმავეს გეტყვი, რაც ოსტინ ჰელერს ვუპასუხე კიდევ შემომთავაზებ ფულს და ჩვენ შორის მოთავებულია ყველაფერი!
– რატომ?
– ტყუილად დაობ, მაიკ.
– დაიცა...
– მისმინე, მაიკ სულ ტყუილად მიცოდებ. მართლა მინდა სამუშაო და არც საკუთარი თავი მებრალება.
– მერე... მერე რა გელის?
– რას გულისხმობ?
– მომავალზე აღარ ფიქრობ?
– ფულს დავაგროვებ და დავბრუნდები, სად წავალ. ან მანამდე ვინმე შემომთავაზებს რამეს.
მაიკი რაღაც ისეთს ამჩნევდა რორკის თვალებში, რის გამოაშკარავებასაც ის ალალად ერიდებოდა.
– კარგი, რაკი ეგრეა... – თქვა წყნარად. მერე დადუმდა ცოტა ხანს და დაამატა, – ჯიგარი ამომიტრიალდება, სადმე ქალაქში რო გაგიშვა ასე უპატრონოდ. რამეს მოგიხერხებ.
– რაც იქნება, მნიშვნელობა არა აქვს.
– იმდენი ხანი ვმუშაობდი იმ ნაბიჭვარი ფრენკონის მშენებლებთან, ყველას სახელით ვიცნობ... დაიცა გრანიტის სამტეხლოცა აქვს კონექტიკუტში, იქ კი სამუშაოთა მწარმოებელი მთლად ჩემი ძმაკაცია! კარიერზე გიმუშავია ოდესმე?
– კი, წლების წინ.
– მერე, გაწყობს?
– რაზეა ლაპარაკი. ერ.
– მაშინ დღესვე დავურეკავ. არც ვეტყვი, ვინა ხარ უბრალოდ,ერთი ჩემი კარგი ნაცნობია-მეთქი, ასე აჯობებს.
– ღმერთი გადაგიხდის, მაიკ.
– ვინა-ვინა?! – მერე რორკის პალტოს დასწვდა, მაგრამ უცებ ხელი გაუშეშდა თითქოს...
– იცი რა, წითურო...
– ვიცი, მაიკ, ვიცი. ყველაფერს მოევლება.
ერთმანეთს დაემშვიდობნენ და რორკი სახლისკენ წავიდა. უკვე ბნელოდა, მარტო ქარი დაბორიალებდა დაცარიელებულ ქუჩებში. გარშემო კი არც ხე ირხეოდა სადმე, არც ბუჩქი შიშველი კედლები, ქვა, შუშაბეტონი, ასფალტი და მახვილი კუთხეები... მხოლოდ თუნუქის სანაგვე ყუთს ეხლებოდა გაზეთის მოზრდილი ნაგლეჯი...

• • •

ორი დღის შემდეგ, რორკი კონექტიკუტში გაემგზავრა.
მთვარის შუქზე, მატარებლიდან ერთხელაც შეავლო თვალი ჰორიზონტზე შუბებივით აღმართულ ცათამბჯენებს თითქოს მიწას

მკითხველთა ლიგა

მოწყვეტილ, და არა იქიდან ამოზრდილ მწვერვალებს. ისინი საკუთარ სამყაროს ეკუთვნოდნენ და იმაზე მიათითებდნენ თითქოს, სადამდე შეიძლება გაემიჯნოს ადამიანი დედაბუნებას ხელოვნური მასალით ნაგები, არამიწიური კონსტრუქციები, რომლებიც არაფრით ჰგავდა ადამიანთა მყუდრო საცხოვრებელს...

მათგან ყველაზე სახელგანთქმულის ბოლო სართულზე, "ცის კიდობნის" სახელით ცნობილი რესტორნის ვიტრაჟებში შუქი გაკრთა და ეს იყო და ეს შემადგენლობამ გვირაბს შეაფარა თავი, ქალაქი კი შორეული ზღაპარივით გაქრა.

ოღონდ სწორედ იმ საღამოს, სწორედ იმ რესტორანში, ვახშამი იმართებოდა ფირმა "ფრენკონი და კიტინგის" სრულუფლებიან პარტნიორად პიტერ კიტინგის გამოცხადების აღსანიშნავად...

სუფრას თავად თმაშევერცხლილი, შავ სმოკინგსა და უზადოდ გახამებულ თეთრ პერანგში გამოწყობილი გაი ფრენკონი უძღვებოდა, საპატიო ადგილას კი პიტერ კიტინგი წამომჯდარიყო წელში გამართული, თბილღიმილიანი, არანაკლებ ელეგანტური; იმ საღამოს არც შური, არც ღვარძლი და არც ბოღმა არ ეკარებოდა დამსწრე საზოგადოებას აქ მხოლოდ გილდიის, ანუ საძმოს წევრები შეკრებილიყვნენ. რელსტონ ჰოლქომბმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა იდგა ხელში ჭიქით, ყოველგვარი წინასწარ გამზადებული ფურცლების გარეშე, და თავისდა გასაკვირად, სრული გულწრფელობით აცხადებდა:

"ჩვენ, ხუროთმოძღვრები, ადამიანის უპირველესი დანიშნულების სადარაჯოზე ვდგავართ: ბევრისთვისაც მიგვიღწევია და ხშირად შევმცდარვართ კიდეც... ახლა კი გვინდა, საკუთარი ნებით ს დავუთმოთ და დავულოცოთ გზა ჩვენს მემკვიდრეებს. ჩვენ ხომ, უბრალოდ, ადამიანები ვართ, მხოლოდ და მხოლოდ მაძიებელი ადამიანები. ოღონდ ჭეშმარიტებას ვეძიებთ და ჩვენი გულებიც წრფელია და პატიოსანი. დავეძებთ იმას, რაც კი საუკეთესო რგებია წილად კაცთა მოდგმას. ეს დიდებული და დიადი ქმედებაა. ამერიკული არქიტექტურის მომავალს გაუმარჯოს, მეგობრებო!"

წიგნი მეორე

ელზუერთ თუი

1

შემდეგი ორი თვე პნევმატური ჩაქუჩი რორკის ცხოვრებისა და, უფრო მეტიც, არსებობის განუყრელ ნაწილად იქცა მკლავისა თუ მთელი სხეულის გაგრძელებად... მისი ვიბრაცია თითქოს მთელ არსებაზე გადიოდა, ფსიქიკაზე, ფიქრებზე; ერთიღა ახსოვდა მის გონსა და გრძნობას გრანიტის კლდეს ჩარჭობილი ფოლადის რიტმული რხევა, სულ უფრო ღრმად რომ ჩადიოდა ქანებში და ჯერი-ჯერზე აცლიდა უსწორმასწორო, ბასრპირა ნატეხებს; დღის ბოლოს სახსრებში, კუნთებში,

მკითხველთა ლიგა

თითოეულ ძარღვშიც კი გრძნობდა უკუდარტყმებს, ყურებში კი გაუთავებელი დაგადუგი ედგა... დღე დღეს მისდევდა, ერთფეროვნად, მონოტონურად.

ახლაც თაკარა მზის გულზე მუშაობდა, სახე მთლად ბრინჯაოსფერი გახდომოდა, პერანგი ადგილ-ადგილ მუქ ლაქებად მიჰკვროდა ბეჭებზე. გრანიტის სამტეხლო უცნაური სამყარო იყო წრიული, ბალახისა თუ მიწის თუნდაც ოდნავი ნიშატის გარეშე ქვის ფილების, პირბასრი ნატეხებისა და მახვილი კუთხეების საუფლო: ქვის ეს კედლები დროს კი არ შეექმნა წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე, ქარისა და წყლის, დარისა თუ ავდრის ბუნებრივი ზემოქმედებით ის რაღაც მახინჯ ნაიარევს ჰგავდა დედამიწის მკერდზე, ბუნებაზე ადამიანის ძალმომრეობის დაუფარავ სამხილს.

მაგრამ მაინც გულს უდებდა სამუშაოს, თითქოს ცოცხალ მეტოქეს ეჭიდებოდა ერთი-ერთზე. თავისი გონება, უნარი, ნიჭი აქ აღარაფრად სჭირდებოდა მხოლოდ კუნთები შიშველი გრანიტის წინააღმდეგ... ერთი რამ იყო კარგი: დღის ბოლოს სხეულსაც ვეღარ გრძნობდა და ყოველ საღამოს კიდევ ორი მილის გავლაც უხდებოდა მეზობელ დასახლებამდე, სადაც მუშებს ედოთ ბინა.

ოთხ კაცზე ერთი საშხაპე ჰქონდათ, კედლებზე ალაგ-ალაგ ბათქაშიც ჩამოცვენილიყო უკვე, მაგრამ მთელი დღის კანში ჩამჯდარი ქვის მტვრის მოცილება და ჩაკირული კუნთების მოდუნება არაამქვეყნიურ სიამოვნებას ანიჭებდა მაინც.

საჭმელად სამზარეულოში ჩადიოდა სხვებთან ერთად, ოღონდ მარტო, განცალკევებით დაჯდებოდა ხოლმე სადმე კუთხეში, ცოტას ჭამდა, წყალს კი ხარბად ეწაფებოდა ცივი, მაცოცხლებელი სითხე სახვალიოდ ძალას უბრუნებდა.

მანსარდაზე, ხის ვიწრო ტახტზე ეძინა, ლამის ზედ ჭერის კოჭებს ქვეშ. წვიმის დროს, ყოველი წვეთის თუნუქის სახურავზე დაცემა ისე მკაფიოდ ჩაესმოდა, ხშირად ესიზმრებოდა კიდეც, თითქოს ღია ცის ქვეშ ათევდა ღამეს.

ზოგჯერ, ნავახშმევს, სახლის უკან ტყეში გაივლიდა ხოლმე; ხავსზე პირქვე გაწვებოდა და ბალახის დაძარღვულ ღეროებს აკვირდებოდა ჯიუტად. მერე ზურგზე გადმობრუნდებოდა და ერთხანს გაუნძრევლად იწვა მიწის სითბოსა და სუნთქვას იწოვდა თითქოს. მაღლა, თავზემოთ, მწვანე ფოთლები ირხეოდა და შიგადაშიგ, ჩამავალი მზის სხივი გაკრთებოდა ჩამობურულ სიმწვანეში.

ხანდახან კი, თუმცა არც ისე ხშირად, წამოჯდებოდა და მზერაგაყინული, ერთ წერტილს მიაშტერდებოდა ხოლმე იმ ნაგებობებზე თუ ფიქრობდა, რომლებიც წესით ახლა უნდა ეშენებინა და რომელთა დაპროექტებასაც უკვე ვეღარასოდეს მოჰკიდებდა ხელს; გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ეპარებოდა ყრუ ტკივილი... მერე ისევე იქცეოდა, როგორც სამტეხლოში: წარმოიდგენდა, რომ პნევმატური ჩაქუჩი ეჭირა და ნატეხებს აცლიდა, აქუცმაცებდა, მტვრად აქცევდა საკუთარ ტკივილს...

• • •

დომინიკ ფრენკონმა, როგორც აპირებდა კიდეც, მთელი ზაფხული მამამისის მამულში, დიდ, მაღალსვეტებიან, კოლონიური ხანის სტილში ნაგებ სახლში გაატარა სრულიად მარტოდმარტომ. სტუმრებსაც კი არ იღებდა, მხოლოდ მოხუც კარისკაცსა და მის ცოლს თუ ხედავდა, ისიც იშვიათად და აუცილებელ შემთხვევებში. ცოლ-ქმარი მოშორებით

მკითხველთა ლიგა

ცხოვრობდა, თავლებთან; კაცი ნარგავებსა და ცხენებს უვლიდა, ქალი მზარეულობდა.

თუმცა სადილზე სუფრა მაინც განსაკუთრებული მანერულობით იშლებოდა როგორც ეს ჯერ კიდევ დომინიკის დედის მიერ იყო შემოღებული, როცა სახლს არც სტუმარი აკლდა და არც მხიარულება... აი, საღამოობით კი დომინიკი თავადვე იწყობდა ვახშამს ძვირფას შანდლებში დანთებული ფერადი სანთლებით, უცნაურ ჩრდილებს რომ ათამაშებდნენ უზარმაზარი სამზარეულოს კედლებზე; მუხის გრძელი მაგიდის შუაში ბროლის ლარნაკი ედგა ხოლმე, შიგ ერთადერთი შროშანით...

საწოლ ოთახში ასულს ლოგინი გაშლილი ხვდებოდა, დილაობით ცხელი წყლით სავსე აბაზანა, თუმცა არც ნაბიჯების ხმა გაუგონია როდისმე ერთიანად დადუმებულ სახლში და არც დიასახლისისთვის მოუკრავს ზედმეტად თვალი.

წლების განმავლობაში დომინიკი სულ იმის ცდაში იყო, ხალხი არ შემოჰკლებოდა გარშემო, რათა იმავდროულად, მარტოსულად ეგრძნო თავი. ახლა კი, როცა მართლა ეულად დარჩა, პირველად დაეუფლა უმწეობის განცდა, იმ საამო უმწეობისა, რისი გამოვლენის უფლებასაც თავს არასოდეს აძლევდა: ახლაღა აღიქვამდა საკუთარ სხეულს პირველყოფილი სიცხადით და უკვე სამოსის ზედმეტობაც ეხამუშებოდა...

სახლიც განმარტოებით იდგა უკნიდან ტყე ეკრა, ხოლო გარშემო, რამდენიმე მილის მანძილზე, კაცი არ ბინადრობდა. ცხენით დაჯირითობდა ხოლმე უკაცრიელ გზებსა თუ უვალ ბილიკებზე; ხანდახან სუნთქვა ეკვროდა და ფიქრობდა, რომ შემდეგ მოსახვევში რაღაც მოულოდნელი, დამზაფვრელი დახვდებოდა წინ; ოღონდ ვერ წარმოედგინა, მაინც რას შეიძლებოდა გადაჰყროდა თუმცა, რაღაც არაჩვეულებრივთან შეხვედრის წინათგრძნობა მუდმივად სდევდა თან.

ფეხითაც დასეირნობდა ხოლმე უმიზნოდ, საათობით. იშვიათად გზაზე მანქანა თუ ჩაუვლიდა და მძღოლიც შინამდე მიყვანას შესთავაზებდა, ან სამტეხლოდან მომავალი მუშები შემოხვდებოდნენ და მოწიწებით ესალმებოდნენ; იცოდა, ახლა ისიც ისეთივე სალაპარაკო თემა გამხდარიყო, როგორც ადრე დედამისი; ამიტომაც ხშირად დაბურულ ტყეში შედიოდა და ხეების კენწეროებს ასცქეროდა, მათ ზემოთ მოლივლივე ღრუბლებს ეჩვენებოდა, ეს ტოტებგაშლილი, ასვეტილი გოლიათები სადაცაა, წაიქცევიან და ქვეშ მოვყვებიო; ჩერდებოდა, იცდიდა, თმაგაშლილი, ყელმოღერებული, უკან თავგადაგდებული: თითქოს მართლა სურდა, ასე მომხდარიყო; მერე ერთს გააჟრჟოლებდა, ზმანებებიდან გამოერკვეოდა და ტოტებში ჯიუტად მიიკვლევდა გზას, შიშველ მკლავებს ეკალ-ბარდი უკაწრავდა, კაბაზეც ეპოტინებოდა, მაგრაგ ქალი მანამდე არ ჩერდებოდა, სანამ მთლად არ გამოელეოდა ქანცი, მერე სადმე მდელოზე გაწვებოდა გულაღმა, მკლავებგაშლილი და ხარბად
ისუნთქავდა ტყის ნოტიო ჰაერს...

ზოგჯერ, დილაობით, გრანიტის სამტეხლოდან მომავალი აფეთქებების ხმა უკრთობდა ძილს, წამოჯდებოდა, კეფაზე დაიკრეფდა ხელებს და აყურადებდა: ეს ხომ ნგრევის ხმა იყო სწორედ მისი განწყობის შესაფერისი.

• • •

ერთ დღესაც დომინიკს გრანიტის სამტეხლოსკენ გაუწია გულმა. იქ

მკითხველთა ლიგა

ისეთი სიმხურვალე დახვდა, მწველი მზისგან კი არა, გავარვარებული ქვისგან რომ მოდიოდა და ეგონა, აი, ახლა დადნება, ლავად გადაიქცევა, დაიღვრება და ცხელი ნაკადი მეც თან გამიყოლებსო. ირგვლივ პნევმატური ჩაქუჩების ხმა და, კანტიკუნტად, პატარ-პატარა აფეთქებების ექოც მოისმოდა. დამზაფრავი იყო ამ ჯოჯოხეთში მომუშავე კაცების ცქერა მუშებს კი არა, კატორღელებს უფრო ჰგავდნენ, რაღაც ენით უთქმელი დანაშაულისთვის სასჯელმისჯილებს. მონუსხულივით შესცქეროდა, თვალი ვეღარ მოეცილებინა მათთვის.

ეგონა, მთელი საკუთარი არსებითა და გარეგნობით შეურაცხყოფდა აქაურობას: სიფრიფანა, მხრებმოშიშვლებული, უძვირფასესი აბრეშუმის კაბით, გამლღვალ ქვაში ჩარჭობილი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით, გამომწვევად ფეხებგაჩაჩხული, დოინჯშემოყრილი, თმაგაშლილი...

უცებ, სრულიად უჩვეულო, უცხო ფერი ეცა თვალში ვიღაც ჟღალი, ფორთოხლისფერთმიანი მუშა მისჩერებოდა დაჟინებით.

ლამის ფიზიკურად შეიგრძნო ეს მზერა, თითქოს თვალებით სილა გააწნესო; უნებურად სახეზე ხელის აფარება სცადა, არაფერი გამოუვიდა – მოჯადოებულივით გახევებოდა მთელი სხეული.

კაცის ამრეზით მოკუმულ ბაგეს ხედავდა, ჩაცვენილ ლოყებს, მკაცრ, დაუნდობელ მზერას... წამსვე იაზრა, რომ ასეთი შთამბეჭდავი სახე ცხოვრებაში არ ენახა: შინაგანი ძალისა და გარეგნული ხიბლის უჩვეულო ნაზავი. ბრაზი, აღშფოთება, წინააღმდეგობის გაწევის სურვილი და მომთენთავი სიამის განცდა ერთდროულად მოეძალა. ის კი თვალს არ აცილებდა და ეს უბრალო მზერა კი არა, ფლობის უფლების დასტური იყო. სცადა, სახე გაემკაცრებინა, ოღონდ ამის ნაცვლად, თვალი კაცის მზით დამწვარი ბეჭებისა და ქვის მტვრით დაფერილი მკლავებისკენ, ამ ხმელი, მაღალფეხება სილუეტისკენ გაურბოდა უნებურად. სწორედ ის, თავისი ოცნების ქანდაკება გაახსენდა და თავში გაუელვა ნეტავ მთლად გაშიშვლებული როგორი სანახავი იქნებაო. კაციც ისე მოსჩერებოდა, თითქოს მის ფიქრებს კითხულობდა და დომინიკსაც ერთი უცნაური აზრი აეკვიატა როგორც იქნა, ცხოვრების მიზანი ვიპოვე, ჩემი სიძულვილის ღირსი მამაკაციო!

პირველი მაინც ქალი გამოერკვა, მკვეთრად შეტრიალდა და მისკენ მომავალ სამუშაოთა ზედამხედველს მოჰკრა თვალი. "მის ფრენკონ!” – შესძახა გაკვირვებულმა, – "აქ რამ მოგიყვანათ?!”

იქნებ იმანაც გაიგონაო, გაიფიქრა დომინიკმა: ცხოვრებაში პირველად ეამა, მის ფრენკონო, რომ მიმართეს. ახლაღა გაიაზრა, ის კაცი, ქვემოთ, ერთი უბრალო მუშა იყო, მამამისის დაქირავებული, და ოფლსაც მისთვის ღვრიდა.

ზედამხედველი მლიქვნელურად უღიმოდა. ქალმაც გაუღიმა, საპასუხოდ:

"იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს მემკვიდრეობად მერგება აქაურობა. ვიფიქრე, ერთი დავხედავ-მეთქი..."

ზედამხედველმა ქვევით ჩააცილა, ფრთხილად; გზადაგზა კარიერზე მუშაობის სირთულეებზე ელაპარაკებოდა, ათასგვარი მანქანა-დანადგარების დანიშნულებას უხსნიდა. ქალიც ვითომდა დიდი ყურადღებით უსმენდა და თავსაც უქნევდა შიგადაშიგ. მერე ისევ იმ ჟღალთმიანს გადააწყდნენ, გააფთრებით რომ შესჭიდებოდა გავარვარებულ ლოდს. უცებ იმედი გაუჩნდა, ჩაქუჩის ეს აუტანელი ძიგძიგი ალბათ შიგ გულში ურტყამსო...

მოულოდნელად კაცმა თავი ასწია ჯიქურ მიაშტერდა; არადა, ქალს ეგონა, ამ ხმაურში ჩემს მიახლოებას ვერც გაიგებსო. ის კი ისე მისჩერებოდა, თითქოს ელოდა კიდეც მის დანახვას, თითქოს ეჭვი არ

მკითხველთა ლიგა

ეპარებოდა, რომ აუცილებლად მობრუნდებოდა. სახეზეც რაღაც ღიმილისმაგვარი გაუკრთა, ყოველგვარ სიტყვებზე უფრო შეურაცხმყოფელი... თვალს არ აცილებდა: ვიცი, უფლება არა მაქვს, მაგრამ მსურს და გიყურებ, ვერც ვერავინ დამიშლისო.

ქალმა ზურგი შეაქცია და კლდოვან ბილიკს დაუყვა, სწრაფად გაეცალა იქაურობას.

• • •

არა, არც თვალები ახსენდებოდა, არც მკაცრად მოკუმული ბაგე მხოლოდ მისი დაძარღვული ხელი ედგა თვალწინ, გრანიტის კედელს მიბჯენილი: ჩამოქნილი, წაგრძელებული კუნთების დაბოლოება წვრილი მაჯა და მარაოსავით გაშლილი გრძელი თითები... მაინცდამაინც ეს სურათი ჩაჰბეჭდოდა ხსოვნაში და სწორედ ეს აფრთხობდა ვერაფრით აეხსნა, რატომ.

"ერთი უბრალო მუშაა," – ფიქრობდა დომინიკი, – "მამაჩემის დაქირავებული შავი მუშა, ამ კატორღულ სამუშაოს ალბათ მხოლოდ ლუკმა-პურისთვის დასთანხმდა." სარკის წინ იჯდა, საკუთარი სხეულივით მყიფე ბროლის შუშა-ფლაკონებს მიშტერებოდა და თვალწინ ისევ შიშველი, დაძარღვული, ოფლით დაცვარული ტორსი ედგა. მერე საწოლზე გადაწვა და ახლა უკვე ის რჩეული მამაკაცები გაიხსენა, სათითაოდ რომ გაესტუმრებინა უარით; მაინც დილანდელი ხილვა არ ანებებდა თავს ემოცია, რომელიც იმ კაცმა მოახვია თავს, ვისაც კი არ აღმერთებდა, პირიქით, სულით ხორცამდე სძულდა რატომღაც... არადა, მასზე ფიქრიც კი სიამეს ჰგვრიდა.

ორი დღის განმავლობაში თავს ირწმუნებდა, აი, ახლა ჩავალაგებ ნივთებს, გავემგზავრები სადმე შორს და ჩემი ფეხი აღარ იქნება აქო; სარეკლამო ბუკლეტებიც კი ამოქექა, ადგილიც შეარჩია ზღვის პირას, სასტუმრო, ოროთახიანი ნომერი, თვითმფრინავის რეისი და თან საკუთარ თავზე ბრაზობდა კარგად ესმოდა, რომ არსად წამსვლელი არ იყო, ისევ დაბრუნდებოდა სამტეხლოში.

სამი დღის მერე მივიდა. თავზე დაადგა და მოურიდებლად მიაჩერდა. იმანაც რომ შემოხედა, არც მაშინ მოურიდებია მზერა თითქოს ეუბნებოდა, ძალიანაც კარგად მესმის, რასაც ჩავდივარ, მაგრამ სულ ფეხებზე მკიდიხარო. ოღონდ, საპასუხო მზერაში მხოლოდ ის ამოიკითხა, მისი ხელახლა მოსვლა სულაც არ ყოფილა კაცისთვის მოულოდნელი. არც არაფერი შეიმჩნია და პნევმატური ჩაქუჩის ტარს დააწვა ისევ. ქალი იცდიდა. ელოდა, ისევ როდის ამოხედავდა. არ ამოუხედავს.

ხელებს მისჩერებოდა მონუსხულივით. ვეღარც პნევმატურ ჩაქუჩს ამჩნევდა და აღარც დინამიტის არსებობა ახსოვდა ასე ეგონა, გრანიტის ამ ყრუ კედელს კაცის ხელი აქუცმაცებდა ნატეხ-ნატენხ...

მერე, უცებ, ბილიკზე მისკენ მომავალი ზედამხედველის ხმა მოესმა; მიუტრიალდა და მისალმების მაგიერ, პირდაპირ მიახალა:

– მინდა შევხედო, როგორ მუშაობენ.

– მაგარი სანახავია, ნამდვილად! – დაეთანხმა ზედამხედველი, – ახლა მალე ურიკებიც ჩამოდგება...

მაგრამ ქალს ეს ნაკლებად აინტერესებდა; ზედამხედველიც რაღაც სხვანაირად მიაჩერდა მუშას: "შენ, მანდ, ცოტა ცოცხლად რაში გიხდიან ფულს?"

კაცს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ჩაქუჩს შეუნაცვლა ხელი. დომინიკს გაეცინა, ხმამაღლა, გამომწვევად...

მკითხველთა ლიგა

– ძალიან ჭრელი ხალხი ირევა ჩვენთან, მის ფრენკონ, – სიტყვა ჩააგდო ზედამხედველმა, – ზოგი ნაციხარიც კია.
– ესეც? – დაეკითხა და მუშაზე ანიშნა.
– აბა, რა გითხრათ... სახით ჯერ ყველას ვერ ვცნობ.
ქალს თითქოს უნდოდა კიდეც, ასე ყოფილიყო და ერთი იმანაც გაუელვა თავში, ნეტა მაგისთანა ჯიუტებს ციხეში დღემდე ამათრახებენ თუ არაო, გულის კუნჭულში, ასეთი იმედიც გაუკრთა. გაიფიქრა და წამსვე ცხელმა, მომთენთავმა ტალღამ დაუარა...
გატრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.
მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოაკითხა ისევ. სრულიად მოულოდნელად, შიგ სამტეხლოში კი არა, გზის პირას ლოდზე ჩამომჯდარს გადააწყდა. ადგილზევე გაშეშდა ეუცნაურა ასე პირისპირ, ერთი-–ერთზე მასთან დარჩენა.
კაციც ჯიქურ მიჩერებოდა, უტიფრად. ისევ ქალმა დაარღვია სიჩუმე:
– რას მომშტერებიხართ?
თქვა და გულზეც მოეშვა: სიტყვები თითქოს საუკეთესო საშუალება იყო გაუცხოების გასახანგრძლივებლად. კაცი ერთხანს დუმდა.ქალი ახლა უკვე იმას შიშობდა, საერთოდ არ ამოიღებს ხმას, ისევ სიჩუმით მაგრძნობინებს ნებისმიერი პასუხის უაზრობასო. მაგრამ ბოლოს ის მაინც გაეპასუხა:
– იმავე მიზეზით, რატომაც თქვენ.
– ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.
– რომ ვერ ხვდებოდეთ, მეტად გაკვირვებული და ნაკლებად გაბრაზებული იქნებოდით, მის ფრენკონ.
– ჩემი სახელი საიდან იცით?..
– არც გიცდიათ, დაგემალათ.
– ნუ თავხედობთ. ხომ იცით, ახლავე შემიძლია, სამსახურიდან გავაშვებინო თქვენი თავი.
კაცმა სადღაც იქით გაიხედა, სამტეხლოსკენ.
– ზედამხედველს ხომ არ დავუძახო?
– არა, რა თქმა უნდა. ასე ვერ გაგიიოლებთ საქმეს. ოღონდ, დაიმახსოვრეთ ასე თავხედურად ნუღარ მომაშტერდებით ხოლმე. სახეზე გეწერებათ ყველაფერი.
– ვითომ მარტო მე?
ქალმა ზურგი აქცია, თან ცდილობდა, ხმაზე მაინც არ შესტყობოდა არაფერი:
– გიჭირთ აქ მუშაობა?
– ძალიან...
– ძალიან იღლებით?
– არაადამიანურად.
– ეგ როგორია?
– დღის ბოლოს ზოგჯერ სიარულის თავიც აღარ მაქვს. ღამითაც ყველა კუნთი ცალ-ცალკე მტკივა, ყველა სხვადასხვანაირად.
ქალს ეგონა, კაცი საკუთარ თავზე კი არა, მასზე, სწორედ მის ღამეულ ტკივილებზე ლაპარაკობდა. აუტანლად მოუნდა ამ ოფლიან, გარუჯულ სხეულს მიჰკვროდა, შეწებებოდა მხოლოდ ეს, მეტი არაფერი... ბრაზი მოერია...
– აქაურს არ ჰგავხართ. არც მუშას ჰგავხართ. აქამდე ვინ იყავით?
_ ელექტრიკოსი, მლესავი, მრჩილავი, და კიდევ ათასი რამ...
– აქ რატომ ხართ?
– ფულის გამო, მის ფრენკონ, რომელსაც თქვენ მიხდით....

მკითხველთა ლიგა

ქალმა მხრები აიჩეჩა. გატრიალდა და ბილიკს აუყვა. ზურგზე დაჟინებულ მზერას გრძნობდა, მაგრამ თავიც არ მოუბრუნებია.

2

ყოველ დილით დომინიკ ფრენკონი ერთ რამეს ისახავდა მიზნად: არ გაედგა ფეხი გრანიტის სამტეხლოსკენ.

თავისუფლებაწართმეულად გრძნობდა თავს: სიბრალული და ვნება ერთმანეთს ებრძოდა მასში და ეს ტკივილი, ამავე დროს, უცნაურ კმაყოფილებასაც ჰგვრიდა რაკი იმ, ერთადერთი მამაკაცისგან მოდიოდა. ერთხელ თავისი შორეული მეზობლებიც კი მოინახულა მდიდარი, გავლენიანი ოჯახი, ნიუ-იორკში თავს რომ აბეზრებდნენ... მასპინძლები გაკვირვებულნი და გახარებულნიც დარჩნენ, აღარ იცოდნენ, კიდევ რით ესიამოვნებინათ მოულოდნელი სტუმრისთვის. დომინიკი საცურაო აუზის კიდეზე მოკალათებულიყო, ირგვლივ გამეფებული სიმდიდრისა
და გარეგანი დახვეწილობის ატმოსფეროს იძულებით მორგებულს თან წყლის ზედაპირზე საკუთარ ანარეკლისკენ გაურბოდა თვალი: აშკარად უცხოდ და არაბუნებრივად გამოიყურებოდა ამ გარემოში.

მერე ისიც კი გაიფიქრა, მთელი ეს ხალხი რა აზრის იქნებოდა მასზე, მისი ფიქრების ამოკითხვა რომ შესძლებოდათ: რომ გაეგოთ, ვიღაც შავი მუშა არ ამოსდიოდა თავიდან იმისი შიშველი, გარუჯული სხეული... ჩაეღიმა: მისი თავშეკავებული ქცევის მიხედვით, შეუძლებელია, ვინმე რამეს მიმხვდარიყო. ორიოდე დღის მერე ერთხელ კიდევ ესტუმრა იქაურობას უკვე ფარულ სიამეს ჰგვრიდა ეს თამაში.

და სწორედ იმ საღამოს, ერთ-ერთმა სტუმარმა შესთავაზა მანქანით მიგიყვანთ სახლამდეო. ახალგაზრდა, იმედისმომცემი პოეტი იყო _ მკრთალი და სიფრიფანა. გაბუტული ბავშვის ტუჩები ჰქონდა და მთელ სამყაროზე გულაცრუებული მოხუცის თვალები. მთვარის შუქითგანათებულ გზაზე მიაქროლებდა მანქანას და თან შეპარვით მარჯვენა ხელს აცოცებდა ქალის მუხლებისკენ. მერე დომინიკს მისი ჩურჩულიც ჩაესმა გულმხურვალე, თხოვნის სიტყვები, რომლებიც ვინ იცის, უკვე
რამდენჯერ და რამდენს ეთქვა მისთვის. მანქანა გაჩერდა ქალმა შიშველ მხარზე კაცის ტუჩების გაუბედავი შეხება იგრძნო...

გაერიდა. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე კარი გამოაღო და გზის პირზე გადმოხტა, კარიც უხეშად გაიჯახუნა თითქოს სურდა, თუნუქის ყრუ კედლით გამოყოფოდა ამ მორცხვად აბეზარ თაყვანისმცემელს. ახლა უკვე მინდორ-მინდორ მირბოდა, ალალბედზე, სანამ მოულოდნელად საკუთარი სახლის საბუხრე არ დალანდა ხეთა კენწეროებს შორის. ადგილზე გაქვავდა; ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა მის თავს: ადრეც ბევრჯერ გადახდომოდა მსგავსი რამ, ოღონდ მაშინ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ხოლმე და ვერც ვერაფერს გრძნობდა საპასუხოდ, საერთოდ ვერაფერს, ახლა კი...

მდელო გადაჭრა და პარმაღს მიუახლოვდა, ოღონდ კიბესთან შეჩერდა, ისევ ის გაახსენდა, ის კაცი, გრანიტის სამტეხლოდან: ახლაღა გაუნათდა გონება, მიხვდა იმ კაცს მისი სურვილი კლავდა... ოღონდ, იქვე იმასაც მიხვდა ყველაფერი იმთავითვე ცხადი იყო ჩემთვის, მაგრამ თავს არ ვუტყდებოდიო.

გაეცინა. ირგვლივ მიმოიხედა, დადუმებულ სახლს შეავლო თვალი; უკვე იცოდა, რითი მიეზღო მისთვის სამაგიერო, იქით როგორ გაეტანჯა.

მკითხველთა ლიგა

რამდენიმე დღე ოთახიდან ოთახში დაბორიალებდა კმაყოფილი სახით; სამტეხლოდან აფეთქებების ხმა ესმოდა და ეღიმებოდა. გამოწვევა მიიღო და ახლა საპასუხო ნაბიჯი უნდა გადაედგა.

ბუხრის თავზე მარმარილოს ქვის თარო შეარჩია საამისოდ; ძლივძლივობით დაძრა ადგილიდან, ჩამოიღო და კედელზე მიაყუდა დამრეცად. მერე საკუჭნაოდან ხის დიდი ჩაქუჩი გამოიტანა, ტარი ორივე ხელით ჩაბღუჯა და მთელი ძალით დაათხლიშა ზედ. მაგრამ მოპირკეთებული ქვის ზედაპირმა დარტყმა აისხლიტა, მეორედ, მესამედ...უკვე მხარიც სტკიოდა, თითებიც, მაჯაც. ქვას კი, ორიოდ ნაფხაჭნის გარდა არაფერი დასტყობია.

ბოლოს, ისევ სამტეხლოს გზას დაადგა. შორიდანვე დაინახა და ჯიქურ მიადგა კიდეც:

_ გამარჯობა, – უთხრა აგდებულად.

კაცი წელში გასწორდა, მოუტრიალდა და გაგიმარჯოსო გაეპასუხა მშვიდად.

– თქვენზე ვფიქრობდი, – უთხრა ქალმა და უცებვე დაებორკა ენა, – რა მინდოდა მეთქვა... ერთი საქმე მაქვს თქვენთვის.. ფული არ გჭირდებათ?

– რა საკითხავია, მის ფრენკონ.

– ამ საღამოს ვერ გადმოხვალთ ჩემთან? მსახურებისთვის შემოსასვლელი გვერდითა მხრიდანაა. ბუხრის თავზე მარმარილოს ფილაა შესაცვლელი. გამიტყდა. ახალი მჭირდება.

მკვახე უარს მოელოდა, არადა, კაცი საქმიანი სახით დაეკითხა:

– რომელ საათზე მოვიდე?

– შვიდისთვის. აქ საათში რამდენს გიხდიან?

– სამოცდაორ ცენტს.

– მეც მაგდენს გადაგიხდით. გზა იცით?

– არა, მის ფრენკონ.

– ნებისმიერს ჰკითხეთ სოფელში და მოგასწავლით.

– კეთილი, მის ფრენკონ.

ქალი წამოვიდა, იმედგაცრუებული. ისე გამოდიოდა, თითქოს უბრალოდ სამუშაო შესთავაზა, რაც ნებისმიერ სხვასაც შეეძლო შეეთავაზებინა. მაგრამ მერე იგრძნო პირიქით, ახლა უფრო ახლო იყო მიზანთან, რაკი კაცმა სრულიად ბუნებრივად, უემოციოდ მიიღო ეს არაბუნებრივი წინადადება და ამით აჩვენა, კარგად რომ ხვდებოდა ყველაფერს.

იმ საღამოს მოხუც მსახურსა და მის ცოლს სთხოვა, ჯერ ნუ წახვალთო: მათი ყოფნა რაღაც ფეოდალურ დიდებულებას ანიჭებდა მთელ სახლს. ზუსტად შვიდზე კარის ზარმა გაიწკარუნა და მოხუციც ჰოლში შემოუძღვა რორკს, დომინიკი კი ამ დროს მეორე სართულზე ამავალ კიბეზე იდგა, ცალი ხელით მოაჯირს დაყრდნობილი.

არც შერხეულა, პოზა არ შეუცვლია ზუსტად იმდენი ხანი, სანამ კაცს თავში აზრად მოუვიდოდა, ძალით ხომ არ იქცევა ასეო. მერე გამარჯობაო უთხრა წყნარად. კაცს პასუხი არ გაუცია, კიბეს აუყვა; სამუშაო ტანისამოსი ეცვა და ცალ ხელში იარაღების ჩანთა ეკავა. სწრაფად, თავისუფლად მოძრაობდა, თითქოსდა აინუნშიც არ აგდებდა ძვირფასი ხის, ცვილით მოპრიალებულ იატაკსა თუ ჩუქურთმებში ჩასმულ მუხის კიბეს.

დომინიკს ეგონა, ამ მდიდრულ გარემოში მთლად შეუფერებელი იქნებოდა ამ კაცის გამოჩენა, არადა, თითქოს სწორედ ეს მდიდრული ინტერიერი გახუნდა მისი გამოჩენით. საწოლი ოთახის კარზე ანიშნა და კაციც უსიტყვოდ დაემორჩილა, ოღონდ ოთახში ისე მიმოიხედა, ვითომ სადღაც სახელოსნოში მოხვედრილიყოს და პირდაპირ ბუხრისკენ

მკითხველთა ლიგა

წავიდა
- ამაზე გეუბნებოდით, – უთხრა ქალმა და მარმარილოს ფილაზე მიათითა.
კაცს ისევ არაფერი უთქვამს. ჩაიმუხლა, ჩანთიდან ლითონის წვერწამახული სატეხი ამოიღო, ნაფხაჭნს დაუმიზნა და ჩაქუჩის ერთი დარტყმით ფილა სიგრძეზე გააპო.
ქალს ამოხედა: თითქოს იცინოდა, უხმოდ. მერე ესღა თქვა:
– აი, ახლა კი ნამდვილად შესაცვლელია.
– მერე იცით, ასეთივე მარმარილო სად შევუკვეთო?
– ცხადია, მის ფრენკონ.
ქალი უსიტყვოდ დასცქეროდა. მერე თავი ასწია, მიმოიხედა. ეს ოფლით დალაქულ, მზეზე გამოხუნებულპერანგიანი კაცი სრულიად შეუსაბამოდ ჩანდა ასეთი ქალის საძინებელში. მიუახლოვდა, ლამის ზედ წაადგა, ასე ახლოს მანამდე არასდროს მდგარა მის გვერდით. გაეცინა, ხმამაღლა. კაცი წამოდგა.
_ მაპატიეთ, – უთხრა ქალმა, – არ იფიქროთ, თქვენზე ვიცინოდი. ალბათ დაღლილი ხართ და ერთი სული გაქვთ, როდის წახვალთ... მაგრამ მე ხომ საათობით გაგირიგდით ასე რომ, რამე მოიფიქრეთ.
– მაინც რა, მის ფრენკონ?
– აი, ვთქვათ ჩემი ბუხარი როგორ მოგწონთ?
– დიდი პომპეზური რამეა.
– არა, მართლა ეგრე ფიქრობთ?! არადა, მამაჩემის დაპროექტებული!
– მეც ეგრე ვიფიქრე...
– ახლა პროფესიონალი არქიტექტორების კრიტიკა არ დაიწყოთ!
– არავითარ შემთხვევაში, მის ფრენკონ.
– მოდი, თემა შევცვალოთ.
– თქვენი ნებაა, მის ფრენკონ.
ქალი მოსცილდა, საწოლთან მივიდა და ზედ გადაწვა, ხელებგაშლილი; უცაბედად გადახსნილი ხალათის კალთიდან გრძელი, ჩამოქნილი ფეხები ძირს ჩამოეშვა. ოღონდ, თან, მისი გაქვავებული პირისახე არაფრით შეესაბამებოდა მოდუნებული სხეულის გამომწვევ სითამამეს. კაცს ნირი არ შესცვლია, მშვიდად განაგრძო საუბარი:
_ დარწმუნებული უნდა ვიყო, ზუსტად ამავე ხარისხის მარმარილოს მოატანინებთ - ბუხრის საერთო ფაქტურას უნდა შეესაბამებოდეს... თქვენი თეთრი მარმარილოა ალაბამიდან, ყველაზე ძვირიანი და ხარისხიანი. ახლა ზუსტ ზომებს ავიღებ და შეგიძლიათ, ხვალვე დაუკვეთოთ სახლში მოტანით.
– ძალიან კარგი. შეგატყობინებთ, როგორც კი ჩამომივა. ახლა რამდენი გერგებათ?
მერე კედლის საათს გახედა: "ნახევარი საათიც კი არ დაგჭირვებიათ, ესე იგი, სულ 31 ცენტი.” საფულე მოქექა, ერთდოლარიანი ამოაძვრინა და გაუწოდა. "ხურდა დაიტოვეთ," – დაამატა თან.
ეგონა, უკან მიუგდებდა, მაგრამ ისევე წარბშეუხრელად ჩაიდო ჯიბეში და მადლობაც გადაუხადა, მშვიდად. ისიც შეამჩნია, როგორ მოემუშტა ქალს თითები...
– ღამე მშვიდობის, – უთხრა ცივად.
– ღამე მშვიდობისა, მის ფრენკონ.
გატრიალდა და კიბეზე დაეშვა, ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

• • •

მკითხველთა ლიგა

მთელი შემდგომი დღეები მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როდის ჩამოუვიდოდა შეკვეთა ალაბამიდან. სულ გზისკენ ეჭირა თვალი და სამტეხლოსკენ კანტიკუნტად მიმავალი სატვირთოების ხმაზე უნებლიეთ ფანჯრისკენ გარბოდა ჩემკენ ხომ არ გადმოუხვევს რომელიმეო. საკუთარ თავს უმტკიცებდა, მხოლოდ იმ ქვის ფილას ველოდები, ეგ არის და ეგო, ჩამომივა და ამით დამთავრდება ყველაფერიო.

მაგრამ როცა ბოლოს მარმარილო მართლა ჩამოიტანეს, ზედაც არ დაუხედავს, საწერ მაგიდას ეცა და სურნელოვან ქაღალდზე ოქროსწვერიანი „პარკერის" კალმისტრით სულ ორად ორი წინადადება დაწერა გაკვრით:

"ქვა ჩამოიტანეს. ამ საღამოსვე მინდა ჩაიდგას."

მერე თავის მოხუც მსახურ ქალს უხმო და მხოლოდ ესღა უთხრა: „სახელი არ ვიცი. აი, იმ ჟღალთმიან მუშას გადასცემ ბარათს, აქ რომ იყო."

ერთ საათში, იგივე ფურცელი უკანვე მოუტანეს მეორე მხარეს უბრალო ფანქრით წაეწერათ: "ამ საღამოსვე შეგიკეთებთ ბუხარს. "

დრო გაიწელა, თუმცა ზუსტად შვიდ საათზე გვერდითა შემოსასვლელის ზარმა დაიწკარუნა და მაშინვე კაკუნიც გაისმა კარზე.„მობრძანდით," – გასძახა, თან ცდილობდა, ხმაში თრთოლა არ გარეოდა. კარი გაიღო და ზღურბლზე ტანმორჩილი, ჩაპუტკუნებული, საშუალო ხნის მამაკაცი გამოჩნდა. ცალი ყურის ბიბილოზე საყურე ეკიდა, ხელში კი ქუდი ჩაებღუჯა ეტყობა, ხაზგასმული მოკრძალების ნიშნად.

– სამტეხლოდან გამომაგზავნეს, მის ფრენკონ, – თქვა უცნობმა,

– შენ ვინ ხარ?! – ლამის უკივლა დომინიკმა.

– პასკუალე ორსინის მეძახიან, – მიუგო შემკრთალმა.

– მერე?

– ე-ე... წითურმა მითხრა, თქვენსა ბუხარი ყოფილა შესაკეთებელი...

– ხო, რა თქმა უნდა! – წამოიძახა და საძინებლისკენ გაქანდა, – სულ გადამავიწყდა... აქეთ მოდი!

ბუხარი აჩვენა და წამსვე გამობრუნდა, ერთი სული ჰქონდა, სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა; ბაღში გავარდა და იდგა იქ, აცახცახებული, ბრაზმორეული. ამ გრძნობის გარდა, მეტი არაფერი დარჩენოდა, ან იქნებ - მხოლოდ შიში: ფეხს ვეღარ მიადგამდა სამტეხლოში.

და მაინც, მხოლოდ რამდენიმე დღე გაძლო გრძნობდა, კიდევ ერთ უძილო ღამეს ვეღარც გადაიტანდა. მთელი დღე იჯირითა, საღამოსღა მიადგა იქაურობას, ცხენდაცხენ.

კაცი არსად ჩანდა. გულმა უგრძნო, საერთოდ გასცლოდა ამ არემარეს... ქანდაკივით იჯდა უნაგირზე, გაუნძრევლად და შინისკენ მიმავალ მუშებს გასცქეროდა. არა, მათ შორის ნამდვილად არ იყო.

გატრიალდა და ტყისკენ გაქუსლა. უგზო უკვლოდ მიაჭენებდა. მერე შეჩერდა, ნედლი წნელი აახია ტოტს, ფოთლები გასხიპა და ახლა ამით ამათრახებდა ცხოველს. ფიქრობდა, ჭენებაში დრო გაილევაო და იქნებ გათენებამდეც გაეძლო... და სწორედ ამ დროს, ეულ ბილიკზე ნაცნობი სილუეტი დალანდა.ლამის ზედ მიაგდო ცხენი, ისე მკვეთრად მოსდო სადავე, ყალყზე შეაყენა საბრალო პირუტყვი. თავადაც ლამის უნაგირიდან გადმოვარდა თოფნაკრავივით. კაცი შეჩერდა, მოტრიალდა.

ხმა არც ერთს ამოუღია; მხოლოდ თვალებით ჭამდნენ ერთმანეთს. სიტყვების უადგილობას ორივე გრძნობდა. ბოლოს ისევ ქალმა იკითხა: "რატომ არ მოხვედი..."

"მეგონა, თქვენთვის სულერთი იყო, მის ფრენკონ. რა, იქნებ ვცდებოდი?"

სილის გაწნასავით ჩაესმა ნათქვამი. წნელი მოუქნია და გადაუჭირა

მკითხველთა ლიგა

სახეზე, მერე ცხენი მოაბრუნა და შინისკენ გაქანდა.

• • •

სარკის წინ იჯდა საწოლ ოთახში. გვიანი იყო. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბაღიც ერთიანად დადუმებულიყო, ფოთოლიც კი არ ირხეოდა ხეზე. ერთი პირობა, იფიქრა, წავუძინებო, არაფერი გამოუვიდა სამი დღეა, თვალი აღარ მოუკრავს მისთვის. თითის წვერებით საფეთქლები დაიზილა, ეამა.

ბაღიდან ნაბიჯების ხმა არ გაუგია მხოლოდ ბანზე ამომავალი კიბეების ჭრაჭუნი ეხამუშა. წამოდგა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული. უცებ შუშის კარი გაიღო და ოთახში კაცი შემოვიდა. ახლაც იგივე ტანსაცმელი ეცვა, მტვერგამჯდარი, დალაქავებული; იდგა და შემოსცქეროდა. არავითარი გრძნობა არ ეხატა სახეზე: მკაცრად მოკუმული ტუჩები, ჩაცვენილი ლოყები, დაღლილი თვალები... ქალი დაიძაბა, ნაბიჯიც ვერ გადაედგა ვერც მისკენ, ვერც უკან. მერე დაინახა, როგორ უფეთქავდა კაცს ყელზე ძარღვი...

ბოლოს ისევ კაცმა გადმოდგა ნაბიჯი. ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა, სხეული სხეულს შეეწება, ძვალი ძვალს, ბაგე ბაგეს. ქალმა ერთბაშად ვერც კი გაიაზრა, მართლა თავის დახსნას ცდილობდა, თუ პირიქით, მთლიანად კაცის სხეულთან შერწყმას მარტო იმას გრძნობდა, რომ წამზე მეტს ვეღარ გაძლებდა ამ ყოფაში...

ჯერ მაინც თავის დაღწევა სცადა, თუმცა ღონიერ მკლავებში მომწყვდეულის ეს ამაო გაბრძოლება ჩიტის უმწეო გაფართხალებას უფრო ჰგავდა. მერე პაწია მუშტები დაუშინა მკერდზე, იმან კი ცალი ხელით დაუჭირა ორივე მაჯა, ხელები ჩამოაშვებინა... ქალმა თავი გვერდზე წაიღო, სახე მოარიდა და იმავდროულად მკერდზე კაცის ცხელი ტუჩების შეხება იგრძნო. მაშინღა დაუსხლტა.

სარკეს მიეჯახა, ხელებით კიდეს ებღაუჭებოდა, ფერი დაეკარგა და თვალები გაფართოებოდა. კაცი იცინოდა უხმოდ. იქნებადა, სულაც წინასწარი განზრახვით გაუშვა ხელი? ახლა კი იდგა აქ, დოინჯშემოყრილი, და ზემოდან დასცქეროდა. ქალს შუშის კარისკენ გაექცა თვალი, მაგრამ კაცი ცალი ხელით დასწვდა, თავი წამოაწევინა. ქალმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, თითქოს სრულიად უნებლიეთ, მაჯაში ჩაასო კბილები. ენაზე სისხლის გემო იგრძნო. კაცის ხელმა თმაზე დაქაჩა, სახე თავისკენ მიატრიალებინა და ტუჩებზე მიეკრა.

ქალი ველურ კატასავით იბრძოდა, ოღონდ ხმა-კრინტი არ გაუღია, ერთი ეგ იყო, ღამის სანათს დასწვდა, თუმცა კაცმა ერთი მკვეთრი მოძრაობით ისიც გააგდებინა ხელიდან. შუშის მსხვრევის ხმა გაისმა და ოთახში ჩამობნელდა.

კაცმა საწოლზე მოისროლა, ქალს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მთელ ტანში ზარავდა, სიძულვილს და შიშს მოეცვა, მაგრამ სხეულზე სწორედ იმ ხელების ძალას გრძნობდა, გრანიტის ქვას რომ ფშვნიდნენ ხოლმე. ერთხელაც გაიბრძოლა, უეცარი ტკივილი იგრძნო, ერთიანად დაუარა, ყელში მოაწვა, დაიკივლა. გაირინდა.

ის, რაც შეიძლებოდა, სინაზისა და სიყვარულის გამოვლინება ყოფილიყო, ან თუნდაც ძალადობისა თუ დამცირების, კაცმა უბრალო შეურაცხყოფად აქცია: არა გრძნობად, არამედ უხეშ, ჩვევად ქცეულ, მექანიკურ ქმედებად თითქოს ლოდს კიდევ ერთი შრე ჩამოაცალაო; სწორედ ამან აიძულა ქალი, დამორჩილებოდა ალერსის სულ მცირე გამოვლინება, და მის სულს ოდნავადაც არ შეეხებოდა ის, რაც სხეულს

მკითხველთა ლიგა

ემართებოდა, მაგრამ ბატონის მიერ მხევლის დამონება სწორედ ის იყო, რასაც ქალი ქვეცნობიერად მოითხოვდა. ისიც იგრძნო, მამაკაცს რომ გააჟრჟოლა_
დაუოკებელი სიამოვნებისგან, რისი დამალვაც ქალისგან არც უფიქრია.
კაცის სხეული ლოგინზე გაწვა და დომინიკს მისი ღრმა, გახშირებული სუნთქვა ესმოდა. თვითონაც უძრავად იწვა, გულაღმა, ჭერს მიშტერებული – ერთიანად გამოცარიელებული და წონადაკარგული...
თვალი გააყოლა, როგორ წამოდგა. მერე კაცის სილუეტი შუშის კარის ფონზე აისვეტა და ოთახიდანაც ისე გავიდა, არც სიტყვა უთქვამს და არც გამოუხედავს მისკენ. თუმცა, დომინიკს ეს უკვე აღარც ადარდებდა. მშვიდად უსმენდა ნაბიჯების ხმას კიბეზე, ბაღში...
კარგა ხანს იწვა ასე, გაუნძრევლად; ბოლოს გამშრალი ტუჩები მოილოკა ენის წვერით, თითქოს რაღაც ხმაც მოესმა საკუთარი სხეულიდან, რაღაც ოხვრისდაგვარი. როგორც იქნა, წამოჯდა, პაწია მაგიდას მიაშტერდა სარკესთან: თითქოს ირყეოდაო და სწორედ ამან გააკვირვა; მერე მიხვდა, თავადვე ცახცახებდა მთელი ტანით არა, შეშინებული არ ყოფილა, უბრალოდ, იფიქრა, ახლა თუ ცხელი წყალი არ გადავივლე, მოვკვდები ნამდვილად, შიგნიდან გავქვავდებიო. არაფერ სხვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ახლა მთავარი ის იყო, სააბაზანომდე მიეღწია როგორმე. ფეხარეული გაემართა იქით.
შევიდა, შუქი აანთო. საკუთარი თავს შეხედა მაღალ სარკეში, ყელზე კაცის ტუჩების დანატოვარი აჩნდა. უცებ იაზრა, არავითარი შხაპის მიღებას არ აპირებდა, არანაირად არ სურდა, წეღანდელი შეგრძნებები ჩამოერეცხა. ჩაიმუხლა, მარმარილოს აბაზანის კიდეს ჩაებღაუჭა თითებით; ხელი მოუსხლტა, ვარდისფერი ქვის ფილებზე გაწვა, გახევდა. იატაკის სინოტივე და სიცივე იგრძნო. არც განძრეულა, დილამდე.

• • •

რორკს უთენია გამოეღვიძა და პირველი ის გაიფიქრა, გუშინდელი ღამე ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი მიჯნა იყოო როგორც ჰელერის დაუმთავრებელი სახლი, თუნდაც როგორც ყველა სხვა... რაღაც გაგებით, წუხანდელი ღამეც სახლის შენებას ჩამოჰგავდა მისთვის, ანუ იმას, რაც არსებობას აზრს ანიჭებდა.
ჩადენილი საქციელისთვის ამგვარი მნიშვნელობა რომ არ მიეცა, საერთოდ არც გადადგამდა ასეთ ნაბიჯს; და ან ქალისთვის რომ ყოფილიყო უმნიშვნელო, აღარც ის გაუწევდა წინააღმდეგობას.
სამტეხლოსკენ გასწია, მთელი დღე ჩვეულებრივად იმუშავა. ქალი არ გამოჩენილა და ამას არც ელოდა. მაინც ვერაფრით ამოეგდო თავიდან. უცნაურიც კი იყო, ასე რომ აჰკვიატებოდა ვიღაც მეორე ადამიანზე ფიქრი, მოსვენებას უკარგავდა. და მაინც, ერთთავად თვალწინ ედგა _ აი, გაიღვიძა,ადგა, თმას ივარცხნისო...
სწორედ იმ საღამოს სასაუზმეში გაზეთი გადაშალა და როჯერ ენრაიტის სახელს გადააწყდა:
„ როგორც. ჩანს, კიდევ ერთი გახმაურებული პროექტი მოხვდება სანაგვეზე: ნავთობის მეფე როჯერ ენრაიტი კვლავ უკმაყოფილოა! მისი ბოლო ოცნება ”ენრაიტ ბილდინგი” ჯერაც დაუმთავრებელი დგას. ხმები დადის, არქიტექტორების ამბავიაო... და აღრენილი მაგნატიც ახლა ზედიზედ ყრის მათ საკუთარი კაბინეტიდან. მოკლედ, დიდი გაურკვევლობაა, უნდა მოგახსენოთ.”
რორკს ისევ რაღაცამ უსიამოდ გაჰკრა გულში: თვალწინ სულ ის მაკეტი

მკითხველთა ლიგა

ედგა, რომლის გაკეთებაც სურდა და არ დაანებეს. მერე, რატომღაც, კვლავ დომინიკ ფრენკონის სახე ამოუტივტივდა თვალწინ და გაუკვირდა კიდეც ახლა მაინც რამ გამახსენაო?

ერთი კვირაც გავიდა. მოულოდნელად, საღამოხანს წერილი მოუტანეს: მისი ყოფილი ოფისიდან გადაეგზავნათ ბოლო მისამართზე ნიუ- იორკში; იქიდან მაიკისთვის, მაიკს კი კონექტიკუტში. კონვერტზე ამოტვიფრული ნავთობის კომპანიის ემბლემა რორკს არაფერს ეუბნებოდა. წერილი მოკლე იყო და არაორაზროვანი:

"მისტერ რორკ,
რა ხანია, ვცდილობ თქვენთან დაკავშირებას, მაგრამ თქვენს კვალსაც კი ვერსად მივაგენი. გთხოვთ, შესაძლებლობისთანავე გამომეხმაუროთ. თუკი ფარგოს მაღაზია მართლაც თქვენი დაპროექტებულია, მინდა "ენრაიტ ჰაუსის" საქმეც თქვენ მოგანდოთ.

პატივისცემით,
როჯერ ენრაიტი."

ნახევარ საათში რორკი უ კვე ნიუ-იორკის მატარებელში იჯდა,მერეღა გაახსენდა დომინიკი, ოღონდ ეს ფიქრიც რაღაც შორეული და სრულიად უმნიშვნელო ეჩვენა. ამჯერადაც მხოლოდ ის გაუკვირდა, რით ვერ ამოეგდო თავიდან მასზე ფიქრი.

• • •

"ყველაფერს დავივიწყებდი", – ფიქრობდა დომინიკი, – "ყველაფერს, რაც კი თავს გადამხდა, ერთადერთის გარდა: რომ იმ ამბავმა ფიზიკური სიამოვნება მომანიჭა და რომ ისიც კარგად ხვდებოდა ამას, და რომ მან ეს მანამდე იცოდა, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, და დარწმუნებულიც რომ არ ყოფილიყო, არც მოვიდოდა ჩემთან!" უარის თქმა შეეძლო, მაგრამ არ უთხრა, და არავითარ მოჩვენებით ფიზიკურ წინააღმდეგობას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მიიღო ის, რაც ფარულად სურდა და ახლა ამიტომაც სძულდა ის კაცი.

ერთ დილასაც წერილი დახვდა მაგიდაზე, ალვა სკარეტისგან: "... როდის დაბრუნდები, დომინიკ? ძალიან გვაკლიხარ, ხომ იცი. შენთან კაცი თავს ვერასდროს იგრძნობს მშვიდად, მაგრამ იქნებ სწორედ ამიტომაც გვენატრები ყველას. ნუ მიგვატოვებ, დედოფალო..."

წაიკითხა და ჩაეღიმა. ერთი კი გაიფიქრა, მაგათ რომ იცოდნენ, ჩემს გულში რა ცეცხლიც ტრიალებს... არადა, რა უბრალოდ გამაუპატიურეს, ვიღაც თავცეცხლა მუშამ ქვის სამტეხლოდან:... მე, დომინიკ ფრენკონი! წყენაც და განცდილი სიამის მოგონება ერთდროულად მოეძალა.

აზრზე არ იყო, დღეები როგორ გადიოდა, თითქოს ბურუსში დაბორიალებდა და არც იქიდან გამოსვლა სურდა. მერე, უცაბედად, შუა ბაღში მდგარს გაუელვა მთელი კვირაა, არ მინახავსო. გატრიალდა და პირდაპირ სამტეხლოს გზას დაადგა.

მზის გულზე მიაბიჯებდა თავშიშველი, აუჩქარებლად; ან რა ჰქონდა საჩქარო, მასთან შეხვედრა მაინც გარდაუვალი იყო. ბედისწერასავით.

მივიდა და მიმოიხედა, ნელა, ზარმაცად, გონმიუტანებლად. სწორედ ამიტომაც ვერ მოიაზრა უცბად, რომ კაცი იქ არსად ჩანდა. სხვა მხრივ, ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, არავინ იდგა უქმად, ოღონდ ის მათ შორის აღარ იყო. გულმა უგრძნო, სამუდამოდ გასცლოდა აქაურობას.

მკითხველთა ლიგა

მერე ზედამხედველი დაინახა და ანიშნა, ერთი აქ მოდიო.
– დღე მშვიდობისა, მის ფრენკონ! ამინდი გვწყალობს, არადა, შემოდგომაც მოგვეპარა. ფოთლებს გახედეთ...
სიტყვა გააწყვეტინა:
_ აქ ერთი კაცი იყო ჟღალთმიანი... რა იქნა?
– ა-ა... ისა... ჩვენთან აღარ არის, წავიდა...
– სად წავიდა...
– ნიუ-იორკში. მე ასე ვიცი. დაგვეთხოვა და წავიდა.
– ეგ როდის, ამ კვირაში?
– არა-ა... გუშინ საღამოს.
– ვინ?..
და უცებ ენაზე იკბინა, არადა, აპირებდა ეკითხა ვინ იყო, სად მოვძებნიო?
– ვინ მუშაობდა წუხელ ასე გვიანობამდე? – გადააკეთა სათქმელი, – ხმაურმა არ დამაძინა.
– მისტერ ფრენკონის საგანგებო ბრძანება მოვიდა, რაღაც საჩქარო დაკვეთაა ”კოსმო-სლოტნიკის” კომპანიისთვის. ბოდიშს გიხდით, მის ფრენკონ, არც ჩვენ მოგვახუჭინეს თვალი...
– კარგი, კარგი. ეგ არაფერი.
სწრაფად გაბრუნდა უკან. მის სახელს ცოცხალი თავით ვერავის ჰკითხავდა. თავისუფლების უკანასკნელი შანსიც გაუსხლტა ხელიდან.
მსუბუქად მიაბიჯებდა, ლაღად თითქოს გულიდან ლოდი მოეხსნა, ადრე არასდროს დაფიქრებულა, სახელიც თუ არ იცოდა მისი. არც სურვილი გასჩენია, ეკითხა. ალბათ იმიტომ, პირველი შეხედვისთანავე რომ გაიგო ყველაფერი, რაც უნდოდა. ახლა ვიღაც უსახელო მუშას ნიუ-იორკში ვინ იპოვიდა და არც რამე საფრთხეს მოელოდა მისგან. აი, სახელი რომ სცოდნოდა, უკვე ალბათ თვითონაც მატარებელში იჯდებოდა...
მომავალი მარტივი და უღრუბლო უჩანდა: უბრალოდ, აღარასოდეს უნდა ეცადა მისი ვინაობის გარკვევა, თორემ უარესი არ ასცდებოდა_ საერთოდ დაკარგავდა საკუთარ თავს.

3

პიტერ კიტინგმა რომ ოფისის კარი შეაღო, მის შემოსვლას დაფდაფების ხმაღა აკლდა: კარი ისე გაიღო, თითქოს ამისთანა კაცის წინ ყველა კარიბჭე თავისით უნდა გახსნილიყო.
სამუშაო დღე გაზეთების გადათვალიერებით დაიწყო მდივანს დაეხვედრებინა მაგიდაზე კოხტად დალაგებული. მისდა გასაკვირად, იმ დღეს პრესა არაფერს იუწყებოდა "კოსმო-სლოტნიკის” კომპანიის სახლის მშენებლობისა თუ, გნებავთ, ფირმა "ფრენკონი და კიტინგის” სხვა წარმატებათა თაობაზე.
თუმცა, ელზუერთ მ. თუის შესახებ კი ნახა ვრცელი სტატია ცნობილ ფილანტროპს, ტომას ლ. ფოსტერს "მოკრძალებული" თანხა, სულ რაღაც ასი ათასი დოლარი უანდერძებია მისთვის: "ჩემს მეგობარსა და სულიერ მოძღვარს მისი ნათელი გონებისა და კაცობრიობისადმი უანგარო ღვაწლისთვის”, უფ. ე. მ. თუის თავმდაბლად გადაეგზავნა ეს მონაპოვარი ”საზოგადოებრივ კვლევათა ინსტიტუტისთვის”, სადაც ის ბოლო ხანებში ლექციების ციკლს კითხულობდა თემაზე "ხელოვნება, როგორც სოციალური სიმპტომი". თავად მე ამგვარი მემკვიდრეობის არაფერი მწამსო, ასე თავისებურად აუხსნია თავისი გადაწყვეტილება პრესის

მკითხველთა ლიგა

წარმომადგენლებისთვის და მერე ჩვეული უშუალობით დაუმატებია საინტერესო საკითხებზე, რამდენსაც გნებავთ, იმდენს ვილაპარაკებ, ოღონდ საკუთარ პიროვნებას ამ ჩამონათვალში ვერანაირად მოვიაზრებო!

ბოლომდე ჩაიკითხა და სწორედ იმიტომ, თავად ასეთი ნაბიჯის გადამდგმელი ასი წელი რომ არ იყო, აღფრთოვანებულიც დარჩა. მერე, ერთი პირობა, წყენაც შეეპარა: რით ვეღარ გავიცანი ეს კაციო. მისტერ თუი სწორედ მაშინ გაემგზავრა სალექციო ტურნეში, კიტინგმა რომ ჯილდო მიიღო და ამასთან დაკავშირებულ ზარ-ზეიმსაც ხიბლი მოაკლო თავისი არყოფნით...

ერთი ეგაა, ამ სტატიაში კიტინგის სახელის ხსენებაც არ იყო. სხვა გაზეთებსაც გადაავლო თვალი, იმედიანად, მაგრამ სულ ტყუილად იმდღევანდელი პრესა მასთან დაკავშირებით ჯიუტად დუმდა.

წამოდგა, გაზეთები მოისროლა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ახლა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჰქონდა მისახედი: "კოსმო-სლოტნიკ ბილდინგისთვის" მოქანდაკის შერჩევა. მთავარ ჰოლში დასადგმელი „ ინდუსტრიის" სიმბოლური ქანდაკების შექმნა რამდენიმე თვის წინ ვინმე სტივენ მელორის შეუკვეთეს. გადაწყვეტილებამ, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო კიტინგი, მაგრამ ეს თავად მისტერ სლოტნიკის არჩევანი იყო და ისიც იძულებული გახდა, პირში წყალი ჩაეგუბებინა. ერთხელ პირადად შეხვდა კიდეც მელორის და შეაპარასავით: "... თქვენი ნიჭის დასაფასებლად, მართალია, დიდი სახელი ჯერ არა გაქვთ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს დღეც მალე დადგება მსგავსი დაკვეთა... მოკლედ, მკაცრი გამოცდა გელით."

არა, მელორი გულზე ნამდვილად არ ეხატებოდა ერთხელაც არ გაუღიმია და თან თვალებშიც რაღაც საეჭვო ნაპერწკალი უკრთოდა...არადა, ჯერ სულ ოცდაოთხი წლისა იყო, ერთადერთ გამოფენაში მიეღო მონაწილეობა და არც შეკვეთები ჰქონდა ძალიან ბევრი. ელზუერთ თუიმ ერთხელ მოიხსენია კიდეც რომელიღაც მიმოხილვაში და ჩვეული ორაზროვნებით დაახასიათა: "მისტერ მელორის ფიგურები მთლად უზადო იქნებოდა, ერთი პატარა, მცდარი საზრისი რომ არა მას, ეტყობა, მართლა სწამს, რომ ღმერთმა შექმნა სამყაროცა და ადამიანის სხეულიც... თუმცა,
ვინ იცის, სწორედ ამ მოქანდაკეს რომ გამოეძერწა თიხაში ჩვენი სხეულები, იქნებადა, უკეთესნიც ვყოფილიყავით! ან, იქნებ, პირიქით?"

სლოტნიკის არჩევანმა სადღაც გაანაწყენა კიდეც კიტინგი, თუმცა მერე აღმოაჩინა, რომ ერთ დროს გრინვიჩ ვილიჯში სტივენ მელორი ვინმე დიმპლზ უილიამზთან იყოფდა ბინას, ხოლო მისტერ სლოტნიკი, თურმე, ვერაფერზე ეუბნებოდა უარს ამ უკანასკნელს. ასე რომ, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, მელორიმაც დროულად შეასრულა დაკვეთა და ქანდაკების მომცრო ასლი საბჭოს სამსჯავროზე წარმოადგინა. კიტინგი თვალის ერთი შევლებითვე მიხვდა, ეს ნამუშევარი უადგილო ადგილას დანთებული კოცონივით აბრიალდებოდა მისი კიტინგის დაპროექტებული შენობის გულისგულში... არადა, თითქოს უბრალო უსახელო ჭაბუკის შიშველი სხეული იყო, ოღონდ მასში იმგვარი შინაგანი ძალა იგრძნობოდა, იმგვარი დინამიკა, თითქოს აი ახლა გაცოცხლდება, ფეხს აიდგამს და ირგვლივ ყველაფერს მიმოანგრევსო! ეს გამოწვევასავით იყო თითქოს გარშემო ყველას და ყველაფერს ამცირებდა, აპატარავებდა, აკნინებდა. ცხოვრებაში პირველად, კიტინგმა ახლაღა
გაიაზრა ცნება "ჰეროიკულის" მნიშვნელობა.

მკითხველთა ლიგა

მაშინ არაფერი უთქვამს. თუმცა გრძნობდა, ყველას იგივე შთაბეჭდილება დარჩა, რაც თვითონ. მერე თაბაშირის ასლი მისტერ სლოტნიკს გადაუგზავნეს. პასუხმა არ დაახანა პიტერ კიტინგს სთხოვდნენ სხვა მოქანდაკე ეძებნა...

სავარძლის საზურგეზე გადაწვა და ჭერს მიაპყრო მზერა. ახლა ის ჰქონდა გადასაწყვეტი, ვისთვის გადაეცა შეკვეთა: ვინმე ბრონსონისთვის, რომელიც "კოსმოს" პრეზიდენტის მეუღლის, მისის შუპის ახლო მეგობარი იყო, თუ მავანი პალმერისთვის, რომელსაც მისტერ ჰაზბი, უახლოეს ხანებში ხუთმილიონიანი კოსმეტიკური ფაბრიკის აშენების მსურველი ცნობილი მაგნატი მფარველობდა. რაღა დაგიმალოთ და, პიტერს ფარულ სიამოვნებას ჰგვრიდა იმის შეგრძნება, რომ ბევრის თუ არა, რამდენიმე კაცის ბედს მაინც განაგებდა ერთპიროვნულად. შეეძლო, როგორც მოეგუნებებოდა, ისე გაეკეთებინა არჩევანი, რაიმე მოსაზრებაზე დაყრდნობით, ან სულაც მონეტა აეგდო: ბოლოს და ბოლოს, ჯიბე ხურდა ფულით ჰქონდა სავსე... ძალაუფლების განცდით ტკბებოდა.

უცბად მაგიდაზე დალუქულ კონვერტს მოჰკრა თვალი.

ერთი უბრალო, თხელი, წაგრძელებული ფორმის კონვერტი იყო, ოღონდ ზედ გაზეთ "ბანერის" დამღა ერტყა. დასწვდა, იგრძნო, არავითარი წერილი არ იდო შიგ; თავი მოახია და ხვალინდელი ნომრის ერთი გვერდის ანაბეჭდი ამოაძვრინა: **"ელზუერთ მ. თუი: კიტინგი"** – ეწერა სათაურად.

ათრთოლებული თითებიდან ფურცელი დაუსხლტა, კვლავ წაავლო ხელი, ხარბად დააშტერდა:

"სიდიადე იმთავითვე გაზვიადებაა და, როგორც ასეთი, საკუთარ თავში გარკვეულ სიცარიელესაც მოიცავს; განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე განზომილებებს ეხება. მაგალითად, თუნდაც საჰაერო ბუშტი ავიღოთ... თუმცა, ხუმრობა იქით იყოს და, არის შემთხვევები, როცა ამ ფენომენს იმდენად ვუახლოვდებით, შემოქმედის ნაოსტატარსა და ბავშვის სათამაშოს იდეას შორის ზღვარი იშლება: სწორედ ამგვარი რამ ჩნდება ჩვენი ხუროთმოძღვრების ჰორიზონტზე მთლად უასაკო არქიტექტორის, პიტერ კიტინგის სახით.

თავად კოსმო-სლოტნიკ ბილდინგის" პროექტზე ბევრიც გვსმენია,მოდით ახლა ჩვენი ყურადღება მასზე გადავიტანოთ, ვისი პიროვნული დამღაც ატყვია ამ ნამუშევარს. საქმეც ისაა, რომ ნაგებობა მთლიანად დაცლილი იქნება ინდივიდუალობისაგან და ჩემის აზრით, სწორედ ესაა პიროვნული სიდიადის ჭეშმარიტი გამოვლინება! ესაა ხალასი სულისმიერ აღქმული სუბსტანციის იმავე სამყაროსათვის დაბრუნება,რომელმაც იგი შვა ოღონდაც, უკვე სახეცვლილი და ინდივიდუალობის ბეჭდით დაღდასმული...

„ ვისაც ასხმენ თვალნი ხედვად, დაინახვენ შენობის პირველი სამი, კვარცხლბეკად გააზრებული სართული ჩვენი საზოგადოების უმყარესი საყრდენის, მუშათა კლასის სიმბოლური განსახიერებაა; ხოლო მზის მხარეს გაჭრილ, ერთგვაროვან სარკმელთა სალტე იმავე საზოგადოების ათასებისა, რომლებიც საერთო საძმოს ქმნიან, და სხვა დანარჩენი _ მთელი ეს კორინთული სვეტები, ლავგარდანები თუ რამ სხვა სამშვენისები ჩვენი კულტურის ყვავილებია, სწორედ იმ ქვემო სართულებიდან ამოზრდილი!

მათ გასაგონად, ვისაც კრიტიკოსი ნიჭის მესაფლავე ჰგონია მხოლოდ, სწორედ მათ გასაგონად ვამბობ იშვიათად, ო, რა იშვიათად მეძლევა შესაძლებლობა, ჩემი ხელობის ჭეშმარიტი არსი განვასიტყვო: საუნჯის სამზეოზე გამოტანა, როცა ეს საუნჯე მართლაც არსებობს სადღაც,

მკითხველთა ლიგა

დაფლული ტალანტის დარად. და თუ ოდესმე ჯერ ისევ ვინმე პიტერ კიტინგი ამ სტრიქონებს დაადგამს თვალს, მისგან სამადლობელს არ მოველით მადლობა ჩვენ გვეთქმის!"

ის იყო, კიტინგი მესამეგზის შეუდგა ორჯერ უკვე წაკითხულის გადაკითხვას, რომ ზედ სათაურის თავზე, წითელი ფანქრით, ხელით წვრილად მინაწერი ეცა თვალში:

"ძვირფასო პიტერ,
ამ დღეებში იქნებ ოფისში შემომიარო. მაინტერესებს ერთი, როგორ გამოიყურები."

ე.მ.თ

წერილი მაგიდაზე დააგდო გაოგნებულმა.შემოტრიალდა და „კოსმო-სლოტნიკ ბილდინგის" მისეულ ესკიზს მიაშტერდა კედელზე.პართენონისა და ლუვრის გადიდებულ ფოტოებს შორის ეკიდა, გამოსაჩენ ადგილას. თოვლივით ქათქათა კოლონადებს შეავლო თვალი._ ღმერთმანი, არასოდეს უფიქრია, ეს ჩემეული იმიტაცია ფართო მასების წიაღიდან ამოზრდილი კულტურის ყვავილებიაო... თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა?!

მერე ტელეფონს ეცა და მისტერ ე. მ. თუის მკივანახმიან მდივანს ელაპარაკა პირადად. შეუთანხმდა, მეორე დღის ხუთის ნახევარზე ვეახლებიო.

მთელი დღე ზეაწეული განწყობით მუშაობდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უბრალო კედლის მოხატულობა კეთილშობილ ბარელიეფად ექცა, სამგანზომილებიანი მოცულობა შეიძინა და ეს ყველაფერი მისტერ ელზუერთ მ. თუის წყალობით ხდებოდა.

სწორედ იმ დღეს გაი ფრენკონმაც რატომღაც რამდენჯერმე შეუარა, ვითომ ისე, სხვათა შორის. მისი პერანგისა და ჰალსტუხის უჩვეულოდ მკაცრი ფერი კარგად ეხამებოდა შევერცხლილ თმას. ერთხელაც რომ წამოადგა თავზე უსიტყვოდ, კიტინგი წამოდგა, ძალზე საქმიანი სახით გაემართა მხაზველების ოთახისკენ და გზად, თითქოს ახლაღა გაახსენდაო, გაზეთის ამონაჭერი გაუწოდა: "დრო თუ გექნა, თვალი გადაავლე, გაი..."

მერე შუა გზიდან მოუტრიალდა და დაამატა: "რას იტყვი, არ ვივახშმოთ ერთად? "პლაზაში" დაგელოდები..."

სამუშაო დღის დასრულებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა ვიღაც თანამშრომელმა შეაჩერა და მღელვარებისგან აკანკალებული ხმით მიახალა: "მისტერ კიტინგ, არ იცით, ვინ იყო ის ძაღლიშვილი, თუი რომ მიასიკვდილა?!"

კიტინგმა ერთიღა ამოიხავლა: "რა ქნა?"

– ელზუერთ თუის ესროლა!

– ვისაო?!

– რა, არ გაგიგიათ? ესროლეს...

– ვინ ესროლა?..

– მეც ეგ არ მაინტერესებს! გაზეთის წინა გვერდზე მოვკარი თვალი სათაურს. ჯერ წაკითხვაც ვერ მოვასწარი.

_ მოკვდა?

– აზრზე არა ვარ.

_ დაიცა, თუ მოკლეს, ესე იგი, აღარც მაგის ბოლო სტატიას დაბეჭდავენ...

_მერა ვიცი. რა იყო რო?

– წადი, გაზეთები ამომირბენინე.

მკითხველთა ლიგა

– კი, მაგრამ, მისტერ კიტინგ, მე აქ...
– დროზე-მეთქი, იდიოტო!
საღამოს გაზეთები სულ ამ ამბით იყო აჭრელებული, მისტერ თუის დილით დასხმოდნენ თავს, მანქანიდან რომ გადმოდიოდა _ რადიოცენტრის სტუდიაში მიემართებოდა, ეთერში გასასვლელად. საბედნიეროდ, ნასროლი ასცდენოდა. მისტერ თუის, თურმე, წარბიც არ შეუხრია და მისი ქცევა თეატრალურადაც კი ჩაითვლებოდა, სრულიად რომ არ ყოფილიყო მოკლებული თეატრალობას: რადიომსმენელს ვერ ვალოდინებთო, უთქვამს და გზა გაუგრძელებია, უკომენტაროდ. ეთერში საათნახევარი ულაპარაკია, როგორც სჩვეოდა ხოლმე წინასწარ მომზადებულ ტექსტში ჩაუხედავად. თავდამსხმელი ადგილზევე დააკავეს, თუმცა ჯერჯერობით სიტყვაც ვერ ათქმევინესო, – იუწყებოდა პრესა.
კიტინგმა ერთი სიცოცხლე გაათავა, როცა იქვე მისი ვინაობაც ამოიკითხა სტივენ მელორი.
თავადაც ვერ გაეგო, ასე რამ დაზაფრა; ერთი ეგ იყო, რატომღაც ინატრა – ნებისმიერი სხვა ყოფილიყო, ოღონდ ეგ არაო, და ამის გაფიქრებამ კიდევ უფრო დააბნია...
სტივენ მელორი კი კვლავ უარს ამბობდა რაიმე განცხადების გაკეთებაზე. თავდაპირველად ის აზრი გახმიანდა, ჭკუას აღარ იყო, ”კოსმო-სლოტნიკმა” შეკვეთა რომ ჩამოართვაო მისი ხელმოკლეობის ამბავი ხომ ყველამ იცოდა. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თავად ელზუერთ თუის ამ ამბავში ბრალი არ ედო არც არავისთან ულაპარაკია სტივენ მელორის თაობაზე და არც მისი ნამუშევარი უნახავს. მელორიმაც დაადასტურა ელზუერთ თუის არც ვიცნობ და არც არასოდეს შევხვედრივარო. მერე, რას ერჩოდიო, უკითხავთ, მაგრამ მელორის მეტი აღარაფერი დაუმატებია.
მოძალადეში სტივენ მელორი ვერც მისტერ თუიმ ამოიცნო და ისიც კი უკითხავს ხომ არ იცით, ვინააო? ოღონდ მერე, როცა სახელი უთხრეს, თითქოს მზერა გაეყინა და ორად ორი სიტყვარა დასცდა_რისთვის, ღმერთო?
პასუხი, ცხადია, ვერავინ გასცა. უცბად, მისტერ თუიმ არტისტულად აიჩეჩა მხრები, გაიღიმა და თავისგან განაჩენიც გამოიტანა: თუ ამ ახალგაზრდა ხელოვანმა ეს ყოველი იაფფასიანი რეკლამისთვის ჩაიდინა, მეტისმეტად მდარე გემოვნება ჰქონიაო! თუმცა, ანკესზე არავინ წამოგებულა, ყველა გრძნობდა, რომ თავადაც არ სჯეროდა საკუთარი სიტყვების. შემდეგ, უფრო ვრცელ ინტერვიუში, მეტრმა თუიმ ადრე ნათქვამის აზრი კიდევ უფრო განავრცო: "ჩემი მოკრძალებული პიროვნება არასოდეს აღმიქვამს მკვლელის სამიზნედ, პატივადაც კი მივითვლიდი ამგვარ მცდელობას, მთლად საპნის ოპერის სუნი რომ არ ასდიოდეს.” მოკლედ, თავისას მიაღწია და ისეთი სურათი დახატა, თითქოსდა განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარიყოს, რაკიღა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არც რამ ხდება ჩვენს კნინ სამყაროში...
მელორი ციხეში გადაიყვანეს. მისმა დაკითხვებმაც უშედეგოდ ჩაიარა.
მთელი ღამე კიტინგს ის უცნაური აზრი აწამებდა, ელზუერთ თუიც სწორედ იმას გრძნობს, რასაც მე: იცის, და იცის, რომ მეც ვიცი სტივენ მელორის ქმედება უფრო მეტ ხიფათს მოასწავებს, ვიდრე ის ერთადერთი გასროლაო. და უცებ აუტანელმა შიშმა შეიპყრო: სურდა, პირადი დაცვა ჰყოლოდა, შინ და გარეთაც, 24 საათი სწორედ იმ რაღაც შეუცნობელი ხიფათის მოსაგერიებლად...

მკითხველთა ლიგა

• • •

კიტინგის დანახვაზე ელზუერთ თუის პირადი მდივანი ჩვეული მოძრაობით წამოიზლაზნა სკამიდან და სტუმარს შეფის კაბინეტის კარი შეუღო.

პიტერ კიტინგმა კარგა ხანია, გამოიარა ის პერიოდი, როცა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრისას გული უჩქარდებოდა ხოლმე. ოღონდ ახლა სწორედ ასე დაემართა და ერთი აზრი აეკვიატა ნეტა, როგორ გამოიყურებაო. მიტინგზე მისი მგრგვინავი ხმა ახსოვდა და ახოვანი, ფაფარაშლილი, თეთრწვერა რაღაც ბიბლიური მოსეს მსგავსი ხატება უდგებოდა თვალწინ.

„პიტერ კიტინგი გეახლათ, სერ," – თქვა მდივანმა მომხიბლავი უბრალოებით და კარი გაიხურა.

ელზუერთ მონკტონ თუის დანახვაზე კაცს ერთი მარტივი სურვილი გაგიჩნდებოდა ახლა სქელი, ფოჩებიანი პლედი მომცა და შიგ გამახვევინა ეს საცოდავიო იმდენად მყიფე და დაუცველი ჩანდა მისი ჩია ფიგურა, რაღაცით ახლად გამოჩეკილ წიწილასაც კი წააგავდა.ოღონდ,
თუ კარგად დააკვირდებოდი, იმასაც იაზრებდი, რომ ჩვეულებრივი პლედი კი არა, იქნებ სიასამურის ბეწვის მოსასხამიც იუკადრისოსო... უძვირფასესი ნაჭრის, რაღა თქმა უნდა, ლონდონელი მკერავის მიერ სპეციალურად მისთვის შეკერილი კოსტიუმი ეცვა, მუქი ატლასის ჟილეტითა და მარგალიტისთვლიანი სამაგრით დამშვენებული ჩინური აბრეშუმის ყელსახვევით. სპეტაკი, მაღალი შუბლი, ფერფლისფერი,ზუსტად შუაზე გაყოფილი, მხრებამდე ჩამოშლილი თმა, ფაიფურის უზადო ფინჯნის სახელურებივით კოხტა, მომცრო ყურები, ნებისყოფის გამომხატველი დაკუთხული ნიკაპი და თხელი, კეხიანი ცხვირი მთლიანობაში გამორჩეული პიროვნების დასრულებულ ხატს ქმნიდა. თვალებში ერთდროულად ედგა სიბრძნის გამონაშუქიცა და ეშმაკური ხალისიც, ვერცხლისჩარჩოიანი სათვალის მომრგვალებული შუშები კი სულაც, კეთილი მოხუცი ჯადოსნის იერს სძენდა...

– კიტინგს გაუმარჯოს, – დაბალი, ხავერდოვანი, მართლაც რომ მომაჯადოებელი ხმით მიესალმა სტუმარს, – სწორედ თქვენი აზრი მინდოდა გამეგო: ნიკე აპტეროსის ტაძარზე რას ფიქრობთ?

– ე-ე... მოხარული ვარ... – პიტერს ენაც კი დაება გაოგნებისგან, - უკაცრავად, რა ბრძანეთ?..

– დაბრძანდით, დაბრძანდით. ფრთოსანი ნიკეს სალოცავზე-მეთქი.

– რა მოგახსენოთ... მე...

– ახლა არ მითხრათ, ამ ობოლი მარგალიტის თაობაზე არაფერი მსმენიაო... ცხადია, პართენონმა განძარცვა სახელისა და დიდებისაგან როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ყველაფერი უფრო დიდმა და ძლიერმა მიიტაცა... ოღონდ ხოტბა-დიდების გარეშეც კი, ჭეშმარიტი მშვენიერება უკვალოდ არასოდეს ქრება! მართალი გითხრათ, ბერძნული სულის თავისუფლების გამოვლინებას მე სწორედაც რომ უფრო ამ მცირე ნაგებობაში ვჭვრეტ... დამეთანხმებით ალბათ, მსგავს პროპორციულ ანაგობასა და უბრალოების სიდიადეს სულ მცირე დეტალებშიც კი ანალოგი არ მოეძებნება.

– დიახ, რაღა თქმა უნდა... ნიკეს ტაძარი... – აბუტბუტდა კიტინგი,_ ხელოვნების ზენიმუშად მესახებოდა მუდამ...

– ნუთუ? – ჩაეღიმა მისტერ ელზუერთ თუის ორაზროვნად, – თუმცა, რა გასაკვირია, სხვას არც ველოდი თქვენგან... სანდომიანი სახე გაქვთ,

მკითხველთა ლიგა

პიტერ კიტინგ, ოღონდ ასე მოწიწებით ნუ მომაჩერდებით ხოლმე არაა აუცილებელი.

და უცბად, მისტერ ელზუერთ თუი ისე აროხროხდა, თითქოს მთელი ეს თეატრალობა მისივე დადგმული არ ყოფილიყო; კიტინგი ჯერ შეცბა, მაგრამ მერე თავადაც გაეცინა, ვითომ ძველ, კარგ მეგობართან ერთად მიმჯდარიყო ბუხართან.

– ასე არ ჯობია! – დაიბუხუნა მასპინძელმა, – არასოდეს გიფიქრია, რომ ასეთ დროს ზედმეტი სერიოზულობა მავნებელია? მგონი, ცოტათი მიფრთხი კიდეც. და რა მერე თუ დამიჯერებ, მეც იგივე გრძნობა მქონდა შენ მიმართ. ახლა კი... ასე არ ჯობია?!

– რა თქმა უნდა, სერ! – თავაზიანად დაეთანხმა კიტინგი. შინაურულად გრძნობდა თავს, თითქოსდა მთელი პასუხისმგებლობა ჩამოართვეს და ახლა თუ რამ მნიშვნელოვანი იყო სათქმელი, თავად ეს კეთილი მოხუცი ათქმევინებდა, ძალდაუტანებლად.

– ოღონდ ეგაა, უკვე ოთხი წელიწადია, ამ შეხვედრას მოველი, მისტერ თუი.

– არა, მართლა?! მერედა, რისთვის?

– ყოველთვის იმედი მქონდა, გულთბილად მიმიღებდით და... როგორ გითხრათ... ჩემს ნამოღვაწარს მომიწონებდით. იმასაც ვფიქრობდი, იქნებ -მეთქი...

– რა, მაგალითად?

– იმასაც კი ვფიქრობდი, იქნებ ოდესმე მეტრ თუიმ ჩემი ნაგები კეთილად მოიხსენიოს-მეთქი... ხაზვისას მუდმივად ასეთი აზრები მომდიოდა თავში. თქვენისთანა კაცისგან ქების ერთი სიტყვაც კი...

– კარგი, კარგი... – მისტერ თუის აშკარად გაუქრა ხალისი ამ უკანასკნელი თემის მიმართ, – ეგ რა სახსენებელია. იქნებ გაგიკვირდეს კიდეც, მაგრამ ქების სიტყვებს ვერ ვეგუები.

მთავარი ჯადო მაინც მის თვალებშიაო, გაუელვა კიტინგს, საოცრად კეთილი მზერა აქვს მართლაც დაუსაზღვრავი სიკეთე გამოსჭვივის ამ გამოხედვაშიო. რამის დამალვაც სისულელეა თითქოს ყველაფრის შემნდობია და არაფერს განსჯის განუსჯელადო...

– არც მიფიქრია, სერ მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა...

–... მხოლოდ ის გინდოდა გეთქვა, რამდენად მადლიერი დამირჩი, ჩემი სტატია რომ გადაიკითხე, – გააწყვეტინა ელზუერთ თუიმ მოჩვენებითი შეცბუნებით, – მე კი მთელი ეს ხანია, ხელს გიშლი და ერთთავად იმას ვცდილობ, ეგ საკითხი ამოგაღებინო ჩვენი დღის წესრიგიდან! ან რა გჭირს სამადლობელო, განა რა, არ დაიმსახურე?! მადლობა აქეთ გვეთქმის ყველას, მართალი არ ვიყავი?

– მაინც დიდი პატივია ჩემთვის.

– ვისთვის, შენისთანა ხელოვანისთვის? განა რა, ოდესმე ეჭვი შეგპარვია საკუთარ შესაძლებლობებში? თუ არც უმაგისობაა?

– გამოგიტყდებით...

აქ უკვე მეორედ წაიბორძიკა და ჩანდა, ელზუერთ თუის მეტი არც სჭირდებოდა სიტყვის გაგრძელებაც აღარ აცალა, თითქოსდა უკვე მიეღო ის პასუხი, რასაც ელოდა.

– "კოსმო-სლოტნიკის" შენობას რაც შეეხება, ვის მოუბრუნდება ენა, მის გამორჩეულობაში შეიტანოს ეჭვი? ფანტასტიკური დაგეგმარებაა სრულიად უჩვეულო! ვერც ვიხსენებ, ადრე მსგავსი გადაწყვეტისთვის მიგემართოს...

– ბუნებრივია, – თავდაჯერებულად მიუგო კიტინგმა, – პრობლემაც სრულიად განსხვავებული იყო და ვცდილობდი, იმგვარი გეგმა

მკითხველთა ლიგა

გამომეხაზა, სწორედ ამ შენობის სპეციფიკურ მოთხოვნებს რომ უპასუხებდა.
– შესანიშნავია, – მოუწონა თუიმ, – სწორედ ასეა, ნამდვილად საამაყოდ გაქვს საქმე.
თვალი თვალში გაუყარა და პიტერ კიტინგსაც უცბად თავში დაკრა, ძალიანაც კარგად ხვდება, რომ ამ პროექტში ვიღაც სხვისი ხელი ურევიაო. ოღონდ, ამას არ შეუშინებია იმან დააფრთხო, მეტრის თვალებში თანამზრახველის იდუმალი მზერაც რომ დაიჭირა უნებლიეთ.
– და თუ იმისთვის გსურდა მადლობის თქმა, სიტყვით რომ გამოვხატე, რაც შენ ქვაში აამეტყველე, ასე გამოდის უბრალო კირითხურო კი არა, ოსტატი ყოფილხარ!
ჩაეღიმა, თავისთვის; ბაგე გაეპო და წვრილი, კატასავით ბასრი კბილები გამოუჩნდა. კიტინგს ზედაც აღარ უყურებდა, ახლა საკუთარ ხელს დასცქეროდა მხოლოდ, პიანისტის გრძელ თითებს. მერე დინჯად,დამარცვლით წართქვა: „იქნებ, სულაც სულიერი ძმები ვართ, პიტერ კიტინგ. ეგაა სწორედ ცხოვრებაში მთავარი.“ ისე თქვა, კიტინგისთვის არც შეუხედავს, სადღაც მის მიღმა იყურებოდა, მის თავსზემოთ.
და უცებ, კიტინგს საკუთარი ხმა ჩაესმა:
_ ... ბედნიერი ვარ, გუშინდელ ამბავს რომ გადაურჩით, სერ.
_რაო? ჰო... ეგ არაფერი. დაივიწყე.ეტყობა, საზოგადო საქმიანობას თავისი საფრთხეებიც ახლავს.
_ ეგ მელორი არასდროს მომწონდა; დიდი უცნაური ვინმეა და არც მაგის მოქანდაკეობის მჯეროდა, უნდა გამოგიტყდეთ.
_ მეტიჩარაა, ნაღდი ეგზიბიციონისტი...
_ რამე რომ იყოს, მაგისთვის შეკვეთის მიცემა არც მომსვლია თავში. მისტერ სლოტნიკის იდეა იყო. ასე ვთქვათ, ახალგაზრდობის წინ წამოწევა სურდა. ბოლოს მაინც მოვიდა გონს.
_ მაგ მელორის როდისმე თუ ვუხსენებივარ შენთან?
_ არა,არასოდეს.
_ უცნაური ამბავია. კაცს არასოდეს შევხვედრივარ, არც მისი ასავალ-დასავალი ვიცოდი და ასეთი რამე კი ჩაიდინა... რა ძალა ადგა?
შეკითხვა აშკარად რიტორიკული იყო, ოღონდ კიტინგი ახლა იმასაც მიხვდა, რომ მათ შორის რაღაც უხილავი ძაფი გაიბა და მას შიში ერქვა. გაუცნობიერებელი გრძნობა იყო, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მოურეველი.
_ ხომ ხდება ხოლმე,_ წამოიწყო თავად, _ ერთი ხელმოცარული ტიპია და გადაწყვიტა, თქვენზე,ასე ვთქვათ, სიდიადისა და სიმტკიცის სიმბოლოზე ეძია შური...
და სწორედ ამ დროს, ელზუერთ თუის მზერა უბრალოდ კი არ შეყოვნდა კიტინგზე, თითქოს გაბურღა კიდეც თვალებით, სულის ფსკერამდე ჩასწვდა და სტუმარს მოეჩვენა_რაღაც ისეთი აღმოაჩინა ჩემში, რაღაც იმგვარი უმეცრება, რამაც აშკარა შვება მოჰგვარაო. მასპინძელმაც, როგორც ჩანს, მისი ფიქრები გამოიცნო, მძიმედ, ყრუ ხმით უთხრა:
_ ეგ დროც მოვა, როცა მე და შენ დავმეგობრდებით, პიტერ.
კიტინგმა წამიერად იყუჩა და მერე თავადაც დინჯად, ფიქრიანად გაეპასუხა:
_მეც მაგის იმედით ვარ, სერ.
_ კარგი ახლა, პიტერ, მოეშვი ეგეთებს. არც ისეთი ბებერი ვარ. უბრალოდ, ელზუერთი დამიძახე ხოლმე.
_ კეთილი... ელზუერთ.
_ ასე არ ჯობია? ბებერ უილიამს რომ დავესესხო _ რაა სახელი? არადა,

მკითხველთა ლიგა

რაღას არ მეძახდნენ მლიქვნელები...უნდა იცოდე, ყოველთვის არსებობს რაღაც, რაც უნდა მოიცილო თავიდან, თორემ მოგეწევება და აღარც მოგცილდება, შეგზღუდავს და ჩარჩოებში მოგაქცევს...მოკლედ, დღეიდან ხშირ-ხშირად უნდა შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს, პიტერ, _ ახლა მისი ხმა მშვიდი იყო და თვითდაჯერებული, ყოველგვარ ეჭვსა თუ ორჭოფობას მოკლებული,_ სხვათა შორის, ბოლო ხანს ერთო აზრი ამეკვიატა: რამდენ ახალგაზრდა არქიტექტორს ვიცნობ პირადად, იქნებ რაიმე ჯგუფისმაგვარი შემაკვრევინა-მეთქი _ სრულიად არაფორმალური ორგანიზაცია, იდეების გასაზიარებლად, იმ გუნდური თამაშის ასათვისებლად, ასე რომ აკლია და სჭირდება ჩვენს პროფესიას... არაფერი იმ გახევებული „ამერიკის არქიტექტორთა გილდიის“ მსგავსი, მხოლოდ თანამოაზრეთა ერთი პატარა წრე. არ შემომიერთდებოდი?

_ რა საკითხავია! თქვენ თუ დროს გამონახავთ და სათავეშიც ჩაგვიდგებით...

_არა-ა, ჩემო კარგო! მე და რაიმეს თავმჯდომარეობა?! გამორიცხულია. გამოგიტყდები, მე უფრო შენ მიმაჩნდი შესაფერისად.იფიქრე.

_ მე?

_ შენ, პიტერ,შენ. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ სამომავლო საქმეა. დეტალებზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ოღონდ, მარტო ამისთვის არ მომიწვევიხარ, ერთიც უნდა გითხრა...

_ გისმენთ, მისტერ თუი...ელზუერთ. თუკი რამეში გამოგადგებით...

_ ჩემზე არ არის საუბარი _ ლოის კუკს თუ იცნობ?

_ ვის?

_ კუკს, ლოის კუკს. როგორც ჩანს, არ გცნობია. არა უშავს, მალე გაიცნობ. მეთუ მკითხავ, გოეთეს მერე ამგვარი ლიტერატურული გენია ჯერ არ მოვლენილა ქვეყნიერებას.იმიტომ არ გეუბნები, ქალი რომაა_ ფემინისტური მომენტები საერთოდ არ მაღელვებს. უბრალოდ, იმდენად მაღლა დგას საშუალო კლასის საშუალო მოთხოვნებზე... მოკლედ, ახლა სახლის აშენებას აპირებს, ერთი პაწია, საკუთარი სახლი უნდა დადგას ბოუერიზე. კი, სწორედ ეგრე, ზედ ბოუერიზე. ეგეთი ვინმეა. მთხოვა, არქიტექტორი შემარჩევინეო. ორი აზრი არაა, ერთმანეთს გაუგებთ; დაგაკავშირებ, თუ თანახმა ხარ, ასეთ არამასშტაბურ, თუმცა სარფიან შეკვეთას მოჰკიდო ხელი.

_ უარს როგორ გეტყვით! დიდი მადლობელი ვარ, ელზუერთ.იცით, თქვენი ბარათი რომ მივიღე, მაშინვე ვიფიქრე, ამაგს გადახდა უნდა-მეთქი...

_ ღმერთო ჩემო, ჯერ მაინც რა გულუბრყვილო ხარ, პიტერ!

_ მაპატიეთ, ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა დამცდენოდა. ხომ არ...

_ კარგი რა, ეგ რა მოსატანია. ნუ გაიკვირვებ და, ასეც ხდება ხოლმე _ კაცი კაცს სრულიად უანგაროდაც უწვდის ხელს...

მერე ლოის კუკსა და მის სამ წიგნზე ჩამოაგდო სიტყვა: „რომანები? არა, არც მთლად მასეა საქმე. ვერც ცალკეული მოთხრობების კრებულებს დავარქმევდი. უბრალოდ, ლოის კუკია, ეგაა და ეგ - ახალი სიტყვა ლიტერატურაში...“ ლაპარაკში ისიც ახსენა, მწერალ ქალს თურმე დიდი მემკვიდრეობა დარჩენოდა და ამიტომაც გადაეწყვიტა, სრულიად გამორჩეული, მისთვის შესაფერისი სახლი აეგო.

და მხოლოდ ბოლოს, უკვე გაცილებისას, კიტინგმა ისიც შეამჩნია, ჯერაც როგორ ახალგაზრდულად წელგამართული დაიარებოდა ელზუერთ თუი. შუა ოთახში უცებ შედგა და სასხვათაშორისოდ დაეკითხა: „არა, რაღაც აქამდეც გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ისეთი, ვერაფრით რომ გამიხსენებია...თუმცა, როგორ არა _ ჩემი პატარა ქეთრინი...თქვენ ხომ

მკითხველთა ლიგა

მეგობრობთ?“

კიტინგს სახე გაუქვავდა; იცოდა, ამ თემის ამოტივივება მთლად ასე შემთხვევითიც არ იყო. უხერხულად გაიღიმა. პასუხი დაუგვიანდა.

_ როგორც ვიცი, დანიშნულებიც უნდა იყოთ.

_ კი, ასეა.

_ მშვენიერია, _ სიამოვნება არ დაუმალავს მისტერ თუის, _ დასაწუნი სასიძო ნამდვილად არა ხარ. გიყვარს?

_ კი, რა თქმა უნდა.

ამ უბრალო პასუხმა ყოველგვარი ეჭვი თავისთავად გააქარწყლა თითქოს.

_ მშვენიერია, _ თავი დააქნია მისტერ თუიმ, _ახალგაზრდობის სიყვარული, გაზაფხული, გარიჟრაჟი და სამოთხის განცდა და ერთდოლარიანი შოკოლადის ფილა...ღმერთებისა და ჰოლივუდის სიამენი. არა, ღმერთმანი, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, პიტერ უკეთეს არჩევანს ვერც გააკეთებდი; ქეთრინს იმისთანა ხასიათი აქვს, თითქოს მის გარშემო სამყაროში ცუდი არაფერი ხდება... უმანკოა, გულუბრყვილო, გულთბილი და საყვარელი. ამიტომაც, დაუცველია.

– თუ იმის თქმა გნებავთ, რომ... – წამოიწყო კიტინგმა, მაგრამ მასპინძელმა კეთილი, მომაჯადოებელი ღიმილით გააწყვეტინა სიტყვა:

– არა, პიტერ, რა თქმა უნდა, მესმის და საქციელსაც გიწონებ. რეალისტი ვარ ბოლოს და ბოლოს. საერთოდ, ცოტა გაჯიუტება კაცს უხდება კიდეც.. კარგი რა, იუმორის გრძნობასაც ნუ დავ კარგავთ მე თუ მკითხავ, მარტო ეს გვაძლებინებს ამ საგიჟეთში... და მაინც, ტრისტანისა და იზოლდას ამბავი დღემდე მიჩუყებს გულს... უმშვენიერესი ზღაპარია, რაც კი ოდესმე თქმულა მიკი და მინი მაუსების შემდეგ, რა თქმა უნდა.

4

„... ჯაგრისი ჯაგრით კბილებზე მეჯაჯგურება... ბალიშზე ბალი ბარათი ათი! რომის ბაზარზე ბუზი ბზუოდა, ბუდობდა აბეზარ სინდბად ზღვაოსანსა და შაოსან ნაოსანს შორის შავი საკინძის ქვეშ ქალის...“

თვალები მოჭუტა, წიგნი ფრთხილად ჩამოდო სავარძლის სახელურზე და ნასიამოვნები მიეყრდნო საზურგეს. მშვენიერი წიგნი გამოდგა: ამ მოსაწყენ კვირა დილას, ნასაუზმევს, უკეთეს სულიერ ჩაროზს კაცი ვერ ინატრებდა და მთელი აზრიც ის იყო, რომ მისი თავ-ბოლო ვერ გაეგო.

თხელი, შავქაღალდშემოკრული გამოცემა იყო და მჭახე წითელი ასოებით ეწერა ზედ:

ლოის კუკი
ღრუბელი და საბელი

ანოტაცია მკითხველს ამცნობდა, რომ ეს მცირე ოპუსი მისის კუკის დედამიწის გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ანარეკლი იყო.

თავად პიტერ კიტინგს აზრადაც არასოდეს მოსვლია,აბსტრაქტული წარმოდგენებისთვის ნაწერის ფორმა მიეცა, თუმცა მიაჩნდა, რომ „ ვერაფერზე იტყვი, მაღალიაო, თუკი ხელით შეგიძლია მისწვდე; არაფერია დიადი, რაზეც შეგიძლია იმსჯელო და არაფერია საკმარისად ღრმა თუკი ფსკერს შეგიძლია, თვალით ჩასწვდე "_ ეს იყო მისი,როგორც შემოქმედის, მრწამსი: შინაგანი, ურყევი, ეჭვშეუტანელი. ამიტომაც აღარ სჭირდებოდა ისეთ რამეებზე ზედმეტად ფიქრი, რაზეც სხვები ტვინს ამოიჭამდნენ ხოლმე. იქნებ, ამიტომაც ეუცნაურა სასიამოვნოდ ლოის კუკის ნაწერი: საკუთარი თავით იყო კმაყოფილი_ რაღაც შეუცნობელს,

მკითხველთა ლიგა

შორეულსა და მიუწვდომელს რომ აზიარებდა. ელზუერთ თუიმაც იგივე უთხრა: "ჰეწიც სწორედ ეგაა, ჩემო კარგო ბგერა, როგორც ბგერა, ცალკეული სიტყვების პოეზია, სტილი სტილიზაციის წინააღმდეგ... მხოლოდ უფაქიზეს სულს შესწევს ძალა, შექმნას ამგვარი რამ!“ პიტერმა ისიც კი გაიფიქრა, ერთი ჩემს ნაცნობებსაც უნდა მოვუყვე ამ წიგნის თაობაზე და თუ ვერაფერს გამიგებენ, მით უარესი მათთვის ჩემამდე თურმე ჯერაც ბევრი ჰკლებიათო... არც არავითარი ახსნა-განმარტება ამას არ დასჭირდებოდა - "სხვაზე აღმატება, როგორც ასეთი“ – მორჩა და გათავდა, ეს უკვე განსჯას აღარ ექვემდებარებოდა. არა, ნამდვილად კარგი წიგნი ჩაუვარდა ხელში, ღმერთმანი.

ბოლო ყლუპი ყავაც მოსვა და უცბად დედამისის დანატოვარ "კვირის პალეტს" ჰკიდა თვალი. გაზეთი აიღო, ნება-ნება გადაფურცლა და მოულოდნელად, გაშლილ გვერდზე გადაჭიმულ ნახაზის ფოტოსა და წარწერას გადააწყდა: ჰაუარდ რორკი "ენრაიტ-ჰაუსი".

ოღონდ კიტინგს არც ეს სათაური სჭირდებოდა და არც ქვედა მარჯვენა კუთხეში დასმული ავტორისეული ხელმოწერა: რორკის ხელწერასაც ათას სხვაში გამოარჩევდა და სტილსაც ერთდროულად ჰაეროვანსა და მჭახეს, ქაღალდზე მაღალი ძაბვის მავთულებივით გავლებულ ღონიერ ხაზებს, უზადო და შეუდარებელ მიგნებებს... სივრცეში თითქოს ბროლის მრავალწახნაგა კლდე წამომართულიყო მათემატიკური ლოგიკით ნაკარნახევი წრფეებით, დატეხილი ფორმებით დანით თამამად ჩაჩეხილი და თან ოქრომჭედლის ხელით ერთიან წესრიგს დამორჩილებული სივრცე...არც ერთი დეტალი არ მეორდებოდა, ოღონდ მიზანმიმართულად იცვლიდა სახეს და საბოლოო, გამამთლიანებელ წერტილში იყრიდა თავს შედეგად, აქაურობის ყოველ ბინადარს არა თავისი ჩაკეტილი,დასაზღვრული ოთხკუთხა სივრცე ერტყმებოდა გარს, გალიასავით არამედ ყველას საკუთარი სასიცოცხლო გარემო შეექმნებოდა, სხვათა გარემოსთან ბუნებრივად შენივთებული და ცალკე – სრულიად წარმოუდგენელი...

კიტინგმა ისევ დახედა ნახაზს. არა, კარგა ხანია, იცოდა, რომ სწორედ ჰაუარდ რორკი აერჩია ენრაიტს სახლი ასაშენებლად; ამ ცნობას უკვე რამდენჯერმე გადააწყდა პრესაში, თუმცა რორკი იქ მუდამ „ვიღაც ახალგაზრდა, იმედისმომცემ არქიტექტორად მოიხსენიებოდა. ჰოდა და რა მერე? გაზეთიც წიგნს დაადო ზემოდან და თვალი გაუშტერდა: ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ლოის კუკის წიგნი მისი იარაღი იყო რორკის წინააღმდეგ.

– რა ხდება, პიტი? – დედის ხმა მოესმა ზურგს უკან. გაზეთი გადააწოდა, თავის მიუბრუნებლად. გაზეთმა წამსვე ჰაერში გაიფრიალა და მაგიდაზე დაეცა.

– კარგი რა, პიტერ მეტი საქმე არ გაქვს?!

ჩათქვირულ ტანზე შემოტკეცილი კაბა ემოსა, ყელზე კი ისეთი წვრილი ყელსაბამი ეკეთა, არაკეთილმოსურნესაც არ დაუტოვებდა შანსს, ეთქვა ყალბი ბრილიანტებიაო. მთელი მისი გარეგნობა სწორედ იმ ახალ ბინას წააგავდა, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინ გადმოსახლდნენ: ხაზგასმით დახვეწილი და თვალში საცემად მდიდრული... აქაურობა თავად კიტინგის ფანტაზიის ნაყოფი იყო ეგრეთ წოდებულ „ახალ შუა ვიქტორიანულ” სტილში გადაწყვეტილი დიზაინი. უზარმაზარი ბუხრის თავზე ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტი ეკიდა უნდა გევარაუდათ, ვიღაც სახელოვანი წინაპრის...

– ჩემი პიტი-ბიჭი, კვირა დილა კია, მაგრამ დროა, ადგე უკვე და ჩაიცვა. მე საქმეებზე გავრბივარ და მეშინია, არ დაგაგვიანდეს. ხომ იცი,

მკითხველთა ლიგა

ელზუერთ თუი ტყუილად არავის პატიჟებს თავისთან!
– კარგი, დედა.
– ცნობილი ხალხი სხვაც თუ იქნება ვინმე?
– არა. არავითარი სტუმრები, – მერე დაამატა, ეტყობა, დედის ჩუმი მოლოდინის პასუხად, – ის, ქეითი და მე. ასე თქვა, უბრალოდ,შინაურულად დავსხდეთო.
დედამ არაფერი შეიმჩნია:
– ძალიან კარგი. მართლაც ჭკვიანი კაცი ჩანს.
– ეგრეა.
ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა საწოლი ოთახისკენ.

• • •

ეს კიტინგის პირველი სტუმრობა იყო იმ ფეშენებელურ პანსიონში, სადაც ბოლო ხანს ქეთრინი და ბიძამისი გადასულიყვნენ საცხოვრებლად. ბინა დიდად არაფრით გამოირჩეოდა მის სისადავესა და თვალში საცემ დახვეწილობას თუ არ ჩავთვლით, ასევე უამრავ წიგნსა და რამდენიმე ნახატს, აშკარად ორიგინალებს. საერთოდაც, ელზუერთ თუის საცხოვრებელი არავის რჩებოდა ხოლმე მახსოვრობაში იმდენად ძლიერი იყო თავად მასპინძლის ხიბლი. ამ კვირა დღესაც მისტერ თუის მუქი ფერფლისფერი სერთუკი ეცვა, ოღონდ ფეხები საშინაო, შავი ნატის, წითელი სირმებით გაწყობილ ფაჩუჩებში წაეყარა თითქოსდა სამოსის კლასიკურობის ირონიულ საპირწონედ... დიდ, ღრმა სავარძელში მოკალათებულიყო და სახეზე ისეთი არამიწიერი სიმშვიდე ალბეჭდვოდა, კიტინგსა და ქეითს ერთი პირი ისიც კი მოეჩვენათ, ჩვენ აქ, მგონი, სრულიად ზედმეტნი ვართო.
სიმართლე ითქვას, კიტინგს სადღაც აღიზიანებდა კიდეც ქეთრინის ქცევა ისე ჩამოსკუპებულიყო სკამის კიდეზე, მუხლისთავები ისე უხერხულად მიეტყუპებინა, გეგონებოდათ, სკოლის მოწაფე გამოცხადდა გამოცდაზეო. ისიც მოხვდა თვალში, მესამე ზამთარი ერთი და იგივე პალტო რომ ეცვა; მზერაც უცნაური მორიდებით მიეშტერებინა ერთ წერტილში, კიტინგსაც სულ ერთი-ორჯერ თუ გახედა, ბიძას კი საერთოდ ვერ უბედავდა თვალის გასწორებას. ასეა თუ ისე, მასში იმ აღტკინების კვალიც კი არ ჩანდა, რითაც ადრე სახელოვან ბიძაზე უამბობდა ხოლმე. და საერთოდ, რაღაც დაღლილად და უფერულად გამოიყურებოდა.
შინამოსამსახურემ ლანგრით ჩაი შემოიტანა.
_ გვიმასპინძლე, საყვარელო, – დათაფლული ხმით მიმართა მისტერ თუიმ ძმისშვილს, – არა, საკვირაო ჩაის სმას მაინც არაფერი შეედრება.როცა ბრიტანეთის იმპერია საბოლოოდ დაინგრევა, ისტორიკოსები დაასკვნიან, რომ მან ორი დიდი წვლილი მაინც შეიტანა ცივილიზაციის განვითარებაში: ჩაის სმა გვასწავლა და დეტექტივებით გაგვანებივრა... ქეით, ძვირფასო, რა აუცილებელია, ცხელი ჩაიდანი ეგრე ნაჯახის ტარივით ჩაბღუჯო?! თუმცა რა შენი უმანკოების საიდუმლოც ეგაა ალბათ: აბა, დედოფალივით დახვეწილი მანერები რომ გქონდეს, მე და პიტერს იქნებ ასე არც გვყვარებოდი ვიღას უნდა დღეს დედოფლები?...
ქეითმა ჩაი ფინჯნებში ჩაასხა და ორიოდე წვეთი მაგიდის პრიალა ზედაპირს დაეცა.
– ერთხელ მაინც მინდოდა, მენახეთ ასე გვერდიგვერდ, გვრიტებივით ჩამომსხდარნი, – გააგრძელა მისტერ თუიმ და კეთილად ჩაიღიმა _

მკითხველთა ლიგა

სასაცილოა, არა? არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ხანდახან მეც საკმაოდ სენტიმენტალური ვხდები ხოლმე, სხვების არ იყოს. ისე, არჩევანს გიწონებ, ქეით. წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთი ჭკუისა და გემოვნების პატრონი თუ იყავი. შესანიშნავი წყვილი დადგება თქვენგან. ვიცი, ამ კაცს შენი ხელი არ მოაკლდება საჭმელს მოუმზადებ, დაურეცხავ, შვილებს გაუზრდი... ერთი ეგაა ცუდი, ბავშვებს რომ სახადები ემართე-
ბათ ხოლმე, დიდი ხათაბალაა.

– როგორც ვატყობ, წინააღმდეგი არ უნდა იყოთ? – მაინც ჩაეკითხა კიტინგი, თითქოს შეაპარასავით.

– წინააღმდეგიო... მაინც რისი?!

– ჩვენი შეუღლების. მომავალში...

– შენი გამკვირვებია! წინააღმდეგი როგორ ვიქნები... ოღონდ ეგაა, რომ გიყურებთ, ისეთი ახალგაზრდები ხართ, არაფრიდანაც კი პრობლემას ქმნით, მართლა გგონიათ, ყველაფერი ეს იმდენად მნიშვნელოვანია, შეიძლება, ვინმე რამეში შეგვეწინააღმდეგოსო!

– მე და ქეითი უკვე შვიდი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ, –დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა კიტინგმა.

– ახლა არ მითხრა, ერთის ნახვით შემიყვარდაო!

– ეგრეა, – დაუდასტურა კიტინგმა და უცებ რატომღაც მოეჩვენა, ეს რა სისულელეს ვროშავო.

– გაზაფხული იქნებოდა, გამოვიცანი? – გახალისდა მისტერ თუი,_ მაგ დროს იცის ხოლმე. ჩაბნელებული კინოდარბაზი, ორნი ბოლოში, ხელიხელჩაკიდებულნი, ყველას და ყველაფერს მოწყვეტილნი... ვიცი, არც მე ჩამოვვარდნილვარ მთვარიდან! ოღონდ, ხელის დიდხანს ჩაბღუჯვამ ოფლიანობა იცისო, მედიცინა ასე გვიმტკიცებს. და მაინც, სიყვარულს ვერაფერი შეედრება, შვილებო. უტკბესი ზღაპარია, ზღაპართა ზღაპარი-მეთქი, ვიტყოდი. კარგი რა, ქეით, ნუ მორცხვობ, ცოტა გავხალისდეთ, რა დაშავდება?!

ისევ ჩაიღიმილა, ეშმაკურად. თითქოს თბილი ქარბორბალა დატრიალდა ოთახში და ახალგაზრდებიც თან გაიტაცა, ბუმბულებივით.

– დაქორწინებას მაინც როდის ფიქრობთ?

– აბა როგორ გითხრათ... დღე ჯერ არ დაგვითქვამს მოგეხსენებათ, მთელი ის ამბები, რაც მე დამატყდა თავს და ახლა კიდევ ქეითს თავისი სამუშაო გამოუჩნდა... – უცბად, რატომღაც, ქეითის საქმიანობის ხსენება სხვანაირად მოხვდა გულზე, – სხვათა შორის, მინდოდა მეთქვა, რომ გათხოვების მერე თავის დანებება მოუწევს. ცოლმა ოჯახს უნდა მიხედოს.

– რა თქმა უნდა, – მხარი აუბა მისტერ თუიმ, – მეც სწორედ მაგ აზრისა ვარ. თუმცა, ალბათ თავად ქეითსაც უნდა ვკითხოთ...

საქმე ისაა, რომ ქეითი "კლიფორდ ჰაუსში" მუშაობდა ბავშვების მომვლელად, თავად გადაწყვიტა; თავიდან ბიძას დაჰყვებოდა ხოლმე იქ, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე, ლექციებს უკითხავდა ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ხალხს.

– ოთხ კედელში მიპირებ გამომწყვდევას, პიტერ? – მოულოდნელად აღშფოთდა ქეითი, – რას ამბობ! მე იქ ხალხს ვჭირდები! ამ დილასაც ვიყავი, მორიგეობა არ მიწევდა, მაგრამ მაინც წავედი ან რა გამაძლებინებდა ბილი ჰანსენს ანგინა დაემართა და არც მედდა მოვიდა დროზე, წარმოგიდგენიათ?! ალგიროლი ამოვუსვი ყელში, საბრალო ეგა! იმხელა ჩირქოვანი გლანდები ჰქონია...

უცებ გამოცოცხლდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა ბავშვების მოვლაზე, თითოეულის ხასიათზე, მათი მშობლების პრობლემებზე... კაცებს ხმა არ

მკითხველთა ლიგა

გაუღიათ. მისტერ თუიმაც კი, საკუთარი რჩევის მიუხედავად, ამჯერად ვერაფერი იპოვა სახუმარო და გასუსული იჯდა სავარძელში.
კიტინგს კი ერთი სული ჰქონდა, საუბრის თემა შეეცვალა, მაგიდაზე საკვირაო გაზეთების დასტა შენიშნა და უცბად, ვითომ სხვათა შორისო, მასპინძელს მიუბრუნდა:
– ელზუერთ... რა მაგის პასუხია და, რორკზე რას იტყვით?
– რორკი, რორკი... – წარბი აზიდა მისტერ თუიმ, – ეგ ვიღაა? უნდა ვიცნობდე?
ხაზგასმით გულუბრყვილო ინტონაცია და გამქირდავი შეკითხვა ვერანაირად ვერ ეწყობოდა ერთმანეთს. მაგიტომაც გაუელვა თავში კიტინგს იცნობს და ძალიანაც კარგადო. კაცი ხომ არასოდეს აღიარებს საკუთარ უცოდინრობას, მართლა უმეცარი თუა.
– ჰაუარდ რორკი. არქიტექტორია, გაგონილი მაინც გექნებათ...ახლა ”ენრაიტ-ჰაუსს” აშენებს.
– მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს მაგ სახლსაც დასდგომია საშველი!
– დღევანდელ "ქრონიკლში” უკვე ნახაზებიც დაუბეჭდავთ.
– და რა მერე? კი გადავხედე, მაგრამ ეტყობა, საყურადღებოდ არ ჩავთვალე.
– მე მგონი, დიდი სიმახინჯეა. სხვა სიტყვას ალბათ თქვენც არ გაიმეტებდით.
თქვა და შვებით ამოისუნთქა: "თუკი ნახაზები თავად ელზუერთ თუმ არ ჩათვალა ყურადღების ღირსად, არც არაფერი ყოფილა სანერვიულო“
– ისე, მეგობრები გვქვია... – დაამატა უცბად.
– მართლა? საიდან სად?
– ერთად ვსწავლობდით სთენტონში. თან სამი წელი ოთახს ქირაობდა ჩვენთან.
- სად, სთენტონში ცხოვრობდა თქვენთან? – გაიკვირვასავით, ოღონდ ხმაში სუსხიც გაერია. მერე კი ისეთი შეკითხვები დააყარა, ნამდვილად რომ გასაკვირი იყო მისგან თან, თუ დაუჯერებდით, ვიღაც სულ უცნობი კაცის თაობაზე...
– მხიარული ბიჭია?
– მე ეგ გაცინებული არ მინახავს და...
– აბა, სევდიანობს ხოლმე?
– არასოდეს!
– ვინმე სხვა მეგობარიც თუ ჰყავდა სთენტონში?
– ჩემ გარდა, კაცი არ იტყოდა, რორკთან ვმეგობრობო.
– რატომ?
– დიდი უჟმური ვინმეა.
– დასალევად თუ დადიოდა სადმე, ან, ვთქვათ, საცეკვაოდ...
– ვინ, ჰაუარდი?!
– და ფული? არ ხიბლავს?
– არა.
– არც პატივმოყვარეა?
– არც ეგ ადარდებს.
– ღვთისმორწმუნე თუა?
– უფრო ერეტიკოსი.
– ბევრს ლაპარაკობს ხოლმე?
– პირიქით, ძალით უნდა ამოგლიჯო პირიდან სიტყვა.
– მოსმენა იცის?
– კი, მაგრამ რად გინდა ცალ ყურში შესდის და მეორედან გამოსდის.

მკითხველთა ლიგა

– არქიტექტორობა რატომ გადაწყვიტა?
- აბა, რა გითხრათ?! მაგის კითხვა აზრად არც მომსვლია. მგონი, მანიაკია, მაგ თემაზე ვერც დაელაპარაკები. ისე აქვს ტვინი ამღვრეული, ნახაზს ადამიანს ანაცვალებს, იუმორზეც მწყრალადაა, უფრო სწორად, საერთოდ არ გააჩნია.
– მაშინ, მოდი, შეკითხვა შევატრიალოთ: რა დადგებოდა მისგან, არქიტექტორი რომ არ გამოსულიყო?
– გამორიცხულია გვამებზე გადაივლიდა და მაინც გახდებოდა.
მისტერ თუიმ ხელსახოცი ფრთხილად გაკეცა, თეფშის გვერდით დადო და სკამის საზურგეზე გადაწვა.
– თუ გახსოვს, იმ ჩემს პატარა პროექტზე რომ გელაპარაკებოდი არქიტექტორების ჯგუფის შექმნაზე.. მალე დამფუძნებელი კრების მოწვევას ვაპირებ. ხალხს უკვე ველაპარაკე. არ გაიკვირვო და, თავმჯდომარედ ყველამ შენს კანდიდატურას დაუჭირა მხარი.
თითქმის ნახევარი საათი კიდევ ისაუბრეს, მერე კიტინგი წამოდგა და მასპინძელმა მოულოდნელად მოაყოლა: „ კარგი გამახსენდა ლოის კუკსაც გადავუკარი სიტყვა, ძალიან დაინტერესდა. ამ დღეებში შეგეხმიანება ალბათ,"
– მადლობელი ვარ, ელზუერთ. სხვათა შორის, სწორედ ახლა მაგის „ ღრუბელს და საბურველს" ვკითხულობ...
– მერე?
– საოცრებაა. უამრავ რამეზე შემაცვლევინა წარმოდგენა!
– ეჭვიც არ მეპარებოდა. – თუი ფანჯარასთან იდგა და ნიუ-იორკის ჩამავალ მზეს გასცქეროდა. მერე მოწყვეტით შემობრუნდა და საქმიანად აღნიშნა:
– საამური დღეა. ალბათ ბოლო თბილი დღე ამ წელიწადში, გაგესეირნათ სადმე შენ და ქეითს.
– მართლა რა! წავიდეთ, პიტერ? – გამოცოცხლდა ქეთრინი.
– აბა, თქვენ იცით! – გულიანად გაიღიმა მასპინძელმა, – რაო, ქეით რას მომჩერებიხარ? ჩემს ნებართვას ელოდები თუ?
მერე, ასე ხელჩაკიდებულნი რომ მიაბიჯებდნენ ნეონით განათებულ ჩაწყნარებულ ქუჩებში, კიტინგს ნელ-ნელა კვლავ ის გრძნობა შემოაწვა, რასაც მხოლოდ ქეითის გვერდით განიცდიდა ხოლმე. ქალი თითქოს რაღაცას მიუხვდაო, ხელთათმანი წაიძრო და თითები თითებში შეუცურა. მხოლოდ ეს იყო, კიტინგს უცებ მისტერ ელზუერთ თუის შეგონება მოაგონდა ოფლიან ხელისგულებთან დაკავშირებით და გაღიზიანებულმა ნაბიჯს აუჩქარა; მერე ისიც გაიფიქრა მართლა მიკი და მინი მაუსებს ვგავართ და ალბათ გამვლელებსაც ეცინებათ ჩვენ დანახვაზეო. ეს აბეზარი ფიქრები რომ მოეცილებინა, ქალს გახედა, გვერდულად: მისი ნაზი ნაკვთები და ოდნავ გაპობილი ბაგე სიმშვიდესა და ბედნიერებაზე მიანიშნებდა; მაგრამ ისიც შეამჩნია, საფეთქლები რომ გაფერმკრთალებოდა და ერთი პირობა გაიფიქრა კიდეც, სისხლნაკლული არ იყოსო...

• • •

მისის ლოის კუკი საკუთარი სასტუმრო ოთახის იატაკზე წამოსკუპებულიყო ფეხმორთხმით, ხორციანი მუხლისთავები მოუჩანდა, ხოლო ცალ ფეხზე გამჭვირვალე წინდების ვარდისფერი წვივსაკრავიც. იისფერსატინაგადაკრული ტახტის კიდეზე ჩამომჯდარი პიტერ კიტინგი კი ცხოვრებაში პირველად გრძნობდა თავს უხერხულად შესაძლო

მკითხველთა ლიგა

დამკვეთის წინაშე.
ლოის კუკი ოცდაჩვიდმეტი წლის იყო, თუმცა ყველგან და ყოველვის თამამად აცხადებდა სამოცდაოთხისა ვარო. ყველა, ყოველთვის ხუმრობად უთვლიდა ამას და მარადი ახალგაზრდის ლეგენდით მოსავდა მის პიროვნებას. მაღალი იყო, ტანადი, თხელბეჭება, მკერდსავსე და თეძოგანიერი. ჩამოგრძელებული, გაფითრებული სახე ჰქონდა და ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალები. თმა თავისუფლად ჩამოშლოდა მხრებზე, მოუვლელი ფრჩხილები ისედაც ვითომდა დაუდევარ ჩაცმულობას კიდევ უფრო უსვამდა ხაზს და მწერალ ქალს ასევე ვითომდა ფეთხუმის იერს უქმნიდა.
წყვეტილად ლაპარაკობდა, თან მთელი ტანით ირწეოდა წინ და უკან, თითქოსდა საუბრის რიტმს აყოლებდა სხეულს:
– ... სწორედ ასე, ზედ ბოუერიზე. საკუთარი სახლი. ჩემი სალოცავი, ასე ვთქვათ. ადგილი ვნახე, მომეწონა, ვიყიდე ესაა და ეს. უფრო სწორად, ჩემმა ვექილმა მაყიდინა. ერთი კი უნდა შეგახვედრო სიტყვის შეუკავებლობა სჭირს. არ ვიცი, შენ რა დამიჯდები მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! ფული მართლა ხელის ჭუქყია. სამსართულიანი მინდა და აუცილებლად ქვის ფილებით გაწყობილი იატაკი სასტუმრო ოთახში. ოღონდ მარმარილო არ გამაგონო!
– ე-ეე.. იცით, მის კუკ, ამას წინათ თქვენი წიგნი გადავიკითხე მართლაც რომ, ასე ვთქვათ, სულიერი შვება ვიგრძენი! ამიერიდან, თქვენი ნიჭისა და სითამამის დამფასებელთა შორის მიგულეთ...
– მორჩი რა! – შესძახა უცებ ლოის კუკმა და თვალი ჩაუკრა.
– მართლა გულით გეუბნებით! ისე იმოქმედა...
მასპინძელს სახე მოეღუშა.
– რა უბედურებაა, ყველა ერთ ხმაში მაქებს...
– ამას წინათ სწორედ ელზუერთ თუი მეუბნებოდა...
– ა-ა... ეგ მაინც არ მიხსენო! უფ. ე. მ. თუი! არ გეცოდინება, დამწყებ კალმოსანთა ჯგუფი შექმნა და მე დამარწმუნა გინდა თუ არა, უთავმჯდომარეო!
– ბუნებრივია ან სხვა ვინ უნდა აერჩია?! მისტერ თუიმ არქიტექტორებსაც მოუყარა თავი და, მგონი, მეც იმავეს მიპირებს...
– ესე იგი, ერთ ბედქვეშ ვიქნებით?– ქალმა ერთხელ კიდევ ეშმაკურად ჩაუპაჭუნა თვალი.
კიტინგი მიხვდა, რომ რაღაც მაგრად შეეშალა, თუმცა ვერ ხვდებოდა რა. ქალი კი იცინოდა, დაუდევრად, აგდებულად...
– რა ხდება, მის კუკ?.. თუ გგონიათ... _ მაინც დააჭირა ენას კბილი, ბრაზი მოთოკა.
– არ გამიბრაზდე, რა! – უცებ მოსხიპა სიცილი ქალმა, – ისეთი საყვარელი ხარ, გულუბრყვილო!..
– ელზუერთ თუი გამორჩეული პიროვნებაა; უკეთილშობილესი იმათ შორის, ვინც კი მე ოდესმე...
– და რა თქმა უნდა, თუი არის კაცი პატიოსანი... – თუმცა ქალის ხმაში პატივისგების კვალიც არ ჩანდა, – ჩემი საუკეთესო მეგობარია,უიშვიათესი ადამიანი, არაამქვეყნიური... სამყარო და ელზუერთ თუი - ვინც თავადაა მთელი სამყარო... თან, ნახე ერთი, რა კარგად ირითმება: ელზუერთ თუი ვინი პუჰი... ერთნაირად საყვარლები არიან. თან ჭკვიანებიც. ხუმრობა იქით იყოს და, მართლა წმინდანია. წმინდანები კი, მოგეხსენება, იშვიათად ჩნდებიან. გენიოსებისა არ იყოს. მე, მაგალითად, გენიოსი ვარ. და, როგორც ასეთი, უფანჯრებო სასტუმრო ოთახს ვსაჭიროებ. გესმის შენ თუ არა? არც ერთი ფანჯარა, ქვის იატაკი

მკითხველთა ლიგა

და ჩაშავებული ჭერი! არც ელექტრობა გამაგონო მხოლოდ ბევრი ზეთის ლამპარი და ერთიც დიდი ბუხარი! გავარტყით ედისონს! ვინ ჩემი ფეხები იყო ბოლოს და ბოლოს?! იგონებდა რაღაცეებს...

იმდენად მისმა სიტყვებმა არ გააოგნა, რამდენადაც ქალის ამრეზილმა გამომეტყველებამ იყო მასში რაღაც ეშმაკისეული...

– და აი კიდევ რა, კიტინგ სახლი მახინჯი მინდა იყოს! თვალში საცემად მახინჯი. მოკლედ, უმახინჯესი მთელ ნიუ-იორკში.

– მახინჯი?!

– აბა, მშვენიერება დიდი ხანია, ყველას ყელში ამოუვიდა, ჩემო კარგო!

– ე-ე, კი მაგრამ... ეგ როგორ იქნება...

– კიტინგ, პროფესიული გამბედაობა არ გყოფნის თუ რა? ხალხი თავს იკლავს, ნემსის ყუნწში ძვრება... რომ ჰკითხო, მშვენიერებას ელტვიან! და რა მერე?! თავი მომაბეზრეს. მოდი, ერთი ისეთი რამე გავაკეთოთ, კაციშვილს რომ არ მოსვლია ჯერ აზრად. რამე ღვთაებრივად მახინჯი!

მოკლედ, დაითანხმა. ცოტა ხანში კიტინგს ყოველგვარმა უხერხულობის განცდამაც გაუარა: სადაც კი არ დაძრა სიტყვა ამ უცნაური პროექტის თაობაზე, მართალია, ყველა გაკვირვებით, მაგრამ თან რაღაცნაირი რიდითაც გამოხატავდა დაინტერესებას. ლოის კუკის სახელი, მისთვის მოულოდნელად, ლამის საყოველთაოდ ცნობილი აღმოჩნდა ნიუ-იორკელ ინტელექტუალთა წრეებში. უცნაურიც კი იყო იმ მწერლის წიგნები, რომლებიც კარგად არ იყიდებოდა, ყველას პირზე ეკერა, ყოველ შემთხვევაში, სათაურები მაინც... ლოისის სახელს კი ისე იხსენიებდნენ, როგორც "დადგენილი სტანდარტების მნგრეველსა და ინტელექტუალური ჯანყის მედროშეს". ოღონდ ეგაა, კიტინგს ვერაფრით აეხსნა, ვის ან რის წინააღმდეგ იყო ეს ჯანყი მიმართული. თუმცა, ზედმეტად არც ამაზე იტეხდა თავს.

დაპროექტებისას ქალის ყველა მოთხოვნა გაითვალისწინა: სამსართულიანი, ნათალი ქვისა, მახინჯი, ფანტასმაგორიული ფიგურებითა და ეტლის ფარნებით გაწყობილი...

მისი ეს პროექტი იმდენ ჟურნალ-გაზეთში გამოჭიმეს, მსგავსი უფასო რეკლამა „კოსმო-სლოტნიკის“ შენობას არ ღირსებია. ერთმა მიმომხილველმა ისიც კი არ დაიზარა, განეცხადებინა: "ეს პიტერ კიტინგი უბრალოდ ვიღაც იმედისმომცემი ახალგაზრდა არქიტექტორი კი არაა, მავანთა სქელ ჯიბესა და კეთილგანწყობას გამოდევნებული იგი იმგვარ ინტელექტუალურ ექსპერიმენტებსაა შეჭიდებული, სწორედაც ქ-ნი ლოის კუკი რომ ინატრებდა." თვით მეტრმა თუიმაც კი დააგდო ორიოდ სიტყვა მიწიერისა და არამიწიერის შეხუმრებააო ბრძანა.

თუმცა თავად კიტინგს ერთგვარი ხინჯი მაინც რჩებოდა გულის კუნჭულში, თითქოს რაღაც უკადრისს კადრულობდა საკუთარი თავის წინაშე...

ერთხელ ელზუერთ თუისაც კი შესჩივლა ამის თაობაზე, მაგრამ იმან მხოლოდ გაიცინა, გულიანად: "ძალიანაც კარგი, კიტინგ. კაცმა საკუთარი თავისგან კერპი არასოდეს უნდა შექმნას ეგეც ერთი რიგითი შეკვეთაა, ბოლოს და ბოლოს..."

5

დომინიკი ნიუ-იორკს დაბრუნდა. ისე, უმიზნოდ უბრალოდ, იმ ამბის მერე სოფელში სამ დღეზე მეტი ვეღარ გაძლო. ქალაქის ქუჩები მოენატრა და ცათამბჯენები. პირველივე დილით, ქუჩის ხმაური რომ შემოიჭრა ფანჯრიდან, უცებ ისე მოეშვა გულზე, ხელებგაშლილი შუშას

მკითხველთა ლიგა

აეკრა, თითქოს მთელი ქალაქის გულში ჩახუტება სურსო.
დიდხანს დახეტიალებდა ხოლმე მარტოდმარტო, სწრაფი ნაბიჯებით, პალტოს საყელოში თავჩარგული. საკუთარ თავს უმტკიცებდა, სულაც არ მინდა, სადმე შემეჩეხოს, სულაც არა ვარ აქ მის საძებრად გამოსულიო. ოღონდ საათი საათს მისდევდა, ის კი უსახლკაროსავით დაყიალებდა ქუჩიდან ქუჩაზე.
ადრე ასეთი რამ არასოდეს მოსვლია; პირიქით, ვერც იტანდა ნიუ-იორკის ამ ქუჩებს, იქ ხეტიალი საერთოდ აზრადაც არ მოუვიდოდა. ახლა კი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა თითქოს მაგნიტივით ექაჩებოდა რაღაც... არა, რაღაც კი არა, ვიღაც; ის კაცი, უსახელო მუშა, გამვლელთა ბრბოში ჩაკარგული... იმის გაფიქრებაც კი სტანჯავდა აი, ახლა გაიელვებს სადმე მისი სახეო. წარმოდგენაც არ უნდოდა, იქნებ რომელიმე დახლთან დგას და რიგითი ნიუ-იორკელივით სიგარეტს ან ჰამბურგერს ყიდულობსო. შინ გათოშილი და არაქათგამოცლილი ბრუნდებოდა, ოღონდ მეორე დღეს ისევ იგივე მეორდებოდა.
შვებულების ვადა რომ ამოეწურა, "ბანერის" ოფისს მიადგა და განცხადება დაწერა, სამსახურიდან მივდივარო. აღარც მუშაობის თავი ჰქონდა და აღარც საკუთარი საგაზეთო სვეტის ბედი ადარდებდა. ალვა სკარეტსაც მოკლედ მოუჭრა, უხეშად: "მარტო იმიტომ შემოვიარე, მინდოდა პირადად მეთქვა, ჩემი იმედი აღარ გქონდეს...”
იმან კი შეხედა დასაკლავი ცხვარივით და ესღა ჰკითხა რატომ?
და სწორედ ეს იყო ერთადერთი, გარე სამყაროდან შემოღწეული სიტყვა, რაც კი მის შეგნებაში გახმიანდა მართლაცდა, რატომ? რატომ და იმიტომო, მაშინვე უპასუხა საკუთარ თავს, იმ კაცმა ამირია თავგზა, იმან ამიწეწა მთელი ცხოვრებაო. ეს იყო სწორედ ახალი ძალადობა, პირველზე უარესი... არადა, არჩევანიც არ ჰქონდა: ან ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამორჩილებოდა, ან გაებრძოლა მაინც და კაცმა არ იცის, ამ ორიდან რა იქნებოდა უარესი.
თავი ასწია, მერე თქვა, ტუჩებში გამოცრა თითქოს: "გეხუმრე, ალვა, მაინტერესებდა ერთი, რას მიპასუხებდი. ვრჩები."

• • •

სულ ერთი-ორი დღე გავიდა და ოფისში თავად ელზუერთ თუი ესტუმრა.
_ გამარჯობა შენი. გავიგე, დაბრუნებულხარ.
_ ელზუერთს გაუმარჯოს. ეგრეა.
– ძალიან კარგი. უნდა გამოგიტყდე, მუდამ ეჭვი მღრღნიდა, ერთ მშვენიერ დღესაც ადგებოდი და უკანმოუხედავად მიატოვებდი აქაურობას.
– ეჭვი, ელზუერთ? თუ უფრო იმედი?
კაცი ჯიუტად მისჩერებოდა, ოღონდ თავისებურად თბილად, კეთილად მოღიმარი.
– აი, მანდ გეშლება... ეს შენ მიყურებდი ყოველთვის ცუდი თვალით.
– შენ თუ აქაურობას?
– აქაურობას რას უწუნებ? სხვა თუ არაფერი, შენი სვეტის ერთი თავგადადებული მკითხველი მეც ვიყავი.
– ვერაფერი კომპლიმენტია.
– არა მგონია, ოდესმე მართლა მტრად გადავეკიდოთ ერთმანეთს, დომინიკ. თუმცა, შენი მხრივ, ცდას არ აკლებ...
– მეც ეგრე ვფიქრობ. რა მტრობაზეა ლაპარაკი შენისთანა გულითადი ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

მკითხველთა ლიგა

– მჯერა.

მაგიდაზე '"ქრონიკლის" საკვირაო ნომრის მაკეტი იდო; ზედა ფურცელზე სწორედ "ენრაიტ-ჰაუსის" ნახაზების ანაბეჭდი მოჩანდა. დომინიკმა ხელი დაავლო და ელზუერთს გაუწოდა, უხმოდ. კაცმა დახედა, მერე წამით ქალს შეავლო თვალი და ისევ ნახაზს მიუბრუნდა. ცოტა ხანში ფურცლები მაგიდაზე დაყარა:

_ შეურაცხმყოფლად დამოუკიდებელი ხელწერაა. მეთანხმები?

– მე თუ მკითხავ, ამის დამხაზავმა პირდაპირ ყულფში უნდა გაყოს თავი, საკუთარი ნებით. როცა კაცს მშვენიერების ასეთი გრძნობა აქვს, მას შენების უფლებაც არ უნდა მისცე. ამის აგება არ შეიძლება, ნახაზზევე უნდა დარჩეს! არადა, მაინც აშენდება და დიასახლისები სარეცხს გადმოფენენ ამ ნაჭედი ლითონის მოაჯირებზე, კაცები ტალახიანი ფეხებით ივლიან ამ გრეხილ კიბეებზე და ბავშვებიც უწმაწურ სიტყვებს ამოჩხაპნიან ქათქათა კედლებზე... მოკლედ, ხალხს გადასცა და ხელებიც დაიბანა, ასე ვთქვათ. იმის მაგივრად, მარტო ნახაზი ეჩვენებინა, თუნდაც შენთვის და მერე დილამდე გესაუბრათ, განგესაჯათ, შეგეფასებინათ... მიკვირს, ასეთმა ადამიანმა როგორ შეძლო, რომ აქამდე მოაღწია.

– ამაზე აპირებ დაწერას?

– არა. ამით მის დანაშაულს გავიმეორებდი!

- მოდი, ერთხელაც სადმე ერთად ვივახშმოთ, დომინიკ, მიყვარს შენთან კამათი.

– როცა გენებოთ.

• • •

სასამართლოში სტივენ მელორიმ უარი თქვა, ელზუერთ თუიზე თავდასხმის მიზეზი აეხსნა; უფრო სწორად, საერთოდ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია. ისე ჩანდა, არც კი ადარდებდა, რას მიუსჯიდნენ. ოღონდ თავად მისტერ თუიმ კი მოახდინა სენსაცია, როცა მელორის დაცვა იკისრა: ჯერ იყო და, მოსამართლეს მიმართა თხოვნით - შემნდობი იყავითო, არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ ახალგაზრდა კაცის კარიერისა თუ მთელი ცხოვრების დანგრევის მიზეზი გავხდეო.. მოკლედ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე თავად მელორის გარდა: ისე იყურებოდა, თითქოს რაღაც ახალ სატანჯველს უმზადებდნენ. მოსამართლემ კი ორი წელი პირობითი მიუსაჯა.

მეორე დღეს ყველას ელზუერთ თუის დიდსულოვნების ამბავი ეკერა პირზე. ის კიდევ თავმდაბლად იღიმებოდა მხოლოდ. "არავითარი სურვილი არა მაქვს..." – და ეს ფრაზა უკლებლივ ყველა გაზეთმა ასომთავრულით ააწყო "... არავითარი სურვილი არა მაქვს, მოწამეთა გამრავლებაში დავიდო წილი!"

• • •

ახალგაზრდა არქიტექტორთა შეხვედრაზე ერთი რამ ცხადად გამოჩნდა: ელზუერთ თუი მართლაც ფლობდა ერთმანეთის ამყოლი ხალხის თავშეყრის უნარს. ორი ათეული კაცი მაინც იქნებოდა, ვის არსებობაზეც კიტინგს აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, მაგრამ საერთო ატმოსფერო ისეთი იყო, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა ძმობა-ერთობისა და მხარდაჭერის.

ისე, უცნაურად კი ეჩვენა ამ ორი ათეულიდან, თავად კიტინგისა და გორდონ ლ. პრესკოტის გარდა, არავინ იყო სახელგანთქმული ყოველ

მკითხველთა ლიგა

შემთხვევაში, კიტინგს მათი დაპროექტებულისა ჯერ არაფერი სმენოდა. უმრავლესობა მთლად ახალგაზრდები იყვნენ, დაუდევრად ჩაცმულნი და ყოველგვარ დახვეწილობას მოკლებუდნი; ერთი ქალიც ერია მდიდარი ქვრივებისთვის აპროექტებდა თურმე ბუნგალოებს. ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, აგრესიული ტონით ლაპარაკობდა და თმაში რაღაც ეგზოტიკური ყვავილი გაერჭო. ერთიც მთლად ყმაწვილი ბიჭი, ალბათ წვერსაც კი არ იპარსავდა ჯერ, უხმოდ იჯდა და ბოჩოლას მზერით შესცქეროდა ყვე-ლას და ერთიც სრულიად გაურკვეველი პროფესიის ქალბატონი...

კიტინგისთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა, მაინც რა მიზანს ისახავდა ეს საკრებულო, თუმცა ლაპარაკით კი ბევრი ილაპარაკეს უსამართლობასა და საზოგადოების მხრიდან ახალგაზრდა თაობისადმი გულგრილობაზე, კოლეჯის დამთავრების შემდეგ დაკვეთების შოვნის უპერსპექტივობაზე, მდიდრების თავნებობებზე.. ერთმანეთს თუ არ გავუწოდეთ დახმარების ხელი, სხვას ვის ვედარდებითო, – დაასკვნა ჩახლეჩილხმიანმა. გორდონ პრესკოტიც გამოვიდა სიტყვაში და "ამერიკის არქიტექტორთა გილდია" "გადაღრძუებული ბებრების თავშესაფრად" მონათლა, სადაც არავინ არაფრის გამკეთებელი არაა და საერთოდ, დროა, ყველა კინწისკვრით გამოვყაროთ იქიდანო! გაურკვეველი პროფესიის ქალბატონი კი იდეალებსა და ურთიერთგაგების თემას გადასწვდა, თუმცა თავი ბოლოს ვერ მიაბა და ისევ გაჩუმდა...

ეგაა, რომ პიტერ კიტინგი ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ; გორდონ პრესკოტი თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე დაამტკიცეს ასევე ერთხმად და ფინანსური მხარეც მას გადააბარეს, თუმცა გაიძახოდა_ მხოლოდ არაოფიციალური მრჩეველი ვიქნებიო. სახელწოდებაზეც უცებ შეთანხმდნენ: "ამერიკის მშენებელთა საბჭო". გადაწყდა, აქ მხოლოდ არქიტექტორები კი არ გაერთიანდებიან, მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენლებსაც არ უნდა დავუხშოთ კარიო.

ბოლოს მეტრ თუიმაც ითხოვა სიტყვა. მშვიდად ლაპარაკობდა, მოზომილად; ოღონდ ისეთი ხმით, კაცი იფიქრებდა, მარტო აქ კი არა,რამე რომ იყოს, კოლიზეუმის ზედა რიგშიც გააგონებდა ხალხს სათქმელსო. გულის სიღრმეში მაინც რაღაც საამოდ კი ელამუნებოდა ყველას იმის შეგრძნება, რომ ამგვარი გაქანებისა და ხმის პატრონი სწორედ მათ მიმართავდა და ისიც აქ, ამ არცთუ ფართო სასტუმრო ოთახში...

"... ასე და ამგვარად, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო პრობლემა სწორედ ისაა, რომ დღესდღეობით არქიტექტურა თავის სოციალურ ფუნქციას ვერ იაზრებს და ესე ყოველი სულ ორი მიზეზით ხდება: ჩვენი საზოგადოების ანტისოციალური ბუნებისა და ჩვენი უგერგილობის! დიახ, დიახ ზედმეტად თავმდაბალნი ვართ და ასე გვგონია, ჩვენი მიზანი და დანიშნულება ლუკმაპურის შოვნაა მხოლოდ... განა აღარ დადგა დრო, საზოგადოებაში საკუთარი პოზიცია დავაფიქსიროთ? მე თუ მკითხავთ, ყველა ხელობათაგან უმთავრესი სწორედ არქიტექტურაა და არა იმით ხოლო განისაზღვრება თქვენი ღვაწლი, რამდენს მოიმკით ან რა სახელს დაიგდებთ, არამედ იმ წვლილით, რაც თქვენ კაცობრიობის სამსახურში შეგაქვთ. რა იქნებოდა ადამიანი სახლ-კარის გარეშე?! და ახლა ჩვენს იერსახედაკარგულ ქალაქებსაც გახედეთ ჯერ კიდევ რამდენი რამაა გასაკეთებელი და გამოსასწორებელი! ოღონდ ეგაა - ჯერ საკუთარი თავი უნდა შევიცნოთ და შესაძლებლობებიც გავაცნობიეროთ! გვეყო ბობოლათა ლაქიებად ყოფნა, უპოვართა და მიუსაფართა შემწე ჯვაროსნებად უნდა ვიქცეთ. არა იმითი განგვიკითხავენ, რანი ვყოფილვართ, არამედ იმით თუ ვის სამსახურში ვმდგარვართ... სწორედ

მკითხველთა ლიგა

ამ სულისკვეთებამ უნდა გაგვაერთიანოს!"
კიტინგი პირდაღებული უსმენდა. მართლაცდა, აქამდე სულ ასე ეგონა, პროფესიას საარსებო წყაროს გასაჩენად დავეუფლე და არჩევანიც მე თვითონ კი არ გავაკეთე, დედაჩემს გავუწიე ხათრიო. ფრიად დამაიმედებელი იყო იმის გაგება, რომ თურმე ნუ იტყვით და, მის საქმიანობას სხვა, ბევრად უფრო მაღალი, კეთილშობილი დანიშნულება ჰქონია...
„... და როცა ეს საზოგადოებრივი სისტემა დაემხობა, ჩვენ, ხუროთმოძღვარნი, მის ნანგრევებში კი არ მოვყვებით, პირიქით დიდებისა და სიქველის ახალ საფეხურზე ავმაღლდებით..."
სწორედ ამ დროს, კარზე ზარმა გაიწკარუნა. რამდენიმე წამში მსახური დომინიკ ფრენკონს შემოუძღვა ოთახში.
კიტინგმა შეამჩნია, როგორ გაუწყდა სიტყვა ორატორს, როგორ აზიდა ცალი წარბი ეჭვს არ იწვევდა, ეს ვიზიტი შეთანხმებული არ უნდა ყოფილიყო. ქალმა კი, ვითომც აქ არაფერიო, მომხიბლავად გაუღიმა და თავის ოდნავი დაქნევით ანიშნა გააგრძელეთ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთო. მეტრმა წარბი დაუშვა, ასევე ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი და ამ უბრალო ჟესტით ყველასთვის ნათელი გახადა, ახალმოსულიც მათ საძმოს მიეკუთვნებოდა. თუმცა, კიტინგს ეს ჟესტი ოდნავ დაგვიანებული მოეჩვენა, რაც თუის სრულიად არ ჰგავდა.
დომინიკი კუთხეში მიჯდა და კიტინგიც ერთხანს ამაოდ ცდილობდა მისი ყურადღების მიპყრობას. ბოლოს, ქალის მზერა რომ დაიჭირა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, მგონი, იმის გახსენებას ცდილობს, ვინ ვარ და საიდან ვიცნობო... ზაფხულის მერე არ ენახა და ახლა რაღაც უცნაურად დაღლილი, თუმცა კიდევ უფრო დამშვენებული ეჩვენა.
სცადა, თუისთვის მიეგდო ყური, მაგრამ მისი ორატორული ხიბლი სადღაც გამქრალიყო. მერე ვერ მოითმინა და ისევ დომინიკს შეავლო თვალი. უცნაური იყო საერთოდ ვერ ეწერებოდა აქაურობაში, თითქოსდა აქამდე ოთახში ყველა დედიშობილა იჯდა, საკუთარი თავით კმაყოფილი, ახლა კი ვიღაც უცხო შემოსულიყო, თავფეხიანად ჩაცმულ - დახურული და მათი ქცევაც რაღაც უხამსობად წარმოეჩინა... არადა, იჯდა თავისთვის წყნარად, ფეხი ფეხზე გადაედო და სიგარეტსაც კი აბოლებდა, მშვიდად. ერთხელაც, ხელის დახვეწილი მოძრაობით იქვე, საფერფლეში ჩააფერფლა და ისე კი გამოუვიდა, თითქოსდა ყველას თვალწინ იატაკზე დაეგდო ნამწვი. კიტინგმა ისიც კი გაიფიქრა, რეები მეჩვენებაო, მაგრამ იმასაც მიაქცია ყურადღება, ელზუერთ თუის მის მხარეს ერთხელაც რომ არ მიუბრენებია თავი...
შეხვედრის დასრულებისთანავე, კიტინგი დომინიკს მივარდა: ”რომ იცოდე, რა გამახარე! ეს რა ჩემს პიროვნულ დამსახურებად უნდა მივითვალო?”
_ თუკი ასე გინდა...
- მცოდნოდა, ასე დაგაინტერესებდა პერსონალურ მოწვევას გამოგიგზავნიდი.
– მაგრამ არ გამომიგზავნე.
– სიმართლე გითხრა...
– ამ კაცს წარდგენა არ სჭირდება, ასეა? – გაისმა უცებ ელზუერთ თუის ხმა პიტერის ზურგს უკან.
– როგორ ხართ, ელზუერთ? – მიესალმა დომინიკი, – არა, რა თქმა უნდა, არა ერთ დროს შეყვარებული იყო ჩემზე.
– რატომ წარსულ დროში, დომინიკ?
– კარგი რა, პიტერ! არასოდეს სერიოზულად არ უნდა მიიღო ლამაზი

მკითხველთა ლიგა

ქალის ნათქვამი... ამ ჩვენს ახლად შექმნილ ჯგუფს არ შემოუერთდები, დომინიკ? შენი დონის პროფესიონალი გვარიანად წაადგებოდა საქმეს.
– არავითარ შემთხვევაში საკმარისად არ მძულხარ მაგისთვის!
– ვითომ რაზე იბზუებ ცხვირს? – ხმაში წყენა დაეტყო კიტინგს.
– ღმერთო დიდებულო! ეგ რამ გაფიქრებინა, პიტერ? – ალალად გაიკვირვასავით ქალმა, – შენც ასე გგონია, ელზუერთ? ძალიან პირიქით მე თუ მკითხავთ, სწორედ ესაა, რაც გვჭირდება და... რასაც ვიმსახურებთ.
– იმედი გვქონდეს, ჩვენს შემდეგ შეხვედრასაც დაესწრები? – იკითხა მასპინძელმა, – შენისთანა მსმენელიც კი დიდი პატივია ჩვენთვის.
– არა, ელზუერთ, მადლობელი ვარ, მაგრამ ახლაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ისე, მშვენიერი ჯგუფი შეგირჩევია სულ ახალგაზრდები... ისე, იმ ტიპს რატომ არ დაუძახე აი, "ენრაიტ-ჰაუსს" რომ აშენებს რა ჰქვია? ჰო, ჰაუარდ რორკი.
კიტინგს კრიჭა შეეკრა, მაგრამ ქალს ისეთი უმანკო, ლამის გულუბრყვილო გამომეტყველებაც კი ჰქონდა, შანსი არააო იფიქრა და მაინც რისიო, იქვე დაეკითხა საკუთარ თავს.
– პატივი არასოდეს მქონია, მისტერ რორკს გავცნობოდი, – სავსებით სერიოზულად გაეპასუხა თუი.
– შენ რა, იცნობ მას? – ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა კიტინგმა.
_ არა, საიდან? უბრალოდ, ჟურნალში დაბეჭდილ ნახაზებს მოვკარი თვალი.
– მერე, რა აზრისა ხარ? – არ შეეშვა.
– ასეთ რამეებზე საერთოდ არ გამაჩნია ხოლმე საკუთარი აზრი.
მერე, წასვლა რომ დააპირა, კიტინგმა სთხოვა, გაგაცილებო.ლიფტში შევიდნენ და პირველივე ის ჰკითხა, დღეს აქ რამ მოგიყვანაო.
_ რა ხანია, არსად არ გავსულვარ და ვიფიქრე, ამით მაინც დავიწყო-მეთქი. საერთოდაც, ეგრე ვიცი ხოლმე საცურაოდ რომ მივდივარ, აუზში ნელ-ნელა კი არ ჩავდივარ, პირდაპირ ვხტები... შოკის ეფექტია და მერე აღარც წყალი გეჩვენება ცივი.
– დაიცა, მაინც რითი ხარ ასე უკმაყოფილო? ცუდს რას ვაკეთებთ? გულახდილად რომ გითხრა, საერთოდ არა ვარ აზრზე, რა უნდა ვაკეთოთ...
– ეგაა სწორედ, აზრზე რომ არა ხარ!
– და რა მერე? გაუშვი, ილაპარაკონ ვის რა დაუშავდება ამით?
– კარგი რა, პიტერ შემეშვი, დავიღალე.
– დაიცა, ის მაინც მითხარი კარჩაკეტილობანას აღარ ითამაშებ?
– რაა?
– რამდენჯერ ვცადე შენთან დაკავშირება, არაფერი გამოვიდა.
– მართლა?
– ახლა რა გინდა გითხრა, ბედნიერი ვარ, რომ გიხილე-მეთქი?
– არა. ჩავთვალოთ, რომ უკვე მითხარი.
– ძალიან შეიცვალე, დომინიკ. არ ვიცი, რა გემართება, მაგრამ სულ სხვანაირი რომ ხარ, ამას მაინც ვხვდები.
– ნუთუ?
– ჩავთვალოთ, რომ უკვე ისიც გითხარი, რა ლამაზი ხარ. სხვა სიტყვებს მაინც ვერ ვპოულობ და...
ქუჩაში ბნელოდა, მაგრამ ტაქსი დაბარებულივით გაჩერდა მათ წინ. ახლაც გვერდიგვერდ ისხდნენ, უხმოდ, თითქოს ეს სიჩუმე რაღაც მნიშვნელობას სძენდა მათ ურთიერთობას. მერე პიტერმა ხელი ხელზე დაადო, მსუბუქად, მაგრამ წამსვე იგრძნო, როგორ დაეძაბა ქალს მტევანი. ფრთხილად ააწევინა, ტუჩებთან მიიტანა, გადმოაბრუნა და ხელისგულზე აკოცა.

მკითხველთა ლიგა

მერე თვალებში ჩახედა, თითები უცებ გაუშვა და ქალს ხელი ჰაერში დარჩა, ოდნავ მომუშტული. არა, ეს უბრალოდ უარი არ იყო, ერთი კაცის თავმოყვარეობა ამით არ ილახებოდა ეს საერთოდ, ზოგადად, მამაკაცთა მოდგმის უარყოფა იყო. უნებლიეთ წაიჩურჩულა:

_ დომინიკ, მაინც ვინაა?

ქალი მოწყვეტით მოტრიალდა, თვალები დაუწვრილდა, კაბის ქვეშ სხეული მოეთენთა და ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დააჩნდა ბაგეზე:

_ ვიღაც მუშა, გრანიტის სამტეხლოდან.

კიტინგს სახე გაუქვავდა. მერე სიცილი აუტყდა.

– ახია ჩემზე. ტყუილი იმედები არ უნდა მქონოდა.

– არადა, რა უცნაურია, პიტერ ერთ დროს ისიც კი მეგონა, შენ შეგიყვარებდი.

– მერე, რაა ამაში უცნაური?

– ის, რომ სულ არ მცნობია თავი. დადგება დღე და შენც იგივე დაგემართება, პიტერ. აი, მაშინ იქნები ცოდვა. ოღონდ, წინასწარ მაგაზე ნუ იდარდებ. მოსახდენი მაინც მოხდება.

– ვერ ვხვდები, რას ამბობ. ვერც ვერასოდეს ვხვდებოდი, ერთი ის ვიცი, რომ ყოველთვის მიყვარდი. ასე ნუღარ დამეკარგები ხოლმე.

– პირიქით, პიტერ. შენი დანახვაც აღარ მინდა. არა, იმას კი არ გეუბნები, გამარჯობას დაგამადლი-მეთქი, მაგრამ დევნას ნუ დამიწყებ და ნურც მიბრაზდები საწყენს არაფერს გეუბნები, შენი ბრალი არაა, ჩემშია რაღაც... მარტივად გეტყვი: შენ ყველაფერ იმას განასახიერებ, რაც კი ამქვეყნად მძაგს და არც ის მინდა, შემახსენო ხოლმე რამდენად! პირადად შენი საწინააღმდეგო მართლა არაფერი მაქვს, პიტერ უბრალოდ, მინდა, კარგად გაიგო: შენ ყველაზე უარესი კი არა ხარ ამქვეყნად, პირიქით, იქნებ საუკეთესოც კი იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის და სწორედ ეგ მაშინებს. ოდესმე თუ მოხდა და შენთან დაბრუნება დავაპირე, ყველა წმინდანს გაფიცებ, ახლოსაც არ გამიკარო, თორემ მერე უარესი იქნება, შენთვისაც და ჩემთვისაც.

– მაინც არაფერი მესმის, – გამოცრა კიტინგმა კბილებში.

– ნურც ცდილობ, გაიგო. უბრალოდ, გამერიდე.

– არასოდეს!

ქალმა მხრები აიჩეჩა. "შენი ნებაა. ისე, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვიღაცის მიმართ სიკეთე გამოვიჩინე. ამის შემდეგ შენ იცი.“

როჯერ ენრაიტს ცხოვრებაში არავინ დახმარებია, მილიონერი გამხდარიყო თავისით მიაღწია ყველაფერს. წინააღმდეგობაც ბევრი შეხვდა, მაგრამ თითქოსდა ვერც ამჩნევდა მათ მისი აღმასვლა სარეკლამო რგოლის სიუჟეტად გამოდგებოდა: მივედი, ვნახე, გავაკეთე... შანტაჟისტებსა თუ ათასი ჯურის ნაყარ-ნუყარ ხალხს ახლოსაც არ იკარებდა და არც თავისნაირ ახლად გამდიდრებულებს სცემდა პატივს; ისიც უნდა ითქვას, არც ბანკირებს სწყალობდა, არც პროფკავშირებს, ქალებს, ევანგელისტებსა თუ საფონდო ბირჟას მოკლედ, მართლა თეთრი ყვავივით მოჩანდა ბიზნესის სამყაროში...

არასოდეს არც ერთი აქცია არ უყიდია და არც გაუყიდია, თავის ყველა საწარმოს ერთპიროვნულად ფლობდა და მართავდა და ფულსაც კი მხოლოდ ნაღდს სცნობდა. ნავთობის ჭაბურღილების გარდა,

მკითხველთა ლიგა

გამომცემლობასაც განაგებდა, რესტორანსაც, დიდ ელექტრომაღაზიას, მანქანების სადგომს, მაცივრების ასაწყობ ქარხანას... ყოველი ახალი წამოწყების წინ ჯერ კარგად შეისწავლიდა ვითარებას, მერე ისე იქცეოდა, თითქოს არაფრის აზრზე არ იყო და შუამავლები ჭკუიდან გადაჰყავდა. შედეგად,
ბევრი წარმატებული გარიგებისთვის მიუღწევია და ბევრიც თავისი უჯიათობით ჩაშლია. ოღონდაც, თუ რამეს მოჰკიდებდა ხელს, მერე დღე-ღამეში 12 საათი მუშაობდა, და სხვისგანაც იმავეს ითხოვდა.
სახლის აშენება რომ გადაწყვიტა, ექვსი თვე მოანდომა არქიტექტორის შერჩევას. მერე, პირველსავე შეხვედრაზე, ჰაუარდ რორკი დაიქირავა სულ ნახევარი საათი მოანდომა მასთან საკითხის გარკვევას და ნახაზების ნახვისთანავე ბრძანება გასცა საქმეს შეუდექითო. რორკმა ერთხელაც სცადა, პროექტის დეტალებზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ვინ აცალა: "არავითარი ახნა-განმარტებები მე არ მჭირდება. მაინც ვერაფერს გავიგებ. მარტო ის მინდა, შევხედო და მომეწონოს, მორჩა და გათავდა!" –
თითქოს ნაჯახით მოსხიპაო, და მეტი ამაზე სიტყვაც არ უთქვამს.
რორკს არ მოუყოლია, როგორ ცდილობდა ენრაიტამდე მიღწევას და არც მისი გაფუყული მდივანი უხსენებია, ოღონდ ეს ამბავი როგორღაც მაინც მისწვდა ენრაიტის ყურს და სულ ათიოდე წუთში ექს-მდივანი ქუჩაში აღმოჩნდა, ისე რომ დაწყებული რაღაც განკარგულების ბოლომდე დაბეჭდვაც არ აცალეს...
რორკი თავის ძველ ოფისში დაბრუნდა, ოღონდ ერთი მომიჯნავე ოთახიც შემოიერთა და რამდენიმე მხაზველი დაიქირავა დაკვეთის შემჭიდროებულ ვადებში შესასრულებლად. ისინი ყველანი სულ ახალგაზრდები იყვნენ, გამოუცდელნი, და არც რაიმე სარეკომენდაციო წერილები მოუთხოვია უბრალოდ, მათ შესრულებულ ნახაზებს დახედა და ისე გამოარჩია სხვებისგან.
შემდეგი დღეების დაძაბული მუშაობის გამო, მათთვის სიტყვის სათქმელადაც ვერ მოიცალა. ახალგაზრდებიც ისე გრძნობდნ თავს, თითქოს მათთვის აღარც პირადი ცხოვრება არსებობდა არაფერი,სახაზავ დაფებზე გადაჭიმული ვატმანის ქაღალდის გარდა, თვით სამუშაო ოთახიც მიტოვებული ფაბრიკის საამქროსავით გამოიყურებოდა_ ცივი და მოშიშვლებული, მაგრამ საკმარისი იყო, რორკისთვის მოეკრათ თვალი, და მათ წარმოდგენაში იქაურობა წამსვე თუჯის გავარვარებულ
ბრძმედად ეჩვენებოდათ...
ისეც ხდებოდა, ღამითაც რჩებოდა სამუშაოდ და დილას მაგიდასთან ჩაძინებულს წაადგებოდნენ ხოლმე თავს. თითქოს არც იცოდა, რა იყო დაღლა, ერთხელაც ისე მოხდა, ორი დღე და ღამე არ გაუდგამს ოფისიდან ფეხი; მესამე დღეს შუა მუშაობაში ჩამოეძინა მაგიდაზე, მაგრამ ორი თუ სამი საათის მერე გამოეღვიძა და ვითომც აქ არაფერიო, წინა დღეებში შესრულებული ნახაზების გადამოწმებას მიჰყო ხელი: ას-წორებდა, უთითებდა, ურჩევდა...
– მუშაობაში აუტანელი ხარ, – მიახალა ერთხელაც ოსტინ ჰელერმა.
– რატომ ვითომ? – იკითხა გაკვირვებულმა.
– შეუძლებელია ოთახში შენ გვერდით გაჩერება, დაძაბულობა გადამდები დაავადებაა, არ იცოდი?
– რა დაძაბულობაზე ლაპარაკობთ? ჩვეულებრივად ვმუშაობ...
– მეც მაგას არ გეუბნები?! შენთვის ეგ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ასე ბიჭებს დახოცავ! ღირს კი ყველაფერი ამად? შენობაა ბოლოს და ბოლოს

მკითხველთა ლიგა

– არც საკათედრო ტაძარი, არც ჩინური წამების სახეობა და არც სექსუალური თავდავიწყება... შენ კი ყველაფერი ერთმანეთში გინდა აურიო.

– მერე, ცუდია?

• • •

დომინიკს ხშირად არ იხსენებდა, მაგრამ როგორც კი უნებლიეთ მოაგონდებოდა ხოლმე, იძულებული ხდებოდა, ეღიარებინა _ წამითაც არ დავიწყებოდა. საოცრად სურდა იგი. იცოდა, სადაც უნდა ეძებნა, მაგრამ იცდიდა: ხვდებოდა, სწორედ ეს სტანჯავდა ქალს და ამით უფრო იოლად მიიზიდავდა. უნდოდა ეცლია, ეფიქრა, აი ახლა ამოვიგდებ თავიდანო, და მერე უეცრად, ერთი გამოცხადებით გადაუწურავდა ამ ფუჭ იმედს. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაეგო, რომ არჩევანი მისი იყო და არა ქალის. აი მაშინ, ან მის მოკვლას გადაწყვეტდა, ანდა ერთხელ და სამუდამოდ დანებდებოდა. აქამდე უნდოდა მიეყვანა, ამიტომაც აყოვნებდა.

• • •

ის იყო, "ენრაიტ-ჰაუსის" საძირკვლის ჩაყრა უნდა დაეწყოთ, რომ რორკს ჯოელ სატონის ოფისში მისვლა სთხოვეს. თურმე ეს წარმატებული ბიზნესმენი უზარმაზარი საოფისე შენობის აგებას გეგმავდა.

სატონი რორკს ენრაიტის მიერ გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე შეხვდა; ჯერ უბრალოდ მოეწონა, მერე და მერე აღტაცებას ვეღარ მალავდა, ხოლო როცა უკვე საკუთარ ოფისში მიიღო, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ მიახალა:

– არა, ბატონო, სრულიადაც არა სრულიადაც არა ვარ არაფერში დარწმუნებული... იქნებ და, სულაც არ ივარგოთ! მაგრამ მე ერთი რამ ვიცი – ენრაიტის სახლს თქვენ აშენებთ და რაც კარგია როჯი ენრაიტისთვის, ის არც მე მაწყენს!

თუმცა რორკი კიდევ რამდენიმე კვირა ელოდა პასუხს ჯოელ სატონი ის კაცი არ იყო, უცბად გადაეწყვიტა რამე.

დეკემბრის ერთ საღამოს, ოსტინ ჰელერმა შეუარა და უთხრა შემდეგ პარასკევს ქ-ნ ჰოლქომბთან უნდა წავიდეთ ოფიციალურ მიღებაზეო.

– არა რა, ოსტინ, მაგის თავი არა მაქვს, – იუარა რორკმა.

– დაიცა, ჰაუარდ, ვითომ რატომ არა? მესმის, გულზე არ გეხატება ეგეთი რამეები, მაგრამ საქმეს სჭირდება... ხომ ვიცი, სული რომ გქონდეს, იმასაც გაყიდდი სახლის ასაშენებლად შენ რომ გინდა, ისეთი ნაგებებობისთვის-მეთქი, მინდოდა მეთქვა და იქ ზღვა ხალხი იქნება დაკვეთის მომცემი! მიდექი კუთხეში და დაელოდე:

_ ვითომ, დავიჯერო?

_ ამჯერად მე მაინც მეცი პატივი.

– რაში გჭირდებათ ეს?

– რა დაგიმალო და, კიკი ჰოლქომბმა არ მომასვენა, ორი საათი მელაპარაკა გუშინ შენზე და მაგის გამო შეხვედრაზეც დავიგვიანე. ხომ გესმის შუა ქალაქში "ენრაიტ-ჰაუსი" შენდება და მისი არქიტექტორი კი ჯერაც ვერ შეიტყუა საკუთარ სალონში... გეცოდინება, ჰობი აქვს ერთგვარი არქიტექტორებს აგროვებს. დავპირდი, მოგიყვან-მეთქი.

– რისთვის მერე?

– რამე რომ იყოს, ჯოელ სატონიც ჰყავს დაპატიჟებული, აი, ის ნამდვილად მოვა და რამდენადაც ვიცი, აპირებს, დაკვეთა შენ მოგცეს.

მკითხველთა ლიგა

გადაწყვეტილი ამბავიაო, – ასე მითხრეს. დაელაპარაკე, ხომ არ შეგჭამს... პირადი ურთიერთობა დიდი რამეა. უბრალოდ, არ მინდა, მომავალი ათი წელი ისევ გრანიტის სამტეხლოში გაატარო. ვერ ვიტან გრანიტს, სულ სასაფლაო მახსენდება...

რორკი მაგიდას ჩამოეყრდნო, ფეხზე ვეღარ იდგა დაღლილობისგან; თოთხმეტი საათი იმუშავა გადაბმულად და ახლა კარგ გამოძინებას არაფერი ერჩია. თუმცა, გადაღლილს დაძინებაც უჭირდა ხოლმე.

– რა გახდა ერთი საღამო? თან ნაცნობ ხალხსაც ნახავ ერიკ სნაიტს, პიტერ კიტინგს, გაი ფრენკონს და, რაც მთავარია, მის მომხიბლავ ქალიშვილსაც...

– მოვდივარ, – თქვა უცებ რორკმა.

– იმდენად უცნაური ვინმე ხარ, ხანდახან გონივრულადაც კი იქცევი... ცხრის ნახევარზე შემოგივლი პარასკევს. რამე რომ იყოს, სმოკინგი გაქვს? უმაგისოდ არ გამოვა.

– კი, ენრაიტმა შემაძენინა.

– ... ენრაიტი არის კაცი წინდახედული!

ჰელერის წასვლის შემდეგ, მაგიდაზე შემოჯდა და კარგა ხანს არც განძრეულა. ცხადია, მაგ წვეულებას არ გააცდენდა უარეს ადგილს მასთან პირისპირ შესახვედრად დომინიკი ვერც წ არმოიდგენდა...

• • •

– რას გეტყვი, იცი, ჩემო კიკი, – ბრძანა ელზუერთ თუიმ, იმაზე უსარგებლო არაფერია, როცა მდიდარი ქალი გართობას პროფესიად გაიხდის. მაგრამ, ჩვენში დარჩეს, რამდენი უსარგებლო რამაა ამქვეყნად, სწორედ ამ თვისების გამო რომ გვხიბლავს! მაგალითად, არისტოკრატია – ინსტიტუციათაგან ყველაზე უსარგებლო...

კიკი ჰოლქომბმა ცხვირი აიბზუა, მაგრამ თან ვერც ღიმილი შეიკავა _ არისტოკრატიასთან შედარება მაინც ეამა. ფლორენციულ სტილში გაწყობილ მის სასტუმრო ოთახში ბროლის ჭაღი ჩახჩახებდა და მძიმე წამწამების ქვეშ თვალებს ეშმაკურად უელვარებდა მასპინძელს.

– სულ ეგეთ საზიზღრობებს ამბობ ხოლმე, ელზი! ვერ გამიგია, საერთოდ რას გეპატიჟები!

– სწორედ მაგიტომ, ჩემო კარგო. ასე რომ, იმდენჯერ დამპატიჟებ, რამდენჯერაც თავად მოვისურვებ!

– შენისთანა აუტანელს რა უნდა მოუხერხოს ერთმა საწყალმა ქალმა?!

– კამათში არ უნდა აჰყვე. – სიტყვა ჩაუგდო ქ-ნმა გილესპიმ, მაღალმა, რბილად რომ ვთქვათ, წარმოსადეგმა ბანოვანმა, ყელზე რომ იმსისქე ბრილიანტების აცმა აესხა, საკუთარი კბილების ზომას აჭარბებდა, – მაინც წაგებული დარჩები, ყველგან და ყოველთვის.

– დავა-კამათს, მისის გილესპი, არც აზრი აქვს და არც ხიბლი. ეგ საქმე კაცებს დაგვიტოვეთ რადგან გონება სწორედაც რომ სისუსტის ნიშანია. როგორც ამბობენ, თუ სხვა არაფერი გივარგა, ტვინი მაინც უნდა აამუშაო – სხვა ან რა დაგვრჩენია?!

– ახლა არ მითხრათ, რომ მართლა ასე ფიქრობთ! – ვითომ გაიკვირვა ქ-ნმა გილესპიმ, თუმცა მისი გაბადრული სახე სწორედაც რომ საწინააღმდეგოს იმედზე მეტყველებდა. მერე ხელკავი გამოსდო და დამსახურებულ ჯილდოსავით გაიყოლა იმით ისარგებლა, რომ მასპინძელი იძულებული გახდა, ახალმოსულ სტუმრებს შეჰგებებოდა.

– რა თქმა უნდა, – არ დაუთმო ელზუერთ თუიმ, – და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ საკუთარი ჭკუა-გონებით თავის მოწონება ისეთივე

მკითხველთა ლიგა

ვულგარული რამაა, როგორც, ვთქვათ... საკუთარი ქონებით.
– ახლა მეც გადმომწვდით? არ მითხრათ, იმ საშინელ სოციალისტებს ავყევიო! ეგენი სულ ტურტლიანები არიან და საზიზღარი ინგლისურით მეტყველებენ... თქვენ კი ისეთი ხავერდოვანი ხმა გაქვთ!
_აბა, რა გითხრათ, მისის გილესპი მე რაღაც საშუალო ვარ, ოქროს შუალედი, ასე ვთქვათ.
– რა უცნაურია! ეგ როგორ გავიგოთ?
_ ორგვარად, მისის გილესპი, ორმნიშვნელოვნად როგორც ნებისმიერი სიბრძნე.
კიკი ჰოლქომბმა მასპინძლის კმაყოფილი თვალი მოავლო იქაურობას. სტუმრები, ძირითადად, ორ ჯგუფად ირეოდნენ ერთის მიზიდულობის ცენტრს ელზუერ თუი ქმნიდა, მეორეს პიტერ კიტინგი. ქალის მახვილმა თვალმა უნებლიეთ მაინც შენიშნა, რომ ტანმორჩილ ელზუერთს ფრაკი არანაირად არ უხდებოდა მერცხლის კი არა, რატომღაც ბეღურის ასოციაციას უფრო იწვევდა; ოღონდ ისე დახვეწილად და ღირსების ისეთი შეგრძნებით ეჭირა თავი, ენა არავის მოუბრუნდებოდა ამის სათქმელად. მის ნაუბარს რაც შეეხება, ყოველი ფრაზა უბის წიგნაკში იყო ჩასაწერი, ოქროს კალმით:
"მერწმუნეთ, ძვირფასო, ხუროთმოძღვრებაში სამარადისო დილეტანტად დარჩენა გიწერიათ, სანამ თქვენი შესაძლებლობების მწვერვალს არ შეეჭიდებით”...
"რას ბრძანებთ, ჩემო კარგო?! ან ვინ გითხრათ, თითქოს მე მომწონს? უბრალოდ, ისტორიას უყვარს ამგვარი პარადოქსები და ჩვენ ვინ ვართ, ისტორიის ნებას აღვუდგეთ წინ!"
"ყმაწვილო, თქვენს უვარგის პროექტს კი არ გიწუნებთ, არამედ იმ ცუდ გემოვნებას, მასში რომ გამოავლინეთ... მერე ვინმე იტყვის, ელზუერთ თუიმ, უბრალოდ, დაინდო ბიჭიო გინდათ ახლა თქვენ ეს?”
ან, თუნდაც, ის შეგონება ავიღოთ, ვინმე მილიონერისთვის რომ არ დაიშურა: ”თუ დამიჯერებთ, ყველაფერს სჯობია, თქვენი ზღაპრული ქონებიდან საზოგადოებრივ კვლევათა ინსტიტუტს არგუნოთ რამე _ ამით კულტურის გადარჩენაშიც დაიდებთ წილს და თან არც თქვენს საბანკო ანგარიშს დააკლდება რამე და ზედმეტ თავის ტკივილსაც გადარჩებით..."
ირგვლივ კი აღტაცების ჩურჩული მოისმოდა გონებამახვილობა და პირდაპირობაც ასეთი უნდაო!
პიტერ კიტინგს რაც შეეხება, ხალხის ყურადღებით განებივრებულს სახე უცინოდა და არც კმაყოფილების დაფარვას ცდილობდა, იფერებდა კიდეც. შიგადაშიგ სარკისკენაც გაურბოდა თვალი, ხომ ნამდვილად ცხადში ვარ, ხომ არაფერი მესიზმრებაო.
ბოლოს ისე მოხდა, მიზიდულობის ეს ორი ცენტრი პირისპირაც შერჩა ერთმანეთს.
– რას იტყვი, ელზუერთ, ხომ შესანიშნავი საღამოა? – შესცინა კიტინგმა იმ პატარა ბავშვივით, პირველი დედას რომ უზიარებს ხოლმე სასიხარულო ამბავს, ყველაზე უკეთ გამიგებსო...
– მაშ, კმაყოფილი ხარ, პიტერ? გარშემო ლამის ყველა შენზე ლაპარაკობს პატარა ბიჭი თვალსა და ხელს შუა დაგვივაჟკაცდაო... სმოკინგიც როგორ გშვენის! მაგრამ, ისიც ვთქვათ, ერთი ვინმე ჯიუტად რომ გარიდებს თვალს!
კიტინგი შეცბა. სრულიად გაუგებარი იყო, როდის და როგორ შეამჩნია თუიმ ეს ამბავი.
– ეგ არაფერი, – არ ჩერდებოდა თუი, – მსგავსი გამონაკლისი წესის სისწორეს ადასტურებს მხოლოდ. თუმცა სამწუხარო კია ყოველთვის

მკითხველთა ლიგა

ვფიქრობდი, ერთხელაც გამოჩნდება ისეთი კაცი, რომელიც დომინიკ ფრენკონის ყურადღებას დაიმსახურებს. გაგიკვირდება და, მაგ კაცადაც შენ გთვლიდი... რას იზამ, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო! ხდება ხოლმე.

– ძეხვის მოყვარული არ გახლავართ, – ვითომ შეეხუმრა კიტინგი.

– ჯერ არც კი გაგისინჯავს და რა იცი?! – აჰყვა ისიც, – თუმცა, ან მოყვარულებს რა?

– როგორც ვატყობ, ფრენკონის ქალიშვილი მაინცდამაინც არ უნდა გეხატებოდეთ გულზე...

– მერე, როდის ვამბობდი, კი-მეთქი!

ორიოდ წუთის მერე, ისევ მსმენელთა წრეში ჩამდგარი ელზუერთ თუი უწინდებურად ქადაგებდა: "რაო, ბედნიერებაო? მე თუ მკითხავთ, წმინდა წყლის საშუალო ფენის ფასეულობაა. ბოლოს და ბოლოს, რა არის ბედნიერება? ქვეყნად იმდენი რამაა მასზე მნიშვნელოვანი..."

კიტინგი ნელ-ნელა, ვითომ უნებლიეთ უახლოვდებოდა დომინიკს. ქალი წელში გაზნექილი იდგა, თითქოსდა მისი თხელი, სიფრიფანა სხეულისთვის ჰაერიც კი კმაროდა საყრდენად და არც უცდია მისთვის თვალის არიდება, მაშინვე მიუტრიალდა, გაეპასუხა, თუმცა სწორედ ამ პასუხის უფერულობამ, უემოციობამ პიტერი ადგილზევე გააქვავა.

რორკისა და ჰელერის შემოსვლამ დამატებითი გამოცოცხლება გამოიწვია. კიკი ჰოლქომბი გაბადრული ღიმილით მიეახლა სტუმრებს და თავისებურად, სხაპასხუპით მიაყარა:

– როგორც იქნა, დაგვდეთ თქვენი ხილვის პატივი, მისტერ რორკ! იმდენი გვსმენია, ნახვით კი ჯერ აქ არავის უნახიხართ! თუმცა, ერთიც უნდა გითხრათ ჩემი მეუღლე თქვენი პრინციპული მოწინააღმდეგეა... ხელოვნების ამბავში, რაღა თქმა უნდა! მაგრამ, ამ ოჯახში ჩვენც გვეთქმის სიტყვა.

– მადლობელი ვარ, მისის ჰოლქომბ, – მშვიდად მიუგო რორკმა. _ ამდენს ნამდვილად არ ვიმსახურებ.

– რას ბრძანებთ, ”ენრაიტ-ჰაუსის” პროექტით ყველანი აღტაცებული დავრჩით! გამოგიტყდებით, ჩემს შეხედულებებს ბოლომდე არ ემთხვევა, ასე ვთქვათ, ფუნქციონალურობის თვალსაზრისით, მაგრამ, ჩვენ, ხელოვნების ხალხი, მუდმივი სიახლეებისთვის უნდა ვიყოთ მზად, არ მეთანხმებით?

– რა გითხრათ, არასოდეს დავფიქრებულვარ მაგაზე...

რაღა თქმა უნდა, მასპინძელი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ სტუმარს მისი გაქილიკება არც უფიქრია; არც მისი ხმა მიათითებდა ამას და არც სახის გამომეტყველება; თუმცა, რაღაც შეურაცხმყოფელი იმთავითვე იგრძნობოდა მასში. სმოკინგიც ზედგამოჭრილი იყო მისი მაღალი, თხელი სხეულისთვის, მაგრამ ისე დაუდევრად ეცვა, იფიქრებდი – უცებ, რაც პირველი მოხვდა ხელში, ის მოირგოო. ცეცხლისფერი თმაც რაღაც უცნაურ კონტრასტს ქმნიდა შავ სამოსთან, სახის ნაკვთებიც ისეთი ჰქონდა, სამხედროს რომ უფრო მოუხდებოდა და არა მისი ნატიფი სალონის მუდმივ სტუმრებს...

– არადა, ჯერ რაც ვნახე, მართლა მომეწონა, – გააგრძელა მისის ჰოლქომბმა, – ეს თქვენი პირველი ნამუშევარია, არა?

– არა. მეხუთე.

– უი, მართლა?! რას მეუბნებით!

ხელები გაასავსავა და ახალ სტუმარს მიეგება. ს

– პირველი ვინ გაგაცნო? აგერ, კუთხეში მის ფრენკონი დგას, მისგან დავიწყოთ... – შესთავაზა ჰელერმა.

რორკი მკვეთრად შეტრიალდა. დომინიკს სახეზე ნაკვთიც არ

მკითხველთა ლიგა

გასტოკებია, გაყინული გამომეტყველებით შესცქეროდა მისკენ მიმავალ ორ მამაკაცს. სხეულიც კი თითქოს გაჰქვავებოდა და ბროლის ჭიქაც ფერდაკარგული თითებით ჩაებღუჯა. რორკმა გულის სიღრმეში უცნაური სიამოვნება იგრძნო მაინც მაგარი ვინმეა, ცდილობს და ახერხებს კიდეც, არაფერი შეიმჩნიოსო.

– მის ფრენკონ, ნება მომეცით, ჰაუარდ რორკი გაგაცნოთ, – საზეიმო ხმით განაცხადა ოსტინ ჰელერმა.

მერე თვითონაც გაუკვირდა, ასე ხაზგასმით რამ წარმომათქმევინა გვარ-სახელიო... რორკს არაფერი შესტყობია და დომინიკიც თავაზიანად მიესალმა:

– როგორ გიკითხოთ, მისტერ რორკ?

რორკმა მსუბუქად დაუკრა თავი: "და თქვენ, მის ფრენკონ?"

უცბად, დომინიკმაც "ენრაიტ-ჰაუსზე" დააპირა სიტყვის ჩამოგდება, თითქოს ეს თემა ბევრად უფრო მეტს გულისხმობდა, ვიდრე ჩვეულებრივ ნაგებობაზე საუბარს.

– როჯერ ენრაიტს კარგად ვიცნობ, ჩვენი ოჯახის ახლობელიც კია, შეიძლება ითქვას.

– მისტერ ენრაიტის ახლობლებთან ურთიერთობის პატივი პირველად მაქვს.

– მახსოვს, ერთხელ მამამ დაპატიჟა სადილზე და იმის საცოდაობით დავიწვი კარგ მოსაუბრედ ითვლება, მაგრამ როჯერის გვერდით ხმაც ვერ ამოიღო. მთელი საღამო პირდაღებული უსმენდა. მამაჩემს უნდა იცნობდეთ, რომ მიხვდეთ, რა დარტყმა იქნებოდა ეს მისთვის.

– მამათქვენთან მიმუშავია, – თქვა რორკმა და ქალს ხელი ჰაერში გაუშეშდა, – რამდენიმე წლის წინ, მხაზველად. დომინიკმა ხელი ნელ-ნელა ქვევით დაუშვა: "მაშინ მიმიხვდებით, რატომ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს მამაჩემი და როჯერ ენრაიტი."

– ვერა, ვერ ვხვდები.

– როჯერს, მგონი, მოვწონდი კიდეც, მაგრამ უაინენდის გაზეთში მუშაობა ვერ მაპატია.

ჰელერი აზრზე ვერ მოდიოდა, საით წავიდა მათი საუბარი. არქიტექტურაზე სიტყვა არც ერთს არ დაუძრავს და ბოლოს გადაწყვიტა, დომინიკ ფრენკონს ისევე არ მოუვიდა თვალში ეს კაცი, როგორც საერთოდ არც არავინო.

უეცრად მისის გილესპიმ გამოსდო ხელკავი და სადღაც წააჩაქჩაქა. როგორც იქნა, მარტო დარჩნენ. მერე ქალმა თვალი თვალში გაუყარა რორკს, ის კი ისე უყურებდა, თითქოსდა აქ არც არაფერიო თავაზიანი ყურადღებით. დომინიკს უნდოდა, რაღაც ოდნავი ნიშანი მაინც ამოეკითხა კაცის სახეზე, თუნდაც ის ძველებური, გამქირდავი ღიმილი... მით უფრო, რომ მისი სიფრიფანა კაბა კი არ მალავდა, ნათლად აჩენდა სხეულის მიმზიდველობას იმ სხეულისა, რომელიც სწორედ ამ კაცს ერთხელ უკვე ეგემა. ისიც კი გაიფიქრა, ეტყობა ამითაც სურს დამამციროს პირველს მე მაიძულებს, მომხდარი გავახსენოო.

მერე ვიღაცამ ბეჭებზე მოხვია ხელი რორკს: "ამას ვის ვხედავ! კარგია, რომ გნახე, სალაპარაკო მაქვს შენთან. დომინიკ, ერთი წუთით წაგართმევ... "

ჯონ ერიკ სნაიტმა რორკი განზე გაიყვანა და ერთადერთი კითხვა დაუსვა თუ იცი, ენრაიტი კიდევ აპირებს რამის აშენებასო? მაგრამ, სწორედ ამ დროს კვლავ ჰელერი დააცხრა თავს, სნაიტი, ცოტა არ იყოს, უხეშად მისწია და რორკი პირგაბადრულ ჯოელ სატონთან მიიყვანა.

– მოკლედ, საათივით აეწყო საქმე! მაგარი ხარ... არა, ის ბებერი ენრაიტი

მკითხველთა ლიგა

მაინც როგორ შეაბი, ჰა? რამდენიმე დღეში შემომიარე და ბეჭედი დავუსვათ კონტრაქტს.

დიდი უცნაური წყვილიაო გაუელვა ჰელერს; სატონის ჩამრგვალებული, გატიკნული სხეული რორკის მაღალი, ასკეტური ფიგურის სრული ანტიპოდი იყო.

ის იყო, რორკმა სატონთან თანამშრომლობის გეგმებზე დააპირა სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ იმან ხმის ამოღება აღარ აცალა მისთვის ეს საღამო დროის გატარების საშუალება იყო და სულაც არ აპირებდა, არქიტექტურაზე საუბრით აეტკივებინა თავი. ამიტომაც უცებ შეცვალა თემა და ბადმინტონის ქება დაიწყო ეგაა ჭეშმარიტი პატრიციუსის გასართობი და არა რაღაც გოლფის ჯოხის ქნევაო. რორკი არ შეჰპასუხებია, და ან რა ჰქონდა საპასუხო...

– შენ რა, ბადმინტონს არ თამაშობ? – აჯახა უცებ სატონმა.

– არა, – თავი გააქნია რორკმა.

– არაო?! აბა, რას მიკეთებ? შენი გრძელი ხელების პატრონი ჭადრაკს ხომ არ ითამაშებ!

– თამაშის დრო სადა მაქვს...

– როგორ თუ არა გაქვს?! აბა, ის მხაზველები რას გიკეთებენ? თუ არადა, დაიქირავე კიდევ ერთი-ორი. მაგის ფულს ცალკე მოგცემ, თუ გინდა... წინა არქიტექტორი რომ მყავდა, მაგარი ბიჭი იყო, ფანტასტიკურად იქნევდა ჩოგანს, მარა რად გინდა, კედელს შეასკდა საკუთარი მანქანით, აცხონოს უფალმა! რამე რომ იყოს, არ გინდა, ისწავლო?

– მისტერ სატონ, სერიოზულად მეუბნებით?

– ბადმინტონზე არასერიოზულად ლაპარაკი მე არ შემიძლია!

– კი მაგრამ, საერთოდ, რისთვის დამიქირავეთ?

– რაო? რა თქმა უნდა, სახლის დასაპროექტებლად!

– მერე, ბადმინტონი რაში გამომადგება?

– საქმე საქმეა, გართობა გართობა, ყველაფერს თავის დრო აქვს! მოკლედ, ვიფიქრე ამისთანა გრძელი ხელების პატრონი-მეთქი... რას იზამ, სრულყოფილი არავინაა.

გატრიალდა, წავიდა და წამსვე რორკს პიტერ კიტინგის ხმა მოესმა ზურგს უკან:

– მომილოცავს, ჰაუარდ, მომილოცავს!

– რას მილოცავ, მეტყვი?

– ჯოელ სატონის შებმას... თუმცა, მე თუ მკითხავ, მთლად კარგად ვერ გაართვი საქმეს თავი!

– ვითომ?

– ეგრეა. აი მე, მაგალითად, დავიწყებდი და მოვუყვებოდი, საკუთარი მამა როგორ მავარჯიშებდა ჩოგნის ქნევაში, რომ ეს მეფეთა თამაშია და ვიდრე გამოცდასაც მომიწყობდა, მთლად მეფესავით თუ არა, ვინმე მარკიზის დონეს მაინც მივაღწევდი...

– აზრად არ მომსვლია...

– მაგაშია საქმე! ყველას თავისი გასაღები უნდა მოარგო. ყველასთან ისეთი უნდა ჩანდე, როგორიც უნდათ, რომ იყო. ამ რჩევას უფასოდ გაძლევ – ვიცი, მაინც ვერ გამოიყენებ... ცალმხრივი ნიჭის კაცი ხარ, ჩემო ჰაუარდ, თან, ზოგჯერ ბავშვივით გულუბრყვილო...

– შეიძლება.

– ცოტა მაინც უნდა გაეშმაკდე, თუკი გინდა, კიკი ჰოლქომბის სალონში გაშინაურდე. თუმცა, ჯერ ისიც ვერ გამიგია, საერთოდ როგორ მოხვდი აქ! სმოკინგზე აღარაფერს ვამბობ საფრთხობელა ხარ ნამდვილი. თუ გინდა, ერთი-ორ გაკვეთილს ჩაგიტარებ ჩაცმასაც გასწავლი... რა იყო,

მკითხველთა ლიგა

მეგობრები არა ვართ?!
– მთვრალი ხარ, პიტერ!
– ვარ, აბა არა? ოღონდ დღეს წვეთი არ დამილევია ამ ჩემს სიმთვრალეს სხვა მიზეზი აქვს. რა? აი მაგას კი არ გაგიმხელ, არაა საშენო საქმე.თუმცა, ამ საღამოს მაინც მიყვარხარ! აბა, კარგად მეყოლე!
იმ საღამოს რორკი კიდევ ბევრ ვინმეს წარუდგინეს, მაგრამ ყველა დაზეპირებულივით ერთი და იმავეს უმეორებდა შესანიშნავი ნამუშევარია, მისტერ რორკ, "კოსმო-სლოტნიკ ბილდინგსაც" კი არ ჩამოუვარდებაო! ანდა მერწმუნეთ, მისტერ რორკ, დიდი მომავალი გელით, მეორე რელსტონ
ჰოლქომბად ხართ დაბადებულიო! მხრები აიჩეჩა, ცოტასაც გავუძლებ და მალე ჩემი ფეხი აღარ იქნება აქო. საკუთარი, მხოლოდ სახაზავი დაფებით გავსებული ოფისი ენატრებოდა ახლა...
დომინიკისკენ ერთხელაც აღარ გაუხედავს, ის კი თვალს არ აცილებდა შორიდან, ხედავდა, როგორ აცნობდნენ ვიღაცეებს, ვითომ გულისყურით ისმენდა მათ უაზრო ქათინაურებს და ფიქრობდა, ესეც დაცინვის კიდევ ერთი ხერხი იყო - არავინ დარჩენია უყურადღებოდ, ის კი საერთოდ დავიწყებოდა. ”მშვენივრად ესმის, ამის ატანას, თაკარა მზეში დგომა და პნევმატური ჩაქუჩის რახრახი მერჩია”, – ფიქრობდა დომინიკი. არა, იმის იმედი კი არ ჰქონდა, როდისმე მაინც გაახსენდებოდა უბრალოდ, იცოდა, რომ სანამ ის აქ იყო, ფეხსაც კი ვერ მოიცვლიდა ადგილიდან.
მაგრამ სტუმართა შორის სხვაც იყო, ვისაც რორკისთვის მისი შემოსვლისთანავე არ მოუცილებია თვალი თავად მისტერ ელზუერთ თუი.
დრო იხელთა და, ქადაგებასა და ქადაგებას შორის, ჯონ სნაიტს დაეკითხა:
– ვინაა ეგ კაცი?
– ჰაუარდ რორკი. აი, "ენრაიტ-ჰაუსის” ამბავი... ხომ იცი?
– აჰა, – კბილებში გამოცრა მისტერ თუიმ, – თავადვე უნდა მივმხვდარიყავი.
– გინდა, გაგაცნო?
– არა, – დინჯად უპასუხა, – არავითარი სურვილი არ მაქვს.
რორკის წასვლის მერე დომინიკმა ცოტა მოიცადა და მხოლოდ შემდეგ მიაშურა გასასვლელს. თუმცა, მოსვლა თუ მისი ნება იყო, ასე ინგლისურად წასვლას ვინ დააცდიდა ფრენკონის ასულს: კარებამდე ვერც მიაღწია, კიკი ჰოლქომბი რომ ჩააფრინდა მაჯაში.
_ აბა, ჩემი გოგო, ახალს რას მეტყვი? მიკიბულ-მოკიბული არ დამიწყო, კარგად დაგინახე, როგორ ელაპარაკებოდი!
– მე თუ მკითხავთ, ერთი გადარეული მეამბოხეა.
– არა, მართლა?
– ისე, გარეგნულად არ დაიწუნება თუკი ამას რამე მნიშვნელობა აქვს თქვენთვის...
– ჩემთვის? მეხუმრები, დომინიკ?
მასპინძელმა პირველად შეამჩნია დომინიკს დაბნეულობა და დომინიკიც მიხვდა რასაც თავად ამჩნევდა რორკის სახეზე, რაც მისთვის ამ სახეს ღვთაებრივ ელფერს ანიჭებდა, სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა, ან საერთოდ არ ნიშნავდა არაფერს...
– აბა, რას ამბობ, საყვარელო სილამაზის არაფერი სცხია... უბრალოდ, სწორედ რომ მამაკაცური იერი აქვს!
– არ დაუთმო, დომინიკ! – მოისმა ვიღაცის დაუდევარი, ხალისიანი ხმა, – ჩემგან და შენგან განსხვავებით, კიკის სხვა ესთეტიკური ხედვა აქვს!

მკითხველთა ლიგა

დომინიკი შეტრიალდა და გაღიმებული ელზუერთ თუი შერჩა ხელთ.
– თქვენ... – რაღაცის თქმა დააპირა და მაშინვე გაჩუმდა.
– რა თქმა უნდა! – თუიმ ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი: თითქოს მიანიშნა, მიგიხვდი, რისი თქმაც გინდოდაო, – მე და შენ ზოგჯერ სხვისთვის შეუმჩნეველს ვამჩნევთ ხოლმე, ასე არაა?
– მაინც?
– ახლა მაგაში ჩაღრმავება ხანგრძლივ დისკუსიამდე მიგვიყვანს და არც არაფერს მოგვიტანს. მუდამ გეუბნებოდი უნდა ვიმეგობროთ-მეთქი... ინტელექტუალურად იმდენი რამ გვაკავშირებს... მართალია, სხვადასხვა პოლუსებიდან მოვემართებით, მაგრამ ამას, აბა, რა მნიშვნელობა აქვს ბოლოს მაინც ერთ წერტილამდე მივდივართ! არადა, მართლა საინტერესო საღამო გამოდგა...
– რითი,ვითომ?
_ ვთქვათ, იმითი, რომ ახლა მაინც გავიგე, კაცის გარეგნობას რითი აფასებ...
– იცი, რას გეტყვი, ელზი იმაზე უარესი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე.
– და იქნებ იმაზე უარესიც კი, ახლა რომ გგონივარ! ოღონდ _ მაინც საჭირო... საერთოდ, ამქვეყნად ყველა ერთმანეთს ვჭირდებით.აი,მალე შენც დამჭირდები და იქნებ...
– რაზე ლაპარაკობ?
– ცუდია, დომინიკ, ძალიან ცუდი... თუკი თავად ვერ ხვდები, რაზე ვლაპარაკობ, ალბათ ვერც აგიხსნი... მაგრამ თუ ხვდები, მაშინ თავს სულ ტყუილად იკატუნებ!
– რა ლაპარაკია ეს? – უკმაყოფილოდ იკითხა კიკიმ.
– შეხუმრებულები ვართ, – აუხსნა თუიმ ხალისიანად, – სულ ასე ვკბენთ ხოლმე ერთმანეთს. სხვანაირად არ შეგვიძლია.
– ერთხელაც იქნება და, ზედმეტი მოგივა, – წყნარად თქვა დომინიკმა.
– არ გამოვრიცხავ. თუმცა, შენ დღეს უკვე თავად შეტოპე, თან საკმაოდ შორს.
– კარგად იყავი, ელზუერთ.
– ღამე მშვიდობისა, დომინიკ.
– არა, მაინც რა დაგემართათ ორივეს, – ვერაფერს მიხვდა კიკი, – რა ამდენი სალაპარაკოა ის რორკი?!
– აი, ეს, ძვირფასო კიკი, – თითქოს საკუთარ თავს გაესაუბრა ელზუერთი, – მუდმივი და საერთო ცდომილებაა. კაცზე ერთი ნახვისთანავე რა შთაბეჭდილებაც გრჩება, სწორედ ისაა მთავარი. სულიერების სტილზე არასოდეს გიფიქრია, კიკი?
– რაზე?!
– სულიერების სტილზე-მეთქი. ერთი სახელგანთქმული ბრძენკაცი ცივილიზაციების განსხვავებულ სტილზე ლაპარაკობდა: ასე ამბობდა, უკეთეს განსაზღვრებას ვერ ვპოულობო. ამტკიცებდა ყოველ ცივილიზაციას საკუთარი ძირეული პრინციპები და ერთადერთი, ზეგარდმო მიზანი ამოძრავებს, ხოლო ამ ცივილიზაციის შიგნით, ყოველი მისი ნაწილაკი ანუ ერთი რომელიმე პიროვნება, სრულიად გაუაზრებლად, სწორედ ამ პრინციპს ემორჩილება... მე თუ მკითხავ, ყოველი ადამიანის სულსაც საკუთარი სტილი აქვს ერთადერთ, ძირეულ წანამძღვარში დაფუძნებული და ის ყველაფერში მჟღავნდება მის ფიქრში, ქცევაში,
მის სურვილებში... სწორედ ეს წანამძღვარია, მავანი ადამიანის ცხოვრებას რომ განსაზღვრავს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ დიდი ხნის ნაცნობობა არაფერია, სახეზე თვალის ერთი შევლება ყველაფერი!

მკითხველთა ლიგა

– რაღაც საოცრებებს ლაპარაკობ, ელზი... და სრულიად უსამართლოდაც მსჯელობ. ბოლოს და ბოლოს, ასე მთლად გავშიშვლებულვართ და ეგაა!
– მაგას არ ვამბობ?! რა თვალით შეხედავ კაცს, შენივე მზერა გაგყიდის. საბოლოო ჯამში კი, ადამიანთაშორისი ურთიერთობების გარდა, ამქვეყნად არც აქვს აზრი რაიმეს...
– კარგი, ვთქვათ და, ჩემს სახეზე რას იტყვი?
ისე შეხედა ქალს, თითქოს ახლაღა შეამჩნია მისი არსებობაო.
– რა ბრძანე?
– ჩემს სახეზე რას იტყვი-მეთქი!
– ხო-ო... მითხარი, რომელ კინოვარსკვლავს აღმერთებ და გეტყვი, ვინა ხარ შენ.
– ძალიან მიყვარს ანალიზობანა! მაშ ასე ჩემი უსაყვარლესი მსახიობი...
მაგრამ ელზუერთ თუი უკვე აღარ უსმენდა, გატრიალდა და ბოდიშის მოუხდელად მიატოვა. უცნაური იყო, მეტრ თუის უხეშობა არავის სმენოდა – რაღა თქმა უნდა, იმ შემთხვევების გარდა, როცა წინასწარი განზრახვით სჩადიოდა ამას.
რამდენიმე წუთის მერე, რომელიღაც კუთხიდან მისი ხავერდოვანი ბანი გაისმა:
– ... და თქმა არ უნდა, მიზანთა შორის უკეთილშობილესი ადამიანთა შორის თანასწორობაა.

7

”.. და ასე იდგება იგი მარად, ვითარცა უფ. ენრაიტისა და მისტერ რორკის ეგოტიზმის სადიდებელი ნიშანსვეტი! და იდგება იგი უსახურსაცხოვრებელ კორპუსსა და უგვან ბენზინგასამართ სადგურს შუა_ და არა როგორც გაუგებარი შემთხვევითობა, არამედ როგორც ბედისწერის გარდაუვალი ირონია: ამ სამეზობლოზე უკეთ, ვერაფერი წარმოაჩენდა ზემოხსენებული შენობის მანკიერ ხასიათს... რა გაეწყობა,როგორც აქამდე ვგეგმეთ ჩვენი ქალაქი, იმ შედეგსვე ვიმკით, ოღონდ ერთიცაა, აქამდე ამას შეგუებულნი ვიყავით მეტიც გითხრათ, თვალსაც არაფერი გვჭრიდა ზედმეტად, "ენრაიტ-ჰაუსი” კი კუდგაშლილ ფარშევანგსა ჰგავს, აქეთ გიყურებს ათასი თვალით... როცა ეს "არქიტექტურის შედევრი” შუა ქალაქში წამოიჭიმება, ნაიარევივით დაასვამს მას დაღს ნებისმიერი ჭრილობაც ხომ უნებლიეთ იპყრობს მზერას..."
ეს გამქირდავი განსჯა დომინიკ ფრენკონის კალამს ეკუთვნოდა და ჰოლქომბებთან გამართული წვეულებიდან ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა რუბრიკით ”თქვენი სახლი".
სწორედ იმ დილით, ელზუერთ თუიმ დომინიკის ოფისში შეაბიჯა, გაზეთი სწორედ იმ გვერდზე ჰქონდა გადაშლილი და სახე ეშმაკურად უცინოდა, ოღონდ ტუჩები კი მოეპრუწა რაღაც საეჭვოდ.
– აბა, რას გვეტყვით? – ჰკითხა დომინიკმა.
– ეს რორკი წვეულებამდეც გყავდა ნანახი სადმე?
ქალს პოზა არ შეუცვლია, გვერდულად იჯდა სავარძელში და საზურგეზე დაუდევრად ჩამოდებული ხელის თითებში ფანქარს ათამაშებდა.
– შორიდანაც არსად მომიკრავს თვალი.
– აჰა, შემშლია... არადა, ნაწერში თითქოს რაღაც პირადულიც იგრძნობა.
– და რა, მერე? სწორედ იმ წვეულებაზე ამიშალა ნერვები.
– იგრძნობა, იგრძნობა.

მკითხველთა ლიგა

– ჩამოჯექი, ელზი. დამჯდარი უკეთესი სანახავი ხარ.
– მერე, არ მოგაცდენ?
– ისე რა...
მაგიდის კიდეზე ჩამოუჯდა, მუხლზე გაკეცილ გაზეთს იტყაპუნებდა ნერვიულად.
– რა გითხრა,იცი, დომინიკ... მაინცდამაინც კარგად ვერ გამოგივიდა.
– ვითომ რატომ?
– სტრიქონებს შორის იკითხება ყველაფერი. არა, ნახევარი ქალაქი მაგას ვერ შეამჩნევს, მაგრამ მე შევამჩნიე. არც იმას გაუჭირდება.
– ეგ სტატია არც შენთვის დამიწერია და არც მისთვის.
– აბა, საკუთარი ჭია გაახარე? თუმცა რა, ყველას თავისი მეთოდები აქვს...
– და შენ რას აპირებ?
– რის თაობაზე?
– ”ენრაიტ-ჰაუსზე” გეკითხები. არაფერს დაწერ?
_ არაფერს.
– საერთოდ?
– არც ერთ სიტყვას!
გაზეთი მაგიდაზე დაუდევრად დააგდო და სიტყვა გააგრძელა: "ზოგადად არქიტექტურას რაც შეეხება, დომინიკ, ვთქვათ და, "კოსმოსლოტნიკ ბილდინგზე” რატომ თავად არასოდეს დაგიძრავს კრინტი?”
– ღირდა კი?
– ღირდა და ეგრე?! ჯერ მარტო რამდენს გაანაწყენებდი!
– მერე მე რა?
– ვინ იცის, ვინ იცის...
– მაინც, ვის გულისხმობ?
– რა ვიცი, აბა.. სწორედ ეგაა საინტერესო, რომ ღმერთმა უწყის, ჩვენს ნაწერებს ვინ კითხულობს და ვინ არა. რამე რომ იყოს, შენს ადგილას ერთ-ორ კეთილ სიტყვას არ დავიშურებდი.
– როგორც ვატყობ, პიტერ კიტინგზე ჩამოდიხარ ფსონს.
– მე?! ისე ჰო, რატომაც არა მშვენიერი ყმაწვილია, იმედისმომცემი... ახლოს რომ გაიცნობ, შენც დამეთანხმები. თან, მასალად გამოგადგება: ერთი რომ მოიცალო და დაელაპარაკო, უამრავ საინტერესოს გიამბობს თავის ცხოვრებაზე.
– მაინც-მაინც?
– აი, ვთქვათ, სთენტონში რომ სწავლობდა...
_ ეგ ისედაც ცნობილი ამბავია.
_ მერე? საინტერესოდ არ მიგაჩნია? მე თუ მკითხავ, მშვენიერი რამეა, გოთიკური არქიტექტურის ტიპური ნიმუში. ვიტრაჟები კი, პირდაპირ ითქვას, უბადლოა. თან ისიც გაითვალისწინე ამდენი ახალგაზრდა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტუდენტი... ზოგი წარმატებით ამთავრებს სასწავლებელს, ზოგიც ხელმოცარული ტოვებს იქაურობას...
_ მერე, მერე?
– უნდა გითხრა, კიტინგი ჰაუარდ რორკის კარგა ხნის მეგობარია.
– ეს რა მითხარი! პიტერ კიტინგი ვინც გინდა, იმის მეგობრობას დაიბრალებს.
– სავსებით გეთანხმები, ნამდვილად შესანიშნავი ყმაწვილია... ოღონდ ეს სხვა შემთხვევაა. საერთოდ თუ იყავი აზრზე, რორკი რომ სთენტონში სწავლობდა?
– არა, რა თქმა უნდა.
– გატყობ, ბევრი არც არაფერი იცი მის შესახებ.

მკითხველთა ლიგა

– საერთოდ არაფერი. და რა სხვა სალაპარაკო არაფერი გვაქვს?
– არ ვიცი, არ ვიცი... აკი პიტერ კიტინგი ვახსენეთ და არაფერი ისე კარგად არ წარმოაჩენს რაიმე თვალთახედვას, როგორც კონტრასტის ეფექტი... თუნდაც ამ ორის მაგალითი ავიღოთ: სხვათა შორის, ამაში ევკლიდეს ვეთანხმები პარალელური ხაზები არც უსასრულობაში არ გადაიკვეთებიან. მოკლედ, ორივე სთენტონში სწავლობდა; პიტერის დედას რაღაც პანსიონისდაგვარი ჰქონდა გახსნილი და რორკიც მათთან ცხოვრობდა მთელი სამი წელი. თავისთავად ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პარალელური ხაზების გამოსაკვეთად მჭირდება მხოლოდ. პიტერმა წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, რორკი გარიცხეს; პიტერი მამაშენმა მიიწვია სამუშაოდ და ახლა პარტნიორიც გახდა. თავიდან რორკიც მამაშენთან მუშაობდა, მაგრამ იქიდანაც გამოაგდეს... ჰო, ეგრეა, რას მიყურებ? არა, შენი ხელი რომ არ ურევია ამ ამბავში, ნამდვილად ვიცი. პიტერმა "კოსმო-სლოტნიკის" შეკვეთა მიიღო, რორკმა კი ერთი ციცქნა ბენზინგასამართი სადგურის მფლობელისგან. პიტერი ავტოგრაფებს არიგებს მარჯვნივ-მარცხნივ, რორკს კი ორი კაცი თუ იცნობს. უცნაური კი ისაა, რომ რორკი არასოდეს აფასებდა პიტერს, არ აფასებდა და არც არასოდეს დააფასებს, რასაც არ უნდა მიაღწიოს ამ უკანასკნელმა. მაგრამ ახლა ერთიც ვთქვათ: წარმოიდგინე, რომ შენი მარცხის პარალელურად, ვიღაც არარაობა ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს წარმატებებს. ამ არარაობას დითირამბებს უძღვნიან; პატივს სცემენ, რორკის კუთვნილ შეკვეთებს ის იღებს, თავად რორკს კი კინწისკვრით აგდებენ გარეთ ჩემო კარგო, თვით ესპანური ინკვიზიციაც ვერ მოიგონებდა უარეს სატანჯველს ხელოვანი კაცისთვის!
– ელზუერთ! – ლამის იკივლა ქალმა, – მომწყდი თავიდან!
– კარგი რა, დომინიკ, – მშვიდად გაეპასუხა მისტერ თუი, – რა ვთქვი ახლა ასეთი? უბრალოდ, გიხსნი პიტერ კიტინგი უდავოდ საინტერესო პიროვნებაა.
ქალს ფერი აღარ ედო სახეზე, ტუჩი ჩაეკვნიტა, თითები განწირულივით ჩაევლო მაგიდის კიდისთვის...
– ჩემო გოგო, – კვლავ აუმღვრევლად თქვა ელზუერთ თუიმ, – დილეტანტის კვალობაზეც კი, მეტისმეტად გულუბრყვილო ხარ; შენს ნაწერში სტრიქონებს შორის ამოსაკითხიც აღარაფერია ხელისგულზე დევს ყველაფერი...
– მომწყდი-მეთქი თავიდან!
კაცი წამოდგა, კვლავ მშვიდად, აუღელვებლად გაემართა კარისკენ, ოღონდ შუა გზაზე კი მოტრიალდა და სიტყვა დაუგდო:
– თუმცა, მე თუ რამე მეკითხება, პიტერ კიტინგსაც არა უშავს. მხოლოდ როგორც არქიტექტორს, ცხადია.

• • •

სახლის კარი რომ შეაღო, ტელეფონი უკვე გაბმულად რეკდა. ყურმილს დასწვდა.
– დომინიკ, ჩემო კარგო, – გაისმა ჯოელ სატონის აღელვებული ხმა, – შენ რა, მართლა ასე ფიქრობ?
– რას მაინც?..
– აი, მაგ ყველაფერზე... "ენრაიტ-ჰაუსსა" და იმ რორკის თაობაზე! სტატია წავიკითხე, მართალი გითხრა, ცოტა ავირიე... ხომ იცი, დღე-დღეზე მშენებლობას ვიწყებთ, იმდენი ფული ჩავყარე... მეგონა, არქიტექტორიც ზუსტად შევარჩიე-მეთქი. შენ კი... არა, შენს გემოვნებას როგორ არ

მკითხველთა ლიგა

ვენდობი?! ბოლოს და ბოლოს, უაინენდთან მუშაობ, არ შეგეშლება... უაინენდმა კი იმდენი ფული იშოვა უძრავი ქონებით, შანსი არაა, მშენებლობაშიც არ ერკვეოდეს... ის გენდობა და მე ხომ მით უმეტეს! ეგ არაა საქმე, უბრალოდ, ახლა რა ვქნა, ლამის უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო რორკს ვქირაობდი... ვუთხარი კიდეც... ხვალ საღამოსთვის დავიბარე, კონტრაქტზე ხელის მოსაწერად! არა, ისე _ ფარშევანგის კუდი რამ გაგახსენა, მართლა ეგრე ფიქრობ?

– მისმინე, ჯოელ, – თქვა და კრიჭა შეეკრა, – ლანჩზე არ დამპატიჟებ?

ჯოელმაც თავი არ შეირცხვინა და საუკეთესო რესტორნის ბარში დახვდა, ყურებამდე გაღიმებული. მაგიდაც უკვე შეკვეთილი ჰქონდა და მარტინის ორი წვრილფეხა, შეორთქლილი ჭიქაც ელოდათ ერთი ზეთისხილითა და ერთიც ლიმონით...

– იცი, რა გითხრა, ჯოელ ეგ შენი იდეა რორკის თაობაზე მართლა დასაფასებელია...

– აბა, ფარშევანგიო...

– დაიცა, ნუ ჩქარობ. რორკი იმისთანა შენობას აგიგებს, ხალხს პირი დარჩება ღია, ოღონდ შიგ ცხოვრებას, მერწმუნე, ძნელად თუ ვინმე მოინდომებს.

– აჰა, მაშ, ეგრეა საქმე?

– უარესად. ასი წლის მერე შენი სახლი იქნებ ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოებშიც მოხვდეს, ოღონდ შენ თავად პირდაპირ ღარიბთა თავშესაფარში მოხვდები, თანაც წელსვე.

– დომინიკ! რა საშინელებებს მეუბნები?!

– რას იზამ შესანიშნავი ყოველთვის სასარგებლოს არ ნიშნავს. შენ კი სარგებელი გინდა ნახო მაგ სახლიდან, ეგრეა?

– აბა, წაგებულად დარჩენა ვის უნდა?

– ეგეთებიც არიან... მოკლედ, თუ გინდა, ბინები გაყიდო მაგ სახლში, რორკს შეეშვი. რა გინახავს მაგის აშენებული? ვინ უკვეთავს რამეს?

– ენრაიტი...

– ენრაიტს თავი დაანებე. ეგ სულ სხვა შემთხვევაა. თანაც რა მე მკითხა ენრაიტმა რამე? შენ კი მკითხე. ამიტომაც მომწონხარ...

– არა, მართლა?!

– აბა, რა მრჯიდა, ამდენს რომ გელაპარაკები?

_ ყოველთვის გენდობოდი. ახლა რას მირჩევ, რა ვქნა?

– მარტივი ამბავია ისეთი ვინმე გჭირდება, ვისაც სხვები ქირაობენ, ანუ ყველას უნდა უჩვენო, რომ არავისზე ნაკლები არა ხარ. ეგაა და ეგ.

– აგაშენა ღმერთმა! ბარემ...

– არა, ჯოელ შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო... ბოლოს და ბოლოს, ვინაა ახლა ყველაზე პოპულარული? ვისა აქვს ყველაზე მეტი შეკვეთა? ვის სახელს ახსენებენ ყველაზე ხშირად?

– ე-ე... მე მგონი, პიტერ კიტინგს.

– მართალი ხარ, ჯოელ. პიტერ კიტინგს.

• • •

"ათასი ბოდიში მინდა მოგიხადოთ, მისტერ რორკ მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგოთ... ბიზნესმენი კაცი ვარ. პირადად თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით დიდ ხუროთმოძღვრად მიმაჩნიხართ... მაგრამ, აი სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული! სიდიადე ძალიან არასარფიანი რამაა. უნდა ვაღიაროთ, მისტერ რორკ, თქვენს კოლეგას, მისტერ კიტინგს ბევრად უფრო კარგი სახელი აქვს და ხალხსაც უყვარს."

მკითხველთა ლიგა

ერთი ეგ იყო რომ, რორკი ხმას არ იღებდა და მისტერ სატონიც, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა თავს. ერჩია, აქეთ შეჰკამათებოდა, მაშინ მთელ იმ არგუმენტებს დაახვედრებდა, დომინიკმა რომ მოამარაგა ორიოდ საათით ადრე. მაგრამ რორკს სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ ოდნავ დახარა თავი. და რაღა უნდა ეკამათო კაცს, რომელიც წინასწარვე ყველაფერში გეთანხმება? ოღონდ მისტერ სატონი გულკეთილი საქმოსანი იყო და ხალხის წყენინებას ვერ იტანდა:

– უნდა გითხრათ, მისტერ რორკ, თქვენი არჩევა პირადად გადავწყვიტე, მაგრამ დომინიკ ფრენკონმა შემაცვლევინა აზრი. ისიც კი თქვა, შეგიძლია, დაუფარავად უთხრა, რასაც ვფიქრობო.

უცბად რორკმა თავი ასწია და მასპინძლის გაკვირვებასაც საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, როგორ ეცინებოდა, უხმოდ...

– სასაცილო ვთქვი რამე, მისტერ რორკ?

– მის ფრენკონმა?

– კი, ასეა. ფრიად კეთილშობილი და პატიოსანი ქალბატონია. არც საკუთარ მოსაზრებებს იცვლის ადვილად.

– თქმა არ უნდა!

– მერედა, რა არის აქ სასაცილო?!

_ ალბათ, არც არაფერი.

• • •

ნახევრად ბნელ, უავეჯო ოთახში იჯდა. ჰელერის სახლის ესკიზი გაეკრა კედელზე და ეს კიდევ უფრო დაცარიელებულ იერს აძლევდა იქაურობას. დროის შეგრძნება დაკარგვოდა, საკუთარ სხეულს შეიგრძნობდა მხოლოდ. როცა კარზე კაკუნი გაისმა, თავიც არ აუწევია, ისე გასძახა შემოდითო.

კარი გაიღო და ოთახში დომინიკი შემოვიდა. სქელი ნაჭრის, სადად შეკერილი შავი პალტო ეცვა, მაღალსაყელოიანი, და შუბლზე ჩამოწეული ფარფლიანი ქუდიც სახის ნახევარს უფარავდა. რორკი უხმოდ შესცქეროდა, არც განძრეულა. ქალმა ქუდი მოიხადა, თუმცა სადმე დადება არც უფიქრია, უხერხულად ეჭირა ხელში. რაღაც რეაქციას მაინც ელოდა, სახეგაყინული იდგა და სიცოცხლის ნიშანწყალსაც თითქოს მხოლოდ ქუდის მოხდისას შერხეული თმის ტალღები ამჟღავნებდა. ბოლოს
ისევ თვითონ ამოიღო ხმა:

– რაღაც ვერ გატყობ გაკვირვებას...

– გელოდი.

ქალმა მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით მოისროლა ქუდი მაგიდისკენ.

– რით შემიძლია, გემსახურო?

– შენც კარგად იცი.

– მაინც ჯობია, თვითონ მითხრა.

– როგორც იტყვი, – ხმა გაებზარა, – მომინდი და მოვედი. დარჩენაც მინდა, თუ წინააღმდეგი არ იქნები. ახლაც და ნებისმიერ დროსაც -როცა კი დამიძახებ. შენი სხეული მენატრება, შიშველ კანზე შეხება... ოღონდ არც სინაზე მჭირდება და არც ალერსი, მარტის კატასავით მინდიხარ, ან, თუ გნებავს კახპასავით.

მშვიდად ლაპარაკობდა, ემოციისგან სრულიად დაცლილი ხმით, თითქოს კატეხიზმოს აბულბულებსო. თუმცა უწინდებურად წელში გამართული იდგა, ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა და გრძელი ფეხები

მკითხველთა ლიგა

ჯარისკაცივით განზე გაედგა.
– კარგად იცი, როგორ მძულხარ; სწორედ ისეთს ვერ გიტან; როგორიც ხარ და რაც ხარ... და საკუთარი თავიც მეზიზღება, ასე რომ მინდიხარ. შენს დასაღუპად მოვედი, და იცოდე საბოლოოდ მაინც მივაღწევ ჩემსას! ამას პირდაპირ გეუბნები, მოურიდებლად; ისევე, როგორც საკუთარ სურვილებზე გელაპარაკებოდი. ნაბიჯს არ გადაგადგმევინებ, ყველა წამოწყებას ჩაგიშლი, შენთან ნებისმიერ კონტრაქტს გავაუქმებინებ ყველას... ეს ერთადერთი გზა მაქვს, რადგან სხვა სუსტი წერტილი ვერც გიპოვე. შიმშილის პირას მიგიყვან, მათხოვრად გაქცევ... დღეს ერთი ნაბიჯით უკვე წავიწიე წინ და ახლა მეორეც მინდა გადავდგა დღეს შენთან დავიძინებ...
რორკი ერთიანად მოშვებული იჯდა სავარძელში, თითქოს ნელ-ნელა იკრებდა ძალას.
– დღეს ერთი დარტყმა უკვე მიიღე ჩემგან და ამიერიდან სულ ასე იქნება ყოველ ახალ-ახალ დარტყმას ჩემი სტუმრობა მოჰყვება ხოლმე და ეს სტუმრობაც მუდამ ერთნაირად დასრულდება: საყვარელს კი არ დავემორჩილები, არამედ მტერს, რომელიც ჩემს დილანდელ გამარჯვებებს იმავე საღამოს გააუფასურებს ხოლმე... ეს იმიტომ, მეორე დღესაც იმავეს ჩადენის სურვილი არ გამინელდეს. აი, ესაა და ეს. მაინც არ ამოიღებ ხმას?
– გაიხადე.
ქალი წამით მთლად გახევდა; ტუჩები გაუფითრდა. მერე დაინახა, როგორ მძიმედ სუნთქავდა კაცი და ჩაეღიმა, დამცინავად, სწორედ იმ ღიმილით, როგორც ადრე ის უღიმოდა.
ნელ-ნელა შეუდგა ღილების შეხსნას გამოზომილად, აუღელვებლად, თითქოს სულ მარტოდმარტო ყოფილიყო და თანაც, საკუთარ საძინებელში. უკვე თეთრ, სიფრიფანა პერანგს იხდიდა, როცა გაახსენდა, ჯერ ეს თხელი ხელთათმანებიც არ გამიძვრიაო...
მერე შეხედა შიშველი იდგა, მომლოდინე; მათ შორის არსებული სივრცე თითქოს დამუხტულიყო. იცოდა, კაციც მასავით იტანჯებოდა და ეს ტანჯვა ორივეს სიამეს ჰგვრიდა... რორკი წამოდგა, მიუახლოვდა, და როცა მკლავებში მოიმწყვდია, ქალმაც შვებით ამოისუნთქა, შემოეხვია,მინებდა და მთელი არსებით შეიგრძნო მისი სხეულის სიმხურვალე...
ცოტა ხანში, ვნებადამცხრალნი, გვერდიგვერდ იწვნენ საბნის ქვეშ და დომინიკმა იკითხა:
_ სამტეხლოში რა გინდოდა?
– თავადაც კარგად იცი.
– კი, ვიცი. სხვა შენ ადგილას ნებისმიერ არქიტექტორს შეეკედლებოდა.
– ..და მაშინ აღარც შენ გაგიჩნდებოდა ჩემი განადგურების სურვილი.
– ესე იგი, გესმის ჩემი?
– ამას აღარ აქვს მნიშვნელობა.
– თუ გესმის, რომ "ენრაიტ-ჰაუსისნაირი" მთელ ნიუ-იორკში არაფერია?
– შენ ხომ გესმის.
– სამტეხლოში რომ იდგამდი წელებზე ფეხს, უკვე მაშინ იყო ეს შენში ეს და ბევრი მაგისთანაც...
– ახლა ცრემლიც წამოგივა და ხვალ ინანებ.
– ალბათ.
– მაინც კარგი გოგო ხარ, დომინიკ.
– არ დამიწყო ახლა...
– გულით გეუბნები.
– მაინც ვერ გადამირჩები.

მკითხველთა ლიგა

– გგონია, სხვანაირი მენდომებოდი?
– კარგი რა...
– რამდენჯერ გინდა, გაგიმეორო?
– მე... – სიტყვა გაუწყდა, მაგრამ აშკარა იყო, რის თქმასაც აპირებდა.
– დაიცა, დომინიკ, ეგ ჯერ ადრეა. ახლა დაიძინე.
– აქ, შენთან?
– კი. აქ, ჩემთან. დილით საუზმეს გაგიმზადებ არ გაინტერესებს როგორი მზარეული ვარ? მოგეწონება. როგორც იქ, სამტეხლოში. მერე შინ დაბრუნდები და გადაწყვეტ, როგორ მომიღო ბოლო.

8

დომინიკი საწერ მაგიდას უჯდა, თავდახრილი, და საკუთარი სტატიის კორექტურას კითხულობდა. უცბად, კარზე ზარის ხმა გაისმა. გაკვირვებულმა ასწია თავი გაკვირვებულმა და ცოტათი განაწყენებულმაც: შეუთანხმებლად სტუმრების მიღებას არ იყო ჩვეული. კარი მოსამსახურე ქალმა გააღო და რამდენიმე წამში ოთახშიც შემოიხედა ვიღაც ვაჟბატონია თქვენთანო. თან ისეთი ტონით თქვა, ეტყობოდა, რომ წყენას ვერ ფარავდა სტუმარი აშკარად უარზე იყო, საკუთარი თავი წარედგინა მისთვის.
ჟღალთმიანიაო? – უნდოდა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა. ”შემოვიდეს.” – ესღა უთხრა მხოლოდ.
კარი გაიღო და ოთახში პირადად ელზუერთ თუი შემობრძანდა. ”საღამო მშვიდობისა, დომინიკ!“ – ვითომც არაფერი, გულთბილად მიესალმა შემოსული, თუმცა კარგად უწყოდა, რომ მასპინძელს ის არასოდეს დაუპატიჟებია თავისთან და, რა თქმა უნდა, არც ახლა მოელოდა მის ვიზიტს.
– შენც გაგიმარჯოს, ელზი. – არაფერი შეიმჩნია ქალმა, – რა ხანია, არსად შევხვედრივართ ერთმანეთს.
– დავიჯერო, არც მელოდი? – თქვა და მოახლეს მიუბრუნდა, – დარწმუნებული ვარ, ერთი სირჩა არმანიაკი ნამდვილად მოგეპოვებათ ჩემისთანა საპატივცემულო სტუმრისთვის, ასე არაა, ჩემო კარგო?
მოახლეს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ დომინიკმა ანიშნა, მოიტანეო და ისიც ხმის ამოუღებლად გავიდა სამზარეულოში.
– მოკლედ, ერთი წუთი არ ჩერდები უსაქმოდ, – აღნიშნა მისტერ თუიმ და მაგიდას მოავლო თვალი, – ეტყობა კიდეც. შენს სტატიებს ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა.
ქალმა ფანქარი დაუდევრად დააგდო, ნახევრად შემობრუნდა სავარძელში და ჯიქურ დაეკითხა:
– მაინც რისთვის გაისარჯე, ელზუერთ?
– მშვენიერია, დომინიკ საკუთარ სტილს არ ღალატობ... ვიფიქრე, სწორედ ასე დამხვდება-მეთქი. ისე, მე თუ მკითხავ, ეგ სკამი მეტისმეტად ერგება ანტურაჟს კაცი იფიქრებს, საგანგებოდაა შერჩეულიო. რაიმე მკვეთრი ფერის აჯობებდა, მეწამული ან... ვთქვათ, მისტერ რორკის თმის ფერისმაგვარი მყვირალა, გამიზნულად თვალში საცემი... არა, ისეთი არაფერი იფიქრო უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა, როგორც ფრანგები ამბობენ ხოლმე, en passant! ერთი ამგვარი ლაქა კი ნამდვილად დახატავდა ამ ოთახს: ჯერ კიდევ სერ ფრანსის ბეკონი, ლორდი ვერულემი ამტკიცებდა: აღმატებული სილამაზე უცილობლად რაღაც პაწია სიმახინჯესაც მოითხოვსო. აი, ყვავილების შერჩევასა და ნახატებს კი გულით გიწონებ. არც ერთს წუნი არ დაედება.

მკითხველთა ლიგა

– მორჩი რა, ელზი! საქმეზე გადადი.
– ვითომ რაო? ბოლოს და ბოლოს, პირველად გესტუმრე. აქამდე ხომ ფეხიც არ შემომიდგამს შენთან... არც არასოდეს გითხოვია და იმიტომ. – ფეხი ფეხზე გადაედო, შარვლის ტოტიდან შალის მუქი ლურჯი წინდა მოუჩანდა, – თუმცა რა, ან სად გქონდა მაგისი თავი... ვიზიტები, წვეულებები, ბარები, სალონები... სახლშიც ვიღას არ პატიჟებდი, განურჩევლად.
– ხო, აბა რა, და სულ ფრანგული შამპანურით და რუსული ხიზილალით ვუმასპინძლდებოდი!
ოთახში მოახლე შემოვიდა, ერთი მაღალფეხიანი სირჩით ლანგარზე. მისტერ თუიმ, დახვეწილი მოძრაობით, სამ თითს შორის მოიქცია სასმისი, დაყნოსა.
– არა, რამე რომ იყოს, მამაშენი მაინც უნდა იყოს კმაყოფილი, – მოახლის გასვლას დაელოდა და, თითქოს სხვათა შორის, განაგრძო, – უკარება იყავი და უცებ ასე მკვეთრად რომ შეიცვალე ცხოვრების ნირი, საჭირო ხალხთან დამეგობრება ისწავლე... ოღონდ ეს ყველაფერი მწვერვალიდან დაშვებას ჰგავს, დომინიკ: მარტოსულობის მწვერვალიდან - ბრბოში გათქვეფას! და რას იგებ ამით? პიტერ კიტინგისთვის შოულობ დამკვეთებს?
– ოთხი უკვე ვიშოვე.
– მართალს ამბობ? აბა, ერთი მაინც გამომრჩენია. სამს ვვარაუდობდი.
– კარგი რა, ელზი შენ აქ პიტერ კიტინგზე სალაყბოდ არ მოხვიდოდი.
– არა, რაღა თქმა უნდა. მამაშენის პარტნიორია და გასაკვირია ”ფრენკონი და კიტინგის” ფირმისთვის იკლავდე თავს? შვილი მამას ეხმარება რაა აქ არაბუნებრივი? ოღონდ ხომ ჩემი შემოსვლისთანავე მიხვდი, ვისზე და რაზე მსურდა, მესაუბრა შენთან ასე არაა?
– რა მიკიბულ-მოკიბული აგიტყდა, ელზი?
– იმ შეკვეთებს ვგულისხმობ, ჰაუარდ რორკს რომ ააცალე ცხვირწინ... თუმცა ”ენრაიტ-ჰაუსის" ამბავი მაინც გაგეპარა... მოკლედ, ზავს გთავაზობ. ალიანსი შევკრათ, ასე ვთქვათ. მოგეხსენება, ალიანსის წევრები ერთმანეთს არასოდეს ენდობიან ბოლომდე, მაგრამ მათ ეს საქმიანობაში ხელს არ უშლით; სხვადასხვა საბაბი კი გვამოძრავებს, ოღონდ მიზანი მაინც ერთი გვაქვს! და მტერიც საერთო. ამიტომაც გჭირდები.
– სადღაც მართალი ხარ.
– მე უკეთ შემიძლია, გავუსწორდე მისტერ რორკს, ვიდრე შენ, მთელი შენი უაზრო წვეულებებით.
– მერე, ამით შენ რა ხეირი?
– მე ხომ შენსას არ გეკითხები!
ქალი წინ გადმოიხარა, სრულიად უმეტყველო სახით, და ჩუმად ჩაილაპარაკა:
– კარგი, მოსულა.
– ახლა მისმინე: ყოველ სტატიაში მაგ კაცის ხსენებას შეეშვი. არა, კარგად კი გამოგდის, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ზედმეტია მისი სახელი მკითხველს წარამარა არ უნდა ხვდებოდეს თვალში. მეორე: ამიერიდან ყოველ შენს წვეულებას დავესწრები, უცილობლად. ზოგიერთ რამეს შენზე უკეთ მივაწვდენ, ვისაც საჭიროა. როგორც გავიგე, ჯილბერტ კოლტონი აპირებს დიდი მშენებლობის წამოწყებას და რორკის მიწვევა გადაუწყვეტია. შანსი არ უნდა მივცეთ, ეგ შეკვეთა ჩაიგდოს ხელში.
ქალი ახლა ფანჯარასთან იდგა, გაუნძრევლად. მერე მოტრიალდა: "აქამდე რორკის წინააღმდეგ სიტყვა არსად დაგიძრავს დღეს რა

მკითხველთა ლიგა

გეტაკა?”

– ამაზე მეტი რა უნდა მექნა ელზუერთ თუის სიტყვითაც კი არსად უხსენებია ეს ამომავალი ვარსკვლავი... არც ისე პატარა ამბავია. ჯერ-ჯერობით.

დომინიკი მაგიდასთან მივიდა, სიგარეტი აიღო, მოუკიდა.

– ხომ გესმის, რაც დღეს აქ ითქვა, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ერთმა რომც ამოიღოს ხმა, მეორე უარზე დადგება და ვერც ვერაფრით დაუმტკიცებენ.. ასე რომ, შეგვიძლია, თავს ცოტა გულახდილობის ნებაც მივცეთ ასე არაა, ელზი? მითხარი, რორკის რა ჯინი გჭირს?

_ მე? ვინ თქვა, რომ მჭირს?

_ მე გეუბნები.

• • •

დრო გადიოდა და დომინიკი სულ უფრო და უფრო იოლად პოულობდა საერთო ენას საჭირო ხალხთან; ამას გარდა, რაღაც მაზოხისტურ სიამეს ჰგვრიდა ეს გამომათაყვანებელი მიღებები, უაზრო პრეზენტაციები, უნიჭო თეატრალური საღამოები, ოფიციალური სადილები... მშვიდი, მაგრამ ყოვლად უმეტყველო სახით ისმენდა არაფრისმთქმელ სიტყვებს და მოსაუბრეს საშუალებას აძლევდა, ისეთი დასკვნა გამოეტანა მსმენელის თაობაზე, როგორც ამას თავად ისურვებდა... ოღონდ როცა საშუალება მიეცემოდა ხოლმე, თავისას არ უშვებდა ხელიდან;

"ცამდე მართალი ბრძანდებით, მისტერ ჰოლტ პიტერ კიტინგი ჩვენი დროის არქიტექტორია, ამ საუკუნის ხელოვანი!"

"არავითარ შემთხვევაში, მისტერ ინსკეიპ აბა, ეს რამ გაფიქრებინათ?! თქვენ და ვიღაც რორკი... წარმოუდგენელიც კია! ახლა პერსპექტივის მისეულ აღქმასა და სიურრეალისტურ ხედვასაც თუ გავითვალისწინებთ... დიახ, მისტერ ინსკეიპ, მადლობელი ვარ, რომ შეამჩნიეთ. ან რა გამოგეპარებათ თვალები მართლა სულ ასე მიბრწყინავს ხოლმე, როცა რაიმეთი კმაყოფილი ვარ... რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, ჩვენი შეხედულებები ასე რომ ემთხვევა ერთმანეთს... თუნდაც ამ ვიღაც რორკის თაობაზე. სხვა?”

“რაო, თქვენც გაგაცნეს მისტერ რორკი და ვერაფრად გეპიტნავათ? ან რა გასაკვირია, მისის ჯოუნზ თქვენი გემოვნების ქალი და... დიახ, დიახ, სავსებით მართალი ბრძანდებით, სავსებით! თანაგრძნობა შესანიშნავი რამაა, ოღონდ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს! ან უნდა ჰქონდეს მაინც.“

ღამღამობით კი ჰაუარდს მიაკითხავდა ხოლმე. შეუთანხმებლად, გაუფრთხილებლად დაადგებოდა, თავს იცოდა, იქ იქნებოდა, მის მომლოდინე, წინააღმდეგობის გაწევის მსურველი ოღონდ ეს წინაამდეგობა თამაში იყო მხოლოდ, და დამარცხებული მუხლებზე კი არ ეცემოდა, არამედ ნებაყოფლობით ბარდებოდა ტყვედ...

აი, ლოგინში კი ეს სიყვარულის თამაში აღარ იყო, უფრო ძალადობას ჰგავდა წყლის ძალადობას კაშხლის სიმტკიცეზე, და კაცის შიშველ სხეულთან შეხებაც ტკივილს და არა ალერსს... თავად სურვილის მეტობა შობდა ტკივილის შეგრძნებას სურვილისა და სიძულვილის...

ერთხელაც, რომელიღაც მეჯლისიდან შეუარა, ზურგმოშიშვლებულ, გვერდზე გრძელჭრილიან კაბაში გამოწყობილმა, თვალი მოავლო რორკის გამოცარიელებულ, მოუვლელ, დაულაგებელ ოთახს, გრძელი ხელთათმანები წაიძრო და მაგიდაზე დაყარა ფანქრებს, საშლელებსა და ნახაზებს შორის. მერე მარგალიტის სამაჯურიც ზედ მიაყოლა, სკამზე

მკითხველთა ლიგა

წამომჯდარ რორკს მოუარა უკნიდან, მხრებზე მოხვია ხელი და ვნებიანად წასჩურჩულა:

"იცი, დღეს მისტერ საიმონზი შევიპირე ოცდათხუთმეტსართულიანი შენობის დაკვეთას მისცემს პიტერ კიტინგს... ფულზე ლაპარაკიც არაა ცალკე ანგარიშს გაუხსნის. თან სრული შემოქმედებითი თავისუფლება არავის წინაშე არ იქნება ანგარიშვალდებული!"

კაცს თავიც არ გაუტოკებია, ჩაიფხუკუნასავით თითქოს, ოღონდ ის კი იგრძნო დომინიკმა, როგორ მოუჭირა მაჯაზე ხელი. ქალმა თავი უკან გადმოუწია და ტუჩებზე დაეწაფა... უეცრად, ფანჯრის რაფაზე ""ბანერის" გადაშლილი ნომერს ჰკიდა თვალი ზედ დომინიკ ფრენკონის ხელმოწერილ სტატიაზე იყო გადაშლილი და რა ძნელი მისახვედრი იყო, რომელი ადგილი ექნებოდა ჰაუარდს გახაზული: "...მისტერ რორკი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი დროის მარკიზ დე სადია, ოღონდ არქიტექტურაში! რას ერჩი, კაცს შენება უყვარს და ამ სიყვარულის ნაყოფიც, შეიძლება ითქვას, აშკარაა..."

იცოდა, როგორ არ იცოდა, რომ ჰაუარდი დასანახად ვერ იტანდა ამ გაზეთს, რომ მხოლოდ მისთვის შეიძინა, გადაშალა და თვალში საცემ ადგილასაც დადო; ახლა კი ღიმილით აკვირდებოდა ქალის რეაქციას. დომინიკს ერჩია, გაცოფებისგან დაფლეთილი ენახა ყოველი ნომერი, სადაც მისი სტატია იქნებოდა დაბეჭდილი.

მერე გვერდიგვერდ იწვნენ და დომინიკი გუაშით დასვრილ, გრძელ, ჩამოქნილ თითებზე ეთამაშებოდა. უცბად ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

„ კოლტონის შეკვეთა მართლა ასე მნიშვნელოვანი ამბავი იყო შენთვის?"

„ კი, ძალიან. – ისე, უბრალოდ თქვა, არც ჩაუცინია და არც ტკივილი გარევია ხმაში. ქალმა თითებზე მოუჭირა ხელი, მერე ტუჩებთან მიიტანა და დიდხანს ეჭირა ასე...

ერთხელაც, მასთან რომ მივიდა, რორკი მაგიდასთან მჯდომარე დახვდა, მუშაობდა. "ცოტა ხანი მაცალე, ამას უნდა მოვრჩე." – უთხრა და ისევ რაღაც ნახაზებში ჩარგო თავი. ლოდინი დიდხანს დასჭირდა; ოთახის კუთხეში, სავარძელში იჯდა ფეხმორთხმული და უყურებდა, როგორ მუშაობდა რორკი არა შთაგონებული ხელოვანივით, არამედ სწორედ ისე, როგორიც გრანიტის სამტეხლოში ახსოვდა: მუშა კაცი, დაძარღვულხელებიანი, მოთხვრილი, ბერის ასკეტური გამოხედვით.

ყველგან, სალონებსა თუ რესტორნებში, "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის" ოფისებსა თუ ნებისმიერ გამოფენაზე, ხალხი უკვ ე "ბანერის" მიმომხილველის, დომინიკ ფრენკონისა და იმ უცნაური ვინმე ჰაუარდ რორკის გაარჯლებულ მტრობაზე ჭორაობით ირთობდა თავს. ამის წყალობით თავად რორკიც უკვე რაღაც სკანდალურ სახელს იძენდა – ყოველ შემთხვევაში, მასზე მაინც მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ნებისმიერ სხვაზე: "ვინა? აი, ის არქიტექტორი, ფრენკონის ქალიშვილი რომ დასანახად ვერ იტანს?"

"არა, რაც მართალი მართალია დომინიკს არქიტექტურისა არ ესწავლება და თუ ამას წერს, ესე იგი, მართლაც ეგეთ რამეებს ხაზავს ის დამთხვეული..."

"არადა, არავითარი პირადი ანგარიშსწორება დანამდვილებით ვიცი, ერთმანეთი თვალითაც არ უნახავთ!"

ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, თვით ეთელსტან ბიზლის წასცდა ერთ-ერთ თავის მიმოხილვაში: "...შუა საუკუნეების მრუმე ნაგებობათა ხასიათს რომ ჩავწვდეთ, კარგად უნდა გვახსოვდეს ფეოდალ თავადთა შორის შუღლი და ჯახი დაუნდობელი რამ იყო დაახლოებით ისეთი, დომინიკ ფრენკონსა და ჰაუარდ რორკს შორის რომაა ატეხილი..."

მკითხველთა ლიგა

ერთხელაც, ოსტინ ჰელერმა უთხრა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა თუ რევერანსების გარეშე: "აზრზე თუ ხარ მაინც, რას აკეთებ? ეგეთი რამე რომ უნდოდეს, ამას შენზე უკეთ ელზუერთ თუი გააკეთებდა! იმას სინდისია თუ რაღაცა, მაინც ჰყოფნის და თუ საქებარ სიტყვას არ იმეტებს, ხმას მაინც არ იღებს საერთოდ! შენ კიდევ რამ გაგაკაპასა?! ქუჩის ქალივით იქცევი!"

– რა იცი, რომ არა ვარ?

ბოლოს კი როჯერ ენრაიტი მოადგა კარზე და სალამიც არ უთქვამს, ისე განუცხადა: "წამო, შენი თვალით მინდა, რომ ნახო."

– დილა მშვიდობისა, როჯერ... არა, მაინც რა უნდა მანახო ასეთი?

– "ენრაიტ-ჰაუსი". ყოველ შემთხვევაში, რისი აშენებაც უკვე მოესწრო.

– რა სალაპარაკოა, როჯერ, დიდი სიამოვნებით! მაინც, რას აპირებ? ჩემი მოქრთამვა გადაგიწყვეტია?

ხმაც არ გაუცია, მხოლოდ მანქანაში უთხრა: "მტერი როცა ილანძღება ეგ არაფერი; თუ რეგვენი გლანძღავს შენთვის უკეთესი; მაგრამ როცა გააზრებულად გლანძღავს ვინმე მაშინ არის ეს დასაფიქრებელი ამბავი... აი, ეხლა ერთად ვნახავთ და იქნებ საკუთარ აზრზეც დარჩე, ვინ გიშლის ოღონდ მერე რასაც დაწერ, ის არც სიშტერე იქნება და არც სირეგვნე..."

"ზედმეტ პატივს მდებ, როჯერ ამდენ ქათინაურსაც არ ველოდი შენგან..." – ქალმა მხრები აიჩეჩა და მეტი სიტყვა აღარ დაუძრავს არც ერთს.

მშენებლობა ფიცრების მაღალი თეჯირით იყო შემოსაზღვრული და სამშენებლო ფართზე სამუშაოები წუთითაც არ წყდებოდა. დომინიკი სუნთქვაშეკრული გასცქეროდა შენობის ჯერ კიდევ შიშველ, ფუტურო ჩონჩხს, რომლის კონსტრუქციის სირთულე კიდევ უფრო თვალში საცემი ხდებოდა კრიალა ცის ფონზე.

"მნახველებს სალამი!" – დაბალი, ხეშეში ხმა გაისმა ზურგს უკან.

ქალს რორკის მოახლოება არ გაუგია, მაგრამ არც მისი გამოჩენა გაჰკვირვებია ან სხვა სად უნდა ყოფილიყო, თუ არა საკუთარი პირმშოს სამეთვალყურეოდ... იქ იდგა, როგორც ყოველთვის უქუდოდ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

- მის ფრენკონი, გაიცანით ესაა სწორედ ჰაუარდ რორკი. – წარუდგინა ენრაიტმა.

– ვიცი. უკვე შევხვედრივართ ერთმანეთს. ჰოლქომბებთან, თუ გახსოვთ.

– რა თქმა უნდა, მახსოვს, მის ფრენკონ.

– მინდოდა, თავად ენახა ყველაფერი. – სიტყვა ჩააგდო ენრაიტმა.

– გნებავთ, მეგზურობა გაგიწიოთ?

– მადლობელი დაგრჩებოდით, – ამჯერად დომინიკმა დაასწრო პასუხი ენრაიტს.

სამივენი კონსტრუქციის შიგნით შევიდნენ და მუშებიც გასაგები ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ ახალგაზრდა, აშკარად მაღალი წრის
ქალბატონს. რორკი მშვიდად უხსნიდა ლიფტების მუშაობის სისტემას, ბინების გათბობის ცალ-ცალკე გაყვანილობის პრინციპს, გაჭრილი ფანჯრების საერთო ფართის შესაბამისობას ისე ელაპარაკებოდა, როგორც დამკვეთის მოგზავნილ ზედამხედველს. არც დომინიკი დარჩენილა ვალში და წვრილად გამოჰკითხა დახარჯული ლითონის საერთო წონისა თუ მოხმარებული ცემენტის მარკის არჩევანის თაობაზე... ბოლოს ისევ ენრაიტმა ვეღარ მოითმინა: "მოკლედ, საქმე წინ მიდის, ჰაუარდ? რორკი შეჩერდა, მიუტრიალდა და ღიმილით დაუდასტურა:

მკითხველთა ლიგა

"ფაქტობრივად, ორი დღის წინსწრებით“ მერე უკვე ერთმანეთში გააბეს საუბარი, ოღონდ ირგვლივ მანქანების ხმაურსა და ქარში დომინიკს მათი უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა.

– ხომ არ დაიღალეთ, მის ფრენკონ? – მოულოდნელად დაეკითხა რორკი.

– სრულიადაც არა! ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობდი, ამ ხარიხების დასამოქლონებლად რა შემადგენლობის გამოყენებას აპირებთ, მისტერ რორკ?

სულ რამდენიმე დღის მერე, მაგიდის კიდეზე დაუდევრად შემომჯდარი დომინიკი საკუთარი სტატიიდან ამონარიდს უკითხავდა:

"..როგორც იქნა, მეღირსა, ”ენრაიტ-ჰაუსის” მშენებლობას დავსწრებოდი. იმედი მაქვს, თუკი მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, პირველივე ყუმბარა სწორედ მას დაეცემა და მისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს. Voila un belle mort! აბა, ის ჯობია, სიბერისგან დაჩაჩანაკებული, საკუთარი სიბერით მოკვდეს – ბათქაშდამსკდარი, გრაფიტის წარწერებით აჭრელებული კედლებით, ჭრიალა, საფეხურამოყრილი და მოაჯირმოყანყალებული კიბეებით, ნადები სმოგით ფერგადასული? მე თუ მკითხავთ, ასეთ სახლში არავინ არ უნდა ცხოვრობდეს..."

რორკი მიუახლოვდა, უკნიდან მოხვია ხელები, ტანზე აიკრა... მერე გაზეთს დახედა და ღიმილით თქვა: "როჯერი კინაღამ გადაირია.”

– რა, მართლა წაიკითხა თუ?

– სწორედ მის ოფისში ვიყავი, კითხვას რომ მორჩა. ჯერ უშვერი სიტყვებით გლანძღავდა, მერე უცბად, სიტყვა გაუწყდა და მე მომაჩერდა... დაიცაო, მითხრა ენადაბორკილმა, მერე ისევ გადაიკითხა, ამომხედა და მეორე მხრივ, თუ სხვა კუთხით შევხედავთ... არადა, კაცმა რომ თქვას... მოკლედ, თავი ბოლოს ვეღარ მიაბა.

– მერე?

– მერე არაფერი. ოღონდ როდემდე აპირებ ასე? ბოლოს ვიღაცა მაინც მიგიხვდება.

– მაინც, ვინაა ეგ ვიღაცა?

– დაიცა რა! მე პირველივე სტატიიდან მივხვდი ყველაფერს...

– მერე? დიდი-დიდი, ელზუერთ თუიც მიმიხვდეს, სხვა ვინ?

ერთი რამ კი მართლა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა დომინიკს როცა მასპინძლის დაუდევრობით, ერთსა და იმავე მიღებაზე ის და რორკი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მიწვეულნი. მაშინ უნდა გენახათ ფარული დაძაბულობა დარბაზში და მითქმა-მოთქმა მის, ასე ვთქვათ, კულისებში... ისინი კიდევ არაფერს იმჩნევდნენ და თუკი პირისპირ შეეჩეხებოდნენ, ოდნავი თავის დაკვრით, სრულიად ბუნებრივად ესალმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

• • •

პიტერ კიტინგი გაოგნებული იყო: დომინიკ ფრენკონის ეს მოულოდნელი მფარველობა საამაყოც იყო მისთვის და დიდად სარფიანიც; გარშემოც ყველა ამას უჩიჩინებდა, ოღონდ ხანდახან ვერც ამაყად ეჭირა თავი და ასე იოლად, სხვისი ხელით ნაშოვნი შეკვეთებიც აეჭვებდა რატომღაც. ახლა გაი ფრენკონსაც გაურბოდა. რას შვები, როგორ ხარ? – ჰკითხავდა ის და შეუჩერებლად მიაყოლებდა ხოლმე მთელ ტირადას: "გეუბნები, შენზე გიჟდება! არა, მე შენ გეტყვი და, წარმოიდგენდა ვინმე, რომ დომინიკი... ერთი ხუთი წლის წინ რომ წამოეწყო ეს საქმე, მილიონერს გამხდიდა! მაგრამ სად მამის პატივისცემა და სად... ხომ გესმის?”

მკითხველთა ლიგა

პიტერი ერთს კი გაიბრძოლებდა შიგადაშიგ დაიცა, გაი... ჯერ რა დროს... მაგრამ გაი ფრენკონის გაჩერება ასე ადვილი არ იყო: "ვიცი, ვიცი! აჩქარება არ გვარგებს. ოღონდ, entre nous, რა არის აქ დასამალი?! ფაქტობრივად, დანიშნულები ხართ და ეგაა!" მერე უცბად დასერიოზულდებოდა ხოლმე და მართლაც რომ ღირსეული, ასაკოვანი კაცის გამომეტყველებას იღებდა: "რა გითხრა, იცი ყოველთვის მინდოდა, ეს ამბავი დროზე მომხდარიყო... ბოლოს და ბოლოს, მართლა ასე კი არაა საქმე დომინიკი ყოველთვის მიყვარდა, უბრალოდ, ბოლომდე ვერ ვეწყობოდით ერთმანეთს. ახლა კი მშვიდად ვიქნები საიმედო ხელში ვტოვებ მასაც და ჩემი სიკვდილის მერე ბევრ სხვა რამესაც..."

კიტინგსაც რა ექნა ხომ ვერ ეტყოდა, გამირბის, თვეობით ვერ ვნახულობ შენს ქალიშვილსო... მერე დომინიკთან თავისი ბოლო საუბარი გაახსენდა, ტაქსიში ქალის შეურაცხმყოფელი გულგრილობა, მისი პიროვნების ყოველგვარ ემოციას მოკლებული იგნორირება და ახლა, სრულიად მოულოდნელად ასეთი გაუგებარი მხარდაჭერა, ქებათა-ქება, ლამის პრესაგენტად ქცევა... სწორედ ეგ იყო, რისი ახსნაც ვერაფრით მოეხერხებინა.

კაცმა რომ თქვას, ნახვით არც ისე იშვიათად ნახულობდა ყველგან, სადაც კი მიიპატიჟებდნენ, დომინიკ ფრენკონიც იქვე გაჩნდებოდა ხოლმე და ხან ერთ პერსპექტიულ დამკვეთთან წარადგენდა და ხან მეორესთან; მუდამ ხელკავით დაატარებდა აქეთ-იქით, თითქოსდა ყურადღებით უსმენდა მის ნაუბარს და თავადაც შანსს არ უშვებდა ხელიდან, "კოსმოსლოტნიკ ბილდინგზე" ჩამოეგდო სიტყვა; მხოლოდ სალაპარაკოდ ვერ მოიხელთა ვერც ერთხელ. მწარედ გაჰკრა გულში ალბათ ერთადერთი კაცი ვარ მთელ ნიუ-იორკში, ვინც იმის მტკიცებას მოჰყვებოდა, დომინიკ ფრენკონი სულაც არ გიჟდება პიტერ კიტინგზეო...

იმასაც გრძნობდა, რომ რაღაც მყიფე იყო ეს მდგომარეობა და, ასე ვთქვათ, "ნავის შერყევასაც" ერიდებოდა: თავდაჭერილად იქცეოდა და მხოლოდ ყვავილებს უგზავნიდა დროდადრო.

ერთხელაც სრულიად შემთხვევით შეხვდა რომელიღაც რესტორანში. დომინიკი მარტოდმარტო საუზმობდა და ვეღარ მოითმინა, ძველი კარგი მეგობრის იერით მიეახლა, ჩამოუჯდა, ზრდილობიანი კითხვა-პასუხის შემდეგ ჯიქურ ჰკითხა: "მაინც რატომ გაბირბიხარ, დომინიკ? დაგიშავე რამე?"

– ეგღა მაკლდა, შენ დამიშავო რამე!

– კი, მაგრამ... – ლამის ამდენი ხნის დაგროვილი ბრაზი და წყენა ერთად გადმოანთხია, მაგრამ დროზე იკბინა ენაზე, – იმის საშუალება მაინც მომეცი, რითიმე გადაგიხადო მადლობა!

– ეგ უკვე გააკეთე. ბევრჯერ.

– და არც არაფრის ახსნას არ აპირებ?

– არა. რასაც შოულობ, იმით დაკმაყოფილდი.

– ხანდახან რა უხეში ხარ, დომინიკ!

– თუ გინდა, სულაც შევწყვეტ ამ თამაშს.

– კარგი რა, დომინიკ! ეგ რამ გაფიქრებინა...

– ესე იგი, ამ მხრივ მაინც გავერკვიეთ. კიდევ გაწუხებს რამე?

– არც უნდა მაწუხებდეს?! იმდენ რამეს აკეთებ ჩემთვის და მაინც, ისეთი გაუცხოების გრძნობა მრჩება, მადლობის თქმაც ვეღარ მომიხერხებია!

– კარგი ერთი, რა გაქვს ამდენი სამადლობელი? მარტო შენთვის ხომ არ ვაკეთებ?

– რას გეტყვი, იცი თავი არასოდეს მომიტყუებია, გენიოსი ვარ- მეთქი

მკითხველთა ლიგა

და უცბად ეს შენი ქცევა... სიმართლე მითხარი, მართლა დიდ არქიტექტორად მიგაჩნივარ? ყველაფერ ამას მართლა გულწრფელად ამბობ და წერ?

– ხალხზე კი ჭრის და...

– მერე?

– რა მერე? რაც შენზე მოთხოვნაა, მეტი რაღა მტკიცება გინდა?

– შენგან მინდა, გავიგონო თუნდაც ერთხელ.

– კარგი, გეტყვი: ამ დღეებში ვინმე მისის ლონსდეილი დაგიკავშირდება – მშრალი კანონის თავგადადებული მომხრეა, ძაღლებზე გიჟდება, ვერ იტანს მწეველ ქალებს და სულთა გადასახლების სწამს... მოკლედ, ქ-ნ პარდის რომ აუშენა სახლი ჰოლქომბმა, ის ვერ მოუნელებია და ახლა უნდა, თვალი დაუყენოს. შენ მხოლოდ ის მოგეთხოვება, კარგად აუხსნა, რომ ჰოლქომბის ნამოღვაწარისგან განსხვავებით, ჭეშმარიტი სისადავე ფასდაუდებელი რამაა და, შესაბამისად, უფრო ძვირიც ჯდება! დეტალებზეც ნუ დაგეზარება ენის აქაფება თავი დიდ მცოდნედ მოაქვს და ეამება... აბა, შენ იცი!

რაღა დარჩენოდა დიდად კმაყოფილი გაეცალა და ისიც კი გაიფიქრა, რომ ძალიანაც კარგი იყო, დომინიკი თუ სულ მის გვერდით ყოფნას არ სთხოვდა.

სამაგიეროდ, თუის ამ ახალ გასართობს "ამერიკის მშენებელთა საბჭოს” სხდომებს არ აცდენდა. სიმართლე ითქვას, აზრზეც არ იყო, რა იზიდავდა იქ, მაგრამ სიამოვნებდა და რატომ უნდა გამოჰკლებოდა? საბჭო ერთ დიდ დარბაზში იკრიბებოდა ხოლმე, უესტ-საიდზე. ვიწრო, დახვეული კიბით უნდა მოხვედრილიყავი იქ და არც თავად დარბაზი გამოირჩეოდა კეთილმოწყობით: დასაკეცი სკამების რამდენიმე რიგი, პატარა მოგრძო მაგიდა თავმჯდომარისა და სიტყვით გამომსვლელთათვის, და ერთიც, ქაღალდების ჩასაყრელი ყუთი...

"რა დაგრჩენია მაგ მასხარებთან?” – ჰკითხა კიდეც გაი ფრენკონმა, “ამერიკის არქიტექტორთა გილდიის” მდიდრულად გაწყობილ ფოიეში რომ აბოლებდა მანილას. "ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიცოდე!” – მხიარულად გაეპასუხა კიტინგი, – "ვერთობი..."

ელზუერთ თუიც მუდამ ესწრებოდა საბჭოს შეხვედრებს,ოღონდ სიტყვით არასოდეს გამოსულა. ერთხელ ეგ და პიტერი ერთად მიუყვებოდნენ უესტ -საიდის ჩაბნელებულ ქუჩებს და რომელიღაც შეუხედავი კაფეს წინ შეყოვნდნენ. "ცხელი ყავა მოგვიხდებოდა." – ბრძანა უცებ მისტერ თუიმ. "სად, ამ მიგდებულში?!” – ალალად გაიკვირვა პიტერმა: ფეშენებელურ რესტორნებში გაშინაურებული მეტრისგან ამას ნამდვილად აღარ მოელოდა. "რატომაც არა?” – უკან აღარ დაიხია იმანაც, - "აქ ნაღდად ვერავინ გვიცნობს და ვერც მოგვეტმასნება ვინმე."

მერე თავისი ეგვიპტური სიგარეტი გააბოლა, კოკა და ყველის სენდვიჩი შეუკვეთა და შეკვეთის მომლოდინემ, პიტერს რაღაც სრულიად უმნიშვნელო რამეზე გაუბა საუბარი. ოღონდ საქმეც ეგ იყო, ისე ლაპარაკობდა, კიტინგმა უნებლიეთ თავი ადამად წარმოიდგინა, ღმერთი რომ უხმობდა ბუჩქებიდან...

"სიკეთე, პიტერ ესაა მთავარი. უპირველესი და, იქნებ, ერთადერთი მცნებაც, რომელსაც ვიზიარებ... უნდა მივირქვათ და შევუნდოთ_ ყველას ირგვლივ, რადგან ჩვენ თავადაც გვაქვს შენდობა სათხოვარი! მოყვასის ნაკლიც უნდა გიყვარდეს, პიტერ და შენს ნაკლოვანებასაც ვეღარავინ შეამჩნევს... მაშინღა გვეღირსება ახალი სამყარო, მართლა მშვენიერი ახალი სამყარო..."

მკითხველთა ლიგა

ელზუერთ მონკტონ თუი შვიდი წლის იყო, საკუთარი საკუთარი სახლის წინ მდელოს რომ რწყავდა და სწორედ ამ დროს ქუჩაში მიმავალი,საუკეთესო საკვირაო კოსტიუმში გამოწყობილი ჯონი სთოუქსი თავფეხიანად გაწუწა. ჯონი, ხელმოკლე დედის შვილი, წელიწად-ნახევარი ელოდებოდა ამ ახალ კოსტიუმს. ელზუერთი არც გაქცეულა და არც დამალულა, რაც ჩაიდინა, ღიად და დაუფარავად ჩაიდინა, შეგნებულად და მიზანმიმართულად: ონკანთან მივიდა, ბოლომდე გახსნა, შუა მდელოზე გაჩერდა და შლანგი პირდაპირ, დამიზნებით მიუშვირა ჯონის, არადა, იმას უკან ფეხდაფეხ დედამისიც მოჰყვებოდა, სახლის პარმაღზე კი თვითონ
ელზუერთის მშობლები და სტუმრად მოსული მღვდელი ისხდნენ და ყველაფერს მშვენივრად ხედავდნენ. ჯონი სთოუქსი გამორჩეულად გონებაგახსნილი, სანდომიანი, ოქროსფერკულულებიანი ბიჭი იყო; ქუჩაში ისე ვერ გაივლიდა, დიდს თუ პატარას თვალი არ გაეყოლებინა. აი, ელზუერთ თუისთვის კი არასოდეს არავის გაუყოლებია თვალი...

უფროსები ისე გაოცდნენ და დაიბნენ, დიდხანს არ მოსვლიათ აზრად, ელზუერთი გაეჩერებინათ. ისიც გაჯგიმული იდგა, ახტუნავებული შლანგის რკინის ბუნიკი მაგრად ჩაებღუჯა და სანამ ბოლომდე არ იჯერა გული, მსხვერპლისთვის ჭავლი არ მოუშორებია; მერეღა უშვა შლანგს ხელი, თვითონ კი ორი ნაბიჯით დაიხია უკან, პარმაღისკენ, იქ გაჩერდა და ამაყად თავაწეული, გარდაუვალი სასჯელის უდრტვინველად მისაღებად მოემზადა. სასჯელი, უპირველეს ყოვლისა, ჯონისგან
იყო მოსალოდნელი, თუმცა ის მისის სთოუქსმა შეაჩერა დროზევე. ელზუერთს მათკენ არც გაუხედავს, საკუთარ დედ-მამას და მღვდელს გაუსწორა თვალი და დინჯად, მკაფიოდ განაცხადა: ეს თქვენი ჯონი ერთი ჩვეულებრივი ვირია. სკოლაში ყველას თავში უბარტყუნებს." სხვათა შორის, სრულ სიმართლეს ამბობდა.

დასჯის საკითხი ეთიკურ პრობლემად იქცა. ელზუერთის დასჯა, მისი სუსტი აღნაგობისა და ჯანმრთელობის გამო, ისედაც საჩოთირო ამბავი იყო; ეგეც რომ არა, მთლად სამართლიანი არ ჩანდა იმ ბიჭის გამტყუნება, ვინც ასე აშკარად და თამამად აუმხედრდა ძალადობას, იქნებ თავიც კი გადადო საამისოდ და საკუთარი ფიზიკური უძლურება არც კი გახსენებია, მოკლედ, მის ქმედებაში მარტვილობის ელემენტი აშკარად შეინიშნებოდა, ცხადია, თვითონ მსგავსი მოსაზრებებით არ უცდია ჩადენილის ახსნა, საერთოდ აღარც უთქვამს არაფერი, ახსნით ყველაფერი დედამისმა ახსნა ასე. პრინციპში, მღვდელიც დაახლოებით იმავე აზრისა იყო. ამიტომაც, საქმე იმით დამთავრდა, რომ ელზუერთი საკუთარ ოთახში გაამწესეს და იმ საღამოს უვახშმოდ დატოვეს. არც დაუჩივლია, არც უკმაყოფილება გამოუთქვამს უსიტყვოდ დაემორჩილა ბედს და არც იმ საჭმლისთვის დაუკარებია პირი, დედამ ქმრისგან მალულად რომ აუტანა ოთახში, გვიან ღამით. მისტერ თუი დაჟინებით სთხოვდა მისის სთოუქსს, მოყენებული ზარალის ანაზღაურების ნება მომეცითო და ამაში არც მისის თუი შეწინააღმდეგებია, თუმცა კი დასანახად ვერ იტანდა ჯონის დედას.

ელზუერთის მამა ფეხსაცმლის მაღაზიების სრულიად ამერიკის ქსელის ბოსტონის ფილიალს განაგებდა. არცთუ ურიგო შემოსავალი და არცთუ ურიგო, კოხტა სახლი ჰქონდა ქალაქის ერთ-ერთ, არაფრით გამორჩეულ გარეუბანში. მხოლოდ ერთი დარდი უღრღნიდა გულს - საკუთარი, კერძო ბიზნესი გადაჰქცეოდა აუხდენელ ნატვრად. თუმცა ბუნებით წყნარი,

მკითხველთა ლიგა

მორიდებული, ცოტა უფანტაზიო კაცი იყო და ადრეული ქორწინების მერე, ამბიციებზე საერთოდ მოუწია ხელის ჩაქნევა.

რაც ელზუერთის დედას შეეხება, ამ გამხდარმა, მოუსვენარმა ქალმა მოახერხა და ცხრა წელიწადში ხუთი სხვადასხვა აღმსარებლობა გამოიცვალა; ნაზი ნაკვთები ჰქონდა, აი, ისეთი, ცხოვრების რამდენიმე წელიწადი ლამაზ გოგოდაც კი რომ ითვლებოდა, მაგრამ მერე მინდვრის ყვავილივით უცებვე დაჭკნა და გაუფერულდა. ელზუერთს აღმერთებდა. ჰელენი, ელზურთის ხუთი წლით უფროსი და, გულკეთილი, მორიდებული გოგო იყო, ლამაზი არა, მაგრამ სანდომიანი და ჯანმრთელი; არასოდეს ზედმეტი თავსატეხი არ გაუჩენია მშობლებისთვის; აი, ელზუერთს კი დაბადებიდანვე სუსტი ჯანმრთელობა დაჰყვა. დედამ იმ წუთიდანვე გაიხადა კერპად, რაც ექიმმა პირდაპირ უთხრა შეიძლება, ვერც იცოცხლოსო. ამ სიტყვებმა ქალს არაჩვეულებრივი სულიერი ძალა და სიმტკიცე შესძინა და დედისთვისაც კი გასოცარი სიყვარულით, ლამის ფანატიკური თავგანწირვით შეაყვარა ეს შეუხედავი, უძლური და უმწეო არსება, ხორცის გალურჯებული პაწია ნაჭერი. ის კი არა, ცოტა ნირიც წაუხდა, როცა ბიჭი წამოიზარდა და მართლა ხეიბარი და დავრდომილი არ შერჩა ხელთ. ჰელენს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა: მისი სიყვარული ხომ არანაირ მარტვილობას არ მოითხოვდა...

მისტერ თუი კი, მისთვისაც აუხსნელი მიზეზების გამო, ვაჟით მაინცდამაინც კმაყოფილი არასდროს ყოფილა. თუმცა, ელზუერთი ოჯახში მაინც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა: ამაზე მშობლები იმთავითვე, უსიტყვოდ შეთანხმდნენ, ოღონდ მამამისს მაინც ვერ გაეგო, ასე მორჩილად რატომ შეეგუა ამ ვითარებას.

საღამოობით, როცა მთელი ოჯახი სასტუმრო ოთახში, ლამპის ირგვლივ მოიყრიდა თავს, მისის თუი დაძაბული, გამომწვევი, ბრაზიანი და წინდაწინვე გაბუტული ხმით წამოიწყებდა ხოლმე: ”ჰორეს, ველოსიპედი გვჭირდება. ელზუერთისთვის. მაგის ტოლები ყველანი ველოსიპედებით დაქრიან, უილი ლოვეტისთვის ლამის ყოველ კვირაში ახალს ყიდულობს მამამისი. ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ?”

"ახლა არა, რა, მერი,” – ეპასუხებოდა ქმარი, – "იქნებ, გაისად ვუყიდოთ, ზაფხულში... შენც ხომ იცი..."

მისის თუი უკან არ იხევდა, ეკამათებოდა, ლამის კივილამდე უწევდა ხმას.

"დედა, რატომ ბრაზობ?” – ჩაერეოდა ხოლმე საუბარში ელზუერთიც, მშვიდად, წყნარად, აუღელვებლად, არადა, მისი სიმშვიდე მაშინვე გადამდებად მოქმედებდა მშობლებზე და მყისვე აწყნარებდა მათ, – ”ოჯახში ველოსიპედზე მეტად ბევრი სხვა რამე გვჭირდება. უილი ლოვეტს რას უყურებ? ვერ ვიტან უილის. მამამისსაც საკუთარი მაღაზია აქვს, ველოსიპედი გაუჭირდება?! კისერიც უტეხიათ. არ მინდა ველოსიპედი."

გულით ამბობდა, არ თვალთმაქცობდა, მართლა არაფრად სჭირდებოდა. არადა, მამა უცნაურად შეხედავდა ხოლმე, ვერაფრით მიმხვდარიყო, ბიჭს ასე რა ალაპარაკებდა. მიაჩერდებოდა იმისი პატარა სათვალის შუშებს და ცდილობდა, რამე ამოეკითხა შვილის უტყვ თვალებში, მაგრამ იქ ვერც სითბოს ხედავდა, ვერც საყვედურს, ვერც ეშმაკობას, საერთოდ ვერაფერს. გრძნობდა, გაგებისთვის შვილის მადლიერი უნდა ყოფილიყო, ოღონდ ლოვეტების საკუთარი მაღაზიის ხსენება მაინც ეკლად ესობოდა გულზე.

მოკლედ, ელზუერთი ველოსიპედს ვერ ეღირსა, მაგრამ შინ მუდამ ყურადღებით კი იყო გარემოცული: მზრუნველი, აფორიაქებული, თითქოს მის წინაშე რაღაცაში დამნაშავე დედა სინაზეს არ აკლებდა; მამა, თუმცა

მკითხველთა ლიგა

ეჭვის თვალით უცქერდა, თვითონვე გრძნობდა ამის გამო უხერხულობას. ის კი არა, ვაჟიშვილთან ერთი-ერთზე დარჩენას და საუბარს ყველაფერი ერჩია და ეს სულელური შიში თავგზას უბნევდა და აცოფებდა.

”ჰორეს, ახალი პიჯაკი გვჭირდება ელზუერთისთვის. ამ დილით დავინახე ვიტრინაში... “

"დედა, მე ოთხი პიჯაკი უკვე მაქვს, მეტი რაღად მინდა? სულელ პეტ ნუნანს ხომ არ დავემსგავსები, ყოველდღე ახალ-ახალს რომ იცვლის. იმისგან გასაგებია მამამისი სანაყინის პატრონია. მე გოგოსავით ვერ გავიპრანჭები...

ჩემს ელზუერთს ნამდვილად წმინდანად შერაცხავენო, – ფიქრობდა ხანდახან ბედნიერი და თან შეშინებული მისის თუი; მატერიალური არაფერი აინტერესებს, ნივთები საერთოდ არ არსებობს ამ ბიჭისთვისო, და არც ცდებოდა: ელზუერთი ყოველივე მატერიალურს საერთოდ არად აგდებდ,

გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭი იყო, მუდმივად კუჭი აწუხებდა და დედამისიც ერთთავად მის დიეტაზე ზრუნავდა. ყველაფერთან ერთად ხშირადაც ცივდებოდა. არადა, სუსტი აღნაგობის მიუხედავად, გასაოცრად მჟღერი ხმით გამოირჩეოდა. გუნდში მღეროდა და ბადალიც არავინ ჰყავდა ამ საქმეში. სკოლაშიც სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა. ყოველთვის ყველა გაკვეთილი იცოდა, სახელმძღვანელოები მოვლილი, ფრჩხილები კი სულ დაკრიალებული ჰქონდა, საკვირაო სკოლას არასდროს აცდენდა და სპორტს კითხვა ერჩია სპორტსმენობით ნამდვილად ვერავის გააკვირვებდა. მათემატიკაში არ ბრწყინავდა არც უყვარდა მაინცდამაინც თუმცა საუკეთესო იყო ისტორიაში, ინგლისურში, სამოქალაქო უფლებებში და მართლწერაში; მოგვიანებით, ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაშიც.

სწავლობდა ბეჯითად და კეთილსინდისიერად. არაფრით ჰგავდა ჯონი სთოუქს, რომელიც კლასში მასწავლებელს არ უსმენდა, შინ წიგნს არ გადაშლიდა და მაინც ყველაფერი ლამის იქამდეც იცოდა, ვიდრე მასწავლებელი ახსნას დაიწყებდა. ცოდნაც თავისთავად ეძლეოდა, როგორც სხვა დანარჩენი: პატარა, ღონიერი მუშტები, ჯანმრთელი სხეული, ლამაზი სახე, უსაზღვრო ენერგია. თუმცა, ჯონი მაინც უფრო უცნაურობითა და მოულოდნელობებით აოცებდა ყველას; ელზუერთი მოულოდნელობებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დადგენილსა და აუცილებელს კი მართლა ნებისმიერზე უკეთ ართმევდა თავს: როცა საქმე თხზულების დაწერაზე მიდგებოდა, ჯონი მთელ კლასს პირდაღებულს ტოვებდა სტილისტური ბრწყინვალებითა თუ თამამი, გამომწვევი აზრების ფეიერვერკით. როცა სავალდებულო თემად „ სკოლის წლები ეს ოქროს ხანა” შესთავაზეს, ჯონიმ უნიჭიერესი ესე დაწერა იმის თაობაზე, როგორ სძულდა სკოლა და არც საამისო მიზეზები დაუმალავს. აი, ელზუერთმა კი სკოლაში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს თეთრი ლექსი უძღვნა და მისი ოპუსი მერე ადგილობრივმა გაზეთმაც გადაბეჭდა საკუთარ ფურცლებზე.

ამას გარდა, ელზუერთი სახელებისა და თარიღების ცოდნითაც სჯობნიდა ჯონის: მისი მახსოვრობა ჯერ გაუმშრალი ცემენტივით იკრავდა და იწებებდა ყველაფერს და მერე იქიდან ძალაყინითაც ვეღარ ამოამტვრევდი დამახსოვრებულს. მოკლედ, ჯონი უფრო მჩქეფარე გეიზერი იყო, ელზუერთი კი ღრუბელი.

თანატოლები "ელზის" ეძახდნენ. როგორც წესი, არავინ ერჩოდა, ის კი არა, ერიდებოდნენ კიდეც, მასთან საერთო ენის გამონახვა უჭირდათ, მაგრამ ბოლომდე ურთიერთობას არ წყვეტდნენ: ძნელი დავალების

მკითხველთა ლიგა

შესრულებაში თუიზე უკეთეს დამხმარეს ვერ ინატრებდი, არადა, თან ისეთი მწარე ენა ჰქონდა, ისეთი მეტსახელის შერქმევა იცოდა, მთელი ცხოვრება ვეღარ მოიშორებდი. ხატვაც ეხერხებოდა და სკოლის მესერიც ააჭრელა კლასელების შარჟებით; ერთი შეხედვით, ნამდვილ ქალაჩუნას ჩამოჰგავდა, მაგრამ ქალაჩუნობასაც ვერ დასწამებდი. უკიდურესი თვითრწმენით გამოირჩეოდა და პირში რამის თქმაც არ უჭირდა. არავის და არაფერს ეპუებოდა. პირდაპირ, ჯიქურ მიადგებოდა ხოლმე თავისზე ღონიერ ბიჭებს და ყვირილით კი არა, მშვიდად, აუღელვებლად აღელვებული ელზუერთ თუი საერთოდ არც უნახავს ვინმეს მიახლიდა, ვისზეც რას ფიქრობდა; თან ისეთი ხმით დაეჯილდოებინა ბუნებას, იმისი ჩუმად ნათქვამიც ზარივით რეკდა: ჯონი სთოუქსს ნიფხავგამოხეულს ეძახდა, უილი ლოპეტს ქლიავს, პეტ ნუნანს კოპწიას... არადა, თითსაც არავინ აკარებდა, ჯონიც კი იკავებდა თავს, ელზუერთის სათვალის გამო...

არც ფეხბურთი უთამაშია როდისმე, არც კალათბურთი და არც ბეისბოლი, ოღონდ ამით კი არ იტანჯებოდა, კი არ რცხვენოდა სხვა ფიზიკურად სუსტი ან მოუქნელი ბიჭებივით, პირიქით ამაყობდა კიდეც. ზოგადად, სპორტიც დიდ ვულგარულ რამედ მიაჩნდა და ამას ხმამაღლა აცხადებდა; გულწრფელად სწამდა გონებას კუნთებზე მეტი ძალა აქვსო.

გულითადი, ახლო მეგობრები არ ჰყავდა, თუმცა კი სამართლიაც, და გულკეთილი ბიჭის სახელით სარგებლობდა. ბავშვობაში ორჯერ ისეთი საქციელი ჩაიდინა, დედამისს სიამაყით გაებერა გული.

უილი ლოვეტი, ეს შეძლებული ოჯახიშვილი, რომელსაც ყველა ეძმაკაცებოდა, და დრიპი მანი დაქვრივებული მკერავი ქალის ერთადერთი, მუდმივად სურდოთი გაწვალებული, შეუხედავი და შეუმჩნეველი ბიჭი ერთსა და იმავე დღეს იყვნენ დაბადებულები და როცა კლასელები წვეულებაზე დაპატიჟეს, ცხადია, ყველას უილისკენ გაუწაა გულმა. ყველას, მაგრამ არა ელზუერთ თუის, არადა, უილისთან ისიც იყო მიწვეული. დრიპი მანთან სტუმრობა არავითარ სიამოვნებას არ უქადდა, მაგრამ არჩევანზე წუთითაც არ უყოყმანია. მერე, კარგა ხანს, უილის ხშირ-ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე როგორ იყო, ზოგიერთებმა დრიპი მანში რომ გაგცვალესო...

ერთხელ კი, მთელი პარკი საღეჭი რეზინის სანაცვლოდ, პეტ ნუნანმა სთხოვა, საგამოცდო ტესტი გადამაწერინეო. ელზუერთმა ქრთამი აიღო, გადააწერინა კიდეც, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თავისი ფეხით მიადგა მასწავლებელს, ხელუხლებელი პარკი მაგიდაზე დაუდო და დანაშაული აღიარა, თუმცა თანამონაწილე არ დაუსახელებია. მასწავლებელმა ვერაფრით გამოტეხა, სიტყვა ვერ ათქმევინა იმის გარდა მეორე ბიჭი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფეა და ჩემი სინდისის დასამშვიდებლად ნიშნებს ვერ გავუფუჭებო. ამიტომ, დასჯითაც მხოლოდ თვითონ დაისაჯა გაკვეთილების მერე ორი საათით დატოვეს სკოლაში; მასწავლებელიც იძულებული გახდა, საკითხი ამოწურულად ჩაეთვალა და უკვე დაწერილი ნიშნებიც უცვლელად დაეტოვებინა. ერთი ეგაა, ყველა ფრიადოსანს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ჯონი სთოუქსსაც, პეტ ნუნანსაც, სხვებსაც... გარდა ელზუერთ თუისა.

თერთმეტი წლისას დედა გარდაეცვალა და მათთან საცხოვრებლად გაუთხოვარი მამიდა ედელაინი გადმოვიდა, ის გაუძღვა საოჯახო საქმეს. მაღალი, ენერგიული, საქმიანი ქალი იყო რაღაცით ცხენს წააგავდა ძალიან. იდუმალ სატანჯველად ის გადაჰქცეოდა, სასიყვარულო თავგადასავლის გარეშე რომ ჩაევლო მისი ცხოვრების ახალგაზრდულ წლებს. პირველივე დღიდან ძმისშვილებში ჰელენი გამოარჩია და

მკითხველთა ლიგა

განსაკუთრებულად შეიყვარა. ელზუერთს დიდად არ სწყალობდა ჯოჯოხეთის მაშხალას ეძახდა, მაგრამ ის მაინც მუდამ ხაზგასმულ პატივისცემას იჩენდა მამიდა ედელაინის მიმართ განსაკუთრებით, როცა შინ სტუმრები ჰყავდათ და თან, მამრობითი სქესისა. ვალენტინობას აუცილებლად რამე ლამაზი უნდა ეჩუქებინა, ერთი-ორი ლექსიც მიუძღვნა და თავისი მჟღერი ხმითაც არაერთხელ უმღერა ”ტურფა ედელაინი”.

”მკბენარივით ხარ, ელზი," – უთხრა ერთხელ მამიდამ, – "სხვისი სისხლით იკვებები.“

"ძალიანაც კარგი, ესე იგი, შიმშილით სიკვდილი არ მემუქრება”, – მიუგო ელზუერთმა. ცოტა ხანში ზავსაც მოაწერეს ხელი და მას მერე, მამიდა ძმისშვილის ცხოვრებაში აღარც ჩარეულა.

უკვე მაღალ კლასებში, ელზუერთ თუი ადგილობრივი მასშტაბის ვარსკვლავად იქცა უბადლო ორატორის სახელი დაიმკვიდრა. ნებისმიერ დისპუტში გამარჯვებული რჩებოდა. საკმარისი იყო, ერთხელ მაინც მოესმინათ მისთვის და „ის საოცარი ბიჭი” სამუდამოდ ამახსოვრდებოდა ყველას. არა ჩია, მკერდჩავარდნილი ტანი, მოკლე ფეხები და სათვალე, არამედ ხმა უცნაური და განუმეორებელი. კამათში ბადალი არ მოეძებნებოდა. ნებისმიერი რამის დამტკიცება შეეძლო. ერთხელ უილი ლოვეტთან მოუწია სიტყვიერი პაექრობა თემაზე "კალამი ხმალზე ბასრია” და
პირწმინდად დაამარცხა კიდეც; ოღონდ მერე პოზიციების შეცვლა შესთავაზა და ახლა საპირისპიროს მტკიცებით გააკრა ბეჭებზე.

თექვსმეტ წლამდე ეჭვიც არ შეჰპარვია, ღვთისმსახურებას რომ მიუძღვნიდა ცხოვრებას და მღვდელი გახდებოდა. რელიგიაზე ბევრს ფიქრობდა. მუდმივად ლაპარაკობდა ღმერთზე და სულზე. უამრავი წიგნი წაიკითხა უფრო ეკლესიის ისტორიის შესახებ, ვიდრე რწმენის არსის თაობაზე, ერთხელ მთელი აუდიტორია ააქვითინა, როცა საკუთარი ოპუსი – "ნეტარ არიან მშვიდნი" წაიკითხა საჯაროდ.

სწორედ ამ დროიდან თანდათან მეგობრებიც შეიძინა. რწმენაზე ლაპარაკი უყვარდა და როგორც აღმოჩნდა, მისი მოსმენა ბევრსაც სიამოვნებდა. ოღონდ არა მის კლასელ გონებაგახსნილ, ფიზიკურად ძლიერ, შეძლებულ ბიჭებს იმათ ელზუერთი, მთელი თავისი განსჯა-მსჯელობებიანად, არაფერში სჭირდებოდათ. უფრო დაჩაგრულები და ხელ-მოკლეები ეტანებოდნენ. დრიპი მანი უსიტყვო აღტაცებით მისჩერებოდა თვალებში და ერთგული ძაღლივით დასდევდა უკან; ბილი უილსონმაც, დედის გარდაცვალების მერე, საღამოობით თუისთან სტუმრობას მოუხშირა, ჩამოჯდებოდა ელზუერთის გვერდით პარმაღზე და საათობით უსმენდა თვალებგაფართოებული, ხმაგაკმენდილი, გაქვავებული, მხოლოდ ხანდახან თუ გააჟრჟოლებდა ხოლმე ციებიანივით.სქინი დიქსი ბავშვობიდანვე დამბლადაცემული იყო საწოლში იწვა, ფანჯრიდან ქუჩის კუთხეს გასცქეროდა და ელზუერთის გამოჩენას ელოდა. რასტი ჰაზელთონს, გამოცდაზე ჩაჭრის მერე, დეპრესია დაეწყო, საათობით ცხარე ცრემლით მოთქვამდა, ელზუერთი მისთვისაც პოულობდა დროს, მიუჯდებოდა, მხარზე ხელს გადახვევდა და ამშვიდებდა.

ვერ გაიგებდი, თვითონ იპოვეს ელზუერთი, თუ იმან აღმოაჩინა ისინი. ალბათ, უფრო ბუნების კანონით მოხდა ყველაფერი: რამდენადაც ბუნება სიცარიელეს ვერ ეგუება, ტკივილმა და ელზუერთ თუიმ ერთმანეთი მიიზიდეს და შეავსეს. მჟღერი, განუმეორებელი ხმით ხშირად ეუბნებოდა ხოლმე მეგობრებს:

მკითხველთა ლიგა

"ტანჯვა სასარგებლოა. არ იწუწუნოთ. ნუ გაექცევით, შეეგუეთ, გაითავისეთ და ღმერთს მადლი შესწირეთ სატანჯველისთვის. რადგან სწორედ ასე ხდებით იმათზე უკეთესნი, ვინც სიცილში და დროსტარებაში ატარებს წუთისოფელს. თუ ეს არ გესმით, ნურც ეცდებით გაგებას. ყოველივე მანკიერს გონება შობს, რადგან სწორედ გონებას არ ელევა შეკითხვები. წყალობა რწმენაა და არა გაგება. ამიტომ, გამოცდაზე თუ ჩაიჭერი, გიხაროდეს: ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ჭკუის კოლოფებზე უკეთესი ხარ, რომლებიც ბევრს და იოლად ფიქრობენ."

რა გულის ამაჩუყებელი ამბავია, – ამბობდა ხალხი, როცა ხედავდნენ, როგორ დასდევდნენ მეგობრები კუდში ელზუერთს. უიმისოდ გაძლება უკვე აღარც შეეძლოთ, ლამის ნარკოტიკივით მისჩვეოდნენ...

თხუთმეტის იყო, როცა თეოლოგიის მასწავლებელს ისეთი კითხვა დაუსვა, კაცი პირდაღებული დატოვა. სახარების იმ ადგილს არჩევდნენ, სადაც ნათქვამია, კაცმა მთელი ქვეყანაც რომ დაიმკვიდროს, საკუთარი სული თუ დაკარგა, მაინც ღატაკიაო. "ესე იგი, ჭეშმარიტი სიმდიდრის მფლობელი კაცთა სულების მომხვეჭელი გამოდის?" – იკითხა ელზუერთმა. რა ეშმაკებს ბოდავო, კინაღამ უღრიალა მასწავლებელმა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მაგით რისი თქმა გინდაო, ჰკითხა. ელზუერთს აღარაფერი დაუზუსტებია.

თექვსმეტი წლის ასაკში რელიგიისადმი ინტერესი გაუქრა და ახლა სოციალიზმის მოძღვრებამ გაიტაცა.

ამ გარდასახვამ მამიდა ედელაინი გააოგნა. "ჯერ ერთი, ეგ მკრეხელობაა და სიგიჟე, – განუცხადა ძმისშვილს, – "მეორეც, არავითარი ხეირი მაგ სოციალიზმში არ ყრია. ადრე რომ სულით გლახაკნიო, გაიძახოდი კი, ბატონო, მშვენიერია , მაგრამ უბრალოდ "გლახაკნი", სხვას რომ თავი დავანებოთ, ცუდადაც ჟღერს. შენი გამკვირვებია. პატარ-პატარა მამაძაღლობები ნამდვილად გეხერხება, მაგრამ დიდი უბედურება შენი საქმე არ არის. მე მგონი, ცოტა აურიე, ელზი. აიჭერი და კალაპოტიდან ამოვარდი."

"ძვირფასო მამიდა, ჯერ ერთი, ელზის ნუ მეძახით," – მშვიდად მიუგო ელზუერთმა, – "და მეორეც, დიდადაც ცდებით."

არადა, ეს ცვლილება მართლა სასიკეთოდ წაადგა. აგრესიულ ფანატიკოსად არ ჩამოყალიბდა დადინჯდა, მოლბა, დამშვიდდა. ადამიანებისადმიც უფრო ყურადღებიანი გახდა. უწინდელი სიფიცხე და ნერვიულობა სადღაც გაქრა და ახლებური თვითრწმენაც გაუჩნდა. ხალხმაც უკვე სხვა, კეთილი თვალით დაუწყო ცქერა. მამიდამისიც დაწყნარდა: მიხვდა, ბიჭის რევოლუციური თეორიებით გატაცება სინამდვილეში არანაირ საფრთხეს არ შეიცავდა. არც რამე პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებულა უბრალოდ, ძალიან ბევრს კითხულობდა და რამდენიმე
საეჭვო მიტინგსაც დაესწრო, ერთი-ორჯერ სიტყვითაც გამოვიდა, არცთუ დიდი წარმატებით, ძირითადად, კუთხეში იჯდა ხოლმე თავისთვის _ უსმენდა, აკვირდებოდა, ფიქრობდა.

მერე ჰარვარდის სტუდენტი გახდა. დედამისმა სწორედ ამისთვის უანდერძა თავისი სიცოცხლის დაზღვევის მთელი თანხა. ყველა საგანში უმაღლესი შეფასებები ჰქონდა, თუმცა განსაკუთრებით ისტორია აინტერესებდა, მამიდა ედელაინი იმედოვნებდა, პროფესიად ეკონომიკას და სოციოლოგიას აირჩევსო; ის კი არა, ცოტათი ეშინოდა კიდეც, სოციალურ სფეროში არ გადაეწყვიტა საქმიანობა და მერე მთელი ცხოვრება სხვების პრობლემების მოგვარებაზე არ ეტეხა თავი. მაგრამ არც იმედი გაუმართლდა და შიშიც უსაფუძვლო გამოდგა: ელზუერთი

მკითხველთა ლიგა

ბოლოს ლიტერატურამ და ხელოვნებამ გაიტაცა. ამან მამიდამისს, ცოტა არ იყოს, გუნება გაუფუჭა; მობეზრდა ამდენ ახალ-ახალ გატაცებებთან შეგუება. „ არტისტული ტიპი ნამდვილად არ ხარ, ელზი; მაგ საქმეში არაფერი გამოგივა,” – ერთხელაც სწორედ ასე მიახალა პირდაპირ.
„ქალბატონო მამიდა, დიდად შემცდარი ბრძანდებით!” – თავისებურად სარკასტულად გაეპასუხა ელზუერთი.

თუმცა ჰარვარდულ მიღწევათაგან ყველაზე უცნაური მაინც სხვა სტუდენტებთან მისი ურთიერთობები იყო. ელზუერთ თუის აღარავინ გაურბოდა და არც თავს არიდებდა. ძველი, ამაყი გვარების ამაყ მემკვიდრეთა წრეში არასოდეს დაუმალავს თავისი უბრალო წარმომავლობა; პირიქით, საგანგებოდაც კი უსვამდა ხაზს. არ უთქვამს, მამაჩემი ფეხსაცმლის მაღაზიის მენეჯერიაო; ხარაზის შვილად ეცნობოდა ყველას. ამას არც გამომწვევად ამბობდა, არც სინანულით და არც პროლეტარული ქედმაღლობით; უბრალოდ, თითქოს ბედის დაცინვად თვლიდა, მაგრამ თუკი ამ დროს მის ღიმილს ყურადღებით დააკვირდებოდა კაცი, მიხვდებოდა, რომ ამით უფრო სხვებს დასცინოდა. სნობივით იქცეოდა, ოღონდ არა გამაღიზიანებლად ბუნებრივად, თითქოს მიამიტურადაც კი იმ კაცივით, ვინც გულით ცდილობს, სწორედ სნობობა არ დასწამონ. თავი უაღრესად ზრდილობიანად ეჭირა და არა იმიტომ,რომ ვინმეს კეთილგანწყობა მოეპოვებინა: სხვებისადმი საკუთარ კეთილგანწყობას უსვამდა ასე ხაზს, რასაც უფასებდნენ კიდეც. არავის გასჩენია შეკითხვები მისი უპირატესობის მიზეზებთან დაკავშირებით; ამგვარი მიზეზების იმთავითვე არსებობას უპირობოდ აღიარებდნენ. თავიდან მონკი თუისთან შეამხანაგებას, უბრალოდ, სახალისო საქმედ თვლიდნენ, მერე და მერე, მასთან ახლობლობა უკვე გამორჩეულობისა და პროგრესულობის ნიშნად იქცა. მას კი თითქოს არც ანაღვლებდა ეს ამბავი. ჯერ დაუღვინებელ, ჩამოუყალიბებელ ყმაწვილ კაცებს შორის იმ ჭკუადამჯდარი კაცივით დააბიჯებდა, ვისაც მკაფიო, ხანგრძლივ დროზე ნაბიჯ-ნაბიჯ გათვლილი გეგმა აქვს და სისულელეებზე იოლად არ მოცდება. იდუმალი, გამოუცნობი ღიმილით იღიმებოდა მაშინაც, როცა განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა ხოლმე.

ღმერთზე და ტანჯვის სიდიადეზე უკვე აღარ საუბრობდა: უმთავრეს სალაპარაკოდ ახლა ისტორიაში მასების როლი გაეხადა: აღტაცებულ მსმენელებს ზოგჯერ დილამდეც არ ბეზრდებოდათ იმის მოსმენა, როგორ დამაჯერებლად ამტკიცებდა რელიგია ეგოიზმს კვებავსო; ეს იმიტომო, – აცხადებდა ჩვეული რიხითა და დამაჯერებლობით, – რომ რელიგიამ მეტისმეტი მნიშვნელობა მიანიჭა ცალკეული ადამიანის სულს, სხვა არაფერს გვიქადაგებს იმის გარდა, ყველამ თქვენ-თქვენი სულის ხსნაზე იზრუნეთო.

"აბსოლუტურ სიქველესთან ზიარება," – ამბობდა ელზუერთ თუი, – "კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუკი საკუთარ თანამოძმეთა სასიკეთოდ, სულის უმძიმესი და უსაზიზღრესი დანაშაულით დამძიმებასაც არ მოერიდება. ხორცის მოკვდინება არაფერია. სიქველის ჭეშმარიტი გამოვლინება სწორედ სულის მოკვდინებაა. გგონიათ, ყველა გიყვართ, მთელი კაცობრიობა? თქვენ სიყვარულის არაფერი გაგეგებათ. მიუგდებთ ერთ-ორ დოლარს საგაფიცვო ფონდს და ვალმოხდილად თვლით თავს, არა? საბრალო ბრიყვებო! რა ფასი აქვს რაიმე ძღვენს, თუკი შენთვის უმთავრესი და უძვირფასესი არ გაიღე საჩუქრად? სული უნდა დათმო, სული! სიცრუისთვის? კი ბატონო, თუკი ეს სიცრუე სხვებსაც სჯერათ. ეშმაკობისთვის? ჰო, თუ ეს სხვებსაც მოუტანს სიკეთეს. ღალატისთვის,

მკითხველთა ლიგა

თაღლითობისთვის, ავი საქმისთვის? დიახ, დიახ და დიახ! ყველაფრისთვის, რაც კი უმდაბლესად და უბინძურესად გვესახება. მხოლოდ მაშინ, როცა შეძლებ, ზიზღი იგრძნო საკუთარი პაწაწინა, ბრიყვი ეგოს მიმართ, იმასაც მოახერხებ, ნამდვილ, სრულ შინაგან სიმშვიდეს და სიმრთელეს ეზიარო და საკუთარი სულიც ერთიან, კოლექტიურ საკაცობრიო სულში გათქვიფო... ძუნწის საკუჭნაოსავით ათასი სისულელით გამოვსებული ერთი პატარა ეგო სხვათა სიყვარულს ვერ დაიტევს. დაიცალეთ, რათა აივსოთ. ვისაც ამქვეყნიური სიცოცხლე უყვარს, დაკარგავს; ვისაც სძულს, მარადიულს დაიმკვიდრებს ეკლესიის ბანგით მოვაჭრეები რაღაც აზრს დებენ ამ სიტყვებში, ოღონდ რას თავად არ იციან. თავგანწირვა? დიახ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, უთუოდ და აუცილებლად. მაგრამ ამას ვერ მოახერხებ, თუ თავი უმწიკვლოდ შეინახე და თან ამ უმწიკვლობით იამაყე კიდეც. მსხვერპლის გაღება, რაც გულისხმობს საკუთარი სულის განადგურებას... თუმცა, რაზე გელაპარაკებით? ამის შნო და უნარი მხოლოდ ერთეულებს აქვთ."

ხელმოკლე ბიჭებს შორის, რომლებსაც სწავლის ფულის გადასახდელად თან შრომაც უხდებოდათ, მაინცდამაინც დიდი წარმატებით არ სარგებლობდა; აი, მდიდარი ოჯახების მემკვიდრეთა, მეორე და მესამე თაობის მილიონერთა წრეში კი მართლა ბლომად მიმდევრები გაიჩინა. სწორედ მათ უსახავდა იმგვარ მიზანს, რისი მიღწევაც დიდად არ უნდა გასჭირვებოდათ.

უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. ნიუ-იორკში ჩასულს ვიღაც-ვიღაცეები უკვე იცნობდნენ; ჰარვარდიდან გარკვეულ მითქმა- მოთქმას გაეჟონა მავანი არაჩვეულებრივი ჭაბუკის, ვინმე ელზუერთ თუის შესახებ; რამდენიმე ადამიანს, ერთი მხრივ, ძალიან-ძალიან ინტელექტუალების, და მეორე მხრივ ძალიან-ძალიან მდიდრების რიცხვიდან, ამ მითქმა-მოთქმისთვის ადრევე მოეკრა ყური, მართალია, დეტალები დავიწყებოდათ, მაგრამ სახელი და გვარი კი კარგად დამახსოვრებოდათ და ბუნდოვანი ასოციაციით გამორჩეულ ნიჭიერებასთან, სიმამაცესთან და იდეალიზმთან დაეკავშირებინათ.

ხალხი, ასე ვთქვათ, ელზუერთ თუისკენ დაიძრა უფრო ისინი, ვინც მალევე მასში საკუთარი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყარო დაინახა. სხვები, პირიქით, ერიდებოდნენ ინსტინქტურად გაურბოდნენ მასთან ურთიერთობას. როცა სადღაც თუის ერთგულ მიმდევრებზე ჩამოვარდა სიტყვა არავითარი პროგრამა ან ორგანიზაცია მას არ შეუქმნია, მაგრამ პირველივე დღეებიდან მისი უახლოესი წრე რატომღაც "მიმდევრებად" მონათლეს ერთმა მისმა შურიანმა მეტოქემ შენიშნა: ”კი, მართლა წებოსავით იკრავს ყველაფერს; უფრო სწორად ტალახივით ითრევს". ეს ნათქვამი თუიმდეც მივიდა, მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და თქვა რატომ, მიკვრა და მიწებება ბევრ სხვა რამესაც შეუძლია, მაგალითად ლეიკოპლასტირს, წურბელას , ირისის კამფეტს, ოფლიან წინდებს, საღეჭ რეზინს, ანდა ტაპიოკას პუდინგსო. მერე უცებ დასერიოზულდა, სახე შეეჭმუხნა სხვათა შორის, ცემენტსაცო – გამოცრა კბილებში, მსმენელებს ზურგი შეაქცია და გაეცალა.

მაგისტრის ხარისხი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში დაიცევა, თემად „ XIV საუკუნის ქალაქური არქიტექტურის საერთო ნიშან-თვისებები“ აირჩია. ბევრს მუშაობდა, სულ დაკავებული იყო ათასი სხვადასხვა საქმით. უნივერსიტეტში პროფორიენტაციის კონსულტანტის თანამდებობა ეკავა, რეცენზიებს წერდა წიგნებზე, სპექტაკლებზე და სამხატვრო გამოფენებზე, პუბლიცისტობდა და ლექციებსაც კითხულობდა, ოღონდ მსმენელთა საკმაოდ მცირე წრისთვის. მოღვაწეობის

მკითხველთა ლიგა

მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა ამ ასპარეზზე მაინც გარკვეული ტენდენციების ერთგულებას ინარჩუნებდა. მაგალითად, წიგნების რეცენზირებისას, განსახილველად, ძირითადად, რომანებს ირჩევდა. რომანებიდანაც სოფლის თემატიკაზე დაწერილებს უფრო სწყალობდა, ვიდრე ქალაქური ცხოვრების ამსახველებს, ჩვეულებრივი ადამიანების ამბავს და არა გმირთა თავგადასავლებს, უძლურთა და მიუსაფართა ყოფას და არა დალხენილთა ლაღ განცხრომას. როცა "პატარა ადამიანზე" შექმნილ წიგნზე მსჯელობდა ხოლმე, მის ნაწერს განსაკუთრებული ეშხი ემატებოდა; გამორჩეულად უყვარდა ზედსართავი "ადამიანური”; პერსონაჟის ხასიათის წვდომა მეტ სიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე ამბის დინამიკა, ყველაზე მეტად კი მაინც ავტორისეულ განსჯებზე ამახვილებდა ყურადღებას; საერთოდ, უსიუჟეტო რომანებს უფრო სწყალობდა, განსაკუთრებით ისეთებს, სადაც საერთოდ არ ჩანდა გმირი.

როგორც პროფორიენტაციის კონსულტანტი, მართლაც შეუდარებელი იყო: უნივერსიტეტში მისი პაწია კაბინეტი ლამის არაოფიციალურ სააღმსარებლოდ იქცა, სადაც სტუდენტები ღიად და ხალისითაც საუბრობდნენ არა მარტო აკადემიურ, არამედ პირად, უაღრესად ინტიმურ პრობლემებზეც კი. თვითონაც დაუზარებლად უსმენდა და ესაუბრებოდა ყველას, ერთნაირად საქმიანად და ყურადღებით მიუხედავად იმისა, სასწავლო საგნის არჩევას ეხებოდა საქმე, სასიყვარულო განცდებს თუ სამომავლო კარიერის დასახვას.

როცა სატრფიალო საკითხებზე სთხოვდნენ რჩევას, მსუბუქი ფლირტის გამო არავის გაკიცხავდა მოდით, თანამედროვეები ვიყოთო უყვარდა თქმა; მაგრამ თუ ღრმა, ემოციურ განცდებზე მიდგებოდა საუბარი, ამჩატებას და ზრდასრული ადამიანისთვის უკადრის არასერიოზულობას ნამდვილად ვერ მოიწონებდა. ერთხელ ერთმა სტუდენტმა ბიჭმა გაანდო, ისეთ ქალთან მქონდა სქესობრივი კავშირი, მრცხვენია და ვიტანჯებიო. ”არ გინდა ეგ თვითგვემა,” – დაამშვიდა თუიმ, – "ცხოვრებაში ორი რამისგან ადრევე უნდა გავთავისუფლდეთ: სხვათა მიმართ უპირატესობის განცდისგან და სქესობრივი აქტისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებისგან.”

მერე, უნივერსიტეტში თანდათანობით ყურადღება მიაქციეს, რომ ელზუერთ თუი ძალზე იშვიათად თუ უწონებდა რომელიმე სტუდენტს უკვე შერჩეულ სამომავლო კარიერას. ”არა, შენ ადგილას ადვოკატობას არ ვინდომებდი. ისეთი ჟინით, ისე ძალიან გულით ოცნებობ მაგ მომავალზე, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობ. არადა, ნებისმიერ საქმეზე გადაკვდომა არც ბედნიერების გარანტიაა და არც წარმატების, უფრო ჭკვიანურია, რამე ისეთი აირჩიო, რაზეც მშვიდად, გულდინჯად და საღად იფიქრებ. ისეთი პროფესია, რაც თავიდან შეიძლება, სულაც გეჯავრებოდეს. ასე უფრო მალე და მყარად დადგები ფეხზე."

„ ... ჩემი რჩევა თუ გაინტერესებს, აჯობებს, მუსიკას თავი მიანებო. იმდენად გეიოლება, აშკარაა, რომ შენი ნიჭი მხოლოდ და მხოლოდ ზერელე, ზედაპირული ბუნებისაა. მერე რა, თუ გიყვარს? ეგ რა ბავშვური მიზეზია? დროზევე შეეშვი, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღება."

„ ... ბოდიში, მაგრამ, ვერ მოგიწონებ. გულით კი მინდა, ოღონდ ტყუილს არ ვიკადრებ. არქიტექტორობა გადაგიწყვეტია, თუმცა დაფიქრებულხარ ოდესმე, რამდენად ეგოისტურია შენი ეს გადაწყვეტილება? საკუთარი ეგოისტური კმაყოფილების გარდა, რამეზე გიფიქრია? ყოველ ცალკეული ადამიანის კარიერის არჩევა მთელ საზოგადოებას ეხება. უპირველესი საკითხავი ისაა ყველაზე სასარგებლო სად იქნები თანამოძმეთათვის.

მკითხველთა ლიგა

საზოგადოება კი არაა შენთან ვალში, პირიქით შენ გმართებს იმის სამსახური. მაგალითად, როგორც ქირურგს. განა უფრო საპატიო და კეთილშობილური არჩევანი მოიძებნება?! თავად დაფიქრდი!“

სწავლის დამთავრების შემდეგ, მისი ზოგიერთი პროტეჟე მართლა აღწევდა წარმატებას, სხვების საქმე კი ვერ მიდიოდა კარგად. თავი მხოლოდ ერთმა მოიკლა. იმას კი ყველა აღიარებდა, ელზუერთ თუის უდიდესი გავლენა და საოცარი მიზიდულობის ძალა აქვსო _ ყოფილი სტუდენტები ვერა და ვერ ივიწყებდნენ, წლების მერეც აკითხავდნენ, წერილებს სწერდნენ, რაზე აღარ ეკითხებოდნენ რჩევას... მოკლედ, თუის გარეშე არ ვარგოდნენ და ისიც არც დროს, არც ძალას არ იშურებდა, ოღონდ კი ვინმეს რამეში გამოსდგომოდა...

მისი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ქალაქის ცენტრალური მოედანივით ხალხმრავალი იყო. არადა, მთელი კაცობრიობის მეგობარს, ერთი პირადი მეგობარიც არ ჰყავდა. გარს მუდამ ხალხი ეხვია, ისიც ყველასთან საერთო ენას პოულობდა, მაგრამ გულს არავის უხსნიდა.

მოკრძალებული შემოსავლის მიუხედავად, არაერთ ორგანიზაციას სწირავდა თანხას საქველმოქმედო მიზნით. თუმცა, ცხოვრებაში ერთი დოლარიც არ უსესხებია კონკრეტული ადამიანისთვის. არც ვინმე გაჭირვებულისთვის უშუამდგომლია თავისი მდიდარი ნაცნობების წინაშე. არადა, საქველმოქმედო მიზნებისთვის მათთვის ფულის გამორთმევას სრულებით არ ერიდებოდა. ხან საავადმყოფოსთვის არიცხვინებდა ფულს, ხან მოხუცთა თავშესაფრისთვის, ხან გოგონების გამოსასწორებელი კოლონიისთვის... ყველა ამ დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, ოღონდ ხელფასს არსად იღებდა. მოკლედ, ალტრუიზმის მწარმოებელი მთელი ჰოლდინგური კომპანიის მაგივრობას სწევდა ეს ერთი კაცი!

ქალები მის ცხოვრებაში არანაირ როლს არ თამაშობდნენ. სექსი არასოდეს აინტერესებდა, მხოლოდ ფიზიოლოგიას უხდიდა ხანგამოშვებით ხარკს და ისიც, ძირითადად, ხორცსავსე და ჭკუამოკლე გოგოებთან ქერქეტა ოფიციანტებთან, კისკისა მასაჟისტებთან, ჯერ გაუწაფავ სტენოგრაფისტებთან... ისეთებთან, ქერა კულულები რომ ჩამოჰყრიათ შუბლზე, ვარდისფერ კაბებზე გიჟდებიან და კინკრიხოზე პაწია ქუდები აქვთ დაკოსებული. ინტელექტუალი ქალები აბსოლუტურად არ აღელვებდნენ.

დაბეჯითებით ამტკიცებდა, ოჯახი ბურჟუაზიული ინსტიტუტიაო, თუმცა არც მისი გაუქმება მოუთხოვია როდისმე და არც თავისუფალი სიყვარულის მედროშეობა მოსვლია აზრად. საერთოდ, სექსზე საუბარიც კი მალე ბეზრდებოდა. ცოტა ზედმეტად ვაზვიადებთ ამ სფეროს მნიშვნელობასო, ფიქრობდა და მიაჩნდა, რომ სამყაროს სხვა ბევრი, გაცილებით დიდი საზრუნავი ჰქონდა.

წლები გადიოდა და მისი ცხოვრების ყოველი გადატვირთული დღეც პატარა, კრიალა მონეტასავით ვარდებოდა გიგანტურ სათამაშო ავტომატში მორჩილად, უკანმოუხედავად... თანდათანობით, უამრავ საქმიანობას შორის, ერთი განსაკუთრებით გამოიკვეთა და გამოირჩა: ელზუერთ თუი არქიტექტურის ცნობილ კრიტიკოსად ჩამოყალიბდა. რიგ-რიგობით სამ ჟურნალში აქვეყნებდა წერილებს, ჯერ "ახალ ხმებში" , მერე "ახალ ბილიკებში”, ბოლოს "ახალ ჰორიზონტში”; სამწუხაროდ, სამივეს ერთნაირი ბედი ეწია დიდი ხმაურით იფაფხურეს რამდენიმე წელი და ერთმანეთის მიყოლებით უკვალოდ გაქრნენ. აი, მეოთხეს, ”ახალ სამანებს”, უფრო გაუმართლა და უწინდელი წარუმატებლობების მიუხედავად გაუტეხელმა თუიმაც თამამად გაშალა ფრთები.

მკითხველთა ლიგა

არქიტექტურის კრიტიკოსობა, ერთი შეხედვით, უმადური, დაუფასებელი საქმე ჩანდა; ცოტა ვინმე იწუხებდა თავს შენობების ავ-კარგზე წერით და კიდევ უფრო ნაკლები მათი ნაწერის კითხვით. თუიმ კი სწრაფად მოიხვეჭა სახელი და ამ სფეროს მონოპოლისტიც გახდა. სხვა, უფრო პრესტიჟული გამოცემები ერთმანეთს ასწრებდნენ მისთვის შეკვეთების მიცემას,როცა კი რამე მასალა დასჭირდებოდათ ხუროთმოძღვრების თემაზე.

1921 წელს ელზუერთის პირად ცხოვრებაში პატარა ცვლილება მოხდა: დისშვილი, ქეთრინ ჰესლი გადავიდა ბიძასთან საცხოვრებლად. ელზუერთის მამა მანამდე კარგა ხნით ადრე გარდაიცვალა, მამიდა ედელაინიც რომელიღაც პატარა ქალაქში გადაბარგდა და სიღატაკეში მიათრევდა ცხოვრების დარჩენილ წლებს. მოკლედ, ობლად დარჩენილ ქეთრინს სხვა პატრონი აღარავინ ჰყავდა. ერთი პირობა, გოგოს თავისთან დაბინავებას არ აპირებდა, მაგრამ როცა ის ნიუ-იორკის რკინიგზის
სადგურში მატარებლიდან გადმოვიდა, სახე ისე გაცისკროვნებოდა, თითქოს იმწამს მის წინაშე ბრწყინვალე მომავალი გადახსნილიყო და ამ მომავალთან სიხარულით, სიამაყით შეხვედრის მომლოდინე გოგოს მისი ათინათი შუბლზე დასთამაშებდა. ეს იმ იშვიათ მომენტთაგანი იყო, როცა თვით ყველაზე მოკრძალებული ადამიანიც კი ხვდება, რას ნიშნავს საკუთარი თავის სამყაროს ცენტრად განცდა, ეს განცდა მშვენიერებას ანიჭებს და ასეთი ცენტრის მქონე სამყაროც თავისთავავად თითქოს უფრო უკეთესი ხდება. სწორედ ასე დაინახა და აღიქვა ყველაფერი ელზუერთ თუიმ და გადაწყვიტა ქეთრინი ჩემთან იცხოვრებსო.

1925 წელს ”ქვაში ნაკვეთი ქადაგებანი" გამოქვეყნდა და დიდებაც მოვიდა.

ელზუერთ თუი მოდური გახდა. ინტელექტუალური სალონების დიასახლისები მასზე ნადირობდნენ. ზოგს პირიქით, ძალიან აღიზიანებდა მისი პიროვნება და დასცინოდნენ კიდეც. თუმცა დაცინვა მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას ვერ ანიჭებდა ვერავის, რადგან თუის მიმართ ყველაზე ენამწარე თავად თუი იყო.

აღიარების უმნიშვნელოვანეს გამოვლინებად კი მაინც ის იქცა, რომ ხელშეკრულება გაუფორმეს და გეილ უაინენდის "ბანერში” მთელი საავტორო სვეტი დაუთმეს.

ამ ხელშეკრულებამ ყველა გააკვირვა და თან გააბრაზა კიდეც. თუი უაინენდს ხშირად ახსენებდა და არცთუ პატივისცემით; თუისთვის მწარე ეპითეტებს არც მედია-მაგნატის გამოცემები იშურებდნენ ხოლმე. ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ არც ერთ ამ გამოცემას არანაირი მყარი სარედაქციო პოლიტიკა არ ჰქონდა, არავითარ გამოკვეთილ ხაზს არ ატარებდა და არც პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა: ხან მონოპოლისტებს ასხამდნენ ხოტბას, ხან გაფიცვების თანამგრძნობებად გამოდიოდნენ, უოლ-სტრიტსაც მიწასთან აწორებდნენ იქაური ბანკებიანად და
არც სოციალიზმის უაზრობაზე წერისას უკანკალებდათ ხელი მოკლედ, როცა რა სჭირდებოდათ სახელისა და ტირაჟისთვის.

ელზუერთ თუის მიწვევაც გონივრული და მომგებიანი ნაბიჯი აღმოჩნდა – მკითხველი არქიტექტურით დაინტერესდა. ასე გაჩნდა მუდმივი რუბრიკა ”ერთი მოკრძალებული ხმა”.

თუმცა, რუბრიკის გაჩენამდე "ბანერში” ჯერ ანონსიც დაიბეჭდა: ”ორშაბათს "ბანერი” ჩვენს ახალ მეგობარს ელზუერთ მ. თუის წარმოგიდგენთ, რომლის ბრწყინვალე წიგნიც ”ქვაში ნაკვეთი

მკითხველთა ლიგა

ქადაგებანი" – ყველას სულმოუთქმელად წაგიკითხავთ. მისტერ თუის სახელი ღირსებას მატებს ხუროთმოძღვრების დიად პროფესიას; მისი ცოდნა და გამოცდილება დაგეხმარებათ, გაერკვეთ ყველაფერში, რის გაგებასაც მოისურვებთ თანამედროვე შენობების საოცრებათა შესახებ. არ გამოტოვოთ ორშაბათის რუბრიკა "ერთი მოკრძალებული ხმა" – მსგავს მასალას ვერც ერთ სხვა გამოცემაში ვერ წაიკითხავთ." კიდევ რა სფეროებს მატებდა ღირსებას მისტერ თუი, ანონსში არ ეწერა.

თავად ელზუერთ თუის არც რამე განცხადება გაუკეთებია და არც ახსნა-განმარტებებით შეუწუხებია თავი. არც იმ ნაცნობ-მეგობრების ბუზღუნისთვის მიუქცევია ყურადღება, ვინც ამტკიცებდა, ფულზე გაიყიდაო. უბრალოდ, მკლავებდაკაპიწებული შეუდგა საქმეს. კვირაში ერთხელ მისი რუბრიკა მთლიანად და მხოლოდ არქიტექტურას ეთმობოდა, დანარჩენ დღეებში კი მილიონობით მკითხველს „მოკრძალებული ხმით" იმ თემებზე ესაუბრებოდა, რომელთაც თვითონ მიიჩნევდა საჭირბოროტოდ.

თანამშრომელთაგან ერთადერთი იყო, ვისაც კონტრაქტის თანახმად ჰქონდა მინიჭებული ნებისმიერ საკითხზე წერის უფლება. ეს უფლება დაჟინებული მოთხოვნის შედეგად მოიპოვა, რასაც ყველა უდიდეს გამარჯვებად უთვლიდა. ოღონდ თავად თუის აზრით, დათმობის მიზეზი ორიდან ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: უაინენდმა ან თუის სახელის პრესტიჟულობას გაუწია ანგარიში, ანდა იმდენად არარაობად თვლიდა, წინააღმდეგობის გაწევაც არ იკადრა.

"ერთ მოკრძალებულ ხმას" არასოდეს არაფერი სახიფათოდ რევოლუციური არ უთქვამს და, ზოგადად, პოლიტიკურ განცხადებებსაც საკმაოდ ერიდებოდა. უბრალოდ, ადამიანთა უმეტესობისთვის სრულიად მისაღებ ჭეშმარიტებებს ქადაგებდა: სულგრძელობა, ძმობა, თანასწორობა... "მირჩევნია, კეთილი ვიყო, ვიდრე მართალი", „მოწყალება სამართალზე უზენაესია". "როგორც ანატომიური, ისე ნებისმიერი სხვა თვალსაზრისითაც, გული ყველაზე ფასეული ორგანოა. ტვინი - ცრურწმენაა". „სულიერების საკითხებში ერთი უმარტივესი ცდა არსებობს: ეგოდან მომდინარე ყოველივე ბოროტებაა, სხვათა მიმართ სიყვარულიდან სიკეთე". "კეთილშობილების ერთადერთი საზომი - მსახურებაა. ვერაფერ შეურაცხმყოფელს ვერ ვხედავ იმაში, თუკი ადამიანის დანიშნულების უზენაეს სიმბოლოდ ნიადაგის გაპოხიერებას მივიჩნევდით: სწორედ სასუქით გაპოხიერებული მიწიდან ამოდის ხორბალიც და ვარდიც". "ყველაზე ცუდი ხალხური სიმღერაც კი სჯობს საუკეთესო სიმფონიას." "არ მეგულება არც ერთი გენიოსი თუ გმირი, ანთებული ასანთი ნებისმიერ საშუალო, ჩვეულებრივ ადამიანზე ნაკლებად რომ სწვავდეს ხორცს". "გენია განზომილებათა დამახინჯებაა, როგორც, ვთქვათ, სპილოს ავადმყოფობა. ორივე სენია და სხვა არაფერი."

"ბანერის" რედაქციაში ყველა პატივისცემით ეპყრობოდა; თუმცა დაახლოებას დიდად არავინ ცდილობდა. ჩუმად იმასაც ამბობდნენ, გეილ უაინენდი დასანახად ვერ იტანს, თორემ სულ ასე ხაზგასმული თავაზიანობით არ დაელაპარაკებოდაო. ალვა სკარეტიც არასდროს გასცდენია ოფიციალური კოლეგიალობის ფარგლებს და თავიც, ძირითადად, შორს ეჭირა. იმას და თუის კარგად ესმოდათ ერთმანეთის და გამწვავებებს ერიდებოდნენ ასე ვთქვათ, უსიტყვო ზავი ჰქონდათ დადებული.

არც თუი იკლავდა თავს ხელმძღვანელობასთან შეხმატკბილების მცდელობით, სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა და ერთ მშვენიერ დღესაც

მკითხველთა ლიგა

უაინენდის თანამშრომელთა კლუბი ჩამოაყალიბა. არა რაიმე პროფკავშირის მსგავსი უბრალოდ, კლუბი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ რედაქციის ბიბლიოთეკაში. არც ხელფასების განაკვეთებზე მსჯელობდნენ, არც სამუშაო საათების ხანგრძლივობაზე და არც შრომის პირობებზე. საერთოდ არ გააჩნდათ არანაირი პროგრამა. უბრალოდ, ადამიანები ერთმანეთს ეცნობოდნენ, საუბრობდნენ, გულს უხსნიდნენ... ამ შეკრებებზე ელზუერთ თუი ხშირად გამოდიოდა სიტყვით. საუბრობდა ახალ ჰორიზონტებზე და პრესის, როგორც მასების ხმის როლზე. გეილ უაინენდი კლუბში სულ ერთხელ და ისიც სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა. თუიმ გაუღიმა, გაწევრიანებაც შესთავაზა, მაგრამ უაინენდმა იუარა. ნახევარი საათი იჯდა, უსიტყვოდ უსმენდა საუბარს, მერე დაამთქნარა, წამოდგა და გავიდა.

თუი ყოველთვიურად კიდევ რამდენიმე სხვა თავყრილობასაც ესწრებოდა ხოლმე ამერიკელ მშენებელთა, ამერიკელ მწერალთა, ამერიკელ მხატვართა საბჭოების შეკრებებს. ყველა ამ გაერთიანების შემქმნელი და სულისჩამდგმელი, ცხადია, თვითონვე იყო.

“ამერიკის მწერალთა საბჭოს” ლუის კუკი თავმჯდომარეობდა და საბჭოც მის სასტუმრო ოთახში იკრიბებოდა. წევრებიდან ერთადერთი ის სარგებლობდა მეტ-ნაკლები სახელითა და პოპულარობით. სხვებს, შეიძლება ითქვას, არავინ იცნობდა, ჯერჯერობით მაინც. არადა, მართლა საინტერესო ხალხს კი მოეყარა თავი: ერთი კალმოსანი ქალბატონი საკუთარ ნაწარმოებებში მთავრულ ასოებს არ სწყალობდა პრინციპულად, ბატონი კი მძიმეებს; ერთ ახალგაზრდა კაცს ათასგვერდიანი რომანი ისე დაეწერა, არც ერთხელ არ გამოეყენებინა ასო ო“...

საბჭომ დეკლარაციასაც მოაწერა ხელი, სადაც განცხადებული იყო, მწერალი პროლეტარიატის მსახურიაო. ძირითადი პათოსი ამ სენტენციამდე დაიყვანებოდა, თორემ ისე, დეკლარაცია ბევრად რთულიც იყო და გრძელიც. ქვეყნის ყველა ჟურნალ-გაზეთს დაუგზავნეს დასაბეჭდად, მაგრამ არსად გამოქვეყნებულა "ახალი სამანების” ბოლო გვერდის გარდა.

"ამერიკის მსატვართა საბჭოს” გვამივით გაფითრებული ახალგაზრდა ფერმწერი ედგა სათავეში, რომელსაც ტილოზე მხოლოდ საკუთარი ღამეული ხილვა-სიზმრები გადაჰქონდა. ამქრის სხვა წევრებიდან ზოგი წინასწარ გაშავებულ ფურცელზე საშლელით ხატვის ტექნიკას ამკვიდრებდა, ზოგი ისე დაატარებდა ტილოზე ფუნჯს, საერთოდ არ უყურებდა არც ერთს და არც მეორეს აბა ერთი, ჩემი ქვეცნობიერი ხელს რას გამოასახვინებსო და ასე შემდეგ... პროლეტარიატზე აქ ნაკლებად საუბრობდნენ, უბრალოდ, სინამდვილის, ობიექტური რეალობის ტირანიას უჯანყდებოდნენ მთელი არსებითა და შეგნებით.

ელზუერთ თუის ბევრი საყვედურობდა არათანმიმდევრულობას _ ასეთი შემართებით უპირისპირდები ინდივიდუალიზმს და მთელი ეს შენი ნარჩევი მწერალ-მხატვრები უკიდურესი ინდივიდუალისტები არ არიანო? მართლა ასე გგონიათო? – პასუხობდა ვითომ გაკვირვებულ და თან ეშმაკურად წკურავდა თვალებს.

უკვე ორმოცდაერთი წლის გამხდარიყო, მშვენიერ ბინაში ცხოვრობდა და უზადოდ იცვამდა. წონასწორობადაკარგული არასოდეს არავის ენახა. ერთნაირი ზომიერებითა და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა ყველგან სალონშიც, მუშების თავყრილობაზეც, სალექციო კათედრაზეც, აბაზანაშიც და სასიყვარულო სარეცელზეც: მშვიდი, თავდაჭერილი, მოღიმარი, ოდნავ ქედმაღალი.

მკითხველთა ლიგა

ხალხი აღფრთოვანებას ვერ მალავდა მისი იუმორის გამო. ეს ის კაცია, ყველაზე ნიჭიერად საკუთარ თავს რომ დასცინისო. "საშიში ვინმე ვარ, არ გაგაფრთხილეს?" – უყვარდა ხოლმე თქმა, თან ისე, თითქოს ამაზე აბსურდული სისულელე არც ეთქვას და არც გაეგონოს არავის ქვეყნად.

მისთვის მინიჭებულ ტიტულთაგან კი ერთი განსაკუთრებულად ძვირფასი იყო მისთვის: *ელზუერთ თუი, ჰუმანისტი.*

10

„ ენრაიტ- ჰაუსი" 1929 წლის ივნისში გაიხსნა.

არავითარი ოფიციალური ცერემონია არ გამართულა, მხოლოდ თავად როჯერ ენრაიტმა დაპატიჟა რამდენიმე ნაცნობ-მეგობარი. შემოსასვლელი დიდი კარი ფართოდ გააღო და მზის სხივები ბოლომდე შემოუშვა ქვედა დარბაზში. აი, ჟურნალისტებს კი ფეხი არ შეადგმევინა დასანახად ვერ იტანდა მათ მოდგმა-ჯილაგს და იმიტომ...

სახლი ისტ- რივერის პირას იდგა და ზეაწეულ ხელებს მოგაგონებდათ; მთელი ნაგებობა ისე იყო გათვლილი, რომ სტატიკურად კი არ გამოიყურებოდა, არამედ მნახველი, მისდა უნებურად, ქვემოდან ზემოთ ააყოლებდა მზერას და ინსტრუმენტთაგან უმძლავრესის ადამიანის ნებას დამორჩილებული ქვა-რკინის კონსტრუქციაც თითქოს თვალსა და ხელს შუა ცოცხლდებოდა, კაცს უნებურად "და შექმნა მან იგი ხატად თვისად" ახსენდებოდა...

სწორედ ამგვარი რამ დაემართა„ ბანერის" ერთ ახალბედა ფოტოგრაფს, როცა შემოდგომის სუსხშეპარულ ქარში, მდინარის პირას მდგარ რორკს მოჰკრა თვალი: უქუდო, ცეცხლისფერმთმიანი კაცი შენობას მისჩერებოდა თავაწეული; ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და მზერა გაჰყინოდა. წამსვე გააჩხაკუნა თავისი აპარატი და რედაქციაში გაქანდა დარწმუნებული იყო, გარეკანზე მოხვედრა გარანტირებული ჰქონდა. ოღონდ შეფის რეაქცია დიამეტრულად განსხვავებული გამოდგა:

– ეს რა უბედურებაა?!

– ჰაუარდ რორკია, – უპასუხა ფოტოგრაფმა.

– ვინაა ჰაუარდ რორკი?

_ არქიტექტორი...

– ვის რა ეშმაკად უნდა ვიღაც მშენებლის ფოტო გაზეთის პირველ გვერდზე?! თანაც, რაღაც გიჟური გამოხედვა აქვს... მოაშორე აქედან!

კეთილი სიტყვა არავის დასცდენია შენობის თაობაზე პირიქით, ზოგი იმასაც ამბობდა, მანდ რომ ვცხოვრობდე, ვინ სტუმარი შემოდგამს ჩემთან ფეხსო... უფ. ელზუერთ თუისაც, როგორც ყოველთვის, თავის მიმოხილვებში რორკის ეს ახალი ნაგებობა არც კი უხსენებია; და როცა ჰკითხეს რატომ, ჩვეული პასუხი გასცა: "ამქვეყნად იმდენი რამ ხდება საინტერესო და მნიშვნელოვანი, რაღაც ტრივიალობაზე რატომ გავამახვილოთ ყურადღება?"

ოღონდ უცნაური ის იყო, რომ „ ენრაიტ-ჰაუსი" უცბად შეივსო მაცხოვრებლებით_ სწორედ იმგვარი ხალხით, ვისაც მშვიდად და წყნარად უნდოდა ცხოვრება და არ აღელვებდათ, მათი სახლის შესახ, ვინ რას დაწერდა "ბანერის" ფურცლებზე. რორკის ოფისში კი დაკვეთებმა იმატა და თანამშრომლებმაც: მალე ოთხოთახიან ოფისში მოუწია გადასვლა. ხელქვეითები აღმერთებდნენ, თუმცა მათთვის ეს რომ გეთქვათ, ცივ უარზე დადგებოდნენ ესაა მხოლოდ, თავად ვერავინ ახსნიდა საკუთარ უცნაურ დამოკიდებულებას შეფის მიმართ. ის კი არც გულთბილად უღიმოდა ვინმეს, არც ჭიქა სასმელზე დაპატიჟებდა, არც

მკითხველთა ლიგა

მათი ოჯახური მდგომარეობითა თუ აღმსარებლობით დაინტერესებულა ოდესმე. მარტო იმას დაგიდევდათ, კაცი რისი გამკეთებელი იყო და თუ უნარსა და თავგამოდებას შეამჩნევდა, დროებით დაქირავებულსაც მეტი არც აღარაფერი სჭირდებოდა მყარად იკიდებდა ფეხს რორკის სახელოსნოში.

"მაგრამ ეს ხომ სრულიად არაადამიანური მიდგომაა!" – აღშფოთდა ერთი ახალბედა, როცა იქ გამეფებული ვითარება აუხსნეს და სცადა, ასე ვთქვათ, "გუნდური სული შთაებერა" თანამშრომლებისთვის. საბრალომ ორ კვირაზე მეტი ვერ გაძლო და თავისით ამოიკვეთა ფეხი სტუდიიდან... სიმართლე ითქვას, ხალხის შერჩევისას ამდაგვარი შეცდომები იშვიათად მოსდიოდა რორკს, და ვინც მასთან რჩებოდა, არც აქებდა შეფს, არც აძაგებდა, მხოლოდ თავაუღებლივ შრომობდა საკუთარი თავის სასიკეთოდვე.

• • •

მთელი ამ ხნის განმავლობაში დომინიკს, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ქალაქიდან ფეხი არ გაუდგამს. მხოლოდ ღამღამობით, თუკი რორკთან არ იყო, "ენრაიტ-ჰაუსს", ან ფარგოს მაღაზიას მიადგებოდა, ან მანქანით ქალაქგარეთ ჰელერის სახლს, სენბორნის შენობას ან სულაც, გოუენის ბენზინგასამართ სადგურს მოინახულებდა ხოლმე, ოღონდ რორკისთვის ამ ღამეული გასვლების თაობაზე არასოდეს არაფერი უთქვამს.ერთხელ თავად რორკმა სთხოვა და სადღაც, მიყრუებულ ალაგას, პაწია სასტუმროში გაათიეს ღამე, ერთადგილიან ნომერში. მეორე დღეს კი მდინარის პირას, სილაზე იწვნენ, მწველ მზეს ეფიცხებოდნენ და უსიტყვოდ უყურებდნენ ერთმანეთს თვალებში. მხოლოდ ეს გამარჯვებას ნამდვილად არ ჰგავდა: კაცი არც წინააღმდეგობას უწევდა რამეზე, სიტყვიერადაც აღიარებდა მის ძალას, სატანჯველსაც უსიტყვოდ იტანდა და არც მისი უკეთური საქმეების გამო დასცდენია ოდესმე საყვედური... მაგრამ სინამდვილეში, მაინც სწორედ იგი განაგებდა მათ ურთიერთობას და შინაგანად, არც ქალს ჰქონდა რამე საწინააღმდეგო.

• • •

ივნისის ბოლოს თავიდან ფეხებამდე გამოწკეპილმა ვინმე კენტ ლანსინგმა მოაკითხა რორკს. ორმოციოდე წლისა იქნებოდა, და იმ კორპორაციას წარმოადგენდა, ზედ სენთრალ პარკ საუთზე რომ აპირებდა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს წამოჭიმვას. ამ საქმეში ბევრი მდიდარი და გავლენანი პირი იყო ჩართული, მიწაც შეესყიდათ უკვე და ახლა არქიტექტორის შერჩევაზე იყო საქმე მიმდგარი; კენტ ლასინგს კი გადაეწყვიტა კიდეც თუ იქნება, ჰაუარდ რორკი იქნებაო.

– შანსი არაა. – მხრები აიჩეჩა რორკმა, – არასოდეს არც ერთ ჟიურის არსად არ ავურჩევივარ და არც ამირჩევს. მე კაცთან შემიძლია ლაპარაკი, ხალხთან არა.

– არცაა საჭირო. ამისთვის მე ვარსებობ. შენ კი "აქვიტანია-ჰოტელს" წამოჭიმავ. მოკლედ, უჩხუბრად გაგვიყვია ფუნქციები.

იმ მრავალ თავგადაკლულ ბრძოლათა შორის, რომელნიც სულ უბრალო მიზეზით არ ხვდება ისტორიაში, რადგან შეხლის ველზე გვამები არ რჩება მშრალი სტატისტიკის მოყვარულთათვის, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს კენტ ლანსინგის ბრძოლა "აქვიტანია კორპორეიშენის" დირექტორთა საბჭოსთან. რორკი საქმეში არ ჩარეულა: ლანსინგმა

მკითხველთა ლიგა

უთხრა, ამგვარ ხალხში მცოდნის სიტყვა კი არ ჭრის, არამედ კარგი ორატორისო; რაღა თქმა უნდა, შენ ყველაფერს უკეთ აუხსნიდი, მაგრამ ამათ ახსნა-გაგება კი არა, დარწმუნება სჭირდებათ, ეს კი მე უფრო მეხერხებაო.

– ასე რატომ იბრძვი ჩემ გამო? – ერთხელაც დაეკითხა რორკი.

– სწორედ იმის გულისთვის, რამაც შენ კარგი არქიტექტორი გაგხადა კარგისა და ცუდის გასარჩევად. შენ აპროექტებ, მე ამ პროექტის გასატანად ვიბრძვი. შენ კარგი პროექტი გინდა, მე კარგი სასტუმრო. ერთი მედლის ორი მხარეა, სხვა არაფერი. პატიოსნება შენ რა გგონია? სხვას რომ ჯიბეში არ ჩაუძვრე? ასე, კაცობრიობის 90% პატიოსანი გამოჩნდება, ოღონდ ხომ არც მთლად მასეა საქმე... პატიოსნება ისაა, საკუთარ სტანდარტებს არ უღალატო,ეს კი ტვინის განძრევას ითხოვს! ოღონდ აზროვნების უნარს ვერც იყიდი და ვერც დააგირავებ _ ეგენი ყველა ჩემ წინააღმდეგ არიან, მაგრამ არა უშავს, ერთი უპირატესობა მაინც მაქვს: იმათ არც იციან, რა უნდათ, მე კი ვიცი.

ივლისის ბოლოს რორკმა "აქვიტანიის" აგების კონტრაქტს მოაწერა ხელი.

• • •

ელზუერთ თუი საკუთარ კაბინეტში იჯდა ფანჯარასთან, სიგარეტს აბოლებდა და გაზეთში "აქვიტანიის" პროექტის თაობაზე დაბეჭდილ ცნობას დაშტერებოდა. მერე ზურგს უკან კარის გაღების ხმა გაიგონა,მოტრიალდა და ზღურბლზე მდგარ დომინიკ ფრენკონს შეავლო თვალი .

– დიდება უფალს! – წართქვა ვითომდა საზეიმო ხმით, – ამას რას მოვესწარი ოთხი წელია, ერთ შენობაში ვართ და პირველად შემოაღე ჩემი კარი! მოხდა რამე?

ქალი არ გაპასუხებია, ჩაიღიმა მხოლოდ.

– ჩემი ნათქვამი შეკითხვასაც გულისხმობდა... თუ ერთმანეთის უკვე ამდენად აღარაფერი გვესმის? – ცალი წარბი აზიდა მისტერ თუმ.

– ასე ჩანს, შენი შეკითხვიდან გამომდინარე... თუმცა, რას მეკითხები? თავადვე კარგად იცი საბუთი აგერ გიდევს, ცხვირწინ.

– დაიცა, ახლა არ მითხრა ამ პატარა შენიშვნამ გამახსენა შენი თავიო.

– კი, ელზუერთ მართლა ეგრეა.

– თითქოს ყველაფერი ვცადეთ, ეს კონტრაქტიც რომ ჩაგვეშალა...

– კი, ეგრეა.

– მერე, გიხარია?

– ვერც კი წარმოიდგენ, როგორ! მაგ ვიღაც ლანსინგს ლოგინშიც კი ჩავუწვებოდი, სადმე რომ შემხვედროდა და კარგად ეთხოვა.

– ესე იგი, ჩვენი კონტრაქტიც დაირღვა?

– არავითარ შემთხვევაში! ცდას არ დავაკლებ, სხვა ეგეთი დაკვეთები მაინც ჩავუშალო. ოღონდ ასე ადვილი აღარ იქნება... გვაჯობა, ელზი ყოველ შემთხვევაში, გვჯობნის!

– ძალიან კარგი... უფრო სწორად, კარგი ისაა, რომ ისევ ერთად ვართ. ეს ერთი მარცხი დავივიწყოთ და საქმეს შევუდგეთ. ძველებურად.

– აგაშენა ღმერთმა! ცხვირჩამოშვებული დამხვდებოდი, მეგონა... მე კიდევ სადილად ვარ დაპატიჟებული პიტერ კიტინგს ერთი დიდი საავადმყოფოს დაპროექტება უნდა გავუშანსო.

ასე და ამგვარად დასცილდნენ ერთმანეთს იმ დღეს და ელზუერთ თუის ფიქრებიც მთელი საღამო ვინმე ჰოპტონ სტოდარდს დასტრიალებდა

მკითხველთა ლიგა

თავს.

• • •

ჰოპტონ სტოდარდი პატარა კაცი იყო, ოღონდ 20 მილიონი დოლარის პატრონი. სრული 72 წელი დაეთმო ფულის შოვნისთვის და წარმატებულადაც. სტოდარდი ინვესტიციების მომგებიან საქმეში ჩადების ნამდვილი გენიოსი იყო და ნაკლებად აინტერესებდა, რა საქმეში იღებდა წილს საროსკიპოები იქნებოდა ეს, რელიგიური ხასიათის გრანდიოზული თეატრალური დადგმები, მეურნეობები, მაღაროები თუ კონტრაცეპტივების წარმოება. ჩია კაცი იყო, დაჭმუჭნილსახიანი, და ზედ მუდამ ერთი და იგივე გამომეტყველება აეკრა, ნიღაბივით: სანდომიანი ღიმილი. და უმანკო გაკვირვებისგან ზეაწეული წარბები; შესაშური გრუზა თმა ბევრზე უბრალო პარიკის შთაბეჭდილებას ტოვებდა, არადა, მისი საკუთარი იყო.

ჰოპტონ სტოდარდი არასოდეს დაოჯახებულა, არც ნათესავები შერჩენოდა და არც მეგობრები შეეძინა; მოწიწებას კი მხოლოდ ელზუერთ თუის მიმართ გრძნობდა შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ მისი სრული ანტიპოდი იყო: თუნდაც ის განცხადება, რომ ამქვეყნიური სიმდიდრე არაფრად მიაჩნდა, სტოდარდისთვის მისტერ თუის სათნოების უეჭველი დასტური იყო (რას მიუთითებდა ამგვარი შეფასება საკუთარი პიროვნების მიმართ ეს ფიქრადაც არ გაუვლია). მოხუცებულობაში მსოფლიო სევდა შემოაწვა და აღსავლის კარზე ფიქრი მოეძალა.სარწმუნოებაში პოვა ნუგეში ოღონდ ესეც ისე, თავის ყაიდაზე გამოუვიდა:

მრწამსმა, ძირითადად, მოქრთამვის სახე მიიღო და ეკლესია, სექტა თუ რელიგიური მიმდინარეობა არ დარჩენია, ფული არ გაადაერიცხა საქველმოქმედო ხარჯებისთვის. მაგრამ წლები გადიოდა და მის სულიერ წიაღსვლებსაც უკვე პანიკის ნიშნები დაეტყო. საბოლოოდ, გადაწყვიტა, ტაძარი აეგო არა რომელიმე კონგრეგაციისთვის კონკრეტულად, არამედ ღვთისთვის საერთოდ, სახელდაუდებლად, ზოგადად ტაძარი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, კარი რომ მუდამ ღია ექნებოდა ყველასთვის... ჰოპტონ სტოდარდს ნაღდზე უყვარდა თამაში.

მისი და თუის ინტერესები სწორედ აქ შეეჯახა ერთმანეთს, ადრე არაერთგზის და არაერთნულოვანი თანხები ჩაურიცხავს მის მიერ რეკომენდებული ფონდებისთვის, მაგრამ ახლა საკითხი პრინციპულად იდგა: ელზუერთ თუის კარგა ხანია, ჩამოეყალიბებინა "უნარდაქვეითებულ ბავშვთა დახმარების საზოგადოება", ფულიც ეშოვნა ხარჯებისთვის და ახლა შენობის აგებას აპირებდა სტოდარდის იმედად, და

რამდენი არ უმტკიცა ჰოპტონს _ ადამიანთა სულიერების სტოდარდისეული სახლი უმშვენიერესი წვლილი და საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება შენი რწმენის გასამყარებლადო, არაფერი გაუვიდა: ჰოპტონი ცივ უარზე იდგა. არადა, დროც მცირე რჩებოდა შემოდგომაზე ის ხანგრძლივ მომლოცველობას გეგმავდა მსოფლიოს გარშემო ლურდიდან მოყოლებული, მექა-იერუსალიმისა და ბენარესის ჩათვლით.

ჰოდა, მეორე დღესვე ელზუერთ თუი სტოდარდს ესტუმრა მის რეზიდენციაში რივერსაიდ-დრაივზე და ბევრი ლაპარაკი აღარ დაუწყია, პირდაპირ ახალა:

– მართალი იყავი, ჰოპტონ! ტაძრის აგება უკეთესი ვარიანტია!

მკითხველთა ლიგა

– მართლა? ახლა შენც მაგ აზრისა ხარ?
– სწორედაც რომ. ოღონდ საქმეც ეგაა ღვთისთვის განკუთვნილი საჩუქარი იმის საუკეთესო გამოვლინება უნდა იყოს, რისი გაკეთებაც ძალგიძს კაცს, თუ არადა სადღაც შეურაცხმყოფელიც კი გამოვა...
_ რა თქმა უნდა! და შენ დამეხმარები ამაში, ელზუერთ! ხომ დამეხმარები? ასეთ რამეზე როგორ მეტყვი უარს!
– რაზეა ლაპარაკი თუკი გულით გინდა...
_ ელზუერთ, ხომ იცი, რომ არქიტექტურის, ხელოვნებისა და მისთანების არაფერი გამეგება! შენს იმედზე ვარ!
– თუ ასეა, ერთი პირობით როგორც გირჩევ, ისე უნდა გაკეთდეს ყველაფერი, მერე გადაკეთება ათჯერ ძნელი გახდება.
_ ყველაფერს შენ წყვეტ, ელზუერთ! მე მხოლოდ ხელს ვაწერ...
– არქიტექტორის არჩევით დავიწყოთ: მოდაში შემოსული ვიღაც გრძელთმიანი ვიგინდარები არ გამაგონო ისეთი ვინმე გვინდა, ვინც ნათელი გონებით მიუდგება ამ საღვთო საქმეს.
– სწორედაც რომ ეგრეა! გყავს ვინმე მხედველობაში?
– ჰაუარდ რორკი.
– ე-ე... ეგ ვინღაა?
– თუ ვინმე ააგებს "ადამიანთა სულიერების ტაძარს" – სწორედ ეგაა.
– ვარგა მაინც რამედ? – ეჭვნარევი ხმით იკითხა მასპინძელმა.
ელზუერთ თუიმ თვალი თვალში გაუყარა მოსაუბრეს და მძიმედ თქვა: "ჩემს საკუთარ სულს ვფიცავ, დღეს მართლა საუკეთესოა!"
– აგაშენა ღმრთმა, მეც ეგ არ მინდა?!
– საქმე ისაა, იმას თუ უნდა. არც ისე ადვილია მაგის დაყოლიება მუდამ საკუთარ პირობებს აყენებს ხოლმე და თანაც, სრული თავისუფლების მიცემა მოგიწევს. ეტყვი, რა გინდა, რამდენის გადამხდელი ხარ და დანარჩენი უკვე მისი საქმეა. სხვანაირად არაფერი გამოვა. პირდაპირ ეტყვი, რომ არქიტექტურისა არაფერი გაგეგება, მაგრამ მისი ნამუშევრები მოგწონს და ენდობი კიდეც.
– რაკი შენ უდგები თავდებად...
– ვუდგები.
– მაშინ ფასსაც აღარ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა.
_ ოღონდ სიფრთხილე მაინც გვმართებს. თავიდან შეიძლება, უარიც კი გვტკიცოს ღმერთისა არაფერი მწამსო, ასე იტყვის.
– რას მეუბნები!
_ არ დაუჯერო ღრმად მორწმუნე ადამიანია, ოღონდ არა ეკლესიური... ამას მისი ნაგებობებითაც მიხვდები.
– მერე?
– შენთვის ეს კარგიცაა არც ერთ კონგრეგაციას არ გაანაწყენებ.
– გასაგებია.
– პროექტს ნურც დაელოდები შეგიძლია, სამოგზაუროდ წახვიდე... არც კონტრაქტის დადებაა საჭირო და არც არაფერი _ ჯენტლმენური შეთანხმება, ასე ვთქვათ... ბანკში ღია ანგარიში ექნება და მორჩა. ერთ წელიწადში, უკან რომ მობრუნდები, ყველა შენს ნანახ ტაძარზე უკეთესი რამ დაგხვდება აქ!
– დაუჯერებელს ამბობ!
– თუ თავად არ გექნა რწმენა, სარწმუნოებისკენ სხვას როგორ მოუხმობ?!
– მართალი ხარ... ,
– და კიდევ საზოგადოების სწორად ინფორმირება იქნება საჭირო, ზუსტი დევიზის მოფიქრება, და ათასი რამ...
– მოკლედ, რეკლამა?

მკითხველთა ლიგა

– აბა, უმაგისოდ რა გაკეთებულა ჩვენს დროში?
– ძალიან კარგი. ეგ ყველაფერი შენთვის მომინდვია, იცოდე!
– მე კი ვიცი, მაგრამ შენ გასაგონად ვამბობ: არავითარი წინასწარ მითქმა-მოთქმა და ჭორები, არავითარი დისკუსიები და ინტერვიუ! მშენებლობას დიდი ღობე უნდა შემოერტყას და არც არავინ უნდა იცოდეს, რა შენდება იქ! მხოლოდ მაშინ, დრო რომ მოვა, ეს ამბავი ერთბაშად, ტალღასავით უნდა დაატყდეს ყველას თავს! გახსნის დღეს კი შენც აქ იქნები და საკუთარი ხელით გადაჭრი ლენტს...
– მაგარია!
– მანამდე კი ერთ პრესაგენტს მოგამაგრებ ხან აქ, ხან იქ გაკრთება ხოლმე "სტოდარდის ტაძრის" იდეა, მინიშნებები სამომავლო გეგმებზე, გრანდიოზულ მასშტაბებზე... მოკლედ, იმან იცის თავისი საქმე. და კიდევ – რორკს ჩვენი ურთიერთობის თაობაზე არაფერი უთხრა, ვითომ საერთოდ არც მიცნობ. იმდენი მეგობარი არქიტექტორი მყავს, ასეთი დაკვეთა მათ რომ არ გავუნაწილე, გული ეტკინებათ. არც იმათ მინდა იცოდნენ რამე ამის თაობაზე, ხომ გესმის...
– მართლა მეტისმეტად კაცთმოყვარე ხარ, ელზუერთ!
– ეგ დამღუპავს.

• • •

მეორე დღეს თუიმ დომინიკის ოფისში შეაბიჯა, მაგიდასთან დადგა, გაუღიმა და სერიოზული ხმით მოახსენა:
– გახსოვს სტოდარდი და მისი სულიერების ტაძარი, რომელზეც ბოლო ექვსი წელია, ლაპარაკობს?
– ბუნდოვნად.
– აშენებს.
– ნუთუ?
– ჰაუარდ რორკი აუშენებს.
– ტყუილია!
– სიმართლეა.
– ყველაფერს წარმოვიდგენ, მხოლოდ ჰოპტონს ვერა!
– სწორედ ჰოპტონი!
– კარგი. მაშინ მასზე ვიმუშავებ.
– არა, შენ ნუ ჩაერევი. მე მივაღებინე ეს გადაწყვეტილება სტოდარდს.
დომინიკი ჩუმად იჯდა. სახიდან ხალისი გაჰქრობოდა.
ელზუერთმა დაამატა:
– მინდოდა, გცოდნოდა, რომ მე გავაკეთე ეს. სხვამ არავინ იცის და არც უნდა იცოდეს. მე შენ გენდობი.
– კიდევ რას აპირებ? – კბილებში გამოცრა დომინიკმა.
ელზუერთმა ჩაიღიმა.
– მე მას ცნობილ ადამიანად ვაქცევ.

• • •

რორკი ჰოპტონ სტოდარდის ოფისში იჯდა, გაოგნებული. ჰოპტონი ისე დალაგებით ელაპარაკებოდა, ისე არგუმენტირებულად, თითქოს ყველაფერი წინასწარ ჰქონოდა გაშალაშინებული; არადა, მართლაც ასე იყო:
– ..მაშ ასე, მისტერ რორკ, როგორც ხედავთ, მინდა, რომ ქვაში ისევე როგორც ამას სხვები მუსიკაში ახერხებენ არა ერთი რომელიმე

მკითხველთა ლიგა

მრწამსი, არამედ თავად სარწმუნოების არსი იყოს გამოხატული და ამიტომაც ვარქმევ მას ”ადამიანის სულიერების ტაძარს“ ... სულიერება, როგორც იდეალურის შემქნელი და მომხელთებელი! სიცოცხლის გაჩენის სამყაროული ძალა! ესაა სწორედ თქვენი უმაღლესი მისია, მისტერ რორკ!

რორკმა შუბლი მოისრისა. "არა, ეს რაღაც გაუგებრობაა _ შეუძლებელია ამ გაქსუებულ ბებერს ამისთანა რამ ამოეჩემებინა”, – ფიქრობდა.

– მისტერ სტოდარდ, მე მგონი, რაღაც გეშლებათ ეკლესიაშიც კი არასოდეს შემიდგამს ფეხი...

ოღონდ ამ სიტყვებზე ჰოპტონ სტოდარდს გამომეტყველება თუკი შეეცვალა, მხოლოდ იმით, რომ თვითკმაყოფილების მაგივრად ახლა აღტაცება ეწერა ზედ აღტაცება ელზუერთ თუის შორსმჭვრეტელობისა და ადამიანთა ბუნების ღრმა ცოდნის გამო...

– განა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მისტერ რორკ? სულის სიღრმეში ხომ ღრმად რელიგიური ადამიანი ხართ! ეს, უბრალოდ, თქვენს ნაგებობებშიც ჩანს... ასე არაა?

აი, სწორედ ამ ფრაზამ გადაწყვიტა საბოლოოდ ყველაფერი, თუმცა ჰოპტონ სტოდარდი მაინც თავისას განაგრძობდა თითქოს ბეჭდის დასმას ლამობდა საკუთარი გამარჯვების დასტურად:

– მე ამას ღვთის ხელს ვუწოდებ, სხვამ იქნებ სხვა სახელი გამოუძებნოს... ოღონდ მთავარი ჩემთვის ისაა, თქვენი საკუთარი სული ჩანდეს ამ ნაგებობაში, მისტერ რორკ. აი, ამას თუ შეძლებთ, ჩათვალეთ, რომ პირნათლად შეგისრულებიათ ჩვენი ხელშეკრულების პირობა! თუ ამას მოახერხებთ, მნიშვნელობაც აღარ ექნება, მე რას ვგულისხმობდი ამ ტაძრის შენებით საერთო მიზანი მაინც მიღწეული იქნება!

და ჰაუარდ რორკიც დათანხმდა, ადამიანის სულის სტოდარდისეული ტაძარი ეშენებინა.

11

დეკემბერში „ კოსმო-სლოტნიკ ბილდინგი” გახსნეს დიდი ზარ- ზეიმით: ღონისძიებას არც "ცნობილი სახეები" დაჰკლებია, არც ფერად-ფერადი განათება, ფოტო-ტელეკამერები თუ ზღვა ყვავილები, საზეიმო სიტყვების რიგმა კი სამ საათს გასტანა _ თუმცა, კაცმა რომ თქვას, ერთიმეორისგან არაფრით გამოირჩეოდა...

„ რაღაც მთლად ბედნიერად მაინც ვერ ვგრძნობ თავს,” – გაიფიქრა პიტერ კიტინგმა. არადა, ქუჩა გადაჭედილი იყო ხალხით, მარჯვნივ-მარცხნივ ყველა ულოცავდა, ხელს ართმევდნენ, ეცნაურებოდნენ, ბლიცებს აჩხაკუნებდნენ და მთელ ამ ორომტრიალს თავად მისი ნაგები შენობა გადმოჰყურებდა გოროზად.

ცერემონიის მერე ელზუერთ თუიმ არავის დაანება მისი თავი და ერთ პატარა, მაგრამ ძალიან ძვირიან რესტორანში წაიყვანა.

_ რაო, რითი ხარ უკმაყოფილო? – დაეკითხა, როცა მყუდრო კუპეში მოკალათდნენ და აპერიტივსაც გემო გაუსინჯეს, – ესაა, რაც შენისთანა კაცმა ცხოვრებისგან შეიძლება აიღოს. იმედია, კიდევ ბევრი ამგვარი დღე გელის...

– მადლობა, – ჩაიბურდღუნა კიტინგმა და სრულიად გაუაზრებლად, სასმისი ბოლომდე ჩაცალა.

– მშვენივრად გამოიყურებოდი... ახალ ამბებში კარგად გამოჩნდები.

– ჰოო? – თითქოს რაღაც ინტერესისდაგვარი გაკრთა პიტერის ხმაში.

– ნამდვილად. ერთი ეგაა, რომ ქალი არ გედგა გვერდით, პიტერ. კაცს ყველაზე უკეთ ლამაზი ქალი ამშვენებს, დამიჯერე.

მკითხველთა ლიგა

– ქეითი არ არის მაინცდამაინც ფოტოგენური...
– აი, ეგ კი სულ ამომივარდა თავიდან დანიშნული რომ ხარ! ქეითის ადგილი მართლაც არ არის ამგვარ მიღებებზე... უამრავი დადებითი თვისება აქვს, ოღონდ "გაბრწყინება" თუ ”გამორჩეულობა” ამ ჩამონათვალში ვერანაირად ვერ... ჩემი ბრალია ნებისმიერ საკითხს მუდამ მხოლოდ ხელოვნების გადასახედიდან აღვიქვამ ხოლმე და ფიქრით სულ სხვაგან ვიყავი... გიყურებდი და უცბად შენი სწორი ქალი დამიდგა თვალწინ აი, ის რომ დღეს შენ გვერდით მდგარიყო...
– ვისზე ამბობ?
_ არაფერი, არაფერი... ისე, ოცნებებში წავედი ჩემებურად. ამ ცხოვრებაში ერთბაშად ყველაფერს ვერ მოიგდებ ხელთ!
_ მაინც, ვის გულისხმობ?
_ კარგი რა, პიტერ! შემეშალა ბერიკაცს, ყურადღებას ნუ მომაქცევ... მაგარი ვინმე ხარ, მაგრამ არც ისეთი, დომინიკ ფრენკონი რომ ჩაიგდო ხელში!
პიტერ კიტინგს სახე წამოუჭარხლდა, მერე თავს მოერია და მშვიდად გაეპასუხა: "ვინ გითხრა, რომ მიყვარს?”
– ვინ გითხრა, რომ სიყვარულზე გელაპარაკები? უბრალოდ, ხორციელ ლტოლვას ვგულისხმობდი.
კიტინგი ლამის შეხტა სკამზე და უცბად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაეკითხა:
– ელზუერთ, სულ იმის ცდაში ხარ, დომინიკს დამაჯახო... რისი ინტერესი გაქვს?
– აი, შენ უკვე თავად გაეცი პასუხი საკუთარ კითხვას განა რა ხეირი უნდა მქონდეს? დღევანდელი საღამო ავიღოთ ნებისმიერი ეგოისტის გულს გაახარებდა, შენ კი... ვერ ხვდები, რომ ყველაზე უმნიშვნელო პიროვნება იყავი იქ და ეს ასეც უნდა იყოს! ის კი არ ფასობს, ვინც ქმნის, არამედ ვისთვისაც ქმნიან... მაგრამ, ”რაა სახელი?" – ნამდვილი ეგოისტი სწორედ იმით გაიხარებდა, რომ ჭეშმარიტი სიდიადე მას დარჩებოდა, სხვებს კი ცარიელი სიტყვების რახარუხი! და სწორედ ამგვარ სიდიადეს მოველი შენგან...
– გინდა თქვა, რომ...
– რაც მინდა, მუდამ იმას ვამბობ, პიტერ!
კიტინგს რაღაც უცნაური სითბო ჩაეღვარა გულში და ახლა მხოლოდღა იმ ერთადერთ ვინმეზე ფიქრობდა, "'კოსმო-სლოტნიკ ბილდინგის” საზეიმო გახსნას რომ არ დასწრებია: თითქოსდა მის ადგილას გრძნობდა უკვე თავს, მას უტოლდებოდა და თითქოს რაღაცით აღემატებოდა კიდეც...
– რას გეტყვი, იცი ათას ვინმესთან და ათას ადგილას დამპატიჟეს დღეს, მაგრამ შენთან ამ საუბარს არაფერში გავცვლიდი, ელზუერთ! დიდი მადლობელი ვარ...
– კარგი ერთი! – ხელი დაუდევრად აიქნია ელზუერთ თუიმ, _ აბა, მეგობრები რისთვისა ვართ?

• • •

იმ ზამთარს ხელოვანთა ყოველწლიურ კოსტიუმირებულ მეჯლისს არნახული წარმატება ხვდა წილად: ათელსტან ბიზლის მართლაც რომ გენიალური აზრი მოუვიდა თავში და ყველა არქიტექტორს მოსთხოვა, წვეულებაზე უთუოდ საკუთარი ნაგებობების მიხედვით შეკერილ სამოსში უნდა გამოცხადდეთო...
ასე რომ, პიტერ კიტინგს თავზე ”კოსმო-სლოტნიკ ბილდინგის" მუყაოს

მკითხველთა ლიგა

მაკეტი ჩამოეცვა და თვალებით რომ ფასადის ფანჯრებიდან იმზირებოდა, ხელს სადარბაზო შესასვლელიდან იწვდიდა ჩამოსართმევად; გაი ფრენკონს "ნაციონალური ბანკის" პროპორციების ოდნავ დამახინჯება მოუწია თავის კარგად წამოზრდილ ღიპზე მოსარგებად, თუმცა კონსტრუქციის წვერზე დამაგრებული "ადრიანეს მაშხალა" მართლა ანათებდა: მინიატურული ნათურა და შესაბამისი პაწია აკუმულატორი დაემონტაჟებინა ზედ. არც გორდონ პრესკოტსა და რელსტონ ჰოლქომბს დაუმდაბლებიათ თავი ერთს მარცვლეულის ელევატორის ზუსტი რეპლიკა დაეკოსებინა თავზე, მეორეს კი "პარკ ავენიუ ჰოტელისა"... მოკლედ, მოილხინეს.

შიგადაშიგ ჰაუარდ რორკს გაჰკრავდნენ ხოლმე კბილს ფრიად საწყენი იყო, "ენრაიტ-ჰაუსის" ავტორი რომ არა და არ გამოჩნდა და, შესაბამისად, ვეღარც შენობის მაკეტი იხილეს...

• • •

დომინიკი შესასვლელ კართან იდგა და წარწერაზე გაშტერებოდა თვალი: ჰაუარდ რორკი, არქიტექტორი ეწერა ზედ.

მის ოფისში ფეხი აქამდე არასოდეს შეუდგამს, მაგრამ ახლა მაინც უნდა ენახა, სად და როგორ მუშაობდა რორკი.

მდივან გოგოს ფერმა გადაჰკრა სახეზე, საკუთარი გვარი რომ ახსენა, მაგრამ წამსვე ტუჩი მოიკვნიტა და შებრძანდითო მიმართა კრძალვით.

ჰაუარდმა გაუღიმა მხოლოდ, არავითარი გაკვირვება არ გამოუხატავს:

– ვიცოდი, ერთ დღესაც გამოჩნდებოდი, – უთხრა მშვიდად, – მაინც, რა დაგათვალიერებინო?

– ეს რა არის? – ჰკითხა და მაგიდაზე დახვავებულ პლასტელინის გროვაზე მიათითა. რორკსაც პლასტელინით ჰქონდა მოთხვრილი ხელები.

– აქედან შეხედე, – უთხრა და მაგიდის გარშემო შემოატარა, მეორე მხრიდან. შენობის გამონაძერწი აღმოჩნდა, ჯერ დაუმთავრებელი.

– ეს რა, "აქვიტანიაა?" – წარბი აზიდა დომინიკმა.

– იქნება. ახლა რაღაც-რაღაცეების შეცვლა მინდა და ვამოწმებ...

– შეიძლება, გიყურო?

– რამდენიც გინდა. – თქვა და ისევ გაიღიმა, სულ ოდნავ.

მეორე წუთს სტუმარი უკვე აღარც ახსოვდა მისი თითები დგუშებივით მუშაობდნენ, გამალებით და ხან კედელ-აივნები გამოჰყავდათ, ხან კიდევ ერთი მკვეთრი მოძრაობით ისევ უფორმო მასად აქცევდნენ თავიანთსავე ნაშრომს... ოღონდ ყველაფერ ამას ისეთი თავდაჯერებით,სიმშვიდითა და შეუპოვრობით სჩადიოდა, თითქოს იმთავითვე ასე ჰქონოდა ჩაფიქრებული.

დომინიკი ფანჯარასთან იდგა. აქედან ქალაქი ისეთივე მოჩანდა, როგორც მაკეტი მაგიდაზე. თითქოს იმ ხელის მოძრაობებსაც კი ხედავდა, ვინც ეს შენობები გამოძერწა თავის დროზე... მოტრიალდა, ისევ მაგიდისკენ გააპარა თვალი. აშკარა იყო, რორკი მის იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდა და მისი ხელებიც სხვა ქალს ეფერებოდნენ თითქოს... დომინიკმა მუხლებში ისეთი სისუსტე იგრძნო, იძულებული გახდა, კედელს მიჰყრდნობოდა ზურგით; ოღონდ ტანში სიმწრის კი არა, სიამის ტკივილმა დაუარა.

• • •

იანვრის თვეში, "აქვიტანიის" საძირკვლის გათხრისთანავე, რორკი

მკითხველთა ლიგა

“ტაძრის” პროექტზე გადაერთო. პირველადი მონახაზი რომ მოამთავრა, მდივანს დაავალა სტივენ მელორისთან დამაკავშირეო.
– ეგ ისა, სნაიპერი-მოქანდაკე რომ შეარქვეს, მისტერ რორკ?
– რაა?!
– აი, ელზუერთ თუის რომ ესროლა ის არაა?
– ა-ა... ჰო, ეგაა. სწორედ ეგ მჭირდება.
მთელი ორი დღის განმავლობაში ცდილობდა მდივანი გოგო სტივენ მელორის გზა-კვალის დადგენას, მაგრამ ამაოდ. სადღა არ რეკავდა_დილერებთან, საგამოფენო გალერეებში, ნაცნობ-უცნობ არქიტექტორებთან, გაზეთების რედაქციებშიც კი, და მხოლოდ მესამე დღეს მოახსენა რორკს: "სადღაც გადასაკარგავში დაბინავებულა, ტელეფონიც კი არ აქვს..."
რორკმა წერილი გაუგზავნა, დამიკავშირდიო, სთხოვდა; მაგრამ კვირა ისე მიიწურა, მელორი არც შეხმიანებია. მხოლოდ ორი კვირის თავზე დაურეკა საიდანღაც, რა გინდათ ჩემგანო.
– თქვენთან შეხვედრა მინდა, მისტერ მელორი, – მშვიდად გაეპასუხა რორკი, – შეკვეთის თაობაზე.
ყურმილში ერთხანს სიჩუმე იდგა.
– რა შეკვეთაზეა ლაპარაკი? – ბოლოს ისევ მელორიმ ამოიღო ხმა.
– სტოდარდის ტაძარზე, იქნებ გსმენიათ...
– ვის არ სმენია... ყველა მაგაზე არ ლაპარაკობს? ისე, რამდენს გადამიხდით თუ თქვენს პრესაგენტზე ნაკლები არ იქნება, თანახმა ვარ.
– არავითარი პრესაგენტი მე არ მყავს... გადახდით კი რამდენსაც მოითხოვთ.
– გათვალეთ, ბევრის მომთხოვნი რომ არა ვარ?
– ეგ მერე იყოს. იქნებ ხვალ, ორი საათისთვის შევხვდეთ?
– სხვა რა საქმე მაქვს! – და მცირე პაუზის მერე დაამატა, – რაღაც თქვენი ხმა სულ არ მომწონს...
რორკს სიცილი წასკდა: "სამაგიეროდ, მე მომწონს თქვენი. მოკლედ, ხვალისთვის შევთანხმდით, ეგრეა?”
– კი. – და მელორიმ ყურმილი დაუკიდა. ოღონდ ამის მერე კიდევ სამი დღე გავიდა და არ გამოჩენილა. რორკი თავად წავიდა მის სანახავად.
მისამართის მიხედვით, გრინვიჩ ვილიჯის კიდეზე, ცუდად განათებული ქუჩის ბოლოში, ყავისფერი აგურით ნაშენებ ერთ უსახურ სახლს მიადგა, ზედ თევზის ბაზრის გვერდით. პირველ სართულზე ვიღაც მოხუც ზანგ მეწაღეს სახელოსნო გაემართა, იქ იკითხა და უთხრეს მანსარდაზე სახლობს, უკანა ეზოდანაა შესასვლელიო. რორკმა ხის მორყეული კიბე აიარა და დიდი ხნის შეუღებავ კარზე დააკაკუნა.
კარი გაიღო და ზღურბლზე გამხდარი აჩეჩილთმიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ასეთი მეტყველი თვალები რორკს ჯერ არასოდეს ენახა.
_ რაგინდა? – წარმოთქვა.
– მისტერ მელორი ხართ?
– კი.
– მე ჰაუარდ რორკი ვარ.
ახალგაზრდას სიცილი აუტყდა, ცალი ხელით კარის წირთხლს ეყრდნობოდა და სურვილის ნატამალსაც კი არ ამჟღავნებდა, ბინაში შეეშვა სტუმარი. ნასვამი იყო, აშკარად.
– კარგი ერთი! – წაელაზღანდარა, – პირადად?!
– შემომიშვებთ?
– რისთვის?
რორკს ნირი არ შეცვლია, მშვიდად ჰკითხა: ”რატომ არ გამოჩნდით?“

მკითხველთა ლიგა

_ აი, თურმე რა.. იცით, როგორ იყო საქმე მოვდიოდი კიდეც, ოღონდ გზად ერთ ბარში შევიარე და... მერე აღარაფერი მახსოვს.
– იქნებ მაინც სახლში შევსულიყავით.
– თუ თქვენ ამას სახლს ეძახით, რა პრობლემაა...
მართლა სოროს უფრო ჰგავდა, ვიწრო იყო და მოუვლელი, არც ნახაზი ჩანდა სადმე, არც ნაქანდაკარი. საერთოდ არაფერი მიგანიშნებდათ მოსახლის პროფესიაზე. რორკმა რაღაც წიგნები და ძველი გაზეთები გადმოყარა ერთადერთი, მორყეულფეხებიანი სკამიდან და ფრთხილად მოიკალათა ზედ.
– რაღაც ძაან-ძაან უცნაურად კი იქცევით, – განუცხადა უცებ მელორიმ, თან აქეთ-იქით ირწეოდა, – ვის გაუგონია, დამკვეთი აქეთ დაეძებდეს მოქანდაკეს?! ჯერ თქვენთან უნდა დამიბაროთ და რომ მოვალ, არ უნდა დამხვდეთ... მეორე ჯერზე ერთი საათ-ნახევარი მაინც მალოდინოთ, მერე ჩქარ-ჩქარა მომესალმოთ, დამპირდეთ, რომ უახლოეს ორიოდ კვირაში დამიკავშირდებით და სადღაც გაქანდეთ... მერე შეკვეთას მაძლევთ, ოღონდ იმავე თვეში უკან მართმევთ და ვინმე ვალერიან ბრონსონს გადაულოცავთ... აი, ასე კეთდება საქმეები. ოღონდ ამჯერად ვერ მოგართვეს!
– ჰო, ამჯერად ვერა.
სტივენ მელორი ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებოდა სტუმარს:
– თქვენ რა, მართლა ჰაუარდ რორკი ხართ?
– მგონი, ეგრეა.
– თქვენი ნაგებობები მომწონს. იმიტომაც აღარ შემოვიარე: ვიფიქრე, ამათ რაღა დააშავეს მათ დანახვაზე ტყუილად რატომ უნდა ვიშალო ნერვები-მეთქი...
_ იქნებ...
_ ჰო, იქნებ სანტა-კლაუსიც არსებობს!
თუმცა, მაინც ჩამოჯდა მიულაგებელი ლოგინის კიდეზე, თან რორკს არ აცილებდა მზერას.
_ მისმინე, – თქვა რორკმა, მძიმედ, მკაფიოდ, აუღელვებლად, – მინდა სტოდარდის ტაძრისთვის ქანდაკება დაგიკვეთო. ფურცელი მომე და აქვე ხელწერილს დაგიდებ მილიონ დოლარზე, რომ თუკი სხვა ვინმეს გადავცემ შეკვეთას, ან შენს ნაქანდაკარს არ გამოვიყენებ...
– მორჩით სისულელეს! არც ისეთი მთვრალი ვარ. რაღაც მეც მესმის. ჩემგან რას ითხოვთ?
– ქანდაკებას. ქალისას. ნატურალური ზომის.
– რატომ მე?
– საუკეთესო ხარ.
– ტყუილია!
– რა საუკეთესო რომ ხარ?
– ეგ მიზეზი არაა საბაბია. ჩემი დაქირავება ვინ გთხოვათ?
– არც არავინ.
– არ არსებობს! ვიღაცა მაინც იქნებოდა საქმეში გარეული... ვინმე ქალი?
რორკმა თავი გააქნია.
– აბა, ბიუჯეტში გარღვევა გაქვთ?
– შეუზღუდავი დაფინანსება მაქვს.
– ესე იგი, თავი შეგაცოდეთ?
– რა გჭირს შესაცოდი?
– აბა, რა ეშმაკი შეგიჩნდათ?
– უმარტივესი ახსნა მაქვს...
– მაინც?

მკითხველთა ლიგა

– ის, რომ თქვენი ნახელავი მომწონს.
– და ამის გამო აიტკიეთ აუტკივარი თავი, მომძებნეთ, მოხვედით, კონტრაქტს მთავაზობთ.., ვინ ჭამს მაგას?!
რორკმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ.
– ისმინეთ, მისტერ რორკ _ ამ კატათაგვობანას შევეშვათ... ხომ ხედავთ რის მილიონიანი კონტრაქტი, ლუკმაპურის საზღაურადაც დაგთანხმდებით, ოღონდ სიმართლე მითხარით... რა, ჩემი ნაქანდაკარი იხილეთ და მორჩა? ეგაა სულ?
რორკი წამოდგა, მიუახლოვდა, თავზე დაადგა და მძიმედ, ხაზგასმით მძიმედ ალაპარაკდა: "რა, ცოტაა? და საერთოდ, არც უნდა გადარდებდეს, სხვა ვინ რას ფიქრობს შენზე... თუ მაინცდამაინც გინდა, მაგასაც გეტყვი კი, სულ ეგაა! საუკეთესო ხარ, ვისზედაც კი ხელი მიმიწვდება. შენი ქანდაკებები იმას კი არ გამოსახავს, როგორია ადამიანი ზოგადად, არამედ როგორი შეუძლია, რომ იყოს... შენს ნაქანდაკარში ადამიანის მიმართ იმგვარი პატივისცემა გამოსჭვივის, მიქელანჯელოს მერე რომ არავისში შემინიშნავს! აქ შენი გულისთვის კი არ მოვსულვარ საკუთარ, ადამიანურ ინტერესებს ვიცავ: საუკეთესოს არჩევა იგივე თვითგადარჩენის ინსტინქტია კარგი საკვების, სუფთა წყლის, უკეთესი საცხოვრებლის... შენ კი საუკეთესო მოქანდაკე ხარ.“
მელორიმ ბალიშში ჩარგო თავი, მხრები უცახცახებდა. რორკი ხვდებოდა, რომ ახლა მის წინ იწვა კაცი, რომელსაც ცხოვრებაში აქამდე არასოდეს ეტირა...
ორიოდ წუთის მერე მელორიმ თავი ასწია და რორკს ამოხედა; ოღონდ ჰაუარდის სახეზე ვერავინ ამოიკითხავდა შეცოდებასა თუ მოყვასის ტანჯვის ხილვით მოგვრილ ფარულ სიამოვნებას მშვიდად შესცქეროდა: გაგებითა და თანაგრძნობით.
"იცი, რორკ” – თქვა მელორიმ ჩუმად, – "კარგი იყო, მანამდე გამეცანი, სანამ საქმე გაგიჩნდებოდა ჩემთან! არა, შემოთავაზებისთვის მადლობელი ვარ, ოღონდ... რაც ხარ, მთავარი საჩუქარი სწორედ ეგაა ჩემთვის."
მერე წამოჯდა, თავს მოერია და თითქოს კბილებში გამოცრაო, დაამატა: "ახლა ის მითხარი, საიდან მიხვდი? შენც იგივე გჭირს?! როცა შენი არავის არაფერი აინტერესებს? უახლოეს მეგობრებსაც კი? ის, რაც შენთვის უმნიშვნელოვანესია, არაფერია მათთვის? მართლა ის გინდა, რაც მე თავად მღრღნის?!"
"მიდი, ამოღერღე..." – ისევე მშვიდად, აუმღვრევლად თქვა რორკმა.
და დილამდე ლაპარაკობდნენ ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე, მომავალ ერთობლივ სამუშაოზე, ტექნიკასა და მასალებზე, დაფინანსებასა და ხარჯებზე, ვადებსა და ექსპერიმენტებზე, გეგმებსა და პერსპექტივებზე...
ამასობაში გათენდა.

• • •

მელორი მეორე დღესვე გამოცხადდა რორკის სახელოსნოში; წინადღის დეპრესიული განწყობის აღარაფერი ეტყობოდა მკვეთრი, თვითდაჯერებული მოძრაობით იღებდა ხელში ნახაზებს, თანხმობისა თუ მოწონების ნიშნად თავს აქნევდა მხოლოდ, მერე რორკს ახედა და თვალი გაუსწორა.
– მოგწონს? – დაეკითხა რორკი.
– სულელურ შეკითხვებს ნუ სვამ და აღარც ბრიყვულ პასუხებს გაიგონებ... – მოკლედ მოუჭრა, მერე ერთი ფურცელი ამოარჩია,

მკითხველთა ლიგა

ფანჯარასთან მივიდა და ნახაზის გარე ხედთან შედარება დაიწყო.
– შეუძლებელია! – ამოღერღა ბოლოს, – შეუძლებელია, ოცნება და არსებული შეუთავსო ერთმანეთს... ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე მეგონა. საოცარი რამ ჩაგიფიქრებია, ღმერთმანი!
– დაჯე, – წყნარად გაეპასუხა ჰაუარდი,
– დროა, შენს დაკვეთაზეც ვისაუბროთ. ერთადერთი ფიგურა მჭირდება ქალის. აი, აქ. მთელი დანარჩენი ნაგებობა მის გარშემო იქნება კონცენტრირებული და მისი ანტურაჟის როლს შეასრულებს მხოლოდ. მაგრამ, თუ შენობის იდეას ჩასწვდები, ქანდაკების მისადაგებაც აღარ უნდა გაგიჭირდეს: ადამიანის სულის აღმაფრენა, ღმერთს რომ ეძებს და საკუთარ თავს კი პოულობს... შენ გარდა ამის გამკეთებელი არავინ მეგულება.
ხმის ამოუღებლად უსმენდა. მარტო ბოლოში, როცა რორკმა ისიც დაამატა, სრული თავისუფლება გაქვს და მოდელიც თავად შეგიძლია შეარჩიოო, ესღა იკითხა: „ შენ ვის ირჩევდი?"
– დომინიკ ფრენკონს.
– კარგი ერთი! მერე, დაგთანხმდება?!
– ეგ უკვე მე მომანდე.
გაი ფრენკონს ლამის ტვინში სისხლი ჩაექცა, ეს ამბავი რომ გაიგო:
– დაიცა რა, დომინიკ! რას სჩადიხარ?! რაღა მაინცდამაინც რორკის გულისთვის? ხალხი რას იტყვის? ისედაც რაებს აღარ ლაპარაკობენ! და მე რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე?!
– ქანდაკების რეპროდუქცია დაუკვეთე დიდი, მთელ კედელზე გასაკრავად! მშვენიერი რამე გამოვა.
პიტერ კიტინგს საერთოდ არ სურდა ამაზე ხმის დაძვრა, მაგრამ უნებურად მაინც წამოცდა: "მართალს ამბობენ, დომინიკ?”
– სრული სიმართლეა.
– დომინიკ, არ მომწონს ეგ ამბავი!
– რას მელაპარაკები! არა, მართლა?
– მაპატიე, ცოტა უხეშად გამომივიდა... მესმის, არავითარი უფლება არა მაქვს, მაგრამ... რაღა მაინცდამაინც რორკი?!
– და რატომაც არა?
– დომინიკ, პიროვნულად რამე ხომ არ შეცვლილა თქვენს ურთიერთობაში?
– პიროვნულად არაფერი.
არც ელზუერთ თუი დარჩენილა ნასიამოვნები ამ გადაწყვეტილებით.
– ეს რა გავიგე, დომინიკ? – დაეკითხა, როგორც კი მარტო მოიხელთა ოფისში.
– არც არაფერი. პარიზში რომ ვიყოთ, მთლად ჩვეულებრივ ამბად მიიღებდი ასე არაა?
– ოღონდ არა მელორის არჩევას. უცნაური დამთხვევაა არ გეჩვენება?
– ელზუერთ, რა უნდოდა მელორის შენგან?
– ჩემი საიქიოს გასტუმრება, თუ მეხსიერება არ მღალატობს...
– კარგად იცი, რასაც გეკითხები!
– წარმოდგენა არა მაქვს, ღმერთია მოწმე! იქნებ მისტერ რორკმა უწყის? იმისთვის არ გიკითხავს?
– ჯერ არა.
– გეკითხა, რას კარგავ.

• • •

მკითხველთა ლიგა

მთელი იმ ზამთრის განმავლობაში რორკს სამ საათზე მეტი არ უძინია გადაბმულად. მარტის ერთ საღამოს კი, ოფისიდან ყველანი რომ წავიდნენ, მშენებლობაზე გაუწია გულმა. იქაც სრული სიჩუმე იდგა მარტო საგანგებოდ სტივენ მელორისთვის სახელდახელოდ დადგმულ ქოხში ენთო სინათლე: მისთვის ეს ქოხი სტუდიის როლსაც ასრულებდა და საცხოვრებლისაც.

თავად ტაძარი რუხი ფიქლის ქვით იქნებოდა მოპირკეთებული და არა შვეულ, მაღლა ცისკენ აშვერილ ხაზებად, არამედ დამიწებულ, თარაზულ ზოლებად დაწყობილი: ადამიანის ხელებგაშლილ სხეულს მოგაგონებდათ და არა მაღლა აფრენილ ფრთოსანს; ოღონდ ადამიანს კი არ ამდაბლებდა აღამაღლებდა: როცა შიგ შეხვიდოდი, სივრცე გარს უნდა შემოგხვეოდა, შენი მომლოდინე, და არა შენგან განმდგარი, უსასრულო, მიღმიერი... ხარება აქ სიხარულის მომტანი იქნებოდა და არა – ტანჯვის; საკუთარი ძალების რწმენისა და არა სისუსტის; შვებისა და არა სულიერი შფოთვის...

შიგნით არავითარი ორნამენტები, ფართო სარკმლების გარდა: ადგილი ესე ლუსკუმად კი არ უნდა მოგჩვენებოდათ, არამედ ღია სამყაროში გასასვლელ თაღად მდინარისკენ, ტყისკენ, მზისკენ და ასევე შორეთში წამოჭიმული ცათამბჯენებისკენ, როგორც ადამიანის კიდევ ერთი ნახელავისკენ ამ მიწაზე... ხოლო პირით შემოსასვლელისკენ, და მის უკან ფონად დადებული ქალაქით, თავად ადამიანის შიშველი ფიგურა უნდა მდგარიყო.

ოღონდ ახლა მის წინ ჯერ არაფერი იყო, თლილი ქვების, ქვაბურისა და ღობის გარდა, მაგრამ რორკს წარმოსახვით გადმოჰქონდა სივრცეში ის, რაც მისმა თითებმა დაფაზე გაკრულ ბრტყელ ქაღალდზე გამოხაზეს სახელოსნოში... მერე უცებ, თავი გადააქნია, თითქოს ამ ხილვას იცილებსო და სტუდია-ქოხისკენ გაემართა.

– დაიცათ ერთ წუთს! – მელორის ხმა გამოეპასუხა კაკუნზე.

შიგნით კი ამ დროს დომინიკი ჩამოვიდა პოდიუმიდან და ხალათი მოისხა შიშველ ტანზე. მელორიმ მერეღა გააღო კარი.

– ა-ა, შენა ხარ? დარაჯი გვეგონე. ამ უკუნეთში რამ მოგიყვანა?

– საღამო მშვიდობისა, მის ფრენკონ, – მიესალმა რორკი და ქალმაც საპასუხოდ თავი დაუქნია, – ბოდიში, რომ სამუშაოს მოგწყვიტე, სტივ.

– ეგ არაფერი. დღეს მაინცდამაინც კარგად ვერც ავეწყვეთ... ისე, რა დროა?

– ათი ხდება. თუ კიდევ დარჩებით, შემიძლია, ვახშამი შევუკვეთო თქვენთვის აქვე მოიტანენ...

– აბა, რა გითხრა... სიგარეტი გაქვს?

იატაკი შეუღებავი იყო, ჭერზე კი გაურანდავი კოჭები გაედოთ. კუთხეში თუჯის ღუმელი გიზგიზებდა. მელორი აბოლებდა და აქეთ_იქით მიმოდიოდა, ნერვიული ნაბიჯებით.

– ბარემ ჩაგეცვა, – გასძახა უცებ დომინიკს, – დღეს მაინც არა მგონია, რამე გამოგვივიდეს...

ქალი არ გაჰპასუხებია, რორკს შესცქეროდა უსიტყვოდ. მელორი შემოტრიალდა და ახლა რორკს დაეკითხა: ”აქამდე რატო არ გვინახულე? თუმცა, როცა ვმუშაობ, ცუდი მასპინძელი ვარ ხოლმე... ისე,ჩვენი თავი რამ გაგახსენა?“

– აქაურობის ნახვა მინდოდა. კაი ხანია, ვერ მოვიცალე და...

– ეს ის არის, რაც გინდოდა, სტივ? – მოულოდნელად ამოიღო ხმა დომინიკმა, თან ხალათი შემოიძრო და დედიშობილა გაემართა პოდიუმისკენ. მელორი ხან მას გახედავდა პირდაღებული, ხან რორკს.

მკითხველთა ლიგა

მერე თითქოს გონება გაუნათდა: ახლაღა მიხვდა, რას ეძებდა მთელი დღე სწორედ ამ გაყინულ კადრს უკან თავგადაგდებულ შიშველ, დაჭიმულ სხეულს, ოღონდ ამჯერად ცოცხალს, მფეთქავს, ვნებიანს...

სიგარეტი ღუმელში მოისროლა და საძერწ დაზგას ეცა. "მასე გაჩერდი, დომინიკ!" – გაჰყვიროდა შეშლილივით, – "არ გაინძრე!"

შეპყრობილივით ზელდა თიხას, ახალ-ახალ შტრიხებს ძერწავდა, დომინიკს კი ძარღვიც არ გასტოკებია სახეზე, იდგა და რორკს მისჩერებოდა, უსიტყვოდ...

• • •

აპრილში, მაღალი კედლით შემოსაზღვრულ ამ ტერიტორიაზე უკვე ხარაჩოებიც წამოიმართა. დღის ბოლოს, სამუშაო საათების მერე, აქ ხშირად ნახავდით ოთხ ადამიანს: რორკს, მელორის, დომინიკსა და მაიკ დონოგანს მაიკი რორკთან მუშაობის შანსს ხელიდან არასოდეს უშვებდა.

ერთხელაც, ოთხივენი მელორის ქოხში ისხდნენ, ღია კარიდან კი გაზაფხულის ნოტიო სურნელი შემოდიოდა. გაღებული კარიდან ის ტოტი მოჩანდა, სამი ახალამოყრილი ფოთლით. ქოხში ერთი სკამიც არ იდგა, მელორი ძეხვს წვავდა და ყავას ადუღებდა ღუმელზე, მაიკი პოდიუმის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ჩიბუხს აწყობდა, რორკი იატაკზე წამოწოლილიყო, დომონიკს კი ნოხის რაღაც ნაგლეჯზე მოერთხა შიშველი ფეხები. ქოხის კუთხეში სველი ტილო ფარავდა ჯერაც დაუმთავრებელ ქანდაკებას.

სამუშაოს შესახებ არავინ ლაპარაკობდა უბრალოდ, ისხდნენ და ათას რამეზე საუბრობდნენ; რაღაც ამბის თხრობაზე უფრო, ერთმანეთის ხმის გაგონება სურდათ: ოთხი ადამიანი, რომელსაც ერთად ყოფნა ანიჭებდა სიამოვნებას. რორკიც კი გულღიად იცინოდა, დომინიკს ის არასოდეს უნახავს ასეთი.

• • •

მაისში "აქვიტანიას" მშენებლობა შეჩერდა: ორი მფლობელი ბირჟაზე თამაშს გადაჰყვა, მესამეს რაღაც მემკვიდრეობის თაობაზე ატეხილი დავის გამო გაუყინეს საბანკო ანგარიში; მეოთხემ სხვისი აქციები მიითვისა, გაფლანგა და საქმე სასამართლომდე მივიდა. მოკლედ, კორპორაცია სასამართლო დავებს ვერ აუდიოდა და ისე ჩანდა, ყველაფერ ამის მოგვარებას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდებოდა. ამასობაში, შენობა დაუმთავრებელი იდგა, მიტოვებული და მივიწყებული.

"ყველაფერს გამოვასწორებ," – ეუბნებოდა კენტ ლანსინგი რორკს, - "ამათი ბინძური ხელებიდან გამოვიხსნი პროექტს და ჩვენ თავად მივიყვანთ საქმეს ბოლომდე! ოღონდ დრო მჭირდება. იქნებ რამდენიმე წელიც. არ გეტყვი, მოთმინება იქონიე-მეთქი მე და შენ, საერთოდ, ჩვენისთანა ხალხს, ჩინელი ჯალათის მოთმინება რომ არ ჰქონდეს ხასიათში გამჯდარი, აქამდე ვერც მოვაღწევდით..."

უფ. ელზუერთ თუი კი კმაყოფილებას ვერ მალავდა, დომინიკის მაგიდის კიდეზე წამოსკუპებული: "ესეც ასე... მე პირადად, "დაუმთავრებელ სიმფონიას" ვუწოდებდი ამ ამბავს! მშვენივრად ჟღერს..."

დომონიკმა თავის რუბრიკაში ხელიდან არ გაუშვა ეს bon mot: „სენთრალ პარკ უესტის "დაუმთავრებელი სიმფონია" – ასეთი სათაური წაუმძღვარა თავის საკვირაო სტატიას. ამის შემდეგ ხალხი, ვისაც ყურიც კი არ მოეკრა

მკითხველთა ლიგა

რორკის სახელისთვის, ამ ფეშენებელურ ქუჩაზე გამოჩხერილი, დაუმთავრებელი მშენებლობის დანახვაზე, ერთი და იმავეს იმეორებდა: "დაუმთავრებელი სიმფონიაო“ ...

ღამღამობით რორკი მიადგებოდა ხოლმე იქაურობას, ხეების ჩრდილში დადგებოდა და თვალს არ აცილებდა ჩაბნელებულ საფანჯრენიშებიან და მოუმთავრებელკედლებიან მკვდარ კონსტრუქციას, მისი თითები კი უნებლიეთ მოძრაობდნენ, თითქოს ისევე ზელდნენ თიხას, როგორც მაშინ – მაკეტს რომ ძერწავდა...

ზოგჯერ შიგნითაც შედიოდა ხოლმე იატაკდაუგებელ ოთახებში დაბორიალებდა, გადაუხურავ დერეფნებში, ხანაც უმოაჯირო კიბეებზე ადი-ჩადიოდა... მშენებლობას თავისი დარაჯიც ჰყავდა ერთი ხნიერი,მუდამ წვერგაუპარსავი კაცი; ლაპარაკზე ეტყობოდა, რომელიღაც სამხრეთის შტატიდან უნდა ყოფილიყო. ერთხელაც რორკს გამოელაპარაკა არა, კი არ გამოლაპარაკებია, უბრალოდ უთხრა: ”ბავშვი მყავდა
ერთ დროს... თითქმის... მკვდარი დაიბადა”. მერე კი ისე მიაჩერდა, თითქოს თავად ეეჭვებოდა, რაც უნდოდა, სწორედ ის უთხრა, თუ... რორკმა გაუღიმა, მხარზე შეახო ხელი, თითქოს მიესალმაო და ისევ რომელიღაც დაუმთავრებელ დერეფანს გაუყვა.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ პირველი თვე გრძელდებოდა მერე ”აქვიტანიაზე” ფიქრი საერთოდ ამოიგდო თავიდან.

• • •

ოქტომბერში რორკი და დომინიკი "სტოდარდის ტაძრის” უკვე დასრულებულ სანახებში დაეხეტებოდნენ. სულ რაღაც ერთ კვირაში თავად სტოდარდი უნდა დაბრუნებულიყო მოგზაურობიდან და მეორე დღესვე ტაძრის საჯაროდ გახსნა იგეგმებოდა. ინტერესი კი დიდზე დიდი იყო: ნაგებობა ისე გულდასმით იყო ცნობისმოყვარე თვალთაგან შენიღბულ-მოფარებული, მთლიანობაში ის ჯერ მასზე მომუშავე ხალხსაც არ ენახა.

წყნარი საღამო იდგა და არც შენობაში ისმოდა ჩამიჩუმი· კარარის მარმარილოსგან გამოთლილ ქანდაკებას მიადგნენ მის უკან, ჩამავალი მზის მეწამული ათინათი ცეცხლს უკიდებდა გორაკებს, ტყეს, სახლებს, მთელ ჰორიზონტს...

– რორკ!

– რა, ჩემო კარგო?

– არა... არაფერი.

მანქანასთან ერთად დაბრუნდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი.

12

წინასწარი განცხადებით, სტოდარდის ტაძრის გახსნა პირველ ნოემბერს, ნაშუადღევს იყო დაგეგმილი.

პრესაგენტმა დიდი სამუშაო გასწია: ახლა მთელი ნიუ-იორკი ჰაუარდ რორკსა და იმ არქიტექტურულ შედევრზე ლაპარაკობდა, მალე რომ უნდა შემატებოდა ქალაქს.

31 ოქტომბერს, დილით, ჰოპტონ სტოდარდი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობიდან დაბრუნდა. ელზუერთ თუი მას გემის ტრაპთან დახვდა.

პირველი ნოემბრის დილას ჰოპტონ სტოდარდმა მოკლე განცხადება გააკეთა დაგეგმილი ღონისძიება აღარ ჩატარდებაო, ოღონდ არანაირი

მკითხველთა ლიგა

მიზეზი არ დაუსახელებია.
"ბანერის" 2 ნოემბრის ნომერში კი, რუბრიკით „ ერთი მოკრძალებული ხმა” ელზუერთ თუის წერილი ”მკრეხელობა!” – დაიბეჭდა. წერილი ლუის კეროლის ცნობილი პასაჟის პარაფრაზით იწყებოდა:

დრო დადგაო, ასე ბრძანა
ერთხელ ლომმა ზღვისამ,
სათქმელი დაგვიგროვდაო ამ მთის, იმ ბარისა:
ხომალდებზე, ფეხსაცმელზე, ვინმე ჰაუარდ რორკზე,
კომბოსტოზე, მეფეებზე, ბროლის ციხე-კოშკზე;
დავსხდეთ, დავილაპარაკოთ ზღვა რამ აადუღა,
ან ეს რორკი ცაში ფრენით თავს რატომ იღუპავს?..

ჩვენთვის არცთუ მაინცდამაინც საყვარელ ერთ თანამედროვე ფილოსოფოსს თუ დავუჯერებთ, ბუზის საკლავი ჯოხის ფუნქცია იქნებ არც უნდა გვეკისრა, მაგრამ როცა ბუზებს განდიდების მანია იპყრობს, არც მათი განადგურება უნდა ვითაკილოთ!
ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად და ბევრს საუბრობდნენ მავან ჰაუარდ რორკზე... რამდენადაც სიტყვის თავისუფლება ჩვენი წმინდათაწმინდა მონაპოვარია და, ამავე დროს, დროის ფლანგვის თავისუფლებასაც გვანიჭებს, თავისთავად, იქნებ არც ფუჭი ლაპარაკი ყოფილიყო დიდი უბედურება თუკი უფრო სასარგებლოს ვერაფერს გამოვნახავდით, ვიდრე იმ კაცის განსჯაა, რომელსაც, ეტყობა, თავმოსაწონად ერთი დაწყებული და დაუმთავრებელი ნაგებობის მეტი არაფერი გააჩნია. ვიმეორებ, დიდი უბედურება არც იქნებოდა-მეთქი, ერთი შეხედვით სასაცილო ამბავი ტრაგედიად, უფრო მეტიც, მე ვიტყოდი თავხედობად რომ არ შემოტრიალებულიყო.
ჰაუარდ რორკი ხუროთმოძღვრობას იჩემებს, თუმცა მისი სახელი უმრავლესობას არც გაუგონია და ისეთი პირი უჩანს, ვერც მომავალში გაიგონებს. ერთი წლის წინ ამ ახალგაზრდას უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე მიანდეს: სამოგზაუროდ წასული დამკვეთის ჩამოსვლამდე რომელმაც, სხვათა შორის, არნახული ნდობა გამოიჩინა და მოქმედების სრული თავისუფლებაც მიანიჭა მართლაც რომ ხელთუქმნელი ძეგლი უნდა აეშენებინა. არადა, სისხლის სამართლის ტერმინოლოგიას თუ ხელოვნების სფეროში გადმოვიტანთ, შეიძლებოდა, თამამად გვეთქვა უფალი რორკის ქმნილება სულიერი ბანდიტიზმია და სხვა არაფერი.
მისტერ ჰოპტონ სტოდარდს, ცნობილ ქველმოქმედს, განზრახული ჰქონდა, ქალაქ ნიუ-იორკისთვის "რწმენის ტაძარი" ეჩუქებინა არა რომელიმე ერთი აღმსარებლობის სალოცავი, არამედ, ზოგადად, ადამიანური მრწამსის სიმბოლო; ის კი, რაც მისტერ რორკმა აუშენა, ერთი შეხედვით, საწყობს ჰგავს და თან ვერც იტყვი, რის შესანახად გამოსადეგს. წესით, აქ უფრო უპრიანი საროსკიპოს გახსნა იქნებოდა, მით უმეტეს, სკულპტურულ ორნამენტებს თუ გავითვალისწინებთ... მოკლედ, ეს ნაგებობა ყველაფერია, ტაძრის გარდა.
თითქოს შეგნებულად, ბოროტი განზრახვით, რელიგიური ხასიათის შენობისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი გააზრება აქ ყირაზეა დაყენებული: მკაცრი, ასკეტური შემოსაზღვრულობის ნაცვლად, ეს ვითომ ტაძარი შუშაბანდივით მოღიავებულ-მოფრიალებულია და იმის მაგივრად, შიგნით შემოსულს მოკრძალების განცდა დაგეუფლოს, ქედი მოიხარო, დაფიქრდე და მიხვდე, რა უსუსური და უმნიშვნელო არსებაა ადამიანი

მკითხველთა ლიგა

სილაღე გიპყრობს და სურვილი გიჩნდება, ღრეობას მიეცე! არსად ჩანს ცისაკენ ზეატყორცნილი, თავად ტაძრის ხასიათით ნაკარნახევი ხაზები, სიმბოლო ადამიანის სწრაფვისა რაღაც უფრო დიადისადმი, ვიდრე მისი პაწაწინა ეგოა; პირიქით, შენობა ხაზგასმულად ჰორიზონტულია, მუცლით ტალახში ჩაწოლილი, ავხორცულად მიწიერი, სულზე ხორცის აღზევების მადიდებელი. ესეც არ იყოს, შიშველი ქალის ქანდაკების დადგმა იქ, სადაც ხალხი სულიერ ამაღლებას ეძიებს, უკვე თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე და აღარც ზედმეტ კომენტარს მოითხოვს.

ტაძარში შესული პიროვნება საკუთარი თავისაგან გათავისუფლებას ცდილობს. მას სურს, სიამაყე დაიცხროს, აღიაროს, რაოდენ უსუსური და უძლურია, ითხოვოს პატიება და მიტევება... სულის სიმშვიდეს იგი უდრტვინველი მორჩილების განცდაში პოულობს უფლის სახლში ადამიანს მუხლზე დგომა შეჰფერის ყველაზე მეტად. მისტერ რორკის ტაძარში კი არც ერთ სრულ ჭკუაზე მყოფ კაცს არ გაუჩნდება დაჩოქების სურვილი. ამას თითქოს იქაური გარემოც გიკრძალავს: რორკისეულ ნაგებობაში განცდებიც სრულიად განსხვავებული ჩნდება ქედმაღლობის, ამპარტავნობის, ურჩობის, ყოყოჩობის... არა, ეს უფლის სახლი არ არის, ეს განდიდების ჟინით შეპყრობილი მეგალომანიაკის სენაკია; ტაძარი კი არა მისი სრული ანტითეზა, ზოგადად რელიგიის უტიფარი გამასხარავება! და ამ გაუგებრობას წარმართობისაკენ შებრუნებასაც ვერ დავარქმევთ თუნდაც იმიტომ, რომ წარმართები მართლაც გამორჩეული ხუროთმოძღვრები იყვნენ.

ჩვენი რუბრიკა მიზნად არც ერთი აღმსარებლობის ქომაგობას არ ისახავს, თუმცა უბრალო კეთილსინდისიერება მოითხოვს, პატივი ვცეთ ნებისმიერი თანამოძმის რელიგიურ შეხედულებებს. ამიტომაც ვიკისრეთ საზოგადოებისათვის იმის ახსნა, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ეს მიზანმიმართული შეტევა სარწმუნოებაზე: დაუფარავი და თავხედური მკრეხელობის წაყრუება არამც და არამც არ ეგების.

იქნებ სადღაც კალამიც გაგვექცა და მხოლოდ არქიტექტურის კრიტიკოსის ფუნქციებით ვერ შემოვიფარგლეთ, მაგრამ ვფიქრობთ, საამისო საბაბი ნამდვილად არსებობდა და, ასე ვთქვათ, ღირდა ჩიტი ბრდღვნად. საერთოდ, სერიოზულ კრიტიკოსს არც ეპატიება უსახურობის განდიდება რაგინდა რა მიზეზითა თუ მოსაზრებით. ზემოხსენებულ ჰაუარდ რორკს ადრეც უშენებია რაღაც-რაღაცეები,თუმცა ნებისმიერ მის ნახელავს იგივე, ამბიციური დილეტანტის ახირებულობა და უსახურობა გამოარჩევს. იქნებ ყველა ღვთისშვილს მართლაც ჰქონდეს ფრთები, თუმცა, სამწუხაროდ, ერთი და იგივე ყველა გენიოსზე როდი ითქმის...

აი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სულ ესაა, რის თქმაც მინდოდა. დღევანდელი საქმეც როგორღაც მოვითავეთ. არადა, ვერ დაგიმალავთ, ნეკროლოგების წერა დიდად არ მეხატება გულზე."

3 ნოემბერს ჰოპტონ სტოდარდმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ჰაუარდ რორკის წინააღმდეგ ბრალად ხელშეკრულების დარღვევასა და დანაშაულებრივ გულგრილობას სდებდა; თანაც, ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა: ზუსტად იმ თანხას, რაც სხვა არქიტექტორის მიერ ტაძრის გადაკეთებას დასჭირდებოდა.

• • •

ამაში კი ჰოპტონ სტოდარდის დარწმუნება სულაც არ აღმოჩნდა ძნელი: მოგზაურობიდან საკმაოდ დათრგუნული დაბრუნდა მსოფლიოს

მკითხველთა ლიგა

სხვადასხვა კუთხეში რელიგიურ წმინდა ადგილთა მოხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, ჩემი ცხოვრებით ნაცხოვრებმა კაცმა, რა აღმსარებლობაც არ უნდა მიიღოს, ჯოჯოხეთში მოხვედრა მაინც არ ასცდებაო. ამაზე ფიქრმა შერჩენილი გონება მთლად აუმღვრია და უკვე გემზეც კი, ზურგს უკან ყველა გამოჩერჩეტებულ ბერიკაცად იხსენიებდა.

ელზუერთ თუიმ იმავე საღამოს წაიყვანა ტაძრის სანახავად. თავად თუი ხმას არ იღებდა. სტოდარდი გაშტერებული ათვალიერებდა იქაურობას: ამ ნაგებობის მსგავსი დედამიწის ზურგზე არსად არაფერი ენახა და ვერც წარმოიდგენდა, როდისმე თუ ნახავდა სადმე. აღარ იცოდა, რა ეფიქრა. სასოწარკვეთილი, უაზრო თვალებით მიაჩერდა თუის.ის კი უწინდებურად ჯიუტად დუმდა. ამწუთას შეეძლო, ნებისმიერ რამეში დაერწმუნებინა საცოდავი ბერიკაცი. კარგა ხანს იდგნენ ასე, ბოლოს დუმილი ისევ თუიმ დაარღვია და ზუსტად ის უთხრა, რაც მერე საგაზეთო წერილშიც დაწერა.

– კი, მაგრამ, შენ არ მითხარი, რორკზე უკეთესს ვერავის ნახავო?! – ამოიგმინა დაზაფრულმა სტოდარდმა.

– ასე მეგონა, ვაღიარებ, – ცივად მიუგო თუიმ.

– აბა?! რა მოხდა?

– არ ვიცი, – თქვა თუიმ და თან ისე გადახედა, თითქოს ყოველივე მომხდარის მიღმა რაღაც საზარელი დანაშაული იმალებოდა, მთავარი დამნაშავე კი თავად სტოდარდი იყო.

უკანა გზაზეც ჩუმად იჯდა მანქანაში, სიჩუმე კი ისედაც დამფრთხალ სტოდარდს მთლად გულს უხეთქავდა. უკვე შინ, თუიმ მასპინძელი სავარძლამდე მიაცილა, დასვა და მსაჯულივით პირქუში და გოროზი, თავზე დაადგა:

– კარგი, ჰოპტონ, გეტყვი, რატომაც მოხდა ასე.

– ხო, რატომ?

– გაქვს რამე მიზეზი, ცრუპენტელობა დამაბრალო?

– არა, რას ამბობ უდიდესი ექსპერტი და უპატიოსნესი ადამიანი ხარ! დავიბენი, ვერაფერი გამიგია... ამიხსენი, გთხოვ!

– აგიხსნი. რორკი რომ შემოგთავაზე, ეჭვიც არ შემპარვია, მართლა შედევრს შექმნის-მეთქი. საფუძველიც მქონდა, ასე მეფიქრა. არადა, ვერ შექმნა. აბა, დაფიქრდი, ჰოპტონ, რა ძალას შეუძლია ადამიანთა ნებისმიერი გათვლა-ვარაუდების ყირაზე დაყენება?

– რა ძალას?

_ ღმერთმა ასე და ამ გზით უარყო შენი ძღვენი. ტაძრის აშენების ღირსად არ ჩაგთვალა. ვიცი, ჩემი მოტყუება ნამდვილად შეგიძლია, ნებისმიერი სხვა ადამიანისაც, მაგრამ ღმერთს ვერ მოატყუებ, ჰოპტონ! მან ხომ იცის,შენი ცხოვრება იმაზე გაცილებით შავბნელია, მე რომ მგონია.

დიდხანს ლაპარაკობდა, მშვიდად, მკაცრად... და ბოლოს, შიშისგან უკვე მთლად ნირწამხდარ სტოდარდს ასეთი რჩევა მისცა:

_ მე მგონი, ნათელია, ჰოპტონ მიტევებას ამ გზით ვერ ეღირსები.ტაძრის აგება მხოლოდ სუფთა გულით შეიძლება. სანამ მაგის უფლებას მოიპოვებ, ჯერ ბევრი სხვა ნაბიჯი უნდა გადადგა და ცოდვები მორჩილად მოინანიო. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, მოყვასთა წინაშე და უკვე მერე უფლის! ეს შენობა ღვთის სახლად არც გქონია მოაზრებული, ალბათ უფრო ქველმოქმედების სურვილი გამოძრავებდა და შენთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა ტაძარს ააშენებდი თუ გონებაშეზღუდულ ბავშვთა თავშესაფარს.

ოღონდ ბერიკაცს მაინცდამაინც არ ეტყობოდა, რამე თუ ესმოდა ამ შეგონებებისა.

მკითხველთა ლიგა

– მერე, ელზუერთ, მერე ვილაპარაკოთ, – ამოიგმინა გულსაკლავად ახლა ცოტა მაცალე. თუმცა, როგორც თუიმ ივარაუდა, სასამართლოში სარჩელის შეტანას მაინც დასთანხმდა...

გამომშვიდობებისას თუიმ უთხრა: "ამ ამბავზე რაც უნდა ვთქვა ან დავწერო, არ გაგიკვირდეს. იძულებულიც ვიქნები, სიმართლე ცოტა დავამახინჯო. ოღონდ ესეც უფრო შენი ბრალია, ვიდრე ჩემი. თან საკუთარ რეპუტაციაზეც ხომ უნდა ვიზრუნო. არც ის დაგავიწყდეს, დაფიცებული რომ გაქვს, არ გაამხილო, რორკის დაქირავება ვინ გირჩია.

უკვე მეორე დღეს, "ბანერში" "მკრეხელობა!" დაიბეჭდა და დიდი ორომტრიალიც ატყდა, სტოდარდის საჩივრის ამბავი კი მთლად ცეცხლზე ნავთის დასხმა აღმოჩნდა.

ისე, ერთი რაღაც შენობის გამო ჯვაროსნულ ლაშქრობას, ცხადია, არავინ წამოიწყებდა, მაგრამ საქმე ხომ სარწმუნოების შებღალვას ეხებოდა! პრესაგენტმაც ნოყიერი ნიადაგი შეამზადა და საზოგადოებაც ყალყზე დადგა მით უფრო, ბევრ კუს გამოუჩნდა ფეხის გამოყოფის შესაძლებლობა...

ჰაუარდ რორკისა და მისი ტაძრის წინააღმდეგ აღშფოთების ისეთი ტალღა აგორდა, ბოლოს ყველა ცოტათი გაოცებულიც კი დარჩა, ყველა გარდა ელზუერთ თუისა. მღვდლები ქადაგებებში წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ამ ნაგებობას. ქალთა კლუბები საპროტესტო რეზოლუციების წერას ვერ აუდიოდნენ. ”დედათა კომიტეტმა" გაზეთები ააჭრელა ჩვენს ბავშვებს საფრთხე უმუქრებაო. ცნობილმა მსახიობმა ქალმა სტატია გააშანშალა, სადაც ყოველი ხელოვნების არსობრივ ერთიანობაზე ამახვილებდა ყურადღებას, სტოდარდის ტაძრის სტრუქტურულ უშინაარსობაზე მსჯელობდა და იმ დროს იხსენებდა, როცა დიად ბიბლიურ დრამაში მარიამ მაგდალინელის განსახიერების პატივი რგებოდა წილად... სხვა ცნობილმა ქალბატონმა თავის პუბლიკაციაში ჯუნგლებში სახიფათო მოგზაურობისას ნანახი ეგზოტიკური ტაძრები აღწერა. წარმართთა გულის ამაჩუყებელ რწმენას შეასხა ხოტბა და დიდი საყვედური გამოთქვა თანამედროვე ადამიანის ცინიზმის გამო; მისივე თქმით, სტოდარდის ტაძარი უხერხემლობისა და დაკნინების აშკარა მაგალითი იყო. პუბლიკაციას ფოტოც ახლდა შორტებში გამოწყობილ მოგზაურ ქალბატონს ცალი ფეხი მოკლული ლომისთვის დაედგა ყელზე... ერთ-ერთი მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორს კოლეჯის მავანმა პროფესორმა ღია წერილით მიმართა,საკუთარი სულიერი გამოცდილება გაუზიარა და დაბეჯითებით განაცხადა _ „ სტოდარდის ტაძრისთანა“ ნაგებობაში შეუძლებელია, რაიმე მსგავსი განიცადოს კაცმაო. კიკი ჰოლქომბმა კი, პრესისავე მეშვეობით, სიკვდილ-სიცოცხლეზე საკუთარი შეხედულებები გააცნო ფართო საზაოგადოებას.

„ ამერიკის არქიტექტორთა გილდიამ” მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა "სტოდარდის ტაძარს” და იგი როგორც სულიერ, ასევე შემოქმედებით თაღლითობად მონათლა. მსგავსი შინაარსის, ოღონდ უფრო „ გახალხურებული“ და ქუჩურ ჟარგონს მიახლოებული ენით დაწერილი განცხადებები გამოაქვეყნეს სრულიად ამერიკის მშენებლების, მწერლების და მხატვრების საბჭოებმაც. მათი არსებობაც კი მანამდე კაციშვილს არ გაეგო, მაგრამ "საბჭოები“ ერქვათ და ეს უკვე თავისთავად სძენდა წონას მათ ნააზრევს. "გაიგე, ”ამერიკის არქიტექტორთა გილდიას” რა უთქვამს იმ ტაძარზე? არქიტექტურას სილა გააწნა!..”_ისეთი ხმით ეტყოდა ხოლმე მავანი და მავანი თანამოსაუბრეს, თითქოს ამ გილდიის ერთი სხდომა არ გაეცდინა ჯერ და თანამოსაუბრეც, უმეცრება არ დამწამონო, მხარს აუბამდა: აბა, რას იზამდნენ, მაგათ რამე

მკითხველთა ლიგა

შეეშლებოდათო!

ჰოპტონ სტოდარდმა თანაგრძნობის გამომხატველი იმდენი წერილი მიიღო, ბოლოს ბედნიერადაც იგრძნო თავი მანამდე ხომ პოპულარობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა. ბრძენი კაცია ელზუერთიო- ფიქრობდა; არაფერი ეშლება, აი, ნელ-ნელა ხალხმა მეც შემინდო და ცოტათი, მგონი შემიყვარა კიდეცო...

სოლიდურ გაზეთებს მთელი ეს ამბავი მალე მობეზრდათ, მაგრამ „ბანერი“ ძველებურად უბერავდა და აგრძელებდა თავისას. გეილ უაინენდი საკუთარი იახტით ინდოეთის ოკეანეს სერავდა, ამიტომაც ჯვაროსნულ ლაშქრობას ალვა სკარეტი ჩაუდგა სათავეში. ყველანაირად ეცადა, ეს საპატიო მისია სწორედ თვითონ ეკისრა, და აღარც ელზუერთ თუი გასძალიანებია დიდად.

სკარეტმა ხელები დაიკაპიწა: ჯერ იყო, ცივილიზაციის ხრწნასა და რწმენის დაკარგვაზე გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, მერე უფროსკლასელთა კონკურსი მოაწყო თემაზე “რატომ დავდივარ ეკლესიაში“ ; ილუსტრაციათა მთელი სერიაც გამოაქვეყნა რუბრიკით „ ქვიშაზე ნაგები ტაძრები”. რამდენიმე ნომერში ზედიზედ ბეჭდავდა რელიგიური შინაარსის ძეგლების სფინქსის, ქიმერების, ტოტემური ბოძების_ ფოტოებს და ბოლოს დომინიკის ქანდაკებასაც დაუთმო გაზეთში გამორჩეული ადგილი: დაგმო და გააცამტვერა, ოღონდ მოდელის ვინაობაზე კრინტი არ დაუძრავს. უამრავი ბრძნული აზრი გადმოაფრქვია ბაბილონის გოდლის თაობაზე, რომელმაც ზეცამდე ვერა და ვერ მიაღწია და არც იკაროსის ცვილის ფრთები და სავალალო აღსასრული დავიწყებია.

ელზუერთ თუი ჩრდილში იდგა და ყველაფერს უხმოდ ადევნებდა თვალს. მხოლოდ ორჯერ ჩაერია საქმეში: „ ბანერის“ არქივში სიხარულით გაცისკროვნებული რორკის ფოტო მოიძია,”ენრაიტ-ჰაუსის” გახსნისას გადაღებული, და საჩქაროდ გამოაქვეყნა კიდეც წარწერით - „ ახლა ბედნიერი ხართ, ბატონო სუპერმენ?“ მერე კი, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, სტოდარდი დაარწმუნა, ტაძრის კარები გაახსნევინე და ყველა მსურველს დათვალიერების საშუალება მიეციო. მსურველი მართლა უამრავი გამოჩნდა და დომინიკის ქანდაკების კვარცხლბეკიც უწმაწური წარწერებითა და ნახატებით გადაჭრელდა.

თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ , ცხადია, ბევრნი არა, ვინც მოდიოდა და ჩუმი აღფრთოვანებით შესცქეროდა ამ უცნაურ, ჯერარნახულ სანახაობას. ოღონდ ეს განზე მდგომი, საზოგადოებრივ ორომტრიალს გარიდებული ხალხი იყო. ოსტინ ჰელერმა მძაფრი გამოხმაურება გამოაქვეყნა რორკისა და ტაძრის დასაცავად. მაგრამ ის არც არქიტექტურისა და არც რელიგიის საკითხებში ავტორიტეტად არ ითვლებოდა და მისი წერილიც შეუმჩნევლად ჩაიკარგა საერთო აღშფოთების მორევში.

თავად ჰაუარდ რორკს კი არაფერი გაუკეთებია, სიტყვაც არ უთქვამს თავის გასამართლებლად.

ოფიციალური განცხადების გაკეთება სთხოვეს და იმანაც ოფისში მიიღო ჟურნალისტები. კითხვებზე მშვიდად, ბრაზის გარეშე პასუხობდა და ბოლოს დასძინა: "ჩემს აშენებულ შენობაზე ვერაფერს ვიტყვი. სიტყვების რახარუხს რომ მოვყვე და ვცადო, ვინმეს რამე ძალით ჩავუტენო ტვინში, სხვასაც შეურაცხყოფას მივაყენებ და საკუთარ თავსაც. მაგრამ თქვენი მოსვლა მართლა მიხარია და მინდა, ხმამაღლა განვაცხადო: ვთხოვ ყველას, ვისაც აინტერესებს, მივიდეს და ნახოს, რა ნაგებობაზეა ატეხილი მთელი ეს ამბავი, შეხედოს და მერე თქვას საკუთარი სათქმელი.

მკითხველთა ლიგა

"ბანერმა" ამ მოკლე განცხადებას ასეთი კომენტარი დაურთო: "მისტერ რორკმა, რომელიც ეტყობა, თვითრეკლამის ჟინმა შეიპყრო, ჟურნალისტები დაიბარა და ყოვლად მიუღებელი უტიფრობით განუცხადა – საზოგადოებრივი აზრი სიტყვების უაზრო რახარუხიაო. ეს იყო და ეს, რის სათქმელადაც პატივი დაგვდო და მიგვიღო. და კიდევ: თურმე ერთადერთი, რაც აღელვებს იქნებ, მეტმა ვინმემ ნახოს მისი ქმნილება."

რორკმა ვექილის დაქირავებაზეც უარი განაცხადა საკუთარი თავის დაცვას მე თვითონ მოვახერხებო, უთხრა ახლობლებს და ოსტინ ჰელერის ცხარე წინააღმდეგობის მიუხედავად, აზრი არაფრით შეიცვალა.

– ოსტინ, არსებობს წესები, რომლებიც ზედმიწევნით მინდა დავიცვა ვთქვათ, ისეთივე ტანისამოსი მეცვას, როგორც სხვებს, იმავე საკვებით ვიკვებო და იმავე მეტროთი ვიმგზავრო. მაგრამ არის რაღაცეები, რასაც სხვებივით ვერ გავაკეთებ... ახლაც ეგ შემთხვევაა სწორედ.

– რა იცი შენ სასამართლო და კანონი? უეჭველად მოგიგებს.

– რას?

– ამ საქმეს.

– და მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ისე, რანაირად მოვახერხებ და დავუშლი, თავის ტაძარს ხელი არ ახლოს? პატრონი თვითონაა. როცა მოუნდება, მაშინ შეუძლია, დაანგრიოს და იმის ადგილას, ვთქვათ, საპნის ქარხანა ააშენოს იმის მიუხედავად, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს სასამართლოში.

_ ხო, მაგრამ იმ ქარხანას ხომ შენი ფულით ააშენებს!

– თუ მოიგო, კი.

სტივენ მელორის ხმამაღლა აზრი არაფერზე გამოუთქვამს, თუმცა ბოლო დროს სულ ისეთი გამომეტყველებით დაიარებოდა, როგორიც იმ საღამოს ჰქონდა, პირველად რომ შეხვდა რორკს.

– სტივ, თქვი რამე, ამოღერღე, იქნებ ცოტა მოგეშვას, – უთხრა ერთხელაც რორკმა.

– სალაპარაკოც არაფერია, – უგულოდ უპასუხა მელორიმ, _ ადრეც გამიფრთხილებიხარ, გასაქანს არ მოგცემენ-მეთქი.

– სისულელეა. ჩემზე ნუ დარდობ.

– არც ვდარდობ. ან რა აზრი აქვს? აქ სხვა რამეშია საქმე,

რამდენიმე დღე გავიდა ამ საუბრიდან და ერთ საღამოსაც, რორკის ოთახში ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი მელორი უცბად დაეკითხა;

– ჰაუარდ, გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ერთი რაღაც ურჩხულის შიში არ მაძლევს-მეთქი მოსვენებას? ელზუერთ თუიზე არაფერი ვიცი თვალითაც არ მენახა იმ დღემდე, როცა ვესროლე. მარტო მისი ნაწერები მქონდა წაკითხული... გითხრა, საერთოდ რატომ ვესროლე? მე მგონი, იმ ურჩხულზე მარტო მაგან იცის ყველაფერი და იმიტომ.

დომინიკი ზუსტად იმ საღამოს ესტუმრა რორკს, როცა სტოდარდმა საჯაროდ გაახმაურა საჩივრის შეტანის ამბავი. უსიტყვოდ დადო ხელჩანთა მაგიდაზე და, შუა ოთახში გაჩერებულმა, ნელ-ნელა, აუჩქარებლად დაიწყო ხელთათმანების გახდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავადაც სწორედ ის სატანჯველი ღრღნიდა, რაც ჰაუარდს და თან ოდნავადაც არ სურდა ამ სატანჯველის შემსუბუქება არც ერთი სიტყვით_ არც თავისთვის და, მით უმეტეს, არც მისთვის.

– არა ხარ მართალი, – თქვა რორკმა. ხშირად საუბრობდნენ ხოლმე ასე ერთმანეთში, იმ საუბარს აგრძელებდნენ, რომელიც ჯერ წამოწყებული არც კი ჰქონდათ, – არაფერ მსგავსს არ განვიცდი... რორკი ხაზგასმულად მშვიდად ლაპარაკობდა.

– არ მაინტერესებს.

მკითხველთა ლიგა

– მაინც მინდა, იცოდე. შენ რასაც ფიქრობ, სიმართლეზე ბევრად უარესია. არ მენაღვლება თუ სურთ, მართლა მიწასთან გაასწორონ. შეიძლება, ტკივილი იმდენად ძლიერია, ვეღარც აღვიქვამ. თუმცა მეეჭვება. ჩემ გამო თუ გინდა რამე იტვირთო, იმოდენა ტვირთს ნუ შეეჭიდები, რასაც მეც ვერ ვზიდავ თვითონ. მუდმივად ტანჯვა არ შე მიძლია. არც არასდროს შემეძლო. რაღაც ზღვრამდე კი, ოღონდ არა უსასრულოდ. და რადგან ეს უჩინარი ზღვარი არსებობს, აღარც ტკივილია უსაშველო...

_ მაინც, სად გადის ეგ ზღვარი?

_ სადაც ვეღარაფერზე ვეღარ ვფიქრობ, ვერაფერს ვგრძნობ იმის გარდა, ტაძარი მე ავაგე-მეთქი. სხვას არც არაფერს აქვს მნიშვნელობა.

– საერთოდ არ უნდა აგეშენებინა.

– არც მაგას აქვს მნიშვნელობა. გეუბნები, თუნდაც დაანგრიონ- მეთქი... ხომ არსებობდა, ხომ იდგა თუნდაც რამდენიმე დღე!

ქალმა თავი გადააქნია: "ხვდები ახლა, რისგან გიცავდი, როცა შეკვეთებს გაკარგვინებდი?.. როცა უფლებას არ ვაძლევდი, ასე მოგქცეოდნენ... შენს აშენებულ შენობაში ფეხის შედგმის უფლებას... შენი შეხების... ახლოს გაკარების..."

• • •

თუის კაბინეტში შესულ დომინიკს მასპინძელი თავიდან პირგაბადრული, მართლა გულწრფელად გახარებული მიეგება; ეტყობა, მერეღა მოეგო გონს, ჩვეულად შეყარა წარბები ნაწყენი კაცივით, მაგრამ რამდენიმე წამით ღიმილის კვალი მაინც შერჩა ტუჩებზე. ნაწყენი კი იმით დარჩა, როგორ შემოაბიჯა ქალმა არა თავისებურად გაბრაზებულმა, არა ძველებურად ეშმაკურად თვალებმოწკურულმა თითქოს ერთი ვინმე რიგითი ბუღალტერი იყო და უფროსს ქაღალდი შეუტანა ბეჭდის დასარტყმელადო.

– მაინც რა გინდა, რა გამოძრავებს? – პირში მიახალა თუის.

– ჩამოჯექი, ძვირფასო, – საუბრის ჩვეულ სტილში გადატანა სცადა კაცმა – მიხარია შენი ნახვა. სინდისს გეფიცები, ძალიან მიხარია. თავი მომანატრე. მეგონა, აქამდეც შემომივლიდი. ჩემი წერილი ბევრმა მიქო,მაგრამ მე მაინცდამაინც შენი აზრი მაინტერესებდა.

_ რა გინდა-მეთქი, რას უმიზნებ?

_ მომისმინე, ჩემო კარგო, იმედია, იმისთვის არ მიბრაზდები, რაც შენს ქანდაკებაზე დავწერე. მაგ თემას გვერდს ვერ ავუვლიდი, ხომ გესმის.

_ ან ეს სასამართლო რაღაა?

– კარგი, გინდა ამალაპარაკო... მე კი შენთვის მინდოდა მომესმინა. თუმცა სულ არაფერს, სანახევრო სიამოვნება მაინც სჯობია. მე ვილაპარაკებ. ისე მოუთმენლად გელოდი. ოღონდ ძალიან გთხოვ, დაჯექი. არა? კეთილი, მთავარია, არ გარბიხარ მაინც. სასამართლოო? დავიჯერო, ვერ ხვდები?

– გგონია, ეგ გააჩერებს? – ქალი ახლა ლაპარაკითაც მართლა ბუღალტერივით ლაპარაკობდა, თითქოს მშრალ სტატისტიკურ მონაცემებს აცნობდა უფროსს, – პროცესი ვერაფერს დაამტკიცებს, სულერთია მოიგებს საქმეს თუ წააგებს. უბრალოდ, ტეტია ბრიყვები იხალისებენ ცოტა ხანს, ატყდება ბინძური, სულ უაზრო ორომტრიალი, და მომავალ შობამდე დავიწყებასაც მიეცემა. არ მეგონა, საპნის ბუშტებზე თუ დახარჯავდი დროს.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ასეთი ცუდი პედაგოგი გამოვდექი? ორი

მკითხველთა ლიგა

წელია, ჩემ გვერდით ხარ და ეტყობა, ვერაფერი გასწავლე! ფრიად გულსატკენი ამბავია... მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შენზე გონიერი ქალი ჯერ ცხოვრებაში არ შემხვედრია, ბრალი მთლიანად მე მეკისრება. რა გაეწყობა.. თუმცა, ერთ რამეს სწორად მიმხვდარხარ: დროს ფუჭად არასდროს ვხარჯავ. ამაშიც გეთანხმები, მომავალ შობამდე ყველას ყველაფერი დაავიწყდება. უდიდესი მიღწევაც სწორედ ესაა ცხადია, სულ მალე ჰოპტონ სტოდარდი აღარავის ემახსოვრება, არც იმის ტაძარი და არც სასამართლო პროცესი, მაგრამ იცი, რა ვერ ამოიშლება ხალხის მახსოვრობიდან? რა და, მთელი ეს მითქმა-მოთქმა ჰაუარდ რორკზე რელიგიის წინააღმდეგ ამხედრებულ, უზნეო კაცზე, სხვისი ფული სისულელეებზე რომ გაფლანგა, უგუნურ მეოცნებეზე, ვისაც ვერაფერში დაენდობი, ვერაფერს დაუჯერებ, კეთროვანივით მოერიდები... აი, ასეთ სახელს დაიმკვიდრებს სამუდამოდ და მერე, ადგეს და შეცვალოს რამე, თუ მაგარი ბიჭია! აი, აქედან გამოსავალს ხედავ მისთვის? თუ ხედავ, მეც მითხარი, ნუ დამიმალავ... რორკს საბრძოლველად ერთადერთი იარაღი დარჩება საკუთარი გენია, რაც სინამდვილეში იარაღად კი არა, გაუსაძლის ტვირთად ექცევა!

ლაპარაკობდა, მაგრამ ქალის თვალებში იმას ვერ ხედავდა, რისი დანახვაც სურდა; თვალები მოთმინებით უსმენდნენ და გაქვავებულ მზერასაც არაფერზე ეტყობოდა, სიბრაზედ თუ გადაიქცეოდა მალე. თუის საწერ მაგიდასთან იდგა, წელგამართული, სრულიად მშვიდი, როგორც ქარიშხლიან ღამით საგუშაგოზე მდგარი, გაწვრთნილი ჯარისკაცი, რომელმაც იცის, როგორც არ უნდა გაუჭირდეს, ადგილიდან ფეხი მაინც არ უნდა მოიცვალოს.

– ვიცი, გინდა, კიდევ გავაგრძელო, – თქვა თუიმ, – კი, ბატონო. ისეთ დღეში აღმოჩნდება, ვერავის ვერაფერს აუხსნის, თავს ვერაფრით დაიცავს. არც მოუსმენს არავინ. სახელის მოხვეჭა თავისთავად არაა იოლი, მაგრამ უფრო ძნელია სახელგანთქმულმა საკუთარი ბუნების შეცვლა მოახერხო. არა, იმის დამტკიცებით, უვარგისი ხუროთმოძღვარიაო, არქიტექტორს ვერ გაანადგურებ. აი, ხმა თუ გავარდა, ათეისტია, უღმერთო, ან ქვეყანა უჩივის სასამართლოში, ან მამათმავალია და თან
სადისტიცო მაშინ მართლა ვეღარაფერი გაასწორებს წელში. სისულელეაო, ალბათ ფიქრობ. რა თქმა უნდა, სისულელეა. ამიტომაცაა შედეგის მომტანი. გონი შეიძლება გონითვე დაამარცხო, მაგრამ უგუნურებას რით გინდა ებრძოლო? შენი და, სხვათა შორის, ადამიანთა უმრავლესობის შეცდომა ისაა, ძვირფასო, უაზრობას საკადრის პატივს რომ არ მიაგებთ. უაზრობა ყოველი ჩვენგანის ცხოვრების უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია. მტრად თუ გექცა, წასულია შენი საქმე. მაგრამ თუ მოახერხე და მოკავშირედ გაიხადე ეეჰ, ჩემო კარგო!

– განაგრძე, – თქვა ქალმა.

– მაშინ, მე მგონი, შეკითხვა უნდა დამისვა... თუ გირჩევნია თავადვე გამოვიცნო, რას შემეკითხები? რატომ მაინცდამაინც ჰაუარდ რორკი? საკუთარი სტატიიდან მოვიშველიებ ციტატას ჯერ ერთი, ბუზების ხოცვა ჩემი მოვალეობა არაა და იმიტომ. მეორე მხრივ, სწორედ ეს დამეხმარა ჰოპტონ სტოდარდისგან რაღაც ისეთის მიღებაში, რაც მჭირდებოდა, თუმცა ეს უმნიშვნელო დეტალია, მეორეხარისხოვანი.
უმთავრესი მიზეზი გარკვეული ექსპერიმენტის ჩატარება იყო. ასე ვთქვათ, მცირე, საცდელი შეტაკების გამართვა. შედეგმა კი მოლოდინს გადააჭარბა. შენ რომ უშუალოდ არ ყოფილიყავი გარეული, პირველი აღიარებდი, რა დიდებული სანახაობის მომსწრენი გავხდით ყველანი! მე

მკითხველთა ლიგა

სულ მცირე ბიძგი მივეცი და ხომ ნახე, როგორ ამოძრავდა და ამუშავდა ეს ამოდენა მანქანა ჩვენი საზოგადოება, როგორ აირია მონასტერი, ვინ სად აღმოჩნდა, ბარიკადის რომელ მხარეს... ერთი შეხედვით, მისტერ ალვა სკარეტი, კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები, გაზეთების რედაქტორები, პატივსაცემი ოჯახის დედებიცა და სხვანი მრავალნი ხომ სწორედ ჰაუარდ რორკის თავგამოდებულ დამცველებად უნდა დარაზმულიყვნენ! არადა, ასე არ მოხდა. პირიქით, ჰოპტონ სტოდარდს დაუდგნენ ქომაგად. მეორე მხრივ, ყური მოვკარი, თურმე ვიღაც მოანარქისტი რადიკალების ჯგუფს, "პროლეტარული ხელოვნების ახალ ლიგას", ხელმოწერების შეგროვება დაუწყია ჰაუარდ რორკის მხარდასაჭერად; კაპიტალიზმის მსხვერპლად გამოუცხადებიათ. არადა, წესით, სწორედ ჰოპტონ სტოდარდს უნდა იხუტებდნენ გულში. ისე, რორკს მართლა ჭკუა ეყო და ჩრდილში დარჩა. ესმის ყველაფერი, შენც. მეც. სხვას ბევრს არავის!

დომინიკმა ზურგი შეაქცია, წასვლა დააპირა.

– რა, მიდიხარ? – თუის გულნატკენი კაცის ხმა ჰქონდა, – საერთოდ არ იტყვი არაფერს?

– არა.

– იმედი გამიცრუე. არადა, როგორ გელოდებოდი! როგორც წესი, სიმარტოვე არ მაწუხებს, მაგრამ ზოგჯერ მსმენელიც კარგი რამეა... ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისთანაც თამაში და ნიღაბი არ მჭირდება: იმდენად გეზიზღები, რაც უნდა ვთქვა, არაფერი შეიცვლება. ვხვდები ამას, ოღონდ არ დავეძებ. თანაც, სხვებთან გამოყენებული ხრიკები, ვიცი, შენთან არ გაჭრის. უცნაურია, მაგრამ შენთან მხოლოდ გულწრფელობას აქვს აზრი. რა ფასი აქვს უზადო ქმნილების შექმნას, თუკი ვერავინ მიხვდა, რა გააკეთე? რომ არ მებუტებოდე, მეტყოდი ეგ მკვლელის ფსიქოლოგიააო, ყველა კვალი ოსტატურად რომ წაშალა, იდეალურად მოაწყო საქმე და მერე იძულებული გახდა, დანაშაული ეღიარებინა ვერ აიტანა იმის გააზრება, ჩემი გენიალურობა სამუდამო საიდუმლოდ დარჩებაო.ზუსტად მასე მეტყოდი და მეც დაგიდასტურებდი, მართალი ხარ-მეთქი. აუდიტორია მჭირდება. იცი, პრობლემა რაშია? როცა მსხვერპლი ვერც ხვდება, მსხვერპლი თუა, და ჯალათსაც ხალისს უკარგავს... შენ გამონაკლისი ხარ მსხვერპლი, რომელიც საკუთარი ჯალათის ოსტატობას აფასებს. თუ ღმერთი გწამს, დომინიკ, შენ რა, მართლა მიდიხარ?

ქალი უკვე კარებთან იდგა. თუიმ მხრები აიჩეჩა და სავარძელში გადაწვა.

_ კარგი, – თქვა უკვე მშვიდად, _ შემთხვევით არ შეცდე და ჰოპტონ სტოდარდისთვის ზარალის ანაზღაურება შენ არ დააპირო. ახლა მარტო მე მიჯერებს და მაინც არაფერი გამოგივა მაგ საქმიდან.

დომინიკმა უკვე გამოღებული კარი ისევ მიკეტა.

– კი, ვიცი, რომ სცადე. ტყუილად ირჯები. თან არც იმდენად მდიდარი ხარ. ვერც იმ ტაძრის გამოსასყიდ ფულს მოუყრი თავს და ვერც ახლის ასაშენებელს. ჰოპტონს უნდა, ზარალი მაინცდამაინც რორკს აზღვევინოს. ჩვენში დარჩეს, არც რორკს ესიამოვნება მაინცდამაინც...

ისევ გაუღიმა, მაგრამ დომინიკს სახეც არ შესცვლია.

– კიდევ ერთი შეკითხვა, დომინიკ. მისტერ სტოდარდის ადვოკატს აინტერესებს, თუ შეიძლება, მომჩივანი მხარის მოწმედ დაგიბაროს? როგორც არქიტექტურის ექსპერტი, ცხადია.

– კი, შეიძლება.

მკითხველთა ლიგა

• • •

სასამართლო პროცესი ”ჰოპტონ სტოდარდი ჰაუარდ რორკის წინააღმდეგ” 1931 წლის თებერვალში დაიწყო.

დარბაზი ისე იყო გაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ძირითადად, სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებს მოეყარათ თავი ცნობილ მამაკაცებსა და გამოპრანჭულ, მკაცრად ტუჩებმოწკურულ მანდილოსნებს, ყველა ყველას იცნობდა და ისეთი შინაურული განწყობა სუფევდა ირგვლივ, როგორც საკვირაო პიკნიკსა თუ მეგობრულ ბანკეტზე.

განცალკევებით, ერთ კუთხეში, სტივენ მელორი, ოსტინ ჰელერი, როჯერ ენრაიტი, კენტ ლანსინგი და მაიკი ისხდნენ. მაიკი ძალიან ღელავდა სტივენ მელორის გამო დაიჟინა, გვერდით უნდა დაგიჯდეო და დროდადრო შეშფოთებული გადახედავდა ხოლმე, თუკი რაიმე გამაღიზიანებელ სიტყვას ან ფრაზას მოჰკრავდა ყურს. ბოლოს, ეს მელორიმაც შეამჩნია:

_ ნუ ღელავ, მაიკ, არავის მოკვლას არ ვაპირებ.

_ ეცადე, გულიც არ აგერიოს, – უთხრა მაიკმა, – ვიცი, ძნელია, მაგრამ მაინც...

ჩია, მხრებში მოხრილი მოსამართლე მაღალზურგიან სავარძელში ძლივს მოჩანდა, თუმცა მუშტისოდენა სახეზე ღირსებით სავსე, ბრძნული გამომეტყველება აეფარებინა ნიღბად. ხელები მკერდზე დაეკრიფა და თითები ერთმანეთზე მიეტყუპებინა. თავად სტოდარდი სხდომას არ ესწრებოდა, მის ინტერესებს ადვოკატი იცავდა წარმოსადეგი, სანდომიანი, უაღრესად სერიოზული ჯენტლმენი.

რორკი მარტოდმარტო უჯდა მოპასუხე მხარისთვის განკუთვნილ მაგიდას. ცნობისმოყვარე საზოგადოება თავიდან დაჟინებით უცქერდა, მაგრამ მერე, როცა სასეირო ვერაფერი ნახა, ბრაზით მოარიდა თვალი. ის არც განადგურებულ კაცს ჰგავდა და არც უტიფრობა თუ თავხედობა ეწერა სახეზე. სრულიად ბუნებრივად, მშვიდად ეჭირა თავი, საზოგადოების ღირსების შემლახავს, სკანდალურად ცნობილ პიროვნებას არაფრით ჰგავდა: ვითომ თავისთვის იჯდა საკუთარ ოთახში და რადიოს უსმენდა დაბალ ხმაზე. არც რამეს იწერდა და არც არაფერს ინიშნავდა. მაგიდაზე საერთოდ არც ეწყო ფურცლები მარტო ერთი დიდი, მოყავისფრო კონვერტი იდო. კაცმა რომ თქვას, ეს ბრბო ალბათ ყველაფერს მიუტევებდა კიდეც, ოღონდ საყოველთაო აღშფოთების მიუხედავად, მსგავსი სიმშვიდის შენარჩუნებას არასდიდებით. ზოგი, თავიდან, მზად იყო, შესცოდებოდა ეს გზააბნეული, მაგრამ დარბაზში შემოსვლიდან რამდენიმე წუთში, ზიზღმა და სიძულვილმა უკვე ყველას ერთნაირად დარია ხელი.

მომჩივანის ადვოკატმა შესავალ სიტყვაში მოკლედ მიმოიხილა საქმის არსი: აღიარა, ჰოპტონ სტოდარდმა მართლაც სრული თავისუფლება მიანიჭა რორკს ტაძრის დაპროექტება-აშენებაში, თუმცა იგი ტაძარს გულისხმობდა და არა იმ სიმახინჯეს, რაც შედეგად ვიხილეთო. თანაც, საკუთარი მოსაზრების მართებულობის დასადასტურებლად, მოწმედ მოწვეული რამდენიმე თვალსაჩინო ავტორიტეტის გვარიც ჩამოთვალა ამაყად.

რორკმა წინასწარი განცხადებებისგან თავი შეიკავა.

მომჩივანი მხარის პირველი მოწმე ელზუერთ მონკტონ თუი იყო. ფეხი ფეხზე გადაედო, წკიპზე იჯდა მოწმეთა სკამზე და, ერთი შეხედვით, ფრიად ხალისიანად გამოიყურებოდა; თუმცა, თან შეგნებულად იმასაც უსვამდა ხაზს, ეს ხალისიანობაც მოჩვენებითიაო...

მკითხველთა ლიგა

ადვოკატმა დიდხანს ისაუბრა მოწმის პროფესიონალიზმსა და დამსახურებებზე; საზოგადოებისთვის არც იმის შეხსენება დავიწყებყებია,რა გასაოცარი წარმატება ხვდა წილად მის გახმაურებულ წიგნს „ქვაში ნაკვეთი ქადაგებანი”; მერე არ დაიზარა, მისი საგაზეთო სტატია წაიკითხა ხმამაღლა; თავიდან ბოლომდე, და ჩაეკითხა ავტორობას თუ ადასტურებთო. თუიმ,ცხადია, დაადასტურა. შემდეგი კითხვები უკვე
ეშუალოდ ტაძრის არქიტექტურულ ღირსებებს შეეხო. თუიმ ბრძანა, რაიმე ღირსებაზე ლაპარაკი გამიჭირდებაო. ამას ისტორიული მიმოხილვა მოჰყვა. მოწმემ ლაღად და გატაცებით ისაუბრა ყველა ცნობილ ცივილიზაციასა და ჩვენამდე მოღწეულ რელიგიურ ძეგლებზე ინკებიც გაიხსენა, ფინიკიელებიცა და შორეული აღმოსავლეთის კუნძულების თვთმყოფადი კულტურაც ყოველ ცალკეულ ნაგებობაზე საუბრისას, აღნიშნავდა, როდის დაიწყო მშენებლობა, რამდენ ხანს გასტანა,რა რაოდენობის მუშახელი დასჭირდებოდა და, სავარაუდოდ, რამდენი
დაჯდებოდა ამერიკული დოლარის თანამედროვე კურსზე გადაანგარიშებით. დარბაზი მონუსხული და სულგანაბული უგდებდა ყურს.

თუიმ საჯაროდ დაამოწმა, "სტოდარდის ტაძარი" ხუროთმოძღვრების განვლილი გზის გაუკუღმართებააო. "მინდა ხაზი გავუსვა,” – თქვა მან სიტყვის დასასრულს, – ”ზოგადად, ტაძრის დანიშნულების გააზრება ორ არსებით მიზანს უნდა ემსახურებოდეს: ადამიანში მოწიწების განცდისა და მორჩილების სურვილის გაჩენას. მე უკვე ვახსენე სხვადასხვა რელიგიური ნაგებობების პროპორციები, ზეატყორცნილი ხაზები, ღვთაებათა შიშის მომგვრელი გამოსახულებანი თუ გვიანდელი ქიმერები – ყველაფერმა ამან ადამიანს საკუთარი უმნიშვნელობა უნდა შეახსენოს მუდმივად და ის წმინდათაწმინდა შიში ჩაუნერგოს, რამაც ამპარტავნებაზე უნდა ააღებინოს ხელი. "სტოდარდის ტაძარი” კი მთელი ჩვენი წარსულის ურცხვი უარყოფაა, ისტორიისთვის სახეში მიხლილი „არა“. შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რატომ გამოიწვია ამ საქმემ ასეთი ცხოველი ინტერესი: ყოველი ჩვენგანი ინსტინქტურად მიხვდა, რომ იურიდიული მხარის მიღმა, აქ გაცილებით ღრმა ზნეობრივი საკითხები იმალება. ეს შენობა კაცობრიობის სიძულვილის ძეგლია. ეს ერთი ადამიანის ეგოს მიერ ადამიანთა მთელი დანარჩენი მოდგმის –ნებისმიერი ქუჩაში გამვლელის, ამ დარბაზში ნებისმიერი ჯდომის უწმინდესი განცდების შერყვნა და შეურაცხყოფაა!“

არა,ეს არ იყო ჩვეულებრივი მოწმის გამოსვლა სასამართლოში: ელზუერთ თუი თითქოს ხალხმრავალ მიტინგზე გამოდიოდა და, შესაბამისად, მსმენელთა რეაქციაც წინდაწინვე ნათელი იყო ტაშით დაინგრა დარბაზი. მოსამართლემ ჩაქუჩი ააკაკუნა და დაიმუქრა, სხდომას დავხურავო. წესრიგი აღდგა, მაგრამ შეკრებილებს სახეზე მაინც ეტყობოდათ, როგორ ესიამოვნათ საკუთარი გამორჩეულობის ასე ხაზგასმით აღიარება და, მით უფრო, საქმეში დაზარალებულ, შეურაცხყოფიდ მხარედ წარმოჩენა. არადა, იქ მყოფთა სამ მეოთხედს „სტოდარდის ტაძარი” თვალით არ ჰქონდა ნანახი.

– გმადლობთ, მისტერ თუი, – მიმართა ადვოკატმა და ოდნავ შესამჩნევად თავიც დაუკრა. მერე რორკს მიუბრუნდა და მოწმე თქვენიაო _ უთხრა თავაზიანად.

– კითხვები არ მაქვს, – თქვა რორკმა.

ელზუერთ თუიმ ცალი წარბი აზიდა და, ცოტა არ იყოს, გაწბილებულმა დატოვა მოწმის ადგილი.

მკითხველთა ლიგა

– მისტერ პიტერ კიტინგი! – შემდეგი მოწმე გამოიძახა ადვოკატმა.
პიტერ კიტინგს დასვენებული, კარგად გამოძინებული კაცის სახე ჰქონდა. ფიცი დადო და პირველ კითხვებს ხალისით, სხაპასხუპით გასცა პასუხი. საერთოდ, ძალიან თავდაჯერებული ჩანდა, თუმცა რატომღაც ხშირ-ხშირად იჩეჩავდა მხრებს _ სრულიად უადგილოდ და უმიზეზოდ. რორკისკენ ერთხელაც არ გაჰქცევია თვალი.
– თქვენ მიერ დაპროექტებულ რამდენიმე ყველაზე ცნობილ შენობას ხომ ვერ დაგვისახელებდით? – ჰკითხა ადვოკატმა.
კიტინგმა საკმაოდ შთამბეჭდავი სია ჩამოარაკრაკა; თავიდან სწრაფად ასახელებდა საკუთარ ნაგებობებს, მერე და მერე, უფრო ნელა,მძიმე-მძიმედ, თითქოს უნდოდა, ვინმეს შეეწყვეტინებინა ეს ჩამოთვლა.
– ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ არ გამოგრჩათ, მისტე კიტინგ? _ ჩაეძია ადვოკატი, – განა "კოსმო-სლოტნიკის“ შენობაც თქვენი ნახელავი არაა?
– დიახ, – რატომღაც ძლივს ამოღერღა კიტინგმა.
– ახლა გვიბრძანეთ, თქვენ და მისტერ რორკი ერთ დროს სწავლობდით სთენტონის ინსტიტუტში?
– დიახ.
– რა შეგიძლიათ გვითხრათ, როგორი სტუდენტი იყო?
– ინსტიტუტიდან გარიცხეს...
_ რატომ, იქაურ მაღალ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა?
– დიახ. სწორედ ასე ვიტყოდი.
მოსამართლემ რორკს შეავლო თვალი. ნებისმიერი ადვოკატი ამგვარ ჩვენებას, როგორც საქმისთვის არაარსებითს, უთუოდ გააპროტესტებდა. რორკს ხმაც არ გაუღია.
– თქვენი აზრით, სწავლისას არქიტექტორობის რაიმე ნიჭი მაინც თუ გამოავლინა?
– არა.
– უკაცრავად, ცოტა ხმამაღლა, მისტერ კიტინგ.
– მე მგონი... არც ჰქონია არანაირი ნიჭი.
კიტინგი აშკარად რაღაც უცნაურად მეტყველებდა: ზოგჯერ ისე მკაფიოდ ისროდა თითოეულ სიტყვას, თითქოს საგანგებოდ გამოყოფდა და ხაზს უსვამდა; ზოგჯერ კი ისე მიაწყობდა ერთმანეთზე და მიაფუჩეჩებდა თითქოს თვითონაც არ უნდოდა ნათქვამის გაგონება. ადვოკატს არ უცქერდა, დარბაზში მსხდომთ ადევნებდა თვალს გაფაციცებით. ხან ცელქობაზე წასწრებულ ბიჭს ჰგავდა, მეტროს ვაგონში, კბილის პასტის რეკლამაზე ეს-ესაა ულვაშები რომ მიახატა ლამაზი გოგოს სურათს; ხან კი ისეთი მავედრებელი მზერით მიაჩერდებოდა დარბაზს, ვითომ თავადვე იყო ბრალდებული და მისი ბედიც ამ ხალხზე ეკიდა.
– ერთ დროს მისტერ რორკი თქვენთანაც მუშაობდა ოფისში, ასეა?
– დიახ.
– და იძულებული გახდით, სამსახურიდან დაგეთხოვათ?
– კი... იძულებული გავხდით.
– არაკომპეტენტურობის გამო?
– დიახ.
– მისტერ რორკის შემდგომ კარიერაზე თუ გვეტყოდით რამეს?
_ იცით, სიტყვა კარიერა ამ შემთხვევაში ცოტათი ხმამაღლაა ნათქვამი. შესრულებული სამუშაოს ოდენობის მხრივ, ჩვენი ოფისის ნებისმიერ მხაზველს მისტერ რორკზე გაცილებით მეტი აქვს გაკეთებული.საერთოდ, ერთი-ორი შენობის აგება კარიერად ვერ ჩაითვლება. ამდენს ჩვენ ყოველ თვეში ვაშენებთ.
_ იქნებ თქვენი პროფესიული აზრი გაგვიზიაროთ მის ნამოღვაწარზე?

მკითხველთა ლიგა

_ ერთი სიტყვით უმწიფარია-მეთქი_ . ვიტყოდი. შთამბეჭდავი, ზოგჯერ მართლა საინტერესო, მაგრამ არსებითად სრულიად დაუღვინებელი.

– მაშასადამე, მისტერ რორკი სრულფასოვან არქიტექტორად ვერ ჩაითვლება?

– რა გაგებითაც ამას მისტერ რელსტონ ჰოლქომბზე, მისტე რ გაი ფრენკონზე თუ მისტერ გორდონ პრესკოტზე ვიტყოდით ცხადია, ვერა.მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღვნიშნო, რომ ჩემი აზრით მისტერ რორკი გარკვეულ უნარებს მაინც ფლობს კერძოდ, წმინდა საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტის მხრივ. მხოლოდ საკუთარ თავს თუ დააბრალებს, ასე რომ წაუვიდა საქმე... არაერთხელ ვესაუბრე, ვცადე, დავხმარებოდი, გულწრფელად მსურდა. არადა, არც კი მომისმინა. ვიცოდი, ადრე თუ გვიან რაღაც მსგავსი უნდა მომხდარიყო. სულ არ გამკვირვებია, როცა გავიგე კლიენტმა სასამართლოში უჩივლაო.

– ზოგადად, კლიენტებთან მის ურთიერთობაზე რას იტყოდით?

– აი, სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული დამკვეთის არც აზრი აინტერესებდა და არც მის სურვილებს დაგიდევდათ! კლიენტის კი არა დედამიწის ზურგზე არავისი. ისიც ვერ გაეგო, სხვა არქიტექტორები რატომ ანიჭებდნენ ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამის გაგებაც კი არ უცდია არასდროს, არც სხვისი მოსაზრების ოდნავი პატივისცემა გააჩნდა. არა, არ მესმის, რა არის დასაძრახი, თუკი ადამიანებს გინდა ასიამოვნო. რატომ არ შეიძლება, ყველასთან კარგი ურთიერთობა გინდოდეს, მეგობრობა... ან, თუნდაც, პოპულარობა? ეს, რა, დანაშაულია? შეიძლება, ამისთვის მუდმივად დაგცინოდნენ და გაქილიკებდნენ? დღე და ღამე, უსასრულოდ...

დარბაზში მსხდომნი თანდათან მიხვდნენ, რომ პიტერ კიტინგი,როგორც ჩანს, ნასვამი იყო. ადვოკატმაც უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა შუბლი, მართალია, მთელი ამ კითხვა-პასუხის რეპეტიცია ადრე კი ჰქონდა მოწმესთან გავლილი, მაგრამ სადავეები მაინც აშკარად უსხლტებოდა ხელიდან.

– ნუ აღელდებით, მისტერ კიტინგ; უმჯობესია, გვითხრათ,თავად მისტერ რორკი რას ფიქრობს თქვენს პროფესიაზე?

– კი, ბატონო, თუ გაინტერესებთ, გეტყვით. მაგას ჰგონია,არქიტექტურაზე საუბრის დროსაც კი ფეხზე უნდა გაიხადოთ და მუხლი მოწიწებით მოიყაროთ. ზუსტად მასე ფიქრობს. არადა, რატომ? გეკითხებით რატომ? ესეც ერთი ჩვეულებრივი საქმეა, როგორც ყველა დანარჩენი. რითია ვითომ ასე გამორჩეული და წმინდათაწმინდა? რა საჭიროა ეს თავგანწირვა თუ მსხვერპლის გაღება? ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ ყველანი და ნორმალური ცხოვრება გვინდა. ძნელი გასაგებია რამე? რა, აუცილებლად მარტვილებად უნდა ვიქცეთ სუყველა?

– კეთილი, კეთილი, მისტერ კიტინგ! მგონი, ცოტათი თემას გადავუხვიეთ. ვფიქრობ...

– არაფერსაც არ გადავუხვიეთ! ვიცი, რასაც ვამბობ. თქვენც იცით, ყველამ იცის. მე ტაძარზე ვლაპარაკობ. ვერ ხვდებით? შეიძლება, ტაძრის აგება შეშლილ ფანატიკოსს მიანდო? საამისოდ ნორმალურზე ნორმალური, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი უნდა შეარჩიო. ვისაც ესმის... ვისაც პატიება შეუძლია. გული აქვს... ტაძარშიც ამისთვის არ დავდივართ საერთოდ? იმ იმედით, რომ მოგვეტევება...

– დიახ, მისტერ კიტინგ, ცხადია, მაგრამ ისევ თუ დავუბრუნდებით...

– ვის, რორკს? რორკი ხუროთმოძღვარი არაა ერთი უვარგისი არქიტექტორია. რატომ უნდა მეშინოდეს ამის ხმამაღლა თქმა?! საერთოდ, რით დაგაშინათ ასე სუყველა?

მკითხველთა ლიგა

– მისტერ კიტინგ, შეუძლოდ თუ გრძნობთ თავს და გსურთ, შევწყვიტოთ...
– არა, კარგად ვარ, – უკვე შედარებით მშვიდად, უცებ გამოფხიზლებული კაცივით ჩაილაპარაკა კიტინგმა, – ნებისმიერ კითხვაზე გაგცემთ პასუხს. ოღონდ ბოლო მაინც გამიმეორეთ, თუ შეიძლება.
– გთხოვთ, პროფესიონალის აზრი მოგვახსენოთ სტოდარდის ტაძრის სახელით ცნობილ ნაგებობაზე.
– დიახ. რა თქმა უნდა. სტოდარდის ტაძრის... სტოდარდის ტაძარი ჯერ თავიდანვე არასწორადაა დაგეგმარებული, რაც სივრცული აღქმის სრულ დარღვევას იწვევს. არ იგრძნობა სიმეტრიის არანაირი განცდა პროპორციებიც სრულიად უაზროა... – კისერგაშეშებული, დუნედ,მონოტონურად ლაპარაკობდა, – მასშტაბები გაუთვლელია. კომპოზიცის ანაბანა უგულებელყოფილი. საერთო შთაბეჭდილებას რაც შეეხება...
– ცოტა ხმამაღლა, თუ შეიძლება.
– საერთო შთაბეჭდილებას რაც შეეხება ესაა არქიტექტურული უმეცრებისა და უხეში გემოვნების ზეიმი. არაფერში ჩანს სინატიფის, შემოქმედებითი წარმოსახვის თუნდაც ოდნავი გაელვებაც კი... – კიტინგმა თვალები დახუჭა, – ხელოვნებასთან ამას არაფერი აქვს საერთო!
– გმადლობთ, მისტერ კიტინგ. შეკითხვა აღარ მაქვს.
მოწმესთან შეკითხვები არც რორკს გასჩენია და საქმის განხილვის პირველი დღე ამით დასრულდა.
მომდევნო ორი დღის განმავლობაში, მომჩივანი მხარის სასარგებლოდ მოწმეთა მთელმა თანავარსკვლავედმა მისცა ჩვენება და ყოველი დაკითხვა თითოეული მათგანის პროფესიული მიღწევების სრული ჩამონათვალით იწყებოდა ადვოკატი მართლა უბადლო პრესაგენტივით უძღვებოდა საქმეს. ოსტინ ჰელერმა მოსწრებულად შენიშნა, დღეიდან არქიტექტორები ნემსის ყუნწში გაძვრებიან, ოღონდ სასამართლოში მოწმედ დაბარებას ეღირსონ, უკეთეს რეკლამას ამ უჩინარი ხელობის ხალხი ვერც ეღირსებაო.
მოწმეებად კი ერთმანეთს რელსტონ ჰოლქომბი, გორდონ ლ. პრესკოტი და ჯონ ერიკ სნაიტი ენაცვლებოდნენ. არც ერთმა არ გაუშვა ხელიდან შესაძლებლობა, მჭევრმეტყველებითა და განსწავლულობით მოეხიბლა მსმენელი; ისაუბრეს ხუროთმოძღვრების ხელოვნების მარადიულ სიდიადეზე, დილეტანტიზმისა და ფსევდონოვატორობის საფრთხეებზე და, შეფარულად, რორკის მაგივრად მოუბოდიშეს საზოგადოებას ამგვარი გაუგებრობის, ცნებათა აღრევის, გემოვნების გაუკუღმართების გამო. რორკისთვის არც ერთ მათგანს არ შეუხედავს, ის კი სამივეს თვალმოუშორებლად უსმენდა, ოღონდ კითხვები არც ამჯერად გასჩენია...
მეოთხე დღეს მომჩივანმა მხარემ უკანასკნელ მოწმეს მის დომინიკ ფრენკონს უხმო.
ადვოკატმა დომინიკი საფინალოდ, ჯერ ერთი, იმიტომ შემოინახა, განსაკუთრებულ ეფექტს ელოდა, და მეორეც გული ცოტათი მაინც ეთანაღრებოდა, რადგან ქალმა ნებისმიერ რეპეტიციაზე კატეგორიული უარი განუცხადა და ეგეც არ იყოს, თავის საგაზეთო სვეტში „სტოდარდის ტაძარი” ერთი სიტყვითაც არ უხსენებია არასდროს. მაგრამ რაკი რორკთან დაკავშირებით მის ადრეულ პუბლიკაციებს იცნობდა, გული დაიმშვიდა. მით უმეტეს, რომ დომინიკის მოწმედ დაბარება ელზუერთ თუიმაც დაბეჯითებით ურჩია.
დომინიკი მოწმეთათვის განკუთვნილ ადგილზე იდგა და მშვიდად ათვალიერებდა დარბაზს. მისი სილამაზე მართლაც მომნუსხველი იყო და, იმავე დროს, თითქოს სრულიად აბსტრაქტული თავისთავად,

მკითხველთა ლიგა

განუპიროვნებლად არსებული მშვენიერება.
– თქვენი სახელი და გვარი?
– დომინიკ ფრენკონი.
– რას საქმიანობთ, მის ფრენკონ?
– საგაზეთო მიმომხილველი ვარ.
– მის ფრენკონ, გულწრფელად მიხარია, მოწმედ რომ მობრძანდით ერთადერთი მოწმე მანდილოსანი! მანდილოსნები კი მუდამ უწრფელესი რელიგიური გრძნობებით გამოირჩევით, ასე არაა? ამავე დროს, თქვენი პროფესიული ავტორიტეტიც დიდად დაგვეხმარება, მთელ ამ საქმეს, ასე ვთქვათ, ქალის თვალსაწიერიდან გადავხედოთ. შეგიძლიათ, თქვენი აზრი გაგვიზიაროთ "სტოდარდის ტაძართან" დაკავშირებით?
– მე მგონია, მისტერ სტოდარდმა შეცდომა დაუშვა: სარჩელი შენობის გადაკეთების კი არა, განადგურების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით უნდა შეეტანა სასამართლოში.
ადვოკატს საბოლოოდ მოეშვა გულზე: "უფრო ნათლად ხომ ვერ განგვიმარტავდით, რა მიზეზით, მის ფრენკონ?"
- მიზეზები წინა მოწმეებმა უკვე ჩამოთვალეს.
– მაშასადამე, თქვენც მათ მოსაზრებებს იზიარებთ?
– სრულად და მთლიანად. შეიძლება, მათზე მეტადაც კი. უაღრესად დამაჯერებლად მსჯელობდნენ.
_ კერძოდ, რას გულისხმობთ, მის ფრენკონ?
– რაც მისტერ თუიმ განაცხადა: ეს ტაძარი საფრთხეა ნებისმიერი ჩვენგანისთვის,
_ დიახ, გასაგებია.
– მისტერ თუიმ ყველაფერი შესანიშნავად განმარტა. გნებავთ, ჩემგანაც დავამატო?
_ უთუოდ.
– ჰაუარდ რორკმა ადამიანის სულს აუგო ტაძარი მისი წარმოდგენით, ადამიანი ძლიერი, ამაყი, სუფთა, ბრძენი და უშიშარი არსებაა, ანუ ერთგვარი გმირი და ტაძარიც მას აუგო. ტაძარი ხომ ის ადგილია, სადაც ადამიანმა აღმაფრენა უნდა განიცადოს... ეგონა, რომ აღმაფრენას უდანაშაულობის განცდა ბადებს, ჭეშმარიტების დანახვა და წვდომა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის მიღწევა, როცა არ არსებობს სირცხვილის მიზეზი, როცა შეგიძლია, მთლიანად გაშიშვლდე კაშკაშა მზის გულზე! ეგონა, აღმაფრენა სიხარულს ნიშნავს და სიხარულის უფლება დაბადებიდანვე გვეკუთვნის. ეტყობა, ასე ფიქრობდა ადამიანზე და აღმაფრენაზე, მაგრამ ელზუერთ თუიმ ბრძანა ეს ტაძარი კაცობრიობის სიძულვილის უდიდესი ძეგლიაო, აღმაფრენის არსი მარადიული შიში, მუხლებზე დამხობა და ხოხვა უნდა იყოსო. მისი განცხადებით, ადამიანის უდიადესი ქმედება საკუთარი არარაობის გააზრება და მარადი პატიების თხოვნაა. მუდმივად საპატიებლად რომ აქვს საქმე, ეს თავისთავად იგულისხმებოდა მისტერ თუის ნათქვამში და მანვე მოგვახსენა სულის საბრძანებელი კაცისთვის შეუღწეველია, თუკი მის ზღუდეს მათხოვარივით დაჩოქილი არ მიადგაო. რა გითხრათ, აბა, როგორც კაცობრიობის დიდ მოამაგეს, ალბათ დაეჯერება კიდეც.
– მის ფრენკონ, ჩვენ ახლა მისტერ თუის მოსაზრებებზე მსჯელობა არ გვაინტერესებს, იქნებ...
– ელზუერთ თუი არც მე მაინტერესებს. მე ჰაუარდ რორკთან მაქვს საქმე. ამბობენ, შენობა გარემოში უნდა ჯდებოდესო. რა გარემოში ააშენა თავისი ტაძარი? რა ხალხისთვის? მიმოიხედეთ. ელზუერთ თუი სავსებით მართალია ეს ტაძარი ნამდვილად მკრეხელობაა, ოღონდ არა იმ აზრით,

მკითხველთა ლიგა

რაც მან იგულისხმა. როცა ხედავ, როგორ უბნევს კაცი მარგალიტებს ღორების კოლტს, სანაცვლოდ კი ერთ ნაჭერ შემწვარ ხორცსაც არ ითხოვს, ღორებზე აღარ უნდა აღშფოთდე! იმ კაცზე უნდა გაბრაზდე, ვინც თავისი მარგალიტების ყადრი არ იცის.

– მის ფრენკონ! ეს მსჯელობა საქმის არსთან...

– ვაცადოთ მოწმეს, – ბრძანა მოულოდნელად მოსამართლემ; როგორც ჩანს, ნელ-ნელა მოწყენილობა მოეძალა და თან დომინიკის სხეულის ცქერაც გარკვეულ სიამეს ჰგვრიდა...

– ყველაფერი, რაც ჩემამდე სხვა მოწმეებმა ილაპარაკეს, სრული სიმართლეა საფრთხეებზე, სიძულვილზე... მე მხოლოდ ჩემსას ვამატებ: ” სტოდარდის ტაძარი” ბევრ რამეს უქმნის საფრთხეს და თუ იგი პირისაგან მიწისა არ აღიგავა, ვეღარავინ გაბედავს, საკუთარ თავს სარკეში თვალი გაუსწოროს... ეს კი ნამდვილად დიდი სისასტიკე იქნებოდა ადამიანთა მიმართ. კაცს რაც გინდა, მოსთხოვე სიმდიდრის მოხვეჭა, სახელის განთქმა, სიყვარული, ვერაგობა, მკვლელობა, თავგანწირვა _ ოღონდ ნუ მოსთხოვ, საკუთარი თავის პატივისცემა ისწავლოს. შეგიძულებს და მართალიც იქნება. შესაძლოა, არც აღიაროს, პირიქით, შენ დაგადანაშაულებს სიძულვილში, მაგრამ ასეა, სიმართლეს ვერსად გავექცევით. მაშინ რა აზრი აქვს, შეეწირო შეუძლებელს? რა აზრი აქვს, ააშენო სამყაროსთვის, რომელიც არ არსებობს?

– უფალო მოსამართლევ... – ერთი კი გაიბრძოლა ადვოკატმა, მაგრამ დომინიკმა იქვე გააწყვეტინა სიტყვა:

– ბატონებო, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენ სასარგებლოდ ვიძლევი ჩვენებას?! ვადასტურებ, რატომ უნდა გავიზიაროთ ელზუერთ თუის ხედვა – ”სტოდარდის ტაძარი” უნდა დაინგრეს! არა მისგან ადამიანების, არამედ ადამიანებისგან მის დასაცავად. თუმცა, რა განსხვავებაა? საქმეს ნებისმიერ შემთხვევაში მომჩივანი მხარე იგებს. ამაში, ცხადია, ჩემს ჩვენებასაც ექნება გარკვეული მნიშვნელობა, ოღონდ ერთი კი მინდა, ხაზგასმით განვაცხადო დავანგრიოთ, ოღონდ სიქველის ნიღბებსაც ნუ მოვირგებთ: ვაღიაროთ, რომ თხუნელები ვართ და ნუ ვითვალთმაქცებთ, თითქოს ძილშიც მთის მწვერვალები გვესიზმრებოდეს! მშვენივრად ვაცნობიერებ, ამწუთას რომ ჰაუარდ რორკივით ქარის წისქვილებს ვებრძვი, მაგრამ სწორედ ეს გაბრძოლებაა ჩემი რწმენის ტაძარი პირველიცა და უკანასკნელიც... მე დავასრულე, ბატონო მოსამართლევ.

– მოწმე თქვენს განკარგულებაშია, – მიმართა ადვოკატმა რორკს.

– შეკითხვები არ მაქვს. – მერამდენედ გაიმეორა რორკმა.

მერე წამოდგა, მოსამართლის მაგიდას მიუახლოვდა, ყავისფერი კონვერტიდან "სტოდარდის ტაძრის" ათი ფოტოსურათი ამოიღო და უსიტყვოდ დაულაგა მაგიდაზე.

13

ჰოპტონ სტოდარდმა სასამართლო პროცესი მოიგო.

როგორც მისტერ ელზუერთ თუი წერდა "ბანერის" ფურცლებზე: მისტერ რორკმა ისეთი ზღაპრები მოგვიყვა, ამის დაჯერება ჩემს ფანტაზიასაც კი აღემატებაო. რორკს "ტაძრის" გადასაკეთებელი ხარჯების გადახდა დაეკისრა და მას აპელაციისთვის არ მიუმართავს. თავად სტოდარდის განცხადებით კი, ნაგებობა "ჰოპტონ სტოდარდის თავშესაფრად” გადაიქცეოდა უნარდაქვეითებული ბავშვებისთვის.

მეორე დღეს ალვა სკარეტს ყბა ჩამოუვარდა, "თქვენი სახლის”

მკითხველთა ლიგა

ხელმოსაწერ ამონაბეჭდებს რომ გადახედა: სტატია, ძირითადად, სულ დომინიკის სასამართლოში წარმოთქმული მონოლოგისგან შედგებოდა თუმცა, ღმერთს მადლობა, მხოლოდ ამონარიდები იყო... წამსვე მისი კაბინეტისკენ გავარდა.

– ეს რა არის?! ამას ვინ დაბეჭდავს?.. – მიაძახა კარებიდანვე.

– შენ.

– მე?! კარგი რა მარტო ამ ქუჩური გამოთქმებისთვის გაგვიჩერებენ ნომერს!

– მეტი საქმე არა აქვთ...

– დაიცა, დომინიკ ასეთ რამეს ჩვენი ჟურნალის პოლიტიკა ვერშეეგუება!

– არჩევანი შენია, ალვა.

– მისმინე...

– თუ არადა, მივდივარ.

სკარეტმა კარგად იცოდა, რა დღეშიც ჩააგდებდა გეილ უაინენდი, დომინიკისთანა თანამშრომელს თუ დაკარგავდა, მაგრამ ახლა იმასაც იაზრებდა, ამგვარი მასალის გამოქვეყნებისთვისაც რომ არავინ გადაუსვამდა თავზე ხელს... ჰოდა, იმანაც სოლომონისებური გადაწყვეტილება მიიღო: პირდაპირ კუნძულ ბალიზე აფრინა დეპეშა რა ვქნაო.

პასუხი მალევე მიიღო, მოკლე და ამომწურავი: "რომ ჩამოვალ,ეგ ძუკნა აღარ დამხვდეს რედაქციაში!"სკარეტი გაოგნებული დასჩერებოდა დეპეშას, ამას ნამდვილად არ მოელოდა და ახლა იმაზე იმტვრევდა თავს, დომინიკისთვის როგორ ეთქვა_ საკუთარი ნებით წასვლაც კი არ გამოგივა, დათხოვნილი ხარო...

ამ დროს კი დომინიკის კაბინეტში უკვე იყო ერთი სტუმარი მისტერ ელზუერთ თუი, პირადად. იდგა და შესცქეროდა, როგორ ალაგებდა ქალი საკუთარ ნივთებს ერთ დიდ ყუთში.

– რას აკეთებ?

– სკარეტს ველოდები. მაინტერესებს, ჩემი ხელით განცხადების დაწერას თუ გადავრჩები.

– ჰო-ო... ისე, სალაპარაკო მაქვს შენთან პირველი ხარ, ვინც ელზუერთ თუის მისი შეცდომა დაუმტკიცე, – სახეზე არავითარი ემოცია არ დასტყობია, იდგა და მშვიდად, გამოზომილად ლაპარაკობდა, – ჩემი ბრალია, კარგად ვერ მიცნიხარ... თუმცა, მცდელობებს მთლად ტყუილად არ ჩაუვლია შენი ხომ გაიტანე და ახლა ეს ერთი პატარა საჩუქარი მაინც მიიღე ჩემგან!

ჯიბიდან დაკეცილი დეპეშა ამოიღო და წინ დაუდო, მაგიდაზე. დომინიკმმა აიღო, გადაშალა, თვალი გადაავლო და ხელის ერთი მოძრაობით უკანვე გადმოუგდო.

– ასე რომ, ჩემო კარგო, არავითარი განცხადების დაწერა არ მოგიწევს დათხოვნილი ხარ! ახლა იმ შენ მარგალიტების მფრქვეველ გმირსაც კი ვერაფრით მოაწონებ თავს უბრალოდ, გამოგაგდეს... მოკლედ, საკუთარი ხელით გამოიჭერი ყელი და ეგაა.

– ვნახოთ, ელზი.

_ თუმე მიპირებ, შემებრძოლო, ცარიელ სიტყვებზე მეტი რამ იარაღი დაგჭირდება, ჩემო კარგო!

მერე თავი დაუქნია გამომშვიდობების ნიშნად და ოთახიდან გავიდა.

დომინიკი დიდხანს აღარ დაყოვნებულა, დარჩენილი ბარგი-ბარხანა ჩაალაგა ყუთში და ალვას კაბინეტის კარს მიადგა.

_ დომინიკ, აბა, რა უნდა მექნა, მე რა შემიძლია... დაიცა, ეგ დეპეშა

მკითხველთა ლიგა

საიდან?
_ მორჩი, ალვა, ამას უკან ვეღარ მიიღებ თავად დამჭირდება. ორი კვირის ხელფასი და კიდევ თუ რამეა ხელმოსაწერი, ფოსტით გამომიგზავნე.
_ ასე ნუ ამბობ, დომინიკ, ძალიან ვწუხვარ და...
– ...და ამიტომაც წამებულად გამომიყვანე ყველას თვალში? რა საზიზღრობაა ამ შენი ტუალეტის ქაღალდის გულისთვის წმინდანებში უნდა ჩავეწერო?! ერთს კი გეტყვი, ალვა _ რა უბედურებაც არ უნდა დაგვმართოთ შენ და შენნაირებმა, იმაზე უარესს მაინც ვერ მოიგონებთ, რასაც მე ვუზამ საკუთარ თავს...

• • •

კარზე მორიდებული კაკუნი რომ გაისმა, ელზუერთ თუი საყვარელ სავარძელში მოკალათებულიყო და სახელურზე ათამაშებდა თითებს _ რადიო სიმფონიური მუსიკის კონცერტს გადმოცემდა. "მო-ო-ბრძანდი-ი-თ!” – გასძახა ხმამაღლა.
კარი გაიღო და ქეთრინის თავი გამოჩნდა, თან ცალი თვალი რადიოსკენ გაურბოდა ისე, თითქოს ბოდიშს იხდიდა უდროოდ შემოჭრისთვის..
– მივხვდი, რომ არ მუშაობდით... სალაპარაკო მაქვს თქვენთან, ბიძია ელზი.
ტვიდის ძვირფასი, თუმცა დაჭმუჭნილი ქვედაბოლო ეცვა, სახეზე ფერუმარილი წაესვა დაუდევრად, მოკლედ ოცდახუთისა იყო ჯერ და უკვე იმ ქალს ჰგავდა, თავს რომ იახალგაზრდავებს... არადა, სამუშაოც კარგი ჰქონდა, საკუთარი ანგარიში ბანკში, ყოველ კვირას ხვდებოდა მეგობარ ქალებს და მარტოხელა დედების, ღარიბთა ბავშვების აღზრდა-განათლებისა და ინდუსტრიული კორპორაციების სიავეზე მსჯელობდნენ ხოლმე ფინჯანი ჩაით ხელში...
ბიძა-დისშვილს ურთიერთობაც ცოტა უცნაური ჰქონდათ: თეატრში ისე არ წავიდოდა, ბიძისთვის აზრი არ ეკითხა პიესის თაობაზე, საჯარო ლექციას არ დაესწრებოდა მისი რჩევის გარეშე... თუკი ბიძამისს რომელიმე ახალგაცნობილი მეგობარი არ მოუვიდოდა თვალში, ერთი სიტყვაც საკმარისი იყო და ურთიერთობასაც ბოლო ეღებოდა.
ოღონდ რჩევასაც ისე ეკითხებოდა, საქმისთვის რომ არ მოეცდინა ან საუზმის დროს, ან რადიოში სარეკლამო პაუზას დაელოდებოდა ხოლმე, თითქოს მისი დროის მხოლოდ ნამცეცებს იგროვებდა თავისთვის... ამიტომაც გაიკვირვა მეტრ თუიმ, ასე მოულოდნელად რომ დაადგა თავს მისი ზედმეტად მორიდებული დისშვილი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია: "შემოდი, შემოდი რას დამდგარხარ კარში... ოღონდ, თუ გიყვარდე, ჯერ რადიო გამორთე!“
მაგრამ ქეთრინმა მხოლოდ ხმა ჩაუწია მიმღებს, მერე მოპირდაპირედ მდგარ სავარძელში ჩაეშვა და რაღაცნაირი, თითქოს დაძაბული მზერით გამოხედა ბიძას.
– რამ შეგაწუხა, ჩემო კარგო? – გულითადი ღიმილით დაეკითხა მისტერ თუი:
– ასე მგონია, არაფერში ვვარგივარ, ბიძია ელზი.
– ეგ ვითომ, რატომ?
– ახლა კი არ დამწყებია რა ხანია, ამ დღეში ვარ... თითქოს ისევ აღსარების სათქმელად მიმიწევდეს გული... არა, მართლა მთლად ასეც არა, ბიძია ელზი ძაანაც კარგად მახსოვს, რომ მეუბნებოდით, რელიგია მხოლოდ ექსპლოატაციისა და კლასთა შორის შუღლის ჩამოგდების

მკითხველთა ლიგა

საშუალებააო! უბრალოდ, მინდა, ვიღაცამ მომისმინოს...
– მერე, მე აქ რისთვისა ვარ?
– ისიც კარგად მახსოვს, რომ მითხარით რაც ხარ, ის უნდა იყოო... სწორედ ამის მეშინია. იმის თქმა მინდა, სწორედ საკუთარი თავი მაშინებს: აკი ბავშვობიდანვე სულ იმას ვცდილობდი, სწორად მეცხოვრა და მეგონა, ყველა სხვაც იმავეს... ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც! ბოლოს კი რა გამოვიდა? სულ ვცდილობდი, ეგოიზმი დამეძლია, სხვებისთვის მეცხოვრა, არაფერი მომეთხოვა საკუთარი თავისთვის მაშინაც კი, როცა პიტერი თვეობით არ გამოჩნდებოდა ხოლმე... თუმცა, ეგ რა
სათქმელია თქვენ მაინც არასოდეს მიწონებდით არჩევანს, ხომ ასეა?
ერთხანს მშვიდად შეჰყურებდა დისშვილს, მერე გაუღიმა ისევ და ესღა ჰკითხა:
– ასეთი რა გჭირს, ჩემო კარგო? დიდი-დიდი, სხვადასხვა წინდას თუ ჩაიცვამ ხოლმე და ფერუმარილიც ზედმეტი მოგდის... მეტი რა ცოდვა გაწევს?
– ნუ დამცინი, ბიძაჩემო! ეს შენი ნათქვამიც კარგად მახსოვს სიცილი ყველაფერზე უნდა შეგვეძლოს, საკუთარ თავზეც კიო... ოღონდ მე ეს არ გამომდის.
_ მერედა, რატომ? ვითომ რა გიშლის ხელს?
– არ ვიცი... უბედური ვარ. ხალხს ვეღარ ვიტან. უფრო სწორად, ვეღარ ვიტან, თუ ჩემი მადლობლები არ არიან! თავშესაფრიდან მარი გონზალესის ბავშვი რომ მშვენიერ ოჯახში გავაშვილეთ, თითქოს არც არაფერი სრულიად არაფერი მიგრძნია! ერთ ქალს ისიც კი ვუთხარი, მადლობლები უნდა იყოთ, თქვენისთანებისთვის ამდენს რომ ვაკეთებთ-მეთქი. მერე საკუთარი თავის მრცხვენოდა. ახლა კიდე, ერთი გოგო იყო, ვიღაც ქუჩის ბიჭს გადაეკიდა და ათასჯერ გავაფრთხილე მაგას თავი დაანებე-მეთქი. იმ ბიჭმა კიდევ ცოლად შეირთო, სამუშაოც იშოვა, ბავშვიც გაუჩნდათ და ცხოვრობენ ბედნიერად... გგონიათ, კმაყოფილი დავრჩი? იმ გოგოს აღარც კი ვესალმები ხეირიანად! არ ვიცი, რა მემართება. ამას წინათ კიდევ ერთი ბიჭი მოვიდა, კოლეჯში უნდოდა ჩაბარება და გადავაფიქრებინე ჯობია, საქმეს მოჰკიდო ხელი-მეთქი. მერე კი უცებ მივხვდი იმიტომ ვეუბნებოდი ამას, თავად რომ სულ მინდოდა კოლეჯში მოხვედრა, ოღონდ ხომ გადამაფიქრებინეთ, ახლა კი იმ ბიჭისაც შემშურდა, ხვდებით, ბიძაჩემო? ნამდვილი თავკერძა და ეგოისტი გავხდი! ერთხელ პიტერმა რომ მომაცილა, კართან მოხუცი იდგა, არღანს ატრიალებდა და ჩახლეჩილი ხმით მღეროდა რაღაცას ბოლო ხუთდოლარიანი მქონდა და მივეცი ოღონდ ახლა ასეთ რამეს აღარ ვიზამდი... საერთოდ, ღარიბისა და გაჭირვებულის დანახვაც აღარ მინდა! იმათ კი არ ვძულვართ
უბრალოდ ვეზიზღებით.. უცნაურია, არა? წესით, ბატონებს უნდა ეზიზღებოდეთ მონები, მათ კი ბატონები სძულდეთ... ყოველთვის ასე არ იყო? ახლა კი ვეღარაფერს ვხვდები...
– ასე, ასე... და ჩემგან გინდა პასუხის გაგება?
ქეითმა უხმოდ დაუქნა თავი.
– საქმეც ისაა, რომ მაგის წამალი შენშივეა და პასუხიც უკვე თავადვე გაეცი... ვერ ხვდები? კარგი, მეორე მხრიდან მოვუაროთ საკითხს - რაზე ჩიოდი? რომ ვინმე ქეით ჰელსი უბედურია... და რა მოხდა ასეთი! მიიხედ-მოიხედე, სხვაც რამდენია შენნაირ დღეში?
ქეითი გაოგნებული მისჩერებოდა, კარგად ვერც გაეგო, საით მიჰყავდა საუბარი ბიძამისს.

მკითხველთა ლიგა

– ამაზე ეგოისტური, თავკერძა განცხადება გაგონილა? განა ვერ ხედავ, რამდენად თვითმიზნური იყო შენი საქმიანობა სხვისთვის სიკეთის მოტანის მცდელობა მხოლოდ იმიტომ, თავად გეგრძნო მორალური კმაყოფილება?

– მაგრამ მე ხომ...

_ კი, სწორედ იმიტომ, მაგით საკუთარი დიდბუნებოვნობის დამტკიცება რომ გსურდა.

_ აბა საკუთარი უღირსობის დამტკიცება უნდა მდომებოდა?!

_ არა, ჩემო კარგო, ეგ რა შუაშია... მაგრამ თუკი შენი მთავარი მიზანი ვიღაცისთვის რაღაცის დამტკიცებაა თუნდაც საკუთარი თავისთვის ეს სიკეთეს არასოდეს მოგიტანს.

_ საკუთარ თავს როგორ გადავახტე?

– საკუთარ თავს კი არ უნდა გადაახტე, საკუთარი სულის არტახებს უნდა დააღწიო თავი... მიზნის მიღწევა თვითმიზნად არასოდეს უნდა გექცეს.

– აბა, რა უნდა ვქნა?

– მომავალ, უკვე ეგოცენტრულობას მოკლებულ საზოგადოებაში, კაცმა არ იცის, რა ჩაითვლება სწორად და რა მრუდედ... მანამდე კი ჯერ საკუთარი ეგო უნდა ჩავიკლათ, რწმენა უნდა განვიმტკიცოთ და კი არ განვსაჯოთ, კი არ გავიაზროთ რამე უნდა ვირწმუნოთ, ესაა მთავარი. ნუ ფიქრობ, გონებას ნუ ტვირთავ მხოლოდ ირწმუნე და გულზეც მოგეშვება!

– მაგრამ მე... მე მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს არაფრისთვის ვვარგოდე, არაფრის მაქნისი ვიყო... თქვენთან საუბრის მერე კი მუდამ ისეთ უმწეო, პატარა არსებად ვგრძნობ ხოლმე თავს... მეშინია, ბიძია ელზი, მართალს გეუბნებით მეშინია!

• • •

მეორე დღეს, როცა შემოსასვლელში ზარმა დარეკა, მისტერ თუი თავად გაემართა კარის გასაღებად.

პიტერ კიტინგი რომ დაინახა ზღურბლზე, გულითადად გაუღიმა სასამართლოს მერე აქამდეც მოელოდა მის სტუმრობას: იცოდა, თავად კიტინგს დასჭირდებოდა ამგვარი ვიზიტი... ოღონდ ამჯერად პიტერი რაღაც უცნაურად ინაცვლებდა ფეხს და თვალსაც კი არიდებდა თითქოს.

_ შემო,შემო! _ ხალისიანად შეუძახა მისტერ თუიმ,_ ბედზე, ამ საღამოს საქმეც არაფერი მაქვს!

– არა, სერ ამჯერად ქეითთთან ვარ მოსული.

– ძალიან კარგი! ისე, გამიკვირდა ცალკე ქეითთთან არასოდეს შემოგივლია და ვიფიქრე... მისი ოთახი იქითაა, მეორე კარი მარცხნივ!

პიტერმა თავი დაუქნია, კართან მივიდა და დააკაკუნა. ქეითმა რომ გამოსძახა მობრძანდითო, შეაღო და უკანმოუხედავად შევიდა, ელზუერთ თუი კი შეფიქრიანებული მისჩერებოდა გამოხურულ კარს.

ქეთრინი ფეხზე წამოხტა, მოულოდნელობისგან: ამ საღამოს პიტერ კიტინგის ნახვას ნამდვილად არ ელოდა; ისევ დაჯდა, სათვალე მოიძრო და უნებლიე მოძრაობით ბალიშქვეშ შემალა, მერე ისიც კი იფიქრა, იქნებ, ვითომც არაფერი, სარკესთან მივიდე და მაკიაჟი გავიკეთოო... მოკლედ,აფორიაქებული იყო. ან რა გასაკვირია ექვსი თვე გავიდა, არ ენახა. საერთოდ, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ერთი-ორჯერ ისადილეს ერთად, კინოშიც იყვნენ რამდენჯერმე... ეგ იყო და ეგ. მასთან სახლში , ერთხელაც აღარ მოსულა, არც ქორწინებაზე ჩამოუგდია სიტყვა,

– ქეით, როგორ ხარ? არ ვიცოდი, სათვალის ტარება თუ დაგიწყია,

– არა, ეს ისე... მხოლოდ კითხვის დროს... მე... არა მიშავს. შენ რამ

მკითხველთა ლიგა

გაგახსენა ჩემი თავი?
პიტერი სავარძელში ჩაეშვა, მძიმედ. არც პალტო გაუხდია და ქუდსაც ისევ ხელში აწვალებდა.
– პალტოს არ გაიხდი? თუ ისე, წუთით შემოიარე?
– არა, დავრჩები, თუ... – და უცბად გაუღიმა, თბილად, ალერსიანად,
– თუ რა თქმა უნდა, გაქცევაზე არა ხარ და აბეზარი სტუმარი არ გინდა მოიშორო თავიდან! – მერე წამოდგა, პალტო და ქუდიც იქვე ტახტზე მიყარა, ქეითს მოხვია ხელი და გვერდზე მოისვა. ახლა სანათის შუქი პირდაპირ სახეზე სცემდა.
– პიტერ! – უნებლიეთ წამოსცდა ქეითს, – საშინლად გამოიყურებ?
– ვსვამდი.
– სვამდი თუ ლოთობდი?!
– ეგრეა. მაგრამ მორჩა ეგ ამბავი.
_ ღმერთო ჩემო, რა დღეში ჩაგაგდეს...
– არავის არაფერ დღეში არ ჩავუგდივარ,მოვჩეთ ამაზე...შენ ის მითხარი, შეგიძლია რაღაც მაპატიო რაღაც ისეთი, რაზეც წარმოდგენაც არა გაქვს? არც მკითხო არაფერი და ბრმად მომენდო_ უბრალოდ, მითხრა, გპატიობო...
არც გაჰ კვირვებია არაფერი,ისე უთხრა, მშვიდად: "გპატიობ, პიტერ."
კიტინგმა რამდენჯერმე დააქნია თავი და თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნა "გმადლობთ, ახლა მომეშვა...“
მერე მოეხვია, აკოცა და უცბად, ყოველგვარი გადასვლის გარეშე მიახალა: "ქეით, აქამდე რატომ არ დავქორწინდით?”
_ რა ვიცი, აბა... სად გვეჩქარება. – დაამატა უცებ, მისი გულის ფეთქვის ხმა რომ არავის გაეგო.
_ პირიქით ძალიანაც გვეჩქარება! მგონი, ისედაც უამრავი დრო დავკარგეთ... მოკლედ, ვქორწინდებით მორჩა და გათავდა!
– როგორც შენ იტყვი, პიტერ.
_ არავითარი განცხადებები, წვეულება, სტუმრები... არაფერი არ გვინდა – საერთოდ, არავის არაფერს ვეტყვით! წავალთ სადმე და ჯვარს დავიწერთ... მერე ავუხსნით, თუკი ვინმესთვის რაიმეს ახსნა დაგვჭირდება. არც დედაჩემი, არც ბიძაშენი, არავინ არ გვინდა!
– კარგი, პიტერ.
– მოკლედ, ხვალვე დაეთხოვე სამუშაოდან. მე კი ერთთვიან შვებულებას ავიღებ. გაი გაცოფდება, მაგრამ არა უშავს, მოინელებს როგორმე... ზეგ გამოგივლი, ცხრისთვის. მზად იყავი. და ფერუმარილი აღარ დამანახო უიმისოდაც ლამაზი ხარ!
ელზუერთ თუის მთელი ეს დრო კაბინეტის კარი ღრიჭოზე ჰქონდა მოხურული და კიტინგი რომ წავიდა, ფრთხილად მიიპარა დისშვილის ოთახთან, დააყურადა. უეცრად, ქალის ზლუქუნი შემოესმა. გულდაჯერებით, დაუკაკუნებლად შევიდა და ხაზგასმით მზრუნველი ხმით დაეკითხა:
– მოხდა რამე? ხომ არაფერი გაწყენინა?
სრულიად გაუაზრებლად, დაუფიქრებლად, იქნებ უნებლიეთაც, ქეითმა მშვიდად, ხმის აუწევლად უპასუხა: "შენი აღარ მეშინია, ბიძაჩემო!”

_ ვინ? – ლამის ამოიხავლა კიტინგმა.
_ მის დომინიკ ფრენკონი, – გაიმეორა მოახლემ.
– შენ ხომ არაფერი დაგილევია?! რას ბოდიალობ?!

მკითხველთა ლიგა

– მისტერ კიტინგ, სერ!
მაგრამ ის უკვე წამოხტა, სასტუმრო ოთახში გავარდა და დომონიკ ფრენკონიც ისე დახვდა, ვითომც აქ არაფერიო.
– პიტერს გაუმარჯოს!
– დომინიკ! მართლა შენა ხარ?! – მთელი თავისი გაკვირვების,აღტაცებისა თუ ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, ერთი იმ ფიქრმაც გაჰკრა თავში კიდევ კარგი, დედაჩემი არაა შინო.
– ოფისში დაგირეკე და მითხრეს, უკვე წავიდაო.
– მიხარია შენი ნახვა... კარგი, ამ მიეთმოეთს მოვრჩეთ მშვენივრად იცი, სულ არ გელოდი და არც გულითადი მასპინძლის როლის მორგებას ვაპირებ! რა ქარმა გადმოგაგდო?
– აი, ასეთი უფრო მომწონხარ, პიტერ.
ვიქტორიანული ავეჯის ვულგარული სიმდიდრის ფონზე დომინიკის ჩამოქნილი, ნატიფი ფიგურა მეტად მომგებიანად გამოიყურებოდა: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ნაცრისფერი შალის შემოტკეცილი ქვედაკაბა, შავი სვიტერის ყვრიმალებამდე აწეული ყელი, რუხი ფერის ქუდის ოდნავ გვერდზე ჩამოშვებული ფარფლი... ისეთი ნამდვილად აღარ იყო, როგორიც სასამართლოში პიტერს უფრო მათი ის პირველი შეხვედრა გაახსენდა, როცა ქალის სახის კრისტალურმა უმეტყველობამ გააოგნა...
– დაჯექი... ე-ე... პალტო ჩამოგართვა?
– დიდხანს დასარჩენად არ მოვსულვარ და რაკი სტუმარმასპინძლობის თვალთმაქცობაზეც უარი განაცხადე, იქნებ პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავი?
– ეგრე იყოს.
– ცოლად შემირთავ?
პიტერი ჯერ გაშტერებული იდგა, მერე მძიმედ დაეშვა უახლოეს სკამზე – მიხვდა, ქალი არ ხუმრობდა.
– ახლავე უნდა გადაწყვიტო მანქანით ვარ და კონექტიკუტში ჩასვლა-ჩამოსვლას, დიდი-დიდი, ორ საათზე ცოტა მეტი დასჭირდეს...
– მოკლედ... ან ჰო, ან არა? ასეა საქმე?
– სწორედ მასეა. ან ახლავე, ან აღარასოდეს! ისე, ერთ რჩევას მაინც მოგცემ: არ დამთანხმდე, უარი თქვი. იქნებ ჯობდა კიდეც, ეს შანსიც არ მომეცა შენთვის, მაგრამ უკვე გვიანია ნათქვამის გადათქმა არ მჩვევია... მოკლედ, შენ იცი!
– დომინიკ, იოტისოდენა იმედიც კი არასოდეს მქონია და... ახლა რა გეტაკა?
– ერთხელ უკვე გითხარი, დიდი ხნის წინათ... თუკი თავად არ გყოფნის გამბედაობა, მე მაინც ნუღარ მაიძულებ, შეგახსენო.
– მაგრამ ეს ამბავი ბომბივით გასკდება და ატყდება ერთი მითქმა-მოთქმა... არ ჯობდა, ჯერ საქვეყნოდ გაგვეცხადებინა და...
– არც მაგდენის ნერვები მაქვს, პიტერ! მთელი ეგ ამბები შენთვის მომინდვია, ოღონდ მერე. ახლა კი პასუხს ველი.
ზემოდან ქვემოთ ჩაჰყურებდა თვალებში და მისი მზერა უფრო პორტრეტისას ჩამოჰგავდა და არა ცოცხალი ადამიანისას... პიტერი თითქოსდა სულ მარტო იყო ოთახში.
– კარგი, – თქვა ბოლოს, – თანახმა ვარ. თუ შენი მანქანით მივდივართ, ცოტა თბილად ჩავიცვამ კაბრიოლეტია მაინც...
– შარფიც გეყოფა. არ ცივა.
– არც რამე ბარგი გვინდა? დღესვე ვბრუნდებით უკან?
– კი, დღესვე.

მკითხველთა ლიგა

უკვე ლიფტის კართან, დომინიკი რომ წინ გაატარა, კიტინგს აღარც ეჭვი ღრღნიდა და არც რამე ემოცია ეტყობოდა სახეზე პირიქით, ახლა თითქოს უფრო თავდაჯერებულად იქცეოდა, მამაკაცურად...

გარეთაც დაუკითხავად გაუყარა მკლავში ხელი და ისე გადაიყვანა ქუჩის მეორე მხარეს, სადაც მანქანა დაეტოვებინა დომინიკს. მერე კარიც თავად გაუღო, ჩასვა და უხმოდ მოუჯდა გვერდით. მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა, როცა ურჩია გრენდ კონქოურსით წადი, იქ ნაკლები შუქნიშნებიაო, დომინიკმა ასევე უსიტყვოდ დაუდო მუხლებზე საკუთარი ხელჩანთა და ახლა მათ შორის თითქოს რაღაც უხილავი ძაფი გაიბა საერთო უბედურების წინაშე მდგარ ადამიანებს რომ უჩნდებათ ხოლმე, ისეთი.

დომინიკს, ჩვეულებისამებრ, სწრაფად მიჰყავდა მანქანა და არც დაძაბულობა ეტყობოდა, წარბიც არ გასტოკებია სახეზე. კიტინგს ეჩვენებოდა, რომ ახლა ისინი იმ საბედისწეროდ გასროლილ ტყვიასავით მიქროდნენ, რომლის შეჩერებაც მხოლოდ სამიზნეს შეუძლია... ქუჩებში უკვე ბინდი ჩამოწვა, ოღონდ მაღაზიები ჯერ კიდევ ღია იყო და რომელიღაც კინოთეატრის ლამპიონებიც წითელ-ყვითელ შუქს აფენდა ქვაფენილს.

ქალაქის განაპირას იყვნენ უკვე, პიტერმა რომ ისევ გაიღო ხმა.

– საგზაო პოლიციამ სულ აიშვა... რამე რომ იყოს, პრესბარათი თანა გაქვს?

– პრესასთან საქმე აღარ მაქვს, პიტერ.

– რა არ გაქვს?!

– გაზეთში აღარ ვმუშაობ.

– სულ წამოხვედი?!

– არა, გამომაგდეს.

– დაიცა, შენ რა ხუმრობ?

– მეგონა, ძაღლმა და კატამ იცოდა ეს ამბავი! შენ როგორ გამოგრჩა?

– რა ვიცი, ეს დღეები საერთოდ...

ცოტა ხნის მერე უკვე დომინიკმა სთხოვა, სიგარეტი ამომიღე ჩანთიდანო. პიტერმა ქალის ხელჩანთა გახსნა, მერე ქათქათა, გახამებული ცხვირსახოცი, პომადა, სუნამოს ფლაკონი, საფულე გადაქექა, სიგარეტის კოლოფი და სანთებელა მოძებნა და უცებ გაუელვა თავში რაღა სვიტერის შიგნით მიფათურებია ხელიო... თუმცა ეს ზმანება იქვე მოიცილა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და ახლა დომინიკს მიაწოდა. "გმადლობ.” – მშვიდად, უემოციოდ თქვა ქალმა და პიტერმა ახლა ერთს თავისთვისაც მოუკიდა, ისევ გადაწვა საზურგეზე და ჩანთა დაკეტა.

გრინვიჩს რომ მიაღწიეს, პიტერმა ჯერ კარგად გაიკითხ-გამოიკითხა, მერე გზაც თავად მიასწავლა დომინიკს და ადგილზე რომ მივიდნენ, პირველი გადმოვიდა მანქანიდან, ქალსაც ხელი შეაშველა და მოსამართლის კარზეც თვითონ დარეკა ზარი...

წყვილი იქვე, სასტუმრო ოთახში დააქორწინეს მოწმეებად დიასახლისი და მეზობლის ქალი დაუდგნენ. მარტივი ცერემონიისა და უბრალო მილოცვების მერე ისევ მანქანაში ჩასხდნენ, ქუჩა გადმოჭრეს და უკანა გზას დაადგნენ. ერთი ეგ იყო, კიტინგმა ხელი გადაადო მძღოლის საზურგეს და სულ ოდნავ, თითის წვერებით თუ ეხებოდა დომინიკის მხარს... ქალს არც ხმა გაუღია, არც მოუხედავს მისკენ. პიტერმა ხელი აიღო და თითქოს თავისთვის, ენის სასინჯად ჩაილაპარაკა: "მისის კიტინგი.“

– მისის პიტერ კიტინგისა, – მოულოდნელად გაუსწორა დომინიკმა.

კიტინგის სახლთან რომ გაჩერდნენ, პიტერი ისევ პირველი გადმოვიდა

მკითხველთა ლიგა

მანქანიდან, წინიდან შემოუარა და დომინიკსაც გაუღო კარი. ოღონდ ის გადმოსვლას არც აპირებდა იჯდა და საჭეს ჩაჰფრენოდა ორივე ხელით.
– ღამე მშვიდობისა, პიტერ... – თითქოს ტუჩების გაუნძრევლად გამოცრა, – ხვალამდე!
და ვიდრე კაცი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ვიდრე თავს დაკარგავდა და იფეთქებდა, იქვე დააყოლა: "ხვალ დილით ჩემს ნივთებს გადმოვატანინებ. ყველაფერი ხვალიდან იწყება, პიტერ”.
– და ახლა სად მიდიხარ?
– საქმეები მაქვს მოსამთავრებელი...
– თუკი ვინმე შემეხმიანა, რას მიბრძანებ, რა ვუთხრა?
– რაც კი მოგესურვება ყველაფერზე თანახმა ვარ.
თქვა და საბურავების ღრჭიალით მოწყვიტა მანქანა ადგილიდან.

• • •

ათიოდე წუთის მერე, ოთახში რომ შევიდა, რორკმა გამოხედა, ოღონდ არა ისე, როგორც სჩვეოდა ხოლმე მოსალოდნელის უსიტყვო მირქმით – არამედ ტკივილსა და გაუსაძლის ლოდინზე მიმანიშნებელი მწარე ღიმილით...
სასამართლოს მერე არც უნახავს და თავად რომ მიაკითხა, მოახლემ უთხრა, თქვენი ნახვა არ სურსო; ახლა კი ისე უცქერდა, თითქოსდა ის იყო ყველაფრის თავიცა და ბოლოც, ყველა საჭირბოროტო საკითხის გადამჭრელი და ქალს მხოლოდ ის ევალებოდა, მასთან ყოფილიყო და მისთვის ეცქირა... კარგა ხანს იდგნენ ასე, ერთმანეთის პირისპირ და დომინიკმა ისიც კი გაიფიქრა ყველაზე კარგი სიტყვები ისინია, რომელთა თქმაც კი არ გჭირდებაო.
რორკი რომ შეინძრა, ქალმა დაასწრო: "ახლა არაფერი მითხრა, ეგ მერე."
კაცმა მიიზიდა, მკლავებში მოიმწყვდია, მთელი სხეულით აეკრო და ქალიც მთელი არსებით შეეგება; მერე ლოგინში იწვნენ, უძრავად, ძალაგამოცლილები და მხოლოდ ერთმანეთის მხურვალე სუნთქვა ესმოდათ სიბნელეში. დილით, როცა სულ ერთი წუთით შეაქცია ზურგი, მაშინღა უთხრა ქალმა: "მიყვარხარ, რორკ”.
პირველად უთხრა მთელი მათი ნაცნობობის განმავლობაში პირველად წამოსცდა, კაცის სახეზე კი უკვე ეწერა ის, რის თქმასაც აპირებდა: "გავთხოვდი. პიტერ კიტინგს გავყევი ცოლად".
არა, მართლა უფრო ასატანი იქნებოდა, კაცს სახე დაღრეჯოდა სულიერი ტკივილისგან, მტევნები მოემუშტა, რაღაც მაინც შესტყობოდა... ოღონდ ახლა ეს ყველაფერი მასშივე რჩებოდა, ყოველგვარი მიმიკისა და ჟესტიკულაციის გარეშე.
– რორკ... – თქვა ისევ, და ახლა უკვე შიში შეეპარა ხმაში.
– არაფერია, ეგ არაფერი... კიდევ თქვი რამე.
– მუდამ იმას ვუფრთხოდი, ცხოვრებაში ვინმე ისეთს არ გადავყროდი, ვინც სწორედ იმას მათქმევინებდა, რაც მაშინ სასამართლო დარბაზში ვილაპარაკე...
საკუთარი თავი მეჯავრებოდა, შენ დასაცავად რომ მომიწია გამოსვლა... ეს უკვე ჩემთვისაც შეურაცხმყოფელი იყო შენისთანა კაცს ან რა დაცვა უნდა სჭირდებოდეს! შენ რომ გიყურებ, ერთადერთი რეალობა ჩემთვის სწორედ შენი რეალობაა და არა ამ ხალხის. ის რეალობა, სადაც შენ საკუთარი წესებით შეგეძლება ბრძოლა აქ კი ამის შანსი არაა! მათი წესებით რომ გიწევს ბრძოლა ესაა ჩემთვის ყველაზე აუტანელი! ამით

მკითხველთა ლიგა

თავს იმცირებ და სწორედ იმავეს ვაკეთებ მეც პიტერ კიტინგს მივყვები ცოლად... იქნებ ასე მაინც დაგანებონ თავი, შენს ნებაზე გაცხოვრონ, მუშაობის ნებაც მოგცენ! იქნებ ეგაა სწორედ ჩემი სისუსტეც - მეტისმეტად მიყვარხარ იმისთვის, მხოლოდ ჩემი იყო და სხვა არაფერი...

ჩუმად უსმენდა, მომლოდინედ თითქოს უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა ყველაფერი ეს მოსმენილი და გაგებული...

– შენ მაგათ ჯერ კიდევ კარგად არ იცნობ, რორკ. ყველაფერზე არიან წამსვლელები გაგანადგურებენ... და სანამ ეგ მოხდება, ჯერ მე დავიღუპავ თავს მხოლოდ ამით თუ შევძლებ, საკუთარი პროტესტი საჯაროდ გამოვხატო! სხვა ან რა შემიძლია? რა შემოგწირო? სხვა ყველაფერი ისეთი უმნიშვნელოა, შეუსაბამო... შენთან ყოფნის ბედნიერებაზე ვიტყვი უარს და ეს იქნება ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომლის გაღებაც შემიძლია! ესაა ჩემი პასუხი მათთვის და საჩუქარი შენთვის! იქნებ ვერასოდეს შეგხვდე, მაგრამ მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის და შენად! ეს ერთადერთი გზაღა დამრჩენია...

კაცი შეირხა თითქოს, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ქალმა აღარ აცალა:

– ჯერ დამამთავრებინე! იკითხავ ბარემ თავი მოგეკლაო... ეგეც ვიფიქრე, მაგრამ მიყვარხარ და ამას ვერ ვიზამ, იმიტომ რომ შენ არსებობ! სანამ შენ ცოცხალი ხარ, მეც ვიცოცხლებ თუნდაც პიტერ კიტინგის ცოლის სახელით. მხოლოდ ჩემთვის, ჩემს გონებაში თუ წარმოვთქვამ ხოლმე ჰაუარდ რორკის სახელს, მაგრამ ის მაინც მეცოდინება, ამის თქმის უფლება რომ დავიმსახურე!

კაცის სახეზე ახლა იმ ტკივილს ხედავდა, მუდამ რომ სდევდა თავად მას, თავად მას რომ სტანჯავდა დღედაღამ ოღონდ ახლა ეს ტკივილი იარას კი არა, დიდი ხნის შეხორცებულ ნაწიბურს უფრო წააგავდა...

– დომინიკ, ახლა რომ გითხრა, შეეშვი ყველაფერს, თავიდან ამოიგდე მთელი ეს სისულელე, ეგ სულელური ქორწინებაც და თვალდახუჭული გამომყევი სადმე, ქვეყნიერების დასალიერზე, ისე რომ აღარც ჩემი ტანჯვა-წვალება გაიხსენო, აღარც მარცხი მიაფურთხე ყველაფერს და მხოლოდ ჩემთვის იცხოვრეო გამომყვები?

და ახლა კაცმა სწორედ ის გამომეტყველება დაინახა ქალის სახეზე, წუთის წინ თავად რომ აღბეჭდოდა... მხოლოდ მერეღა გაიგონა შორეული ხმა, ქალის თითქოსდა სრულიად უძრავი ტუჩებიდან გამოსული: "ნება შენია...”

– მაშინ მისმინე: სწორედ ესაა ერთადერთი, რამაც ჩვენი სიყვარული შეიძლება დაღუპოს სიბრალულის გრძნობა! არაფერი გვჭირს ერთმანეთის შესაბრალი ეს გზა ჩვენვე ავირჩიეთ. ახლა რომ ჩემი ცოლი გახდე, მხოლოდ ჩემით უნდა იცხოვრო ასეთი კი არც მე მინდიხარ და არც თავად გინდა საკუთარი თავი... არ ვიცი, ამ ღამეს როგორ გადავიტან, მაგრამ გადავიტან და შენც შენს ქმარს დაუბრუნდები. ამქვეყნად არავის მისცე ნება, შეგაშინოს არც შენთვის ტკივილის მიყენების საშუალება მისცე ვინმეს. მეტი ისეთი აღარ მინდა გნახო, სასამართლო დარბაზში რომ იყავი... ოღონდ ეგ თავად უნდა ისწავლო, მე მანდ ვერაფერს გიშველი, საკუთარი გზა უნდა მოძებნო და მერე ეგ გზა თვითონ მოგიყვანს ჩემთან. მანამდე კი ნურაფერს შიშობ ჩემს სულს ვერავინ გაანადგურებს და ვერც შენ დაგაკლებს ვინმე რამეს გარეგან...ბრძოლა უნდა ისწავლო ეს შენი გზაა, შენივე არჩეული, შინაგანი თავისუფლების მისაღწევად. ახლა კი იმას გეტყვი მხოლოდ, რომ მიყვარხარ, ბოლო ამოსუნთქვამდე მეყვარები და სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები _ თუნდ ეს დღე არც არასოდეს დადგეს...

მკითხველთა ლიგა

მიყვარხარ, დომინიკ.
მერე ყვრიმალზე აკოცა და ხელი გაუშვა. ქალიც აღარ გასძალიანებია, წყნარად გავიდა და კარი გაიხურა.

15

იმ დილით, ცხრა საათზე, თავის ოთახში გამოკეტილი პიტერ კიტინგი ადგილს ვერ პოულობდა და გაშმაგებული სცემდა ბოლთას. არც გაუგია, ცხრა თუ შესრულდა და საერთოდ არ ახსოვდა, ქეთრინი რომ ელოდებოდა. თავი აიძულა, ისიც დაევიწყებინა და საერთოდ, ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული.
კარი კი დედისგან "თავდასაცავად" ჩაკეტა. წინა საღამოს, შვილის მოუსვენრობისა და შფოთვის შემხედვარე მისის კიტინგმა მოახერხა და ყველაფერი ათქმევინა. შვილმა პირდაპირ მიახალა, დომინიკ ფრენკონზე დავქორწინდიო და მერე აბნეულ-დაბნეულად აუხსნა დომინიკი დროებით ქალაქიდან გაემგზავრა, ეს ამბავი ვიღაც მოხუცებულ ნათესავს რომ შეატყობინოსო. არადა, დედამისი ისეთი გახარებული ჩანდა, ისე ქოთქოთებდა და კრიახობდა, არც არაფრის ახსნა-განმარტება სჭირდებოდა და პიტერიც სულ ტყუილად ცდილობდა პანიკური შიშის დამალვას. უკვე სრულებით აღარ იყო დარწმუნებული, მართლა თუ დაქორწინდა და მისი ცოლიც დილით ნამდვილად დაუბრუნდებოდა.
ახალი ამბის გახმაურება დედას სასტიკად აუკრძალა, მაგრამ იმან მაინც დაურეკა ვიღაც-ვიღაცეებს და არც დილით შეუწყვეტია ეს საქმიანობა. მერე აქეთაც დაიწყეს რეკვა, ტელეფონი საერთოდ აღარ ჩუმდებოდა, ატყდა ერთი ვიშვიში და ორომტრიალი, მოლოცვა-დალოცვები და მადლობა-გულისაჩუყებები. კიტინგი თითქოს ხედავდა კიდეც, ნელ-ნელა როგორ ვრცელდებოდა ეს ამბავი ტალღა-ტალღა და მთელ ქალაქს ედებოდა. თვითონ ტელეფონს არ პასუხობდა: ეჩვენებოდა, ნიუ-იორკის ყველა კუთხე-კუნჭულში დიდი ზარ-ზეიმია გამართული და მხოლოდ მე ვარ ასე ოთხ კედელში გამომწყვდეული, აფორიაქებული, დაბნეული და შეძრწუნებულიო...
ბოლოს, სადღაც შუადღისას, კარზე ზარმა დარეკა და კიტინგმაც მთელი ძალით მიიჭირა ყურებზე ხელი არ უნდოდა გაეგო, ვინ მოვიდა და რა უნდოდა. მერე დედის ხმა მოესმა, ისეთი მღელვარე და გახარებული, შერცხვა კიდეც მის მაგივრად: "პიტ, საყვარელო, არ გამოხვალ, შენს მეუღლეს არ შეეგებები?! ისიც წინკარში გამოენთო და დომინიკს შეეფეთა სიასამურის ქურქს იხდიდა და ირგვლივ სუნამოს სურნელში არეულ, ქუჩიდან შემოყოლილ სუსხს აფრქვევდა. თან თავაზიანად იღიმებოდა, პირდაპირ თვალებში შესციცინებდა: "დილა მშვიდობისა, პიტერ."
წამით სარგადაყლაპულივით იდგა და ამ ხნის განმავლობაში მოასწრო, ტელეფონის ყველა ზარიც მოენელებინა და გამარჯვებულის სიხარულიც სრული სისრულით განეცადა. მერე მეუღლისკენ დაიძრა, გადაჭედილი სტადიონის არენაზე გამოსული კაცივით, აელვარებულ ფარებზე არეკლილი მზით თვალმოჭრილივით გაუღიმა და დომინიკ, ძვირფასო, აი, სიზმარიც ცხადად მექცაო, – უთხრა.
თითქოს ერთნაირი სიამაყისა და ერთმანეთის უსიტყვოდ გაგების უნარის გამო მანამდე მათი დაძაბული და არაბუნებრივი ურთიერთობა ქორწინებას ახლა ჩვეულებრივ, ადამიანურ კალაპოტში გადაეყვანა...
დომინიკს ეს ამბავი აშკარად სიამოვნებდა ვწუხვარ, ხელში

მკითხველთა ლიგა

ატატებული რომ არ შემომიყვანეო, – გაეკეკლუცასავით მეუღლეს. პიტერს ცოლისთვის არ უკოცნია, მხოლოდ ხელზე წაეტანა და მაჯის ზემოთ, ნაზად, ცოტა დაბნეულად შეეხო ტუჩებით.

მერე იქვე შორიახლოს მდგარ დედას ჰკიდა თვალი და გამარჯვებული კაცის რიხიანი ხმით განუცხადა: "დედა ეს დომინიკ კიტინგია.”

დაინახა, როგორ გადაკოცნა დედამთილმა რძალი. დომინიკმაც კოცნაზე, ცოტა არ იყოს, უგულოდ უპასუხა. მისის კიტინგი მაინც მეცხრე ცაზე ჩანდა სიხარულისგან: "ჩემო საყვარელო, როგორი ბედნიერი ვარ, როგორი გახარებული! ღმერთმა დაგლოცოს, ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი ლამაზი თუ იქნებოდი!”

პიტერმა კი აღარ იცოდა, ახლა რაღა უნდა ექნა; ისევ დომინიკმა გამოიჩინა ინიციატივა, ზედმეტი ფიქრის დრო აღარ მისცა დედა-შვილს_ პირდაპირ სასტუმრო ოთახში შეაბიჯა და უკვე გაშინაურებულმა, ესღა თქვა: "მოდით, ჯერ ვისადილოთ. მერე კი ბინა დამათვალიერებინეთ. ჩემს ნივთებს ერთ საათში მოიტანენ.”

მისის კიტინგი მაშინვე დაფაცურდა: "მაგიდა უკვე გაწყობილია,მის ფრენ...” – სასწრაფოდ დააჭირა ენას კბილი, – "უი, ძვირფასო, რომ არ ვიცი, როგორ მოგმართო? მისის კიტინგი გირჩევნია, თუ..."

– დომინიკი, უბრალოდ, დომინიკი, – მშვიდად უთხრა რძალმა.

– ეს ამბავი არ გავახმაუროთ, არავინ დავპატიჟოთ? არ... _ ჩაერთო პიტერი, მაგრამ დომინიკმა იქვე გააწყვეტინა:

– მოგვიანებით, პიტერ. თავისთავად მოხდება ყველაფერი,

მერე, როცა ბარგი მოიტანეს, პიტერმა დაინახა, როგორ თამამად და უყოყმანოდ შევიდა ქალი საძინებელ ოთახში, მოახლეს აუხსნა, სად რა დაეკიდა, პიტერს კი სთხოვა, კარადებში ადგილი გამითავისუფლეო.

მისის კიტინგი შეფიქრიანებული ჩანდა: "კი მაგრამ, შვილებო, არსად გამგზავრებას არ აპირებთ? ყველაფერი ისე მოულოდნელდრდ და რომანტიკულად მოხდა, მე მგონი, რაღაც გამორჩეულ თაფლობის თვეზეც რომ გეფიქრათ, არ იქნებოდა ცუდი."

– არა, – მიუგო დომინიკმა, – არ მინდა, პიტერი საქმეს მოვწყვიტო.

– ცხადია, ეს ყველაფერი დროებითია, დომინიკ, – თქვა პიტერმა, - მალე ახალ, უფრო დიდ ბინაში გადავალთ. შენ თვითონ აარჩევ...

– რა საჭიროა?! – შორს დაიჭირა დომინიკმა, – აქაურობაც მშვენიერია, არსადაც არ ვაპირებ გადასვლას.

– მე გადავალ, – სულგრძელად შესთავაზა მისის კიტინგმა, დაუფიქრებლად, საჩქაროდ, ეტყობა, დომინიკისადმი უკვე გაჩენილი შიშის კარნახით, – სადმე, პატარა ბინაში.

– არა, – მოჭრა დომინიკმა, – მგონი, არ ღირს. არაფრის შეცვლა არ მსურს, უბრალოდ, მინდა, თვითონ მოვერგო პიტერის ცხოვრებას.

– რა ძვირფასი ვინმე ხარ, – ტკბილად გაუღიმა მისის კიტინგმა, თუმცა გაქვავებულ კიტინგს უკვე სულ სხვა ეჭვი უღრღნიდა გულს.

სხვათა შორის, მისის კიტინგიც მაშინვე მიხვდა პირველი დღეების აღტკინება გადაივლიდა თუ არა, დომინიკს აუცილებლად შეიჯავრებდა. დამცირებას აიტანდა, აი, უგულო თავაზიანობას კი ვერ აპატიებდა რძალს.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა. მთავარი დიზაინერი რეკავდა ოფისიდან, მოსალოცად: ამწუთას გავიგეთ, პიტერ, გაი ჯერაც გაოგნებულია. მე მგონი, უნდა დაურეკო, ან იქნებ, სულაც შემოიარო."

კიტინგმაც აღარ დააყოვნა და ოფისს მიაშურა, გაუხარდა კიდეც, შინიდან გასვლის მიზეზი რომ გამოუჩნდა. მიჯნური რაინდივით ამაყად თავაწეულმა შეაბიჯა მხაზველების ოთახში, ყველას უცინოდა, გრძნობით ართმევდა ხელს, მილოცვებზე გულითად მადლობას უხდიდა... შურიან

მკითხველთა ლიგა

გამოხედვებს კი ვითომ ვერც ამჩნევდა და ერთ-ორ უკბილო ხუმრობასაც შეგნებულად წაუყრუა. მერე, ჩქარი ნაბიჯით, ფრენკონის კაბინეტისკენ გაემართა.

ერთი პირობა, როცა ფრენკონის სახეზე სიძის დანახვით გაბედნიერებული სიმამრის ღიმილი დაინახა, რაღაც უცნაური დანაშაულის გრძნობა დაეუფლა. აღელვებულმა ფრენკონს მხარზე მოუთათუნა ხელი და გაი, რომ იცოდე, როგორი ბედნიერი ვარო, – ამოილუღლუღა.

– ამის მოლოდინი სულ მქონდა, – მიუგო ფრენკონმა, – მაგრამ ახლა საბოლოოდ დავმშვიდდი. ახლა წესით და კანონითაც ეს ყველაფერი შენი გახდება, პიტერ, რასაც ხედავ ეს კაბინეტიც, ყველაფერი... ძალიან მალე.

– რაზე ლაპარაკობ?

– კარგი, ყველაფერი მშვენივრად გესმის! დავიღალე, პიტერ. იცი, დგება დრო, როცა საბოლოოდ გიწყდება ქანცი და მაშინ... არა, ჯერ ვერ გაიგებ, ჯერ ახალგაზრდა ხარ. არადა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ვის რაღაში ვჭირდები აქ? ყველაზე სასაცილო ისაა, სულ რომ არ მანაღვლებს, ვარ რამეში საჭირო თუ არა... ზოგჯერ გულწრფელობის ხასიათზე ვდგები ხოლმე. სხვათა შორის, მშვენიერი გრძნობაა... მოკლედ, დიდი _ დიდი ერთი-ორი წელიც, და მივხედავ ჩემს თავს. ჰოდა, ბურთიც და მოედანიც შენ დაგრჩება. ცოტა ხანს კიდევ ავითრევ ფეხს, რა ვქნა, ეს ოხერი, მიყვარს აქაურობა მართლა კარგად ავაწყვეთ საქმე, ხალხი პატივს გვცემს არ იყო ცუდი ფირმა ეს ჩვენი "ფრენკონი და ჰეიერი," რას იტყვი? ცხადია, "ფრენკონი და კიტინგი" უნდა მეთქვა, მალე კი მარტო კიტინგი" დარჩება." ცოტა ხანს გაჩუმდა. "რაღაც, ბედნიერებას ვერ გატყობ," – დაამატა მერე ხმადაბლა.

_ რა თქმა უნდა ბედნიერი ვარ ბედნიერიც და მადლიერიც, რაზეა ლაპარაკი?! ოღონდ, ერთი ეს გამაგებინე, საქმიდან გასვლაზე ახლა რატომ ჩამოაგდე სიტყვა?

– სხვა რამეს ვგულისხმობ. არ გიხარია, როცა გეუბნები, ეს ყველაფერი შენი იქნება-მეთქი? მე... ძალიან კი მინდა, გიხაროდეს.

– კარგი რა, გაი, რაღაც არეულ-დარეულად ლაპარაკობ...

– პიტერ, ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ამბავია იამაყებ თუ არა. არადა, ვიცი, ამაყობ, ასეა?

– ვინ არ იამაყებდა?! – ცდილობდა, ფრენკონისთვის თვალი აერიდებინა და მისი მუდარანარევი ხმა უკვე აღიზიანებდა კიდეც.

– აბა რა! ვინ არ იამაყებდა?! რასაკვირველია... და შენც, პიტერ?

– რა გინდა? – ბრაზი ვეღარ მოთოკა კიტინგმა.

– მინდა, ჩემით ამაყობდე, პიტერ, – მორცხვად ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა ფრენკონმა, – მინდა ვიცოდე, რომ ცხოვრებაში რაღაც შევქმენი, რაღაც მნიშვნელოვანი, აზრიანი. და როცა შედეგების შეჯამების ჟამი დადგება დარწმუნებული ვიყო, უაზროდ არ მიცხოვრია-მეთქი.

– მაგაში ისედაც არა ხარ დარწმუნებული, არა? – კიტინგს თვალები ბოროტად დაუწვრილდა, თითქოს უეცრად ფრენკონისგან საფრთხე იგრძნოო.

– და შენ თვითონ რა გჭირს, პიტერ? – უკვე ლამის უგულოდ ჩაეკითხა ფრენკონი.

– მე არაფერი, შენ კი, ჯანდაბას შენი თავი, რა უფლება გაქვს, დარწმუნებული არ იყო! შენი ხნის კაცს, შენი სახელის მქონეს, შენი გავლენის, შენი...

– მეც მინდა, დარწმუნებული ვიყო. სწორედ მაგისთვის ვიწყვეტდი წელს!

მკითხველთა ლიგა

– მაგრამ მაინც არ ხარ! – გამწარებული იყო და თან შეშინებული. ამიტომ უნდოდა, ტკივილი მიეყენებინა და ზუსტად ის უთხრა, რასაც ყველაზე დიდი ტკივილის მიყენება შეეძლო, ოღონდ დაავიწყდა, ნათქვამი თავად მისთვისვე იქნებოდა მტკივნეული და არა ფრენკონისთვის. ის ვერც მიხვდებოდა ვერაფერს, ვერასოდეს, გუმანითაც კი, _ აი,მე კი ვიცნობ ერთს, ვისაც არაფერი დააეჭვებს თავის დღეში, სამარის კართანაც, იმდენადაა დარწმუნებული და თავდაჯერებული, სიამოვნებით გამოვჭრიდი ყელს!

– ვის? – ისევ წყნარად, ისევ გულს გარეთ იკითხა ფრენკონმა.

_ გვეყოფა; გაი! რა გვჭირს საერთოდ? რაზე ვლაპარაკობთ?

–არ ვიცი, ჩაიბურდღუნა ფრენკონმა. დაღლილი ჩანდა.

იმავე საღამოს ვახშმად ეწვია ქალიშვილს და სიძეს. დაუდევრად ეცვა და როცა მისის კიტინგს ხელზე ეამბორა, ძველი გალანტურობისაც აღარაფერი ეცხო. დომინიკს გაბედნიერება,ცოტა არ იყოს,მჟავედ, სიტყვაძუნწად მიულოცა, თანაც, დამნაშავესავით, მავედრებელი თვალებით მიაჩერდა სახეში. ქალიშვილისგან დამცინავ,ეშმაკურ ღიმილს მოელოდა პასუხად, არადა, მისდა გასაოცრად,დომინიკი გაგებითა და თანაგრძნობით შესცქეროდა .თქმით არაფერი უთქვამს მამისთვის _ უბრალოდ შუბლზე აკოცა ნაზად და იმაზე ოდნავ უფრო დიდხანს არ მოაცილა ტუჩები,ვიდრე მათი ურთიერთობის დაუწერელი წესი მოითხოვდა.ფრენკონს მადლიერების თბილმა ტალღამ დაუარა ტანში,მერე კი უცებ_ „დომინიკ“ ჩაიჩურჩულა ისე, დანარჩენებს რომ არ გაეგოთ,_ ”ალბათ რა უბედური ხარ...“

ქალიშვილმა ხმამაღლა გადაიკისკისა და ხელკავი გამოსდო: ,, რას ამბობ,მამა, ეგ რამ გაფიქრებინა!“ ”მაპატიე”, –ამოილუღლუღა ფრენკონმა, –სულელი ვარ... გადასარევადაა ყველაფერი“...

სტუმრები კი მთელი საღამო მოდიოდნენ და მოდიოდნენ, გაუფრთხილებლად და დაუპატიჟებლად, ვის ყურსაც ახალი ამბავი მისწვდომოდა და ვინც შინაურად თვლიდა თავს. კიტინგს ვერ გაერკვია, სიამოვნებდა მათი ნახვა თუ არა. თუმცა,სანამ ბინაში ერთი ხალისი და ჟრიამული იდგა, თავს მაინც მშვიდად გრძნობდა.დომინიკი უზადო მასპინძელი გამოდგა.

შუაღამეს კარგად გადაცილებული იყო, ბოლო სტუმარც რომ გააცილეს და მარტონი დარჩნენ ნამწვავებით სავსე საფერფლეებისა და ცარიელი ჭიქების გარემოცვაში. სასტუმრო ოთახის სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ და კიტინგი ძალიან ცდილობდა, როგორმე იმ ნაბიჯის გადადგმა გაეჭიანურებინა,როცა უკან დასახევ გზას აღარ დაიტოვებდა...

_ კეთილი, პიტერ, – თქვა დომინიკმა და წამოდგა, –მოდი, ბოლომდე მოვიხადოთ ვალი.

მერე, როცა სიბნელეში ქალის გვერდით იწვა, თითქოს უკვე ჟინმოკლული და თან მაინც უფრო აღგზნებული, ვიდრე ოდესმე ამ უძრავი, უგრძნობი, გაქვავებული სხეულის სიახლოვით,რომელსაც საერთოდ ვერაფერმა, თვით ზიზღმაც კი ვერ დაამჩნია სიცოცხლის ნიშანწყალი, კაცის მთელი მონდომებისა და თავგამოდების მიუხედავად, ორად ორი სიტყვა წაიჩურჩულა: ”წყეულიმც იყავ!”

ქალს კრინტი არ დაუძრავს, არც კი შერხეულა.

მხოლოდ ახლაღა გაახსენდა ის, რასაც სულ ცოტა ხნის წინ, ვნებამორეულმა ყურადღება არც მიაქცია.

– ვინ იყო? – ჰკითხა ხმაჩახლეჩილმა.

– ჰაუარდ რორკი, – უპასუხა ქალმა.

– კარგი, – ლითონი გამოერია ხმაში, – თუ არ გინდა, ნუ მეტყვი.

მკითხველთა ლიგა

მერე შუქი აანთო, ახლაც გაუნძრევლად მწოლიარე, შიშველ, უკან თავგადაგდებულ ქალს დახედა მშვიდი, უდრტვინველი, უმანკო სახე ჰქონდა. ჭერს ასცქეროდა. "პიტერ," – თქვა ჩუმად, – "რადგან ეს შევძელი... უკვე ყველაფერი სულ ერთია..."

– თუ გგონია, ხშირ-ხშირად შეგაწუხებ, თუ მართლა ასე გგონია...

– გინდა ხშირად და გინდა იშვიათად ნება შენია, პიტერ.

• • •

მეორე დილით, სასადილო მაგიდაზე დომინიკს ყვავილების მაღაზიიდან გამოგზავნილი ყუთი დახვდა მოგრძო, თოვლივით ქათქათა.

– ეს რაღაა? – ჰკითხა მოახლეს.

– ალიონზე მოიტანეს, ქალბატონო. მთხოვეს, თქვენი თეფშის გვერდით დამედო...

"მისის პიტერ კიტინგს", – ეწერა საჩუქარს. დომინიკმა ყუთი გახსნა. შიგ რამდენიმე ღერი თეთრი შროშანი იდო, კიდევ უფრო მდიდრული და ძვირიანი, ვიდრე ორქიდეები წელიწადის ამ დროს. ყვავილებს პატარა ბარათიც ახლდა, გამომგზავნის ვინაობის მაუწყებელი. "ელზუერთ თუი ეწერა ზედ მსხვილი, გაკრული, თითქოს ეშმაკურად მოცინარი ასოებით.

– რა ყურადღებიანი კაცია! – თქვა კიტინგმა, – ნეტა გუშინვე რატომ არ შეგვეხმიანა?!

– ლარნაკში ჩადგი, მერი, – სთხოვა დომინიკმა მოახლეს და ყუთი მიაწოდა.

ნაშუადღევს კი თუის დაურეკა და ვახშმად დაპატიჟა.

ვახშამი რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართა. კიტინგის დედამ ადრე დაგეგმილი შეხვედრა მოიმიზეზა და შინიდან წავიდა, თუმცა სინამდვილეში, დრო სჭირდებოდა რაღაც-რაღაცეებთან შესაგუებლად. ამიტომ სუფრა სამ კაცზე გაიშალა_ ბროლის შანდლები, სანთლები, ყვავილებიანი ლარნაკი...

მერე მისტერ თუიც მობრძანდა. მასპინძლებს ისე მიესალმა, ისე დაუკრა ორივეს თავი, თითქოს ძველ ნაცნობებთან კი არა, სამეფო კარის მიღებაზე იყო ტუმრად მიწვეული. დომინიკიც მაღალი წრის ბანოვანივით იქცეოდა, დარბაისლურად და თან იმდენად ბუნებრივად, ვითომ სხვაგვარად არც არასოდეს უცხოვრიაო.

– აბა, რას იტყვი, ელზუერთ? -– ჰკითხა კიტინგმა და ხელი ჰაერში გაიქნია, – როგორც ჩანს, ბინასაც გულისხმობდა, ზოგად ატმოსფეროსაც და, ცხადია, დომინიკსაც.

– პიტერ ჩემო, მოდი, თავისთავად ნაგულისხმებზე ზედმეტს ნუ ვილაპარაკებთ.

დომინიკი კაცებს სასადილო ოთახში შეუძღვა. საღამოსთვის საგანგებოდ შეერჩია ტანისამოსი კაცურ თარგზე გამოჭრილი თეთრი სატინის პერანგი და გრძელი, შავი ქვედაკაბა, სადა და თავის თმასავით სწორი. ქვედაკაბაში ისეთი წვრილი უჩანდა წელი, იფიქრებდი მუჭში მოიმწყვდევ და შუაზეც იოლად გადაამტვრევო. სიფრიფანა მკლავები შიშველი ჰქონდა და სუსტ მაჯაზეც მძიმედ და შეუსაბამოდ დიდად მოუჩანდა ოქროს სამაჯური. საერთოდ, მთელი მისი გარეგნობა შეგნებულად დამახინჯებული ელეგანტურობის იერს ატარებდა მოწიფული საშიშად დაბრძენებული ქალის გარეგნობა, რომელიც, იმავდროულად, რაღაცით პატარა გოგოსაც მოგაგონებდათ.

_ მართლა ძალიან ლამაზია, არა, ელზუერთ? – მიმართა კიტინგმა სტუმარს და თან ისეთი სახით მიაჩერდა დომინიკს, ვითომ ბანკის

მკითხველთა ლიგა

ექვსნიშნა ანგარიშს დასცქერისო.
_ არც იმაზე ნაკლებად, ვიდრე მოველოდი, – თქვა თუიმ, – და არც იმაზე მეტად.
მაგიდასთან, ძირითადად, კიტინგი ლაპარაკობდა. ეტყობოდა, მეტისმეტად აშლოდა საღერღელი. თან ცდილობდა, მჭევრმეტყველებით გამოეჩინა თავი, სიტყვებს საგანგებოდ არჩევდა და აშკარა იყო საკუთარი ნაუბრის მოსმენა სიამოვნებდა.
_ გამოგიტყდები, ელზუერთ და, სინამდვილეში, დომინიკმა მოგიწვია. გულწრფელად ვაღიარებ, მე არ მითხოვია. თუმცა, მიხარია, ჩვენი სურვილით პირველი სწორედ შენ რომ მოგიპატიჟეთ. უკეთესი რა უნდა ინატრო კაცმა?! მეუღლე და საუკეთესო მეგობარი. არადა, ყოველთვის მღრღნიდა სულელური ეჭვი მეგონა, ერთმანეთი მაინცდამაინც არ გეხატებოდათ გულზე. ღმერთმა იცის, რატომ ავიკვიატე, ამიტომ დღეს, როცა ასე ერთად ვსხედვართ სამივე, განსაკუთრებულად ბედნიერი ვარ.
– ესე იგი, მათემატიკის არ გჯერა, არა, პიტერ? – გაუღიმა თუიმ,_ რატომ გიკვირს? არ იცი, გარკვეული ციფრების კომბინაცია გარკვეულ შედეგს რომ იძლევა? როცა საქმე ისეთ სამ პიროვნებას ეხება, როგორებიც დომინიკი, შენ და მე ვართ ასეთი ჯამის მიღება გარდაუვალია.
– ამბობენ, სამი უკვე ბრბოაო, – იხუმრასავით კიტინგმა, – არადა, ტყუილია. ერთს ორი სჯობია და ზოგჯერ ორს სამი, ვითარებას გააჩნია.
– მაგ მოძველებული კლიშეს მთავარი შეცდომა ისაა, ბრბოს იმთავითვე რაღაც სამარცხვინოდ რომ მიიჩნევს, – თქვა თუიმ, – არადა, სულ პირიქითაა საქმე. აი, ხუმრობა-ხუმრობით შენც მაგ დასკვნამდე მიხვედი ამწუთას. მეტსაც გეტყვით, სწორედ სამია მისტიკური საკვანძო ციფრი. მაგალითად წმინდა სამება. ან, ვთქვათ, სამკუთხედი, რომლის გარეშეც არანაირი კინოინდუსტრია არ გვექნებოდა. მერე რამდენი ვარიაცია აქვს ამ ყბადაღებულ სამკუთხედს! აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც ტრაგიკული... აი, თუნდაც ჩვენს სამეულზე ვილაპარაკოთ_ მე ჰიპოტენუზის მაგივრობას ვწევ, როგორც შემიძლია ისე, ჩემი ანტიპოდის ადგილს ვიკავებ, არა, დომინიკ?
უკვე ტკბილეულს შეექცეოდნენ, როცა კიტინგს ტელეფონ ზე დაურეკეს. ისმოდა, მეორე ოთახიდან უკმაყოფილო ხმით როგორ ელაპარაკებოდა თავის ერთ-ერთ მხაზველს, რომელიც გვიანობამდე შერჩენოდა სასწრაფოდ დასამთავრებელ საქმეს და მისი რჩევა-დარიგება დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა. თუი სკამზე შეტრიალდა, პირდაპირ მიაჩერდა დომინიკს და გაუღიმა. ამ ღიმილით თქვა ყველაფერი, რისი სიტყვით გამოთქმის უფლებაც მანამდე ქალის იმდღევანდელმა გარეგნობამ არ მისცა. დომინიკმა თვალი გაუსწორა, სახეზე ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია, თუმცა გამომეტყველება შეეცვალა თითქოს აღიარა, მივხვდი მაგ მზერის ფარულ აზრსო. თუიმ, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი: ნამდვილად ერჩია, დომინიკს მიამიტობა გაეთამაშა არ მესმის, ასე რატომ მიყურებო.
– ესე იგი, ბოლოს შენც აღიარე ოჯახის წმინდათაწმინდა ინსტიტუტის უპირატესობა, დომინიკ?
– კი, ელზუერთ, ასე გამოდის.
– და შეწყალებასაც აღარ ითხოვ?
– ვითომ რა, აუცილებელია?!
_ არა, რა თქმა უნდა. აღტაცებული ვარ შენით... ახალი ცხოვრება როგორ მოგწონს? პიტერის ღირსებებში ეჭვი არ მეპარება, თუმცა იმ კაცსაც ვერ შევადარებ, ვისზეც მე და შენ ვფიქრობთ... იმას ალბათ ვერავინ შეედრება, ოღონდ შენ მაგაში ვერასდროს დარწმუნდები.

მკითხველთა ლიგა

ქალს ზიზღით ნამდვილად არ შეუხედავს, გულწრფელად გაკვირვებული მიაჩერდა თუის.

– რაზე ლაპარაკობ?

– კარგი ერთი, ძვირფასო, ჩემთან თავის მოკატუნება რაში გჭირდება? კიკი ჰოლქომბის წვეულებაზე, პირველი დანახვისთანავე, რორკი შეგიყვარდა... ბოლომდე გავთამამდები და გეტყვი სიგიჟემდე გინდოდა იმასთან დაწოლა, იმან კი ზედაც არ შემოგხედა. ამიტომ, მერე რაც მოხდა, უკვე აღარაა ძნელი ასახსნელი.

– მართლა ასე ფიქრობ? – ჩაეკითხა დომინიკი.

– ვითომ დიდი გულთმისნობა სჭირდება მაგის მიხვედრას?! უგულებელყოფილი ქალის ჩვეულებრივი ამბავია. შენთვის ერთადერთი სასურველი, საოცნებო მამაკაცი რორკია, იმან კი შენი არსებობაც არ იცის.

– ეტყობა, ზედმეტად გამჭრიახი მეგონე, ელზუერთ, – თქვა ქალმა. ყოველგვარი ინტერესი უცებ გაუქრა სტუმრის მიმართ და ამის დამალვაც არ უცდია. დაღლილი ჩანდა. თუი შეცბა, მერე კი გაბუტულივით გაიფხორა.

კიტინგი მაგიდასთან დაბრუნდა. თუის რომ ჩაუარა გვერდით, სტუმარი უნებურად აიწურა.

– პიტერ, სანამ წავალ, ”სტოდარდის ტაძარზე” მინდა დაგელაპარაკო. ცუდი არ იქნება, გადაკეთებაში შენც მიიღო მონაწილეობა.

– ელზუერთ... – იუკადრისა კიტინგმა.

თუის გაეცინა: "დაწყნარდი, შენს პროფესიულ თავმოყვარეობას არავინ ეხება. ზოგჯერ რაღაც-რაღაცეების მარცხენა ხელით კეთებაც არაა სათაკილო. დომინიკიც გაგიგებს. ბოლოს და ბოლოს, გაზეთში უმუშავია.”

– ვერ გცნობ, ელზუერთ, – შეეხმიანა დომინიკი, – სასოწარკვეთამ ხომ არ დაგრია ხელი? შენს ირონიას აშკარად მოაკლდა გესლი! მერე წამოდგა და ყავა სასტუმრო ოთახში დავლიოთო, – შესთავაზა კაცებს.

• • •

ჰოპტონ სტოდარდმა სასამართლოს ძალით რორკისგან მიღებულ თანხას თავისი ჯიბიდანაც წაუმატა და ”სტოდარდის ტაძარიც”, უკვე ახალი დანიშნულების გათვალისწინებით, ხელახლა გადააკეთა ელზუერთ თუის მიერ შერჩეული არქიტექტორების ოთხეულმა: პიტერ კიტინგმა, გორდონ ლ. პრესკოტმა, ჯონ ერიკ სნაიტმა და ვინმე გას უებმა – ოცდაოთხი წლის ყმაწვილმა, ვისაც ქუჩაში გვერდით ჩავლილი მანდილოსნებისთვის უწმაწური სიტყვების თქმა უყვარდა და როგორც არქიტექტორს, ჯერ ცხოვრებაში არც ერთი კერძო შეკვეთა არ მიეღო... დანარჩენ სამს არც სახელი აკლდა და არც პროფესიული ავტორიტეტი, გას უებს მსგავსიც არაფერი გააჩნდა; სხვათა შორის, თუიმაც სწორედ ამიტომ ჩართო საქმეში. არადა, ყველაზე ხმამაღლა ის ლაპარაკობდა და სხვებთან შედარებით ყველაზე თავდაჯერებულადაც გამოიყურებოდა. მე არაფრის მეშინიაო, გაიძახოდა და არც ტყუოდა. ოთხივე რჩეული “ამერიკის მშენებელთა საბჭოში" იყო გაწევრიანებული.

საბჭო თანდათან მომძლავრდა და გაიზარდა. სტოდარდის სასამართლო პროცესის მერე, "ამერიკის არქიტექტორთა გილდიის” კულუარებში დიდხანს გრძელდებოდა ცხოველი დავა-კამათი. გილდიის წევრები, ზოგადად, ელზუერთ თუისადმი გულითადი დამოკიდებულებით არ გამოირჩეოდნენ, მით უმეტეს, ამ მისი "საბჭოს" დაფუძნების შემდეგ. მაგრამ სასამართლო პროცესმა ვითარება საგრძნობლად შეცვალა. ბევრი ამტკიცებდა, სარჩელის შეტანა სწორედ თუის გახმაურებულმა

მკითხველთა ლიგა

სტატიამ განაპირობაო; ამიტომაც მიიჩნიეს, იმ კაცთან, ვინც მოახერხა და კლიენტი აიძულა, არქიტექტორისთვის ეჩივლა, მეტი სიფრთხილე გვმართებსო. გაჩნდა აზრი, გილდიაში გამართულ ერთ-ერთ ტრადიციულ სადილზე თუი მიეწვიათ და სიტყვით გამოსვლაც ეთხოვათ. ვიღაც-იღაცეებმა, მათ შორის გაი ფრენკონმა, ეს წინადადება შორს დაიჭირეს.განსაკუთრებით, ერთი ახალგაზრდა არქიტექტორი გაწიწმატდა, საჯაროდ გამოსვლას მიუჩვეველი და ხმაათრთოლებული, მგზნებარედ უმტკიცებდა კოლეგებს მართალია, მისტერ თუის უდიდეს პატივს ვცემ და მის საზოგადოებრივ საქმიანობასაც მივესალმები,მაგრამ თუკი ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ეჩვენება, რომ მავანი პიროვნების გავლენის ქვეშ მოქცევა ემუქრება,დროულად უნდა აღუდგეს კიდეც წინ ასეთ ვინმესო. თუმცა ბოლოს უმრავლესობამ მაინც იძალა და თუი სადილზე მიიწვიეს. იმანაც ბრწყინვალე, დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა. იმდენად მოხიბლა მსმენელი, გილდიის ბევრი წევრი „ ამერიკის მშენებელთა საბჭოს“ მიაწყდა და მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ ჯონ ერიკ სნაიტი იყო.

„ სტოდარდის ტაძრის" გადაკეთებაზე პასუხისმგებელი ოთხი არქიტექტორი პირველად კიტინგის ოფისში შეიკრიბა, იმ მაგიდის გარშემო, რომელზეც ტაძრის ძველი ნახაზები და რორკის ხელით შესრულებული ესკიზების ფოტოები იყო გაბნეული; იქვე იდგა კიტინგის შეკვეთით დამზადებული ტაძრის თაბაშირის მაკეტიც. ცოტა ხანს ეკონომიკურ დეპრესიასა და სამშენებლო საქმეზე მის უარყოფით გავლენაზე ისაუბრეს; მერე ქალებსაც გადასწვდნენ და გორდონ ლ. პრესკოტმა ერთი-ორი უხამსი ანეკდოტით მოიწონა თავი; ბოლოს გას უებმა ხელი მოიქნია, თაბაშირის მაკეტს მუშტი დასცხო და ნამსხვრევებად აქცია. „ გვეყოფა ბიჭებო“- მიმართა, ცოტა არ იყოს, შემცბარ კოლეგებს,_ „მივხედოთ საქმეს“. „ გას,შე ძაღლიშვილო, ეს მაკეტი ფული ღირს,“_ აღშფოთდა კიტინგი. „ფეხებზე მკიდია.“ _ თქვა გასმა,_ „ჩვენი ჯიბიდან ხო არ გვახდევინებენ?!“

რამდენიმე კვირა იმუშავეს, თითოეული საკუთარ ვარიანტს პირდაპირ ორიგინალურ, რორკისეულ ნახაზებს ახაზავდა ზემოდან... სამუშაომ დათქმულზე მეტი დრო წაიღო. სხვათა შორის, ცვლილებებიც აუცილებელზე მეტი შეიტანეს: თითქოს სიამოვნებასაც ანიჭებდათ ვიღაცის გაკეთებული საქმის დაუნდობლად შეცვლა გადაკეთება. მერე ოთხივე ვარიანტი გვერდიგვერდ დაალაგეს და ბოლოს ერთი, ასე ვთქვათ, შეჯერებული ვარიანტი მიიღეს. შედეგით დიდად კმაყოფილი არც ერთი არ დარჩენილა, თუმცა კი დრო მართლაც სასიამოვნოდ გაატარეს, სრული თანხმობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში და საერთო განწყობა გას უების იშვიათ თავხედურ გამოხტომებსაც კი არ გაუფუჭებია მაინცდამაინც.

"სტოდარდის ტაძარი” მთლიანად არ დაუნგრევიათ, უბრალოდ, ხუთ სართულად დაყვეს და ამ სართულებზე საძინებლები, საკლასო ოთახები, ლაზარეთი, სამზარეულო და სამრეცხაო განათავსეს. ჰოლში ფერადი მარმარილო დააგეს, კიბეებს გრეხილი ალუმინის სახელურები გაუკეთეს, საშხაპე კაბინებს შუშის კედლები, ფიზკულტურის დარბაზს კი მოოქროვილფოთლებიანი კორინთული სვეტები ამშვენებდა...

სრული ჰარმონიის მიღწევა ოთხივე არქიტექტორმა იმთავითვე უმთავრეს ამოცანად დაისახა და იმაზეც თავიდანვე შეთანხმდნენ, წმინდა სახით არც ერთ ისტორიულ სტილს არ გამოვიყენებთო. კიტინგის წვლილი საერთო ქმნილებაში თეთრი მარმარილოს ნახევრად დორიული ღია გალერეა იყო მთავარი შესასვლელის თავზე; ჯონ ერიკ სნაიტისა

მკითხველთა ლიგა

ჯვრით დაგვირგვინებული, ნახევრად გოთური გუმბათი; გორდონ ლ. პრესკოტის ნახევრად რენესანსული ყაიდის კარნიზები და მესამე სართულის შემინული ტერასა... რაც შეეხება გას უებს, მან ძველი ნაგებობის ფანჯრებს კუბისტური ჩარჩოები მოარგო და თანამედროვე, ნეონის აბრაც სახურავზე "'ჰოპტონ სტოდარდის სახელობის უნარდაქვეითებულ ბავშვთა სახლი" – მისი ნახელავი იყო.

"რევოლუცია მოდის," – თქვა უებმა, როცა საქმე მოათავეს და შენობამაც საბოლოო სახე მიიღო, – "მალე ამ ქვეყანაში ყველა ბავშვს ექნება ასეთი სახლი."

თუმცა, საფუძვლიანი გადაკეთების მიუხედავად, პირვანდელი, რორკისეული ნაგებობის ჩონჩხი მაინც შესამჩნევი დარჩა და საერთოდაც, ამ ყველაფრის შემხედვარე კაცს ისეთი შთაბეჭდილება უჩნდებოდა, თითქოს ჯერ დანაწევრებულ და მერე ხელახლა შეკოწიწებულ გვამს უყურებდა.

სექტემბერში ახალ შენობაში ბინადრებიც შესახლდნენ. მცირერიცხოვანი, ოღონდ საქმის მცოდნე შტატი კი თუიმ შეარჩია საგანგებოდ. უფრო ძნელი იმ ბავშვების მონახვა აღმოჩნდა, ვინც დაწესებულების დანიშნულებას უპასუხებდნენ. მათი უმრავლესობა სხვადასხვა მსგავსი ტიპის ინტერნატებიდან გადმოიყვანეს. სულ სამოცდახუთი მოგროვდა, სამიდან თხუთმეტ წლამდე ასაკისა, ყველა ერთნაირად
უიმედო, სამუდამოდ იქ დარჩენისთვის განწირული... მათ შორის ერთი თხუთმეტი წლის ბიჭი, რომელმაც ლაპარაკი ვერა და ვერ ისწავლა; უცხვიროდ დაბადებული გოგო, ვისაც მამა, იმავე დროს, ბაბუადაც კუთვნოდა; ვინმე "ჯეკი", რომლის ასაკსა თუ სქესს ერთი შეხედვით ვერც დაადგენდი... მზერადაფანტულებმა შემოაბიჯეს ახალ საცხოვრებელში, თვალებგამოცარიელებულებმა, შიგ სიკვდილჩაბუდებულებმა...

ამ ბავშვების შრომითი თერაპია ქეთრინ ჰელსის მიანდეს და ისიც საცხოვრებლად თავშესაფარში გადავიდა. თავდაუზოგავად შეუდგა საქმეს. თუკი ვინმე მსმენელი გამოუჩნდებოდა, სულ ამ თავის ახალ მოვალეობაზე ელაპარაკებოდა. ხმა შეეცვალა, თითქოს ჩაუწყდა და გაებზარა, და სახეზეც, ნესტოებიდან ნიკაპამდე, ორი ღრმა ნაოჭი გაუჩნდა. სათვალეს აღარასდროს იხსნიდა და, ეტყობა, სწორადაც იქცეოდა
ყველას უჭირდა მისთვის თვალის გასწორება. ასე ამბობდა, ქველმოქმედებას კი არ ვეწევი, კაცობრიობის განახლებას ვცდილობო...

რაც შეეხება დომინიკის ქანდაკებას, ის ადრევე გაიყიდა. არავინ იცოდა, რომ მყიდველი ელზუერთ თუი იყო.

• • •

"ქორდის შენობის" დასრულების მერე, რორკს არანაირი შეკვეთა აღარ მიუღია და ისევ ერთ მომცრო ოთახში მოუწია ოფისის გადატანა. დიდმა დეპრესიამ სამშენებლო საქმეს წირვა გამოუყვანა: სამუშაო თითქმის აღარავის ჰქონდა; ცათამბჯენებზე საერთოდ ვინ ფიქრობდა და ცნობილი არქიტექტორებიც ზედიზედ ხურავდნენ თავიანთ სახელოსნოებს, აქა-იქ რამე თუ გამოჩნდებოდა, ლამის თავ-პირს ამტვრევდნენ ერთმანეთს კონტრაქტის მისაღებად. ისეთ ხალხსაც კი „ცოცხალ რიგში" უწევდა დგომა, როგორიც რელსტონ ჰოლქომბი იყო, და გახმაურებული სასამართლოს შემდეგ სკანდალურად სახელგანთქმულ ჰაუარდ რორკს რისი იმედი უნდა ჰქონოდა!

მკითხველთა ლიგა

მაინც ახერხებდა ცოტას ვიღაცას ავტოფარეხი გადაუკეთა. ერთხელ სადღაც წყალგაყვანილობის სისტემა შეცვალა... ოსტინ ჰელერი ბრაზობდა, "ქორდის და ენრაიტ ჰაუსის" ამშენებელს ეგ არ გეკადრებაო, მაგრამ რორკი არაფერს თაკილობდა.

სტოდარდის ვალის გასტუმრებას "ქორდის შენობაში" აღებულ ჰონორარზე მეტი დასჭირდა. მაგრამ იმდენი დანაზოგი ჯერ კიდევ რჩებოდა, ცოტა ხანს პურის ფულზე არ ედარდა. მელორის სახელოსნოს ქირას ძველებურად იხდიდა და სადილადაც ხშირად პატიჟებდა ხოლმე ძველ მეგობარს.

მელორი რამდენჯერმე აჯანყდა. "გაჩუმდი, სტივ," – უთხრა რორკმა, – "ამას შენთვის არ ვაკეთებ. ხომ ხედავ, ისედაც რა დროში ვცხოვრობთ, ცოტა ფუფუნების უფლება მინდა მივცე თავს. უბრალოდ, რაც შემიძლია, ყველაზე ძვირფასს ვყიდულობ შენს დროს. მთელ ქვეყანას ვებრძვი მეტი ფუფუნება რა გინდა?! ქვეყანას სურს, სისულელეებზე მოგაცდინოს, მე კი ამის წინააღმდეგი ვარ. ვნახოთ, ვისი აჯობებს."

– რა გინდა, რო ვაკეთო, რორკ?

– მინდა, ისე იმუშაო, არავის ჰკითხო, რა გინდათ, ვაკეთოო.

მელორიმ ამ საუბრის შესახებ ოსტინ ჰელერს უამბო. მერე ის, თავისგან, ერთი-ერთზე დაელაპარაკა რორკს.

– იმას თუ ეხმარები, მე რატომ არ მაძლევ უფლებას, შენ დაგეხმარო?

– მოგცემდი, დახმარება რომ შეგეძლოს, – უთხრა რორკმა, – მაგრამ არ შეგიძლია. იმას მარტო საკუთარი დრო სჭირდება. შემკვეთების გარეშეც შეუძლია მუშაობა. მე არა.

– გული მიჩუყდება, ჰაუარდ, ალტრუისტის როლში რომ გხედავ.

- ნუ იკბინები. ალტრუიზმი არაფერ შუაშია. ერთ რამეს გეტყვი: ადამიანთა უმეტესობა გაიძახის, მოძმის ტანჯვით ვიტანჯებითო: მე არავის ტანჯვა არ მტანჯავს. მაგრამ ისიც ვიცი, უმრავლესობა გასისხლიანებულ კაცს მშვიდად გვერდს ვერ ჩაუვლის, თუმცა სტივენ მელორის ზედაც არ შეხედავს ზედმეტად. არადა, ტანჯვის გაზომვა რომ შეიძლებოდეს, მელორი გაცილებით უფრო მეტად იტანჯება, როცა თავისი საქმის კეთება არ შეუძლია, ვიდრე ტანკებგადავლილი მთელი ჯარი· და თუ ვინმეს სურს, ამქვეყნიური ტანჯვის შემსუბუქება სცადოს, ვითომ მელორიდან რომ დაიწყოს, რა, ცუდი იქნება? თუმცა გამოგიტყდები, მთლად მარტო მაგიტომაც არ ვიქცევი ასე...

• • •

რორკს არასოდეს უნახავს გადაკეთებული "სტოდარდის ტაძარი". ნოემბრის ერთ საღამოს კი საგანგებოდ გაემართა მის სანახავად. თვითონაც ვერ იტყოდა, უფრო ტკივილს დანებდა, თუ შიში დაამარცხა.

გვიანი იყო, გაუკაცრიელებულ ეზოში არავინ ჩანდა. შენობა ბნელში ჩანთქმულიყო, მხოლოდ ერთ ფანჯარაში მოჩანდა შუქი, ზედა სართულზე. დიდხანს იდგა და სახლს თვალს არ აშორებდა.

ბერძნული გალერეის ქვეშ კარი გაიღო და მამაკაცის ფიგურა გამოჩნდა. სწრაფად ჩაირბინა კიბე, გაჩერდა.

– საღამო მშვიდობისა, მისტერ რორკ, – წყნარად წარმოთქვა ელზუერთ თუიმ.

რორკმა გულგრილად შეათვალიერა. "საღამო მშვიდობისა," – მიესალმა პასუხად.

– გთხოვთ, ნუ გაიქცევით, – თუის ხმაში არანაირი ირონია არ იგრძნობოდა.

მკითხველთა ლიგა

– არც მიფიქრია.
– ვიცოდი, ერთ დღეს აუცილებლად მოხვიდოდით და მინდოდა, მეც აქ დაგხვედროდით.
– რატომ?
– წესით, ჩემთან საუბარს არ უნდა გაურბოდეთ. მე, ალბათ, ყველაზე კარგად მესმის თქვენი შემოქმედების ფასი! რას ვწერ და ვამბობ სხვა ამბავია.
– ვერაფერს დაგიშლით.
– მე და, ცხადია, დომინიკ ფრენკონს. მე მასზე ცოტა უკეთ. ესეც რაღაცას ნიშნავს, არა, მისტერ რორკ? მსგავსი ხალხი ბევრი არ გახვევიათ ირგვლივ, ჩემნაირი დამფასებელი სჯობს თავგადაკლულ, ბრმა თაყვანისმცემლებს.
_ თქვენს გემოვნებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია.
_ ესეიგი, ვისაუბროთ?
– რაზე?
თუიმ ამოიოხრასავით. მერე შენობისკენ ხელი გაიშვირა და იკითხა:
_ ამის გესმით რამე?
რორკს პასუხი არ გაუცია:
– რას ხედავთ? ქვის უაზრო მასას? ალალბედზე მოქუჩებულ ცემენტს და აგურს? უგუნურ ქაოსს? ასეა, მისტერ რორკ? ვერანაირ მეთოდს ვერ ამჩნევთ? თქვენ, ვინც ნაგებობის ენაც იცით და ფორმის მნიშვნელობასაც ტანით გრძნობთ? ვერავითარ აზრს ვერ ხედავთ?
– ამაზე საუბრის მიზეზს ვერ ვხედავ.
– მისტერ რორკ, აქ, ჩვენ ორს გარდა, არავინაა. რატომ არ მეტყვით, რას ფიქრობთ ჩემზე? ღიად და დაუფარავად. სხვა ვერავინ გაიგონებს,
– თქვენზე საერთოდ არ ვფიქრობ.
თუი დაძაბული მიაჩერდა, ყურადღებად ქცეული, თითქოს მისთვის რაღაც უმნიშვნელოვანესის გაგების მომლოდინე. ცოტა ხნით სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. მერე უკვე რორკმა ჰკითხა:
– რისი თქმა გინდოდათ ჩემთვის?
თუიმ ჯერ სახეში შეხედა, მერე მზერა შიშველ ხეებს მოატარა და ბოლოს შორს, ქვევით გაწოლილი მდინარისკენ გაექცა თვალი.
– არც არაფრის, – თქვა მშრალად.
მერე შეტრიალდა და მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა დინჯი, გამოზომილი ნაბიჯებით.
რორკი ისევ მარტო დარჩა, შენობას მიჩერებული.

წიგნი მესამე

გეილ უაინენდი

გეილ უაინენდს თოფის ლულა საფეთქელზე მიებჯინა. ლითონის სიცივის გარდა, ვერაფერს გრძნობდა თითქოს რკინის მილის გადანაჭერი ან

მკითხველთა ლიგა

სხვა რამ ნივთი სჭეროდა ხელში. “მაინც მალე მოვკვდები”, – თქვა ხმამაღლა და დაამთქნარა.

არც შვების, არც შიშის გრძნობა არ დაუფლებია; რაღაცნაირად, სერიოზულად ვერც კი აღიქვამდა სიცოცხლის დასასრულს: ცოტა ხნის წინ კბილის ჯაგრისი ეჭირა ხელში, ახლა სანადირო თოფი... და რა მერე?

არა, ეს ნორმალური არაა, – გაიფიქრა, – კაცმა ან უნდა გაიხარო, ან დაიზაფრო... ბოლოს და ბოლოს, რაღაცა მაინც ხომ უნდა იგრძნო! თუ რამეს ვიგრძნობ, წამსვე გამოვკრავ სასხლეტს თითს!

არა, ვერაფერსაც ვერ გრძნობდა.

მხრები აიჩეჩა და თოფი დაუშვა. მერე კარგა ხანს იდგა ასე, გაშტერებული ხალხი მუდამ "შავ სიკვდილს" ახსენებდა, ან ”წითელ სიკვდილს”... ღმერთმანი, არ მახსოვს, ვინმეს "ნაცრისფერ სიკვდილზე” ეთქვას რამე! არადა, ამაზე დამზაფრავი რა უნდა იყოს უემოციო, უგრძნობი სიკვდილი... არა, ეს უკვე უგემოვნებაა და მდარე ტონი. – გატრიალდა და საძინებელი ოთახისკენ ამავალ კიბეს აუყვა, გულდინჯად.

უაინენდს ბინა ზედ მანჰეტენზე ჰქონდა, საკუთარი სასტუმროს ორმოცდამეჩვიდმეტე სართულსა და პენტჰაუზში. საწოლი ოთახის სახურავი და კედლებიც კი სქელი მინისა იყო, და ფარდებს თუ გადასწევდით, მთელ ნიუ-იორკს მოავლებდით თვალს. ჭერს კი საერთოდ არაფერი ეფარებოდა და ლოგინში მწოლს შეეძლო, გაუთავებლად ეცქირა ვარსკვლავებისთვის, ანდა წვიმიან ამინდში როგორ ეშვებოდა წყლის ნაკადი და წვეთები როგორ ეხეთქებოდა უხილავ ბარიერს. განსაკუთრებით, თუკი ქალთან იწვა, მაშინ უყვარდა ხოლმე ფარდების გადაწევა და აცხადებდა_ ახლა ჩვენ ექვსი მილიონი წყვილი თვალის წინაშე ვინეტარებთო...

ოღონდ ამ ჯერად სულ მარტო იყო გეილ უაინენდი. იდგა და ქალაქის დასალიერს გასცქეროდა. ერთი პირობა, უცნაურმა აზრმაც კი გაუელვა თავში შემიძლია, ასე დაუსრულებლად ვუყურო ამ ქალაქს და არც ის გამიჭირდება, საერთოდ თუ აღარ შევავლებ თვალსო.

მერე შუშის კედელს მიეყრდნო და იგრძნო, აბრეშუმის ხალათშიც კი ატანდა მისი სიგრილე; უნებურად მკერდზე დაიხედა: ღვინისფერ ფონზე თეთრად ედო მონოგრამა GW, ზუსტად ისე, როგორც თავად აწერდა ხოლმე ხელს ასომთავრულის ბატონკაცური მონახაზი.

ხალხში ხმა დადიოდა, გეილ უაინენდის ერთი მთავარი ღირსება გარეგნობააო: დეკადენტური, საუკუნეებით დახვეწილი შთამომავლობითი ნაკვთები თუ მიხვრა-მოხვრა; არადა, ყველას კარგად მოეხსენებოდა მისი მდაბიო წარმომავლობა. უაინენდი მაღალი იყო, გამხდარი, წელგამართული სიარულიც კი არ სჭირდებოდა მხრებში მოხრილიც ახერხებდა, თითქოსდა ზემოდან ეცქირა მოსაუბრისთვის... ერთი ისიც უნდა ითქვას, ნებისმიერ ტანსაცმელში ხანმოთეული უფლისწულივით გამოიყურებოდა.

სახის ნაკვთებიც შესაბამისი ჰქონდა უაინენდს: რომაულ მონეტაზე გამოკვეთილსა ჰგავდა. ერთმა მხატვარმა მეფისტოფელის განსასახიერებლად მოინდომა მისი ტილოზე გადატანა; უაინენდს სიცილი წასკდა მხოლოდ და იმედგაცრუებული ხელოვანი სევდანარევი ღიმილითღა გასცქეროდა მის შექცეულ ზურგს: ეს სიცილი თითქოს ჯინაზეო ზუსტად ის შტრიხი იყო, რომლის ჩავლებასაც ამაოდ ცდილობდა სხვა მოდელებთან.

უაზროდ მიდი-მოდიოდა ოთახში და იმის გახსენებას ცდილობდა, რა დღე იდგა კალენდრის მიხედვით: იქნებ, რაღაც ისეთი ამოტივტივებოდა გონებაში, რიცხვს ან კვირის დღის სახელწოდებას მაინც მიენიშნებინა

მკითხველთა ლიგა

რაიმე აზრიანი? არაფერი. სრულიად არაფერი. 1932 წლის ოქტომბრის ჩვეულებრივი დღე იყო ერთი მრავალთაგანი ორმოცდაათს გადაცდენილი კაცისთვის.

როგორც სჩვეოდა, იმ დღესაც დილაუთენია ადგა თავისი ზრდასრული ცხოვრების ერთი ღამეც არ სძინებია ოთხ საათზე მეტი; ხალათი მოისხა და ახლა ქვედა სართულზე ჩავიდა სასაუზმოდ: თავად პენტჰაუზს მცირე ფართი ეჭირა და სახურავის დიდ ნაწილზე ბაღი იყო გაშენებული. საერთოდ, მთელი ბინა ისე გაეწყოთ და დაეგეგმარებინათ, კაცი აზრზე ვერ მოვიდოდა, მისი პატრონი ქვეყნის ერთ-ერთ "უყვითლესი"_ გნებავთ, "უბულვარულესი" – "ბანერის" გამომცემელი რომ იყო.

მერე კაბინეტს მიაშურა იქ მაგიდაზე უკვე დასტა-დასტად ეწყო ყველა მნიშვნელოვანი გაზეთი, ჟურნალი თუ სხვა რამ ბეჭდური გამოცემა, რაც კი წინადღით ქვეყნის მასშტაბით დაესტამბათ. სამი საათი იმუშავა გაუჩერებლად, შენიშვნებსა და მინაწერებს აკეთებდა და შიგადაშიგ, ამონარიდებსაც მონიშნავდა ხოლმე. არავის შეეძლო მისი ხელნაწერის ამოკითხვა ერთი ხმელ-ხმელი, ასაკს მიტანებული ქალბატონის გარდა, უკვე ათ წელზე მეტი რომ იყო, რაც მასთან მდივნად მუშაობდა და ზედ მისი კაბინეტში შემოსვლის წინ რომ გავიდა იქიდან... ათი წელი იქნებოდა, მისი ხმა არ გაეგო და არც იყო საჭირო: საღამოს, კვლავ რომ მიბრუნდა სამუშაო ოთახში, იქ არც მდივანი დახვედრია და აღარც რაიმე ქაღალდი მხოლოდ ის ამონარიდები, რისი ამობეჭდვაც დილით ესურვა მისტერ უაინენდს.

ათზე უკვე ოფისში იყო და "ბანერის" საკვირაო გამოშვების მასალებს ითხოვდა. ჩვეული, ფართო ლურჯი ხაზებით ააჭრელა მეწინავე სტატიის უკლებლივ ყველა გვერდი და ხელიც არ მოუწერია მის ნასწორებს ყველა რედაქტორი შორიდანვე ცნობდა... ამ საქმეს რომ მორჩა, ახლა "კანზას-სიტის მაცნეს" რედაქტორ-გამომცემელთან მოინდომა დაკავშირება და ისე დაიწყო ყურმილში ლაპარაკი, საკუთარი სახელი არც უხსენებია დარწმუნებული იყო, ათას სხვაში გამოარჩევდა ნებისმიერი მისი კუთვნილი ფილიალის თავკაცი.

– გამარჯობა, კამინგს!

– ღმერთო მაღალო! – სიგარეტის ბოლი გადასცდა რედაქტორს, – ახლა არ მითხრათ...

– გეტყვი, როგორ არ გეტყვი, კამინგს! ერთხელაც დააყრანტალებ რამე ისეთს იმ დადგმაზე და შეგიძლია, შენს სტუდენტურ გაზეთს დაუბრუნდე!

– გასაგებია, მისტერ უაინენდ... ზედმეტი მომივიდა ვერ მოვზომეთ...

მაგრამ უაინენდს მისი ახსნა-განმარტებებისთვის არ ეცალა ყურმილი დაკიდა და ახლა ერთ ვაშინგტონელ სენატორთან მოითხოვა პირდაპირი კავშირი.

– დილა მშვიდობისა, სენატორო! – მიესალმა წუთში ტელეფონთან მისულ სენატორს, – მეამა, ასე სწრაფად რომ გამოეხმაურეთ ჩემს ზარს... ძვირფას დროს არ წაგართმევთ, უბრალოდ ჰეიეს-ლენგსტონის კანონპროექტის მხარდაჭერისთვის მინდოდა, მადლობა მეთქვა... ყველა კი ვერ გაბედავდა ასე ჯიქურ...

– დაიცათ... მისტერ უაინენდ! – სენატორს ეჭვი შეეპარა ხმაში, _ ეგ კანონპროექტი ჯერ ხომ არც გამოუტანიათ!

– ა-ა, შემეშალა, შემეშალა! არა უშავს, იმ კვირაში ხომ გამოიტანენ! ჩემთვის კი ეს ბევრს ნიშნავს, ძალზე ბევრს! ამას არ დაგივიწყებთ, სენატორო. აბა, კარგად მეყოლეთ.

თერთმეტზე "უაინენდ ენთერპრაიზის დირექტორთა საბჭოს სხდომაზეც შეიარა, ზუსტად 15 წუთი უსმინა ჭაღარა, ლოყებღაჟღა მომხსენებელს,

მკითხველთა ლიგა

მერე თავმჯდომარეს ანიშნა ასე გააგრძელეთო და დარბაზი დატოვა. შემდეგ საკუთარ კაბინეტში სთოუნრიჯის რუკა გაშალა. ეს მისი ახალი პროექტი იყო ლონგ აილენდზე, მიწის დიდ ნაკვეთზე გასაშენებელი დასახლება, სადაც ყოველი სახლი, ქუჩა თუ ბორდიური თავად გეილ უაინენდის საკუთრებაში რჩებოდა. ამის თაობაზე ზოგ-ზოგმა ისიც კი აკადრა ხომ არ შეიშალე, ახლა მშენებლობაში ვინ დებს ფულსო, მაგრამ გეილ უაინენდი სწორედ იქ ნახულობდა ხოლმე სარგებელს, სადაც სხვები მხოლოდ ხელს თუ ჩაიქნევდნენ.

არქიტექტორი ჯერ არჩეული არ ჰყავდა. კვირების განმავლობაში უაინენდი ყველა იმ ხელოვანისა თუ მათი პროტექტორების სატელეფონო ზარებზე პასუხსა და სარეკომენდაციო ბარათების კითხვას არიდებდა თავს, თაფლზე მოსული ბუზებივით რომ დაეხვივნენ: თვით რელსტონ ჰოლქომბის უმდაბლეს თხოვნასაც კი არ გამოეხმაურა თქვენი ძვირფასი დროის სულ ორი წუთი დამითმეთო ...

სამაგიეროდ, დღეს ალვა სკარეტი გამოიძახა და ჯიქურ აჯახა:

– თუ იცი, ეს "თავკერძა კენჭი" რაღა უბედურებაა?

– სათაურია, სერ. ვინმე ლოის კუკის რომანის სათაური.

– ვარგა რამედ?

– აბა, რა გითხრათ, სერ... ასე ვთქვათ, პოსტმოდერნისტული რომანია ლექსად ნაღვლის ბუშტში გაჭედილ კენჭს თავი პიროვნება ჰგონია და ექიმის დანიშნულებით მისი პატრონი რომ სასაქმებელ ზეთს მიიღებს დიდი რაოდენობით ოღონდ არ ვიცი, რამდენად ადეკვატური ქმედებაა ეს სამედიცინო თვალსაზრისით მის არსებობასაც ბოლო ეღება... მოკლედ, ავტორი ალეგორიული ხერხებით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ თავისუფალი ნება არ არსებობს...

_ ტირაჟი რამდენია?

_ აბა, რა გითხრათ, სერ... სავარაუდოდ, არცთუ დიდი. ოღონდ მითქმა-მოთქმა კი გამოიწვია და...

_ მეც მანდა ვარ. რა ხდება, ვერ მეტყვი?

– რას გულისხმობთ, სერ?

– რასა და ეს იდიოტობა ჩემს გამოცემებში რატომ იხსენიება ყველგან და ყველაზე უფრო შეუფერებელ კონტექსტში?! ჯერ იყო და, ქუჩური გარჩევის მსხვერპლს შეარქვეს "თავკერძა კენჭი", მერე არც მეტი, არც ნაკლები სენატორი ჰეზელთონი დაახასიათეს, როგორც "პიროვნება, რომელიც სინამდვილეში ერთი თავკერძა კენჭია და მეტი არაფერი...", ბოლოს სამგლოვიარო განცხადებებში და ქალების გვერდზეც კი გამოჩნდა, ახლა კომიქსებშიც... რა სიგიჟეა-მეთქი, შენ გეკითხები!

– უბრალოდ, ხალხში ეგ უკვე რაღაც ფრთიან გამოთქმასავით იქცა, სერ! მოგეხსენებათ...

– ნურას უკაცრავად! ვერავინ დამაჯერებს, რომ უბადრუკი მცირეტირაჟიანი ლაზღანდარობის სათაური ყველა გამვლელ-გამომვლელს აკერია პირზე! არა, ჩემო კარგო, ასე არ ხდება! ნაღდად ვიღაცის ხელი ურევია ამაში... და ვის რა ხეირი უნდა ჰქონდეს აქედან?!

– არ ვიცი, სერ... ასეთი რამ ფიქრადაც არ...

- მეც ამას ვამბობ ფიქრი გეზარებათ ყველას! შენ ის მითხარი, პირველად ვისგან გაიგე ეგ გამოთქმა?

_ ე-ე.. თუ არ ვცდები, ელზუერთ თუისგან, სერ. სასაცილოდ კი გამოუვიდა...

– მერე, გითხრა ვინმემ, ჩემი გამოცემები მისტერ თუის სალაზღანდაროდ აქციეო?!

_ გასაგებია, სერ. მაგას მივხედავ, სერ.

_ მაგის იმედი მაინც მაქვს.

მკითხველთა ლიგა

ორ საათზე საპატიო სტუმრად ბრძანდებოდა "ქალთა კლუბების ეროვნულ ფორუმზე", დამსწრეთ პატივი დასდო და სიტყვაც წარმოთქვა. ფორუმი გათხოვილ ქალთა დასაქმების პრობლემებს ეძღვნებოდა, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც, წლების განმავლობაში, თავად მისტერ უაინენდი იყო; ოღონდ ახლა მთელი ოცი წუთი ილაპარაკა, და თან ისე, ეჭვიც არავის გასჩენია, უპირობოდ გვიჭერს მხარსო.“

ოფისში დაბრუნებულმა, უპირველესად, ერთი დიდი მეწინავე გააშანშალა "ბანერის" მეორე დღის ნომრისთვის, სადაც ქვა-ქვაზე არ დატოვა „ ორსულ ქალთა სამუშაოზე გაგდების მსურველთა” არგუმენტებისგან _ ბოლოში დიდი ლურჯი ასომთავრულით გამოყვანილ მის ინიციალებსაც კი ცივი ალი ეკიდათ თითქოს... წერილი არც გადაუკითხავს ან რა საჭიროება იყო და იქვე დატოვა, მაგიდაზე. მდივანი მიხედავდა.

საღამოსკენ სწორედ მდივანმა ამცნო, მისტერ ელზუერთ თუი უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთო. ”შემოვიდეს." – როგორც სჩვეოდა, მოკლედ მოჭრა უაინენდმა.

სახეზე ღიმილგადაკრულმა თუიმ ისე შემოაბიჯა ოთახში, თითქოს საკუთარ თავსაც და ბოსსაც ერთგვარი რბილი იუმორით ეკიდებაო ოღონდ აქედან 70% საკუთარ თავზე მოდიოდა და მხოლოდ დარჩენილი 30% იყო უაინენდისკენ მიმართული.

თუმცა, გეილ უაინენდი აშკარად არ იყო თამაშის ამ წესების მომხრე: "დაბრძანდით, მისტერ თუი... რით გემსახუროთ?"

– ო-ო.. არც მაგდენად თავხედი გახლავართ, მისტერ უაინენდ. პირიქით, მინდა, მცირედი სამსახური გაგიწიოთ.

– მაინც, მაინც?

– სთოუნრიჯს ვგულისხმობ.

უაინენდს შუბლზე ორი ნაოჭი დააჩნდა.

– და ნება მიბოძეთ, ვიკითხო: რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ჩემს პროექტთან ჩემივე გაზეთის მიმომხილველს?

- გაზეთის მიმომხილველს არავითარი, მისტერ უაინენდ, არავითარი... აი, არქიტექტურის ექსპერტს კი... – და მისტერ თუიმ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა.

სწორედ ამ ღიმილმა თუ გადაარჩინა, რომ წამსვე არ მიუთითეს კარზე. შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა, რამდენად მობეზრებული ჰქონდა გეილ უაინენდს ათას მთხოვნელ-მრჩეველთა შემოსევა და ისიც აშკარა იყო, რაკი ასე უცერემონიოდ მიადგა, მისტერ თუის მართლაც რაღაც ჰქონდა სათქმელი.

– კეთილი, მისტერ თუი. ვის მთავაზობთ?

_ პიტერ კიტნგს.

– და რატომ მერე?

_ მაპატიეთ ?

_ თქვენი მოსაზრებანიც გვიბოძეთ, თუ არ დამზარდებით.

მისტერ თუი ცოტათი კი შეაკრთო საუბრის ამგვარმა შემოტრიალებამ, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ლექტორის კარგად დაყენებული ხმით განაგრძო:

– საქმეც ისაა, მისტერ უაინენდ, რომ პირადად მე კიტინგთან არაფერი მაკავშირებს... მეგობრობის გარდა. მაგრამ ასევე თქვენს მეგობრადაც ვთვლი თავს და სხვა აბა, რა დამრჩენია? ასე ვთქვათ, ჩემს მოვალეობადაც კი მიმაჩნია, ამ არჩევანისაკენ გიბიძგოთ სულ ცოტათი მაინც... თუნდაც ჩემი ესთეტიკური მრწამსის დასაცავად! არადა, საკუთარი წამოწყებებისათვის მუდამ საუკეთესოს ეძებთ საუკეთესოთა შორის -

მკითხველთა ლიგა

დღესდღეობით კი პიტერ კიტინგი სწორედაც საუკეთესოა და ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ!
– თქვენი მჯერა, ელზუერთ.
– მართლა?
– ნამდვილად. მაგრამ საქმეც ისაა, თქვენ რატომ უნდა აგკიდოთ რაიმე პასუხისმგებლობა?
– ეგ რა სალაპარაკოა, მისტერ უაინენდ! როგორც "ბანერის" მთავარი კონსულტანტი ამ დარგში...
– მისტერ თუი, თქვენ მე ჩემი გაზეთის მკითხველებში ხომ არ გეშლებით?
_ არა, მისტერ უაინენდ! მკითხველებს მეც ვეყოფი, თქვენ კი მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვოთ მისის პიტერ კიტინგს შეხვდეთ, ეგ არის და ეგ.
გეილ უაინენდს კარგა ხანია, ასე გულიანად არ გასცინებია. სული რომ მოითქვა, დანანებით გადააქნია თავი და ესღა უთხრა:
_ ელზუერთ, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, მაჭანკლობასაც თუ არ თაკილობდით, ეგ კი ნამდვილად აღარ მეგონა!
ელზუერთ თუის წარბიც არ შეხრია, წამოდგა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ჯიქურ მიაშტერდა მაგნატს.
_ არა, მისტერ უაინენდ ისევ ვერ გამიგეთ... არა უშავს, შინ რომ მიბრუნდებით, იქ მცირედი რამ საბოძვარი დაგხვდებათ ჩემგან... აი, მერე გადაწყვიტეთ, გსურთ თუ არა ჩემთან საუბრის გაგრძელება. თუ გადაწყვეტთ, დამირეკეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდები. საუბარიც მერე გავაგრძელოთ.
– დაიცათ, ელზუერთ არ მითხრათ ახლა, ქრთამს გთავაზობო!
– ასეა.
– სწორედ ამაზე იტყვიან, წყენას შეურაცხყოფაც ზედ დაამატაო!
– თქვენს ზარს დაველოდები, მისტერ უაინენდ. წყენაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ.
– ელზუერთ, ერთხელაც მოთმინებიდან გამომიყვანთ!
– შევეცდები, ეს მხოლოდ ჩემთვის ხელსაყრელ დროს მოხდეს, მისტერ უაინენდ... – თქვა და კაბინეტიდან გავიდა.
გეილ უაინენდს ტვინი აღარ უმტვრევია ამ უცნაურ ვიზიტზე ფიქრით - საღამოს ბევრად უფრო ამაღელვებელი შეხვედრა ელოდა; ოღონდ ყველაფერი რაღაც ძალიან უცნაურად შეტრიალდა...

• • •

თორმეტი წლის იყო, ქუჩის ბიჭების საძმოს რომ ჩაუდგა სათავეში: ჯერ რიგით წევრად შეიკედლეს, მერე კი მეთაურთან მოუვიდა შეხლა უმტკიცებდა, მდინარეზე ბარჟის გაქურდვის შენეული გეგმა არაფრად ვარგა, სწორედ ღამით ელიან თავდასხმას და დაცვაც ფხიზლობს აკი წინა კვირას სცადეს სხვა უბნის ბიჭებმა და შავი დღეც დაადგათ, ოთხი პოლიციამ აიყვანა და ორიც ადგილზევე მიასიკვდილესო... გარიჟრაჟზე უნდა დავეცეთ ამ დროს ყველას თვალები ეხუჭება უკვე და ყურადღებაც უდუნდებათო. იმან კი ნათქვამი პირად შეურაცხყოფად მიიღო და გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ ეჩვენებინა ყველასთვის, მისთვის ენის შებრუნებას რაც მოსდევდა ხოლმე... ორი თავისიანიც გაიყოლა და სახლისკენ მიმავალ გეილ უაინენდს მდინარის ციცაბო ნაპირას ჩაუსაფრდა. ამ სამიდან ყველა გეილზე უფროსი იყო, ერთს დანაც ედო ჯიბეში და როგორც ამბობდნენ, მაგ დანით კაციც დაეჭრა თურმე. მაგრამ გეილ უაინენდს იმგვარი ზნე სჭირდა, რაც მერე მთელი ცხოვრება მის

მახასიათებლად ქცეულიყო: მუდამ მეტოქეზე ერთი სვლით წინ იხედებოდა და თავის შანსს არასოდეს უშვებდა ხელიდან. ამჯერადაც ასე მოხდა_ კარგად გათვალა, სადაც დახვდებოდნენ, მერე ზურგიდან, მოულოდნელად დააცხრა თავს ჩასაფრებულებს და ერთს რომ სწორედ იმ დანიანს პირდაპირ მდინარეში უკრა თავი, დანარჩენებს ძვალ-რბილი გაუერთიანა წინასწარ ხელზე მორგებული არმატურის რკინით. მერე როგორც ვთქვი, დილაუთენია გავდივართო სიტყვა დაუგდო და მშვიდად წავიდა სახლში. “საქმეზე” ორი დღის მერე გავიდნენ, უკვე უაინენდის წინამძღოლობით და ყოველივემ დანაკარგის გარეშე, სუფთად და უნაკლოდ ჩაიარა.

• • •

უაინენდები ძველი სახლის ქვედა სართულზე ცხოვრობდნენ "ეშმას სამზარეულოს” კვარტალში. მამამისი მტვირთავად მუშაობდა პორტში ისევე როგორც ბაბუა თუ პაპის პაპა. უწიგნურობა და სიღარიბე მათი ცხოვრების განუყრელი თანამდევი იყო და მაინც, არსებობდა რაღაც ისეთი, ოჯახის ფესვებში ჩარჩენილი, მივიწყებული, რაც მთელ მათ ჯილაგს ასვამდა დაღს: უბანში იქნებოდა ეს, ღამის ბარში თუ ციხის საკანში უაინენდები ყველგან უცხო სხეულად გამოიყურებოდნენ; გეილის მამას კი სულაც დუკად” იხსენიებდნენ ხოლმე დოკებში...
დედამისიც უცნაური ვინმე იყო და არავის ჰგავდა სამეზობლოში, თუმცა კი სულ ჩვეულებრივად იცვამდა და ლაპარაკითაც ორ სიტყვას ძუნწად თუ გადააბამდა ერთმანეთს; ჭლექით გარდაიცვალა, როცა გეილი ჯერ შვიდისაც არ იყო და ამან მთლად გამოაცალა ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა მამამისს მას მერე ფხიზელი აღარავის უნახავს, ისე, არც თავად გეილი წააგავდა მშობლებს მაღალი, გაჩხინკული, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, ოღონდ კუნთებიც რომ ჰქონდა, ამას მხოლოდ მასთან ჩხუბის მერე თუ მიხვდებოდა ვინმე,თავისდა სავალალოდ.
ბავშვობიდანვე ხან სად მუშაობდა და ხან სად, მაგრამ დიდხანს ვერსად ჩერდებოდა; უფრო სწორად არ აჩერებდნენ: ხან მერძევეს დაუწყებდა ახსნას ათჯერ მეტს მოიგებ, რძეს თუ ბოთლებში ჩამოასხამო, ხან გაზეთებით მოვაჭრეს აბეზრებდა თავს ქუჩა-ქუჩა დატარების ნაცვლად, სახლებში რომ დავურიგოთ გაზეთები ხელმომწერებს, ეგ ბევრად უკეთესი იქნებაო... ყველგან კი ერთი რამ ესმოდა პასუხად: საქმეს მიხედე, ბოსი აქ მე ვარ და შენ ვინ რას გეკითხებაო!
ღამღამობით, მანჰეტენის ცადაზიდულ, ერთად მოქუჩებულ, გაჩახჩახებულ შენობებს რომ მიაშტერდებოდა, იმ უცნაურ შინაგან ლტოლვას გრძნობდა, რომელიც კაცს მბრძანებლობისკენ, გადაწყვეტილებათა მიღებისკენ, ხელისუფლებისკენ უბიძგებს მუდამ.
იქნებადა, საუკუნეების წინ დაკარგულ თავის ღერბად ახლა კითხვის ნიშანი დაისახა და არც ერთ პასუხზე მეორედ აღარ სჭირდებოდა მიბრუნება ერთი თქმით იგებდა და იმახსოვრებდა ყველაფერს. ხუთი წლისას წერა-კითხვა უკვე ათვისებული ჰქონდა და კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა: ძველ ჟურნალებს, დაფლეთილ წიგნებს, სანაგვეში გადასაყრელად მოგროვილ სარეკლამო პროსპექტებს... მათემატიკის ანაბანა მშენებლობაზე მომუშავე ინჟინრებისგან
გაიგო, გეოგრაფიის გაკვეთილებს შეზარხოშებული, ლაპარაკის საღერღელაშლილი მეზღვაურებისგან იღებდა, სამოქალაქო

მკითხველთა ლიგა

პრობლემებზე საუბარს ენააქაფებულ წვრილ-წვრილ პოლიტიკოსთაგან ისმენდა იქაურ ბარში, სადაც იატაკის მრეცხავად და წვრილმანების მიმტან-მომტანად ედგა მის მფლობელს ადგილობრივი მნიშვნელობის ყოფილ განგსტერს... ეკლესიაში ფეხი მას მერე აღარ შეუდგამს, რაც ერთხელ საკვირაო წირვას დაესწრო და ქადაგება მოისმინა ამქვეყნიური მოთმენისა
და მორჩილების თაობაზე; სკოლაში სულ ორი თვე იარა მუდამ პირველი იყო კლასში, მაგრამ ერთხელაც, როცა მასწავლებლის შეკითხვაზე „აბა, ბავშვებო, იმთავითვე რამდენი შტატი გაერთიანდა „ შეერთებული შტატების" სახელით?" – პასუხი ვერავინ გასცა, ადგა, ქუდს დაავლო ხელი და ხმამაღლა განუცხადა პირდაღებულ დამრიგებელს: "რამდენი შეიძლება, ერთი და იგივე ღეჭოს კაცმა? ძროხები ხო არა ვართ?" მერე გარეთ გავიდა და კარიც გაიხურა, თუმცა მანამდე მაინც დაუგდო სიტყვა: „ ცამეტი შტატი იყო, ცამეტი!"

„ ეშმას სამზარეულოში" ისეთ ხალხსაც ნახავდით, უბნიდან ფეხი რომ არასოდეს გაედგა, გეილ უაინენდი კი ისე გაისეირნებდა ხოლმე მეხუთე ავენიუზე, ვითომც მთლად იქაური ყოფილიყო. არა, მოტყუებით ვერავის მოატყუებდა თავისი დაკემსილ-გადაკერებული პალტოთი და ძველისძველი ფეხსაცმელებით უბრალოდ, აინტერესებდა იქაურობა, ჯერჯერობით მხოლოდ შეფარვით, მუშტრის თვალითა და ცივი გონებით ზომავდა ყველაფერს.

მთავარი კიდევ ის უნდა გაეგო, რითი განსხვავდებოდა ეს ხალხი მისი უბნელებისგან: ხვდებოდა, რომ ჩაცმულობა, მანქანები თუ ბანკში სიარული მეორეხარისხოვანი ამბავი იყო სამოსი მისნაირებსაც ეცვათ, ძველ მანქანებსაც დაახრიგინებდნენ და ზოგს არც ფული აკლდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი... უფრო სწორად, განმსაზღვრელი: თვალში საცემი განსხვავება ის იყო, რომ მის უბანში წიგნს არავინ კითხულობდა. ამიტომაც გადაწყვიტა, გაეგო, მაინც რა საკითხავს ეტანებოდნენ მეხუთე ავენიუს მკვიდრნი.

ერთხელაც თვალი მოჰკრა, იღლიაში წიგნამოჩრილი ვიღაც ქალბატონი ეტლში აპირებდა ჩაჯდომას; მივარდა, ვითომ ხელის წასაშველებლად და წიგნმაც წამში მის ჯიბეში გადაინაცვლა.

მართალია, ჰერბერტ სპენსერი მთლად იოლი წასაკითხი არ აღმოჩნდა, მაგრამ გეილ უაინენდი ამას არ დაუბრკოლებია და წიგნი ისე დაამთავრა, სადღაც 1/4 მაინც ჩარჩა თავში... აქედან მოყოლებული, ყველაფერს კითხულობდა სპეციალური სახელმძღვანელოებიდან მოყოლებული, სასკოლო კლასგარეშე საკითხავის ჩათვლით; თუ ერთგან ვერ გაიგებდა რამეს, იმავე თემაზე სხვას მოიძიებდა საკითხში გასარკვევად; უწესრიგოდ კი კითხულობდა, მაგრამ რასაც მეხსიერებაში ჩაიდებდა, აღარასოდეს ავიწყდებოდა.

მერე საჯარო ბიბლიოთეკა აღმოაჩინა და ერთი პერიოდი იქ დადიოდა _ ვითარებაში რომ გარკვეულიყო; ერთ მშვენიერ დღეს კი, საჯაროში საეჭვოდ თმაგადაგლესილ, ახლად პირდაბანილ, გამხდარ ყმაწვილთა მთელმა ჯგრომ იწყო სიარული, რომლებიც გამოსვლისას, რატომღაც, ყველანი ერთობ მოსუქებულად გამოიყურებოდნენ... მოკლედ, საძმომ მეთაურის მოთხოვნა პირნათლად შეასრულა და უაინენდმაც მთელი ბიბლიოთეკა მოიწყო სარდაფში. თავმოსაჭრელი ამბავი იყო:
აქამდე არც ერთ ბანდას ასეთი უსარგებლო ქურდობა წიგნების დათრევა არ ჩაუდენია, მაგრამ გეილ „ჩხინკა" უაინენდის ბრძანებას ვინ გადავიდოდა!

თხუთმეტის იყო, ვიღაცეებმა რომ მოიხელთეს ბნელ მოსახვევში და

ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. კაცმა არ იცის, ხელმოტეხილმა,ფეხებდამტვრეულმა როგორ მოახერხა რომელიღაც ღამის ბარის უკანა კართან მიხოხება და მეპატრონისთვის დახმარების თხოვნა, მაგრამ ბარის პატრონს არავითარი სურვილი არ გასჩენია, ქუჩის გარჩევებში ჩარეულიყო და ქვაფენილზე გართხმულს ისე მოუხურა კარი, მომხდარის თაობაზე სიტყვაც არავისთან დაუძრავს.

წლების მერე, როცა გეილ უაინენდი უკვე გავლენიანი „ნიუ-იორკ ბანერის“ არანაკლებ გავლენიანი მფლობელი გახდა, გაზეთის დახმარებით იქამდე მიიყვანა იმ ღამის ბარის საქმეები, რომ მეპატრონე ჯერ სრულიად გააკოტრა, მერე კი საკუთარი ხელით მოაკვლევინა თავი.

უაინენდი თექვსმეტის იყო, მამაც რომ დაეღუპა. მემკვიდრეობად სამოცდახუთი ცენტი, ბინის გადაუხდელი ქირა და უთავბოლო განათლება დარჩა. დასაფლავების მეორე დღესვე ადგილობრივი მეოთხეხარისხოვანი გაზეთის ოფისს მიადგა ერთ უბადრუკ შენობაში და სამუშაოზე აყვანა ითხოვა. რედაქტორმა ერთი კი აათვალიერ-ჩაათვალიერა და პირდაპირ ჰკითხა: "ბავშვი" როგორ იწერება, თუ იციო...

შენ თუ მეტყვი, „ანთროპომორფოლოგია“ რას ნიშნავსო? – არ დაუთმო გეილმა. მერე კიბეებზე ჩამოჯდა და თავისას დაელოდა. მთელი კვირა იჯდა ასე, ხმის ამოუღებლად და კაცი ყურადღებას არ აქცევდა. საჭმელს ხან მეწვრილმანეს ჰპარავდა, ხანაც ნაგვის ყუთში იქექებოდა... მაგრამ თავისი პოსტი იმ კიბეზე დიდი ხნით არასოდეს მიუტოვებია. ერთხელაც ვიღაც რეპორტიორმა ხუთცენტიანი გადაუგდო ერთი ჩიზბურგერი შეჭამე ჩემს სახელზეო, იმან კიდევ უკან გადმოუგდო და ერთი ქალი მაინც გაჟიმე ჩემს სახელზეო, – მიაძახა. ამბავი გახმაურდა და მთელი დღე ჟურნალისტები ნაძლევს დებდნენ, დღის ბოლოს მაინც თუ აიღებს იმ დაყრილ ხურდასო. გეილ უაინენდს ეს აზრადაც არ მოსვლია.

მეორე დღეს, გაქანებული „ცხელი საათის“ დროს, ვიღაცას იმ დიდგულა ბიჭის არსებობა გაახსენდა და საწრაფოდ გაგზავნეს რაღაც უმნიშვნელო დავალებით; მერე ორი დავალება მისცეს ერთდროულად; მერე რაღაც ამბის გაგება სთხოვეს... ერთი კვირის თავზე სამუშაოდ აიყვანეს, ექვს თვეში რეპორტიორის თანამდებობა უბოძეს, ორი წლის მერე კი უკვე მთავარი რედაქტორის თანაშემწის სავარძელში იჯდა.

ოცდასამის იყო, ოპოზიციურ პარტიას მიტმასნილმა ჯგუფმა რომ მთლიანად შეიძინა გაზეთი არჩევნებში საკუთარი მოთხოვნების განსასიტყვებლად: ნასყიდობა გეილ უაინენდის სახელზე გააფორმეს მაგას ხალხთან ურთიერთობაც ეხერხება და არც არაფერზე დაიხევს უკანო. მწარედ კი მოტყუვდნენ: გეილმა ჯერ არჩევნებში გამოიჩინა თავი, მერე მთავარ რედაქტორადაც დაინიშნა, ოღონდ ორი წლის თავზე ისეთი მასალები გამოაქვეყნა თავის "კეთილისმყოფლებზე", ყველას ციხეში ამოაყოფინა თავი. მოკლედ, საბოლოოდ ბურთიც მას დარჩა და მოედანიც.

უპირველესად, სახელი შეუცვალა გამოცემას "ნიუ-იორკ ბანერად" აქცია. ეს სადაური წესიაო, – ბევრი საყვედურობდა მაშინ. სადაური და აქაურიო, – პასუხობდა უაინენდი და თავისი ხედვა მარტივი მაგალითით ახსნა: პირველსავე ნომერში საქველმოქმედო აქციათა მხარდამჭერი ორი სიუჟეტი დაბეჭდა გვერდიგვერდ, ზედმიწევნით ტოლი მოცულობისა და ერთი და იმავე მხატვრის ილუსტრაციებით ერთი ახალგაზრდა, უცნობ და უღარიბეს მეცნიერზე, რომელსაც ფული არ ჰყოფნიდა ცდების დასამთავრებლად და სამეცნიერო საზოგადოებისთვის საკუთარი უდიდესი აღმოჩენის დასამტკიცებლად; და მეორე სიკვდილმისჯილი კაცის საცოლის თაობაზე, რომელიც ფეხმძიმედ იყო და ახლა უკანონოდ ცნობილი ბავშვის გაჩენას ელოდა... პირველს დიაგრამები და ტაბულები

მკითხველთა ლიგა

ერთვოდა, მეორეს ლოცვას მიცემული ახალგაზრდა ქალის გულის ამაჩუყებელი პორტრეტი. "ბანერი" მოწყალე ხალხს სთხოვდა ხელი გაემართათ ორივე გაჭირვებულისთვის. მეცნიერის სახელზე ცხრა დოლარი და ორმოცდახუთი ცენტი შეგროვდა, ბედკრული ქალისთვის შემონაწირმა კი ათას დოლარს გადააჭარბა. უაინენდმა მთელ თავის შტატს უხმო, მაგიდაზე გაზეთის შესაბამისი ორი ნომერი დადო და თვალსაჩინოებისთვის ეს ფულიც შემოუწყო ცალ-ცალკე. „შეკითხვები თუ აქვს ვინმეს?" – ხაფი ხმით იკითხა და რაკი ხმა არავინ გაიღო, თვითონვე გააგრძელა, – "აი, ასეთი გაზეთი მჭირდება!"

ისიც უნდა ითქვას, იმ დროის გამომცემლები ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, საკუთარი დაღი დაესვათ ნებისმიერი ჟურნალ-გაზეთისთვის ასე ვთქვათ, საკუთარი პიროვნება წამოეწიათ წინ; გეილ უაინენდმა თავისი გამოცემა ერთიანად მიუძღვნა ფართო მასებს მათ გემოვნებას,მოთხოვნებსა და სურვილებს... „ყოველ ადამიანს თავისებური წარმოდგენა აქვს სათნოებაზე, გზის სიმრუდეზე კი ყველას ერთნაირი", – ასე განმარტავდა ხოლმე უაინენდი საკუთარ საგამომცემლო მრწამსს, –„ჰოდა, მეც დემოკრატიულ უმრავლესობას ვუჭერ მხარს, განა ეს თავისთავად სიქველე არაა?"

უმრავლესობა კი კრიმინალურ ისტორიებს, სკანდალებსა და სენტიმენტებს ითხოვდა. გეილ უაინენდი არც ამაზე ეუბნებოდა უარს და დამატებით, ზნეობრივ სენტენციებსაც არ ერიდებოდა დაახლოებით ერთი სენტენცია სამი სვეტი ამაზრზენი დეტალების თანხლებით. რას აღარ ნახავდით "ბანერის" გვერდებზე: ზნედაცემული ქალებისა თუ შეცდენილი გოგონების ამბებს, "ცნობადი სახეების" ქორწინების დეტალებსა თუ "წითელი ფანრების უბანს" გაშინაურებული ხალხის მონათხრობებს... „ მთავარია სექსი!" – გაიძახოდა უაინენდი,_ „მერე ცრემლები... ამ ორის ნაზავი კი ის კოქტეილია, რომლის ყლურწვაზეც არავინ იტყვის უარს!"

მისი გაზეთი ჯვაროსნული ლაშქრობებისკენაც მოუწოდებდა_ ვთქვათ და, რომელიმე გაქსუებული, ხელმრუდე ჩინოსნის წინააღმდეგ ოღონდ ეს მაშინ, თუკი დანამდვილებით გაიგებდნენ, მასზე უკვე დაპატიმრების ორდერია გაცემულიო. "ბანერი" თავს ესხმოდა მონოპოლისტებს, დასცინოდა მაღალ საზოგადოებას, თან ყველასა და ყველაფერზე წვრილად გიყვებოდათ ჭორ-მართალს.

"ახალი ამბები", – მოძღვრავდა უაინენდი თანამშრომლებს, - "მხოლოდ ისაა, რაც ხალხის დიდ რაოდენობაში აღძრავს ემოციებს... რაც უფრო სულელურია ამბავი, მით მეტია მისდამი ინტერესი და ასე, გაუთავებლად."

ერთხელაც, რომელიღაც წვეულებაზე, გეილ უაინენდს უსაყვედურეს, საერთოდ არ ზრუნავ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და მისი გემოვნების დახვეწაზეო. „აბა, ეგ რა ჩემი საქმეა?!" – გაიკვირვა გამომცემელმა, – "თქვენ გსურთ, მათ მართლა ის უნდოდეთ, რასაც საჯაროდ გაიძახიან, მე კიდევ იმას ვთავაზობ, რაც მათ სინამდვილეში სწყურიათ... ასე რომ, ბატონებო, ჩემთვის პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა, ოღონდ არა მთლად იმ გაგებით, როგორაც თქვენ მიგაჩვიეს!"

არადა, "ბანერი" დიახაც ყველგან და ყოველთვის პირველი იყო ახალი ამბების შექმნა-მიწოდების კუთხით: ხან აფრიკაში მომხდარი მიწისძვრის ამბებს აშუქებდა საკუთარი კორესპონდენტების წყალობით,ხან ზღვაში მართვადაკარგული გემის გემბანიდან მოწოდებულ ინფორმაციას ბეჭდავდა ყველაზე ადრე სანაპირო დაცვის კატერის კაპიტანთან ნაცნობობის წყალობით; როცა ერთი მთიანი სოფელი ზვავმა გარესამყაროს მოსწყვიტა, უაინენდმა საკუთარი ვერტმფრენიდან იქ

მკითხველთა ლიგა

პურითა და ბიბლიით სავსე კონტეინერები ჩამოყარა და ამ ამბის სრული რეპორტაჟი ვრცლად მიეწოდა "ბანერის" მკითხველებს; როცა ვიღაცის კატა ხის კენწეროზე ”ჩამოეკიდა”, სწორედ უაინენდის ერთმა ახალგაზრდა ფოტოგრაფმა ჩამოხსნა იქიდან...

„ თუ ახალი არაფერია, მოიგონეთ რამე!” – უაინინენდის მხრივ ეს უკვე ბრძანების ტოლფასი იყო და ერთხელაც, როცა ვიღაც შერეკილი გაიქცა საგიჟეთიდან, ”ბანერი” ყოველდღე აშუქებდა იმ არემარეში გამეფებული შიშისა და პოლიციის მიმართ მზარდი უკმაყოფილების ვითარებას. შემდეგ ისევ ბანერის” ერთმა ჟურნალისტმა იმარჯვა და გაქცეული შეიპყრო... ყველასდა გასაოცრად, გიჟი მალე განიკურნა, კლინიკიდან გამოუშვეს და რაღა თქმა უნდა სწორედ ამ გაზეთს მისცა ექსკლუზიური ინტერვიუ, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ გონებადაბინდულ ადამიანს იმ საგიჟეთში, რასაც მისი დირექტორისა და პერსონალის დიდი ნაწილის სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვა. მოშურნენი ამბობდნენ,
ეგ ვიღაც ისევ ”ბანერის“ დაქირავებული ვინმე იქნებოდაო, მაგრამ მაგის გამრკვევი არც აღარავინ გამოჩნდა.

გაზეთის ფეხზე დადგომამდე გეილ უაინენდს ოფისის დივანზე უფრო ხშირად ეძინა, ვიდრე საკუთარ ლოგინში, და ხმები დადიოდა, მასთან მუშაობა რთული საქმეა, მასავით კი შეუძლებელიო: თანამშრომლებს დაქირავებული ჯარისკაცებივით ეპყრობოდა, საკუთარ თავს მონასავით; ყველას კარგად უხდიდა, თავად კი ლუკმაპურისა და გადასახადების ფულს იტოვებდა მხოლოდ. მთელი ამონაგები თანხა ისევ ბანერზე” იხარჯებოდა: საუკეთესო საბეჭდი ხაზი ჰქონდა და თან თანამშრომლებიც საუკეთესო ჰყავდა თავისი ნებით არავინ მიდიოდა უაინენდისგან, პირიქით მისი შემოთავაზებების ცდუნებას ვერავინ უდგებოდა წინ და საჭირო კაცის გადმობირება არასოდის გასჭირვებია: უბრალოდ, ანაზღაურებას დაუსახელებდა და მხოლოდ მერე ჰკითხავდა_ რაიმე სხვა მოთხოვნა ხომ არაფერი გექნებათო? და სანამ კაცი იმის ცდაში იყო, როგორმე ჩამოვარდნილი ყბა დაებრუნებინა თავის ადგილას, იქვე დაამატებდა: ორშაბათ დილიდან გელოდებითო...

უაინენდის მეორე გაზეთის დაარსებას უკვე ფილადელფიაში_ იქაურები ისე შეხვდნენ, როგორც ევროპელი თავადები ატილას ნომადების გამოჩენას და ბრძოლაც არანაკლებ სასტიკი გაუმართეს... ოღონდ ეგენი ასწავლიდნენ უაინენდს ქუჩის წესებს? ცემა-ტყეპა თუ კონკურენტის ბეჭდვითი გამოცემით დატვირთული მთელი ვაგონების გაქრობა მისი მოგონილი იყო! ასე რომ, „ფილადელფიის ვარსკვლავი“ გადარჩა და მალე მყარადაც დადგა ფეხზე.

დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო: ორმოცს რომ მიაღწია, უაინენდს ამერიკის ყველა მთავარ ქალაქში ჰქონდა საკუთარი გაზეთი, ჟურნალი თუ გამართული სტამბა...

მერე უძრავი ქონების შესყიდვასაც მიჰყო ხელი ოღონდ სწორედ იქ ყიდულობდა მიწას, სადაც მასზე ფასების მომატება ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი; უამრავ სხვადასხვა სახის პროექტშიც დებდა ფულს, და როგორი უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ, უმეტესად, ყველა წაგებული რჩებოდა, თავად უაინენდის გარდა; სააშკარაოზე გამოჰყავდა სხვადასხვა ბიზნესებში მოკალათებული დაჯგუფებები მხოლოდ იმიტომ, მერე საკუთარი ხალხი დაესვა იქ; მრავალმა სცადა მისი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის უაინენდი არავის ეუბნებოდა უარს, ოღონდ საბოლოო ჯამში, თავად იყენებდა ყველას.

თუმცა, ისეთი შემთხვევაც იყო, ერთ ჟურნალისტზე უაინენდის საარაკო შემოთავაზებას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია: "თქვენთან

ვერ ვიმუშავებ, მისტერ უაინენდ თქვენს გაზეთს არავითარი ზნეობრივი იდეალები არ გააჩნია!" – ასეთი იყო ახალგაზრდა ჟურნალისტის პასუხი. უაინენდს წარბიც არ შეუხრია: "ეჭვი არაა, შენი ახლანდელი შეფი დიდად ზნეობრივი ადამიანია, მაგრამ ფულის მათხოვრობა, ძირითადად, ყოვლად უზნეო ხალხისგან უწევს... და შესაბამისად, მათთვის ანგარიშის გაწევაც! მე კიდევ, როგორც თავად ბრძანეთ, ზნეობრივი იდეალები არ მაწუხებს, მაგრამ არც არავის წინაშე ვალში არა ვარ. მოკლედ, აირჩიე". ერთი წლის თავზე ახალგაზრდა კაცი კვლავ მოადგა უაინენდის კაბინეტის კარს და ერთადერთი ის ჰკითხა, შემოთავაზება თუ კვლავ ძალაშიაო. მას მერე ბანერი“ არ მიუტოვებია და ამბობენ, ერთადერთი იყო, ვისაც გეილ უაინენდი მართლა უყვარდაო.

აი, ალვა სკარეტი კი ძველი გაზეთიდან შემორჩა ბანერს“. ამ კაცს ყველაფრის სჯეროდა, რასაც თავად წერდა და საერთოდ, რაც კი „ბანერში“ იბეჭდებოდა_ ასე ორი კვირის მანძილზე მაინც...საზოგადოებრივი აზროს უკეთეს მაჩვენებელს გეილ უაინენდი ვერც ინატრებდა.

პირად ცხოვრებას რაც შეეხება, გეილ უაინენდი იმდენად გამჭვირვალე იყო, ისე ხელთათმანებივით იცვლიდა საყვარლებს, ამაზე ჭორაობაც კი მოსაწყენი გახდა ყვითელი პრესის მოყვარულთათვის. თუმცა, იყო ერთი რამ, რაზეც თვალი არავის მიუწვდებოდა: მისი პენტჰაუზის ქვეშ განლაგებული სურათების გალერეა. ათი კლიტე ედო და არც ერთ სულიერს არ უშვებდა შიგნით, ინგლისიდან სპეციალურად ამისთვის ჩამოყვანილი ერთადერთი დამლაგებლის გარდა. ერთხელ, საფრანგეთის ელჩმა სთხოვა მეუღლესთან ერთად სტუმრობა_ სურათების დასათვალიერებლად და უარი მიიღო... კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად ჩადიოდა და საათობით ჩაიკეტებოდა ხოლმე იქ. ექსპონატების შერჩევა მისი საკუთარი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი სტანდარტების ,მიხედვით ხდებოდა: სახელგანთქმული მხატვრების ნამუშევართა გვერდით ისეთ სურატს თუ ქანდაკსაც გადააწყდებოდით, რომლის ავტორი, თავად უაინენდის გარდა, იქნებ არც არავისთვის იყო ცნობილი...საერთოდ, ნახატებზე მიწერილი ხელმოწერა ნაკლებად ადარდებდა და ბევრი შედევრის აღიარებაზეც უთქვამს უარი_ თუ ყიდულობდაა რამე ისეთს, მის ემოციებს რომ არ პასუხობდა, მხოლოდ გადასაცვლელად. არადა , მისი დილერები გაძახოდნენ_ ღმერთმანი, არასოდეს სცდებაო. ეს კიდევ აათკეცებდა საზოგადოების ინტერესს, მაგრამ ამაოდ.

მერე, ორმოცს რომ გადასცდა, რარაც უცნაურმა ჟინმა შეიპყრო და ეს ყველაფერი ვინმე დუაიტ კარსონიდა დაიწყო: მანამდე უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ანალიტიკოსი უაინენდმა „ბანერის“ მიმომხილველობაზე დაითანხმა და ზუსტად იმის საწინააღმდეგოს წერა მოსთხოვა, რითაც კარსონი იყო ცნობილი. პროექტი სრულიად უპერსპექტივო_ კარსონს კალამმაც უმტყუნა და საღმა აზრმაც, მაგრამ უაინენდს არც ეს უაზრო ხარჯი ადარდებდა და არც გაზეთის ფართი: კარსონს ისეთი ხელშეკრულება გაუფორმა, სამი წელი მხოლოდ ბანერისთვის“ უნდა ეწერა, ყოველკვირეულად.

შემდეგ, მეტად იმედისმომცემი, რამდენიმე პრემიით დაჯილდოებული პოეტი იყიდა“ და... ბეისბოლის მიმოხილვა დაავალა,რეგულარულად. და ასე მიჰყვა და მიჰყვა ათეისტ მწერალს რაღაც საკვირაო ქადაგებისმაგვარის თაობაზე შეუთანხმდა, ხელოვნებათმცოდნეს ბირჟის ამბების მიმოხილვაზე, სახელგანთქმულ მეცნიერს ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე დაუკვეთა სტატიების მთელი სერია და ასე შემდეგ

მკითხველთა ლიგა

და ასე შემდგომ, ხოლო ერთ-ერთი ქალაქის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს კიდევ ზღაპრული ანაზღაურება შესთავაზა,
თუკი ამ საქმიანობას საერთოდ გაანებებდა თავს... საბოლოოდ, კარსონი გალოთდა, კიდევ ორი თანამშრომელი ნარკოტიკებს მიეძალა, ერთმა კი თავი მოიკლა. ეს სკარეტისთვისაც კი მეტისმეტი აღმოჩნდა. „ეს ყველაფერი ძალიან შორს ხომ არ მიდის, გეილ?" – ჰკითხა მან, – "ეს პრაქტიკულად მკვლელობა იყო."

– სულაც არა. მე მხოლოდ გარეშე ფაქტორი ვიყავი. მიზეზი თავად მასში იყო. თუ გამხმარ ხეს მეხი ეცემა და ანადგურებს, ეს მეხის ბრალი არაა.

– ჯანსაღი ხე რომელიღაა, გეილ?

– ასეთები არ არსებობს, ალვა, – ლაღად უპასუხა უაინენდმა.

უაინენდის ქცევის მიზეზთა შესახებ ალვა ზედმეტ კითხვებს არასოდეს სვამდა. ინსტინქტურად გრძნობდა, რომ რაღაც მიზეზი არსებობდა. ალვა სკარეტი მხრებს იჩეჩავდა და "ორთქლის გამოშვებად" ნათლავდა ბოსის ამ ხუშტურებს ნაწილობრივ, მართალიც იყო, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: ბოლომდე უაინენდის მხოლოდ ელზუერთ თუის ესმოდა...

აი, ასე გადააბიჯა ნახევარი საუკუნის ზღვარს და სწორედ იმ დღეს აღმოაჩინა, რომ არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა, მოემოქმედა რამე...

• • •

თოფი აწონა ხელში, გაეღიმა. არა, იმდენი ჭკუა კი შერჩენოდა; ასე უაზროდ არ დაესრულებინა სიცოცხლე!

იარაღი გვერდზე გადადო და ლოგინიდან წამოდგა. ახლა მხოლოდ ეს დღეც უნდა გადაეგორებინა როგორმე და მერე დასაძინებლად წასულიყო.

ქვევით ჩავიდა, ჭიქა "ღამის ჩაჩის" მისაღებად...

სინათლის ჩამრთველი გადაატრიალა და პირველი, რაც თვალში მოხვდა, თუის ძღვენი იყო ფიცრის მაღალ ყუთში ჩამალული რაღაც მძიმე ნივთი. კუთხეში მიეყუდებინა ლაქიას. "ეს რაღა ოხრობაა", – გაიფიქრა და ბარის კარი გამოაღო.

მერე იდგა ასე, სასმელს წრუპავდა და ცდილობდა, გამოეცნო, მაინც რა შეიძლებოდა ყოფილიყო შიგ. აზრზე ვერ მოდიოდა, რა უნდა მოეტანა მისტერ თუის ძღვნად. ისიც კი იფიქრა, შანტაჟის სუნი ხომ არ ასდის ამასო რამდენს უცდია, სრულიად წარუმატებლად მაგრამ თავი ბოლოს ვერ მიაბა და შეეშვა.

ბოლოს, ჭიქას რომ ძირი გამოუჩინა, საბაბი აღარ დარჩენოდა, ყუთი არ გაეხსნა. საწერი მაგიდის უჯრიდან ბრტყელტუჩა ამოიღო და სახურავი ააძრო.

დომინიკ ფრენკონის ქანდაკება აღმოჩნდა, სტივენ მელორის მიერ ქვაში ნაკვეთი.

გეილ უაინენდი მონუსხულივით შესჩერებოდა საჩუქარს, მერე ტელეფონს დასწვდა.

– ალო? – მოპასუხეს ხმაზე ეტყობოდა, ღრმა ძილიდან ჯერ კარგად ვერც გამორკვეულიყო.

– მაინც მიაღწიე შენსას. გელოდები! – მშვიდად თქვა უაინენდმა და ყურმილი დაკიდა.

მისტერ თუი ნახევარ საათში გამოცხადდა. კარი თავად უაინენდმა გაუღო. არც ერთს სიტყვა არ უთქვამს, ისე შევიდნენ კაბინეტში.

მარმარილოს უკან თავგადაგდებული ფიგურა რაღაც უცნაური ენერგიით ავსებდა ოთახს და თითქოს იმ არარსებულ სივრცედ აქცევდა, „

მკითხველთა ლიგა

სტოდარდის ტაძარი” რომ უნდა რქმეოდა სახელად...
– ვინაა? – უცებ მოსხიპა უაინენდმა.
– მოდელის სახელი გაინტერესებთ? – შემპარავად დაეკითხა თუი.
– რა ეშმაკად მინდა?! მოქანდაკის სახელს გეკითხები!
მერე ცოტათი გაუკვირდა კიდეც, რაღაც მთლად არ ესიამოვნა შეკითხვაო... არა, აშკარად რაღაცა ამბავი იყო მის თავს!
_ ე-ე... მოქანდაკე... აბა, რა მოგახსენოთ... სტენლი თუ სტაინლი რაღაც ამდაგვარი. მართლა არ მახსოვს.
_ რას მაბოლებ, ელზი! თუ ჭკუა გეყო, ასეთი რამ არ გაგეშვა ხელიდან, სახელსაც იკითხავდი და გულის ფიცარზეც ამოიჭრიდი, ღმერთმანი! სად გადააწყდი?
– მეორე ავენიუზე ხომ იცით, ის პატარ-პატარა მაღაზიები... მოდელს ვიცნობ და იმიტომაც...
– ტყუი, ელზი! ისიც კარგად მოგეხსენება, აქამდე ვერავის რომ ვერ გაუბედავს ჩემთვის რაიმეს შემოთავაზება! ასე არც ითამაშებდი, იმთავითვე წარმატებაში რომ არ ყოფილიყავი დარწმუნებული! ძალიანაც კარგად იცი, რა შეუფასებელი რამეა... კარგი, ნება შენია. ახლა რა?
– არც არაფერი, მისტერ უაინენდ. მარტო ის მინდა, მისის კიტინგს შეგახვედროთ, ერთხელ მაინც.
– სულ ესაა?!
– კი, ეგრეა.
– თუი, არაფრის იმედი არ გქონდეს უბრალოდ, ორშაბათს დამირეკოს. ოფისში ვიქნები.
მაგრამ კართან რომ მიაცილა, მაინც ვერ მოითმინა და ესეც დაამატა: "არ ვიცი, გულში რა გიდევს, მაგრამ ვერაფერი ბიზნესმენი ხარ რაც არ უნდა იყოს, ასეთ რამეში ცოცხალი თავით არ გავცვლიდი!"

2

– ის შენი ძოწის სამაჯური რატომ არ გეკეთა? – თითქოს სხვათა შორის იკითხა პიტერ კიტინგმა, – ქალები სულ ახუნძლულები იყვნენ...
– მაპატიე, გადამავიწყდა. სხვა დროს გავიკეთებ.
– მშვენიერი საღამო იყო... დაიცა, გინდა, სიმართლე გითხრა?
– არა...
– რა მშვენიერი ეგ იყო თავი გამომილაყეს მაგ სნობებმა! ეს ვინსენტ ნოულტონი მაინც... არა, გარეგნულად კი არაფერს ვიმჩნევდი...
– ნამდვილად არაფერს. მის ყველა ხუმრობაზე იცინოდი მაშინაც, როცა სხვას არც კი ეღიმებოდა.
– რას იზამ, საჭირო კაცია... დაიცა, შენ რა მსაყვედურობ?
– მე არასოდეს არაფერს არ გსაყვედურობ, პიტერ.
ბინაში მარტონი იყვნენ ნოულტონებისგან ახლახან დაბრუნდნენ და იმ საღამოს მეტი არც არაფერი ჰქონიათ დაგეგმილი. ჭაღის სინათლეები პიტერმა ადრევე გამორთო მარტო ერთი, ყვითელთალფაქიანი ტორშერი დატოვა ჩართული და ამას მხოლოდ ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ათინათი ემატებოდა; ოღონდ არანაირი სიმყუდროვე არ იგრძნობოდა ბინაში და დომინიკიც ისეთი წელგამართული იჯდა სავარძელში, თითქოს საკუთარ სახლში კი არა, რომელიღაც საელჩოში ყოფილიყო ოფიციალურ მიღებაზე...
_ რამე რომ იყოს, მისის მარშთან ბლავატსკაიას ქალი ასე აგდებულად არ უნდა გეხსენებინა რომ ჰკითხო, თავგადაკლული თეოსოფია...
– დამავიწყდა. სხვა დროს უფრო ფრთხილად ვიქნები...

მკითხველთა ლიგა

კიტინგს სულ იმის იმედი ჰქოდა, ერთხელ მაინც თავად ჩამომიგდებს სიტყვას რამეზეო, მაგრამ სწორედ დღეს იაზრა წელიწადი სრულდებოდა უკვე, რაც ცოლ-ქმარი იყვნენ და ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. დიდი-დიდი, იმას თუ იკითხავდა პარასკევის მოსაწვევ სიაში დიქსონებიც ჩავრთო თუ არაო... ბინის გაწყობაზეც იგივე იყო ქალების წეს-ჩვეულების საწინააღმდეგოდ, არც ფარდა შეუცვლია სადმე, თუნდაც საფერფლე არ გადაუადგილებია...

– დომინიკ, არ მეტყვი, რაზე ფიქრობ ხოლმე? – ჰკითხა უცებ, თავისთვისაც მოულოდნელად.

– რას გულისხმობ?

– აი, ვთქვათ... თუნდაც, ვინსენტ ნოულტონზე რა აზრისა ხარ? – მართლა აზრზე არ იყო, ახლა ეს რამ წამოაროშვინა.

– საჭირო კაცია, შეიძლება, ტრაკზე აკოცო.

– რა-ა?!

– ბოდიში, ცუდად გამომივიდა. მინდოდა მეთქვა, ეგ ძველი ოჯახებიდან გამოსული ხალხი განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს... ასე ვთქვათ, შენდობას მოითხოვს თანდაყოლილი თვისებებისთვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ყველაფერზე თავს დაუქნევ, პატივისცემაშიც ჩაგეთვლება და რამე რომ იყოს, მერე წინ დაგხვდება... რა იცი.

გაჩუმდნენ. კიტინგს უცებ გაუელვა თავში ამას ვერც ერთ ჩემს ნაცნობს ვერ ავუხსნიო. ან რანაირად, როცა საკუთარი თავისთვისაც კი ვერ აეხსნა; არაფერი აკლდა ცხოვრებაში არც სახელი, არც პატივისცემა, არც ფული... და ბოლოს დომინიკ ფრენკონიც ხომ მისის კიტინგად მოინათლა! ერთი სიამოვნება იყო, სადმე მიღებაზე რომ ვინმეს წარუდგენდა ხოლმე გაიცანით, ჩემი მეუღლეო და მერე მათი შურით სავსე მზერის დაჭერა. ერთხელ ისეთი კურიოზიც მოხდა ვიღაც შექეიფიანებულმა მუსუსმა სთხოვა ის ქალი მინდა დავითრიო და ძმურად, იქნებ გამიგო, ვინააო... აბა, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, – გამქირდავად გაეპასუხა კიტინგი, – ჩემი ცოლია, უკვე წელიწადია, დათრეული მყავსო.

საკუთარ თავსაც ბევრჯერ გამოსტყდომია ჩვენი ცოლ-ქმრობა იმაზე იღბლიანი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოველოდიო. ქალი არაფერში იჩემებდა პირველობას კაცმა რომ თქვას, საერთოდ, არც არაფერს ითხოვდა: საპატიო კლიენტებს უღიმოდა, ესაუბრებოდა მის მეგობრებს, უვლიდა ბინას... არასოდეს ეკამათებოდა და არც საყვედურობდა რამეს. მოკლედ, თითქმის იდეალური "მეორე ნახევარი" იყო. ოღონდ, სწორედაც რომ თითქმის.

ღამღამობით უარს არაფერზე ეუბნებოდა, მაგრამ მხოლოდ უსიცოცხლო, უსურვილო სხეული რჩებოდა მკლავებში მოქცეული; ერთი- ორჯერ გადაწყვიტა კიდეც, კარგა ხანს არ გავეკარებიო და არაფერი გამოუვიდა – მის ცხოველურ ხიბლს ვერანაირად ვერ უწევდა წინააღმდეგობას.

ერთადერთი, დედამისმა განაცხადა ხმამაღლა, რასაც პიტერ კიტინგი საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელდა: "არა, შვილო უშვერი სიტყვებითაც რომ გაველანძღე, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდი... სწორედ ეგ მკლავს, მისი რომ არაფერი მესმის!" მალე სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და კვირაში ერთხელ თუ ესტუმრებოდათ ხოლმე.

წესით, პიტერი კმაყოფილიც უნდა ყოფილიყო ამგვარი ვითარებით, მაგრამ რატომღაც ვერავითარ კმაყოფილებას ვერ გრძნობდა...

ერთი რამ ცხადი იყო ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა:

– დღეს უნდა გვესტუმროს ვინმე? – იკითხა ვითომ დაუდევრად.

მკითხველთა ლიგა

– არა. არავინ დაგვიპატიჟებია.
– გინდა, კინოში წავიდეთ?
– რისთვის?
_ დროს მოვკლავთ.
– წავიდეთ, თუ გინდა.
_ ისე, რატო უნდა წავიდეთ რა საკუთარ სახლში არ ჯობია!
_ როგორც იტყვი, პიტერ.
_ მირჩევნია, ასე ვიჯდე და შენ გიყურო... თუ იცი მაინც, რა ლამაზი ხარ? გორდონ პრესკოტმა თქვა ღმერთის გამოცანას ჰგავს სტრუქტურულ მათემატიკაშიო. ვინსენტ ნოულტონმა გაზაფხულის დილას შეგადარა, ელზუერთ თუიმ კიდევ პირდაპირ განაცხადა ბუნების ნიშნისმოგებაა ყველა მდედრის მიმართო...
_ რელსტონ ჰოლქომბს არაფერი უთქვამს?
_ კარგი რა... – უცბად მიუხვდა ირონიას და მოსხიპა სათქმელი.
– ის კი ვიცი, რატომაც ვერ ვიტან დუმილს... – გაიფიქრა მერე, – მაგისთვის საერთოდ ერთია, რამეს ვამბობ თუ ჩუმადა ვარ... თითქოს საერთოდ არც ვარსებობდე...
– იცი, რა მინდა გითხრა, დომინიკ... – მაინც თავად წამოიწყო ცოტა ხნის მერე, – ერთი იდეა მაქვს, ჯერ არც არავისთვის გამიმხელია... არ გინდა, საკუთარი სახლი ავიშენოთ სადმე ქალაქგარეთ? რას იტყვი?
– თავად გინდა, დააპროექტო?
– არ-ა-ა... მაგისთვის ბენეტი მყავს. ჭიპი აქვს მოჭრილი ქალაქგარეთ სახლების შენებაზე. ყველაფერს გაითვალისწინებს. მარტო ის უნდა ვუთხრათ, როგორი გვინდა.
– მერე, ბაღში ნარგავებს მოუვლი, გაზონს მორწყავ თუ რა?
_ კარგი ერთი აბა, მებაღე რისთვისაა?! და საერთოდ, სად მეცლება მიწის საჩიჩქნად... თან ცხენზე ჯდომაც უნდა ვისწავლო და კიდევ გოლფის თამაში!
– რა ძალა გადგას, პიტერ?
_ აბა, სხვა იქ რა უნდა ვაკეთო ხოლმე? თან გაცნობა-გადაპატიჟებების საუკეთესო საშუალებაა, ხომ იცი...
_ ვიცი. ოღონდ ეს აქაც შეგიძლია.
_ კარგი რა! თუ იდეა არ მოგწონს, ეგრე თქვი!
_ მე ის მომწონს, რაც შენ, პიტერ! ხვალ საღამოს პალმერსები უნდამოვიწვიოთ.
_ ვითომ რატომ?
საჭიროა. მაგათ ახალი შეკვეთა უნდა გამოსცინცლო. მერე ედინგტონებს დავპატიჟებთ და ამ შეკვეთით მოვიწონებთ თავს. მაგათ შესაკვეთი არაფერი აქვთ, სამაგიეროდ, მაღალ წრეებში ტრიალებენ, გამოსადეგი ხალხია. ასე რომ, არც პალმერსები გეხატება გულზე და არც ედინგტონებზე გიჟდები, მაგრამ უნდა ელაქუცო_ საქმეს სჭირდება.
– ასე რატომ მელაპარაკები? რამე თუ არ მოგწონს, პირდაპირ თქვი!
– განა როდესმე რაიმე უკმაყოფილება გამომიხატავს, პიტერ?
– მაინც რა გინდა ყველა ასე არ ცხოვრობს?
– კი, თითქმის ყველა. და რა მერე?
– რა და... თუნდაც ერთხელ გამოთქვი საკუთარი აზრი!
– ეგ რანაირად, პიტერ? არც გორდონ პრესკოტისას ემთხვეოდეს, არც რელსტონ ჰოლქომბისას, არც ელზუერთ თუისას...
– სწორედ ამაშია საქმე! წელი გავიდა, ერთი არაფერი გითქვამს ჩემთვის... შენი, საკუთარი. აქ ხარ და არც ხარ. მარტო ჩემთვის კი არა ერთხელ არ გიკითხავს მზარეულისთვის, სადილად რა გვაქვს. თითქოს

მკითხველთა ლიგა

უსულო, უსურვილო ცხოველი იყო... არაფერი საკუთარი არ გაგაჩნდეს ვითომ!
– და შენ, პიტერ?
– რა მე? რა მე... – და უცებ ჩაუწყდა ხმა, მიხვდა რაღაცას.
ისევ სავარძელში ჩაეშვა, თვალი გაუშტერდა თითქოს: "მიყვარხარ, დომინიკ... ყოველთვის მიყვარდი. ოღონდ... სულ ორი ასეთი ადამიანი შემხვდა ცხოვრებაში ყრუ კედელივით რომ მედგა წინ და არ ვიცოდი, როგორ შემომევლო... შენ და კიდევ ის... მაგრამ შენ ყოველთვის მიყვარდი, ის კი მძულდა"...
– ის ვიღა იყო, პიტერ?
– ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს...
- მაინც?
– ჰაუარდ რორკი.
დომინიკს ერთხანს ხმა არ გაუღია. მერე მიუახლოვდა და თავზე გადაუსვა ხელი.
– მე შურისძიება არ მდომებია, პიტერ.
– აბა, რა გინდოდა?
– ამბობენ, რომ ყველაზე დიდი უბედურება საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვაა... ტყუილია ამის დაკარგვა შეუძლებელია, ის ან გაქვს, ან არა. როცა ამის სურვილსაც გიკლავენ, ესაა საშინელი...
ჩაიმუხლა და შუბლზე აკოცა პირველად მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში. მერე ისე ჩახედა თვალებში, თითქოს ამ წუთს მართლა თავის ქმრად აღიქვამდა და წამის მერე დაამატა:
_ აი, ასეთად ყოფნა რომ შეგეძლოს...
ცოტა ხანს იყვნენ ასე, გაყუჩებულნი.
ტელეფონმა დარეკა.
არა, მის ზარს კი არ გაუქარწყლებია ეს წამიერი მონუსხულობა, არამედ იმ მზადყოფნას, როგორითაც კაცი მეორე ოთახში გავარდა ყურმილის ასაღებად...
_ ვინა? ა-ა, გაგიმარჯოს, ელზუერთ! არა, რა დროს ეგაა... არაფერი საქმე... გელოდები!
– ელზუერთი იყო, – თქვა მერე, რომ შემობრუნდა, – შემოგირბენთო.
მის ხმაში უხერხული შვება იგრძნობოდა, აშკარად. მერე მიადგა და თუკი სადმე ასანთის ღერი ეგდო საფერფლეში, ან გაზეთი იყო დაუდევრად მიგდებული, ყველაფერი მიალაგ-მოასწორა, ბუხარსაც შეშა კიდევ შეუკეთა რატომღაც, ჭაღიც აანთო... თან ერთთავად რაღაც მელოდიას უსტვენდა რომელიღაც ოპერეტიდან.
კარზე ზარის ხმასაც თავად გამოეხმაურა და დერეფანში გავარდა გასაღებად.
– ღმერთმა გაგიმარჯოთ! – თქვა მისტერ თუიმ, როგორც კი ოთახში შემოაბიჯა, – ასე არ ჯობია? მყუდროდ, მოგიზგიზე ბუხრის წინ... გამარჯობა, დომინიკ! იმედია, უდროო დროს არ შემოგეჭერით!
– შენი მოსვლა არასოდესაა უდროო, ელზუერთ! – ცოტა არ იყოს, ზედმეტად საჩქაროდ გაეპასუხა კიტინგი, – ვინ-ვინ და, შენ მაინც ყოველთვის სასურველი სტუმარი ხარ ჩვენთვის...
_ ახლა, ნამეტანსაც ნუ იტყვი. არა, გმადლობთ არავითარი სასმელი... როგორ გიკითხო, დომინიკ?
_ როგორც შარშან.
_ შარშან რა იყო ვითომ? – ისე, სიტყვის მასალად იკითხა კიტინგმა.
_ უკვე დაგავიწყდა? უცოლო იყავი. – თქვა თუიმ და უცებ მოაყოლა, _იმ შენი მეგობრის არაფერი ისმის? რორკს ვგულისხმობ.

მკითხველთა ლიგა

_ დაერხა. წელიწადია, შეკვეთა არ მიუღია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი.
– შენ რაღას საქმიანობ? ის სთოუნრიჯის საქმე დაიძრ ა?
– არ მიხსენო, თუ კაცი ხარ! მაგ უაინენდის ხელში...
– რაო, რა მინდაო?
– რა, თვითონ იცის, თუ? ახლა ეგ პროექტი ციური მანანასავით იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ რად გინდა... აზის ზედ კრუხივით და ვერაფერი გადაუწყვეტია... საკუთარი ოფოფები ჰყავს თავში, ბლომად.
– თუ ელაპარაკე მაინც?
– ვის გეილ უაინენდს?! ვის რამდენი ჩავაცეცხლე, აღარც მახსოვს ყველა ცალ-ცალკე მპირდებოდა მის ბრწყინვალებასთან აუდიენციას... სულ ტყუილად. ნაღდში, რომის პაპთან უფრო ადვილია შეღწევა.
– მართლა ეგრე ძაან გინდა ეგ შეკვეთა?
– კარგი რა დამცინი? მარჯვენა... არა, მარცხენა ხელს ნაღდად მოვიკვეთდი მაგისთვის.
– არ-ა-ა, ეგ რა გამოსავალია. რამე ნაკლებ ხელშესახები რომ..
– სულს მივყიდდი, იაფად.
– მართლა, პიტერ? არ ხუმრობ? – მოულოდნელად იკითხა დომინიკმა.
- დაიცა, შენ რა რამე შანსი გაქვს? – ისევ ელზუერთს ჩაეძია კიტინგი.
– მე არა, ამას კი. – და დომინიკზე მიათითა.
– შეიშალე, ელზი?! – წარბი აზიდა კიტინგმა.
დომინიკი წინ გადმოიხარა, ახლა თითქოს მართლა დაინტერესდა საუბრით.
– როგორც გამიგია, გეილ უაინენდი მხოლოდ მომხიბლავ ქალებს სწყალობს, და თუ ქალი ლამაზია, მოწყალებას ტყუილად არ გაიღებს...
ელზუერთ თუიმ გულში აღნიშნა, რომ დომინიკს ეს რაღაც უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად არ დასცდენია.
– სისულელეა! – თავისას არ იშლიდა კიტინგი, – დომინიკმა რა უნდა ქნას?
_ ოფისში უნდა დაურეკოს და შეხვედრა შესთავაზოს ეგაა და ეგ.
– ვის გეილ უაინენდს?!
– სწორედაც.
– მერე ვინ გითხრა, რომ ყურს დაუგდებს?!
– თვითონ ბრძანა.
_ როდის?!
– ამ დილით.
_ არა მჯერა!
_ გინდ დაიჯერე, გინდ არა აბა, ისე ამდენს რატომ ვილაპარაკებდი? შენი ხათრით შევხვდებიო, სწორედ ასე მითხრა,
–ეგ როგორღა მოახერხე, ელზი? – საკუთარ ყურებს არ უჯერებდა კიტინგი.
– ჩემი მეთოდები აქვს, პიტერ. მოკლედ, ჯობს, არ გადადოთ ეგ საქმე და ხვალ დილითვე დაურეკოთ. რას იტყვი, დომინიკ?
დომინიკი მილულული თვალებით იცქირებოდა სავარძლიდან. ხმა არ გაუღია.
– რა უნდა თქვას?! ცხადია, ე-ე... საყვარელო, პირველი, რასაც ხვალ იზამ, ეგ ზარი იქნება!
– დარწმუნებული ხარ, პიტერ? ასე ძალიან გინდა? – ხაზგასმით დაბალ ხმაზე იკითხა დომინიკმა.
– გაგიჟდი? ნებისმიერი სხვა არქიტექტორის ცოლი მუხლებზე ხოხვით...
– არც ერთ სხვა არქიტექტორის ცოლს ეგ შანსი არ ექნებოდა, – თქვა

მკითხველთა ლიგა

თუიმ, – არც ერთ სხვა არქიტექტორს არ ჰყავს შენნაირი (კოლი.
– კეთილი, ბატონებო რაკი ასეა, ხვალვე დავურეკავ.
– ახლა კი შეიძლება, თითოც გადავკრათ! – ხელები მოიფშვნიტა კიტინგმა, – დავილოცოთ მაინც, ბედმა არ გვიმუხთლოს...
თქვა და სამზარეულოში გავარდა, ჭიქების მოსატანად.
დომინიკმა თვალი თვალში გაუყარა ელზუერთ თუის: ”დარწმუნებული იყავი, არა ყველაფერი ასე მოხდებოდა?"
– რა თქმა უნდა, ჩემო კარგო მე მხოლოდ ნაღდზე ვთამაშობ...
_ და რას იგებ?
_ რას და, სთოუნრიჯის პროექტი რომ კიტინგს ჩაუვარდება ხელში.პატარა ამბავია?
_ და ჩემი უაინენდის ლოგინში ჩაწვენა რამ გაფიქრებინა?
_ განა ხეირი არ იქნება ყველასთვის?
_ მოკლედ, ჩემი და პიტერ კიტინგის ქორწინება მთლად ისე ვერ აეწყო, შენ რომ გინდოდა ასეა?
– მე ვიტყოდი, 50/50-ზე. რას იზამ, არაა სრულყოფილება დედამიწაზე... მეორე ცდაც ხომ მაქვს.
_ პიტერი ახლა სახელოვანი არქიტექტორი და შენი ყურმოჭრილი ყმაა ასეა?
_ თითქმის, ჩემო კარგო, ჯერ მხოლოდ თითქმის...
– ახლა რაღა გინდა?
– ორი კურდღელი ერთი გასროლით... შენ და გეილ უაინენდი.
– იმან რაღა დაგიშავა?
– არც არაფერი. უბრალოდ, რაღაც აუგად მომიხსენია წუხელ, მეტისმეტად დაკვირვებული თვალი აქვს. თუმცა, თქვენს ამ შეხვედრას მაინც კარგა ხნის წინ ვგეგმავდი, ასე რომ...
– და კიდევ სთოუნრიჯი.
– კი, სთოუნრიჯიც. ვიცოდი, გეგმის ეგ ნაწილი მაინც მოგეწონებოდა. არა ქვეყნისთვის, საკუთარი სულისა თუ საყვარელი კაცისთვის ამ უდღეური კიტინგისთვის გაწირავ თავს! ვნახოთ, მერე რა გულზე იქნები. ან შენ, ან გეილ უაინენდი.
– მართალი ხარ, ხომ იცი...
– ბოლომდე? რორკისთვის არ გაწირავდი თავს? თუ მისი სახელის ხსენებაც კი აღარაა შენს გულში?
– ჰაუარდ რორკი. – ხაზგასმით მშვიდად თქვა დომინიკმა.
– მამაცი ქალი ხარ, დომინიკ.
ამ დროს კიტინგიც მობრუნდა, კოქტეილებით დახუნძლული ვერცხლის ლანგარი მოჰქონდა ორივე ხელით. თვალები სიცხიანივით უბრწყინავდა.
ელზუერთ თუიმ ჭიქა ასწია და საზეიმო კილოთი წართქვა:
– გეილ უაინენდს და "ნიუ-იორკ ბანერს" გაუმარჯოს!

3

გეილ უაინენდი წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა სტუმრის შესახვედრად.
– როგორ გიკითხოთ, მისის კიტინგ?
-გმადლობთ, მისტერ უაინენდ.
სკამი მიუწია, მაგრამ თავად არ დამჯდარა იდგა და ინტერესით ათვალიერებდა, როგორც მხატვარი მოდელს.
_ საზოგადოდ, ხელოვნების ნიმუშის შეფასებას ათეიზმამდე მივყავართ ხოლმე, – განუცხადა ყოველგვარი ლოგიკური გადასვლის გარეშე,

მკითხველთა ლიგა

_ოღონდ თქვენ რომ გიყურებთ, მოქანდაკესა და ღვთის ხელს შორის რაღაც მსგავსებას ვხედავ.
– რას გულისხმობთ?
– აი, ვინც თქვენი ქანდაკება ჩამოასხა ლითონში... – და უცბად მიხვდა, სახის ნაკვთების ოდნავ გატოკებაზე იაზრა, აქ რაღაც ამბავი იმალებაო...
– ეგ ქანდაკება სად ნახეთ, მისტერ უაინენდ?
– ჩემს გალერეაში, ამ დილით.
– იქ საიდან გაჩნდა?
ახლა კი მისი ჯერი დადგა, სახეზე გაკვირვება გამოესახა.
– მართლა არ იცით?
– არა.
– თქვენი მეგობრის, ელზუერთ თუის ნაბოძვარია.
– რა, ამ ვიზიტის სანაცვლოდ?
– ასეც შეიძლება ითქვას.
– ჩემთვის არ უთქვამს.
– გწყინთ, ახლა ჩემთან რომ ინახება?
– არც მაინცდამაინც.
_ მეგონა, კმაყოფილი დარჩებოდით.
– არანაირად.
უაინენდი მაგიდის კიდეზე არხეინად ჩამოჯდა.
_ დაეძებდით? – დაეკითხა.
_ მთელი ორი წელი.
_ ვერ დაგითმობთ. სთოუნრიჯი აიღეთ სანაცვლოდ.
_ თუასეა, მიხარია კიდეც, თქვენს ხელში რომაა.
გეილ უაინენდს ოდნავ უსიამოდ გაჰკრა გულში, ასე იოლი გასაშიფრი რომ აღმოჩნდა მოსაუბრე. მაინც დაეკითხა:
_ ამ ჩვენი შეხვედრის გამო?
– პირიქით რიგით თქვენ მეორე კაცი ხართ, ვის ხელშიც მის მოხვედრას არ ვისურვებდი. ოღონდ პირველი მაინც ელზუერთ თუია.
ახლა კი მართლა გაუკვირდა: ქალი, რომელსაც დიდი შეკვეთის დაცინცვლა სურს ქმრისთვის, ასე არ უნდა ლაპარაკობდეს...
– რა, არ იცოდით, რომ თუის ჰქონდა ნაყიდი?
– ფიქრადაც არ გამივლია.
– მისტერ თუის რაღაც მეტისმეტად ბევრი რამ ავიწყდება ამ ბოლო დროს... მოქანდაკის სახელი, მაგალითად.
– სტივენ მელორი.
– ვინ... მელორიო? ეგ ის კაცი არაა... – და უცბად სიცილი აუტყდა _ მე კი მითხრა, სახელი დამავიწყდაო! წარმოგიდგენიათ?!
– მისგან არც უნდა გაგკვირვებოდათ.
– თქვენგან კი მიკვირს თქვენს მდგომარეობაში, ერთთავად მის ქებაში არ უნდა იყოთ?
– განა ეგ რა სიკეთეს მომიტანდა?
– თუნდაც ამ ქანდაკების გამო... ხომ დააფასა?
– მეეჭვება. თუისთვის სულ სხვა რამეს აქვს ფასი.
არა, აქ რაღაც ამბავი იყო, ნამდვილად.
– მითხარით ერთი, როდის გამოაქანდაკეს? და რა სულ არავინ ჩათვალა ყურადღების ღირსად?
– ნუთუ მისტერ თუის ესეც ამოუვარდა თავიდან?
– ვატყობ, ეგრეა.
- "სტოდარდის ტაძრის" თაობაზე ატეხილი სკანდალისა არაფერი გსმენიათ? თუმცა იმ დროს თქვენ მეორე ნახევარსფეროში

მკითხველთა ლიგა

მოგზაურობდით...
– დაიცათ, ეგ საიდანღა იცით? ის ამბავი კი მახსოვს ღვთისმგმობელი ნაგებობაო, და ერთი ამბავი... დიდი ყიყინი ატყდა რაღაც ქანდაკების თაობაზეც... აჰა, გასაგებია ყველაფერი.
ცოტა ხანს იყუჩა, მერე ისევ ალაპარაკდა: ”ნაგებობაც ქანდაკების დარი იყო?”
– ეს ქანდაკება იყო ლამის ნაგებობის დარი.
– დაანგრიეს, როგორც ვიცი.
– კი, სწორედ თქვენი გაზეთების დახმარებით.
უაინენდმა მხრები აიჩეჩა. "ჩემი გაზეთები იმას წერენ, რასაც ხალხი მოითხოვს, მოგზაურობის დროს კი ამისთანა პრესას არ ვკითხულობ. ისე, ჩემი აქ არყოფნა რანაირად ჩაგრჩათ ხსოვნაში?”
_ხმა ვერ მოგაწვდინეთ. ალვა სკარეტმა კი თქვენი დეპეშა მანახა.
უაინენდმა წარბი აზიდა: ”რა დეპეშა...”
_ არ იცოდით, რომ მე სწორედ ის დომინიკ ფრენკონი გახლავართ?
_ ფრენკონი... დომინიკ ფრენკონი... არა, არ ვიცოდი.
– ვატყობ, მისტერ თუიმ საერთოდ პირზე ბოქლომი დაიდო...
– თუის შევეშვათ. ახლა ის მითხარით, როგორ მოხდა, რომ აქამდე არ ისურვეთ ჩემთან დაახლოება? კარიერა არ გაინტერესებდათ?
- მხოლოდ არა ”ბანერში.”
– ვითომ რატომ?
– აკი თქვენ თავად გაქვთ აკრძალული ამგვარი გაზეთების საკუთარ იახტაზე ატანა...
– კარგი პასუხია. ვისურვებდი, ისევ ჩემთან გემუშავათ, მის ფრენკონ.
– მისის კიტინგი... არა, აქ სთოუნრიჯის გამო ვარ მოსული.
– ანუ?
– ჩემს ქმარს მინდა ეგ შეკვეთა მისცეთ. და რაკი საამისოდ არავითარი სხვა მიზეზი არ გაქვთ, თანახმა ვარ, ლოგინში ჩაგიწვეთ.
მშვიდად განუცხადა, უემოციოდ და არც უაინენდმა შეიმჩნია გაკვირვება. პოკერის მოთამაშეებს ჰგავდნენ, ოღონდ აი, ისეთს ერთმანეთის ყველაფერი რომ იციან...
– ეს მე უნდა შემომეთავაზებინა... – წამოიწყო ისევ უაინენდმა, –მხლონდ არა ასე ჯიქურ და არა პირველსავე შეხვედრაზე.
_ გამოდის, დროც დაგიზოგეთ და აღარც ტყუილების თქმა დაგჭირდებათ.
_ ქმარი გიყვართ, მისის კიტინგ?
_ მძულს.
_ აბა, პატივს სცემთ როგორც ხელოვანს?
_ ერთი მესამეხარისხოვანი არქიტექტორია ,მეტი არაფერი.
_ მერე, ასე რაღად იკლავთ მისთვის თავს?!
დომინიკმამხრები აიჩეჩა: „რას იზამ, ყველა თავის სიყვარულს კლავს”.
– მოკლედ, არც ის გადარდებთ, მიიღებს თუ არა თქვენი ქმარი ამ შეკვეთას და არც ჩემი სიყვარული გკლავთ? ის კი არა და, მგონი, ბოლოდან მეორე კაცადაც კი შემრაცხეთ საკუთარ ნუსხაში...
– გარკვეული გაგებით კი, ასეა.
– ესე იგი, თუ სწორად გაგიგეთ, გნებავთ, უმცირესი მიზეზის გამო სხეული უმდაბლეს კაცს მიჰყიდოთ?
– იმედი მქონდა, სწორად გამიგებდით.
– მაგრამ ეს უფრო კაცებს სჩვევიათ სექსში გადმოანთხიონ საკუთარი სიძულვილი...
– ოღონდ თქვენ არაფერ შუაში ხართ, მისტერ უაინენდ სა კუთარ თავს ვუკეთებ ამას...

მკითხველთა ლიგა

– ყოფილა შემთხვევები, ხალხი ძალიან შორს წასულა, საკუთარი თავის პატივისცემა რომ დაემსახურებინა.
– ვიცი.
– მაგრამ ეს იგივეა, აღიარო, რომ საკუთარ თავს პატივს არ სცემ...
– და თუ თავის დამცირებით გინდა, საკუთარი თავისვე მიმართ სიძულვილი დაამტკიცო?
– უნაყოფო ცდაა.
– ვნახოთ.
– ჯერჯერობით კი მხოლოდ იმის დამტკიცებას ვეცდები, რომ სამიზნე არასწორად შეარჩიეთ ბოლოდან მეორეს როლში ვერ გამოვდგები.
– უარზე ხართ?!
– პირიქით, მადლიერებით ვიღებ ამ საჩუქარს. და იმაზეც მადლობა, პიტერ კიტინგის დიდოსტატობაზე სიტყვაც რომ არ დაგცდენიათ.
– არც თქვენ გითქვამთ ჩემი ქალების სიაში საპატიო ადგილს დაიჭერო...
– ესეც ჩაგეთვალათ. იქნებ შევეწყოთ კიდეც ერთმანეთს.
– ახლა რას აპირებთ?
– ათ დღეში გავდივართ. ჩემი იახტით ერთთვიან მოგზაურობას ვგულისხმობ. დაბრუნებისთანავე თავისუფალი ხართ და სთოუნრიჯის კონტრაქტიც თქვენია. თქვენი ქმრის-მეთქი, უნდა მეთქვა.
– გასაგებია.
კარამდე მიაცილა და უცბად მიადევნა: ”გითხრათ, რა განსხვავებაა ქანდაკებასა და დედანს შორის?”
– არა.
_ მაინც გეტყვით. იქ ვნების ტანჯვა ჩანდა, შენში კი, უბრალოდ, ტანჯული ვნებაა...

• • •

მეორე დღესვე უაინენდი თავის აგენტს დაუკავშირდა და მელორის ნამუშევრების კერძო ჩვენების მოწყობა მოსთხოვა, თუმცა თავად მოქანდაკის ნახვის სურვილი არ გამოუთქვამს. საბოლოო ჯამში, ხუთი ცალი იყიდა და თან ისეთ ფასად, საკომისიოებზე მომუშავე აგენტს თავად ამდენის მოთხოვნა სიზმარშიც არ მოელანდებოდა.
ერთი ისღა ჰკითხა მისტერ მელორის აინტერესებს, რას მივაწეროთ თქვენი ამგვარი დაინტერესებაო. "უთხარით, მისი ერთი ნამუშევარი ვნახე და ჩემთვის ესეც საკმარისი იყო-თქო", – პასუხად დაუგდო უაინენდმა.
ელზუერთ თუი კი მოელოდა, დამირეკავს მაინცო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ეგ იყო, რამდენიმე დღის მერე შეხვდა შემთხვევით და გეილ უაინენდმა პირველი ეს მიახალა: „რას წარმოვიდგენდი, ელზი ნუთუ მართლა იმდენმა სცადა თქვენი მოკვლა, რომ უკვე სახელებიც კი აღარ გახსოვთ მათი?”
მისტერ თუიმ ჩაიღიმა და ესღა უთხრა: "დარწმუნებული ვარ, ბევრი მართლა ისურვებდა..."
"ძალიან მაღალი წარმოდგენის კი ყოფილხართ თქვენს ნაცნობებზე!" – მოკლედ მოუჭრა უაინენდმა და ზურგი შეაქცია.

• • •

გამგზავრებამდე ორი დღით ადრე უაინენდმა დომინიკს დაურეკა: „ ამ

მკითხველთა ლიგა

საღამოს ვერ შემოივლიდი ჩემთან? რაღაც მინდა გაჩვენო."
_ კი, ბატონო, - უპასუხა და ძალზე გაკვირვებული დარჩა, იქითა ბოლოდან რომ გაიგონა გმადლობთო ...
ლიფტი მისი პირადი აპარტამენტების წინ რომ გაჩერდა, უაინენდმა ნება არ მისცა დომინიკს, გარეთ გამოსულიყო თავად შევიდა შიგ და ოპერატორ ბიჭს უთხრა, საცავში ჩაგვიყვანეო; მისი გაოგნებული სახესთვის ყურადღება არ მიუქცევია, დაელოდა, სანამ ლიფტის კარი ისევ გაიღებოდა, ქალს ანიშნა, მომყევიო და ახლა საცავის კარიც გააღო. დომინიკს გაგონილი ჰქონდა, იქ ჯერ უცხოს არ დაუდგამს ფეხიო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. არც გეილ უაინენდმა ისურვა რამე ახსნა-განმარ ტების მიცემა. ასე უხმოდ მოიარეს ხუთი მოზრდილი დარბაზი, მათ ფეხის ხმას კი იატაკზე მოფენილი სქელი სირიული ხალიჩები ახშობდა; ფანჯრები საცავს არ გააჩნდა და არც გარედან, სქელ კედლებში აღწევდა ქალაქის ხმაური... მასპინძელი უკან მიჰყვებოდა სტუმარს ჩერდებოდა, სადაც ის გაჩერდებოდა ხოლმე, თითქოსდა პირველად ათვალიერებდა თავის საგანძურს. მხოლოდ ხანდახან თუ გააპარებდა მისკენ თვალს. აი, მელორის ნამუშევრებსაც ჩაუარეს დომინიკი არ შეჩერებულა...
ბოლოს, გარეთ რომ გამოვიდნენ, მაინც ვეღარ მოითმინა ქალმა:
– ამით რა გინდოდათ გეთქვათ? გეგონათ, ჩემს გულს მოიგებდით?
– აზრადაც არ გამივლია, მერწმუნე. უბრალოდ, მინდოდა, შენც გენახა.

4

მზე უკვე ჩასულიყო, როცა ნავსაყუდელს მიადგნენ, ოღონდ ჰორიზონტზე მეწამული ნათელი ჯერ კიდევ ადგა ღვინომუქი წყლის მრუმე ფერს. თოვლივით თეთრი იახტა წყლის ფონზე გედივით გაწოლილიყო.
დომინიკმა კიჩოზე ოქროსვარაყიან ასოებს ჰკიდა თვალი აი თუ არა.“
რა უცნაური სახელი დაგირქმევიათო, – თითქოს ჩაეკითხა უაინენდს.
– პასუხია ერთგვარი... მთელი ჩემი ბავშვობა სულ ეს მესმოდა: შენგან კაცი არ გამოვაო!
დომინიკს სადღაც მოეკრა ყური, უაინენდი არავის ეუბნება, იმ თავისი იახტის სახელწოდება საიდან მოიტანაო... ახლა კი არც შეიმჩნია,გამონაკლისი რომ დაუშვა.
გემბანზე შედგეს თუ არა ფეხი, თითქოს რაღაც უხილავ და უხმო ბრძანებას ემორჩილებაო, გემი ნარნარად დაიძრა გაშლილი ზღვისკენ. უაინენდმა კაიუტაში ჩააცილა სტუმარი, თუ რამე დაგჭირდეთ, მხოლოდ მითხარით, – უთხრა და მარტო დატოვა. დომინიკი ტახტზე გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ილუმინატორიდან გახედა პორტის მოციმციმე სინათლეებს. მერე შუქი აანთო და მიმოიხედა. კაიუტა სამ ოთახად იყო გაყოფილი საწოლი, მისაღები, ბუდუარი.
ავეჯი მუხისა იდგა, კედლებზე კი ნაზფერებიანი აბრეშუმის შპალერი აეკრათ.
ამ დროს უფროსი სტიუარდის ხმაც გაისმა მაგიდა გაწყობილიაო. სულ რამდენიმე წუთში უაინენდმაც დააკაკუნა კარზე და დომინიკს სასადილო დარბაზში წაუძღვა. თავდაჯერებულად იქცეოდა, ვითარების შესაბამისად, ოღონდ მის მანერებსა თუ ლაპარაკში ბატონკაცური დამოკიდებულების ნიშანწყალიც კი არ გამოსჭვიოდა.
მაგიდას რომ მიუსხდნენ, ქალმა პირველი სწორედ ეს ჰკითხა: ”მარტო რატომ დამტოვე?”
– მეგონა, მარტო დარჩენა გერჩია.

მკითხველთა ლიგა

– ასე ვთქვათ, შესაგუებელ დროს მაძლევ?
– ისე გაიგე, როგორც საჭიროდ ჩათვლი.
– ამ ყველაფერს მანამდე შევეგუე, ვიდრე შენს ოფისში შემოვადგამდი ფეხს.
– მაპატიე, თუ შენში რაღაც სისუსტე ვიეჭვე. სხვათა შორის, არ გიკითხავს, საით მივდივართ...
– ესეც ხომ სისუტის გამოვლინება იქნებოდა...
– ეგეც მართალია. მიხარია, რომ ამ მხრივ რაღაც მოთხოვნები არა გაქვს, მოგზაურობისას მეც არავითარ მიზანს არ ვისახავ ეს გემი არასოდეს მიდის სადღაც, ის მხოლოდ საიდანღაც გადის ხოლმე. როცა სადმე ვჩერდები, მარტო ის მიხარია, რომ ამ ადგილს მალე დავტოვებ კიდევ ერთს, ჩემი მიჯაჭვა რომ არ შეუძლია.
_ მეც ზუსტად ეგეთი გრძნობა მიჩნდებოდა, – თქვა უცებ დომინიკმა და იქვე დაამატა, – მეუბნებოდნენ, კაცთმოძულე ხარ და იმიტომო...
_ არმითხრა ახლა, დავიჯერეო!
_ არ ვიცი, სიმართლე გითხრა...
– ეს იმას მაგონებს, ღორი რომ კაცთმოყვარეობის სიმბოლოდ შევრაცხოთ რადგან არაფერს თაკილობს, მე თუ მკითხავთ, ეგეთი სწორედ ისაა, ვისაც ყველა განურჩევლად უყვარს და ყველგან შინ გრძნობს თავს ეგეთი არავისგან არაფერს მოელის და ამიტომაც, მისთვის არც კარგსა და ცუდს შორისაა განსხვავება...
– იმათ გულისხმობ, ვინც ამტკიცებს ყველაზე უარესშიც კი შეიძლება რაღაც კარგის პოვნაო?
– იმათ ვგულისხმობ, ვისთვისაც სულ ერთია, კაცი შენს ქანდაკებას ჩამოასხამს, თუ მიკი მაუსს დახატავს! და კიდევ იმათ, ვისაც მიკი მაუსი ურჩევნია იმ ქანდაკებას... მათი სახელი კი ლეგიონია. აი, ვთქვათ, ვინც ერთნაირად ეტრფის ჟანა დ'არკსა თუ ჰოლივუდელ გოგონებს! ვისაც შენც უყვარხარ და ის ბებრუხანებიც, მეტროთი რომ მგზავრობენ და საკუთარი დაფეხვილი სხეულები ძლივს მიაქვთ სახლამდე! ან ასტრონომისა და გონებაჩლუნგის ხედვას ერთნაირად რომ აფასებენ! და შენთვის კი უთქვამთ კაცთმოძულე ხარო! მერედა, რა არის ამაში გასაკვირი?! რანაირად შეიძლება, გიყვარდეს ადამიანი, თუკი ამ სახელის მატარებელ ცხოველთა უმეტესობისადმი ზიზღის გრძნობა არ გაგაჩნია? არ შეიძლება, ღმერთიც გიყვარდეს და უღმერთობაც ან მხოლოდ მაშინ, თუკი ღვთის რაობაზე არც კი გიფიქრია!
– ხომ ამბობენ სიყვარული მიტევებააო?
– და ამ სისულელეს მერე მე მიმეორებ?!
– ანდა სიბრალული...
– კარგი, რა! შენგან ამის მოსმენა მეუხერხულება კიდეც თუნდაც ხუმრობით იყოს ნათქვამი.
– თავად რას მეტყოდი?
– სიყვარული დიდებული რამაა, აღმამფრენი გრძნობა, თაყვანისცემა, მაღლა მიმართული მზერა და არა სალბუნი ჩირქიან წყლულებზე დასადებად! მათ კი, გაუთავებლად ღვთის სიყვარულზე რომ გვიჩიჩინებენ, თავად მსგავსი რამ არასოდეს განუცდიათ უბრალოდ, თანაგრძნობის, კეთილგანწყობისა და უსულგულობის რაღაც სალაფავს ხარშავენ და ამას არქმევენ მერე სიყვარულს! კაცი როცა იმას იგრძნობს, რაც მე და შენ გვიგრძნია ვნებასა და ლტოლვას და ამაღლებას სხვა სიყვარული უკვე აღარ არსებობს...
– მე და შენ?
_ ამას ვგულისხმობ, როცა კაცი შენს ქანდაკებას უყურებს და ამის

მკითხველთა ლიგა

მაგივრად ურჩევნია, ვინმე ხეიბარს წააშველოს ხელი, ესე იგი, ის ვერაფერსაც ვერ გრძნობს! იმ ქანდაკებაში ხომ არც შენდობის სურვილი ჩანს და არც სიბრალულის! და ღმერთმანი, არც უნდა იყოს! ასეა თუ ღმერთთან თანაზიარობა გინდა და სანაცვლოდ თანაგრძნობას არ თანხმდები, კაცთმოძულედ გნათლავენ. ეს იმიტომ, რომ სხვა სიყვარული გაქვს ნაგემი და რაღაც სანაცვლოზე ამბობ უარს! ამგვარი სიყვარული კი კაცობრიობის უმეტეს ნაწილს ჯერაც არ დაუმსახურებია...

– ასე ძალიან მეტყობა?

– არა, რა თქმა უნდა არა ბანერის" მეპატრონისთვის! მე, უბრალოდ, ერთ ვიღაც ტუტუც ლამაზმანს ველოდი, ელზუერთ თუის რჩეულს!

ორივეს ერთდროულად წასკდა სიცილი და სადილმა უკვე თითქოს სულ სხვა განზომილება შეიძინა მშვიდი და აუმღვრეველი. დომინიკს ბევრი უნახავს მდიდარი და ძალიან მდიდარიც ქალი თუ კაცი, საკუთარი სიმდიდრით რომ იწონებდნენ თავს, ოღონდ იმავე ფუფენების მონები რომ ხდებოდნენ ბოლოს... აქ კი ყველაფერი სხვაგვარი ჩანდა სიმდიდრე მეორადი იყო, სრულიადაც არა მთავარი უაინენდის არსებობისთვის, არა მისი საბოლოო მიზანი. საინტერესო კი იქნებოდა იმის გაგება, მართლა რა იყო ამ კაცის ცხოვრებისეული სამიზნე!

– ესმცურავი სასახლე მართლა საშენოა. – თქვა უცებ დომინიკმა.

გეილ უაინენდს სიამის ჭიამაიები აუთამაშდა თვალებში.

– გმადლობ... და ნახატების კოლექცია?

_ ეგეც. ოღონდ ეგ ნაკლებ საპატიებელი.

– სულაც არ ვითხოვ პატიებას. – უბრალოდ თქვა, უსაყვედუროდ.

სადილობას მორჩნენ და გემბანზე ავიდნენ. დომინიკი მოელოდა, აი, ახლა ამიყვანს თავისთან, აი, ახლაო, მაგრამ უაინენდი მშვიდად აბოლებდა სიგარას და ზღვასა და იახტებზე ჰყვებოდა ათას ამბავს...

მერე მართლაცდა სრულიად შემთხვევით, ქალის ხელი მოაჯირს წაეპოტინა_ ზედ კაცის თითების გვერდით. უნდოდა, სწრაფად წაეღო უკან, მაგრამ მის მზერას გადააწყდა და გადაიფიქრა. აი, ახლაა ყველაზე კარგი დრო, – გაიფიქრა. კაცი კი ისევ უკიდეგანო წყალს გასცქეროდა სადღაც სიშორეში.

ბოლოს ისევ დომინიკმა ამოიღო ხმა: "რაო, იმაზე ფიქრობ, რამდენად პატარები ვართ ოკეანესთან შედარებით?"

უაინენდმა ალალად გაიკვირვა: "არასოდეს მასეთი რამ თავშიც არ გამივლია! სხვათა შორის, არც ვარსკვლავებს როცა გავყურებ, ან დათოვლილ მწვერვალებს, ან თუნდაც, გრანდ-კანიონს... ახლაც, წყლის ამ უზარმაზარ, უაზრო მასას რომ გავცქერი, მხოლოდ ადამიანის სიდიადეს ვგრძნობ ამგვარი გემი რომ ააგო და ახლა მასზე მივცურავთ! მთების დანახვაზე კი მხოლოდ უგრძესი გვირაბები და ულამაზესი ხიდები მახსენდება, იმავე ადამიანის ხელით გაყვანილ-გადებული, ცაში კი სულ თვითმფრინავები მელანდება...

– უცნაურია მეც იგივე გრძნობა მიპყრობს, ოღონდ ცათამბჯენებს რომ გავყურებ ხოლმე...

– მეც მაგას არ ვამბობ! არც ერთ დაისზე არ გავცვლიდი ნიუ-იორკის ჰორიზონტის ხედს... განსაკუთრებით მაშინ, ბინდბუნდში რომ მხოლოდ სილუეტები მოჩანს. რა მესაქმება სადღაც ჯუნგლებში, ნახევრად დანგრეულ ტაძართან? ან იმ ღიპიანი ღვთაებების ყურება რა მადლს მომასხამს?! ადამიანის გენიალობა და სიდიადე თუ უნდათ, ნიუ-იორკი მოიხილონ ჰადსონის სანაპიროდან, დასხდნენ და მიეცნენ მედიტაციას! როცა საკუთარი ფანჯრიდან გავცქერი ამ ქალაქს, თავი პატარა სულაც არ მეჩვენება პირიქით, ისეთი გრძნობა მიჩნდება, მას რომ რაიმე

მკითხველთა ლიგა

ხიფათი დაემუქროს, ტარზანივით ვისკუპებ აივნიდან, პირველი შევეგებები საფრთხეს და მკერდით დავიცავ თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დამიჯდეს!

– გეილ, ახლა საკუთარი ნათქვამი თუ ჩაგესმის? – გაკვირვება, შეცბუნება და თანაგანცდის გრძნობა ერთდროულად გამოსჭვიოდა ქალის ხმაში.

– ნუ დამცინი! ვითომ ისაა ნორმალური, ვიღაც ცნობილი პიროვნება რომ წამოროშავს მილიონიანი აუდიტორიის წინაშე ნიაგარას რომ გავყურებდი, თავი ქონდრისკაცი მეგონაო! დიდი ამბავი! და რა მერე?! რატომ უნდა ვიხრიდე ქედს მიწისძვრის, ვულკანის, ქარიშხლის წინაშე?! განა ამაზე მეტი წარმართობა რაღა იქნება? რატომ სწყურია ხალხს მიწაზე ხოხვა?

– როგორც კი მაგაზე ვიპოვი პასუხს, არ დაგიმალავ მეც მოვისვენებ და შენც... – გაეცინა დომინიკს.

მერე შეზლონგებში ისხდნენ ერთხანს, ხმის ამოუღებლად, ტალღების ტყლაშუნს უგდებდნენ ყურს.

_ხომ არ შეგამცივნა? – დაეკითხა კაცი.

_ არა, კარგად ვარ.

– ხვალ ბევრად სამხრეთით ვიქნებით და მზისგან ცეცხლწაკიდებულ ოკეანესაც განახებ დიდებული საყურებელია.

– ქვევით არ ჩავდივართ? – ისე იკითხა, სხვათა შორის.

– იქ რა გვინდა? ჯერ რა დროს ძილია...

მერე, ყოველგვარი გადასვლის გარეშე აჯახა: „ცოლად გამომყვები?”

ქალმა გაოგნება ვერ დამალა და კაცმა რომ თქვას, დიდად არც უცდია.

– ახლა აჯობებს, მეტი არაფერი გითხრა, – მშვიდად ლაპარაკობდა, აშკარად არჩევდა სიტყვებს უაინენდი, – ოღონდ, ვიცი, რომ მხოლოდ საკუთარი თავის გასანადგურებლად გინდა გამომიყენო და ამაზე უკეთესი საშუალება რაღა იქნება დროებით კი არ მიეყიდო კაცს, საერთოდ მისი საკუთრება გახდე! ერთხელ ხომ უკვე სცადე, მაგრამ თავად ხედავ არაფერი გამოგივიდა, იმიტომ რომ ვიღაც უბადრუკი ამოიღე მიზანში... ისიც ვიცი, რომ თავად ქორწინების აქტი შენთვის არაფერს
ნიშნავს და ამიტომაც გთავაზობ არანაირი ვალდებულება, არანაირი მოთხოვნა ჩემი მხრიდან... სწორედ იმიტომ, რომ მიყვარხარ!

ქალი გაქვავებული სახით იდგა, მოაჯირს ჩაფრენილი.

– ღმერთია მოწამე, მე ეგ არ მინდოდა.

– ეგეც ვიცი. შენ ერთი შეცდომა მაინც დაუშვი ის სულით წმინდა ადამიანი დამანახე, რომლის მსგავსიც აქამდე არასოდეს შემხვედრია.

– თუ გავითვალისწინებთ, რა პირობებში გავიცანით ერთმანეთი, ეგ ცოტა უცნაურად ჟღერს არ მეთანხმები?

_ დომინიკ, მთელი ჩემი ცხოვრება ადამიანებით თამაშში გავატარე. ყველანაირ ბიწიერებას შევჯახებივარ და ვისი რა წმინდანობა უნდა მერწმუნა, სწორედ შენნაირად თუ არ იქნებოდა შენიღბული? ოღონდ, ამან შენს გადაწყვეტილებაზე არ უნდა იქონიოს გავლენა.

ქალი შესცქეროდა და სიტყვა ვერ დაეძრა პასუხად. კაცმა მთელი მისი გეგმა წყალს გაატანა დაუმტკიცა, რომ სწორედ მის ხელში იქნებოდა შეუძლებელი იმ სასჯელის მოწევნა, რისკენაც ასე მიისწრაფოდა... ის იყო, მისკენ უნდა გადაედგა ნაბიჯი, ხელი მოეხვია, ყველაფერი ეთქვა და ისიც ეთხოვა, აღარასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს რომ უცებ თითქოს გონება გაუნათდა თითქოს "ბანერის" ის გვერდი დაუდგა თვალწინ, ჰაუარდ რორკის ფოტო, ”ენრაიტ-ჰაუსს” რომ გასცქეროდა და ქვევით

მკითხველთა ლიგა

წარწერა: "ახლა რაღას იტყვი, გენიოსა?"
წყნარად დაეკითხა, ცივი ხმით: "მისის მედია-მაგნატი გინდა გამხადო?"
წამით ენა დაება უაინენდს, მაგრამ მაინც თქვა: ”თუნდაც ასე იყოს...“
– კარგი, გამოგყვები.
მერე გულსგარე გამომეტყველებით იცდიდა, რა იქნებოდა შემდგომ. კაცმა კი, ვითომც აქ არაფერიო, ჩვეულებრივად გააგრძელა სიტყვა:
– გემზე სულ რამდენიმე დღე დავრჩებით, მერე რინოში წახვალ, შენს ქმარს მე მივხედავ. სთოუნრიჯსაც მიიღებს და კიდევ ათ სხვასაც... ოღონდ თვალით აღარ დამენახოს. დაბრუნდები თუ არა, ვიქორწინებთ.
– როგორც იტყვი, გეილ. ახლა ქვევით ჩავიდეთ.
– მართლა გინდა?
– არა, მაგრამ არც ის მინდა, ჩვენს ქორწინებას მიეცეს რამე მნიშვნელობა.
– მე კი მინდა, რომ მართლა ჰქონდეს! ამიტომაც მანამდე არც მოგეკარები... ვიცი, უაზრობაა, მაგრამ მიღებული ადათ-წესების დაცვა სწორედაც რომ ერთადერთი არანორმალურობა იქნებოდა ჩვენს ურთიერთობებში! სწორედ ამიტომ მინდა, რაღაცით მაინც იყოს ეს ამბავი გამორჩეული...
– შენ იცი, გეილ.
მერე კაცმა ხელი მოხვია და მიიზიდა. ეს მისი საბოლოო სიტყვასავით იყო, დამაგვირგვინებელი პერიოდი და ქალმა სცადა კიდეც, არანაირი რეაქცია არ ჰქონოდა, მაგრამ თავად სხეულმა უღალატა, თითქოს ცხელმა ტალღამ დაუარა ტანში...
ხელი რომ გაუშვა, ორივემ კარგად იცოდა, რაც მოხდა. გეილ უაინენდმა გაიღიმა და უთხრა:
"ახლა მაინც დაღლილი ხარ, დომინიკ. ღამე მშვიდობის."
ქალი მორჩილად გატრიალდა და მარტო დაეშვა ქვევით, კიბეზე
_ რა მოხდა? ჩაიშალა სთოუნრიჯის საქმე? – იკითხა პიტერ კიტინგმა.
დომინიკმა ნომერში შეაბიჯა. პიტერიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ლიფტიორმა ბარგი შეიტანა და ოთახიდან გავიდა.
– მიიღებ შენს სთოუნრიჯს, ნუ გეშინია! – თქვა დომინიკმა, თან ხელთათმანებს იძრობდა, – დანარჩენს უაინენდი თვითონ გეტყვის. ამ საღამოსვე უნდა შენი ნახვა. ცხრის ნახევარზე გელოდება თავისთან.
– რა მინდაო?
– თვითონ გეტყვის-მეთქი.
დომინიკმა ხელთათმანები მაგიდაზე ისე დაყარა, თითქოს საუბარს წერტილი დაუსვაო. მერე საძინებელ ოთახში დააპირა გასვლა. პიტერი წინ გადაეღობა.
– კარგი, – უთხრა ქალს, – ეგრე იყოს. შენი წესებით ვითამაშოთ, ძალიან მაგრები ხართ, არა შენც და მისტერ უაინენდიც? წესი და რიგი თქვენთვის არ არსებობს, არა? სხვისი გრძნობები ფეხებზე გკიდიათ? კი ბატონო, ეგეც მოსულა, ორივეს გამოგიყენებთ და ჩემსას მივიღებ დანარჩენი არ მადარდებს! კმაყოფილი ხარ?
– ასეთი უფრო მომწონხარ, პიტერ...
თუმცა პიტერმა სიბრაზე ბოლომდე მაინც ვერ შეინარჩუნა და როცა იმ საღამოს უაინენდის კაბინეტში შევიდა, ერთგვარი სიამაყეც კი დაეუფლა, ამ სახლის სტუმრობის პატივი რომ ერგო წილად. როცა მასპინძლის საწერი მაგიდისკენ მიაბიჯებდა, რაღაც სიმძიმესაც კი გრძნობდა ფეხებში...
– მისტერ კიტინგ, რის თქმასაც ვაპირებ, წესით, იმაზე ლაპარაკი არც არასდროს უნდა დამჭირვებოდა, – თქვა უაინენდმა და კიტინგს თავში

მკითხველთა ლიგა

გაუელვა, ასეთი თვითდაჯერებით მოსაუბრე ადამიანს ჯერ ცხოვრებაში არ შევხვედრივარო.

_ ნებისმიერი ზედმეტი სიტყვა შეურაცხმყოფელი იქნება, – განაგრძობდა უაინენდი, – ამიტომ მოკლედ მოვჭრი: თქვენს მეუღლეზე ვაპირებ დაქორწინებას, ხვალ რინოში მივემგზავრებით... ეს კი სთოუნრიჯის ხელშეკრულებაა. უკვე მოვაწერე ხელი. 250 ათასი დოლარის ჩეკიც თან ახლავს. ეს იმის გარდა, რაც ხელშეკრულების თანახმად გეკუთვნით გაწეული სამუშაოსთვის. ძალიან დაგიფასებთ, თუ ახლა არაფერს იტყვით. ვიცი, ნაკლებსაც დასთანხმდებოდით, მაგრამ ამაზე საუბარი არ მსურს. ვაჭრობა არ გვეკადრება. ამიტომ, მოდით, აიღეთ ჩეკი და საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ.

თქვა და ხელშეკრულების ფურცელი, ზედ მიმაგრებული ჩეკიანად თითით კიტინგისკენ გააცურა. კიტინგი არ შერხეულა, მხოლოდ თავს ძალა დაატანა და კბილებში გამოცრა:

– ეგ სულ ზედმეტია, ჩემს თანხმობას უსასყიდლოდაც მიიღებდით.

უაინენდმა ერთი უცნაურად გამოხედა, თან გაკვირვებაც ეტყობოდა, თან თითქოს ეღიმებოდა კიდეც.

– უარზე ხართ? და რა, სთოუნრიჯის აშენებაც არ გინდათ?

"მინდა და მერე როგორ!" – გაიფიქრა, ხელი გაიწვდინა და ფურცელს დასწვდა, – "კაცმა რომ თქვას, რას ვიპრანჭები?! რა დროს კეთილშობილების თამაშია!”

უაინენდი ფეხზე წამოდგა.

– მართალი ბრძანდებით, მისტერ კიტინგ, – ხმაში ერთდროულად შვებაც იგრძნობოდა და სინანულიც, – სულ ერთი წუთით მეგონა კიდეც... ღამე მშვიდობისა.

კიტინგი შინ არ წასულა; ნილ დიუმონს, თავის ახალ მხაზველს და გულითად მეგობარს მიადგა. დიუმონი კარგ მხაზველად არ ითვლებოდა, მაგრამ ბევრ საჭირო ხალხს იცნობდა. ოფისში თვითონ ეპირფერებოდა კიტინგს, მაგრამ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, როლები იცვლებოდა.

დიუმონი შინ დაუხვდა. მერე გორდონ პრესკოტსა და ვინსენტ ნოულტონს გაუარეს, დასალევად წავიდნენ, ბარიდან ბარში გადადიონენ. კიტინგი ბევრს არ სვამდა, თუმცა ფულს მარტო ის იხდიდა და საჭიროზე მეტსაც. თითქოს ერთი სული ჰქონდა, ჯიბეები ბოლომდე გამოეცარიელებინა. "მეგობრები არა ვართ? უახლოესი მეგობრები, ეგრეა?” – ეკითხებოდა ხშირ-ხშირად, მერე რიგრიგობით ჩააშტერდებოდა ხოლმე თვალებში... პასუხად სამი წყვილი თვალი უცქერდა ამღვრეული, თუმცა გამგები და დამამშვიდებელი მზერით.

• • •

იმავე საღამოს დომინიკმა ბარგი ჩაალაგა, ჩემოდნები ოთახში დატოვა და თავად სტივენ მელორის სანახავად წავიდა.

წელიწადი სრულდებოდა, რაც რორკი არ ენახა. მელორის კი დროდადრო მაინც შეუვლიდა ხოლმე. მელორი ხვდებოდა, რომ ეს სტუმრობები ერთგვარი უკანდახევები იყო იმ ბრძოლაში, რასაც ქალი საკუთარ თავთან ეწეოდა. იცოდა, მის სახელოსნოში გატარებული ეს იშვიათი საღამოები დომინიკისთვის ცხოვრებისგან ძალით გამოგლეჯილი შვება იყო. თუმცა ქალს არასოდეს არაფერს ეკითხებოდა. მშვიდად საუბრობდნენ ხოლმე ათასგვარ თემაზე და იმ მოხუცებულ, დიდი ხნის წინ შეუღლებულ წყვილს ჰგავდნენ, ვის ურთიერთობაშიც მთავარი

მკითხველთა ლიგა

მეგობრობა
გამხდარიყო: თითქოს ქალის სხეულის დაუფლების ჟინს, ამით მოგვრილ გაოცებას კარგა ხნის წინ გაევლო და მშვიდი ურთიერთგაგების გარდა, არც აღარაფერი დარჩენილიყო... არადა, სინამდვილეში ხომ ამ სხეულს ხელით არც არასოდეს შეხებია, მაგრამ მისი ფლობისა და დასაკუთრების კიდევ უფრო ღრმა განცდა დაუფლებოდა მას შემდეგ, რაც დომინიკის ფიგურა გამოაქანდაკა.
– გამარჯობა, დომინიკ.
– ხელს არ შეგიშლი?
– არა, რას ამბობ, შემოდი.
სახელოსნო ძველ შენობაში ჰქონდა მოწყობილი ერთი ვეებერთელა, არეულ-დარეული ოთახი. დომინიკმა მაშინვე შეამჩნია ბოლო სტუმრობის შემდეგ მომხდარი ცვლილებები: ნახმარი ავეჯი, იშვიათი ქსოვილის და ფერის აღმოსავლური ხალიჩა, არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ქანდაკებების ფრაგმენტები რასაც მელორი თავად ვერასოდეს შეიძენდა, მოულოდნელად უაინენდი რომ არ გამოჩენილიყო. კედლები კი ძველებურად შიშველი იყო, ნახატებს არასოდეს ყიდულობდა, ერთადერთი ესკიზი ეკიდა მხოლოდ რორკის ხელით შესრულებული "სტოდარდის ტაძრის" გამოსახულება.
_ სტუმარი აუჩქარებლად ათვალიერებდა ყველაფერს, მელორიმ ბუხართან სკამები მიაჩოჩა და ორივენი ცეცხლს მიუსხდნენ.
_ კლეიტონშია, ოჰაიოში. – თქვა მელორიმ ვითომ სხვათა შორის.
– რას აკეთებს?
– რაღაც სავაჭრო ცენტრს აშენებს, ხუთსართულიანს, მთავარ ქუჩაზე.
– რამდენი ხანია?
– თითქმის ერთი თვეა.
– ხვალ ქალაქიდან მივდივარ, სტივ.
– საით?
– რინოში.
– კარგია.
– ჯობია, არ გითხრა, იქიდან დაბრუნების მერე რას ვაპირებ. ნამდვილად არ გაგიხარდება.
– იქნებ არც მეწყინოს, თუ შენი სურვილით აპირებ...
– კი, ჩემი სურვილით.
მელორი გადაიხარა და ბუხარს ნაფოტები შეუკეთა. ცეცხლი ატკაცუნდა და საბუხრეში ნაპერწკლები დაბზრიალდნენ. მერე თავის საქმეებზე დაიწყო ლაპარაკი. ქალი ისეთი სახით უსმენდა, თითქოს ემიგრანტი იყო და ცოტა ხნით მშობლიური ენის გაგონების შესაძლებლობა მიეცაო.
– ისე, როგორ არის? – ჰკითხა მერე.
– როგორც ყოველთვის. ხომ იცი, არ იცვლება.
მელორიმ კუნძს შეუჩიჩხინა ბუხარში, რამდენიმე ნაკვერჩხალი იატაკზე დაეცა, ისევ უკან შეყარა.
– ბევრჯერ მიფიქრია, – გააგრძელა მერე, – ჩვენ შორის ერთადერთია, ვინც უკვდავებას ეზიარა-მეთქი. არა, სახელს და დიდებას არ ვგულისხმობ... უბრალოდ, ყოველ დღეს უკანასკნელივით ცხოვრობს. უკვდავებაც ალბათ ამას ნიშნავს. შენც იცი, ნებისმიერი ადამიანი ნატრობს, სიცოცხლე სამუდამოდ გაგრძელდეს, არადა, ყოველდღე ნელ-ნელა ვკვდებით, რაღაც გვაკლდება. დაინახავ ვინმე ნაცნობს და უკვე ისეთი არაა, როგორც წინა შეხვედრისას იყო... ადამიანები ყოველ საათში საკუთარი არსების რაღაც ნაწილს ვკლავთ, ვიცვლებით, ვწვალობთ, რაღაცეებს ვებრძვით და ამას შინაგან ზრდას ვეძახით, საბოლოოდ კი

მკითხველთა ლიგა

აღარაფერი რჩება არაფერი, რაც არ გაგვიუკუღმართებია, რისთვისაც არ გვიღალატია... ან მუდმივად როგორ უნდა შევინარჩუნოთ რაც წუთითაც ვერ დაგვინარჩუნებია. აი, ჰაუარდზე თუ მეტყვის ვინმე, სამუდამოდ იცოცხლებსო, ნაღდად არ გამიკვირდება.

დომინიკი ცეცხლს მიჩერებული იჯდა, ჩაფიქრებული...

_ ჩემი ახალი ნივთები როგორ მოგწონს? – დაეკითხა უცებ მელორი.

_კარგია, კარგად შეგირჩევია.

_ არ მომიყოლია, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ რა მოხდა, გადასარევი ამბავია! გეილ უაინენდმა...

_ ყველაფერი ვიცი.

_ მაინცდამაინც უაინენდმა ან სად მიპოვა, ან რატომ გამომარჩია?!

– მაგასაც გეტყვი: რინოდან როცა დავბრუნდები.

_ მართლა ჰქონია გემოვნება. იფიქრებდი? საუკეთესო რაღაცეები იყიდა.

– ხო, მაგარია... – ჩაილაპარაკა დომინიკმა და მაშინვე მოაყოლა, – ჩემზე არაფერი უკითხავს?

მელორი მიხვდა ქალი, რა თქმა უნდა, უაინენდს არ გულისხმობდა.

– არა.

– უთხარი, აქ რომ მოვდივარ ხოლმე?

– არა.

– რატომ? ჩემთვის გინდა კარგი?

– არა, იმისთვის... – იცოდა, უკვე ყველაფერი უთხრა, რისი გაგებაც დომინიკს სჭირდებოდა.

ქალი წამოდგა: „ ჩაი დავლიოთ. მითხარი, ჭიქებს სად ინახავ და მე მივხედავ ყველაფერს.”

• • •

დილაუთენია გაემგზავრა რინოში. კიტინგს ჯერ ისევ ეძინა და აღარც გაუღვიძებია, გამოუმშვიდობებლად წავიდა.

პიტერმა თვალი რომ გაახილა, უკვე იცოდა, მარტო დარჩა სახლში გამეფებულმა სხვანაირმა სიჩუმემ მიახვედრა. იფიქრა, ალბათ უნდა ვთქვა, მეშველაო, მაგრამ არც უთქვამს და, სინამდვილეში ვერც ვერავითარ შვებას გრძნობდა. უბრალოდ, ერთი უმისამართო ფრაზა აეკვიატა აზრი არა აქვს” – ოღონდ საკუთარ თავს მიმართავდა თუ დომინიკს, ეს ვეღარ გაერკვია. მარტო იყო და ამიტომ თამაშიც არ სჭირდებოდა. ზურგზე იწვა, ცალი ხელი უღონოდ გადმოეკიდა საწოლიდან. დამცირებული კაცის სახე ედო და თვალებშიც აზრი გაჰქრობოდა. აღსასრულის განცდა დაუფლებოდა, თუმცა არა დომინიკის დაკარგვის გამო...

წამოდგა და ჩაიცვა. აბაზანაში გავიდა. დომინიკს ერთი პირსახოცი დარჩენოდა. აიღო, სახე ჩარგო შიგ. დიდხანს იდგა ასე. ტკივილს არ გრძნობდა, საერთოდ ვერ არქმევდა სახელს იმას, რაც მის თავს ხდებოდა; ერთ რამეში იყო მხოლოდ დარწმუნებული, ორჯერ უყვარდა ქალი _ ერთხელ, როცა თუიმ აურია თავგზა ტელეფონის ერთი ზარით, და ახლა. მერე თითები გაშალა, პირსახოცი იატაკზე დააგდო.

ოფისში მივიდა და მთელი დღე ჩვეულებრივად იმუშავა. მისი განქორწინების ამბავი არც არავინ იცოდა და არც მას გასჩენია სურვილი, ვინმესთვის გაემხილა. კაბინეტში ნილ დიუმონმა შემოიჭყიტა: "რაღაც ხასიათზე ვერ ხარ!” პიტერმა მხრები აიჩეჩა და ზურგი შეაქცია. დღეს დიუმონის დანახვა არ შეეძლო.

მკითხველთა ლიგა

სამსახურიდან ადრე წამოვიდა. რაღაც ბუნდოვანი ინსტინქტი ატარებდა ქუჩაში, შიმშილივით. მერე მიხვდა, რა სჭირდებოდა ყველაზე მეტად: ელზუერთ თუი უნდა ენახა აუცილებლად რადაც არ უნდა დასჯდომოდა.

შინ მიადგა თუის და კმაყოფილიც დარჩა საკუთარი თავით როგორც ჩანს, იმან ვერაფერი შეატყო.

– მობრძანდი, პიტერ, – ჩვეულებისამებრ, გულითადად შეეგება მასპინძელი, – შესაშური ალღო გაქვს. ასეთი დატვირთული საღამო, კარგა ხანია, არა მქონია. შემჭამეს... მაგრამ შენ ნუ იდარდებ, აბა, რისი მეგობრები ვართ?! ჩამოჯექი, მეც ახლავე მოვალ.

– ბოდიშს გიხდი, ელზუერთ. მაგრამ... მოკლედ, დღესვე უნდა მენახე.

- რამე დაისხი და ნუ მებოდიშები, ცოტა ხანს ყურადღებას ნუ მომაქცევ.

კიტინგი სკამზე ჩამოჯდა. თუი საქმეს მიუბრუნდა რაღაც ამონაბეჭდს კითხულობდა და თან ფანქრით ასწორებდა შიგადაშიგ. ცოტა ხანში ფანქრის წვერის წათლა დასჭირდა და ნერვებად ქცეულ კიტინგს ისე აებურძგლა კანი, თითქოს ლურსმანს გამოდებული ელექტროხერხის ხრჭიალი გაიგონაო.

ნახევარ საათში თუიმ ფურცლები გვერდზე მისწია და სტუმარს გაუღიმა.

“ესეც ასე” მოიფშვნიტა ხელები. კიტინგი წამოიწია, ადგომა დააპირა. ” იჯექი, იჯექი, “ შეაჩერა თუიმ, _ ერთი დასარეკიც დამრჩა და..."

გას უების ნომერი აკრიფა. "გაუმარჯოს, გას!” – მხიარულად მიესალმა თუი, “ როგორა ხარ, შე პრეზერვატივების მოარულო რეკლამავ, შენა?“

თუისგან მსგავსი იუმორი კიტინგს ეუცხოვა. არ ეგონა, ეს კაცი ვინმესთან ასე შეხუმრებული თუ შეიძლებოდა ყოფილიყო.

გასი რაღაცას ყაყანებდა პასუხად, სავარძელში სანახევროდ გადაწოლილი თუი კი გაღიმებული უსმენდა. "ჰო, ჰო...” – ჩაურთავდა ხოლმე, – "გასაგებია... სიტყვა სიტყვაა... წყალი არ გაუვა..." – სავარძელში გადაითხლაშა, ცალი ფეხი წინ გაიშვირა და პრიალა, წვეტიანცხვირიანი ფეხსაცმელი საწერი მაგიდის კიდეზე ჩამოდო. "მისმინე, ბებერ ბასეტს ცოტა ხანი მიეფერე, შენი პროექტი მოეწონა, მაგრამ თავიდანვე ნუ დაახრჩობ... არსად არ გვეჩქარება, შენებურად ნუ ავარდები, ცოტა თავი შეიკავე.. რატო გეუბნები და იმიტომ... მე მაინც გიცნობ... კარგი... ეგ უკვე საქმეა... მართლა ეგრე თქვა? გეუბნები, ნეტარია-მეთქი, ამქვეყნის არაა... მორჩი ახლა, მეჩქარება. ეგ ვიცი... შენ ის თუ იცი, ბრიტანელი ლედისა და ფოსტალიონის ამბავი?..” მერე ანეკდოტის მოყოლა დაიწყო. ყურმილში გას უების ხარხარი მოისმა. თუიმ ყურმილი დადო.

"აბა, გისმენ, პიტერ!" – სავარძლიდან წამოდგა, კიტინგს მიუახლოვდა, წინ გაუჩერდა და ეშმაკური ღიმილით მიაჩერდა, – "მოხდა რამე? მთელი სამყარო შენ აგიმხედრდა?"

კიტინგმა გულის ჯიბიდან უკვე დაჭმუჭნული, ხელში ათასჯერ ნატრიალები ყვითელი ჩეკი ამოიღო. ზედ მისი ხელმოწერა იყო ათი ათასი დოლარი მისტერ ელზუერთ მ. თუისთვის. ოღონდ ფურცელი მეცენატივით კი არა, მათხოვარივით გაუწოდა.

_ ელზუერთ, უარი არ მითხრა... აი... გთხოვ... რამე კეთილი საქმისთვის... რასაც საჭიროდ ჩათვლი... შენ უკეთესად იცი...

თუის აშკარად ნასიამოვნები სახე ჰქონდა, თუმცა ჩეკი მაინც ფრთხილად, ორი თითით გამოართვა და დაუდევრად დააგდო საწერ მაგიდაზე.

_ გმადლობ, პიტერ. იშვიათი სულგრძელობაა. მაინც, რას მივაწერო?

– გახსოვს, ერთხელ მითხარი სხვებს თუ ვეხმარებით, მნიშვნელობაც არა აქვს, ვინ ვართ და რას ვსაქმიანობთო? მართლა ეგ არის მთავარი? ეგაა სიკეთე?

მკითხველთა ლიგა

– ერთხელ კი არა, მილიონჯერ მაქვს ნათქვამი.
– და მაგ სიტყვების სიმართლისა გჯერა?
– მჯერა, რა თქმა უნდა... ოღონდ სამაგისოდ კაცობა უნდა გეყოს.
– შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ? ერთადერთი, მეტი არც მყავს არავინ. საკუთარი თავის მეც არ მესმის, აი, შენ კი ბოლომდე მიგებ. ასეა, ელზი?
– ცხადია. ეგაა მთავარი. ეგ უფრო დიდი ფასეულობაა, ვიდრე საკუთარ თავთან მეგობრობა ცოტა უცნაური მოსაზრება კია, მაგრამ დამიჯერე, სავსებით სარწმუნო.
– შენ ყველაფერი გესმის, სხვას არავის... და თან ჩემს მხარეზე ხარ.
– ბოლომდე. ოღონდ, ეგ როცა მცალია ხოლმე.
– ხო, მაპატიე...
– კარგი რა, ხუმრობასაც ვეღარ ხვდები? მაინც რა გჭირს, რა გაწუხებს მუცლის გვრემა თუ სულით ობლობა?
– ელზუერთ...
– გისმენ!
– არა, არ შემიძლია, ვერ გეტყვი. შენც კი ვერ გეტყვი.
– პიტერ! მგონი, ლაჩარიც ყოფილხარ!
კიტინგი უსასოო მზერით შესცქეროდა, ისეთი ხმით უთხრა ეს სიტყვები თუიმ, ვერ მიხვდა, ტკივილი უნდა ეგრძნო, წყენა თუ კიდევ უფრო მეტი ნდობა მის მიმართ...
– იმის სათქმელად მოხვედი მნიშვნელობა არა აქვს, კაცი რას აკეთებსო და მერე იმის გამხელას ვერ ბედავ, რაც ჩაგიდენია?! რა გემართება? ცოტა ხანს მაინც დაივიწყე ეგ შენი პაწაწინა ეგო და მცირეოდენი ვაჟკაცობაც გამოიჩინე. შენ რა, მართლა განსაკუთრებული ვინმე გგონია საკუთარი თავი?
– არაფერიც არა მგონია! ეს "ეგო" რა შუაშია, ელზუერთ? სიმართლე გითხრა, არც მინდა, რამე განსაკუთრებულს წარმოვადგენდე.
– ეს ფული საიდან?
– დომინიკი გავყიდე.
– რას გულისხმობ? იახტით გასეირნებას?
_ რინოში გაემგზავრა.
– რააა?!
ვერ მიხვდა, რამ გააცოფა თუი, თან ისეთი დაქანცული იყო, ზედმეტი ტვინის ჭყლეტის თავიც აღარ ჰქონდა... მაინც ყველაფერი უამბო, დაწვრილებით.
– მართლა სულ გამოშტერებულხარ! მაგას როგორ დათანხმდი!
– რა უნდა მექნა? უაინენდთან რა გამივიდოდა?
– საკუთარი ცოლი სხვისთვის არ უნდა გაგეტანებინა ცოლად!
– რატომ, ელზუერთ? ეს არ ჯობია...
– რას ვიფიქრებდი, უაინენდი თუ... ეტყობა, შენზე ნაკლები ბრიყვი არც მე ვარ!
– დომინიკისთვის მართლა უკეთესია...
– ჯანდაბას შენი დომინიკი! მე უაინენდის დარდი მაქვს.
– ელზუერთ, რა მოგივიდა?.. შენთვის საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს...
– გაჩუმდი ერთ წამს! ცოტა ხანს მაცალე...
თუი უცებვე მოვიდა აზრზე, გვერდით ჩამოუჯდა კიტინგს და მხარზე გადახვია ხელი.
- მაპატიე, პიტერ. ბოდიშს გიხდი. ცოტა უხეშად გამომივიდა. ვხვდები, რასაც გრძნობ, ოღონდ ძალიან გულთანაც ნუ მიიტან ყველაფერს ეშველება... – დაზეპირებულივით ლაპარაკობდა, ფიქრით კი სხვაგან იყო, თუმცა კიტინგი ამას ვერც ამჩნევდა, თუის სიტყვები მალამოდ ედებოდა

მკითხველთა ლიგა

გულზე, – არა უშავს, ადამიანები ვართ ყველანი და სხვა არც გვინდა არაფერი, ვინ იტყვის, ვინ უკეთესია ჩვენ შორის და ვინ უარესი... ვის აქვს უფლება, პირველმა გვესროლოს ქვა! ერთი ვართ ყველა, და ძალიანაც კარგი, ამისთვისაც ღმერთს მადლობა!

• • •

_ ღმერთო ჩემო! – შეიცხადა ალვა სკარეტმა, – არ არსებობს! თან ვინ დომინიკ ფრენკონი!

_ აუცილებლად ეგრე იქნება, – თქვა თუიმ, – როგორც კი დაბრუნდება.

სკარეტი ჯერ იმან გააკვირვა, თუის ჩემი სადილად დაპატიჟება რამ მოაფიქრაო, თუმცა ახალი ამბის გაგონებამ ხომ სულ აუბნია თავგზა.

– დომინიკი ძალიან მომწონს, – სკარეტმა თეფში გვერდზე მისწია, მთლად გაუქრა მადა, – ყოველთვის მომწონდა. მაგრამ მისის გეილ უაინენდის ამპლუაში!..

– ჩემს გულში ზიხარ, – მხარი აუბა თუიმ.

– არა, ცოლის შერთვას ყოველთვის ვურჩევდი. ხანდახან გშველის კაცს. მიწაზე დაშვებაში გეხმარება. ვფიქრობდი, გეილსაც არ აწყენს-მეთქი. ოღონდ, რას წარმოვიდგენდი, თუ დომინიკს...

– მაინც რას ხედავ ამ ქორწინებაში ასეთ წარმოუდგენელს?

– რა ვიცი... რაღაცნაირად... არასწორია ეს ყველაფერი!

– მართალი ხარ, მეც მასე ვფიქრობ.

– სხვანაირი ქალია, სახიფათო.

– ეგრეა. ოღონდ ბოლომდე გულწრფელი მაინც არა ხარ შენ უფრო იმას ფიქრობ, უაინენდია საშიში კაციო.

– ხო... ალბათ.

– ჩემო უსაყვარლესო რედაქტორო, ნამდვილად უსიტყვოდ გესმის ჩემი! მე და შენ ძალიან ბევრი გვაქვს საერთო თუმცა ამის აღიარება გიჭირს... სათქმელი ერთი გვაქვს, თუმცა სხვადასხვანაირად ვამბობთ... აი, ჩვენი ძვირფასი ბოსი კი სულ რაღაც უცნაურად ჭიკჭიკებს წინასწარ ვერ მიხვდები, როდის რას გამოაგდებს! ამიტომ ბოლომდეც ვერ ენდობი კაცი. ამდენი წელი გაატარე მის გვერდით, კარგად გესმის, რასაც ვგულისხმობ. არც მის დომინიკ ფრენკონია ჩვენიანი. ამიტომაც არ გინდა, ჩვენი ბოსის ცხოვრებაში შემოიჭრას. აუცილებლად მოახდენს გავლენას, თანაც დიდ გავლენას. კიდევ უფრო გასაგებად გინდა, ჩამოვაყალიბო სათქმელი?

– ეშმაკი კაცი ხარ, ელზუერთ, – ჩაილაპარაკა სკარეტმა.

– ამდენი წელია, მიცნობ, ახლა მიხვდი მაგას?

– მე დაველაპარაკები. შენ არ გინდა ბოდიში, მაგრამ შენს პირდაპირობას ვერ იტანს. თუმცა, ან ჩემს ლაპარაკს რა აზრი აქვს?! გეილმა თუ რამე ჩაიდო თავში...

– თუ გინდა, სცადე. მაგრამ აზრი არ ექნება. ამ ქორწინებას ვერ გადავათქმევინებთ... ეს ერთი კარგი თვისება ნამდვილად მაქვს როცა სხვა გზა არ რჩება, დამარცხებას ვაღიარებ ხოლმე.

– მაშინ აბა, რატომ...

_ შენ რატომ გითხარი? ექსკლუზიური სენსაცია, ალვა. შენზე უკეთესს ვის გავუმხელდი.

– ამას დაგიფასებ, ეჭვი არ შეგეპაროს.

– ძალა ერთობაშია.

– რას გულისხმობ?

– ძნელი დროება დგება, ჩემო კარგო. აჯობებს, მე და შენ ერთად ვიყოთ.

– რა თქმა უნდა, ელზუერთ. ყოველთვის ასე არ იყო?!

მკითხველთა ლიგა

– და იმის ნიშნად, როგორ ვუგებთ ერთმანეთს, რას იტყოდი ჯიმი კირნსის თავიდან მოშორებაზე გვეფიქრა?
– გატყობდი, რა ხანია, მაგის გაკეთებას ცდილობ. რითი არ მოგწონს? ჭკვიანი ბიჭია, მთელ ქალაქში საუკეთესო თეატრალური კრიტიკოსი, გონებაც უჭრის და კალამიც... შორს წავა.
– ჭკვიანია, კი სათავისოდ. იმედისმომცემების იმედზე ყოფნა კი არაფრად გვარგია. აჯობებს, ცოტა სიფრთხილე გამოვიჩინოთ, თავიდანვე.
– და იმის ადგილზე ვინ დავსვათ?
– ჯულზ ფაულერი.
– კაი, თუ ძმა ხარ!
– რატომაც არა.
– ეგ ბებერი ნაბიჭვარი?.. არ გამოვა ეგ ამბავი.
– გამოვა, თუ მოინდომებ. რა დაუდგება წინ.
– სასაცილოდ აგვიგდებენ, არ იცი, რასაც ლაპარაკობენ ფაულერზე...
– კარგი, ძალას არ გატან. სხვა დროს ვილაპარაკოთ. ოღონდ, ჯიმი კირნსი მართლა უნდა მოვიშოროთ თავიდან.
- ხომ იცი, ელზუერთ, ამოჩემებული ფავორიტები არ მყავს. ჩემთვის ყველა ერთია. რადგან ასე ამბობ, გავუშვათ ჯიმი. ოღონდ ვერ ვხვდები, ან ეს რას მოგვცემს და საერთოდ, რა ქსელს ხლართავ?
– ახლა არ გესმის, – დაეთანხმა თუი, – მალე გაიგებ.

• • •

_ გეილ, ხომ იცი, მინდა ბედნიერი იყო, – ამბობდა უაინენდის კაბინეტში, სავარძელში მჯდარი ალვა სკარეტი, – ვიცი, ეჭვი არ გეპარება. სხვაზე არც ვფიქრობ არაფერზე.
უაინენდი დივანზე იწვა, ეწეოდა და უხმოდ უსმენდა.
– დომინიკს ასი წელია, ვიცნობ, – გააგრძელა სკარეტმა, – იქამდე სანამ შენ საერთოდ მის არსებობას გაიგებდი. და ძალიან მიყვარს, ღვიძლი შვილივით. მაგრამ დამეთანხმე, ეგ იმ ყაიდის ქალი არაა, ვის ხილვასაც მისის გეილ უაინენდის როლში ისურვებდა საზოგადოება...
უაინენდი ხმას არ იღებდა.
- შენი ცოლი, გეილ, უკვე თავისთავად ხდება საჯარო ფიგურა, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი საკუთრება. მკითხველებს უფლებაცა აქვთ, რაღაც-რაღაცეები მოითხოვონ და რაღაცეებს ელოდნენ კიდეც, გარკვეულ სიმბოლურ ღირებულებებს ხომ გესმის, რასაც ვამბობ! აი, მაგალითად როგორც ინგლისის დედოფლისგან... დომინიკისგან როგორ წარმოგიდგენია ეს ? მაგისთანა თავნება და გადარეული ცხოვრებაში არავინ შემხვედრია, არ გეწყინოს და, რეპუტაციითაც ვერ დაიკვეხნის. ყველაზე უარესი კი დაფიქრდი, გეილ! – ეს განქორწინებაა! არადა, ჩვენს გაზეთებში ტონობით ქაღალდს ვხარჯავთ ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დამცველ სტატიებზე! როგორ გინდა, ეს ყველაფერი ხალხს გადააყლაპო? ან მე რანაირად შევფუთო მთელი ეს ამბავი!
– არ გეჩვენება, რომ მონოლოგი გაგიგრძელდა, ალვა?
– შენ იცი, გეილ... – მორჩილად ჩაილაპარაკა სკარეტმა.
მერე გაყუჩდა, გაიბუტასავით. თან სახეზე ეტყობოდა, გამალებით ფიქრობდა რაღაცას.
– მივხვდი, გეილ! – უცებ წამოიყვირა გახარებულმა, – დომინიკს ისევ დავაბრუნებთ გაზეთში და ახალ რუბრიკას ჩავაბარებთ, სრულიად განსხვავებულს, ვთქვათ, ოჯახზე. ხომ გესმის დიასახლისის რჩევები, სამზარეულო, ბავშვები... ამით ცოტა მაინც განვმუხტავთ ყველაფერს:

მკითხველთა ლიგა

ოჯახის ქალის იმიჯი შეექმნება და ახალგაზრდობის შეცდომებსაც უცებ დაუვიწყებენ. მთავარია, ქალებმა აპატიონ. სათაურიც მოფიქრებული მაქვს ”მისის გეილ უაინენდის კერა.“ ფოტოებსაც გავუშვებთ: წინსაფრიანი დომინიკი გაზქურასთან...

– ახლა მოკეტე, ალვა, თორემ ცხვირს მოგინგრევ, – ხაზგასმულად მშვიდად თქვა უაინენდმა.

– კარგი, გეილ. – სკარეტმა წამოდგომა დააპირა.

– მანდ იჯექი. ჯერ არ დამიმთავრებია.

სკარეტი ისევ მორჩილად ჩაეშვა სავარძელში.

_ ხვალ დილით, – დაიწყო უაინენდმა, – ყველა ჩვენს გაზეთს ცალ-ცალკე დაუკავშირდები, ეტყვი, არქივებში ჩაიხედონ და მოძებნონ, დომინიკ ფრენკონის რამე ფოტო თუ აქვთ მის ძველ რუბრიკასთან დაკავშირებით. მერე ეტყვი, ყველა ეს ფოტო გაანადგურონ. გააფრთხილებ, ამიერიდან მისი სახელის ნებისმიერი მოხსენიება, ან მისი ფოტოს გამოქვეყნება რომელიმე ჩემს კუთვნილ გაზეთში, მთელ სარედაქციო შტატს სამსახურის დაკარგვად დაუჯდება. როცა ამის დრო მოვა, ჩვენს ყველა გაზეთში დააბეჭდინებ განცხადებას ჩემი ქორწინების თაობაზე. ამას ვერ გავექცევით. განცხადება მოკლე იქნება და არანაირი კომენტარი, არანაირი წიაღსვლები, არანაირი ფოტოები გასაგებია? თუ რამე სხვანაირად იქნა, ბევრი დაკარგავს სამსახურს, მათ შორის შენც.

– არავითარი წიაღსვლები... ქორწილს როდის აპირებ?

– არავითარი-მეთქი, ალვა!

– კი მაგრამ, სხვა გაზეთები...

– სხვა გაზეთები სულ ფეხებზე მკიდია.

– და მაინც, რატომ, გეილ?!

– შენ მაგას ვერ გაიგებ.

• • •

დომინიკი ფანჯარასთან იჯდა, მატარებლის ბორბლების ხმაურს მიყურადებული. ოჰაიოს საღამოს პეიზაჟს გასცქეროდა. თავი უკან გადაეგდო და ხელებიც უღონოდ ეწყო სავარძელზე. თითქოს ვაგონის ნაწილად ქცეულიყო და ორთქლმავალი მასაც ისევე მიაქანებდა წინ, როგორც მთელ შემადგენლობას... კუპეში თანდათან ჩამობნელდა, თუმცა შუქის ანთება არც უფიქრია. ერთიანად გამოცარიელებულად გრძნობდა თავს, ტკივილის გარეშე, მაგრამ სრულიად პიროვნებადაკარგული, ყველაფრისადმი გულგრილი.

მატარებელმა სვლა შეანელა. კლეიტონი გაიელვა წარწერამ სადგურის შენობაზე. იცოდა, რატომ აირჩია ეს მატარებელი და არა უფრო სწრაფი; გულდასმით რატომ შეისწავლა ყველა გაჩერება, იმის მიუხედავად, არც ერთი სადგურის სახელი არაფერს რომ არ ეუბნებოდა. სწრაფად დასწვდა ჩანთას, პალტოს, ქუდს და გაიქცა. ჩაცმის დრო არ ჰქონდა, თითქოს ეშინოდა მატარებელი, როგორც საკუთარ უსულო ნაწილს, კვლავაც თან გამიყოლებსო... ვაგონის ვიწრო დერეფანი ჩაათავა და კიბის საფეხურები ჩაირბინა, ბაქანზე გამოსულს შიშველ კისერზე დაეძგერა ზამთრის სუსხი. გაჩერდა, სადგურის შენობას მიაჩერდა, გაიგონა,

ზურგს უკან როგორ შეჯანჯღარდა და მძიმედ დაიძრა მატარებელი.

მაშინღა ჩაიცვა პალტო და ქუდიც დაიხურა, მერე სადგურის მოსაცდელში შევიდა, საღეჭი რეზინით მოფენილი ჩახუთული დარბაზი გაიარა და მოედანზე გამოვიდა.

მკითხველთა ლიგა

მზე უკვე სახლების სახურავებს უკან ჩადიოდა... აქ ახალ სავაჭრო ცენტრს სად აშენებენ? – ჰკითხა ვიღაც გამვლელს.
მერე აუჩქარებლად მიუყვებოდა ჩაბნელებულ ქუჩებს, იშვიათი გამვლელები გაოცებული უყურებდნენ, როგორც ვიღაც უცხოელ, მდიდარ და მომხიბლავ ქალბატონს. თვითონაც შეამჩნია ეს და გაუკვირდა. უნდოდა, ყველასთვის ეთქვა, როგორ არ გესმით, მე აქ თქვენზე უფრო შინაურად ვიქნებიო... ხანდახან ჩერდებოდა ხოლმე, ცოტა ხნით, და თვალებს ხუჭავდა სუნთქვა ეკვროდა.
მთავარ ქუჩაზე გამოვიდა და კიდევ უფრო შეანელა ნაბიჯი, ლამპიონები ალაგ-ალაგ ენთო, კინოთეატრთან მანქანები დიაგონალურად მიეყენებინათ. დაძაბული მიაბიჯებდა, გაფაციცებული.
მერე მშენებლობის ადგილსაც მიადგა თუკი გვიანობამდე მუშაობდნენ, ისიც იქ დაუხვდებოდა, მაგრამ იმ საღამოს არც უნდოდა მისი ნახვა, მარტო ამ ადგილის პოვნა სურდა და დაწყებული შენობისთვის თვალის შევლება. ახლა მეტისთვის მზად არ იყო, ერჩია, დანარჩენი ხვალისთვის გადაედო. თუმცა, უკან გაბრუნება მაინც ვერ მოახერხა. მერე რორკიც დაინახა ხარაჩოდან ჩამოვიდა და ქუჩისკენ გამოემართა. თავშიშველი იყო. პალტოგაღელილი.
ნაბიჯი შეანელა, ქალისკენ გამოიხედა, ქალი ხედავდა ასე ნაცნობ, ღია ფერის, კრიალა თვალებს და ფორთოხლისფერ თმას. ცოტა გაუკვირდა, რა გამალებული გამოეშურა მისკენ რორკი, იდაყვზე ხელი მოკიდა და მგონი, ჯობია ჩამოჯდეო, უთხრა.
მაშინღა მიხვდა, მუხლები ეკვეთებოდა... რორკმა ჩანთა გამოართვა, ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა და რომელიღაც მიტოვებული სახლის პარმაღზე ჩამოსვა. ქალი ზურგით მიეყრდნო ჩაკეტილ კარს, რორკიც გვერდით ჩამოუჯდა. თან ისევ იდაყვზე ეკიდა ხელი. კი არ ეფერებოდა, უბრალოდ თითქოს ასე უნარჩუნებდა წონასწორობას ორივეს- ქალსაც და საკუთარ თავსაც.
ცოტა ხანში მაინც უშვა ხელი. ქალმაც ხმა ამოიღო:
– ეს არის შენი ახალი სამუშაო?
– კი, ეგრეა. სადგურიდან ფეხით მოხვედი?
ქალმა თავი დაუქნია.
– დიდი გზაა.
– ერთმანეთს არც მივსალმებივართ, – გაიფიქრა უცებ დომინიკმა და მაინცდამაინც არც გაჰკვირვებია ეს ამბავი: ყველაფერი დიდი ხნის უნახავთა შეხვედრას კი არა, უფრო რაღაც ისეთის ერთ ეპიზოდს ჰგავდა, რაც საერთოდ არც შეწყვეტილა არასდროს, უცნაურადაც კი მოეჩვენებოდა, რორკისთვის ახლა გამარჯობა რომ ეთქვა. განა ვინ ესალმება საკუთარ თავს?!
– დილით რომელზე ადექი? – ჰკითხა რორკს.
– შვიდზე.
– მე მაშინ ჯერ ნიუ-იორკში ვიყავი, ტაქსიში ვიჯექი და სადგურში მივდიოდი... და სად ისაუზმე?
– აქვე. ვაგონშია სასადილო.
– სადღეღამისო?
– კი. ძირითადად, მძღოლებისთვის.
– ხშირად დადიხარ?
– როცა ყავის დალევა მინდება.
– დახლთან ზიხარ, ირგვლივ ხალხი ირევა. ყველა შენ გიყურებს...
– დახლთანაც ვზივარ, თუ დრო მაქვს. ხალხიც ირევა. ოღონდ არა მგონია, მაინცდამაინც მე მიყურებდნენ.

მკითხველთა ლიგა

– და მერე? მშენებლობაზე მიდიხარ?
თავი დაუქნია.
_ ყოველდღე, ფეხით? ამ ვიწრო ქუჩებით, ამ სახლებთან? ვინმეს რომ მოუნდეს, პირდაპირ ფანჯრიდან მოგწვდება ხელით...
– აქ ფანჯრებთან ჯდომა დიდად არავის უყვარს.
ქუჩის გადაღმა მშენებლობა მოჩანდა. მოფუსფუსე მუშები. მაღალი, ლითონის ბოძები.
– გავიგე, ბოლო ორ წელიწადში ორჯერ მოგიწია სოფელში სახლების აშენება.
– ჰო, ერთხელ პენსილვანიაში და ერთხელაც ბოსტონის მახლობლად.
– საინტერესო საქმე იყო?
– იაფიანი. თუ ეგ გაინტერესებს. თუმცა, მართლა საინტერესო.
– აქ რამდენ ხანს დარჩები?
– კიდევ ერთი თვე.
– ღამღამობით რატომ მუშაობთ?
– დროში ვიწვებით.
– რორკ, ეს შენთვის კიდევ ერთი ახალი ქვის სამტეხლოა.
რორკს გაეღიმა:
– თუკი ეგრე ფიქრობ... ოღონდ, მე მგონი, ცდები.
– "ენრაიტ-ჰაუსის" მერე...
– ეგ სხვა ამბავია...
– მაინც?
– მიყვარს ეს საქმე. ყველა შენობა ადამიანს ჰგავს. თავისთავადია და განუმეორებელი.
რორკი სრულებით არ შეცვლილიყო. ძველებური სიმსუბუქე შერჩენოდა, უწინდელი თავისუფლება. მოძრაობაშიც, ქმედებაშიც, აზროვნებაშიც.
– მთელი დარჩენილი ცხოვრება სულ ეს ხუთსართულიანი სახლები უნდა აშენო?
– ვნახოთ.
– რას ელოდები?
– არაფერს.
ქალმა თვალები დახუჭა. თუმცა, ტუჩებს ვერაფერი მოუხერხა - სიმწრით, სიბრაზითა და ტკივილით დაეღრიჯა.
– რორკ, არ დაგიმალავ, ნიუ-იორკში შენ სანახავად არ მოვიდოდი.
– ვიცი.
_ მაგრამ ეს მიყრუებული ადგილი აუცილებლად უნდა მენახა.
– უკან როდის ბრუნდები?
– რა იცი, რომ დარჩენას არ ვაპირებ?
– ვიცი, ვაგონში მოწყობილი სასადილოსი და აქაური ფანჯრების ისე გეშინია...
_ აქედან ნიუ-იორკში არ მივდივარ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც:
– აბა?
_ შენ ჩემთვის არაფერი გიკითხავს, რორკ. მარტო იმან დაგაინტერესა, სადგურიდან ფეხით მოვედი თუ არა.
_ რა გინდა, რომ გკითხო?
– მატარებლიდან იმიტომ ჩამოვედი, სადგურის წარწერას მოვკარი თვალი! – ქალი დაღლილი ხმით ლაპარაკობდა, – შენს ნახვას არ ვაპირებდი, რინოში მივდიოდი.
– და მერე?
– მერე მეორედ გავთხოვდები.

მკითხველთა ლიგა

– შენს ახალ საქმროს ვიცნობ?
– სახელი ნამდვილად გაგონილი გაქვს. გეილ უაინენდი.
ქალი რორკის თვალებს ხედავდა და იფიქრა, ახლა კი მართლა სიცილი ამიტყდებაო როგორც იქნა, ხომ მოახერხა და ერთხელ მაინც გაოგნებული დატოვა რორკი! თუმცა, ცხადია, არ გაუცინია და არც გაღიმებია. რორკს კი ჰენრი კამერონი გაახსენდა, მისი ნათქვამი: "მე მათთვის პასუხი არა მაქვს, ჰაუარდ. შენ გტოვებ იმათ პირისპირ. შენ უნდა უპასუხო ყველას. უაინენდსაც და იმის გაზეთებსაც. ყველაფერს, რაც ამ გაზეთების გამოცემას ხდის შესაძლებელს და რაც მათ მიღმა იმალება.“
– რორკ, – წყნარად თქვა ქალმა, – ეს პიტერ კიტინგის ცოლობაზე უარესია, არა?
– ბევრად უარესი.
– გინდა შემაჩერო?
– არა.
ქალმა ხელზე ხელი წაავლო, რორკს მისი ხელი არ მოუშორებია, და არც გულგრილობის გათამაშება უცდია. ქალი დაიხარა და მაჯაზე აკოცა. ქუდი მოსძვრა, კიბის საფეხურზე გაგორდა; რორკი საკუთარ მუხლებზე გაშლილ ქერა თმას დაჰყურებდა... ქალმა ერთხელაც აკოცა, მერე მეორედ, მესამედ... თვითონაც ხელში მოიმწყვდია მისი თითები, მოუჭირა, თითქოს ყველა კითხვაზე ასე გასცა უხმოდ პასუხი.
დომინიკი ქუდის ასაღებად გადაიხარა. უცებ ვერ მისწვდა. მერე აიღო, დაიხურა. წელში გასწორდა.
– ღამეს სად ათევ, რორკ?
– ოთახი მაქვს ნაქირავები.
– კარგი ოთახია?
– ჩვეულებრივი: მაგიდა, საწოლი, ორი სკამი. კედლებზე _ გახუნებული შპალერი.
– ამაღამ მატარებელში სულ მაგ ოთახზე ვიფიქრებ.
რორკმა არაფერი უპასუხა, ისევ ქუჩის გადაღმა, მშენებლობისკენ იყურებოდა.
– რორკ, – გააგრძელა ქალმა, – თუ მეტყვი, დღეს შენთან დავრჩებ,
– არა.
დომინიკმაც მზერა რორკისას გააყოლა, ხარაჩოებისკენ. ისევ თვითონ დაარღვია სიჩუმე: ”ეს შეკვეთა რანაირად მიიღე?"
– პატრონს ნიუ-იორკში ჩემი აშენებული სახლები უნახავს. მოსწონებია.
– რორკ, – თქვა ქალმა, – აქ, შენთან მინდა ცხოვრება... ბოლომდე, სულ. რაც წლები დაგვრჩენია.
რორკი დაჟინებით მიაჩერდა, ელოდა, კიდევ თუ იტყოდა რამეს.
– აქ ვიცხოვრებდი... – დომინიკს ხმაში თავდაჯერება გამოერია, – მინდა, ისევე ვიცხოვრო, როგორც შენ ცხოვრობ! ჩემს ფულს საერთოდ არ ვახლებდი ხელს სულაც ვაჩუქებდი ვინმეს, ნებისმიერს. თუნდაც სტივ მელორის, ან თუის რომელიმე ორგანიზაციას შევწირავდი, სულ ერთია. აი, რომელიმე ამისთანა სახლში დავბინავდებოდით... მე ვიდიასახლისებდი... გგონია, არ შემიძლია? საჭმელსაც გავაკეთებდი, გავრეცხავდი, იატაკს მოვხეხავდი. შენც თავს დაანებებდი არქიტექტორობას რამე სხვა საქმეს მოჰკიდებდი ხელს, უბრალოს, ჩვეულებრივს...
რორკს არ გასცინებია, დაძაბული უსმენდა, ხმის ამოუღებლად.
– ეცადე გამიგო, რორკ! გთხოვ. არ შემიძლია ამის ატანა, როცა ვხედავ, რას გიშვებიან, რას გიპირებენ! ვიცი, რა გიდევს სასწორზე შენი პიროვნება, შენი საქმე, ყველაფერს ვხვდები, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაატან. არ დაგაცლიან, ნებას არ მოგცემენ. საკუთარი ფეხით მიდიხარ

მკითხველთა ლიგა

რაღაც განსაცდელისკენ. სხვა დასასრული, უბრალოდ, არ არსებობს. შეჩერდი, სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი და ვიცხოვროთ ასე, მე და შენ. რაც გვექნება, იმას დავჯერდეთ. ერთმანეთი ვიმყოფინოთ.

აი, ახლაღა გაეცინა რორკს.

– დომინიკ, – უთხრა მშვიდად, – გამოგიტყდები, მართლა ცდუნების წინაშე დამაყენე, ცოტა ხნით მაინც. მაგრამ, მგონი, მოვერიე. ბუნებით სასტიკი ადამიანი რომ ვიყო, ალბათ დაგთანხმდებოდი, მარტო იმიტომ, რომ მენახა, რამდენ ხანში მთხოვდი თვითონ, ისევ შენს საქმეს დაუბრუნდიო.

– ხო... ალბათ...

_ უაინენდს გაჰყევი და ეცადე, კარგი ცოლობა გაუწიო. ასე აჯობებს. რასაც ახლა საკუთარ თავს უკეთებ, დაგღუპავს.

– კარგი, იქნებ... ცოტა ხანს მაინც კიდევ ვისხდეთ ასე... უბრალოდ, ვილაპარაკოთ... ვითომ ყველაფერი კარგადაა. ამდენი წლის მანძილზე, მოდი, ახლა ნახევარი საათით რაღაც ზავისმაგვარი დავდოთ. მომიყევი, როგორ ცხოვრობდი აქ, ყველაფერი, დაწვრილებით...

მერე ისხდნენ და საუბრობდნენ თვითმფრინავის იმ მგზავრებივით, ვისთვისაც, ცოტა ხნით მაინც, აღარ არსებობს დედამიწა...

ბოლოს რორკმა მაჯის საათზე დაიხედა: ”ერთ საათში დასავლეთისკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგება. სადგურამდე მიგაცილებ."

– ფეხით წავიდეთ.

– როგორც შენ იტყვი.

ქალი წამოდგა: "აბა, ესე იგი, როდემდე, რორკ?”

რორკმა ჰაერში მოატარა ხელი: „იქამდე, სანამ ყველაფერი ამის სიძულვილი არ გაგიქრება. ყველაფერი ამის შიში და სანამ რაღაცეების არშემჩნევას არ ისწავლი.”

მერე სადგურისკენ მიაბიჯებდნენ გვერდიგვერდ, დომინიკი თავიანთი ნაბიჯების ხმას უსმენდა დაცარიელებულ ქუჩაში. უკვე უყვარდა აქაურობა, ეს ქალაქი და ყველაფერი, რაც კი მისი ნაწილი იყო.

სადგურის ბაქანს ერთადერთი ნათურა ანათებდა. იდგნენ და მატარებელს ელოდნენ, მერე შორიდან ხმა გაისმა, ორთქლმავლის სინათლეც გამოჩნდა ჰაერში გამოკიდული თითქოს უძრავი, ნელ-ნელა რომ იზრდებოდა და იზრდებოდა.

როცა მატარებელი გაჩერდა, არც არაფერი უთქვამთ. უბრალოდ, იდგნენ და სახეში შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე დომინიკი ჩანთას დასწვდა და ვაგონში ავიდა. წუთის შემდეგ, მატარებელიც დაიძრა ბაქნიდან.

6

ჩაკი: *რაო, წყლის ვირთხაო? და რატომ უნდა ეგონოს ვინმეს, ამ პაწია ცხოველზე მაღლა ვდგავარ ევოლუციის კიბეზეო? სიცოცხლე ყოველ სულიერში ბუდობს, წყალსა თუ ხმელზე! ესაა სწორედ ქებათა-ქება ღვთისა. სიყვარული მიჩვენეთ და ყველა თქვენი ფილოსოფოსი წყალს და მეწყერს წაუღია! კი, მავანნი წყლის ვირთხის ბეწვს სიასამურად ასაღებენ, წარმოგიდგენიათ?! არადა, სწორედ სიცოცხლეა მთავარი გინდა იაფი ბეწვი გქონდეს და გინდა ძვირიანი...*

ჯეიკი: *(შემოვარდება) ეი, ბიჭებო - ჯორჯ ვაშინგტონის გამოსახულებიანი ერთი ზედმეტი ქაღალდი არავისა გაქვთ?*

ფარდა.

მკითხველთა ლიგა

აიკ დემსმა ხელნაწერი ტყაპანით დახურა და ხმაურით ამოახველა. ორსაათიანი ხმამაღალი კითხვის მერე ყელი გაშრობოდა. მსმენელებს მოავლო თვალი და მის მზერაში ერთდროულად გამოსჭვიოდა ირონიული დამოკიდებულება საკუთარი ნაცოდვილარის მიმართ და მუდარა იქნებ ერთი კეთილი სიტყვა მაინც შემაწიოთ ვინმემო...

იატაკზე ფეხმორთხმით მჯდარმა ელზუერთ თუიმ მადიანად დაამთქნარა; დივანზე გულდაღმა მწოლიარე გას უებმა ამოიოხრა და ახლა ზურგზე გადმოტრიალდა; ლანსელოტ კლოკი ჟამი-ჟამ უცხოეთში კორესპონდენტად რომ მუშაობდა, თავის ჭიქას დასწვდა და ბოლო, ჩარჩენილი ყლუპიც გადაკრა; ჯულზ ფაულერი "ბანერის" თეატრალური დადგმების განყოფილების ახალი მიმომხილველი, სარგადაყლაპულივით იჯდა სკამზე და ნირი არ უცვლია; მხოლოდ მასპინძლის როლში მყოფმა ლოის კუკმა ვერ შეიკავა თავი:

– ღმერთო, შენ გვიშველე! აიკ, ეს რა უბედურებაა?!

– შენი ნერვიულობა არ შეიძლება, ლოის! ის მითხარი ჯინს სად ინახავ? – გამოეხმაურა ლანსელოტი.

_ მე თუ მკითხავთ, ლიტერატურა საერთოდ დიდი უსარგებლო რამეა! ავტორები კი ჯვარს უნდა ვაცვათ პირდაპირი მნიშვნელობით..._ თავი გამოიდო გას უებმა.

აიკმა ხელნაწერი მოისროლა ბუხარში: "ასეც ვიცოდი! უბრალოდ, მეწერინება და რა ვქნა!" ეს მისი მეთვრამეტე პიესა და მეჩვიდმეტე დაუბეჭდავი ქმნილება იყო.

"ამერი კის მწერალთა საბჭოს" ეს არაფორმალური შეხვედრა ლოის კუკის ბინაზე შედგა თავად აიკის თხოვნითა და მისი ახალი ნაწარმოების საჯაროდ, ოღონდ ვიწრო წრეში წასაკითხად.

_ იქნებ თეატრს საერთოდ შეეშვა, აიკ! – ღრმააზროვნად დაეკითხა ლანსელოტ კლოკი, – და საერთოდ, უნდა გითხრა, რომ წერა სერიოზული საქმეა, დილეტანტი იოლად აქ გზას ვერ გაიკვლევს... ისიც უნდა ითქვას, თავად მისტერ ლანსელოტის წიგნი უცხოეთში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები უკვე ათი კვირა იყო, რაც ბესტსელერების სიას წინამძღვრობდა.

– მართლა თუ ასე ფიქრობ, ლანს? – რაღაც ორაზროვნად დაეკითხა თუი.

– კარგი რა, მეტრ ჯობს, მასპინძელს ყელის გასასველებელი მოატანინოთ... თქვენი სიტყვა გაჭრის! – კითხვას წაუყრუა ლანსმა.

– არა, ერთი ეს მაინც მითხარით, თუკი იბსენი წერდა პიესებს, მე რა ღმერთი მიწყრება? – რიტორიკულად იკითხა აიკმა, – ვთქვათ, ის კარგად წერდა და მე კი ცუდად გამომდის რა მერე? ესაა მთავარი?!

– ყველაფერი შედარებითია, აიკ! მაგრამ შენ მაინც... – წამოიწყო ისევ ლანსმა.

- მშვენიერი პიესაა! – გაისმა უცებ.

მშვიდი, დაყენებული ხმა იყო, ოდნავ უხალისო; მთელი საღამოს განმავლობაში ჟულზ ფაულერმა პირველად თქვა რაღაც და ახლა ყველა მისკენ მიტრიალდა. ფაულერმა თავისი ხელჯოხი შეყო ბუხარში, მუყაოსყდიანი შეკვრა მანამ გამოაგდო უკან, სანამ ცეცხლი წაეკიდებოდა.

– მაგით რა გინდა, რომ თქვა, ჯულზ? გვაშაყირებ?

– ეს ჩემი სტილი არაა და მასეთ ვულგარულ მიდგომას არც სხვას ვურჩევდი...

– ეს პიესა თუ სადმე დაიდგა, ორი ბილეთი შემინახეთ პრემიერაზე! _ მხიარულად დაიყეფა ლანსელოტ კლოკიმ.

_ ძვირი დაგიჯდება. – ისევე მშვიდად გაეპასუხა ფაულერი, – დილის სპექტაკლს დასჯერდი. გეუბნებით, ეს პიესა სეზონის მშვენებად იქცევა-

მკითხველთა ლიგა

მეთქი.
– რატომ?
– იმიტომ, რომ მე ვთქვი ასე.
ფაულერმა განაწყენებული მედიდურობით მიმოავლო თვალი იქაურობას და უცებ, ელზუერთ თუის კმაყოფილ სახესა და გამგებ მზერას გადააწყდა.
– რატომ ჩვენს საბჭოს არ შემოუერთდები, ფაულერ? _ დაეკითხა თუი.
– ბუნებით ინდივიდუალისტი ვარ, ელზუერთ. რაო, ამის საჭიროებას ხედავ?
– არა, რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაში, არა შენთვის, მე აქ რა უნდა გასწავლო.
აიკი პირდაღებული უსმენდა მათ მოკლე დიალოგს.
– რა, მართლა მოგეწონათ, მისტერ ფაულერ? – ლამის ხმა უკანკალებდა.
– ეგ სულაც არ მითქვამს. უბრალოდ, ცუდი სუნი უდის და ამიტომაც გამოდგება ბროდვეიზე დასადგმელად.
– გასაგებია.. – თუმცა რა მიხვედრა იმას უნდოდა, სრულიადაც არაფერი რომ არ იყო მისთვის გასაგები.
– ერთი ეგაა, საზიზღრად ბეჭდავთ! – თქვა ფაულერმა და ხელჯოხის წვერით გადაშალა ფურცლები.
– რა მოხდა მერე, მბეჭდავი გოგო კი არა ვარ! – ლამის იწყინა აიკმა.
– დაქირავება მოგიწევთ. თუნდაც მაგიტომ უნდა ვაქო თქვენი პიესა, საბეჭდ მანქანას მეტი ასე უდიერად აღარ მოექცეთ... ცოდვაა, ბოლოს და ბოლოს.
– კარგი რა, ჯულზი! – თავი ვეღარ შეიკავა ლანსმა, – რისთვის აპირებთ ქებათა-ქების აღვლენას?! ამ ნაგავს...
– სწორედ მაგისთვის, ჩემო კარგო, სწორედ მაგისთვის!
– ახლა, მცირეოდენი ლოგიკაც არ გვაწყენდა, ბატონო ჩემო! გინდათ, თქვათ, კარგი პიესის წერა და მერე შექება არაფერია ეგ ყველას შეუძლია და ახლა გინდათ, საწინააღმდეგო რამ გააკეთოთ?
_ ნიჭი ბუნების შეცდომაა და იმიტომაცაა იშვიათი რამ... უვარგისის გასაღება აი, ესაა ნაღდი ხელოვნება! სწორად გაგიგეთ? – წამოიძახა უცებ გას უებმა.
_ შიგ კაკალ გულში მოარტყით, გას, – თავი მძიმედ დაუქნია ფაულერმა, _ სწორედ ამით მხიბლავს ეს პროექტი.
_ ჩემს შემდეგ პიესას სწორედაც ამაზე დავწერ, – განაცხადა აიკმა, _ საუცხოო ინტელექტუალური საკითხავი გამოვა!
_ ვეჭვობ... მაგრამ მაგას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმე ისაა, ნეხვი აქციო ოქროდ, თორემ კარგი ნაწარმოების ქება, უბრალოდ, მოსაწყენიც კია. რა ჰქვია შენს ოპუსს, აიკ?
_ ტრაკზე მაკოცე, – რატომღაც უცებ მოუსხიპა აიკმა.
_ ბოდიში?!
– ასეთი სათაური აქვს და...
– აჰა-ა, ახლა გასაგებია... კარგია, მოკლე და იოლად დასამახსოვრებელი.
– რაღაც მაინც ჰქონია დადებითი! – ჩაერთო ლანს კლოკი.
– ლანს, განა შენი წიგნი სულაც ელზუერთ თუის გაქაჩული არაა? – მოუჭრა ფაულერმა.
– არც მთლად მასეა საქმე... ხალხს სპეციფიკური თვალთახედვაც აინტერესებს! არა, მე მუდამ მისტერ თუის მადლიერი დავრჩები, ოღონდ ხომ ვერაფერს გახდებოდა, წიგნსაც რომ არ ევაჟკაცა!
ამ ათიოდე თვის წინ ლანსელოტ კლოკი ზუსტად ასევე იდგა ელზუერთ

მკითხველთა ლიგა

თუის წინ, როგორც ახლა აიკი იდგა ამერიკის მწერალთა საბჭოს” სამსჯავროს წინაშე და ყურებს არ უჯერებდა, როცა მისტერ თუიმ უთხრა, შენს წიგნს ბესტსელერად ვაქცევო; მას მერე საერთოდ აღარ სჯეროდა არაფრის არც მტყუანისა და არც მართლის... უფრო სწორად, ყველაფერზე თავს აქნევდა.

– დაიცა რა, ჩემს კრებულსაც არ უქნა იგივე? – ახლა ლოის კუკმა დაიმდაბლა თავი, – მაგისთანა სისულელე ჯერ ქალს არ დაუწერია და ნახე, რა ხდება?!

– და ლამის სამუშაოს დაკარგვად დამიჯდა ეგ ამბავი, – ვითომ სხვათა შორის ჩაილაპარაკა მისტერ თუიმ.

– ლოის, ეგ იქით იყოს და სასმელებს ვის უნახავ, გყავს ვინმე ეგეთი? – სიტყვა ბანზე აუგდო ლანსმა, – თუ ჯინის აბაზანებს იღებ ხოლმე სახის კანს უხდებაო?

– კარგი, ჰო, შე ლოთო შენა! – ლოისი წამოხტა, ცარიელ ჭიქებს წამოავლო ხელი და სამზარეულოში გაუჩინარდა.

– ძმანი ჩვენნი მცირედნი უნდა გვიყვარდეს! – აღმოთქვა უცებ აიკმა, იქიდან მობრუნებული ლოისის ხელში ძვირფასი სასმელებით სავსე ლანგარი რომ დაინახა, – ესაა ჭეშმარიტება.

– მერე, დაწერე ამაზე, – ურჩია ხასიათზე მოსულმა ლანსმა, თან ტონიკში ჯინს აზავებდა.

– შანსი არაა ამაზე სწორედ მაგ პიესაში მიწერია უკვე...

– აბა, რა გიყო, კეთილო, მაშინ მართლა კარგი რამე დაწერე და დარჩები შეუმჩნეველი... დიდი-დიდი, ვინმე გააღიზიანო და ეგაა.

– დაიცათ, ჯერ ის მითხარით, ვინ გიჟი დადგამს ჩემს პიესას? – უცბად პრაქტიკულ ჭკუაზე მოვიდა აიკი.

– ეს უკვე ჩემი სადარდებელია, – თქვა თუიმ.

– მადლობაც კი არ მითქვამს ხეირიანად... – ჩაიბურტყუნა ისევ აიკმა.

– არცაა საჭირო. საქმე ისაა, რომ მე, ჩემდათავად, იბსენს ვერ ვიტან; და რა მერე? ვინმეს რომ ვუთხრა, ვერც გამიგებენ... აი, თუკი იმის მტკიცებას მოვყვები, მავანსა და იბსენს შორის არავითარი განსხვავება არაა-მეთქი, მართლა ვეღარც ვერავითარ განსხვავებას ვერ იპოვიან! უნდა დროულად და შესაფერის ადგილას იძახო, თანაც ბევრჯერ არაჩვეულებრივია, არაჩვეულებრივიო და მორჩა! თუ შენ "არაჩვეულებრივი” ხარ, იბსენი რაღააა? არც არაფერი, იგივეა.

– მრავალნი იყვნენ უკანანი წინ და წინანი უკან გადალაგდნენ... თუ რაღაც ამდაგვარი, ზუსტად არ მახსოვს! – წართქვა გასმა.

– მეტისმეტი ნაკითხობაც არ ვარგა, ჩემო თავის ტკივილი იცის...– გადაუკრა ლოისმა.

სწორედ ამ დროს ოთახში ლოისის მსახური შემოვიდა და მობოდიშებით ამცნო საზოგადოებას, პიტერ კიტინგი გვესტუმრაო.

– ვინაო? კიტინგიო? აგაშენა ღმერთმა, შემოვიდეს მერე! – მორიგი გულთბილობას საზღვარი არ ჰქონდა.

• • •

გარეთ რომ გამოვიდნენ, კიტინგი შეშფოთებული გამომეტყველებით დაეკითხა თუის:

_ შენ რა, მართლა ასე ფიქრობ?

_ რის შესახებ? განა დღეს ლიტერატურაზე ვთქვი რამე?

_ არა,შენს გუშინდელ სტატიაზე გეკითხები...

– და რაა აქ საკითხავი? შენ ის თქვი, თუ მოგეწონა?

მკითხველთა ლიგა

_ რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის... ოღონდ ისა... რაღა იმ გას უებზე გაამახვილე ყურადღება? რამდენი რამე მაქვს სწორედ ამ "მოდერნისტულ" სტილში გაკეთებული...

– კარგი რა, პიტერ არც ასეთი ბოღმიანობა ვარგა! შენზე რამდენი ვწერე და ვილაპარაკე, ახლა ერთი-ორ სხვასაც შევაწიო სიტყვა დაშავდება რამე?

• • •

რამდენიმე დღის შემდეგ, წვეულებაზე, სადაც კიტინგს უწევდა გამოსვლა, სიტყვა წარმოთქვა და ყველას გასაგონად განაცხადა შემდეგი:

„ მთელი ჩემი კარიერის მანძილზე, ერთადერთი პრინციპით ვმოქმედებდი მუდმივი განახლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველაფერში... და რაკი შენობა-ნაგებობებიც, ანუ ხუროთმოძღვრება თავისთავად, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ისიც იმავე ზოგად კანონს ემორჩილება. არასოდეს შემიქმნია რაიმე მხოლოდ საკუთარი სურვილებისა თუ გემოვნების დასაკმაყოფილებელ-გამოსახატავად; ჩემი გონება მუდამ მზად იყო დროის მოთხოვნების მისადევნებლად. დრომ კი აჩვენა, რომ ისინი, ვინც "მოდერნიზმს" ქადაგებდნენ, ისეთივე ბრმა რწმენით იყვნენ შეპყრობილნი, როგორითაც "კლასიკოსები" გამოირჩეოდნენ!

ახლა აზრად არ მომივა, ჩემი ის ქმნილებები მოვინანიო, ანტიკური ხანის მიბაძვით რომაა აღბეჭდილი, და არც იმას ვითხოვ, ჩემი მოდერნისტული პროექტები ადიდოს ერმა ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ დროის მოთხოვნის პასუხი იყო და ღრმად მწამს, რომ ჭეშმარიტი ხუროთმოძღვრის დანიშნულებაც სწორედ ესაა!"

მის ამ გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მეტად კეთილგანწყობილიც; ხოლო როცა კიტინგისთვის სთოუნრიჯის პროექტის გადაცემის ამბავი გახმაურდა, არც პროფესიულ და არც ფართო საზოგადოებრივ წრეებში საწინააღმდეგო აზრი არავის გასჩენია: პიტერ კიტინგი უკვე ლამის საიმედოობისა და გაწონასწორებული შემოქმედებითი გონების სინონიმად ქცეულიყო ყველასთვის.

მაგრამ თავად მისთვის კი ეს ტვირთი არცთუ იოლი საზიდი აღმოჩნდა: რატომღაც აღარც ძველებური ხალისი შერჩენოდა და აღარც ენერგია; არა, მისი პირადი ცხოვრების დეტალებს თითქოს არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა ამაზე თითქოს აღარც კი ფიქრობდა უკვე და ყველაფერი რაღაც გაფერმკრთალებულიყო მის შეგნებაში, ოღონდ თავად სამუშაოს მოცულობას ვეღარ აუდიოდა, გადაღლილი იყო და დასვენების საათებიც ვეღარ აძლევდა შვებას.

იქნებ ამიტომაც, საბოლოოდ მთელი საქმე, ფაქტობრივად, დიუმონსა და ბენეტს გადააბარა აბა, ახალგაზრდები კი ხართ და ახლა თქვენ იცითო... იმათაც ხელები დაიკაპიწეს და კიტინგი მხოლოდ ნახულობდა, აფასებდა, ერთ-ორ შტრიხს თუ დაუმატებდა ან მოაკლებდა მათ ნახაზებს – ეგ იყო და ეგ. გეილ უაინენდი კი საერთოდ აღარც გამოჩენილა...

დომინიკი ერთი თვის წასული იყო უკვე, გაი ფრენკონმა რომ გადადგომა ისურვა და არც არავინ იყო წინააღმდეგი. გაყრის თაობაზე რომ აცნობა კიტინგმა, არ გაჰკვირვებია, ისიც კი უთხრა: "რა ვიცი, პიტერ, ეგ ალბათ არც შენი ბრალია და არც იმისი... დაიკიდე." მეტი ეს ამბავი აღარც უხსენებია და არც თავისი გადადგომის მიზეზებზე დაუწყია ვინმესთვის ახსნა-განმარტებების მიცემა: "ვიცოდი, ეს დროც დადგებოდა. დავიღალე. ახლა პიტერის დროა." ერთი ესღა თქვა და ფეხიც აღარ შეუდგამს ოფისში.

მკითხველთა ლიგა

პიტერ კიტინგს კი პარტნიორი სჭირდებოდა, თუნდაც ფირმის სახელისთვის. ნილ დიუმონი აირჩია და ფაქტობრივად, რაც ადრე ლუციუს ჰეიერს ებარა, სწორედ ის უფლება-მოვალეობანი მიანიჭა. ახლა ფირმის აბრაზე ”პიტერ კიტინგი და ნილ დიუმონი“ ეწერა და საყოველთაო აზრით, კარგადაც ჟღერდა.

ასე რომ, სთოუნრიჯი პირველი და უკანასკნელი კონტრაქტი აღმოჩნდა, რომელსაც ფირმა ფრენკონი და კიტინგი” აწერდა ხელს...

7

უაინენდი ბაქანზე დახვდა რინოდან მატარებლით ჩამოსულ დომინიკს. დიდი რა მიხვედრა იმას უნდოდა, რომ მისი ყველა ნაბიჯი იცოდა,განქორწინების პროცესსაც აკონტროლებდა და არათუ ჩამოსვლის თარიღი, ვაგონის ნომერიც წინასწარ გაერკვია. ოღონდ ეგაა, ნაბიჯი არ წაუდგამს წინ მომავალი მეუღლისთვის შორიდან უნდოდა შეეხედა...

– დილა მშვიდობისა, გეილ.

– მშვენივრად გამოიყურები, დომინიკ.

მცირე ხანს იდგნენ ასე, ერთმანეთის პირისპირ, ოღონდ ძველებური დაძაბულობა სადღაც გამქრალიყო.

– მიყვარხარ, – რაღაცნაირად უბრალოდ, ბუნებრივად, ფაქტის აღნიშვნასავით თქვა კაცმა.

– არც მე მეგონა, შენი ნახვა თუ ასე გამახარებდა... – ასევე წყნარად, გულწრფელად უპასუხა ქალმაც.

მერე ქუჩაში გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. დომინიკს არ უკითხავს, სად მიდიოდნენ ოღონდ აპათია კი არა, ეს უფრო მინდობის, დინებას მიყოლის სურვილს ჰგავდა, როცა თავს დაცულად და თვითდაჯერებულად გრძნობ; ისიც კი ვერ შენიშნა, როგორ გადაეჭდო მისი თითები უაინენდისას, იმდენად უნებლიე ჩანდა ეს ჟესტი.

– ახლა ლიცენზიას ავიღებთ და პირდაპირ მოსამართლეს მივადგებით, – თქვა უცბად გეილმა, – იქვე დაგვაქორწინებს კიდეც.

– არა, – გაისმა უცებ. დომინიკი ხაზგასმით ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოსდა საკუთარ თავს მიმართავდა მხოლოდ, – არა, გეილ. ნამდვილი ცერემონია და ქორწილია საჭირო... მოვარაყებული მოსაწვევებით, ზღვა ხალხით, ცნობილი სახეებით, ყვავილებით, ბლიცებითა და კამერებით... სწორედ ისე უნდა იყოს, როგორც ამას გეილ უაინენდისგან მოელიან!

კაცმა ხელი უშვა ქალის თითებს; მერე მცირე ხანს იყუჩა, თითქოს რაღაცას ანგარიშობს გონებაშიო და მერეღა თქვა:

_ როგორც იტყვი. ერთი კვირა დამჭირდება. ჩემდათავად, ერთ დღეში გავმართავდი ყველაფერს, მაგრამ თუ ოფიციალურად პატიჟებ ხალხს, ერთი კვირა მაინც ხომ უნდა მისცე... ახლა სასტუმროში წაგიყვან, ეს კვირა იქ იცხოვრებ. მე კი ვვარაუდობდი, ჩემს პენტჰაუზში-მეთქი...

– არა, გეილ, "ნორდლენდში" წამიყვანე, ასე აჯობებს.

კაცი წინ გადაიხარა და მძღოლს გასძახა ნორდლენდ-ჰოტელში”, ჯონ!

• • •

მთელი კვირა აღარ უნახავთ ერთმანეთი და დომინიკს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს რაღაც დააკლდა, რაღაც ისეთი, რასაც სახელსაც ვერ დაარქმევ... მხოლოდ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა უკვე გვერდიგვერდ იდგნენ და ექვსასამდე სტუმრის წინ, სამარადჟამო

მკითხველთა ლიგა

ერთგულების ფიცს დებდნენ "ნუაიე-ბალმონის" სამეჯლისო დარბაზში.
დომინიკს გრძელი შავი კაბა ემოსა, შავი თავსაბურავითა და ზედ შავივე ბაფთით მიმაგრებული ჟასმინის ყვავილით; წესისამებრ, სმოკინგსა და პეპელა-ჰალსტუხში გამოწყობილ გეილ უაინენდს კი, უბრალოდ, აბრეშუმის გაქათქათებული ცხვირსახოცის წვერი მოუჩანდა გულის ჯიბიდან. მშვიდად იდგა, თითქოს ნეფედ კი არა, მოწმედ ყოფილიყო ამ საზეიმო თავყრილობაზე. არც რეპორტიორების შემოსევაზე შეუხრია წარბი და გაუთავებელ მილოცვებსაც ისე იღებდა, თითქოს მათ გულწრფელობას იჯერებდა კიდეც...
დომინიკს გამუდმებით ერთი ფიქრი აწვალებდა ერთხელ მაინც მოიქცეს ისე, "ბანერის" გამომცემელს რომ შეეფერება, ერთხელ მაინც დააჩნდეს თვითკმაყოფილების ღიმილი სახეზე, ერთ ვინმეს მაინც ჩამოართვას ხელი საკუთარი ღირსების ხაზგასმული შეგრძნებითო! მაგრამ არა თითქოს ყველაფერი ეს უაინენდს არც ეხებოდა, თითქოსდა, საპატივცემულო სტუმარი ყოფილიყოს მხოლოდ და ისიც იქ, სადაც მისი მიუსვლელობა არ იქნებოდა...
გაი ფრენკონი კუთხეში იდგა, განმარტოებით, და ესღა უთხრა ქალიშვილს: "ბედნიერი მინდა იყო, დომინიკ... იქნებადა, სწორედ ეს კაცი გამოდგეს საშენო..."
ბოლოს ალვა სკარეტმა გაიკვლია მისკენ გზა და ტრაფარეტული მილოცვის მაგივრად, ესღა ამოღერღა: „რატომ დომინიკ, რატომ?"
ამან იმდენად გააკვირვა, მართლა დაინტერესებულმა იკითხა: „რა რატომ, ალვა?"
– ეს ვეტოს დადება რაღა იყო?!
– რა ვეტოზე ლაპარაკობ?
– ვითომ არ იცი! მთელი ქალაქის გამოცემები, რაღაც უდღეური ცნობის ფურცლებიც კი ამ ამბითაა გადაჭრელებული ყველა და ყველაფერი, "ბანერის" გარდა! რა დაგიშავეთ?
– პირველად მესმის...
– გეილმა ჩვენს რეპორტიორებს აქ ცხვირის შემოყოფაც კი აუკრძალა! ერთი უბრალო განცხადების გარდა, ვერაფერს დავბეჭდავთ და ისიც სადღაც მეცხრამეტე გვერდზე!
– საიდან უნდა მცოდნოდა...
მერე გველნაკბენივით შეტრიალდა, მთელი დარბაზი გადაჭრა და უაინენდს დაუდგა გვერდში: "წავიდეთ, გეილ."
– როგორც შენ იტყვი, ძვირფასო.
იმ საღამოს, უაინენდის პენტჰაუზში ერთმანეთის პირისპირ რომ დარჩნენ, კაცი უხმოდ შეჰყურებდა თავის მეუღლეს, არც მიკარება უცდია, არც უკითხავს, როგორ ხარო უბრალოდ, შეჰყურებდა, როგორც რამ ახალ მოვლენას მის სამყოფელში, ნანატრს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ უცხოს...
დომინიკმა ქუდი მოიხადა, ხელის თითებით მაგიდას დაეყრდნო და უცბად მიხვდა: არავითარი ზოგადი საუბარი, არავითარი სიტყვათა თამაში ამ კაცთან არ ჭრიდა მხოლოდ იმგვარი გულახდილობა, სხვასთან რომ არაფრით გაუვიდოდა.
– მაინც მიაღწიე შენსას, გეილ. ქორწილმაც კი შენს ჭკუაზე ჩაიარა.
– თითქმის.
– მეგონა, საკუთარი თავივით გაგაწამებდი არაფერი გამომივიდა.
– არა უშავს, ცხოვრება წინაა...
– არ მეხუმრება, გეილ.
– არა, თავიდან ცოტა კი გამიჭირდა აი, მანქანაში რომ გამომიცხადე, მოულოდნელად... მაგრამ მერე თავისით აეწყო ყველაფერი. საქმეც ისაა,

მკითხველთა ლიგა

დომინიკ, რომ ერთი უპატიებელი შეცდომა მოგივიდა: ტანჯვის მიყენების თაობაზე წამოგცდა რაღაც... სრულიად გულგრილი რომ ყოფილიყავი ჩემ მიმართ, ამას აზრადაც არ გაივლებდი.

_ ეტყობა, მართალი ხარ... და იმაზეც მინდა მადლობა გითხრა, შენს გაზეთებს რომ სიტყვა არ დააცდენინე...

კაცს ჯერ გაეღიმა, მერე ჩაეცინა კიდეც: „ეს უკვე რაღაც შენს სტილში არ ზის მადლობების თქმა!"

– არც ქორწილი იყო მთლად შენს სტილში, ეგრე არაა?

– მერე რა. მთავარია, შენ ყოფილიყავი კმაყოფილი.

ქალმა ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი. „კარგი... მივემგზავრებით სადმე? თაფლობის თვეს ვიწყობთ თუ..."

– ჰოც და არაც. შენ თუ გინდა...

– არა.

– ძალიან კარგი. ჩვენისთანები სწორედ ასე უნდა მოიქცნენ. გასაქცევი და გასარიდებელი არაფერი გვჭირს.

– როგორც იტყვი, გეილ.

საწოლ ოთახში რომ შევიდნენ, იმ სახელგანთქმული შუშის კუბისგან არაფერი დარჩენილიყო ამჯერად ოთახს ერთი ფანჯარაც კი არ გააჩნდა განათებაც მხოლოდ შიდა იყო და ჰაერიც კონდიცირებული.

ქალი ლოგინზე გადაწვა და ჯვარცმულივით გაშალა მკლავები თითქოს უარს ამბობდა, ხელით შეხებოდა, თუნდაც ამით გაპასუხებოდა კაცის ვნებას... ოღონდ უაინენდის მხრიდან ამას არც განაწყენება მოჰყოლია და არც გაბრაზება. გაეღიმა კიდეც, ოღონდ არა მწარედ ისე, ალერსიანად:

"არაფერი გამოგივა, დომინიკ..." – და ქალიც მიხვდა, ვერავითარი შინაგანი წინაღობა ვერ დაიფარავდა სურვილის, ლტოლვის, ჯანმრთელი სხეულის
ინსტინქტური გაპასუხებისგან; ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი ახლა სიცოცხლის განსახიერება იყო და ქალი, თავად ქალური ბუნებიდან გამომდინარე, თავს ვერ აიძულებდა, უგრძნობელი დარჩენილიყო...

• • •

– აბა, როგორაა საქმეები? – იკითხა მისტერ თუიმ, ალვა სკარეტის სავარძელში რომ მოკალათებულიყო, შინაურულად.

– ერთი ამას შეხედე და მერე მელაპარაკე! – ამოიოხრა კაბინეტის პატრონმა და წერილების მთელ გროვაზე მიათითა, – არა, მაინც რას აპირებს, თუ იცი?! რატო სიტყვა არ დაგვაბეჭდინა საკუთარი ქორწილის თაობაზე? რაა აქ დასამალი? ხალხი გიჟსა ჰგავს ეკლესიაში მაინც რატო არ დაიწერა ჯვარიო... ან განათხოვარი როგორ შეირთო...მოკლედ, ჭკუაზე აღარაა არავინ. ეს კიდევ არათუ წერილებს არ კითხულობს, არც აინტერესებს ვინ წერს, რამდენი წერს, რას იწერებიან!

– შენ ეგ თქვი, – თავი გადააქნია თუიმ, – არადა, ამ კაცზე ამბობდნენ, საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი სეისმოგრაფიაო...

– თუ გინდა, ერთს მაინც წაგიკითხავ ამ ათასიდან, – წამოიძახა სკარეტმა და თანხმობას არც დალოდებია, ისე ამოაძრო მაგიდაზე დახვავებული, გახსნილი კონვერტებიდან ერთ-ერთი, – ა, ბატონო, ინებეთ: „მე ერთი უბრალო დიასახლისი გახლავართ, ხუთი შვილის დედა და თქვენი გაზეთის მკითხველი... მინდა ვთქვა, ვიყავი-მეთქი, რადგან ამგვარი კაცის გამოცემულ საზიზღრობას რა ამაღებინებს ხელში! ვიღაც ზნედაცემული ქალი შეირთო, არა კურთხევით ეკლესიისა და

მკითხველთა ლიგა

მაგან უნდა ბეჭდოს ოჯახური რჩევები?!” მაგ კაცმა ცოლქმრობის წმინდათაწმინდა გაგებას დაასხა თავსლაფი და სწორიც იყო, ქალს რომ შავი კაბა ეცვა ჯვრისწერაზე, თუმცა რას ვამბობ, ან ჯვრისწერა სად იყო, ან..” მოკლედ, შევედი და რაღაც ამგვარი წავუკითხე, იმას კიდევ სიცილი აუტყდა!

– იზამდა, კი.

– მერე, რა ეშმაკი შეუჩნდა?!

– პირიქით, ახლაღა გადმოანთხია, რაც სულში ჰქონდა დაგუბებული.

– კარგი ერთი! ის თუ იცი, რამდენმა გადაბეჭდა დომინიკის ის ძველი ფოტო არა, თვითონ მისი კი არა, მისი ქანდაკების აი, მთლად დედიშობილა რომაა... აქაოდა, შეხედეთ ერთი, რაოდენ გატაცებულია ხელოვნებითო. ძაღლიშვილები! ნეტა მაინც საიდან ამოჩხრიკეს?!

– აბა, მე რა ვიცი...

– კარგი, ბოლოს და ბოლოს დალაგდება ყველაფერი... აბა, სულ ასე ხომ ვერ...

– არ ვიცი, არ ვიცი... მარტო ეს რომ იყოს...

– დაიცა რა, ელზი ნუ ითარსები!

ელზუერთ თუიმ მხრები აიჩეჩა: "მე რა წერილებს ვერ ხედავ? უფრო სწორად, ამ წაუკითხავ წერილებს? მაგაშია საქმე."

– ახლა ბუზის სპილოდ გადაქცევას... დაიცა, მგონი, მართალი ხარ,ხო იცი! და ჩვენ რა ვქნათ?

– არც არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ოღონდ თუი თითქოს არ იმჩნევდა, კონვერტებს ბანქოს ქაღალდებივით ათამაშებდა ხელში.

– მისმინე, ელზი... – სკარეტმა უცებ შეიცვალა ტონი, – ისე არ გამიგო და, მართლა ბანერის“ მხარეზე ხარ?

– ჯერ ის მითხარი, როგორ უნდა გაგიგო და პასუხი ჩემზე იყოს ...

– ხანდახან ისეთ უცნაურ რამეს იტყვი ხოლმე...

– მერე?

– მოკლედ, იმ ”ახალი სამანისთვის” კიდევ წერ ხოლმე?

– ფულს მიხდიან და აბა, არ დავუწერო?!

– კარგი რა, ეგ რა ფულია!

– არც ეგრეა საქმე. თანაც, რამე რომ იყოს, პრესტიჟის ამბავიცაა... თუ მარტო თქვენთვის გინდათ ვწერო?

– ეგ არც მიფიქრია, ოღონდ... ამ ბოლო დროს მაგ ჟურნალის თაობაზე რაღაც უცნაური ხმები დადის...

– რა ხმები?

– გეილ უაინენდს უპირისპირდებიანო...

– მოგცლია ერთი! ლიბერალური მიმართულების ყველა გამოცემა ყოველთვის გეილ უაინენდს ედგა კრიჭაში დააკლეს რამე?

– არა, ელზი ეს უკვე სულ სხვა რამეა, გული მიგრძნობს!

– დევნის მანია დაგეწყო, ალვა ძვირფასო?

– დაიცა, როცა მაგის იახტებზე და ქალებზე და მუნიციპალურ არჩევნებში რაღაც მაქინაციებზე იყო ლაპარაკი, მაშინ ყურიც არ გამიბარტყუნებია, მაგრამ ახლა ისეთს გაიძახიან მუშა ხალხის სისხლის მწოველიო, მონოპოლისტიო, მაქინატორიო... ცუდი სუნი მცემს, გეილ!

– იგივეა, ოღონდ ახალი ტერმინოლოგიით... სიტყვები იცვლება მხოლოდ, აზრი იგივეა! და საერთოდ, მე რას მთხოვ, ჩემგან რა გინდა? ერთი რიგითი რუბრიკა მიმყავს მთელ გამოცემაზე ხომ ვერ ვაგებ პასუხს?!

– ეგ კი ეგრეა, ოღონდ...

მკითხველთა ლიგა

– რა ოღონდ?
_ ხმები დადის, მაგათ ელზუერთ თუი აფინანსებსო...
_ ახლა მთლად ჭკუიდან ნუ გადამიყვან, სკარეტ! რა ფულით, მერე? ეგ აღარ უთქვამთ?
– არა, საკუთარით კი არა, რონი პიკერინგი დაარწმუნა და განწირულ ჟურნალს მაგარი სისხლის გადასხმა ჩაუტარაო...
– კი, ეგრეა, და რა მერე?! მაინც კაზინოში ან გოგოებზე მიაფლანგავდა და ასე არ ჯობია?
– ის მაინც სთხოვე, გეილის სახელის წაღმა-უკუღმა ტრიალს შეეშვან.
– ალვა, „ სამანი” შენ ჩვენი "ბანერი" ხომ არ გგონია? იქ ყველას საკუთარი პრინციპები აქვს და თავსაც დადებენ... ეგეც არ იყოს, ვატყობ, შენკენ მხოლოდ ერთი ქარი უბერავს და სხვა მხრის სიოც ვერ აღწევს... მიჩელ ლეიტონთან ჩემი მოლაპარაკებების თაობაზე შენს ყურს არაფერი სმენია? ”ბანერის” წილის ყიდვას აპირებს.
– არ არსებობს!
– ეგრეა, ოღონდ ჯერ სიტყვა არავისთან დაგცდეს.
– ა-უუ, მაგის ფულებით... დაიცა, ეგ ლეიტონ-უმცროსი არაა?! უფროსი ხომ...
– კი, ისაა...
– მერე ეგ გიჟი რა იცი, რას გადაგვკიდებს?! ჯერ იოგობდა, მერე ვეგეტარიანელობდა, მერე უნიტარიანი გახდაო, ამბობდნენ, მერე ნუდისტი და ახლა სულაც მოსკოვში აპირებს რაღაცის დადგმასო... ეგღა გვაკლდა!
– დაიცა, ნუ გარეკე... მაგისთანა ცხვირმოუხოცავ ღლაპს რომ უცაბედად მილიონები დაეყრება თავზე, რაღაცეებს მიქარავს კიდეც რა მერე? გაკომუნისტებული მილიონერი გინახავს სადმე? კეთილ საქმესაც გავაკეთებინებთ და გეილ უაინენდიც ის კაცი არაა, სხვის დაკრულზე იცეკვოს... აქეთ მოარჯულებს, თუ საჭირო გახდა.
– იმან გაიგო უკვე?
_ ჯერ არა და არცაა საჭირო. პრობლემას რომ შეეჯახება, ცოტა აზრზეც მოვა. ეგრე იცის. ეგეთი ხასიათი აქვს შენ უკეთ არ მოგეხსენება? ამასობაში კი ლეიტონი დაიახლოვე, გამოგადგება.
– მაგაში კი მართალი ხარ,ხომ იცი.
– ახლა ხომ ხედავ სამანს” ლუკმას ვაშოვნინებ, „ბანერს” – სუფრას გავუშლი... ვაფუჭებ რამეს?
– მაგარი ხარ, ელზი! ჭორებს რომ აჰყვები კაცი... ცუდად გამომივიდა. მაგრამ ხომ იცი, "ნიუ-იორკ ბანერი" ჩემთვის ყველაფერია.
– მეც მაგას არ ვამბობ? "ბანერს" ენაცვალოს ჩემი თავი!

8

უკაცრიელ კუნძულზეც კი ადამიანი თითქოს მაინც რომ კონტინენტსაა მიბმული; თუმცა თავიანთ პენტჰაუსში გამოკეტილ უაინენდსა და დომინიკს ამ შენობის დანარჩენ 57 სართულთან არაფერი აკავშირებდათ და საკუთარი ბინაც ჰაერში გამოკიდული ეგონათ. ქალაქი მხოლოდ აბსტრაქციად ქცეულიყო.
ქორწილიდან ორი კვირის განმავლობაში ფეხი არსად გაუდგამთ. დომინიკს შეეძლო, ლიფტის ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ნებისმიერ დროს შეეცვალა ეს ვითარება, მაგრამ სურვილიც არ გასჩენია.
არც წინააღმდეგობის გაწევა უნდოდა, არც რამეზე ფიქრი, არც შეკითხვების დასმა. უცნაური, მისთვის სრულიად უჩვეულო სიმშვიდე

მკითხველთა ლიგა

დაუფლებოდა.
თუ ამის ხასიათზე იყო ხოლმე, უაინენდს გვერდით დაისვამდა და საათობით ესაუბრებოდა; თუ ჩუმად ყოფნა ერჩია, ისიც უხმოდ შესცქეროდა, როგორც საკუთარი გალერეის უძვირფასეს ექსპონატს. ქალის ნებისმიერ კითხვას პასუხობდა, თავად კი არასოდეს არაფერს ეკითხებოდა. აღარც საკუთარ გრძნობებზე ჩამოუგდია სიტყვა.
ორი კვირის შემდეგ უაინენდი საქმეს დაუბრუნდა, საღამოობით მოვიდოდა ხოლმე და იმ წუთიდან ქვემოთ დარჩენილი ქალაქი კვლავ წყვეტდა არსებობას. მას არც სადმე წასვლა სურდა, არც სტუმრად დაუპატიჟებია ამ ხნის მანძილზე ვინმე.
ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ ქალმა იცოდა, როგორ არ უნდოდა ქმარს მისი შინიდან გასვლა, არც მარტო და არც, თუნდაც, მასთან ერთად. ეს რაღაც უსიტყვო შეთანხმებასავით იყო და დომინიკიც ანგარიშს უწევდა კაცის ახირებას. შინ დაბრუნებული უაინენდი ეკითხებოდა ხოლმე, დღეს თუ იყავი გარეთო, მაგრამ სად იყავიო, ეს არასოდეს უკითხავს. სად ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან უაინენდს ეჭვიანობის ჭია არ ღრღნიდა. დომინიკს ფეხსაცმლის ყიდვა თუ დასჭირდებოდა, ქმარი სამი სხვადასხვა მაღაზიიდან უკვეთავდა ნიმუშებს ასარჩევად. ოღონდ ქალს თვითონ არ დასჭირვებოდა მაღაზიებში სიარული. როცა რამე ახალი ფილმით დაინტერესდებოდა, უაინენდი ფილმსაც შინ მოატანინებდა და მერე ერთად უყურებდნენ საგანგებოდ ამისთვის ზედა სართულში მოწყობილ პატარა
დარბაზში.
პირველი რამდენიმე თვე დომინიკს მოსწონდა კიდეც ასეთი ცხოვრება და წინააღმდეგობა არც გაუწევია. მაგრამ როგორც კი მიხვდა, თავადაც როგორ შეეგუა ამგვარ განმარტოებას, თამაშის წესების დაუყოვნებლივ შეცვლა გადაწყვიტა სტუმრადაც დაიწყეს სიარული და თვითონაც პატიჟებდნენ ხოლმე ვიღაც-ვიღაცეებს.
თუმცა გეილ უაინენდმა ერთი ისეთი კედელი მაინც დაიტოვა, რომლის დანგრევასაც დომინიკი ვერასოდეს მოახერხებდა კედელი ცოლსა და თავის გაზეთებს შორის. ამ გაზეთების ფურცლებზე დომინიკის სახელი არასოდეს დაბეჭდილა. მისის გეილ უაინენდის საჯარო ცხოვრებაში ჩართვის ნებისმიერი მცდელობაც კი საფუძველშივე აღკვეთა. არც ცოლის სახელზე მოსული წერილების გახსნას თაკილობდა, თუკი წერილი რომელიმე კომიტეტის, საქველმოქმედო ორგანიზაციისა თუ ქალთა კლუბის გამოგზავნილი იყო. იქვე ხევდა და ამას არც ცოლს უმალავდა. ის კი პასუხად მარტო მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე.
ერთში ვერ თანხმდებოდნენ მხოლოდ: უაინენდი არაფრით იზიარებდა ცოლის სიძულვილს მისი გაზეთების მიმართ. კრიტიკის ნებასაც კი არ აძლევდა. საერთოდ არ ლაპარაკობდა ამ თემაზე და დომინიკსაც ვერაფრით გაეგო, თვითონ უაინენდი რას ფიქრობდა გულის სიღრმეში. ერთხელ სცადა და რომელიღაც სარედაქციო წერილის გაკრიტიკება დააპირა. ქმარმა მაშინვე შეაჩერა: "ბანერის" მასალების გამო არავისთან მიმართლებია თავი და ამას არც ახლა ვაპირებ!"
– მაგრამ ეს მთლად საშინელებაა, გეილ!
– მეგონა, "ბანერის" გამომცემელს გაჰყევი ცოლად.
_ მე კიმეგონა, სწორედ ეგ არ იყო მთავარი!
_ მოდი, მაგას მე გადავწყვეტ! ტყუილად მოელი, რომ "ბანერს" ან სახეს შევუცვლი, ან სულაც შენ შემოგწირავ მსხვერპლად!
_ ეგ არც მიფიქრია, გეილ, – უცბად სიცილი აუტყდა დომინიკს.
პასუხად ქმარს არც კი გაღიმებია.

მკითხველთა ლიგა

რედაქციაში ისეთი გაორმაგებული ჟინითა და შემართებით მუშაობდა, თანამშრომლები გაოცებას ვერ მალავდნენ: ზოგჯერ, როცა საჭირო იყო, ღამესაც იქ ათევდა, რაც უკვე კარგა ხანია, აღარ ჰქონდა წესად. თუმცა არც სარედაქციო პოლიტიკა შეუცვლია და არც მეთოდები. ალვა სკარეტი კმაყოფილებას ვერ მალავდა: „ეტყობა, მე და შენ მაინც ვცდებოდით, ელზუერთ", – უთხრა ერთხელ თუის, – "ეს ისევ ჩვენი ძველი გეილია... ღმერთს მადლობა!"

– ჩემო ძვირფასო ალვა, – მიუგო თუიმ, – არასოდეს არაფერი ხდება ისე მარტივად, როგორც შენ გგონია, და არც ასე სწრაფად.

– შეიძლება, მაგრამ ბედნიერი ნამდვილადაა. ვერ ხედავ?

– სწორედ ეგ ბედნიერებაა ყველაზე სახიფათო! და როგორც ყოფილი კაცთმოყვარე, ამას ისევ გეილის სასიკეთოდ ვამბობ.

ერთხელაც, ისე მოხდა, რომ ვინმე სალი ბრენტმა მოინდომა, ჭკუით ეჯობნა ბოსისთვის. სალი "ბანერის" ერთ-ერთი საამაყო შენაძენთაგანი იყო წარმოსადეგი, შუა ხნის ქალი, რომელიც 21-ე საუკუნის მოდელივით იცვამდა და შინამოსამსახურესავით წერდა. მკითხველები ეთაყვანებოდნენ რამაც მისის ბრენტი ცოტა არ იყოს, ზედმეტად თვითდაჯერებული გახადა.

მოკლედ, გადაწყვიტა, მისის გეილ უაინენდზე დაეწერა სტატია. როგორც უაინენდ-კორპორაციის კარგად გაწრთვნილმა თანამშრომელმა, მოახერხა და პენტჰაუზში შესვლის უფლება მოიპოვა. ბოსის მეუღლესთან შეხვედრაზე თავისებურად მომხიბლავი წარდგა გრძელ შავ კაბაში გამოწყობილი და ცოცხალი მზესუმზირის ყვავილით მხარზე.

„მისის უაინენდ, მოვედი, რათა ქმრის ღალატში დაგეხმაროთ!" – შესვლისთანავე მიახალა მასპინძელს, მერე მეგობრულად ჩაუპაჭუნა თვალი და საკუთარი სითამამის ახსნაც სცადა: "ჩვენი უსაყვარლესი მისტერ უაინენდი ნამდვილად უსამართლოდ გექცევათ, ძვირფასო, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო კუთვნილი დიდებით ტკბობის საშუალებას არ გაძლევთ! მაგრამ მოვიყვანთ ჭკუაზე, მე და თქვენ, ერთად. ორ ჩვენისთანა გოგოს რომელი კაცი დაუდგება წინ?! მე მგონი, სათანადოდ ვერავინ გაფასებთ. ამიტომ ჯერ მოდით, თქვენი ამბავი მომიყევით, მე ჩავიწერ და გარწმუნებთ, ისეთი მასალა გამოვა, გამორიცხულია, არ დაბეჭდოს!"

დომინიკი შინ მარტო იყო; სტუმარს იმგვარად გაუღიმა, მთელი თავისი მდიდარი ლექსიკონის მიუხედავად, სალიმ შესაფერისი ზედსართავი მაინც ვერ მოარგო. მერე თავისი ამბავიც მოუყვა, ზუსტად ის და ისე, რაზეც სალი ოცნებობდა.

„რა თქმა უნდა, საუზმეს ჩემი ხელით ვუმზადებ," – ენად გაიკრიფა დომინიკი, – "ყველაზე მეტად ლორიანი ერბოკვერცხი უყვარს... ცხადია, მისის ბრენტ, უბედნიერეს ქალად ვგრძნობ თავს დილას თვალს რომ ვახელ, საკუთარ თავს ვეუბნები: არა, შეუძლებელია, ეს სინამდვილე იყოს, ჩემისთანა უმნიშვნელო არსება ამ უდიდესი პიროვნების ცოლი როგორ გახდებოდა-მეთქი! გამოგიტყდებით და, რამდენიმე წელი უიმედოდ ვიყავი შეყვარებული... მხოლოდ ჩემს ოცნებებში. მათი ასრულება კი სრულიად წარმოუდგენელი მეგონა. არადა, ხომ ამიხდა... მისის ბრენტ, გთხოვთ, ეს სიტყვები ჩემგან ყველა ამერიკელ ქალს გადაეცით: მოთმინება მუდამ ფასდება, და სიყვარულიც სრულიად მოულოდნელად შეიძლება დაგვატყდეს თავს, დამიჯერეთ! ახლა ცხოვრებაში ერთადერთი მიზანიღა მაქვს გეილი გავაბედნიერო, მისი სიხარულიც გავიზიარო და მწუხარებაც... მოკლედ, სამაგალითო ცოლი და დედა მინდა ვიყო."

სტატია ჯერ ალვა სკარეტმა წაიკითხა და იმდენად მოეწონა, მთლად მოუჩლუნგდა სიფრთხილის გრძნობა. „ შეუტანე, ალვა, – უჩიჩინებდა სალი ბრენტი, – ”მაგიდაზე დაუდე და ნახე, თუ არ დაბეჭდოს!“

სალი ბრენტი იმავე საღამოს მოხსნეს, საკმაოდ ძვირიანი კონტრაქტი კიდევ სამი წელი ბანერში” მის მუშაობას გულისხმობდა, თუმცა ამანაც ვერ უშველა და ის კი არა, ნებისმიერი მიზეზით რედაქციის შენობაში ფეხის შედგმაც აუკრძალეს.

– გეილ, სალის მოხსნა არაფრით არ შეიძლება, – ალვა სკარეტს სრულ სასოწარკვეთას ცოტაღა აკლდა, – ვინც გინდა, ოღონდ სალი არა!

– თუ როდისმე ისეთი დრო დადგა, როცა ხალხს ჩემს ჭკუაზე ვეღარ მოვხსნი-დავნიშნავ, გაზეთს დავხურავ და ამ შენობასაც ავაფეთქებ. – მშვიდად განუცხადა უაინენდმა.

– მკითხველებს რა პასუხს აძლევ?! ტირაჟი გაგვინახევრდება!

_ ფეხებზე მკიდია სალი ბრენტის მკითხველები.

იმავე საღამოს, ვახშმობისას, უაინენდმა ჯიბიდან დაჭმუჭნული ქაღალდი ამოიღო სტატიის ამონაბეჭდი და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ დომინიკს სახეში ესროლა. ქაღალდი ლოყაში მოხვდა და იატაკზე დაეცა. ქალი დასწვდა, გაშალა, ნახა, რაც ეწერა ზედ და თავისთვის ჩაეცინა...

სალი ბრენტმა მაინც დაწერა სტატია გეილ უაინენდის სასიყვარულო ცხოვრებაზე; მხიარული, ზომიერი ინტელექტუალურობით გაზავებული მასალა გამოვიდა, თუმცა ყვითელი პრესისთვისაც კი ცოტა უცნაური, რადგან სოციოლოგიური კვლევის ელფერიც დაჰკრავდა. მასალა ახალმა სამანმა” დაბეჭდა...

• • •

უაინენდმა დომინიკს საკუთარი შეკვეთით დამზადებული მარგალიტის გულსაკიდი უსახსოვრა და თვითონვე შეაბა ყელზე. მხრებმოშიშვლებული ქალი სარკის წინ იდგა, მარგალიტები წყლის წვეთებივით უციმციმებდნენ კანზე.

„ იმ ბრონქსელი დიასახლისის ამბავი გამახსენდა,” – თქვა უცებ დომინიკმა, – ”ყელი რომ გამოსჭრა ქმრის ახალგაზრდა საყვარელს... თავისთავად ხომ საშინელებაა, მაგრამ უარესი ისაა, ხალხი როგორ ეტანება ასეთ ამბებს... არადა, ეს შენი საჩუქარიც ხომ სწორედ იმ ბრონქსელი ქალის უბედურების ტირაჟირების შედეგია! ძალიან ლამაზი კია, არასოდეს მოვიშორებ.”

უაინენდს გაეღიმა, თვალები უცნაურად აუციმციმდა, თითქოს გამბედაობა მოემატაო.

„ეგ ერთი ახსნაა,” – თქვა მერე, – „ მაგრამ არსებობს მეორეც. შეიძლება, მე ის ალქიმიკოსი ვარ, სისაძაგლიდან მშვენიერებას რომ ქმნის...“

სახეზე არც მობოდიშების სურვილი ეწერა, არც სინანულისა და არც სინდისის ქენჯნის; რაღაც უცნაურად უცქერდა ცოლს, ამგვარი მზერა დომინიკს ადრეც არაერთხელ შეუმჩნევია და მასში მხოლოდ უბრალო აღტაცებას ხედავდა ხოლმე; თუმცა ახლაღა მიხვდა აღტაცება ზოგჯერ იქამდეც მიდის, რომ მოწიწებას უკვე თავად აღტაცების გამომხატველი იწვევს ხოლმე...

მომდევნო საღამოსაც სარკის წინ იჯდა, როცა ოთახში უაინენდი შემოვიდა. დაიხარა და ცოლს კისერში აკოცა. მერე სარკის კუთხეში მიმაგრებულ პატარა ფურცელს მოჰკრა თვალი, „ბანერის” ბლანკზე მისივე საკუთარი ხელით იყო წაწერილი: „გააგდეთ ეგ ძუკნა. გ.უ.“

მკითხველთა ლიგა

მხრები აიჩეჩა. მერე ჰკითხა:
– ეგ საიდან გაქვს?
– ელზუერთ თუისგან. ვიფიქრე, ღირს შენახვა-მეთქი. თუმცა მაშინ არ მეგონა, ასე თუ გამომადგებოდა...
უაინენდმა მძიმედ დააქნია თავი. თქმით კი არაფერი უთქვამს.
დომინიკს ეგონა, ეს ფურცელი დილით უკვე აღარ დახვდებოდა, მაგრამ უაინენდს მისთვის ხელიც არ უხლია და აღარც თვითონ მოუხსნია სარკიდან. მერე, როცა ჩახუტებულები იწვნენ ხოლმე, ხშირად შეუმჩნევია, როგორ გაურბოდა თვალი ქმარს ამ ფურცლისკენ. დომინიკმა თვითონაც არ იცოდა, რა ეფიქრა ასეთ დროს.

• • •

გაზაფხულზე უაინენდს ერთი კვირით მოუწია ნიუ-იორკიდან გამგზავრება გამომცემელთა კონგრესზე. ამდენი ხნით მანამდე არასდროს დაშორებიან ერთმანეთს. დაბრუნებულს დომინიკი აეროპორტში დახვდა და სასიამოვნოდაც გააკვირვა: მხიარული იყო და ხაზგასმულად ყურადღებიანი. უაინენდს რაღაც ისეთის მოლოდინი გაუჩნდა, რისი იმედიც მანამდე არასოდეს ჰქონია...
მერე, როცა შინ მივიდნენ, ტახტზე წამოწვა და ქალი მიხვდა, ქმარს ახლა ასე გაუნძრევად წოლისა და საკუთარი სამყაროს ხელახალი გამთლიანების განცდის მეტი არაფერი სჭირდებოდა.
– ისე, ჯობია, ჩაიცვა, გეილ. – უთხრა ცოტა ხნის მერე, – ამ საღამოს თეატრში მივდივართ.
უაინენდი წამოჯდა, გაიღიმა, შუბლზე ნაოჭები დააჩნდა. დომინიკი ლამის შურით შესცქეროდა მიხვდა, ამ კაცის თავდაჭერა მართლაც უსაზღვრო იყო.
– ძალიან კარგი. შავი ყელსახვევი გავიკეთო თუ თეთრი?
– თეთრი.
– იმ თქვენი აიკის პიესაზე ავიღე ბილეთები. სხვათა შორის, ძლივს ვიშოვე.
უაინენდს გაეცინა, გულიანად.
– კარგი რა, დომინიკ, ეს უკვე მეტისმეტია!
– რას ამბობ, გეილ, მთელი ქალაქი ამ დადგმაზე ლაპარაკობს! სხვათა შორის, შენივე გაზეთის კრიტიკოსმა ჯულზ ფაულერმა განაცხადა, თანამედროვეობის უდიდესი პიესააო. ელზუერთ თუიმ დაამატა _ მომავლიდან მომავალი ხმა ჩამესმაო... ალვა სკარეტმაც დააბეჭდა _ მელნით კი არა, ადამიანური სიკეთის რძითაა ნაწერიო! სალი ბრენტმა თავისი თქვა, სანამ სამსახურიდან გააგდებდი: ასე გულიანად ცხოვრებაში არ მიცინიაო. შეიძლება ითქვას, პიესა "ბანერის" საამაყო პირმშოა და მგონი, ვალდებულიც ხარ, ერთ წარმოდგენას მაინც დაესწრო.
– ბატონი ბრძანდები, – ამოიხვნეშა უაინენდმა, წამოდგა და ჩასაცმელად გავიდა.
პიესა უკვე რამდენიმე თვეა, არ ჩამოდიოდა სცენიდან. უაინენდი და დომინიკი მეოთხე რიგში, შუა ადგილებზე ისხდნენ და მთელი გულისყურით ადევნებდნენ თვალს სცენის პერიპეტიებს. სცენიდან კი გაცვეთილი, ბანალური ჭეშმარიტებები და უხეში, უმარილო ხუმრობა მოისმოდა რომელსაც, უაინენდისა და დომინიკის გასაოცრად, დარბაზი გაფაციცებით უგდებდა ყურს. თუკი ერთ კაცს მაინც გაეცინებოდა რამე სისულელეზე, ყველა დანარჩენი უცებ აჰყვებოდა ხოლმე თითქოსდა იმავე ჯულზ ფაულერის ნათქვამის დასადასტურებლად და

მკითხველთა ლიგა

გასამართლებლად ვისაც ეს პიესა არ გაამხიარულებს, უბრალოდ, უვარგისი
ადამიანიაო.
ანტრაქტის დროს უაინენდმა ყური მოჰკრა, როგორ ეუბნებოდა ერთი დარბაისელი ქალბატონი მეგობარს: მართლაც შესანიშნავია, არაფერი კი არ მესმის, მაგრამ შინაგანად ვგრძნობ, რაღაც სრულიად განსაკუთრებულთან რომ გვაქვს საქმეო.
– წავიდეთ, გეილ? – დომინიკი ეტყობა, სინდისმა შეაწუხა.
– არა. ბოლომდე დავრჩებით.
მერე მანქანაში მთელი გზა არ ამოუღია ხმა. შინ რომ დაბრუნდნენ, იქაც ჩუმად იდგა და ელოდა, რას ეტყოდა ქალი. წამით დომინიკს სიბრალულისმაგვარი გრძნობაც კი გაუჩნდა ქმრის მიმართ, რასაც ადრე ვერაფრით ივარაუდებდა. საოცარ დაღლილობას გრძნობდა, ერთიანად გამოცარიელებული იყო შინაგანად. ნამდვილად არ უნდოდა, უაინენდისთვის გული ეტკინა; პირიქით, თითქოს მისგან მოელოდა დახმარებას.
გაახსენდა, რაზე ფიქრობდა თეატრში: ეს პიესა მართლაც ბანერის” ჭეშმარიტი ქმნილება იყო, მხოლოდ ბანერს“ შეეძლო მისი ამქვეყნად მოვლინება, სამზეოზე გამოტანა, წარმატების უზრუნველყოფა. სწორედ იმ ბანერს“, რომელმაც წამოიწყო და დააგვირგვინა კიდეც სტოდარდის ტაძრის“ ნგრევა...“ნიუიორკ ბანერი”, 2 ნოემბერი, 1930, რუბრიკა ერთი მოკრძალებული ხმა“: „მკრეხელობა!“_ ელზუერთ
თუი... „სილაზე ნაგები ტაძრები!” – ალვა სკარეტი... წარწერა ფოტოს ქვეშ - „ბედნიერი ხართ, ბატონო გენიოსა?”...
ამ ნგრევის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და არც ორი, ერთნაირად განუზომელი სიდიდის შენობისა და პიესის შედარება იყო ახლა მთავარი... უბრალოდ, კანონზომიერად გრძელდებოდა ყველაფერი, ცალკეულ პიროვნებებს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდათ არც აიკს, არც ფაულერს, თუის, თავად დომინიკს თუ რორკს... ისევ ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს: ერთის წყალობით ტაძარი შენდებოდა, მეორე ამ პიესას დგამდა... ორი ძალის ბრძოლა დასაბამიდან გრძელდებოდა, მუდამ და ყველგან არსებობდა ღმერთისა და ეშმას დაპირისპირება, ოღონდ ეგაა _ ადამიანებს ხშირად ეშმას შეცნობა უჭირდათ ხოლმე: ის ერთი და ერთიანი კი არ იყო, მრავალ პატარ-პატარა, ძნელად ამოსაცნობ ნაწილებად ქუცმაცდებოდა... ”ბანერმა“ იმიტომ დაანგრია "სტოდარტის ტაძარი”, აიკის პიესისთვის რომ გაეთავისუფლებინა ადგილი და სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა არ არსებობდა არანაირი შუალედური გადაწყვეტილება, მორიგება, ზავი ან ერთი უნდა ყოფილიყო, ან მეორე. როგორც
მუდამ, დაპირისპირებას უამრავი სიმბოლო და გამოხატულება ჰქონდა, მაგრამ ერთი გარკვეული სახელი არასოდეს რქმევია... რორკ! – გაიგონა, როგორ ყვიროდა უხმოდ რორკ... რორკ... რორკ...
– დომინიკ, მოხდა რამე?
უაინენდის ხმამ გამოაფხიზლა. უცებ მოეგო გონს. შინაგან კივილსაც მოერია.
– არაფერი, შენზე ვფიქრობდი. – მიუგო მშვიდად.
უაინენდი უხმოდ შესცქეროდა, კიდევ ელოდა რაღაცას...
_ და იცი, რას? ნეტავ, რამდენი წლისაა და რამდენად მძიმე გზის გავლა მოუწია-მეთქი... ცხოვრების ნახევარზე მეტი გავლილი გაქვს...
უაინენდი წარბშეუხრელად იდგა. შეკამათება არც უფიქრია.
_ მე მგონი, ამ პიესის ხელნაწერი უნდა გამოისყიდო და ქვემოთ,

მკითხველთა ლიგა

გალერეაში დადო გამოსაჩენ ადგილას. არც ის იქნება ცუდი, თუ იახტას სახელს შეუცვლი და ამ პიესის სათაურს დაარქმევ. მერე მეც...
– მორჩი, გეყოფა.
– ... დასში ჩამრთავ, რამე როლს მანდობ და ყოველ საღამოს გამომიყვან სცენაზე...
– დომინიკ, გაჩუმდი-მეთქი.
– მაშინ შენ ილაპარაკე. მაინტერესებს, რას მეტყვი.
– თავი არავისთან მიმართლებია!
– ტრაბახსაც სიამოვნებით მოვისმენ.
– სიმართლე თუ გინდა, თეტრში ლამის იყო, გული ამერია. შენც მაგას ელოდი. იმ ბრონქსელი დიასახლისის ამბავზე უარესი იყო.
– ბევრად უარესი.
– უარესებიც ხდება. ვთქვათ, მართლა კარგი პიესის დაწერა და მერე იმის სასაცილოდ აგდება.
უაინენდმა დაინახა, როგორ უსიამოდ შეიშმუშნა უცებ დომინიკი. თუმცა, ზუსტად ვერ იტყოდა, რატომ.
– სხვათა შორის, „ბანერი" იმთავითვე ბრიყვების გულის მოსაგებად იყო ჩაფიქრებული. ეგ არც არასოდეს დამიმალავს. შენ მაინც რის აღიარებას ელი ჩემგან?
– გაჩუმდი! – იყვირა ქალმა, – მეტი არაფერი თქვა!
ცოტა ხანს ორივე გაუნძრევლად იდგა, გაოგნებული. პირველი უაინენდი შეირხა, მიუახლოვდა და ხელი გადახვია. ქალმა უხეშად გაითავისუფლა თავი. ოთახი გადაჭრა და ფანჯარასთან მივიდა.
– მაპატიე, გეილ, – წაიჩურჩულა ცოტა ხნის მერე.
კაცმა არაფერი უპასუხა.
– შენთან ასე ლაპარაკის უფლება არა მაქვს. – ისევ ზურგით იდგა, ღამის ქალაქს გადასცქეროდა ფანჯრიდან, – ისე, თუ ამის მოსმენა გესიამოვნება, ბარი ბარში ვართ. თანაც პირველს მე მიღალატა მოთმინებამ.
– ტყუილად მებოდიშები. – უაინენდი ახლაც ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა, – მაინც, რა იყო, რა მოგივიდა?
– არაფერი.
– რამე უსიამოვნო გაგახსენე ჩემდა უნებურად? ვთქვი რამე? აკი ჩემთვის სიტყვები არაფერს ნიშნავსო...
დომინიკი ისევ ფანჯრიდან იყურებოდა, შორს "ქორდ-ბილდინგის" სილუეტი მოჩანდა. „ დომინიკ, ვიცი, რამოდენა ტვირთის ზიდვაც შეგიძლია. რადგან თავი ვერ შეიკავე, ეტყობა, მართლა მოხდა რაღაც... აუცილებლად უნდა ვიცოდე. უსაშველო არაფერია. ყველაფერში დაგეხმარები..." ქალი ხმას არ იღებდა. "მარტო იმ სულელური პიესის ბრალი არ არის, თეატრში კიდევ მოხდა რაღაც... შენს სახეს ვხედავდი. ახლაც იგივე გამომეტყველება გქონდა. რა ხდება, აღარ იტყვი?
– გეილ, – დომინიკი ქმრისკენ შემობრუნდა, – ყველაფერი უნდა მაპატიო...
უაინენდი დაიძაბა, ამ სიტყვების მოსასმენად აშკარად არ იყო მზად.
– რა ყველაფერი?!
– ყველაფერი და თან ახლა, ახლავე!
– ჩვენი ურთიერთობის პირობები შენ წამოაყენე. ქორწინებაც შენი ნება იყო. რა ხდება, "ბანერის" გამო გინდა, სინდისის ქეჯნას ვგრძნობდე?
– აი, ეგ სულაც არ მინდა...
– არ გინდა, თუ აღარ გინდა?
– მაგას ისედაც ვერ გავექცევით ვერც ერთი.

მკითხველთა ლიგა

უაინენდიც ფანჯარასთან მივიდა, გვერდით დაუდგა ცოლს.
– თქვი, ბოლომდე მითხარი სათქმელი.
– იცი, მე და შენ ბევრი გვაქვს საერთო ერთნაირად მოღალატეები ვართ. ზუსტად ეს სიტყვა შეგვეფერება.
– შენ რაღა შუაში ხარ? "ბანერი" შენი პირმშო ნამდვილად არაა.
- ერთი და იმავე დანაშაულმა სრულიად განსხვავებული ფორმები შეიძლება მიიღოს.
უაინენდმა დომინიკს მხარზე მოხვია ხელი:
– საერთო მართლაც ბევრი გვაქვს. ოღონდ არა ის, რასაც შენ გულისხმობ. მირჩევნია, სილა გამაწნა, ვიდრე სცადო და ჩემი ცოდვები გაინაწილო.
ქალმა სახეზე ჩამოუსვა თითი შუბლიდან ნიკაპამდე.
– ახლა მაინც მეტყვი, რა მოხდა? – ჰკითხა კაცმა.
– არაფერი. უბრალოდ, იმაზე მეტი ვიტვირთე, ვიდრე მოვერეოდი...
– ადი, დაწექი, მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები აქ ზღაპრული ხედია. მალე ამოვალ და... ყველაფერი კარგად იქნება.

9

დომინიკი იახტის კიჩოზე იდგა, შიშველი ტერფებით გრძნობდა გემბანის მუხის ფიცრების სითბოს; ქარი სიფრიფანა, თეთრი კაბის კალთებს უფრიალებდა.
გეილ უაინენდი იქვე, შეზლონგში მოკალათებულიყო. ქალი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დასცქეროდა მის თხელ, ნავარჯიშევ, ტროპიკული მზით გარუჯულ სხეულს. ეს კაცი არანაირად არ ჰგავდა იმ მედია-მაგნატს, რომელსაც თავისი ნებით გაჰყვა ცოლად. დომინიკის წინ ახლა თხემით ტერფამდე არისტოკრატი წამოწოლილიყო, რომელსაც არაფერი აკლდა ცხოვრებაში და არც არაფერი დააკლდებოდა...
– რაო, დომინიკ? – შეეხმიანა უაინენდი, თვალიც არ გაუხელია, თითქოს ტანით იგრძნო ქალის დაჟინებული მზერა, – რაც ერთად ვართ, მას მერე ასე მათვალიერებ რა, იმ გეილ უაინენდს აღარ ვგავარ?
– არა.
– ეს იმიტომ, რომ მიყვარხარ, მართლა მიყვარხარ.
– რატომ?
– აბა, რა ვიცი... იქნებ სულაც უფ. ელზუერთ თუის ჯინაზე...
– ახლა საკუთარ თავს ეწინააღმდეგები!
– ვითომ? თუის სხვა გათვლა ჰქონდა, მე კი სწორედ ეს მიყვარს ყველას და ყველაფრის საჩემოდ მოტრიალება... ძალაუფლების წყურვილიც ეგაა როცა ამას ვეღარ მოვახერხებ, მაშინ ვიტყვი, მართლა დავბერებულვარ-მეთქი!
ჩვეული, თუმცა ოდნავ ირონიაშეპარული ხმით ლაპარაკობდა და მხოლოდ ქალის დაძაბულმა დუმილმა გაახელინა თვალი: „რა იყო, დომინიკ, რას ჩაფიქრებულხარ?”
– გისმენდი...
– შენი უბედურებაც ეგაა, დომინიკ, უსმენ და არ ისმენ იმდენად ხარ იდეალური სიყვარულის ჟინით შეპყრობილი, რეალურისა და რეალობის ერთიანად დანგრევა გსურს...
– ახლა რატომ მეუბნები ამას?
– როდისმე ხომ მაინც უნდა ითქვას სათქმელი... გულწრფელი მინდა ვიყო შენთან, საკუთარ თავთანაც და შენთანაც. მაგრამ მიწაზე, სახლში ამას ვერ გეტყოდი მხოლოდ აქ, შუა ზღვაში... აქ ყველაფერი ირეალურია!

მკითხველთა ლიგა

_ სულაც არა!
– მეგონა, დამეთანხმებოდი... თუ შენც შეიცვალე?
ქალმა შეზლონგთან ჩაიმუხლა, კატასავით მოირკალა და კაცს თავი მკლავზე ჩამოადო. ამ კითხვაზე პასუხის გამცემი ახლა ნამდვილად არ იყო საკუთარ გულშიც კი.

• • •

ერთი კვირის თავზე, ახლა უკვე ნიუ-იორკში, საკუთარი ცათამბჯენის სახურავზე გაშენებული ბაღიდან გადასცქეროდნენ რეკლამებით აბდღვიალებულ ქალაქს.
– აი, ამას გეუბნებოდი, დომინიკ, ცათამბჯენები-მეთქი, გახსოვს? ეს იყო ჩვენი პირველი გულახდილი საუბრის თემა. ჩვენთვის, ორივესთვის, სწორედ ესაა განახლების მთავარი სიმბოლო.
დომინიკმა, ერთი პირობა, შეკამათება დააპირა სიმბოლო ჩემთვისაა, შენთვის კი მხოლოდ ხეირია და არა მიზანიო თუმცა, მაშინვე იკბინა ენაზე.
– ...ცათამბჯენის გვერდით ადამიანი მართლა ჭიანჭველასავით მოჩანს, არადა, ეს საოცრება სწორედ "ჭიანჭველას" აშენებულია ქვისა და ლითონის ეს ცაში ასროლილი სასწაული! მხოლოდ ასე თუ აღიქვამ ჭეშმარიტ თანაფარდობას პაწია არსებასა და გრანდიოზულ კონსტრუქციას შორის. ამაშია სწორედ ადამიანის სიდიადე.
– სიდიადისადმი ხიბლი როდის გაგიჩნდა, გეილ?
– ამაზე ფიქრი მხიბლავს, თორემ მართალი გითხრა, ადამიანთა სიდიადის არაფერი მწამს.
მერე უცებ ხელი გაიშვირა ცისკიდურზე მოციმციმე სინათლისკენ: „იმას ხედავ? "ბანერის" შენობაა... სწორედ ეს დამრჩა ჯერჯერობით აუსრულებელი უაინენდის კი არა, "ბანერის" სადიდებელია ეგ ცათამბჯენი, მე კი მინდა, უაინენდის სახლი ავაგო, უდიდესი და ულამაზესი მთელ ქალაქში, ისეთი, ნიუ-იორკის სიმბოლოდ რომ იქცეს. „მაცნეთი” დავიწყე და "ბანერამდე" მოვედი, ადამიანებს მუდამ იმას ვთავაზობდი, რასაც ჩემგან ითხოვდნენ; ახლა კი მინდა, ის გავცე, რაც თავად მსურს!
– აქამდე რას უცდიდი?
– ეტყობა, მზად არ ვიყავი. ახლაღა მოვიდა ამის დრო. „ეშმას სამზარეულოს” უბანში დაბადებული, უპატრონოდ გაზრდილი ბიჭისგან უკეთესი სიმბოლო რა დარჩება ამ ქალაქს...
დომინიკს უცნაურად გაჰკრა გულში და მერე, თითქოს შინაგანმა ხმამ უკარნახა აი, ესაა ამ კაცის სულის ფარული სიმი, მისი "მე”-ს გასაღებიო და სწორედ ამ აღმოჩენამ წამოასროლინა თავისდაუნებურად:
_ გეილ, ელზუერთ თუი უნდა დაითხოვო.
უაინენდმა გაოცებულმა გამოხედა.
– ეგ რატომ?
– მისმინე, გეილ, – ქალს ხმაში ისეთი მღელვარება გამოერია, როგორიც ადრე არასოდეს დასტყობია უაინენდთან ურთიერთობაში, _ მაგ გაიძვერას შეჩერება აქამდე არ მდომებია, პირიქით, ვეხმარებოდი კიდეც... ვფიქრობდი, ეგაა, რასაც ჩვენი სამყარო იმსახურებს-მეთქი...
– და რა მერე?
– გეილ, შენ რომ მოგყვებოდი ცოლად, აზრადაც არ მომსვლია, ასე თუ დაგიახლოვდებოდი... ახლა კი გეუბნები, თუი დაითხოვე, დაითხოვე-მეთქი, სანამ ჯერ კიდევ არაა გვიან!

მკითხველთა ლიგა

– მაგით რისი თქმა გინდა?!
– შენი საქმის ხელში ჩაგდება სურს!
– კარგი რა, დომინიკ! – სიცილად არ ეყო მაგნატს, – ჭკუადამჯდარი ქალი მეგონე...
– და თუი? თუი ვინ გეგონა წესიერი კაცი?
– მეტი დარდი არ მქონდა, ვიღაც ელზუერთ თუიზე ფიქრით მეჭყლიტა ტვინი! თავის ჭიას ახარებს და ჩემთვის ფული მოაქვს მეტი რა ქნას? მკითხველს ისე იზიდავს, როგორც ბუზს თაფლი. ეს არის და ეს.
– ეგაა სწორედ! სინამდვილეში, „ბანერის” მთელი პოლიტიკა უკვე მაგას მიჰყავს.
_ გეყოფა რა, დომინიკ. ეგეთებისთვის მომიგრეხია კისერი?!
– ის სულ სხვაა, გეილ. აშკარად კი არ გებრძვის, ტანკივით კი არ მოდის შეტევაზე, კიბოსავით შიგნიდან გხრავს, მხუთავი აირივით გიწამლავს ფილტვებს. ეგაა მაგის ფარული იარაღი და ისიც ვიცი, რისთვის იყენებს!
_ გინდა თქვა “ბანერს” ეპოტინებაო?
_ არა მხოლოდ...
– ეგ უკვე აკვიატებაა, დომინიკ! დაივიწყე თუი. “ბანერს” კი მე მივხედავ.
_ გინდა , არაფერში ჩამრიო?
– ასე აჯობებს. ეგღა მაკლია, ჩემს ცოლს ვიღაც თუის გამო გაუჩნდეს შიშები... ჩვენში დარჩეს, არც გეკადრება.
_ შენი ნებაა. ქვევით ჩავიდეთ, შემამცივნა.
უაინენდმა, მისთვის სრულიად უჩვეულო მზრუნველობით, თავისი პიჯაკი მოახურა, ხელი მოხვია და ასე ხელგადახვეულმა ჩაიყვანა კიბეზე.

• • •

მომდევნო რამდენიმე დღე ცოლ-ქმარი თითო-ოროლა ფრაზით თუ შეეხმიანებოდა ხოლმე ერთმანეთს; ოღონდ, ეს სწორედ იმგვარი დუმილი იყო, ოქროდ რომ ფასობს: საღამოობით გვერდიგვერდ ჩამოსხდებოდნენ ბუხრის პირას, ოდნავ თუ ეხებოდნენ ერთიმეორეს და უსიტყვოდ უზიარებდნენ გულისნადებს. შიგადაშიგ თუ გადახედავდნენ ერთმანეთს თბილი ღიმილით, რომელიც ნებისმიერ შეხებაზე მეტს ნიშნავდა...
მაგრამ ერთხელაც, დომინიკს თითქოს უცებ მოაწვა სათქმელი:
– გეილ, ოდესმე მაინც უნდა გთხოვო პატიება იმისთვის, ცოლობაზე რომ დაგთანხმდი.
კაცმა სულ ოდნავ გადააქნია თავი, ღიმილით, ქალი კი განაგრძობდა:
– მინდოდა, კიდევ ერთ ახალ ბორკილად ქცეულიყავი ჩემთვის, შენ კი ძველიც დამიმსხვრიე თითქოს. ამიტომაც, უსინდისობად მიმაჩნია ჩემგან...
– მე ხომ შენი თანხმობის მიზეზები არც ადრე მიჩხრეკია. ჩემთვის არაფერი შეცვლილა.
– მაგრამ, შენი წყალობით, მე შევიცვალე. ის დომინიკი აღარა ვარ... მეგონა, ჩვენი ქორწინება სიცოცხლის სურვილის ნატამალსაც ჩამიკლავდა, არადა, ახლა თითქოს სამყაროც სულ შეიცვალა...
- ვიცოდი, ასე მოხდებოდა. ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი, დომინიკ.
ქალმა ახედა და კვლავაც ხაზგასმით მშვიდად თქვა:
– მეშინია, გეილ.
– რისი, ჩემო კარგო?
– რა დღეშიც გაგდებ.
– და რა დღეში მაგდებ?
– მე ხომ არ მიყვარხარ, გეილ...

მკითხველთა ლიგა

– და განა ამით იცვლება რამე?
ქალმა მზერა მოარიდა.
– დომინიკ...
ქალმა ისევ მორჩილად ასწია თავი, უხმოდ მიაჩერდა.
– საქმე ისაა, რომ მე მიყვარხარ! იმდენად, სხვა არაფერს ჩემთვის მნიშვნელობა აღარა აქვს თვით შენს სიყვარულსაც კი. ამის გაგება თუ შეგიძლია? უპასუხო სიყვარულის ბედნიერების... აი, ეს ხარ შენ ჩემთვის! როცა კაცი ამას იგრძნობ, უკვე მიზანი კი არა, თავად მიზნის მიღწევის წყურვილი ხდება გადამწყვეტი. მთავარია, ამგვარი ბედნიერების განცდის უნარი გქონდეს... და შენ სწორედ ეს განცდა მომანიჭე.
დომინიკი ჯერ თითქოს შეყოვნდაო, მაგრამ მერე მაინც გაიწვდინა ხელი და სარკის ჩარჩოზე მიმაგრებული ფურცელი ჩამოხსნა ნელა მოჭმუჭნა, იფიქრებდი, ქაღალდის შრაშუნის ხმას უსმენსო და უცებ, ერთი მკვეთრი მოძრაობით, ბუხარში მოისროლა.

წიგნი მეოთხე

ჰაუარდ რორკი

1

ახალგაზრდა კაცი იყო, კოლეჯდამთავრებული და ახლა იმის გარკვევა სურდა, ღირდა კი ამ ქვეყნად ცხოვრება? არა თვითმკვლელობის მანიით არ იყო შეპყრობილი უბრალოდ, ცხოვრების აზრის შეცნობას ცდილობდა.
კოლეჯში ერთთავად საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ხალხის მსახურებისა და თავგანწირვისკენ მოწოდებებით უბურღავდნენ ტვინს, მაგრამ ამ ყველაფრისადმი აღტკინებას შინაგანად სრულებითაც ვერ განიცდიდა.
იმას კი ვერ გეტყოდათ, რას მოელოდა ცხოვრებისგან; მხოლოდ აქ, ბუნების წიაღში გრძნობდა თავს ლაღად, მაგრამ ეს ბუნების შვილის სილაღე კი არ იყო, არამედ იმ ჯანსაღი ფსიქიკის, ბუნების ძალებს რომგამოწვევად იღებს. მისი შინაგანი რწმენით, ადამიანის ქმედებები ბუნების გაუმჯობესებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული და არა დამორჩილებისკენ; ვერც იმას იტყოდით, ადამიანები სძულდაო უბრალოდ, ყოველი გზად შეხვედრილი მაღალი ძაბვის ანძა თუ სარეკლამო აბრა უშლიდა ნერვებს...
მუდამ მუსიკის წერისკენ მიუწევდა გული სხვა ვერანაირად ვერ აღმოეთქვა სათქმელი, და მისთვის რომ გეკითხათ, შორეულ მსგავსებას მხოლოდ ჩაიკოვსკის პირველ საფორტეპიანო კონცერტსა თუ რახმანინოვის მეორის ფინალთან პოულობდა.
უცბად, ველოსიპედი მკვეთრად დაამუხრუჭა და ადგილზევე გაშეშდა, თვალის მოუშორებლად გასცქეროდა მის წინ გადაშლილ ხედს: ქვევით, ხეობის ორივე მხარეს მიმობნეულ, წითელ-ყვითელ ფოთლებსა და მზის

მკითხველთა ლიგა

სხივებში ჩაფლულ პაწია სახლებს ერთმანეთში უწყვეტად გარდამავალ ტერასებად გაწყობილი დასახლება ისე შერწყმოდა მიდამოს, თითქოს დასაბამითვე ასე შეექმნა უფალსო. ოღონდ საქმეც ეგაა, ამ შერწყმის შედეგად სახლები კი არ ავსებდა ბუნებას, პირიქით ბუნებას წამოეწია ისინი წინ, თითქოს მეტი თვალსაჩინოებისთვის...

შენობები უბრალო თლილი ქვით იყო ნაშენი, იფიქრებდი ალაგ-ალაგ კლდეები ბუნებრივად ჩნდებიან ფერდობებზე, ხოლო შუშის ფართო კარ-ფანჯრები თავად იზიდავენ მზის სხივებს და მათ ნაგებობის განუყოფელ ნაწილად აქცევენო. უამრავი სახლი იდგა, პატარა, ერთმანეთისგან გამიჯნული, და არც ერთი არ ჰგავდა სხვას თითქოს ერთი და იმავე თემის უთვალავი, უსასრულო ვარიაცია, ოღონდ თვალით კი არა, სმენით აღსაქმელი, ბახის ექვსხმიან ფუგასავით... მოკლედ, აზრის, ვიზუალური ხატის და ბგერის ერთობლიობა ისევე გადადიოდა მუსიკაში, როგორც მუსიკა მათემატიკაში. და განა მათემატიკაზე დამყნობილი არქიტექტურის ხელოვნება იგივე მუსიკა არაა ოღონდ ქვაში!

რაღაც ირეალურიც სუფევდა ირგვლივ. არა ხმა არ არღვევდა ხეების, ეზო-კარის, თეთრი ქვით მოკირწყლული ბილიკების, პაწია შადრევნების, პატარ-პატარა წყალვარდნილებისა თუ სათამაშო მოედნების სიმშვიდეს. ადგილი სრულიად დაუსახლებელი ჩანდა.

მიმოიხედა და უცბად მიხვდა, მარტო არ იყო. შორიახლოს ვიღაც კაცი ჩამომჯდარიყო კლდის შვერილზე და ისიც ქვევით გადაშლილ ხედს მისჩერებოდა უხმოდ. მაღალი, ხმელ-ხმელი, ნიავი თმას უწეწავდა უცნაური ფერის თმა ჰქონდა, ფორთოხლისფერი... ფიქრში გართულს ველოსიპედისტის მიახლოება არც გაუგია. მერე, თითქოს რაღაც იგრძნო, თავი მისკენ მიატრიალა, ნაცრისფერგადაკრული, მშვიდი და აუმღვრეველი თვალებით გამოხედა. და ბიჭი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ამ უცხო ვინმესთან შეეძლო ნებისმიერ სხვასთან უთქმელზე საუბარი...

– დეკორაციაა? – ჩაეკითხა ბიჭი და დასახლებაზე მიათითა.

– მალე აღარ იქნება, – რაღაც უცნაურად გაეპასუხა კაცი.

– რა, კინოს იღებენ?

– არა, უბრალოდ, საზაფხულო კურორტია ერთგვარი. ახლახან დაამთავრეს. ორ-სამ კვირაში გაიხსნება სეზონი.

– ვისი პროექტია?

– ჩემი.

– და თქვენ ვინა ხართ?

– ჰაუარდ რორკი.

– მადლობა დიდი, – ბიჭი ხვდებოდა, რომ ეს ორი სიტყვა სრულიად საკმარისი იყო. ჰაუარდ რორკმა ოდნავ დაუქნია თავი. ბიჭი ისევ ველოსიპედს მოაჯდა და ვიწრო ბილიკს დაუყვა თავქვე. რორკმა თვალი გაადევნა. ეს ბიჭი არც მანამდე ენახა და მათი გზები აღარც მომავალში გადაიკვეთებოდა. ვერც ის იაზრა, სხვა სულიერს რომ მისცა ცხოვრების აზრი.

• • •

ეს სულ რაღაც წელიწად-ნახევრის წინ მოხდა და ჰაუარდ რორკს აქამდე ვერაფრით გაეგო, რატომ მიანდეს ამ საკურორტო კომპლექსის გაშენება მონადოკის ხეობაში ყური მოჰკრა, რომ რომელიღაც მსხვილმა კომპანიამ იქ მიწა შეისყიდა და ფართო სარეკლამო კამპანიასაც ეწეოდა იქაურობის სამომავლო განაშენიანების თაობაზე. რორკს იმედი

მკითხველთა ლიგა

არაფრის ჰქონდა დარწმუნებულიც კი იყო, ამჯერადაც თავაზიანად მომიშორებენ თავიდანო და მისტერ კალებ ბრედლის დანახვისთანავე უსიტყვოდ აპირებდა უკან გამობრუნებას: კომპანიის მფლობელი ზუსტად ის კაცი ჩანდა, რორკისნაირ არქიტექტორს სათოფეზე რომ არ გაიკარებდა; დიდი ხნის წინ დარწმუნდა, ასეთ ხალხთან ყოველი სიტყვა ფუჭი იყო, თუმცა მაინც ვერ შეიკავა თავი, თვალწინ სულ მონადოკის ხეობა ედგა და მაინც ლაპარაკობდა, არა პროექტზე, არამედ საკუთარ ფანტაზიებზე... არადა, მისტერ ბრედლის ერთხელაც არ გაუწყვეტინებია სიტყვა, არც“ ჰო” უთქვამს, არც არა”. დაგიკავშირდებითო, დაჰპირდა, ოღონდ მერე ერთი უცნაური რამეც წამოსცდა: „თქვენ ის რორკი არა ხართ, „სტოდარდის ტაძარი” რომ წამოჭიმა?”

– კი, – უხალისოდ დაუმოწმა რორკმა.

– მიკვირს, მე თვითონ რატომ არ გამახსენდით...

ზუსტად სამი დღის შემდეგ პირადად ბრედლი დაუკავშირდა და სთხოვა, მეწვიეთო. იქ კიდევ ოთხი კაცი დახვდა კომპანიის ოთხივე აღმასრულებელი დირექტორი: გამოწკეპილნი, უსიტყვონი და სახეშეუვალნი. „გეთაყვა, ამათაც გააცანით თქვენი ხედვა.” – სთხოვა ბრედლიმ.

რორკმაც დაიწყო და წვრილად აუხსნა, რომ თუკი კომპანია მართლაც ამგვარი უცნაური კურორტის გაშენებას აპირებდა მცირეშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, ისიც უნდა გაეთვალისწინებინა ხელმოკლეობის ერთი მთავარი უბედურებათაგანი სწორედაც სიმყუდროვის ნაკლებობა იყო: გემოვნებისა და მცირე შემოსავლის მქონეთ არსად წაესვლებოდათ – კლდე-ღრეში ზურგჩანთებით ხეტიალს თუ არ ჩავთლით. და განა ცოტანი არიან ასეთებიო, – უმტკიცებდა, – კლიენტები ნამდვილად არ მოგაკლდებათ, ვინც ერთი კვირით, ან სულაც ერთი თვით, ზომიერ ფასად სიამოვნებით ესტუმრება მონადოკის ხეობასო. არც მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაა საჭირო, თავად ბუნებაც ხელუხლებელი უნდა დარჩეს ბევრი პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან გამიჯნული კოტეჯი, მსუბუქი კონსტრუქციები და ნათელი ოთახები, არავითარი სუპერმარკეტები თუ გოლფ-კლუბები პაწია მაღაზიები, საცხობები, საოჯახო კაფე-რესტორნები... და თითო მომცრო აუზი ყოველ ეზოში...

ხმა არავის ამოუღია, მარტო ერთმანეთს გადახედეს სწორედ იმნაირად, როგორც რორკი იმთავითვე მოელოდა, ოღონდ ეტყობა, მთლად ისეც არ იყო საქმე, რაკიღა ორი დღის მერე ”მონადოკის ხეობის საზაფხულო აგარაკების” პროექტს მოეწერა ხელი.

აი, ასე დაიწყო ყველაფერი. მისტერ ბრედლი უსიტყვოდ ეთანხმებოდა ყოველ ნახაზს, ყოველ მოთხოვნას; ერთი სიტყვითაც არაფერზე შეკამათებია. დანარჩენი ოთხიდან აღარავინ უნახავს თვალით, ყველაფერს თავად წყვეტდა და მისტერ ბრედლიც ხალისით დასტურყოფდა. კაცმა რომ თქვას, მომდევნო თვრამეტი თვის განმავლობაში, რორკს თავი არ შეუწუხებია მისტერ ბრედლისა და მის კომპანიაზე ფიქრით მთელი არსებით საქმეში იყო ჩართული. ერთი უზარმაზარი ხის ძირას ააშენებინა დიდი, ხისავე ქოხი, შიგ საკუთარი ხელით გამოჩორკნილი მაგიდა და საწოლი დადგა, შეშის ღუმელი გამართა და ეს იყო მთელი მისი ავლადიდება. ხალხის შოვნა არ გასჭირვებია ვისაც კი შეეხმიანა, ყველა უმალ ამოუდგა გვერდში: ზოგმა უფრო სარფიანი სამუშაოც კი მიატოვა ქალაქში და რორკთან გადმოსახლდა საკუთარი ქოხების დადგმა არც არავის მოსვლია თავში, ან ვის ეცალა მაგისთვის?! თითქოს კაციშვილს არ აწუხებდა არც თოვლი,

მკითხველთა ლიგა

არც წვიმა, არც ხვატი, არც ხმელი საწოლი და არც უცბად მომზადებული კერძებით კვება. ის კი არადა, იქ ერთად გატარებულ დროს მერე ბევრი ცხოვრების საუკეთესო ხანასავით იგონებდა...

”ეს ჯვაროსნული ლაშქრობაა და ტამპლიერებიც ჩვენკენ მოიკითხეთ!" – განაცხადა ერთხელ სტივენ მელორიმ, რომელსაც შადრევნებისა და წყალვარდნილების გაწყობა ევალებოდა და საჭიროზე ბევრად ადრე ჩავიდა ხეობაში პირველი იყო, ვინც რორკს შეუსახლდა ქოხში. თითქოს დანარჩენებიც იმავე აზრის იყვნენ მაიკმა რომ ელექტრიკოსების თავისი საძმო მოაყენა კარზე, სწორედ ასე უთხრა მელორის: „ხომ გეუბნებოდი, მაგის გამტეხი კაცი არაა, ქვეყანას გადაიკიდებს და თავისას მაინც გაიტანს-მეთქი!“ მალე ყველას ლამის მიავიწყდა კიდეც ამ ხეობის მიღმა დარჩენილი სამყარო, აქ თავისას ქმნიდნენ მთებით შემოსაზღვრულ, მწვანეში ჩაფლულ წალკოტს, ვინაიდან ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა, შუკა თუ ჩიხი ისე ”იჯდა” ლანდ-შაფტში, თითქოსდა, ადამიანს აქ ხელი არაფრისთვის მიუკარებიაო.

ერთი რამ იყო მხოლოდ, რაც სტივენ მელორის არც ჭკუაში უჯდებოდა და არც გულში: რამდენჯერაც ქაღალდებზე ხელმოსაწერად მოსულ მისტერ ბრედლის მოჰკრავდა თვალს, იმდენი თავისთვის ჩაიბურტყუნებდა წრეზე ტრიალებს ყველაფერიო... ერთხელ რორკსაც გაუზიარა თავისი ეჭვები: ”მაგათი ვერაფერი გამიგია რაც დრო გადის, სარეკლამო კამპანიას კი არ აფართოებენ, მთლად შეკვეცეს.”

– შენ რა გადარდებს? – მხრები აიჩეჩა რორკმა, – ჩვენ ჩვენსას ვაკეთებთ, ეგენი მერე რას იზამენ, რა ჩვენი გასაკითხია.

– რა ვიცი, რა ვიცი... – თავი გადააქნია მელორიმ.

• • •

რორკი თავადაც აპირებდა, სახლი ექირავა და ზაფხული მონადოკის ხეობაში გაეტარებინა; მაგრამ ჯერ კიდევ სეზონის გახსნამდე, ამგვარი შინაარსის დეპეშა მიიღო ნიუ-იორკიდან:

„გითხარი, ჩემსას გავიტან-მეთქი! ხუთი წელი კი დამჭირდა, მაგრამ “აქვიტანია“ უკვე ჩვენია ჩემი და შენი. ახლა ჩამოდი და მოამთავრე ეს შუაგზაზე მიტოვებული საქმე”...

კენტ ლანსინგი.

ასე რომ, მაინც ნიუ-იორკში მოუწია დაბრუნება, ამ შეწყვეტილი სიმღერის” დასამთავრებლად... არადა, ბოლო ორი წელი თავაუღებლივ მუშაობდა: მონადოკის გარდა, კიდევ რამდენიმე სხვა საქმე ჰქონდა აღებული, შტატიდან შტატში უწევდა გადასვლა პატარ-პატარა შეკვეთები თითქოს თავისით, არსაიდან ჩნდებოდა ხოლმე და შეკითხვაზე მუდამ მსგავს პასუხებს იღებდა: „თქვენი აგებული ენრაიტ-ჰაუსი“ ვნახე და ძალიან მომეწონა”... „ქორდ-ბილდინგის” ფოტო მაჩვენა მეგობარმა“... „ის თქვენი აგებული ტაძარი მახსოვს, მერე რომ დაანგრიეს“... შეკვეთები პატარ-პატარა იყო, მაგრამ ზოგადად, საქმე არ ელეოდა.

ეგ იყო, სტივენ მელორი ვერ ისვენებდა: ”რა ხდება, ჰაუარდ? რას ფიქრობს ეს ხალხი? რამდენს ლაქლაქებდნენ ამ პროექტზე, სად არ ბეჭდავდნენ რეკლამებს... ახლა კი, ზედ გახსნის წინ, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბესო! ჭკუაზე თუ არიან?”

– მე არქიტექტორი ვარ, სტივენ, და არა უძრავი ქონების მაკლერი, –

მკითხველთა ლიგა

პასუხობდა რორკი, – რა გადარდებს? ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ, თავიანთი მაგათ იდარდონ.

- კარგი რა, ჰაუარდ! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, არავითარი სურვილი არა აქვთ, აქ ხალხი მოვიდეს!

– ახლა ეგ მადარდე! ხვალ ნიუ-იორკში ვბრუნდებით.

თუმცა, სრულიად მოულოდნელად, სეზონის გახსნის დღისთვის, ყველა კოტეჯი გაქირავებული აღმოჩნდა და ისიც უნდა ითქვას, მეტად ჭრელი საზოგადოებით გაივსო იქაურობა შეძლებული ხალხიც იყო და უბრალო მუშა-მოსამსახურეებიც, დამწყები მწერლები თუ ჯერ უცნობი მსახიობები, ინჟინრები თუ წვრილ-წვრილი გაზეთების ჟურნალისტები... ასევე უცბად და მოულოდნელად, თითქოს მთელი ქვეყანა ამ ახალი კურორტის თაობაზე ალაპარაკდა. ოღონდაც, სწორედ რომ მხოლოდ ლაპარაკობდნენ, არც ერთ გაზეთში სიტყვაც კი არ დაბეჭდილა მასზე.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, უკვე შემდეგი წლის განაცხადებებიც კი შემოდიოდა. ერთ დღესაც, რორკის კაბინეტში სტივენ მელორი შემოვარდა, შეშლილი სახე ჰქონდა და ხელში რაღაც გაზეთს აფრიალებდა.

– აჰა! ახლა მაინც გაიგე, რა ხდება! – გაშლილი გაზეთი მაგიდაზე დაუდო რორკს და მასაც ასომთავრულით აწყობილი სათაური მოხვდა თვალში: ”დააპატიმრეს კალებ ბრედლი!“

– რაო, რისთვისო? – წარბი აზიდა რორკმა.

– აქციების ორასი პროცენტი გაუყიდიათ ვირიშვილებს!

– ეგ როგორ...

– მაგ აფერისტებს თავიდანვე ეგრე ჰქონიათ ჩაფიქრებული: მიწა კაპიკებად იყიდეს, და იმიტომაც გიქნევდნენ ყველაფერზე თავს იფიქრეს, ამ პროექტიდან არაფერი გამოვა, კომპანიას გაკოტრებულად გამოვაცხადებთ და ხელებიც დაგვიბანიაო. მერე აქციებს თვითღირებულებაზე ორჯერ ძვირი ფასი დაადეს და ახლა იმდენ ფულს ედავებიან, შანსი არაა, მაგდენი იშოვონ! მოკლედ, იმიტომაც აგიყვანეს შენ, ეგონათ, თავისი გიჟური იდეებით პროექტს ჩააფლავებს და ყველაფერს იმას გადავაბრალებთო. უარესებში ყველაზე უარესად ჩაგთვალეს, გესმის შენ?!

რორკს სიცილი აუტყდა.

– კარგი რა, ჰაუარდ, რა გაცინებს? რა არის აქ სასაცილო?! დომინიკი მართალს ამბობდა... – მელორიმ უცებვე დააჭირა ენას კბილი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რორკმა სიცილი მოსხიპა და ორად ორი სიტყვა დაუგდო: „მორჩი ახლა.”

მერე ცოტა ხანს იყუჩა და დაამატა:

– შინ წადი და ბრედლიც დაიკიდე. ეგენი ერთმანეთს დაჭამენ სასამართლოში, ჩვენ კი "აქვიტანია" გვაქვს დასამთავრებელი.

გაზეთი ხელის ერთი მოძრაობით მოისროლა მაგიდიდან და ნახაზებს მიუბრუნდა.

• • •

სასამართლო პროცესმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია; თუმცა, პირადად რორკს არაფერი შეხებია, თუ არ ჩავთვლით ლამის ყველა გაზეთის წინა გვერდზე გამოტანილ, მისტერ ბრედლის უნებლიეთ წამოსროლილ, პარტნიორებთან თავის გასამართლებელ ფრაზას მე რა... მეტი რა უნდა მექნა? ყველაზე უვარგისი არქიტექტორი შევარჩიე!”

ოღონდ ეგაა, ამან თავისებური საპირისპირო გამოძახილი პოვა და

მკითხველთა ლიგა

ოსტინ ჰელერმა ვრცელი საქებარი სტატია გამოაქვეყნა ჰაუარდ რორკისა და მისი არქიტექტორული ხელწერის თაობაზე; სტატია იმგვარი მკვახე შეძახილით თავდებოდა, ძალაუნებურად ყველას ყურადღება მიიპყრო: „იმ საზოგადოებას რა ვუთხარი, თუკი გენიოსობის შემჩნევას ყალბისმქმნელთა სასამართლო პროცესი სჭირდება!”

– ჰაუარდ, – ახარა ერთ დილას მელორიმ, – სახელი გაგივარდა, ხო იცი!

რორკმა მხოლოდ უსიტყვოდ აიჩეჩა მხრები.

– ასეა, ჩემო კარგო, – განუცხადა კენტ ლანსინგმაც, – ღმერთმანი, ამ ჰელერმა კარგი რეკლამა გაგიწია! საზოგადოდ, მე თუ მკითხავ, ორი კაცია საჭირო კარიერის გასაკეთებლად: ერთი შემოქმედი, მეორე_ ვინც ამ შემოქმედებას დაინახავს, დააფასებს და მერე სხვებსაც აზრზე მოიყვანს...

მოკლედ, რორკის სახელი უკვე მართლა ყველას პირზე ეკერა; გამონაკლისი თუის ერთი მოკრძალებული ხმა” იყო (თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ხმა მაინც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა): ”_ მე თუ მკითხავთ, ჭიქა წყალში ატეხილი მთელი ამ ქარიშხლის დედააზრი ისაა, რომ მისტერ კალებ ბრედლი საზოგადოების მსახურების სურვილმა იმსხვერპლა მის გემოვნებასა და მოთხოვნას აჰყვა და შედეგიც სავალალო მიიღო... „მონადოკის საქმე” თავიდან ბოლომდე შეთითხნილია

– ხელოვნების თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, თორემ ფინანსური მხარე ან რა ჩვენი გასაჩხრეკია!”

თუმცა, როგორც ყოველთვის, მედალს ორი მხარე აღმოაჩნდა: ის ჯიბესქელი ხალხი, რომელმაც რორკის სახელი ადრე ყურმოკვრითაც კი არ იცოდა, ახლა მის გაგონებაზე ცხვირს იბზუებდნენ ვინა, რორკიო? არა, გმადლობთ, მეტისმეტად თავნებაა, სადა მაქვს მაგის ხუშტურების ატანა!”

თუმცა, ისეთებიც გამოჩნდნენ, ვისზეც თავად იმ ფაქტმა მოახდინა შთაბეჭდილება, რომ არქიტექტორმა იმგვარი პროექტი აქცია მომგებიანად, საიდანაც მოგების ნახვა იმთავითვე არავის ჰქონდა გეგმაში... ასე რომ, მცირე და საშუალო შეკვეთები რორკს მთელი წელი არ მოჰკლებია.

1936 წლის შემოდგომაზე, რორკმა ოცნება აისრულა და ერთ დროს მისივე პროექტით აშენებული ”ქორდ-ბილდინგის“ ბოლო სართულზე დაიდო ოფისი. კარს ოქროსტვიფრიანი წარწერა ამშვენებდა ჰაუარდ რორკი. არქიტექტორი. ქვეყნიერების სამ მხარეს გაჭრილი ფართო ფანჯრებიდან მისივე აგებული ფარგოს სუპერმარკეტი, "ენრაიტ-ჰაუსი” და აქვიტანია” მოჩანდა; მანჰეტენის კიდეზე, ლამის ჰორიზონტის პირას კი ჰენრი კამერონის ”დანა-ბილდინგი“ ისვეტებოდა...

ერთხელაც, ზედ ზამთრის პირას, ოფისში მოსულ რორკს უჩვეულოდ აღელვებული მდივანი შეეგება:

– მისტერ რორკ, რა მექნა, უთქვენოდ მივეცი თანხმობა... ხვალ სამ საათზე გელოდებიან მის ოფისში.

– ვისზე ამბობ?

– გეილ უაინენდზე! ნახევარი საათის წინ დარეკა და გთხოვათ, აუცილებლად შემხვდესო...

2

შენობის შესასვლელს გაზეთის ლოგო ამშვენებდა:

მკითხველთა ლიგა

ნიუ-იორკ ბანერი

წარწერა მომცრო იყო, კოხტად გამოყვანილი, და უხეშად დაკუთხული, უჟმური შენობის ფონზე, რაღაც დამცინავი ღიმილივით აღიქმებოდა. თავად შენობაშიც ისეთი არაბუნებრივი, მექანიკური წესრიგი სუფევდა, თითქოსდა ერთი დიდი მანქანაა, რომელსაც ასევე ერთი კაცი მართავსო. სიმართლე ითქვას და, მართლაც ასე იყო... ამიტომაც, არავის მიუქცევია ყურადღება უცნაურად ჟღალთმიანი კაცის შემოსვლისთვის.

იმავე დროს, გეილ უაინენდს მაგიდის ოქროსვარაყიანი, მასიური საათისკენ გაექცა თვალი: რამდენიმე წუთში იმ არქიტექტორს უნდა შეხვედროდა... მისი ფიქრით, ბევრ დროს ეს არ წაიღებდა ან როდის იყო, თავის ქნევისა და მოკრძალებული ღიმილის გარდა, ვინმეს გაებედა რამე გეილ უაინენდთან მისსავე კაბინეტში პირისპირ დარჩენილს! სელექტორში მდივნის საქმიანი ხმა გაისმა: „მისტერ რორკი გელოდებათ, სერ.”

– შემოვიდეს, – უპასუხა და სელექტორი გათიშა უაინენდმა.

უცნაური იყო გეილ უაინენდს ის მომენტი გამორჩა, როდის წამოდგა, როდის გაემართა სტუმრის შესახვედრად; და რორკიც ვერ გარკვეულიყო, როდის გადადგა საპასუხო ნაბიჯი, როდის შეაგება გამოწვდილ ხელს ხელი და რატომ გაუელვა ორივეს გონებაში თითქმის ერთმა და იმავე ფიქრმა ”ეს გეილ უაინენდია“, ”ჰაუარდ რორკი...“ მერე მასპინძელმა გაიღიმა, სავარძელზე ანიშნა და რატომღაც, თავადაც მის პირდაპირ მოკალათდა და არა ჩვეულ ადგილას, მუხის საწერ მაგიდასთან...

უცბად, მისთვისვე მოულოდნელად, უაინენდს ერთი უცნაური ფრაზა წამოსცდა:

– არა მგონია, ჩემთან მუშაობა გინდოდეთ.

- პირიქით, – უპასუხა რორკმა, თუმცა, სრულიად საპირისპიროს თქმას აპირებდა.

– ჩემი დაკვეთილი შენობებიდან გინახავთ რომელიმე?

– კი.

უაინენდს ისევ გაეღიმა: „ოღონდ ეს სულ სხვაა. ეს ჩემთვის მინდა.”

– რა, აქამდე...

– არა, არასოდეს! თუ, რა თქმა უნდა, იმ შუშის კოლოფს არ ჩავთვლით, პენტჰაუზის თავზე რომ მქონდა მოწყობილი... მთელი ქალაქი შემეძლო გამეშენებინა, ოღონდ მაგის სურვილი არასოდეს მქონია, არ ვიცი, რატომ... იქნებ თქვენ მითხრათ? – მაგნატს სულ ამოუვარდა თავიდან, რომ ცხოვრებაში არ მიუცია უფლება, მის სულში ეფათურა ვინმეს...

– ალბათ, ბედნიერი არასოდეს ყოფილხართ და იმიტომ, – წარბშეუხრელად მიუგო რორკმა.

მშვიდად თქვა, არაფერი შეურაცხმყოფელი ამაში არ იყო, თითქოსდა მათ საუბარში იმთავითვე მხოლოდ სრული გულახდილობა იგულისხმებოდა; ოღონდ, ეს საუბრის დასაწყისი კი არა, შუაგული იყო უკვე, დიდი ხნის წინ წამოწყებულის გაგრძელება...

– მაგით რისი თქმა გინდათ?

– მგონი, თავადაც ხვდებით.

– მოდი, მაინც გავხსნათ ფრჩხილები...

– ზოგადად, ადამიანი სახლს თავშესაფრად იშენებს... არადა, ის სიმბოლოა ერთგვარი ჩვენივე საკუთარი ცხოვრების გამოხატულება: თუ კაცი არაფერს იშენებს, ესე იგი, საკუთარი ყოფა არაფრად უღირს, უკმაყოფილება ტანჯავს.

– ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ, მაინცდამაინც მე რომ მეუბნებით

მკითხველთა ლიგა

ამას?!
– არა.
_ რამდენი წლისა ხართ?
– ოცდათექვსმეტის.
– არადა, მაგ ხნისას მე უკვე ყველაფერი მქონდა...
_ ახლა რა გინდათ, რომ აგიშენოთ?
– სახლი. ჩემთვის. – თქვა უაინენდმა და მერე გააგრძელა, – სწორი დიაგნოზი დამისვით. აქამდე ბედნიერად არასოდეს მიგრძვნია თავი. ახლა კი...
– როგორი სახლი?
– ჯერ ერთი ქალაქიდან მოშორებით. ხუთასი აკრი მიწა ვიყიდე კონექტიკუტში... თავად სახლს რაც შეეხება, თქვენთვის მომინდვია.
– ჩემი მოწვევა მისის უაინენდმა გირჩიათ?
– არა, ამის თაობაზე საერთოდ არაფერი იცის. ადგილიც თავად შევარჩიე. აზრზეც არ ვიყავი, ვინ მომეწვია. აქამდე, არქიტექტორი და რეგვენი ჩემთვის სინონიმები იყო სანამ მონადოკის ფოტოები არ ვნახე... მაგრამ ჩემთვის ესეც არ იყო საკმარისი. ქვეყანა მომივლია და სადაც კი რამე მომეწონა, პასუხად ერთსა და იმავეს ვიღებდი ჰაუარდ რორკის დაპროექტებულიაო ...
– და მაინც, როგორი სახლი გინდათ?
– სახლი კი არა, სასახლე მინდა ოღონდ ვინ თქვა, სასახლე აუცილებლად დიდი უნდა იყოსო?! კარგად ნაგები პატარა სახლია სწორედ სიმდიდრე! სახლი მხოლოდ ორი ბინადრისთვის მე და ჩემი მეუღლე შვილების გაჩენას არ ვაპირებთ... არც სასტუმრო ოთახი გვჭირდება დიდი, სტუმრიანობას არ მოველით. დანარჩენი ჩვეულებრივად მისაღები, სასადილო ოთახი, ბიბლიოთეკა, ორი პატარა კაბინეტი, ერთი საძინებელი... ცალკე კოტეჯი რამდენიმე მსახურისთვის, ავტოფარეხი... სხვა დეტალები მერე დავაზუსტოთ. ხარჯებისთვის კი ღია ანგარიში გექნებათ გახსნილი. რაც შეეხება საერთო ხედს... – აქ გეილ უაინენდს ჩაეღიმასავით, – თქვენი ქმნილებები უკვე ნანახი მაქვს. თუ ვინმე გეტყვით, როგორი იყოს სახლი, ან თვითონ უნდა იყოს უკეთესი ხუროთმოძღვარი, ანდა, უბრალოდ, ჯობია, მოკეტოს... მოკლედ, ჰაუარდ რორკისეული სახლი მინდა ესაა და ეს.
– ასეთ შემოთავაზებაზე უარს არ ამბობენ...
_ თქვენც კი?
– მე მით უფრო.
– იცით, რაშია საქმე მხოლოდ ახლახან დავქორწინდი... მოკლედ, არ დაგიმალავთ, ჯერ ასე არავინ მყვარებია და არავითარი სურვილი არა მაქვს, ამ სიყვარულს დაემუქროს რამე... სახლიც კი ციხესიმაგრედ მინდა ვაქციო და ეჭვიანობა არაფერ შუაშია უბრალოდ, განდგომილად ცხოვრება მსურს... და ეს ახალი ცხოვრებაც იმდენად მშვენიერი მინდა იყოს, წარსული აღარც გვახსოვდეს! სახლიც ისეთი არც ღობე დასჭირდეს და არც გალავანი... თავად არქიტექტურამ უნდა გამიჯნოს ეს სავანე დანარჩენი სამყაროსგან. როდისმე ტაძარი თუ აგიშენებიათ?
წამით რორკს სისხლი მოაწვა სახეზე, მაგრამ უცებვე მიხვდა, შეკითხვის მიღმა არანაირი ქვენა აზრი არ იმალებოდა უაინენდს აშკარად არაფერი სმენოდა ”სტოდარდის ტაძრის” თაობაზე. თავს მოერია და მშვიდად უპასუხა:
_ კი, ეგეც ყოფილა...
– წარმოიდგინეთ, ვითომ ტაძარს აშენებთ დომინიკ უაინენდისთვის... რა თქმა უნდა, მანამდე მეუღლესაც გაგაცნობთ!

მკითხველთა ლიგა

– შევხვედრივარ. რამდენიმე წლის წინ.
– მართლა? მაშინ თქვენთვისაც უკვე გასაგებია ყველაფერი! მოკლედ, ნუღარ გადავდებთ. რას იტყვით, ზაფხულისთვის მოესწრება?
– თუ ხელს არავინ შემიშლის, კი.
– ხელშეკრულება ახლავე გავაფორმოთ, თუ... კაცმა რომ თქვას, თქვენ შესახებ საერთოდ არაფერი ვიცი, აზრად არ მომსვლია, ის მაინც გამომეკითხა, რა პირობებზე იქნებოდით თანახმა. და არც მგონია, საჭირო იყოს: როგორც ხედავთ, არავითარ წინაპირობას მე არ გიყენებთ – სრული თავისუფლება და ღია ანგარიში ბანკში! მაგრამ ყველაფერი ეს ერთი პირობით: მესმის, რომ კარიერისთვის გამოგადგებოდათ, თუმცა, მაინც, ამ სახლის თაობაზე სიტყვა არ უნდა ითქვას არსად. გითხარით, რეკლამა არ მჭირდება-მეთქი.
რორკმა მხრები აიჩეჩა: "არც მე."
უაინენდს უცებ სიცილი აუტსდა:
– არა კაცი არ დაიჯერებს, რომ ამგვარი საუბარი მართლაც შედგა ჩვენ შორის! თითქოს ის გეილ უაინენდი აღარა ვარ...
– ცოტათი მეც მიკვირს ჩემი თავის, – მწარედ ჩაეღიმა რორკს:– მოკლედ, ხვალ ცხრისთვის გამოგივლით და მიწის ნაკვეთის სანახავადაც წავსულვართ კონექტიკუტში!
რორკის წასვლის შემდეგ, უაინენდს ისეთი განცდა დარჩა, თითქოს ვიღაც მისივე დაქირავებულ არქიტექტორს კი არა, საკუთარ თავს ესაუბრა მთელი ამდენი ხანი. უჩვეულო განცდა იყო; თავი ისე გააქნია, თითქოს აბეზარ ფიქრებს იშორებსო და კვლავ სელექტორის ღილაკს დააჭირა თითი: „არქივიდან ჰაუარდ რორკზე ამომიტანეთ მასალა. ყველაფერი, რასაც მოიძიებთ!”

• • •

– გაიგე ამბავი?! – აღელვებული ალვა სკარეტი უცერემონიოდ შევარდა ელზუერთ თუისთან, – აბა, გამოიცანი, ეს წუთია, ვინ გამოვიდა უაინენდის კაბინეტიდან!
საქმეში ჩაფლულმა მისტერ თუიმ მძიმედ აიღო თავი:
– კარგი, რა, ალვა, მასთან დღეში ოცი-ოცდაათი კაცი მაინც შედის, რა შენი გამოცანების თავი მაქვს?!
– არა, მაინც?
– შემეშვი...
– ჰაუარდ რორკი!!!
თუი უცებ გამოცოცხლდა:
– არა ა!
– გეუბნები!
– ბიჭოს! – აღმოხდა მისტერ თუის და მერე, უცებ, სიცილი აუტყდა.
– დაიცა, რა გაცინებს?!
– ალვა, თუ იცი, რომ ყველაზე დიდ სისხლისღვრას შიდარელიგიური დაპირისპირებები იწვევდა და სამოქალაქო ომებშიც, ძირითადად, ერთი და იმავე მოდგმის ხალხი ჟუჟავდა ერთმანეთს?
_ რაღაც ვერ მოგდევ...
– ალვა ჩემო, ისედაც იმდენი მიმდევარი მყავს, ახლა შენ მაკლდი კიდევ!
_ დაიცა, რა გეამა ეგ ამბავი?!
თუიმ მხრები აიჩეჩა.
– ამბავი მართლაც ცუდია, ოღონდ არა ჩვენთვის.
– რა, ბოსი რომ იმ დარტყმულს ხვდება, ეს ვითომ ჩვენ სასიკეთოდ

მკითხველთა ლიგა

შეიძლება შემოტრიალდეს?

– არ ვიცი, არ ვიცი... ერთს კი ვხედავ ამ ბოლო დროს შეფმა მთლად აურია.

– მართალი ხარ, ელზი, ცამდე მართალი! არ ვიცი, ეს დომინიკს დავაბრალო თუ რას, მაგრამ ხან რომელ სტატიას ჩეხავს და ხან რომელს! ჯულზ ფაულერს იმ დღეს პირში უთხრა ყურები გამოიფხიკეო... სულ გადაირია! დუაიტ კარსონიც დაითხოვა არადა, მაგის გადმობირებული არ იყო?! ხალხი წკიპზეა, დაწყვეტაზე აქვთ ნერვები. ახლა კიდევ ეს ჰაუარდ რორკიც გამოტყვრა...

– ეგ არაფერი, მისტერ სკარეტ, საქმე საქმეზე თუ მიდგა გეილ უაინენდის შიში ჩვენ უკვე აღარ უნდა გვქონდეს. ენდე ჩემს ალღოს...

• • •

არქივიდან ამოტანილი სქელი საქაღალდის დანახვამ გეილ უაინენდი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა კიდეც.

– აქ, ძირითადად, სტოდარდის საქმის მასალებია, სერ... – აუხსნა მდივანმა.

უაინენდს ისეთი სახე გაუხდა, თითქოს გველს დააბიჯა ფეხი.

– გმადლობთ, თავისუფალი ხართ... – თქვა ცივი ხმით და მდივანიც უსიტყვოდ აორთქლდა კაბინეტიდან.

გეილ უაინენდი კი კარგა ხანს უჯდა საწერ მაგიდას, გაბერილ საქაღალდეს დასცქეროდა და ცდილობდა, რამე საბაბი მაინც ეპოვა, რაც მის გახსნას გადააფიქრებინებდა. ბოლოს, ერთი ღრმად ამოიოხრა, ყველაზე სქელი კონვერტი გამოაძვრინა, ამონაჭრები წინ დაიყარა და კითხვას შეუდგა: ელზუერთ თუი, „მკრეხელობა!“; ალვა სკარეტი ქვიშაზე ნაგები ტაძრები“; მერე სარედაქციოები, მიმოხილვები, გამოხმაურებები... ფოტოები, კარიკატურები, საპროტესტო წერილები, აღშფოთებული კოლექტიური მიმართვები რედაქტორის სახელზე...

სიტყვა არ გამოუტოვებია, ფურცელი არ დაუტოვებია წაუკითხავი. „სტოდარდის ტაძრის“ ფოტოებსაც დააშტერდა კარგა ხნით, სულ ბოლოს კი ერთი ფოტო გამოარჩია თავად რორკის, ნანგრევებს რომ გასცქეროდა, ქვეშ კი წარწერა: „ახლა რაღას იტყვი, გენიოსა?“

შემდეგ უკვე სასამართლო პროცესის მასალები მოდიოდა მისტერ ელზუერთ მ. თუის, პიტერ კიტინგის, რელსტონ ჰოლქომბის, გორდონ ლ. პრესკოტისა და სხვათა ჩვენებები, სრულად... მხოლოდ დომინიკ ფრენკონის გამოსვლის შინაარსი იყო სულ ერთი აბზაცით გადმოცემული და მერე სრული სიჩუმე, სამწლიანი, უკვე მონადოკის აყალმაყალამდე...

კითხვას შეღამებულზე მორჩა. ოფისიდან ყველა გაკრეფილიყო. სიცარიელის სიჩუმე იდგა ირგვლივ, მხოლოდ საბეჭდი მანქანის ყრუ გუგუნი მოისმოდა ერთადერთი ხმა, მალამოდ რომ ედებოდა მთელი ცხოვრება. მიაყურადა: სადღაც, ქვემოთ, ხვალინდელი "ბანერი" იბეჭდებოდა...

3

რორკი და უაინენდი შემაღლებულზე იდგნენ და ქვევით გაწოლილ, ერთი მხრივ კლდეებით, მეორე მხრივ კი ტბით შემოსაზღვრულ მყუდრო ხეობას გადასცქეროდნენ. ბექობზე შეფენილი, დათოვლილი, შიშველი ხეები თითქოს ჯერ აუშენებელი ნაგებობის ხიმინჯებად მოჩანდნენ ზამთრის კრიალა ცის ფონზე.

მკითხველთა ლიგა

– რას იტყვი, სად ფიქრობ სახლის ჩადგმას? – დაეკითხა უაინენდი.
– აქვე, სადაც ვდგავართ.
– ჩემს გულში იჯექი...
თითქმის ორი საათი მოანდომეს ამოსვლას; ჯერ მანქანით იარეს ნიუ-იორკიდან, მერე კი ფეხით ამოუყვნენ ფერდობს. აქედან ხელისგულივით მოჩანდა უაინენდის მომავალი სამოსახლო.
– მაინც, რატომ დამთანხმდი? – უცბად, სრულიად მოულოდნელად იკითხა უაინენდმა, ისე რომ თავიც არ მიუბრუნებია.
_ არქიტექტორი ვარ და კერძო შეკვეთებით ვცხოვრობ. – მოკლედ მოუჭრა რორკმა.
_ ეგ თავისთავად... სხვა?
– სხვა რა გითხრა...
– ვითომ, ყველა შემკვეთი ერთია შენთვის?
– და რა განსხვავებაა?
– სხვებს "სტოდარდის ტაძრის" დანგრევაში ხელი არ ურევია. არც სულელი უწოდებიათ შენთვის, არც ყალთაბანდი, არც მანიაკი...
– ეს თვითგვემა რაში გჭირდება?
უაინენდს თითქოს სილა გააწნეს ტუჩებშიო, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ გააგრძელა, უკვე სხვა ხმით:
– მისტერ რორკ, ჩემგან ბოდიში ჯერ არავის გაუგია. არასოდეს!
– ან ახლა რა გაქვს საბოდიშო...
_ რაც "ბანერში" იბეჭდებოდა, ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს, ყოველთვის ასე იყო. მართალია, მაშინ აქ არ ვიმყოფებოდი, მაგრამ გაზეთის სტრატეგია მთლიანად მე შევიმუშავე, თავიდან ბოლომდე, და მის შეცვლის ნებას არც არავის მივცემდი... ალვა სკარეტი, უბრალოდ, იმას აკეთებდა, რაც მე დავავალე.
– გასაგებია.
– გგონია, აქ რომ ვყოფილიყავი, რამე შეიცვლებოდა?
რორკმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ: "ეგ უკვე ჩავლილი ამბავია. პატიება არაფერში გჭირდება. ოღონდ ერთი კია ჩემთვის დამთავრდა, შენთვის ჯერ არა."
– საიდან მოიტანე?
– ასე მგონია, ახლა ნანობ, რომ ტკივილი მომაყენე. იმის გაგებას კი უფრთხი, რომ არავითარ ტკივილს მე არ ვგრძნობ... გგონია, ჩემი მხრივ დიდი სულგრძელობა იყო ამ შეკვეთაზე დათანხმება? პირიქით, ეს შემოთავაზება შენთვის უფრო უნდა ყოფილიყო საძნელო...
უაინენდი წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა. არაფერი უთქვამს, თითქოს უსიტყვოდ ანიშნა, შენც ჩაიმუხლეო.
– სიღარიბეში გაიზარდე? – უცებ ისევ ისე შინაურულად დაეკითხა, ყოველგვარი გადასვლის გარეშე.
– კი, ეგრეა.
– მეც. მამაშენი ვინ იყო?
– უბრალო მგლინავი. თუჯის სადნობ ქარხანაში მუშაობდა.
– ჩემი კი მტვირთავი, პორტში. ბავშვობაში რას საქმიანობდი?
– რას არა... რასაც შემომთავაზებდნენ. ძირითადად მშენებლობაზე.
– მე კი ფეხსაცმლის მწმენდაობით დავიწყე ჰადსონის ბორანზე.
რორკი მიხვდა, უაინენდს წესად არ ჰქონდა საკუთარ წარსულზე გულახდილი ლაპარაკი; ახლაც მძიმე-მძიმედ, თითქოს ლითონის მონეტებივით ჭრიდა თითოეულ სიტყვას.
– მშიერსაც გძინებია, ღია ცის ქვეშ?
– ეგეც ყოფილა.

მკითხველთა ლიგა

– იბოღმებოდი?
_ არც ისე...
– არც მე. მარტო ის მაცოფებდა ხოლმე, რამდენი რამის გაკეთებას შევძლებდი, მუდმივად თავის გატანაზე რომ არ მეფიქრა.
– ჰო, ეგ კი იყო...
– დავიჯერო, არავითარი ბოღმა არ შემოგრჩა?
– არა. შენგან განსხვავებით. იმიტომაც მინდა, დაგეხმარო.
– მე დამეხმარო?
– ჰო, ეს სახლი აგიშენო...
– ..და შენც შენი მიიღო...
რორკს სახე გაუქვავდა: „ალბათ, ეგრეა...” – თქვა ბოლოს.
- კარგი, წავედით. კიდევ სხვა უამრავი საქმე მაქვს. შებინდებამდე მინდა, დავბრუნდე.
გზად სიტყვაც აღარ უთქვამთ ერთმანეთისთვის. მარტო ”ქორდ-ბილდინგთან” რომ გადმოსვა მანქანიდან, მაშინღა უთხრა უაინენდმა:
– თუ ხეობაში ისევ დაგჭირდება ჩასვლა, მანქანა თქვენს განკარგულებაშია. მხოლოდ ოფისში დარეკე წინასწარ და მძღოლი გააფრთხილე. შემატყობინე, როცა ძირითადი მონახაზი მზად გექნება.

• • •

თვე გავიდა, სანამ რორკმა ნახაზი გაამზადა და მხოლოდ მაშინღა დარეკა უაინენდის ოფისში.
– ერთი წუთით მოითმინეთ, მისტერ რორკ, – სთხოვა მდივანმა.
რამდენიმე წუთიც გავიდა, სანამ მდივანი ტელეფონთან მობრუნდებოდა და აუწყებდა მისტერ უაინენდი ამ საღამოს საკუთარ კაბინეტში გელოდებათო...მათ შეხვედრას ადრინდელი გულითადობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. უაინენდმა ნახაზი გამოართვა და უხმოდ მიანიშნა სავარძელზე. მერე ნახაზი მაგიდაზე დადო და დიდხანს დასცქეროდა.
– შთამბეჭდავია, მისტერ რორკ, – თქვა ბოლოს, – ძალზე შთამბეჭდავი... და ახლა ერთი საგანგებო შემოთავაზება მაქვს თქვენთვის.
ნახაზს დასწვდა, მაღლა აწია, სინათლისკენ მიმართა და ესღა ჰკითხა:
– მართლა გინდათ, რომ ეს სახლი აშენდეს?
რორკმა თავი დაუქნია, მძიმედ.
– კეთილი, მისტერ რორკ. ზუსტად ისეთი აშენდება, როგორსაც თქვენ დააპროექტებთ. შტრიხიც არ შეიცვლება. ოღონდ ერთი პირობით.
რორკი წელგამართული იჯდა, მშვიდად, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.
– და არც მეკითხებით, რა პირობით, მისტერ რორკ? კარგი, თავად გეტყვით: კონტრაქტს მოვაწერთ ხელს, სადაც ხაზგასმით იქნება ნათქვამი, რომ დღეიდან მხოლოდ ჩემთვის იმუშავებთ ჩემთვის და მხოლოდ ჩემთვის! მშენებლობების ფართო ქსელის გაშლას ვაპირებ ქვეყნის მასშტაბით, ასე რომ, სამუშაო არ მოგაკლდებათ. ბევრი ინატრებდა ამგვარ შემოთავაზებას, მაგრამ მე მხოლოდ თქვენ მჭირდებით! არავითარი ტაძრები მხოლოდ ოფისები, სავაჭრო ცენტრები, საწყობები, სასტუმროები.. თანაც სწორედ იმ სტილში, რასაც ხალხი გიმეორებთ ხალხი მოითხოვს! ეს სახლი კი, რორკისეულ ნაგებობათა შორის უკანასკნელი იქნება... იცით ალბათ, აღმოსავლელი სატრაპები როგორ ეპყრობოდნენ კარის ხუროთმოძღვრებს თვალებს თხრიდნენ, ანდა მარჯვენას კვეთდნენ უკეთესი რომ არსად აღარაფერი აეგოთ... დღევანდელი მეთოდები, მართალია, ძირეულად განსხვავდება, ოღონდ იმის ძალა ნამდვილად შემწევს, თქვენი უარის შემთხვევაში, ქვის

მკითხველთა ლიგა

სამტეხლოში მუშაობაც კი სანატრელი გაგიხადოთ! თუ საჭირო გახდა, გაი ფრენკონის გრანიტის სამტეხლოს სულაც მთლიანად შევისყიდი მხოლოდ იმისთვის, მუშის ადგილსაც ვერ ეღირსოთ იქ. და ეს ყველაფერი ისევ თქვენდა სასიკეთოდ, მისტერ რორკ, სწორ გზაზე მინდა დაგაყენოთ, თავკერძობას ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე! ხალხის ნებას უნდა გავუწიოთ ყველამ ანგარიში
და მაშინ ხალხიც დაგვიფასებს. ხალხის დაფასებას კი ერთი რამ მოაქვს_ ფული. მე თქვენ მდიდარ კაცად გაქცევთ, რორკ...

წინ გადმოიხარა, ლოყებზე ალმური მოედო, იმ ფოცხვერივით დაიძაბა, მსხვერპლს სულ ერთი ნახტომის მანძილზე რომ მიახლოებია...

„მაგაზე როგორ ვიტყვი უარს... – მოულოდნელად თქვა რორკმა, მერე საწერ მაგიდაზე ფანქარს დასწვდა, სუფთა ფურცელი გაშალა და იქვე, სახელდახელოდ დაიწყო ხაზვა. სწრაფად მუშაობდა, ხელის მკვეთრი მოძრაობებით; შუბლზე ორი შვეული, ღრმა ნაოჭი დააჩნდა, წარბები შეეჭმუხნა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ უკიდურესი გულმოდგინების გამოხატულება იყო და არა დაძაბული ძალისხმევის.

ბოლოს, თავი აიღო, ფანქარი მიაგდო და ახალი ნახაზი უაინენდს გაუწოდა:

– ამას გულისხმობდით?

ეს იგივე პროექტი იყო, ოღონდ სრულიად სახეცვლილი კოლონიური ხანის დორიული სვეტებით, თაბაშირის ორნამენტებით, მოჩუქურთმებული ფანჯრებით... კაცმა რომ თქვას, სავსებით სერიოზული ნამუშევარი პაროდია-სტილიზების მხრივ, ვერც ერთი ხელოვნებათმცოდნე ვერ დასდებდა წუნს...

– ღმერთო, შენ მიშველე! არა, რა თქმა უნდა! – აღმოხდა უაინენდს და უცებ სიცილი აუტყდა.

- მეგონა, ჩემი ხასიათის ამბავი გაგონილი გექნებოდათ, მისტერ უაინენდ... ეს გამოცდა რაღა საჭირო იყო?

– ჰაუარდ, არავითარი გამოცდა ეს არ ყოფილა ის გითხარი, რასაც ვაპირებდი კიდეც. ამან გადამაფიქრებინა. – თქვა უაინენდმა და გადაკეთებულ ნახაზზე მიათითა.

– მერე, ნანობთ?

– არც უმაგისობაა ადრე ასე იოლად არ შევეგუებოდი დამარცხებას...

– გინდათ, ჩემით ვთქვა უარი?

– გვიანია, – და უაინენდს კვლავ ნახაზისკენ გაექცა თვალი, – გახსოვს, რომ მითხარი კაცის საცხოვრებელი მისივე განვლილი გზის გამოხატულება უნდა იყოსო?.. მართლა გჯერა, რომ ასეთ სამკვიდროს ვიმსახურებ?

– ასეა, უაინენდ. ამის მერე რაც არ უნდა მოხდეს ჩვენ შორის ახლა ასეა.

უაინენდმა ცოტა ხნით იყუჩა. მერე ისე თქვა, ვითომც აქ არაფერიო:– ნახაზს შინ წავიღებ, მეუღლეს მინდა ვაჩვენო. ჯერ არაფერი იცის ამის თაობაზე.

– აქამდე არ გითქვამს?

– არა. მინდოდა, უკვე გამზადებული ნახაზი ენახა. და ახლა მინდა შენც გნახოს. ვიცი, მაინცდამაინც არ ეხატებოდი გულზე მისი სტატიები გადავიკითხე... მჯერა, აზრს შეიცვლის. მოკლედ, ვახშმად გპატიჟებ, იმედია, უარს არ მეტყვი.

– არა, რა თქმა უნდა.

მკითხველთა ლიგა

შინ დაბრუნებულს დომინიკმა პირველი ეს ჰკითხა:
– მოხდა რამე, გეილ? დღეს რაღაც სხვანაირად ხალისიანი ჩანხარ. კაცებს ასეთი გამოხედვა მაშინ გაქვთ ხოლმე, ახალ ქალს რომ გაიცნობთ...
– მართალი ხარ, ოღონდ ქალი არა, კაცია. იცი, რას გეტყვი, დომინიკ აქამდე სულ ვფიქრობდი, საოცრებაა ნამდვილი, ჩვენმა ერთად ყოფნამ ამდენ ხანს რომ გასტანა-მეთქი. მხოლოდ დღეს დავიჯერე, ამიერიდან არაფერი გვემუქრება არავისგან და არაფერი! თან, ერთი სიურპრიზიც მაქვს შენთვის: საშემოდგომოდ საკუთარ სახლში გადავდივართ, ქალაქგარეთ.
– კარგი ერთი! რა ხანია, ამაზე სიტყვაც აღარ დაგიძრავს; მეგონა, გადაგავიწყდა კიდეც.
– ბოლო ექვსი თვეა, სულ მაგაზე ვფიქრობ. მოკლედ, თანახმა ხარ?
– რა თქმა უნდა, გეილ. თუკი ასე ძალიან გინდა... არქიტექტორი შეარჩიე უკვე?
– მეტიც, მონახაზიც კი გავაკეთებინე! წამო, შენი თვალით ნახე.
ცოლს ხელკავი გამოსდო და კაბინეტში შეიყვანა. ნახაზი კედელზე მიეყუდებინა, სახით კარებისკენ, თან ისე, რომ მაგიდის სანათის შუქი შესაბამისი კუთხით დასცემოდა...
დომინიკი ზღურბლზევე გაშეშდა. შორიდან ავტორის ხელმოწერის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ან რა საჭირო იყო რორკის ნამუშევარს ათას სხვაში გამოარჩევდა.
_ დომინიკ?
ქალმა ქმრისკენ გადაიტანა მზერა, უსიტყვოდ.
– ვიცოდი, რომ მოგეწონებოდა. მეც ენა ჩამივარდა თავიდან...
ქალი სავარძელთან მივიდა, მოწყვეტით ჩაეშვა შიგ და საზურგეს მიეყრდნო. თვალს არ აცილებდა ქმარს, ის კი, თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევსო, საწერი მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ჯერაც ნახაზისთვის მიეშტერებინა ხარბი მზერა.
– როდის შეხვდი, გეილ?
– ვის?
– არქიტექტორზე გეუბნები.
– ერთი საათის წინ.
– არა, პირველად როდის შეხვდი-მეთქი!
– თვეზე მეტი იქნება...
– და მთელი ეს ერთი თვე...
– რატომ არაფერს გეუბნებოდი? ჯერ ნახაზი მინდოდა, მენახა. გონებაში კი მქონდა წარმოსახული, მაგრამ ახსნა არ შემეძლო, საერთოდ არ მქონდა იმედი, ვინმე თუ გამიგებდა... აი, ამ კაცმა კი ჩაავლო!
– ვინ კაცმა?
– ჰაუარდ რორკმა.
სწორედ ასე, მისგან უნდოდა ქალს ამ სახელისა და გვარის გაგონება...
– გირჩია ვინმემ?
– არა, უბრალოდ, რაც კი სადმე შენობა მომეწონა, ყველა მაგის დაპროექტებული აღმოჩნდა! დაიცა, დომინიკ ერთი რამეც უნდა გითხრა... ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს სწორედ ისაა, შენ რომ შენს სტატიებში ასწორებდი მიწასთან...
– ჩემი სტატიებიც წაგიკითხავს?
- მომიწია. ერთი რამ კი შევამჩნიე პირადად ვერ იტანდი, თორემ მის ნამუშევრებზე აუგი არ დაგცდენია... მერე, უცებ, სასამართლოშიც

მკითხველთა ლიგა

გამოხვედი მის დასაცავად.
– კი, მახსოვს.
– ისიც გეხსომება, ერთხელ მის მოქანდაკეს რომ დაუდექი მოდელად.
– ცხადია...
– უცნაურია, დომინიკ, მის დასაცავად "ბანერიდან" წასვლასაც არ მოერიდე. მე კი არაფერი ვიცოდი. საერთოდ, წარმოდგენა არ მქონდა სასამართლოს თაობაზე. პირველად როცა შევხვდი, სახელიც არ მახსოვდა მისი. არადა, შენი თავი მან მაპოვნინა ის ქანდაკება... ახლა ჩემს საოცნებო სახლსაც ამიშენებს! ისე, რა დაგიშავა, რატომ ვერ იტანდი?
– ძველი ამბავია, გეილ... რამდენი წელი გავიდა, თვალიც კი აღარ მომიკრავს მისთვის.
– ერთ საათში ნახავ. ვახშმად დავპატიჟე.
– აქ, ჩვენთან?!
უაინენდს ჩაეღიმა, გაახსენდა, როგორ უმტკიცებდა ცოლს, არავითარი სტუმრიანობა ჩვენ არ გვჭირდებაო: ”ეს სხვა შემთხვევაა, დომინიკ. მინდა, რომ უკეთ გაგვიცნოს, იქნებ გაგვიშინაურდეს კიდეც.“
ქალი წამოდგა.
– ძალიან კარგი, გეილ. მაშინ მზარეულს ვეტყვი, თადარიგი დაიჭიროს. ბარემ კაბასაც გამოვიცვლი.

• • •

სასტუმრო ოთახში იდგნენ და უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. „აი ასე, სულ მარტივად”, – გაიფიქრა დომინიკმა, – „ის სულ აქ იყო, ფეხმოუცვლელად; ის განაგებდა ჩემს ყოველ ნაბიჯს, მისმა გადაწყვეტილებამ მომიყვანა აქ და ახლა თავადაც მოვიდა და თავისას ითხოვს...“ ქალი უყურებდა და წარმოსახვაში ისეთს ხედავდა, როგორიც მაშინ იყო, პირველად რომ გაიღვიძა მის ლოგინში; და უფრო ადრეც, პირველად რომ დაინახა ქვის სამტეხლოში... მას შემდეგ თითქოს არაფერი
შეცვლილიყო არც წლებს ჰქონდა მნიშვნელობა და არც სამოსს...ახლა კი, აქ, გეილ უაინენდის სახლში, თითქოსდა კვანძი იხსნებოდა, თითქოსდა ქალის ნებაც საბოლოოდ აქ მთავრდებოდა არც აქამდე იყო მთავარი მოქმედი პირი, დღეიდან კი მთლიანად ამ კაცს უნდა აეღო ხელში სადავე...
– მისის უაინენდ, მადლობა მინდა გითხრათ ამ შეკვეთისთვის: ვიცი, რომ გეილ უაინენდმა კი შემარჩია, მაგრამ თქვენი დასტურის გარეშე... მოხარული ვარ, რომ უარი არ თქვით.
– როგორც მსმენია, არცთუ ისე დამყოლი ადამიანი უნდა იყოთ, როცა საქმე პროფესიულ პრინციპებს შეეხება, – თქვა ქალმა.
– შეიძლება კონფლიქტური მართლაც ვიყო, ოღონდ მხოლოდ როგორც არქიტექტორი...
– მაშ, ამ პროექტთან დაკავშირებითაც უნდა ველოდოთ კონფლიქტებს?
– არა მგონია, თუკი მისტერ უაინენდი არ ეცდება, საკუთარი გავლენის ქვეშ მომაქციოს. იცით, ზოგიერთი დამკვეთისთვის მუშაობა ერთი სიამოვნებაა, მეორისთვის კი სატანჯველი. თუმცა გადამწყვეტი მაინც ეს არაა.
– მაგრამ ნებისმიერი ნაგებობა ხომ თავად შენა ხარ! – ჩაერთო უაინენდი.
მისმა შინაურულმა ტონმა აშკარად გააკვირვა დომინიკი. ქმარს ეს არ შეუმჩნევია, თუმცა რორკმა კი მიაქცია ყურადღება.
– მაგ ნათქვამისთვის მადლობა, გეილ! – თავი დაუქნია რორკმა და

მკითხველთა ლიგა

დომინიკი უცებ ვერც მიხვდა, შეგნებულად, მის გასაგონად გაუსვა ხაზი ამ გეილს თუ უნებურად გამოუვიდა.

– უცნაურია, – გააგრძელა უაინენდმა, – საერთოდ, ნაღდი მესაკუთრის ბუნება დამყვა უბრალო საფერფლეც რომ ვიყიდო, ის უკვე რაღაც განსაკუთრებული ხდება ჩემთვის, რადგან მე მეკუთვნის და სხვას არავის! ყველაფერს ასე აღვიქვამ... პალტო იქნება ეს, "ბანერის" ახალი ნომერი დახლზე თუ ჩემი მეუღლე... ოღონდ ამ სახლივით ჯერ არაფერი მდომებია, დამესაკუთრებინა! კაცმა არ იცის, ვაითუ დომინიკზეც ვიეჭვიანო, იქ რომ გადავსახლდებით... არადა, ისიც კარგად ვიცი, ეს სახლი სინამდვილეში მუდამ შენად დარჩება და არა ჩემად!

– ასეც უნდა იყოს... – თქვა რორკმა, – ოღონდ, სულ სხვა თვალსაზრისით!

– მაინც, რა თვალსაზრისია ასეთი?

– როცა რაღაცით აღტაცებული ხარ, ერთადერთ სიტყვას ამბობ ეგაა! და ეს სიტყვა თანხმობისაცაა, აღიარებისაც, გამართლებისაც, მადლიერებისაც... რაც არ გიყვარს, შენად ვერაფერს მიიჩნევ, ხოლო რაშიც სიყვარულს ჩადებ ყველაფერი შენია!

– ამ გაგებით, გამოდის, რომ ყველაფერი საზიაროა?! – გაიკვირვა უაინენდმა.

– არა, გაზიარება აქ არაფერ შუაშია როცა საყვარელ სიმფონიას ვუსმენ, მე ხომ ისევე ვერ აღვიქვამ მას, როგორც თავად კომპოზიტორმა ჩაიფიქრა ცხადია, მისი "ეგაა!" ჩემისგან განსხვავდება, იმწუთას მე ხომ საერთოდ არ ვარსებობდი მისთვის... მაგრამ როცა საკუთარი ჩანაფიქრით კმაყოფილი დარჩა, ამით მეც შემძინა უდიდესი გამოცდილება: როცა სახლის პროექტს ვხაზავ, სრულიად მარტო ვარ, და ჩემს ეგაა!"-ს შენ ვერასოდეს გაიგებ, გეილ; მაგრამ როცა იმავეს თქმის სურვილი თვითონაც გაგიჩნდება, ჩათვალე, რომ თანამონაწილე გახდი!

უაინენდს გაეღიმა: „მომწონს, ხომ იცი! ესე იგი, მონადოკიც ჩემი ყოფილა, "ენრაიტ-ჰაუსიც", "ქორდ-ბილდინგიც"...

– ...და "სტოდარდის ტაძარიც"... – თავისთვის ჩაილაპარაკა დომინიკმა. აქამდე უხმოდ უსმენდა: უაინენდს არასდროს არც ერთ სტუმართან ასე არ ულაპარაკია, ხოლო რორკი დარწმუნებული იყო არც ერთ თავის კლიენტს ასე არ გადაუშლიდა გულს... მოსმენილი უკვირდა და ისიც იცოდა მოგვიანებით ახლანდელი უთქმელობა როგორ შეეცვლებოდა სიბრაზითა და აღშფოთებით!

– ჰო, ეგეც... – ხმა გაებზარა უაინენდს.

– ეგ დაივიწყე, გეილ! – თქვა რორკმა, ისე უდარდელად, მხიარულადაც კი, მის გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

– როგორც შენ იტყვი, ჰაუარდ, – მშვიდად თქვა უაინენდმა, მერე კი განაგრძო, – იმდენ სისულელეს ლაპარაკობენ ადამიანის განცდების არამდგრადობაზე, არადა, მე რომ მკითხო, გრძნობა თუ გაქრა, ჩათვალე, რომ არც არსებულა არასოდეს! ვთქვათ, თექვსმეტი წლისას რა წიგნებიც მიყვარდა, ახლაც ისევე მიყვარს...

ოთახში მსახური შემოვიდა, ლანგრით კოქტეილი ჩამოატარა. დომინიკმა პირველმა აიღო ჭიქა და თან უყურებდა, როგორ დასწვდნენ რორკის გრძელი თითები თავისას. "არა, ჯერ არ გავგიჟებულვარ," – გაიფიქრა ქალმა, – „შეიძლება ზღვარზე კი ვარ, თუმცა ეტყობა, უცნაურ არაფერს ვამბობ აკი, მისმენენ და ჩვეულებრივად მპასუხობენ კიდეც. გეილიც ისე იღიმება..."

მერე სასადილო ოთახში გადავიდნენ; დიასახლისი, ვითომც არაფერიო, წინ წაუძღვა კაცებს, სწორედ ისე, როგორც მისის უაინენდს ეკადრებოდა, რაც მოეთხოვებოდა კიდეც მაგნატის ცოლს, რომლისთვისაც რომელიღაც

მკითხველთა ლიგა

არქიტექტორის კი არა, სენატორების, კონგრესმენებისა თუ სხვადასხვა რანგის დიპლომატების მასპინძლობაც სრულიად ჩვეული ამბავი უნდა ყოფილიყო.

უაინენდმა რატომღაც ბეჭდვითი სიტყვის ბიზნესზე ჩამოაგდო სიტყვა; ისე შინაურულად და ბუნებრივად ესაუბრებოდა სტუმარს, თითქოს მისი დიდი ხნის საქმიანი პარტნიორი ყოფილიყო. დომინიკმაც ჩააგდო ორიოდ სიტყვა როცა ამას თავაზიანობა მოითხოვდა, დამ თანაც ისე, რომ სრულიად უშუალოდ და ძალდაუტანებლად მოჩანდა ეს ყველაფერი. „ახლა რომ პირდაპირ მკითხოს, მასთან თუ იწექიო, ალბათ გულწრფელად მივუგებდი კი, გეილ, რა თქმა უნდა-მეთქი," – გაუელვა თავში.

შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახს დაუბრუნდნენ; რორკი სიგარეტს აბოლებდა და ფანჯრიდან გადასცქეროდა ქალაქს. ქალი გვერდით ამოუდგა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: "გეილსაც უყვარდა ხოლმე აქ დგომა, საღამოობით. ჭკუას კარგავდა ცათამბჯენებზე." ვერც შეამჩნია, რატომღაც წარსული დრო რომ იხმარა...

უაინენდმა ნახაზი გამოიტანა კაბინეტიდან, მაგიდაზე დადო. კარგა ხანს დასცქეროდნენ, რორკი ფანქრის წვერით მიათითებდა რაღაც დეტალებზე, უხსნიდა, განუმარტავდა... მისი ხმა ზედ ყურთან ჩაესმოდა დომინიკს, თუმცა ნათქვამს ვერ უსმენდა მთელ ამ კიბის ხვეულებზე, ფანჯრების ჭრილსა თუ აივნების განლაგებაზე საუბარი თითქოს ჩინური იყო მისთვის... ამ ორ კაცს, ეტყობა, მართლა სჯეროდა, რომ ახლა დომინიკის მომავალ სამყოფელზე მსჯელობდნენ, რომ დომინიკი თუნდაც ერთი ღამის გამთევი იყო მაგ სახლის ჭერქვეშ.

• • •

მდივანმა გოგონამ გაკვირვებულმა აწკიპა წარბები, როცა მისაღებში არისტოკრატული იერის, საგაზეთო ფოტოებიდან ყველასთვის კარგად ნაცნობი მამაკაცი შემოვიდა.

– გეილ უაინენდი, – ოდნავი თავის დაქნევით მიესალმა მდივანს, – რორკის ნახვა მინდა, თუ ძალიან დაკავებული არაა. წინასწარ არ შევთანხმებივარ.

რორკი მალევე გამოეგება ღიმილით თითქოსდა, ამგვარ სტუმრობაში არაფერი ყოფილიყო უჩვეულო.

– გამარჯობა, გეილ, შემოდი.

უაინენდი რორკს კაბინეტში შეჰყვა; იქ მხოლოდ ერთი ნათურა ანათებდა მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს, ფანჯარაში კი ქუჩის ლამპიონების შუქზე მორიალე თოვლის ფანტელები ციმციმებდნენ.

- შენთვის ხელის შეშლა არ მინდოდა, ჰაუარდ. უბრალოდ, მთელი დღე ოფისში გავატარე, თავი აღარ მუშაობს. ჰოდა, ვიფიქრე, შევუვლი-მეთქი... უცნაურია, აქ ისეთ სიმშვიდეს ვგრძნობ, როგორიც სახელგანთქმულ ევროპულ ტაძრებშიც კი არ მიგრძნია. რაც შეგხვდი, მას მერე საკუთარ წარსულზე ვფიქრობ, არადა, რა ხანია, უკან აღარ მიმიხედავს... ქარაგმებით არ გელაპარაკები არც მაწუხებს ეგ ამბავი და არც სიამოვნებას არ მანიჭებს. უბრალოდ, მოთხოვნილება გამიჩნდა, გავლილ გზას გადავავლო ხოლმე გონების თვალი. შენ, უბრალოდ, იმიტომ იქეცი ამის მიზეზად, ბევრი რამით მგავხარ და ჩვენი ცხოვრებაც ერთნაირად დაიწყო, ერთი ათვლის წერტილიდან, ანუ არაფრიდან! არ მეთანხმები?

უცბად, მაგიდაზე ბანერის" გადაშლილი ნომერი შენიშნა.

– ამ მაკულატურას ვინ კითხულობს აქ?!

მკითხველთა ლიგა

– მე.
– და როდიდან?
– თვე იქნება უკვე.
– რა, მაზოხიზმმა შემოგიტია?
– არა, უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო.
უაინენდი წამოდგა, გაზეთს დასწვდა და რამდენიმე გვერდი გადაფურცლა. მერე ის ფოტო იპოვა, სადაც "საუკუნეთა აღლუმის" ნახაზები იყო დაბეჭდილი:
– საშინელებაა, არა? რა უბედურებაა ამისთანა რამეების გამომზეურება! მაგრამ რა უნდა გააკეთო ფულს რეკლამაში იძლევიან. ისე, როგორ იყო, რა უთხარი კომისიას? – ეშმაკურად ჩაეღიმა, – გავიგე, გამოფენის პავილიონის დაპროექტებაზე უარი გითქვამს თქვენთან ვერ ვითანამშრომლებ, შემოქმედებაში კოლექტივიზმი არ გამიგიაო?!
– არა, მთლად მასე არ იყო, გეილ. მაგათ უნდათ, მთელი კონსილიუმი შეყარონ. სისულელეა! მე შემიძლია, მუშებთან ვიმუშაო, ელექტრიკოსებთან, მოქანდაკეებთან... ანუ ჩემი ვუთხრა და იმათიც მოვისმინო. მაგრამ მუშებს აგურების დაწყობას მე ვერ ვასწავლი და ისინიც ნუ დამიწყებენ ნახაზების სწორებას. არ მესმის, როგორ შეიძლება, რამდენიმე არქიტექტორმა ერთად აპროექტოს რამე.
– აი, სწორედ ეგაა საქმე! ერთი ხელის აქნევით ისე შეგიძლია, მოიშორო თავიდან ყოველგვარი ჭუჭყი, წვეთიც არ მოგეცხოს! მე კი სულ ტალახში მიწევს ტოპვა... ერთხელ კნუტი მყავდა, ქუჩაში ამეკიდა. რწყილიან-ტილიანი, გაძვალტყავებული, მოკლედ უპატრონო. სახლამდე გამომყვა. ვაჭამე და გავაგდე, მაგრამ მეორე დილით ზედ კარებთან დამხვდა დასკუპებული. ბოლოს და ბოლოს, დავიტოვე. ჩვიდმეტის ვიყავი მაშინ. გაზეთში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, ჯერ ხელობას ვსწავლობდი, ჩემებურად. რაღაცეები მომწონდა, რაღაცეებს ვერ ვეგუებოდი... ზოგჯერ ძალიან მიჭირდა, განსაკუთრებით საღამოობით. ერთხელ თავის მოკვლაც კი დავაპირე. რამეზე სიბრაზის გამო კი არა სიბრაზე პირიქით, უფრო თავდაუზოგავი შრომისკენ მიბიძგებდა და არც შიშის, უფრო ზიზღის გამო,
ჰაუარდ. თითქოს მთელი სამყარო დამყაყებულ წყალში იყო ჩაძირული და მეც ამ ჭაობში ვფართხალებდი! მერე ჩემს კნუტს შევხედე და ვიფიქრე: ამან არც იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, მე რა სიბინძურეში მიწევს ყოფნა-მეთქი... ის სუფთა იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ამ ქვეყნის სიმახინჯის აღქმის უნარი არ მიეცა მისთვის უფალს. ახლა ვერ გეტყვი, რა შვება მომგვარა, როცა წარმოვიდგინე, როგორ აღიქვამდა სამყაროს ეს პაწია არსება! გვერდზე მივუწექი და მის გულისცემას მივუგდე ყური... ღმერთმანი, გაცილებით უკეთ ვიგრძენი თავი. ახლა კი შენა ხარ
ჩემთვის ის კნუტი გაზრდილი, მაწანწალა, მაგრამ უკვე თავისუფალ კატად ქცეული! აბა, როგორი პატივი დაგდე?!
რორკს გაეღიმა და უაინენდმა ამ ღიმილში თითქოს მადლიერებაც კი დაინახა...
– ხმა არ ამოიღო, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! გახედე, რა ამინდია! წამო, ცოტა გავიაროთ და მერე სადმე ვისადილოთ. ყველას მაგივრად შენ როგორ უნდა იმუშაო?!
– სიამოვნებით.
_ ოღონდ, ერთი ჯერ დომინიკს დავურეკავ ვეტყვი, შემაგვიანდება-მეთქი.
უაინენდი ყურმილს დასწვდა და ნომერი აკრიფა.

მკითხველთა ლიგა

– დომინიკ, როგორ ხარ? არა, ისეთი არაფერი. ცოტა ზედმეტი მომივიდა, გადავიღალე... ერთი თხოვნა მაქვს: უჩემოდ ისადილე, კარგი? შემაგვიანდება... არა, მე და რორკი გავალთ სადმე... ალო, მისმენ? ხო, მისი ოფისიდან ვრეკავ. აბა, საღამომდე!

უაინენდის პენტჰაუსში დომინიკი ხელიდან არ უშვებდა ყურმილს, თითქოს ჯერ კიდევ ესაუბრებოდა ვიღაცას... რორკის სტუმრობის შემდეგ, ერთი სული ჰქონდა, მასთან მისულიყო, მარტო შეხვედროდა სადმე, სულ ერთია სად სახლი იქნებოდა ეს, ოფისი თუ ქუჩა. თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა მისთვის, ან ერთხელ მაინც ჩაეხედა თვალებში, ოღონდ ერთი ერთზე! მაგრამ არა ეს რორკს შეეძლო მასთან მოსვლა, როცა კი მოუნდებოდა. მისი ხვედრი მხოლოდ მოლოდინიღა იყო...

იდგა ასე, ყურმილით ხელში. იცოდა, ფეხსაც ვერ გაადგამდა შინიდან. აი, გეილ უაინენდი კი, როცა მოისურვებდა, მაშინ შეუვლიდა რორკს.

• • •

უაინენდთან დაბარებული ელზუერთ თუი ზუსტად წუთი წუთზე ეახლა შეფს კაბინეტში. ეს ერთადერთი მდიდრულად გაწყობილი ოთახი იყო მთელ შენობაში მუხის მძიმე ავეჯი იდგა და კედლებზეც კაკლის ხის პანელები აეკრათ. მარტო სურათებს ვერ ნახავდით აქ, ახლა კი, სწორედ უაინენდის საწერი მაგიდის პირდაპირ, გადიდებული, ჩარჩოში ჩასმული ფოტოც ეკიდა: ჰაუარდ რორკი ხიდის მოაჯირზე გადახრილიყო და ”ენრაიტ-ჰაუსს” გასცქეროდა...

თუიმ უაინენდს გახედა, ეჭვიანად; მანაც სავარძელზე ანიშნა სტუმარს და ღიმილით დაიწყო:

– არ მეგონა, ოდესმე თქვენს თეორიებს თუ გავიზიარებდი, ელიზუერთ. ყოველთვის ძალაუფლების მქონეთა ფარისევლობას აკრიტიკებდით და მასების პირდაპირობას განადიდებდით. ჰოდა, მეც, ყოფილი პროლეტარი და ახლა ჯიბესქელი კაპიტალისტი, პირდაპირ, მაგრამ თან ზრდილობიანად გეუბნებით წარმოდგენა არა მაქვს, რა გამოძრავებთ და, კაცმა რომ თქვას, დიდად არც მაინტერესებს ეგ ამბავი: ამიტომ არც შეკითხვებს დაგისვამთ და არც თქვენი ახსნა-განმარტების მოსმენა მსურს. უბრალოდ, მარტივად და გასაგებად გიცხადებთ, – უაინენდმა კედელზე გაკრულ ფოტოზე მიანიშნა, – თქვენს ოპუსებში ამ კაცის სახელისა და გვარის თუნდაც გაკვრით ხსენებაც კი აქედან დათხოვნის ფასად დაგიჯდებათ. ოღონდ, ახლა დადებულ კონტრაქტსა თუ მის რომელიმე მუხლზე არ დამიწყოთ ლაპარაკი არ გირჩევთ ამას... თქვენს რუბრიკას გაუძეხით სათაურის შესაბამისად!

– ბატონი ბრძანდებით, – მხრები აიჩეჩა თუიმ, – ამ ეტაპზე, მისტერ რორკის სახელს ტაბუ ედება.

უაინენდმა მძიმედ დაუქნია თავი. თუი წამოდგა.

– კარგად მენახეთ, მისტერ უაინენდ.

5

გეილ უაინენდი თავის საწერ მაგიდას უჯდა ოფისში და ბანერის” მეწინავის ამონაბეჭდს კითხულობდა მრავალშვილიანი ოჯახების ზნეობრივი უპირატესობების თაობაზე. წყალწყალა, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები გადაღეჭილი საღეჭი რეზინივით ეწელებოდა გონებაში. მერე სარეკლამო ფოტოებს გადახედა; რეკლამას სოლიდური შემოსავალი კი მოჰქონდა, მაგრამ თავად ხომ ცოცხალი თავით პირში არ ჩაიდებდა

მკითხველთა ლიგა

სწრაფი კვების იმ სისაძაგლეს, რომელსაც ბანერი” ლამის ფრანგული სამზარეულოს გასტრონომიული შედევრებივით ასხამდა ხოტბას!
ან თუნდაც, ამგვარი განცხადებები რად ღირდა: "თავდაჭერა ქალიშვილის უპირველესი ღირსებაა!" ანდა "ჩვენი ჰოროსკოპი გიკარნახებთ, წახვიდეთ თუ არა დღეს პაემანზე!”
მერე პუდინგების მწარმოებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება გაახსენდა ხუთი წლის განმავლობაში, ყველა საკვირაო გამოცემაში, ორი სრული გვერდი უნდა დაეთმო მათი პროდუქციის რეკლამისთვის.
გუნებამოშხამულმა მძიმედ აიღო თავი და რორკის ფოტოს გახედა. რატომღაც უცბად მოეშვა გულზე, ყურმილს დასწვდა და ნომერი აკრიფა.
– ჰაუარდ, მოდი რა, ერთად წავიხემსოთ სადმე. ახლა ოფისიდან თუ არ გავედი, შეიძლება, გავაფრინო კიდეც.
ცოტა ხნის შემდეგ, უკვე ”ირლანდიულ პაბში” რომ მიუსხდნენ მაგიდას, თითქოს მოუბოდიშასავით:
– არაფერი განსაკუთრებული, ჰაუარდ! უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობა მომენატრა.
– ეგეთს ვის ელაპარაკე?
– ლანსელოტ კლოკის. ფოტოც კი გადაგვიღეს ერთად,
– ეგ ვიღაა?
უაინენდს თავი უკან გადაუვარდა და ისე ახარხარდა, მის ზურგს უკან წამსვე შეშფოთებული მიმტანი აისვეტა რამე ხომ არ ავურ-დავურიეო...
– აი, სწორედ ეს მომწონს თქვენში ყველაზე მეტად, მისტერ რორკ _ იმიტომაც მომინდა თქვენთან ერთად გასვლა... მარტო თქვენ შეგიძლიათ, ასე ალალად აღიაროთ საკუთარი უმეცრება!
– ეგეთი რა ვთქვი?
– კარგი რა, არც წიგნებს კითხულობ, არც წიგნებზე გამოხმაურებებს... ხაზავ და ხაზავ, მეტი არაფერი არ არსებობს შენთვის. უფალი ლანსელოტ კლოკი, როგორც ჩემივე გაზეთის ფურცლებზე წერენ „თანამედროვეობის უმგრძნობიარესი შემფასებელია საერთაშორისო მოვლენებისა”. ახლახან ვიღაც-ვიღაცეებმა წლის ავტორადაც აღიარეს და საკვირაო დამატებაში მისი ბიოგრაფიის დაბეჭდვასაც კი ვგეგმავთ! ხელიხელგადახვეულებს გადაგვიღეს წარმოგიდგენია?! არადა, სულ აბრეშუმის პერანგებს ატარებს და ჯინით ყარს... მისი მეორე წიგნი იმის თაობაზეა, როგორ დაეხმარა ბავშვობის დროინდელი მოგონებები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ხლართებში გასარკვევად! როგორია? კარგი, შევეშვათ ამას. გათბა "გინესი..."
აი ასე, ხან დაურეკავდა, ხან ოფისში შეუვლიდა, ხან კი სულაც შინ მიადგებოდა ხოლმე: რორკს ენრაიტ-ჰაუსში” ჰქონდა ბინა, რომლის ფანჯრებიც ისტ-რივერს გადასცქეროდა სამუშაო ოთახი, ბიბლიოთეკა, საძინებელი... ავეჯი მისივე დიზაინით იყო დამზადებული და უაინენდი კარგა ხანს ვერ ხვდებოდა, ეს სრულიად შეუმჩნეველი სკამი, მაგიდა თუ დივანი რანაირად ახდენდა ერთდროულად სინატიფისა და სიმდიდრის შთაბეჭდილებას, თან თითქოს ადგილსაც არ იკავებდა, თავისუფალი სივრცის განცდას ბადებდა. თუმცა, დანახარჯის თვალსაზრისით, ამაზე „ღარიბულად“ გაწყობილ ბინაში ბოლო ოცდახუთი წელიწადია, ფეხი აღარ შეედგა.
ერთხელ უთხრა კიდეც ჩვენისთანა ორ განსხვავებულ კაცს დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიო.
– ერთ დროს მეც ასე ვფიქრობდი, – უპასუხა რორკმა.
_ ეხლა რა, აზრი შეიცვალე?

მკითხველთა ლიგა

– ასეც შეიძლება ითქვას...
– რის მერე?
– იცი რა, გეილ, იყო ერთი კაცი, ვინც თავად ბოროტების განსახიერებად გთვლიდა და მიმტკიცებდა ცხოვრება დამინგრია და შენც იმავეს გიზამსო... მეც ასე მეგონა, სანამ პირისპირ შეგხვდებოდი.
– მერე, მაგით რა შეიცვალა?
– აი, ამას კი ვერ აგიხსნი...
უაინენდის მანქანით თვეში ერთი-ორჯერ მაინც ჩადიოდნენ კონექტიკუტში, მშენებლობის დასახედად. უაინენდი განზე გადგებოდა ხოლმე, არაფერში ერეოდა, ჩუმად ადევნებდა თვალს, როგორ ამოწმებდა რორკი ყოველ წვრილმანს, როგორ თანასწორივით ესაუბრებოდა მუშებს, საქმიან შენიშვნებს აძლევდა უფროს ოსტატს... ხანდახან ამ თავისი ორადგილიანი სპორტული მანქანით უაინენდი მარტო, რორკის გარეშეც მოადგებოდა ხოლმე აქაურობას, შორიახლო გააჩერებდა, გადმოვიდოდა და
მონუსხულივით უცქერდა მშენებლობას. მუშები გაკვირვებით გახედავდნენ ხოლმე ძვირფას სამოსში გამოწყობილ, არისტოკრატული გარეგნობის ამ კაცს, ქანდაკებასავით რომ იდგა შემაღლებულზე...
ერთხელაც, აპრილის თვეში, სწორედ ასე, მარტო რომ შეუდგა უკვე თავისად ქცეულ სერპანტინს, თოვლის ფონზე ალაგ-ალაგ გაჩენილი მწვანე კუნძულები მოხვდა თვალში და მაშინღა მიხვდა გაზაფხულიც მოსულიყო, ბოლო რამდენიმე კვირა ისეთი გადატვირთული ჰქონდა, კალენდარი არც გადაუფურცლავს... უეცრად გაიფიქრა ნეტავ კიდევ რამდენი გაზაფხული დამრჩაო. აქამდე საკუთარ ასაკზე არასოდეს დაფიქრებულა, არც იმაზე, რამხელა ცხოვრება ჰქონდა მისთვის მოზომილი განგებას. გეილ უაინენდი, საკუთარი წარმოდგენით, მისივე მანქანის ძრავას ჰგავდა, საათივით რომ მუშაობდა და თავადვე აკონტროლებდა დროსა და მანძილს. „არა, არაფერს ვნანობ," – გაიფიქრა, – „ბევრი რამ დამაკლდა ცხოვრებაში, მაგრამ ბევრიც წავგლიჯე. მე გეილ უაინენდი ვარ მიცხოვრია, საქმე მიკეთებია, მყვარებია... ერთ დღესაც არ ვნანობ, ყველა ჩემი იყო!
ბოლოს და ბოლოს, თუკი მართალია, რომ ყველას უზენაესი მსაჯულისთვის მოუწევს ანგარიშის ჩაბარება, იმას კი არ ვეტყვი რა მიკეთებია ამ ცოდვილ მიწაზე, არამედ რაც არასოდეს ჩამიდენია არაფერზე არავის ნებართვა არ მითხოვია! არ მომერიდება, ვუთხრა: გეილ უაინენდი ვარ კაცი, რომელმაც ყველა სახის დანაშაული ჩავიდინე, ერთის გარდა ყოფიერების მშვენიერება არ წამიბილწავს და არც საკუთარი არსებობის გამართლება მიცდია სხვის ხარჯზე! ამით ვამაყობ კიდეც,
რომ ჩემი ხნის ადამიანთა უმეტესობისგან განსხვავებით, აღსასრულზე ფიქრისას, არ ვწუწუნებ რა აზრი ჰქონდა ჩემს ყოფნას-მეთქი! მე, გეილ უაინენდი ვიყავი საკუთარი არსებობის აზრიცა და გამართლებაც"...
გორაკის ძირს მიადგა, მანქანა გააჩერა და ძრავაც გამორთო. იქიდან ფეხით შეუყვა აღმართს; შორიდანვე დალანდა რორკის ფიგურა, ხარაჩოებზე რომ მიმოდიოდა და ხელებით რაღაცას ანიშნებდა მუშებს. უცნაურად იდგა, საკუთარი ნაგებობის ჩონჩხს მოგაგონებდათ: ფეხები გან -გან, თავი აწეული, ხელგაწვდენილი... „ნებისმიერი სტრუქტურა," – გაიფიქრა უაინენდმა, – „აი, ამ კაცის არ იყოს, კონცენტრაციის, წონასწორობისა და გამძლეობის შერწყმის ნაყოფია... თორემ თავად შენობის
აგებას რა უნდა ესეც ისეთივე მექანიკური შრომაა, როგორც ძაფის

მკითხველთა ლიგა

დართვა თუ ავტომობილის აწყობა კონვეიერზე...“
მერე რორკი გამოეგება და მალე გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ ბილიკზე, გორაკის თხემისკენ, ჯერ შეუფოთლავ ხეებს შორის.
– შეყვარებული თუ ყოფილხარ? – მოულოდნელად ჰკითხა უაინენდმა.
რორკმა მკვეთრად მოაბრუნა თავი: "ახლაც მიყვარს..."
– არა, ქალების ამბავში არ გეკითხები. აი, ხარაჩოზე როცა დგახარ, მაშინ რას გრძნობ? ბევრისაგან გამიგია ბედნიერება ამ ცოდვილ მიწაზე მიუღწეველიაო... შენც ხომ გინახავს, როგორ ცდილობს ასეთი ხალხი, რაღაც სიხარული მაინც იპოვოს ამ ცხოვრებაში, ტყავიდან ძვრებიან... ისე, მართლა რატომ უნდა სდევდეს ტკივილი ნებისმიერი ცოცხალი არსების სიცოცხლეს? ვისა აქვს უფლება, ადამიანს მოსთხოვოს, საკუთარი სიხარულის გარდა, ნებისმიერი სხვა რამ დაისახოს არსებობის მიზნად?! არადა, ჩვენ ხომ ყველას ეს გვინდა... ადამიანთა უმეტესობა ცხოვრების აზრს ვერ პოულობს. ასეთებს პატივს ვერ ვცემ იმათ, ვინც რაღაც მაღალ მიზნებზე და ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე ლაქლაქებენ, ვინც არ იცის, რისთვის იცხოვროს და ჩემი თავი ვერ მიპოვიაო წუწუნებს. არადა, არც არავის რცხვენია ამგვარი წუწუნი და ზოგი ამაყობს კიდეც საკუთარი მე-ს მიუსაფრობით...
რორკი წამით შეჩერდა, მიდამოს გახედა, მერე ერთ ტოტს დაადგა თვალი, ხესთან მივიდა, ტოტს ხელი ჩაავლო და ნელ-ნელა დაღუნა... „ხედავ, გინდა, მშვილდს მოხრი ამისგან, გინდა, შუბს გამოთლი, გინდა, ხარიხად გადებ და გინდა, საბიჯგელად იხმარ. ჩვენი ცხოვრებაც ასეა.”
– ძალას გულისხმობ?
– არა, თავად სამუშაოს, – ტოტს ხელი უშვა, – იმ მასალას, რასაც ბუნება გთავაზობს, რასაც შენ მისგან ქმნი. რაო, რას მიყურებ?
– შენი ფოტო გამახსენდა, კედელზე...

• • •

დომინიკი რორკის ვიზიტებსაც შეეგუა და იმ აზრსაც, რომ ამ დროს სტუმარი უაინენდს ეკუთვნოდა და არა მას... ღიმილით ხვდებოდა, გულთბილად, ოღონდ როგორც გეილ უაინენდის თავისებური დანამატი და არა დომინიკ ფრენკონი. სადილს რომ მორჩებოდნენ, მუდამ მარტო ტოვებდა კაცებს ბიბლიოთეკაში და თავის ოთახს მიაშურებდა ხოლმე. მერე შუქს ჩააქრობდა, გაუნძრევლად იჯდა და უცნაური ფიქრები ეძალებოდა: ”... ესაა ჩემი მოვალეობა. ესაა სასჯელი, რაც სიყვარულმა მომისაჯა. წინ აღდგომა არ იქნებოდა იმდენად მძიმე ჩემთვის, როგორც ამის მოთმენაა. მაგრამ არა უშავს, შენი გულისთვის, ამასაც ავიტან, რორკ...”
და რორკიც, რამდენი თვალს გაუსწორებდა, თითქოსდა უსიტყვოდ ეკითხებოდა: ”და რა მერე, რა მოხდა? განა როდისმე უერთმანეთოდ ვყოფილვართ? ახლა ხომ გესმის...“ და ეს არ იყო მისთვის გამოტანილი განაჩენი, ეს უფრო წვრთნას ჰგავდა სულისა და სხეულისაც ერთდროულად, თითქოსდა, ასე ხდებოდა ცხადი, რომ არავითარი წინაღობა არ არსებობდა!
მარტო არასოდეს დარჩენილან პირისპირ. ქალი იცდიდა.
მშენებლობაზე ერთხელაც არ დაუდგამს ფეხი; უთხრა კიდეც ქმარს მხოლოდ დასრულებულს ვნახავო. თავად რორკზე არასდროს არაფერი უკითხავს, მაშინაც კი, ერთხელ ქმარი ლამის შუაღამისას რომ დაბრუნდა შინ და უთხრა რორკთან შევრჩი ამდენ ხანსო. მერე ეს კიდევ რამდენჯერმე განმეორდა, უაინენდი უკვე ხშირად სტუმრობდა იმ ბინას,

მკითხველთა ლიგა

სადაც დომინიკს ფეხი არასოდეს შეედგა და ვერც იტყოდა, როდისმე თუ ეღირსებოდა ამას.
ერთხელ გაბედა და ჰკითხა კიდეც: ”რა არის ეს, გეილ, აკვიატება?”
– ალბათ... – მიუგო ქმარმა და ცოტა ხნის მერე დაამატა, – მიკვირს, შენ რატომ აითვალწუნე!
– ეგ არასოდეს მითქვამს...
– მე ხომ ვხედავ! თუმცა, შენი საქმისა შენ იცი... ისე, უფრო ახლოს რომ გაიცნობ, ვაითუ, მართლა შეიძულო: ზუსტად შენი ასლია და იმიტომ! აკვიატებისთვის კი ნუ დამძრახავ რაც ის გავიცანი, კიდევ უფრო შემიყვარდი, თითქოს კიდევ უფრო მეტი უფლება გამიჩნდა შენზე...
– მოკლედ, რა არის ის შენთვის ახალი კერპი?
– არა, უფრო ჯვალოს პერანგი...
მერე ქალი ზემოთ ავიდა, უაინენდი კი ფანჯარას მიუახლოვდა და ღამის ცას ახედა. უცბად გაუელვა: "სიდიადე თავად ვარსკვლავებში კი არაა, ვინც მათ ხედავს, იმათში..."

6

– თანამედროვე სამყაროს მთავარი პრობლემა ისაა, – ბრძანა ელზუერთ თუიმ, – რომ ჩვენმა ინტელექტმა პიროვნების თავისუფლება და კანონის ძალმომრეობა ვერაფრით შეუჯერა ერთმანეთს. სინამდვილეში, თავისუფლებაცა და იძულებაც ერთი ქიმერაა. მარტივი მაგალითი: შუქნიშანი ზღუდავს შენს თავისუფლებას, მაშინ გადაჭრა ქუჩა, როცა მოგეპრიანება; მაგრამ იგივე შუქნიშანი ავტობუსის ქვეშ ჩავარდნის საფრთხისგან გათავისუფლებს... იმ პირობით რომ იშოვოთ სამსახური, ხუთი წელი სხვაგან ვერსად გადახვიდეთ, ეს, რა თქმა უნდა, თქვენს თავისუფლებას შეზღუდავს, მაგრამ უმუშევრობის შიშისგანაც ხომ გათავისუფლებთ? ასე რომ, როგორც კი რაიმე ახალ შეზღუდვას გვიწესებენ, იქვე, ავტომატურად, ახალ თავისუფლებასაც ვიღებთ! მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ეს ორი ცნება განუყოფელია და, ergo, სრული თავისუფლება მხოლოდ სრული შეზღუდვის პირობებში თუ მიიღწევა!
– ნამდვილად! – შესძახა მიჩელ ლეიტონმა. ლეიტონს მეოთხედი მილიონი დოლარი ერგო მემკვიდრეობით, უკვე ქრისტეს ასაკისა მოწეულიყო და მაინც სულ იმას ცდილობდა, როგორმე თავი ემართლებინა ბედის ამ დაუმსახურებელი წყალობის გამო. ახლა ის საკუთარ სავარძელში გამოჭიმულიყო, თავისივე სასტუმრო ოთახში, ერთდროულად რომაელი პატრიციუსისა და ჭირვეული ბავშვის პოზაში. მთელი მისი გარეგნობა, ზოგადად, ამგვარივე ორაზროვნების კვალს ატარებდა: მის სხეულს თითქოს უდროოდ შეეწყვიტა ზრდა გრძელი ტორსი და მოკლე ფეხები უცნაური ინფანტილურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა; თხელი, არწივისებური ცხვირი ჰქონდა და თან ფომფლო, ხორციანი ლოყები, რაც ჭირვეულ ბავშვთან მის მსგავსებას კიდევ უფრო აძლიერებდა.
როგორც ყოველთვის, უზადოდ ჩაცმულ-დახურულმა ელზუერთ თუიმ თვალი მოავლო ოთახს. იქაურობა სავსებით თანამედროვედ იყო გაწყობილი: ცოტათი კოლონიალური სტილი, ცოტათი ფრანგული ამპირი, ალაგ-ალაგ მოდერნისტული ნაკეთობანი მოკლედ, მთავარი ის იყო, რომ ყველაფერს სიმდიდრის იოლად შესამჩნევი დაღი აჩნდა.
– დიახაც! – ისეთი ხმით გააგრძელა ლეიტონმა, თითქოს შეწინააღმდეგებას აპირებდა ვინმე, – ტვინი წაიღეს ამ თავისუფლების

მკითხველთა ლიგა

მოთხოვნით! ან ვის რაში სჭირდება, ბოლოს და ბოლოს! მე თუ მკითხავთ, მოწესრიგებულ, კარგად დაწყობილ-დალაგებულ საზოგადოებაში ხალხი ბევრად უკეთ იგრძნობდა თავს... აი, როგორც ხალხურ ანსამბლებშია ხოლმე ყოველთვის მშვენიერი სანახაობაა. ეს კი იმიტომ, რომ თაობების დანატოვარია და ვიღაც ჩამოთრეულებს არავინ აძლევს უფლებას, ძირძველ ტრადიციებში ჩაყონ ცხვირი... ეს გვჭირდება სწორედ! ჩარჩო, მტკიცე ხელი და სწორი გეზი.

- შესანიშნავი შედარება გამოგივიდათ, მიჩ, – გამოეხმაურა მისტერ თუი, – მუდამ მაგას გიჩიჩინებდით, ცინცხალი გონება გაქვთ-მეთქი.

ქათინაურით აშკარად ნაამებმა ლეიტონმა უკვე მეტი რიხით განაგრძო:

- იმის თქმა მინდა, რომ ფართო არჩევანის უფლება უფრო დიდ ბედნიერებას სულაც არ ნიშნავს! როცა ყოველდღიურად რაღაც ახალი არჩევანის გაკეთება გიწევს, თავგზაც იოლად გერევა კაცს... დასაზღვრულ, ჩარჩოში ჩასმულ საზოგადოებაში კი...

– ოღონდ, საზოგადოების კეთილმოწყობას ჩვენი სულიერი ფასეულობებიც არ უნდა გადავაყოლოთ, – ჩაერთო ჰომერ სლოტერნი, – რაიმე კანონი უნდა არსებობდეს, რომელიც დიდსა თუ პატარას მიღმისმიერის შესწავლასაც დაავალდებულებს...

– გეთანხმებით, – კვერი დაუკრა ლეიტონმა, – სასულიერო ღირებულებები, ერთი მხრივ, და დიალექტიკური მატერიალიზმი, მეორე მხრივ...

– არც არავითარი წინააღმდეგობა! – წამოხტა ჯესიკა პრატი, – მომავლის სამყაროში ეს ორივე უმტკივნეულოდ შენივთდება.

- კაცმა რომ თქვას, ეს ორივე ერთის ნაირსახეობაა. მიზანი ხომ ორივეს ერთი აქვს, – მძიმედ წარმოთქვა ელზუერთ თუიმ.

– მე თუ მკითხავთ, მოყვასისადმი სიყვარული ერთადერთი ზნეობრივი პრინციპია, – თავისას მიერეკებოდა ჯესიკა, – უზენაესი პრინციპი და ზეგარდმო მოვალეობა, რაც თავისუფლებაზე ბევრად უფრო დაფასდება! ბედნიერებასთან ზიარების ერთადერთი გზაც ეგაა და ვინც ამ გზაზე შედგომას გაურბის, იმას თავად საზოგადოებამ უნდა გამოუტანოს განაჩენი! ჩასაქოლი უნდა ჩაიქოლოს ბოლოს და ბოლოს, მათ ცხოვრებას საერთოდ რა აზრი აქვს...

ჯესიკა პრატის ფერმკრთალი, საღებავმიუკარებელი სახე და ზეაპყრობილი, ზღვისფერი თვალები შუასაუკენეების ნახატს მოგაგონებდათ, მავანი მესამეხარისხოვანი ხელოვანის ყალმით დახატულს...

ცხოვრებაში მას ერთადერთი მისწრაფება ასულდგმულებდა უმცროსი დის, რენის გაბედნიერება. ამ მიზანს შესწირა საკუთარი მეცა და პირადი ცხოვრებაც. არაფერზე დაუხევია უკან, ლამის მაჭანკლობასაც კი მოჰკიდა ხელი და ბოლოს, მაინც მიაღწია თავისას: ახლა რენი მისის ჰომერ სლოტერნისად იწოდებოდა.

– ახლა ნამეტანსაც ნუ იტყვი, ჩემო კარგო, – შეეხმიანა სიძე, ყველა შენსავით წმინდანი ხომ ვერ იქნება...

– სრულიად უსაგნო კამათია, – მოულოდნელად აიღო სიტყვა ევა ლეიტონმა, – დღესდღეობით, თავისუფლებისა ვინ ჭკუადამჯდარს სჯერა? მომავალი სოციოდაგეგმარებას ეკუთვნის. იძულება თავად ბუნების კანონია ესაა და ეს.

ევა ლეიტონს მაღალ, ზომიერად ფერხორციან, მუდამჟამ უმანკოდ მოღიმარ ქალს ღრმად სწამდა, რომ ამქვეყნად მისი მოვლინების ერთადერთი მიზანი ბაირახტრობა იყო ანუ, ავანგარდში დგომა, სულ ერთია, სად და რა საქმისთვის. საკუთარ თავს ხშირად ”ზეგინდელ დღესაც”

მკითხველთა ლიგა

კი უწოდებდა ხოლმე. მისი იდეალი ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი გახლდათ და თავისი კერპის კვალად, შესანიშნავი სპორტსმენი იყო: დაჯირითობდა, ცურავდა და არც სპორტული მანქანისა თუ პაწია თვითმფრინავის მართვაში უდებდა ტოლს მამაკაცებს. მეუღლე, მიჩელ ლეიტონი, მას დასანახად ვერ იტანდა და ახლაც არ შეარჩინა სიტყვა:

– როგორ თუ უსაგნო, სიხარულო? აკრძალვა შესანიშნავი რამაა როცა სიკეთე მოაქვს. ვგულისხმობ, როცა ეს სიყვარულით კეთდება. ეგაა, რომ ჩვენს თანამემამულეებს ამას აგრე იოლად ვერ შეაგნებინებ.

მიჩელ ლეიტონს ვერაფრით ეპატიებინა ბედისწერისთვის, ამდენი ფული რომ ერგო მემკვიდრეობით და ამის მეასედ დაფასებას ვერ ეღირსა საზოგადოებისგან: არავის აინტერესებდა მისი თვალსაზრისი ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ბიოლოგიაზე, სოციოლოგიასა თუ მეტაფიზიკაზე მხოლოდ ხელმოწერილი ჩეკებისთვის უხდიდნენ მადლობას, ისიც ღმერთმა იცის, გულწრფელად თუ არა.

- და ცოლქმრობის საქმე როგორღა იქნება? – იკითხა უცებ რენი სლოტერნმა, – აკი თავისუფალ სიყვარულს მიეცემა გასაქანიო? სიმართლე ითქვას, ეს საკითხი სინამდვილეში დიდად არც ანაღვლებდა, ოღონდ ეტყობა, ასე ჩუმად ჯდომა მობეზრდა. ელზუერთ თუიმ ამაზე მხოლოდ ჩაიღიმა და არაფერი უთქვამს.

– პირადი არჩევანი საერთოდ უნდა გამოირიცხოს, – განაცხადა ევა ლეიტონმა, – მე თუ მკითხავთ, ცალკეული პიროვნების ცნება საერთოდ აღარც იარსებებს, მხოლოდ კოლექტიურ ერთობას ექნება გასავალი.

მოულოდნელად, საუბარმა ზოგადად ხელოვნებასა და თანამედროვეობის ცნობილ სახეებზე გადაინაცვლა.

„ლოის კუკს განუცხადებია ამას წინათ, სიტყვები აზრის წნეხისგან უნდა გამოვათავისუფლოთო; თორემ ეს იგივეა, კაპიტალისტები რომ ფართო მასებს უწევენ ექსპლუატაციასო. მთლად კარგად ვერ გავიგე, მაგრამ მომეწონა კია... აიკი თუ რა ჰქვია იმას? – გაიძახის, თეატრი სიყვარულს იარაღად უნდა ვაქციოთო. მოქმედება სცენაზე კი არა, მაყურებლის გულებში უნდა მიმდინარეობდესო... ჯულზ ფაულერს კიდევ "ბანერის" საკვირაო ნომერში დაუბეჭდავს წერილი. თურმე ამტკიცებს, მომავალში თეატრი საერთოდ აღარ იქნება საჭირო უბრალო ადამიანთა ცხოვრება თავისთავად ხელოვნების ერთი დარგია და შექსპირის ტრაგედიები ჭირსაც
წაუღიაო. მომავალში კრიტიკოსი მხოლოდ მიმოიხილავს ფართო მასების
ყოფას და შემოქმედებითად მიაწოდებს ამას მკითხველსო...”

ელზუერთ თუის არც ამ ბოლო რეპლიკისთვის მიუქცევია ყურადღება და ყურები მხოლოდ მაშინღა ცქვიტა, როცა მიჩელ ლეიტონმა აიმაღლა ხმა: „ეგ "ბანერიც" ყელში ამომივიდა უკვე! ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო ელზიმ სულ ტყუილად ჩამაყრევინა მაგ გაზეთში ფული!”

– ცოტაც მოითმინე, მიჩ, – მშვიდად გაეპასუხა თუი.

– გინდა თქვა, ჩემი წილი არ უნდა გავყიდო?

– არავითარ შემთხვევაში, მიჩ!

– კარგით, რა, ელზუერთ! არ გაგიგიათ, რა ამბები ხდება? უაინენდის საწინააღმდეგო მოძრაობაზე არაფერი გსმენიათ? ვიღაც გას უები მეთაურობს, ყველგან საპროტესტო წარწერებს აკრავენ, მანქანებზეც კი "ბანერი" არ იკითხოთო! ამას წინათ ჩემი უხუცესი კლიენტი მომადგა, კონექტიკუტელია და მესამე თაობის რესპუბლიკელი... ასე მითხრა, ეგ უაინენდი ნამდვილი დიქტატორია და თქვენი მაღაზიების ქსელში რომ

მკითხველთა ლიგა

კიდევ ვნახო "ბანერი", ჩემი ფეხი აღარ იქნება აქო!
– ეგ ერთია და მაგისთანებს თუ ხალხი აჰყვა...
– კი მაგრამ, რა სჭირს ამ გაზეთს ასეთი? – მიამიტად იკითხა რენიმ.
– ჩემო კარგო, პოლიტიკისა შენ არაფერი გაგეგება, _ უთხრა უფროსმა დამ, – ეგ გაზეთი საზიზღარი რამაა და თავად უაინენდი კიდევ უარესი! მხოლოდ მდიდრების ინტერესებს იცავს.
– რა ვიცი, ძალიან სექსუალურად კი გამოიყურება..._ არ დაუთმო რენიმ.
– ღმერთო დიდებულო! – ხელები აღაპყრო ევა ლეიტონმა.
– კარგით ახლა! რენისაც აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, – ახლა უკვე ძუ ლომივით გადაეფოფრა დას ჯესიკა.
– ნაბიჭვარი! – განაცხადა მიჩელ ლეიტონმა, – ვინ ჰგონია თავი? მაგის ჟურნალისტობა არ გაიშვა! აქეთ ვასწავლი, თუ უნდა. იდეების მეტი რა მაქვს... აქაოდა, თავად ამოვძვერი წუმპედანო... რა მერე? რა გაუკუღმართებული სნობიზმია! თუ სადღაც ბინძურ უბანში არ დავიბადე, ვითომ რა კაცი არა ვარ? ამდენი ფული არ მქონდეს საპატრონო, მე ვიცი, რასაც ვიზამდი!
ამ ტირადის საპასუხოდ ხმა არავის გაუღია; ყველამ იცოდა, ისტერიკამდე მისულ მიჩ ლეიტონთან დავა ხეირს არავის დააყრიდა... მხოლოდ ელზუერთ თუიმ ჩაიღიმა თავისებურად, ერთი ნაბიჯი წადგა წინ საყოველთაო ყურადღების მისაპყრობად, შემდეგ კი მშვიდად და მკაფიოდ განაცხადა:
– გრცხვენოდეს, მიჩ!
სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მიჩელ ლეიტონს ცხოვრებაში არავინ შედავებია, არავინ და არასდროს, მსგავსი რამ კი ალბათ დედ-მამასაც არასოდეს უთქვამს მისთვის. რა გასაკვირია, გაოგნებისგან ყბა თუ ჩამოუვარდა.
– მეც კი მრცხვენია შენ მაგივრად, მიჩ! – გააგრძელა თუიმ, – გეილ უაინენდისთვის თავის გაყადრება რამ გაფიქრებინა! შენი მგრძნობიარე ბუნებისა და ჰუმანური აზროვნების მქონე კაცი მაგ ბინძურ ბიზნესში უაინენდივით რას გაჯეჯილდებოდა?! აქ პიროვნების შეუთავსებლობის ამბავია მთავარი და არა ფული.
ოთახში თავშეკავებული აპლოდისმენტები გაისმა.
ელზუერთ თუიმ საკმაოდ გვიან მიატოვა თავყრილობა და უკაცრიელ ქუჩაში გამოვიდა. გადაწყვიტა, მუხლის გასაშლელად, ფეხით წასულიყო შინ. მერე უცბად შეჩერდა, თავი უკან გადააგდო და გადაიხარხარა. ქუჩის სიჩუმეში ეს ხმა ისე გაისმა, რომ უცებ ერთი ახმახი პოლიციელი აესვეტა, თავშეკავებულად ჰკითხა: "რაიმე პრობლემაა, სერ?”
– არა, სანამ ჩემი პოლიცია მე მიცავს! ისე, რამე რომ იყოს, კი ვარ დასაპატიმრებელი...
– კარგი, კარგი, – ჩაიბურტყუნა წესრიგის დამცველმა, – გავიაროთ. თითო ჭიქა ვის არ მოგვსვლია ზედმეტი...

7

კიტინგი ოფისში იდგა და ბოლო მუშის წასვლას ელოდებოდა: მეორე სართულზე ამავალი კიბე მოშალეს, ჭერში ღია სივრცეც ამოავსეს და "კიტინგისა და დიუმონის" ფირმაში გაი ფრენკონის არსებობას უკვე აღარაფერი გაახსენებდა კაცს. თუმცა, მისი კაბინეტის გაუქმება თუ მთელი მეორე სართულის ფართზე უარის თქმა მთავარი არ იყო: ბოლო წლები პიტერ კიტინგის საქმე, მისივე ფირმისა არ იყოს, სულ უკან-უკან მიდიოდა. ვერც იტყოდა, როდიდან დაიწყო ეს დაღმასვლა ”საუკუნის

მკითხველთა ლიგა

გამოფენა” რომ სრული კრახი აღმოჩნდა, ეს კიდევ არაფერი; საქმე ისაა, გამანადგურებელ რეცენზიებში ელზუერთ თუისაც რომ ერია ხელი... ისიც უნდა ითქვას, კიტინგის გარდა, ამით თითქოს გუნდის არც ერთი სხვა წევრის რეპუტაციას არ მისდგომია ჩრდილი: გორდონ ლ, პრესკოტი კვლავაც “ამერიკის მშენებელთა საბჭოს” თავმჯდომარედ რჩებოდა, ოგუსტუს უებს დაკვეთები არ შემოჰკლებია, არც რელსტონ ჰოლქომბის სახელი დაუკნინებია ვინმეს...

მან კი ჯერ ოფისის მეორე სართული დათმო, ახლა კი ფირმის მამამთავრის კაბინეტიც ზედ მიაყოლა. მართალია, ფული ჯერ საკმარისად ჰქონდა, მაგრამ მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავდა, რომ საქმე სულ უკან- უკან მიდიოდა. კიტინგს გარეგნულადაც კი დაეტყო ცვლილებები ქონი მოედო, თმაში ჭაღარა გაერია, ორი ღრმა ნაოჭიც დააჩნდა შუბლზე. ცოტა ხნის წინ დედასაც კი სთხოვა, ჩემთან დაბრუნდი საცხოვრებლადო. ისიც არ გასძალიანებია, მაგრამ ძველებურად უკვე ვეღარ ეჭირა თავი... დროდადრო იმასაც კი ჰკითხავდა შვილს, ხომ ყველაფერი კარგად იქნება, პიტ, ხომ ნამდვილად კარგად იქნებაო? და კიტინგს აზრადაც არ მოსდიოდა, ჩასძიებოდა, რას გულისხმობდა დედამისი, თითქოს მექანიკურად პასუხობდა მხოლოდ კი, დედა, კი, ყველაფერს მოევლებაო.

ერთ საღამოსაც მისის კიტინგმა დაიჟინა ქეთრინ ჰელსის რატომ არ მოიყვან ცოლადო... უცებ მოაწვა სიბრაზე, სახეგამეხებული მიაჩერდა დედას, მაგრამ როცა დამჭკნარ, დაპატარავებულ ფიგურას შეავლო თვალი სასოწარკვეთილსა და ყველაფრისთვის მზად მყოფს, სიბრაზე უცებ გაუქრა, დედის გულისტკივილიც ბუნებრივად მოეჩვენა, ხელი ჩაიქნია და ხმაჩამკვდარმა ესღა ამოღერღა: "კარგი რა, დედა..."

თვეში ერთხელ ან ორჯერ, შაბათ-კვირას, ქალაქიდან გადაიკარგებოდა ხოლმე; არავინ იცოდა, სად მიდიოდა. მისის კიტინგი, ბუნებრივია, ღელავდა, თუმცა არაფერს ეკითხებოდა. ეჭვობდა, საქმეში ქალია გარეულიო, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ერიდებოდა. არადა, ერთთავად ამის შიშში იყო, ვინმე კახპას გადაეყრება და სახლშიც მოათრევსო! მის შვილს კი ერთ მიყრუებულ სოფელში პატარა ქოხი ჰქონდა ნაქირავები, იქ საღებავები, ფუნჯები და ტილოები მოემარაგებინა და მთელ შაბათ-კვირას ხატვაში კლავდა... თვითონაც არ იცოდა, ხელახლა რამ გაუღვივა ეს თითქმის მივიწყებული, ბავშვობის დროინდელი ჟინი. არც ის იცოდა, რატომ ვერ ახერხებდა, გამკლავებოდა ამ უეცარ შემოტევას ხატვა არც დიდ სიამეს ანიჭებდა და არც რამ შვებას ჰგვრიდა, ეს უფრო თვითგვემას ჰგავდა, თუმცა ის ქოხი მაინც ანდამატივით იზიდავდა.

დაჯდებოდა ხოლმე გასაშლელ სკამზე, პატარა მოლბერტის წინ და თვალგაშტერებული მიაჩერდებოდა გორაკებს, ტყეს, ცას... გული ეწურებოდა, ზუსტად რომ ვერ გადაჰქონდა ტილოზე ის, რაც სულს უფორიაქებდა. მაინც ჯიუტად აგრძელებდა თავისას, არც ნახატის ბავშვურობა ადარდებდა დიდად იცოდა, მისი მნახველი არავინ იქნებოდა დედამიწის ზურგზე. მერე იმდღევანდელ ნაცოდვილარს კედელთან ააყუდებდა გასაშრობად, კარს გამოკეტავდა და ქალაქს მოაშურებდა. კაცმა
რომ თქვას, ყველაფერ ამაში ვერც რამ საამაყოს ხედავდა, ვერც გულის მოსაფხანს და ვერც სამომავლოდ გამოსადეგს უბრალოდ, მოლბერტის წინ ჯდომა ანიჭებდა რაღაც სიმშვიდისმაგვარს, რაც ახლა მისთვის ჰაერივით აუცილებელი იყო.

ცდილობდა, ელზუერთ თუის სახელი ფიქრშიც არ ეხსენებინა. რა ხანია, ის არათუ არ შეხმიანებია, თავის წერილებშიც კი მხოლოდ იმ ერთხელ

მკითხველთა ლიგა

მოიხსენია და თან ისე, ლამის მიწასთან გაასწორა. უბრალოდ, ერთ დღესაც მისი პარტნიორი, დიუმონი დაადგა თავზე და პირდაპირ განუცხადა თუის თუ არ ვთხოვეთ ხელის წაშველება, წასულია ჩვენი საქმეო; ამტკიცებდა, ქვეყანაში კერძო მშენებლობა ჩაკვდა, ახლა ყველაფერი სახელმწიფოს ხელშია, აგერ, ისტ-რივერის გაყოლებაზე, დაბალქირიანი ბინების უზარმაზარ კომპლექსს აშენებენ, არქიტექტორი ჯერ არ შეურჩევიათ და ელზუერთ თუის ერთი საკვირაო გამოხმაურებაც საკმარისია, შეკვეთა ხელში ჩავიგდოთო.

- საიდან მოიტანე? – გაიბრძოლასავით კიტინგმა, – სახელმწიფო შეკვეთებთან ელზუერთ თუის რა ხელი აქვს?

– ნუ გადამრევ! სამშენებლო დეპარტამენტში სულ მაგის დაკვალიანებული ბიჭბუჭობა ზის! რა, თხოვნა გერიდება?!

– ეგაა სწორედ, – თავში გაუელვა კიტინგს, – გული ცუდს მიგრძნობს...

არადა, უკან დასახევი გზაც არ ჩანდა.

– კარგი, – თქვა ჩახლეჩილი ხმით, – დაგიჯერებ, ნილ, წავალ, დაველაპარაკები.

• • •

ელზუერთ თუი, შინაურულად გამოწყობილი, ბეწვიან ფლოსტებში ფეხწაყოფილი, ნებიერად მიწოლილიყო სავარძელში. ზურგს უკან, კედელზე, ერთი ცნობილი მხატვრის აბსტრაქტული ნახატი ეკიდა, სხვა მხრივ კი მთელი ოთახი ასკეტის სენაკს მოგაგონებდათ.

თბილი, ალერსიანი, გამგები თვალებით იცქირებოდა. ტელეფონზე თავად უპასუხა და შეხვედრაზეც მაშინვე დათანხმდა. კიტინგი უცებვე დამშვიდდა რისი მეშინოდა, რა მაეჭვებდა, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართო, გაიფიქრა.

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, – ამოიხვნეშა თუიმ და ღიმილიანი მზერა გააპარა სტუმრისკენ, – ჩემი ხნის კაცი ხანდახან ისე იღლები ამ ყოველდღიური ორომტრიალით, შინ მაინც გინდა შენს გემოზე... იმედია, შენთან მობოდიშება არ მჭირდება. ხომ იცი, სხვასთან ასე არ გავშინაურდებოდი.

– ამ ჭერქვეშ ნამდვილად არ ვგრძნობ თავს უცხოდ, – შეაპარა კიტინგმა.

– ვეღარ გცნობ, პიტერ. ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შენ რა დაგემართა? რაღაც არ მომწონხარ, ძველებურად ვერ გამოიყურები.

– არა, ელზუერთ, არაფერი მიჭირს, იგივე ვარ, უბრალოდ...

მეტი აღარაფერი უთქვამს, იმედოვნებდა, ყოვლისმცოდნე და გამგები მასპინძელი თავადვე მიუხვდებოდა ყველაფერს.

_ საქმეც ეგაა, პიტერ ჩემო, რომ ცვლილებები აუცილებელია სამყაროს საწყისიც ესაა და, ალბათ, დასასრულიც ეს იქნება. გარშემო მუდმივად იცვლება ყველაფერი წელიწადის დრონი, ფოთლების ფერი, ზნეობა, შენობა-ნაგებობები... ეს დიალექტიკაა, პიტერ.

– მაგრამ მე ხომ არ შევცვლილვარ! თუმცა, ბოლო დროს, რატომღაც, სხვა ხალხმა წამოიწია წინ...

– ეს იმიტომ, რომ პიროვნებებით მსჯელობ. გგონია, ხალხს თითო-თითოდ ვზრდი? არა, ჩემო კარგო. უბრალოდ, ნარგავებს ადგილი უნდა შეურჩიო, სასუქი არ მოაკლო, დანარჩენზე კი თავად ბუნება, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, გარემო იზრუნებს.

– მაგრამ შენ ხომ ყოველთვის ათიანში არტყამ თუნდაც ეს ამერი- კის მშენებელთა საბჭო” ავიღოთ! კაციშვილს არ სჯეროდა ამ წამოწყების, ახლა კი...

მკითხველთა ლიგა

– პიტერ, ხალხი მუდამ და ყოველთვის სულელურ დასკვნებს აკეთებს; ის ცნობილი გამოთქმა ხომ გახსოვს: დაყავი და იბატონეო. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გააერთიანო და მართო.

– ვწუხვარ, მაგრამ...

– წუხილი ემოციური მარაგის უაზროდ ხარჯვაა! რაკი თავად ჩვენ ქიმიური მეტაბოლიზმის უბრალო შედეგი ვართ, ხოლო ჩვენს ქმედებებსა და სურვილებს, ძირითადად, ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავს, ჩვენზე ხომ პრაქტიკულად არც აღარაფერია დამოკიდებული. ხანდახან კი გვეჩვენება, რომ თავადაც უნდა გამოვიღოთ ხელი ვითარების შესაცვლელად, წარსამართავად... მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თანხვედრაა, ან ილუზია. თუნდაც შენი აქ, ჩემთან მოსვლა ავიღოთ ამ რაღაც კორტლენდის პროექტის თაობაზე...

კიტინგმა თვალები ჭყიტა: „მართლა გადამრევ, ელზი! შენთვის ყველანი გადაშლილი წიგნივით ვართ!”

– რომელი წიგნივით, პიტერ? ბულვარული რომანივით, დეტექტივივით, კაზმულსიტყვიანი ოპუსივით? მე მგონი, ეს ყველაფერი უფრო სერიალებს ჰგავს, ოღონდ ფინალის გარეშე. ფინალი თავად უნდა დაწერო. მაგალითად ასე: "ბოლო თავი კორტლენდის პროექტი."

კიტინგი პირდაღებული უსმენდა, ვერაფრით გაეგო, რა კატათაგვობანას ეთამაშებოდა თუი.

– არა, ისე მართლა მაგარი პროექტია, სთოუნრიჯზე უარესი. სთოუნრიჯის ამბავი გახსოვს, პიტერ? „შეუძლებელია, – ფიქრობდა პიტერი, – ალბათ დაიღალა ბერიკა, აზრზეც არ არის, რა სულიერ ტკივილს მაყენებს”...

– მაგას რა დამავიწყებს. მე ის ვერ გამიგია მხოლოდ, მაგის მერე რატომ აიღე ჩემზე ხელი?

– არა, პიტერ, ეტყობა, მაინც ვერაფერი გაიგე! მე ინდივიდუალიზმის არაფერი მწამს ვერ დავიჯერებ, რომ ვინმეს შეუძლია, გააკეთოს რამე ისეთი, რასაც სხვაც ვერ გაართმევდა თავს. არა, ჩვენ ყველანი თანაბარნი ვართ და არავინაა შეუცვლელი. განა სულ მაგას არ გიჩიჩინებდი? ამას ეგალიტური ადგილმონაცვლეობა დავარქვი. რა გგონია, იმთავითვე რატომ გამოგარჩიე? არქიტექტურის სფერო რომ იმ ხალხისგან დამეცვა, ვისაც შეუცვლელად” მიაჩნდა თავი! გას უები იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა, ყველას თავის შანსი უნდა მიეცეს ცხოვრებაში! განა რა გგონია, სხვას რას ვერჩოდი, ვთქვათ ჰაუარდ რორკს?

ამ სახელის ხსენებაზე, კიტინგს თითქოს დენმა დაუარა ტანში, თითქოს თუის აქამდე შეუვალ აბჯარში ბზარი დაინახაო.

– აი, მანდ კი ხელი მოგეცარა, ელზუერთ? საიდან სად გაიქაჩა ეგ კაცი მთელი შენი წინააღდგომის მიუხედავად!

– ღმერთო ჩემო, ისევ პერსონალიებზე გადადიხარ. ნუთუ მართლა გგონია, ჩემი ცხოვრების მიზანი ვინმე რორკის ჩაძირვა იყო? თუმცა, როცა პრინციპებთან გაქვს საქმე, ეს თავისთავად ხდება... მაგრამ ჩემნაირ კაცს შეუძლია, მისდგეს და თითოეული სარეველა ცალკ-ცალკე ამოგლიჯოს ფესვიანად რისთვისაც ერთი ცხოვრება ნამდვილად არ ეყოფა ანდა ისე გაანოყიეროს ნიადაგი, რომ მისთანებმა მაინც ვეღარავინ წამოყონ თავი!

- და იმის არაფერი გაგიგია, ჰაუარდ რორკი რომ გეილ უაინენდს დაუძმაკაცდა და სახლსაც უშენებს?

– და მაგით მე რა?

– რა და, ორი ასეთი თუ შეამხანაგდა, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი... ვეღარც რორკს დააკავებ და ვეღარც მისნაირებს.

მკითხველთა ლიგა

– და მაგით შენ რა?
- ელზუერთ, აქ კორტლენდის პროექტზე სალაპარაკოდ მოვედი! შენ თუ მიშველი.
– რა გჭირს საშველი?
– ეგ ბოლო შანსი დამრჩა.
– ვიცი.
კიტინგმა მხოლოდ ახლაღა გაუსწორა თვალი მოსაუბრეს.
– მაშინ... რა პრობლემაა?
– პიტერ, ვინმეს რომ რეკომენდაცია გავუწიო, ამის მხოლოდ საბაბი კი არა, მიზეზიც უნდა მქონდეს. უბრალო მეგობრობის გამო ამას ვერ ვიზამ. თან, არც მთლად საშენოა ეგ საქმე... განა არა, გორდონ პრესკოტმა და გას უებმაც მთხოვეს და რა მერე? იდეის დონეზეც კი ვერც ერთმა ვერ გაართვა თავი. იცი, მთავარი აქ რა არის? ეკონომია, პიტერ, მომჭირნეობა! როგორ გინდა, თან კარგი სახლებიც ააგო და თან ბინაზე ქირაც ორ ათეულ დოლარს არ აღემატებოდეს? აი, ეგეთი პირობაა. ვაშინგტონელი ბიჭები კიდევ ერთ ასეთ პროექტს არც კი განიხილავენ იმათთვის მთავარია, მშენებლობა ხუთჯერ იაფი დაუჯდეთ... კორტლენდი მთელი მსოფლიოსთვის მაგალითად უნდა იქცეს იმის თვალნათელ გამოვლინებად, როგორ შეიძლება მახვილგონივრული გადაწყვეტისა და სტრუქტურული ეკონომიურობის ხარჯზე შთამბეჭდავი და ხარისხიანი შედეგის მიღწევა! აი, ესაა ამოსავალი. გორდონი და გასი ბევრსაც ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ ეგენიც ჩაფლავდნენ და სხვებიც. ხომ სახელოვანი არქიტექტორი ხარ, ჩემო პიტერ, მაგრამ გამოგიტყდები შენი გაქაჩვაც კი გამიჭირდება! ან რა უნდა ვუთხრა?! შენი ხელწერა ცნობილია მარმარილო, ჩუქურთმები... ასე ვთქვათ, ბებერი ფრენკონისეული სტილისტიკა. მთელი ქვეყანა მაინც ”კოსმო-სლოტნიკის” შენობის ავტორად გიცნობს და მაგათ ახლა ეს არ სჭირდებათ. რაც უნდათ, იაფი და სწრაფი უნდა იყოს, ოღონდ მეფური იერის! ხარ მაგის გამკეთებელი?
– მე... რაღაც-რაღაც იდეები მაქვს, ელზი! ადგილი ვნახე... ახალი მასალებიც არსებობს... იქნებ...
– შეძლებ შენია! თუ არადა, მამაღმერთიც ვერაფერს გიშველის. წინასწარი ნახაზები მომიტანე, რამე ხელჩასაჭიდს თუ დავინახავ, ჩემდათავად, ცდას არ დავაკლებ. დანარჩენი უკვე შენზეა...
კიტინგი გაფაციცებული შესცქეროდა თვალებში, თუმცა არც მაინცდამაინც იმედიანად.
– გაბედავ? – კვლავ დაეკითხა თუი.
– შანსს თუ მომცემ...
– მე კი მოგცემ, ჩემი რა მიდის! ეგ კი არა, გამიხარდება კიდეც, სწორედ შენ თუ გაგიმართლებს.
– უცნაურად გამოიყურებიო, მითხარი... – უცებ თემა შეცვალა კიტინგმა, – იმიტომ კი არა, თითქოს წარუმატებლობებმა გამტეხა წელში... უბრალოდ, ვერ ამიხსნია, რატომ მოხდა ასე. მწვერვალზე ვიყავი და ახლა კი...
– მაგაზე ფიქრი გაგაგიჟებს შეეშვი! ჯობია, საკუთარ თავს ჰკითხო თავის დროზე იქ როგორ აღმოჩნდი... კარგი, ჰო, გაიღიმე გეხუმრები.კაცის საქმე მართლა მაშინაა წასული, იუმორის გრძნობაც თუ დაკარგა...

• • •

კიტინგი მეორე დღესვე ჩაუჯდა კორტლენდის პროექტის

მკითხველთა ლიგა

დოკუმენტაციას. კაბინეტის კარი ჩაკეტა და მდივანიც გააფრთხილა არ შემაწუხოთო. შეუმჩნევლად დაათენდა თავზე; უკვე იმას აღარ ფიქრობდა, რა უნდა გაეკეთებინა მიხვდა, რისი გაკეთებაც არ შეეძლო.

მერე, როცა მზის პირველმა სხივებმა შემოაჭყიტეს ფანჯარაში და სამსახურში მოსულ თანამშრომელთა ნაბიჯების ხმაც გაისმა კარს იქით, წამოდგა, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ხელის აუკანკალებლად აკრიფა ნომერი:

– პიტერ კიტინგი ვარ, მისტერ რორკის ნახვა მინდა.

ღმერთო ჩემო, იქნებადა, უარი მითხრას მაშინ ხომ ამოვისუნთქავ და მიზეზიც მექნება, სიცოცხლის ბოლომდე მძულდეს... ღმერთო, შენ ათქმევინე უარი!

– ხვალ ოთხ საათზე თუ გაწყობთ? – მცირე პაუზის მერე დაეკითხა მდივანი, – მისტერ რორკი მაგ დროისთვის დაგელოდებათ.

8

რორკი მიხვდა, რომ კიტინგის დანახვით გამოწვეული გაოგნება ჯობდა, არ შეემჩნია, მაგრამ დააგვიანა სტუმარს სახეზე ჯერ მწარე ღიმილი დააჩნდა, მერე ფეხათრეული ნაბიჯით მივიდა სავარძელთან და მძიმე-მძიმედ ჩაეშვა შიგ.

– არადა, სულ რაღაც ორი წლით თუ ვიქნები შენზე უფროსი, – თქვა მისალმების მაგივრად.

– ალბათ ასეა, – გაეპასუხა რორკი, – მე ოცდაჩვიდმეტის ვარ.

– ხო, მე ოცდაცხრამეტის...

ცალი ხელით დასწვდა სკამს, საწერ მაგიდასთან მიდგა და ზედ ჩამოჯდა. რორკის კაბინეტს სამი კედელი მთლიანი შუშისა ჰქონდა და მზის არეკლილმა შუქმა პიტერს უცებ თვალი მოსჭრა. თვალმოჭუტულმა გახედა ჯერ ცას, მერე ქვემოთ გადაშლილ ქალაქზე გადაიტანა მზერა. აქ სიმაღლე არ იგრძნობოდა, თითქოს რეალურ ქალაქს კი არა, მინიატურულ მაკეტს დასცქეროდა მაღლიდან. ეგონა, გადავიხრები და რომელიმე შენობის მოდელს ორი თითით დავწვდებიო... პაწაწინა ავტომობილები ხოჭოებივით დახოხავდნენ, უსასრულოდ დიდ დროს ანდომებდნენ თითის სიგრძე კვარტალის გავლას... ქალაქის ქვა და ბეტონი თითქოს შუქს ჯერ ისრუტავდა და მერე უკან ისროდა, ისევ ცისკენ.

რორკი ცოტა ხანს ფეხზე იდგა და ისე შესცქეროდა სტუმარს, მერე თვითონაც საწერ მაგიდას მიუჯდა.

კიტინგს უდაბნოსა თუ ზღვის უკიდეგანო სივრცეში ჩაკარგული ადამიანები მოაგონდა რატომღაც, რომელთაც ცის მდუმარე მარადისობის გავლენით, საკუთარი თავისთვის მწარე სიმართლის თქმაღა დარჩენოდათ... თავადაც მხოლოდ სიმართლე უნდა ეღიარებინა ახლა:

– გულწრფელად მითხარი, შეხვედრაზე რომ დამთანხმდი, რა მეორე ლოყას მიშვერ თუ...

– ძალიან შეცვლილხარ, პიტერ.

– ვიცი.

– ჩემი ნახვა რაში დაგჭირდა?

- შენზე უკეთესად ვინ მიხვდება ჩემი არქიტექტორობა დამთავრებული ამბავია... მე პარაზიტი ვარ, ჰაუარდ! მთელი ცხოვრება ასეთი ვიყავი. თუ რაიმე ღირებული გამოსულა ჩემი ხელიდან სთენტონი იყო თუ კოსმო-სლოტნიკის” შენობა, ისინიც შენი დაპროექტებულია... მუდამ ნასუფრალით ვიკვებებოდი. თავის დროზე ვიღაცას პართენონი რომ არ

მკითხველთა ლიგა

აეშენებინა, ან გოთიკური ტაძრები, ანდა პირველი ცათამბჯენები, საერთოდ არ მეცოდინებოდა, ქვა-ქვაზე როგორ დამედო! ჩემით ერთი ახალი შტრიხი არ მომიგონია, სხვისი ნამღერის გადამღერება მეგონა საქმე. სხვისას ვიტაცებდი და სანაცვლოდ არაფერი გამიღია, და რა მქონდა ეგეთი? არ ვთამაშობ, გეფიცები... რასაც ვამბობ, სრული შეგნებით ვამბობ. აქ კი იმიტომ მოვედი, გთხოვო, ერთხელაც კიდევ გადამარჩინო. თუ უარს მეტყვი და გამაგდებ, მაგასაც გაგიგებ...

რორკმა ნელა გადააქნია თავი და მერე უხმოდ ანიშნა ყურადღებით გისმენო.

– სხვები იქნებ ასევე გააგრძელებდნენ და კარგა ხანსაც გაიტანდნენ თავს, ოღონდ არა მე! ჩემი სახელისა და ფირმის პრესტიჟის დაკარგვას სიკვდილი მირჩევნია. აი, ახლა ბოლო შანსი მომეცა, მაგრამ არაფრის გამკეთებელი აღარა ვარ... პირვანდელ ნახაზებსაც კი ვერ მოგიტან მაშინდელივით... შენ თუ გააკეთებ და ხელს მე მომაწერინებ...

– რა პროექტია?

– კორტლენდის სამოსახლო.

– ვინ შემოგთავაზა და რა პირობებით?

კიტინგმა წვრილად უამბო ყველაფერი, უემოციოდ, თითქოსდა ანგარიშს აბარებსო; ელზუერთ თუისთან შეხვედრის დეტალებიც კი არ გამოუტოვებია.

– ალალად გითხრა, ერთ მიზეზსაც ვერ დაგისახელებ, რატომ უნდა გამიკეთო ეს საქმე, რისთვის უნდა გამოიდო თავი. მაგრამ თუ მაინც დამთანხმდები შემცილებელი და ხელის შემშლელი ვერავინ გეყოლება.

რორკს მწარედ ჩაეღიმა:

– გგონია, ვერც თავად მისტერ თუი გადამეღობება წინ?

– ვერა, პროექტი ხომ ჩემი სახელით იქნება! პირიქით, ხელსაც წამაშველებს ალბათ...

– ეგ კი, მაგრამ ერთი პირობით...

– რაც გინდა, ჰაუარდ! ისეთ დღეში ვარ, სულსაც მოგყიდი.

– ეგ ადვილია... აი, საკუთარი სულის შენარჩუნება რომ გთხოვო, მაშინ რას იტყვი, მაგაზეც დამთანხმდები?

– მე...

– ხო, მიდი, მიდი! იქნებ ის ერთი მიზეზი მაინც დამისახელო.

– მთელი ჰონორარი შენი იყოს! ფული არ მჭირდება...

– არც მე... სხვა?

– უდიდესი პროექტია, ჰაუარდ! ფაქტობრივად, ჰუმანიტარული დახმარებაა. ქოხმახებში მცხოვრებლები ნორმალურ ყოფას ეღირსებიან...

– მერე, მე რა?

– ის, რომ მსგავსი ჯერ შენთვისაც არავის არაფერი შემოუთავაზებია.

– მისმინე, ამ პრობლემაზე წლების წინ დავიწყე მუშაობა ისე, საკუთარი სურვილით. სამშენებლო საქმეში მუდმივად ახალ-ახალი შესაძლებლობები ჩნდება მასალები, კონსტრუქციები... არადა, კაცი არაა მათი გამომყენებელი.

პრობლემა კი სწორედ შემოქმედებითია მცირე დანახარჯით ააშენო კარგი რამ! იცი, რას გეტყვი? საერთოდ არ მიფიქრია ჩემს შემკვეთებზე მე ყოველთვის თავად არქიტექტურული გადაწყვეტა მიფორიაქებდა სულს. ცალკე არც აგური მაინტერესებს, არც შუშა და არც ფოლადი. მით უმეტეს, არც დამკვეთი. ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. შენების ჟინი არ უნდა გაძლევდეს მოსვენებას და არა მავანთა ყოფის კეთილმოწყობა. ძალიან კარგი, თუკი ხელმოკლე ხალხი

მკითხველთა ლიგა

რიგიან სახლებში იცხოვრებს, მაგრამ ჩემთვის ეს თვითმიზანი ვერ გახდება.
– მგონი, ვხვდები, რისი თქმაც გინდა, ოღონდ ეს პროექტი...
– ბოლომდე ჯერ მაინც ვერ ხვდები გითხარი, წლების წინ დავიწყე ამაზე მუშაობა-მეთქი. და არავითარი იმედი არ მქონდა, როდისმე სახელმწიფო შეკვეთას თუ შემომთავაზებდა ვინმე. ჯერ არასოდეს, არც ერთ საბჭოს, კომიტეტს, ორგანიზაციას ან რაიმე ჯგუფს არ მიუღია ჩემი პირობები. არც ახლა მიიღებენ, თავად შენ თუ არ გააკეთე.
– ვინ, მე?!
– პიტერ, ერთადერთი, რის გამოც ამ საქმეს შეიძლება მოვკიდო ხელი, ისაა, რომ მთელი დასახლება მართლა ჩემს ჭკუაზე ავაგო იაფიც იყოს, ლამაზიც და ფუნქციონალურიც. მოკლედ, მინდა, დავაპროექტო, ავაშენო და თან ზუსტად ისე, როგორც დავაპროექტებ!
კიტინგი უნებურად მთელი ტანით წაიხარა წინ, რორკი კი თავისას განაგრძობდა:
– ოღონდ ჯერ ის მინდა ვიცოდე, შენ როგორ გგონია რამ მაიძულა, წლები შემეწირა ამ საქმისთვის? ფულმა? დიდების წყურვილმა? ქველმოქმედების ჟინმა? კაცთმოყვარეობამ?
კიტინგმა უხმოდ გადააქნია თავი.
– კეთილი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა შენც ხვდები... ამიტომ, რა საქმესაც არ უნდა მოვკიდოთ ხელი, გთხოვ მიწურებში მცხოვრებ ღატაკებზე ნუღარ დამიწყებ ლაპარაკს! ისინი აქ არაფერ შუაში არიან. მე კლიენტის პიროვნება საერთოდ არ მაინტერესებს, მხოლოდ მისი არქიტექტურული მოთხოვნების ცოდნა მჭირდება. ესეც ჩემეული ნაგებობის ისეთივე მასალაა, როგორც აგური და რკინა, ოღონდ ამოსავალი არც ერთია და არც მეორე, ისევე როგორც შემკვეთი... ეს ყველაფერი საშუალებაა მხოლოდ. თუ ადამიანებისთვის რამის გაკეთებას მოინდომებ, უპირველეს ყოვლისა, კაცს ჯერ კეთების უნარი უნდა გქონდეს! მაგრამ რომ გააკეთო, თავად კეთება უნდა გიყვარდეს და არა მეორადი შედეგები, შრომა და არა ადამიანები... საკუთარი ქმედება და არა შენი ქველმოქმედების ნებისმიერი სავარაუდო დამფასებელი! ახლა მიმიხვდი?
– კი, მგონი კი...
– მაშინ, აი, რას გთავაზობ: მე ვაპროექტებ, მე ვაშენებ, შენ ხელს აწერ და თუ საბრძოლველია ჩემ მაგივრად იბრძვი! მე მაგაზე ვერ დავიხარჯები. რაც შეეხება ფულს არც მაგაში შეგეცილები.
კიტინგი ყურებს არ უჯერებდა:
– ყველა გიჟად ჩაგთვლის... იტყვიან, ყველაფერი კიტინგს დარჩაო...
– კი, ყველაფერს შენ მიიღებ, რისი მიცემაც კი საზოგადოებას ერთი კონკრეტული ადამიანისთვის შეუძლია: ფულსაც, სახელსაც და დიდებასაც. მე კი ის დამრჩება, რასაც ვერასდროს ვერავის ვერავინ ვერ მიანიჭებს საკუთარი თავის გარდა. მე ”კორტლენდს“ ავაშენებ!
– ესე იგი, ჩემზე მეტს მიიღებ, არა?
– აი, ხედავ? ბოლოს ჩემიც გესმის... – რორკს ხმაში თითქოს მოზეიმე ინტონაცია გამოერია.
– ჰო, მესმის...
რორკი უკან გადაიხარა და ხმამაღლა გაეცინა.
– ყველაფერი გამოგვივა, პიტერ! მშვენივრად აეწყობა საქმე. იცი რა მადლობელი ვარ შენი?
– მაშ, თანახმა ხარ?
– მე კი, შენ? იცი, რა მოგელის? კონტრაქტი უნდა დადო და მერე მისი ყოველი მუხლისთვის მოგიწევს ბრძოლა!

მკითხველთა ლიგა

კიტინგმა მხოლოდ თავი დაუქნია. რორკი საბეჭდ მანქანას მიუჯდა და უცებ ამობეჭდა ორი ფურცელი ხელი მოაწერა ორივეზე და მერე კიტინგს გაუწოდა.

– ეს კონტრაქტია, პიტერ, არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს - თუ შეთანხმება დაირღვა, ცხადია, სასამართლოში ვერ გიჩივლებ, მაგრამ არც უჯრაში შევინახავ, ყველა გაზეთს დავუგზავნი და შენს ნალოლიავებ სახელსაც და შენი ფირმის პრესტიჟსაც ვეღარაფერი გადაარჩენს. არ გემუქრები. როგორც კი "კორტლენდის" კომპლექსს კომისია ჩაიბარებს და ხალხიც შესახლდება ამ ორივე ფურცელს ჩემი ხელით დავხევ.

კიტინგმა კვლავ დაუქნია თავი, ფურცლები გამოართვა და ორივეზე უსიტყვოდ მოაწერა ხელი.

– რამდენიმე დღეში თვითონ დაგიკავშირდები, – გააგრძელა რორკმა, – ამის მერე მხოლოდ ჩემთან, ბინაზე შევხვდებით, ოფისში ფეხი აღარ მოადგა. არ მინდა, ვინმემ რამე იყნოსოს... და კიდევ მერე მთელი ამ პროექტის გადახაზვა მოგიწევს საკუთარი ხელით, შანსი არ უნდა მივცეთ თუის, ჩემი ხელწერა იცნოს.

კიტინგი წამოდგა, გამომშვიდობებისას რაღაც წაილუღლუღასავით, მერე კართან მივიდა და ახლა იქ შეყოვნდა.

– ჰაუარდ, იცი, რაღაც მინდოდა მეჩვენებინა შენთვის...

მერე ისევ საწერ მაგიდასთან დაბრუნდა და საქაღალდე დადო ზედ.

– ჯერ არავისთვის მიჩვენებია... – აცახცახებული თითებით ცდილობდა ზონრების შეხსნას, – არც დედაჩემისთვის, არც თუისთვის... შენი აზრი მაინტერესებს მხოლოდ... თუ მეტყვი, რომ რამედ ღირს...

საქაღალდიდან ექვსი ნახატი ამოიღო, რორკმა ერთიმეორის მიყოლებით შეათვალიერა ყველა. მერე დიდხანს, დაჟინებით დასცქეროდა. ბოლოს კი უხმოდ, თავის ერთი გადაქნევით გასცა პასუხი.

– ასეც ვფიქრობდი... – ჩაილაპარაკა კიტინგმა.

მერე, როცა კარი გაიხურა, მარტო დარჩენილი რორკი ფანჯარასთან მივიდა და შუბლი ცივ მინას მიადო. მხოლოდ სიბრალულს გრძნობდა და თან გულისრევა მოაწვა იმ სამყაროს რა ვუთხარი, სადაც ეს უკეთური გრძნობა, სიბრალული, კაცთმოყვარეობის გამოვლინებად ითვლებაო, გაიფიქრა...

9

ახლად დასრულებული სახლის წინ, მდელოზე ისხდნენ და სამივენი მზეს ეფიცხებოდნენ. უაინენდების წყვილი უკვე მთელი თვეა, აქ გადმოსახლებულიყო. რორკმა რომ უთხრა, ათ დღეში მზად იქნებაო, დომინიკმა მხოლოდ თავი დაუქნია: "კეთილი, მისტერ რორკ."

არადა, სახლმა თითქოს მისდა უნებურად მაინც დაიმორჩილა ქალი. გეილმა ერთხელ უთხრა კიდეც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, სახლი ასე კაბასავით მოერგოთ ქალისთვის ყოველი კუთხე, ყოველი ფანჯარა თუ კიბის მოაჯირი თითქოს საგანგებოდ შენთვისაა გამოხაზული, მთლიანად შენია, ორივე კი მე მეკუთვნითო! ქალს უნდოდა ეყვირა: შენ კი არა, აქ სწორედ მას ვეკუთვნი და თან იმდენად, როგორც არავინ არავის, არსად და არასდროსო...

ახლა სახლი ზემოდან გადმოჰყურებდათ გორაკის დამაგვირგვინებელი ჰორიზონტული სწორკუთხედი, ჰაეროვანი და თანაც მდგრადი ნაგებობა, თითქოსდა ცის და მიწის მარადიული კავშირის სიმბოლო... ცოტა მოშორებით ტბა ლივლივებდა კამკამა, მტირალა

მკითხველთა ლიგა

ტირიფების ჩრდილებით ნაპირებთან ოდნავ ჩამუქებული.
– ერთი ეს მითხარი, ჰაუარდ, მართლა წინასწარ გათვლი ხოლმე, დღის რომელ მონაკვეთში მზე როგორ ასხვაფერებს შენობას? რა, მზის სხივების მართვაც შეგიძლია?
– ცხადია, – უაინენდს გაეპასუხა რორკი, – ოღონდ ახლა არა, როცა შენ მეფარები... ცოტა გაიწიე, ბებერი ძვლები გავითბო...
– შენისთანა ზარმაცი ჯერ არ შემხვედრია, ჰაუარდ.
– სად ნახავდი...
– მარტო შენ შეგიძლია, ასე კატასავით ინებივრო ბალახში.
– სამი ღამე გაათენე ზედიზედ და მერე დამცინე!
– ჩამოსულიყავი გუშინვე, ხომ გთხოვე.
– ვერ მოვახერხე, არ შემეძლო.
რორკი ერთადერთი იყო, ვისაც უაინენდები სტუმრად იწვევდნენ ამ ახალ სახლში; თუმცა მისი ვიზიტები, ყოველი კვირის ბოლოს, დომინიკისთვის მაინც მძიმე გამოცდა იყო. არადა, კარგად იცოდა, რომ რორკი მის გასატანჯად ნამდვილად არ ჩამოდიოდა აქ უბრალოდ, გეილს ვერ უტეხავდა ხათრს. ერთხელ, დილაადრიან, გარეთ მარტო გამოსული დაინახა: თავადაც მთელი ღამის უძინარმა სახლში გაჩერება ვეღარ შეძლო და უთენია გამოვიდა სასეირნოდ. გაყუჩებულმა მიდამომ, ფოთლების
შრიალმა და ახალი დღის მოლოდინით დამუხტულმა ჰაერმა უცნაურად, მისთვისაც მოულოდნელად დაამშვიდა. გორაკს მიუყვებოდა და ზურგს უკან ნაბიჯების ხმა გაიგონა. ხეს ამოეფარა. რორკს მხარზე პირსახოცი გადაეკიდებინა, საბანაოდ მიდიოდა ტბაზე... შენიშნა და ნაბიჯი შეანელა. პირისპირ იდგნენ, უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე რორკი შეტრიალდა და გზა გააგრძელა. ქალი ცოტა ხანს კიდევ იდგა ხესთან, თვალს აყოლებდა მიმავალს...
– ღამეც მუშაობთ, მისტერ რორკ? – თითქოს გაიკვირვა დომინიკმა.
– მიწევს და რა ვქნა?! ისეთი საქმეა, ოფისშიც კი ვერ მიმაქვს.
– რა საქმეა ეგეთი? – ჩაეკითხა უაინენდი.
– დიდი არაფერი, ლაპარაკად არ ღირს. თან მეძინება...
დომინიკს ერთმა უცნაურმა ფიქრმა გაუელვა თავში მართლა კატასავით იქცევა და კატები კი მხოლოდ იქ იკალათებენ ასე გემრიელად, სადაც შინაურულად გრძნობენ თავსო...
- კარგი გამოძინება არ გაწყენდათ, მისტერ რორკ. მსახურებს ვეტყვი, ხვალ დილით ადრე არ გაგაღვიძონ.
– არა, მისის უაინენდ, რამდენიმე საათის ძილი სავსებით მეყოფა. საუზმემდე ერთი გაცურვაც მინდა მოვასწრო ტბაში... გეილ, წამოხვალ?

• • •

„კორტლენდის” სამოსახლოს პროექტი ექვს თხუთმეტსართულიან საცხოვრებელ სახლს მოიცავდა და თითოეული მათგანი არათანაბარქიმებიანი ვარსკვლავის ფორმით იყო დაგეგმარებული. ყოველი ვარსკვლავის ”გული” კი ლიფტებს, კიბის ბაქნებს, გასათბობ სისტემებსა და სხვადასხვა კომუნიკაციებს ეკავა. ბინები ცენტრიდან კიდისკენ მიუყვებოდნენ ქიმებს ისე რომ მათ შორის დარჩენილ სივრცეში ჰაერი და სინათლე დაუბრკოლებლად შემოჭრილიყო. შიდა კედლებად სქელი, გაუმტარი, ფერადი პლასტიკი გამოეყენებინათ, რაც აღარც შპალერის გაკვრას საჭიროებდა და არც შეღებვას. ყოველგვარი მილები და ელექტროგაყვანილობაც ზედ კედლების ძირში, გაყოლებაზე

მკითხველთა ლიგა

შეემალა საგანგებო ბუდეებში და დაზიანების შემთხვევაში, იატაკის აყრა თუ კედლის გამონგრევაც აღარ გახდებოდა საჭირო. სამზარეულო და სააბაზანო მოწყობილობა წინასწარ იყო გათვლილი და მზა ფართობზე მორგებული, ხოლო მსუბუქი ლითონისგან ჩამოსხმული ტიხრები ნებისმიერი ოთახის გაყოფისა თუ გამთლიანების შესაძლებლობას იძლეოდა,
ბეტონის მზა ფილებით ნაგები მთელი კონსტრუქციაც სიმსუბუქის, სისადავისა და ხელმისაწვდომობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ოღონდ ეგაა, სახლებს ერთი ორნამენტიც კი არ ამშვენებდა და არც ამის საჭიროება იგრძნობოდა სადმე თავად ნაგებობათა ერთიანობა ქმნიდა ქანდაკების ეფექტს...

ელზუერთ თუი პირდაღებული დასჩერებოდა ნახაზებს და კარგა ხანს სიტყვაც ვერ დაეძრა. ბოლოს ფანჯარასთან მიმდგარი კიტინგისკენ მიაბრუნა თავი და სავსებით სერიოზულად უთხრა:

– მართლა გენიოსი ყოფილხარ, ხო იცი!

– ფასს რაც შეეხება, – სასხვათაშორისოდ გაეპასუხა კიტინგი, – თითო ბინის ქირა თვეში ათ დოლარს არ გადაამეტებს.

– მჯერა, ეგრე იქნება! მოკლედ, ნუ იდარდებ, გასულია პროექტი ამას წინ რა დაუდგება!

• • •

– გადაირიე? – იყვირა გეილ უაინენდმა და“ ბანერის” ახალი ნომერი ზედ მაგიდაზე დაუხეთქა რორკს, – რა ეშმაკი შეგიჩნდა?!

გაზეთი სწორედ იმ გვერდზე იყო გადაკეცილი, რომელსაც უზარმაზარი ფოტო და მსხვილი წარწერა ამშვენებდა კორტლენდის” დასახლების მაკეტი ფედერალური მთავრობის 15-მილიონიანი პროექტი! არქიტექტორები: კიტინგი და დიუმონი.“

რორკმა გაზეთს დახედა და მშვიდად იკითხა: „მერე, რა ნახე ამაში ასეთი?”

– ახლა ჭკუიდან ნუ გადამიყვან! შენ რა, გგონია, ჩემს კოლექციაში ჩარჩოს მიხედვით ვარჩევ ექსპონატებს?! ეს თუ პიტერ კიტინგის გაკეთებულია, მაშინ მე ჩინეთის იმპერატორი ვყოფილვარ!

– აქ წერია პიტერ კიტინგი!

– რა თამაშს მეთამაშები, რორკ?

– შემეშვი, გეილ.

– რას გეტყვი, იცი?! ქვეყანას მოვდებ, რომ შენა ხარ ამ პროექტის ავტორი. მერე ნახე, რა ამბავი ატყდეს! თუის კიდე...

– დაბეჭდავ ასეთ რამეს და სასამართლოში გიჩივლებ.

– არხუმრობ?

– არ მეხუმრება. მორჩი, გეილ, არ გვინდა ამაზე ლაპარაკი.

საღამოს უაინენდმა გაზეთი ცოლს გაუწოდა და ჰკითხა: „როგორ გგონია, სინამდვილეში ვისი ნახელავია?”

დომინიკმა ერთი კი დახედა და მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი.

• • •

– რა მოგდის, გეილ? – ალვა სკარეტი გაოგნებული იდგა შეფის კაბინეტში.

– მე თუ შენ? სისულელეების მეტი რა დაგვიბეჭდავს, მაგრამ რაღაც საზღვარი უნდა ჰქონდეს ყველაფერს! – უაინენდმა მაგიდიდან

მკითხველთა ლიგა

სარედაქციო წერილის ამონაბეჭდი აიღო და საზეიმო კილოთი შეუდგა კითხვას:

"... ჩვეული, ნაცნობი სამყარო სახეს იცვლის და ამას ყველა უნდა შევეგუოთ; უკან მიხედვა არას გვარგებს, წინ უნდა ვიყურებოდეთ! დღევანდელმა დედებმაც გვერდზე უნდა გადადონ საკუთარი პირმშოებისადმი ეგოისტური სიყვარული და ეს კეთილშობილი გრძნობა ეზოს, უბნის, ქალაქისა, ქვეყნისა თუ მთელი მსოფლიოს ბავშვებისკენ მიმართონ! მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ფეხადგმული ჩვილი ისევე უნდა გვიყვარდეს, როგორც ჩვენი საკუთარი მერი თუ ჯონი..."

უაინენდი დაიჭყანა და ჯერ ისევ ფეხზე მდგომ ალვა სკარეტს მიაშტერდა.

– ჰოდა, მითხარი ახლა, ეს რა უბედურებაა?

– სხვა დროა, გეილ... – სკარეტის ხმაში უკვე რაღაც უცნაური ტონები მოისმოდა, – თითქოსდა აქეთ აფრთხილებდა შეფს...

ეს ყველაფერი იმდენად უჩვეულო და მოულოდნელი იყო ხელქვეითისგან, უაინენდმა უცებ დაკარგა კამათის გაგრძელების სურვილი; ლურჯი ფანქრით ჯვარედინად გადახაზა ნაწერი და ს კარეტს გაუწოდა.

– ახლა წადი და რამე სხვა გამოაცხვე ხვალისთვის.

სკარეტმა ფურცელი გამოართვა, შეტრიალდა და უხმოდ გავიდა კაბინეტიდან. უაინენდმა მხრები აიჩეჩა; საკუთარი გუნდი მკაცრად ჰყავდა გამოწვრთნილი და არავითარ თვითშემოქმედებას” არ მოელოდა. არც მისი გაზეთის წინააღმდეგ ატეხილი კამპანია ადარდებდა დიდად. ის ცნობილი წარწერები რომ გაჩნდა "ჩვენ არ ვკითხულობთ "ბანერს" - ერთი ასეთი საკუთარ მანქანაზეც დააკრა და ქვეშ მიაწერა: „ჩვენ _ მით უმეტეს!” – და ასე დაიარებოდა ქალაქში, სანამ ყველა გაზეთმა არ გადაბეჭდა მედია-მაგნატის ავტომობილის ფოტო.

ერთი რამ იყო, ძველებურად ვეღარ უდებდა საქმეს გულს. დღის რიტმი არ შეუცვლია პირველი ცხადდებოდა სამსახურში და გვიანობამდეც შერჩებოდა ხოლმე იქ, ოღონდ ფიქრები სულ სხვაგან გაურბოდა. ახლა ისიც კი ვერ გაეგო, ალვა სკარეტთან წაკინკლავებამ რატომ დაუტოვა უსიამოვნო ხინჯი გულში; საქმე ის იყო, რომ ადრე, სკარეტი ალბათ აზრადაც ვერ გაივლებდა შეფთან შეკამათებას...

ასე იყო თუ ისე, ბოლო ხანს ერთი ეს მაინც გააკეთა: მის ყველა ბეჭდურ გამოცემაში, დიდსა თუ მცირეტირაჟიანში, ჰაუარდ რორკის სახელი აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო სახელიც და ნამუშევრების ამსახველი ფოტოებიც. კაცმა რომ თქვას, არქიტექტურის პრობლემები და შენობების ფოტოები მაინცდამაინც ვერ ეხამებოდა ზოგად სარედაქციო სტრატეგიას, მაგრამ უაინენდი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ყოველ ასეთ მასალას გულდასმით არედაქტირებდა და ბევრსაც თავადვე წერდა. უცნაური კია და ვერც რაიმე სენსაციურ, ყვითელი პრესისთვის აუცილებელ პუბლიკაციას წააწყდებოდით რორკთან დაკავშირებით და ვერც პაპარაცის მიერ ჩავლებულ სკანდალურ ფოტოს პიროვნება თითქოს საერთოდ არ ჩანდა, ნებისმიერი ასეთი ტექსტი მხოლოდ დიდ ხელოვანს მიაგებდა პატივს...

არც დომინიკთან და არც თავად რორკთან ამის თაობაზე კრინტი არასდროს დაუძრავს: მის ოჯახში "ბანერზე" არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ერთ დღესაც, გვიან რომ დაბრუნდა შინ, ფანჯრის რაფაზე მიტოვებული, სწორედ იმ გვერდზე გადაშლილი ახალი ნომერი დაინახა, სადაც, ზოგადად სააგარაკო ადგილებსა და, კერძოდ, მონადოკის ხეობაზე დაებეჭდათ ვრცელი რეპორტაჟი.

მკითხველთა ლიგა

მეორე დილით, საუზმეზე, ღიმილით უთხრა ცოლს:
– მადლობელი ვარ.
– რისი, გეილ?
– მივხვდი, რომ ის დროც დადგა, როცა სახლში "ბანერის" ნომრის ნახვა გამიხარდებოდა... ყველას ვაიძულებ, ის პატივი მიაგონ, რასაც ეს კაცი იმსახურებს! თავისთავად, საზოგადოებრივი აზრი არც არსებობს მას მე ვქმნი.
– და გგონია, ამით ასიამოვნებ?
– არ ვიცი და არც მაინტერესებს! ხელოვანი საზოგადოებრივი კუთვნილებაა და გაზეთს ვერ აუკრძალავ, მასზე წეროს.
– ეს სტატია რა, შენი დაწერილია?
– არ ეტყობა?!
- მეც მაგას ვამბობ. მშვენიერი ჟურნალისტი იქნებოდი. ყველა სხვას მაინც სჯობიხარ...
კამპანიამ უცნაური შედეგი გამოიღო ზუსტად იმის საწინააღმდეგო, რასაც თავად გეილ უაინენდი მოელოდა. მასებმა წაუყრუეს, ინტელექტუალურ წრეებში კი ქილიკობდნენ ვინა, რორკი? ეგ უაინენდის გოშია? „ბანერის" ჯილა? ყვითელი პრესის გმირი?.."
ეგ არაფერი, – გაიძახოდა უაინენდი და თავისას აგრძელებდა, ჯიუტად. და არც ის ავიწყდებოდა, „ბანერის" წყალობით ახალ-ახალი კერძო შეკვეთა ეშოვა რორკისთვის. აი, რორკს კი არაერთხელ ჩააწვეთეს, ცუდად აეტორღიალე მაგ უაინენდსო. ოსტინ ჰელერმა პირდაპირ უთხრა კიდეც მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ მათი შერჩევაც უნდა იცოდე. მაგ კაცთან ურთიერთობა, უბრალოდ, სახელს გიტეხსო.
– მერე? – დაეკითხა რორკი.
– რა მერე?
– გითხარი, მოგისმენ-მეთქი. კამათში აყოლას არ დაგპირებივარ...
ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, უაინენდმა ოფისში შეუარა რორკს და განუცხადა წამო, ჩემი ახალი შენაძენი უნდა გაჩვენოო. ეს ახალი შენაძენი" კი ის ეშმას უბანი" აღმოჩნდა, სადაც უაინენდმა ფეხი აიდგა, ახლა კი მთლიანად, მიწიან-სახლებიანად შეესყიდა.
– მერე, ჩემგან რა გინდა? – დაეკითხა რორკი.
– სინამდვილეში, მართლა ახლა კი არ ვიყიდე, რორკ. აქაურობა ჩემი სულ პირველი შენაძენია. უბრალოდ, აქამდე ხელი არ მიხლია...
– რას ელოდებოდი?
– შენისთანა არქიტექტორს. იცი, რა გითხრა, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და როგორც კი ფული გამიჩნდა, ამ სახლების შესყიდვა დავიწყე, თითო-თითოდ... ახლა ამათ მოვანგრევ და აქაურებს უაინენდ-ლენდს" ავუშენებ! ჩვენ ავუშენებთ შენ და მე. ოღონდ ერთი რამ უნდა გაგანდო: ყველა იმას გაიძახის, ცათამბჯენების დრო წავიდაო, აქ კი ცათამბჯენების მთელი უბანი გაშენდება და საოფისე ფართის მიქირავებას მერე აქეთ შემეხვეწებიან, მაგრამ ვერ მივართვი! რაღაც ახალი ნიუ-იორკული ქვის ჯუნგლების აშენებას კი არ გთხოვ, ყველა სახლს თავისი ბაღნარი უნდა ეკრას გარშემო, თავისი პაწია ხელოვნური ტბით, სათამაშო მოედნებით... რორკის გაშენებულ უაინენდ-ლენდში" ხალხი უნდა ცხოვრობდეს! ჰა, რას იტყვი?
– რა მეთქმის...
– როგორ რა გეთქმის?! გაიგე მთლიანად შენ ააშენებ, შენს ჭკუაზე! ეს შენი შანსია და საჩუქარი ჩემგან!

მკითხველთა ლიგა

როგორც იქნა, წვიმამაც გადაიღო. მართალია, კიტინგი დასველებას გადაურჩა მოასწრო და ოფისს შეაფარა თავი მაგრამ ნესტი მაინც თითქოს ძვალ-რბილში გასჯდომოდა. მთელ დღეებს რორკის ნახაზების გადახაზვაში ატარებდა და ზედმიწევნით მისდევდა მის ინსტრუქციებს წინასწარ იზეპირებდა, რაც კი სავარაუდო ოპონენტებისთვის უნდა ეპასუხა.

ახლა თავდახრილი მიაბიჯებდა საღამოს ქუჩებში შინისკენ და ალბათ ამიტომაც იყო, ჯერ ფეხსაცმელები რომ დაინახა და არა თავად ქალის სახე თხელი ტუჩები, რქისჩარჩოიანი სათვალე, მშვიდი თვალები.

– ქეით! – აღმოხდა უნებლიეთ.ქალი წიგნის დახლთან იდგა, მხოლოდ თავი მოაბრუნა და გაუღიმა სასიამოვნოდ: არც ზედმეტი გულღიობა იგრძნობოდა ამ ღიმილში და არც გაუცხოების სიცივე...

– პიტერ! – გაიკვირვა, – როგორ ხარ?

– ქეით... – გაიმეორა მექანიკურად, თავი ვერ აიძულა, ან ნაბიჯი გადაედგა მისკენ, ან საპასუხოდ გაეღიმა მაინც.

– რა უცნაურია, ამხელა ქალაქში როგორ გადავაწყდით ერთმანეთს! – ქალის ხმაში არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობოდა.

– აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო, ქეით? მეგონა... მითხრეს... – იცოდა, რომ ქეითი კარგა ხნის წინ გადასულიყო ვაშინგტონში.სამუშაოდ.

– საქმეზე ვარ. ხვალ დილითვე უკან უნდა გავფრინდე.

– გატყობ, მოგწონს შენი ახალი სამსახური.

– სამსახური მომწონს? ნუ მაცინებ! სამსახური სამსახურია! შენ რას შვები? ამას წინათ შენ სახელს გადავაწყდი გაზეთში.

– რა ვიცი, ვმუშაობ... როგორც მომიხერხდება.

– მერე, შენდება ქვეყანა?

– აბა, რა გითხრა... ახლა კორტლენდის დასახლებას ვაპროექტებ. სახელმწიფო დაკვეთაა.

– ძალიანაც კარგი! მაგას რა სჯობია?! სულ ვიღაც ჯიბესქელებს ხომ არ უნდა უშენო სასახლეები... წარმატებულმა არქიტექტორებმა ცოტა ხალხისთვისაც რომ მოიცალოთ...

- ან აქამდე ვინ გიჟი იტყოდა უარს, მაგრამ მთავრობის შეკვეთის მიღება ადვილი გგონია?

- კარგი რა, პიტერ! ახლა არ მითხრა, უაინენდის ”ბანერს” ვკითხულობო!

კიტინგმა ერთი კი გაიფიქრა რაებზე მელაპარაკება, ნუთუ ბოდიშსაც არ ელოდება ჩემგანო? არადა, მართლა ასე ჩანდა, ბოღმა კი არა, ქეთრინს ოდნავი წყენაც კი არ ეტყობოდა...

– დაიცა, პიტერ, ასე ქუჩაში ხომ არ ვიდგებით?! – პაწია ოქროს საათზე დაიხედა და დაამატა, – თითქმის მთელი საათი მაქვს თავისუფალი. შეგიძლია, ფინჯან ჩაიზე დამპატიჟო... არც შენ გაწყენდა, რამე რომ იყოს.

– ხო, რა თქმა უნდა... მეც ვიფიქრე... – ალუღლუღდა კიტინგი, – სადმე წყნარი ადგილი მოვძებნოთ და...

– მე ვიცი აქვეა, ყურის ძირში. მშვენიერ სენდვიჩებს ამზადებენ და ჩინური ჩაიც აქვთ! – ვითომც აქ არაფერიო, მკლავში ხელი გაუყარა და ქუჩას დაუყვნენ.

მერე მაგიდას უსხდნენ და პიტერიც მონუსხულივით შესცქეროდა ყოფილ საცოლეს. ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ახსოვდა, მხოლოდ თვალის უპეებთან დამჩნეოდა ორიოდ წვრილი ღარი...

ის კი ვაშინგტონის ამბებს უყვებოდა, დედაქალაქის ჭორსა და მართალს – თითქოს არც კიტინგის დუმილი აკვირვებდა და არც მისი დაჟინებული მზერა.

მკითხველთა ლიგა

– ქეით, იცი, უშენოდ რამდენი რამ გადამხდა თავს? – გააწყვეტინა უცებ, – დაქორწინებაც მოვასწარი და განქორწინებაც...

– კი, გაზეთებიდან შევიტყვე. გამიხარდა, რომ დაშორდი. ქალი მისის გეილ უაინენდობას დასთანხმდა და შენ რა ხეირს დაგაყრიდა?!

– უცნაური გოგო ხარ, ქეით. ჩემზე დარდობდი? არანაირი წყენა არ ჩაგრჩენია გულში?

– კარგი ერთი, რა ბავშვივით ლაპარაკობ, პიტერ... ახალგაზრდები სულ ასეთ განცდებში არიან. დრო გადის და მერე ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებათ... კი, თავიდან ბევრი ვიტირე, დავისიე თვალები, მაგრამ მერე გადამიარა, სახადივით. ახლა ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა გავმხდარიყავი შენი ცოლი.

– დაგავიწყდა, მუხლებზე რომ მეჯექი, ცოლობაზე რომ დამთანხმდი...

– არავითარი თანხმობა მე არ მომიცია. ეს შენ თქვი ხვალ ხელს ვაწერთო! ჩემთვის არც გიკითხავს! – ეშმაკურად მოწკურა თვალები და დააყოლა, – ახლა რა სასაცილოდ გვეჩვენება ეს ყველაფერი!

– ისე, რატომ?

– აბა, ჩემგან რა მეოჯახე ქალი დადგებოდა?!

– ახლა იმას დარწმუნებით ვერ გეტყვი, ქეით, მიყვარხარ თუ არა... ეგ არც არასდროს მიკითხავს საკუთარი თავისთვის. ან რაღა მნიშვნელობა აქვს?! მარტო ის მინდა გითხრა, რომ მაშინ მართლა მიყვარდი, შენი ცოლად შერთვაც მართლა მინდოდა და მთელ ჩემს ცხოვრებაში ალბათ ეს ერთადერთი რამ იყო, რასაც არ დავუეჭვებივარ... და სწორედ ეგაა უპატიებელი ის არ გავაკეთე, რაც მინდოდა! საერთოდ, ვატყობ, ცხოვრებაში ყველაზე ძნელი იმის გაკეთებაა, რაც გულით გინდა ხოლმე.

ქალმა გამოხედა, თითქოს ეს გულახდილობა ეამა. სიბრალული არ დასტყობია, თითქოს თვალებით ეუბნებოდა რას იზამ, სიყვარული საყმაწვილო სენია, ყველამ უნდა მოვიხადოთო.

– ...მაგრამ ერთი რამაა, რაც არასოდეს მინანია ერთად გატარებული წუთები, – განაგრძობდა კიტინგი, – აი, ის საღამო გახსოვს, თოვლში რომ ვიდექით... ის სასაცილო ხელთათმანები რომ გეცვა...

– როგორ არ მახსოვს?! გუშინდელივით...

– თუნდაც მაგისთვის გიხდი ბოდიშს.

– და რატომ მერე?! მაინც რა საყვარელი ვინმე ხარ, პიტერ! სულ ვამბობდი, მამაკაცები მეტისმეტად სენტიმენტალურები ხართ-მეთქი!

მერე თვითონ გააგრძელა საუბარი, ჰყვებოდა ამ მთისას, იმ ბარისას... კიტინგი მხოლოდ თავს უქნევდა, უხმოდ. ქალმა უცებ ისევ დახედა საათს და თითქოს მაშინღა გაახსენდაო: „ვაგვიანებ, პიტერ! უნდა გავიქცე.”

– ხომ არ მიწყენ, თუ არ გაგაცილე, ქეით? განა არ მინდა უბრალოდ, ასე აჯობებს...

– რას მებოდიშები! ნიუ-იორკის ქუჩები ჯერ არ დამვიწყებია. ძველ მეგობრებს შორის კი ასეთი ფორმალობები რა მოსატანია!

სწრაფად წამოკრიფა ჩანთა, ხელთათმანები და წასვლამდე ესღა უთხრა:

– მომავალ ჩამოსვლაზე აუცილებლად დაგირეკავ. ოღონდ ეგ როდის იქნება, აღარ ვიცი წინა კვირას დეტროიტში ვიყავი და ამ კვირის ბოლოს კიდევ სენტ-ლუისში მომიწევს გაფრენა... აბა, შენ იცი, პიტერ!

11

გეილ უაინენდი საკუთარი იახტის კიჩოზე ნებივრობდა და შიგადაშიგ გადახედავდა ხოლმე ოკეანის წყნარ ტალღებში მოცურავე რორკს. ამჯერად იახტაზე ის ერთადერთი სტუმარი იყო და მასპინძლობასაც

მკითხველთა ლიგა

მხოლოდ თავად უწევდა დომინიკი ნიუ-იორკში დარჩა...

ეს ამბავი კი იქიდან დაიწყო, რომ ერთხელაც კატეგორიულად უთხრა ჰაუარდს ამდენი მუშაობით სული ამოგხდებაო. ჰოდა, თავისი იახტით ერთთვიანი კრუიზი შესთავაზა წყნარ ოკეანეში; გაუკვირდა კიდეც, რორკი რომ უყოყმანოდ დაეთანხმა.

– მართალი ხარ, გეილ. ამ ბოლო დროს იმდენ ქაღალდს ვაფუჭებ, ადრე ამას თავს ვერაფრით ვაპატიებდი.

– არ მითხრა ახლა, ჰაუარდ რორკსაც კი არ გამოსდის ხანდახან ნახაზიო!

– უფრო ხშირად, ვიდრე ნებისმიერ სხვას! განსხვავებაა ისაა მხოლოდ, რომ ცუდი ნახაზები ჩემსავე ნაგვის ყუთში რჩება...

– აბა, შევთანხმდით! ოღონდ იცოდე, სანთლით რომ ეძებო, მთელ იახტაზე ფანქარს და ქაღალდს ვერ იპოვი. ნაღდი მილიონერებივით ბოლომდე ნეტარ უსაქმურობაში ჩავეფლობით. მოსულა?

– ვცადოთ. აქამდე მაგის შანსი არასოდეს მქონია.

საქმე ის იყო, რომ სწორედ ეს ერთი თვე რორკისთვის სახელოსნოში ყოფნა აუცილებელი სულაც არ იყო ყველა შეკვეთა მოამთავრა „კორტლენდის" პროექტიც ჩააბარა კიტინგს და გაზაფხულამდე ახალი არც არაფერი ჰქონდა დასაწყები.

დომინიკი მორჩილად დაჰყაბულდა ქმარს, როცა იმან უთხრა ხომ არ გეწყინება, მამაკაცები უშენოდ, ორნი რომ გავიდეთ ოკეანეში და ცოტა გული გადავაყოლოთო? კარგი დასვენება ორივეს გვჭირდება და რორკზე უკეთეს თანამგზავრს ვერც ვინატრებდიო...

– რა თქმა უნდა, გეილ, რა გაქვს საბოდიშო...

უაინენდს უცებ სიცილი აუტყდა:

– დომინიკ, მგონი, ეჭვიანობ კიდეც! აი, ამისთანა საჩუქარს კი აღარ მოველოდი რორკისგან ეგ თუ ეგრეა, ეტყობა, მართლა გიყვარვარ!

დომინიკს ხმა არ გაუღია: ეშაფოტზე აყვანილიც კი ვერ გაუმხელდა ქმარს, სინამდვილეში ვისზე ეჭვიანობდა და რატომ...

• • •

არადა, მართლა ზღაპრული დასვენება გამოუვიდათ. თვე იწურებოდა და ორიოდ უმნიშვნელო ფრაზის გარდა, თითქმის არც არაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის. ისეთი უსიტყვო ურთიერთგაგება ჩამოუყალიბდათ, სიტყვებმა თავისთავად დაკარგეს აზრი. ცურავდნენ, მზეს ეფიცხებოდნენ, ჩინელი მზარეულის ნახელავს აგემოვნებდნენ...

იმ დღესაც კარგა ხანს იცურავეს, მერე კი უაინენდი პირველი დაბრუნდა გემბანზე; ახლა უკვე ზემოდან დაჰყურებდა წყალში დარჩენილ რორკს და ფიქრობდა, რაოდენ უსაზღვრო ძალაუფლებას ფლობდა იმწამს: შეეძლო ღუზის ამოღება ებრძანებინა, აფრა აეშვა და ეს თავცეცხლა მოცურავე გაშლილ ოკეანეში მარტოდმარტო დაეტოვებინა ბედის ანაბარა. ამ ფიქრმა სიამოვნება მოჰგვარა ძალის განცდამ და იმის შეგნებამაც, რომ სწორედ რორკზე ვერასოდეს გამოცდიდა საკუთარი ძალაუფლების მთელ შესაძლებლობებს. ისე, არც ფიზიკურად გაუჭირდებოდა ბრძანების გაცემა და არც ამ ბრძანების შედეგის ზნეობრიობაზე იტეხდა იმწუთას თავს იმაზე, თავისთავად რა საშინელება იქნებოდა ნებისმიერი ადამიანის ასე გაწირვა. თუმცა მთავარი ეგ არ იყო. უბრალოდ, ამ ადამიანის გაწირვას ვერაფერი აიძულებდა: ის, ძლევამოსილი გეილ უაინენდი, სრულიად უმწეო იყო მისთვისაც აუხსნელი რაღაც ხიბლის წინაშე... წყალში გემის ნამსხვრევივით მოტივტივე რორკს გაცილებით მეტი ძალა ჰქონდა,

მკითხველთა ლიგა

ვიდრე თუნდაც ამ იახტის ძრავას ეს იმიტომ, რომ ზემძლავრი ძრავებიც სწორედ ასეთი ხალხის ძალისხმევით იქმნებაო, გაიფიქრა.

მერე რორკიც იახტაზე ამოფოფხდა. უაინენდი ხედავდა, წურწურით როგორ ჩამოსდიოდა წყალი მის ჩამოქნილ, გამხდარ სხეულს.

- "სტოდარდის ტაძართან" დაკავშირებით მაინც მოგივიდა ერთი შეცდომა, – უთხრა უაინენდმა, – იქ დომინიკის კი არა, შენივე საკუთარი ქანდაკება უნდა დაგედგა!

– არა-ა... სამაგისოდ მეტისმეტი ეგოტისტი ვარ.

– ვინაო?! ეგოტისტი სწორედაც რომ ეგრე მოიქცეოდა! შენ რაღაც უცნაური მნიშვნელობით ხმარობ სიტყვებს...

– არაფერიც! ზუსტი მნიშვნელობით ვხმარობ. არაფრის სიმბოლოდ არ მინდა ვიქცე. რაც ვარ, ის ვარ.

– იცი, რას გეტყვი, ჰაუარდ? – ერთხელაც, მოსაღამოებულზე, სრულიად მოულოდნელად უთხრა უაინენდმა, – მე და შენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს ამიტომაც ვგრძნობ თავს შენთან ასე თავისუფლად... ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში, ჩემი გაზეთები ყველას აზრს გამოხატავდა, გარდა გეილ უაინენდისა. ნებისმიერ მარტვილზე იოლად შეველიე საკუთარ "მეს". არადა, ხალხი მაინც გაუმაძღარს მეძახის. და რატომ მერე? ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი მარტვილი მხოლოდ მიწიერ სიამეებზე ამბობს უარს, ეს კი ძალიან მცირე საფასურია სულის ცხონებასთან შედარებით. ის სულიერს განადიდებს და მატერიალურს თმობს, მე კი არც მანქანებზე ვამბობ უარს, არც იახტაზე, არც პენტჰაუსზე, არც აბრეშუმის პიჟამებზე... სამაგიეროდ საკუთარ სულიერებას ვთმობ. ახლა მითხარი ვინ მეტს სწირავს? თუკი, რა თქმა უნდა, მსხვერპლის გაღება თავისთავად დიდი ღირსებაა. ასე რომ, ვინაა კაცთა შორის მეტი მარტვილი?

– ნამდვილად არ მეგონა, თუ ამას როდისმე აღიარებდი, გეილ.

– რატომ არა?! ძალიანაც კარგად ვაცნობიერებდი, რა მსურდა კოლექტიურ ცნობიერებაზე მინდოდა ბატონობა და მივაღწიე კიდეც ჩემსას. ისე, ჩვენში დარჩეს, დიდი ბუნდოვანი რამაა ეს კოლექტიური ცნობიერება. მაგრამ თუკი ვინმეს უნდა, მატერიალიზებული იხილოს, "ბანერის" ნებისმიერი ნომერი გადაშალოს! თუის რომ ჰკითხო, ხალხს იმის ნებაც არ უნდა მისცე, თავად გაარკვიოს, რა სურს. მათ მაგივრად, ეს მე უნდა მოვიმოქმედო. და საერთოდ, იმას კი არ უნდა ვწყვეტდე, მე რა მსურს, ან მათ რა სურთ წესით და რიგით, იმას უნდა განვსაზღვრავდე, რა სურდეს ხალხს და მერე ძალით შევაჩეჩო ხელში! არადა, სხვანაირად არაფერი გამოვა, რადგან მათი ნებაყოფლობითი არჩევანი მხოლოდ "ბანერია". ბოლოს და ბოლოს, რა ქნას კაცმა, თუკი სურს, ხალხს ემსახუროს? ან ყველას თავი უნდა უქნიო და ამის გამო სულგაყიდულად ჩაგთვალონ, ანდა მათსავე საკეთილდღეოდ, საკუთარი აზრი მოახვიო ყველას თავზე და იმასაც შეეგუო, დიქტატორს ან ავტოკრატს რომ დაგიძახებენ. ვითომ რა, მესამე გზაც არსებობს?!

– აბა, რა გითხრა...

– საკუთარ თავს მხოლოდ იმას ვდებ ბრალად, რომ სული გავყიდე, მაგრამ ფასიც კარგი დავადე ძალაუფლება! თუმცა ბოროტად არასოდეს გამომიყენებია საკუთარ ქვენა ზრახვებს ვერ დავემორჩილებოდი. მაგრამ ახლა თავისუფალი ვარ, უკვე შემიძლია, ის მოვიმოქმედო რაც მსურს და როგორც მსურს ჩემთვის, დომინიკისთვის, შენთვის...

რორკი ზღვას მისჩერებოდა. მერე თავი მოაბრუნა და ესღა თქვა:

– იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმა! მაგრამ საქმეც ისაა, რომ ხალხი, ძირითადად, გამონაცვალი ცხოვრებით ცხოვრობს. აი, თუნდაც პიტერ

მკითხველთა ლიგა

კიტინგის მაგალითიც კმარა: მისნაირებს მძიმე საზღაურის გადახდა უწევთ. არც ის იციან, რა დააშავეს ასეთი და თანაც, საკუთარ თავს ეგოისტებად მიიჩნევენ. რომელ ეგოიზმზეა ლაპარაკი?! ერთადერთი, რაც სურთ, სხვის თვალში განდიდებაა. სახელს ელტვიან, პატივს, შურსაც კი სხვებისგან! სხვები უბიძგებენ ამისკენ და ისინიც უსიტყვოდ ემორჩილებიან. სადაა აქ პირადი ნება? კიტინგს დიდება კი არ სურდა, უნდოდა, სხვებს განედიდებინათ; შენება კი არ სურდა სხვათაგან ხუროთმოძღვრად შერაცხვას ნატრობდა. მუდამ სხვის იმედად იყო, მათზევე შთაბეჭდილების მოსახდენად. საკუთარი თავი დათმო, ეგოისტად კი ნათლავენ. ხედავ აქ რამე ლოგიკას? ნებისმიერი თაღლითი პატიოსნად ჩათვლის თავს თუკი სხვები ასეთად მიიჩნევენ. სწორედ ესაა, რასაც მე გამონაცვალ ცხოვრებას ვეძახი. ასევეა, როცა კაცი ქველმოქმედებას სჩადის მხოლოდ იმისთვის, რათა სხვის თვალში საკუთარი თავი
აიმაღლოს! იგივეა, როცა კაცს ბევრი ფულის შოვნა უნდა არა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ისევ და ისევ სხვისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად ყველა ეგენი გამონაცვალი ცხოვრებით ცხოვრობენ! ვინმე თუ პრემიას იღებს კმაყოფილია, თუნდაც საბჭოს წევრთა 9/10 იდიოტებად მიაჩნდეს... სათქმელი ხომ მაინც ექნება
– ლაურეატი ვარო, დამაფასესო... ვინ მერე?! ვისი აზრიც სულ ცალ ფეხზე ეკიდა?
– ასე გამოდის, საკუთარი გულის კარნახზე მეტად, სხვის აზრს უწევენ ანგარიშს! ჭეშმარიტ ეგოისტს სხვისი აზრი მცნებას ვერ შეაცვლევინებს... მას ეს არაფრად არგია. სწორედ ამის გამოა, რომ ყველა ახერხებს, უუნარობა გაამართლოს სიკეთეო, ქველმოქმედებაო, სიბრალულიო... მაგრამ, იცი, რას გეტყვი, ჰაუარდ უხერხემლობას ვერაფრით შენიღბავ! გამონაცვალ ცხოვრებაში ყველაფერი მხოლოდ ურთიერთობით განისაზღვრება, სხვისი და არა საკუთარი მიდგომით. სწორედ ეს არ მესმის იმათი, ვინც სხვადასხვა კომიტეტებში იყრის თავს აზრი გააზრების გარეშე, მოძრაობა მუხრუჭების გარეშე... გამონაცვალ ცხოვრებაში შენი არავის ესმის, ყველა თავისას ერეკება და მხოლოდ სხვისი თვალით დანახულ ცხოვრებაში ცხოვრობს.
– კი, ეგრეა... ოღონდ, ამას ცოცხალი თავით, არავინ აღიარაებს. სხვანაირებს კი შორიდანვე ცნობენ, ტანით და ახლოსაც არ იკარებენ. დამოუკიდებელი კაცი მათთვის სასიკვდილო განაჩენივითაა ის მათი ცხოვრებით არ ცხოვრობს, სხვაგვარი არსებობა კი მათთვის არათუ მიუღებელი, უბრალოდ, წარმოუდგენელიცაა. ჩემთვის კი ესაა მთავარი _ თვითმყოფადობა. სხვას არაფერს აქვს მნიშვნელობა და მეგობრებსაც მაგის მიხედვით ვარჩევ.
– მიხარია, თურმე მეგობრებიც გყოლია.
– მყავს და ზოგი მიყვარს კიდეც... მაგრამ ჩემი ცხოვრების საბოლოო მიზანი ეგ ვერ იქნება. ვერ ხედავ, რომ პიტერ კიტინგს ერთი მეგობარიც არ შერჩა? როცა კაცი საკუთარ თავს არ სცემს პატივს, ის ვერც სხვის პატივისცემასა თუ სიყვარულს დაიმსახურებს... მე, მაგალითად, ვერაფერი მაიძულებდა შენი გულის მოსაგებად მეცხოვრა, თუმცა ახლა ეს იახტა რომ ჩაიძიროს, შენ გადასარჩენად დაუფიქრებლად გავწირავდი თავს...
– მერე, რით დავიმსახურე ასეთი პატივი?
– სხვისი გამონაცვალი ცხოვრებით არ ცხოვრობ...
უაინენდს ჩაეცინა. ნათქვამი ესიამოვნა. ოღონდ ეგაა, მასში ვერავითარი ორაზროვნება ვერ ამოიკითხა...

მკითხველთა ლიგა

რორკი და უაინენდი რომ ქალაქში დაბრუნდნენ, ხეებზე ალაგ-ალაგ უკვე კვირტებიც გაჩენილიყო. საღამოს, მარტო რომ დარჩა ოფისში, რორკმა იმდღევანდელი „თაიმზი” გადაშალა ზუსტად თვე იყო, გაზეთი არ სჭეროდა ხელში. სადღაც ბოლოსკენ პატარა ინფორმაციას მოჰკრა თვალი, "კორტლენდში" მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე და წარწერა ეუცნაურა: "არქიტექტორი პიტერ კიტინგი; თანაავტორები _ გორდონ ლ. პრესკოტი და ოგასტას უები."

ნაკვთი არ შესტოკებია სახეზე. ოღონდ ერთ საათში უკვე „კორტლენდის” მიდამოებში იყო და მშენებლობას გასცქეროდა.მუშებს იმ დილის საქმე მოეთავებინათ; სინათლე მხოლოდ დარაჯის ქოხში ენთო. ერთი შეხედვით, ნაგებობების ჩონჩხი ისე გამოიყურებოდა, როგორც ნახაზზე, თუმცა სულ მცირე დაკვირვებაც კი საკმარისი იყო ძირეული ცვლილებების შესამჩნევად: უაზროდ გაჭრილი კუთხის ფანჯრები, უადგილო ადგილას მიტყეპებული პაწია აივნები, უგვანი, კვადრატული მინაშენები, წითელი აგურის ჩანამატები, მოპირკეთებული, ჭყეტელა პანელები თუ ყოვლად უაზრო ბარელიეფები სადარბაზოების თავზე...

რორკი პატარა შემაღლებულზე იდგა ფეხები განზე გაედგა, ხელები ზურგს უკან დაწყობილი, თითქოს დახვრეტის ბრძანებას ელოდებაო...

• • •

კიტინგი უღონოდ შლიდა ხელებს: კაცი ვერ აუხსნიდა, როგორ და რანაირად მოხდა ყველაფერი უბრალოდ, ერთ დღეს თუიმ დაუძახა და აცნობა, პრესკოტისა და უების აყვანა მოგიწევს თანაშემწეებადო. რა გინდა, რას ერჩი, სახელში ეგენი ვერ შეგეცილებიან და ფულში, დამკვეთიც უფრო მშვიდად იქნება და შენც ნაკლები გექნება სანერვიულო... რამე რომ იყოს, იქნებ რაღაც-რაღაც შავი სამუშაოც კი დაავალო, შენც ცოტა გაგიიოლდება საქმეო, – დაამატა ბოლოს.

კიტინგს ვერაფრით გაეგო, მართლა რა გავლენა ჰქონდა ასეთი თუისა და მის ხალხს; არადა, მაშინვე მიხვდა, ამ პირობაზე დაუთანხმებლად, შეიძლება შეკვეთის მიღება საერთოდ სათუო გამხდარიყო. მაგრამ ერთ დათმობას მერე მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... კიტინგი თავგამოდებით იცავდა პროექტს, ხედავდა, თითქოს შეუმჩნევლად, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ ეცვლებოდა სახე თავდაპირველ ჩანაფიქრს... ხანდახან არგუმენტებსაც ისეთს უძებნიდნენ, ქვას გახეთქავდა: მაგალითად, ერთხელ ისიც კი უთხრეს ეს ხალხი ძველ უბნებში პარმაღებზე ჩამოსხდომას და მუსაიფსაა დაჩვეული, მთლად ბინებში ნუ გამოვამწყვდევთ და ყველა სადარბაზოს წინ ფართო ასასვლელი კიბეები გავუკეთოთო...

რორკის ჩამოსვლა რომ შეიტყო, კიტინგი მეორე დღესვე მიადგა ოფისში, გადასწორებულ-გადმოსწორებული ნახაზები დაუდო მაგიდაზე და ჩამკვდარი ხმით ესღა იკითხა: „ახლა რა ვქნათ, ჰაუარდ?”

– შეეშვი. ამ საქმეს მე მივხედავ.

– ხომ გესმის... არაფერი გამივიდა.

– მესმის.

– თუ გინდა, მე თვითონ ავტეხავ ხმაურს.

– არა.

– მაგრამ მე...

მკითხველთა ლიგა

– შენი ბრალი არაა, პიტერ. მე ვარ დამნაშავე. არც ადრე უნდა დაგხმარებოდი და არც ახლა ზედმეტი ტვირთი აგკიდე.

• • •

დომინიკმა შორიდანვე გაიგონა მანქანის ძრავის ხმა; უაინენდი ეგონა რაც ჩამოვიდა, მას მერე სულ ასე გვიან ბრუნდებოდა ხოლმე შინ. მანქანა წინკართან გაჩერდა, მერე კარის გაღების ხმა და მოზომილი, თავდაჯერებული ნაბიჯების ხმაც მოესმა კიბეზე. სასტუმრო ოთახის კარი გაიღო, ოღონდ წირთხლზე რორკის სილუეტი აისვეტა. ქალს უცებ თავში გაუელვა, უმთავრესი არასოდეს თქმულა ჩვენ შორის აი, ახლა მეტყვის და...

– საღამო მშვიდობისა, დომინიკ.

ხუთი წელი გასულიყო, რაც რორკს სახელით არ მიემართა მისთვის. ქალმა თავი დაუქნია მხოლოდ.

– შენი დახმარება მჭირდება, დომინიკ.

ქალმა ისევ უსიტყვოდ დაუქნია თავი. კაცმა ოთახი გადაჭრა და სავარძელში ჩაეშვა. სრულიად გაუაზრებლად, თოკზე გამობმულ თოჯინასავით, ქალმაც იგივე გაიმეორა.

– მომავალ ორშაბათს, ღამით, ზუსტად თორმეტის ნახევარზე, „კორტლენდის" მშენებლობასთან უნდა იყო. მოახერხებ?

ქალს სახე დაეძაბა. მშენებლობა საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და ახლა მისთვის არც რორკის განზრახვის გამოცნობა იყო დიდი სირთულე.

– იმ საღამოსთვის, – გააგრძელა რორკმა, – წინასწარ ვინმეს უნდა შეუთანხმდე სტუმრობაზე და უკანა გზაზე უნდა აღმოჩნდე "კორტლენდში" – ვითომ ბენზინი გაგითავდა... დარაჯს სთხოვ, ერთი გალონი საწვავი მოგიტანოს ბენზინგასამართი სადგურიდან იქვეა, ერთ კილომეტრში. მერე მანქანიდან გადმოხვალ და გზის პირას, თხრილში ჩაწვები. თავად მიხვდები, როდის დაბრუნდე მანქანაში...

დომინიკმა პასუხად კვლავ თავი დაუქნია.

– მიხვდი, რასაც ვაპირებ?

– კი.

თითქოს შორიდან მოესმოდა კაცის ბოლო სიტყვები გაიგონა, როგორ დაემშვიდობა, ღიმილით. ეს ღიმილი თითქოს ძილშიაც კი ჩაჰყვა ქალს...

• • •

ლონგ აილენდის გზატკეცილზე მიაქროლებდა მანქანას, მაგრამ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს აეროპორტის საფრენ ბილიკზე იყო და საცაა, მიწას უნდა მომწყდარიყო. ფრთაშესხმული იმასღა ფიქრობდა, რორკი ბოლო გამოცდას მიწყობს და იმედს არც მე გავუცრუებო...

იმ დღეს უაინენდის მეგობრებს შეეხმიანა, სხვათა შორის უთხრა, შინ მარტო ვარო და როცა იმათ სტუმრად მიიწვიეს, დიდი თავპატიჟიც არ გამოუდვია. მთელი საღამო შესანიშნავ გუნებაზე იყო, უჩვეულოდ მოილხინა, მასპინძლებიც გაამხიარულა და არც ფრანგულ ღვინოზე უთქვამს უარი. ოღონდ სინამდვილეში, თვალი სულ საათზე ეჭირა, დამშვიდობების თადარიგიც დროულად დაიჭირა და თერთმეტს რომ ათი წუთი აკლდა, უკვე მანქანის საჭეს უჯდა.

ზუსტად ნახევარ საათში, მისი მანქანა სამშენებლო მოედნის შორიახლოს იდგა, თავად კი ბენზინის მოსატანად გაგზავნილი დარაჯის ნეკისხელად ქცეულ ფიგურას გასცქეროდა სიშორეში.

მკითხველთა ლიგა

იცოდა, რორკი სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო. ჯერ დაუმთავრებელი შენობიდან არც ფანრის ეული სხივი კრთოდა და არც ჩამიჩუმი ისმოდა ან რა გასაკვირი ეს იყო, რორკი ხომ თვალდახუჭული ცნობდა ყოველ კუთხე-კუნჭულს, დერეფანსა თუ კიბის საფეხურს...

დომინიკმა ქუდი, ჩანთა და ლაბადა მანქანაში დატოვა, თავად კი გზის მეორე მხარეს გადავიდა და თხრილში გაინაბა. წუთიც არ იქნებოდა გასული, აფეთქებამ რომ შეაზანზარა იქაურობა; ერთს მეორე მოჰყვა, მერე მესამეც... შენობა ბანქოს ხუხულასავით ჩამოიქცა ნელი-ნელ, თითქოს შენელებულ კადრშიო. ირგვლივ ყველაფერი შუშის ნამსხვრევებითა და ბეტონის ნატეხებით დაიფარა _ სამად სამი აფეთქება საკმარისი აღმოჩნდა, ამოდენა ნაგებობა ნანგრევებად რომ ექცია მისივე შემქმნელს.

– რორკ! – ერთი კი აღმოხდა დომინიკს, მაგრამ ნანგრევებიდან არავინ გამოჰპასუხებია. მხოლოდ პოლიციის სირენების ხმა მოისმა შორიდან. ქალი თხრილიდან ამოვიდა და მანქანას მიუახლოვდა. უკანა საბურავები დახეთქილი დახვდა და ფანჯრებიც ჩამსხვრეული; სახურავს აივანს მოგლეჯილი თუჯის მოაჯირი დასცემოდა და გვარიანად ჩაეჭეჭყა. კარი ძლივს გამოაღო, ჩაჯდა და იგრძნო, მთელი სალონი შუშის ნატეხებით იყო მოფენილი. ერთს დასწვდა და რამდენჯერმე დაისვა კისერზე, მკლავზე, ფეხზე... მერე, თავი უკან გადააგდო და ერთიანად მოეშვა. ახლა ისეთი თავისუფალი იყო, როგორც არასდროს: საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, უწონობა. აღტკინებისგან თავბრუ ეხვეოდა...

როცა პოლიციელებმა მანქანიდან გონდაკარგული გადმოიყვანეს, ერთიანად სისხლით იყო მოთხვრილი შუშის პირბასრ ნატეხს მისთვის ფეხზე არტერია გადაეჭრა.

13

დომინიკმა საწოლ ოთახს მოავლო თვალი გონზე მოსვლის მერე ნაცნობ გარემოში პირველად იგრძნო თავი. აქამდე მხოლოდ საავადმყოფოს თეთრ ფარდებსა და რატომღაც ვარდისფრად შეღებილ ჭერს ხედავდა. საწოლთან ახლა უაინენდი ედგა, უცნაურად კმაყოფილი სახით. გაახსენდა, საავადმყოფოში რა გამომეტყველებაც ჰქონდა კმაყოფილს ვერაფრით დაარქმევდი. თითქოს ახლაც ყურში ჩაესმოდა, როგორ უთხრეს მის ქმარს თქვენი მეუღლის გადასარჩენად დიდი ბრძოლა მოგვიწევსო. სახვევები ჯერაც არ მოეხსნათ, მაგრამ ახლა ხომ საკუთარ საწოლში მაინც იწვა...

– მართლა დიდი ჩურჩუტი ვინმე ხარ, უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრე?

– ბენზინი გამითავდა. დარაჯს ველოდებოდი და...

– კი, ეგ ზღაპარი უკვე მოუყევი პოლიციას. დარაჯმაც დაგიმოწმა. ისე, შუშა რომ მჭრელია, არ იცოდი, ქალბატონო?

„რა სხვანაირად გამოიყურება", – გაიფიქრა ქალმა, – "ამ ამბავმა, ჩემი არ იყოს, ისიც შეცვალა".

– არ მტკენია, – ესღა ამოღერღა.

– მომავალში, სანამ გულუბრყვილო თვითმხილველობას დაიჩემებ, ანატომიის ატლასში მაინც ჩაიხედე ცალი თვალით!

– მაგრამ მათ ხომ დაიჯერეს?

– აბა, არა?! ცალი ფეხი სამარეში გედგა! მარტო ის ვერ გამიგია ვერაფრით, ბეხრეკი ღამის დარაჯის სიცოცხლეს რომ გაუფრთხილდა, შენი კი სასწორზე შეაგდო!

მკითხველთა ლიგა

– ვისზე ამბობ?
– რორკზე, ჩემო კარგო, ჰაუარდ რორკზე!
– რორკი რა შუაშია?
– კარგი ერთი, პოლიციაში კი არა ხარ დაკითხვაზე... თუმცა, ეგეც მოგიწევს და ცოტა უკეთ უნდა მოემზადო. ისე, მოწმედ გამოსვლის გამოცდილება კი გაქვს, სტოდარდის პროცესი გეხსომება.
– ეგ რაღამ გაგახსენა?
- მაშინაც იგივე არ მოიმოქმედე?! ახლა მაინც თუ ხვდები, მე რა გრძნობა მიჩნდება ხოლმე მისი ნამუშევრების შემხედვარეს...
– ესე იგი, ჩემს საქციელს ამართლებ?! _
– ეჭვი გეპარებოდა?
მერე ჩაიმუხლა, საწოლის კიდეზე ქალის უღონოდ ჩამოდებული ხელი ხელში აიღო ფრთხილად და ტუჩებთან მიიტანა თითქოს საზღაურს ითხოვდა საავადმყოფოში გატარებული კოშმარული ღამეებისთვის. ქალმა თმაზე გადაუსვა ხელი, იმასღა ფიქრობდა, რამდენად იოლი გადასატანი იქნებოდა ქმრისთვის მისი სიკვდილი, ვიდრე ის, რის გაგებაც ალბათ სულ ცოტა ხანში მოუწევდა...
– მაპატიე, გეილ.
– ეგ არაფერი, ომი წინ გველოდება.
– ციხეშია?
– ვერ მივართვი, თავდებით გამოვიყვანე.
– შეიძლება, გაზეთები ვნახო?
– არავითარ შემთხვევაში!
– არც ”ბანერი”?
– „ბანერი” – მით უმეტეს!
– მიყვარხარ, გეილ... აი, შენ თუ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვან...
– ნუ მეპირფერები ჩემთან ეგეთები არ გაგივა! მარტო ჩემი და შენი ამბავი არაა აქ მთავარი. სხვათა შორის არც ჩემი და რორკის.
– აბა, შენი და ღმერთის?
– როგორც გინდა, ისე იფიქრე. ახლა მაგაზე კამათის დრო არაა. ქვევით სტუმარი გელოდება, მთელი დღეა, გიცდის.
– ვინაა?
– შენი სატრფო ჰაუარდ რორკი. მადლობის სათქმელად იქნება მოსული!
ეს ხუმრობანარევი ტონი სწორედ იმაზე მიანიშნებდა, რამდენად შორს იყო ძლევამოსილი გეილ უაინენდი იმ სიმართლისგან, რაც უკვე ლამის ხელისგულზე იდო...
– კარგი, ამოვიდეს. ისე, მართლა რომ შემიყვარდეს?
– დაგაკლავთ ერთმანეთს! თან ისიც გაითვალისწინე, ოცდაექვსი ნაკერიდან ერთიც არ გაქვს ჯერ ახსნილი. ნეტა, რა გესიყვარულება...
მერე გაიგონა, როგორ მხნედ ჩაირბინა კიბის საფეხურები.

• • •

როდესაც პოლიციელები აფეთქების ადგილს მიადგნენ, იქ მხოლოდ ერთი საეჭვო პირი აღმოაჩინეს არქიტექტორი ჰაუარდ რორკი, რომელსაც ხელში, რატომღაც, დეტონატორი ეჭირა.
ის ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, დილით კი გეილ უაინენდმა გამოიყვანა თავდებით. კაცს წარბი არ შეუხრია, როცა საავადმყოფოს მისაღებში ექიმმა უთხრა, დომინიკის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო; მაშინაც მშვიდი ხმა ჰქონდა, როცა ოლქის მოსამართლე

მკითხველთა ლიგა

წამოაგდო ლოგინიდან და თავდებობის ფურცელზე მოაწერინა ხელი:- მხოლოდ მაშინღა გაუწყდა მოთმინების ძაფი, გისოსებს მიღმა გამომწყვდეულ რორკს რომ ხედავდა ბინძურ საკანში მაშინღა აღრიალდა დაჭრილი მხეცივით; თითქოს ისევ იქ იყო, „ეშმას უბანში", ქუჩის ჩხუბში გარეული, და ვერაფრით გაეგო, ვის რაში სჭირდებოდა ეს უაზრო ბიუროკრატია; რატომ არ შეეძლო, პირდაპირ შეენგრია კარი და რორკი სამშვიდობოს გამოეყვანა!

როგორღაც მაინც მოთოკა თავი, ყველა საჭირო ქაღალდს ხელი მოაწერა და როცა უკვე მანქანაში ჩასხდნენ, მერეღა ჰკითხა მართლა შენ იყავიო?

– კი, – უპასუხა რორკმა.

– კარგი. მაშინ ვიომოთ ერთად, ბოლომდე...

• • •

რორკი ოთახში შემოვიდა და ფეხებთან ჩამოუჯდა ქალს. უსიტყვო ღიმილით მიაჩერდნენ ერთმანეთს. ამწუთას სათქმელიც აღარაფერი ჰქონდათ.

- შეიძლება, დიდი ხნით ჩამსვან. ალბათ, ამასაც ფიქრობდი, როცა დახმარებაზე დამთანხმდი.

– ხო, ალბათ...

– ახლა შენს იმედზე ვარ.

– რაზე ამბობ?

– უაინენდზე. ვერ მიხვდი, რომ შენ დაგიგე ხაფანგი?

– მე?

– რას იზამდი, შენთვის რომ არაფერი მეთქვა?

– ახლა მოვიდოდი შენთან, "ენრაიტ-ჰაუსში", ღიად და ყველას დასანახად.

– მჯერა, ოღონდ ეგ უკვე აღარ გამოვა. შენ მისის გეილ უაინენდი გქვია, შემთხვევით მოხვდი იქ და ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგე. საკმარისია, ვინმემ გაიგოს, რა გვაკავშირებს, და ჩემი საქმე წასულია.

– გასაგებია...

– მოკლედ, ხმა არ უნდა გაიღო. თუ რაღაც იდეები გაგიჩნდეს ჩემი დახმარების თაობაზე დაივიწყე! შენ გეილთან უნდა დარჩე. მთელი ეს ხანი ერთმანეთს უნდა დაუდგეთ გვერდში.

– და თუ გაგამართლეს?

– მაშინ... – საწოლ ოთახში მიმოიხედა და ჩუმად, თითქოს თავისთვისო, ჩაილაპარაკა, – აქ არ მინდა ამის თქმა, მაგრამ იმედია, ისედაც ხვდები...

მაჯაში ჩაავლო ხელი, ქალის თითები ტუჩთან მიიტანა... მერე წამოდგა.

– დავიცდი, – ჩუმად თქვა ქალმა, – ახლოსაც არ გაგეკარები, პირობას გაძლევ.

კაცმა გაიღიმა და თავი დაუქნია; მერე ფრთხილად გაიხურა კარი,

• • •

„... ხდება ხოლმე, რომ კოსმიური ძალები თითქოს ერთ პატარა მოვლენაზე ფოკუსირდება, ლინზის პრიზმაში გატარებული სხივებივით... სწორედ ასე მოხდა კორტლენდის ტრაგედიასთან" დაკავშირებით. დიახ, ტრაგედიასთან! რაკიღა სასწორზე მხოლოდ ერთი ადამიანის ბედი არ დევს: თუმცა, ერთი კაცის თავკერძობამ კი გადაწონა სიკეთის, ადამიანურობის, თანაძმობის ყველა გაგება! ერთმა კაცმა, თითის ერთი

მკითხველთა ლიგა

დაჭერით, ასეულობით ოჯახის მომავალი დაანგრია. მთელი საზოგადოების უანგარო მცდელობა, უსახლკარონი დაესახლებინათ, მიუსაფარნი დაებინავებინათ, უპოვართათვის ჭერი მიეცათ ერთი კაცის ეგომ შეიწირა. არადა, რა ამოძრავებდა? ისევ და ისევ წრეგადასული, დაუკმაყოფილებელი ამპარტავნება და მეტი არაფერი! სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადოებას ძალა არ შესწევს, უბრალო პატიმრობის გარდა, სხვა რამ სასჯელი შეუფარდოს ამგვარ ბოროტებას! ოღონდ იმის უფლება ხომ მაინც გვაქვს, საზოგადოებამ ასეთი კაცი გარიყოს და მოიკვეთოს სამარადჟამოდ!”

ამას წერდა ელზუერთ მ. თუი გაზეთ "ახალი სამანების" ფურცლებზე.

ისიც უნდა ითქვას, ”კორტლენდის“ აფეთქება სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მისი ტალღა კი მთელ ქვეყანას მოედო და სამართლიანი გულისწყრომა ააზვირთა საზოგადოების ყველა ფენაში. აზრთა დიდი სხვადასხვაობა მხოლოდ რორკის ამ ნაბიჯის გამომწვევ მიზეზთა თაობაზე იყო: ზოგი უბრალო პროფესიულ შურს აბრალებდა ყველაფერს, ზოგიც აღიარებდა რაღაც მსგავსება მართლაც არსებობს რორკისეულ სტილსა და კიტინგის, პრესკოტისა და უების ნახელავს შორისო. თუმცა სხვები იმასაც ამტკიცებდნენ, ხელოვნება თავისი არსით დემოკრატიულია და მთელ ხალხს ეკუთვნის შესაბამისად, რაღაც-რაღაცეების დასესხება” სავსებით მისაღები ამბავია და რორკის რეაქციაც მხოლოდ წრეგადასული პატივმოყვარეობის გამოხატულებააო. საბოლოოდ, ეს კამათიც მიცხრა. ცხადი ერთი რამ ჩანდა ერთი კაცი დაუპირისპირდა ყველა დანარჩენს, პიროვნება მთელ საზოგადოებას აუმხედრდა. გარემოებებს უკვე აღარავინ დაგიდევდათ. ხალხს სისხლი სწყუროდა.

გორდონ პრესკოტიცა და გას უებიც ფრიად თავშეკავებულად იქცეოდნენ პანაშვიდზე მდგომი ჭირისუფლებივით იღებდნენ სამძიმრებს, მხრებს იჩეჩავდნენ და სამართლიანი განაჩენის მოლოდინში ვართო, ამბობდნენ. მხოლოდ პიტერ კიტინგი იქცეოდა უცნაურად. არც ერთ თავყრილობაზე არ გამოჩენილა, პრესასთან ურთიერთობასაც გაურბოდა... მარტო ერთადერთი მოკლე განცხადება გაუგზავნა "ბანერის" რედაქციას, სადაც ამტკიცებდა, რორკი უდანაშაულოაო და მეტად უცნაური თხოვნით ამთავრებდა სათქმელს იქნებადა, ამ კაცს, ერთხელ და სამუდამოდ, თავი გაანებოთო. რორკის ოფისის წინ კი ამ დროს პიკეტი პიკეტზე იმართებოდა, თუმცა მიზანი ცოტა ბუნდოვანი იყო, რადგან იქ აღარც ერთი თანამშრომელი არ ჭაჭანებდა რორკის დაკავების დღიდან: დამკვეთებმა ყველა შეკვეთა მაშინვე გაუუქმეს.

გაზეთებში სამჯერ მეტი ადგილი დაიკავა მკითხველთა წერილებმა. აღშფოთებას ვერ მალავდნენ დიასახლისები, ხელმოცარული მუსიკოსები, გადამდგარი გენერლები თუ ყოველდღიურობის ერთფეროვნებით თავგაბეზრებული მოხელეები, ყველას და ყველაფრის მოძულე ინტელექტუალები, საჯარო სკოლის მოწაფეები, მასწავლებლები თუ სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციათა საბჭოს წევრები. მოკლედ, ერი და ბერი ერთ ხმაში იმღერდა. დინებამ, მკვდარი თევზებივით, ყვე-
ლა ერთი მიმართულებით გაიყოლია...

დინების საწინააღმდეგოდ მხოლოდ ბანერმა” აუშვა აფრები.

– რას შვები, გეილ?! – ერთხელაც აღმოხდა ალვა სკარეტს, – ტერორისტს ვიცავთ?!

– მოკეტე, ალვა, – ხაზგასმით მშვიდად გაეპასუხა უაინენდი, –

ერთხელაც ამოიღებ ამაზე ხმას და, ძვალ-რბილს გაგიერთიანებ!
გეილ უაინენდმა რამდენიმე მეწინავე დაბეჭდა ზედიზედ და საკუთარი ხელმოწერაც თვალსაჩინოდ, ასომთავრულით ააწყობინა. პირველივე ასე იწყებოდა: „ამ ამაზრზენი, მყვირალა კამპანიის ფონზე აღარავის ახსოვს, რომ ჰაუარდ რორკი ეჭვმიტანილი არც ყოფილა, იგი თავად ჩაჰბარდა პოლიციას და არავის თავში აზრად არ მოსვლია, ეკითხა, რატომ მოიქცა ასე. იგი იმთავითვე ბრალეულად მიიჩნიეს, ხალხს სურს, რომ ის დამნაშავედ ცნონ ნებისმიერი არარაობა თუ უწიგნური, უმაქნისი ბრიყვი, თუკი ვინმე შემოაკვდა, მასების სიბრალულს იმსახურებს და მისი შეწყალების მოთხოვნითაც ათასობით ხელმოწერა გროვდება. სიკვდილით დასჯა არაჰუმანურიაო. ანუ არარაობისთვის დანაშაულის წილ სიცოცხლის წართმევა საზოგადოებისთვის არასაკადრისი საქციელია, ხოლო დიადი და დიდბუნებოვანი პიროვნების წლობით საკანში გამომწყვდევა, როცა იგი მართალი საქმისთვის იბრძვის, უზენაესი სამართლიანობის გამოხატულებად ითვლება! უკვე აქედანვე ჩანს, რამდენად“ წასულა წინ“ ჩვენი საზოგადოება, თუნდაც სოკრატეს გასა-
მართლების შემდეგ...“
„ხშირად გაიგონებთ, – წერდა უკვე მომდევნო პუბლიკაციაში, – „ეს ჰაუარდ რორკი სასამართლოდან ვეღარ გამოსულაო და ამიტომ გინდათ, ციხეში გამოამწყვდიოთ?! ისე, ეგ კი მართალია მისნაირ კაცს სხვანაირად ვერც გააჩერებთ! მისთანები საზოგადოების წინააღდგომას არასოდეს მოიშლიან და განა ვინაა ამაში დამნაშავე?! პიროვნება თუ მისი გარემომცველი საზოგადოება?“
„საკითხი ასე დგას, – თავისას აგრძელებდა მესამე წერილში, – „თვითშეწირვა უდიდესი სიქველეა და თითოეული ჩვენგანიც ამისკენ უნდა ისწრაფოდესო. ხოლო მე გეტყვით თქვენ: თუ უფიქრდებით მაინც, რას ამბობთ? რა მიიღოს ადამიანმა, თუკი პატიოსნებას შესწირავს მსხვერპლად, ან დამოუკიდებლობას, ან იდეალებს, რწმენას, სიტყვისა და ფიქრის თავისუფლებას? რაღა დარჩება მისგან? ეს პიროვნების ის თვისებებია, არც ერთ შემთხვევაში რომ არ შეიძლება მსხვერპლად გაიღო!“
ამონარიდები ახალმა სამანმაც“ კი გადაბეჭდა, თუმცა რიტორიკულკითხვიანი კომენტარით: "და ვინ ამბობს ამას?"
გეილ უაინენდი კი, შეიძლება ითქვას, თავის სტიქიაში იყო: თითქოსდა შეუძლებელი შეძლო, ახალგაზრდული გზნება სიჭარმაგის სიბრძნეს შეუთანხმა და მეორე სუნთქვა გაეხსნა. მის ოცდაორსავე გამოცემას ჟურნალსა თუ გაზეთს ერთი უზენაესი ბრძანება დაეგზავნა: დაიცავით რორკი!
"როგორიც არ უნდა იყოს ფაქტები, მით უარესი მათთვის!" – ასეთი სიტყვიერი დირექტივა მისცა მაგნატმა თავის გუნდს, – ”ეს ბანალური კრიმინალი კი არა, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, საზოგადოებრივ აზრს კი ჩვენ ვქმნით! ჩვენ თუ მოვინდომებთ, დღევანდელ დამნაშავეს ხვალ გმირად ვაქცევთ... ასე რომ, შეუდექით საქმეს მე გმირი მჭირდება და ეს გმირი ჰაუარდ რორკია."
რა თქმა უნდა, შეკამათება არავის მოსვლია აზრად. მხოლოდ ალვა სკარეტს მოექცა ყბა, თუმცა ამჯერად ხმა უკვე აღარც მას ამოუღია.
„ბანერის” კამპანია ”ენრაიტ-ჰაუსის” ორ გვერდზე გადაშლილი ფოტოს დაბეჭდვით დაიწყო, წარწერით: „ამის ამშენებელს უნგრევთ ცხოვრებას?” მერე ამას მონადოკის ხეობის პანორამა მოჰყვა შესაბამისი წარწერით: „ესეც საზოგადოების მასხრად აგდებაა?!” ბოლოს კი თავად უაინენდის

მკითხველთა ლიგა

ახალი სამყოფლის ამსახველი ფოტოების სერიაც გამოქვეყნდა, მოკლე მიმართვით: „ვისაც შნო გაქვთ, გაეჯიბრეთ!”

უცნობი ავტორის ხელმოწერით, რორკის ბიოგრაფიაც გამოიცა, თუმცა, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ფსევდონიმს მიღმა თავად გეილ უაინენდი იდგა. ამას სტატიების მთელი სერია მოჰყვა, სადაც უდანაშაულო მსხვერპლთა სოკრატეს, გალილეის, პასტერის, დრეიფუსის გახმაურებული სასამართლო პროცესები განიხილებოდა, ანუ ყველა ის შემთხვევა, როცა პიროვნება უპირისპირდებოდა თანადროულ საზოგადოებას.

„კი, მაგრამ, გეილ, ღვთის გულისთვის, ეს ხომ უფასო განსახლების პროექტი იყო!” – ერთხელაც სცადა შეფის გადარწმუნება ალვა სკარეტმა. მის ამ ამოძახილს კი შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ბანერმა” ახლა ჟურნალისტური გამოძიებების მთელი სერია წამოიწყო სახელმწიფო ბინათმშენებლობაში ფესვგადგმული კორუფციისა და აღებ-მიცემობის თაობაზე. დეტალურად იყო განხილული ყველა ის შემთხვევა, როცა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ წამოწყებული მშენებლობები ხუთჯერ მეტი დაჯდა, ვიდრე ამას ერთი კერძო მშენებელი დააფასებდა. გულშემზარავი ფოტოები იბეჭდებოდა ჩქარ-ჩქარა აშენებულ და მიტოვებულ დასახლებებზე, ქარისგან სახურავებმოგლეჯილ კორპუსებზე, გაჭედილ თუ ჩავარდნილ ლიფტებზე, დაბრეცილ-გადახრილ კედლებზე...

„დიახაც, – არ ცხრებოდა "ბანერი", – ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა სულ კეთილი ზრახვებითაა მოკირწყლული! იქნებადა, ის დრო, დადგა, სწორედ ამ კეთილი ზრახვების გაგებაში შევიტანოთ ეჭვი? როდის ყოფილა, მარტო მკერდში მჯიღის ცემით აშენებულიყოს ქვეყანა!“

თქმა არ უნდა, "ბანერის" ყველა მეწინავე გეილ უაინენდის კალამს ეკუთვნოდა. ყოველ მათგანს სამმაგი ზომის ასომთავრული ინიციალები ამშვენებდა და მისთვის რომ გეკითხათ, ცხოვრებაში არასოდეს არაფრისთვის მოეწერა ხელი მეტი სიამაყით...

ამასობაში, დომინიკი სავსებით გამოჯანმრთელდა და ქალაქგარეთ, ახალ სახლში გაემგზავრა. უაინენდი გვიან ბრუნდებოდა ხოლმე შინ და ხშირად რორკსაც წამოიყოლებდა თან. ისხდნენ ვერანდაზე, ტბის მოლივლივე ზედაპირს გასცქეროდნენ და გაზაფხულის ახლად ამომსკდარი კვირტების სურნელს იყნოსავდნენ. მწვავე თემებზე საუბარს გაურბოდნენ, მხოლოდ უაინენდმა თქვა ერთხელ: ”ჰაუარდ, სანამ ეგენი საქმის გარჩევას დაიწყებენ, ისე გადავუტრიალებ ტვინს, ნაფიც მსაჯულებში ერთიც არ აღმოჩნდება, შენ რომ დაგადანაშაულოს!” იქნებ სწორედ ამიტომაც იყო, ერთხელ პირისპირ რომ დარჩნენ, დომინიკმა რორკს წასჩურჩულა "ეს კაცი ყველაფერს გაიღებს შენ გადასარჩენად... არადა, ეგ თუ მოახერხა, მაშინ მე უნდა დამკარგოს."

"მერე, როგორ გგონია, შენი დაკარგვა უფრო მტკივნეული იქნება მისთვის თუ ამ ჯვაროსნული ლაშქრობის მარცხით დამთავრება? გაიგე, დომინიკ, მისთვის ჩემი გადარჩენა არაა მთავარი, მე მხოლოდ საბაბი ვარ."

"ბანერის" ტირაჟი დღითი დღე ეცემოდა, წარწერებს კი ჩვენ ”ბანერს” არ ვკითხულობთო უკვე ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით: კედლებზე, ლიფტების კარზე, ტელეგრაფის ბოძებზე... კიოსკები უარს ამბობდნენ გაზეთის მიღებაზე, ან თუ მაინცდამაინც, სხვა გამოცემების ქვეშ ამოდებდნენ ხოლმე იმ შემთხვევისთვის, თუკი ვინმე მაინც მოითხოვდა. თავად რედაქციაშიც კი, ზოგიერთებმა საკუთარი სურვილით დაწერეს განცხადება წასვლის თაობაზე. მხოლოდ ელზუერთ თუი ინარჩუნებდა სულიერ სიმშვიდეს და თავის რუბრიკაში "ერთი

მკითხველთა ლიგა

მოკრძალებული ხმა" სიტყვაც კი არ დასცდენია ამ გახმაურებული ამბის შესახებ. თუმცა, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა უაინენდმა ერთ დღესაც კაბინეტში დაიბარა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადა: "კარგად დამიგდეთ ყური, მისტერ თუი! გარეთ ვისთან რას იტყვით, სულ არ მაინტერესებს, ოღონდ თქვენს მოკრძალებულ ხმაში" ერთი ბგერაც რომ გამოერიოს ჰაუარდ რორკის საწინააღმდეგო, პირდაპირ ჩემთან გექნებათ საქმე!"

– გასაგებია, მისტერ უაინენდ.

– ყოველი შემთხვევისთვის, მაინც გაგიმეორებთ გამეორება ცოდნის დედააო, მოგეხსენებათ და რაც ამ სკანდალურ ამბავს შეეხება, იქ თქვენ და თქვენი რუბრიკა ბრმა ხართ, ყრუ და მუნჯი! სიტყვა კორტლენდიც" კი არ დავინახო ნაბეჭდში.

თავად უაინენდი შანსს არ უშვებდა ხელიდან, ნებისმიერი თავყრილობა იქნებოდა თუ პირადი საუბარი, რორკზე არ ჩამოეგდო სიტყვა, ოღონდ უცნაური ის იყო ხალხი, რომელიც ყოველ მის გამონათქვამს გულდასმით ექცეოდა აქციების, უძრავი ქონებისა თუ რეკლამის თაობაზე, ახლა მხოლოდ ცალი ყურით უსმენდა მის მსჯელობას ხელოვნების, ხელოვანისა და სამართლიანობის შესახებ. ზოგი აქეთაც ედავებოდა: „სადღაც მართალი ხარ, გეილ, მაგრამ ლანსელოტ კლოკის წიგნი არ წაგიკითხავს? ამტკიცებს, თავკერძობა ღუპავს კაცობრიობასო. მაგას კი დაეჯერება, ნახევარი მსოფლიო აქვს მოვლილი..."

– ..კარგი რა, გეილ, მოგცლია ერთი! ბოლოს და ბოლოს ერთი ვიღაც მშენებელია... ნებისმიერი ადამიანი მხოლოდ მისი შემადგენელი ქიმიური ელემენტების ჯამია ჭამს, სვამს, სძინავს. აი, ლოის კუკის წიგნს – რა ჰქვია? – ხო, „თავკერძა კენჭი", თავად შენი "ბანერი" არ უწევდა მაგას რეკლამას? მშვენივრადა აქვს ყველაფერი ახსნილი...

– ..ვერ დაგეთანხმებით, მისტერ უაინენდ სანამ ამას ჩაიდენდა, სხვებზეც ხომ უნდა ეფიქრა ცოტა! კაცს თუ გულში სიყვარული არ უძევს, მისი ხელიდან სახეირო ვერც ვერაფერი გამოვა... აიკ რა ქვია იმას გვარი ვერაფრით დავიმახსოვრე მისი პიესა იდგმება ახლა ბროდვეიზე, გრანდიოზული წარმატება აქვს და ფაულერმაც კი თქვა...

ერთ დღესაც ალვა სკარეტი დერეფანში შეეჯახა ელზუერთ თუის და თავი ვეღარ შეიკავა:

– რა ხდება, ელზი?! საით მივექანებით?!

- შენი გამკვირვებია, ალვა! – წარბის აწევით გაეპასუხა თუი, – რა არ მოგწონს? ღმერთს მადლობას უნდა სწირავდე, ასე რომ შემოტრიალდა საქმე! ისეთი პირი უჩანს, მალე ჩვენ დავეპატრონებით აქაურობას...

– რას ბოდავ?!

– რაც გესმის!

შებრუნდა და ხმა აღარ გაუცია პირდაღებული უფროსი რედაქტორისთვის.

თუმცა, გას უებს ერთხელ მაინც დაელაპარაკა, მაგრამ უშედეგოდ,

– იცი, რას გეტყვი, ელზუერთ, – შორს დაიჭირა უებმა, – ნამეტანი რომანტიკოსი ხარ! საერთოდ, ვერ გამიგია, რას ფილოსოფოსობ, ვერ ხვდები რომ ამ საქმეში არაფერი ყრია აი, ის აფეთქებული სახლი მაცხოვრებლებით თუ იქნებოდა სავსე, მაშინ გაგიხარია, ერთ ამბავს ავტეხდით! ერთი- ორი დასახიჩრებული ბავშვის ფოტოსაც დავურთავდით... ახლა კი რა _ ჩასვამენ მაგ გიჟს და მორჩა! და შენ გგონია, ასეთი მიდგომით გაიტან შენსას?! მასე გამოუთხრი უაინენდს ძირს? მართლა უხერხემლო ინტელიგენტი ხარ და მეტი არაფერი. თავს ნუ მოიტყუებ, ჩემო ელზი. აქაურობის მომავალი ბატონ-პატრონი შენ კი არა,

მკითხველთა ლიგა

მე ვიქნები.
ელზუერთ თუიმ თეატრალურად ამოიოხრა: „არ ვიცი, არ ვიცი... იქნებ მართალსაც ამბობ, გას.” – თქვა და ამ თემაზე მეტი აღარავისთან ამოუღია ხმა.

14

– თქვენს სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ, მისტერ თუი, – თავი დაიმდაბლა მისის კიტინგმა, – პირდაპირ აღარც ვიცი, რა ვიფიქრო, რა ხანია, ასეა ოთახში გამოკეტილი და არავის ნახვა აღარ უნდა. იქნებ თქვენ მაინც...
– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... ე-ე, საით?
– აქეთ მობრძანდით, აქეთ, სერ!
ქალი დერეფანში გაცუხცუხდა, შვილის საძინებელი ოთახის კართან მივიდა და მორიდებით დააკაკუნა:
– პიტი, საყვარელო, ნახე, ვინ გვესტუმრა!
კიტინგი სავარძელში იჯდა, არც წამომდგარა, თავი ასწია მხოლოდ. წინ გაზეთებიდან ამონაჭერი კროსვორდების მთელი დასტა, ტომატის წვენიანი, ნახევრად დაცლილი ჭიქა და გიდეონის ბიბლია ედო.
– გამარჯობა, ელზუერთ, – თქვა წყნარად, ისე, თითქოს გუშინ დაშორდნენო ერთმანეთს. თუიმ თვალი მოავლო ოთახს, მხრები აიჩეჩა და მოპირდაპირე სავარძელში ჩაესვენა.
– რა დაგემართა, პიტერ? – ვითომდა მიამიტურად ჰკითხა თუიმ, – როგორც ყური მოვკარი, პრესას ახლოს არ იკარებ. არადა, დრო იყო...
– კარგი, რა, ელზი, იუმორის ნატამალი აღარ შემრჩა.
– გატყობ, გატყობ... თუმცა, შენი საგაზეთო მიმართვა რომ წავიკითხე, გულიანად გამეცინა.
– რა ნახე იქ სასაცილო?!
– დანაშაული, სასჯელი, მონანიება, ცოტა თვითგვემა... მოკლედ, სრული ვინეგრეტი!
– რა გინდა ჩემგან, რას მოითხოვ?
– ამბავს, რა თქმა უნდა! ოღონდ, თავიდან ბოლომდე, სრულად კუპიურების გარეშე.
– რაში გჭირდება?
– რაში მჭირდება?! ერთადერთი მარტივი მიზეზის გამო: ჩვენი გმირი ციხის გზას უნდა გავუყენოთ, იქაა მისი ადგილი.
– შენ რაღას ერჩი, რა დაგიშავა?
– დაიცა, შენ რა გგონია, არქიტექტურის ექსპერტად ლამაზი თვალებისთვის მთვლიან?!
– მაგით რისი თქმა გინდა?
– "კორტლენდის" დამპროექტებელს ვეძებ და კიდევ ”კოსმო-სლოტნიკის” შენობისას... მინდა, სასამართლოში გამოხვიდე და ხმამაღლა, საჯაროდ თქვა სიმართლე! ეგ ისეთი ბრიყვი არაა, მისი სურვილის გარეშე, აფეთქების ადგილას დეტონატორით ხელში დაეჭირა ვინმეს! არც არავინ იეჭვებდა, თავად რომ არ გამოჩხერილიყო! მე ვიცი, რა კეთილშობილი“ მოტივიც ამოძრავებდა, მაგრამ დამიჯერებს ვინმე?! შენ კი ფიცის ქვეშ დაფქვავ ყველაფერს.
– რა ყველაფერს?..
– ნამდვილი ავტორის ვინაობას!
– უკვე გვიანია.
– კარგი ერთი! "ფაუსტი" თუ წაგიკითხავს?

მკითხველთა ლიგა

– მერე, ჩემგან რას ითხოვ?
– ვალის დაბრუნებას ჰაუარდ რორკის კისერს!
– რა ეშმაკი შეგიჩნდა, რას გადაეკიდე მაგ საცოდავს?
– საცოდავიო? მაგას შენ ამბობ რორკზე?! პიტერ, ან მართლა ბრიყვი ხარ, ან წმინდანი. ეგ კაცი ან მიწაში უნდა იყოს, ანდა გისოსებს მიღმა! ვინ დააპროექტა-მეთქი "კორტლენდი"?
კიტინგი თავჩაღუნული იჯდა, მხრებჩამოყრილი, მზერაგაყინული. მერე წამოიზლაზნა, კარადის კარი გამოაღო და რაღაც ქაღალდების დასტიდან, რორკთან დადებული ხელშეკრულება გამოაძვრინა, თუი ერთხანს გაშტერებული დასცქეროდა ფურცელს, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებსო. მერე წყნარად გაკეცა და გულის ჯიბეში უკრა თავი. კიტინგი მონუსხულივით შესცქეროდა მისი ხელის მოძრაობას,
– რას აკეთებ, ელზუერთ?
– გეტყვი: ბერკეტი მჭირდებოდა სამყაროს ამოსაყირავებლად და ეს ბერკეტიც ახლა აგერ მიდევს, გულის ჯიბეში! საქმე ისაა, ჩემო კარგო, ერთი ადამიანის სულიც თუ მოიგდე ხელთ, მერე მთელ კაცობრიობასაც იმავეს უზამ. სული, პიტერ, სული! მასზე ბატონობა იძლევა სწორედ ძალაუფლებას არა შოლტი, არა მახვილი და არა ქვემეხი! კეისარი, ატილა, ნაპოლეონი წარმავალია ყველა. სული უნდა მოუდრიკო ხალხს და
მაშინ შენს ხელში იქნება ყველაფერი. როგორ? უნდა დაამცირო, აგრძნობინო, რომ ბრალეულია, დამნაშავედ უნდა გამოიყვანო ყველას თვალში! ხალხს დიადის შეგრძნება უნდა დაუკარგო, ცნობის უნარი წაართვა და საკუთარ არარაობაში დაარწმუნო უნდა დაამცირო მავანი რორკი და აღაზევო ვინმე კიტინგი! არქიტექტურასაც ბოლო მოეღება. მერე ლოის კუკი გახადო პოპულარული და ლიტერატურაც ლაყე საკითხავად იქცევა თავისთავად. ჯერ ჯულზ ფაულერს შეუქმენი ყალბი სახელი, რომ მერე იმან ვიღაც აიკი განადიდოს და შექსპირის მაგივრად, საპნის ოპერებიღა შეგრჩება ხელში. მაგრამ ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს: გამოაცარიელე ადამიანის სული და მერე მთელი ეს სივრცე შენ დაგრჩება საბურთაოდ. რა გაშტერებული მიყურებ? ამაზე არ დგას კაცობრიობის ისტორია? და რისთვის ქადაგებენ ყველაფერ ამას თავგანწირვაო, უანგარობაო... ანუ მხოლოდ გაეცი და შენთვის ნურაფერს ისურვებო! ნახე, სადამდე მივედით: სიამოვნება ბიწიერებად შევრაცხეთ არა იმთვრალო, არა იმრუშო, არა იხვეჭო! სულ არა, არა და არა... და როცა კაცს ყველა სურვილისგან დაცლი, მერე უკვე ადვილია, საკუთარი სურვილები მოახვიო თავს: გინდა უნივერსალური ჰარმონია იქადაგე, გინდა სულის უკვდავება, გინდა ნირვანა, გინდა სამოთხე, რასობრივი უპირატესობა თუ პროლეტარიატის დიქტატურა ერთია სუყველა. საუკუნეების მანძილზე ასე გრძელდებოდა და არც მე ვაპირებ რამის შეცვლას. ოღონდ, თუკი ვინმე თავგანწირვაზე ჩამომიგდებს სიტყვას, გიჟად შევრაცხავ; უანგარობის ქადაგებას მოჰყვება და ციხეში ამოვალპობ! და თუკი ვინმე "გონიერებას" მოუხმობს, იქვე დავეთანხმები, თუმცა იმასაც დავამატებ, რომ რწმენა გონზე მაღლა დგას. არ დამეთანხმება და შევაჩვენებ. ამაზე იოლი არაფერია, დამიჯერე.
– ელზუერთ... შენ რა...
– გაგიჟდიო, გინდა თქვა? გაიხედ-გამოიხედე მარტო გაზეთებში დაბეჭდილი სათაურები რად ღირს? მთელი ევროპა დამყაყდა და ჩვენც კვალში მივდევთ. მოკლედ, ახლა ყველაფერს კოლექტიური ცნობიერება მართავს! მერედა, რა არის ამაში ცუდი?! ერთად ფიქრი, ერთად მოქმედება, ერთიანი აზრი... მერე თანხმობა, გაერთიანება, მორჩილება...

მკითხველთა ლიგა

მორჩილებას კიდევ მსახურება მოსდევს, მსახურებას თავგანწირვა! მოკლედ, ჯერ დაყავი და იბატონეს” პრინციპი მეფობს, მერე გაერთიანება და ერთიანი ხელისუფლება. აბა, ერთი ის რომაელი იმპერატორი
გაიხსენე, რომ ნატრობდა ნეტავ მთელ ადამიანთა მოდგმას ერთი თავი ებას და იქვე წავაცლიდიო. საუკუნეთა განმავლობაში ეცინებოდათ მის ამ გამონათქვამზე, მაგრამ თანდათანობით იმას მაინც მივაღწიეთ, კაცობრიობას ვაერთიანებთ *კოლექტივიზმს* ვაჩვევთ და ბოლოს, მართლა ხმლის ერთი მოქნევა იქნება საკმარისი. ბებერ ევროპას გახედე - მეთქი, ვერ ხედავ, საქმე საით მიდის? რუსეთში უკვე იმას გაიძახიან, თითო კაცს არანაირი უფლება არა აქვს, კოლექტივია მთავარიო. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ინდივიდუალიზმი ბოროტებაა, მასა ღმერთი. აღარც ნიჭი ფასობს და აღარც სათნოება, დასაფასებელი მხოლოდ პროლეტარიატის მსახურებაა. სხვაგან კიდევ, პიროვნულობის წაშლაზე ყაბულს არიან, ოღონდ ერს აღმერთებენ. ერის მსახურებაა უზენაესი მიზანი და სხვა საერთოდ არაფერია. მოკლედ, გინდა საბჭოსთვის გადაგიცია ძალაუფლება და გინდა ერთი რომელიმე ლიდერისთვის. მთავარი მაინც ისაა, საკუთარ თავზე აიღო ხელი. ეს ჩემს წისქვილზეც ასხამს წყალს მიეც პური შხამად და შხამი წამლად! ბრბოს არჩევანის უფლება უნდა დაუტოვო, ოღონდ იმ ერთადერთი არჩევანის, თავად შენ რომ გაწყობს. ჩაუკალი ბრბოს თავკერძობისკენ სწრაფვა და ისიც ცხვრის ფარასავით მორჩილად გამოგყვება უკან.

კიტინგი გაოგნებული უსმენდა. თუის ეგონა, რამეს მაინც მეტყვისო, მაგრამ როცა მისგან სიტყვასაც ვერ ეღირსა, თავისებურად გაუღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა და გამარჯვებულის იერით გამოვიდა ოთახიდან.

15

„.. და ეს გამოცდაა მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის! ჰაუარდ რორკის სახით, ჩვენ იმ ბოროტებას ვჭვრეტთ ეგოიზმისა და მიზანთროპიის იმგვარ სიმბიოზს რომელიც ჩვენი თანადროული სამყაროს ძირეული მანკი გამხდარა... მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, ოლქის პროკურორს ახლა უკვე ხელთა აქვს ის უტყუარი საბუთი, რითაც ჰაუარდ რორკს სრულად უმტკიცდება ჩადენილი დანაშაული და ჩვენც, ამერიკელი ხალხი, სამართალს მოვითხოვთ!”

მაისის ბოლოს ერთ მოკრძალებულ ხმაში” დაიბეჭდა ეს ტირადა და მძღოლის გვერდით გაზეთის ნომრით ხელში მჯდომი გეილ უაინენდიც საკუთარ თვალებს ვერ უჯერებდა... ახლად ჩამოფრენილი იყო ჩიკაგოდან, სადაც საბოლოო უარი უთხრეს სამმილიონიან კონტრაქტზე: იმ ქალაქში "ბანერს" ერთხელ და სამუდამოდ მისწებებოდა ტერორისტის დამცველის იარლიყი...

ერთი წუთით ისიც კი იფიქრა, გამყიდველს რამე ხომ არ შეეშალა და სხვა გაზეთი შემომაჩეჩაო. არა, რა თქმა უნდა, ეს მისი "ბანერი" იყო და რუბრიკასაც ჩვეული ხელმოწერა ამშვენებდა ელზუერთ მ. თუი:

– შინ აღარ მივდივართ, რონ, ოფისში მიმიყვანე სასწრაფოდ!

შოკირებული იყო, მაგრამ საკუთარ გრძნობებში ჩაღრმავებისთვის ახლა არ ეცალა, კიბეებზეც კი არ მისალმებია არავის, ისე შეაჭრა პირდაპირ ალვა სკარეტის კაბინეტში. მერე ერთხანს შუა ოთახში იდგა დასაეჭვოდ მშვიდი სახით შესცქეროდა ყელშეფუთნულ და სახეწამოჭარხლებულ მოადგილეს.

– გეილ, ჩემი ბრალი არ არის, – ამოიხავლა სკარეტმა, – ორი დღეა

მკითხველთა ლიგა

ოფისში ფეხი არ შემომიდგამს, დამახრჩო ანგინამ! ექიმს ჰკითხე, თუ გინდა. ეს რომ გავიგე, სიცხიანი მაინც გამოვვარდი...

უაინენდს ერთხანს ხმა არ გაუღია, მერე ესღა ჰკითხა: „გამოშვება ვის ებარა?”

– ალენს და ფალკოს...

– მაშ ასე ალენის, ფალკოსა და თუის ფეხი აღარ ვნახო აქ! პირველ ორს მიეცი, რაც კონტრაქტის გაუქმების გამო ერგებათ; აი, თუის კი ერთი ცენტი არ აღირსო მიჩივლოს თუ უნდა!

ალენი და ფალკო პირველივე დღიდან, მთელი ათი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ”ბანერში” და სკარეტისთვის ეს ბრძანება იგივე იყო, გინდა, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნისთვის მოეწერა ხელი.

– შეუძლებელია... – გაიბრძოლა სასოწარკვეთილმა.

– ხმა აღარ გავიგო შენი! გააკეთე, რასაც გეუბნები! – მერე უაინენდი გატრიალდა, თავის კაბინეტში გავიდა, სელექტორის წითელ ღილაკს დააჭირა თითი და ხაფი ხმით ჩასძახა: „დისტრიბუციის მენეჯერს უთხარით, ბოლო ნომერი მთლიანად ამოაღებინოს ქსელიდან.”

– მაგრამ, მისტერ უაინენდ, ტირაჟის ნახევარზე მეტი უკვე...

– არავითარი "მაგრამ!"

საწერ მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა. პირველივე სიტყვებმა შვება მოჰგვარა, ისიც კი გაიფიქრა, აქვთ სიტყვებს თავიანთი მაგია წამკითხველისთვის ერთი და დამწერისთვის კიდევ სხვაგვარი როცა აზრი ფორმად იქცევაო. იმთავითვე უარყო მკითხველისადმი მიმართვის ჩვეული, მრავლობითი ჩვენ და პირადად, პირველ პირში მოუბოდიშა იმის გამო, ამდენი წელი უფ. ელზუერთ მონკტონ თუის ნება რომ მისცა, ერთპიროვნულად გასძღოლოდა საკუთარ რუბრიკას ბანერის” ფურცლებზე...

„თუკი ჩემი მკითხველი, ანდა ჩემი მტრები სიცილს დამაყრიან, ხმას არ ამოვიღებ ეს შეცდომა პირადად მე დავუშვი და სხვას ამაში ბრალს ვერავის დავდებ!” – წერდა უაინენდი. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ოთახში თავად ელზუერთ თუიმ შემოაბიჯა. უაინენდმა ცალი წარბი აზიდა მხოლოდ, თითქოსდა იმით გაკვირვებულმა ამას აქ რაღა ესაქმებაო.

– გამოსამშვიდობებლად გეახელით, მისტერ უაინენდ, – თავდაჯერებული ღიმილით განუცხადა თუიმ, – ოღონდ იცოდეთ, მე კვლავ დავბრუნდები. მესმის, ცუდი მსახიობივით კი გამომდის, მაგრამ ათ წელზე მეტი ველოდე ამ წუთს და ახლა ასეთ სიამოვნებას ვერ მოვიკლებ: პირდაპირ უნდა გითხრათ, მისტერ უაინენდ ვერაფერი მესაკუთრე ხართ! თავი პრაქტიკული კაცი გგონიათ და მხოლოდ საბანკო ანგარიშები, უძრავი ქონება, სარეკლამო კონტრაქტები და ფასიანი ქაღალდები გაინტერესებთ თეატრი, წიგნები, კინო თუ არქიტექტურა ჩვენთვის დაგითმიათ მხოლოდ იმიტომ, ფულის კეთებაში არავინ შეგიშალოთ ხელი და ეს ფული რაღად გინდათ? გგონიათ, ფულია ძალაუფლება?! მთლად დილეტანტი ყოფილხართ, გაიძვერობაშიც კი! და ახლა იმის თქმაც გამიჭირდება, რა უარესია დიდი გაიძვერა გერქვას, თუ რიგითი ბრიყვი, ამიტომაც დავბრუნდები, მისტერ უაინენდ, ოღონდ უკვე თქვენი ადგილის დასაკავებლად!

– ძალიან კარგი! – თავაუღებლად გაეპასუხა უაინენდი, – ჯერჯერობით კი თქვენი ფეხი არ ვნახო აქ!

• • •

ორიოდ დღეში "ბანერის" თითქმის მთელი რედაქცია გაიფიცა. მხოლოდ

მკითხველთა ლიგა

სტამბა მუშაობდა ჩვეულ რიტმში. უაინენდმა გაფიცულთა პირადი საქმეები მოითხოვა. როგორც აღმოჩნდა, ნახევარზე მეტი ბოლო რვა წლის განმავლობაში იყო სამუშაოდ აყვანილი და უკლებლივ ყველა ელზუერთ თუის რეკომენდაციით... გაფიცულებს ორად ორი მოთხოვნა ჰქონდათ: გათავისუფლებულთა სამსახურში აღდგენა და გაზეთის პოზიციის შეცვლა "კორტლენდის" საქმესთან დაკავშირებით.

მაგრამ ფარ-ხმლის დაყრა აზრადაც არ მოსვლია უაინენდს: დარჩენილი კორექტორები რედაქტორებად აქცია, კურიერები რეპორტიორებად გაამწესა; ყველგან განცხადებები დააგზავნა ვაკანსიების თაობაზე... პირდაპირ უნდა ითქვას, შედეგი სავალალო აღმოჩნდა. მასალებს რომ გადაავლო თვალი, სიცილი აუტყდა; მაგრამ როცა იძულებული გახდა, ფართის შესავსებად მათ აწყობაზე მაინც მოეწერა ხელი, სასაცილოდ უკვე აღარ ჰქონდა საქმე. განცხადებებსაც თითო-ოროლა ვინმე თუ გამოეხმაურა, ისიც ისეთები, სხვა რედაქციები სათოფეზეც რომ არ იკარებდნენ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან კი კოლექტიური უარი მოუვიდა, სადაც დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი ის მიზეზები, რომლებიც სტუდენტებს აიძულებდა, საკუთარი პროფესიული ღირსების შელახვის ფასად არ მიეღოთ შემოსავლიანი სამუშაო.

უაინენდი ოფისში ათენ-აღამებდა. დივანზე ეძინა და იმას ჭამდა, რასაც ვინმე უწილადებდა. წვერის გაპარსვაც კი სამ დღეში ერთხელ ახსენდებოდა. მოკლედ, განწირული გემის იმ კაპიტანს ჰგავდა, ყველას თვალწინ რომ იძირება, მაგრამ თავად ამის თაობაზე არაფერი უწყის.

სკარეტმა ერთხელაც შეჰბედა იქნებ, საგაფიცვო კომიტეტს დავლაპარაკებოდითო რაზეც უაინენდმა ისეთი მზერით გამოხედა, მეორედ კრინტის დაძვრა აღარც უფიქრია.

დღე დღეს მისდევდა და პიკეტირებამაც ისეთი სახიფათო ფორმები მიიღო, პოლიციის რაზმის გამოძახება გახდა საჭირო. და მაინც, ხან საიდანღაც ნასროლი ქვა ჩაამტვრევდა შუშას მეორე სართულზე, ან ვიღაცის უხილავი ხელი ფოიეში შემოაგდებდა ცეცხლწაკიდებულ გაზეთს... გარეთ კიდევ უარესი ხდებოდა: აღარც ქუჩის გამყიდველები და აღარც დახლზე მოვაჭრეები აღარ იღებდნენ ბანერის" ნომერს ანონიმური მუქარების გამო. უაინენდის კუთვნილ დამტარებელ მანქანებსაც რაღაც საეჭვოდ ხშირად ეშვებოდათ ხოლმე საბურავები. ერთი დაწვეს კიდეც.

გაფიცულებმა სიტყვიერი აღშფოთება გამოხატეს ამ ძალადობასთან დაკავშირებით და ხელებიც დაიბანეს. „ახალმა სამანმა" კი ეს ყველაფერი "ხალხის ფართო მასების სამართლიან აღშფოთებას" მიაწერა. ერთადერთი, ვინც ყველას გასაკვირად ხმა აიმაღლა, ოსტინ ჰელერი იყო: "ქრონიკლში" წერდა, მთელი ჩემი ცხოვრება გეილ უაინენდს ვებრძოდი და ვერც კი წარმომედგინა, თუკი ოდესმე მხარს დავუჭერდიო!..

იმავე საღამოს კი სიტყვაძუნწი წერილი მიიღო უაინენდისგან: "ეშმაკმა წაგიღოს! ვინ გთხოვა, მხარში ამომიდექიო? გ.უ." თუმცა, ჰელერის ეს გამოხტომა, ფაქტობრივად, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... ქალთა საზოგადოების ინტელექტუალურმა ნაწილმა კი ოსტინ ჰელერი უიმედო რეტროგრადად შერაცხა.

საღამოობით უაინენდი დომინიკს დაურეკავდა ხოლმე, მოიკითხავდა, შეაპარებდა ამ საღამოს რადიოში შენს საყვარელ, რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტს გადმოსცემენ და არ გამოგრჩესო... საუბარს მუდამ ერთი და იმავე ფრაზით ამთავრებდა აქ ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ ეგაა, დაძაბული მუშაობა მიწევსო და იქვე

მკითხველთა ლიგა

დაამატებდა ხოლმე ძალიან კი მენატრები, მაგრამ ქალაქში ჩამოსვლა ფიქრადაც არ გაივლო, არაა აქ შენი ადგილიო...

ღამღამობით შენობა ერთიანად ჩაყუჩდებოდა ხოლმე მხოლოდ სადღაც, დერეფნის ბოლოს თუ მოისმოდა ეული საბეჭდი მანქანის მონოტონური კაკუნი. ერთხელ გაიფიქრა კიდეც, როცა მუნიციპალურ არჩევნებში გაიძვერები გამყავდა, როცა წითელი ფანრების უბანს ვმფარველობდი, როცა სკანდალური სტატიებით ვაბრუებდი ხალხს, უამრავი ნიჭიერი, პატივსაცემი გვამი მედგა გვერდით და ახლა, როცა პირველად ვიბრძვი სამართლიანი საქმისთვის, ნაძირალების და ლოთების მეტი აღარავინ მეკარებაო. თუმცა, იმასაც გრძნობდა, მთლად დამნაშავენი არც ისინი იყვნენ, ვინც ახლა ზურგი შეაქცია.

• • •

ერთხელაც, ბროლის სამელნეში გადატეხილმა მზის სხივმა გამოაღვიძა როგორც ყოველთვის, გაუხდელად მიწოლილიყო დივანზე. იმ დღისთვის ერთდროულად სამი სტატია ჰქონდა მოსამთავრებელი, მაგრამ მიხვდა, ერთი-ორი საათით მაინც თუ არ მოატყუებდა თვალს, თავს ვერაფერს მოაბამდა. გაიზმორა, დაამთქნარა და გაოგნებული გაქვავდა ადგილზე კარი გაუფრთხილებლად გაიღო და ოთახში დომინიკი შემოვიდა. რაც გათხოვდა, ამ შენობაში ფეხი არ შემოედგა.

– ჩემს ძველ თანამდებობაზე უნდა აღმადგინოთ, მისტერ უაინენდ!

კაცი თვალს ვერ აცილებდა, თითქოს ერთბაშად ვერც გაიაზრა, ეს მოვლილი, მომხიბლავი ქალბატონი ამ გაუგებრობაში როგორ მოხვდაო.

მერე მწარედ ჩაეცინა:

– საწერ მაგიდაზე მოუმთავრებელი საქმეების მთელი სია დევს_ თვითონ აარჩიე...

მომდევნო რამდენიმე დღე დომინიკი რედაქციის შენობიდან არც გასულა და მუდამ იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო. მისი თავგამოდება დანარჩენ თანამშრომლებსაც გადაედო, მხოლოდ ალვა სკარეტი ბურდღუნებდა თავისთვის ამ კაცის ვეღარაფერი გამიგია, სანამ გაზეთი გვერქვა, ფეხს არ ადგმევინებდა აქ და მისი ერთი ფოტოც კი არ დაგვაბეჭდინა, ახლა კი, ამბოხებულ ციხეს რომ დაემგვანა აქაურობა, დააბრუნა და, ეშმაკმა უწყის, რას არ აკეთებინებსო...

ამასობაში კი დომინიკი სტატიებსაც წერდა, ოთახებსაც ალაგებდა, ბუტერბროდებსაც ამზადებდა და ყავის მოდუღებასაც ასწრებდა. მხოლოდ საღამოობით, ათიოდე წუთით თუ შეიხედავდა ქმართან, მაგიდაზე ჩამოუჯდებოდა და ვითომც არაფერიო, სხვადასხვა ისტორიებს უამბობდა ხალისიანად. მარტო ერთ თემას არ შეხებიან ჰაუარდ რორკსა და საერთო მომავალს.

ერთხელაც უაინენდი დერეფანში გადააწყდა მეუღლეს, ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი ეჭირა და შემოსასვლელს ასუფთავებდა.

– რა, ამისთვის გიხდი ფულს? – დაეკითხა წარბშეჭმუხნული.

– ჯერ ერთი, ამ ჭუჭყში ვერ ვიმუშავებთ; მეორეც პირველად მესმის, რომ ხელფასზე ვარ და თუ ასეა, დღესვე ვითხოვ მომატებას!

უაინენდს ჩაეცინა: „შენ მაინც შენსას გაიტან, ხომ?”

– ნამდვილად. როცა ვიცი, რომ ამას აზრი აქვს.

კვირის თავზე, უაინენდმა თავს ძალა დაატანა და რორკის სანახავად გასწია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შეხმიანებია; თავად რორკმა დაურეკა რამდენჯერმე და მუდამ ერთ პასუხს იღებდა: აქ მოსვლა არ გაბედო, მაინც არ შემოგიშვებენ, შენი ადგილი აქ არააო!

მკითხველთა ლიგა

– საღამო მშვიდობისა, გეილ, – გულღიად მიესალმა რორკი, – საშინლად გამოიყურები. მოდი, წყალი გადაივლე, ერთი ჭიქა ვისკიც მიაყოლე და მერე ვილაპარაკოთ.

უაინენდი კარსაც არ მოსცილებია, ისე გააქნია თავი.

- მისმინე, ჰაუარდ, ვერაფრით გეხმარები... "ბანერის" კამპანიას არავითარი ხეირი არ მოაქვს.

დიდხანს ემზადებოდა ამ სიტყვების სათქმელად.

– და რა, მერე? – მხრები აიჩეჩა რორკმა, – მე ეგ იმთავითვე ვიცოდი.

– აბა, შევეშვა?!

– გეილ, სულაც არაა საჭირო, ამ საქმეს თავი შეაკლა. მე ჩემი შანსი მაქვს, შენი ბრძოლა არც შემმატებს რამეს და არც მომაკლებს. პირიქით, ასე თუ გააგრძელე, საბოლოოდ მეც დამკარგავ.

16

მრგვალ მაგიდის ირგვლივ შეკრებილი დირექტორთა საბჭო, როგორც ერთი, კუშტად მიშტერებოდა გეილ უაინენდის სავარძლის საზურგეზე ამოტვიფრულ მოოქროვილ ასოებს **გ.უ**. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საბჭო მისი მოთხოვნით არ იყო მოწვეული და ასევე პირველი შემთხვევა როცა იგვიანებდა...

შემოსვლისთანავე ოდნავ დაუქნია თავი მაგიდასთან მსხდომთ და პირდაპირ იმ თავის ცნობილ სავარძელს მიაშურა.

– მისტერ უაინენდ, სლოტერნმა და მისმა ხალხმა მეტად დიდსულოვანი წინადადებით მოგვმართეს მხოლოდ, გაფიცულთა მოთხოვნებს უნდა დავთანხმდეთ. წუხელ ჰომერს ვესაუბრეთ, როცა გაიგო, რა თანხებზეა ლაპარაკი, ცოტა კი შეცბა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. მოკლედ, გაფიცულები ხელფასის მომატებას რომ ითხოვდნენ, ამას კიდევ გავიგებდით და მაგრადაც დავუდგებოდით, მაგრამ ეს ინტელექტუალური პრინციპები ჩვენთვის მიუღებელია! – წინასწარ კარგად ჩამოყალიბებული სიტყვით საერთო აზრი გამოხატა საბჭოს უხუცესმა წევრმა, ბანკირმა ლევინსონმა.

– ... და საერთოდ, ჩიტი ბრდღვნად არ ღირს! ვიღაც ტერორისტის ვექილებად ვიქეცით ყველანი. გეფიცებით, უაინენდ, ვეღარ გცნობთ! – ბეჭედი დაასვა მეორემ.

– გეილ, – წამოიკნავლა ალვა სკარეტმაც, – ხომ ხედავ, აზრი არა აქვს.. სულ ტყუილად ვიბრძვით! მოდი, ვაღიაროთ, რომ კორტლენდის" ამბავში ცოტა შეგვეშალა. იქნებ თუიც დავაბრუნოთ და...

– მაგის სახელიც არავის დასცდეს აქ! – კბილებში გამოსცრა უაინენდმა.

– სწორია, – უმალ დაჰყაბულდა სკარეტი, – უკეთესიცაა! ვევაჭროთ და შევთავაზოთ, კორტლენდის პროცესის თაობაზე ჩვენს პოზიციას შევიცვლით, ალენსა და ფალკოსაც დავაბრუნებთ, ოღონდ არა იმას, მესამეს... ბარიბარს ვიქნებით და გაზეთსაც გადავარჩენთ!

უაინენდს ხმა არ გაუღია.

– ვფიქრობ, საერთო აზრს გამოვხატავ, თუკი მისტერ სკარეტს დავეთანხმები... – კვლავ წამოყო თავი აარონ ლევინსონმა, – ეს ერთი რუბრიკა გავიღოთ მსხვერპლად და მისტერ უაინენდიც, ნაწილობრივ მაინც, თავისას გაიტანს მგლებიც მაძღრები დარჩებიან და არც ფარა გაწყდება! რას იტყვით?

პასუხად მხოლოდ სიჩუმე მიიღო.

– კარგით რა, ბოს! – ვეღარ მოითმინა სკარეტმა, – ეს ბოლო შანსი გვაქვს! ჰო თუ არა?

მკითხველთა ლიგა

უაინენდი წამოდგა და ცალი ხელით სავარძლის საზურგეს ჩამოეყრდნო. თითქოს კვლავ ის წამი დადგა, საფეთქელზე მიდებული თოფის სასხლეტისთვის რომ უნდა გამოეკრა თითი...

– ეგრე იყოს. – თქვა მძიმედ.

• • •

საყელოში ნიკაპჩარგული, მხრებაწურული ნელა მიაბიჯებდა ქუჩაში. სახლები თაროებზე დაწყობილი წიგნებივით ჩარიგებულიყვნენ ზოგი მაღალი, ზოგიც არც ისე, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული, მორღვეული სიმეტრიით. ”ეს ის ქალაქია,” – გაიფიქრა, – "რომელიც მიყვარდა და ჩემი მეგონა.” ღამდებოდა და ქუჩაში გამოსულ უაინენდს სიბნელე თითქოს მოკავშირედ გადაჰქცეოდა. ხვალინდელ ბანერს” მალევე გამოიტანდნენ დახლებზე, სულ რამდენიმე საათში. სენთრალ პარკის ასწლოვანი თელები დალანდა და იქით გაემართა. მოხრეშილ ბილიკზე მიაბიჯებდა, თავდახრილი. „აქვიტანია-ჰოტელი” მარცხნივ დარჩა, ერთხელაც არ გაუხედავს იქითკენ... მერე რომ გეკითხათ, ვერც კი გეტყოდათ, რამდენი ხანი იხეტიალა ასე, სანამ მოულოდნელად დასავლეთის მხრის ალაყაფს არ მიადგა. იქვე, შორიახლოს, გაზეთების ჯიხურთან მანქანა მიეყენებინათ და ახალი პრესა შეჰქონდათ. მიუახლოვდა, უკვე დახლზე დალაგებულ ჟურნალ-გაზეთებს შორის, რორკის სახეს ჰკიდა თვალი "ბანერის" პირველ გვერდზე გამოტანილ ფოტოს... რორკის ხასიათი რეპორტიორს ზუსტად დაეჭირა, ფოტოდან მეამბოხე გენიოსის სახე შემოჰყურებდა.

ხურდა ფული ისე გაუწოდა, გამყიდველისთვის არც შეუხედავს; გაზეთი აიღო, გამობრუნდა, გადაფურცლა.

„ .. ნებისმიერი დანაშაულის სამართლიანად განსჯა, დამნაშავეზე მეტად, საზოგადოებას სჭირდება“...

„ .. მაგრამ ახალი მტკიცებულებების ფონზე, იძულებულნი ვხდებით, ვაღიაროთ, რომ წრეგადასული გულმოდგინებით, თუმც მაინც ცალმხრივად მივუდექით პრობლემას“ ...

„ ... ახლა საზოგადოება სულ სხვაგვარად შეხედავს საკუთარ ვალდებულებებს უპოვართა მიმართ”...

„ ... და აი, ჩვენც ერის ხმას ვუერთდებით თუკი ბრალდება დაუმტკიცდა, ჰაუარდ რორკს სრულად უნდა მოეკითხოს ჩადენილი უმსგავსობის გამო”...

ამჯერად, მეწინავის ქვეშ ხელმოწერა სრული იყო და აღარც ასომთავრულით აწყობილი გეილ უაინენდი ეწერა ჩვეულებრივი შრიფტით,

ვერც შეამჩნია, როდის და როგორ გამოუცურდა გაზეთი თითებიდან, ოღონდ გონებაში კვლავ ნეონის ნათურებივით წყვეტილად ანათებდა სიტყვები: mea culpa_ mea maxima culpa....

მართლაცდა, – გაიფიქრა, – საკუთარი თავის გარდა, ვერავის დავადანაშაულებ: ყველანი ჩემი გამოზრდილები არიან. მე შევქმენი გარემოცა და ნოყიერი ნიადაგიც, საზოგადოებრივი აზრიც და განწყობაც... მე ჩავუდე მათ ხელში ეს იარაღი ხმაც მე ამოვაღებინე და სიტყვებიც თავად ვუკარნახე...

ყველას შეიძლება უმუხთლო და ყველას შეუნდო. მხოლოდ არა მათ, ვინც საკუთარ დიდბუნებოვნობას ღალატობენ. რას იზამ, მეც სხვისი გამონაცვალი ცხოვრებით მიცხოვრია...

მკითხველთა ლიგა

– აღმაშფოთებელი ამბავია! – გაიძახოდა მეორე დღეს ლანსელოტ კლოკი, – არა, ასე მაინც როგორ გიმუხთლეს, ჰა?

– გულთან ნუ მიიტან, – მხარზე ხელი მოუთათუნა ელზუერთ თუიმ, – თავად ვურჩიე, ამ პირობებს დასთანხმებოდნენ.

– ვინ, შენ?!

– რა იყო, რა გაიკვირვე? დავიჯერო, ერთი-ორი თვე ვერ გაძლებ ჩემი „მოკრძალებული ხმის" გარეშე? ისე, სარჩელი უკვე შევიტანე თანამდებობაზე აღსადგენად... დათვის მოკვლაა საქმე, თორემ გატყავებას როგორმე მოახერხებს კაცი!

იმავე საღამოს, რორკმა უაინენდს მოაკითხა პენტჰაუსში, მაგრამ მსახურმა უარით გამოისტუმრა მისტერ უაინენდი არავის იღებსო. მერე ოფისშიც მიადგა, მაგრამ იქაც იგივე პასუხი მიიღო მდივანი ქალისგან. რორკი არ გაჯიუტებულა; უბრალოდ, იქვე, მისაღებში სახელდახელო ბარათი დაუწერა:

„ გეილ, კარგად მესმის შენი. იმედი მქონდა, ამ დავიდარაბას აგაცილებდი, მაგრამ რაკი ეს უკვე მოხდა, აჯობებს, სიმართლეს თვალი გაუსწორო. შენ ჩემ გამო კი არ შეაგდე სასწორზე ყველაფერი საკუთარ ჟინიანობას ვერ მოერიე... თუკი რამეში დაგეხმარება, ჩემი მხრივ, ერთს მაინც გეტყვი: ჩემთვის არაფერი შეცვლილა, ჩემთვის იგივე ხარ, რაც იყავი. თუკი საკუთარ თავს ვერაფერს პატიობ, იქნებ ამის უფლება მე მომცე... მენდე, ყველაფერ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! შენ, უბრალოდ, ყველაფრის განახლება გჭირდება და თუნდაც ჩემი გულისთვის გააკეთე ეს საკუთარ თავს დაუბრუნდი. ჩვენი ცხოვრებაც და ურთიერთობაც ამით არ მთავრდება რაც ჩვენ ორს გვაკავშირებს, იმის არც ასე მარტივად დაკარგვა შეიძლება და არც პოვნა. ჩვენს ურთიერთობას ასე იოლად ნუ შეელევი"...

ბარათი მდივანს დაუტოვა უაინენდისთვის გადასაცემად, თუმცა მეორე დღესვე უკან დაუბრუნეს გაუხსნელი.

ახლა "ბანერს" სინამდვილეში ალვა სკარეტი უძღვებოდა. უაინენდი ოფისში კი დადიოდა, შეხვედრებს ესწრებოდა, ხელს აწერდა ხარჯთაღრიცხვის ქაღალდებს, მაგრამ არც მასალების ამონაბეჭდები და არც თავად "ბანერის" დაბეჭდილი ნომერი მის ხელში აღარავის უნახავს. ღამეს თავის პენტჰაუსში ათევდა, დომინიკი საბჭოს სხდომის მერე აღარც უნახავს. სკარეტმა უთხრა გაზეთიდან წავიდა, კონექტიკუტში გაემგზავრაო. მხოლოდ ერთხელ დაურეკა; ზარს მსახურმა უპასუხა და როცა მისგან გაიგო, ქალბატონი შინ ბრძანდებაო ყურმილი უსიტყვოდ დაკიდა. ასე ვარაუდობდა: ერთ-ორ დღეს კიდევ ვაცლი და მერეღა ჩავაკითხავო. ახლა უკვე ქალის გადასაწყვეტი იყო, როგორ გაგრძელდებოდა მათი ცხოვრება.

• • •

რორკმა მონადოკში იქირავა ერთი კოტეჯი საზაფხულოდ, ახლა ფანჯარასთან იდგა და ხეობას გადასცქეროდა. ჩამავალი მზის სხივები ხის კენწეროებს დასთამაშებდნენ. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ქვევით, ფერდობზე, სხვა კოტეჯებიც იდგა, მაგრამ დაპროექტებისას რელიეფი ისე გამოიყენა, არც ერთი მათგანიდან მეორე არ მოჩანდა. ამის გამო თვითონაც ისეთ კმაყოფილებას განიცდიდა ახლა, როგორც ნებისმიერი სხვა მოსახლე. უცებ აღმართზე სწორედ მისი კოტეჯისკენ მომავალი მანქანის ძრავის ღუღუნი გაიგონა. გაუკვირდა, მომსვლელს არავის

მკითხველთა ლიგა

ელოდა. ძრავის ხმა ლამის ზედ მის აივანთან შეწყდა; კარი გააღო და გარეთ გამოვიდა. შესასვლელთან დომინიკი იდგა.
ქალმა მკლავზე თითების ოდნავი შეხებით ჩამოიცილა გზიდან და ისე შინაურულად შეაბიჯა სახლში, თითქოს აშენების დღიდან იქ ეცხოვრა ფეხმოუცვლელად. შუა ოთახში გაჩერდა, მერე თავი მოაბრუნა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა ჰაუარდ... კაცს მეტი არც არაფრის გაგონება არ სჭირდებოდა, მაგრამ ერთი რამ იყო ისეთი, რაც მაინც უღრღნიდა გულს:
– დომინიკ, იქნებ გეცლია, ისევ დამდგარიყო ფეხზე...
– კარგად იცი, ეგ შეუძლებელია.
– შეიბრალე მაინც, არჩევანი არ ჰქონდა.
– ხომ შეეძლო, საერთოდ დაეხურა გაზეთი?
– ეგ გაზეთია მთელი მისი ცხოვრება...
– ჩემი კი შენ ხარ!
კაცი მიხვდა, საუბრის გაგრძელება უაზრობა იქნებოდა და ამიტომაც, თითქოს ბეჭედი დაუსვა ქალის ნათქვამს: „მიყვარხარ, დომინიკ!”
- მაშინ დანარჩენს რაღა მნიშვნელობა აქვს?! მე ხომ ვხვდები, რასაც აპირებ სასამართლოზე... ამიტომ ჯობია კიდეც, ყველამ ყველაფერი იცოდეს.
– ვერც ეგ შეცვლის რამეს.
– ვნახოთ. შენ რომ ”კორტლენდის” ამბავი გამიმხილე და დახმარება მთხოვე, არც მიფიქრია, შემეჩერებინე. იცოდი, რასაც აკეთებდი. ახლა მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. ხელს ნუ შემიშლი.
კაცმა მკლავში ხელი წაავლო, თავისკენ შემოაბრუნა და ტუჩებზე დაეწაფა. ქალს წამიერად გაუელვა თავში: „ ცხოვრებაში ყველაფრისთვის გამიძლია, ბედნიერების გარდა, და ახლა ამის ატანაც უნდა ვისწავლო...” დანარჩენი უკვე თითქოს სიზმარში ხდებოდა.
დილით ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივის ათინათმა გამოაღვიძა; ზურგზე იწვა, შიშველ სხეულზე სიფრიფანა გადასაფარებელი ეხურა მხოლოდ და ნელ-ნელა იაზრებდა, რომ რორკის გაშენებულ მონადოკის დასახლებაში, მისსავე კოტეჯში, მისსავე საწოლში იწვა. მხრით რორკის შიშველ მხარს ეხებოდა, კარგა ხანს იყო ასე გარინდული, მერე ფრთხილად, უხმაუროდ წამოდგა, რორკის პიჟამას დაავლო ხელი, სახელოები და ტოტები დაიკაპიწა და ფეხაკრეფით გავიდა სასტუმრო ოთახში. ჯერ
კარი გამოიხურა, მერე ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ადგილობრივ შერიფთან დაკავშირება ითხოვა.
„ მისის გეილ უაინენდი გახლავართ,” – შეუვალი ხმით განუცხადა, – „ მისტერ ჰაუარდ რორკის კოტეჯიდან გელაპარაკებით. წუხელ ღამით აქ ქურდობა მოხდა საფირონისთვლიანი ბეჭედი მომპარეს; როგორც მახსოვს, ხუთი ათას დოლარამდე ღირს. თავად მისტერ რორკის სამახსოვრო იყო... ერთ საათში იქნებით? გმადლობთ.“
მერე სამზარეულოს მიაშურა, ყავა მოადუღა და ფინჯანით ხელში პარმაღზე ჩამოჯდა საქანელა-სავარძელში. მალე რორკიც შემოუერთდა; ხალათი შემოეცვა შიშველ ტანზე და მამაკაცის პიჟამაში გამოწყობილი დომინიკი რომ დაინახა, სიცილი აუტყდა.
– დაჯექი, – თითქოს უბრძანასავით ქალმა, – ახლავე საუზმეს მოგიმზადებ.
სამზარეულოს მაგიდას უსხდნენ და უკვე მეორე ფინჯან ყავას სვამდნენ, როცა კარზე კაკუნი გაისმა. პარმაღზე შერიფი, მისი მოადგილე და ადგილობრივი გაზეთის ორი რეპორტიორი იდგა...

მკითხველთა ლიგა

– დილა მშვიდობისა, – წარბიც არ შეუხრია დომინიკს, – მობრძანდით.
– ე-ე, მისის გეილ უაინენდი გვინდოდა, – თქვა შერიფმა.
– მე გახლავართ, შემობრძანდით.
აშკარა იყო, ის ერთადერთი გახლდათ, ვინც სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად საკუთარი უცნაური ჩაცმულობის გამო.
შერიფის მოადგილემ წამსვე საქმიანი სახით დააძრო ბლოკნოტი და კალმისტარიც მოიმარჯვა. ოღონდ შერიფს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა შეკითხვები უნდა დაესვა ამ ვითარებაში. სადავეები ისევ დომინიკმა იგდო ხელთ:
– პლატინის ბუდეში ჩასმული საფირონია; თითიდან წავიძრე და აი აქ, მაგიდაზე დავდე, საფულის გვერდით. საღამოს ათი საათი თუ იქნებოდა, მეტი არა, ჯერ დაწოლასაც კი არ ვაპირებდით... ამ დილით კი რომ შემოვედი, მაგიდა ცარიელი დამხვდა. არა, საფულეში მხოლოდ ხურდა მედო და რაღაც ქვითრები... არა, დაზღვეული არ ყოფილა... სად მქონდა მაგის დრო?! ჰაუარდმაც სულ ცოტა ხნის წინ მაჩუქა... არა, არა სახლში სხვა არავინ ყოფილა არც მოსამსახურე, არც სტუმრები...
დიახ, რა თქმა უნდა, კარგად დაათვალიერეთ ყველაფერი... და თქვენ, ბატონებო, ალბათ პრესის წარმომადგენლები იქნებით? შეკითხვები ხომ არაფერი გაქვთ?
შეკითხვები არ ყოფილა. ყველაფერი იმდენად ცხადი ჩანდა, ამ საგაზეთო მასალას ქაღალდზე გადატანის მეტი არაფერი სჭირდებოდა. რორკმა პირობა შეასრულა, არც არაფერში ჩარეულა და ხმაც არ გაუღია. ის კი არა, ქალის ყოველ განცხადებას თავის ოდნავი დაქნევით ადასტურებდა. მერე შერიფი და მისი ამალა გაიკრიფნენ; ცხადი იყო, ამ "საქმის" გამოუძიებლობაზე პასუხსაც არავინ მოსთხოვდათ.. მარტო რომ დარჩნენ, რორკმა ხმა გაიმკაცრა და ჰკითხა: "ის მაინც ვიცოდე ერთი, რომელი ჩემი ნაჩუქარი საფირონის ბეჭედი მიაკარგე?”
– არავითარი ბეჭედი მე არ დამიკარგავს. დასანახად ვერ ვიტან საფირონს...
– ეს ”კორტლენდის“ ამბავზე მეტად გახმაურდება.
– ძალიანაც კარგი! ახლა დაიკაპიწოს ხელები უაინენდმა. რაო, რა გაუშვა ბოლოს შენზე "ბანერში"? უპრინციპო, ასოციალური ელემენტიო? ახლა ნახოს, ჩემზე რას გაილაღებენ! ვითომ რატომ არა?! საკუთარ თავზე გამოსცადოს, როგორია შენთვის ძვირფასი ადამიანის საჯაროდ დამცირება. მაპატიე, ჰაუარდ, მაგრამ შენსავით უსასრულოდ შემნდობი ვერ ვიქნები და არც საკუთარი საქციელისთვის ვიხდი ბოდიშს. ასეა თუ ისე, დღეიდან სულ ერთად ვიქნებით თუნდაც ყველას წინააღმდეგ... გაუშვი, ილაპარაკონ! ვერ ხედავ, რომ ახლა მართლა ბედნიერი ვარ?
კაცმა წელზე მოხვია ორივე ხელი, მიიხუტა და ყურში ჩასჩურჩულა: „ კი... ოღონდ ეს ცრემლი აღარ დავინახო შენს სახეზე!“

• • •

პიჟამათი, შიშველ ტანზე მოსხმული ხალათით, ერთსაწოლიანი საძინებლითა და სხვა მრავალი დეტალით შელამაზებული ეს ამბავი ნიუ-იორკის ყველა გაზეთმა დაბეჭდა.
ჭკუიდან გადასული ალვა სკარეტი უაინენდს შეუვარდა კაბინეტში, სტატიების ამონაჭრების მთელი დასტა დაუყარა მაგიდაზე:
– ეშმაკსაც წაუღია შენი თავი! ყველაფერი ახია შენზე! მოკეტე-მოკეტეს მეტი არაფერი მესმოდა შენგან... ხომ ყველაზე ჭკვიანი გეგონა თავი აბა, ახლა მითხარი, რა ვქნათ?!

მკითხველთა ლიგა

უაინენდმა თვალი გადაავლო მაგიდაზე მოფენილ ფურცლებს, მძიმედ ამოხედა და თქვა:

– შენც უნდა დაწერო რამე. თან ისეთ ხასიათზე ხარ, მშვენივრად გამოგივა.

სკარეტს ყბა ჩამოუვარდა, ყველაფერს მოელოდა ამის გარდა. ისე გააქნია თავი, თითქოს რაღაც კოშმარული ზმანების მოშორება სურდა.

– გეილ, ერთხელ მაინც მომისმინე! ერთადერთი შანსი გაქვს საკუთარი სახელისა და ღირსების გადასარჩენად განცხადება უნდა შეიტანო განქორწინების თაობაზე, ახლავე!

სკარეტი დამდუღრულივით გავარდა ოთახიდან, ტელეფონს ეცა და, ვაითუ, ტვინი ისევ გადაუბრუნდესო, ფაცაფუცით აკრიფა პოლ შუტცის ნომერი. უაინენდი კი ოფისიდან მალევე გაემგზავრა კონექტიკუტში, გული უგრძნობდა ცოლყოფილი იქ დაუხვდებოდა.

შეაბიჯა თუ არა სასტუმრო ოთახში, მართლაც, პირველს დომინიკს მოჰკრა თვალი. შუა ოთახში იდგა, წელგამართული, საკუთარი ქანდაკების გაცოცხლებული ასლივით. უაინენდს კრინტი არ დაუძრავს, სანამ თავად დომინიკმა არ დაარღვია სიჩუმე:

– თუ სწორად გამოიყენებ, ეს ამბავი "ბანერს" ტირაჟს გაუორმაგებს, გეილ. არ მეთანხმები?

– ეს პირველი იყო?

– რაც შენი ცოლი ვარ კი!

– ესე იგი, მანამდეც...

– მეგონა, თავად მიხვდებოდი ყველაფერს. აბა, სტოდარდის სასამართლოს ლამის მეორე დღესვე, პიტერ კიტინგს რატომ უნდა გავყოლოდი ცოლად?!

– მოიცა, რა ეგეც ჩემი ბრალია?

– შენ და შენმა "ბანერმა" არ უკარით რორკს თავი გრანიტის სამტეხლოში? აქედან დაიწყო ყველაფერი. იქ შევხვდი. თუ გინდა, დაწერე, რომ გამაუპატიურა გაზეთს დაიტაცებენ!

უაინენდი გატრიალდა და უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

იმავე საღამოს დომინიკს მამამისმა დაურეკა. საქმეს ჩამოშორებული ახლა ძირითადად თევზაობით და გოლფით იქცევდა თავს საკუთარ რანჩოზე. მისი ხმის გაგონებამ დომინიკი, ერთი პირობა, დაძაბა კიდეც, თუმცა გაი ფრენკონის მზრუნველმა ტონმა უცებვე გაუქარვა უსიამო საუბრის მოლოდინი.

– უაინენდთან უკვე გაარკვიე ყველაფერი?

– კი, მამა.

– ქალაქში დაბრუნებას ჯერჯერობით არ გირჩევ. ჩემთან ჩამოდი, სასამართლომდე მაინც.

დომინიკი წამითაც არ შეყოვნებულა, მაშინვე დაეთანხმა: "სადღაც, შუაღამისთვის ვიქნები მანდ. ჭიქა რძე და შენი გაკეთებული სენდვიჩები დამახვედრე."

– კარგი. აბა, გელოდები! ჭკუით იარე.

შუაღამე გადასული იყო, მამა-შვილი რომ მაგიდას მიუსხდა. ფრენკონი ღიმილს ვერ იკავებდა, როცა ხედავდა, რა მადიანად ილუკმებოდა მისი ქალიშვილი.

– გინდა, დავილაპარაკოთ, მამა?

– არა, გვიანია უკვე. დალიე შენი რძე და დავიძინოთ. სად გვეჩქარება...

მაგრამ მერე, ერთი თქმა მაინც დააყოლა: „ მარტო იმას გეტყვი, რომ ამჯერად, მგონი, მართლა სწორი არჩევანი გააკეთე. ბოლოს და ბოლოს, იპოვე საშენო კაცი”.

მკითხველთა ლიგა

– მეც ასე მგონია, მამა.
– მისტერ რორკს გადაეცი, ნებისმიერ დროს შეუძლია ჩამოვიდეს.
– ვის-ვის?!
– ე-ე, ჰაუარდს... ვიცი, გაამართლებენ. აი, ნახავ თუ არა!

• • •

უაინენდის განკარგულებით, ნიუ-იორკის ყველა გაზეთი თუ ჟურნალი დილით მაგიდაზე უნდა დახვედროდა. არაფერს ტოვებდა წაუკითხავს, სადაც გაკვრით მაინც იყო ნახსენები დომინიკის ამბავი. საინტერესო ის იყო, არავის მოსვლია თავში აზრად, ეკითხა რაში დასჭირდა მილიონერის ცოლს, ხუთიათასდოლარიანი ბეჭდის გამო ასე საჯაროდ გამოეაშკარავებინა თავი. ყველაზე შეურაცხმყოფელი კომენტარები კი თავად ბანერის" ფურცლებზე იბეჭდებოდა.
ალვა სკარეტმა, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა ახლა უკვე უაინენდის პატივისა და ღირსების დასაცავად. მისი ნაწერებიდან ასე გამოდიოდა, რომ ეს დიდბუნებოვანი ადამიანი საკუთარი წრფელი ვნებისა და ჟინიანი ქალისადმი ბრმა ნდობის მსხვერპლი გამხდარიყო. თურმე სწორედ დომინიკს ებიძგა ყოფილი ქმრისთვის, ვიღაც რორკისთვის გამოედო თავი თუნდაც საკუთარ, პირად შეხედულებათა საწინააღმდეგოდ. სწორედ ამ ქალმა ლამის დაღუპვის პირამდე მიიყვანა წარმატებული გაზეთი, ლაფში გასვარა მისი გამომცემლის შეუბღალავი სახელი და ყველაფერი ეს თავისი გულის სწორის გადასარჩენად... სტატიების ავტორი თითქოს ემუდარებოდა მკითხველს გეილ უაინენდის, ამ ტრაგიკული, საზოგადოების ინტერესებისთვის თავგადადებული კაცის პატიებას მისი ამ ერთადერთი შეცოდების გამო. სკარეტს მშვენივრად ჰქონდა გათვლილი, რაც უფრო მეტ თავსლაფს დაასხამდა დომინიკს, მით მეტი ადამიანის თვალში გაასპეტაკებდა უაინენდის პიროვნებას, და მართალიც აღმოჩნდა: ტირაჟმაც საგრძნობლად იმატა და რედაქციაში შემოსული თანაგრძნობის წერილების რიცხვმაც განსაკუთრებით, მკითხველი ქალების მხრიდან.
სკარეტი არ იზარებდა და ყოველდღიურად დასტა-დასტა შეჰქონდა ეს წერილები უაინენდის კაბინეტში. აზრზეც ვერ მოდიოდა, უნებლიედ როგორ უჯიჯგნიდა ნაიარევს საკუთარ ბოსს. გეილ უაინენდი კი, ვინც ადრე ერთთავად იმას გაიძახოდა, ჩემი ცოლის სახელს "ბანერის" ფურ-ცლებზე არ გავაჭაჭანებო, ახლა სასჯელივით, სათითაოდ კითხულობდა ყოველ წერილს...

18

სასამართლო დარბაზში ტევა არ იყო. გეილ უაინენდი ზედ პროცესის დაწყების წინ შემოვიდა, მარტოდმარტო, და ბოლო რიგში დაჯდა. თითქოს ვერც ამჩნევდა ცნობისმოყვარე მზერებსა და მისკენ ერთბაშად მიმართულ ფოტოკამერებს.
დომინიკი კი მელორის, ჰელერის, ლანსინგის, ენრაიტის, მაიკისა და ყველას გასაოცრად მამამისის, გაი ფრენკონის გარემოცვაში იჯდა. დარბაზი თითქოს თავისთავად გაყოფილიყო ორ ბანაკად: მეორე მხარეს, ელზუერთ თუის თამადობით, ცნობილ სახეთა მთელი დასი შეკრებილიყო – ლოის კუკი, გორდონ ლ. პრესკოტი, გას უები, ლანსელოტ კლოკი, ჯულზ ფაულერი, სალი ბრენტი, ჰომერ სლოტერნი, მიჩელ ლეიტონი და სხვა

მკითხველთა ლიგა

მრავალი...

დანარჩენები, სეირის სანახავად შეკრებილნი, უფრო თავის გამოსაჩენად და სხვების დასანახად მოსწყდომოდნენ იქაურობას იმედოვნებდნენ, დროსაც ხალისიანად გავატარებთ და სალაყბოც კარგა ხანს გვეყოფაო. მთელი ეს ხალხი მერე თავის ჩვეულ ცხოვრებას უნდა დაჰბრუნებოდა: მოსაწყენ სამსახურს, მოყირჭებულ ოჯახს, ყელში ამოსულ ნაცნობ-მეგობრებს, ძველ, მობეზრებულ ფილმებს, გაცრუებულ იმედებს, მიუღწეველ ოცნებებს... თუმცა კი ნებისმიერი მათგანის ცხოვრებაში იყო ის მოსაგონარი წუთი, ან თუნდაც წამი, როცა რაღაც არჩევანი ჰქონდათ, როცა მათი სიტყვა რაღაც წონას მაინც იძენდა, როცა რაღაც, თუნდაც განყენებულ შეკითხვას მაინც უსვამდა საკუთარ თავს; ან ვარსკვლავებს მაინც ახედავდა ღამით, ან მინავლებულ, ჩამავალ მზეზე მაინც უშტერდებოდა თვალი...

წესისამებრ, პირველი სიტყვა პროკურორმა ითხოვა: "ის დანაშაული, რომლის დამტკიცებასაც დღეს შევეცდებით, ნორმალური ადამიანური ემოციების ზღვარს სცდება საზოგადოების უმრავლესობისთვის ამ ყოვლად უაზრო ქმედების ლოგიკა სრულიად გაუგებარია. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, როცა მსოფლიოს გლობალური პრობლემები აქვს გადასაჭრელი, როცა თავად ადამიანური ღირებულებების საკითხია სასწორზე შეგდებული, მავანთაგან ხუროთმოძღვრად შერაცხული ინდივიდის მიერ ამგვარი ბარბაროსობა, მე ვიტყოდი, ყოვლად აუხსნელია და უაღრესად სახიფათო ტენდენციათა მანიშნებელიც ჩვენს საზოგადოებაში..."

თორმეტივე ნაფიცი მსაჯული შეუვალი სახით ისმენდა ბრალმდებლის სიტყვას; ადრევე დაირხა ხმა, ამჯერად მსაჯულებად ძალზე მძიმე ხალხი" შეირჩაო: ორი მათგანი ინდუსტრიული კონცერნების აღმასრულებელი მენეჯერი იყო, ორი ინჟინერ-მშენებელი, ერთი მათემატიკის მასწავლებელი, სატვირთოს მძღოლი, კალატოზი, ელექტრიკოსი, მებაღე და სამიც უბრალო მუშა. თავად პროკურორი, ძირითადად, კმაყოფილი დარჩა ამ შემადგენლობით და ამიტომაც რორკის მხრიდან ერთი-ორ აცილებას მაინცდამაინც არ გასძალიანებია. ახია მასზე, საკუთარმა ამპარტავნობამ დაღუპაო, – ფიქრობდა, – რიგიანი ვექილი რომ აეყვანა, ცოტა უფრო დამყოლ ხალხს შეარჩევინებდა, ამათზე კი, აბა, რა შეწყალების თხოვნა გაჭრისო.

"... არადა, ვინმე ხაზინის ქურდის წამოჭიმული სასახლე რომ ყოფილიყო, კიდევ გაიგებდა კაცი; მაგრამ ეს ხომ ჩვენივე, საზოგადოების ფულით წამოწყებული პროექტი იყო, ჩვენივე ხელმოკლე თანამემამულეთა სასიკეთოდ!..."

ჭაღარა, სამხედრო ყაიდაზე მოკლედ თმაგაკრეჭილი მოსამართლე წარბშეუხრელად, გაყინული სახით უსმენდა პროკურორის მგზნებარე სიტყვას...

„ ...ამპარტავნებამ და ქვენა გრძნობათა აყოლამ ეს აღმშენებელი, შემომქმედი კაცი დამანგრევლად და ვანდალად აქცია!"

მერე პროკურორმა მოწმეების გამოძახება დაიწყო. ახმახმა პოლიციელმა ვრცლად და შეძლებისდაგვარად ნათლად დახატა ბრალდებულის დანაშაულის ადგილზე დაკავების წვრილმანები. ღამის დარაჯმა დაადასტურა, როგორ სთხოვა უცნობმა ქალბატონმა დახმარება _ ბენზინის მოსატანად გაგზავნა. პროკურორი, თავის მხრივ, დიდად აღარ ჩასძიებია ვინ და რატომო. საწყობის გამგემ დაადასტურა: წინა დღეს ჩემზე გაპიროვნებული ობიექტიდან დიდი რაოდენობით დინამიტი გაქრაო. შემდეგ პროექტის მესვეურებმა, მშენებლობის

მკითხველთა ლიგა

ზედამხედველებმა და სხვადასხვა ჯურის მოხელეებმა წვრილად აღწერეს თავად პროექტის მნიშვნელობაცა და მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი. პირველი დღე ამით დასრულდა.

მეორე დღე თავიდანვე პიტერ კიტინგის დაკითხვით დაიწყო:

– მისტერ კიტინგ, აღიარებთ თუ არა, „ კორტლენდის დასახლებად” წოდებული პროექტის ავტორობას?

– არა.

– აბა, ამ საქმესთან რა გაკავშირებთ?

– მთელი პროექტი ჰაუარდ რორკს ეკუთვნის. მე მხოლოდ ხელი მოვაწერე.

– რამ გაიძულათ, ასე მოქცეულიყავით?

– თავად რორკმა.

– ეგ როგორ გავიგოთ?

– ამხელა პროექტს მე ვერ გავწვდებოდი, მან კი შემომთავაზა სახელი შენ და ფული მეო...

პროკურორმა ქაღალდის ფურცელი გაუწოდა:

– ადასტურებთ, რომ ეს თქვენ ორს შორის დადებული ხელშეკრულების პირია?

კიტინგმა თვალი გადაავლო დოკუმენტს და თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– მეორე ხელმოწერაც ნამდვილად ჰაუარდ რორკისაა?

– კი, ეგრეა.

– დოკუმენტის შინაარსს ხომ არ გაგვაცნობდით, მისტერ კიტინგ?

კიტინგმა ხმამაღლა, უემოციოდ, დაზუთხულივით ჩაიკითხა ტექსტი თითქოს ცნობილი არქიტექტორი კი არ აღიარებდა საჯაროდ საკუთარ პროფესიულ უსუსურობას, არამედ სასამართლოს მოხელეს ფუნქციას ასრულებდა და ვიღაც სხვათა ამბავს ახმოვანებდა...

პროკურორმა ნივთმტკიცებად ნახაზების რორკისეული დედნებიც წარმოადგინა რომლებიც რატომღაც სათუთად შეენახა კიტინგს და თავად კიტინგისავე ხელით გადაღებული მათი ასლებიც. ბოლოს კი, "კორტლენდის” უკვე მშენებარე კომპლექსის ფოტოები.

– მისტერ კიტინგ, ისიც მოახსენეთ სასამართლოს, რატომ ეწინააღმდეგებოდით მისტერ პრესკოტისა და უების მიერ შემოთავაზებული გონივრული ცვლილებების შეტანას?

– რორკის მეშინოდა.

– მისი ხასიათის რა თვისება გაძლევდათ შიშის საფუძველს?

– რომელი ერთი ჩამოვთვალო...

– და მაინც?

– არ ვიცი. მეშინოდა და მორჩა! ყოველთვის მეშინოდა.

დაკითხვა კარგა ხანს გაგრძელდა. ამბავი უცნაური იყო, მაგრამ ხალხს, ცოტა არ იყოს, მაინც თავი მოაბეზრა კიტინგის უემოციო გამოსვლამ.

– ბრალდებას შეკითხვები აღარ აქვს, – გამოაცხადა პროკურორმა.

მოსამართლე რორკს მიაჩერდა: „გთხოვთ;“ – უთხრა მშვიდად.

რორკი წამოდგა.

– თქვენო ღირსებავ, მე არც შეკითხვები მაქვს მოწმის მიმართ და არც სხვა არავინ მყავს გამოსაძახებელი. ეს იქნება ჩემი, როგორც საკუთარი თავის დამცველის, წინასწარი განცხადებაცა და საბოლოო სიტყვაც.

ახლა ისე იდგა, ყველა დამსწრეში უხერხულობის, თითქოს ჩაუდენელი დანაშაულის განცდას ბადებდა... სრულიად დაუცველს, თითქოსდა განწირულს, შიშის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა სახეზე და სწორედ ეს იყო უცნაური, გაუგებარი, სანატრელი ყველა მათთვის, ვისაც მთელი

მკითხველთა ლიგა

ცხოვრება ყოველდღიურობის შიშში გაეტარებინა; თითქოს ყველას მაინცდამაინც ის ერთი შემთხვევა ახსენდებოდა საკუთარი წარსულიდან, როცა შეეძლოთ, ეთქვათ ან ჩაედინათ რაღაც ისეთი, რაც მათ ცხოვრებას სრულიად შეუცვლიდა კალაპოტს, შეეძლოთ და ვერ შეძლეს.

ბრალდებული ჰაუარდ რორკი, რატომღაც, რისხვაზე მეტად, დანაშაულის გრძნობას აღძრავდა მათში.. რორკი მათ წინაშე იდგა, როგორც, ჩვეულებრივ, საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული კაცი დგას ხოლმე. მაგრამ ეს რორკი იყო და უცებ ყველა მიხვდა შეუძლებელი იყო მისი სიძულვილი. მრისხანების მაგივრად რატომღაც დანაშაულის გრძნობას აღძრავდა მათში. წამით რორკის ცნობიერება თვალწინ გადაეშალათ. ხალხი თავს დაეკითხა: განა ვინმეს დასტური მჭირდება? ნუთუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? მიჯაჭვული ხომ არ ვარ?

რამდენიმე წამით ყველამ თავისუფლება იგრძნო, ყოველი ადამიანი დარბაზში თავისუფალი იყო, იმდენად, რომ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა ეგრძნოთ. მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით.

– მაშინ, დადეთ ფიცი და შევუდგეთ საქმეს, – თქვა მოსამართლემ.

სავალდებულო პროცედურის მერე, რორკი წამით შეყოვნდა, შემდეგ კი ისე დაიწყო თავისი გამოსვლა, თითქოს ნაფიც მსაჯულებს კი არა, მთელ დარბაზს, საერთოდ მთელ ხალხს მიმართავდა დედამიწის ზურგზე.

"ათასწლეულების წინ, პირველმა ადამიანმა ცეცხლის დანთება რომ ისწავლა, ალბათ დემონების მსახურად თუ შერაცხეს და მისსავე აგიზგიზებულ კოცონში შეაგდეს თანამოძმეებმა... ოღონდ შემდეგ უკვე სათავისოდ დაიწყეს ცეცხლის გამოყენება გასათბობად, საკვების მოსამზადებლად, გამოქვაბულის გასანათებლად. ერთ-ერთმა მათგანმა, ისევ მათივე ხელით დასჯილმა, ყველასთვის მოიტანა სითბო და სინათლე, მისი სახელი კი სრულ დავიწყებას მიეცა. საუკუნეების შემდგომ ვიღაცამ ბორბალი გამოიგონა; ეჭვი არაა, რჯულის უარმყოფლად გამოაცხადებდნენ და მისსავე ხელით გამოთლილ ამ ეშმაკეულ საგანზე გააკრავდნენ. მისიანებმა ვერც ეს საჩუქარი გაიაზრეს, თუმცა კი სწორედ ამან დაუდო სათავე მთელ ჩვენს ცივილიზაციას!

კაცობრიობის მიღწევების თაობაზე შექმნილ ნებისმიერ მითსა თუ ლეგენდას ერთი პიროვნება გამოჰყავს პირველაღმომჩენად, რომელიც თავისივე მიღწევის მსხვერპლი ხდება: პრომეთე კლდეს მიაჯაჭვეს და ყვავ-ყორნები უჯიჯგნიდნენ ღვიძლს, ადამი სამოთხის ბაღიდან გამოაძევეს, რადგან ცნობიერების ხის ნაყოფს გაუსინჯა გემო... როგორიც არ უნდა იყოს გადმოცემა, კაცობრიობის მეხსიერების რომელიღაც კუნჭულში მუდამ ჩნდება იმ პირველგამკვალავის აჩრდილი, თავისსავე პირველობას რომ შეეწირა.

საუკუნეთა მანძილზე მუდამ ჩნდებოდნენ ისეთნი, ვინც პირველ ნაბიჯს დგამდა გაუკვალავში, იარაღად კი მათ მხოლოდ საკუთარი სიმართლე ებადათ. ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ერთი რამ ჰქონდათ საერთო – პირველი ნაბიჯი, გაუკვალავი გზა, მართალი ხედვა და ერთნაირი ხვედრი გარემომცველთა აღშფოთება და სიძულვილი. ყველა დიდი შემოქმედი მარტოსული გახლდათ და საერთო აზრის წინააღმდგომი. ყოველ სიახლეს მოწინააღმდეგე ბევრი ჰყავს, მხარდამჭერი კი ცოტა. პირველი ძრავა გიჟის ნახელავად მოინათლა, აეროპლანი განწირულის სულისკვეთებად, ანესთეზია ღვთის გმობად... მაგრამ ერთეულები ჯიუტად აგრძელებდნენ თავისას, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და იღუპებოდნენ. მხოლოდ მათი საქმე რჩებოდა გამარჯვებული.

არც ერთ მათგანს არ ამოძრავებდა თანამოძმეთა მსახურების ჟინი თანამოძმენი მათ არ ცნობდნენ და სდევნიდნენ კიდეც. მათი სიმართლე

მკითხველთა ლიგა

ერთადერთი საბიჯგელი იყო: საკუთარი სიმართლე, საკუთარი საქმე, საკუთარი გზა! სიმფონიის, წიგნის, ძრავის, მოძღვრებისა თუ შენობის შექმნა თავისთავადი მიზანია არა მათთვის, ვინც მოისმენს, წაიკითხავს, აამუშავებს, ირწმუნებს თუ შესახლდება, არამედ თავისთავად ქმნილებისთვის, ანუ ქმნილება არის მიზანი და არა ის სარგებელი, რასაც მიიღებენ მისგან.

ამ მარტოსულთა სიმართლე მუდამ ყველასა და ყველაფერზე მაღლა იდგა; შემქმნელი არავის და არაფერს ემსახურებოდა, ის თავისთვის ქმნიდა, თუმცა არა სათავისოდ! და სწორედ ხალხის ნების უგულებელყოფით ახერხებდა შეექმნა ისეთი რამ, რაც კაცობრიობას განადიდებდა.სწორედ ამგვარია ნებისმიერი შემოქმედისა და მისი ქმნილების ბუნებაც.

ადამიანი შეუიარაღებელი ჩნდება ამქვეყნად, მისი ერთადერთი იარაღი მისივე გონებაა. მხეცი ბუნებისგან მინიჭებული ძალით შოულობს საკვებს, ადამიანს კი არც კლანჭები გააჩნია, არც ეშვები, არც რქები, არც მხეცზე მეტი ფიზიკური ძალა. ან უნდა დათესოს რამე, ან ისევ გონებით აჯობოს და ასე მოინადიროს საკვები. მაგრამ რომ დათესოს, უნდა იფიქროს; რომ ინადიროს, ამისთვის იარაღი სჭირდება; იარაღის შესაქმნელად კი კვლავ და კვლავ გონებას უნდა მოუხმოს. უმარტივესი მოთხოვნილებებიდან დაწყებული, ღვთაებრივის გააზრების უზენაეს იდეამდე, ბორბლიდან ცათამბჯენამდე, ყოველივე ადამიანის გონის ნაყოფია.

მაგრამ გონება პიროვნების თვისებაა: არც კოლექტიური გონი არსებობს და არც კოლექტიური გონიერება. ადამიანთა ერთი ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების მიერ მიღწეული შეთანხმება მრავალთა ნააზრევიდან გამოყვანილ საშუალო არითმეტიკულს ემყარება. ეს პროცესი მეორადია, პირველადი კი თავად გააზრება ერთეულთა ხვედრია. შეგვიძლია, ბოლო ლუკმაც გავუყოთ სხვას, მაგრამ ამით კოლექტივი ვერ დანაყრდება. კაცი სხვის მაგივრად ვერ ისუნთქებს, ისევე, როგორც სხვისი გონება არ გაძლევს შენ ფიქრის საშუალებას; სხეულისა და გონების მოქმედება ყოველთვის ინდივიდუალურია მას ვერც შეცვლი და ვერც გაუყოფ ვინმეს.

ჩვენ სხვათა ნაფიქრალს ვიყენებთ სხვისი ხელიდან გვერგო ბორბალი და ეტლი გავაკეთეთ... მერე ავტომობილი, მაგრამ ჩვენი ცივილიზაციის პირველწყარო მუდამ ერთეულთა ფიქრი და განსჯაა. შემოქმედებითი საწყისის არც გასხვისება შეიძლება და არც გაჩუქება ის ყოველთვის ერთის, გამორჩეულის ხვედრია და მისივე საკუთრება. ადამიანები ცოდნას ვუზიარებთ ერთმანეთს, მაგრამ ცოდნა მხოლოდ საბოლოო პროდუქტია, რომლის შექმნის უნარსაც ვერავის გაუზიარებ. სხვა სხვის მაგივრად ვერ იფიქრებს, ფიქრი კი გადარჩენის აუცილებელი პირობაა.

თავისთავად ადამიანს არაფერი გააჩნია. კაცმა ყოველივე თავად უნდა შექმნას და აი აქ, მისი არჩევანია გადამწყვეტი: ან დამოუკიდებლად იაზროვნოს, ანდა სხვისი ნააზრევის ნარჩენებით ისაზრდოოს. შემოქმედი თავად ქმნის, სხვის კმაყოფაზე მყოფი კი ზარმაცდება და მზამზარეულს ეტანება. შემოქმედი ბუნებასთან პირისპირაა დარჩენილი, მაშინ როცა დანარჩენები მარად შუამავლის იმედად რჩებიან.

შემოქმედი საკუთარი მიზნის ტყვეა და სხვა არც არავინ ეიმედება, მისი მიზანი მასშივეა; პარაზიტი სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამ ცხოვრებასაც სხვების თვალებით უყურებს მისთვის "სხვები" აუცილებელია.

შემოქმედის მთავარი საჭიროება თავისუფლებაა, ამის გარდა მას

მკითხველთა ლიგა

არავინ და არაფერი სჭირდება. დამოკიდებული გონება ვერაფერს ქმნის:პარაზიტებს საზრდოდ სწორედ ნასუფრალი სჭირდებათ: ამტკიცებენ, რომ მათი ყოფიერების არსი სხვისი მსახურებაა, ხოლო უანგარობა მათივე მრწამსის თავი და თავი, ანუ ის მოძღვრება, რომელიც კაცს აიძულებს, საკუთარი ”მე“ სხვებს შეწიროს მსხვერპლად. ისინი ქადაგებენ ალტრუიზმს.

ალტრუიზმი მოძღვრებაა, რომლის მიხედვით ადამიანმა სხვებისთვის უნდა იცხოვროს, საკუთარ თავზე მაღლა დააყენოს ისინი. ადამიანს არ ძალუძს, სხვისთვის იცხოვროს; საკუთარ სულს ისევე ვერ გაუცვლი სხვას, როგორც საკუთარ სხეულს. ვინც ამას ცდილობს, იმთავითვე მონად იქცევა, სულიერ მონობასთან კი ხორციელი რა მოსატანია: ფიზიკურად დამონებულმა შესაძლოა, შინაგანი ღირსება მაინც შეინარჩუნოს, მაგრამ მოყვასის სიყვარულით გამართლებული სულიერი მონობა აღარაფერს ტოვებს შენგან... არადა, ასეთი ცხოვრებისეული ფილოსოფია ადამიანის ღირსებას და ღვთისნიერ სიყვარულსაც ხომ ერთნაირად შეურაცხყოფს! თუმცა, სწორედ ეს არის ალტრუიზმის არსი.

ადამიანებს ჩაუნერგეს, რომ მე” ბოროტების სინონიმია, ხოლო თანხმობა უდიდესი სათნოებაა, შემოქმედი ეგოისტია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ადამიანებს ასწავლიან, დინებას დაუყვნენ მკვდარი თევზებივით, მაგრამ შემოქმედი კაცი ხომ მუდამ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს; ადამიანებს უმტკიცებენ, რომ ერთად დგომაა მთავარი, მაგრამ შემოქმედის მარადიული ხვედრი მარტოობაა. ასე რომ, ჩვენი ასარჩევია, შემოქმედის მრწამსს გავიზიარებთ, თუ ნასუფრალის მოყვარულისას. შემოქმედი სხვებისთვის არ ცხოვრობს და არც სხვებისგან მოითხოვს ამას: ადამიანის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და უნარები განსაზღვრავს მის ნიჭს და ღირებულებას საზოგადოებისთვის.

ჯანსაღ საზოგადოებაში პიროვნებისგან საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებას არავინ მოითხოვს: არქიტექტორს დამკვეთი სჭირდება, ოღონდ მისი სურვილების აყოლას ვერავინ აიძულებს, ისევე როგორც დამკვეთს ვერავინ დაძრახავს "ურჩი" ხუროთმოძღვრის შეცვლისთვის. სწორედ ამგვარ ურთიერთანხმობაზე იგება ცივილიზაცია და მისი თამაშის წესებიც. ყველაფერ სხვას მხოლოდ ბატონისა და ყმის, ხელისუფლისა და ხელქვეითის ცნობიერებამდე დავყავართ ისევ.

ქმნილება არ იქმნება კოლექტიურად, უმრავლესობის ძალისხმევით: არქიტექტორს უამრავი დამხმარე სჭირდება შენობის ასაგებად, მაგრამ საკუთარი ნახაზების თაობაზე ის მუშებს არ ეკითხება რჩევას, ასევე მშენებლებიც სხვის ნაწარმოებ ფოლადს, მინას, რკინა-ბეტონს და ათას სხვა მასალას იყენებენ, მაგრამ ყველაფერი ეს მასალადვე რჩება, ვიდრე ერთი ადამიანის ნააზრევი საბოლოო სახეს არ მიანიჭებს მათ. ეს კი უკვე ინდივიდუალური "ნაწარმია" და ”ინდივიდუალური” საკუთრება, ზოგადად მშენებელთა შორის თანამშრომლობის ერთადერთი მისაღები ფორმაც სწორედ ესაა.

უპირველესი უფლება ადამიანისა არის "მე". ადამიანის უპირველესი მოვალეობა არის ვალდებულება საკუთარი თავის წინაშე. იგი მოვალეა,არასდროს გადაუხვიოს საკუთარ მიზნებს სხვა ადამიანების გამო, დაემორჩილოს მხოლოდ საკუთარ სურვილებს, რომლებიც მხოლოდ მისგან გამომდინარეობს. ეს ეხება მთელ მის შემოქმედებით უნარს, გონს, შრომას. ეს არ ეხება ბოროტმოქმედს, ალტრუისტს ან დიქტატორს.

ადამიანი მარტო ფიქრობს და მარტო შრომობს. მარტოხელა ადამიანს

მკითხველთა ლიგა

არ შეუძლია იქურდოს, ჩაგროს და მართოს. მონობა, ექსპლუატაცია, ბატონობა ეს ყოველივე მსხვერპლის რაოდენობას მოითხოვს, ჩნდება დამოკიდებულება ანუ პარაზიტების სფერო.

მმართველი, იმპერატორი, დიქტატორი არც ერთი არ არის ეგოისტი. ის არაფერს ქმნის. ის მთლიანად სხვის ხარჯზე არსებობს და ისეთივე დამოკიდებულია, როგორც უქონელი სოციალური მუშაკი ანდა ყაჩაღი.

დასაბამიდან ორი ურთიერთსაპირისპირო ხედვა ეჯახებოდა ერთმანეთს შემქმნელისა და მომხმარებლის. ბორბლის მომგონს დანარჩენებმა მადლობის მაგიერ ალბათ ბრალიც დასდეს სხვებისგან გინდა გამორჩევაო, და ერთფეროვნება, მასის მოთხოვნილებები დაუპირისპირეს... "საერთო სიკეთის" ცნება კი, რასის, ერისა თუ სახელმწიფოს სახელით დეკლარირებული, მუდამ და ყოველთვის ტირანიის გასამართლებლად გამოიყენებოდა ბრბოს ბატონობისა პიროვნებაზე: ის ათასი უბედურება, რაც ნებისმიერმა დიქტატორმა, იმპერატორმა თუ მმართველმა
დაატეხა თავზე ხალხს, მუდამ ხალხისავე კეთილდღეობაზე ზრუნვით ინიღბებოდა. კოცონისა თუ გილიოტინის მეშვეობით სურდათ, სიკეთეს გაემარჯვა ბოროტებაზე და მსხვერპლშეწირვასაც ამით ამართლებდნენ დიადი საბოლოო მიზნის მიღწევის სურვილით. ამგვარი კეთილი სურვილებით კი, მოგეხსენებათ, ჯოჯოხეთის გზაა მოფენილი. და მანამ იქნება ასე, ვიდრე ადამიანებს სჯერათ, რომ უანგარობა, თავისთავად, სიკეთის მომტანია: სწორედ ალტრუისტი აიძულებს ხალხს, ვითომდა თავისსავე სასიკეთოდ გაიღოს მსხვერპლი! მსხვერპლი კი, ამ შემთხვევაში
მუდამ საკუთარი პიროვნულობის წაშლაა. ერთიც უნდა ითქვას ამგვარი ლიდერები სათავისოდ თითქოსდა არც არაფერს ითხოვენ, „უანგარონი" რჩებიან და მხოლოდ შედეგით ტკბობა აინტერესებთ.

ახლა კი მოდით, იმ საზოგადოებას გადავხედოთ, რომელიც საწინააღმდეგო პრინციპს ეფუძნება: დამფუძნებელ მამათა ნააზრევში ვერსად შეხვდებით თავგანწირვისა თუ ალტრუიზმისკენ მოწოდებებს; მათთვის უზენაესი ღირებულება ცალკეული ადამიანისთვის ბედნიერებასთან ზიარების უფლების უზრუნველყოფაა, ანუ სწორედ პიროვნული ბედნიერებაა საბოლოო მიზანიცა და ამოცანაც, და არა საკუთარ ხარჯზე ვიღაც სხვის გაბედნიერება. იმთავითვე, სწორედ ამ საძირკველს დაეფუძნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობა. ბარბაროსთა კულტურა საერთო ტომობრივ კანონებზეა დამყარებული, ცივილიზაცია ადამიანის ბრბოსგან გათავისუფლების პროცესია.

კოლექტივიზმი პარაზიტის ცხოვრების წესია, მეორადი ადამიანის კანონია, უძველესი მონსტრის. ეს საუკუნეების მანძილზე წამლავდა ადამიანთა გონებას, შთანთქა თითქმის მთელი ევროპა, ახლა ჩვენს ქვეყანაშიც იკიდებს ფეხს.

მე არქიტექტორი ვარ. მე ვიცი.

ახლა თქვენ იცით, რატომ ავაფეთქე "კორტლენდი".

იგი მე დავაპროექტე. მე მოგეცით თქვენ და მევე გავანადგურე. რადგანაც ასეთი იყო ჩემი ნება. და რადგანაც ის მონსტრად იქცა ფორმით და არსით. ჩემი ვალია, გავანადგურო ის და ყველა სხვა მსგავსი ქმნილება, რომელსაც თვითნებურად ამახინჯებენ ისინი, ვისაც ამის არც ძალა და არც უფლება არ გააჩნიათ.

მე დავაპროექტე "კორტლენდი" და საზღაურად ერთი რამ ვითხოვე არც ფული, არც სახელი და დიდება, არამედ ჩემი ქმნილების უცვლელი სახით წარმოჩენა... მხოლოდ ეს მსურდა ჩემი შრომის საფასურად. მე ეს

მკითხველთა ლიგა

საფასური არ მიმიღია.
არადა, ამ ჩანაფიქრის განუხორციელებლობაც დანაშაული იქნებოდა. თუმცა იმ ადამიანებმა, ვისაც თავად არ შეეძლოთ სუფრის გაწყობა, ნასუფრალზე ნადიმი მოინდომეს და ვითომდა ხალხის საკეთილდღეოდ იმგვარი მსხვერპლი მომთხოვეს, რისი გაღებაც ჩემს ძალას აღემატებოდა კორტლენდი" აღარც ფორმით და აღარც შინაარსით ჩემი ქმნილება უკვე აღარ იყო!
პიტერ კიტინგს არაფერში ვადანაშაულებ ის თავის დამქირავებლების მიერ იყო ხელფეხდაბორკილი, მის ნათქვამს არავინ ისმენდა და ის ერთადერთი პირობაც დაარღვევინეს, რაც ჩემთვის ჰქონდა მოცემული. და ვინ ქნა ეს, კონკრეტულად ვინ შეიტანა ცვლილებები, ვინ დაამახინჯა პირველადი ჩანაფიქრი? ვინ ხელყო ჩემი ინტელექტუალური საკუთრება? კონკრეტულად არავინ! ვერსად მოიძიებთ ვერც ვინმეს ხელმოწერასა თუ მავანი მაღალჩინოსნის ბრძანებას. პასუხისმგებელი თითქოსდა არც არავინაა და სწორედ ესაა კოლექტიური ცნობიერების არსი.
ყველა წესითა და კანონით, მე ჩემი საზღაური მერგებოდა: დამკვეთმა მიიღო ის, რაც სურდა პროექტი, რომელსაც სხვამ ვერავინ მოჰკიდა ხელი... „ გადახდაზე" კი უარი თქვეს. მაგრამ მე ალტრუისტი არ ვარ, ამ სახის საბოძვარს უანგაროდ და "უსასყიდლოდ" არასოდეს გავცემ.
აქ ითქვა, თითქოსდა უსახლკაროებისთვის დამენგრიოს ბინა, ის კი რატომღაც ავიწყდებათ, რომ ჩემ გარეშე ისინი ისედაც უბინაოდ რჩებოდნენ! მათ ბედზე მოტირალ-მოვიშვიშენი იძულებულნი გახდნენ, ჩემთვის ეთხოვათ დახმარება, მაგრამ დახმარება ერთია და შემოქმედისთვის მისი ქმნილების წართმევა მეორე.
იმის თქმა მსურს, რომ არავის აქვს უფლება, ჩემი ცხოვრების თუნდაც ერთი წუთი წამართვას, არც ჩემი ნახელავის თუნდაც სულ მცირე ნაწილი. მე სხვისთვის არ ვცხოვრობ და არც სხვის მაგივრად. მსხვერპლშეწირვა ჩემი მრწამსი არაა და არც სხვათა მიმართ გამაჩნია რაიმე ვალდებულება, ერთის გარდა პატივი ვცე მათ პიროვნულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის თუნდაც ათი წელი შევწირო ამ პრინციპების ერთგულებას და იმ შემოქმედთა
ღირსების დაცვას, ვისაც თავად არ ძალუძს, წინ აღუდგეს საკუთარ ქმნილებათა ხელყოფას ბრბოს მოთხოვნათა საამებლად. ყველა იმ ხელოვანისავე სახელით, ვინც ფიზიკურად თუ სულიერად შეეწირა ამ ამბოხს ჰენრი კამერონის, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ არის, თუ ახლა ამ დარბაზში მჯდომი სტივენ მელორის. ასევე იმ კაცის, რომელსაც არ სურს სახელის გამჟღავნება, მაგრამ ამ დარბაზში ზის და ვიცი, რომ ხვდება, მე მათი სახელითაც ვლაპარაკობ!"
დარბაზში მსხდომთა მახსოვრობაში სამუდამოდ აღიბეჭდა წელგამართული, თავაწეული რორკის შთამბეჭდავი ფიგურა. იგი მუდამ ასე იდგა ყოველი მისი მშენებარე ქმნილების წინ. მისი სიტყვის მერე გამართული იურიდიული დებატებისთვისაც დიდი ყურადღება აღარავის მიუქცევია.
საბოლოოდ, მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილების მისაღებად გაისტუმრა.
ხალხმა კანტიკუნტად იწყო წამოდგომა, ზანტად, აუჩქარებლად; დარწმუნებულები იყვნენ, რამდენიმე საათი მაინც მოუწევდათ ლოდინი თორმეტი კაცის ერთ აზრამდე მისვლა იოლი საქმე არ ჩანდა.
მანდატურები რორკს ამოუდგნენ აქეთ-იქიდან და დარბაზიდან გაყვანა დაუპირეს. რორკმა ჯერ დომინიკი მოძებნა თვალებით, მერე კი მზერა

მკითხველთა ლიგა

ბოლო რიგში მჯდომი უაინენდისკენ გაექცა.
სწორედ ამ დროს, ნაფიც მსაჯულთა ოთახის კარზე, წესისამებრ, სამი დაკაკუნება მოისმა. ხალხი მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავდა. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ საბოლოო ვერდიქტი უკვე გამოიტანეს.
ყველა თავ-თავის ადგილს დაუბრუნდა. მოსამართლემაც დაიკავა კუთვნილი სავარძელი შემაღლებულზე. მსაჯულები დაწალიკებით გამოვიდნენ ოთახიდან და თეჯირთან ჩამწკრივდნენ.
– განსასჯელი წამოდგეს, – თქვა მოსამართლემ და მერე მსაჯულთა თავკაცს მიუბრუნდა, – მიხვედით ერთიან აზრამდე?
– დიახ, თქვენო ღირსებავ!
– და როგორია თქვენი გადაწყვეტილება?
– უდანაშაულოა!
რორკი ახლა მხოლოდ უაინენდს შესცქეროდა მაგნატი მძიმედ წამოიზლაზნა და მერე უკანმოუხედავად გავიდა დარბაზიდან.

19

როჯერ ენრაიტმა კორტლენდის“ მთელი მიდამო გამოისყიდა მთავრობისგან და ჰაუარდ რორკს შეუთანხმდა იქაურობის ხელახალ განაშენიანებაზე. მწირი ბიუჯეტი ისე გაანაწილა, საბოლოოდ შესახლების ფასიც დაბალი ყოფილიყო და მცირე მოგებაც დარჩენოდათ. პროექტი ღია იყო ყველასთვის, ვინც კი ქირის გადახდას მოისურვებდა,
გეილ უაინენდმა განქორწინებას იოლად მიაღწია, თუმცა იოლი ეს იურიდიული პროცედურების მხრივ იყო მხოლოდ... რაკი მხარეებს სადავო არაფერი ჰქონდათ, სასამართლოში მათი გამოცხადება აღარც კი გახდა საჭირო: უაინენდმა სრული თავისუფლებაც მიიღო და საღამოების ახლა უკვე სიმარტოვეში გატარების უფლებაც.
ელზუერთ თუიმაც მიაღწია თავისას პროფკავშირის დიდი ძალისხმევით, სასამართლომ "ბანერში" მისი აღდგენა დააკისრა უაინენდს.თუი იმავე საღამოს გამოცხადდა რედაქციაში, გულითადად ესალმებოდა ყველა შემხვედრს და მცირედ მხოლოდ მაშინ შეყოყმანდა, როცა საკუთარი კაბინეტის წინ მდგარ მედია-მაგნატს ჰკიდა თვალი.
– საღამო მშვიდობისა, მისტერ თუი, – თავაზიანად შეეგება უაინენდი, – მობრძანდით.
თუიმ პასუხად ოდნავ დაუკრა თავი და ოთახში შეაბიჯა. ყველაფერი ძველებურად დაუხვდა ფანქრებიც კი წვერწამახული იყო და საწერი ქაღალდის მთელი დასტაც კოხტად მიეწყოთ საბეჭდი მანქანის გვერდით.
– აბა, შეუდექით საქმეს, მისტერ თუი! კანონს უნდა დავემორჩილოთ... რაკი სასამართლომ ასე გადაწყვიტა, თანამშრომლობაც მოგვიწევს.
თუის ჩაეცინა, სავარძლის საზურგეზე გადაწვა და გაბადრული მიაჩერდა ბოსს.
– მართლაც ბავშვივით ბედნიერად ვგრძნობ თავს, მისტერ უაინენდ. იმედი მაქვს, წარსულს ორივე დავივიწყებთ და კვლავაც გამოვნახავთ საერთო ენას.
– ახლა ცხრას ათი უკლია, – მოულოდნელად გამოაცხადა უაინენდმა, – ათი წუთიღა დაგრჩათ სამაგისოდ.
ელზუერთ თუის სახე შეეცვალა, ვერაფრით გაეგო, რა თამაშს ეთამაშებოდა გეილ უაინენდი.
უაინენდი ფეხს არ იცვლიდა. ისევ კარებში იდგა, გულხელდაკრეფილი. ცალი მხრით ჩარჩოს მიჰყრდნობოდა. ოთახს მწვანეთალფაქიანი

მკითხველთა ლიგა

მაგიდის ნათურა ანათებდა, თუმცა გარეთ ჯერ არც დაბნელებულიყო.
თუი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მერე შემოტრიალდა, ისევ სავარძელში ჩაჯდა და უაინენდს მიაჩერდა. შენობის სიღრმიდან ნაცნობი, დამამშვიდებელი ხმა მოისმოდა სტამბის მანქანების ყრუ გუგუნი გაზეთის ახალი ნომერი იბეჭდებოდა, რომელსაც ადამიანებამდე სამყაროს მაჯისცემა უნდა მიეტანა.
თუიმ ფურცელზე ფანქრით რაღაცეების ხატვა დაიწყო, თუმცა მალევე მიხვდა ლამპის შუქი ისე ანათებდა იქაურობას, უაინენდსაც კი არ გაუჭირდებოდა ყვავილის, ჩაიდნისა თუ წვეროსანი კაცის პროფილის დანახვა... მაგნატი ისევ კართან იდგა და იქიდან თითქოს არც აპირებდა ფეხის მოცვლას. თუიმ ფანქარი დააგდო, ჩაახველა, საყელო გაისწორა და ახლა მაგიდის უჯრა გამოაღო. უჯრაში ქაღალდების დასტა დახვდა. აზრზე არ იყო, ახლა რა უნდა ექნა ვის გაეგო, საღამოს ცხრა საათზე სტატიის წერა დაეწყო კაცს?! იქნებადა, ეს სულაც უაინენდის ახალი მანერა იყო დაზავების გამოსახატავად? მანქანების გუგუნი გრძელდებოდა და არანაირი სხვა ხმა არ მოისმოდა მთელ შენობაში. ცოტა ხანში ისევ კარებისკენ გაექცა თვალი: უაინენდი არ გატოკებულა. სრულიად მშვიდი, არაფრის გამომხატველი სახით შესცქეროდა მაგიდასთან მჯდომ ხელქვეითს და როგორც ჩანს, ხმის ამოღებასაც არ აპირებდა.
სიჩუმე ისევ თუიმ დაარღვია და ახლა სხვა მხრიდან შეეცადა მოვლას:
– გეილ, მართლა არ მესმის, რა გვაქვს გასაყოფი! შეცდომა კი ვის არ მოსვლია...
უაინენდს არც ახლა უთქვამს რამე. თუიმ ახლა საბეჭდ მანქანაში ჩადო ფურცელი, ნიკაპი ორი თითით მოისრისა, კლავიატურას დახედა.
უცბად იგრძნო, რაღაც ავბედითმა სიჩუმემ დაისადგურა მთელ შენობაში. სმენად იქცა, ახლაღა მიხვდა, რომ მარადმოგუგუნე საბეჭდი მანქანების ყრუ ხმა აღარ მოისმოდა სარდაფიდან... უაინენდმა მაჯის საათზე დაიხედა, მერე თუის გაუსწორა თვალი:
– ზუსტად ცხრა შესრულდა. თქვენი სამსახურიც მორჩა, ელზუერთ. "ბანერი" აღარ არსებობს!
თუის გაოგნებისგან ხმაც ვერ ამოეღო და საკუთარ ყურებსაც არ უჯერებდა.
– კი, ასეა. უკლებლივ ყველა აქციია გამოვისყიდე.
თუი ფეხზე წამოხტა, მექანიკურად დასწვდა ქაღალდის სარჭს, მცირე ხანს თითებში ათამაშა, მერე ხელისგული ამოატრიალა, დაინახა, როგორ უხმაუროდ დაეცა ლითონის ეს პატარა ნაჭერი ხალიჩაზე და ამ ვითარებაში, ყველაზე მეტად, სწორედ ნიუტონის კანონის ამ თვალნათელმა გამოვლინებამ გააკვირვა თითქოს.
– მინდოდა, ამ წუთს მე და თქვენ ერთად შევხვედროდით, მისტერ თუი! – თქვა უაინენდმა.

• • •

ბევრმა გაზეთმა მოინდომა მისტერ ელზუერთ მოკტონ თუის გადაბირება, მან კი არჩევანი ”კურიერზე” – კეთილი სახელისა და არცთუ მთლად გამოკვეთილი პოლიტიკური მიმართულების გამოცემაზე შეაჩერა.
პირველივე სამუშაო დღის ბოლოსკენ, თუი რედაქტორის მოადგილის კაბინეტში, მისსავე საწერ მაგიდაზე ჩამომჯდარიყო და ახალ კოლეგას მისტერ ტალბოტზე, "კურიერის" გამომცემელზე ეკითხებოდა: მაინც, რა კაცია რომელ ღმერთს ეთაყვანება და რის გარეშე არ შეუძლია ცხოვრებაო...

მკითხველთა ლიგა

– დრო ყველაფრის მკურნალია! – ისმოდა დაშაქრული ხმა რადიოდან...

• • •

რორკი სამუშაო მაგიდას უჯდა ოფისში. უკვე ოქტომბერი იდგა და გარეთ მოახლოებული ზამთრის სუსხიც იგრძნობოდა. მოულოდნელად ტელეფონმა გაიწკარუნა. უცნაური იყო, მდივანმა კარგად იცოდა, რომ მუშაობის დროს რორკის შეწუხება არ იქნებოდა.

– მისტერ რორკ, გეილ უაინენდს ხვალ ოთხი საათისთვის თქვენთან შეხვედრა სურს თავის ოფისში. რა ვუთხრა?

რორკი შეყოვნდა, მერე ესღა ჰკითხა:

– თვითონ რეკავს?

– არა, მისი მდივანია.

– კარგი. უთხარით, რომ მივალ. ზუსტად ოთხზე.

მერე წამოდგა, სახაზავ დაფასთან მივიდა და ჯერ დაუმთავრებელ ნახაზს მიაჩერდა. თუმცა უკვე იცოდა, დღეს აღარაფრის გამკეთებელი არ იყო.

როცა "ბანერის" შენობას მიადგა, ძველი აბრა აღარსად ჩანდა მის ადგილას ოთხკუთხა სიცარიელე ეცა თვალში. ლიფტში არავინ დამგზავრებია და ესეც ეუცნაურა... უაინენდის კაბინეტში რომ შეაბიჯა, ის საწერ მაგიდასთან იჯდა მაღალზურგიან სავარძელში, წამოდგა და ორი ნაბიჯი გადმოდგა შესახვედრად, თუმცა ხელი არ გამოუწვდია სტუმრისთვის. სახეც პირქუში ჰქონდა, თითქოს სიმკაცრის ნიღაბი მოერგო საგანგებოდ.

აქ რომ მოდიოდა, უკვე იცოდა, რა ტკივილსაც იგრძნობდა და ამ ყრუ ტკივილს ვეღარასოდეს მოიცილებდა. უაინენდის სახე იმ გაუცხოებას მოასწავებდა, რაც სამარადისოდ ჩამდგარიყო მათ შორის. „ მისტერ რორკ, ეს დღევანდელი ჩვენი საუბარი აუცილებელია, თუმცა კი ჩემთვის მეტად უსიამოც. გთხოვთ, უკანასკნელად გამიწიოთ ანგარიში...“

რორკი გრძნობდა, მისი მხრიდან ერთადერთი სწორი ქცევა თამაშის ახალი წესების აყოლა იქნებოდა:

– გისმენთ, მისტერ უაინენდ.

უაინენდმა მაგიდიდან ფურცელი აიღო და რორკს გაუწოდა: ”კონტრაქტია ”უაინენდ-ბილდინგის“ თაობაზე. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ და, თუ პირობებს მისაღებად ჩათვლით, ასლებზეც მომიწეროთ ხელი.

რორკი არც შერხეულა, თითქოს კიდევ ელოდა რაღაცას.

– სწორად გამიგეთ, მისტერ რორკ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარკვიოთ ყველაფერი. ეს ყველაზე მაღალი შენობა უნდა იყოს მთელ ნიუ-იორკში და მინდა, მშენებლობა დაუყოვნებლივ დაიწყოს ახლა ნუ ვიდავებთ, რამდენად შესაფერისი დროა ამისთვის და რამდენად რენტაბელური იქნება ჩადებული ინვესტიცია... ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, რომ შენობა ცარიელი არ დარჩება. საბოლოოდ, აქ დაიდებს ბინას ყველა ჩემი ბეჭდვითი გამოცემა, რომელიც ახლა მთელ ქვეყანაშია მიმოფანტული. თუ კიდევ დარჩა რამე ფართი გაქირავდება. მერწმუნეთ, ხმები უაინენდის იმპერიის აღსასრულზე, რბილად რომ ვთქვათ,გაზვიადებულია... წერილობით მოგართმევთ ყველა ჩემს მოთხოვნას, თუ მოსაზრებას. დანარჩენი თქვენი საქმეა: თქვენს ჭკუაზე დააპროექტებთ შენობას და ამ მხრივ, საბოლოო სიტყვაც თქვენ გეკუთვნით, არავისთან არაფრის შეთანხმება არ დაგჭირდებათ, ჩემთანაც კი. რაც შეეხება ხარჯებს, ბანკში ღია ანგარიში გექნებათ გახსნილი. ეს

მკითხველთა ლიგა

ორი პუნქტი საგანგებოდაა ხაზგასმული კონტრაქტში. თუ რაიმე ტექნიკური ან ორგანიზაციული სახის პრობლემა შეგექმნათ, ჩემს ნდობით აღჭურვილ პირს მიმართავთ, ის ყველაფერს მოგიგვარებთ. ჩემი ნახვა აღარაფერში
დაგჭირდებათ. არც ეცადოთ. დღეიდან ჩვენ შორის ნებისმიერი პირადი კონტაქტი გამორიცხულია. მოკლედ, თუ თანახმა ხართ, წაიკითხეთ და ხელიც მომიწერეთ.

რორკმა ახლაღა გამოართვა ფურცელი, მაგიდასთან მივიდა, კალამს დასწვდა და ხელშეკრულებას უსიტყვოდ, წაუკითხავად დაუსვა საკუთარი ხელმოწერა.

– ცალი თვალით მაინც გადაგეხედათ... – წამოსცდა უაინენდს.

რორკმა მხრები აიჩეჩა.

– კეთილი, – თქვა უაინენდმა, თავადაც მოაწერა ხელი და ერთი ასლი რორკს გაუწოდა. რორკმა ქაღალდი დაკეცა და უხმოდ ჩაიდო ჯიბეში.

– ერთიც უნდა გითხრათ, მისტერ რორკ: ჩემი მედია-იმპერია ჩემთან ერთად მოკვდება. ასე რომ, აშენების ხარჯები თქვენი განსაკარგია, ამონაგები არ გეხებათ ან რა მნიშვნელობა ექნება, როცა ჩემ შემდეგ მოგების მიმღებიც არავინ დარჩება. ოღონდ იმას მაინც ნუ იფიქრებთ, თითქოს უაზრო წამოწყებაში მსურდეს თქვენი ჩათრევა! ამ შენობამ საუკუნეებს უნდა გაუძლოს, როცა ჩემი და ჩემი ყველა სხვა წამოწყების ხსენებაც კი აღარ იქნება.

– გასაგებია, მისტერ უაინენდ.

– ამბობენ, ცათამბჯენების დრო წავიდაო, მაგრამ როგორც ვიცი, საზოგადოების აზრის წინააღმდეგ წასვლა არასოდეს გიჭირდათ... და თუ ეს მართლაც ბოლო ცათამბჯენი იქნება ნიუ-იორკში მით უკეთესი!

– ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი მსგავსი წამოწყების მსურველნი კიდევ გამოჩნდებიან ამ ქვეყანაზე... „ბანერი" მხოლოდ აუცილებელი სასუქია იმ ნიადაგის გასაპოხიერებლად, რომელზეც უაინენდ-ბილდინგი" უნდა დაიდგას."

უაინენდმა თავი გააქნია მხოლოდ, კონტრაქტის მეორე პირი უჯრაში შეინახა და ისე თქვა, მოსაუბრისკენ არც გაუხედავს: "ერთხელ გითხარით, რომ ეს შენობა ჩემი ცხოვრების გვირგვინად უნდა იქცეს- მეთქი, ახლა კი დასაგვირგვინებელიც არაფერია. უკვე იმად დარჩება, რადაც თქვენ ჩაიფიქრებთ..."

მოტრიალდა და რორკიც მიხვდა, სათქმელი ბოლომდე ითქვაო. დამშვიდობების ნიშნად დახარა თავი, ოღონდ ცოტა უფრო მდაბლად, ვიდრე ამას მსგავს ვითარებაში მიღებული წესი მოითხოვდა.

მერე, უკვე კარებთან მისულს, მოულოდნელად უაინენდის თითქოსდა თავისთვის ნათქვამი სიტყვები წამოეწია:

– სულის იმ სიმტკიცეს დაუდგი ძეგლი, ჩემგან განსხვავებით, შენ ბოლომდე რომ შეინარჩუნე...

20

გვიანი გაზაფხულის ერთ დღეს, დომინიკი "უაინენდ-ბილდინგის" სამშენებლო მოედანს მიადგა. "ეშმას სამზარეულოს" უბნის ამ ადგილს კაცი ვეღარ იცნობდა, იქაურობას მშენებლები დაჰპატრონებოდნენ: ბულდოზერები და ამწეები ნანგრევებისგან წმენდნენ შემოგარენს, ადგილს ათავისუფლებდნენ ტყე-პარკის გასაშენებლად; ზედ ცენტრში კი ცათამბჯენის შიშველი ჩონჩხი წამომართულიყო.

თავში გაუელვა ამბობენ, დედამიწის გული მთლიანად გარსში

მკითხველთა ლიგა

მომწყვდეული ცეცხლოვანი ლავისგან შედგებაო, მაგრამ თუკი როდისმე თიხის, რკინის და გრანიტის უსასრულო ფენებში გამოაღწია, სწორედ ასეთ სურათს მივიღებთო.

ფეხით ჩაუყვა ხის მაღალ ღობეს. ყველგან, ერთიმეორის მიყოლებით, მშენებლობაში ჩართული სხვადასხვა მსხვილ-მსხვილი ფირმის სარეკლამო აბრები იყო გამოკრული. უცებ შეჩერდა ცხადია, ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ თითქოს ყურში აშკარად ჩაესმოდა ჰენრი კამერონის მიერ ოდესღაც ნათქვამი: "თუ კაცი შენს სიტყვას ბოლომდე გაიტან, ამაზე დიდი გამარჯვება არაფერია; არა მხოლოდ შენთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც ოდესმე ხელი მოსცარვია და მიზნის მიღწევას ვერ ღირსებია. ვისაც არ დასცალდა, უთანასწორო ბრძოლას შეეწირა და აუხდენელი ოცნებებიც თან წაიყოლა..."

სწორედ ამას ფიქრობდა, როცა ნიუ-იორკის უდიდესი მშენებლობის ხის ღობეზე ლითონის მომცრო ფირფიტას ჰკიდა თვალი:

ჰაუარდ რორკი, არქიტექტორი

მერე სამუშაოთა მწარმოებლის ხმაც შემოესმა, ეს ვიღაც ახალი ჩანდა, ადრე არასოდეს ენახა: "ვინ გნებავთ, ქალბატონო?"

– ჰაუარდ რორკი. არქიტექტორი.

- სადმე ზევით იქნება, ხარაჩოებზე. რა შევუთვალო, ვინ კითხულობსო?

– მეუღლე, მისის რორკი, – ღიმილით უთხრა დომინიკმა.

კაცმა მეგაფონი მოიმარჯვა, რაღაც ასძახა ზევით და პასუხადაც რაღაც გაურკვეველი მოისმა. მხრები აიჩეჩა, დომინიკს ანიშნა, მომყევითო და პირდაპირ ამწე პლატფორმისკენ წაუძღვა. უბრალო კონსტრუქცია იყო, აქეთ- იქიდან თოკებმობმული ფიცარნაგი. ვითომც არაფერიო, დომინიკი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით აბაკუნდა ზედ, თოკს ორივე ხელით ჩაეჭიდა და იგრძნო, როგორ შეირხა პლატფორმა, როგორ ზანტად დაიძრა ზევითკენ.

ჯერ მომიჯნავე უბნების პირველი სართულების მაღაზიათა ვიტრინებს ასცდა, მერე კინოთეატრების სარეკლამო ფირნიშებს, მერე ქუჩების ქსელიც გაიბლანდა. ქვევით დარჩა ბრტყელი გადახურვის სახურავებიანი საწყობები, ოფისების დიდრონი ფანჯრები, მერე სახურავებზე მოწყობილი ბაღებიც.

ნიავი უწეწავდა თმას, კაბას ტანზე ატმასნიდა; ხედავდა, თანდათანობით როგორ პატარავდებოდა ქვემოთ ყველაფერი. მალე მთელი ქალაქიც ხელისგულივით გადაიშალა მის თვალწინ მდინარის ორ ტოტს შორის მომწყვდეული. სულ მალე, სხვა ცათამბჯენთა სახურავებზე გამართული ანტენების საცეცებიც ქვევით დარჩა... ცოტაც, და მის გარშემო მზით განათებული უსასრულო სივრცის გარდა, არც აღარაფერი დარჩებოდა. მერე, სულ ზევით, რორკიც დაინახა.

შორს, ჰორიზონტზე, ცა ოკეანეს ერწყმოდა.

მკითხველთა ლიგა